Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

8

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1947

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1949

ვ. ი. ლენინი

ტომი

8

1905 წლის იანვარი—ივლისი

წინასიტყვაობა

მერვე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1905 წლის იანვრიდან ივლისამდე, რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყების პერიოდში. ტომის უმეტეს ნაწილს შეადგენენ არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთებში «ვპერიოდსა» და «პროლეტარში» გამოქვეყნებული სტატიები.

ნაწარმოებებში: «თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი», «პორტ-არტურის დაცემა», «ევროპის კაპიტალი და თვითმპყრობელობა», «განადგურება» — მოცემულია თვითმპყრობელობის სამხედრო კრახისა და პოლიტიკური კრიზისის ანალიზი და ნაწინასწარმეტყველევია რევოლუციის გარდუვალობა რუსეთში.

ნაწარმოებები: «ორი ტაქტიკა», «უნდა მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია?», «ახალი ამოცანები და ახალი ძალები», «დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ», «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა», «რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა» — მიძღვნილია ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ტაქტიკის დასაბუთებისა და განვითარებისადმი, მენშევიკების ოპორტუნისტული ტაქტიკის მხილებისა და კრიტიკისადმი.

ნაწარმოებებში: «დროა გავათაოთ», «რსდმპ გათიშვის მოკლე ნარკვევი», «III ყრილობის გადაწყვეტილებათა საერთო გეგმა», «რსდმპ III ყრილობის რეზოლუციების პროექტები», «პირველი ნაბიჯი», «ბონაპარტისტთა ოინები», «მეორე ნაბი-

ჯი», «ღია წერილი რსდმპ საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. პლეხანოვს» — მოცემულია ლენინის ბრძოლა მენშევიკების გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ, რსდმპ III ყრილობის — პირველი ბოლშევიკური ყრილობის მომზადებისათვის.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ რსდმპ III ყრილობის დოკუმენტები, ლენინის მოხსენებები, სიტყვები და გამოსვლები ყრილობაზე, მისი დაწერილი რეზოლუციები შეიარაღებული აჯანყების შესახებ, დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ, გლეხთა მოძრაობისათვის მხარის დაჭერის შესახებ, კავკასიის ამბების გამო და სხვანი.

ტომში შედის აგრეთვე ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმართული ნაშრომები: «ლიბერალების აგრარული პროგრამა», «პოლიტიკური სოფიზმები», «ბურჟუაზიული გამცემლობის პირველი ნაბიჯები», «თეთრხელთათმანიანი რევოლუციონერები», «პროლეტარიატის ბრძოლა და ბურჟუაზიის ლაქიობა».

ტომში იბეჭდება თოთხმეტი ნაწარმოები, რომელიც პირველად შედის ვ. ი. ლენინის თხზულებებში. ამ ნაწარმოებთა საგანია რუსეთის რევოლუციური ამბების ანალიზი და რსდმპ III ყრილობის საკითხები.

სტატიაში «რევოლუცია რუსეთში» ლენინი პირველად აძლევს შეფასებას 9 იანვრის ამბებს როგორც რევოლუციის დასაწყისს და მიესალმება აჯანყებულ პროლეტარიატს. ნაწარმოებები: «პირველი ნაბიჯები», «სისხლიანი კვირის წინახანი», «მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი», «ბრძოლები ბარიკადებზე», «პეტერბურგი 9 იანვრის შემდეგ» — მიძღვნილია პეტერბურგის რევოლუციური ბრძოლის პირველი დღეებისადმი და რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნების ზრდისადმი.

პროკლამაციაში «პირველი მაისი» ლენინი განმარტავს პროლეტარიატისა და გლეხობის ამოცანებს რევოლუციაში და მოუწოდებს საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ.

შენიშვნაში «კომიტეტების კონფერენციები» ლაპარაკია ადგილობრივი კომიტეტების კონფერენციებზე, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პარტიის III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას. სტატიაში «ახალისკრელთა ბანაკიდან» მხილებულია პარტიის სისტემატური მოტყუება მენშევიკების მიერ.

დოკუმენტები: «რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ», «სიტყვა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ რეზოლუციების განხილვის წესის თაობაზე», «რეზოლუცია ყრილობის ოქმების გამოცემის შესახებ», «პროექტი რეზოლუციისა კავკასიის ამბების შესახებ» — მიეკუთვნება რსდმპ III ყრილობის მასალებს.

შენიშვნაში «რუსეთის ახალი სესხი» ლენინი აღნიშნავს მეფის მთავრობის კრედიტის დაცემას საზღვარგარეთ სამხედრო დამარცხებათა და ქვეყნის შიგნით უკმაყოფილების ზრდის გამო.

თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი[1]

დაბეჭდილია 1905 წ. 4 იანვარს
(1904 წ. 22 დეკემბერს)
გაზეთ «ვპერიოდში» № 1

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით

1 ტ. 8

EN AVANT

ВПЕРЕДЪ

Российская Социал-демократическая Рабочая Партия

Пролетаріи всѣхъ странъ соединяйтесь!

№ 1. ЖЕНЕВА, 4 ЯНВАРЯ (22 ДЕКАБРЯ) 1905 г.

ბოლშევიკური გაზეთის «ვპერიოდის» № 1 პირველი გვერდი,
1905 წ. 4 იანვარი (1904 წ. 22 დეკემბერი),
ვ. ი. ლენინის სტატიით «თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი»
დაპატარავებულია

•

რუსეთს კონსტიტუციური მოძრაობის ახალი ტალღა მოედო. თანამედროვე თაობას ახლანდელი პოლიტიკური გამოცოცხლების მსგავსი რამ ჯერ არ უნახავს. ლეგალური გაზეთები მტვერს ადენენ ბიუროკრატიას, მოითხოვენ ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობას სახელმწიფოს მმართველობაში, დაჟინებით აცხადებენ, რომ აუცილებელია ლიბერალური რეფორმები. ერობის მოღვაწეთა, ექიმთა, იურისტთა, ინჟინერთა, სოფლის მეურნეთა, ქალაქების ხმოსანთა და სხვ. და სხვ. ყოველგვარ კრებებს გამოაქვთ რეზოლუციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად აშკარად უჭერენ მხარს კონსტიტუციას. ყველგან გაისმის არაჩვეულებრივ გაბედული, რუსი ობივატელის თვალსაზრისით, პოლიტიკური მხილებანი და მგზნებარე სიტყვები თავისუფლების შესახებ. ლიბერალური კრებები, მუშებისა და რადიკალური ახალგაზრდობის ზედმოქმედების მეოხებით, აშკარა სახალხო კრებებად და ქუჩის დემონსტრაციებად გადაიქცევიან ხოლმე. პროლეტარიატის ფართო წრეებში, ქალაქისა და სოფლის ღარიბთა შორის აშკარად ძლიერდება ყრუ დრტვინვა. და თუმცა პროლეტარიატი შედარებით ნაკლებად მონაწილეობს ლიბერალური მოძრაობის ყველაზე საპარადო და საზეიმო გამოვლინებაში, თუმცა იგი თითქოს ცოტა განზე დგას დარბაისელი ხალხის დინჯი თათბირებისაგან, მაგრამ ყველაფრით ჩანს, რომ მუშები უაღრესად არიან დაინტერესებულნი მოძრაობით. ყველაფრით ჩანს, რომ მუშები მიისწრაფვიან ფართო სახალხო კრებებისა და აშკარა ქუჩის დემონსტრაციებისაკენ. პროლეტარიატი თითქოს თავს

იკავებს, გულდასმით აკვირდება გარემო ვითარებას, იკრებს ძალებს და წყვეტს საკითხს, უკვე დადგა თუ არა თავისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის მომენტი.

როგორც ჩანს, ლიბერალური აღგზნების ტალღა უკვე რაოდენადმე კლებას იწყებს. დასტურდება ხმები და საზღვარგარეთის გაზეთების ცნობები სასახლის ყველაზე გავლენიან წრეებში რეაქციონერების გამარჯვების შესახებ. ნიკოლოზ II-ის ამ დღეებში გამოქვეყნებული ბრძანებულება პირდაპირ სილის გაწვნაა ლიბერალებისათვის[2]. მეფეს განზრახული აქვს შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმპყრობელობა. მეფეს არა სურს შეცვალოს მმართველობის ფორმები და არ ფიქრობს კონსტიტუციის მოცემას. იგი გვპირდება — მხოლოდ გვპირდება — სრულიად მეორეხარისხოვანი ხასიათის სხვადასხვა რეფორმებს. ამ რეფორმების განხორციელების არავითარ გარანტიას, რა თქმა უნდა, არ იძლევიან. პოლიციური სიმკაცრენი ლიბერალური პრესის წინააღმდეგ დღეობით კი არა, საათობით ძლიერდება. კვლავ იწყებენ ყველა აშკარა დემონსტრაციის ჩახშობას უწინდელი, თუ არა უფრო მეტი, სიმკაცრით. კვლავ შესამჩნევად იწყებენ ერობათა და ქალაქთა ლიბერალი ხმოსნების, ხოლო უფრო მეტად — მოლიბერალო მოხელეების მოთვინიერებას. ლიბერალური გაზეთები მოწყენილ კილოზე გადადიან და ბოდიშს იხდიან იმ კორესპონდენტების წინაშე, რომელთა წერილების დაბეჭდვასაც ვერ ბედავენ.

შეუძლებელი არაფერია იმაში, რომ ლიბერალური აღგზნების ტალღა, რომელიც სწრაფად აზვირთდა სვიატოპოლკ-მირსკის ნებართვის შემდეგ[3], სწრაფადვე დაცხრება ახალი აკრძალვის შემდეგ. საჭიროა განვასხვაოთ დროებითი ლიბერალური გამოცოცხლების წვრილმან საბაბთაგან ღრმა მიზეზები, რომლებიც აუცილებლად და გარდუვალად, და რაც დრო გადის, უფრო მეტად წარმოშობენ ოპოზიციას და ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ღრმა მიზეზები წარმოშობენ ღრმა, მძლავრ და შეუპოვარ სახალხო მოძრაობას. წვრილმანი საბაბებია ზოგჯერ პიროვნებათა შეცვლა სამი-

ნისტროში და მთავრობის ჩვეულებრივი ცდა ერთი საათით გადავიდეს მელაკუდობის პოლიტიკაზე რომელიმე ტერორისტული აქტის შემდეგ. პლევეს მოკვლა ტერორისტულ ორგანიზაციას, ალბათ, ძალიონის დიდ დაძაბვად და ხანგრძლივ მოსამზადებელ მუშაობად უღირდა. და რაც უფრო მოხერხებულად შესრულდა ეს ტერორისტული წამოწყება, მით უფრო ნათლად ადასტურებს იგი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორიის გამოცდილებას, გამოცდილებას, რომელიც გვაფრთხილებს ბრძოლის ისეთი ხერხების წინააღმდეგ, როგორიც არის ტერორი. რუსული ტერორი იყო და რჩება ბრძოლის სპეციფიკურ-ინტელიგენტურ საშუალებად. და რასაც უნდა გვეუბნებოდნენ ტერორის დიდი მნიშვნელობის შესახებ არა სახალხო მოძრაობის ნაცვლად, არამედ მასთან ერთად, ფაქტები ურყევად მოწმობენ, რომ ჩვენში ინდივიდუალურ პოლიტიკურ მკვლელობას საერთო არაფერი აქვს სახალხო რევოლუციის ძალდატანების მოქმედებასთან. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მასობრივი მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ როგორც კლასობრივი მუშათა მოძრაობა. ეს მოძრაობა რუსეთში ვითარდება თავისი დამოუკიდებელი კანონებით, იგი მიდის თავისი გზით, უფრო ღრმავდება და ფართოვდება, დროებითი მიყუჩებიდან ახალ აღმავლობაზე გადადის. და მხოლოდ ლიბერალური ტალღის აზვირთება და დაცემა მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა მინისტრთა განწყობილებასთან, რომელთა შეცვლასაც ბომბები აჩქარებს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენში ასე ხშირად ვხვდებით ტერორისადმი თანაგრძნობას ბურჟუაზიული ოპოზიციის რადიკალურ (ან მორადიკალო) წარმომადგენელთა შორის. გასაკვირველი არ არის, რომ რევოლუციური ინტელიგენციიდან ტერორი განსაკუთრებით გაიტაცებს ხოლმე (ხანგრძლივ ან ერთი წუთით) სწორედ იმათ, ვისაც არა სწამთ პროლეტარიატისა და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის სიცოცხლისუნარიანობა და ძალა.

ამა თუ იმ საბაბის გამო ლიბერალური აღგზნება ხანგრძლივი და მტკიცე რომ არ არის ხოლმე, ეს, რა თქმა უნდა,

ვერ დაგვავიწყებს აუცილებელ წინააღმდეგობას თვითმპყრობელობასა და განვითარების პროცესში მყოფი ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის. თვითმპყრობელობას არ შეუძლია არ შეაფერხოს საზოგადოებრივი განვითარება. რაც უფრო მეტი ხანი გადის, მით უფრო მეტად ეჯახება თვითმპყრობელობას ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესები, ინტერესები ინტელიგენციისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება. შეიძლება ზერელე იყოს ლიბერალურ განცხადებათა საბაბი, შეიძლება წვრილმანი იყოს ლიბერალების გაუბედავი და ორჭოფული პოზიციის ხასიათი, მაგრამ თვითმპყრობელობისათვის ნამდვილი ზავი შესაძლებელია მიწათმფლობელთა და ვაჭართა კლასის მხოლოდ ერთ მუჭა განსაკუთრებით პრივილეგიურ ბობოლებთან, და არა მთელ ამ კლასთან. მმართველი კლასის ინტერესთა პირდაპირი წარმომადგენლობა კონსტიტუციის ფორმით აუცილებელია იმ ქვეყნისათვის, რომელსაც სურს იყოს ევროპული ქვეყანა და რომელსაც მდგომარეობა ვალდებულს ხდის, პოლიტიკური და ეკონომიური დამარცხების მუქარით, ევროპული ქვეყანა გახდეს. •მიტომ შეგნებული პროლეტარიატისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ნათლად ესმოდეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ლიბერალური პროტესტების აუცილებლობაც და ამ პროტესტების ნამდვილი ბურჟუაზიული ხასიათიც.

მუშათა კლასი ისახავს უდიდეს, მსოფლიო-ისტორიულ მიზნებს: გაათავისუფლოს კაცობრიობა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმისაგან. ამ მიზნების განხორციელებისაკენ იგი მთელ მსოფლიოში მიისწრაფვის დაჟინებით, ათეული და ათეული წლების განმავლობაში, მუდმივ აფართოებს თავის ბრძოლას, ირაზმება მილიონიან პარტიებად, არა დრკება ცალკეულ და დროებით დამარცხებათა გამო. ასეთი ჭეშმარიტად რევოლუციური კლასისათვის არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, რომ თავიდან მოიცილოს ყოველგვარი თავისმოტყუება, ყოველგვარი მირაჟი და ილუზია. ჩვენში, რუსეთში,

ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და გამძლე ილუზიას წარმოადგენს ის, თითქოს ჩვენი ლიბერალური მოძრაობა არ არის ბურჟუაზიული მოძრაობა, თითქოს რევოლუცია, რომელიც რუსეთს მოელის, არ არის ბურჟუაზიული რევოლუცია. რუს ინტელიგენტს, — უაღრესად ზომიერი ოსვობოჟდენიელით[4] დაწყებულს და ყველაზე უკიდურესი სოციალისტ-რევოლუციონერით გათავებულს, — ყოველთვის ეჩვენება, რომ ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიულ რევოლუციად აღიარება ნიშნავს მის გაუფერულებას, დამცირებას, გაუხამსებას. შეგნებულ რუს პროლეტარს ასეთი აღიარება მიაჩნია საქმის ნაბდვილი მდგომარეობის ერთადერთ სწორ კლასობრივ დახასიათებად. პროლეტარისათვის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბრძოლა არის მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი ეტაპი იმ სოციალური რევოლუციისათვის ბრძოლისა, რომელიც დაამხობს ბურჟუაზიულ წესებს. სხვადასხვა ხასიათის ეტაპების მკაცრად განსხვავება, მათი გავლის პირობათა ფხიზლად გამოკვლევა სრულებითაც არ ნიშნავს საბოლოო მიზნის ხანგრძლივად გადადებას, სრულებითაც არ ნიშნავს თავისი სვლის წინასწარ შენელებას. პირიქით, სწორედ სვლის დასაჩქარებლად, სწორედ საბოლოო მიზნის რაც შეიძლება უფრო სწრაფი და მტკიცე განხორციელებისათვის, აუცილებელია გვესმოდეს კლასთა ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოებაში. მხოლოდ იმედის გაცრუება და მერყეობა მოელის იმათ, ვინც გაურბის ვითომდა ცალმხრივ კლასობრივ თვალსაზრისს, ვისაც სურს იყოს სოციალისტი და ამავე დროს ეშინია პირდაპირ დაარქვას რევოლუციას, რომელიც რუსეთში მოგველის, რევოლუციას, რომელიც ჩვენში, რუსეთში, დაიწყო, — ბურჟუაზიული რევოლუცია.

დამახასიათებელი ფაქტია: სწორედ მაშინ, როდესაც გაჩაღებული იყო თანამედროვე კონსტიტუციური მოძრაობა, ყველაზე დემოკრატიულმა ლეგალურმა პრესამ ისარგებლა არაჩვეულებრივი თავისუფლებით, რათა თავს დასხმოდა არა ძარტო «ბიუროკრატიას», არამედ ვითომდა «მეცნიერულად

უმწეო», «განსაკუთრებულ და ამიტომ მცდარ თეორიას კლასობრივი ბრძოლისას» («ნაშა ჟიზნ», № 28). ხედავთ: მასებთან ინტელიგენციის დაახლოების ამოცანას «დღემდის აყენებდნენ ისე, რომ განსაკუთრებით მიუთითებდნენ კლასობრივ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობდა ხალხის მასებსა და საზოგადოების იმ ფენებს შორის, რომელთაგან გამოდის... ინტელიგენციის მეტი ნაწილი». ზედმეტია ლაპარაკი, რომ საქმის ასე დასახვა პირდაპირ ეწინააღმდეგება სინამდვილეს. სწორედ პირიქით. რუსეთის ლეგალური, მოკულტურულ ინტელიგენციის მთელი მასა, ყველა ძველი რუსი სოციალისტი, ოსვობოჟდენიელების ტიპის ყველა მოღვაწე სრულიად უგულებელყოფდა და უგულებელყოფს კლასობრივ წინააღმდეგობათა სიღრმეს საერთოდ რუსეთში და განსაკუთრებით რუსეთის სოფელში. რუსეთის რადიკალური ინტელიგენციის უკიდურესი მემარცხენე ფრთაც კი, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, ყველაზე მეტად სცოდავს ასეთივე უგულებელყოფით; საკმარისია გავიხსენოთ მისა ჩვეულებრივი მსჯელობა «მშრომელ გლეხობაზე» ან იმაზე, რომ ჩვენ მოგველის «არა ბურჟუაზიული, არამედ დემოკრატიული» რევოლუცია.

არა. რაც უფრო გვიახლოვდება რევოლუციის მომენტი, რაც უფრო მწვავე ხდება კონსტიტუციური მოძრაობა, მით უფრო სასტიკად უნდა დაიცვას პროლეტარიატის პარტიამ თავისი კლასობრივი დამოუკიდებლობა და არ ჩაახრჩობინოს თავისი კლასობრივი მოთხოვნანი ზოგად-დემოკრატიულ წყალწყალა ფრაზებში. რაც უფრო ხშირად, რაც უფრო გადაჭრით გამოდიან ეგრეთწოდებული საზოგადოების წარმომადგენლები თავისი ვითომდა საერთო-სახალხო მოთხოვნებით, მით უფრო ულმობლად უნდა ამხილოს სოციალ-დემოკრატიამ ამ «საზოგადოების» კლასობრივი ხასიათი. აიღეთ 6 — 8 ნოემბრის «საიდუმლო» საერობო ყრილობის ყბადაღებული რეზოლუცია[5]. ამ რეზოლუციაში დაინახავთ უკანა რიგზე გადაწეულ და განზრახ გაუგებარ, მხდალ კონსტიტუციურ სურვილებს. დაინახავთ მითითებებს ხალხსა და საზოგადოე-

ბაზე, გაცილებით უფრო ხშირად საზოგადოებაზე, ვიდრე ხალხზე. დაინახავთ რეფორმების განსაკუთრებით დაწვრილებითსა და უაღრესად დაწვრილებითს ჩამოთვლას საერობო და საქალაქო დაწესებულებათა დარგში, ე. ი. იმ დაწესებულებათა დარგში, რომლებიც მიწათმფლობელებისა და კაპიტალისტების ინტერესებს წარმოადგენენ. დაინახავთ გლეხობის ყოფაცხოვრების რეფორმის ხსენებას, გლეხობის განთავისუფლებას მეურვეობისაგან და სასამართლოს სწორი ფორმის დაცვას. სავსებით ცხადია, რომ თქვენს წინაშე არიან შეძლებულ კლასთა წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ მხოლოდ დათმობებს თვითმპყრობელობისაგან და არ ფიქრობენ ეკონომიური წყობილების საფუძველთა არავითარ შეცვლაზე. თუ ასეთ ადამიანებს სურთ «ძირეული» (ვითომდა ძირეული) «შეცვლა გლეხთა ახლანდელი არასრულუფლებიანი და დამცირებული მდგომარეობისა», ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა სისწორეს, სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც განუწყვეტლივ და ხაზგასმით აღნიშნავდა ბურჟუაზიული წყობილების საერთო პირობებისაგან გლეხობის ცხოვრების წესებისა და პირობების ჩამორჩენილობას. სოციალ-დემოკრატია მუდამ მოითხოვდა, რომ შეგნებულ პროლეტარიატს საერთო-გლეხურ მოძრაობაში მკაცრად განესხვავებინა გლეხური ბურჟუაზიის არსებითი ინტერესები და მოთხოვნილებანი, რა ბურუსითაც უნდა ყოფილიყო მიჩქმალული და დაფარული ეს მოთხოვნილებანი, «გათანასწორების» რა უტოპიებითაც უნდა შეემოსა ისინი გლეხურ იდეოლოგიას (და «სოციალისტურ-რევოლუციურ» ფრაზას). აიღეთ ინჟინერთა 4 დეკემბრის პეტერბურგის ბანკეტის რეზოლუციები. თქვენ დაინახავთ, რომ ბანკეტის 590 მონაწილე, ხოლო მათ შემდეგ რეზოლუციის ხელისმომწერი 6 000 ინჟინერი მხარს უჭერენ კონსტიტუციას, «ურომლისოდაც შეუძლებელია რუსეთის მრეწველობის წარმატებით დაცვა», ხოლო ამასთან ერთად პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობამ უცხოელ მეწარმეებს შეკვეთა მისცეს.

ნუთუ ახლა კიდევ შეიძლება არ დავინახოთ, რომ სწორედ სამიწათმფლობელო, სავაჭრო-სამრეწველო და გლეხური ბურჟუაზიის ყველა ფენის ინტერესები შეადგენენ იმ კონსტიტუციურ მისწრაფებათა სარჩულსა და საფუძველს, რომლებმაც ძლიერად იჩინეს თავი? ნუთუ შეიძლება თავგზააგვიბნიოს იმ გარემოებამ, რომ ამ ინტერესების წარმომადგენლობას ეწევა დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც კისრულობდა პუბლიცისტების, ორატორებისა და პოლიტიკური ბელადების როლს ყოველთვის და ყველგან, ევროპის ყველა ბურჟუაზიულ რევოლუციაში?

რუსეთის პროლეტარიატს უაღრესად სერიოზული ამოცანა ეკისრება. თვითმპყრობელობა ირყევა. მძიმე და უიმედო ომმა, რომელშიც იგი ჩაება, ღრმად გამოუთხარა საფუძველი მის ძალაუფლებასა და ბატონობას. იგი ახლა ვერ იარსებებს ისე, თუ მმართველ კლასებს არ მიმართა, თუ ინტელიგენციამ მხარი არ დაუჭირა, ხოლო ასეთ მიმართვას და ასეთ მხარდაჭერას აუცილებლად მოსდევს კონსტიტუციური მოთხოვნები. ბურჟუაზიული კლასები ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ მთავრობის გაჭირვებული მდგომარეობა. მთავრობა აწარმოებს თავგანწირულ თამაშს, რათა დააღწიოს თავი. ფონს გავიდეს უმნიშვნელო დათმობებით, არაპოლიტიკური რეფორმებით, დაპირებებით, რომლებიც მას არაფერს ავალებენ და რომლებიც ყველაზე მეტია მეფის ახალ ბრძანებულებაში. გაუვა თუ არა თუნდაც დროებით და ნაწილობრივ ასეთი თამაში, ეს საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია რუსეთის პროლეტარიატზე, მის ორგანიზებულობაზე და მისი რევოლუციური შეტევის ძალაზე. პროლეტარიატმა უნდა ისარგებლოს მისთვის არაჩვეულებრივ ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობით. პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს ბურჟუაზიის კონსტიტუციურ მოძრაობას, აამოძრაოს და თავის გარშემო დარაზმოს ხალხის ექსპლოატირებული მასების რაც შეიძლება ფართო ფენები, შემოიკრიბოს მთელი თავისი ძალები და დაიწყოს აჯანყება მთავრობის უდიდესი

სასოწარკვეთილების მომენტში, ხალხის უდიდესი აღგზნების მომენტში.

რით უნდა დაუჭიროს პროლეტარიატმა მხარი კონსტიტუციონალისტებს დაუყოვნებლივ? ყველაზე მეტად იმით, რომ გამოიყენოს საერთო აღგზნება აგიტაციისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის ყველაზე ნაკლებ გათვითცნობიერებული, ყველაზე მეტად ჩამორჩენილი ფენების ორგანიზაციისათვის. თავისთავად ცხადია, ორგანიზებული პროლეტარიატი, სოციალ-დემოკრატია თავის ძალთა რაზმებს უნდა გზავნიდეს მოსახლეობის ყველა კლასში, მაგრამ ეს კლასები უკვე რაც უფრო დამოუკიდებლად გამოდიან, რაც უფრო მწვავე ხდება ბრძოლა და რაც უფრო ახლოა გადამწყვეტი ბრძოლის მომენტი, ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი მით უფრო მეტად უნდა იქნას გადატანილი თვით პროლეტარებისა და ნახევრად-პროლეტარების მომზადებაზე თავისუფლებისათვის პირისპირ საბრძოლველად. ასეთ მომენტში მხოლოდ ოპორტუნისტებს შეუძლიათ განსაკუთრებით აქტიური ბრძოლა ან ბრძოლის ახალი მეთოდი ან დემონსტრაციების უმაღლესი ტიპი უწოდონ ცალკეული მუშა-ორატორების გამოსვლებს საერობო და სხვა საზოგადოებრივ კრებებზე. ასეთ მანიფესტაციებს შეიძლება მხოლოდ სრულიად დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდეთ. ახლა შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია პროლეტარიატის ყურადღების მიქცევა ბრძოლის ნამდვილად მაღალ და აქტიურ ფორმებზე, როგორიცაა როსტოვის განთქმული დემონსტრაცია და სამხრეთის მთელი რიგი მასობრივი დემონსტრაციები[6]. ახლა შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი კადრების გაფართოება, ძალთა დარაზმვა და მზადება კიდევ უფრო პირისპირი და აშკარა მასობრივი ბრძოლისათვის.

თავისთავად ცხადია, აქ საქმე ეხება არა იმას, რომ სოციალ-დემოკრატებმა თავი დაანებონ ყოველდღიურ და აუცილებელ მუშაობას. ისინი ამ მუშაობაზე არასოდეს არ იტყვიან უარს. სოციალ-დემოკრატები სწორედ ამ მუშაობაში ხედავენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის ნამდვილ მზადებას, რადგან ისინი

მთლიანად და განსაკუთრებით ამყარებენ იმედს პროლეტარიატის აქტივობაზე, შეგნებულობაზე, ორგანიზებულობაზე, მის გავლენაზე მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასაში. აქ საქმე ეხება სწორი გზის მითითებას, წინსვლის აუცილებლობაზე ყურადღების მიპყრობას, ტაქტიკურ მერყეობათა მავნებლობას. ყოველდღიურ მუშაობას, რომელიც არასოდეს და არავითარ პირობებში არ უნდა დაივიწყოს შეგნებულმა პროლეტარიატმა, ეკუთვნის ორგანიზაციის მუშაობაც. თუ არ გვექნება ფართო და მრავალმხრივი მუშათა ორგანიზაციები, თუ ისინი არ დაუახლოვდებიან რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, თვითმპყრობელობასთან წარმატებით ბრძოლა შეუძლებელია. ხოლო ორგანიზაციული მუშაობის საქმე შეუძლებელია, თუ გადაჭრით არ გავილაშქრებთ იმ დეზორგანიზატორული ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენში, ისე როგორც ყველგან, იჩენს პარტიის ინტელიგენტური ნაწილი, რომელიც მოკლებულია მტკიცე ნებისყოფას და თავის ლოზუნგებს ხელთათმანებსავით იცვლის; საორგანიზაციო მუშაობის საქმე შეუძლებელია, თუ არ ვიბრძოლებთ ორგანიზაცია-პროცესის უაზრო, რეაქციული «თეორიის» წინააღმდეგ, რომელიც ხელს აფარებს ყოველგვარ დაქსაქსულობას.

რუსეთის პოლიტიკური კრიზისის განვითარება ახლა ყველაზე მეტად არის დამოკიდებული იაპონიასთან ომის მსვლელობაზე. ამ ომმა ყველაზე მეტად გამოამჟღავნა და იგი ახლაც ამჟღავნებს თვითმპყრობელობის სიდამპლეს, ყველაზე მეტად აუძლურებს მას საფინანსო და სამხედრო მხრივ, ყველაზე მეტად სტანჯავს და უბიძგებს აჯანყებისაკენ ხალხის განაწამებ მასებს, რომელთაგან ეს დანაშაულებრივი და სამარცხვინო ომი ასეთ დაუსრულებელ მსხვერპლს მოითხოვს. თვითმპყრობელი რუსეთი უკვე დამარცხებულია კონსტიტუციური იაპონიის მიერ, და ყოველგვარი გაჭიანურება მხოლოდ გააძლიერებს და გაამწვავებს დამარცხებას. რუსეთის ფლოტის საუკეთესო ნაწილი უკვე განადგურებულია, პორტ-არტურის მდგომარეობა უიმედოა, მის დასახმარებლად მიმავალ ესკადრას არა აქვს არამცთუ წარმატების, არამედ უმცი-

რესი შანსებიც კი, რომ მიაღწიოს დანიშნულების ადგილს, მთავარმა არმიამ კუროპატკინის მეთაურობით დაკარგა 200 000 კაცზე მეტი, იგი დაუძლურებულია და უმწეოდ დგას მტრის წინაშე, რომელიც აუცილებლად გასრესს მას პორტ-არტურის აღების შემდეგ. სამხედრო კრახი გარდუვალია, ხოლო მასთან ერთად გარდუვალია უკმაყოფილების, მღელვარებისა და აღშფოთების გაათკეცებაც.

ამ მომენტისათვის ჩვენ მთელი ენერგიით უნდა ვემზადოთ. ამ მომენტში ერთ-ერთი ის აფეთქება, რომელიც ხან აქ, ხან იქ უფრო და უფრო ხშირად მეორდება, უდიდეს სახალხო მოძრაობას გამოიწვევს. ამ მომენტში პროლეტარიატი სათავეში ჩაუდგება აჯანყებას, რათა მთელ ხალხს მოუპოვოს თავისუფლება, რათა მუშათა კლასისათვის უზრუნველყოს შესაძლებლობა აშკარა, ფართო, ევროპის მთელი გამოცდილებით გამდიდრებული ბრძოლისა სოციალიზმის მისაღწევად.

პროლეტართა კარგი დემონსტრაციებისა და ზოგიერთი ინტელიგენტის ცუდი მსჯელობის შესახებ

ჩვენი საზოგადოების შეძლებული კლასების თანამედროვე კონსტიტუციური მოძრაობა მკვეთრად განსხვავდება წინანდელ, 50-იანი წლების დამლევისა და 70-იანი წლების იმავე ტიპის მოძრაობათაგან. ლიბერალების კონსტიტუციური მოთხოვნები არსებითად იგივეა. რადიკალურ ორატორთა სიტყვებში საერობო ლიბერალიზმის ნაცნობი დებულებები მეორდება. დიდ და მეტად მნიშვნელოვან ახალ მოვლენას წარმოადგენს პროლეტარიატის მონაწილეობა მოძრაობაში. რუსეთის მუშათა კლასი, რომლის მოძრაობა უკანასკნელი ათეული წლის მთელი რევოლუციური მოძრაობის მთავარი ღერძი იყო, უკვე დიდი ხანია გადავიდა აშკარა ბრძოლაზე, ქუჩაში გამოსვლაზე, მასობრივ სახალხო კრებებზე, მიუხედავად პოლიციის მიერ აკრძალვისა, მტერთან პირისპირ შებმაზე სამხრეთის ქალაქების ქუჩებში.

ახლაც ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობა თავიდანვე იმით აღინიშნა, რომ პროლეტარიატი მკაფიოდ, გადაჭრით, შეუდარებლად უფრო მკვეთრად და გაბედულად გამოვიდა ასპარეზზე. დავასახელებთ უწინარეს ყოვლისა დემონსტრაციას სანკტ-პეტერბურგში, სადაც მუშათა მონაწილეობა, სამწუხაროდ, სუსტი აღმოჩნდა «მენშევიკთა» დეზორგანიზატორული ცდის შედეგად, და დემონსტრაციას მოსკოვში. შემდეგ აღვნიშნავთ მუშების გამოჩენას ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ბანკეტზე სმოლენსკში, განმანათლებელი საზოგადოების კრებაზე ნიჟნი ნოვგოროდში, მეცნიერთა, ექიმთა და სხვა საზოგადოებათა სხდომებზე სხვადასხვა ქალაქებში, მუშათა დიდ

კრებას სარატოვში, 6 ნოემბრის დემონსტრაციას ხარკოვის იურიდიულ საზოგადოებაში, 20 ნოემბრისას — ეკატერინოდარის ქალაქის თვითმმართველობაში, 18 ნოემბრისას — სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ოდესის საზოგადოებაში, ცოტა უფრო გვიან ოდესაშივე, საოლქო სასამართლოში, ამასთან ოდესის ორივე და ხარკოვის დემონსტრაციებს თან ახლდა მუშათა დემონსტრაციები ქუჩებში, ქალაქში მსვლელობა დროშებით, რევოლუციური სიმღერებით და სხვ.

ეს ოთხი უკანასკნელი დემონსტრაცია აწერილია, სხვათა შორის, «ისკრის» № 79-ში[7], შემდეგი სათაურის განყოფილებაში: «პროლეტარული დემონსტრაციები». მე მინდა ამ აწერაზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ჯერ მოვიყვან ფაქტებს «ისკრის» მიხედვით, შემდეგ — «ისკრის» მსჯელობას.

ხარკოვში კომიტეტი აწყობს მუშათა მონაწილეობას იურიდიული საზოგადოების კრებაში; კრებაზე შესვლას ახერხებს 200-ზე მეტი პროლეტარი: ნაწილობრივ მუშებს ერიდებოდათ წასულიყვნენ საპარადო კრებაზე, ნაწილობრივ «ტეტიებს არ უშვებდნენ». ლიბერალი თავმჯდომარე გარბის პირველი რევოლუციური სიტყვის დამთავრებისთანავე. შემდეგ სოციალ-დემოკრატი ამბობს სიტყვას, ცვივა პროკლამაციები, მღერიან მარსელიეზს, ქუჩაში გამოდის ხალხთან ერთად 500-მდე მუშა, მიდიან წითელი დროშით და მუშური სიმღერებით. სულ ბოლოს ნაწილს სცემეს და დააპატიმრეს.

ეკატერინოდარი. ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში თავი მოიყარა ფართო საზოგადოებამ (რადგან ხმები გავრცელდა, ლიბერალური სიტყვები წარმოითქმებაო). ტელეფონი გააფუჭეს. კომიტეტის ორატორი 30 — 40 მუშასთან ერთად ახერხებს დარბაზში შესვლას, ამბობს მოკლე, სავსებით რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ სიტყვას. ტაში. პროკლამაციები. ხმოსანნი გაშეშებული არიან. ქალაქის თავის ამაო პროტესტი. დამთავრების შემდეგ დემონსტრანტები

მშვიდობიანად სტოვებენ დარბაზს. ღამით — მასობრივი ჩხრეკა.

ოდესა. 1-ლი დემონსტრაცია. კრებაზე 2 000-მდე კაცია, მათში მ რ ა ვ ა ლ ი მუშა. მთელი რიგი რევოლუციური სიტყვები (ს.-დ. და ს.-რ.), ტაშის გრიალი, რევოლუციური შეძახილები, პროკლამაციები. ქუჩებში მსვლელობა რევოლუციური სიმღერებით. დაიშალნენ ისე, რომ შეტაკება არ მოჰხდარა.

ოდესა. მე-2 დემონსტრაცია. კრება რამდენიმე ათასი კაცის მონაწილეობით. ისეთივე გრანდიოზული სახალხო რევოლუციური კრება და ქუჩებში მსვლელობა, როგორც წინა შემთხვევაში. შეტაკება. დიდძალი ხალხი დაიჭრა, ზოგიერთი მძიმედ. ერთი მუშა ქალი მოკვდა. 60 კაცი დააპატიმრეს.

ასეთია საქმის ფაქტიური მხარე. ასეთია რუსეთის პროლეტართა დემონსტრაციები.

მაგრამ აი როგორია ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ინტელიგენტის მსჯელობა. ეს მსჯელობა ეხება ეკატერინოდარის დემონსტრაციას, რომელზედაც მთელი სტატია დაუწერიათ. ყური უგდეთ: «ამ დემონსტრაციაში რუსეთის ორგანიზებული პროლეტარიატი პირველად შეხვდა პირისპირ ჩვენს ლიბერალურად განწყობილ ბურჟუაზიას!»... ეს დემონსტრაცია «კიდევ ახალი ნაბიჯია პოლიტიკური ბრძოლის ფორმების განვითარებაში», იგი წარმოადგენს, «რაც უნდა იყოს, პოლიტიკური ბრძოლის ნამდვილად ახალ ხერხს, რომელიც სავსებით თვალსაჩინო ნაყოფიერ შედეგებს იძლევა», მუშები ასეთ დემონსტრაციებში «გრძნობენ, რომ ისინი გამოდიან როგორც გარკვეული პოლიტიკური ერთეულები», ისინი იძენენ იმ «გრძნობას, რომ უფლებაუნარიანი არიან გამოდიოდნენ პარტიულ პოლიტიკურ მებრძოლებად». ვრცელდება «საზოგადოების უაღრესად ფართო წრეებში მნიშვნელობა პარტიისა, როგორც რაღაც სავსებით გარკვეულისა, ჩამოყალიბებულისა და, რაც მთავარია, ისეთისა, რომელსაც მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს უფლება აქვს». ეჩვევიან, რომ მთელ პარტიას უყურებდნენ «როგორც აქტიურ, მებრძოლ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ნათ-

ლად და გარკვევით აცხადებს თავის მოთხოვნებს». საჭიროა «უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ბრძოლის ახალი მეთოდი — თვითმმართველობაში, ერობებში და საზოგადო მოღვაწეთა ყოველგვარ ყრილობებზე». და «ისკრის» რედაქცია ამ მსჯელობის ავტორთან შეხმატკბილებულად ლაპარაკობს «ახალი ტიპის დემონსტრაციების იდეაზე», იმაზე, რომ «განსაკუთრებით ეკატერინოდარში ჩვენმა ამხანაგებმა მოახერხეს ეჩვენებინათ «საზოგადოებისათვის», რომ მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი პარტია, რომელიც გრძნობს, რომ უნარი აქვს გავლენა მოახდინოს მოვლენათა მსვლელობაზე და ცდილობს ეს გავლენა მოახდინოს».

დიახ. დიახ. «განსაკუთრებით ეკატერინოდარში»... ახალი ნაბიჯი, ახალი მეთოდი, ახალი ხერხი, პირველად პირისპირ, სავსებით თვალსაჩინო, ნაყოფიერი შედეგები, გარკვეული პოლიტიკური ერთეულები, პოლიტიკური უფლებაუნარიანობის გრძნობა, მოთხოვნის უფლება... რაღაც ძველის, დიდი ხნის განვლილის, თითქმის დავიწყებულის სუნი მომედინა ამ მაღალფარდოვანი, ღრმააზროვანი მსჯელობიდან. მაგრამ სანამ ამ ძველის გამოცნობაში გავერკვეოდი, უნებურად ვიკითხე: მოითმინეთ, ბატონებო, რატომ მაინცადამაინც «განსაკუთრებით ეკატერინოდარში», მართლა და მართლა, რატომ არის ეს ახალი მეთოდი? რატომ არც ხარკოველები, არც ოდესელები არ იკვეხნიან (ბოდიში ვულგარული გამოთქმისათვის) მეთოდის სიახლეს და თვალსაჩინო ნაყოფიერ შედეგებს, პირველად პირისპირ შეხვედრას და პოლიტიკური უფლებაუნარიანობის გრძნობას? რატომ უფრო თვალსაჩინო და ნაყოფიერია შედეგები რამდენიმე ათეული მუშის კრებისა რამდენიმე ასეულ ლიბერალთან ქალაქის თვითმმართველობის დარბაზის ოთხ კედელშუა, ვიდრე ათასობით მუშათა კრებისა არა მარტო ექიმთა და იურისტთა საზოგადოებებში, არამედ ქ უ ჩ ა შ ი ც? ნუთუ მართლაც ქუჩაში გამართული კრებები (ოდესაში, აგრეთვე წინათ დონის როსტოვსა და სხვა ქალაქებში) ნაკლებად ავითარებენ პოლიტიკური უფლებაუნარიანობის გრძნობას და მოთხოვნის უფლებას, ვიდრე ქალაქის

თვითმმართველობაში მოწყობილი კრებები?.. მართალია, უნდა აღვიარო, რომ ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობ ამ უკანასკნელი სიტყვაშეხამების (მოთხოვნის უფლება) ამოწერისას — იმდენად უაზროა იგი, მაგრამ ლექსს სიტყვას ვერ გამოაკლებ.

თუმცაღა, ერთ შემთხვევაში ამ სიტყვაშეხამებას ერთგვარი აზრი ეძლევა, და არა მარტო მას, არამედ «ისკრის» მთელ მსჯელობასაც. სახელდობრ იმ შემთხვევაში, თუ წარმოვიდგენთ პარლამენტარიზმის არსებობას, თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, რომ ეკატერინოდარის ქალაქის თვითმმართველობა ტემზის ნაპირებზე გადასკუპებულა, ვესტმინსტერის სააბატოს [8] გვერდით. მაშინ, ამ პატარა პირობას თუ დავუშვებთ, ნათელი ხდება, რატომ შეიძლება სადელეგატო კრების ოთხ კედელშუა მეტი გქონდეს «მოთხოვნის უფლება», ვიდრე ქუჩაში, — რატომ არის უფრო ნაყოფიერი ბრძოლა პრემიერ-მინისტრთან, უკაცრავად, — ეკატერინოდარის ქალაქის თავთან, ვიდრე პოლიციელთან, — რატომ მატულობს პოლიტიკური უფლებაუნარიანობის გრძნობა და გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულებად თავის შეცნობა სწორედ დეპუტატთა პალატის დარბაზში ან ერობის კრების დარბაზში. მართლაცდა რატომ არ უნდა გავითამაშოთ პარლამენტარიზმობანა, რაკი ნამდვილი პარლამენტი არა გვაქვს? აქ შეიძლება ესოდენ ფერადოვნად წარმოვიდგინოთ «პირისპირ შეხვედრა» და «ახალი მეთოდი» და ყოველივე სხვა. მართალია, ეს წარმოდგენა აუცილებლად ჩამოაშორებს ჩვენს აზრს პარლამენტარიზმობანას თამაშის ნაცვლად პარლამენტარიზმისათვის ნამდვილი მასობრივი ბრძოლის საკითხს, მაგრამ ეს წვრილმანებია. სამაგიეროდ რა თვალსაჩინო, ხელშესახები შედეგებია...

ხელშესახები შედეგები... ამ გამოთქმამ უცბად მომაგონა ამხ. მარტინოვი და «რაბოჩეე დელო» [9]. თუ ამ უკანასკნელს არ დავუბრუნდით, არ შეიძლება სწორად შევაფასოთ ახალი «ისკრა». მსჯელობა ეკატერინოდარის დემონსტრაციის გამო «ბრძოლის ახალი მეთოდის» შესახებ მთლიანად იმეორებს

რედაქციის იმ მსჯელობას, რომელიც გამოთქმულია მის «წერილში პარტიული ორგანიზაციებისადმი» (რადგან სიტყვამ მოიტანა, ვიკითხოთ: განა გონივრულია დედანი დამალულად, საიდუმლოდ ინახებოდეს, ხოლო აშკარად, ყველასთვის ცნობად მარტო ასლი იყოს გამოშვებული?). რედაქციის მსჯელობაში განმეორებულია, სხვა გარემოების გამო, «რაბოჩეე დელოს» აზრის ჩვეულებრივი მიმდინარეობა.

რაში მდგომარეობდა უმართებულობა და მავნეობა რაბოჩეედელოელთა «თეორიისა» თვით ეკონომიური ბრძოლისათვის პოლიტიკური ხასიათის მიცემის შესახებ, მეპატრონეებსა და მთავრობასთან მუშების ეკონომიური ბრძოლის შესახებ, მთავრობისათვის ისეთ კონკრეტულ მოთხოვნათა წაყენების საჭიროების შესახებ, რომლებიც ერთგვარ ხელშესახებ შედეგებს გვიქადისო? განა ეკონომიურ ბრძოლას პოლიტიკურ ხასიათს არ უნდა ვაძლევდეთ? უთუოდ უნდა ვაძლევდეთ. მაგრამ როდესაც «რაბოჩეე დელოს» გამოჰყავდა პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის პოლიტიკური ამოცანები «ეკონომიური» (პროფესიული) ბრძოლიდან, იგი შეუწყნარებლად ზღუდავდა და აუხამსებდა სოციალ-დემოკრატიულ გაგებას, იგი აკნინებდა პროლეტარიატის ყოველმხრივი პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებს.

რაში მდგომარეობს უმართებულობა და მავნეობა ახალისკრული თეორიისა ახალი მეთოდის შესახებ, პროლეტარიატის ძალთა მობილიზაციის უმაღლესი ტიპის შესახებ, მუშათა პოლიტიკური უფლებაუნარიანობის გრძნობის, მათი «მოთხოვნის უფლების» განვითარების ახალი გზის შესახებ და სხვ. და სხვ.? განა არ უნდა ვაწყობდეთ მუშათა დემონსტრაციებს ერობის კრებებშიც და ერობის კრებების გამოც? უთუოდ უნდა ვაწყობდეთ. მაგრამ კარგი პროლეტარული დემონსტრაციების გამო ინტელიგენტურ სისულელეებს როდი უნდა ვამბობდეთ. ჩვენ მხოლოდ გავრყვნით პროლეტარიატის შეგნებას, მხოლოდ ჩამოვაშორებთ მის ყურადღებას ნამდვილი, სერიოზული, აშკარა ბრძოლის იმ ამოცანებს, რომლებიც სწრაფად გვიახლოვდება, თუ ქებათა-ქება შევასხით, როგორც

ვითომ ახალ მეთოდს, ჩვენი ჩვეულებრივი დემონსტრაციების სწორედ იმ მხარეებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებ ჰგვანან აქტიურ ბრძოლას, რომლებიც მხოლოდ ხუმრობით შეიძლება გამოაცხადო განსაკუთრებით ნაყოფიერი შედეგების მომცემად, პოლიტიკური უფლებაუნარიანობის გრძნობის განსაკუთრებით ამამაღლებლად და სხვ.

ჩვენი ძველი ნაცნობი ამხ. მარტინოვიც და ახალი «ისკრაც» სცოდავენ ერთი და იმავე ინტელიგენტური ურწმენობით პროლეტარიატის ძალებისადმი, იმ რწმენის უქონლობით, რომ პროლეტარიატს აქვს საერთოდ ორგანიზაციის უნარი და კერძოდ პარტიული ორგანიზაციის შექმნის უნარი, პოლიტიკური ბრძოლის უნარი. «რაბოჩეე დელოს» ეგონა, რომ პროლეტარიატს ჯერ არა აქვს ან კიდევ დიდხანს არ ექნება ისეთი პოლიტიკური ბრძოლის უნარი, რომელიც სცილდება მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლის ფარგლებს. ახალ «ისკრას» ჰგონია, რომ პროლეტარიატს ჯერ კიდევ არა აქვს, ან დიდხანს არ ექნება დამოუკიდებელი რევოლუციური გამოსვლის უნარი, და ამიტომ იგი ბრძოლის ახალ მეთოდად ნათლავს რამდენიმე ათეული მუშის გამოსვლას ერობის მოღვაწეთა წინაშე. ძველი «რაბ. დელოც» და ახალი «ისკრაც» ფიცით იმეორებენ სიტყვებს პროლეტარიატის თვითმოქმედებისა და თვითაღზრდის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ფიცს უკან იმალება პროლეტარიატის ნამდვილი ძალებისა და საარსებო ამოცანების ინტელიგენტური გაუგებლობა. ძველი «რ. დელოც» და ახალი «ისკრაც» ყოვლად შეუსაბამო ღრმააზროვან სისულელეს ამბობენ ხელშესახები და თვალსაჩინო შედეგების განსაკუთრებული მნიშვნელობისა და პროლეტარიატისადმი ბურჟუაზიის კონკრეტული დაპირდაპირების შესახებ, მათ ამრიგად ხალხის აჯანყების სათავეში ჩადგომისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პირდაპირი შეტევის ამოცანიდან, რომელიც სულ უფრო და უფრო გვიახლოვდება, პროლეტარიატის ყურადღება პარლამენტარიზმობანას თამაშზე გადააქვთ. ძველი «რაბ. დელოც» და ახალი «ისკრაც», იწყებენ რა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის

ძველი ორგანიზაციული და ტაქტიკური პრინციპების რ ე ვ ი-ზ ი ა ს (გადასინჯვას), ფუსფუსებენ რა ახალი სიტყვებისა და «ახალი მეთოდების» ძიებაში, ნამდვილად უკან ეწევიან პარტიას, აყენებენ ჩამორჩენილ, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ რეაქციულ ლოზუნგებსაც.

გვეყოფა ეს ახალი რევიზია, რომელსაც ძველ ნაგავთან მივყევართ! დროა წინ წავიდეთ და თავი დავანებოთ დეზორგანიზაციის მიჩქმალვას ორგანიზაცია-პროცესის ყბადაღებული თეორიით, დროა მუშათა დემონსტრაციებშიც ხაზს ვუსვამდეთ, პირველ რიგში ვაყენებდეთ იმ მხარეებს, რომელნიც სულ უფრო აახლოებენ ამ დემონსტრაციებს ნამდვილ აშკარა ბრძოლასთან, თავისუფლებისათვის ბრძოლასთან!

«ვპერიოდ» № 1, 1905 წ. 4 იანვარი
(1904 წ. 22 დეკემბერი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

დროა გავათაოთ

როგორც ყველა დამსწრე ერთხმად აცხადებს, 28 ნოემბერს დემონსტრაცია იმიტომ დამთავრდა მარცხით, რომ მასში თითქმის სრულებით არ მონაწილეობდნენ მუშები. მაგრამ რატომ არ გამოცხადდნენ მუშები დემონსტრაციაზე? რატომ არ იზრუნა პეტერბურგის კომიტეტმა, რომლის მოწოდებით დემონსტრაციაზე თავი მოიყარა მოსწავლე ახალგაზრდობამ, იმისათვის, რომ მუშები მოეზიდა, და ამით დაღუპა ის საქმე, რომელიც თვითონვე წამოიწყო? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა კომიტეტის მუშა-წევრის შემდეგი წერილი, რომლის უმთავრეს ამონაწერებსაც ვბეჭდავთ.

«განწყობილება (ნოემბრის დამდეგს) აწეული იყო და მიისწრაფოდა აშკარად ეჩინა თავი. ამის საშუალება უნდა გამხდარიყო დემონსტრაცია. და მართლაც, ამ დროს გამოჩნდა რაღაც ფურცელი «სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის» სახელით, რომელიც მოუწოდებდა დემონსტრაციისაკენ 14 ნოემბრისათვის. კომიტეტმა ეს რომ შეიტყო, წინადადებით მიმართა ამ ორგანიზაციას — გადაედო დემონსტრაცია ნოემბრის დამლევამდე, რათა შესაძლებელი გამხდარიყო გამოსვლა პეტერბურგის პროლეტარიატთან ერთად. სტუდენტები დათანხმდნენ... შეგნებული მუშები დემონსტრაციისაკენ მიისწრაფოდნენ. ბევრი მუშა იყო ნევის პროსპექტზე 14 ნოემბერს, ეგონათ — სტუდენტთა დემონსტრაცია იქნებოდა. როდესაც მათ მიუთითებდნენ, კომიტეტის მოუწოდებლად არ უნდა მოსულიყავითო, ისინი თუმცა თანხმდებოდნენ, მაგრამ უპასუხებდნენ, «გვეგონა მაინც იქნებოდა რამეო». ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი ახასიათებს შეგნებულ მუშათა განწყობილებას.

18 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა გაემართათ დემონსტრაცია 28-ს. მაშინვე არჩეულ იქნა კომისია, რომელიც უნდა შესდგომოდა დემონსტრაციის მოწყობას და სამოქმედო გეგმის შემუშავებას: გადაწყდა

გამოეშვათ ორი მოსამზადებელი სააგიტაციო ფურცელი და ერთი მოწოდების ფურცელი. მუშაობა გაჩაღდა. ამ სტრიქონების დამწერს პირადად მოუხდა მოეწყო წრეების წარმომადგენელ მუშათა მთელი რიგი კრებები, რომლებზედაც ლაპარაკობდნენ მუშათა კლასის როლზე, დემონსტრაციის მიზანსა და მნიშვნელობაზე ახლანდელ მომენტში. განხილულ იქნა შეიარაღებული და შეუიარაღებელი დემონსტრაციის საკითხი, და ყველა კრებაზე მიღებულ იქნა კომიტეტის გადაწყვეტილებისადმი სოლიდარული რეზოლუციები. მუშები მოითხოვდნენ რაც შეიძლება მეტ ფურცლებს გასავრცელებლად: «თუგინდ მთელი ურმები მოგვეცითო», ამბობდნენ ისინი.

ამრიგად, 28-სათვის მზადდებოდა დემონსტრაცია, რომელიც მოსალოდნელი იყო, რომ გრანდიოზული იქნებოდა. მაგრამ აქ ჩვენს პეტერბურგის «უმცირესობას», «სრულიად რუსეთის» და საზღვარგარეთელი «უმცირესობის» მსგავსად, არ შეეძლო არ შეესრულებინა აშკარა უარყოფითი როლი — დეზორგანიზატორის როლი. ეს როლი განსაკუთრებით ცხადი რომ გახდეს, თავს ნებას მივცემ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ადგილობრივი «უმცირესობისა» და მისი საქმიანობის შესახებ. დემონსტრაციამდე, ისევე როგორც შემდეგ, კომიტეტის უმრავლესობა II პარტიული ყრილობის უმრავლესობის მომხრეთაგან შედგებოდა. ჩავარდნებმა და უთანხმოებამ, რომლებიც პარტიას ჯიჯგნიან, ბევრნაირად შეასუსტეს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობა. ადგილობრივი «უმცირესობა» «უმრავლესობასთან» ბრძოლაში ცდილობს სახელი გაუტეხოს ადგილობრივ კომიტეტს თავისი ფრაქციული ინტერესების სასარგებლოდ. რაიონების ის წარმომადგენლები, რომლებიც «უმცირესობის» მომხრენი არიან, თავიანთ რაიონებში არ უშვებენ «უმრავლესობის» ამხანაგებს, კომიტეტს კავშირის გაბმის არავითარ საშუალებას არ აძლევენ. გამოდის საშინელი დეზორგანიზაცია და მოცემული რაიონის მუშაობის უნარის შესუსტება. არის, მაგალითად, ასეთი ფაქტი. ერთ რაიონში, ამ უკანასკნელ 5 — 6 თვეს წარმომადგენლად «მენშევიკი» იყო. საერთო მუშაობას მოწყვეტის გამო ეს რაიონი საშინლად დასუსტდა. წინანდელი 15 — 20 წრის ნაცვლად ახლა 4 — 5 ძლივს არის. მუშები უკმაყოფილონი არიან საქმის ასეთი მდგომარეობის გამო, და მათი წარმომადგენელი ცდილობს «უმრავლესობის» წინააღმდეგ გამოიყენოს ეს უკმაყოფილება, ამ ნიადაგზე მუშებს კომიტეტის წინააღმდეგ ამხედრებს. «უმცირესობა» ცდილობს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიის ყოველი სისუსტე გამოიყენოს «უმრავლესობის» წინააღმდეგ — წარმატება აქვს თუ არა მის ცდებს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ეს ფაქტია.

დემონსტრაციამდე სამი დღით ადრე «უმცირესობის» ინიციატივით მოწვეულ იქნა კომიტეტის კრება. ზოგიერთი გარემოების გამო კომიტეტის სამი წევრისათვის, რომლებიც «უმრავლესობის» მომხრენი არიან, კრების მოწვევის შეტყობინება არ ხერხდება და ისინი კრებას ვერ ესწრებიან.

«უმცირესობას» წინადადება შეაქვს აღარ მოეწყოს დემონსტრაცია — წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება, რომ წინააღმდეგობას გაუწევს დემონსტრაციას და ერთ ფურცელსაც არ გაავრცელებს — და, იმის გამო, რომ დემონსტრაციის მომხრე სამი ამხანაგი კრებას ვერ დაესწრო, ეს წინადადება გადის. გადაწყდა: ფურცლები არ გავრცელდეს, მოწოდების ფურცლები კი მოისპოს.

როგორც საზოგადოების, ისე მუშების ფართო მასა დემონსტრაციისათვის ემზადება და მხოლოდ კომიტეტის მოწოდებას ელის. ვრცელდება ხმები, დემონსტრაცია აღარ ეწყობა და გაურკვეველი დროითაა გადადებული. ბევრნი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ დემონსტრაციის გადადების გამო; ტექნიკა პროტესტს აცხადებს და უარს ამბობს მომავალში კომიტეტისათვის მუშაობაზე.

პარასკევს მოწვეულ იქნა კომიტეტის კრება, და ის სამი ამხანაგი, რომლებიც წინა კრებას ვერ დაესწრნენ, პროტესტს აცხადებენ დემონსტრაციის საკითხის უმართებულოდ გადასინჯვის წინააღმდეგ; რადგან ხალხის მასა ნევის პროსპექტზე სულ ერთია უფურცლებოდაც შეიკრიბებაო, ისინი მოითხოვენ ყველა ზომის მიღებას, რომ მუშებმაც მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციაში. «უმცირესობის» წარმომადგენელი ამას წინააღმდეგობას უწევს, რასაც იმით ასაბუთებს, რომ «ყ ვ ე ლ ა მ უ შ ა რ ო დ ი ა ს ა კ მ ა ო დ გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ უ ლ ი ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ შ ე ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ მ ი ი ღ ო ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ა ს ი ა დ ა კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ი ე რ წ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ებ ი დ ა ი ც ვ ა ს ო». საკითხს კენჭი უყარეს, და ხმის უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ კრებამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღონ დემონსტრაციაში. მაგრამ აქ ირკვევა, რომ დიდძალი — 12 000-ზე მეტი — დაბეჭდილი მოწოდების ფურცელი დაუწვავთ. გარდა ამისა, ფაბრიკებში ამ ფურცლების ფართოდ გავრცელება შეუძლებელია, იმიტომ რომ შაბათ დილისათვის ფურცლები ვეღარსად მიაღწევს, ხოლო მუშაობა ფაბრიკებში შაბათს 2 — 3 საათზე მთავრდება. ამრიგად, ფურცლების გავრცელება შესაძლებელი იყო მხოლოდ მუშათა ვიწრო წრეში, ნაცნობთა შორის, მაგრამ სრულებითაც არა ფართო მასაში. ასეთ პირობებში დემონსტრაცია წინდაწინვე განწირული იყო და მარცხით დამთავრდებოდა. და დამარცხდა კიდეც...

ახლა ჩვენს «უმცირესობას» შეუძლია იზეიმოს. მან გაიმარჯვა! აი ახალი ფაქტი, რომელიც სახელს უტეხს კომიტეტსაო (წაიკითხე «უმრავლესობას»). მაგრამ იმედი გვაქვს მკითხველი უფრო სერიოზულად მოეკიდება იმ მიზეზებს, რომლებმაც დემონსტრაციის ასეთი დაბოლოება გამოიწვია, და ჩვენთან ერთად იტყვის: «დიახ, ახლა ჩვენს პარტიაში ისეთი პირობები შეიქმნა, რომ წარმატებით მუშაობა შეუძლებელია. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოვუღოთ ბოლო პარტიულ კრიზისს, საჭიროა შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები. წინააღმდეგ შემთხვევაში სრული დასუსტება მოგველის,

და, თუ ახლანდელი ხელსაყრელი მომენტით ვერ ვისარგებლეთ, დიად მოვლენათა კუდში მოვექცევით»».

დეზორგანიზატორული გამოსვლა პეტერბურგის «უმცირესობისა», რომელმაც წვრილმანი წრეობრივი ინტერესების გულისათვის პროლეტარული დემონსტრაცია ჩაშალა, უკანასკნელი წვეთია, რამაც პარტიის მოთმინების ფიალა უნდა აავსოს. ჩვენი პარტია სერიოზულად დაავადებული რომ არის და ამ უკანასკნელ წელს ნახევარი თავისი გავლენა მაინც რომ დაკარგა, ეს მთელმა ქვეყანამ იცის. და ჩვენ მივმართავთ ახლა იმ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ ღრეჭით ან ღვარძლიანი სიხარულით მოეკიდონ ამ სერიოზულ ავადმყოფობას, არ შეუძლიათ გვერდი აუარონ პარტიული კრიზისის წყეულ საკითხებს ოხვრითა და ვიშით, კვნესითა და წუწუნით, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ სავსებით გაერკვნენ — თუნდაც ძალღონის უმაგალითო დაძაბვით, მაგრამ მაინც გაერკვნენ—კრიზისის მიზეზებში და ძირფესვიანად აღმოფხვრან ბოროტება. ამ ადამიანებს, დ ა მ ხ ო ლ ო დ მ ა თ, მოვაგონებთ ჩვენ კრიზისის ისტორიას: მის შეუსწავლელად არ შეიძლება გავიგოთ ახლანდელი განხეთქილებაც, რომელსაც «მენშევიკებმა» ბოლოს მაინც მიაღწიეს.

კრიზისის პირველი სტადია. ჩვენი პარტიის მეორე ყრილობაზე იმარჯვებს ისკრიზმის პრინციპები, მიუხედავად რაბოჩეედელოელებისა და ნახევრადრაბოჩეედელოელების წინააღმდეგობისა. ყრილობის შემდეგ უმცირესობა იწყებს პარტიის გათიშვას იმ პირების შეყვანისათვის რედაქციაში, რომლებიც ყრილობამ უარყო. დეზორგანიზაცია, ბოიკოტი, განხეთქილების მომზადება წარმოებს ს ა მ თ ვ ე ს, აგვისტოს ბოლოდან ნოემბრის ბოლომდე.

მეორე სტადია. პლეხანოვი უთმობს იმ ჯენტლმენებს, რომლებსაც კოოპტაცია სწყურიათ, ამასთან საჯაროდ, ყველას გასაგონად აცხადებს დაბეჭდილ სტატიაში «რა არ უნდა ვაკეთოთ» (№ 52), რომ, მეტი ბოროტების თავიდან ასაცილებლად, პირად დათმობაზე მიდის რევიზიონისტებისა და

ანარქისტული ინდივიდუალისტების მიმართ. ჯენტლმენები სარგებლობენ დათმობით, რომ პარტიის დაქუცმაცება განაგრძონ. შედიან რა ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და პარტიის საბჭოში, ისინი ადგენენ საიდუმლო ორგანიზაციას იმ მიზნით, რომ თავისი ხალხი გაიყვანონ ცენტრალურ კომიტეტში და ჩაშალონ მესამე ყრილობა. ეს გაუგონარი და წარმოუდგენელი ფაქტია, მაგრამ იგი დოკუმენტურად არის დამტკიცებული ახალი ცენტრალური კომიტეტის წერილით ამ კეთილშობილ რაზმთან დადებულ შეთანხმებათა შესახებ.

მესამე სტადია. ცენტრალური კომიტეტის სამი წევრი გადადის პარტიის წინააღმდეგ შეთქმულთა მხარეზე, მათ კოოპტაციით შეიყვანეს სამი პრეტენდენტი უმცირესობიდან (ხოლო კომიტეტებს წერილობით არწმუნებდნენ საწინააღმდეგოში) და საბჭოს დახმარებით საბოლოოდ ჩაშალეს მესამე ყრილობა, ყრილობა, რომელსაც მხარი დაუჭირა იმ კომიტეტების უდიდესმა უმრავლესობამ, რომლებმაც კი საერთოდ გამოთქვეს აზრი კრიზისზე. ორლოვსკის ბროშურაში[10] («საბჭო პარტიის წინააღმდეგ») და ლენინის ბროშურაში («განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ» *) ეს ფაქტები დამტკიცებულია ასევე დოკუმენტურად. რუსეთში პარტიულ მუშაკთა მასა ამ ფაქტებს არ იცნობს, მაგრამ ვისაც მარტო სიტყვიერად როდი უნდა პარტიის წევრი იყოს, ის მოვალეა ამ ფაქტებს იცნობდეს.

მეოთხე სტადია. რუსეთის მუშაკები ერთიანდებიან, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ საზღვარგარეთის წრეს, რომელმაც ჩვენი პარტია შეარცხვინა. უმრავლესობის მომხრენი და კომიტეტები აწყობენ მთელ რიგ კერძო კონფერენციებს, ირჩევენ თავიანთ რწმუნებულებს. ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელიც მთლიანად კოოპტირებულ პრეტენდენტთა ხელში იმყოფება, ამოცანად

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 661 — 673. რედ.

ისახავს დეზორგანიზაცია და განხეთქილება შეიტანოს უმრავლესობის ყველა ადგილობრივ კომიტეტში. დაე ამხანაგები ამ მხრივ ნურავითარ ილუზიას ნუ შეიქმნიან: ცენტრალურ კომიტეტს სხვა მიზანი არა აქვს. საზღვარგარეთის კომპანიის კრეატურები ყველგან ამზადებენ და ადგენენ ახალ კომიტეტებს (ოდესა, ბაქო, ეკატერინოსლავი, მოსკოვი, ვორონეჟი და სხვ.). საზღვარგარეთული წრე თავის შერჩეულ ყრილობას იმზადებს. საიდუმლო ორგანიზაციამ ცენტრებს რომ მოუღო ბოლო, ახლა ადგილობრივი კომიტეტების წინააღმდეგ იბრუნა პირი.

პეტერბურგელ მენშევიკთა დეზორგანიზატორული გამოსვლა შემთხვევითი როდია, არამედ მოფიქრებული ნაბიჯია კომიტეტის გათიშვისაკენ, ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა ცენტრალურ კომიტეტში კოოპტირებული «მენშევიკების» დახმარებით. ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: რუსეთში პარტიულ მუშაკთა მასა არ იცნობს ამ ფაქტებს. ჩვენ დაჟინებით ვაფრთხილებთ და მოვაგონებთ მათ: ყველა, ვისაც სურს იბრძოდეს დეზორგანიზაციის წინააღმდეგ და პარტიის სასარგებლოდ, ვისაც არ სურს საბოლოოდ გაბრიყვებული აღმოჩნდეს, ვალდებულია იცნობდეს ყველა ამ ფაქტს.

ჩვენ გავაკეთეთ ყველა შესაძლებელი დათმობა და მთელი რიგი ყოვლად წარმოუდგენელი დათმობანიც იმ მიზნით, რომ «უმცირესობასთან» ერთ პარტიაში მუშაობა განგვეგრძო. ახლა, როდესაც მესამე ყრილობა ჩაშლილია და დეზორგანიზაცია მიმართულია ადგილობრივი კომიტეტების წინააღმდეგ, ამის ყოველგვარი იმედი დაკარგულია. «მენშევიკებისაგან» განსხვავებით, რომელნიც მოქმედებენ საიდუმლოდ, პარტიისაგან მალულად, ჩვენ აშკარად უნდა განვაცხადოთ და საქმით დავამტკიცოთ, რომ პარტია ამ ვაჟბატონებთან ყველა და ყოველგვარ ურთიერთობას წყვეტს.

«ვპერიოდ» № 1, 1905 წ. 4 იანვარი
(1904 წ. 22 დეკემბერი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

კომიტეტების კონფერენციები [11]

ამას წინათ შედგა ჩვენი პარტიის ადგილობრივი კომიტეტების სამი კონფერენცია: 1) კავკასიის ოთხი კომიტეტისა, 2) სამხრეთის — სამისა (ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის) და 3) ჩრდილოეთის — ექვსისა (პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, რიგის, ჩრდილოეთისა და ნიჟნი ნოვგოროდის). იმედი გვაქვს მალე მოვიყვანოთ დაწვრილებითი ცნობები ამ კონფერენციების შესახებ [12]. ახლა კი დავჯერდებით იმ ცნობას, რომ სამივე კონფერენციამ კატეგორიულად გამოსთქვა აზრი იმის სასარგებლოდ, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას პარტიის მე-3 ყრილობა, და მხარი დაუჭირა «უმრავლესობის» ლიტერატურულ ჯგუფს.

«ვპერიოდ» № 1, 1905 წ. 4 იანვარი
(1904 წ. 22 დეკემბერი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

რუსეთის ახალი სესხი

ამ სათაურით ბირჟის მსხვილ გერმანელ ბობოლათა გაზეთი («ფრანკფურტის გაზეთი») აქვეყნებს შემდეგ საგულისხმო ცნობას:

«უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში დაჟინებით დადიოდა ხმები რუსეთის ახალი დიდი სესხის შესახებ. ამ ხმებს მაშინვე უარყოფდნენ. მაგრამ ახლა ოფიციალურად აღიარებენ, რომ ამ დღეებში (დაწერილია 29 დეკემბერს ახ. სტ.) პეტერბურგში წარმოებდა მოლაპარაკება სესხის შესახებ. უეჭველია, ამ ოფიციალურ მოლაპარაკებას წინ უძღოდა კერძო ცნობები, რომლებმაც საბაბი მისცა ხმების გავრცელებას. ამბობენ, ამჯერად მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანელი ფინანსისტები. განზრახული აქვთ, რომ სესხი გერმანიის ბაზარზე გაავრცელონ. დღემდე რუსეთი, მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, ფულს შოულობდა სამი სხვადასხვა გზით: უწინარეს ყოვლისა 300 მილიონამდე მანეთი აღებულია სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი ნაღდი თანხიდან, რაც გადიდებულ იქნა უკვე ნებადართული ხარჯების შემცირების საშუალებით. შემდეგ ამას მოჰყვა 800 მილიონი ფრ. (300 მილიონამდე მანეთი) სესხი საფრანგეთის ბანკირების შუამავლობით. აგვისტოში რუსეთმა მიმართა შინაგან ბაზარს: გამოშვებულ იქნა 150 მილიონი მანეთის ბილეთები. ომი ყოველთვიურად უფრო და უფრო დიდ თანხებს ნთქამს, და რუსეთი კვლავ ფიქრობს დიდი სესხი აიღოს საზღვარგარეთ. ამ ბოლო დროს რუსეთის ფონდებს შემცირების დიდი (სერიოზული, bedenkliche) მიდრეკილება ემჩნევა. როგორ მოე-

კიდება გერმანელი საზოგადოება რუსეთის სესხს, არ ვიცით. ომში დღემდე ბედი განუწყვეტლივ სწყალობდა იაპონელებს. და თუ დღემდე რუსეთის სესხი კაპიტალის საიმედო მოთავსებად ითვლებოდა, ახლა ამ სესხს მეტად თუ ნაკლებად სპეკულაციური ელფერი (Beigeschmack) ეძლევა, განსაკუთრებით მეფის მიერ ამას წინათ გამოცემული მანიფესტის გამო, რომელიც დამახასიათებელ შუქსა ჰფენს რუსეთის შინაგან წესებს. ვნახოთ, შემოსთავაზებენ თუ არა გერმანელ საზოგადოებას ახალ სესხს ისეთი პირობებით (პროცენტის სიდიდე და გამოშვების კურსი), რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის სესხის დაბლა დაწეული ხარისხის გაწონასწორება». — — —

ევროპის ბურჟუაზია რუსეთის თვითმპყრობელობას ახალ გაფრთხილებას აძლევს! თვითმპყრობელობის კრედიტი ეცემა — ომში დამარცხებითაც და ქვეყნის შიგნით უკმაყოფილების ზრდითაც. თვითმპყრობელობაზე ანგარიშის დამყარება ევროპელ ბანკირებს უკვე არასაიმედო სპეკულაციად მიაჩნიათ, რუსეთის სესხის «ხარისხი», მისი საიმედოობის თვალსაზრისით, აშკარად დაბლა დაწეულად მიაჩნიათ.

კიდევ რა უამრავ ფულად დაუჯდება ხალხს ეს დანაშაულებრივი ომი, რომელიც, ალბათ, დ ღ ე შ ი სულ მცირე, ს ა მ მ ი ლ ი ო ნ მ ა ნ ე თ ს ნ თ ქ ა მ ს!

დაწერილია 1904 წ. 16 (29) დეკემბრის
შემდეგ

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVI

ა. ა. ბოგდანოვს

1905 წ. 10 იანვარი.

ძვირფასო მეგობარო! როგორც იყო, დავიწყეთ «ვპერიოდი», და მინდა უფრო დაწვრილებით გესაუბროთ მის შესახებ. ზეგ გამოდის № 2. ვფიქრობთ ყოველკვირეულად გამოვუშვათ. ლიტერატურული ძალები გვეყოფა. განწყობილება საუცხოოა, და მუშაობის უნარი ყველას (გარდა ვასილ ვასილის-ძისა [13], რომელიც ცოტა არ იყოს სევდას აჰყოლია) დიდი აქვს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქმე კარგად წავა, ოღონდ არ გავკოტრდეთ. ნომერზე საჭიროა 400 frs * (150 მან.), ჩვენ კი სულ 1 200 frs გვაქვს. პირველ თვეებში დახმარება საშინლად გვესაჭიროება, ვინაიდან, თუ გამოშვება რეგულარული არ იქნება, უმრავლესობის მთელ პოზიციას გიგანტური, ძნელად გამოსასწორებელი ზიანი მოუვა. ეს ნუ დაგავიწყდებათ და დასცინცლეთ ხოლმე **(განსაკუთრებით გორკის)** თუნდაც ცოტ-ცოტა.

შემდეგ. ახლა განსაკუთრებით საჭიროა აცნობოთ რახმეტოვს [14], რომ მთელი ძალღონით შეეცადოს რუსეთიდან ლიტერატურული თანამშრომლობის მოწყობას. ყოველკვირეული გაზეთის წარმატება ყველაზე მეტად დამოკიდებულია მასში რუსეთის ლიტერატორებისა და სოციალ-დემოკრატების ენერგიულ მუშაობაზე. მისწერეთ რახმეტოვს, რომ მან ამისათვის მობილიზაცია გაუკეთოს **ფინსაც და კოლონტაისაც**

---

* — francs — ფრანკი. **რ ე დ.**

(უაღრესად საჭიროა სტატიები **ფინეთის** შესახებ), **რუმიანცევსაც და ანდრია სოკოლოვსაც**, მეტადრე და განსაკუთრებით ამ უკანასკნელს. მე დიდი ხნის გამოცდილებით ვიცი, რომ ასეთ საქმეში რუსეთელები საშინლად, შეუწყნარებლად, წარმოუდგენლად მოუქნელი არიან. ამიტომ საჭიროა იმოქმედოთ, ჯერ-ერთი, საკუთარი მაგალითით; მეორეც, არ დასჯერდეთ დაპირებას, არამედ აუცილებლად მიაღწიოთ გამზადებული მასალების მიღებას. რახმეტოვმა უთუოდ თვითონ შეუკვეთოს ხოლმე სტატიები და კორესპონდენციები და თვითონვე მიიღოს, თვითონ გამოგზავნოს, არ მოეშვას, სანამ არ მისცემენ. (კიდევ დავუმატებ **სუვოროვსა და ლუნცს**, რასაკვირველია რახმეტოვიც კიდევ ბევრს იცნობს.) მეტისმეტად გვესაჭიროება 1) პატარა სტატია რუსეთის ცხოვრების შესახებ 6-დან 18 ათასამდე ასო; 2) შენიშვნები იმავე თემებზე 2-დან 6 ათასამდე ასო; 3) კორესპონდენციები ყველაფერზე და ყოველნაირი ზომისა; 4) საინტერესო ადგილებისა და ციტატების ამოწერა ადგილობრივი რუსული და სპეციალური რუსული გამოცემებიდან; 5) შენიშვნები რუსულ გამოცემათა საგაზეთო და საჟურნალო სტატიების გამო. უკანასკნელი სამი პუნქტის დაძლევა სავსებით შეუძლია მუშა და მეტადრე სტუდენტ ახალგაზრდობას და ამიტომ ამას ყურადღება უნდა მიაქციოთ, პროპაგანდა გაუწიოთ ამ მუშაობას, ააამოძრაოთ და შეანჯღრიოთ საზოგადოება, ასწავლოთ მას კონკრეტული ნიმუშებით, თუ რა არის საჭირო და როგორ უნდა შეგვეძლოს გამოვიყენოთ ყოველი წვრილმანი, ჩააგონოთ მას, რომ საზღვარგარეთს საშინლად ესაჭიროება ნ ე დ ლ ი მასალა რუსეთიდან (ლიტერატურულად დამუშავებას და ლიტერატურულად გამოყენებას ჩვენ თვითონ შევძლებთ!), რომ სრული სისულელეა რცხვენოდეთ ლიტერატურული დეფექტებისა, რომ უნდა მიეჩვიონ უბრალოდ საუბარს და შინაურულად მიწერ-მოწერას საზღვარგარეთულ ჟურნალთან, თუ სურთ, რომ ეს საკუთარი ჟურნალი იყოს. ამ მიზნით მე პირდაპირ საჭიროდ და აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია სტუდენტთა თ ვ ი თ ე უ ლ წრეს, მუშათა თ ვ ი თ ე უ ლ ჯგუფს

დაურიგდეს «ვპერიოდის» თითო მისამართი (საზღვარგარეთისა, ისინი ახლა ბევრნი არიან, უფრო მეტიც იქნებიან). გარწმუნებთ, ჩვენს კომიტეტელებს შორის იდიოტური ცრურწმენაა პერიფერიის ახალგაზრდობისათვის მისამართების ფართოდ დარიგების წინააღმდეგ. მთელი ძალღონით ებრძოლეთ ამ ცრურწმენას, დაარიგეთ მისამართები და მოითხოვეთ პ ი რ დ ა პ ი რ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა «ვპერიოდის» რედაქციასთან. უამისოდ ორგანო ვერ იხეირებს. საშინლად საჭიროა მუშათა კორესპონდენციები, ისინი კი ცოტაა. საჭიროა, რომ ათობით და ასობით მუშა პირდაპირ და უშუალოდ სწერდეს «ვპერიოდს».

საჭიროა აგრეთვე მივაღწიოთ, რომ მუშები უშუალოდ იძლეოდნენ თავიანთ საკუთარ მისამართებს «ვპერიოდის» კონვერტებით გასაგზავნად. მუშებს არ შეეშინდებათ. პოლიცია კონვერტების მეათედ ნაწილსაც ვერ დაიჭერს. «ვპერიოდის» მცირე ზომა (4 გვერდი) და ხშირად გამოსვლა კონვერტებით გაგზავნის საკითხს გაზეთის ყველაზე არსებით საკითხად ხდის. პირდაპირ მიზნად უნდა დავისახოთ განვავითაროთ მუშების ხელმოწერა «ვპერიოდზე», განვავითაროთ ის ჩვეულება, რომ პირდაპირ გზავნიდნენ საზღვარგარეთ ფულს (ერთი მანეთი დიდი თანხა არ არის!) და თავიანთ მისამართს. ამ საქმეს უნარიანად რომ მოვკიდოთ ხელი, ღმერთმანი, შეიძლება გავარევოლუციუროთ რუსეთში არალეგალური ლიტერატურის გავრცელების საქმე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ტრანსპორტი საუკეთესო შემთხვევაში ოთხი თვის შემდეგ მოდის. ეს ყოველკვირეული გაზეთის დროს! კონვერტებიდან კი 50 — 70% ალბათ ფოსტის სისწრაფით აღწევს.

შემდეგ ლიტერატორები. მათ პირდაპირ უნდა დავაკისროთ კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ რეგულარულად წერონ: თორემ წესიერ ადამიანად აღარ ჩაგთვლით და ყოველგვარ ურთიერთობას შევწყვეტთ-თქო. ჩვეულებრივი მომიზეზებაა ხოლმე: თემებს არ ვიცნობთ, გვეშინია, რომ შრომა ამაოდ ჩაივლის, ვფიქრობთ, რომ «მათ უკვე აქვთო». სწორედ ამ უხამს იდიოტურ მომიზეზებას უნდა ებრძოლოს რახ-

მეტოვი პირადად და პირადად. მთავარი თემებია — რუსეთის შინაური მიმოხილვის საკითხები (ის, რაც სქელ ჟურნალებში შინაურ მიმოხილვებსა და საზოგადოებრივ ქრონიკებში შედის), შემდეგ სტატიები და შენიშვნები რუსეთის სპეციალურ (სტატისტიკურ, სამხედრო, სამედიცინო, საპყრობილეთა, სასულიერო და სხვ. და სხვ.) გამოცემათა მასალების გამო. ეს ორი განყოფილება ყოველთვის გვჭირდება. ამ ორი განყოფილების კარგად გაძღოლა შეუძლიათ მხოლოდ რუსეთელებს და მარტოოდენ რუსეთელებს. აქ სიმძიმის ცენტრია ახალი ფაქტები, ახალი შთაბეჭდილებანი, საზღვარგარეთისათვის მიუწვდომელი სპეციალური მასალები და სრულებითაც არა მსჯელობა, არა შეფასება სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით. ამიტომ ასეთი სტატიები და შენიშვნები არასოდეს არ დაიკარგება, ვინაიდან ჩვენ მათ ყოველთვის გამოვიყენებთ. რახმეტოვს ახლა პირდაპირ ეკისრება მოვალეობა მოაგვაროს ასეთი საქმე და მოგვცეს თუნდაც ხუთიოდე კარგი, საქმიანი, დაუზარებელი თანამშრომელი, რომლებიც საქმეს არ გაექცევიან და რომელთაგან თვითეულს უშუალო ურთიერთობა ექნება რედაქციასთან. თანამშრომელთან მხოლოდ უშუალო ურთიერთობით შეიძლება სავსებით შეხმატკბილება მუშაობის ყველა წვრილმანის შესახებ. ადამიანები იმით უნდა მოვიზიდოთ, რომ სხვაგან ვერსად ისე სწრაფად ვერ «დაიბეჭდებიან», როგორც ყოველკვირეულ გაზეთში.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ახლანდელ საორგანიზაციო ლოზუნგზე. სტატიის «დროა გავათავოთ» («ვპერიოდ» № 1) * შემდეგ ეს ლოზუნგი ნათელი უნდა იყოს. მაგრამ საზოგადოება ისე უძრავია, რომ რახმეტოვი აქაც მთელი ძალღონით უნდა უხსნიდეს, უღეჭავდეს და თავში უჭედავდეს. ახლა გათიშვა სრულია, რადგან ჩვენ ყველა საშუალება ამოვწურეთ. მესამე ყრილობა ცენტრალური კომიტეტისა

* იხ. ეს ტომი, გვ. 24 — 29. რედ.

და საბჭოს ნების წინააღმდეგ და მ ა თ თ ვ ი ს გ ვ ე რ დ ი ს ა ვ ლ ი თ. ცენტრალურ კომიტეტთან სავსებით კავშირის გაწყვეტა. პირდაპირი განცხადება, რომ ჩვენ ჩვენი ბიურო გვაქვს. მენშევიკებისა და ახალისკრელების სრული ჩამოშორება ყველგან. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ერთმანეთს შევწყობოდით, ახლა კი აშკარად და პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ცალ-ცალკე გვიხდება მუშაობა. ყოველგვარმა მინდობამ და გულუბრყვილობამ შეიძლება მხოლოდ გიგანტური ზიანი მოგვაყენოს.

ღმერთსა და ხატს გაფიცებთ მალე გამოუშვათ აშკარა და მკვეთრი განცხადება ბიუროს შესახებ[15]. საჭიროა 1) გამოთქვათ სრული სოლიდარობა სტატიასთან «დროა გავათაოთ» და გაიმეოროთ მისი მოწოდება; 2) განაცხადოთ, რომ «ვპერიოდი» კომიტეტების უმრავლესობის ორგანოა და რომ ბიურო მასთან შეხმატკბილებულად და სავსებით შეთანხმებულად მუშაობს; 3) რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭომ ყოვლად სამარცხვინოდ მოატყუეს პარტია და ჩაშალეს ყრილობა; 4) რომ ახლა სხვა გამოსავალი არ არის, გარდა თვით კომიტეტების ყრილობისა ცენტრალური კომიტეტის და საბჭოს გ ვ ე რ დ ი ს ა ვ ლ ი თ; 5) რომ ბიურო კისრულობს დახმარება გაუწიოს კომიტეტების დადებითს მუშაობას; 6) რომ ცენტრალურმა ორგანომ მთლად დაკარგა ნდობა მერყეობითა და სიცრუით.

გვერწმუნეთ, რომ ჩვენ დიდად ვაფასებთ ზემლიაჩკას, მაგრამ იგი მართალი არ არის პაპაშას[16] წინააღმდეგ, და თქვენზეა დამოკიდებული მისი შეცდომების გასწორება. ჩქარა, ჩქარა და მთელი ხაზით გაწყვიტეთ კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან, დაუყოვნებლივ დაბეჭდეთ ბიუროს შესახებ, იმის შესახებ, რომ იგი საორგანიზაციო კომიტეტია და III ყრილობას იწვევს.

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» № 3 (38)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პორტ-არტურის დაცემა [17]

«პორტ-არტური დანებდა.

ეს ამბავი თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა. ეს სამი სიტყვა, ცივილიზებული სამყაროს ყველა კუთხეში გუშინ ტელეგრაფით გადაცემული, თავზარდამცემ შთაბეჭდილებას, უდიდესი და საშინელი კატასტროფის, ენით ძნელად გამოსათქმელი უბედურების შთაბეჭდილებას ახდენს. ირღვევა მორალური ძალა მძლავრი იმპერიისა, ეცემა პრესტიჟი ახალგაზრდა რასისა, რომელსაც ჯერ არც კი მოუსწრია სათანადოდ ფრთის გაშლა. განაჩენი ეწერება მთელ პოლიტიკურ სისტემას, წყდება პრეტენზიების გრძელი წყება, იმსხვრევა მძლავრი ლონისძიებანი. რასაკვირველია, პორტ-არტურის დაცემას უკვე დიდი ხანია მოელოდნენ, უკვე დიდი ხანია გვერდს უვლიდნენ ამას სიტყვებით და თავს ინუგეშებდნენ- მზამზარეული ფრაზებით. მაგრამ ხელშესახები, უხეში ფაქტი მთელ პირობითს სიცრუეს აცამტვერებს. მომხდარი კრახის მნიშვნელობის პატარად მოჩვენება ახლა შეუძლებელია. ძველი სამყარო პირველად დამცირდა გამოუსწორებელი დამარცხებით, რომელიც მიაყენა მას ახალმა სამყარომ, ესოდენ იდუმალმა და, როგორც ჩანს, ჭაბუკისებურმა ახალგაზრდამ, ცივილიზაციას მხოლოდ გუშინ დაწაფებულმა».

ასე წერდა, ამ ამბის უშუალო შთაბეჭდილებით, ევროპის ერთი დარბაისელი ბურჟუაზიული გაზეთი. და უნდა აღვიაროთ, მან შეძლო არა მარტო მკაფიოდ გამოეხატა მთელი ევ-

როპის ბურჟუაზიის განწყობილება. ამ გაზეთის პირით მეტ-ყველებს ძველი სამყაროს ბურჟუაზიის სწორი კლასობრივი ინსტინქტი, იმ ბურჟუაზიისა, რომელიც შეშფოთებულია ახალი ბურჟუაზიული სამყაროს წარმატებით, შეშფოთებულია რუსეთის სამხედრო ძალის კრახით, იმ ძალის კრახით, რომელიც დიდხანს ითვლებოდა ევროპის რეაქციის ყველაზე საიმედო ბურჯად. გასაკვირველი არ არის, რომ ევროპის ბურჟუაზია, რომელიც ომში მონაწილეობასაც კი არ იღებდა, მაინც დამცირებულად და გულგატეხილად გრძნობს თავს. იგი ძალიან მიეჩვია რუსეთის მორალური ძალის ევროპის ჟანდარმის სამხედრო ძალასთან გაიგივებას. მისი წარმოდგენით რუსთა ახალგაზრდა რასის პრესტიჟი განუყრელად დაკავშირებული იყო შეურყევლად ძლიერი, თანამედროვე «წესრიგის» მტკიცედ დამცველი მეფის ხელისუფლების პრესტიჟთან. გასაკვირველი არ არის, რომ მმართველი და მბრძანებელი რუსეთის კატასტროფა «საშინლად» ეჩვენება მთელ ევროპის ბურჟუაზიას: ეს კატასტროფა მოასწავებს მსოფლიო კაპიტალისტური განვითარების გიგანტურად დაჩქარებას, ისტორიის დაჩქარებას, ხოლო ბურჟუაზიამ ძალიან კარგად, მეტად კარგად იცის, მწარე გამოცდილებით იცის, რომ ასეთი დაჩქარება პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის დაჩქარებაა. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ესოდენ მშვიდად გრძნობდა თავს ხანგრძლივი მყუდროების ატმოსფეროში, «მძლავრი იმპერიის» ფრთათა ქვეშ, და უცბად რაღაც «იდუმალი, ჭაბუკისებური ახალგაზრდა» ძალა ბედავს დაარღვიოს ეს მყუდროება და დაამსხვრიოს ეს ბურჯი.

დიახ, ევროპის ბურჟუაზიას უთუოდ აქვს შიშის მიზეზი. პროლეტარიატს უთუოდ აქვს სიხარულის მიზეზი. ჩვენი უბოროტესი მტრის კატასტროფა მოასწავებს არა მარტო რუსეთის თავისუფლების მოახლოებას. იგი წინასწარმეტყველებს აგრეთვე ევროპის პროლეტარიატის ახალ რევოლუციურ აღმავლობას.

მაგრამ რატომ და რამდენად წარმოადგენს პორტ-არტურის დაცემა მართლაც ისტორიულ კატასტროფას?

უწინარეს ყოვლისა თვალში გეცემა ამ მოვლენის მნიშვნელობა ომის მსვლელობაში. იაპონელთათვის ომის მთავარი მიზანი მიღწეულია. პროგრესულმა, მოწინავე აზიამ მძიმე ლახვარი ჩასცა ჩამორჩენილ და რეაქციულ ევროპას. ამ ათი წლის წინათ ეს რეაქციული ევროპა, რუსეთის მეთაურობით, შეშფოთდა ახალგაზრდა იაპონიის მიერ ჩინეთის განადგურების გამო და გაერთიანდა, რომ გამარჯვების საუკეთესო ნაყოფი წაერთმია მისთვის. ევროპა იცავდა ძველი სამყაროს დამკვიდრებულ ურთიერთობასა და პრივილეგიებს, მის უპირატეს უფლებას, საუკუნეებით განმტკიცებულ უძველეს უფლებას — ეწარმოებინა აზიის ხალხთა ექსპლოატაცია. იაპონიის მიერ პორტ-არტურის დაბრუნება მთელი რეაქციული ევროპისათვის ლახვრის ჩაცემაა. რუსეთი ექვს წელიწადს ფლობდა პორტ-არტურს, მრავალი ასეული მილიონი მანეთი დახარჯა სტრატეგიულ რკინიგზებზე, ნავსადგურების შექმნაზე, ახალი ქალაქების აშენებაზე, იმ ციხის გამაგრებაზე, რომელსაც რუსეთის მიერ მოსყიდული და რუსეთის წინაშე მლიქვნელი ევროპული გაზეთების მთელმა მასამ მიუვალი უწოდა. სამხედრო მწერლები ამბობენ, პორტ-არტური თავისი ძალით ექვს სევასტოპოლს უდრიდაო. და აი პატარა, დღემდე ყველასგან აბუჩად აგდებული იაპონია რვა თვეში იპყრობს ამ სიმაგრეს, მას შემდეგ, რაც ინგლისი და საფრანგეთი ერთად მთელ წელიწადს მოუნდნენ მარტო სევასტოპოლის აღებას. ეს სამხედრო მარცხი გამოუსწორებელია. გადაწყვეტილია ზღვაზე უპირატესობის საკითხი, — ახლანდელი ომის მთავარი და ძირითადი საკითხი. საბოლოოდ მოსპობილია რუსეთის წყნარი ოკეანის ფლოტი, რომელიც თავდაპირველად ნაკლებად ძლიერი არ იყო, თუ უფრო მეტად არა, ვიდრე იაპონიისა. წართმეულია თვით ბაზა ფლოტის ოპერაციებისა, და როჟდესტვენსკის ესკადრას ისღა დარჩენია, რომ სამარცხვინოდ დაბრუნდეს უკან, მას შემდეგ, რაც უსარგებლოდ დაიხარჯა ახალი მილიონები, მას შემდეგ, რაც მრისხანე ჯავშნოსნებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს ინგლისელ მეთევზეთა ნავებზე. ფიქრობენ, რომ მარტო ის მატერიალური დანაკლი-

სი, რაც რუსეთმა მხოლოდ ფლოტის დაკარგვით განიცადა, სამას მილიონ მანეთ თანხას შეადგენს. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ათეული ათასი კაცის — ფლოტის საუკეთესო ეკიპაჟის დაკარგვა, მთელი სახმელეთო არმიის დაკარგვა. ევროპის ბევრი გაზეთი ახლა ცდილობს შეამციროს ამ დანაკარგის მნიშვნელობა, რისთვისაც პირდაპირ სასაცილო გულმოდგინებას იჩენს, იქამდეც კი მიდის, რომ ამბობს, კუროპატკინს «ტვირთი შეუმსუბუქდა», იგი «განთავისუფლებულია» პორტ-არტურისათვის ზრუნვისგანაო! რუსეთის ჯარი მთელი არმიისგანაც განთავისუფლდა. ტყვეთა რიცხვი, უკანასკნელი ინგლისური ცნობებით, 48 000 კაცს აღწევს, ხოლო კიდევ რამდენი ათასი დაიღუპა კინჩაუსთან და თვით ციხესთან ბრძოლებში. იაპონელები საბოლოოდ იგდებენ ხელში მთელ ლიაოდუნს, იძენენ განუზომელი მნიშვნელობის დასაყრდენ პუნქტს კორეასა, ჩინეთსა და მანჯურიაზე ზეგავლენისათვის, კუროპატკინთან საბრძოლველად ათავისუფლებენ გამოწრთობილ არმიას — 80 — 100 ათას კაცს, თანაც უზარმაზარი მძიმე არტილერიით, რომლის მდინარე შახეზე მიტანა გადამწყვეტ უპირატესობას მისცემს მათ რუსეთის მთავარი ძალების წინააღმდეგ.

თვითმპყრობელმა მთავრობამ, უცხოეთის გაზეთების ცნობებით, გადაწყვიტა აუცილებლად განაგრძოს ომი და კუროპატკინს 200 000 ჯარი გაუგზავნოს. ადვილი შესაძლებელია ომმა კიდევ დიდხანს გასტანოს, მაგრამ მისი უიმედობა უკვე აშკარაა, და ყოველი გაჭიანურება მხოლოდ გაამწვავებს იმ აურაცხელ უბედურებას, რასაც განიცდის რუსი ხალხი იმიტომ, რომ კიდევ ითმენს თვითმპყრობელობის უღელს. იაპონელები აქამდეც უფრო მალე და უფრო უხვად აწვდიდნენ დახმარებას თავიანთ სამხედრო ძალებს ყოველი დიდი ბრძოლის შემდეგ, ვიდრე რუსები. ახლა კი, როდესაც მათ მიაღწიეს სრულ ბატონობას ზღვაზე და რუსეთის ერთ-ერთი არმიის სრულ მოსპობას, ისინი შესძლებენ ერთიორად მეტი დამხმარე ძალები გაგზავნონ, ვიდრე რუსები. იაპონელები აქამდე სულ ამარცხებდნენ და ამარცხებდნენ რუს გენერ-

ლებს, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო არტილერიის მთელი მასა იაპონელებს გამოყენებული ჰქონდათ ციხესიმაგრის წინააღმდეგ ომში. იაპონელებმა ახლა მიაღწიეს თავისი ძალების სავსებით თავმოყრას, რუსები კი უნდა შიშობდნენ არა მარტო სახალინისათვის, არამედ ვლადივოსტოკისთვისაც. იაპონელებმა დაიკავეს მანჯურიის საუკეთესო და ყველაზე უკეთ დასახლებული ნაწილი, სადაც მათ შეუძლიათ შეინახონ არმია დაპყრობილი ქვეყნის სახსრებით და ჩინეთის დახმარებით. რუსები კი იძულებული არიან სულ უფრო შეიზღუდონ თავი სურსათ-საჭურვლის მხრივ, რომელიც რუსეთიდან მისდით, ხოლო არმიის შემდგომი გადიდება კუროპატკინისათვის მალე შეუძლებელი გახდება, ვინაიდან შეუძლებელია სურსათ-საჭურვლის საკმაო რაოდენობით მიზიდვა.

მაგრამ სამხედრო კრახს, რომელიც თვითმპყრობელობამ განიცადა, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მთელი ჩვენი პოლიტიკური სისტემის დამსხვრევის ნიშანს. საუკუნო დავიწყებას მიეცა ის დრო, როდესაც ომებს აწარმოებდნენ დაქირავებულნი ან ხალხისაგან სანახევროდ მოწყვეტილი კასტის წარმომადგენელნი. ომებს ახლა ხალხები აწარმოებენ, — კუროპატკინიც კი, ნემიროვიჩ-დანჩენკოს მოწმობით, ხვდება ახლა, რომ ეს ჭეშმარიტება მარტო ქადაგებისათვის როდი ვარგა. ომებს ახლა ხალხები აწარმოებენ, და ამიტომ განსაკუთრებით მკვეთრად მეღავნდება ამჟამად ომის დიადი თვისება: ათეულ მილიონობით ადამიანთა თვალწინ გამომეღავნდა ის შეუსაბამო ურთიერთობა ხალხსა და მთავრობას შორის, რომელსაც აქამდე მხოლოდ მცირერიცხოვანი შეგნებული უმცირესობა ხედავდა. რუსეთის ყველა მოწინავე ადამიანთა მხრივ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მხრივ, რუსეთის პროლეტარიატის მხრივ თვითმპყრობელობის კრიტიკა ახლა დადასტურებულია იაპონიის იარაღის კრიტიკით, დადასტურებულია ისე, რომ თვითმპყრობელობის პირობებში ცხოვრების შეუძლებლობას უფრო და უფრო გრძნობენ ისინიც კი, ვინც არ იცის, თუ რას ნიშნავს თვითმპყრობელობა, ისინიც კი, ვინც იცის ეს და სულით და გულით სურს დაიც-

ვას თვითმპყრობელობა. თვითმპყრობელობის შეუთავსებლობა მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებთან, მთელი ხალხის ინტერესებთან (გარდა ერთი მუჭა მოხელეებისა და ბობოლებისა) მაშინვე გამოაშკარავდა, როგორც კი ხალხი იძულებული გახდა საქმით, თავისი სისხლით, ეზღო თვითმპყრობელობის არსებობა. თავისი სულელური და დანაშაულებრივი კოლონიური ავანტიურით თვითმპყრობელობამ ისეთ ჩიხში მოიმწყვდია თავი, რომ იქიდან მხოლოდ თვითონ ხალხს შეუძლია გაითავისუფლოს თავი და მხოლოდ ცარიზმის დამხობის საფასურით.

პორტ-არტურის დაცემა ერთ-ერთ უდიდეს ისტორიულ შეჯამებას უკეთებს ცარიზმის იმ ბოროტმოქმედებას, რომელმაც თავი იჩინა ომის დასაწყისიდანვე და რომელიც ახლა გამოაშკარავდება უფრო ფართოდ, უფრო შეუჩერებლივ. ჩვენს შემდეგ თუნდაც ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილაო! — ასე მსჯელობდა ყოველი დიდი და პატარა ალექსეევი[18], და არ ფიქრობდა, არ სჯეროდა, რომ ქვა-ქვაზედაც მართლა არ დარჩებოდა. გენერლები და სარდლები უნიჭონი და არარანი აღმოჩნდნენ. 1904 წლის კამპანიის მთელი ისტორია, ერთი ინგლისელი სამხედრო მიმომხილველის ავტორიტეტული მოწმობით («Times»-ში[19]), «საზღვაო და სახმელეთო სტრატეგიის ელემენტარული პრინციპების დანაშაულებრივ უგულებელყოფას» წარმოადგენდა. სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატია ისეთივე მუქთახორა და მოსყიდული აღმოჩნდა, როგორც ბატონყმობის დროს. ოფიცრობა გაუნათლებელი, განუვითარებელი, მოუმზადებელი, ჯარისკაცებთან მჭიდრო კავშირის არმქონე და მათ ნდობას მოკლებული გამოდგა. გლეხთა მასის სიბნელე, უმეცრება, უვიცობა, სიბეჩავე შემაძრწუნებელი სიმკვეთრით გამოაშკარავდა პროგრესულ ხალხთან შეჯახებისას თანამედროვე ომში, რომელიც ისევე აუცილებლად მოითხოვს ადამიანთა მაღალხარისხოვან მასალას, როგორც თანამედროვე ტექნიკა. თუ თაოსანი, შეგნებული ჯარისკაცი და მატროსი არა გყავს, ისე შეუძლებელია წარმატება თანამედროვე ომში. ვერავითარი ამტანლობა, ვე-

რავითარი ფიზიკური ძალა, მასობრივი ბრძოლის ვერავითარი ჯოგურობა და შემჭიდროება ვერ მოგცემს უპირატესობას სწრაფმსროლელი მცირეყალიბიანი თოფების, მანქანური ზარბაზნების, გემების რთული ტექნიკური მოწყობილობის, ხმელეთზე ბრძოლის გაშლილი მწყობრობის ეპოქაში. თვითმპყრობელი რუსეთის სამხედრო ძლიერება მოჩვენებითი გამოდგა. ცარიზმი აღმოჩნდა სამხედრო საქმის თანამედროვე, უახლეს მოთხოვნათა სიმაღლეზე მდგომი ორგანიზაციის ხელისშემშლელი, — სწორედ იმ საქმისა, რომელშიც ცარიზმი სულით და გულით იყო ჩაბმული, რომლითაც იგი ყველაზე მეტად ამაყობდა, რომელსაც უზომო მსხვერპლსა სწირავდა და ხალხის არავითარ ოპოზიციას არ ერიდებოდა. საფლავი განგოზილი — აი რა აღმოჩნდა თვითმპყრობელობა საგარეო თავდაცვის დარგში, თავის, ასე ვთქვათ, ყველაზე ღვიძლ და მახლობელ სპეციალობაში. მოვლენებმა დაადასტურეს, რომ მართალი იყვნენ ის უცხოელნი, რომელნიც იცინოდნენ, როცა ხედავდნენ, თუ როგორ იყრებოდა ათეულ და ასეულ მილიონობით მანეთი საუცხოო სამხედრო გემების შესაძენად და ასაგებად, და ამბობდნენ, რომ ეს ხარჯები უსარგებლოა, როდესაც არ იცი თანამედროვე გემების ხმარება, როდესაც არა გყავს ხალხი, რომელსაც შეეძლოს საქმის ცოდნით გამოიყენოს სამხედრო ტექნიკის უახლესი გაუმჯობესებანი. ჩამორჩენილი და ყოვლად უვარგისი აღმოჩნდა ფლოტიც, ციხეც, საველე სიმაგრეებიც, სახმელეთო არმიაც.

კავშირი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციასა და მთელ მის ეკონომიურ და კულტურულ წყობილებას შორის არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მჭიდრო, როგორც ამჟამად. ამიტომ სამხედრო კრახი არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო ღრმა პოლიტიკური კრიზისის დასაწყისი. მოწინავე ქვეყნის ომმა ჩამორჩენილ ქვეყანასთან ამ შემთხვევაშიც ისევე დიდი რევოლუციური როლი შეასრულა, როგორც უკვე არა ერთხელ ყოფილა ისტორიაში. და შეგნებულ პროლეტარიატს, რომელიც ომის, საერთოდ ყოველგვარი კლასობრივი ბატონობის ამ აუცილებელი და გარდუვალი თანამგზავრის ულმობელი მტერია, —

არ შეუძლია თვალი აარიდოს იმ რევოლუციურ ამოცანას, რასაც ასრულებს იაპონიის ბურჟუაზია, რომელმაც სასტიკად დაამარცხა თვითმპყრობელობა. პროლეტარიატი მტერია ყოველგვარი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული წყობილების ყოველგვარი გამოვლინებისა, მაგრამ ეს მტრობა როდი ათავისუფლებს მას იმ მოვალეობისაგან, რომ გაარჩიოს ბურჟუაზიის ისტორიულად პროგრესული და რეაქციული წარმომადგენელნი. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ რევოლუციური საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ყველაზე თანამიმდევარმა და გაბედულმა წარმომადგენლებმა, ჟიულ გედმა საფრანგეთში და ჰაინდმანმა ინგლისში, უყოყმანოდ გამოსთქვეს თავიანთი სიმპათიები იაპონიისადმი, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობას ანადგურებს. ჩვენში, რუსეთში, რა თქმა უნდა, აღმოჩნდნენ სოციალისტები, რომლებმაც ამ საკითხშიც გამოიჩინეს აზრის აბნეულობა. «რევოლიუციონნაია როსსიამ»[20] საყვედური გამოუცხადა გედსა და ჰაინდმანს და განაცხადა, სოციალისტს შეუძლია მხოლოდ მუშურ, ხალხურ იაპონიას უჭერდეს მხარს, და არა ბურჟუაზიულ იაპონიასაო. ეს საყვედური ისევე უაზროა, როგორც უაზრო იქნებოდა, რომ სოციალისტი დაეგმოთ, რატომ აღიარებ ფრიტრედერუული ბურჟუაზიის პროგრესულობას პროტექციონისტულთან შედარებითო. გედი და ჰაინდმანი იაპონიის ბურჟუაზიას და იაპონიის იმპერიალიზმს როდი იცავდნენ, არამედ ორი ბურჟუაზიული ქვეყნის შეჯახების საკითხში მათ სწორად აღნიშნეს ერთი მათგანის ისტორიულად პროგრესული როლი. «სოციალისტ-რევოლუციონერთა» აზრის აბნეულობა, რა თქმა უნდა, იმის აუცილებელი შედეგია, რომ ჩვენს რადიკალურ ინტელიგენციას არ ესმის კლასობრივი თვალსაზრისი და ისტორიული მატერიალიზმი. არ შეიძლებოდა ახალ «ისკრასაც» არ გამოეჩინა აბნეულობა. თავდაპირველად მან ბევრი ფრაზა მოჩმახა ზავის შესახებ, რადაც უნდა დაგვიჯდეს იგიო. შემდეგ მან გაფაციცებით დაიწყო «გამოსწორება», როცა ჟორესმა თვალსაჩინოდ დაგვანახვა, თუ ვის ინტერესებს, პროგრესული თუ რეაქციული ბურჟუაზიისას, შეუწყობს ხელს

კვაზი-სოციალისტური კამპანია საერთოდ ზავის სასარგებ-ლოდ. ახლა მან დაამთავრა გაცვეთილი მსჯელობით იმაზე, თუ რა უადგილოა იაპონიის ბურჟუაზიის გამარჯვებით «სპე-კულაციის გაწევა» (!!?), და იმაზე, რომ ომი უბედურებაა, «მიუხედავად იმისა», თვითმპყრობელობის გამარჯვებით დამ-თავრდება იგი თუ დამარცხებით.

არა. რუსეთის თავისუფლების საქმე და სოციალიზმისათვის რუსეთის (და საერთაშორისო) პროლეტარიატის ბრძოლის საქმე ძალიან ძლიერ არის დამოკიდებული თვითმპყრობელო-ბის სამხედრო დამარცხებებზე. ამ საქმემ ბევრი მოიგო სამ-ხედრო კრახით, რომელიც შიშსა ჰგვრის წესრიგის ყველა ევ-როპელ დამცველს. რევოლუციური პროლეტარიატი დაუღა-ლავად უნდა ეწეოდეს აგიტაციას ომის წინააღმდეგ, ხოლო ამასთან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ომები გარდუვალია, ვიდრე არსებობს საერთოდ კლასობრივი ბატონობა. გაცვეთი-ლი ფრაზებით მშვიდობიანობის შესახებ à la * ჟორეს ვერ უშველი ჩაგრულ კლასს, რომელიც პასუხს არ აგებს ბურჟუა-ზიული ომისათვის ორ ბურჟუაზიულ ერს შორის, რომელიც ყველაფერს აკეთებს საერთოდ ყოველგვარი ბურჟუაზიის და-სამხობად, რომელმაც იცის, თუ რა უსაზღვროა ხალხის გა-ჭირვება «მშვიდობიანი» კაპიტალისტური ექსპლოატაციის დროსაც. მაგრამ, თავისუფალი კონკურენციის წინააღმდეგ რომ ვიბრძვით, არ შეიძლება გვავიწყდებოდეს მისი პროგრე-სულობა ნახევრადბატონყმურ წყობილებასთან შედარებით. ყოველგვარი ომისა და ყოველგვარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ რომ ვიბრძვით, ზუსტად უნდა განვასხვავებდეთ ჩვენს აგიტა-ციაში პროგრესულ ბურჟუაზიას ბატონყმური თვითმპყრობე-ლობისაგან, ყოველთვის უნდა აღვნიშნავდეთ იმ ისტორიული ომის დიდ რევოლუციურ როლს, რომლის უნებლიე მონაწი-ლეც არის რუსი მუშა.

რუსმა ხალხმა კი არა, არამედ რუსეთის თვითმპყრობელო-ბამ დაიწყო ეს კოლონიური ომი, რომელიც ძველი და ახალი

* — მსგავსად. რ ე დ.

ბურჟუაზიული სამყაროს ომად გადაიქცა. რუსმა ხალხმა კი არა, არამედ თვითმპყრობელობამ განიცადა სამარცხვინო დამარცხება. რუსმა ხალხმა მოიგო თვითმპყრობელობის დამარცხებით. პორტ-არტურის კაპიტულაცია ცარიზმის კაპიტულაციის პროლოგია. ომის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია, მაგრამ მისი განგრძობის ყოველი ნაბიჯი უსაზღვროდ აფართოებს რუსი ხალხის მღელვარებასა და აღშფოთებას, აახლოებს ახალი დიადი ომის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის ომის, თავისუფლების მოსაპოვებლად პროლეტარიატის ომის მომენტს. ტყუილად კი არ შფოთავს ასე ევროპის ყველაზე მშვიდი და ფხიზელი ბურჟუაზია, რომელიც სულითა და გულით მოიწონებდა რუსეთის თვითმპყრობელობის ლიბერალურ დათმობებს, მაგრამ რომელსაც თავზარსა სცემს რუსეთის რევოლუცია, როგორც ევროპის რევოლუციის პროლოგი.

«მტკიცედ გაიდგა ფესვი იმ აზრმა, — წერს გერმანული ბურჟუაზიის ერთ-ერთი ასეთი დინჯი ორგანო, — რომ რუსეთში რევოლუციის აფეთქება სრულებით შეუძლებელი რამეა. ამ აზრს ყველა და ყოველგვარი საბუთით იცავენ. მიუთითებენ რუსეთის გლეხობის უძრაობაზე, მის რწმენაზე მეფისადმი, სამღვდელოებისაგან დამოკიდებულებაზე. ამბობენ, რომ უკმაყოფილოთა შორის უკიდურესი ელემენტები წარმოდგენილი არიან ერთი მუჭა ადამიანებით, რომლებსაც შეუძლიათ მოაწყონ პუტჩები (წვრილმანი ამბოხებანი) და ტეროროისტული თავდასხმა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ძალუძთ საერთო აჯანყების გამოწვევაო. გვეუბნებიან, უკმაყოფილოთა ფართო მასას არა აქვს საკმაო ორგანიზაცია, იარაღი და, რაც მთავარია, — იმის გამბედაობა, რომ სიცოცხლის რისკი გასწიოსო. ჩვეულებრივად კი რუსი ინტელიგენტი რევოლუციურად განწყობილია დაახლოებით ოცდაათ წლამდე, შემდეგ კი ჩინებულად ეწყობა სახაზინო ადგილის მყუდრო ბუდეში, და მეტი წილი გულფიცხი ადამიანები ჩვეულებრივ მოხელეებად იქცევიანო». მაგრამ ახლა, განაგრძობს გაზეთი, მთელი რიგი ნიშნები დიდ ცვლილებას მოწმობენ, რუ-

სეთის რევოლუციაზე მარტო რევოლუციონერები კი აღარ ლაპარაკობენ, არამედ «გატაცებას» სრულებით მოკლებული, წესრიგის ისეთი დარბაისელი ბურჯები, როგორიც არის თავადი ტრუბეცკოი, რომლის წერილს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ახლა მთელი უცხოეთის პრესა ბეჭდავს. «რუსეთში რევოლუციის შიშს, როგორც ეტყობა, ფაქტიური საფუძვლები აქვს. მართალია, არავინ არ ფიქრობს, რომ რუსი გლეხები ფიწლებს წამოავლებენ ხელს და კონსტიტუციისათვის საბრძოლველად წავლენ. მაგრამ განა რევოლუციები სოფლებში ხდება? რევოლუციური მოძრაობის მატარებელნი უახლეს ისტორიაში დიდი ხანია დიდი ქალაქები გახდნენ. ხოლო რუსეთში სწორედ ქალაქად არის მღელვარება სამხრეთით ჩრდილოეთამდე და აღმოსავლეთით დასავლეთამდე. ვერავინ ვერ იკისრებს იწინასწარმეტყველოს, თუ რით დამთავრდება ეს, მაგრამ რომ იმ ხალხის რიცხვი, რომელსაც რუსეთში რევოლუცია შეუძლებლად მიაჩნია, დღითიდღე კლებულობს, ეს უეჭველი ფაქტია. ხოლო თუ სერიოზული რევოლუციური აფეთქება მოხდა, ძალიან საეჭვოა, რომ მას გაუმკლავდეს თვითმპყრობელობა, რომელიც დასუსტებულია შორეული აღმოსავლეთის ომით».

დიახ. თვითმპყრობელობა დასუსტებულია. ახლა ყველაზე ურწმენო ადამიანებსაც კი სჯერათ რევოლუცია. საყოველთაო რწმენა რევოლუციისადმი უკვე რევოლუციის დასაწყისია. მისი განგრძობისათვის თვითონ მთავრობა ზრუნავს თავისი სამხედრო ავანტიურით. სერიოზული რევოლუციური შეტევის მხარდაჭერისა და გაფართოებისათვის რუსეთის პროლეტარიატი იზრუნავს.

«ვპერიოდ» № 2,
1905 წ. 14 (1) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ბულბულს არაკებით როდი კვებავენ

მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ რაბოჩის ბროშურას: «მუშები და ინტელიგენტები ჩვენს ორგანიზაციებში», რომელიც ეს-ეს არის გამოსცეს ახალისკრელებმა აქსელროდის წინასიტყვაობით. ჩვენ, ალბათ, არა ერთხელ მოგვიხდება დავუბრუნდეთ ამ უაღრესად საგულისხმო ნაწარმოებს, რომელიც საუცხოოდ გვიჩვენებს, თუ რა ნაყოფი მოჰქონდა და მოაქვს «უმცირესობის» ანუ ახალისკრელების დემაგოგიურ ქადაგებას, და როგორ ცდილობენ ეს უკანასკნელნი თვითონ დაიძვრინონ ახლა თავი მთელი იმ აბდაუბდისაგან, რაც მათ მოჩმახეს. ჯერჯერობით ბროშურისა და წინასიტყვაობის მხოლოდ არსს აღვნიშნავთ.

«რაბოჩის» წილად ხვდომია უბედურება დაეჯერებინა ახალისკრელთა ქადაგება. ამიტომ იგი აკიმოვისებურად სეტყვასავით გვაყრის რაბოჩეედელოელთა ფრაზებს. «ჩვენი ხელმძღვანელი-ინტელიგენტები... ამოცანად არ ისახავდნენ... განევითარებინათ მუშათა შეგნება და თვითმოქმედება...». თვითმოქმედებისაკენ მისწრაფება «სისტემატურად იდევნებოდა». «არც ერთი ტიპის ორგანიზაციაში არ იყო და არ არის ადგილი მუშათა თვითმოქმედების განვითარებისათვის...». «ეკონომიური ბრძოლა სრულებით მიტოვებული იყო», პროპაგანდისტულ და საგიტაციო კრებებზედაც კი «მუშებს არ უშვებდნენო» (დახე თურმე რა ყოფილა!). დემონსტრაციებმა «თავისი დრო მოჭამეს» — ყველა ეს საშინელება (რაზედაც დიდი ხანია გაჰკიოდა ძველი «რაბოჩეე დელო» ძველი «ის-

კრის» წინააღმდეგ) გამოწვეულია, რა თქმა უნდა, «ბიუროკრატიული ცენტრალისტების», ე. ი. ჩვენი მეორე ყრილობის უმრავლესობის მიერ, რომელიც რაბოჩეედელოელობას ებრძოდა. ნაწყენმა უმცირესობამ პარტიული ყრილობის წინააღმდეგ წაასისიანა უბედური «რაბოჩი» და იგიც მტვერს ადენს ამ ყრილობას იმისათვის, რომ ის იყო «უჩვენოდ» (უმუშებოდ), «ჩვენი მონაწილეობის მიუღებლად», იქ «თითქმის არც ერთი მუშა» არ ყოფილაო, — ამასთან, თავისთავად ცხადია, თავმდაბლად უვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ ყველა ნამდვილი მუშა, ვინც კი ყრილობის დელეგატი იყო, სტეპანოვი, გორსკი და ბრაუნი, უმრავლესობის გადამჭრელი მომხრე და ინტელიგენტური უხასიათობის მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ ეს არაფერია. თავი და თავი ის არის, თუ რა დაუსრულებელ გარყვნას იწვევს ახალისკრელთა ქადაგება, რომელნიც «აცამტვერებენ» ყრილობას არჩევნებზე დამარცხების შემდეგ, აცამტვერებენ იმათ წინაშე, ვისაც ყრილობაში მონაწილეობა არ მიუღია, აქეზებენ მათ წაბილწონ ყოველგვარი სოციალ-დემოკრატიული ყრილობა, აცამტვერებენ სწორედ იმ დროს, როდესაც თვითონ კეთილშობილად შეძვრნენ ცენტრალურ დაწესებულებებში, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ ყრილობის სახელით მოქმედებენ. განა უფრო პატიოსანი არ არის რიაზანოვის პოზიცია (იხ. მისი ბროშურა: «გაცრუებული ილუზიები»), რომელმაც აშკარად გამოაცხადა ყრილობა მ ი ყ რ ა დ და რომელიც ამ «მიყრისაგან» რაიმე ტიტულითა და წოდებით არ სარგებლობს მაინც?

მაგრამ მუშის, — თუმცაღა იგი «უმრავლესობის» წინააღმდეგ წასისიანებულია, — ფსიქოლოგიის უაღრესად დამახასიათებელია, რომ იგი არ კმაყოფილდება ფრაზებით ავტონომიის, მუშათა თვითმოქმედებისა და სხვ. შესახებ. იგი იმეორებს ამ სიტყვებს, ისევე როგორც ყოველი ახალისკრელი ან რაბოჩეედელოელი, მაგრამ ფხიზელი პროლეტარული ინსტინქტით მოითხოვს ს ა ქ მ ე ს ს ი ტ ყ ვ ი ს დ ა ს ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ლ ა დ, იგი არ კმაყოფილდება იმით, რომ მას არაკებით კვებავენ. ლამაზი სიტყვები, ამბობს იგი, სიტყვებად რჩება, თუ

ხელმძღვანელთა «შემადგენლობა არ შეიცვალაო» (ხაზგასმა «რაბოჩისაა»). უნდა მოვითხოვოთ მუშების შეშვება ყველა სერიოზულ პარტიულ დაწესებულებაში, უნდა ვცდილობდეთ მივიღოთ ინტელიგენტების თანაბარი უფლებები. ჭეშმარიტი პროლეტარისა და ჭეშმარიტი დემოკრატის ყოველგვარი ფრაზიორობისადმი ღრმა უნდობლობით ამბობს «რაბოჩი»: **სად არის გარანტია,** რომ კომიტეტებში მხოლოდ ინტელიგენტები არ იქნებიანო? ეს პირდაპირ გულში ხვდება ჩვენს ახალისკრელებს. ეს საუცხოო კითხვა გვიჩვენებს, რომ რაბოჩეედელოელთა წასისიანებას კიდევ მთლად ვერ დაუბნელებია პროლეტარის ნათელი აზრი. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ის კომიტეტი, სადაც იგი მუშაობდა, «უმცირესობის კომიტეტად რჩებოდა პრინციპულად ქაღალდზე (ყური უგდეთ!), — თავისი პრაქტიკით კი უმრავლესობის კომიტეტებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. ჩვენ, მუშებს, არავითარ (კომიტეტზე რომ აღარ ვილაპარაკოთ) პასუხსაგებ, და მაშასადამე, ხელმძღვანელ დაწესებულებაში არ გვიშვებდნენო».

ვერავინ ვერ მოახერხებდა ასე კარგად გამოეყვანა სააშკარაოზე მენშევიკები, როგორც ამ მუშა-მენშევიკმა შესძლო. იგი მიხვდა, რომ პროლეტარიატის ავტონომიასა და თვითმოქმედებაზე ლაყბობა უგარანტიოდ გაცვეთილ ფრაზიორობად რჩება. ხოლო რა გარანტიებია შესაძლებელი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში, იფიქრეთ თუ არა ამაზე, ამხანაგო «რაბოჩი»? რა გარანტიებია შესაძლებელი იმის წინააღმდეგ, რომ რევოლუციონერებმა, რომლებიც ერთად შეიკრიბნენ პარტიის ყრილობაზე, შემდეგ, იმით განაწყენებულებმა, რომ ისინი ყრილობამ არ აირჩია, ყვირილი მორთეს, ყრილობა რეაქციული ცდა იყო ისკრული შეხედულებები განემტკიცებინათო (ტროცკი ბროშურაში, რომელიც ახალი «ისკრის» რედაქციით გამოიცა), ყრილობის გადაწყვეტილებები წმიდათა წმიდა როდია, ყრილობაზე არ იყვნენ მუშები მასიდანაო? რა გარანტიებია შესაძლებელი იმის წინააღმდეგ, რომ საერთო გადაწყვეტილებას პარტიული

ორგანიზაციის ფორმებისა და ნორმების შესახებ, გადაწყვეტილებას, რომელსაც პარტიის საორგანიზაციო წესდება ეწოდება და რომელიც არ შეიძლება სხვანაირად არსებობდეს, თუ არა ასეთი წესდების სახით, — ამ გადაწყვეტილებას შემდეგ არღვევენ უხასიათო ადამიანები იმ ნაწილში, რომელიც მათთვის სასიამოვნო არ არის, იმ საბაბით, რომ ისეთი რამ, როგორიცაა წესდება, ბიუროკრატიული და ფორმალისტურიაო? რა გარანტიებია შესაძლებელი იმის წინააღმდეგ, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც დაარღვიეს ერთობლივად მიღებული ფორმები ორგანიზაციისა, შემდეგ დაიწყეს მსჯელობა, — ორგანიზაცია არის პროცესი, ორგანიზაცია არის ტენდენცია, ორგანიზაცია არის ფორმა, რომელიც მხარდამხარ მისდევს შინაარსს, და ამიტომ უაზრობა და უტოპიურობაა ორგანიზაციათა წესების დაცვის მოთხოვნაო? «რაბოჩის», ბროშურის ავტორს, არც ერთ ამ კითხვაზე არ უფიქრნია. მაგრამ იგი ისე ახლოს, ისე უშუალოდ მიუდგა ამ კითხვებს, ისე გულწრფელად და გაბედულად პირისპირ დაუყენა ისინი ფრაზიორებსა და პოლიტიკანებს, რომ ჩვენ სულით და გულით ვაძლევთ რეკომენდაციას მის ბროშურას. ეს ბროშურა იმის საუცხოო ნიმუშია, თუ როგორ ააშკარავებენ «ლამაზი სიტყვის» რაინდებს მათი საკუთარი მომხრენი.

«რაბოჩი», სხვისი სიტყვით წაქეზებული, ილაშქრებს ლენინის «საორგანიზაციო გეგმის» წინააღმდეგ, ხოლო ამასთან, როგორც სჩვევიათ, არ ასახელებს გეგმით უკმაყოფილების არც ერთ ნათელ და გარკვეულ პუნქტს, იმოწმებს პანინსა და ჩერევანინს [21] (რომლებსაც არაფერი არ მოუციათ, გარდა გაჯავრებული სიტყვებისა) და არც კი უცდია ჩაეხედა ლენინის ცნობილ წერილში პეტერბურგელი ამხანაგისადმი. ხოლო «რაბოჩის» თავის წამსისიანებელთა სიტყვები რომ არ დაეჯერებინა და ამ წერილში ჩაეხედა, დიდად გაკვირდებოდა, როცა შიგ ამოიკითხავდა:

«განსაკუთრებით უნდა ვცდილობდეთ, რომ რაც შეიძლება მეტი მუშა გახდეს სავსებით შეგნებული და პროფესიონალი

რევოლუციონერი და მოხვდეს ხოლმე კომიტეტის შემადგენლობაში. უნდა ვეცადოთ კომიტეტში შევიყვანოთ მუშა-რევოლუციონერები, რომლებსაც ყველაზე მეტი კავშირურთიერთობა და საუკეთესო «სახელი» აქვთ მუშათა მასაში. ამიტომ კომიტეტში, შეძლებისდაგვარად, უნდა იყვნენ მუშათა მოძრაობის ყველა მთავარი წინამძღოლნი თვით მუშების წრიდან» (წერილი, გვ. 7—8) *.

წაიკითხეთ და გადაიკითხეთ ეს სტრიქონები, ამხანაგო «რაბოჩი», და დაინახავთ, თუ როგორ აგიხვიეს თვალი რაბოჩეედელოელებმა და ახალისკრელებმა, რომლებიც აცამტვერებენ ძველ «ისკრას» და მის მომხრეებს, მეორე ყრილობის უმრავლესობას. დაკვირვებით წაიკითხეთ ეს სტრიქონები და სინჯეთ მიიღოთ ჩემი ასეთი გამოწვევა: მიპოვეთ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში მეორე ადგილი, სადაც ასევე ნათლად და პირდაპირ და გადაჭრით იყოს დასმული თქვენ მიერ დაყენებული კითხვა «მუშებისა და ინტელიგენტების შესახებ ჩვენს ორგანიზაციებში», თანაც აღნიშნული იყოს იმის აუცილებელი საჭიროება, რომ რაც შეიძლება მეტი მუშა შეგვყავდეს კომიტეტში, შეძლებისდაგვარად, მუშათა მოძრაობის ყველა წინამძღოლი მუშა შეგვყავდეს კომიტეტში. მე ვამტკიცებ, რომ თქვენ მეორე ასეთ ადგილს ვერ მიჩვენებთ. მე ვამტკიცებ, რომ ყველა, ვინც კი არ დაიშურებს შრომას დოკუმენტების, «რაბოჩეე დელოს», «ისკრისა» და ბროშურების მიხედვით შეისწავლოს ჩვენი პარტიული დავა, და არა ჭორიკანათა ლაყბობით, დაინახავს ახალისკრელთა ქადაგების სიცრუესა და დემაგოგიურ ხასიათს.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 288. რედ.

თქვენ, შეიძლება, მიპასუხოთ: ლენინს შეეძლო ეს დაეწერა, მაგრამ მისი რჩევა ყოველთვის როდი სრულდებოდაო. ცხადია, ეს შესაძლებელია. ვერც ერთი პარტიული მწერალი ვერ ითავდებებს, რომ ყველა, ვინც კი თავს მის მომხრეს უწოდებს, ყოველთვის ნამდვილად ასრულებდეს მის რჩევას. მაგრამ, ჯერ-ერთი, განა ასეთ სოციალ-დემოკრატს, რომელიც თავს «წერილის» მომხრეს უწოდებს და ამავე დროს მის რჩევას არ ასრულებს, თვით ეს წერილი არ ამხელდა? განა წერილი მარტო ინტელიგენტებისათვის არის დაბეჭდილი, და არა მუშებისთვისაც? განა აქვს მწერალს სხვა საშუალება თავის შეხედულებათა გასატარებლად, გარდა ბეჭდვითი განცხადებისა? ხოლო, მეორე მხრივ, თუ ამ რჩევას, თუნდაც «რაბოჩის» მოწმობით, არც მენშევიკები ასრულებდნენ და არც ბოლშევიკები, განა აქედან ცხადი არ არის, რომ მენშევიკებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ შ ე ე თ ხ ზ ა თ ამგვარი «უთანხმოება» ბოლშევიკებთან? რომ დემაგოგია იყო მათ მიერ მუშების წასისიანება ბოლშევიკების წინააღმდეგ ამ უკანასკნელთაგან მუშათა თვითმოქმედების უგულებელყოფისათვის?

მაშ რაში მდგომარეობს რ ე ა ლ უ რ ი განსხვავება ა მ პ უ ნ ქ ტ ი ს ი რ გ ვ ლ ი ვ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის? განა იმაში არა, რომ ბოლშევიკები გაცილებით უფრო ადრე და გაცილებით უფრო პირდაპირ იძლეოდნენ ნათელ და გარკვეულ რჩევას კომიტეტში მუშების შეყვანის შესახებ? განა იმაში არა, რომ ბოლშევიკებს ეზიზღებოდათ და ეზიზღებათ «ლამაზი სიტყვები» მუშათა ავტონომიისა და თვითმოქმედების შესახებ, როდესაც ეს სიტყვები (როგორც მენშევიკებს სჩვევიათ) მხოლოდ სიტყვებად რჩება?

შეხედეთ, როგორ იძვრენს ახლა, თავს პატივცემული, დამსახურებული და უხუცესი აქსელროდი თავის წინასიტყვაობაში, როცა ის ჩიხშია მიმწყვდეული იმ მუშის პროლეტარული პირდაპირობითა და შეუპოვრობით, რომელსაც ამოუკითხავს რაბოჩეედელოელთა სიბრძნე აქსელროდის «შესანიშნავ» ფელეტონებში, მარტოვის დაუვიწყარ სტატიებში, ტროცკის

საუცხოო («უმრავლესობის» ინტერესების თვალსაზრისით) ბროშურაში.

«რაბოჩი» ცდილობს გააბათილოს რიადოვოის[22] მტკიცება, რომ ეკონომიზმის დროიდან ჩვენი პარტიული ორგანიზაცია პირადი შემადგენლობით შედარებით უფრო პროლეტარული გახდა. «რაბოჩი», ცხადია, მართალი არ არის. ეს იცის ყველამ, ვისაც კი ახლოს უდევნებია თვალყური ჩვენი პარტიის საქმეებისათვის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში. მაგრამ ყველაზე კურიოზულია იმის დანახვა, თუ რა აბრუნდს აკეთებს ჩვენი აქსელროდი. ვის არ ახსოვს მისი საუცხოო მტკიცებანი, რომლებიც ასე ოსტატურად გამოიყენეს სოციალ-დემოკრატიის მტრებმა, ლიბერალურმა ოსვობოჟდენიელებმა, რომ სოციალ-დემოკრატია ინტელიგენტური ორგანიზაცია არისო? ვის არ ახსოვს, როგორ იმეორებდნენ და ღეჭავდნენ ამ ცილისწამებას პარტიაზე პარტიის მიერ განაწყენებული ახალისკრელები? და აი, იგივე აქსელროდი, რომელიც შეაშინა იმ პირდაპირმა და პატიოსანმა დასკვნებმა, რაც ამ ცილისწამებიდან «რაბოჩის» გამოუყვანია, ცდილობს თავი დაიძვრინოს:

«სოციალ-დემოკრატიის ჩასახვისა და თავდაპირველი განვითარების პერიოდში, — ამბობს იგი წინასიტყვაობაში, — რუსეთის რევოლუციური პარტია წმინდა ინტელიგენტური იყო... ახლა შეგნებული რევოლუციური მუშები შეადგენენ (ყური უგდეთ!) სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ რაზმებს» (გვ. 15).

საბრალო «რაბოჩი»! როგორ დაისაჯა იგი იმისათვის, რომ აქსელროდის «ლამაზი სიტყვები» დაიჯერა! და ყოველთვის დაისჯებიან ისინი, ვისაც სჯერა იმ მწერლებისა, რომლებიც წელიწად-ნახევრის განმავლობაში ხან ერთს ამბობენ და ხან მეორეს, «კოოპტაციის» საჭიროებათა მიხედვით.

შეხედეთ, გვერდს როგორ უვლის აქსელროდი მისთვის პირდაპირ დაყენებულ კითხვას «გარანტიების» შესახებ. ეს ხომ საუცხოო რამ არის, ეს ხომ ახალისკრული ლიტერატურის მარგალიტია. «რაბოჩი» ლაპარაკობს მუშებისა და ინტე-

ლიგენტების ურთიერთობაზე ორგანიზაციებში, «რაბოჩი» ათასჯერ მართალია, როცა აცხადებს, რომ თუ არ არის გარანტიები, თუ არ არის თანასწორი უფლებები, ე. ი. თუ არ არის არჩევითი საწყისი, ისე ლამაზი სიტყვები არაბიუროკრატიულ ცენტრალიზმზე — მხოლოდ ფრაზიორობად რჩებაო. და როგორ უპასუხებს აქსელროდი? «იმ აზრით გატაცება, რომ ჩვენს ორგანიზაციებში მუშების უფლებრივი მდგომარეობა შეიცვალოს, ცალმხრივიაო», ავტორს ტყუილად გადააქვს ბოროტების მოსპობის საკითხი «ფორმალურ-ორგანიზაციული ურთიერთობის სფეროში», ტყუილად ავიწყდება, რომ «უფლებებში გათანაბრების კერძო ამოცანა» წყდება მხოლოდ «სოციალ-დემოკრატიული მიმართულებით ჩვენი პრაქტიკის შემდგომი განვითარების პროცესშიო». «საკითხი, რომელიც სპეციალურად აინტერესებს ბროშურის ავტორს, შეიძლება რადიკალურად გადაიჭრას მხოლოდ ჩვენი პარტიის შეგნებული კოლექტიური მუშაობის პროცესშიო».

განა ეს მართლაც მარგალიტი არ არის? ხომ თვითონ აქსელროდმა აღძრა და პირველმა დააყენა სწორედ ორგანიზაციული და მხოლოდ ორგანიზაციული საკითხი ლიგის ყრილობაზე და ახალ «ისკრაში» (№ 55), ხოლო როცა «რაბოჩი» სპეციალურ ბროშურას წერს ორგანიზაციის შესახებ, მას ქედმაღლურად ეუბნებიან: ფორმალობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მუშაობის პროცესსაო!

ორგანიზაციის პრინციპებს კი არა აქვს მნიშვნელობა ახალი «ისკრისა» და აქსელროდისათვის, არამედ უპრინციპო პოზიციის გასამართლებლად ლაყბობის პროცესს. და არავითარი სხვა შინაარსი, გარდა უპრინციპობის დაცვისა, არ არის ორგანიზაცია-პროცესის უბადრუკ თეორიაში (იხ. განსაკუთრებით როზა ლუქსემბურგის სტატიები), იმ თეორიაში, რომელიც მარქსიზმს აუხამსებს და ათახსირებს.

ვიმეორებთ: შეუძლებელია საკმაო რეკომენდაცია მივცეთ «რაბოჩის» შესანიშნავ ბროშურას ახალისკრელთა ორგანიზაციული პოზიციის მთელი სიყალბის გასაცნობად. მეტადრე დაბეჯითებით ვურჩევთ ჩვენ ამ ბროშურას მუშებს, რომ-

ლებსაც მენშევიკები არჩევითი საწყისის* ქადაგებით უსი-სიანებენ ბოლშევიკებს. მუშები საუცხოოდ ააშკარავებენ ფრაზიორებსა და ცრუპენტელებს. ისინი ჩინებულად აყენებენ კითხვას: ან არჩევითი საწყისი, ან მხოლოდ რჩევა კომიტეტებში მუშების შეყვანის შესახებო. თუ არჩევითი საწყისია, მაშ მოგვეცით ფორმალური გარანტიები, წესდებით გათვალისწინებული გარანტიები, წესდებით გათვალისწინებული თანასწორუფლებიანობაო. მუშები დაინახავენ, თუ როგორ იმანჭებიან ახალისკრელები ამ კითხვით, როგორც ეშმაკები ცისკრის წინ. თუ სასურველია რჩევა — შეგვყავდეს კომიტეტებში მუშები, თუ მართალია ძველი «ისკრა», რომელსაც დემოკრატიზმი, ე. ი. არჩევითი საწყისის საყოველთაოდ გამოყენება რ უ ს ე თ ი ს კონსპირაციულ ორგანიზაციებში, თვითმპყრობელურ-პოლიციურ წყობილებასთან შეუთავსებლად მიაჩნდა, მაშინ თქვენ ვ ე რ ს ა დ ვერ იპოვით ისეთ პირდაპირს და დაბეჯითებითს რჩევას კომიტეტებში მუშების შეყვანის შესახებ, როგორც უმრავლესობასთან.

«ვპერიოდ» № 2,
1905 წ. 14 (1) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი. «განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ». (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 661—673. რ ე დ.) მ ე ნ შ ე ვ ი კ თ ა ბ ე ლ ა დ ი ს წერილში, რომელიც ამ ბროშურაშია მოყვანილი, ნათქვამია: «მუშები მოითხოვენ არჩევითს სისტემას. ეს აშკარა სიმპტომია უაღრესად მტკიცეთა აგონიისაო». მე უაღრესად მტკიცეთა რიცხვს ვეკუთვნი, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ ასეთი აგონიისა. მუშების მიერ არჩევითი საწყისის მოთხოვნა ცხადად მოწმობს, რომ ახალისკრელებმა ვერ მოახერხეს არაკებით გამოეკვებათ მუშები, და ეერავითარი მიკიბ-მოკიბვა ვეღარ იხსნის ახლა აქსელროდს სრული მხილებისაგან.

წერილი ბოლშევიკთა ციურიხელ ჯგუფს

Genève, le 18. I. 1905 *.

პატივცემულო ამხანაგებო! თქვენს შეკითხვაზე პასუხის გასაცემად რედაქციის კრების მოწვევა შეუძლებელია, და მე თავს ნებას მივცემ პირადად ჩემდათავად გიპასუხოთ. ბოლშევიკთა ციურიხელი ჯგუფი კითხულობს, «როგორია ჩვენი დამოკიდებულება ცენტრალური ორგანოსა და ცენტრალური კომიტეტისადმი, ვთვლით მათ კანონიერად არსებულად, მაგრამ უკანონოდ მოქმედად და ოპოზიციაში ვუდგავართ მათ, თუ სრულებით არ ვცნობთ პარტიულ ცენტრებად».

მე მგონია, თქვენს შეკითხვას რამდენადმე კაზუისტიკის სუნი ასდის. გაზეთ «ვპერიოდის»[23] ანონსი და № 1 («დროა გავათაოთ»**) + ჩემი «განცხადება და დოკუმენტები»***, თითქოს უკვე ა რ ს ე ბ ი თ ა დ იძლევიან პასუხს კითხვაზე. ცენტრებმა (ცენტრალურმა ორგანომ, ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭომ) კ ა ვ შ ი რ ი გ ა წ უ ყ ვ ი ტ ე ს პარტიასთან, ჩაშალეს მეორე ყრილობაც და მესამეც, ყოვლად უხეშად მოატყუეს პარტია, ბონაპარტისტულად მოახდინეს თავისი ადგილების უზურპაცია. რაღა ლაპარაკი შეიძლება აქ ცენტრების კანონიერ არსებობაზე? განა კანონიერად ფლობს ფულს თაღლითი, რომელმაც ყალბი თამასუქით ჩაიჯიბა იგი?

მე უცნაურად მეჩვენება, რომ ციურიხელი ბოლშევიკები ჯერ კიდევ საგონებელში არიან, როცა საკითხი უკვე ასე და-

---

* — ჟენევა, 18. I. 1905 წ. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 24 — 29.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 661 — 673. რ ე დ.

ღეჭილია. ცენტრებმა რომ არ ისურვეს პარტიას დამორჩილებოდნენ, ეს სავსებით დამტკიცებულია. ჩვენ როგორღა მოვიქცეთ? მე-3 ყრილობა მოვიწვიოთ? მის შესახებაც მოგვატყუეს. ერთიღა დაგვრჩენია: კავშირი გავწყვიტოთ მენშევიკებთან რაც შეიძლება ს რ უ ლ ა დ, მალე, გარკვეულად (აშკარად, საჯაროდ), მოვიწვიოთ ჩვენი, პარტიული მე-3 ყრილობა, ცენტრების თანხმობის მიუღებლად და მათთვის გვერდის ავლით, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დავიწყოთ (ისე რომ არც ამ ცენტრს დაველოდოთ) მუშაობა ჩვენ პარტიულ ცენტრებთან, «ვპერიოდის» რედაქციასთან და რუსეთის ბიუროსთან, რომელიც ჩრდილოეთის კონფერენციამ აირჩია.

ვიმეორებ: ცენტრებმა პარტიის **გარეთ** დ ა ა ყ ე ნ ე ს თ ა ვ ი. საშუალო რამ არ არსებობს: ვინ ემხრობა ცენტრებს, ვინ — პარტიას? დროა გავიმიჯნოთ და, მენშევიკებისაგან განსხვავებით, რომელნიც პარტიას ფარულად თიშავენ, აშკარად მივიღოთ მათი გამოწვევა: დიახ, გათიშვა, ვინაიდან თქვენ ბოლომდე გაითიშეთ. დიახ, გათიშვა, ვინაიდან ჩვენ ყ ვ ე ლ ა საშუალება ამოვწურეთ გათიშვის გადასადებლად და პ ა რ ტ ი უ ლ ი გადაწყვეტილების მისაღებად (მე-3 ყრილობის მიერ). დიახ, გათიშვა, ვინაიდან ყველგან და ყოველ ნაბიჯზე დეზორგანიზატორებთან საძაგელი კინკლაობა მხოლოდ ზიანს აყენებდა საქმეს. პიტერიდან გვწერენ: გათიშვის შემდეგ უკეთესი მდგომარეობა შეიქმნა, შეიძლება მუშაობა უკინკლაოდ, იმ ადამიანებთან, რომლებსაც ენდობიო. ნუთუ ეს ცხადი არ არის? ძირს ბონაპარტისტები და დეზორგანიზატორები!

მაცნობეთ, კმაყოფილი ხართ თუ არა ამ პასუხისა.

საზღვარგარეთ უმრავლესობის ჯგუფების დარაზმვა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ს ა ჭ ი რ ო ა. დაუყოვნებლივ მისწერეთ ეს ბერნელებს (Herrn Kazakow. Bäckereiweg, 1. Bern), ისინი უკვე შეუდგნენ ამას და ჩემზე უკეთ გიპასუხებენ. უფრო ენერგიულად უნდა მოჰკიდოთ ხელი საქმეს. გააბით მიწერ-მოწერა ყველა ჯგუფთან, დააჩქარეთ ფულისა და მასალების მხრივ, დააარსეთ ჯგუფები ახალ ადგილებში და ა. შ.

ჩვენც გაცილებით უკეთ ვგრძნობთ თავს მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გავწყვიტეთ კავშირი უმცირესობასთან. სულით და გულით გისურვებთ თქვენც, რაც შეიძლება მალე გაითავისუფლოთ თავი.

ხელს გართმევთ. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

P. S. პირადად ჩემი მხრივ კიდევ დავუმატებ განსაკუთრებულ სალამს მეერსონისადმი. როგორ ცხოვრობს? უკეთ გრძნობს თავს თუ არა?

Steiner-ზე გაჯავრებული ვარ — გადაეცით, რომ ეს ღორობაა: დამპირდა საშობაოდ მოეწერა ნიკოლაევის შესახებ, ახლა კი მალე იანვარი გავა!!

ბერნის ჯგუფი კისრულობს ინიციატივას გააერთიანოს ბოლშევიკები საზღვარგარეთ, რა თქმა უნდა, ბიუროს ხელმძღვანელობით. მიაკითხეთ ბერნის ჯგუფს მისი წერილი ჩვენდამი ამის თაობაზე და ჟენევის ჯგუფის პასუხი.

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი ე. დ. სტასოვასა და ამხანაგებს, მოსკოვის საპყრობილის პატიმრებს

19. I. 1905.

ძვირფასო მეგობრებო! მივიღე თქვენი შეკითხვა, თუ რა ტაქტიკას დავადგეთ სასამართლოშიო (აბსოლუტის[24] წერილიდან და ბარათიდან, რომელიც «სიტყვასიტყვით გადმომეცა» უცნობი პირის მეშვეობით). აბსოლუტი წერს 2 თვალსაზრისის შესახებ. ბარათში ლაპარაკია სამ ჯგუფზე, იქნებ მხედველობაში მიღებულია შემდეგი სამი ელფერი, რომელთა აღდგენას მე ვცდილობ: 1) უარვყოთ სასამართლო და პირდაპირ ბოიკოტი გამოვუცხადოთ მას. 2) უარვყოთ სასამართლო და მონაწილეობა არ მივიღოთ სასამართლო გამოძიებაში. ადვოკატი მოვიწვიოთ მხოლოდ იმ პირობით, რომ მან ილაპარაკოს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს უსაფუძვლობაზე განყენებული სამართლის თვალსაზრისით. საბოლოო სიტყვაში გამოვთქვათ profession de foi * და მოვითხოვოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. 3) საბოლოო სიტყვის შესახებაც. სასამართლო გამოვიყენოთ როგორც სააგიტაციო საშუალება და ამისათვის მონაწილეობა მივიღოთ სასამართლო გამოძიებაში ადვოკატის დახმარებით. ცხადვყოთ სასამართლოს უკანონობა და მოწმეებიც კი გამოვიწვიოთ ხოლმე (დავამტკიცოთ alibi ** etc. ***).

---

* — სიმბოლო სარწმუნოებისა, პროგრამა, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. რ ე დ.

** — უდანაშაულობა, არდასწრება, სხვაგან ყოფნა. რ ე დ.

*** — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.

შემდეგ საკითხი: ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, რომ რწმენით სოციალ-დემოკრატი ვართ, თუ თავი ვცნოთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრად?

თქვენ იწერებით, რომ ამ საკითხზე საჭიროა ბროშურა. მე მოხერხებულად არ მიმაჩნია ახლავე, გამოცდილების მითითებათა მიუღებლად, გამოვუშვათ ბროშურა. შეიძლება, გაზეთში შევეხოთ როგორმე, როცა შემთხვევა მოგვეცემა. იქნებ საპყრობილეში მყოფთაგან დაწეროს რომელიმემ პატარა სტატია გაზეთისათვის (5 — 8 ათასი ასო)? ეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთესი იქნებოდა დისკუსიის დასაწყისისათვის.

პირადად მე ჯერ კიდევ არ შემიდგენია სავსებით გარკვეული აზრი და ვამჯობინებდი, ვიდრე გადაჭრით გამოვთქვამდე აზრს, საფუძვლიანად ვესაუბრო ამხანაგებს, რომელნიც საპყრობილეში სხედან ან გასამართლებული ყოფილან. ასეთი საუბრის დასაწყისისათვის გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებებს. ჩემი აზრით, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რ ო გ ო რ ი იქნება სასამართლო? ე. ი. შესაძლებელია გამოვიყენოთ იგი აგიტაციისათვის თუ არავითარი შესაძლებლობა არ არის? თუ პირველია, მაშინ ტაქტიკა № 1 უვარგისია; თუ მეორეა, მაშინ ეს ტაქტიკა დასაშვებია, მაგრამ ისიც მხოლოდ აშკარა, გარკვეული, ენერგიული პროტესტისა და განცხადების შემდეგ. ხოლო თუ შესაძლებლობაა გამოვიყენოთ სასამართლო აგიტაციისათვის, მაშინ სასურველია ტაქტიკა № 3. სიტყვა profession de foi-ს გამოთქმით, ჩემი აზრით, საერთოდ ძალიან სასურველია, ძალიან სასარგებლოა, და მეტწილად მას იმის შანსები ექნებოდა, რომ სააგიტაციო როლი შეესრულებინა. მეტადრე მთავრობის მიერ სასამართლოების გამოყენების დასაწყისში საჭირო იქნებოდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა წარმოთქვან ხოლმე სიტყვა სოციალ-დემოკრატიული პროგრამისა და ტაქტიკის შესახებ. ამბობენ: უხერხულია პარტიის, მეტადრე ორგანიზაციის წევრად აღვიაროთ თავი, უმჯობესია დავჯერდეთ განცხადებას, რომ რწმენით სოციალ-დემოკრატი ვარო. მე მგონია, ორგანიზა-

ციული ურთიერთობა პირდაპირ უნდა უკუვაგდოთ სიტყვაში, ე. ი. უნდა ვთქვათ, გასაგები მიზეზების გამო ჩემს ორგანიზაციულ ურთიერთობაზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ სოციალ-დემოკრატი ვარ და **ჩვენს** პარტიაზე ვილაპარაკებ-მეთქი. საკითხის ასე დაყენება ორნაირად იქნებოდა ხელსაყრელი: პირდაპირ და ზუსტად იქნებოდა აღნიშნული, რომ ორგანიზაციულ ურთიერთობაზე ლაპარაკი არ შეიძლება (ე. ი. ეკუთვნოდი თუ არა ორგანიზაციას, რომელს etc.) და ამავე დროს ლაპარაკი იქნებოდა ჩ ვ ე ნ ს პარტიაზე. აუცილებელია, რომ გასამართლების დროს წარმოთქმული სოციალ-დემოკრატიული სიტყვები პარტიული სიტყვები და განცხადებები გახდეს, რომ აგიტაციამ პარტიას მოუტანოს სარგებლობა. სხვანაირად რომ ვთქვათ: ჩემს ფორმალურ-ორგანიზაციულ ურთიერთობას განუხილველად ვტოვებ, დუმილით ავუვლი მას გვერდს, ფორმალურად რომელიმე ორგანიზაციის სახელით არ ვილაპარაკებ, მაგრამ როგორც სოციალ-დემოკრატი, გელაპარაკებით ჩ ვ ე ნ ს პარტიაზე და გთხოვთ განიხილოთ ჩემი განცხადებანი, როგორც სწორედ იმ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათა ჩამოყალიბების ცდა, რომლებიც ტარდებოდა მთელ ჩ ვ ე ნ ს სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში, ჩვენს ამა და ამ ბროშურებში, ფურცლებში, გაზეთებში.

ადვოკატის საკითხი. ადვოკატები მაგრად უნდა დავიჭიროთ ხელში და საალყო მდგომარეობაში ჩავაყენოთ, ვინაიდან ეს ინტელიგენტი არამზადები ხშირად საძაგლობას სჩადიან. წინასწარ უნდა გამოვუცხადოთ ხოლმე: თუ შენ, მამაძაღლო, თავს ნებას მისცემ, რომ დაუშვა თუნდაც სულ მცირეოდენი უმართებულობა ა ნ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი (თუ ილაპარაკებ განუვითარებლობაზე, სოციალიზმის არასისწორეზე, სულიერ გატაცებაზე, ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს მ ი ე რ ძ ა ლ ა დ ო ბ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა ზ ე, მათი მოძღვრებისა და მოძრაობის მშვიდობიან ხასიათზე და სხვ. ანდა თუნდაც რაიმე ამის მსგავსზე), მაშინ მე, ბრალდებული, იქვე საჯაროდ შეგაწყვეტინებ სიტყვას, არამზადას გიწოდებ, განვაცხადებ, რომ უარს ვამბობ ასეთ დაცვაზე და სხვა. და სისრუ-

ლეშიც მოვიყვანოთ ხოლმე ეს მუქარა. ადვოკატი მხოლოდ ჭკვიანი უნდა ავიყვანოთ, სხვა საჭირო არ არის. წინასწარ უნდა გამოვუცხადოთ: მხოლოდ და მხოლოდ გააკრიტიკოს და «ჩაიჭიროს» მოწმეები და პროკურორი ფაქტების შემოწმების საკითხში და ბრალდების შეთითხნაში, მხოლოდ და მხოლოდ სახელი გაუტეხოს სასამართლოს უსამართლო მხარეებს. ჭკვიანი ლიბერალი ადვოკატიც კი უაღრესად განწყობილია თქვას ან გადაკვრით აღნიშნოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მშვიდობიანი ხასიათი, გადაკვრით აღნიშნოს, რომ ამ მოძრაობის კულტურულ როლს ისეთი ადამიანებიც კი აღიარებენ, როგორიც არიან ად. ვაგნერები etc. ყველა ამის მსგავსი მიდრეკილება ძირშივე უნდა აღვკვეთოთ. იურისტები ყველაზე რეაქციონერი ხალხია, როგორც ამბობდა, ვგონებ, ბებელი. შენი ადგილი იცოდე. იყავი მხოლოდ იურისტი, დასცინე ბრალდების მოწმეებსა და პროკურორს, სულ ბევრი-ბევრი, დაუპირდაპირე ერთმანეთს ასეთი სასამართლო და თავისუფალი ქვეყნის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მაგრამ ბრალდებულის რწმენას არ შეეხო, მისი რწმენისა და მისი მოქმედების შეფასებაზე კრინტის დაძვრაც არ გაბედო. ვინაიდან შენ, შე უბადრუკო ლიბერალო, იმდენად არ გესმის ეს რწმენა, რომ მისი ქების დროსაც კი ვერ აუხვევ გვერდს უხამსობას. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შეიძლება ვუთხრათ ადვოკატს არა სობაკევიჩურად, არამედ რბილად, დათმობის კილოთი, მოქნილად და წინდახედულად. მაგრამ მაინც სჯობია გვეშინოდეს ადვოკატებისა და არ გვჯეროდეს მათი, მეტადრე თუ ისინი იტყვიან, რომ სოციალ-დემოკრატები და პარტიის წევრები არიან (ჩვენი § 1-ის მიხედვით!!).

სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობის საკითხს, მე მგონია, ადვოკატის საკითხი წყვეტს. ადვოკატის მოწვევა სწორედ სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობას ნიშნავს. რატომაც არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა მოწმეთა ჩასაჭერად და სასამართლოს წინააღმდეგ აგიტაციის გასაწევად. რასაკვირველია, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ უადგილო

თავისმართლების კილოზე არ გადავიდეთ, ამას რაღა თქმა უნდა! უმჯობესია თავიდანვე, სასამართლო გამოძიებამდე, თავმჯდომარის პირველ შეკითხვებზე განვაცხადოთ, მე სოციალ-დემოკრატი ვარ და ჩემს სიტყვაში მოგახსენებთ, რას ნიშნავს ესაო. კონკრეტულად სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობის საკითხის გადაჭრა მთლიანად დამოკიდებულია გარემოებაზე: ვთქვათ, თქვენ სავსებით მხილებული ხართ, მოწმეები სიმართლეს ამბობენ, ბრალდების მთელი არსი უეჭველ დოკუმენტებს ემყარება. მაშინ იქნებ ზედმეტიც იყოს სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობა და მთელი ყურადღება მივაპყროთ პრინციპულ სიტყვას. ხოლო თუ ფაქტები მერყევია, აგენტურის მოწმეები იბნევიან და ცრუობენ, მაშინ არა მგონია ხელსაყრელი იყოს მოვისპოთ სააგიტაციო მასალა გასამართლების შეთითხნილი ხასიათის გამოსააშკარავებლად. საქმე ბრალდებულებზედაც არის დამოკიდებული: თუ ისინი ძალიან დაქანცულნი, ავადმყოფები არიან, დაიღალნენ, თუ «სასამართლოში ლაპარაკს» და პაექრობას შეჩვეული, ბასრი ადამიანები არ არიან, მაშინ შეიძლება უფრო რაციონალური იყოს უარი ვთქვათ სასამართლო გამოძიებაში მონაწილეობაზე, განვაცხადოთ ეს და მთელი ყურადღება მივაპყროთ პრინციპულ სიტყვას, რომელიც სასურველია წინასწარ მოვამზადოთ. ყოველ შემთხვევაში სიტყვა სოციალ-დემოკრატიის პრინციპებსა, პროგრამასა და ტაქტიკაზე, მუშათა მოძრაობაზე, სოციალისტურ მიზნებზე, აჯანყებაზე — თავი და თავია.

დასასრულ ერთხელ კიდევ ვიმეორებ: ეს ჩემი წინასწარი მოსაზრებებია, რომლებიც ყველაზე ნაკლებად უნდა იქნას მიჩნეული საკითხის გადაწყვეტის ცდად. უნდა დავუცადოთ გამოცდილების ზოგიერთ მითითებას. ხოლო ამ გამოცდილების გამომუშავებისას ამხანაგებს მოუხდებათ მრავალ შემთხვევაში იხელმძღვანელონ კონკრეტულ გარემოებათა აწონ-დაწონით და რევოლუციონერის ინსტინქტით.

დიდი, დიდი სალამი კურცს, რუბენს, ბაუმანს და ყველა მეგობარს. გულს ნუ გაიტეხთ! ჩვენი საქმეები ახლა კარგად წავიდა. სკანდალისტები როგორც იქნა მოვიშორეთ. უკანდახევის ტაქტიკასთან კავშირი გავწყვიტეთ. ახლა შეტევაზე გადავედით. რუსეთის კომიტეტებიც კავშირს წყვეტენ დეზორგანიზატორებთან. ჩვენი გაზეთი დაარსებულია. ჩვენი პრაქტიკული ცენტრი (ბიურო) გვაქვს. გაზეთის ორი ნომერი გამოვიდა, ამ დღეებში (1905. 23. I ახალი სტილით) მე-3 გამოდის. იმედი გვაქვს ყოველკვირეულად გამოვუშვათ. გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას!! ჩვენ, ალბათ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და უკეთეს პირობებში ვიბრძოლებთ, ვიდრე აქაური კინკლაობა და შუღლია ლიგის ყრილობების მსგავსად!

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში»
№ 7 (30)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

რევოლუცია რუსეთში

ჟენევა, 10 (23) იანვარი.

მუშათა კლასმა, რომელიც დიდხანს თითქოს განზე უდგა ბურჟუაზიულ ოპოზიციურ მოძრაობას, ხმა აღიმაღლა. თავბრუდამხვევი სისწრაფით დაეწივნენ მუშათა ფართო მასები თავის მოწინავე ამხანაგებს, შეგნებულ სოციალ-დემოკრატებს. პეტერბურგის მუშათა მოძრაობა ამ დღეებში ჭეშმარიტად დევის ნაბიჯით მიდიოდა. ეკონომიური მოთხოვნები პოლიტიკური მოთხოვნებით იცვლება. გაფიცვა საყოველთაო ხდება და უმაგალითო კოლოსალურ დემონსტრაციას იწვევს; მეფის სახელის პრესტიჟი სამუდამოდ ეცემა. იწყება აჯანყება. ძალა უპირდაპირდება ძალას. გაჩაღებულია ქუჩებში ბრძოლა, შენდება ბარიკადები, გრიალებს ზალპები და ქუხს ზარბაზნები. სისხლი ნაკადებად იღვრება, ჩაღდება სამოქალაქო ომი თავისუფლებისათვის. პეტერბურგის პროლეტარიატს მზად არიან შეუერთდნენ მოსკოვი და სამხრეთი, კავკასია და პოლონეთი. მუშების ლოზუნგი გახდა: სიკვდილი ან თავისუფლება!

დღევანდელი და ხვალინდელი დღე ბევრ რამეს წყვეტს. ყოველ საათი მდგომარეობას ცვლის. ტელეგრაფს აღმაფრ-

თოვანებელი ამბები მოაქვს, და ყოველი სიტყვა ახლა სუსტი გეჩვენება მიმდინარე მოვლენებთან შედარებით. ყველა მზად უნდა იყოს შეასრულოს თავისი მოვალეობა რევოლუციონერისა და სოციალ-დემოკრატისა.

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს აჯანყებულ პროლეტარიატს!

«ვპერიოდ» № 3,
1905 წ. 24 (11) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

მუშური და ბურჟუაზიული დემოკრატია

საკითხი სოციალ-დემოკრატიის ანუ მუშური დემოკრატიის დამოკიდებულებისა ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი ძველი და ამავე დროს მარად ახალი საკითხია. იგი ძველია, რადგან წამოყენებულია სწორედ მას შემდეგ, რაც წარმოიშვა სოციალ-დემოკრატია. მისი თეორიული საფუძვლები გამორკვეულია მარქსისტული ლიტერატურის ჯერ კიდევ ყველაზე ადრინდელ ნაწარმოებებში, «კომუნისტურ მანიფესტსა» და «კაპიტალში». იგი მარად ახალია, რადგან ყოველი ნაბიჯი ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის განვითარებაში იძლევა ბურჟუაზიული დემოკრატიის სხვადასხვა ელფერისა და სოციალისტური მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობის განსაკუთრებულ, ორიგინალურ შეხამებას.

ჩვენშიც, რუსეთში, ეს ძველი საკითხი განსაკუთრებით ახალი გახდა ამჟამად. უფრო მკაფიოდ რომ გავერკვეთ ამ საკითხის ახლანდელ დაყენებაში, დავიწყებთ მცირე ისტორიული ცნობით. ძველი რუსული რევოლუციური ნაროდნიკობა უტოპიურ, ნახევრადანარქისტულ თვალსაზრისზე იდგა. თემის გლეხს მზამზარეულ სოციალისტად თვლიდნენ. რუსეთის განათლებული საზოგადოების ლიბერალიზმში ნათლად ხედავდნენ რუსეთის ბურჟუაზიის წადილს. პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას უარყოფდნენ, როგორც ბრძოლას ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელ დაწესებულებათა მოსაპოვებლად. ნაროდოვოლცებმა წინ გადადგეს ნაბიჯი, პოლიტიკურ ბრძოლაზე რომ გადავიდნენ, მაგრამ სოციალიზმთან მისი დაკავშირება ვერ მოახერხეს. საკითხის მკაფიო სოცია-

ლისტური დაყენება კიდევაც გააბუნდოვანეს, როცა ჩვენი თემის სოციალისტურობისადმი შესუსტებული რწმენის განახლება იწყეს ბ-ნ ვ. ვ-ის[25] ყაიდის თეორიებით იმის შესახებ, რომ რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია არაკლასობრივი, არაბურჟუაზიული ხასიათისა არისო. ამით დასაწყისი მიეცა იმას, რომ ნაროდნიკობამ, რომელიც წინათ უეჭველად უარყოფდა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს, იწყო ამ უკანასკნელთან შეერთება ერთ ლიბერალურ-ნაროდნიკულ მიმართულებად. ყველაზე ზომიერი, კულტუროსნული მოძრაობით დაწყებული, და ყველაზე უკიდურესი, რევოლუციურ-ტერორისტული მოძრაობით დამთავრებული, რუსეთის ინტელიგენტური მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დედაარსი უფრო და უფრო ირკვეოდა პროლეტარული იდეოლოგიის (სოციალ-დემოკრატიის) და მუშათა მასობრივი მოძრაობის გამოჩენასა და განვითარებასთან ერთად. მაგრამ ამ უკანასკნელის ზრდას თან ახლდა განხეთქილება სოციალ-დემოკრატებს შორის. მკაფიოდ იჩინა თავი სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურმა და ოპორტუნისტულმა ფრთამ, რომელნიც გამოხატავდნენ პირველი — ჩვენი მოძრაობის პროლეტარულ, ხოლო მეორე — ინტელიგენტურ ტენდენციებს. ლეგალური მარქსიზმი მალე ნამდვილად აღმოჩნდა «მარქსიზმის ანარეკლად ბურჟუაზიულ ლიტერატურაში»[26] და ბერნშტეინის ოპორტუნიზმის[27] მეშვეობით პირდაპირ მივიდა ლიბერალიზმამდე. ეკონომისტები სოციალ-დემოკრატიაში, ერთი მხრივ, გატაცებული იყვნენ წმინდა მუშური მოძრაობის ნახევრადანარქისტული კონცეფციით, სოციალისტების მიერ ბურჟუაზიული ოპოზიციის მხარდაჭერას კლასობრივი თვალსაზრისის ღალატად თვლიდნენ და აცხადებდნენ, ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში ფანტომიაო *. მეორე მხრივ, სხვა ელფერის ეკონომისტები, იმავე წმინდა მუშური მოძრაობით გატაცებულნი, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს უსაყვედუ-

* იხ. «ისკრის» წინააღმდეგ მიმართული რაბოჩეედელოელთა ბროშურა «ორი ყრილობა» (გვ. 32).

რებდნენ თვითმპყრობელობასთან იმ საზოგადოებრივი ბრძოლის უგულებელყოფას, რომელსაც ეწევიან ჩვენი ლიბერალები, ერობელები, კულტუროსნელები *.

ძველი «ისკრა» გვიჩვენებდა რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის ელემენტებს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბევრი მათ ვერ ხედავდა. იგი მოითხოვდა ამ დემოკრატიისათვის პროლეტარიატის მიერ მხარისდაჭერას (იხ. «ისკრის» № 2 სტუდენტთა მოძრაობისათვის მხარდაჭერის შესახებ**, № 8 ერობათა არალეგალური ყრილობის შესახებ, № 16 თავადაზნაურობის ლიბერალურ წინამძღოლთა შესახებ ***, № 18 **** ერობაში მღელვარების შესახებ ***** და სხვ.). იგი აღნიშნავდა ლიბერალური და რადიკალური მოძრაობის მუდმივ კლასობრივ, ბურჟუაზიულ ხასიათს* და მლიქვნელი ოსვობოჟდენიელების შესახებ ამბობდა: «დროა შევიგნოთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ საერთო მტერთან ბრძოლის ნამდვილ (და არა სიტყვიერ) ერთიანობას უზრუნველყოფს არა პოლიტიკანობა, არა ის, რასაც განსვენებულმა სტეპნიაკმა ერთხელ თვითშეკვეცა და თვითმიმალვა უწოდა, არა დიპლომატიური ურთიერთაღიარების პირობითი სიყალბე, — არამედ ფაქტიური მონაწილეობა ბრძოლაში, ბრძოლის ფაქტიური ერთიანობა. როდესაც გერმანელი სოციალ-დემოკრატების ბრძოლა სამხედრო-პოლიტიკური და ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციის წინააღმდეგ ნამდვილად ხდებოდა საერთო

---

* იხ. «რაბოჩაია მისლის» ცალკე დანართი, სექტემბერი, 1899 წ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 510 — 516. რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 418 — 426. რ ე დ.

**** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 179 — 190. რ ე დ.

***** ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გამოვთქვა ჩემი გულწრფელი მადლობა სტაროვერისა და პლეხანოვისადმი, რომლებმაც დაიწყეს უაღრესად სასარგებლო მუშაობა ძველი «ისკრის» ხელმოუწერელი სტატიების ავტორთა გამოსარკვევად. იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი ბოლომდე მიიყვანენ ამ მუშაობას — მასალა უაღრესად დამახასიათებელი გამოვა იმის შესაფასებლად, თუ როგორ იბრუნა პირი ახალმა «ისკრამ» რაბოჩეედელოელობისაკენ.

ბრძოლად რომელიმე ნამდვილ პარტიასთან ერთად, რომელიც ემყარებოდა ხალხის განსაზღვრულ კლასს (მაგალითად, ლიბერალურ ბურჟუაზიას), მაშინ მოქმედების ერთობლიობა მყარდებოდა ურთიერთაღიარების თაობაზე ფრაზიორობის გარეშე» (№ 26 *).

ძველი «ისკრის» მიერ საკითხის ამ დაყენებას პირდაპირ მივყევართ ახლანდელ დავასთან: ლიბერალებისადმი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების შესახებ. როგორც ცნობილია, ეს დავა დაიწყო მეორე ყრილობიდან. ყრილობამ გამოიტანა ორი რეზოლუცია, რომლებიც შეესაბამებოდნენ უმრავლესობის (პლეხანოვის რეზოლუცია) და უმცირესობის (სტაროვერის[28] რეზოლუცია) თვალსაზრისს. პირველი რეზოლუცია ზუსტად აღნიშნავს ლიბერალიზმის, როგორც ბურჟუაზიის მოძრაობის, კლასობრივ ხასიათს და პირველ რიგში აყენებს იმ ამოცანას, რომ გავურკვიოთ პროლეტარიატს მთავარი ლიბერალური მიმართულების (ოსვობოჟდენიელობის) ანტირევოლუციური და პროლეტარიატის საწინააღმდეგო ხასიათი. აღიარებს რა იმის საჭიროებას, რომ პროლეტარიატმა მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ეს რეზოლუცია პოლიტიკანურ ურთიერთაღიარებაში კი არ ვარდება, არამედ ძველ ისკრისებურად ითვალისწინებს მხოლოდ ერთობლივ ბრძოლას: «რამდენადაც ბურჟუაზია რევოლუციური არის ან მხოლოდ ოპოზიციურია თავის ბრძოლაში ცარიზმთან», იმდენად სოც.-დემოკრატებმა «მხარი უნდა დაუჭირონ» მას.

პირიქით, სტაროვერის რეზოლუცია ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის კლასობრივ ანალიზს არ იძლევა. იგი კეთილი განზრახვებით აღსავსეა, იგი თხზავს შეთანხმების რაც შეიძლება მაღალ და კარგ, მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქციურ, სიტყვიერ პირობებს: ლიბერალებმა ან დემოკრატებმა უნდა განაცხადონ ესა და ეს, არ წამოაყენონ ასეთი და ასეთი მოთხოვნები, თავიანთ ლოზუნგად გაიხადონ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 319. რედ.

ესა და ეს. თითქოს ბურჟუაზიული დემოკრატიის ისტორია ყველგან და ყოველ ნაბიჯზე არ აძლევდეს მუშებს გაფრთხილებას, რომ არ დაუჯერონ განცხადებებს, მოთხოვნებსა და ლოზუნგებს! თითქოს ისტორია ასობით იმის მაგალითს არ გვაძლევდეს, რომ ბურჟუაზიული დემოკრატები გამოდიოდნენ არა მარტო სრული თავისუფლების, არამედ თანასწორობის ლოზუნგებითაც, სოციალიზმის ლოზუნგებით, და კვლავ ბურჟუაზიულ დემოკრატებად რჩებოდნენ, რითაც უფრო მეტად «აბნელებდნენ» პროლეტარიატის შეგნებას! სოციალ-დემოკრატიის ინტელიგენტურ ფრთას სურს იმით ებრძოლოს ამ დაბნელებას, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატებს წაუყენოს პირობები — არ დააბნელოთო! პროლეტარული ფრთა იბრძვის დემოკრატიზმის კლასობრივი შინაარსის ანალიზით. ინტელიგენტური ფრთა შეთანხმების სიტყვიერ პირობებს დაეძებს. პროლეტარული ფრთა მოითხოვს ფაქტიურ ერთობლივ ბრძოლას. ინტელიგენტური ფრთა თხზავს კარგი, გულკეთილი და მასთან შეთანხმების ღირსი ბურჟუაზიის საზომს. პროლეტარული ფრთა ბურჟუაზიისაგან არავითარ გულკეთილობას არ მოელის, არამედ მხარს უჭერს ყოველ, თუნდაც ყველაზე ცუდ ბურჟუაზიას — *იმდენად, რამდენადაც იგი ნამდვილად იბრძვის ცარიზმის წინააღმდეგ.* ინტელიგენტური ფრთა ჩარჩობის თვალსაზრისს ადგება: თუ დადგებით სოციალ-დემოკრატებისა და არა სოც.-რევოლუციონერების მხარეზე, მაშინ ჩვენ თანახმა ვართ შეგითანხმდეთ საერთო მტრის წინააღმდეგ, თორემ ისე კი არაო. პროლეტარული ფრთა მიზანშეწონილობის თვალსაზრისზე დგას: მხარს გიჭერთ მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, შევძლებთ თუ არა უფრო მარჯვედ მივაყენოთ ჩვენს მტერს თუნდაც ოდნავი ზიანიო.

სტაროვერის რეზოლუციის ყველა ნაკლი თვალსაჩინო გახდა სინამდვილესთან პირველ შეხებისთანავე. ასეთი შეხება იყო ახალი «ისკრის» რედაქციის განთქმული გეგმა, «მობილიზაციის უმაღლესი ტიპის» გეგმა პრინციპულ მსჯელობაშ-

თან დაკავშირებით № 77-ში (მეთაური: «დემოკრატია გზაჯვარედინზე») და № 78-ში (სტაროვერის ფელეტონი). გეგმაზე უკვე იყო ლაპარაკი ლენინის ბროშურაში, ხოლო მსჯელობას აქ უნდა შევეხოთ.

ახალი «ისკრის» აღნიშნული მსჯელობის ძირითად აზრს (ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ძირითად აზრნაკლებობას) წარმოადგენს ერობელებისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის განსხვავება. ეს განსხვავება წითელი ძაფივით გასდევს ორივე სტატიას, ამასთან დაკვირვებული მკითხველი ხედავს, რომ ტერმინის ბურჟუაზიული დემოკრატიის ნაცვლად და მასთან ერთად, როგორც თანაბარი მნიშვნელობისა, იხმარება ტერმინები: დემოკრატია, რადიკალური ინტელიგენცია (sic!*), ახლადფეხადგმული დემოკრატია, ინტელიგენტური დემოკრატია. ამ განსხვავებას ახალი «ისკრა», მისი დამახასიათებელი თავმდაბლობით, ასაღებს დიდ აღმოჩენად, ორიგინალურ კონცეფციად, «რომლის გაგებაც არ ძალუძს» საბრალო ლენინს. ამ განსხვავებას პირდაპირ უკავშირებენ ბრძოლის იმ ახალ მეთოდს, რომელზედაც ჩვენ ესოდენ ბევრი რამ გვსმენია ტროცკისგანაც და უშუალოდ «ისკრის» რედაქციისგანაც, — სახელდობრ: საერობო ლიბერალიზმი «იმისთვის თუ ვარგა, რომ იგი გაამათრახონ», ინტელიგენტური დემოკრატია კი ჩვენთან შეთანხმების დასადებად ვარგაო. დემოკრატია დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდეს როგორც დამოუკიდებელი ძალაო. «რუსეთის ლიბერალიზმი, რომელსაც წართმეული აქვს მისი ისტორიულად აუცილებელი ნაწილი, მისი მამოძრავებელი ნერვი (უსმინეთ!), მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნახევარი, იმისთვის თუღა ვარგა, რომ იგი გაამათრახონ». «რუსეთის ლიბერალიზმის» ლენინურ კონცეფციაში «ადგილი არ ჰქონია ისეთ საზოგადოებრივ ელემენტებს, რომლებზედაც სოციალ-დემოკრატიას შეეძლებოდა ოდესმე (!) თავისი ზემოქმედება მოეხდინა როგორც დემოკრატიის ავანგარდსაო».

* — ასეა! რ ე დ.

ასეთია ახალი თეორია. ისევე როგორც ახლანდელი «ისკრის» ყველა ახალი თეორია, იგი თავიდან ბოლომდე აბნეულობას წარმოადგენს. ჯერ-ერთი, უსაფუძვლო და სასაცილოა ინტელიგენტური დემოკრატიის აღმოჩენაში პრიორიტეტის დაჩემება. მეორეც, სწორი არ არის საერობო ლიბერალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთმანეთისაგან გარჩევა. მესამეც, უსაფუძვლოა ის აზრი, რომ ინტელიგენცია შეიძლება დამოუკიდებელი ძალა გახდეს. მეოთხეც, მართალი არ არის მტკიცება, რომ საერობო ლიბერალიზმი («ბურჟუაზიულ-დემოკრატიული» ნახევრის გამოკლებით) მხოლოდ გასამათრახებლად ვარგა და სხვ.. გავარჩიოთ ყველა ეს პუნქტი.

ლენინი თითქოს უგულებელყოფდა ინტელიგენტური დემოკრატიისა და მესამე ელემენტის წარმოშობას.

გადავშლით «ზარიას»[29] № 2—3*. ვიღებთ სწორედ იმ «შინაურ მიმოხილვას», საიდანაც ციტატი მოყვანილია სტაროვერის ფელეტონში. ვკითხულობთ მ ე ს ა მ ე გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ს ა თ ა უ რ ს: «მესამე ელემენტი». გადავფურცლავთ ამ განყოფილებას და ვკითხულობთ «ისეთ პირთა რიცხვისა და გავლენის ზრდაზე, რომელნიც ერობაში მსახურობენ ექიმებად, ტექნიკოსებად და სხვ.», ვკითხულობთ «ურჩ ეკონომიურ განვითარებაზე, რაც იწვევს ინტელიგენტების საჭიროებას, რომელთა რიცხვი თანდათან მატულობს», «ბიუროკრატიასთან და გამგეობების ავანჩავანებთან ამ ინტელიგენტთა კონფლიქტების გარდუვალობაზე», «უკანასკნელ ხანებში კი ამ კონფლიქტების პირდაპირ ეპიდემიურ ხასიათზე», «საერთოდ ინტელიგენციის ინტერესებთან თვითმპყრობელობის შეურიგებლობაზე», ვკითხულობთ ამ ელემენტებისადმი პ ი რ დ ა პ ი რ მ ო წ ო დ ე ბ ა ს სოციალ-დემოკრატიის «დროშის ქვეშ»...

ხომ კარგია? ახლადაღმოჩენილი ინტელიგენტური დემოკრატია და სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ მისი მოწო-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 349—359. რ ე დ.

დების აუცილებლობა სამი წლის წინათ «აღმოუჩენია» მავნე ლენინს!

რა თქმა უნდა, მაშინ ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ ყოფილა ერობელებისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის დაპირისპირება. მაგრამ ეს დაპირისპირება ისევე ჭკვიანურია, როგორც ის, რომ ჩვენ გვეთქვა: მოსკოვის გუბერნია და რუსეთის იმპერიის ტერიტორია. ცენზიანი ერობელები და თავადაზნაურობის წინამძღოლები დემოკრატები არიან, რამდენადაც ისინი თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გამოდიან. მათი დემოკრატიზმი შეზღუდული, ვიწრო და არათანამიმდევარია, ისევე როგორც შეზღუდული, ვიწრო და მეტ-ნაკლებად არათანამიმდევარია ყოველი ბურჟუაზიული დემოკრატიზმიც. «ისკრის» № 77-ის მეთაური ანალიზს უკეთებს ჩვენს ლიბერალიზმს და ჰყოფს მას შემდეგ ჯგუფებად: 1) მებატონე-მემამულეები; 2) ლიბერალი-მემამულეები; 3) ლიბერალური ინტელიგენცია, რომელიც ცენზიანი კონსტიტუციის მომხრეა, და 4) უკიდურესი მემარცხენე — დემოკრატიული ინტელიგენცია. ეს ანალიზი არასრული და აბნეულია, რადგან ინტელიგენტთა დაყოფა არეულია სხვადასხვა კლასებისა და ჯგუფების დაყოფასთან, რომელთა ინტერესებსაც ინტელიგენცია გამოხატავს. მემამულეთა ფართო ფენის ინტერესებს გარდა, რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიზმი ასახავს ვაჭართა და მრეწველთა, უმთავრესად საშუალო და წვრილ ვაჭართა და მრეწველთა მასის, აგრეთვე (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) გლეხობაში მსხვილ და წვრილ მეპატრონეთა მასის ინტერესებს. რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის ამ ყველაზე ფართო ფენის უგულებელყოფა პირველი ხარვეზია «ისკრის» ანალიზში. მეორე ხარვეზია იმის დავიწყება, რომ რუსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია არა შემთხვევით, არამედ აუცილებლად იშლება, თავისი პოლიტიკური პოზიციის მიხედვით, სამ ნაკადად: ოსვობოჟდენიელთა, სოციალისტ-რევოლუციურ და სოციალ-დემოკრატიულ ნაკადებად. ყველა ამ მიმართულებას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს და თვითეული გამოხატავს (თვით-

მპყრობელურ სახელმწიფოში შესაძლო გარკვეულობით) ბურჟუაზიული დემოკრატიის ზომიერი და რევოლუციური იდეოლოგების თვალსაზრისს და პროლეტარიატის თვალსაზრისს. იმაზე უფრო კურიოზული არაფერია, როგორც ახალი «ისკრის» გულუბრყვილო სურვილი: «დემოკრატია უნდა მოქმედებდეს როგორც დამოუკიდებელი ძალაო», ამასთან იქვე დემოკრატია გაიგივებულია რადიკალურ ინტელიგენციასთან! ახალ «ისკრას» დაავიწყდა, რომ რადიკალური ინტელიგენცია ანუ «დამოუკიდებელ ძალად» გადაქცეული ინტელიგენტური დემოკრატია, სწორედ ეს არის ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია»! სხვა «უკიდურესი მემარცხენე» ფრთა ჩვენს დემოკრატიულ ინტელიგენციას არც შეიძლებოდა ჰყოლოდა. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი ინტელიგენციის დამოუკიდებელ ძალაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ირონიულად ან სიტყვის მხოლოდ ბომბისტური მნიშვნელობით. ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისზე დგომა და «ოსვობოჟდენიეს» მარცხნით სვლა მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებისაკენ მიდიოდე და სხვაგან არსაით.

დასასრულ, კიდევ უფრო ნაკლებად უძლებს კრიტიკას ახალი «ისკრის» უკანასკნელი ახალი აღმოჩენა, სახელდობრ ის, რომ «ლიბერალიზმი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნახევრის გამოკლებით» მხოლოდ იმისათვის ვარგა, რომ იგი გაამათრახონ, რომ «უფრო გონივრულია უკუვაგდოთ ჰეგემონიის იდეა», თუ გარდა ერობელებისა ვერავის მივმართავთო. ყოველი ლიბერალიზმი ვარგა იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერდეს მას სწორედ იმდენად, რამდენადაც იგი ნამდვილად გამოდის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლად. ერთადერთი ბოლომდე თანამიმდევარი დემოკრატის, ე. ი. პროლეტარიატის მიერ ყველა არათანამიმდევარი (ე. ი. ბურჟუაზიული) დემოკრატისათვის სწორედ ეს მხარდაჭერა ახორციელებს ჰეგემონიის იდეას. ჰეგემონიის მხოლოდ წვრილბურჟუაზიული, ჩარჩული გაგება ხედავს მის

დედაარს შეთანხმებაში, ურთიერთაღიარებაში, სიტყვიერ პირობებში. პროლეტარული თვალსაზრისით ომში ჰეგემონია იმას ეკუთვნის, ვინც ყველაზე ენერგიულად იბრძვის, ვინც ყველა საბაბით სარგებლობს იმისათვის, რომ მტერს ლახვარი ჩასცეს, ვისი სიტყვაც საქმეს არ შორდება, ვინც, ამიტომ, არის დემოკრატიის იდეური ბელადი, რომელიც აკრიტიკებს ყოველგვარ ორჭოფობას *. უაღრესად ცდება «ისკრა», როცა ფიქრობს, რომ ორჭოფობა ბურჟუაზიული დემოკრატიის მორალური თვისებაა და არა პოლიტიკურ-ეკონომიური, როცა ფიქრობს, რომ შეიძლება მოინახოს და უნდა მოინახოს ორჭოფობის ისეთი საზომი, რომლის გ ა მ ო ნ ა ხ ვ ა მ დ ე ლიბერალიზმი მხოლოდ გამათრახების ღირსია, ხოლო რომლის შ ე მ დ ე გ ა ც იგი ღირსია შეთანხმებისა. სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ «წინასწარ განსაზღვრო დასაშვები სისაძაგლის ზომა». მართლაც, ჩაუფიქრდით შემდეგ სიტყვებს: ოპოზიციურ ჯგუფებთან შეთანხმების პირობად იმის წამოყენება, რომ მათ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო საარჩევნო უფლება ცნონ, იმას ნიშნავს, რომ «წარუდგინო მათ შენი მოთხოვნის დაუძლეველი რეაქტივი, დემოკრატიზმის ლაკმუსის ქაღალდი, და მათი პოლიტიკური ანგარიშის სასწორზე დასდო პროლეტარული ხელშეწყობის მთელი ღირებულება» (№ 78). რა ლამაზად არის დაწერილი! და რანაირად გსურს უთხრა ამ ლამაზი სიტყვების ავტორს, სტაროვერს: არკადი ნიკოლოზის-ძევ, მეგობარო, ნუ ლაპარაკობ ლამაზად! ბ-ნმა სტრუვემ ერთი კალმის მოსმით დაძლია სტაროვერის დაუძლეველი რეაქტივი, როცა «განთავისუფლების კავშირის» პროგრამაში საყოველთაო საარჩევნო უფლება ჩაწერა. და იმავე სტრუვეს სინამდვილეში უკვე არა

* შენიშვნა გამჭრიახი ახალისკრელისათვის. ჩვენ, ალბათ, გვეტყვიან, რომ პროლეტარიატის ენერგიული ბრძოლა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე გამოიწვევს გამარჯვების ნაყოფის უტილიზაციას ბურჟუაზიის მიერ. ჩვენ ვუპასუხებთ კითხვით: პროლეტარიატის პირობების შესრულების რა გარანტიაა შესაძლებელი, გარდა პროლეტარიატის დამოუკიდებელი ძალისა?

ერთხელ დაუმტკიცებია ჩვენთვის, რომ მთელი ეს პროგრამები ლიბერალებისათვის უბრალო ნაკუწი ქაღალდია, არა ლაკმუსისა, არამედ ჩვეულებრივი ქაღალდი, ვინაიდან ბურჟუაზიული დემოკრატისათვის სულ იოლი საქმეა დღეს ერთი დაწეროს, ხვალ კი მეორე. ეს თვისება ბევრ ისეთ ბურჟუაზიულ ინტელიგენტსაც კი ახასიათებს, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის მხარეზე გადმოდიან. ევროპისა და რუსეთის ლიბერალიზმის მთელი ისტორია გვიჩვენებს ასობით მაგალითს, რომ მისი სიტყვა საქმეს შორდება, და სწორედ ამიტომ გულუბრყვილობაა სტაროვერის მისწრაფება — გამოიგონოს დაუძლეველი ქაღალდის რეაქტივები.

ამ გულუბრყვილო მისწრაფებას მიჰყავს სტაროვერი იმ დიად იდეამდეც, რომ მხარდაჭერა ბურჟუებისათვის, რომლებიც საყოველთაო საარჩევნო უფლების თანახმანი არ არიან, მათს ბრძოლაში ცარიზმთან იმას ნიშნავს, რომ «არარაობად აქციო საყოველთაო საარჩევნო უფლების იდეა»! იქნებ სტაროვერმა კიდევ ერთი ლამაზი * ფელეტონი დაგვიწეროს და დაამტკი-

* კიდევ ერთი პატარა ნიმუში ჩვენი არკადი ნიკოლოზის-ძის პროზისა: «ყველა იმას, ვისაც უკანასკნელ წლებში უხდებოდა თვალყური ედევნებინა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, უეჭველია, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა გაძლიერებული დემოკრატიული მისწრაფება კონსტიტუციური თავისუფლების შეულამაზებელი იდეისაკენ, რომელიც განთავისუფლებულია ყველა იდეოლოგიური მეტხორცისაგან, ისტორიული წარსულის ყოველგვარი ნაშთისაგან. ეს მისწრაფება თავისებური რეალიზაცია იყო დემოკრატიის წრის მოლეკულურ ცვლილებათა ხანგრძლივი პროცესისა, მისი ოვიდიუსისებური გარდაქმნებისა, რომლებიც თავიანთი კალეიდესკოპური სიჭრელით იპყრობდნენ მთელ რიგ ერთმანეთის მომდევნო თაობათა ყურადღებასა და ინტერესს ორი ათეული წლის მანძილზე». სამწუხაროა, რომ ეს მართალი არ არის, რადგან თავისუფლების იდეას კი არ ათავისუფლებს, არამედ სწორედ აფერადებს იდეალიზმი ბურჟუაზიული დემოკრატიის უახლესი ფილოსოფოსებისა (ბულგაკოვი, ბერდიაევი, ნოვგოროდცევი და სხვ.. იხ. «იდეალიზმის პრობლემები» და «ნოვი პუტ»). აგრეთვე სამწუხაროა, რომ სტაროვერის, ტროცკისა და მარტოვის ყველა კალეიდესკოპურად ჭრელ ოვიდიუსისებურ გარდაქმნებს თანა სდევს გაშიშვლებული მისწრაფება ფრანზისაკენ.

ცოს, რომ, მხარს ვუჭერთ რა მონარქისტებს მათს ბრძოლაში თვითმპყრობელობასთან, ჩვენ არარად ვაქცევთ რესპუბლიკის «იდეას»? უბედურება სწორედ ის არის, რომ სტაროვერის აზრი უმწეოდ ტრიალებს პირობების, ლოზუნგების, მოთხოვნების, განცხადებების ჩარჩოებში და მხედველობიდან უშვებს ერთადერთ რეალურ კრიტერიუმს: ბრძოლაში ფაქტიური მონაწილეობის ზომას. აქედან პრაქტიკაში გარდუვალად გამოდის შეფარდება რადიკალური ინტელიგენციისა, რომელთანაც «შეთანხმება» შესაძლოდ ცხადდება. ინტელიგენცია, მარქსიზმის აბუჩად აგდებით, ცხადდება ლიბერალიზმის «მამოძრავებელ ნერვად» (და არა მოლაყბე მსახურად?). ფრანგი და იტალიელი რადიკალები ჯილდოვდებიან იმ ადამიანთა წოდებით, რომელთათვისაც უცხოა ანტიდემოკრატიული თუ ანტიპროლეტარული მოთხოვნები, თუმცა ყველამ იცის, რომ ამ რადიკალებს უამრავ შემთხვევაში უღალატნიათ თავიანთი პროგრამებისათვის და დაუბნელებიათ პროლეტარიატის შეგნება და თუმცა «ისკრის» იმავე ნომრის (№ 78) მომდევნო (მე-7) გვერდზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ, რომ იტალიაში მონარქისტები და რესპუბლიკელები «ერთად აღმოჩნდნენ სოციალიზმთან ბრძოლაში». სარატოველ ინტელიგენტთა (სანიტარული საზოგადოების) რეზოლუცია კანონმდებლობაში მთელი ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ «დემოკრატიის ნამდვილ ხმად» (!!) ცხადდება (№ 77). საერობო კამპანიაში პროლეტართა მონაწილეობის პრაქტიკულ გეგმას თან ახლავს რჩევა «დადებულ იქნას ერთგვარი შეთანხმება ოპოზიციური ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებთან» (ცნობილი შეთანხმება იმის შესახებ, რომ პანიკური შიში არ გამოვიწვიოთო). ლენინის შეკითხვაზე, თუ სად წავიდა სტაროვერის სანაქებო პირობები შეთანხმებისა, ახალი «ისკრის» რედაქციამ უპასუხა:

«ეს პირობები მუდამ უნდა ახსოვდეთ პარტიის წევრებს, და ეს უკანასკნელნი, რაკი იციან, თუ რა განსაზღვრულ პირობებშია პარტია თანახმა ფორმალურად დადოს პოლიტიკური შეთანხმებანი დემოკრატიულ პარტიას-

თან, მორალურად ვალდებული არიან კერძო შეთანხმებათა დროსაც, რომ-ლებზედაც ლაპარაკია წერილში, ზუსტად განასხვაონ ბურჟუაზიული ოპო-ზიციის საიმედო წარმომადგენლები — ნამდვილი დემოკრატები ლიბერალ მეწვრილმანეთაგან» *.

საფეხურიდან საფეხურზე. პარტიული შეთანხმების გვერ-დით (რომელიც ერთადერთი დასაშვებია, სტაროვერის რეზო-ლუციის მიხედვით) გაჩნდნენ კერძო შეთანხმებანი ცალკეულ ქალაქებში. ფორმალურ შეთანხმებათა გვერდით გაჩნდნენ მო-რალური შეთანხმებანი. «პირობებისა» და მათი «მორალური» სავალდებულო ხასიათის სიტყვიერი აღიარება საკმარისი აღ-მოჩნდა «საიმედო» და «ნამდვილი დემოკრატის» წოდების მი-ნიჭებისათვის, თუმცა ბავშვმაც კი იცის, რომ ათობით და ასობით ერობელი მოლაყბენი ყოველგვარ სიტყვიერ განცხა-დებას გააკეთებენ, რადიკალის პატიოსანი სიტყვითაც კი და-გარწმუნებენ, სოციალისტები ვართო, ოღონდ სოციალ-დემოკრატები დაამშვიდონ.

არა, პროლეტარიატი არ დათანხმდება ლოზუნგთა, განცხა-დებათა და შეთანხმებათა ამ თამაშზე. პროლეტარიატი არასო-დეს არ დაივიწყებს, რომ ბურჟუაზიული დემოკრატები არ შეიძლება საიმედო დემოკრატები იყვნენ. პროლეტარიატი მხარს დაუჭერს ბურჟუაზიულ დემოკრატიას არა იმ საფუძ-ველზე, რომ დადოს მასთან გარიგებანი, რათა პანიკური შიში არ გამოიწვიოს, არა იმ საფუძველზე, რომ მისი საიმედობა სჯეროდეს, არამედ მხარს დაუჭერს მაშინ და იმდენად, რო-

* იხ. მეორე სარედაქციო «წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი», რომელიც გამოცემულია აგრეთვე კონსპირაციულად («მხოლოდ პარტიის წევრებისათვის»), თუმცა მასში კონსპირაციული არაფერია. უაღრესად საგულისხმოა შევადაროთ მთელი რედაქციის ეს პასუხი პლესანოვის «კონს-პირაციულ» ბროშურას: «ჩვენი ტაქტიკის შესახებ ლიბერალური ბურჟუა-ზიის ცარიზმთან ბრძოლის მიმართ» (ჟენევა. 1905. წერილი ცენტრალური კომიტეტისადმი. მხოლოდ პარტიის წევრებისათვის). ჩვენ იმედი გვაქვს დავუბრუნდებით ორივე ამ ნაწარმოებს.

დესაც და რამდენადაც იგი ნამდვილად ებრძვის თვითმპყრობელობას. ასეთი მხარდაჭერა აუცილებელია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას პროლეტარიატის დამოუკიდებელი სოციალურ-რევოლუციური მიზნები.

«ვპერიოდ» № 3,
1905 წ. 24 (11) იანვარი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ

სტატია პირველი

ამ დღეებში ერთმა ლეგალურმა გაზეთმა აზრი გამოსთქვა, ახლა დრო არ არის აღვნიშნოთ იმ სხვადასხვა კლასთა ინტერესების «წინააღმდეგობანი», რომელნიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოდიანო. ეს აზრი ახალი როდია. მას ვხვდებით «ოსვობოჟდენიეს» და «რევოლუციონნაია როსსიის» ფურცლებზე, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ შენიშვნებით. ბუნებრივია, რომ ასეთი აზრი გაბატონებულია ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენელთა შორის. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, მათ შორის არ შეიძლება ამ საკითხზე ორი აზრი არსებობდეს. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ერთობლივმა ბრძოლამ არ უნდა დაავიწყებინოს და ვერ დაავიწყებინებს პროლეტარიატს მისი ინტერესებისა და შეძლებულ კლასთა ინტერესების მტრულ წინააღმდეგობას. ხოლო ამ წინააღმდეგობის გამორკვევა აუცილებლად მოითხოვს სხვადასხვა მიმართულების შეხედულებათა ღრმა განსხვავების გამორკვევას. აქედან, ცხადია, სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ იმ დროებით შეთანხმებაზე სხვა მიმართულებათა მომხრეებთან, რაც ჩვენი პარტიის მეორე ყრილობამ სოციალ-დემოკრატებისათვის დასაშვებად ცნო, — სოციალისტ-რევოლუციონერებთანაც და ლიბერალებთანაც.

სოციალ-დემოკრატები სოციალისტ-რევოლუციონერებს ჩვენი ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მემარცხენე ფრაქციის წარმომადგენლებად თვლიან. სოციალისტ-რევო-

ლუციონერები აღშფოთებული არიან ამით და ასეთ აზრში ხედავენ მხოლოდ და მხოლოდ ცუდ მისწრაფებას — დავამციროთ მოწინააღმდეგე, ეჭვი შევიტანოთ მის განზრახვათა სისპეტაკეში და მის კეთილსინდისიერებაში. ნამდვილად კი ასეთ აზრს არავითარ ეჭვთან საერთო არა აქვს რა, რადგან ეს არის მხოლოდ მარქსისტული დახასიათება სოციალისტ-რევოლუციონერების შეხედულებათა კლასობრივი წარმოშობისა და კლასობრივი ხასიათისა. რაც უფრო ნათლად და გარკვევით გამოსთქვამენ სოციალისტ-რევოლუციონერები თავიანთ შეხედულებებს, მით უფრო დასტურდება მათ შეხედულებათა მარქსისტული დახასიათება. ამ მხრივ უდიდეს ინტერესს წარმოადგენს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც დაბეჭდილია «რევ. როსსიის» № 46-ში.

პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას არა მარტო პრინციპების უფრო ნათლად ჩამოყალიბების მხრივ. პროგრესი ემჩნევა პრინციპების შინაარსსაც, პროგრესი ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ, დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ. სოციალისტ-რევოლუციონერების წინააღმდეგ მიმართული ჩვენი კრიტიკის ნაყოფი თვალწინ გვაქვს: კრიტიკამ აიძულა ისინი განსაკუთრებული ძალით აღენიშნათ თავიანთი სოციალისტური კეთილი განზრახვები და საერთო შეხედულებანი მარქსიზმთან. მით უფრო მკაფიოდ გამოირჩევა ძველ, ნაროდნიკულ, ბუნდოვან-დემოკრატიულ შეხედულებათა ნიშნები. იმას, ვინც წინააღმდეგობას გვისაყვედურებს (ერთი მხრივ სოციალისტ-რევოლუციონერთა სოციალისტური კეთილი განზრახვების აღიარება, ხოლო მეორე მხრივ მათი სოციალური ბუნების დახასიათება, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულისა), ჩვენ მოვაგონებთ, რომ ჯერ კიდევ კომუნისტურ მანიფესტში იყო გარჩეული არა მარტო წვრილბურჟუაზიული, არამედ ბურჟუაზიული სოციალიზმის ნიმუშებიც. სოციალისტად ყოფნის კეთილი განზრახვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ არსს როდი გამორიცხავს.

სოციალისტ-რევოლუციონერთა მსოფლმხედველობის სამი ძირითადი ნიშანი წარმოგვიდგება, როცა პროექტს ვეცნობით. ჯერ-ერთი, მარქსიზმის თეორიული შესწორებანი. მეორე — ნაროდნიკობის ნაშთი შეხედულებებში მშრომელ გლეხობასა და აგრარულ საკითხზე. მესამე — ასეთივე ნაშთი ნაროდნიკული აზრებისა რუსეთის მომავალი რევოლუციის ვითომდა არაბურჟუაზიულ ხასიათზე.

მე ვთქვი: მარქსიზმის შ ე ს წ ო რ ე ბ ა ნ ი-მეთქი. სწორედ ასეა. იდეათა მთელი ძირითადი მსვლელობა, პროგრამის მთელი აგებულება მოწმობს მარქსიზმის გამარჯვებას ნაროდნიკობაზე. ეს უკანასკნელი მაინც კიდევ ცოცხლობს (სულ უკანასკნელი მოდის რევიზიონიზმის შეშხაპუნების საშუალებით), მაგრამ მხოლოდ მარქსიზმის ნაწილობრივ «შესწორებათა» სახით. აიღეთ მთავარი ზოგადთეორიული შესწორება: კაპიტალიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეების ხელსაყრელი და არახელსაყრელი თანაფარდობის თეორია. ეს შესწორება, რამდენადაც იგი მარტო აბნეულობას არ წარმოადგენს, მარქსიზმში ძველი რუსული სუბიექტივიზმის შეტანაა. კაპიტალიზმის «შემოქმედებითი» ისტორიული მუშაობის აღიარება, იმის აღიარება, რომ იგი განასაზოგადოებს შრომას და ჰქმნის «სოციალურ ძალას», რომელსაც უნარი შესწევს გარდაქმნას საზოგადოება, ჰქმნის პროლეტარიატის ძალას, ასეთი აღიარება წარმოადგენს ნაროდნიკობასთან კავშირის გაწყვეტას და მარქსიზმზე გადასვლას. სოციალიზმის თეორიას საფუძვლად უდევს ეკონომიკისა და კლასობრივი დაყოფის ობიექტური განვითარება. შესწორება: «მრეწველობის ზოგიერთ დარგში, ხოლო მეტადრე მიწათმოქმედებაში, და მთელ ქვეყნებში» კაპიტალიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეების თანაფარდობა «სულ უფრო ნაკლებად ხელსაყრელი ხდება» (დახე, თურმე რა ყოფილა!). ეს არის განმეორება ჰერცისა და დავიდისა, ნიკ. — ონისა[30] და ვ. ვ-ისა მთელი მისი თეორიით «რუსეთში კაპიტალიზმის განსაკუთრებული ბედის შესახებ». საერთოდ რუსეთისა და განსაკუთრებით რუსეთის მიწათმოქმედების ჩამორჩენილობა წარმოგვიდგება უკვე არა როგორც

კაპიტალიზმის ჩამორჩენილობა, არამედ როგორც თვითმყოფობა, რომელიც ჩამორჩენილ თეორიებს ამართლებს. ისტორიის მატერიალურ გაგებასთან ერთად გამოსჭვივის ძველისძველი შეხედულება ინტელიგენციაზე, რომელსაც ვითომც ძალუძს აირჩიოს მეტად თუ ნაკლებად ხელსაყრელი გზები სამშობლოსათვის, და გახდეს კაპიტალიზმის კლასგარეშე მსაჯული და არა იმ კლასის გამომხატველი, რომელიც სწორედ იმ საფუძველზე წარმოიშობა, რომ კაპიტალიზმი არღვევს ცხოვრების ძველ ფორმებს. პირდაპირ ნაროდნიკულად გამოტოვებულია მხედველობიდან ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაცია რუსეთში განსაკუთრებით საზიზღარ ფორმებს იღებს წინაკაპიტალისტური ურთიერთობის ნაშთების არსებობის გამო.

ნაროდნიკული თეორია კიდევ უფრო ცხადად იჩენს თავს მსჯელობაში გლეხობის შესახებ. მთელ პროექტში განუსხვავებლად არის ნახმარი სიტყვები: მშრომელნი, ექსპლოატირებულნი, მუშათა კლასი, მშრომელთა მასა, ექსპლოატირებულთა კლასი, ექსპლოატირებულთა კლასები. ავტორები ამ უკანასკნელ გამოთქმას მაინც რომ ჩაფიქრებოდნენ, რომელიც მათ უცაბედად წამოსცდათ (კლასები), ისინი მიხვდებოდნენ, რომ კაპიტალიზმის დროს შრომობენ და ექსპლოატაციას განიცდიან არა მარტო პროლეტარები, არამედ წვრილი ბურჟუებიც. ჩვენს სოციალისტ-რევოლუციონერებზე იგივე უნდა ვთქვათ, რაც ლეგალურ ნაროდნიკებზე ვთქვით: მათ მოელოდათ პატივი — აღმოეჩინათ მსოფლიოში უნახავი კაპიტალიზმი უწვრილბურჟუაზიოდ. ისინი ლაპარაკობენ მშრომელ გლეხობაზე და თვალს არიდებენ იმ დამტკიცებულ, შესწავლილ, გამოანგარიშებულ, აწერილ, გადაღეჭილ ფაქტს, რომ ამ მშრომელ გლეხობაში ამჟამად უკვე უეჭველად სჭარბობს ჩვენში გლეხური ბურჟუაზია, რომ შეძლებულ გლეხობას, რომელსაც უეჭველად აქვს უფლება მშრომელის სახელწოდებას ატარებდეს, მაინც არ შეუძლია მუშების დაქირავებას შეელიოს და უკვე ახლა თავის ხელში უჭირავს გლეხობის მწარმოებელ ძალთა ნახევარზე მეტი.

ამ თვალსაზრისით მეტად კურიოზულია ის ამოცანა, რომელსაც სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ისახავს პროგრამა-მინიმუმში: «გამოყენებულ იქნას სოციალიზმის ინტერესებისათვის და ბურჟუაზიულ-მესაკუთრულ საწყისთა წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთის გლეხობის როგორც თემური, ისე საერთოდ შრომითი შეხედულებანი, ტრადიციები და ცხოვრების ფორმები, მეტადრე შეხედულება მიწაზე, როგორც ყველა მშრომელთა საერთო კუთვნილებაზე». ეს ამოცანა, ერთი შეხედვით, იმ თემურ უტოპიათა სრულიად უვნებელ, წმინდა აკადემიურ განმეორებად გეჩვენება, რომლებიც დიდი ხანია უარყოფილია თეორიითაც და ცხოვრებითაც. ნამდვილად კი აქ ჩვენს წინაშე დგას საჭირბოროტო პოლიტიკური კითხვა, რომლის გადაწყვეტას რუსეთის რევოლუცია უახლოეს მომავალში გვპირდება: ვინ ვის გამოიყენებს? რევოლუციური ინტელიგენცია, რომელსაც თავი სოციალისტური ჰგონია, გამოიყენებს ბურჟუაზიულ-მესაკუთრულ საწყისებთან ბრძოლის ინტერესებისათვის გლეხობის შრომითს შეხედულებებს? თუ ბურჟუაზიულ-მესაკუთრე და ამავე დროს მშრომელი გლეხობა გამოიყენებს რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის სოციალისტურ ფრაზეოლოგიას სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებისათვის?

ჩვენ ვფიქრობთ, განხორციელდება მეორე პერსპექტივა (მიუხედავად ჩვენი ოპონენტების ნებისა და შეგნებისა). ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი განხორციელდება, ვინაიდან ცხრა მეათედით იგი უკვე განხორციელდა. სწორედ «ბურჟუაზიულ-მესაკუთრე» (და ამავე დროს მშრომელმა) გლეხობამ უკვე გამოიყენა თავისი ინტერესებისათვის იმ ნაროდნიკული, დემოკრატიული ინტელიგენციის სოციალისტური ფრაზეოლოგია, რომელიც თავისი არტელებით, კოოპერაციებით, ბალახთესვით, გუთნებით, საერობო საწყობებით, ბანკებით ფიქრობდა ხელი შეეწყო «ცხოვრების შრომითი ტრადიციებისა და ფორმებისათვის», ნამდვილად კი ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას თემში. ამრიგად, რუსეთის ეკონომიურმა ისტორიამ უკვე დაამტკიცა ის, ფასაც ხვალ რუ-

სეთის პოლიტიკური ისტორია დაამტკიცებს. და შეგნებულა პროლეტარიატის მთელი ამოცანა ის არის, რომ სრულებითაც არ აიღოს ხელი ბურჟუაზიული მშრომელი გლეხობის პროგრესული და რევოლუციური მისწრაფების მხარისდაჭერაზე, მაგრამ ამავე დროს განუმარტოს სოფლის პროლეტარს ამ გლეხობის წინააღმდეგ ხვალინდელი ბრძოლის აუცილებლობა, განუმარტოს მას ნამდვილად სოციალისტური მიზნები, გათანაბრებითი სარგებლობის შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ოცნებათაგან განსხვავებით. ბურჟუაზიულ გლეხობასთან ერთად ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის, ხუცების, მემამულეების წინააღმდეგ, ქალაქის პროლეტარიატთან ერთად საერთოდ ბურჟუაზიის და კერძოდ ბურჟუაზიული გლეხობის წინააღმდეგ — აი სოფლის პროლეტარის ერთადერთი სწორი ლოზუნგი, აი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთადერთი სწორი აგრარული პროგრამა ახლანდელ მომენტში. სწორედ ასეთი აგრარული პროგრამა მიიღო ჩვენმა მეორე ყრილობამ. გლეხურ ბურჟუაზიასთან ერთად დემოკრატიის სასარგებლოდ, ქალაქის პროლეტართან ერთად სოციალიზმის სასარგებლოდ, — ამ ლოზუნგს სოფლის ღარიბები გაცილებით უფრო მტკიცედ შეითვისებენ, ვიდრე მონაროდნიკო სოციალისტ-რევოლუციონერთა ბრჭყვიალა, მაგრამ ყალბ ლოზუნგებს.

ახლა ჩვენ მივადექით მესამე პუნქტს პროექტის ზემოთ დასახული მთავარი პუნქტებიდან. მისმა ავტორებმა უკვე გაწყვიტეს კავშირი იმ თანამიმდევარ ნაროდნიკთა შეხედულებებთან, რომელნიც პოლიტიკური თავისუფლების წინააღმდეგი იყვნენ, რადგან მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ძალაუფლება ბურჟუაზიას გადასცესო. მაგრამ ნაროდნიკობის ნაშთები ძალიან მკაფიოდ იჩენს თავს, როდესაც პროექტი იძლევა თვითმპყრობელობისა და მისდამი სხვადასხვა კლასთა დამოკიდებულების დახასიათებას. და აქაც, — ისევე როგორც ყოველთვის, — ჩვენ ვხედავთ, რომ წვრილბურჟუაზიული რევოლუციური ინტელიგენციის პირველივე ცდები — ზუსტად ჩამოაყალიბოს სინამდვილის გაგება — გირდუვალად იწ-

ვევს იმის სრულ მხილებას, რომ მისი თვალსაზრისი წინააღმდეგობებით აღსავსე და მოძველებულია. (ამიტომ ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებთან დავა ყოველთვის უნდა გადაგვქონდეს სწორედ სინამდვილის გაგების საკითხზე, რადგან მხოლოდ ეს საკითხი ააშკარავებს მკაფიოდ ჩვენი ღრმა პოლიტიკური უთანხმოების მიზეზებს.)

«მსხვილ მრეწველთა და ვაჭართა კლასს, რომელიც უფრო რეაქციულია, ვიდრე სადმე სხვაგან, — ვკითხულობთ პროექტში, — უფრო და უფრო ძლიერ ესაჭიროება თვითმპყრობელობის მფარველობა პროლეტარიატის წინააღმდეგ»... ეს სწორი არ არის, რადგან ევროპაში არსად ისე არ იჩენს თავს მოწინავე ბურჟუების გულგრილობა მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმისადმი, როგორც ჩვენში. თვითმპყრობელობით უკმაყოფილება ბურჟუაზიაში ძლიერდება მიუხედავად პროლეტარიატისადმი შიშისა, — ნაწილობრივ თუნდაც იმიტომ, რომ პოლიციას მთელი თავისი უსაზღვრო ძალაუფლების მიუხედავად არ შეუძლია აღმოფხვრას მუშათა მოძრაობა. როდესაც მსხვილ მრეწველთა «კლასზე» ლაპარაკობს, პროექტი ურევს ბურჟუაზიის ქვეგანაყოფებსა და ფრაქციებს მთელ ბურჟუაზიას, როგორც კლასს. ეს მით უმეტეს არ არის სწორი, რომ სწორედ საშუალო და წვრილი ბურჟუების დაკმაყოფილება ყველაზე ნაკლებად შეუძლია თვითმპყრობელობას.

«...მემამულე თავადაზნაურობასა და სოფლის კულაკობას სულ უფრო ძლიერ ესაჭიროება ასეთივე დახმარება სოფლის მშრომელი მასების წინააღმდეგ»... დახე რა ყოფილა? საიდანღა წარმოსდგა საერობო ლიბერალიზმი? საიდანაა კულტუროსნული (დემოკრატიული) ინტელიგენციის მისწრაფება მეურნე გლეხისადმი და პირიქით? იქნებ კულაკს მეურნე გლეხთან საერთო არა აქვს რა?

«...თვითმპყრობელობის არსებობა შეურიგებელი და პროგრესულად გამწვავებული წინააღმდეგობით უპირდაპირდება ჩვენი ქვეყნის მთელ სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ზრდას»...

აი, უკვე აბსურდამდე მიიყვანეს თავიანთი დებულებანი! განა წარმოსადგენია ისეთი «შეურიგებელი წინააღმდეგობა» ქვეყნის მთელ სამეურნეო და სხვ. ზრდასთან, რომელიც მეურნეობაში მბრძანებელ კლასთა განწყობილებით არ გამოიხატებოდეს?? ორში ერთი. ა ნ თვითმპყრობელობა მართლაც შეურიგებელია ქვეყნის სამეურნეო ზრდასთან. მაშინ იგი შეურიგებელია მრეწველთა მ თ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს, ვაჭართა, მემამულეთა, მეურნე გლეხთა ინტერესებთანაც. სწორედ ამ კლასს რომ უპყრია ხელთ «ჩვენი» სამეურნეო ზრდა 1861 წლიდან, ეს ალბათ სოციალისტ-რევოლუციონერებსაც მოეხსენებათ (თუმცა ისინი ვ. ვ-საგან საწინააღმდეგოს სწავლობდნენ). რომ მთავრობას, რომელიც შეურიგებელია საერთოდ ბურჟუაზიის კლასთან, შეუძლია სპეკულაციას ეწეოდეს უთანხმოებით ბურჟუაზიის ფრაქციებსა და ფენებს შორის, ურიგდებოდეს პროტექციონისტებს ფრიტრედერთა წინააღმდეგ, ეყრდნობოდეს ერთ ფენას მეორის წინააღმდეგ და წლობითა და ათეულწლობით ეწეოდეს ასეთ ეკვილიბრისტიკას, — ამას გვასწავლის ევროპის მთელი ისტორია. ა ნ დ ა ჩვენში მრეწველებსაც, მემამულეებსაც და გლეხ ბურჟუებსაც «სულ უფრო ძლიერ ესაჭიროებათ» თვითმპყრობელობა. მაშინ უნდა აღიარო, რომ მათ, ქვეყნის სამეურნეო მპყრობელთ, არ ესმით, ერთად აღებულთაც კი, როგორც კლასს, ქვეყნის სამეურნეო ზრდის ინტერესები, რომ ეს ინტერესები ამ კლასებს მოწინავე, განათლებულ და ინტელიგენტ წარმომადგენლებსა და ბელადებსაც კი არ ესმით!

მაგრამ განა უფრო ბუნებრივი არ არის აღვიაროთ, რომ ჩვენს სოც.-რევოლუციონერებს არ ესმით საქმე? შეხედეთ: ცოტა ქვემოთ ისინი თვითონ აღიარებენ, რომ «არსებობს ლიბერალურ-დემოკრატიული ოპოზიცია, რომელიც მოიცავს უმთავრესად განათლებული საზოგადოების კლასობრივად შუალედ ელემენტებს». ნუთუ ჩვენი განათლებული საზოგადოება ბურჟუაზიული საზოგადოება არ არის? ნუთუ იგი ათასობით ძაფებით არ არის დაკავშირებული ვაჭრებთან, მრეწველებთან, მემამულეებთან, მეურნე გლეხებთან? ნუთუ რუ-

სეთს ღმერთმა ბედად არგუნა ისეთი კაპიტალიზმი, რომელშიც ლიბერალურ-დემოკრატიული ოპოზიცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ოპოზიციას არ წარმოადგენს? ნუთუ სოც.-რევოლუციონერებმა იციან ისეთი ისტორიული მაგალითი, ნუთუ მათ შეუძლიათ წარმოიდგინონ ისეთი შემთხვევა, რომ ბურჟუაზიის ოპოზიცია თვითმპყრობელობისადმი გამოიხატებოდეს ა რ ა ლიბერალური, განათლებული «საზოგადოების» მეშვეობით?

პროექტის აბნეულობა ნაროდნიკობისა და მარქსიზმის ერთმანეთში აღრევის გარდუვალი შედეგია. მხოლოდ მარქსიზმმა მოგვცა დემოკრატიისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თანაფარდობის მეცნიერულად სწორი ანალიზი, რომელსაც სინამდვილე სულ უფრო და უფრო ადასტურებს. ჩვენშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, არის დემოკრატია ბურჟუაზიული და დემოკრატია მუშური. ჩვენშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სოციალ-დემოკრატია ულმობლად უნდა ამხელდეს ბურჟუაზიული დემოკრატიის აუცილებელ ილუზიებს და მის მიერ თავისი ბუნების გაუგებლობას. ჩვენშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, შეგნებული პროლეტარიატი მხარს უნდა უჭერდეს ბურჟუაზიულ დემოკრატიას მის ოპოზიციაში და მის ბრძოლაში ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, თანაც ერთი წუთითაც არ ივიწყებდეს თავის კლასობრივ თავისებურებას და თავის კლასობრივ მიზანს — ბურჟუაზიის დამხობას.

«ვპერიოდ» № 3,
1905 წ. 24 (11) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

პეტერბურგის გაფიცვა

პუტილოვის ქარხანაში 3 იანვარს დაწყებული გაფიცვა მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უაღრესად დიადი გამოვლინების სახეს იღებს. ჩვენი ცნობები ჯერჯერობით საზღვარგარეთისა და ლეგალური რუსული გაზეთების მიერ გადმოცემული ამბებით ამოიწურება. მაგრამ ეს ამბებიც სავსებით უეჭველს ხდიან, რომ გაფიცვა უკვე უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენა გახდა.

გაფიცვის დასაწყისი წმინდა სტიქიური იყო. შრომის ერთ-ერთი ისეთი შეტაკება კაპიტალთან, როგორიც მუდამ მეორდება, ამჯერად იმის გამო მოხდა, რომ ადმინისტრაციამ ქარხნის ოთხი მუშა დაითხოვა. სოლიდარობის სულისკვეთებით გამსჭვალული მუშები აღდგნენ და მათი უკან მიღება მოითხოვეს. მოძრაობა სწრაფად განმტკიცდა. მასში მონაწილეობას იღებს ლეგალური საზოგადოება — «ფაბრიკა-ქარხნების რუს მუშათა საზოგადოება» [31], და გაფიცვა შემდგომს, უმაღლეს ფაზაში გადადის.

ლეგალური მუშათა საზოგადოება ზუბატოველთა განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა. და აი, ზუბატოვური მოძრაობა თავის ფარგლებს სცილდება და, პოლიციის მიერ პოლიციის ინტერესებისათვის, თვითმპყრობელობის ზურგის გამაგრებისათვის, მუშათა პოლიტიკური შეგნების გარყვნისათვის დაწყებულმა მოძრაობამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იბრუნა პირი და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის აფეთქებად იქცა იგი.

სოციალ-დემოკრატები უკვე დიდი ხანია აღნიშნავდნენ ჩვენი ზუბატოვობის ასეთი შედეგების გარდუვალობას. მუ-

შათა მოძრაობის ლეგალიზაცია — ამბობდნენ ისინი — უთუოდ სარგებლობას მოგვიტანს ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს. იგი მოძრაობაში ჩააბამს მუშათა ზოგიერთ, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ფენებს, იგი ხელს შეუწყობს იმათ შენჯღრევას, ვისაც სოციალისტი აგიტატორი მალე ვერ შეანჯღრევდა და შესაძლოა ვერასოდესაც ვერ შეანჯღრევდა. ხოლო რაკი მოძრაობაში ჩაებმიან, თავიანთი ბედის საკითხით დაინტერესდებიან, მუშები წინ გასწევენ. ლეგალური მუშათა მოძრაობა მხოლოდ ახალი, უფრო ფართო საფუძველი იქნება სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობისათვის *.

უეჭველია, რომ სწორედ ასე მოხდა პეტერბურგშიც.

ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი მოძრაობის განსაკუთრებით გაფართოებას: ჯერ-ერთი, ხელსაყრელმა მომენტმა ეკონომიური ბრძოლისათვის (მთავრობას ესაჭიროება სასწრაფოდ შეასრულოს სამხედრო და საზღვაო სამინისტროთა დაკვეთები); მეორეც, კონსტიტუციურმა გამოცოცხლებამ საზოგადოებაში. მუშებმა გაფიცვა ცალკეული დათხოვნილი ამხანაგების დასაცავად დაიწყეს და ფართო ეკონომიურ მოთხოვნებზე გადავიდნენ. მათ მოითხოვეს 8 საათის სამუშაო დღე, მინიმალური ხელფასი (1 მან. მამაკაცს და 70 კაპ. ქალს), ზედმეტ საათებში მუშაობის სავალდებულო ხასიათის მოსპობა (და ამ მუშაობის ორმაგად ანაზღაურება), სანიტარული პირობებისა და საექიმო დახმარების გაუმჯობესება და სხვა. გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

საზღვარგარეთის გაზეთები შაბათს 8 (21) იანვარს იუწყებიან, რომ ოფიციალური რუსული ცნობებითაც კი მუშაობა შეაჩერა 174 ქარხანამ, ფაბრიკამ და სახელოსნომ მუშების დაახლოებით 96 000 კაცის რაოდენობით.

ჩვენს წინაშეა ერთ-ერთი დიადი შეჯახება ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პროლეტართა კლასისა მის მტრებთან, შეჯახება, რომელიც თავის კვალს მრავალი წლით სტოვებს.

---

* შეადარე «რა ვაკეთოთ?» ნ. ლენინისა, გვ. 86 — 88. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 576 — 579. რ ე დ.

მაგრამ საქმე ეკონომიური მოთხოვნებით როდი განისაზღვრა. მოძრაობამ თანდათან პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მასში მონაწილეობის მიღება სცადეს (თუმცა, ვგონებ, ჯერ კიდევ ძალიან სუსტად) ადგილობრივმა სოც.-დემოკრატებმა. მუშათა უდიდეს კრებებზე, რომლებსაც რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა, დაიწყეს პოლიტიკურ მოთხოვნებზე მსჯელობა და კენჭს უყრიდნენ რეზოლუციებს პოლიტიკური თავისუფლების სასარგებლოდ. მუშების მიერ შემუშავებული პეტიცია, როგორც იუწყებიან, სამი ნაწილისგან შედგება[32]. პირველი ნაწილი შეიცავს ხალხისათვის უფლებათა მოთხოვნებს. მეორე — ხალხის სიღარიბესთან ბრძოლის ღონისძიებებს. მესამე — ღონისძიებებს კაპიტალის მიერ შრომის ჩაგვრის წინააღმდეგ. პირველი ნაწილის მოთხოვნებია: პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, კრებების, სინდისის თავისუფლება; სავალდებულო სასკოლო სწავლება სახელმწიფოს ხარჯზე, ხალხის არჩეულ წარმომადგენელთა მონაწილეობა კანონმდებლობაში, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, მინისტრების პასუხისმგებლობა, თავდასახსნელ გადასახდელთა გაუქმება, იაფი კრედიტი, სახელმწიფო მიწების თანდათანობით დარიგება ხალხისათვის, საშემოსავლო გადასახადი. (თუ ეს ცნობა სწორია, იგი მოწმობს, რა უაღრესად საინტერესოდ ასახულა მასის ან მისი ნაკლებად შეგნებული ბელადების გონებაში სოციალ-დემოკრატების პროგრამა.) ინგლისურ გაზეთ «The Standard»-ის * კორესპონდენტი იუწყება, რომ 5 (18) იანვარს სამი კრება იყო (ერთს 4 ათასი კაცი დაესწრო, მეორეს 2 000) და რომ მიღებულ იქნა ასეთი პოლიტიკური მოთხოვნები: 1) საყოველთაო კენჭისყრით არჩეული დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა; 2) ომის შეწყვეტა; 3) პოლიტიკურ გადასახლებულთა და პატიმართა სრული ამნისტია; 4) ბეჭდვითი სიტყვისა და სინდისის თავისუფლება; 5) კრებებისა და კავშირების თავისუფლება. საზღვარგარეთის 8 (21) იანვრის გაზეთები იუწყებიან, რომ კვირას 9 (22) იან-

* — «დროშა». რ ე დ.

ვარს მზადდება დემონსტრაცია ზამთრის სასახლის წინ, რათა პეტიცია მიართვან «თვით მეფეს». მუშები აცხადებენ: თავისუფლება ან სიკვდილიო. მუშათა დელეგატები მოსკოვიდან და ლიბავიდან პეტერბურგს იგზავნებიან.

ასეთია ის მცირეოდენი და ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობები, რომლებიც ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება. ცხადია, მოძრაობას ჯერ სრულებითაც არ მიუღწევია განვითარების უმაღლესი საფეხურისათვის და ამბებს უნდა დაველოდოთ, რათა სრული შეფასება მივცეთ იმას, რაც ამჟამად ხდება. თვალში გეცემა მოძრაობის გასაოცრად სწრაფი გადასვლა წმინდა ეკონომიური ნიადაგიდან პოლიტიკურ ნიადაგზე, ათეული და ასეული ათასობით პროლეტარიატის უდიდესი სოლიდარობა და ენერგია — და ყოველივე ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ არ არის ან სრულიად უმნიშვნელოა შეგნებული სოც.-დემ. ზეგავლენა. მოძრაობის ზოგიერთი ხელმძღვანელის სოციალისტურ შეხედულებათა პრიმიტიული ხასიათი, მუშათა კლასის ზოგიერთ ელემენტში მეფისადმი გულუბრყვილო რწმენის გამძლეობა კი არ ამცირებს, არამედ აძლიერებს პროლეტარიატის იმ რევოლუციური ინსტინქტის მნიშვნელობას, რომელიც გზას იკაფავს. მოწინავე ჩაგრული კლასის პოლიტიკური პროტესტი და მისი რევოლუციური ენერგია ძლევს ყველა დაბრკოლებას, გარეგანსაც — პოლიციურ აკრძალვათა სახით და შინაგანსაც — ზოგიერთი წინამძღოლის იდეების განუვითარებლობისა და ჩამორჩენილობის სახით. სოციალ-დემოკრატიის მუშაობამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში და მუშათა მოძრაობის გაკვეთილებმა ამ ხნის მანძილზე თავისი ნაყოფი გამოიღო, უაღრესად ფართოდ გაავრცელა სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის იდეები. პროლეტარიატი საქმით გვიჩვენებს, რომ რუსეთში პოლიტიკური მოძრაობის ასპარეზზე მარტო ორი ძალა (თვითმპყრობელობა და ბურჟუაზიული საზოგადოება) როდია, როგორც ზოგნი სულმოკლედ ფიქრობდნენ. პროლეტარიატი გვიჩვენებს რევოლუციური კლასობრივი ძალების მობილიზაციის ნამდვილად მაღალ ფორმებს; მობილიზაცია უკავშირდება,

ცხადია, არა მეორეხარისხოვან მანიფესტაციებს რომელიმე საქალაქო თვითმმართველობაში, არამედ მასობრივ მოძრაობებს, როგორიც იყო, მაგალითად, როსტოვის დემონსტრაცია და 1903 წლის სამხრეთის გაფიცვები. და პროლეტარიატის რევოლუციური ძალების ეს ახალი და უმაღლესი მობილიზაცია დევის ნაბიჯით გვიახლოებს მის კიდევ უფრო გადამწყვეტ, კიდევ უფრო შეგნებულ გამოსვლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად!

«ვპერიოდ» № 3,
1905 წ. 24 (11) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ჩვენი ტარტიუფები

«ისკრის» № 83-ში, რომელიც ახლახან მივიღეთ, მოთავსებულია მენშევიკებისა და ცენტრალური კომიტეტის განცხადება «უმცირესობის ორგანიზაციული განკერძოებულობის სრული შეწყვეტის» შესახებ. «უმცირესობა — გვარწმუნებენ — ალარ თვლის თავს მ ხ ა რ ე დ, და მომავალში ლაპარაკიც არ შეიძლება არც ცენტრალური კომიტეტის ბოიკოტზე, არც მისთვის ულ ტ ი მ ა ტ უ რ მ ო თ ხ ო ვ ნ ა თ ა წ ა ყ ე ნ ებ ა ზ ე». ოდნავ დაიგვიანა ამ განცხადებამ! პარტიამ ახლა იცის ლენინის ბროშურიდან («განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ» *), რომ პოპოვის, ფიშერისა და ფომინის კოოპტაციის «ულტიმატური მოთხოვნა» უ კ ვ ე შ ე ს რ უ ლ ებ უ ლ ი ა, მაგრამ ფარულად, პ ა რ ტ ი ი ს მ ო ტ ყ უ ე ბ ი თ. ულტიმატური მოთხოვნა ასეთივე მოტყუების გზით III ყრილობის ჩაშლის შესახებ აგრეთვე შესრულებულია. ადგილობრივი მუშაობის დეზორგანიზაცია გრძელდება, და ეგრეთწოდებულმა ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე დაამტკიცა სანკტ-პეტერბურგში («ისკრის» ცნობით) «გ ა ნ ს ა კ უ თ რ ებ უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა» ანუ ჯგუფი, «რადგან მის მრავალრიცხოვან (?) წევრთათვის აშკარად შეუძლებელია იმუშაონ ადგილობრივი კომიტეტის ხელმძღვანელობით».

ამრიგად, ყოველივე ის, რასაც «უმრავლესობა» ამბობდა და წინასწარმეტყველებდა, დაწყებული ლენინის «წერილით» («რატომ გამოვედი რედაქციიდან», 1903 წ. დეკემბერი**) და

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 661 — 673. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 131 — 139. რ ე დ.

დამთავრებული ორლოვსკის ბროშურით «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», ახლა მოვლენებით დადასტურებულია მ თ ლ ი ა-ნ ა დ და უ ე ჭ ვ ე ლ ა დ. წელიწად-ნახევრის ბრძოლის რეალური ობიექტი იყო ოთხი კაცის კოოპტაცია ცენტრალურ ორგანოში და სამისა — ცენტრალურ კომიტეტში. კოოპტაციის გულისათვის გამოიგონეს ორგანიზაცია-პროცესის თეორია და მთელი გროვა «პრინციპული» უთანხმოებანი. ამ კოოპტაციის გულისათვის ჩვენმა ცენტრებმა ახლა სრულებით გაწყვიტეს კავშირი პარტიასთან და წყვეტენ კავშირს ადგილობრივ კომიტეტებთან, თვითეულთან ცალ-ცალკე. სისწორე ჩვენი ლოზუნგისა: «უმრავლესობამ ყველა და ყოველგვარი ურთიერთობა უნდა შეწყვიტოს დეზორგანიზატორებთან» («ვპერიოდ» № 1, «დროა გავათაოთ»*) — სავსებით დასტურდება.

მეტად საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ადგილი «ისკრის» განცხადებიდან: «რწმუნებულთა (უმცირესობის) გადაწყვეტილება განსახილველად წარედგინა უმცირესობის ყველა მომხრეთ, რომელნიც მუშაობენ კიევის, ხარკოვის, დონის, ყუბანის, პეტერბურგის, ოდესის კომიტეტებში, დონეცისა და ყირიმის კავშირებში და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში». ამრიგად, თ ი თ ქ მ ი ს წ ე ლ ი წ ა დ-ნ ა ხ ე ვ რ ი ს გააფთრებული კამპანიის შემდეგ, ცენტრალური ორგანოს, საბჭოს და (მაისიდან დაწყებული) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით, საზღვარგარეთის წრემ მიიმხრო რ უ ს ე თ ი ს მ ხ ო ლ ო დ ხ უ თ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი II ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე ნ ა მ ყ ო ფ ი 20-დ ა ნ!**

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 24 — 29. რ ე დ.

** იმ კომიტეტებიდან, რომლებიც ყრილობაზე იყვნენ, მარტო კიევის კომიტეტი გადავიდა უმრავლესობიდან უმცირესობასთან, ე. ი. ყრილობაზე ორივე მისი დელეგატი ბოლშევიკი იყო, ახლა კი კომიტეტში მენშევიკები სჭარბობენ. პირიქით, ნიკოლაევისა და ციმბირის კომიტეტებში ორივე დელეგატი ყრილობაზე მენშევიკი იყო, ყრილობის შემდეგ კი ეს კომიტეტები უმრავლესობას მიემხრნენ. ყრილობაზე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის გაიყო (თითო დელეგატი იქ და აქ) ოდესის, დონის, უფის, მოსკოვის კომიტეტები. მათგან ახლა მხოლოდ ერთი კომიტეტია — დონისა — მენშევიკური.

კომიტეტებს გარეთ შესამჩნევი ჯგუფები, რომლებიც «ისკრაში» ჩამოთვლის ღირსი გახდნენ, შეიქმნა მხოლოდ ორ ქალაქში, პეტერბურგსა და ოდესაში. ყუბანის კომიტეტი, ეტყობა, სულ უკანასკნელ ხანს გამოაცხეს ორი ზედმეტი ხმის გულისათვის.

მაშასადამე, «ისკრა», უმცირესობის ორგანო, ახლა, იანვარში, ადასტურებს პარტიული საქმეების იმ დახასიათების სისწორეს, რომელიც სექტემბერში მოგვცა მეორე მენშევიკმა. სახელდობრ, ცენტრალური კომიტეტის აგენტი, უმცირესობის თანამგრძნობი და ამჟამად ცენტრალურ კომიტეტში კოოპტირებული, სწერდა სექტემბერში ცენტრალური კომიტეტის წევრს გლებოვს, რომ «რ უ ს ე თ შ ი უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა უ ძ ლ უ რ ი ა», რომ მას მხოლოდ ო თ ხ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი უჭერს მხარს. საზღვარგარეთის წრის სწორედ ამ უძლურებამ მოახდენინა მას ბონაპარტისტული გადატრიალება ცენტრალურ კომიტეტში და უარაყოფინა, მოტყუების გზით, III ყრილობა

«ვპერიოდ» № 3,
1905 წ. 24 (11) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

რევოლუციის დასაწყისი რუსეთში

ჟენევა, ოთხშაბათი 25 (12) იანვარი.

უდიდესი ისტორიული ამბები ხდება რუსეთში. პროლეტარიატი აჯანყდა ცარიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატი მთავრობამ მიიყვანა აჯანყებამდე. ახლა არა გვგონია შეიძლებოდეს ეჭვის მიტანა, რომ მთავრობამ განზრახ მიუშვა თავის ნებაზე საგაფიცვო მოძრაობის შედარებით დაუბრკოლებლივ განვითარება და ხელი არ შეუშალა ფართო დემონსტრაციის დაწყებას, რადგან სურდა სამხედრო ძალის გამოყენებამდე მიეყვანა საქმე. და კიდევაც მიიყვანა საქმე აქამდე! ათასობით მოკლული და დაჭრილი — ასეთია პეტერბურგის 9 იანვრის სისხლიანი კვირის ჯამი. ჯარმა დაამარცხა უიარაღო მუშები, ქალები და ბავშვები. ჯარმა მტერს სძლია და მიწაზე მწოლარე მუშები დახვრიტა. «ჩვენ მათ კარგი გაკვეთილი მივეცითო!» წარმოუდგენელი ცინიზმით ამბობენ ახლა მეფის მსახურნი და მათი ევროპელი ლაქიები კონსერვატიული ბურჟუაზიიდან.

დიახ, გაკვეთილი დიდი იყო! რუსეთის პროლეტარიატი ამ გაკვეთილს არ დაივიწყებს. მუშათა კლასის ყველაზე მოუმზადებელმა, ყველაზე ჩამორჩენილმა ფენებმა, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯეროდათ მეფისა და გულწრფელად სურდათ «თვით მეფისათვის» მშვიდობიანად გადაეცათ დატანჯული ხალხის თხოვნა, ყველამ მიიღო გაკვეთილი სამხედრო ძალისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფე ან მეფის ბიძა, დიდი მთავარი ვლადიმერი.

მუშათა კლასმა სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი მიიღო; პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთ დღეს ისეთი ნაბიჯი გადადგა, როგორსაც იგი უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებსა და წლებში ვერ გადადგამდა. პეტერბურგის გმირი პროლეტარიატის ლოზუნგი: «სიკვდილი ან თავისუფლება!» ახლა მთელ რუსეთს ედება. მოვლენები განსაცვიფრებელი სისწრაფით ვითარდება. პეტერბურგში საყოველთაო გაფიცვა იზრდება. მთელი სამრეწველო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება პარალიზებულია. ორშაბათს 10 იანვარს მუშების შეტაკება ჯართან უფრო გააფთრებული ხდება. მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ცრუ ცნობების მიუხედავად, სისხლი იღვრება სატახტო ქალაქის მრავალ და მრავალ ნაწილში. ფეხზე დგებიან კოლპინის მუშები. პროლეტარიატი იარაღდება და ხალხს აიარაღებს. ამბობენ, მუშებმა ხელთ იგდეს სესტრორეცკის იარაღის საწყობიო. მუშები იძენენ რევოლვრებს, იარაღს იჭედავენ თავიანთი ინსტრუმენტებიდან, შოულობენ ბომბებს, რათა თავდადებით იბრძოლონ თავისუფლებისათვის. საყოველთაო გაფიცვა პროვინციებს ედება. მოსკოვში 10 000 მუშამ უკვე მიატოვა სამუშაო. ხვალისათვის (ხუთშაბათი, 13 იანვარი) დანიშნულია საყოველთაო გაფიცვა მოსკოვში. ამბოხებამ იფეთქა რიგაში. მანიფესტაციას მართავენ მუშები ლოძში, მზადდება ვარშავის აჯანყება, პროლეტარიატის დემონსტრაციები ხდება ჰელსინგფორსში. ბაქოში, ოდესაში, კიევში, ხარკოვში, კოვნოსა და ვილნოში იზრდება მუშათა მღელვარება და ფართოვდება გაფიცვა. სევასტოპოლში იწვის საზღვაო უწყების საწყობები და არსენალი, და ჯარი უარს აცხადებს ესროლოს აჯანყებულ მატროსებს. გაფიცვაა რეველსა და სარატოვში. მუშებსა და სათადარიგოებს შეიარაღებული შეტაკება უხდებათ ჯართან რადომში.

რევოლუცია ფართოვდება. მთავრობა უკვე აქეთ-იქით აწყდება. სისხლისმღვრელი რეპრესიის პოლიტიკიდან იგი სინჯავს გადავიდეს ეკონომიურ დათმობებზე და თავი დაიძვრინოს ნასუფრალის მიგდებით ან ცხრა საათის სამუშაო დღის დაპირებით. მაგრამ სისხლიანი დღის გაკვეთილმა არ შეიძლე-

ბა ამაოდ ჩაიაროს. აჯანყებულ პეტერბურგელ მუშათა მოთხოვნა — დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე — ყველა გაფიცულ მუშათა მოთხოვნად უნდა გახდეს. მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობა — აი ის ლოზუნგი, რითაც უპასუხეს 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტას იმ პეტერბურგელმა მუშებმაც კი, რომლებსაც მეფისა სჯეროდათ, უპასუხეს თავისი ბელადის, მღვდელ გიორგი გაპონის პირით, რომელმაც ამ სისხლიანი დღის შემდეგ სთქვა: «ჩვენ მეფე აღარა გვყავს. სისხლის მდინარე აშორებს მეფეს ხალხისაგან. გაუმარჯოს თავისუფლებისათვის ბრძოლას!»

გაუმარჯოს რევოლუციურ პროლეტარიატს! ვიტყვით ჩვენ. საყოველთაო გაფიცვა ფეხზე აყენებს და რაზმავს მუშათა კლასისა და ქალაქის ღარიბთა სულ უფრო ფართო მასებს. ხალხის შეიარაღება რევოლუციური მომენტის ერთ-ერთი უახლოესი ამოცანა ხდება.

მხოლოდ შეიარაღებული ხალხი შეიძლება იყოს ხალხის თავისუფლების ნამდვილი ბურჯი. და რაც უფრო მალე მოახერხებს შეიარაღებას პროლეტარიატი, რაც უფრო დიდხანს გაძლებს იგი თავის საომარ პოზიციაზე — გაფიცული რევოლუციონერის პოზიციაზე, მით უფრო მალე შედრკება ჯარი, მით უფრო მეტი აღმოჩნდებიან ჯარისკაცებს შორის ისეთი ადამიანები, რომლებიც, ბოლოს, მიხვდებიან, თუ რას აკეთებენ, მიემხრობიან ხალხს მტარვალთა წინააღმდეგ, ტირანის წინააღმდეგ, უიარაღო მუშებისა და მათი ცოლ-შვილის მკვლელთა წინააღმდეგ. როგორც უნდა დამთავრდეს ახლანდელი აჯანყება თვით პეტერბურგში, იგი მაინც აუცილებლად და გარდუვალად გახდება პირველი საფეხური უფრო ფართო, უფრო შეგნებული, უფრო მომზადებული აჯანყებისათვის. მთავრობამ იქნებ მოახერხოს და გადადოს ზღვევის ჟამი, მაგრამ გადადება მხოლოდ უფრო გრანდიოზულს გახდის რევოლუციური შეტევის შემდეგ ნაბიჯს. ამ გადადებით სოციალ-დემოკრატია მხოლოდ ისარგებლებს იმისათვის, რომ შეამჭიდროოს ორგანიზებულ მებრძოლთა რიგები და გაავრცელოს პეტერბურგელ

მუშათა თაოსნობის ამბავი. პროლეტარიატი თანდათან შეუერთდება ბრძოლას, მიატოვებს ფაბრიკებსა და ქარხნებს, მოიმზადებს საჭურველს. ქალაქის ღარიბთა წრეში, მილიონობით გლეხობის წრეში სულ უფრო ფართოდ შეიჭრება თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგები. რევოლუციური კომიტეტები დაარსდება ყოველ ფაბრიკაში, ქალაქის ყოველ რაიონში, ყოველ მნიშვნელოვან სოფელში. აჯანყებული ხალხი შეუდგება მეფის თვითმპყრობელობის ყველა და ყოველგვარ სამთავრობო დაწესებულებათა დამხობას და გამოაცხადებს დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას.

მუშებისა და საერთოდ ყველა მოქალაქეთა დაუყოვნებლივ შეიარაღება, რევოლუციური ძალების მომზადება და ორგანიზაცია მთავრობის ხელისუფალთა და დაწესებულებათა მოსასპობად — აი პრაქტიკული საფუძველი, რომელზედაც შეუძლიათ გაერთიანდნენ და უნდა გაერთიანდნენ საერთო იერიშისათვის ყველა და ყოველგვარი რევოლუციონერები. პროლეტარიატი ყოველთვის უნდა მიდიოდეს თავისი დამოუკიდებელი გზით, ამასთან არ ასუსტებდეს თავის კავშირს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, მას უნდა ახსოვდეს თავისი დიადი საბოლოო მიზნები — მთელი კაცობრიობის ხსნა ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული პარტიის ეს დამოუკიდებლობა ვერასოდეს ვერ დაგვავიწყებს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საერთო რევოლუციური შეტევა ახლანდელი რევოლუციის მომენტში. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, შეგვიძლია მივდიოდეთ და უნდა მივდიოდეთ ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციონერთაგან დამოუკიდებლად, ვიცავდეთ პროლეტარიატის კლასობრივ დამოუკიდებლობას, მაგრამ ჩვენ ხელიხელჩაკიდებულნი უნდა მივდიოდეთ აჯანყების დროს, როდესაც პირდაპირი იერიშები მიგვაქვს ცარიზმზე, ჯარების მოგერიების დროს, მთელი რუსი ხალხის წყეული მტრის ბასტილიებზე თავდასხმების დროს.

მთელი რუსეთის პროლეტარიატს უდიდესი მოუთმენლობით შესცქერის ახლა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი. რუ-

სეთში ცარიზმის დამხობა, რაც გმირულად დაიწყო ჩვენმა მუშათა კლასმა, შემობრუნების პუნქტი იქნება ყველა ქვეყნის ისტორიაში, ყველა მუშის საქმის შემსუბუქება იქნება ყველა ერში, ყველა სახელმწიფოში, დედამიწის ყველა კუთხეში. და დაე ყოველ სოციალ-დემოკრატს, ყოველ შეგნებულ მუშას ახსოვდეს, თუ საყოველთაო სახალხო ბრძოლის რა უდიდესი ამოცანები აკისრია მას ამჟამად. ნუ დაივიწყებს, რომ იგი აგრეთვე მთელი გლეხობის, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელი მასის, მთელი ხალხის საჭიროებასა და ინტერესებს წარმოადგენს ხალხის საერთო მტრის წინააღმდეგ. ახლა ყველას თვალწინ უდგას პეტერბურგის გმირ პროლეტართა მაგალითი.

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს აჯანყებულ პროლეტარიატს.

«ვპერიოდ» № 4,
1905 წ. 31 (18) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

რევოლუციური დღეები

დაბეჭდილია 1905 წ. 31 (18) იანვარს
გაზეთ «ვპერიოდში» № 4

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია ხელნაწერთან

1

რა ხდება რუსეთში?

ჯანყი თუ რევოლუცია? ასეთია კითხვა, რასაც თავიანთ თავს უყენებენ ევროპელი ჟურნალისტები და რეპორტიორები, რომლებიც მთელ მსოფლიოს აუწყებენ პეტერბურგის ამბებს და ცდილობენ შეფასება მისცენ მათ. მოჯანყეები თუ ინსურგენტები არიან ეს ათეული ათასობით პროლეტარები, რომელთა წინააღმდეგაც ძლევამოსილად გამოვიდა მეფის ჯარი? და საზღვარგარეთის გაზეთებს, რომლებსაც ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ, რომ «გარედან», მემატიანეთა მიუკერძებლობით, განიხილავდნენ ამბებს, უძნელდებათ პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. ისინი მუდამ ერთი ტერმინოლოგიიდან მეორეზე გადადიან. არც გასაკვირველია. ტყუილად კი არ ამბობენ, რევოლუცია გამარჯვებული ჯანყია, ხოლო ჯანყი დამარცხებული რევოლუცია არისო. ვინც დიდი და გრანდიოზული ამბების დაწყებას ესწრება, ვისაც შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მეტად არასრულად, არაზუსტად, მესამე პირთაგან იცოდეს ზოგი რამ იქიდან, რაც ხდება, — ის, რა თქმა უნდა, ვერ ბედავს აზრის გამოთქმას გარკვეულ დრომდე. ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც ძველებურად ლაპარაკობენ ჯანყის, ამბოხის, არეულობის შესახებ, ამავე დროს არ შეიძლება არ ხედავდნენ მათს ზოგადნაციონალურ და თვით საერთაშორისო მნიშვნელობას, ამბებსაც ხომ სწორედ ეს აძლევს რევოლუციის ხასიათს. და ისინი, რომლებიც ჯანყის უკანასკნელი დღეების შესახებ წერენ, უნებლიეთ გადადიან სიტყვებზე რევოლუციის პირველი დღეების შესახებ. დადგა

შემობრუნების პუნქტი რუსეთის ისტორიაში. ამას არ უარყოფს ყველაზე თავგამოდებული ევროპელი კონსერვატორი, რომელიც აღტაცებითა და გრძნობამორევით შეჰყურებს სრულიად რუსეთის თვითმპყრობელობის მძლავრ, უკონტროლო ძალაუფლებას. თვითმპყრობელობასა და ხალხს შორის მშვიდობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რევოლუციის შესახებ ლაპარაკობენ არა მარტო რომელიღაც თავზეხელაღებული ადამიანები, არა მარტო «ნიჰილისტები», რადაც ევროპა ჯერ კიდევ თვლის რუსეთის რევოლუციონერებს, არამედ ყველა და ყოველი, ვისაც კი რამდენადმე შესწევს მსოფლიო პოლიტიკით დაინტერესების უნარი.

რუსეთის მუშათა მოძრაობა რამდენიმე დღეში უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იგი ჩვენს თვალწინ საერთო სახალხო აჯანყებად იზრდება. გასაგებია, რომ ჩვენ აქ, ჟენევაში, ჩვენი წყეული შორეთიდან უზომოდ გვიძნელდება ამბებისათვის თვალის მიდევნება. მაგრამ, სანამ ჯერ კიდევ იძულებული ვართ გული გველეოდეს ამ წყეულ შორეთში, უნდა ვცდილობდეთ თვალყური ვადევნოთ ამბებს, შევაჯამოთ შედეგები, გავაკეთოთ დასკვნები, დღევანდელი ისტორიის გამოცდილებიდან შევითვისოთ გაკვეთილები, რომლებიც გამოგვადგება ხვალ, სხვა ადგილას, სადაც დღეს ჯერ კიდევ «სდუმს ხალხი» და სადაც უახლოეს მომავალში ამა თუ იმ ფორმით იფეთქებს რევოლუციური ხანძარი. ჩვენ უნდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევდეს მოძრაობის უშუალო მონაწილეებს და გმირ-პროლეტარებს იქ, მოქმედების ადგილზე, — ვწეროთ ისე, რომ ხელი შევუწყოთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვცენ ყველაზე დიდი და ყველაზე მტკიცე შედეგები.

რევოლუციების ისტორიაში მეღავნდება წინააღმდეგობანი, რომლებიც ათეული წლობით და საუკუნეობით მწიფდება.

ცხოვრება არაჩვეულებრივ მდიდარი ხდება. პოლიტიკურ სცენაზე აქტიურ მებრძოლად გამოდის მასა, რომელიც მუდამ ჩრდილში დგას და რომელსაც ამიტომ ხშირად უგულებელყოფენ ან აბუჩადაც კი იგდებენ ზერელე მეთვალყურეები. ეს მასა პრაქტიკაზე სწავლობს, ყველას თვალწინ დგამს საცდელ ნაბიჯებს, სინჯავს გზას, სახავს ამოცანებს, ამოწმებს თავის თავს და ყველა თავისი იდეოლოგების თეორიებს. ეს მასა გმირული ძალღონით ცდილობს ავიდეს ისტორიის მიერ მისთვის დაკისრებული გიგანტური მსოფლიო ამოცანების სიმაღლეზე და, რაც უნდა დიდი იყოს ცალკეული დამარცხებანი, რანაირადაც უნდა გვაძრწუნებდეს სისხლის ღვარები და ათასობით მსხვერპლი, — არაფერი და არასოდეს არ შეედრება თავისი მნიშვნელობით მასებისა და კლასების ამ უშუალო აღზრდას თვით რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში. ამ ბრძოლის ისტორიის გაზომვა დღეებით გვიხდება. და ზოგიერთმა საზღვარგარეთის გაზეთმა ტყუილად როდი შემოიღო უკვე «რუსეთის რევოლუციის დღიური». ასეთი დღიური ჩვენც შემოვიღოთ.

2

ხუცესი გაპონი

ხუცესი გაპონი რომ პროვოკატორია, ამ მოსაზრებას თითქოს ის ფაქტი მოწმობს, რომ იგი ზუბატოველთა საზოგადოების მონაწილე და მოთავეა. შემდეგ, საზღვარგარეთული გაზეთები, ჩვენი კორესპონდენტების მსგავსად, აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ პოლიციამ საგაფიცვო მოძრაობას განზრახ მიუშვა სადავე, რათა უფრო ფართოდ და უფრო თავისუფლად განვითარებულიყო იგი, და, საერთოდ, მთავრობას (და განსაკუთრებით დიდ მთავარს ვლადიმერს) უ ნ დ ო დ ა ხოცვა-ჟლეტა გამოეწვია თავისთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებში. ინგლისელი კორესპონდენტები იმასაც კი აღნიშნავენ, რომ სწორედ ზუბატოველთა ენერგიული მონაწილეობა მოძრაობაში განსაკუთრებით ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მთავრობისათვის საქმის ასეთი ვითარების დროს. რევოლუციურ ინტელიგენციასა და შეგნებულ პროლეტარებს, რომლებმაც, ალბათ, ყველაზე უმალ მოიმარაგეს იარაღი, არ შეეძლოთ არ მორიდებოდნენ ზუბატოვურ მოძრაობას, არ შეეძლოთ განზე არ გასდგომოდნენ მას. ამრიგად მთავრობის ხელები განსაკუთრებით თავისუფალი ჰქონდა და იგი წაუგებელ თამაშს ეწეოდა: დემონსტრაციაზე წავლენ ყველაზე მშვიდობიანი, ყველაზე ნაკლებ ორგანიზებული, ყველაზე უბირი მუშები; მათთან გასწორება ჩვენი ჯარისათვის იოლია, პროლეტარიატს კი კარგ გაკვეთილს მივცემთ; ქუჩაში ყველასი და თვითეულის დახვრეტისათვის საბაბი ჩინებული იქ-

ნება; მეფის კარზე რეაქციული (ანუ დიდი მთავრის) პარტიის გამარჯვება ლიბერალებზე სრული იქნება; ამას უაღრესად მძვინვარე რეპრესია მოჰყვებაო.

ინგლისური გაზეთებიც და კონსერვატიული გერმანული გაზეთებიც აშკარად მიაწერენ მთავრობას (ან ვლადიმერს) მოქმედების ასეთ გეგმას. სავსებით შესაძლოა, რომ ეს სიმართლეა. 9 იანვრის სისხლიანი დღის ამბები შესანიშნავად ადასტურებენ ამას. მაგრამ ასეთი გეგმის არსებობა ოდნავადაც არ გამორიცხავს იმასაც, რომ ხუცესი გაპონი შეიძლება შ ე უ ც ნ ო ბ ლ ა დ ყოფილიყო ასეთი გეგმის იარაღი. რუსეთის ახალგაზრდა სამღვდელოების გარკვეულ ნაწილში ლიბერალური, რეფორმატორული მოძრაობის არსებობა ეჭვს არ იწვევს: ამ მოძრაობამ გამომხატველები ჰპოვა რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების კრებებზედაც და საეკლესიო ლიტერატურაშიც. ამ მოძრაობამ თავისი სახელწოდებაც კი მიიღო: «ახალმართლმადიდებლური» მოძრაობა. ამიტომ არ შეიძლება უთუოდ გამოირიცხოს აზრი, რომ ხუცესი გაპონი შეიძლება ყოფილიყო გულწრფელი ქრისტიანი სოციალისტი, რომ სწორედ სისხლიანმა კვირამ დააყენა იგი სავსებით რევოლუციურ გზაზე. ჩვენ ამ მოსაზრებას ვეთანხმებით, მით უმეტეს, რომ გაპონის წერილები, რომლებიც მან 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დაწერა იმის შესახებ, რომ «მეფე არა გვყავსო», მისი მოწოდება თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ და სხვ., — ყოველივე ეს ფაქტებია, რომლებიც მოწმობენ მის პატიოსნებასა და გულწრფელობას, რადგან პროვოკატორის ამოცანად უკვე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო ასეთი მძლავრი აგიტაცია აჯანყების განგრძობისათვის.

ასეა თუ ისე, სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა ახალი წინამძღოლის მიმართ თავისთავად ისახებოდა: საჭიროა ფრთხილი, მომლოდინე, უნდობელი დამოკიდებულება ზუბატოველისადმი. საჭიროა ყოველ შემთხვევაში ენერგიული მონაწილეობა დაწყებულ (თუნდაც ზუბატოველის მიერ დაწყებულ) საგაფიცვო მოძრაობაში, სოციალ-დემოკრატიული შეხედუ-

ლებებისა და ლოზუნგების ენერგიული ქადაგება. ასეთ ტაქტიკას ადგნენ, როგორც ზემომოყვანილი წერილებიდან ჩანს, ჩვენი ამხანაგებიც რსდმპ პეტერბურგის კომიტეტიდან [33]. რაც უნდა «ხერხიანი» ყოფილიყო მეფის კარის რეაქციული ხროვის გეგმები, პროლეტარების, როგორც მთელი ხალხის ავანგარდის, კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური პროტესტის სინამდვილე ბევრად უფრო ხერხიანი აღმოჩნდა. პოლიციური ან სამხედრო გეგმები რომ მთავრობის წინააღმდეგ შეტრიალდნენ, ზუბატოვობიდან, როგორც წვრილმანი საბაბიდან, ფართო, დიდი, სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობა რომ გაიზარდა, — ეს ფაქტია. მუშათა კლასის რევოლუციური ენერგია და რევოლუციური ინსტინქტი შეუკავებელი ძალით გამომჟღავნდნენ, მიუხედავად პოლიციის ყოველგვარი ფანდებისა და ხრიკებისა.

3

პეტერბურგის ბრძოლის გეგმა

ერთი შეხედვით უცნაურია ლაპარაკი ბრძოლის შესახებ, როცა უიარაღო მუშები მშვიდობიანად მიდიოდნენ პეტიციის მისართმევად. ეს ხოცვა-ჟლეტა იყო. მაგრამ მთავრობა სწორედ ბრძოლას ვარაუდობდა და, უეჭველია, სავსებით მოფიქრებული გეგმით მოქმედებდა. იგი სამხედრო თვალსაზრისით იხილავდა პეტერბურგისა და ზამთრის სასახლის დაცვას. მან მიიღო ყველა სამხედრო ღონისძიება. მან ყველა სამოქალაქო ხელისუფალი მოიშორა და მილიონნახევრიანი სატახტო ქალაქი სრულ განკარგულებაში გადასცა ხალხის სისხლის მოწყურებულ გენერლებს დიდი მთავრის ვლადიმერის მეთაურობით.

მთავრობამ განზრახ მიიყვანა პროლეტარიატი აჯანყებამდე, გამოიწვია ბარიკადების აშენება უიარაღოთა გაჟლეტით, რათა ეს აჯანყება სისხლის მორევში ჩაეხრჩო. პროლეტარიატი ისწავლის მთავრობის ამ სამხედრო გაკვეთილებს. და პროლეტარიატი შეისწავლის სამოქალაქო ომის ხელოვნებას, რაკი მან უკვე დაიწყო რევოლუცია. რევოლუცია ომია. ეს არის ერთადერთი კანონიერი, კანონზომიერი, სამართლიანი, მართლაც დიადი ომი იმ ომთაგან, რომლებიც კი ისტორიაში ყოფილა. ეს ომი წარმოებს არა ერთი მუჭა მმართველებისა და ექსპლოატატორების ანგარების გულისათვის, როგორც ყველა და ყოველგვარი ომი, არამედ ხალხის მასების ინტერესებისათვის ტირანების წინააღმდეგ, მილიონობით და

ათეული მილიონობით ექსპლოატირებულთა და მშრომელთა ინტერესებისათვის თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ.

ყველა გარეშე მეთვალყურე ახლა ერთხმად აღიარებს, რომ რუსეთში ეს ომი გამოცხადებულია და დაიწყო. პროლეტარიატი კვლავ დაირაზმება კიდევ უფრო დიდ მასებად. მეფისადმი ბავშვური რწმენის ნაშთები ახლა ისევე მალე გაქრება, როგორც მალე გადავიდნენ პეტერბურგის მუშები პეტიციიდან ბარიკადებზე. მუშები ყველგან შეიარაღდებიან. ეჭვი არ არის, რომ პოლიცია გააათკეცებს სისასტიკეს იარაღის საწყობებისა და მაღაზიების ზედამხედველობის დარგში. ვერავითარი სისასტიკე, ვერავითარი აკრძალვა ვერ შეაჩერებს ქალაქის მასებს, რომლებმაც შეიგნეს, რომ უიარაღოდ ისინი ყოველთვის, ყოველი საბაბის გამო, შეიძლება მიიყვანოს მთავრობამ დახვრეტამდე. თვითეული ცალ-ცალკე მთელ ძალღონეს დაძაბავს, რომ იშოვოს თოფი ან თუნდაც რევოლვერი, რომ დაუმალოს იარაღი პოლიციას და მზად იყოს წინააღმდეგობა გაუწიოს ცარიზმის სისხლმოწყურებულ მსახურებს. ყოველი დასაწყისი ძნელია — ამბობს ანდაზა. მუშებისათვის ძლიერ ძნელი იყო შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლა. მთავრობამ ახლა ისინი აიძულა ბრძოლაზე გადასულიყვნენ. პირველი, ყველაზე ძნელი ნაბიჯი გადადგმულია.

ინგლისელი კორესპონდენტი გადმოგვცემს მუშების დამახასიათებელ ლაპარაკს მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაში. მუშების ჯგუფი აშკარად მსჯელობდა დღევანდელ გაკვეთილებზე. «ცულები? — სთქვა ერთმა. — არა, ხმლის წინააღმდეგ ცულებით ვერაფერს გააწყობ. ცულით მას ვერ მისწვდები, ხოლო დანით ხომ ვერა და ვერა. არა, საჭიროა რევოლვერები, რევოლვერები მაინც, უმჯობესია თოფები». ასეთი და ამგვარი ლაპარაკი ახლა მთელ რუსეთშია. და ეს ლაპარაკი პეტერბურგის «ვლადიმერის დღის» შემდეგ მარტო ლაპარაკად როდი დარჩება.

ხოცვა-ჟლეტის ხელმძღვანელის, მეფის ბიძის ვლადიმერის სამხედრო გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქის ცენტრში არ შეეშვა გარეუბნები, მუშათა გარეუბნები. ყოველნაი-

რად შეეცადნენ დაერწმუნებინათ ჯარისკაცები, რომ მუშებს ზამთრის სასახლის დანგრევა (ხატების, ჯვრებისა და პეტიციების საშუალებით!) და მეფის მოკვლა სურთო. სტრატეგიული ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ დაეცვათ სასახლის მოედნისაკენ მიმავალი ხიდები და მთავარი ქუჩები. და «საომარი მოქმედების» მთავარი ადგილები იყო ხიდებთან (სამების, სამფსონის, ნიკოლოზის, სასახლის ხიდებთან) მდებარე მოედნები, მუშათა უბნებიდან ცენტრისაკენ მიმავალი ქუჩები (ნარვის კართან, შლისელბურგის გზატკეცილზე, ნევის პროსპექტზე), ბოლოს, სასახლის მოედანი, სადაც, მიუხედავად მთელი თავმოყრილი ჯარებისა, მიუხედავად მთელი წინააღმდეგობისა, მაინც მიაღწია ათასობით მუშამ. საომარი მოქმედების ამოცანას, რა თქმა უნდა, ძლიერ აადვილებდა ის, რომ ყველამ მშვენივრად იცოდა, სად მიდიოდნენ მუშები, იცოდა, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი შესაკრები პუნქტი და ერთი მიზანი. გულადი გენერლები «წარმატებით» მოქმედებდნენ მტრის წინააღმდეგ, რომელიც შიშველი ხელებით მიდიოდა და რომელმაც წინასწარვე გაუზიარა ყველას და თვითეულს, თუ სად და რისთვის მიდიოდა... ეს იყო ხალხის უმწეო და მშვიდობიანი მასების ყველაზე საზიზღარი, გულგრილი მკვლელობა. ახლა მასებს ყველაფერი ის, რაც მოხდა, დიდხანს ექნებათ მოფიქრებისა და განცდის საგნად მოგონებებსა და ამბების მოყოლაში. მასის შეგნებაში ამ ფიქრის, «ვლადიმერის გაკვეთილის» ამ განხორციელების ერთადერთი და გარდუვალი დასკვნა ის დასკვნა იქნება, რომ ომში ისე უნდა იმოქმედო, როგორც ომს შეჰფერის. მუშათა მასები, ხოლო მათ შემდეგ სოფლის ღარიბთა მასებიც თავს მეომარ მხარედ იგრძნობენ, და მაშინ... მაშინ შემდგომი ბრძოლები ჩვენს სამოქალაქო ომში უკვე მარტო დიდი მთავრებისა და მეფეების «გეგმებით» არ მოხდება. მოწოდება: «შეეიარაღდეთ!», რომელიც ნევის პროსპექტზე მუშათა ერთ ჯგუფში 9 იანვარს გაისმა, ახლა უკვალოდ ვეღარ ჩაივლის.

4

დამატება სტატიისა «პეტერბურგის ბრძოლის გეგმა»

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს გ ე გ მ ა «ვპერიოდის» მე-4 ნომერში ავწერეთ *. ამ გეგმის შესახებ ახლა ინგლისურ გაზეთებში ვპოულობთ ზოგიერთს დაწვრილებითს ცნობას, რომელიც ინტერესს არ არის მოკლებული. დიდმა მთავარმა ვლადიმერმა მოქმედი არმიის სარდლად დანიშნა გენერალი თავადი ვასილჩიკოვი. მთელი სატახტო ქალაქი დაყოფილი იყო უბნებად ოფიცრებს შორის. მეფე სავსებით სერიოზულად თამაშობდა ომობანას, თითქოს მას შეიარაღებული მოწინააღმდეგის შესევა მოელოდა. საომარი ოპერაციების დროს მთავარი შტაბი მწვანე მაგიდას უჯდა ვასილის კუნძულზე და ყოველ ნახევარ საათში იღებდა მოხსენებას თვითეული უბნის უფროსისაგან.

ცნობად პეტერბურგის მუშებისათვის!

დაწერილია 1905 წ. იანვრის
დამლევს (თებერვლის დამდეგს)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 113 — 115. რ ე დ.

5

«მამა-მეფე» და ბარიკადები

ზოგადად რომ ავლებ თვალს სისხლიანი კვირის ამბებს, ყველაზე მეტად გაოცებს ეს შეხამება მეფისადმი გულუბრყვილო პატრიარქალური რწმენისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩებში გამართული გააფთრებული ბრძოლისა იარაღით ხელში. რუსეთის რევოლუციის პირველმა დღემ გასაოცარი ძალით დაუპირისპირა ერთმანეთს ძველი და ახალი რუსეთი, ცხადყო მამა-მეფისადმი ძველისძველი გლეხური რწმენის აგონია და რევოლუციური ხალხის დაბადება ქალაქის პროლეტარიატის სახით. ევროპის ბურჟუაზიული გაზეთები ტყუილად როდი ამბობენ, 10 იანვრის რუსეთი ის აღარ არის, რაც 8 იანვრის რუსეთი იყო. ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული გერმანული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი [34] ტყუილად როდი იხსენებს, თუ როგორ იწყებოდა 70 წლის წინათ მუშათა მოძრაობა ინგლისში, როგორ აცხადებდნენ 1834 წელს ინგლისელი მუშები ქუჩის დემონსტრაციებით პროტესტს მუშათა კავშირების აკრძალვის წინააღმდეგ, როგორ იმუშავებდნენ ისინი 1838 წელს მანჩესტერის ახლოს უდიდეს კრებებზე «სახალხო ქარტიას» და პასტორი სტივენსი აცხადებდა, რომ «ყოველ თავისუფალ ადამიანს, რომელიც ღვთის თავისუფალ ჰაერს სუნთქავს და ღვთის თავისუფალ მიწაზე დადის, უფლება აქვს საკუთარი კერა ჰქონდესო». და იგივე პასტორი მოუწოდებდა შეკრებილ მუშებს იარაღისათვის მოეკიდათ ხელი.

ჩვენშიც, რუსეთში, მოძრაობის სათავეში მღვდელი აღმოჩნდა, რომელიც ერთ დღეში მოწოდებიდან — მშვიდობიანი

შუამდგომლობით წასულიყვნენ თვით მეფესთან — გადავიდა მოწოდებაზე დაეწყოთ რევოლუცია. «ამხანაგებო, რუსო მუშებო!» — წერდა მღვდელი გიორგი გაპონი სისხლიანი დღის შემდეგ ლიბერალთა კრებაზე წაკითხულ წერილში. — «მეფე აღარა გვყავს. სისხლის მდინარემ ჩაიარა დღეს მასა და რუს ხალხს შორის. დროა რუსმა მუშებმა უიმისოდ დაიწყონ ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა. დღეს დამილოცნიხართ, ხვალ თქვენს შორის ვიქნები. დღეს ძლიერ მოუცლელი ვარ ჩვენი საქმისათვის მუშაობის გამო».

ამას მღვდელი გიორგი გაპონი კი არ ამბობს. ამას ამბობენ ის ათასობით და ათეული ათასობით, მილიონობით და ათეული მილიონობით რუსი მუშები და გლეხები, რომლებსაც დღემდე შეეძლოთ გულუბრყვილოდ და ბრმად სწამებოდათ მამა-მეფე, ეძებნათ თავიანთი აუტანელი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება «თვით» მამა-მეფესთან, ყველა უმსგავსოებასა, ძალადობასა, თვითნებობასა და ძარცვა-გლეჯაში ბრალი დაედოთ მ ხ ო ლ ო დ მოხელეებისათვის, რომლებიც მეფეს ატყუებენო. დაბეჩავებული, გაველურებული, მიყრუებულ კუთხეებში მივარდნილი გლეხური ცხოვრების მრავალი თაობანი განამტკიცებდნენ ამ რწმენას. ახალი, ქალაქური, სამრეწველო, შეგნებული რუსეთის ცხოვრების ყოველი თვე ძირს უთხრიდა და ანგრევდა ამ რწმენას. მუშათა მოძრაობის უკანასკნელმა ათეულმა წელმა ათასობით წამოაყენა მოწინავე პროლეტარიო-სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც სავსებით შეგნებულად უკუაგდეს ეს რწმენა. ამ ათეულმა წელმა აღზარდა ათეული ათასობით მუშა; კლასობრივმა ინსტინქტმა, რაც საგაფიცვო ბრძოლასა და პოლიტიკურ აგიტაციაში განმტკიცდა, მოუსპო მათ ასეთი რწმენის ყველა საფუძველი. მაგრამ ამ ათასებსა და ათეულ ათასებს უკან იდგნენ ასეული ათასობით და მილიონობით მშრომელნი და ექსპლოატირებულნი, დამცირებულხი და შეურაცხყოფილნი, პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები, რომლებსაც კიდევ შეიძლებოდა შერჩენილი ჰქონოდათ ასეთი რწმენა. მათ არ შეეძლოთ ასეთ აჯანყებას გაჰყოლოდნენ, მათ შეეძლოთ მხოლოდ თხოვნა და ვედრება. მათი გრძნო-

ბები და განწყობილება, მათი ცოდნისა და პოლიტიკური გამოცდილების დონე გამოხატა მღვდელმა გიორგი გაპონმა, და ამაში მდგომარეობს იმ როლის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც რუსეთის რევოლუციის დასაწყისში შეასრულა ადამიანმა, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ არავინ იცნობდა და რომელიც ახლა პეტერბურგის, ხოლო პეტერბურგის შემდეგ ევროპის მთელი პრესის სადღეისო გმირი გახდა.

ახლა გასაგებია, პეტერბურგელი სოციალ-დემოკრატები, რომელთა წერილებიც ზემოთ მოვიყვანეთ, თავდაპირველად უნდობლად რატომ ეკიდებოდნენ გაპონს და არც შეეძლოთ ასე არ მოჰკიდებოდნენ მას. ადამიანს, რომელიც ანაფორას ატარებდა, ღვთის მორწმუნე იყო და ზუბატოვისა და დამცველი განყოფილების მაღალი მფარველობით მოქმედებდა, არ შეეძლო ეჭვი არ აღეძრა. გულწრფელად თუ არაგულწრფელად იხევდა იგი ტანზე ანაფორას და წყევლიდა იმას, რომ ეკუთვნოდა საზიზღარ წოდებას, ხალხის მძარცველ და გამრყვნელ ხუცესთა წოდებას, ამის დარწმუნებით თქმა არავის არ შეეძლო, გარდა იქნებ იმ ადამიანებისა, რომლებიც პირადად ახლო იცნობდნენ გაპონს, ე. ი. გარდა ერთი მუჭა ადამიანთა უმნიშვნელო წრისა. ამის გადაწყვეტა შეეძლოთ მხოლოდ გაჩაღებულ ისტორიულ ამბებს, მხოლოდ ფაქტებს, ფაქტებსა და ფაქტებს. და ფაქტებმა ეს საკითხი გაპონის სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

შეძლებს თუ არა სოციალ-დემოკრატია ამ სტიქიური მოძრაობის დაუფლებას? — შეშფოთებით ეკითხებოდნენ თავიანთ თავს ჩვენი პეტერბურგელი ამხანაგები, როცა ხედავდნენ, თუ რა შეუკავებელი სისწრაფით იზრდებოდა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც პროლეტარიატის არაჩვეულებრივ ფართო ფენებს ედებოდა, როცა ხედავდნენ, თუ რა უძლეველი იყო გაპონის გავლენა ისეთ «უბირ» მასებზე, რომლებსაც შეეძლოთ პროვოკატორსაც აჰყოლოდნენ. და სოციალ-დემოკრატები არათუ მხარს არ უჭერდნენ გულუბრყვილო ილუზიებს მშვიდობიანი შუამდგომლობის შესაძლებლობის შესახებ, ისინი ეკამათებოდნენ გაპონს, ისინი პირდაპირ და მტკიცედ იცავდნენ ყველა თავიანთ შეხედულებას და მთელ თავიანთ ტაქტი-

კას. და ისტორიამ, რომელსაც მუშათა მასები უსოციალ-დემოკრატიოდ ქმნიდნენ, დაადასტურა სოციალ-დემოკრატების შეხედულებათა და ტაქტიკის სისწორე. პროლეტარიატის კლასობრივი მდგომარეობის ლოგიკა გაპონის შეცდომებზე, გულუბრყვილობასა და ილუზიებზე ძლიერი აღმოჩნდა. დიდმა მთავარმა ვლადიმერმა, რომელიც მეფის სახელითა და მეფის მთელი ძალაუფლებით მოქმედებდა, იკისრა ჯალათის საქმიანობით ეჩვენებინა მუშათა მასებისათვის ის, და სწორედ ის, რასაც მათ სოციალ-დემოკრატები მუდამ უჩვენებდნენ და კვლავაც უჩვენებენ ბეჭდვითი და ზეპირი სიტყვით.

მუშათა და გლეხთა მასებს, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ მეფისადმი რწმენის ნაშთი, არ შეეძლოთ აჯანყებას გაჰყოლოდნენ, — ვთქვით ჩვენ. ცხრა იანვრის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: ახლა მათ შეუძლიათ გაჰყვნენ და გაჰყვებიან აჯანყებას. «მამა-მეფემ» უიარაღო მუშების ხოცვა-ჟლეტით თვითონ გააკეთებინა ბარიკადები და მისცა მათ ბარიკადებზე ბრძოლის პირველი გაკვეთილები. «მამა-მეფის» გაკვეთილები ფუჭად არ ჩაივლის.

სოციალ-დემოკრატიას ის რჩება, რომ იზრუნოს პეტერბურგის სისხლიანი დღეების შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებაზე, თავისი ძალების რაც შეიძლება მეტ შემჭიდროებასა და დარაზმულობაზე, სოციალ-დემოკრატიის მიერ უკვე დიდი ხნის წინათ წამოყენებული ლოზუნგის: ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ხ ა ლ ხ ო შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს უფრო ენერგიულ პროპაგანდაზე.

6

პირველი ნაბიჯები

ნაპერწკალი, რომელმაც ხანძარი გააჩინა, ერთ-ერთი სრულიად ჩვეულებრივი შეჯახება იყო შრომასა და კაპიტალს შორის, — გაფიცვა ერთ ქარხანაში. მაგრამ საინტერესოა, რომ 12 000 პუტილოველი მუშის ეს გაფიცვა, რომელმაც ორშაბათს, 3 იანვარს იფეთქა, უფრო მეტად პროლეტარული სოლიდარობისათვის გაფიცვა იყო. საბაბი გახდა ოთხი მუშის დათხოვნა. «როცა მათი დაბრუნების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, — გვწერს ერთი ამხანაგი პეტერბურგიდან 7 იანვარს, — ქარხანა ერთბაშად, ძალიან ერთსულოვნად გაჩერდა. გაფიცვას სავსებით თავშეკავებული ხასიათი აქვს; ნაკლებ შეგნებულთა მხრივ მანქანებისა და სხვა ქონების რაიმე შესაძლო გაფუჭებისაგან დასაცავად მუშებმა რამდენიმე კაცი გამოჰყვეს. შემდეგ სხვა ქარხნებში გასაგზავნად გამოჰყვეს დეპუტაცია, რომელსაც უნდა შეეტყობინებინა მათი მოთხოვნები და გადაეცა წინადადება მიმხრობის შესახებ». ათასობით და ათეული ათასობით მუშა მიემხრო მოძრაობას. ლეგალურმა, ზუბატოვურმა, მუშათა საზოგადოებამ, რომელიც მთავრობის ხელშეწყობით დაარსდა იმ მიზნით, რომ პროლეტარიატი სისტემატური მონარქისტული პროპაგანდით გაერყვნა, მცირე სამსახური როდი გაუწია მოძრაობის მოწყობას მის დაბალ სტადიებზე და მის გაფართოებას. მოხდა ის, რაზედაც უკვე დიდი ხანია მიუთითებდნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ზუბატოველებს ეუბნებოდნენ, მუშათა კლასის რევო-

ლუციური ინსტინქტი და მისი სოლიდარობის სულისკვეთება. პოლიციის ყოველგვარ წვრილმან ფანდებს დასძლევსო. ყველაზე ჩამორჩენილ მუშებს ზუბატოველები ჩააბამენ მოძრაობაში, ხოლო უკვე შემდეგ თვით მეფის მთავრობა იზრუნავს, რომ უბიძგოს მუშებს შემდგომი მოქმედებისათვის, თვით კაპიტალისტური ექსპლოატაცია ჩამოაშორებს მათ მშვიდობიან და თავიდან ბოლომდე ფარისევლურ ზუბატოვობას და დაუახლოებს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას. პროლეტარული ცხოვრებისა და პროლეტარული ბრძოლის პრაქტიკა დასძლევს ბატონ ზუბატოველების ყველა «თეორიასა» და ძალღონის მთელ დაძაბვას *.

ასეც მოხდა. ერთი ამხანაგი, მუშა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის კომიტეტის წევრი, შემდეგნაირად გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას ჩვენთან გამოგზავნილ 5 იანვრის წერილში:

«გწერთ ახალი შთაბეჭდილების გავლენით, რომელიც ჩემზე მოახდინა ნევის კარს იქით ეს-ეს არის შემდგარმა სემიანიკოვის ქარხნის მუშათა კრებამ. მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვით შევეხები იმ განწყობილებას, რომელიც პეტერბურგის მუშებშია გაბატონებული. როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს აქ დაიწყო «ზუბატოვური» ორგანიზაციების აღმოცენება ანუ, უფრო უკეთ, აღორძინება ხუცეს გაპონის ხელმძღვანელობით. ორგანიზაციები მეტად მოკლე ხანში ძლიერ გამრავლდნენ და გაძლიერდნენ. ახლა უკვე არსებობს ეგრეთწოდებული «რუსეთის ფაბრიკის მუშათა კრების» 11 განყოფილება. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ კრებების შედეგები ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც სამხრეთში იყო.

---

* შეადარე ლენინის «რა ვაკეთოთ?», გვ. 86 — 88. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 576 — 579. რედ.

ახლა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, პეტერბურგში ფართო საგაფიცვო მოძრაობაიწყება. თითქმის ყოველდღე გაიგონებთ ახალი გაფიცვის ამბავს ხან ერთ, ხან მეორე ქარხანაში. აი უკვე ორი დღეა, რაც პუტილოვის ქარხანა გაიფიცა. ორი კვირის წინათ გაფიცული იყო შაუს ბამბეულის ქარხანა ვიბორგის მხარეზე. გაფიცვა ოთხ დღეს გრძელდებოდა. მუშები ვერაფერს გახდნენ. დღეს თუ ხვალ ეს გაფიცვა კვლავ განახლდება. ყველგან აგზნებული განწყობილებაა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოდ იყოს. მეტი წილი მუშები წმინდა ეკონომიური ბრძოლის მომხრე და პოლიტიკური ბრძოლის წინააღმდეგი არიან. მაგრამ უნდა ველოდოთ და იმედი გვქონდეს, რომ ეს განწყობილება შეიცვლება, და მუშები შეიგნებენ, რომ პოლიტიკური ბრძოლის გარეშე ვერავითარ ეკონომიურ გაუმჯობესებას ვერ მიაღწევენ. დღეს გაიფიცა ნევის გემთმშენებელი საზოგადოების (სემიანიკოვის) ქარხანა. «რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კრების» ადგილობრივი განყოფილება ცდილობს დაწყებული გაფიცვის ხელმძღვანელად გამოვიდეს, მაგრამ ამას იგი, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებს. ხელმძღვანელი იქნება სოციალ-დემოკრატია, მიუხედავად იმისა, რომ იგი აქ ძლიერ სუსტია.

გამოვიდა პეტერბურგის კომიტეტის ფურცლები: ორი — შაუს სართავი ფაბრიკისადმი და ერთი — პუტილოველი მუშებისადმი. დღეს იყო ნევის გემთმშენებელი ქარხნის მუშათა კრება. შეიკრიბა 500-მდე მუშა. პირველად გამოვიდნენ «კრების» ადგილობრივი განყოფილების წევრები. ისინი გვერდს უვლიდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს და უმთავრესად ეკონომიურ მოთხოვნებს აყენებდნენ. ხალხიდან გაისმოდა უკმაყოფილების ხმები. მაგრამ ამ დროს გამოჩნდა «რუსსკაია გაზეტას» თანამშრომელი სტროევი, რომელიც პეტერბურგის მუშებში დიდი პატივისცემით სარგებლობს. სტროევმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც, როგორც მან განაცხადა, შეიმუშავეს მან და სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა. ამ რეზო-

ლუციაში თუმცა ხაზგასმულია პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობა, მაგრამ საკმაოდ ვერ არის ხაზგასმული. სტროევის შემდეგ ილაპარაკეს ამხანაგებმა, მუშა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც პრინციპულად იცავდნენ ამ რეზოლუციას, მაგრამ ხაზს უსვამდნენ მის შეზღუდულობასა და არასაკმარისობას. ატყდა აურზაური, ზოგიერთი უკმაყოფილო იყო სოციალ-დემოკრატთა სიტყვებით და დაიწყეს კრების ჩაშლა. კრებამ ხმის უმრავლესობით აზრი გამოსთქვა თავმჯდომარის წინააღმდეგ, რომელიც ამ ჩამშლელთა რიცხვში იყო, და აირჩია ახალი თავმჯდომარე, სოციალისტი. მაგრამ «საზოგადოების» (ზუბატოვურის) წევრები არ გაჩუმდნენ და განაგრძობდნენ კრების ჩაშლას. თუმცა კრების უდიდესი უმრავლესობა (90%) სოციალისტების მხარეზე იყო, მაგრამ კრება ბოლოს და ბოლოს უშედეგოდ დაიშალა და გადაწყვეტილების გამოტანა ხვალისათვის გადაიდო. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატებმა შესძლეს თავიანთ სასარგებლოდ განეწყოთ მუშები. ხვალ დიდი კრებაა მოსალოდნელი. — შესაძლოა, ორი-სამი ათასი კაცი იყოს. — დღე-დღეზე უნდა ველოდოთ გრანდიოზულ დემონსტრაციას, იმის მსგავსს რამეს, როგორიც სამხრეთში 1903 წლის ივლისში მოხდა. გაფიცულია საფრანგეთ-რუსეთის საზოგადოების ქარხანა — ოთხ-ხუთ ათასამდე კაცი. გადმოგვცემენ, რომ გაფიცვა დაიწყო შტიგლიცის ბამბეულის ფაბრიკაში — ხუთ ათასამდე კაცი. მოსალოდნელია გაფიცვა ობუხოვის ქარხანაში — ხუთი-ექვსი ათასი კაცია».

სოციალ-დემოკრატის, ადგილობრივი კომიტეტის წევრის (რომელსაც, რა თქმა უნდა, შეეძლო ზუსტად სცოდნოდა მხოლოდ პეტერბურგის მცირე ნაწილის ამბები) ცნობები საზღვარგარეთის, განსაკუთრებით ინგლისური გაზეთების ცნობებს რომ შევადაროთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს უკანასკნელები ფრიად მნიშვნელოვანი სიზუსტით განირჩევიან.

გაფიცვა დღითი-დღე თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდებოდა. მუშები მრავალ კრებას მართავდნენ და თავიანთ «ქარტიას», თავიანთ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს იმუ-

შავებდნენ. როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მოთხოვნები, მიუხედავად ზუბატოველთა ხელმძღვანელობისა, საერთოდ იგივე იყო, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიული პროგრამის მოთხოვნები ლოზუნგიანად: დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე. თავისი მასშტაბით უმაგალითო გაფიცვის სტიქიური ზრდა ძლიერ უსწრებდა წინ. ორგანიზებულ სოციალ-დემოკრატთა გეგმაზომიერ მონაწილეობას მოძრაობაში. მაგრამ თვითონ მათ მივცეთ სიტყვა.

7

სისხლიანი კვირის წინახანი

მოძრაობის მიმდინარეობის ამბავს რომ აღვწერდით, იმაზე შევჩერდით, თუ როგორ დაინიშნა გაპონის ინიციატივით 9 იანვრის კვირისათვის მუშათა მასების მსვლელობა ზამთრის სასახლისაკენ დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ მეფისათვის «პეტიციის» მისართმევად. გაფიცვა პეტერბურგში უკვე შაბათს, 8 იანვარს, საყოველთაო გახდა. ოფიციალური ცნობებიც კი გაფიცულთა რიცხვს 100 — 150 ათასი კაცით განსაზღვრავდნენ. რუსეთს ჯერ არ უნახავს კლასობრივი ბრძოლის ასეთი გიგანტური აფეთქება. გიგანტური მილიონნახევრიანი ცენტრის მთელი სამრეწველო, სავაჭრო, საზოგადოებრივი ცხოვრება პარალიზებული აღმოჩნდა. პროლეტარიატი საქმით ცხადყოფდა, რომ მასზე და მხოლოდ მასზეა დაყრდნობილი თანამედროვე ცივილიზაცია, მისი შრომით იქმნება სიმდიდრე და ფუფუნება, მასზეა დამყარებული მთელი ჩვენი «კულტურა». ქალაქი აღმოჩნდა უგაზეთებოდაც, უშუქოდაც, უწყლოდაც. და ამ საყოველთაო გაფიცვას სავსებით გარკვეული პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, იგი რევოლუციური ამბების უშუალო შესავალი იყო.

აი ერთი მნახველი როგორ აღწერს ჩვენთან გამოგზავნილ წერილში ისტორიული დღის წინახანს:

«7 იანვრიდან გაფიცვა პეტერბურგში საყოველთაო გახდა. გაჩერდა არა მარტო ყველა დიდი ქარხანა და ფაბრიკა, არამედ ბევრი სახელოსნოც. დღეს, 8 იანვარს, არც ერთი გაზეთი არ

გამოსულა, გარდა «მთავრობის მოამბისა»[35] და «ს.-პეტერბურგის ქალაქის უფროსის სამმართველოს უწყებებისა». მოძრაობის ხელმძღვანელობა დღემდე ზუბატოველთა ხელშია. თვალს ვადევნებთ პეტერბურგში უნახავ სურათს, და გული გვეკუმშება გაურკვევლობის შიშით, — შესძლებს თუ ვერა სოც.-დემ. ორგანიზაცია თუნდაც რამდენიმე ხნის შემდეგ აიღოს მოძრაობა თავის ხელში. მდგომარეობა მეტად სერიოზულია. მთელი უკანასკნელი ხნის განმავლობაში ქალაქის ყველა რაიონში იმართება მუშების ყოველდღიური მასობრივი კრებები «რუსეთის მუშათა კავშირის» შენობებში. მათ წინ ქუჩები მთელ დღეებს სავსეა მრავალი ათასი მუშით. დროდადრო სოციალ-დემოკრატები სიტყვებს წარმოსთქვამენ და ფურცლებს ავრცელებენ. საერთოდ მათ თანაგრძნობით იღებენ, თუმცა ზუბატოველები ცდილობენ ოპოზიციის მოწყობას. როცა სიტყვა შეეხება თვითმპყრობელობას, ისინი გაიძახიან: «ეს ჩვენ არ გვესაჭიროება, თვითმპყრობელობა არაფერს არ გვიშლის!» ამავე დროს სიტყვებში, რომლებსაც «კავშირის» შენობებში ზუბატოველები წარმოსთქვამენ ხოლმე, წამოყენებულია ყველა სოც.-დემ. მოთხოვნა, დაწყებული 8-საათიანი სამუშაო დღით და დამთავრებული ხალხის წარმომადგენელთა მოწვევით თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე. მაგრამ ზუბატოველები ამტკიცებენ, რომ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება არ ნიშნავს თვითმპყრობელობის დამხობას, არამედ ხალხის მიახლოებას მეფესთან, ბიუროკრატიის მოსპობას, რომელიც მეფეს ხალხისაგან აშორებს.

სოციალ-დემოკრატები ლაპარაკობენ კავშირის შენობებშიც, და მათს სიტყვებს თანაგრძნობით ხვდებიან, მაგრამ პრაქტიკულ წინადადებათა ინიციატივა ზუბატოველებს ეკუთვნით. მიუხედავად სოც.-დემ. წინააღმდეგობისა, ამ წინადადებებს იღებენ. ეს წინადადებები შემდეგში მდგომარეობს: კვირას 9 იანვარს მუშები უნდა წავიდნენ ზამთრის სასახლისაკენ და მღვდელ გიორგი გაპონის საშუალებით მიართვან მეფეს პეტიცია, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება მუშების ყველა მოთხოვნა და რომელიც დამთავრებული იქნება სიტყვებით: «მოგვე-

ცი ყოველივე ეს, თუ არა და დავიხოცებით». ამასთან კრებების ხელმძღვანელები დასძენენ: «თუ მეფე არ მოგვცემს, მაშინ ხელ-ფეხი გაგვეხსნება, — მაშასადამე, იგი ჩვენი მტერია, და მაშინ უკვე გაშლილი წითელი დროშით გამოვალთ მის წინააღმდეგ. თუ ჩვენი სისხლი დაიღვრება, იგი მას დაედება კისრად». პეტიციას ყველგან იღებენ. მუშები ფიცსა სდებენ, რომ კვირას ყველანი მივლენ მოედანზე «ცოლ-შვილით». დღეს პეტიციას ხელს მოაწერენ ცალკეულ რაიონებში, ხოლო 2 საათზე ყველა უნდა შეიკრიბოს «სახალხო სახლში» საბოლოო მიტინგზე.

ყველაფერი ეს ხდება პოლიციის სრული წაყრუებით, — იგი მოშორებულია ყველგან, თუმცა ზოგიერთი შენობის ეზოში დამალული არიან ცხენოსანი ჟანდარმები.

დღეს ქუჩებში აკრავენ ქალაქის უფროსის განცხადებებს, რომლებიც კრძალავენ თავმოყრას და შეიარაღებული ძალის გამოყენებით იმუქრებიან. მუშები ჰგლეჯენ ამ განცხადებებს. ქალაქის მიდამოებიდან ჯარები ქალაქში მოჰყავთ. კაზაკებმა ამოღებული ხმლებით აიძულეს ტრამვაის მოსამსახურეები (კონდუქტორები და კუჩრები) სამუშაოდ გამოსულიყვნენ».

8

მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი

მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვის შესახებ ცნობები ერთმანეთს არ ეთანხმებიან. თავისთავად ცხადია, რომ ზუსტ დათვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თვალდათვალ ვარაუდი კი ძლიერ ძნელია. მთავრობის ცნობა 96 მოკლულისა და 330 დაჭრილის შესახებ, ცხადია, ყალბია, და მას არავინ არ უჯერებს. გაზეთების უკანასკნელი ცნობებით, ჟურნალისტებმა 13 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრს გადასცეს სია 4 600 მ ო კ ლ უ ლ ი ს ა დ ა დ ა ჭ რ ი ლ ი ს ა, სია, რომელიც რეპორტიორების მიერ არის შედგენილი. რა თქმა უნდა, ეს ციფრიც ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა სრული იყოს, რადგან დღისითაც (ღამეზე რომ აღარა ვთქვათ რა) შეუძლებელი იქნებოდა ყველა შეტაკების დროს ყველა მოკლულისა და დაჭრილის დათვლა.

თვითმპყრობელობის გამარჯვება უიარაღო ხალხზე ნაკლებ მსხვერპლად არ დამჯდარა, ვიდრე დიდი ბრძოლები მანჯურიაში. როგორც ყველა საზღვარგარეთელი კორესპონდენტი იუწყება, პეტერბურგის მუშები ტყუილად როდი უყვიროდნენ ოფიცრებს, რუს ხალხს უფრო წარმატებით ებრძვით, ვიდრე იაპონელებსაო.

9

ბრძოლები ბარიკადებზე [36]

როგორც უკვე ვნახეთ, კორესპონდენტთა ცნობებში ყველაზე ხშირად ლაპარაკია ვასილის კუნძულის, ნაწილობრივ ნევის პროსპექტის ბარიკადების შესახებ. მთავრობის ცნობაში, რომელიც 10 (23) იანვარს, ორშაბათს გამოვიდა, ნათქვამია: «ბრბო მავთულლობურებიან, წითელალმებიან ბარიკადებს აგებდა შლისელბურგის გზატკეცილზე, შემდეგ ნარვის კართან, სამების ხიდთან, ალექსანდრეს ბაღთან, ნევის პროსპექტის სკვერებთან. მეზობელი სახლების ფანჯრებიდან ქვებს ისროდნენ და ჯარს ტყვიას უშენდნენ. ბრბო პოლიციელებს იარაღს ართმევდა. შოფის იარაღის ფაბრიკა გაძარცვეს. ვასილის კუნძულის პირველ და მეორე უბნებში ბრბო ჭრიდა ტელეგრაფის მავთულებს და აქცევდა ტელეგრაფის ბოძებს. დარბეულია საპოლიციო უბანი».

ერთმა ფრანგმა კორესპონდენტმა კვირას 2 საათსა და 50 წუთზე დეპეშა გაგზავნა: «სროლა გრძელდება. ჯარებს, როგორც ჩანს, მთლად აებნათ თავგზა. ნევას რომ გადავდიოდი, რამდენიმე სასიგნალო ცეცხლი დავინახე და თოფის ზალპების გრიალი მომესმა. ვასილის კუნძულზე ბარიკადები განათებულია გაფიცულთა მიერ დანთებული კოცონებით. გზის განგრძობას ვეღარ ვახერხებ. საყვირის თვალბედითი ხმა სროლის ბრძანებას მოასწავებს. ხიშტებმომარჯვებულ ჯარისკაცთა ბატალიონი იერიშით იღებს აყირავებული მარხილებისაგან მოწყობილ ბარიკადს. ნამდვილი ხოცვა-ჟლეტაა. ასამდე მუშა

ბრძოლის ველზე წაქცეული დარჩა. ჩემს გვერდით მიჰყავთ ორმოცდაათამდე დაჭრილი ტყვე. ოფიცერი რევოლვერით მემუქრება და მიბრძანებს აქედან მოშორდიო».

ბარიკადებზე ბრძოლის დაწვრილებითს ცნობებს კორესპონდენტები განსაკუთრებით ცოტას იძლევიან. ეს გასაგებია, რადგან კორესპონდენტები ცდილობდნენ სახიფათო ადგილებიდან ცოტად თუ ბევრად შორს ყოფილიყვნენ. ბარიკადებზე ბრძოლის მონაწილეთაგან, რა თქმა უნდა, ძალიან და ძალიან ცოტანი თუ გადარჩნენ. ისეთი ცნობაც კი იყო, რომ ბარიკადებს არტილერია ესროდა, მაგრამ იგი, ვგონებ, არ დასტურდება.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მეფის ზავი

საზღვარგარეთის გაზეთებმა ცნობა გამოაქვეყნეს, რომ უკანასკნელ თათბირებზე ცარსკოე სელოში (9 იანვრის გამარჯვების შემდეგ) მეფის დასწრებით თუ უიმისოდ გაცხოველებით იხილავდნენ საკითხს — იაპონიასთან ზავი სასურველიაო. სათაყვანებელი მონარქის ყველა მახლობელი ახლა პრინციპულად უკვე ზავის მომხრეა. რიცხვი წარჩინებული სახელმწიფო მოხელეებისა, რომლებიც ათი დღის წინათ უთუოდ ომის განგრძობის მომხრენი იყვნენ, ახლა მნიშვნელოვნად შემცირდა, და ბევრი მათგანი ზავის უკვე დარწმუნებული მომხრე გახდა.

ცნობად ჩვენი პარტიის ეგრეთწოდებული ცენტრალური ორგანოს წევრების — სულელი სოციალ-დემოკრატებისა, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ ფრაზები ზავის შესახებ — «ზავისა რადაც უნდა დაჯდეს», რჩებოდა რა ფუჭ ფრაზებად (ვინაიდან სოციალ-დემოკრატებს აზრს არავინ ეკითხებოდა და მათს აზრზე არაფერი იყო დამოკიდებული), ნამდვილად, ახლანდელი კონიუნქტურის დროს, ხელსაყრელი იყო მხოლოდ თვითმპყრობელობის შეშინებულ მომხრეთათვის. ჩვენს ახალისკრელებს მხედველობიდან გამოეპარათ შებრუნება ევროპის მთელი ბურჟუაზიის განწყობილებაში (მან იაპონიისადმი თანაგრძნობით დაიწყო და რევოლუციის შიშით უკვე დიდი ხანია იწყო გადასვლა რუსეთის მხარეზე—შეად. «Frankfurter Zeitung»* და სხვ.). ახლა მათ მხედველობიდან ეპარებათ, თუ თა-

* — «ფრანკფურტის გაზეთი». რ ე დ.

ვიანთი მიზნებისათვის როგორ იყენებენ ფუჭ ბანალურ ფრაზებს ზავის შესახებ — ზავის რადაც უნდა დაჯდეს — პეტერბურგელი უგრიუმ-ბურჩეევებიც[37].

დაწერილია 1905 წ.
19 იანვარს (1 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რსდმპ გათიშვის მოკლე ნარკვევი[38]

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატთა ცნობილმა ბელადმა ჰერმან გროილიხმა (Herman Greulich) 1905 წ. 1 თებერვლის წერილში, რომელიც მან გაზეთ «ვპერიოდის» (რსდმპ) რედაქციას გამოუგზავნა, სხვათა შორის, მწუხარება გამოსთქვა რუსეთის სოციალ-დემოკრატთა შორის ახალი გათიშვის გამო და შენიშნა: «Wer die grössere Schuld an dieser Zersplitterung trägt, das werde ich nicht entscheiden und ich habe den internationalen Entscheid bei der deutschen Parteileitung angeregt» («ვინ უფრო მეტად არის დამნაშავე ამ გათიშვაში, ამის გადაწყვეტას არ შევუდგები; მე წინადადება მივეცი გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობას ეს საკითხი საერთაშორისო გზით გადაწყვიტოს»).

გროილიხს ამ წერილზე «ვპერიოდის» რედაქციამ რუსეთის «უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს» საზღვარგარეთელ რწმუნებულთან — ამხანაგ სტეპანოვთან ერთად შემდეგი წერილით უპასუხა.

რადგან ამხანაგ გროილიხს განზრახვა აქვს მიმართოს საკითხის საერთაშორისო გადაწყვეტას, გროილიხისადმი მიმართულ ჩვენს წერილს ვუგზავნით გაზეთ «ვპერიოდის» ყველა საზღვარგარეთელ მეგობარს და ვთხოვთ მათ გადათარგმნონ ეს წერილი იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ, და გააცნონ ეს წერილი რაც შეიძლება მეტ უცხოელ სოციალ-დემოკრატებს.

სასურველია აგრეთვე უცხო ენებზე გადაითარგმნოს ლენინის ბროშურაც: «განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ», აგრეთვე 1) ჩრდილოეთის კონფერენციის რეზოლუციები და 2) კავკასიის კონფერენციის რეზოლუციები; 3) სამხრეთის კონფერენციის რეზოლუციები.

გთხოვთ გვაცნობოთ, შესრულებული იქნება თუ არა ეს თხოვნა.

წერილი გროკილიხს

1905 წ. 3 თებერვალი.

პატივცემულო ამხანაგო! თქვენს წერილში ეხებით ჩვენი პარტიის (რსდმპ) ამა თუ იმ ფრაქციის გათიშვაში დანაშაულობის საკითხს. თქვენ ამბობთ, რომ შეეკითხეთ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს და საერთაშორისო ბიუროს, რათა ამის შესახებ თავისი აზრი გამოეთქვათ. ამის გამო ჩვენს თავს ვალდებულად ვთვლით გაგაცნოთ, თუ როგორ მოხდა გათიშვა. ჩამოვთვლით მხოლოდ ზ ე დ მ ი წ ე ვ ნ ი თ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ფ ა ქ ტ ე ბ ს და, შეძლებისამებრ, მოვერიდებით მათს რაიმე შეფასებას.

1903 წლის დამლევამდე ჩვენი პარტია შედგებოდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ერქვათ. პარტიის პირველ ყრილობაზე (1898 წ. გაზაფხულზე) არჩეული ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანო აღარ იყვნენ. ისინი პოლიციამ გაანადგურა და აღარ განახლებულან. საზღვარგარეთ მოხდა გათიშვა «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირსა» (ორგანო — «რაბოჩეე დელო», აქედან «რ ა ბ ო ჩ ე ე-დ ე ლ ო ე ლ ე ბ ი») და პლეხანოვს შორის. უკანასკნელის მხარეზე დადგა გაზეთი «ი ს კ რ ა», დაარსებული 1900 წელს. სამი წლის განმავლობაში, 1900 1903, «ისკრამ» რუსეთის კომიტეტებზე გადამწყვეტი გავლენა მოიპოვა. «ისკრა» იცავდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეებს «ეკონომიზ-

მის» (alias *—«რაბოჩეედელოელობა»=ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობა) წინააღმდეგ.

ყველას აწუხებდა, რომ პარტიაში ერთიანობა არ იყო.

ბოლოს, 1903 წლის აგვისტოში მოხერხდა პარტიის მეორე ყრილობის შეკრება საზღვარგარეთ. მონაწილეობდნენ რუსეთის ყველა კომიტეტები, ბუნდი (Bund = ებრაელი პროლეტარიატის დამოუკიდებელი ორგანიზაცია) და ორივე საზღვარგარეთული ფრაქცია, «ისკრისა» და «რაბოჩეე დელოსი».

ყრილობის ყველა მონაწილემ ყრილობა კანონიერად აღიარა. ყრილობაზე ბრძოლა წარმოებდა ისკრელებსა და ანტიისკრელებს (რაბოჩეედელოელები და ბუნდი) შორის; შუა ადგილი ეჭირა ეგრეთწოდებულ «ჭაობს». გაიმარჯვეს ისკრელებმა. მათ გაიყვანეს პარტიის პროგრამა (დამტკიცებულია «ისკრის» პროექტი). «ისკრა» სცნეს ცენტრალურ ორგანოდ, მისი მიმართულება პარტიის მიმართულებად. ტაქტიკის შესახებ მთელი რიგი რეზოლუციები მისი მიმართულებისა იყო. საორგანიზაციო წესდება (ლენინის პროექტი) მიღებული იყო ისკრული. მხოლოდ მისი ცალკე ნაწილები გააუარესეს ანტიისკრელებმა, ისკრელების უმცირესობის მონაწილეობით. ხმების დაჯგუფება ყრილობაზე ასეთი იყო: სულ 51 ხმა. აქედან 33 ისკრელებისა (24 — ახლანდელი უმრავლესობის ისკრელი, 9 — ახლანდელი უმცირესობის ისკრელი), 10 — «ჭაობისა» და 8 — ანტიისკრელებისა (3 რაბოჩეედელოელი და 5 ბუნდელი). ყრილობის დასასრულისათვის, არჩევნების წინ, შვიდი დელეგატი (2 რაბოჩეედელოელი და 5 ბუნდელი) წავიდა ყრილობიდან (ბუნდი გამოვიდა პარტიიდან).

მაშინ ისკრელთა უმცირესობა, რომელსაც, მის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, მხარს უჭერდა ყველა ანტიისკრელი და ჭაობი, ყრილობის უმცირესობად აღმოჩნდა (24 და 9+10+1, ე. ი. 24 და 20). ცენტრალურ დაწესე-

* — სხვანაირად. რედ.

ბულებათა არჩევის დროს გადაწყდა არჩეული ყოფილიყო 3 პირი ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და 3 ცენტრალურ კომიტეტში. «ისკრის» ძველი რედაქციიდან, რომელიც 6 პირისაგან შედგებოდა (პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, სტაროვერი, ლენინი, მარტოვი), არჩეულ იქნენ პლეხანოვი, ლენინი და მარტოვი. ცენტრალურ კომიტეტში გვინდოდა აგვერჩია უმრავლესობიდან ორი და უმცირესობიდან ერთი.

მარტოვმა უარი სთქვა შესულიყო რედაქციაში, თუ სამი «გამორიცხული» (აურჩეველი) ამხანაგიც არ შევიდოდა, და მთელმა უმცირესობამ უარი სთქვა ცენტრალური კომიტეტის არჩევაზე. არავის არასოდეს ეს არჩევნები უკანონოდ არ გამოუცხადებია და არც ახლა აცხადებს. მაგრამ უმცირესობამ ყრილობის შემდეგ უარი სთქვა მუშაობაზე ყრილობის მიერ არჩეული ცენტრების ხელმძღვანელობით.

ეს ბოიკოტი სამ თვეს გაგრძელდა, 1903 წ. აგვისტოს დამლევიდან 1903 წ. ნოემბრის დამლევამდე. **«ისკრას»** (ე ქ ვ ს ნ ო მ ე რ ს, №№ 46—51) რ ე დ ა ქ ტ ო რ ო ბ დ ნ ე ნ ო რ ნ ი — პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი დ ა ლ ე ნ ი ნ ი. უმცირესობამ პარტიაში შეადგინა ფარული ორგანიზაცია (ეს ფ ა ქ ტ ი ა, რომელიც ახლა პ რ ე ს ა შ ი დაადასტურეს თვით უმცირესობის მომხრეებმა და რომელსაც დღეს ა რ ა ვ ი ნ უარყოფს). რუსეთის კომიტეტების დიდმა უმრავლესობამ (12-მა 14 კომიტეტიდან, რომლებმაც უკვე გამოსთქვეს თავისი აზრი) აზრი გამოსთქვა ამ დეზორგანიზატორული ბოიკოტის წინააღმდეგ.

მაგრამ პლეხანოვმა, საზღვარგარეთული «ლიგის» (= პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია) მღელვარე ყრილობის შემდეგ, რომელიც 1903 წ. ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს მ ი წ უ რ უ ლ შ ი შედგა, გადაწყვიტა დაეთმო უმცირესობისათვის და მთელი პარტიის წინაშე სტატიაში «რა არ უნდა ვაკეთოთ» («ისკრის» № 52, 1903 წ. ნოემბერი) განაცხადა, რომ გათიშვის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ საჭიროა დათმობა იმათ მიმართაც კი, ვინც შეცდომით იხრება რ ე ვ ი ზ ი ო ნ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ და მოქმედებს როგორც ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ-

ლი ინდივიდუალისტი (ხაზგასმული გამოთქმები პლეხანოვის ნამდვილი გამოთქმებია სტატიაში «რა არ უნდა ვაკეთოთ»). ლენინი გამოვიდა რედაქციიდან, რადგან არ უნდოდა ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ წასულიყო. მაშინ პლეხანოვმა მოახდინა ოთხივე ყოფილი რედაქტორის «კოოპტაცია». რუსეთის კომიტეტებმა განაცხადეს, ვნახავთ, როგორი იქნება ახალი «ისკრის» მიმართულება, ვნახავთ, მშვიდობისათვის შევიდნენ თუ არა მენშევიკები რედაქციაშიო.

აღმოჩნდა, როგორც ბოლშევიკები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ვერც ძველი «ისკრის» მიმართულებამ მოიკიდა ფეხი და ვერც მშვიდობა მისცა პარტიას ახალმა, მენშევიკურმა რედაქციამ. «ისკრის» მიმართულებამ იმდენად იბრუნა პირი ძველი, II ყრილობის მიერ უარყოფილი რაბოჩეედელოელობისაკენ, რომ თვით ტროცკიმ, უმცირესობის თვალსაჩინო წევრმა, რომელმაც გამოსცა საპროგრამო ბროშურა **«ჩვენი** პოლიტიკური ამოცანები», ბროშურა, გამოსული **ახალი «ისკრის» რედაქციით,** სიტყვასიტყვით განაცხადა: **«ძველსა და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული დევსო».** ჩვენ ვჯერდებით ჩვენი მოწინააღმდეგის ამ განცხადებას, რათა არ შევუდგეთ «ისკრის» პრინციპული ქანაობის გრძელ ახსნა-განმარტებას.

მეორე მხრივ, «უმცირესობის ფარული ორგანიზაცია» არ დაშლილა, არამედ განაგრძობდა ცენტრალური კომიტეტის ბოიკოტს. პარტიის ეს ფარული გათიშვა ცხად და ფარულ ორგანიზაციად აუტანლად აფერხებდა მუშაობას. რუსეთის კომიტეტების დიდმა უმრავლესობამ, რომლებმაც გამოსთქვეს თავისი აზრი კრიზისზე, გადაჭრით დაგმო ახალი «ისკრის» მიმართულებაც და უმცირესობის დეზორგანიზატორული საქციელიც. ყოველი მხრიდან გაისმა მოთხოვნა მესამე ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევისა აუტანელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

ჩვენი პარტიის წესდების მიხედვით საგანგებო ყრილობის მოსაწვევად (მორიგი ყრილობები მოიწვევა ხოლმე ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, «შეძლებისამებრ») საჭიროა განცხადება

ორგანიზაციებისა, რომლებსაც ერთად ხმების საერთო რიცხვის ნახევარი აქვთ. **ნახევარი უკვე შეგროვდა.** მაგრამ აქ ცენტრალურმა კომიტეტმა უღალატა უმრავლესობას, ისარგებლა რა მისი რამდენიმე წევრის დაპატიმრებით, რომლებიც უმრავლესობას ეკუთვნოდნენ. დაპატიმრების შემდეგ დარჩენილი ცენტრალური კომიტეტის წევრები «შერიგების» საბაბით შეუთანხმდნენ უმცირესობის ფარულ ორგანიზაციას და გამოაცხადეს, ეს ორგანიზაცია იშლებაო, ამასთან პარტიისაგან ფარულად და ცენტრალური კომიტეტის წერილობითი განცხადებების მიუხედავად ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნა სამი მენშევიკი. ეს კოოპტაცია მოხდა 1904 წ. ნოემბერსა თუ დეკემბერში. ამრიგად, უმცირესობა იბრძოდა 1903 წ. აგვისტოდან 1904 წ. ნოემბრამდე, სთიშავდა მთელ პარტიას ცენტრალურ ორგანოში სამის და ცენტრალურ კომიტეტში სამის კოოპტაციის გამო.

ასეთნაირად გაყალბებულმა ცენტრალურმა დაწესებულებებმა ყრილობის მოთხოვნას ლანძღვით ან დუმილით უპასუხეს.

მაშინ რუსეთის კომიტეტებს მოთმინების ფიალა აევსოთ. მათ იწყეს თავიანთი კერძო კონფერენციების მოწვევა. დღემდე შედგა სამი კონფერენცია: 1) კავკასიის ოთხი კომიტეტისა; 2) სამხრეთის სამი კომიტეტისა (ოდესა, ნიკოლაევი და ეკატერინოსლავი) და 3) ჩრდილოეთის ექვსი კომიტეტისა (პეტერბურგი, მოსკოვი, ტვერი, რიგა, «ჩრდილოეთი», ე. ი. იაროსლავლი, კოსტრომა და ვლადიმირი, და ბოლოს ნიჟნი ნოვგოროდი). ყველა ამ კონფერენციამ აზრი გამოსთქვა «უმრავლესობის» სასარგებლოდ, მათ გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ უმრავლესობის ლიტერატურულ ჯგუფს (ლენინის, რიადოვოის, ორლოვსკის, გალიორკის [39], ვოინოვისა [40] და სხვების ჯგუფს) და აირჩიეს **თავისი ბიურო;** მესამე, ე. ი. ჩრდილოეთის, კონფერენციამ ამ «ბიუროს» დაავალა გადაქცეულიყო საორგანიზაციო კომიტეტად და მოეწვია რუსეთის კომიტეტების ყრი-

ლობა, ე. ი. მესამე ყრილობა პარტიისა, საზღვარგარეთული ცენტრების გამოკლებით, რომლებიც ჩამოშორდნენ პარტიას.

ასეთი იყო საქმის ვითარება 1905 წლის 1 იანვრისათვის (ახალი სტილით). უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო შეუდგა თავის მუშაობას (ჩვენი პოლიციური პირობების გამო ყრილობის მოწვევა, რა თქმა უნდა, რამდენიმე თვეს გაჭიანურდება: მეორე ყრილობის მოწვევა გამოცხადებული იყო 1902 წ. დეკემბერში, ხოლო იგი მოწვეულ იქნა 1903 წლის აგვისტოში). უმრავლესობის ლიტერატურულმა ჯგუფმა დააარსა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო, გაზეთი «ვპერიოდი», რომელიც **ყოველკვირეულად** გამოდის 1905 წლის 4 იანვრიდან (ახალი სტილით). ახლა (1905 წ. 3 თებერვალი) უკვე 4 ნომერი გამოვიდა. გაზეთ «ვპერიოდის» მიმართულება ძ ვ ე ლ ი «ი ს კ რ ი ს» მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ა. ძველი «ისკრისათვის» «ვპერიოდი» გადაჭრით ებრძვის ახალ «ისკრას».

მაშასადამე, ფაქტიურად აღმოჩნდა რუსეთის ორი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. ერთს აქვს ორგანო «ისკრა», რომელსაც «ოფიციალურად» ეწოდება პარტიის ცენტრალური ორგანო, ჰყავს ცენტრალური კომიტეტი, რუსეთის ოთხი კომიტეტი ო ც ი დ ა ნ (დანარჩენი კომიტეტები რუსეთში, გარდა ოცისა, რომლებიც მეორე ყრილობაზე იყვნენ, შეიქმნენ შემდეგ, და მათი დამტკიცების კანონიერების საკითხი სადავო საკითხია). მეორე პარტიას აქვს ორგანო «ვპერიოდი», «უმრავლესობის რუსეთის კომიტეტების ბიურო», 14 კომიტეტი რუსეთში (13 ზემოდასახელებული და ვორონეჟისა, აგრეთვე, ალბათ, სარატოვისა, ურალისა, ტულისა და ციმბირისა *).

«ა ხ ა ლ ი ს კ რ ე ლ თ ა» მხარეზე დგანან ძველი «ისკრის» ყველა მოწინააღმდეგე, ყველა რაბოჩეედელოელი და პარტიის შორიახლო ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი. «ვ პ ე რ ი ო დ ე ლ თ ა» მხარეზე ძველი «ისკრის» ყველა პრინციპულად დარწმუნებული მომხრე და უდიდესი ნაწილი შეგნებული მოწინავე მუშებისა და პარტიის პრაქტიკული მოღვაწეებისა რუ-

* ყოველ შემთხვევაში ოთხივე უკანასკნელი კომიტეტი პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ «უმრავლესობას» უჭერდა მხარს.

სეთში. პლეხანოვმა, რომელიც პარტიის მეორე ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) და ლიგის ყრილობაზე (1903 წ. ოქტომბერი) ბოლშევიკი იყო და რომელიც 1903 წლის ნოემბრიდან თავგანწირვით ებრძვის «უმრავლესობას», 1904 წ. 2 სექტემბერს საჯაროდ განაცხადა (ეს დაბეჭდილია), ორივე მხარის ძალები დაახლოებით თანაბარიაო.

ჩვენ, ბოლშევიკები, ვამტკიცებთ, რომ ჩვენ მხარეზეა ნამდვილ, რუსეთელ, პარტიულ მოღვაწეთა უმრავლესობა. გათიშვის მთავარ მიზეზად და გაერთიანების მთავარ დაბრკოლებად ჩვენ მიგვაჩნია დეზორგანიზატორული საქციელი უმცირესობისა, რომელმაც უარი განაცხადა დამორჩილებოდა მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებს და მესამე ყრილობის მოწვევას გათიშვა არჩია.

ამჟამად მენშევიკები რუსეთში ყველგან ეწევიან ადგილობრივ ორგანიზაციათა გათიშვას. მაგალითად, პეტერბურგში მათ ხელი შეუშალეს კომიტეტს, რომ 28 ნოემბერს გაემართა დემონსტრაცია (იხ. «ვპერიოდი» № 1*). ახლა ისინი პეტერბურგში გამოეყვნენ ცალკე ჯგუფად, რომელსაც ეწოდა «ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ჯგუფი» და რომელიც წინააღმდეგობას უწევს პარტიის ადგილობრივ კომიტეტს. ასეთივე ადგილობრივი ჯგუფი («ცენტრალურ კომიტეტთან არსებული») პარტიის კომიტეტთან საბრძოლველად მათ ამ დღეებში შეჰქმნეს ოდესაში. პარტიის მენშევიკურ ცენტრალურ დაწესებულებებს, მათი პოზიციის სიყალბის გამო, მოუხდათ პარტიის ადგილობრივი მუშაობის დეზორგანიზება, რადგან ამ ცენტრალურმა დაწესებულებებმა არ ისურვეს დამორჩილებოდნენ პარტიის კომიტეტების გადაწყვეტილებას, რომლებმაც ისინი აირჩიეს.

«ვპერიოდსა» და ახალ «ისკრას» შორის პრინციპული უთანხმოება არსებითად იგივეა, რაც ძველ «ისკრასა» და «რაბოჩეე დელოს» შორის იყო. ეს უთანხმოება ჩვენ მნიშვნელოვნად მიგ-

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 24 — 29. რ ე დ.

ვაჩნია, მაგრამ იმ პირობით, თუ შესაძლებელი იქნებოდა საკუთარ შეხედულებათა, ძველი «ისკრის» შეხედულებათა სავსებით დაცვა, ამ უთანხმოებას ჩვენ არ ჩავთვლიდით საკმაო დაბრკოლებად ერთ პარტიაში ერთად მუშაობისათვის.

დაბეჭდილია 1905 წელს ცალკე ფურცლად რსდმპ ბერნის დამხმარე ჯგუფის მიერ

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ტრეპოვი თარეშობს

ყველა უკმაყოფილოსთან ანგარიშის მკაცრად გასწორება მთავრობის ლოზუნგად გადაიქცა 9 იანვრის შემდეგ. სამშობათს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად დიქტატორის უფლებამოსილებით დანიშნულ იქნა ტრეპოვი, ცარიზმის ერთი იმ მსახურთაგანი, რომელნიც ყველაზე მეტად სძულს მთელ რუსეთს; ტრეპოვმა მოსკოვში სახელი გაითქვა თავისი მძვინვარებით, უხეშობითა და მუშათა გარყვნის ზუბატოველთა მცდელობის მონაწილეობით.

დაპატიმრება არაჩვეულებრივ გახშირდა. უწინარეს ყოვლისა დააპატიმრეს წევრები ლიბერალური დეპუტაციისა, რომელიც შაბათ ღამეს ვიტესთან და სვიატოპოლკ-მირსკისთან გაემგზავრა, რათა ეთხოვა მთავრობისათვის, რომ მიეღო მუშათა პეტიცია და რომ ჯარს მშვიდობიან დემონსტრაციაზე სროლით არ ეპასუხნა. თავისთავად ცხადია, რომ ამ თხოვნამ ვერ გაჭრა: ვიტემ დეპუტაცია გაგზავნა სვიატოპოლკ-მირსკისთან, უკანასკნელმა უარი სთქვა მის მიღებაზე. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა რიძევსკიმ დეპუტაცია ძლიერ ცივად მიიღო, განაცხადა, საჭიროა არა მთავრობის, არამედ მუშების დარწმუნება, მთავრობამ საუცხოოდ იცის ყველაფერი, რაც ხდება, და მან უკვე მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა შეცვლა არავითარ შუამდგომლობას არ შეუძლიაო. საინტერესოა, რომ ლიბერალთა კრებამ, რომელმაც ეს დეპუტაცია აირჩია, აღძრა ის საკითხიც, რომ ხელი აეღებინებინათ მუშებისათვის ზამთრის სასახლისაკენ წასვლაზე, მაგრამ გაპონის მეგობარმა, რომელიც კრებას დაესწრო, განაცხადა, ეს უსარგებლოა, მუშები გადაწყვე-

ტილებას არ შესცვლიანო. (ინგლისური გაზეთის «The Daily Telegraph»-ის * კორესპონდენტის ბ-ნ დილონის ცნობები, რომლებიც შემდეგ სხვა კორესპონდენტებმაც დაადასტურეს.)

დეპუტაციის დაპატიმრებულ წევრებს, გესენს, არსენიევს, კარეევს, პეშეხონოვს, მიაკოტინს, სემევსკის, კედრინს, შნიტნიკოვს, ივანჩინ-პისარევს და გორკის (დააპატიმრეს რიგაში და გაგზავნეს პეტერბურგს) წაუყენეს მეტისმეტად უაზრო ბრალდება, ვითომც მათ განზრახვა ჰქონდათ მოეწყოთ «რუსეთის დროებითი მთავრობა» რევოლუციის მეორე დღეს. ცხადია, ეს ბრალდება თავისთავად ბათილდება. დაპატიმრებულთაგან ბევრი (არსენიევი, კედრინი, შნიტნიკოვი) უკვე განთავისუფლებულია. საზღვარგარეთ განათლებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დაიწყო ენერგიული კამპანია გორკის სასარგებლოდ, და მეფის წინაშე შუამდგომლობას მისი განთავისუფლების შესახებ ხელი მოაწერა გერმანიის ბევრმა თვალსაჩინო მეცნიერმა და მწერალმა. ახლა მათ შეუერთდნენ ავსტრიის, საფრანგეთისა და იტალიის მეცნიერები და ლიტერატორები.

პარასკევს საღამოს დააპატიმრეს გაზეთ «ნაშა ჟიზნის» ოთხი თანამშრომელი: პროკოპოვიჩი ცოლით, ხიჟნიაკოვი და იაკოვლევი (ბოგუჩარსკი). გაზეთ «ნაში დნის» თანამშრომელთაგან შაბათს დილით დააპატიმრეს განეიზერი. პოლიცია განსაკუთრებით გულმოდგინედ ეძებს გაფიცულების ან მოკლულთა ქვრივ-ობლების დასახმარებლად საზღვარგარეთიდან გაგზავნილ ფულს. აპატიმრებენ მასობრივად: ბოგუჩარსკის დაპატიმრების ქაღალდის ნომერი იყო 53-ე, ხოლო ხიჟნიაკოვისა — 109-ე. შაბათს ორივე დასახელებული გაზეთის რედაქციები გაჩხრიკეს და უკლებლივ წაიღეს ყველა ხელნაწერი, მათ შორის დაწვრილებითი ანგარიშები მთელი კვირის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ, ანგარიშები, შედგენილი და ხელმოწერილი ნამდვილ მნახველ-მოწმეთა მიერ, რომლებმაც ჩაწერეს ყველაფერი, რაც ნახეს, მომავალ თაო-

* — «ყოველდღიური ტელეგრაფი». რ ე დ.

ბათა საგულისხმოდ. მთელი ეს მასალა ახლა მზის სინათლეს ვერასოდეს ვერ იხილავს.

ოთხშაბათს დაპატიმრებულთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ საჭირო გახდა თითო კამერაში ორ-ორისა და სამ-სამის მოთავსება. ახალი დიქტატორი მუშებს უკვე სრულიად უცერემონიოდ ეპყრობა. ხუთშაბათიდან დაიწყეს მათი ჯგუფობით დაპატიმრება და სამშობლოში გადაგზავნა. იქ ისინი, რასაკვირველია, დაიწყებენ ცხრა იანვრის ამბების შესახებ ცნობების გავრცელებას და თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ქადაგებას.

ტრეპოვი მიმართავს თავის ძველ მოსკოვურ პოლიტიკას: მუშათა მასის გულის მოგებას მცირე ეკონომიური საკენკით.

მეწარმეები იკრიბებიან ფინანსთა მინისტრთან ერთად და მსჯელობენ მუშებისათვის სხვადასხვა დათმობაზე, ლაპარაკობენ 9-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. ფინანსთა მინისტრი სამშაბათს იღებს მუშათა დეპუტაციას, ჰპირდება ეკონომიურ რეფორმებს, აფრთხილებს არ აჰყვნენ პოლიტიკურ აგიტაციას.

პოლიცია წელებზე ფეხს იდგამს, რომ უნდობლობა და მტრობა დათესოს საერთოდ მოსახლეობასა და მუშებს შორის. ოთხშაბათიდან საზღვარგარეთის გაზეთებს მისდით სავსებით გარკვეული ცნობები, რომ პოლიცია ცდილობს დააშინოს პეტერბურგის მცხოვრებლები სენსაციური ზღაპრებით ძარცვის შესახებ და ვითომც გაფიცულთა მიერ ჩადენილი სისხლისმღვრელი მოქმედების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი რიძევსკიც კი სამშაბათს არწმუნებდა ერთ მნახველს, გაფიცულები ძარცვის, ცეცხლის წაკიდების, ნგრევის, ხოცვა-ჟლეტის დაწყებას აპირებენო. გაფიცულები აცხადებდნენ, სადაც კი შეეძლოთ, — ყოველ შემთხვევაში, მათი შეგნებული ბელადები, — რომ ეს ცილისწამებაა. მოსახლეობის ტერორიზების მიზნით, პ ო ლ ი ც ი ა თ ვ ი თ ო ნ გ ზ ა ვ ნ ი დ ა პ რ ო ვ ო კ ა ტ ო რ ე ბ ს ა და მ ე ე ზ ო ვ ე ე ბ ს ჩ ა ე მ ტ ვ რ ი ა თ ფ ა ნ ჯ რ ე ბ ი, ც ე ც ხ ლ ი წ ა ე კ ი დ ე ბ ი ნ ა თ

საგაზეთო კიოსკებისათვის და გაეძარცვათ დუქნები. ნამდვილად კი მუშები იმდენად მშვიდობიანად იქცეოდნენ, რომ ამით იწვევდნენ საზღვარგარეთის გაზეთების იმ კორესპონდენტთა განცვიფრებას, რომლებმაც 9 იანვრის საშინელებანი ნახეს.

პოლიციის აგენტები ახლა ახალი «მუშათა ორგანიზაციის» მოწყობას ცდილობენ. ისინი არჩევენ შესაფერ მუშებს, ანაწილებენ მათ შორის ფულს, უსისიანებენ მათ სტუდენტებსა და ლიტერატორებს, აქებ-ადიდებენ «მამა-მეფის ნამდვილ სახალხო პოლიტიკას». ორ-სამ ასეულ ათას გაუნათლებელ, შიმშილით შეწუხებულ მუშას შორის ძნელი არ არის რამდენიმე ათასის პოვნა, რომელნიც ამ ანკესს წამოეგებიან. სწორედ ეს უკანასკნელნი იქნებიან «ორგანიზებულნი», მათ აიძულებენ წყევლონ «ლიბერალი მატყუარები» და ხმამაღლა განაცხადონ, რომ ისინი მოატყუეს წარსულ კვირას. შემდეგ მუშათა კლასის ეს ნაძირალები ამოირჩევენ დეპუტაციას, რომელიც «ქედმოხრილი სთხოვს მეფეს დართოს ნება განერთხონ მის ფერხთა წინაშე და მოინანიონ წარსულ კვირას ჩადენილი დანაშაული». «ჩემი ცნობებით, — განაგრძობს კორესპონდენტი, — სწორედ ყველაფერ ამას აჭახრაკებს ახლა პოლიცია. ეს ორგანიზაცია რომ მოთავდება, მისი უდიდებულესობა ყოვლად მოწყალედ ინებებს მიიღოს დეპუტაცია მანეჟში, რომელიც ამ მიზნისათვის სპეციალურად იქნება მომზადებული. გულისამაჩუყებელ სიტყვაში იგი განაცხადებს, რომ მამობრივად ზრუნავს მუშებისათვის და მიიღებს ზომებს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად».

P. S. * ეს სტრიქონები უკვე აწყობილი იყო, როცა დეპეშებიდან შევიტყეთ, რომ ინგლისელი კორესპონდენტის წინასწარმეტყველება გამართლდა. მეფემ ცარსკოეში მიიღო პოლიციის მიერ შერჩეული 34 მუშის დეპუტაცია და წარმოსთქვა გაცვეთილი, პირმოთნეობით აღსავსე სიტყვა მთავრობის მამობრივი მზრუნველობისა და მუშებისათვის დანა-

* — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

შაულის პატიების შესახებ. ეს საზიზღარი კომედია, რა თქმა უნდა, ვერ მოატყუებს რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც არასოდეს არ დაივიწყებს სისხლიან კვირას. პროლეტარიატი კიდევ მოელაპარაკება მეფეს სხვა ენით!

«ვპერიოდ» № 5,
1905 წ. 7 თებერვალი (25 იანვარი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

პეტერბურგი 9 იანვრის შემდეგ

ორშაბათს, 10 იანვარს, პეტერბურგს მტრის მიერ ახლად დაპყრობილი ქალაქის სახე ჰქონდა. ქუჩებში განუწყვეტლივ მიმოდიან კაზაკთა პატრულები. აქ-იქ მოჩანს მუშათა აღელვებული ჯგუფები. საღამოს ბევრი ქუჩა ჩაბნელებულია. ელექტრობა და გაზი არ არის. არისტოკრატთა სახლებს მეეზოვეთა ჯგუფები იცავენ. ცეცხლმოდებული საგაზეთო კიოსკები უცნაურად აშუქებენ ხალხის ჯგუფებს.

ნევის პროსპექტზე ხდებოდა ხალხის შეტაკება ჯართან. ხალხს კვლავ უტეხდნენ სროლას. ანიჩკოვის სასახლესთან სამი ზალპი ესროლეს. პოლიცია ხურავდა იარაღის მაღაზიებს, იარაღი სარდაფებში ჩაჰქონდა და, როგორც ჩანს, ყოველ ზომას იღებდა, რომ მუშებისათვის შეიარაღების საშუალება არ მიეცა. მთავრობის დაწესებულებათა მოხელეები განსაკუთრებით შეშფოთებულად გრძნობდნენ თავს, ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქებისა ეშინოდათ, თავზარდაცემულნი პეტერბურგიდან გარბოდნენ.

ვასილის კუნძულზე ჯარების მიერ კვირას აღებული ბარიკადები კვლავ აღდგენილ იქნა ორშაბათს და კვლავ აიღეს ჯარისკაცებმა.

გაზეთები არ არის. სასწავლებლები დახურულია. მუშები მრავალ კერძო კრებაზე იხილავენ ამბებსა და წინააღმდეგობის ღონისძიებებს. თანამგრძნობთა, განსაკუთრებით სტუდენტთა, დიდი ჯგუფები თავმოყრილი არიან საავადმყოფოებთან.

იუწყებიან, რომ კოლპინის 20 — 30 ათასი მუშა სამშაბათს დილით პეტიციით დაიძრა ცარსკოე სელოსაკენ. ცარსკოე სელოს გარნიზონმა მის საწინააღმდეგოდ გაგზავნა ქვეითი პოლ-

კი და საველე ბატარია. კოლპინიდან ხუთი ვერსის დაშორებით მოხდა შეტაკება, ჯარებმა სროლა ატეხეს და საბოლოოდ მოიგერიეს და გარეკეს მუშები ნაშუადღევის 4 საათზე. ბევრია მოკლული და დაჭრილი. მუშები ორჯერ დაესხნენ ცარსკოე სელოს რკინიგზას, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. 7 ვერსის მანძილზე რელსები აყრილი იყო, და დილით მატარებლები არ დადიოდნენ.

მთავრობა ღამღამობით ფარულად მარხავს სისხლიანი კვირის, ვლადიმერის კვირის მსხვერპლთ. მოკლულთა ნათესავებსა და ნაცნობებს განზრახ ატყუებენ, რათა შეუძლებელი გახადონ დემონსტრაციები დამარხვის დროს. გვამებს ვაგონობით გზავნიან ფერისცვალების სასაფლაოზე. ზოგან ხალხი მაინც ცდილობს, მიუხედავად პოლიციის მიერ მიღებული სიფრთხილის ყველა ზომისა, მოაწყოს დემონსტრაცია თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად.

ჯარის წინააღმდეგ მოსახლეობის გაბოროტება უდიდესია. საზღვარგარეთის გაზეთები მნახველთა სიტყვით გადმოგვცემენ, რომ სამშაბათს, 11 იანვარს, დიდ პროსპექტზე კაზაკებმა გააჩერეს მუშებით სავსე ცხენის ტრამვაი. ერთ-ერთმა მუშამ დაუყვირა კაზაკებს: «ჯალათებო!». კაზაკებმა გააჩერეს ცხენის ტრამვაი, ყველა შიგ მჯდომი აიძულეს გადმოსულიყო და სიბრტყით სცემდნენ ხმლებით. ერთ-ერთი ნაცემი კიდევაც დაჭრეს. მეზობელი სახლების მცხოვრებლებმა ფანჯრები გააღეს და კაზაკებს უყვიროდნენ: «კაცისმკვლელებო! ავაზაკებო!» პარასკევს დეპეშებით გადმოსცეს ცნობა, რომ ამ ინციდენტის დროს კაზაკებმა ტრამვაიდან ჩამოაგდეს ერთი ქალიც. შეშინებულ ქალს ბავშვი დაუვარდა, რომელიც კაზაკების ცხენებმა გასრისეს («The Times» *). ჩვენი ჯარების ასეთი გამარჯვება მუშებზე ჭეშმარიტად პიროსის გამარჯვებაა.

«ვპერიოდ» № 5,
1905 წ. 7 თებერვალი (25 იანვარი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

---

* — «ტაიმს» («დროება»). რ ე დ.

პირველი გაკვეთილები

რევოლუციური ქარიშხლის პირველი ტალღა კლებულობს. გარდუვალი და აუცილებელია მეორე ტალღა. პროლეტარული მოძრაობა უფრო და უფრო ფართოვდება, იგი ახლა უშორეს განაპირა კუთხეებს მოედო. მღელვარება და უკმაყოფილება საზოგადოების სულ სხვადასხვაგვარ და ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს ედება. პარალიზებულია სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრება, დახურულია სასწავლებლები, მუშათა მაგალითის მიხედვით გაფიცული არიან ერობის მოღვაწენი. მასობრივ მოძრაობასა და მოძრაობას შუა ხშირდება, როგორც ყოველთვის, ცალკეული ტერორისტული აქტები: თავდასხმა ოდესის პოლიცმეისტერზე, მკვლელობა კავკასიაში, სენატის პროკურორის მოკვლა ჰელსინგფორსში. მთავრობა ხან სისხლიანი მათრახის პოლიტიკას მიმართავს, ხან დაპირებათა პოლიტიკას. იგი ცდილობს მუშათაგან ვინმე მაინც მოატყუოს მეფის მიერ დეპუტაციის მიღების კომედიით *. იგი ცდილობს საზოგადოებრივი ყურადღება ომის ახალ-ახალ ამბებს მიაპყროს და უბრძანებს კუროპატკინს დაიწყოს შეტევა ხუნხოზე. 9 იანვარს ხოცვა-ჟლეტა იყო პეტერბურგში, 12-ს დაიწყო სამხედრო თვალსაზრისით ყოვლად უაზრო შეტევა, რომელიც მეფის გენერლების ახალი სერიოზული დამარცხებით დამთავრდა. რუსები მოიგერიეს, მათ, თვით «ნოვოე ვრემიას» კორესპონდენტის ცნობით, დაკარგეს 13 ათასამდე კაცი, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე იაპონელებმა. მანჯურიის სამხედრო

* იხ. ეს ტომი, გვ. 145 — 146. რ ე დ.

მმართველობის დარგში ისეთივე გახრწნა და დემორალიზაციაა, როგორც პეტერბურგში. საზღვარგარეთის პრესაში კუროპატკინისა და გრიპენბერგის ჩხუბის დამადასტურებელ დ› უარმყოფელ დეპეშებს მოსდევს იმ ამბის დამადასტურებელი და უარმყოფელი დეპეშები, რომ დიდი მთავრების პარტია მიხვდა ომის საშიშროებას თვითმპყრობელობისათვის და სურს რაც შეიძლება მალე მიაღწიოს ზავს.

გასაკვირველი არ არის, რომ ასეთ პირობებში რუსეთის რევოლუციაზე განუწყვეტლივ ლაპარაკობენ ევროპის თვით ყველაზე ფხიზელი და ბურჟუაზიული ორგანოები. რევოლუცია იზრდება და მწიფდება ისეთი სისწრაფით, რომელიც 9 იანვრამდე უმაგალითო იყო. მეორე ტალღა დაიძვრის ხვალ, ზეგ თუ თვეების შემდეგ, ეს დამოკიდებულია მრავალ გარემოებაზე, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელია. მით უფრო აუცილებელია ამოცანა, რათა ერთგვარი ჯამი გავუკეთოთ რევოლუციურ დღეებს და შევეცადოთ გამოვიტანოთ გაკვეთილები, რომლებიც შეიძლება გაცილებით უფრო მალე გამოგვადგეს, ვიდრე ზოგიერთი მოელის.

რევოლუციური დღეების სწორი შეფასებისათვის საჭიროა საერთოდ გადავავლოთ თვალი ჩვენი მუშათა მოძრაობის უახლეს ისტორიას. თითქმის 20 წლის წინათ, 1885 წელს, მოხდა მუშათა პირველი დიდი გაფიცვები ცენტრალურ სამრეწველო რაიონში, მოროზოვთან და სხვებთან. მაშინ კატკოვი წერდა — რუსეთში მუშათა საკითხმა იჩინა თავიო. და რა საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა პროლეტარიატი, გადადიოდა რა ეკონომიური ბრძოლიდან პოლიტიკურ დემონსტრაციებზე, დემონსტრაციებიდან რევოლუციურ შეტევაზე! გავიხსენოთ განვლილი გზის მთავარი მიჯნები. 1885 წელი — ფართო გაფიცვები თითო-ოროლა სოციალისტის უმნიშვნელო მონაწილეობით, რომლებიც არავითარ ორგანიზაციაში არ იყვნენ გაერთიანებული. საზოგადოებრივი აღგზნება გაფიცვათა გამო აიძულებს თვითმპყრობელობის ერთგულ ქოფაკს, კატკოვს, რომ მოწყობილი გასამართლების გამო ილაპარაკოს «რუსეთში წარმოშობილი მუშათა საკითხის პატივსაცემად ას ერთი

სასალუტო გასროლის» შესახებ. მთავრობა ეკონომიურ დათმობაზე მიდის. 1891 წელი — პეტერბურგის მუშათა მონაწილეობა დემონსტრაციაში შელგუნოვის დასაფლავებაზე [41], პოლიტიკური სიტყვები პირველმაისობაზე პეტერბურგში. ჩვენს წინაშეა მოწინავე მუშათა სოციალ-დემოკრატიული დემონსტრაცია, მაშინ როცა ჯერ კიდევ არ არსებობს მასობრივი მოძრაობა. 1896 წელი: რამდენიმე ათეული ათასი მუშის გაფიცვა პეტერბურგში. მასობრივი მოძრაობა და ქუჩებში აგიტაციის დაწყება, უკვე მთელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მონაწილეობით. თუმცა ჯერ კიდევ მცირეა, ჩვენს ახლანდელ პარტიასთან შედარებით, ეს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტთა ორგანიზაცია, მაინც მისი შეგნებული და გეგმაზომიერი სოციალ-დემოკრატიული ჩარევისა და ხელმძღვანელობის შედეგია მოძრაობის უდიდესი გაქანება და მნიშვნელობა იმ გაფიცვასთან შედარებით, მოროზოვთან რომ მოხდა. მთავრობა კვლავ მიდის ეკონომიურ დათმობაზე. საგაფიცვო მოძრაობას მთელ რუსეთში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. რევოლუციური ინტელიგენცია მთლიანად სოციალ-დემოკრატიული ხდება. არსდება სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1901 წელი. მუშა ეხმარება სტუდენტს. იწყება სადემონსტრაციო მოძრაობა. პროლეტარიატს ქუჩაში გამოაქვს თავისი მოწოდება: ძირს თვითმპყრობელობა! რადიკალური ინტელიგენცია საბოლოოდ იყოფა ლიბერალურ, რევოლუციურ-ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ ინტელიგენციად. დემონსტრაციებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციათა მონაწილეობა სულ უფრო ფართო, აქტიური, პირდაპირი ხდება. 1902 წელი: უდიდესი გაფიცვა როსტოვში შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა. პროლეტარიატის პოლიტიკური მოძრაობა ინტელიგენტურ სტუდენტურ მოძრაობას კი აღარ ეკედლება, არამედ თვით იზრდება უშუალოდ გაფიცვიდან. ორგანიზებული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა კიდევ უფრო აქტიურია. პროლეტარიატი იბრძვის მოიპოვოს თავისთვის და თ ა ვ ი ს ი კომიტეტის რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისათვის ქუჩებში

მასობრივ კრებათა თავისუფლება. პროლეტარიატი პირველად უპირდაპირებს თავის თავს, როგორც კლასი, ყველა დანარჩენ კლასს და მეფის მთავრობას. 1903 წელი. გაფიცვები კვლავ უერთდება პოლიტიკურ დემონსტრაციას, მაგრამ კიდევ უფრო ფართო ბაზისზე. გაფიცვები ედება მთელ რაიონს, მათში მონაწილეობს ასი ათასზე მეტი მუშა, მასობრივი პოლიტიკური კრებები მეორდება გაფიცვების დროს მთელ რიგ ქალაქებში. საგრძნობი ხდება, რომ ბარიკადები მოგველის (კიევის 1903 წ. მოძრაობის შეფასება ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების მიერ [42]). მაგრამ მოლოდინი შედარებით ხანგრძლივი აღმოჩნდა, იგი თითქოს გვაჩვევს, რომ მძლავრი კლასები ძალებს ზოგჯერ თვეობითა და წლობით იკრებენ, თითქოს სცდის სოციალ-დემოკრატიის მომხრე ინტელიგენტებს, რომლებსაც რწმენა აკლიათ. და მართლაც, ჩვენი პარტიის ინტელიგენტური ფრთა, ახალისკრელები ან (რაც იგივეა) ახალრაბოჩეედელოელები უკვე შეუდგნენ დემონსტრაციების «უმაღლესი ტიპების» ძებნას პანიკური შიშის აცილების შესახებ ერობის მოღვაწეებთან მუშათა შეთანხმების სახით. უპრინციპობით, რაც ყველა ოპორტუნისტს სჩვევია, ახალისკრელები უკვე მივიდნენ იმ წარმოუდგენელ, ყოვლად წარმოუდგენელ თეზისამდე, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ორი (!!) ძალაა: ბიუროკრატია და ბურჟუაზია (იხილე «ისკრის» რედაქციის მ ე ო რ ე წერილი საერობო კამპანიის გამო). ახალი «ისკრის» ოპორტუნისტებს მომენტის გამოდევნებაში დაავიწყდათ პროლეტარიატის დამოუკიდებელი ძალა! დადგა 1905 წელი, და ცხრა იანვარმა ერთხელ კიდევ ამხილა ყველა უგვარტომო უბადრუკი ინტელიგენტი. პროლეტარული მოძრაობა ერთბაშად ავიდა უმაღლეს საფეხურზე. საყოველთაო გაფიცვამ მთელ რუსეთში ალბათ სულ ცოტა ერთი მილიონი მუშა დარაზმა. სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მოთხოვნები მისწვდა მუშათა კლასის იმ ფენებსაც კი, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუძლიათ სწამდეთ მეფე. პროლეტარიატმა გაარღვია პოლიციური ზუბატოვობის ჩარჩოები, და რევოლუციასთან საბრძოლველად დაარსებული ლეგალური მუშათა საზოგადოების წევრთა მთე-

ლი მასა გაპონთან ერთად რევოლუციური გზით წავიდა. გაფიცვამ და დემონსტრაციამ ჩვენს თვალწინ იწყეს გადაქცევა აჯანყებად. ორგანიზებული რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მოძრაობის წინა სტადიებში, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც სუსტი იყო, სუსტი იყო აქტიური პროლეტარიული მასის იმ გიგანტურ მოთხოვნასთან შედარებით, რომ მისთვის სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა გაეწიათ.

საერთოდ და მთლიანად, საგაფიცვო და სადემონსტრაციო მოძრაობა, ერთიანდებოდა რა სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა საბაბით, იზრდებოდა სიღრმე-სიგანეზე, უფრო და უფრო რევოლუციური ხდებოდა, უფრო და უფრო მეტად უახლოვდებოდა პრაქტიკულად საყოველთაო სახალხო შეიარაღებულ აჯანყებას, რომლის შესახებაც დიდი ხანია ლაპარაკობდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. ეს დასკვნა 9 იანვრის ამბებიდან ჩვენ გავაკეთეთ «ვპერიოდის» მე-4 * და მე-5 ნომრებში. ეს დასკვნა დაუყოვნებლივ და უშუალოდ გამოიტანეს თვით პეტერბურგის მუშებმაც. ათ იანვარს ისინი შეიჭრნენ ერთ ლეგალურ სტამბაში, ააწყეს ქვემომოყვანილი პროკლამაცია, რომელიც ჩვენ პეტერბურგელმა ამხანაგებმა გამოგვიგზავნეს, დაბეჭდეს იგი ათი ათასზე მეტ ცალად და პიტერში გაავრცელეს. აი ეს შესანიშნავი პროკლამაცია **.

ამ მოწოდებას ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება. რევოლუციური პროლეტარიატის თვითმოქმედება აქ მთლიანად გამოიხატა. პეტერბურგის მუშათა მოწოდება არ განხორციელდა ისე მალე, როგორც მათ სურდათ, იგი კიდევ არა ერთხელ განმეორდება, მისი განხორციელების ცდას კიდევ არა ერთხელ მოჰყვება მარცხი. მაგრამ უდავოა თვით მუშათა მიერ ამ ამოცანის დაყენების გიგანტური მნიშვნელობა. უკვე ვერაფრით ვერ წაართმევენ პროლეტარიატს იმ მონაპოვარს, რომელიც

* იხ. ეს ტომი, გვ. 101 — 104. რ ე დ.
** იხ. ეს ტომი, გვ. 169 — 170. რ ე დ.

შედეგია რევოლუციური მოძრაობისა, რამაც გამოიწვია ამ ამოცანის პრაქტიკული აუცილებლობის შეგნება და მოაახლოვა მისი უახლოეს რიგში დაყენება ყოველგვარი სახალხო მოძრაობის დროს.

აჯანყების იდეა ღირსია, რომ მის ისტორიაზე შევჩერდეთ. ახალმა «ისკრამ» ამ საკითხზე გამოსთქვა იმდენი ბუნდოვანი უხამსობა, დაწყებული № 62-ის მარად მოსაგონარი მეთაურით, იმდენი ოპორტუნისტული აბდაუბდა, რაც სავსებით შეჰფერის ჩვენს ძველ ნაცნობს, მარტინოვს, რომ საკითხის ძველებური დაყენების ზუსტ აღდგენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ახალი «ისკრის» ყველა უხამსობას და მის მთელ აბდაუბდას სულ ერთია ბოლომდე ვერ გავედევნებით. გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ხშირ-ხშირად გავიხსენოთ ძველი «ისკრა» და უფრო კონკრეტულად განვავითაროთ მისი ძველი დადებითი ლოზუნგები.

ლენინის ბროშურის «რა ვაკეთოთ?»-ის ბოლოში, 136-ე გვერდზე *, წამოყენებული იყო ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ხ ა ლ ხ ო შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ლოზუნგი. აი რა იყო ამის შესახებ ნათქვამი 1902 წლის დამდეგს, ე. ი. ამ სამი წლის წინათ: «წარმოიდგინეთ სახალხო აჯანყება. დღეს, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მასზე და ვემზადოთ... **

დაწერილია 1905 წ. თებერვლის დამდეგს

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც. ტომი 5, გვ. 657. რ ე დ.

** ამაზე ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

წერილი ა. ა. ბოგდანოვსა და ს. ი. გუსევს

11. II. 1905.

გუშინ გამოგიგზავნეთ დეპეშა, რომ თანახმა ვარ თქვენს ცვლილებებზე, თუმცა სრულიად არ ვეთანხმები იმას, რის გაგებაც კი შემეძლო თქვენი წერილიდან. მაგრამ მე ისე მოვბეზრდა საქმის ეს გაჭიანურება და ჩემს ისეთ დაცინვად გაისმოდა თქვენი კითხვები, რომ ხელი ჩავიქნიე: ოღონდ კი თუნდაც რამე გააკეთოთ! ოღონდ კი გამოუშვათ რანაირიც უნდა იყოს ცნობა ყრილობის შესახებ, მაგრამ გამოუშვათ, და არა ლაპარაკობდეთ მის შესახებ! თქვენ გაგიკვირდებათ სიტყვა: დაცინვა. მაგრამ, მართლაცდა, დაუფიქრდით: ორი თვის წინათ მე გამოვუგზავნე ჩემი პროექტი ბიუროს ყველა წევრს *. ერთ მათგანსაც არ აინტერესებს იგი და საჭიროდ არ მიაჩნია შეხედულებათა გაზიარება!! ახლა კი: ტელეგრაფით... ე-ეჰ, ვლაპარაკობთ ორგანიზაციაზე, ცენტრალიზმზე, ნამდვილად კი ცენტრის ყველაზე უახლოეს ამხანაგებს შორის ისეთი დაქსაქსულობაა, ისეთი კუსტარულობაა, რომ გინდა მიაფურეხო. აი ბუნდელები არ ენამრუშობენ ცენტრალიზმის შესახებ, მაგრამ თვითეული მათგანი სწერს ცენტრს ყოველკვირეულად და კავშირი ფაქტიურად მყარდება. და საკმარისია ხელში ავიღოთ მათი «პოსლედნიე იზვესტია», რომ დავინახოთ ეს კავშირი. ჩვენში კი გამოდის «ვპერიოდის» მე-6 ნომერი და რედაქციის წევრისა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 674 — 677. რედ.

გან (რახმეტოვისაგან) ერთი სტრიქონიც არ მიგვიღია არც «ვპერიოდზე», არც «ვპერიოდისათვის». ჩვენში «ლაპარაკობენ» მდიდარი ლიტერატურული კავშირის შესახებ ს.-პეტერბურგშიც და მოსკოვშიც, უმრავლესობის ახალგაზრდა ძალებზე, ჩვენ კი აქ, სამუშაოდ მოწოდების ორი თვის შემდეგ (ანონსი «ვპერიოდზე» და წერილი მის შესახებ), ჩამიჩუმიც არ გვსმენია. ხოლო რუსეთის კომიტეტებს (კავკასია, ნიჟნი, უკვე აღარაფერს ვამბობ ვოლგისპირეთზე, სამხრეთზე) ბიურო მთლად «მითად» მიაჩნიათ და ამის სრული უფლებაცა აქვთ. მენშევიკების ჯგუფთან უმრავლესობის ს.-პეტერბურგის კომიტეტის რაღაც კავშირზე ჩვენ «გავიგონეთ» უცხო ადამიანებისაგან, — ჩვენებისაგან კი ერთი სიტყვაც არ გაგვიგონია. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ასეთი თვითმკვლელური და სულელური ნაბიჯის გადადგმა შეეძლოთ ბოლშევიკებს. სოციალ-დემოკრატების კონფერენციისა და «ბლოკის» შესახებ «გავიგონეთ» უცხოთაგან, ხოლო ჩვენებისაგან კრინტიც კი არა, თუმცა ამბობენ, რომ ეს არის fait accompli *. ჩანს, ბოლშევიკებს ერთხელ კიდევ მოესურვათ, რომ ყინულზე გააცურონ.

ჩვენი ერთადერთი ძალაა — აშკარა პირდაპირობა და შემჭიდროება, შეტევის ენერგია. ხოლო ადამიანები, ვგონებ, მოდუნდნენ «რევოლუციის» გამო!! როდესაც ორგანიზებულობა ასჯერ უფრო საჭიროა, ისინი ხელში უვარდებიან დეზორგანიზატორებს. დეკლარაციისა და ყრილობის პროექტის შესწორებებიდან (რომლებიც წერილში მეტისმეტად გაუგებრად არის მოყვანილი) ჩანს, რომ გადაყოლილი არიან «ლოიალობას»: პაპაშა პირდაპირ წერს ამ სიტყვას და დასძენს: ცენტრები რომ არ მოვიხსენიოთ, ყრილობაზე არავინ მოვაო! ერიჰა, ბატონებო; სანაძლეოს ვდებ, რომ თუ თქვენ **ასე** იმოქმედებთ, ვერასოდეს ვერ ეღირსებით ყრილობას და ვერასოდეს ვერ დააღწევთ თავს ცენტრალური ორგანოს და ცენტრალური კო-

* — მომხდარი ფაქტი. რ ე დ.

მიტეტის ბონაპარტისტთა ზეგავლენას. ყრილობის შეკრება წინააღმდეგ ცენტრებისა, რომელთაც უნდობლობა აქვთ გამოცხადებული, ყრილობის შეკრება რევოლუციური ბიუროს სახელით (არარსებულისა და ფიქციურისა, თუ ლოიალური წესდების წინაშე მუცლით ხოხვას დაიწყებთ) და ყრილობაზე 9 ბონაპარტისტისაც, ლიგისაც (ჰა-ჰა!) და ბონაპარტისტული კრეატურებისაც (ახლადგამომცხვარი კომიტეტები) ყრილობაზე ყოფნის უთუო უფლების აღიარება, — ეს ნიშნავს საკუთარი თავის გამასხარავებას და საკუთარი თავისადმი ყოველგვარი პატივისცემის ძირის გამოთხრას. შეიძლებოდა და საჭიროც იყო მოგვეწვია ცენტრები, მაგრამ მათი გადამწყვეტი ხმის აღიარება, ეს, ვიმეორებ, უგუნურებაა. რასაკვირველია, ცენტრები სულ ერთია არ მოვლენ ჩვენს ყრილობაზე, მაგრამ რა საჭიროა ერთხელ კიდევ ზედმეტად მივცეთ საბაბი პირში შემოგვაფურთხონ? რა საჭიროა პირმოთნეობა და კეკემალულობა. ეს პირდაპირ სამარცხვინოა. ჩვენ გამოვაცხადეთ გათიშვა, ჩვენ ვიწვევთ ყრილობაზე ვპერიოდელებს, ჩვენ გვსურს მოვაწყოთ ვპერიოდული პარტია და ვწყვეტთ, დაუყოვნებლივ ვწყვეტთ ყველა და ყოველგვარ ურთიერთობას დეზორგანიზატორებთან, — ჩვენ კი გვეჩიჩინებიან ლოიალობის შესახებ, თვალთმაქცობენ, ვითომც შეიძლებოდეს «ისკრისა» და «ვპერიოდის» საერთო ყრილობა. რაღაც კომედია გამოდის! რასაკვირველია, ყრილობის (თუ კი იგი იქნება) პირველივე დღე, პირველი საათი გაფანტავს ამ კომედიას, მაგრამ ყრილობამდე ამგვარი სიყალბე ათჯერ და ასჯერ გვავნებს.

სწორე გითხრათ, მე ხშირად ვფიქრობ, რომ ბოლშევიკებში $^{9}/_{10}$ ნამდვილად ფორმალისტია. ან ჩვენ შევამჭიდროებთ ნამდვილი რკინისებური ორგანიზაციით მათ, ვისაც სურს იომოს, და ამ პატარა, მაგრამ მტკიცე პარტიით ლახვარს ლახვარზე ჩავცემთ ახალისკრელთა ჭრელი ელემენტების დონდლო ურჩხულს, ან ჩვენი საქციელით დავამტკიცებთ, რომ ღირსნი ვიყავით დაღუპვისა, როგორც საზიზღარი ფორმალისტები. როგორ არ ესმით ადამიანებს, რომ ბიუროამდე და «ვპე-

რ ი ო დ ა მ დ ე» ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ ლოიალობის გადასარჩენად, ერთიანობის გადასარჩენად, კონფლიქტის მოგვარების ფორმალური, ე. ი. უმაღლესი მეთოდების გადასარჩენად!?!? ხოლო ახლა, ბიუროს შ ე მ დ ე გ, «ვპერიოდის» შ ე მ დ ე გ გათიშვა ფაქტია. და როდესაც გათიშვა ფაქტად იქცა, გამოჩნდა, რომ ჩვენ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ა დ მ რ ა ვ ა ლ ჯ ე რ უ ფ რ ო ს უ ს ტ ნ ი ვ ა რ თ. ჩვენთვის ჯერ კიდევ საჭიროა ჩვენი მორალური ძალა მატერიალურ ძალად გადავაქციოთ. მენშევიკებს უფრო მეტი აქვთ ფული, მეტი აქვთ ლიტერატურა, მეტი აქვთ ტრანსპორტი, მეტი ჰყავთ აგენტები, მეტი ჰყავთ «სახელები», მეტი ჰყავთ თანამშრომლები. ძიუტეევებელი ბავშვობა იქნებოდა ამის არდანახვა. და თუ ჩვენ არა გვსურს ვუჩვენოთ ქვეყნიერებას უსაზიზღრესი ნიმუში დამჭკნარი და ანემიური მოხუცი ქალწულისა, რომელიც ამაყობს თავისი უნაყოფო მორალური სიწმინდით, უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ გვჭირდება ომი და სამხედრო ორგანიზაცია. მხოლოდ ხანგრძლივი ომის შემდეგ და მხოლოდ იმ პირობით, თუ საუცხოო ორგანიზაცია გვექნება, ჩვენს მორალურ ძალას შეუძლია მატერიალურ ძალად იქცეს.

საჭიროა ფული. უაღრესად უაზროა გეგმა ყრილობის მოწვევისა **ლონდონში**, რადგან ეს ერთიორად უფრო მეტი დაჯდება. ჩვენ არ შეგვიძლია «ვპერიოდის» შეჩერება, ხოლო დიდი ხნით წასვლა მას შეაჩერებს. ყრილობა უნდა იყოს უბრალო, ხანმოკლე, არამრავალრიცხოვანი. ეს არის — ყრილობა ომის მოსაწყობად. ყველაფრიდან ჩანს, რომ თქვენ ამ მხრივ ილუზიებს აჰყოლიხართ.

საჭიროა თანამშრომლები «ვპერიოდისათვის». ჩვენ ცოტანი ვართ. თუ არ დავუმატებთ 2 — 3 მუდმივ თანამშრომელს რუსეთიდან, მაშინ საჭიროც არ არის სისულელის ყბედობა «ისკრასთან» ბრძოლაზე. საჭიროა ბროშურები და ფურცლები, უკიდურესად საჭიროა.

საჭიროა ახალგაზრდა ძალები. ჩემი რჩევა იქნებოდა პირდაპირ ადგილზევე დაიხვრიტონ ისინი, ვინც თავის თავს ნებას აძლევს და ამბობს, ადამიანები არა გვყავსო. რუსეთში

ადამიანები უამრავია, საჭიროა მხოლოდ უფრო ფართოდ და გაბედულად, უფრო გაბედულად და ფართოდ, ერთხელ კიდევ უფრო ფართოდ და ერთხელ კიდევ უფრო გაბედულად მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, ა რ გ ვ ე შ ი ნ ო დ ე ს მ ი ს ი. ომიანობის დროა. ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს, სტუდენტი ახალგაზრდობაც და კიდევ უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც. უკუაგდეთ უმოძრაობის, ხარისხის პატივისცემისა და ყველა სხვა მსგავსი ძველი ჩვეულება. ახალგაზრდობისაგან დააარსეთ ვპერიოდელთა **ასობით** წრე და წააქეზეთ ისინი რაც ძალი და ღონე აქვთ იმუშაონ. ე რ თ ი ს ა მ ა დ გააფართოეთ კომიტეტი ახალგაზრდობის მიღებით, შეჰქმენით ხუთიოდე ან ათიოდე ქვეკომიტეტი, «კოოპტაციის» წესით მიიღეთ ყოველი და თვითეული პატიოსანი და ენერგიული ადამიანი. უფლება მიეცით თვითეულ ქვეკომიტეტს წეროს და გამოსცეს ფურცლები საქმის სრულიად გაუჭიანურებლად (არაფერია, თუ შეცდომას დაუშვებს: ჩვენ «ვპერიოდში» «რბილად» შევასწორებთ). საჭიროა უდიდესი სისწრაფით გავაერთიანოთ და ავამოქმედოთ ყველა რევოლუციურად ინიციატივიანი ადამიანი. ნუ შეგეშინდებათ მათი მოუმზადებლობისა, ნუ აცახცახდებით მათი გამოუცდელობისა და განუვითარებლობის გამო. ჯერ-ერთი, თუ თქვენ ვერ შესძლებთ მათ დარაზმვას და ამოქმედებას, ისინი გაჰყვებიან მენშევიკებსა და გაპონებს და იმავე თავისი გამოუცდელობით ხუთჯერ უფრო მეტ ზიანს მოიტანენ. მეორე, ახლა მოვლენები გაწვრთნიან ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ა დ. მოვლენები უკვე წვრთნიან ყველას და თვითეულს სწორედ ვპერიოდისებურად.

მხოლოდ აუცილებლად უნდა მოაწყოთ, მოაწყოთ და მოაწყოთ ა ს ო ბ ი თ წრეები და სულ უკანასკნელ ადგილზე გადასწიოთ ჩვეულებრივი კომიტეტური (იერარქიული) სისულელეები. ომიანობის დროა. ან **ახალი**, ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე, ენერგიული სამხედრო ორგანიზაციები ყველგან ყოველგვარი, ყველა სახის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის ყველა ფენაში, — ან თქვენ დაიღუპებით ბეჭედდასმულ «კომიტეტელთა» სახელით.

მე ამის შესახებ დავწერ ხოლმე «ვპერიოდში» * და ვილაპარაკებ ყრილობაზე. გწერთ თქვენ, რათა კვალად და კვალად შ ე ვ ე ც ა დ ო გამოგიწვიოთ აზრთა გაცვლისათვის, გამოგიწვიოთ იმისათვის, რათა რედაქციას უ შ უ ა ლ ო დ დ ა უ კ ა ვ შ ი რ ო თ მუშათა (და სხვა) ათეული **ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე** წრეები, თუმცა... თუმცა, ჩვენს შორის დარჩეს, არავითარი იმედი არა მაქვს, რომ ეს კადნიერი სურვილები განხორციელდება. იქნებ ორიოდე თვის შემდეგ შემეკითხოთ, რათა ტელეგრაფით გიპასუხოთ, თანახმა ვარ თუ არა «გეგმის» ასეთ და ასეთ ცვლილებაზე... წინასწარ გიპასუხებთ, რომ ყველაფერზე თანახმა ვარ... ყრილობაზე ნახვამდის. ლენინი.

P. S. ** საჭიროა ამოცანად დაისახოთ «ვპერიოდის» რუსეთში გადაზიდვის რევოლუციონიზირება. უფართოესი პროპაგანდა გასწიეთ, რომ პიტერიდან ხელმოწერა გაძლიერდეს. დაე სტუდენტებმა და განსაკუთრებით მ უ შ ე ბ მ ა ათობით და ასობით გამოიწერონ თავიანთი საკუთარი მისამართებით. ახლანდელ დროში ამის შიში სასაცილოა. ყველაფრის ხელში ჩაგდებას პოლიცია ვერასოდეს ვერ შესძლებს. თუ მიაღწევს ½ — ⅓, ესეც უკვე ძალიან ბევრია. მიეცით ეს აზრი ახალგაზრდობის ყ ო ვ ე ლ წრეს, რომელიც საზღვარგარეთისაკენ იპოვნის ასობით თავის გზასაც. ფართოდ, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელეთ მისამართები წერილების საგზავნად «ვპერიოდში».

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია
რევოლუციაში» № 4 (39)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 239 — 251. რ ე დ.

** — Postscriptum — მინაწერი. რ ე დ.

ორი ტაქტიკა

რუსეთის მასობრივი მუშათა მოძრაობის დასაწყისიდანვე, ე. ი. დაახლოებით უკვე ათი წლის განმავლობაში, სოციალ-დემოკრატებს შორის ტაქტიკის საკითხებზე დიდი უთანხმოება არსებობს. როგორც ცნობილია, სწორედ ამგვარმა უთანხმოებამ 90-იანი წლების მეორე ნახევარში გამოიწვია ეკონომიზმის მიმდინარეობა, რასაც შედეგად მოჰყვა გათიშვა პარტიის ოპორტუნისტულ (რაბოჩეედელოელთა) და რევოლუციურ (ძველისკრელთა) ფრთად. მაგრამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმი დასავლეთ ევროპულისაგან განსაკუთრებული თავისებურებით განსხვავდებოდა. იგი მეტისმეტი რელიეფურობით ასახავდა პარტიის ინტელიგენტური ფრთის თვალსაზრისს ან, შეიძლება ითქვას, იმას, რომ არავითარი დამოუკიდებელი თვალსაზრისი არ გააჩნდა ამ ფრთას, რომელიც გატაცებული იყო ბერნშტეინელობის მოდური სიტყვებითაც და წმინდა მუშური მოძრაობის უშუალო შედეგებითა და ფორმებითაც. ამ გატაცებამ გამოიწვია მასობრივი ღალატი ლეგალური მარქსისტებისა, რომლებიც ლიბერალიზმში გადაბარგდნენ, და სოციალ-დემოკრატების მიერ «ტაქტიკა-პროცესის» განთქმული თეორიის შექმნა, რომელმაც ჩვენს ოპორტუნისტებს მაჩანჩალების სახელწოდება განუმტკიცა. ისინი მოვლენებს უმწეოდ მისჩანჩალებდნენ კუდში, ერთი უკიდურესობიდან მეორეს აწყდებოდნენ, ყველა შემთხვევაში ამცირებდნენ რევოლუციური პროლეტარიატის საქმიანობის გაქანებას და მის ძალთა რწმენას, ამასთან ყველაზე მეტად და უფრო ხშირად ყოველივე ამას ფარავდნენ

პროლეტარიატის თვითმოქმედებაზე მითითებით. ეს კურიოზულია, მაგრამ ეს ფაქტია. არავის არ ულაპარაკნია ასე ბევრი მუშათა თვითმოქმედებაზე და ასე არავის არ დაუპატარავებია, არ შეუკვეცნია, არ დაუმცირებია თავისი ქადაგებით ეს თვითმოქმედება, როგორც ამას რაბოჩეედელოელები აკეთებდნენ. ««მუშათა მასის აქტიურობის გაძლიერებაზე» რაც შეიძლება ნაკლებად ილაპარაკეთ» — ეუბნებოდნენ თავიანთ გულმოდგინე, მაგრამ უჭკუო მრჩევლებს შეგნებული, მოწინავე მუშები. «აქტიურობა ჩვენ გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, და ჩვენ შეგვიძლია აშკარა ბრძოლით ქუჩებში ისეთ მოთხოვნებსაც დავუჭიროთ მხარი, რომლებიც არავითარ «ხელშესახებ შედეგებს» არ გვიქადის! და თქვენ ვერ «გააძლიერებთ» ჩვენს აქტიურობას, ვინაიდან თვითონ თქვენ გაკლიათ სწორედ ეს აქტიურობა. რაც შეიძლება ნაკლებად მოიხარეთ ქედი სტიქიურობის წინაშე და რაც შეიძლება მეტი იფიქრეთ საკუთარი აქტიურობის გაძლიერებაზე, ბატონებო!» აი როგორ გვიხდებოდა ოპორტუნისტი ინტელიგენტებისადმი რევოლუციურ მუშათა დამოკიდებულების დახასიათება («რა ვაკეთოთ?», გვ. 55 *).

ორმა ნაბიჯმა უკან, რომელიც ახალმა «ისკრამ» «რაბოჩეე დელოსაკენ» გადადგა, მკვდრეთით აღადგინა ეს დამოკიდებულება. «ისკრის» ფურცლებიდან კვლავ წარმოდინდა მაჩანჩალობის ქადაგება, რომელსაც ფარავდნენ ასეთივე გულისამრევი ფიცით: ჰე, ღმერთო, მწამს და აღვიარებ პროლეტარიატის თვითმოქმედებას. პროლეტარიატის თვითმოქმედების გულისთვის აქსელროდი და მარტინოვი, მარტოვი და ლიბერი (ბუნდელი) ყრილობაზე იცავდნენ პროფესორებისა და გიმნაზიელების უფლებას ჩაწერილიყვნენ პარტიის წევრებად ისე, რომ არ შესულიყვნენ არავითარ ორგანიზაციაში. პროლეტარიატის თვითმოქმედების გულისთვის ითხზვებოდა «ორგანიზაცია-პროცესის» თეორია, რომელიც ამართლებდა დეზორგანიზაციას და აქებ-ადიდებდა ინტელიგენტურ ანარქიზმს.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 526. რ ე დ.

პროლეტარიატის თვითმოქმედების გულისთვის გამოგონილ იქნა «დემონსტრაციების უმაღლესი ტიპის» არა ნაკლებ განთქმული თეორია, რაც გამოიხატებოდა ერობის მოღვაწეებთან სამმაგი არჩევნებით გაცხრილული მუშათა დეპუტაციის შეთანხმებით მშვიდობიანი მანიფესტაციების შესახებ პანიკური შიშის მოუხდენლად. პროლეტარიატის თვითმოქმედების გულისთვის ამახინჯებდნენ და აუხამსებდნენ, ამცირებდნენ და აბნელებდნენ შეიარაღებული აჯანყების იდეას.

ამ უკანასკნელ საკითხზე, მისი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. მუშათა მოძრაობის განვითარებამ მწარედ დასცინა ახალი «ისკრის» ბრძენთ. ჯერ კიდევ არ გავრცელებულიყო რუსეთში მისი პირველი წერილი, რომელშიც «პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნებისა და თვითმოქმედების გეგმაზომიერი განვითარების პროცესისათვის» ურჩევდნენ, როგორც დემონსტრაციების უმაღლეს ტიპს, «მუშათა განცხადების ფოსტით გაგზავნას ხმოსნების ბინაზე და მისი ეგზემპლარების დიდი რაოდენობით მოფანტვას ერობის კრების დარბაზში»; — ჯერ კიდევ არ მიეღწია რუსეთამდე მის მეორე წერილს, რომელშიც მოცემული იყო უკვე მთლად თავბრუდამხვევი აღმოჩენა, რომ ახლანდელ «ისტორიულ მომენტში პოლიტიკური სცენა სავსეა (!) ორგანიზებული ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიის დავით» და რომ «ქვედაფენებში ყოველგვარი (ისმინეთ, ისმინეთ!) რევოლუციური მოძრაობის ობიექტური აზრი ერთია (!) და მდგომარეობს ორი (!!) ძალიდან იმ ძალის ლოზუნგების მხარდაჭერაში, რომელიც დაინტერესებულია მოცემული რეჟიმის შემუსრვით» (დემოკრატიული ინტელიგენცია იყო გამოცხადებული «ძალად»); — შეგნებულ მუშებს ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ამ საუცხოო წერილების წაკითხვა და მათი გულიანად დაცინვა, რომ პროლეტარიატის ნამდვილი ბრძოლის ამბებმა ახალისკრელი პუბლიცისტების მთელი ეს პოლიტიკური ნაგავი ერთბაშად გაჰგავეს სანაგვე ორმოში. პროლეტარიატმა გვიჩვენა, რომ არის მესამე (არსებითად, რა

თქმა უნდა, არა მესამე, არამედ სათვალავით მეორე და ბრძოლისუნარიანობით პირველი) ძ ა ლ ა, რომელიც არა მარტო დაინტერესებულია თვითმპყრობელობის შემუსრვით, არამედ მ ზ ა დ ა ც ა რ ი ს შ ე უ დ გ ე ს მ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ შ ე-მ უ ს რ ვ ა ს. 9 იანვრიდან დაწყებული, მუშათა მოძრაობა ჩვენს თვალწინ სახალხო აჯანყებად ი ზ რ დ ე ბ ა.

ვნახოთ ახლა, როგორ აფასებდნენ აჯანყებაზე გადასვლას სოციალ-დემოკრატები, რომლებიც წინასწარ მსჯელობდნენ მასზე, როგორც ტაქტიკის საკითხზე, — და როგორ იწყეს ამ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრა თვითონ მუშებმა.

აი რა იყო ნათქვამი სამი წლის წინათ აჯანყებაზე, როგორც ლოზუნგზე, რომელიც საზღვრავს ჩვენს უახლოეს პრაქტიკულ ამოცანებს: «წარმოიდგინეთ სახალხო აჯანყება. დღეს, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მასზე და ვემზადოთ მისთვის. მაგრამ როგორ ვემზადოთ? ცენტრალური კომიტეტი ხომ ვერ დანიშნავს ყველგან აგენტებს აჯანყების მოსამზადებლად! ჩვენ კიდეც რომ გვყავდეს ცენტრალური კომიტეტი, ის ასეთი დანიშვნით ვერაფერს გახდებოდა რუსეთის თანამედროვე პირობებში. პირიქით, აგენტების ქსელი, თავისთავად წარმოშობილი საერთო გაზეთის დაყენებისა და გავრცელების საქმის ნიადაგზე, ვერ «დაჯდებოდა და დაუცდიდა» აჯანყების ლოზუნგს, არამედ გააკეთებდა სწორედ ისეთ რეგულარულ საქმეს, რომელიც უზრუნველყოფდა წარმატების ყველაზე მეტ შესაძლებლობას აჯანყების შემთხვევაში. სწორედ ასეთი საქმე განამტკიცებდა კავშირს როგორც მუშათა უფართოეს მასებთან, ისე თვითმპყრობელობით უკმაყოფილო ყველა ფენასთან, რაც ასე მნიშვნელოვანია აჯანყებისათვის. სწორედ ასეთი საქმის ნიადაგზე შემუშავდებოდა უნარი საერთო პოლიტიკური მდგომარეობის სწორად შეფასებისა და, მაშასადამე, უნარი აჯანყებისათვის შესაფერი მომენტის შერჩევისა. სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყ ვ ე ლ ა ადგილობრივ ორგანიზაციას ერთსა და იმავე დროს გამოეხმაუროს მთელი რუსეთის ამაღელვებელ ერთსა და იმავე პოლიტიკურ საკითხებს, შემთხვევებსა და ამბებს, გამოეხმაუროს ამ «ამბებს», რომლებიც მთელ რუსეთს აღელ-

ვებენ, ეპასუხნათ რაც შეიძლება ენერგიულად, რაც შეიძლება ერთგვარად და მიზანშეწონილად, — ხოლო აჯანყება არსებითად ხომ უაღრესად ენერგიული, უაღრესად ერთგვარი და უაღრესად მიზანშეწონილი «პასუხია» მთელი ხალხისა მთავრობის მიმართ. დასასრულ, სწორედ ასეთი საქმე შეაჩვევს ყველა რევოლუციურ ორგანიზაციას რუსეთის ყველა კუთხეში დაამყაროს უაღრესად მუდმივი და ამავე დროს უაღრესად კონსპირაციული ურთიერთობა, რაც ჰქმნის პარტიის ფაქტიურ ერთიანობას, — ასეთი ურთიერთობის დაუმყარებლად კი შეუძლებელია აჯანყების გეგმის კოლექტიური განხილვა და იმ აუცილებელი მოსამზადებელი ღონისძიების განხორციელება აჯანყების წინ, რომელიც უაღრესად საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული.

ერთი სიტყვით, «საერთო-რუსეთის პოლიტიკური გაზეთის გეგმა» არათუ დოქტრინიორობითა და ლიტერატურულობით დაავადებულ პირთა კაბინეტური მუშაობის ნაყოფია (როგორც ეს მოეჩვენათ იმ ადამიანებს, რომელნიც ამ გეგმას ცუდად ჩაუკვირდნენ), არამედ, პირიქით, იგი უაღრესად პრაქტიკული გეგმაა იმისათვის, რომ ყოველმხრივ და დაუყოვნებლივ დავიწყოთ მზადება აჯანყებისათვის და ამავე დროს ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ ჩვენი საარსებო ყოველდღიური მუშაობა» («რა ვაკეთოთ?» *).

ჩვენ მიერ ხაზგასმული დასკვნითი სიტყვები გვაძლევენ ნათელ პასუხს იმ კითხვაზე, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს აჯანყების მომზადების საქმე. მაგრამ, რაც უნდა ნათელი იყოს ეს პასუხი, მაჩანჩალობის ძველ ტაქტიკას არ შეეძლო არ გამომჟღავნებულიყო ამ პუნქტშიც. მარტინოვმა სულ ცოტა ხნის წინათ გამოსცა ბროშურა «ორი დიქტატურა», რომელსაც ახალმა «ისკრამ» (№ 84) განსაკუთრებული რეკომენდაცია გაუკეთა. ავტორი მთელი თავისი რაბოჩეედელოელური გულის სიღრმით აღშფოთებულია იმით, რომ ლენინს შეეძლო ელაპარაკნა

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 657 — 658. რედ.

«შეიარაღებული საყოველთაო სახალხო აჯანყების მომზადების, დ ა ნ ი შ ვ ნ ი ს ა და გატარების შესახებ». მრისხანე მარტინოვი გმირავს მტერს: «საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ისტორიული გამოცდილებისა და საზოგადოებრივ ძალთა დინამიკის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მუდამ აღიარებდა, რომ მხოლოდ სასახლის გადატრიალებანი და პრონუნციამენტოები შეიძლება წინასწარ დ ა ი ნ ი შ ნ ო ს და წარმატებით გატარდეს წინასწარ მომზადებული გეგმით, სწორედ იმიტომ, რომ ისინი არ არიან სახალხო რევოლუციები, ე. ი. გადატრიალებანი საზოგადოებრივ ურთიერთობაში, არამედ მხოლოდ გადაჯგუფებანი მმართველ წრეში. სოციალ-დემოკრატია ყველგან და ყოველთვის აღიარებდა, რომ სახალხო რევოლუცია არ შეიძლება წინასწარ იქნას დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი, რომ იგი ხელოვნურად კი არ მზადდება, არამედ თვითონ ხდება».

შეიძლება მკითხველმა, ამ ტირადას რომ წაიკითხავს, სთქვას, მარტინოვი, უეჭველია, სერიოზული მოწინააღმდეგე «არ არის» და მისთვის სერიოზული ანგარიშის გაწევა სასაცილოაო. ჩვენ სავსებით დავეთანხმებოდით ასეთ მკითხველს. ასეთ მკითხველს ჩვენ იმასაც კი ვეტყოდით, რომ დედამიწის ზურგზე არ არის იმაზე უფრო მწარე სატანჯველი, ვიდრე ჩვენი ახალისკრელების ყველა თეორიისა და ყველა მსჯელობისათვის სერიოზული ანგარიშის გაწევა. სამწუხარო ის არის, რომ ეს სისულელეები «ისკრის» (№ 62) მეთაურებშიც გვხვდება. უფრო მეტად სამწუხარო ის არის, რომ პარტიაში არიან ადამიანები, და ისინი ცოტა როდი არიან, რომლებიც თავს ასეთი სისულელეებით იტენენ. და იძულებული ვხდებით ვილაპარაკოთ არასერიოზულ საგნებზე ისევე, როგორც იძულებული ვხდებით ხოლმე ვილაპარაკოთ როზა ლუქსემბურგის «თეორიაზე», რომელმაც «ორგანიზაცია-პროცესი» აღმოაჩინა. იძულებული ვხდებით განვუმარტოთ მარტინოვს, რომ არ შეიძლება აჯანყებისა და სახალხო რევოლუციის ერთმანეთში არევა. იძულებული ვხდებით განვმარტოთ, რომ ღრმააზროვანი მითითება საზოგადოებრივი ურთიერთობის

გადატრიალებაზე რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის საშუალებათა პრაქტიკული საკითხის გადაჭრის დროს მხოლოდ კიფა მოკიევიჩს შეჰფერის[43]. ეს გადატრიალება რუსეთში დაიწყო უკვე ბატონყმობის გადავარდნის დროიდან, და სწორედ ჩვენი პოლიტიკური ზედნაშენის ჩამორჩენა საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარი გადატრიალებისაგან ზედნაშენის კრახს აუცილებელს ხდის, ამასთან სავსებით და სავსებით შესაძლებელია კრახი ერთბაშად, ერთი დაკვრით, რადგან «სახალხო რევოლუციამ» რუსეთში უკვე ასჯერ დაარტყა ცარიზმს, და არ ვიცით მას ასპირველი თუ ასმეათე დარტყმა მოუღებს ბოლოს. მხოლოდ ოპორტუნისტ ინტელიგენტებს, რომლებიც თავიანთ ფილისტერობას პროლეტარებს აბრალებენ, შეუძლიათ ასეთ დროს, როდესაც ხდება მეორე ასეული დარტყმიდან ერთ-ერთი დარტყმის პრაქტიკულ საშუალებათა განხილვა, გამოამჟღავნონ თავიანთი გიჟნაზიური ცოდნა «საზოგადოებრივი ურთიერთობის გადატრიალების» შესახებ. მხოლოდ ახალი «ისკრის» ოპორტუნისტებს შეუძლიათ ისტერიულად გაჰკიოდნენ საშინელი «იაკობინური» გეგმის შესახებ, რომლის სიმძიმის ცენტრი, როგორც დავინახეთ, დევს ყოველმხრივ მასობრივ აგიტაციაში პოლიტიკური გაზეთის დახმარებით!

არ შეიძლება სახალხო რევოლუციის დანიშვნა, ეს მართალია. ამ ჭეშმარიტების ცოდნის გამო არ შეგვიძლია არ შევაქოთ მარტინოვი და «ისკრის» № 62-ის მეთაურის ავტორი («და საერთოდ აჯანყების რა მომზადებაზე შეუძლია ლაპარაკი ჩვენს პარტიას», კითხულობდა იქ მარტინოვის ერთგული თანამებრძოლი თუ მოწაფე, ებრძოდა რა «უტოპისტებს»). მაგრამ სავსებით განსახორციელებელი რამ არის აჯანყების დანიშვნა, თუ ჩვენ მას ნამდვილად ვამზადებდით და თუ სახალხო აჯანყება, საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარ გადატრიალებათა გამო, შესაძლებელია. შევეცდებით განვუმარტოთ ეს ახალისკრელებს უბრალო მაგალითით. შეიძლება თუ არა მუშათა მოძრაობის დანიშვნა? არა, არ შეიძლება, რადგან იგი ჯამია ათასი ცალკეული აქტისა, რომლებსაც

წარმოშობს გადატრიალება საზოგადოებრივ ურთიერთობაში. შეიძლება თუ არა გაფიცვის დანიშვნა? შეიძლება, მიუხედავად იმისა — წარმოიდგინეთ, ამხანაგო მარტინოვ, მიუხედავად იმისა, რომ თვითეული გაფიცვა წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარი გადატრიალების შედეგს. როდის არის ხოლმე შესაძლებელი გაფიცვის დანიშვნა? მაშინ, როდესაც ორგანიზაცია თუ წრე, რომელიც მას ნიშნავს, სარგებლობს გავლენით მოცემულ მუშათა მასაში და შეუძლია სწორად შეაფასოს მუშათა მასის მზარდი უკმაყოფილებისა და აღშფოთების მომენტი. მიხვდით ახლა თუ არა, რაშია საქმე, ამხ. მარტინოვ და «ისკრის» 62-ე ნომრის ამხანაგო-«მეთაურო»? თუ მიხვდით, ახლა გაისარჯეთ და შეადარეთ აჯანყება და სახალხო რევოლუცია. «არ შეიძლება სახალხო რევოლუციის წინასწარ დანიშვნა». აჯანყება შეიძლება დაინიშნოს, როდესაც მისი დამნიშვნელები გავლენით სარგებლობენ მასაში და შეუძლიათ სწორად შეაფასონ მომენტი.

საბედნიეროდ, მოწინავე მუშათა თვითმოქმედება ძალიან წინ არის ახალი «ისკრის» მაჩანჩალობის ფილოსოფიასთან შედარებით. სანამ მაჩანჩალობის ფილოსოფია წვალობს, რომ თავის თავს გამოსწუროს თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აჯანყების დანიშვნა არ შეუძლიათ მათ, ვინც ემზადებოდა მისთვის, ვინც რაზმავდა რევოლუციური კლასის მოწინავე რაზმს, მოვლენები გვიჩვენებენ, რომ აჯანყება შეუძლიათ დანიშნონ და იძულებული არიან დანიშნონ ადამიანებმა, რომლებიც არ ემზადებოდნენ.

აი პროკლამაცია, რომელიც პეტერბურგელმა ამხანაგმა გამოგვიგზავნა. იგი ააწყეს, დაბეჭდეს და 10 000 ეგზემპლარზე მეტი გაავრცელეს თვით მუშებმა, რომლებმაც ათ იანვარს პეტერბურგში ხელთ იგდეს ერთი ლეგალური სტამბა.

«პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მოქალაქენო! გუშინ თქვენ ნახეთ თვითმპყრობელი მთავრობის სიმხეცე! ნახეთ ქუჩაში დაღვრილი სისხლი! ნახეთ მუშათა საქმისათვის ასობით მოკლული მებრძოლი, ნახეთ სიკვდილი, გესმოდათ ასობით დაჭრილი ქალისა და უმწეო

ბავშვების გმინვა! მუშათა სისხლი და ტვინი გადაესხა მათივე ხელით მოკირწყლულ ქვაფენილს. ვინ გაგზავნა ჯარი, ვინ მიმართა თოფი და ტყვია მუშათა მკერდის გასაგმირავად? — მეფემ, დიდმა მთავრებმა, მინისტრებმა, გენერლებმა და მეფის კარის არამზადებმა.

«ისინი არიან მკვლელები!—სიკვდილი მათ! იარაღს მოჰკიდეთ ხელი, ამხანაგებო, ხელთ იგდეთ არსენალები, იარაღის საწყობები და იარაღის მაღაზიები. დაანგრიეთ, ამხანაგებო, საპყრობილეები, გაათავისუფლეთ თავისუფლებისათვის მებრძოლნი. გაანიავეთ ჟანდარმთა და პოლიციის სამმართველოები და ყველა სახაზინო დაწესებულება. დავამხოთ მეფის მთავრობა, დავაყენოთ ჩვენი. გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს სახალხო წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრებას! — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია».

ამ ერთი მუჭა თაოსნიანი მოწინავე მუშების მოწოდება აჯანყებისაკენ წარუმატებელი გამოდგა. ჩვენ არ გაგვაკვირვებდა და იმედს არ დაგვიკარგავდა რამდენიმე წარუმატებელი მოწოდება აჯანყებისაკენ, ან აჯანყების წარუმატებელი «დანიშვნა». ჩვენ ახალი «ისკრისათვის» დაგვითმია ილაპარაკოს ამის გამო «საზოგადოებრივი ურთიერთობის გადატრიალების» აუცილებლობის შესახებ და მაღალფარდოვნად დაგმოს «უტოპიზმი» მუშებისა, რომლებმაც შესძახეს: «დავაყენოთ ჩვენი მთავრობა!». — მხოლოდ უიმედო პედანტებს ან გონებადაბნეულებს შეუძლიათ ასეთი მოწოდების სიმძიმის ცენტრი ამ ძახილში დაინახონ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ და ხაზი გავუსვათ ჩვენს წინაშე ახლა პირისპირ დასახული ამოცანის გადაჭრის ამ შესანიშნავ გაბედულ პრაქტიკულ მცდელობას.

პეტერბურგელ მუშათა მოწოდება არ განხორციელდა და არც შეიძლებოდა განხორციელებულიყო ისე მალე, როგორც მათ სურდათ. ეს მოწოდება კიდევ არა ერთხელ იქნება განმეორებული, და აჯანყების ცდას კიდევ არა ერთხელ შეიძლება მარცხი მოჰყვეს. მაგრამ გიგანტური მნიშვნელობა აქვს თვი-

თონ მუშების მიერ ამ ამოცანის დაყენების თვით ფაქტს. მონაპოვარს, რომელიც მიღებულია მუშათა მოძრაობით, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ამოცანის პრაქტიკული აუცილებლობის შეგნება და რამაც მოაახლოვა მისი დაყენება უახლოეს რიგში ხალხის ყოველგვარი მღელვარების დროს, ამ მონაპოვარს ვერაფრით ვეღარ წაართმევენ პროლეტარიატს.

სოციალ-დემოკრატები აჯანყების მომზადების ლოზუნგს აყენებდნენ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ საერთო მოსაზრებათა საფუძველზე. პროლეტარიატის თვითმოქმედება მივიდა იმავე ლოზუნგამდე სამოქალაქო ომის უშუალო გაკვეთილების გავლენით. თვითმოქმედებაც არის და თვითმოქმედებაც. არის თვითმოქმედება რევოლუციურად ინიციატივიანი პროლეტარიატისა, და არის თვითმოქმედება განუვითარებელი პროლეტარიატისა, რომელიც ხელით მიჰყავთ, არის თვითმოქმედება შეგნებულად სოციალ-დემოკრატიული და თვითმოქმედება ზუბატოვური. და არიან სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ახლანდელ მომენტშიც კი მოწიწებით ეკიდებიან სწორედ ამ მეორეგვარ თვითმოქმედებას, და ფიქრობენ, რომ საჭირბოროტო საკითხებზე პირდაპირ პასუხს თავს დააღწევენ, თუ სიტყვას «კლასობრივს» ათასჯერ გაიმეორებენ. აიღეთ «ისკრის» № 84. «რატომ იყო, — ძლევამოსილი სახით გვიტევს ჩვენ მისი «მეთაური», — რატომ იყო, რომ ამ ზვავის (9 იანვ.) მოძრაობას ბიძგი მისცა არა პროფესიონალ რევოლუციონერთა ვიწრო ორგანიზაციამ, არამედ მუშათა კრებამ? ი მ ი ტ ო მ, რ ო მ ე ს კ რ ე ბ ა ი ყ ო ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ (ისმინეთ!) ფ ა რ თ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა, დ ა ფ უ ძ ნ ე ბ უ ლ ი მ უ შ ა თ ა მ ა ს ე ბ ი ს თ ვ ი თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ზ ე». ამ კლასიკური ფრაზის ავტორი მარტინოვის თაყვანისმცემელი რომ არ ყოფილიყო, იგი, შეიძლება, მიმხვდარიყო, რომ კრებამ რევოლუციური პროლეტარიატის მოძრაობას გაუწია სამსახური სწორედ მაშინ და იმდენად, როდესაც და რამდენადაც ზუბატოვური თვითმოქმედებიდან იგი გადავიდა სოციალ-დემოკრატიულ თვითმოქმედებაზე (რის შემდეგაც მან მაშინვე შეწყვიტა არსებობა, როგორც ლეგალურმა კრებამ).

ახალისკრელები ან ახალრაბოჩეედელოელები მაჩანჩალები რომ არ ყოფილიყვნენ, ისინი დაინახავდნენ, რომ სწორედ ცხრა იანვარმა გაამართლა იმათი წინასწარმეტყველება, ვინც ამბობდა: «ბოლოს და ბოლოს მუშათა მოძრაობის ლეგალიზაცია სწორედ ჩვენ მოგვიტანს სარგებლობას და სრულიადაც არა ზუბატოვებს» («რა ვაკეთოთ» *). სწორედ ცხრა იანვარმა ერთხელ და ერთხელ კიდევ დაგვანახვა მთელი მნიშვნელობა იქვე ჩამოყალიბებული ამოცანისა: «ვამზადოთ მომკელნი, რომელთაც ეცოდინებათ როგორც დღევანდელი ღვარძლის გათიბვა» (ე. ი. ზუბატოველების დღევანდელი გარყვნის აღკვეთა), «ისე ხ ვ ა ლ ი ნ დ ე ლ ი ხ ო რ ბ ლ ი ს მ ო მ კ ა» (ე. ი. რევოლუციური ხელმძღვანელობა მოძრაობისა, რომელმაც ლეგალიზაციის შემწეობით გადადგა ნაბიჯი წინ). ახალი «ისკრის» ივანუშკები კი მიუთითებენ პურის დიდ მოსავალზე, რათა დაამცირონ რევოლუციურ მთიბავთა მტკიცე ორგანიზაციის მნიშვნელობა!

დანაშაული იქნებოდა, — განაგრძობს ახალი «ისკრის» მეთაურის იგივე ავტორი, — «ზურგიდან დასხმოდნენ რევოლუციას». რას ნიშნავს, კაცმა რომ სთქვას, ეს ფრაზა, ალაჰმა უწყის. თუ რა კავშირი აქვს ამას «ისკრის» საერთო ოპორტუნისტულ ფიზიონომიასთან, ამაზე, ჩვენ, ალბათ, სხვა დროს ცალკე ვილაპარაკებთ. ახლა საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ ფრაზის ნამდვილი პოლიტიკური აზრი ერთია, სახელდობრ: ავტორი მლიქვნელობს რევოლუციის ზურგის წინაშე, და პირი ზიზღით მიაქვს საიქიოსკენ რევოლუციის «ვიწრო» და «იაკობინური» ავანგარდის გახსენებაზე.

მაჩანჩალობის ტაქტიკა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა მთელი თავისი წინააღმდეგობით მით უფრო მეტად ხდება ნათელი, რაც უფრო მეტად გულმოდგინეობს მარტინოვისებურად ახალი «ისკრა». ჩვენ უკვე აღვნიშნეთ «ვპერიოდის» № 1-ში **, რომ აჯანყება უნდა შეუერთდეს ერთ-ერთ სტიქიურ მოძრაობას. ჩვენ სრულებითაც არ ვივიწ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 577 — 578. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 15. რ ე დ.

ყებთ, მაშასადამე, «ზურგის უზრუნველყოფის» მნიშვნელობას, თუ სამხედრო შედარებას ვიხმართ. № 4-ში * ჩვენ ვლაპარაკობდით პეტერბურგელ კომიტეტელთა სწორ ტაქტიკაზე, რომლებმაც მთელი ღონისძიება თავიდანვე მიმართეს სტიქიის რევოლუციური ელემენტების მხარდაჭერისა და განვითარებისაკენ, ამ სტიქიის ბნელი, ზუბატოვური ზურგისადმი თავშეკავებულ, უნდობლობით მოპყრობასთან ერთად. ახლა ჩვენ დავამთავრებთ რჩევით, რომლის მიცემაც ახალისკრელებისათვის კიდევ ბევრჯერ დაგვჭირდება: ნუ დაამცირებთ რევოლუციის ავანგარდის ამოცანებს, ნუ დაივიწყებთ ჩვენს მოვალეობას — მხარი დავუჭიროთ ამ ავანგარდს ჩვენი ორგანიზებული თვითმოქმედებით. რაც შეიძლება ცოტა ილაპარაკეთ ზოგადი ფრაზები მუშათა თვითმოქმედების განვითარების შესახებ — მუშები იჩენენ თქვენ მიერ შეუმჩნეველ უზომო რევოლუციურ თვითმოქმედებას! — რაც შეიძლება მეტად ეცადეთ, რომ არ გარყვნათ განუვითარებელი მუშები თქვენი საკუთარი მაჩანჩალობით.

«ვპერიოდ» № 6,
1905 წ. 14 (1) თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 112. რედ.

აჯანყებისათვის საბრძოლო შეთანხმების შესახებ

«რევოლუციონნაია როსსია» ამბობს (№ 58): «დაე, ბოლოს და ბოლოს, საბრძოლო ერთიანობის სული ახლა მაინც შეიჭრას ძმათამკვლელი სიძულვილით შეპყრობილ რევოლუციურ-სოციალისტურ ფრაქციათა რიგებში და აღადგინოს სოციალისტური სოლიდარობის დანაშაულებრივად შერყეული შეგნება... დავზოგოთ რამდენიც შეიძლება რევოლუციური ძალები, გავაძლიეროთ მათი მოქმედება შეთანხმებული შეტევის გზით!».

ჩვენ არა ერთხელ დაგვჭირვებია პროტესტის განცხადება იმის წინააღმდეგ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერებში გაბატონებულია ფრაზა, მის წინააღმდეგ ჩვენ ახლაც უნდა განვაცხადოთ პროტესტი. რა საჭიროა, ბატონებო, ეს საშინელი სიტყვები «ძმათამკვლელი სიძულვილის» და სხვათა შესახებ? განა რევოლუციონერებს ეს შეჰფერის? სწორედ ახლა, როდესაც წარმოებს ნამდვილი ბრძოლა, იღვრება სისხლი, რომლის შესახებაც აგრეთვე უზომოდ ლამაზად ლაპარაკობს «რევ. როსსია», სწორედ ახლა «ძმათამკვლელი სიძულვილის» ეს მახინჯი გაზვიადება განსაკუთრებით ყალბად გაისმის. თქვენ ამბობთ, ძალთა დაზოგვა? მაგრამ ძალები ხომ იზოგება მთლიანი, შემჭიდროებული, პრინციპულად შეთანხმებული ორგანიზაციით, და არა სხვადასხვაგვაროვანის შეკოწიწებით. ძალები კი არ იზოგება, არამედ იფლანგება ასეთი შეკოწიწების უნაყოფო ცდებით. რათა საქმით, და არა სიტყვით, განვახორციელოთ «საბრძოლო ერთიანობა», საჭიროა ნათლად, გარ-

კვეულად და ამასთან გამოცდილებით ვიცოდეთ, საზელდობრ რაში და სახელდობრ რამდენად შეგვიძლია ვიყოთ ერთიანნი. უამისოდ ლაპარაკი საბრძოლო ერთიანობაზე სიტყვებია, სიტყვები და სიტყვები, ხოლო ამ ცოდნას, სხვათა შორის, იძლევა სწორედ ის პოლემიკა, ბრძოლა და მტრობა, რაზედაც თქვენ ასეთი «საშინელი» ტერმინებით ლაპარაკობთ. ნუთუ უკეთესი იქნებოდა, გავჩუმებულიყავით იმ უთანხმოებათა შესახებ, რომლებიც ჰყოფენ რუსეთის საზოგადოებრივი და რუსეთის სოციალისტური აზრის მთელ გიგანტურ ზოლებს? ნუთუ მხოლოდ «განხეთქილების კულტმა» გამოიწვია ნაროდნიკობის, დემოკრატიული ბურჟუაზიის ამ გაურკვეველი, სოციალისტური ოცნებით აღსავსე იდეოლოგიისა და მარქსიზმის, პროლეტარიატის იდეოლოგიის მძაფრი ბრძოლა? კმარა, ბატონებო, თქვენ მხოლოდ თქვენს თავს ხდით სასაცილოდ, როდესაც ამას ამბობთ, როდესაც თქვენ კვლავ «საწყენად» სთვლით მარქსისტულ შეხედულებას ნაროდნიკობისა და თქვენი «სოციალ-რევოლუციონიზმის» ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რაობაზე. ჩვენს შორის აუცილებელი იქნება დავა, უთანხმოებანი, მტრობა რუსეთის მომავალ რევოლუციურ კომიტეტებშიც, — მაგრამ ხომ საჭიროა ვისწავლოთ ისტორიისაგან. უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ეს არ იყოს მოულოდნელი, ყველასთვის გაუგებარი, აბნეული დავა მოქმედების მომენტში, უნდა მოვემზადოთ იმისათვის, რათა ვიდავოთ პრინციპულად, რათა ვიცოდეთ თვითეული მიმართულების გამოსავალი წერტილები, რათა წინასწარვე დაკსახოთ შესაძლო ერთიანობა და აუცილებელი მტრობა. რევოლუციურ ეპოქათა ისტორია იძლევა ძალიან, ძალიან ბევრ მაგალითს, თუ რა უდიდესი ზიანი მოჰყოლია, როცა კი უცდიათ ნაუცბათევი და მოუმწიფებელი «საბრძოლო ერთიანობა», რომელიც რევოლუციური ხალხის კომიტეტებში სულ სხვადასხვაგვარ ელემენტებს აკოწიწებს. და ამას მოსდევს ერთმანეთთან უთანხმოება და იმედის მწარედ გაცრუება.

ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ამ ისტორიის გაკვეთილით. მარქსიზმში, რომელიც თქვენ ვიწრო დოგმად მიგაჩნიათ, ჩვენ ვხედავთ ამ ისტორიული გაკვეთილისა და ხელმძღვანელობის სწორედ კვინტესენციას. რევოლუციური პროლეტარიატის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ, შეურიგებელ მარქსისტულ პარტიაში ჩვენ ვხედავთ სოციალიზმის გამარჯვების ერთადერთ საწინდარს და მერყეობათაგან ყველაზე უფრო თავისუფალ გზას გამარჯვებისაკენ. ამიტომ ჩვენ არასოდეს, აგრეთვე ყველაზე რევოლუციურ მომენტებში, უარს არ ვიტყვით სოც.-დემ. პარტიის სრულ დამოუკიდებლობაზე, ჩვენი იდეოლოგიის სრულ შეურიგებლობაზე.

თქვენ გგონიათ, რომ ეს გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს საბრძოლო ერთიანობას? თქვენ სცდებით. ჩვენი მეორე ყრილობის რეზოლუციიდან თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ, რომ ჩვენ ბრძოლისათვის და ბრძოლაში შეთანხმებაზე უარს არ ვამბობთ. «ვპერიოდის» მე-4 ნომერში ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ რუსეთში რევოლუციის დაწყება უეჭველად აახლოებს ამ შეთანხმების პრაქტიკული განხორციელების მომენტს *. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის და დემოკრატიის რევოლუციური ელემენტების ერთობლივი ბრძოლა აუცილებელი და საჭიროა თვითმპყრობელობის დაცემის ეპოქაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკეთეს სამსახურს გავუწევთ მომავალი საბრძოლო შეთანხმების საქმეს, თუ მწარე საყვედურის ფრაზების ნაცვლად ფხიზლად და დინჯად ავწონით მისი შესაძლებლობის პირობებს და მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, «კომპეტენციის» შესაძლო ფარგლებს. ჩვენ ამ მუშაობას შევუდექით «ვპერიოდის» მე-3 ნომერში, როდესაც დავიწყეთ შესწავლა «სოც.-რევ. პარტიის» პროგრესისა ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ **.

«მასამ თვითონ სტაცა ხელი იარაღს, — წერს «რევ. როსსია» 9 იანვრის გამო. — უეჭველია, ადრე თუ გვიან, მასის

* იხ. ეს ტომი. გვ. 103. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 82 — 91. რ ე დ.

შეიარაღების საკითხი გადაჭრილი იქნება». «და სწორედ მაშინ უაღრესად ნათლად გამომჟღავნდება და განხორციელდება ტერორიზმისა და მასობრივი მოძრაობის ის შეერთება, რომლისკენაც ჩვენ, ჩვენი პარტიული ტაქტიკის მთელი ბუნების თანახმად, სიტყვითა და საქმით მივისწრაფით». (შევნიშნოთ ფრჩხილებში, რომ უკანასკნელ სიტყვას ჩვენ დიდი ხალისით მივუწერდით კითხვით ნიშანს, და განვაგრძოთ ციტატი.) «ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს თვალწინ მოძრაობის ეს ორი ფაქტორი განცალკევებული იყო და ამ განცალკევებით სათანადო ძალას მოკლებული».

რაც მართალია, მართალია! სწორედ ასეა. ინტელიგენტური ტერორი და მასობრივი მუშათა მოძრაობა განცალკევებული იყვნენ და ამ განცალკევებით სათანადო ძალას მოკლებულნი. სწორედ ამას ამბობდა ყოველთვის რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. სწორედ ამიტომ ებრძოდა იგი ყოველთვის არა მარტო ტერორს, არამედ იმ ქანაობასაც ტერორისაკენ, რომელიც არა ერთხელ გამოუმჟღავნებიათ ჩვენი პარტიის ინტელიგენტური ფრთის წარმომადგენლებს *. სწორედ ამიტომ დავობდა ტერორის წინააღმდეგ ძველი «ისკრაც», როდესაც იგი 48-ე ნომერში წერდა: «ძველი ნიმუშის ტერორისტული ბრძოლა რევოლუციური ბრძოლის ყველაზე ხარისკო სახე იყო, და იმ ადამიანებს, რომლებიც მას კისრულობდნენ, გამბედავ და თავდადებულ მოღვაწეთა რეპუტაცია ჰქონდათ... ახლა კი, როდესაც დემონსტრაციები გადაიქცა ხელისუფლების მიმართ აშკარა წინააღმდეგობად,... ჩვენი ძველი ტერორიზმი უკვე აღარ არის ბრძოლის განსაკუთრებით გაბედული ხერხი... ახლა გმირობა მოედანზე გამოვიდა; ჩვენი დროის ნამდვილ გმირებს ახლა ის რევოლუციონერები წარმოადგენენ, რომლებიც მიუძღვიან მჩაგვრელთა წინააღმდეგ აჯანყებულ ხალხის მასას...

* კრიჩევსკი «რაბოჩეე დელოს» მე-10 ნომერში. მარტოვი და ზასულიჩი ლეკერტის სროლის გამო. საერთოდ ახალისკრელები პლევეს მოკვლის გამო 44 გამოშვებულ ფურცელში.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ტერორიზმი... დაიწყო 1789 წლის 14 ივლისს ბასტილიის აღებით. მისი ძალა ხალხის რევოლუციური მოძრაობის ძალა იყო... ეს ტერორიზმი გამოწვეული იყო არა მასობრივი მოძრაობის ძალისადმი იმედის გაცრუებით, არამედ, პირიქით, მისი ძალის შეურყეველი რწმენით... ამ ტერორიზმის ისტორია მეტისმეტად საგულისხმოა რუსი რევოლუციონერისათვის» *.

დიახ და ათასჯერ დიახ! ამ ტერორიზმის ისტორია მეტისმეტად საგულისხმოა. საგულისხმოა აგრეთვე «ისკრიდან» მოყვანილი ციტატები, რომლებიც 1½ წლის წინანდელ ეპოქას ეკუთვნიან. ეს ციტატები გვიჩვენებენ, მთელი მათი სიგრძე-სიგანით, იმ აზრებს, რომელთა მიღება, რევოლუციური გაკვეთილების გავლენით, უნდოდათ სოციალისტ-რევოლუციონერებსაც. ეს ციტატები მოგვაგონებენ მასობრივი მოძრაობის რწმენის მნიშვნელობას, მოგვაგონებენ რევოლუციურ სიმტკიცეს, რომელიც მხოლოდ პრინციპულობით ხორციელდება და რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია გადაგვარჩინოს «იმედის იმ გაცრუებას», რომელსაც ამ მოძრაობის ხანგრძლივი მოჩვენებითი შეჩერება იწვევს. ახლა, 9 იანვრის შემდეგ, მასობრივ მოძრაობაში არავითარ «იმედის გაცრუებაზე», ერთი შეხედვით, ლაპარაკიც კი არ შეიძლება. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. უნდა განვასხვავოთ მასის გმირობის მკაფიო გამოვლინებით გამოწვეული წუთიერი «მოხიბლვა» იმ მტკიცე, მოფიქრებულ რწმენათაგან, რომლებიც განუწყვეტლად უკავშირებენ პარტიის მთელ საქმიანობას მასის მოძრაობას კლასობრივი ბრძოლის პრინციპის გამო, რაც ქვაკუთხედად არის აღებული. უნდა გვახსოვდეს, რომ, რაც უნდა მაღალი იყოს რევოლუციური მოძრაობის ახლანდელი საფეხური, მიღწეული 9 იანვრის შემდეგ, ეს მოძრაობა ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ გაივლის საკმაოდ ბევრ ეტაპს

* ეს სტატია «ისკრაში» დაწერილია პლეხანოვის მიერ და ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც მისი რედაქტორები (№№ 46 — 51) პლეხანოვი და ლენინი იყვნენ. პლეხანოვი მაშინ ჯერ კიდევ არ ფიქრობდა ოპორტუნიზმის მიმართ ცრობილი დათმობის ახალ კურსზე.

იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი სოციალისტური და დემოკრატიული პარტიები თავისუფალ რუსეთში ახალ საფუძველზე განახლდებიან. და ჩვენ ყველა ამ ეტაპზე, ბრძოლის ყველა პერიპეტიაზე უნდა გავატაროთ სოციალ-დემოკრატიის შეურყეველი კავშირი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასთან, განუწყვეტლივ უნდა ვიზრუნოთ ამ კავშირის გამაგრებასა და განმტკიცებაზე.

ამიტომ ჩვენ აშკარა გაზვიადებად მიგვაჩნია «რევოლუციონნაია როსსიას» შემდეგი მტკიცება: «შეიარაღებული ბრძოლის პიონერები შთაინთქნენ აგზნებული მასის რიგებში»... ეს უფრო სასურველი მომავალია, ვიდრე უკვე განხორციელებული აწმყო. სერგეის მოკვლა მოსკოვში 17 (4) თებერვალს, რაც სწორედ დღეს გვაუწყა ტელეგრაფმა, ჩანს, ძველი ნიმუშის ტერორიზმს წარმოადგენს. 'შეიარაღებული ბრძოლის' პიონერები ჯერ კიდევ არ შთანთქმულან აგზნებული მასის რიგებში. ბომბებიანი პიონერები, ჩანს, უდარაჯებდნენ სერგეის მოსკოვში იმ დროს, როდესაც მასა (პიტერში) უპიონერებოდ, უიარაღოდ, მასა, რომელსაც არ ჰყოლია რევოლუციური ოფიცრები და არ ჰქონია რევოლუციური შტაბი, «მძვინვარე მრისხანებით ზედ ეცემოდა აჯაგრულ ხიშტებს», როგორც ამბობს იგივე «რევ. როსსია». განცალკევება, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, ჯერ კიდევ არსებობს, და ცალკეული, ინტელიგენტური ტერორი მით უფრო გვაოცებს თავისი არადამაკმაყოფილებლობით, რაც უფრო ახლა ყველასთვის ნათელი გახდა, რომ «მასა ამაღლდა ცალკეულ გმირებამდე, მასში გაიღვიძა მასობრივმა გმირობამ» («რევ. როს.» № 58). პიონერები საქმით უნდა შთაინთქან მასაში, ე. ი. წარმართონ თავისი თავდადებული ენერგია აჯანყებულ მასასთან განუწყვეტელი, ფაქტიური კავშირის გამოყენებით, იარონ მასასთან ერთად სიტყვის არა ფიგურალური, არა სიმბოლური აზრით, არამედ პირდაპირი აზრით. ეს რომ აუცილებელია, — ახლა ძნელი წარმოსადგენია ამაზე რაიმე ეჭვის მიტანა. ეს რომ შესაძლებელია, — ამას ამტკიცებს ცხრა იანვარი და მუშათა მასების ჩუმი ღრმა

დრტვინვა, რაც ისევ გრძელდება. ეს რომ ახალი და უმაღლესი ამოცანაა, უფრო ძნელი წინა ამოცანებთან შედარებით, ამან ვერ უნდა შეგვაჩეროს და არც უნდა შეგვაჩეროს, რომ დაუყოვნებლივ პრაქტიკულად შევუდგეთ მის გადაწყვეტას.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბრძოლო ერთიანობა რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიასთან, სოც.-რევ. პარტიასთან შეიძლებოდა გამხდარიყო ასეთი გადაწყვეტის გამაადვილებელი ერთ-ერთი საშუალება. ასეთი ერთიანობა მით უფრო განსახორციელებელი იქნება, რაც უფრო მალე «შთაინთქმებიან» შეიარაღებული ბრძოლის პიონერები აჯანყებული მასის რიგებში, რაც უფრო მტკიცედ წავლენ სოც.-რევ. იმ გზით, რომელსაც ისინი თვითონვე სახავენ შემდეგი სიტყვებით: «დაე გაიზარდოს და განმტკიცდეს რევოლუციური ტერორიზმისა და მასობრივი მოძრაობის ეს დაწყებული შეერთება, დაე მასამ რაც შეიძლება მალე შესძლოს გამოსვლა თავით ფეხამდე შეიარაღებულმა ბრძოლის ტერორისტული საშუალებებით!». ასეთი საბრძოლო გაერთიანების ცდათა სწრაფი განხორციელების მიზნით ჩვენ სიამოვნებით ვბეჭდავთ გიორგი გაპონის შემდეგ წერილს, რომელიც ჩვენ მივიღეთ:

«ღია წერილი რუსეთის სოციალისტურ პარტიებს.

სისხლიანმა ►ანვრის დღეებმა პეტერბურგსა და დანარჩენ რუსეთში, ერთმანეთს დაუპირისპირეს ჩაგრული მუშათა კლასი და თვითმპყრობელური რეჟიმი სისხლისმსმელი მეფის მეთაურობით. რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო. ყველასთვის, ვისთვისაც ნამდვილად ძვირფასია ხალხის თავისუფლება, აუცილებელია გამარჯვება ან სიკვდილი. შეგნებული მაქვს რა ახლანდელი ისტორიული მომენტის დიდი მნიშვნელობა, მე, დღევანდელი ვითარების დროს, უწინარეს ყოვლისა, როგორც რევოლუციონერი და საქმის ადამიანი, მოვუწოდებ რუსეთის ყველა სოციალისტურ პ►რტიას დაუყოვნებლივ შეთანხმდნენ ერთმანეთთან და შეუდგნენ ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების საქმეს. თვითეული პარტიის მთელი ძალები მობილიზებულ უნდა იქნას. საბრძოლო ტექნიკური გეგმა ყველას საერთო უნდა ჰქონდეს. ბომბები და დინამიტი, ცალკეული და მასობრივი ტერორი, ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ, რასაც კი შეუძლია ხელი შეუწყოს სახალხო აჯანყებას. უახლოესი მიზანია თვითმპყრობელობის დამხობა, დროებითი რევოლუციური მთავრობის

შექმნა, რომელიც დაუყოვნებლივ გამოაცხადებს პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლის ამნისტიას — დაუყოვნებლივ შეაიარაღებს ხალხს და დაუყოვნებლივ მოიწვევს დამფუძნებელ კრებას საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. საქმეს შევუდგეთ, ამხანაგებო! წინ, საბრძოლველად! გავიმეოროთ პეტერბურგის მუშების 9 იანვრის ლოზუნგი — თავისუფლება ან სიკვდილი! ახლა ყოველგვარი დაყოვნება და უთანხმოება დანაშაულია ხალხის წინაშე, რომლის ინტერესებსაც თქვენ იცავთ. მივეცი რა მთელი ჩემი ძალები ხალხის სამსახურს, რომლის წიაღიდანაც მე თვითონ გამოვედი (გლეხის შვილი ვარ), — საბოლოოდ დავუკავშირე რა ჩემი ბედი მუშათა კლასის მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლას, მე, ცხადია, მთელი გულით და სულით ვიქნები მათთან, ვინც შეუდგება კაპიტალისტური ჩაგვრისა და პოლიტიკური მონობისაგან პროლეტარიატისა და მთელი მშრომელი მასის ნამდვილი განთავისუფლების ნამდვილ საქმეს.

გ ი ო რ გ ი გ ა პ ო ნ ი».

ამ წერილის გამო, ჩვენი მხრივ, აუცილებლად მიგვაჩნია გამოვთქვათ აზრი რაც შეიძლება მეტი პირდაპირობითა და გარკვეულობით. ჩვენ შესაძლებლად, სასარგებლოდ და აუცილებლად მიგვაჩნია «შეთანხმება», რომელსაც იგი გვთავაზობს. ჩვენ მივესალმებით იმას, რომ გ. გაპონი ლაპარაკობს სწორედ «შეთანხმებაზე», რადგან თვითეული ცალკე პარტიის მხოლოდ სრული პრინციპული და ორგანიზაციული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას შეუძლია უიმედო არ გახადოს საბრძოლო გაერთიანების ცდები. ამ ცდების მიმართ ჩვენ მეტად ფრთხილი უნდა ვიყვნეთ, რათა არ გავაფუჭოთ საქმე სხვადასხვაგვაროვანის არაფრისმაქნისი შეკავშირებით. ჩვენ აუცილებლად მოგვიხდება getrennt marschieren (ცალ-ცალკე სიარული), მაგრამ ჩვენ შეგვიძლია არა ერთხელ და ჩვენ შეგვიძლია სწორედ ახლა vereint schlagen (ერთად დავარტყათ). ჩვენი თვალსაზრისით, სასურველი იქნებოდა, რომ ეს შეთანხმება გავრცელებულიყო არა მარტო სოციალისტურ, არამედ აგრეთვე რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ პარტიებზე, რადგან ბრძოლის უახლოეს მიზანში არაფერია სოციალისტური, და ჩვენ არასოდეს არ უნდა ავურიოთ და არასოდეს ნებას არ მივცემთ აურიონ უახლოესი დემოკრატიული მიზნები ჩვენს სოციალის-

ტური რევოლუციის საბოლოო მიზნებში. შეთანხმებისათვის სასურველი და ჩვენი თვალსაზრისით აუცილებელი იქნებოდა, რათა «ცალკეული და მასობრივი ტერორისაკენ» ზოგადი მოწოდების ნაცვლად შეერთებული მოქმედების ამოცანად პირდაპირ და გარკვეულად დასახული ყოფილიყო ტერორიზმისა და მასის აჯანყების უშუალო და ფაქტიური შეერთება. მართალია, გაპონის სიტყვები: «ყველაფერი, რასაც კი შეუძლია ხელი შეუწყოს სახალხო აჯანყებასაო», ნათლად გვიჩვენებს მის სურვილს სწორედ ამ მიზანს დაუქვემდებაროს ცალკეული ტერორიც, მაგრამ ეს სურვილი, მიგვითითებს რა იმავე მიზანზე, რომელიც ჩვენ «რევ. როსსიის» 58-ე ნომრის გამო აღვნიშნეთ, უფრო გარკვეულად უნდა იყოს გამოხატული და განხორციელდეს სრულიად არაორაზროვან პრაქტიკულ გადაწყვეტილებებში. ბოლოს, ჩვენ შევნიშნავთ, — შემოთავაზებული შეთანხმების შესაძლებლობის პირობათა დამოუკიდებლად, რომ ჩვენ უარყოფით მოვლენად მიგვაჩნია გ. გაპონის გარეპარტიული მდგომარეობაც. თავისთავად გასაგებია, რომ მეფისადმი რწმენისა და მისთვის პეტიციით მიმართვიდან რევოლუციურ მიზნებზე ასეთი სისწრაფით გადასულ გაპონს არ შეეძლო უცებ გამოემუშავებინა ნათელი რევოლუციური მსოფლმხედველობა. ეს აუცილებელია და, რაც უფრო სწრაფად და ფართოდ წავა წინ რევოლუციის განვითარება, მით უფრო ხშირად განმეორდება ასეთი მოვლენა. მაგრამ სრული სინათლე და გარკვეულობა პარტიათა, მიმართულებათა და ელფერთა ურთიერთობაში აუცილებლად საჭირო პირობაა მათ შორის რაოდენადმე წარმატებითი დროებითი შეთანხმებისათვის. სიცხადე და გარკვეულობა საჭირო იქნება თვითეული პრაქტიკული ნაბიჯის დროს და მათზე იქნება დამოკიდებული გარკვეულობა და ურყეობა ნამდვილ, პრაქტიკულ საქმეში. რუსეთში რევოლუციის დაწყება, ალბათ, გამოიწვევს პოლიტიკურ სცენაზე მრავალი პირის, ხოლო შეიძლება აგრეთვე მიმართულებათა გამოსვლას, რომლებიც იმ აზრისა იქნებიან, რომ ლოზუნგი «რევოლუცია» «საქმის ადამიანებისათვის» სავსებით საკმაოდ განსაზღვრავს

მათს მიზნებსა და მოქმედების საშუალებებს. არაფერი არ შეიძლება იყოს ისე შემცდარი, როგორც ეს აზრი. გარეპარტიული პოზიცია, რომელიც უფრო მაღლად, ან უფრო მოხერხებულად, ან უფრო «დიპლომატიურად» მოჩანს, ნამდვილად წარმოადგენს მხოლოდ უ ფ რ ო გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ს, უფრო ბუნდოვანს, რომელსაც აუცილებლად მოსდევს არათანამიმდევრობა და მერყეობა პრაქტიკულ საქმიანობაში. რევოლუციის გულისათვის სრულებითაც არ უნდა იყოს ჩვენი იდეალი, რომ ყველა პარტია, ყველა მიმართულება, ყველა ელფერი ერთ რევოლუციურ ქაოსში შეერთდეს. პირიქით, რევოლუციური მოძრაობის ზრდა და გაფართოება, მისი მიახლოება სხვადასხვა კლასებისა და ხალხის ფენების უფრო და უფრო მეტ სიღრმეებთან აუცილებლად გამოიწვევს (და კარგია, რომ გამოიწვევს) ახალ-ახალ მიმართულებასა და ელფერს. მათი ურთიერთობისა და რევოლუციური პროლეტარიატის პოზიციებისადმი მათი დამოკიდებულების მხოლოდ სრულ სიცხადესა და გარკვეულობას შეუძლია უზრუნველყოს რევოლუციური მოძრაობის ყველაზე დიდი წარმატება. ურთიერთობის მხოლოდ სრულ სიცხადეს შეუძლია უზრუნველყოს წარმატება შეთანხმებისა საერთო უახლოესი მიზნის მისაღწევად.

ეს უახლოესი ამოცანა, ჩვენი აზრით, საკმაოდ სწორად ა რ ი ს დ ა ს ა ხ უ ლ ი გ. გაპონის წერილში: 1) თვითმპყრობელობის დამხობა, 2) დროებითი რევოლუციური მთავრობა, 3) დაუყოვნებელი ამნისტია პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლებისათვის მებრძოლთ, — რასაკვირველია, აგრეთვე გაფიცვების თავისუფლებისათვის მებრძოლთ და სხვ., 4) ხალხის დაუყოვნებლივ შეიარაღება და 5) სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე. რევოლუციური მთავრობის მიერ ყველა მოქალაქის სრული თანასწორობისა და არჩევნების დროს სრული პოლიტიკური თავისუფლების დაუყოვნებლივ განხორციელებას გაპონი, რასაკვირველია, გულისხმობს, მაგრამ შეიძლებოდა აღნიშნული ყოფილიყო პირდაპირაც. შემდეგ მიზანშეწონილი

იქნებოდა დროებითი მთავრობის პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო აგრეთვე გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაარსება ყველგან დემოკრატიული გადატრიალებისათვის მხარდაჭერისა და მისი პრაქტიკული განხორციელების მიზნით. რევოლუციის წარმატებაში ძალიან და ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია გლეხობის რევოლუციურ თვითმოქმედებაზე, და ისეთი ლოზუნგით, როგორიც ჩვენ აღვნიშნეთ, შეეძლებოდათ შეთანხმება, ალბათ, სხვადასხვა სოციალისტურ და რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებს.

ვისურვოთ, რომ გ. გაპონმა, რომელმაც ასე ღრმად განიცადა და იგრძნო პოლიტიკურად შეუგნებელი ხალხის შეხედულებათაგან რევოლუციურ შეხედულებებზე გადასვლა, შესძლოს მიაღწიოს რევოლუციური მსოფლმხედველობის სიცხადეს, რაც აუცილებელია პოლიტიკური მოღვაწისათვის. ვისურვოთ, რათა მისი მოწოდება აჯანყებისათვის საბრძოლო შეთანხმებისაკენ წარმატებით დამთავრდეს, და რევოლუციური დემოკრატიის მხარდამხარ მიმავალმა რევოლუციურმა პროლეტარიატმა შესძლოს ლახვარი ჩასცეს თვითმპყრობელობას და დაამხოს იგი უფრო მალე, უფრო მარჯვედ და უფრო ნაკლები მსხვერპლის ფასად.

«ვპერიოდ» № 7,
1905 წ. 21 (8) თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

უნდა მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია?

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, მას აქეთ ერთ წელიწადზე მეტია. რუსეთის პარტიაში, საკმაოდ ცნობილი გერმანელი სოც.-დემოკრატის პარვუსის მოწმობით, ჩნდებოდა «პრინციპული უთანხმოებანი». პროლეტარიატის პარტიის უპირველესი პოლიტიკური ამოცანა ხდებოდა ბრძოლა ცენტრალიზმის უკიდურესობასთან, მუშათა მიმართ რომელიღაც ქენევიდან მუშათა «კომანდობის» იდეასთან, აგიტატორთა ორგანიზაციის, ხელმძღვანელთა ორგანიზაციის იდეის გაზვიადებასთან. ასეთი იყო მენშევიკ პარვუსის ღრმა, მტკიცე და ურყევი რწმენა, გამოთქმული მის ყოველკვირეულ გერმანულ ფურცელში «Aus der Weitpolitik» («მსოფლიო პოლიტიკის დარგიდან») 1903 წ. 30 ნოემბერს.

კეთილ პარვუსს მაშინ მიეთითა (იხ. ლენინის წერილი «ისკრის» რედაქციის მიმართ, 1903 წ. დეკემბერი *), რომ იგი გახდა ჭორის მსხვერპლი, რომ მის მიერ შემჩნეულ პრინციპულ უთანხმოებებს საფუძვლად უდევს კინკლაობა, და რომ ახალი «ისკრის» იდეური შემობრუნება, რაც ახლა ისახება, არის შემობრუნება ოპორტუნიზმისაკენ. პარვუსი გაჩუმდა, მაგრამ მის «აზრებს» ხელმძღვანელთა ორგანიზაციის მნიშვნელობის გაზვიადების შესახებ ასნაირად ღეჭავდნენ ახალისკრელები.

გავიდა თოთხმეტი თვე. მენშევიკების მიერ პარტიული მუშაობის დეზორგანიზაციამ და მათი ქადაგების ოპორტუნისტულმა ხასიათმა სავსებით ნათელი სახე მიიღო. 1905 წლის

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 136. რ ე დ.

ცხრა იანვარმა გამოაჩინა პროლეტარიატის რევოლუციური ენერგიის მთელი გიგანტური მარაგი და სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის მთელი ნაკლებობა. პარვუსი გონს მოვიდა. «ისკრის» 85-ე ნომერში მან მოათავსა სტატია, რომელიც არსებითად მოასწავებდა ოპორტუნისტული ახალი «ისკრის» ახალი იდეებიდან სრულ შემობრუნებას რევოლუციური ძველი «ისკრის» იდეებისაკენ. «იყო გმირი, — ამბობს პარვუსი გაპონის შესახებ, — მაგრამ არ იყო პოლიტიკური ხელმძღვანელი, არ იყო მოქმედების პროგრამა, არ იყო ორგანიზაცია»... «აღმოჩნდა ორგანიზაციის უქონლობის ტრაგიკული შედეგები»... «მასები გაითიშნენ, ყველაფერი იქსაქსება, არ არის შემაკავშირებელი ცენტრი, არ არის მოქმედების ხელმძღვანელი პროგრამა»... «მოძრაობა დაეცა შემაკავშირებელი და ხელმძღვანელი ორგანიზაციის უქონლობის გამო». და პარვუსი იძლევა ლოზუნგს, რომელსაც ჩვენ უკვე მოვაგონებდით «ვპერიოდის» მე-6 ნომერში, — «მ ო ვ ა წ ყ ო თ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა» *. პარვუსი რევოლუციის გაკვეთილების გავლენით დარწმუნდა, რომ «ახლანდელ პოლიტიკურ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია დავრაზმოთ ეს ასეული ათასები» (ლაპარაკია მასაზე, რომელიც მზად არის აჯახყებისათვის). «მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, — სამართლიანად იმეორებს იგი წიგნის «რა ვაკეთოთ?» ძველისძველ აზრს, — ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ორგანიზაცია, რომელიც იქნებოდა შემაკავშირებელი ფერმენტი, ხოლო რევოლუციის მომენტში თავის გარშემო გააერთიანებდა ამ ასეულ ათასებს». «უნდა შეიქმნას მუშათა წრეები ნათლად მოხაზული ამოცანით: მოამზადონ მასები აჯანყებისათვის, შემოიკრიბონ ისინი თავის გარშემო აჯანყების დროს, დაიწყონ აჯანყება მოცემული ლოზუნგით».

ძლივს! შვებით შევძახეთ ჩვენ, როდესაც შევხვდით ამ ძველ სწორ აზრებს, ახალი «ისკრის» ნაგვით დაფარულს. როგორც იყო, პროლეტარული პარტიის მუშაკის რევოლუციურმა ინსტინქტმა თუნდაც დროებით დასძლია რაბოჩეედელოელთა

* იხ. ეს ტომი, გვ. 162 — 173. რ ე დ.

ოპორტუნიზმს. როგორც იყო, მოგვესმა ხმა სოციალ-დემოკრატისა, რომელიც არ მლიქვნელობს რევოლუციის ზურგის წინაშე, არამედ უშიშრად მიუთითებს რევოლუციის ავანგარდისათვის მხარდაჭერის ამოცანაზე.

ახალისკრელებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ დასთანხმებოდნენ პარვუსს. «ამხ. პარვუსის მიერ გამოთქმულ ყველა აზრს არ იზიარებს «ისკრის» რედაქციაო», ნათქვამია რედაქციის შენიშვნაში.

დიახაც! დიახაც რომ ვერ «გაიზიარებდნენ» ისინი იმ აზრებს, რომლებიც «სახეში ურტყამენ» მთელ მათს წელიწადნახევრის ოპორტუნისტულ ყბედობას!

«მოვაწყოთ რევოლუცია»! მაგრამ ჩვენ ხომ გვყავს ჭკვიანი ამხ. მარტინოვი, რომელმაც იცის, რომ რევოლუციას იწვევს გადატრიალება საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომ რევოლუცია არ შეიძლება დანიშნულ იქნას. მარტინოვი აუხსნის პარვუსს მის შეცდომას და აჩვენებს, რომ პარვუსს კიდევაც თუ ჰქონდა მხედველობაში რევოლუციის ავანგარდის ორგანიზაცია, ეს არის «ვიწრო» და ბოროტი «იაკობინური» იდეა. და შემდეგ. ჩვენს ჭკვიან მარტინოვს ხომ ბაწრით მიჰყავს ტრიაპიჩკინი — მარტოვი, რომელსაც შესწევს უნარი კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს თავისი მასწავლებელი, და რომელსაც, მგონია, შეუძლია ლოზუნგი «მოვაწყოთ რევოლუცია» შეცვალოს ლოზუნგით «ხელფეხი გ ა ვ უ ხ ს ნ ა თ რევოლუციას» (იხ. № 85, ხაზგასმა ავტორისაა).

დიახ, მკითხველო, სწორედ ასეთი ლოზუნგი მოგვცეს «ისკრის» მეთაურში. ჩანს, ახლანდელ დროებაში საკმარისია ენა «აუშვათ» თავისუფალი ყბედობა-პროცესისათვის ან ყბედობის პროცესისათვის, რათა ვწეროთ ხელმძღვანელი სტატიები. ოპორტუნისტს ყოველთვის სჭირდება ისეთი ლოზუნგები, რომლებშიც, ახლო გასინჯვისას, არ აღმოჩნდება ხოლმე არაფერი გარდა ლიტონი ფრაზისა, გარდა რაღაც დეკადენტური სიტყვიერი მანჭვა-გრეხისა.

მოვაწყოთ და მოვაწყოთო, აუჩემებია პარვუსს, ოითქოს იგი უცებ ბოლშევიკი გამხდარიყოს. მას, უბედურს, არ ესმის,

რომ ორგანიზაცია არის პროცესი («ისკრა» № 85, — აგრეთვე ახალი «ისკრის» ყველა წინანდელი ნომერი და განსაკუთრებით მშვენიერი როზას მშვენიერი ფელეტონები). საწყალმა პარვუსმა არ იცის, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის მთელი ბუნების მიხედვით არა მარტო ორგანიზაცია, არამედ ტაქტიკაც პროცესს წარმოადგენს. ხოლო მას, თითქოს «შეთქმული» იყოს, აუჩემებია ორგანიზაცია-გეგმა. ხოლო მას, თითქოს «უტოპისტი» იყოს, წარმოუდგენია, რომ შეიძლება ასე ხელად, რომელიღაც, ღმერთო დაგვიფარე, მეორე თუ მესამე ყრილობაზე, აიღო და კიდევაც მოაწყო.

და აი «იაკობინიზმის» რა ჰერკულესის სვეტებამდე მივიდა ეს პარვუსი. «აჯანყების დაწყება მოცემული ლოზუნგით», წარმოიდგინეთ! ეს გაცილებით უფრო უარესია, ვიდრე ჩვენი სახელგანთქმული მარტინოვის მიერ დამხობილი იდეა აჯანყების «დანიშვნისა». მართლაც რომ პარვუსმა უნდა ისწავლოს მარტინოვისაგან. პარვუსმა უნდა წაიკითხოს «ისკრის» № 62, რომლის მეთაურიდანაც იგი გაიგებს, თუ აჯანყების მომზადების შესახებ რა მავნე «უტოპიური» იდეები ვრცელდებოდა ჩვენს პარტიაში ასე უდროოდ 1902 და 1904 წელს. პარვუსმა უნდა წაიკითხოს «რაბოჩის» ბროშურის წინასიტყვაობა, დაწერილი აქსელროდის მიერ, რათა გაიგოს იმ «ღრმა, ავთვისებიანი და პარტიისათვის პირდაპირ დამანგრეველი წყლულის» (sic! *) შესახებ, რომელიც სოციალ-დემოკრატიას ემუქრება იმ ადამიანებისაგან, «რომლებიც მთელ თავის იმედს ამყარებენ ხალხის მასების ყველაზე ჩამორჩენილი, ყველაზე შეუგნებელი და პირდაპირ გაველურებული (!!) ელემენტების სტიქიურ აჯანყებებზე».

პარვუსს შეუძლებლად მიაჩნია ახლა ასეული ათასების დარაზმვა და პირველ პლანზე აყენებს ამოცანას «შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც იქნებოდა შემაკავშირებელი ფერმენტი». როგორღა არ უნდა იკრუნჩხებოდნენ ჩვენი ახალისკრელები, როდესაც მათი ორგანოს ფურცლებზე ამგვარი რამეები იწე-

* — ასეა! რედ.

რება? ორგანიზაცია, როგორც შემაკავშირებელი ფერმენტი, ეს ხომ სწორედ პროფესიულ რევოლუციონერთა ორგანიზაციაა, რომლის მარტო გახსენებაზე ჩვენს ახალისკრელებს გული მისდით.

რა მადლობელი ვართ «ისკრისა» პარვუსის სტატიის გვერდით მოთავსებული მეთაურისათვის. რა ცხადად ერჩევა უშინაარსო, აბნეული, მაჩანჩალური ფრაზიორობა ძველი «ისკრის» ნათელი, მკაფიო, პირდაპირი და გაბედული რევოლუციური ლოზუნგების გვერდით! განა ეს უბრალო გაბერილი ფრაზა არ არის, ვითომც «სცენას შორდება ნდობის პოლიტიკა, რათა ა რ ა ს ო დ ე ს აღარ მოტყუვდეს არც რუსეთი და არც ევროპა?» სინამდვილეში ევროპული ბურჟუაზიული გაზეთის ყოველი ნომერი გვიჩვენებს, რომ ეს მოტყუება გრძელდება და წარმატებასაც აღწევს. «ზომიერი რუსული ლიბერალიზმი სასიკვდილოდ არის განგმირულიო». ეს არის ბავშვური პოლიტიკური გულუბრყვილობა, როდესაც ლიბერალიზმის სიკვდილად იღებენ მის «პოლიტიკურ» სურვილს გაინაბოს. ნამდვილად, ლიბერალიზმი ცოცხალია, ცოცხლობს და ცოცხლდება. იგი სწორედ ახლა დგას ძალაუფლების აღების წინ. იგი სწორედ იმისთვის გაინაბა, რათა სათანადო მომენტში უფრო დანამდვილებით და უფრო უშიშრად წაეპოტინოს ძალაუფლებას. იგი სწორედ ამისთვის ელაქუცება ასე გატაცებით მუშათა კლასს. კაცი უკიდურესად ბეცი უნდა იყოს, რომ ასეთი ლაქუცი (რომელიც ასჯერ უფრო საშიშია სწორედ ახლანდელ მომენტში) მიიღოს ხალას სიმართლედ, რომ ტრაბახით განაცხადოს: «პროლეტარიატი — სამშობლოს განმათავისუფლებელი, პროლეტარიატი — მთელი ერის ავანგარდი ლიბერალურ-დემოკრატიული ბურჟუაზიის მოწინავე ელემენტების საზოგადოებრივი აზრის მიერ ამ დღეებში ა ღ ი ა რ ე ბ უ ლ ი ა თ ა ვ ი ს გ მ ი რ უ ლ რ ო ლ შ ი». ბოლოს და ბოლოს შეიგნეთ, ბატონო ახალისკრელებო, რომ ლიბერალური ბურჟუები პროლეტარიატს აღიარებენ გმირად ს წ ო რ ე დ ი მ ი ტ ო მ, რომ ურტყამს რა ცარიზმს, ეს პროლეტარიატი ჯერ კიდევ არასაკმაოდ ძლიერია, ჯერ კიდევ არასაკმაოდ სოციალ-დემო-

კრატიულია, რათა მოიპოვოს თავისთვის ისეთი თავისუფლება, როგორიც მას სურს. შეიგნეთ, რომ ჩვენ კი არ უნდა ვიტრაბახოთ ახლანდელი ლიბერალური რევერანსების გამო, არამედ გავაფრთხილოთ პროლეტარიატი და ვუჩვენოთ მას ამ რევერანსების ფარული მიზეზი. თქვენ ვერ ხედავთ ამ ნამდვილ მიზეზს? მაშ შეხედეთ მეფაბრიკეების, ვაჭრების, მებირჟეების განცხადებებს კონსტიტუციის აუცილებლობის შესახებ! რას იტყვით, ნათლად მოწმობენ ეს განცხადებანი ზომიერი ლიბერალიზმის სიკვდილს, არა? ლიბერალი მოლაყბეები ბუტბუტებენ პროლეტარების გმირობის შესახებ, ხოლო მეფაბრიკეები საფუძვლიანად და ჩამაგონებლად მოითხოვენ შეკვეცილ კონსტიტუციას, აი როგორ არის საქმე, პატივცემულო «ხელმძღვანელებო» *!

მაგრამ ყველაზე უბადლოა «ისკრის» მსჯელობა შეიარაღების საკითხზე. «მუშაობა პროლეტარიატის შეიარაღების დარგში, იმ ორგანიზაციის სისტემატური მომზადების დარგში, რომელიც უზრუნველყოფდა ხალხის ყველგან და ერთსა და იმავე დროს თავდასხმას მთავრობაზე», გამოცხადებულია «ტექნიკურ» (!?) ამოცანად. ჩვენ კი, რასაკვირველია, ვდგევართ ათვალწუნებულ ტექნიკაზე მაღლა და საგანთა სიღრმეში ვიცქირებითო. «რაც უნდა მნიშვნელოვანი იყვნენ ისინი («ტექნიკური» ამოცანები), მათში არ არის მასების აჯანყებისათვის

* ზემომოყვანილი სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როდესაც ჩვენ ლიბერალური ბანაკიდან მივიღეთ შემდეგი ცნობები, რომლებიც ინტერესს არ არის მოკლებული. გერმანული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაზეთის «Frankfurter Zeitung»-ის («ფრანკფურტის გაზეთი». რედ.) (1905 წ. 17 თებერვალი) სპეციალური პეტერბურგელი კორესპონდენტი გადმოსცემს პეტერბურგელი ლიბერალი ჟურნალისტის ასეთ აზრს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ: «ლიბერალები სულელები იქნებოდნენ, ისეთი მომენტი რომ გაეშვათ ხელიდან, როგორიც ახლანდელია. ლიბერალებს ახლა ხელში აქვთ ყველა შანსი, რადგან მათ მოახერხეს მუშების შებმა თავიანთ ურემში, მთავრობას კი არა ჰყავს ადამიანები, ვინაიდან ბიუროკრატია არავის გასაქანს არ აძლევს». მართლაცდა, რა წმიდა გულუბრყვილობა უნდა სუფევდეს ახალ «ისკრაში», თუ იგი ასეთ მომენტში ლიბერალიზმის სიკვდილის შესახებ წერს?

მოსამზადებელი ჩვენი მუშაობის სიმძიმის ცენტრი»... «არალეგალური ორგანიზაციების მთელ ცდას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ისინი ვერ შესძლებენ ხალხის შეიარაღებას ერთი უბადლო იარაღით — თვითმპყრობელობაზე თავდასხმისა და ამისათვის შეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით. აი რას უნდა მივმართოთ ჩვენი ღონისძიებანი — აჯანყების მიზნებისათვის თვითშეიარაღების პროპაგანდას მასებში» (ორი უკანასკნელი ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ).

დიახ, დიახ, ეს საკითხის ნამდვილად ღრმა დაყენებაა, არა ისეთი, როგორიც აქვს შეზღუდულ, «იაკობინელობამდე» თითქმის მისულ პარვუსს. სიმძიმის ცენტრია არა შეიარაღების მუშაობაში და არც ორგანიზაციის სისტემატურ მომზადებაში, არამედ იმაში, რომ ხალხი შეიარაღდეს შეიარაღებისა და ამასთან თვითშეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით. სირცხვილის რა მწვავე გრძნობას განიცდი სოციალ-დემოკრატიის მაგიერ, როდესაც ხედავ ამ ფილისტერულ უხამსობას, რომელიც ცდილობს უკან დასწიოს ჩვენი მოძრაობა! შეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით ხალხის შეიარაღება სოციალ-დემოკრატიის მუდმივი და საერთო ამოცანაა, რომელიც ყოველთვის და ყველგან დგას, ამოცანა, რომელიც ერთნაირად გამოდგება იაპონიისთვისაც, ინგლისისთვისაც, გერმანიისთვისაც, იტალიისთვისაც. ყველგან, სადაც არიან დაჩაგრული და ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლი კლასები, სოციალისტის ქადაგება ყოველთვის აიარაღებს მათ თავიდანვე და უწინარეს ყოვლისა შეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით, და ეს «მოთხოვნილება» უკვე არის მაშინ, როდესაც იწყება მუშათა მოძრაობა. სოციალ-დემოკრატიას ისღა რჩება, რომ შეგნებული გახადოს ეს მწვავე მოთხოვნილება, აიძულოს ისინი, ვინც მას განიცდის, ანგარიში გაუწიონ ორგანიზაციისა და გეგმაზომიერი მოქმედების აუცილებლობას, მთელ პოლიტიკურ კონიუნქტურას. თუ ხათრი გაქვთ, შეიხედეთ თქვენ, ბ-ნო «ისკრის» რედაქტორო, გერმანიის მუშათა რომელ კრე-

ბაზედაც გნებავთ, ნახეთ, რა სიძულვილით არის ანთებული სახეები თუნდაც პოლიციის მიმართ, რა გაბოროტებული სარკაზმები გაისმის, როგორ იკუმშება მუშტები. რა ძალა აჩერებს ამ მწვავე მოთხოვნილებას დაუყოვნებლივ გაუსწორონ ანგარიში ბურჟუებსა და მათ ლაქიებს, რომლებიც ხალხს აბუჩად იგდებენ? ორგანიზაციისა და დისციპლინის ძალა, ძალა შეგნებისა, იმის შეგნებისა, რომ ინდივიდუალური მკვლელობანი სისულელეა, რომ ჯერ არ დამდგარა სერიოზული, სახალხო, რევოლუციური ბრძოლის ჟამი, რომ არ არის ამისათვის შესაფერი პოლიტიკური კონიუნქტურა. აი რატომ არის, რომ ასეთ პირობებში სოციალისტი არ ეუბნება და არასოდეს არ ეტყვის ხალხს: შეიარაღდით, არამედ ყოველთვის და აუცილებლად (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სოციალისტი კი არა, ფუჭი მოლაყბეა) აიარაღებს მას მწვავე მოთხოვნილებით შეიარაღდეს და თავს დაესხას მტერს. ყოველდღიური მუშაობის სწორედ ამ პირობებისაგან განსხვავდება ახლა პირობები რუსეთში. სწორედ ამიტომ რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც აქამდე არასოდეს არ ამბობდნენ: იარაღს მოჰკიდეთ ხელიო! მაგრამ ყოველთვის აიარაღებდნენ მუშებს შეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით, ა ხ ლ ა ყველა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც თან მიჰყვებიან რევოლუციურ-ინიციატივიან მუშებს, მისცეს ლოზუნგი: ი ა რ ა ღ ს მ ო ჰ კ ი დ ე თ ხ ე ლ ი! და აი სწორედ ასეთ მომენტში, როდესაც ეს ლოზუნგი, ბოლოს და ბოლოს, უკვე მიცემულია, «ისკრა» ბრძანებს: სიმძიმის ცენტრი შეიარაღებაში კი არა, არამედ თვითშეიარაღების მწვავე მოთხოვნილებაშიაო. განა ეს მომაკვდინებელი ინტელიგენტური რეზონიორობა არ არის, განა ეს უიმედო ტრიაპიჩკინობა არ არის? განა ეს ადამიანები პარტიას უკან არ ეწევიან, რევოლუციური ავანგარდის არსებითი ამოცანებიდან პროლეტარიატის «ზურგის» მზერისაკენ? და ამა თუ იმ ტრიაპიჩკინის ინდივიდუალურ თვისებებზე როდია დამოკიდებული ჩვენი ამოცანების ეს დაუჯერებელი გაუხამსება, არამედ მთელ მათ პოზიციაზე, რომელსაც ასე უბადლოდ აყალიბებენ ლამაზი სიტყვებით ორგანიზა-

ცია-პროცესისა ან ტაქტიკა-პროცესის შესახებ. უკვე თვით ეს პოზიცია აუცილებლად და გარდუვალად ისეთ მდგომარეობაში აგდებს ადამიანს, რომ მას ეშინია ყოველი გარკვეული ლოზუნგისა, გაურბის ყოველივე «გეგმას», უკან-უკან იწევს გაბედული რევოლუციური თაოსნობისაგან, რეზონიორობს და ძველ საცოხნს იცოხნის, ეშინია წინწარბენისა — იმ დროს, როდესაც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, აშკარად ჩამოვრჩით პროლეტარიატის რევოლუციურ აქტივობას. ჭეშმარიტად: მკვდარი ჩაებღაუჭა ცოცხალს, რაბოჩეედელოელთა მკვდარმა თეორიებმა უიმედოდ მოაკვდინეს ახალი «ისკრაც».

შეხედეთ «ისკრის» მსჯელობას «სოციალ-დემოკრატიის, როგორც ერის განმათავისუფლებელი კლასის ავანგარდის პოლიტიკური ხელმძღვანელი როლის შესახებ». «ამ როლს — გვასწავლიან ჩვენ — ვერც მივაღწევთ და ვერც მტკიცედ შევინარჩუნებთ იმით, რომ ჩვენ მოვახერხებთ აჯანყების ტექნიკური ორგანიზაციისა და განხორციელების მთლიანად აღებას ხელში». ერთი დაუფიქრდით: ავანგარდის როლს ვერ მივაღწევთ, თუ ჩვენ მოვახერხებთ აჯანყების განხორციელების მთლიანად აღებას ხელშიო! და ეს ადამიანები კიდევ ლაპარაკობენ ავანგარდის შესახებ! მათ ე შ ი ნ ი ა თ ი მ ი ს ა, რომ ისტორიამ არ დააკისროს მათ ხელმძღვანელი როლი დემოკრატიულ გადატრიალებაში, ისინი შ ი შ ი თ ფიქრობენ იმაზე, რომ არ მოუხდეთ «აჯანყების განხორციელება». მათ ელანდებათ ის აზრი — ისინი მხოლოდ ჯერ კიდევ ვერ ბედავენ ამის პირდაპირ თქმას «ისკრის» ფურცლებზე, — რომ სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ა რ უ ნ დ ა «განახორციელოს აჯანყება», არ უნდა ესწრაფოდეს იმას, რომ მთლიანად აიღოს ხელში დემოკრატიულ რესპუბლიკაზე რევოლუციური გადასვლა. მათ, სოციალიზმის ამ გამოუსწორებელ ჟირონდისტებს, აქ საშინელი იაკობინელობა[45] ეჩვენებათ. მათ არ ესმით, რომ რაც უფრო ერთგულად ვეცდებით ჩვენ მთლიანად ავიღოთ ხელში აჯანყების განხორციელება, ამ საქმის მით უფრო მეტ ნაწილს ავიღებთ ხელში, და რომ რაც უფრო მეტი იქნება

ეს ნაწილი, მით უფრო ნაკლები იქნება ანტიპროლეტარული ან არაპროლეტარული დემოკრატიის გავლენა. მათ აუცილებლად სურთ კუდში იყვნენ, ისინი თავისთვის იგონებენ განსაკუთრებულ ფილოსოფიასაც კი, რომ საჭიროა კუდში ყოფნა, — მარტინოვმა უკვე დაიწყო მისი ჩამოყალიბება და ხვალ, ალბათ, წერტილამდე მივა «ისკრის» ფურცლებზე.

სინჯეთ მისი მსჯელობის თანდათანობით განხილვა:

«შეგნებული პროლეტარიატი, დაემყარება რა ისტორიული განვითარების სტიქიური პროცესის ლოგიკას, თავისი მიზნებისათვის გამოიყენებს ორგანიზაციის ყველა ელემენტს, მღელვარების ყველა ელემენტს, რომლებსაც ჰქმნის რევოლუციის წინახანის მომენტი»...

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ყველა ელემენტის გამოყენება ნიშნავს სწორედ ხელმძღვანელობის მთლიანად თავის თავზე აღებას. «ისკრა» თავის წინააღმდეგ ლაპარაკობს და, გრძნობს რა ამას, ჩქარობს დაუმატოს:

...«სრულებით არ მოერიდება იმას, რომ ყველა ეს ელემენტი ართმევს მას თვით რევოლუციის ტექნიკური ხელმძღვანელობის ნაწილს და ამრიგად ნებსით თუ უნებლიეთ ხელს შეუწყობს ჩვენი მოთხოვნების გადატანას ხალხის მასის ყველაზე ჩამორჩენილ ფენებში».

თქვენ გესმით რამე, მკითხველო? გამოიყენოს ყველა ელემენტი, არ მოერიდოს იმას, რომ ისინი ართმევენ ხელმძღვანელობის ნაწილს!!?? გეშინოდეთ ღვთისა, ბატონებო: თუ ნამდვილად ჩვენ ვიყენებთ ყველა ელემენტს, თუ ნამდვილად ჩვენს მოთხოვნებს ითვისებენ ისინი, ვისაც ჩვენ ვიყენებთ, მაშინ ისინი კი არ გვართმევენ ჩვენ ხელმძღვანელობას, არამედ იღებენ ჩვენს ხელმძღვანელობას. ხოლო თუ ეს ყველა ელემენტი ნამდვილად გვართმევს ჩვენ ხელმძღვანელობას (და, რასაკვირველია, არა მარტო «ტექნიკურს», რადგან რევოლუციის «ტექნიკური» მხარის გამოყოფა პოლიტიკურისაგან უდიდესი სისულელეა), მაშინ გამოდის, რომ არა ჩვენ ვიყენებთ მათ, არამედ ისინი ჩვენ გვიყენებენ.

«ჩვენ მხოლოდ მოხარული ვიქნებით, თუ იმ მღვდლის შემდეგ, რომელიც ეწეოდა ეკლესიასთან სახელმწიფოს გათიშვის ჩვენი მოთხოვნის პოპულარიზაციას მასებში, მონარქისტული მუშათა საზოგადოების შემდეგ, რომელმაც მოაწყო სახალხო ლაშქრობა ზამთრის სასახლეზე, რუსეთის რევოლუცია გამდიდრდება გენერლით, რომელიც პირველი წაიყვანს სახალხო მასებს უკანასკნელ ბრძოლაში მეფის ჯარის წინააღმდეგ, ან მოხელით, რომელიც პირველი გამოაცხადებს მეფის ხელისუფლების ოფიციალურ დამხობას».

დიახ, ეს ჩვენც გაგვეხარდებოდა, მაგრამ ჩვენ ვისურვებდით, რომ შ ე ს ა ძ ლ ო სასიამოვნო ამბების სიხარულის გრძნობას არ დაეჩრდილა ჩვენი ლოგიკა. რას ნიშნავს: რ უ ს ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა გამდიდრდება მღვდლით ან გენერლით? ეს იმას ნიშნავს, რომ მღვდელი ან გენერალი რევოლუციის მომხრეები ან წინამძღოლები გახდებიან. ეს «ახლადდამწყებნი» შეიძლება იყვნენ რევოლუციის სავსებით ან არასავსებით შეგნებული მომხრეები. უკანასკნელ შემთხვევაში (რომელიც უფრო შესაძლოა ახლადდამწყებთა მიმართ) ჩვენ უნდა განვიცდიდეთ არა სიხარულს, არამედ მწუხარებას მათი შეუგნებლობის გამ ო და მ თ ე ლ ი ძ ა ლ ღ ო ნ ი თ ვ ე ც ა დ ო თ გ ა მ ო ვ ა ს წ ო რ ო თ, შ ე ვ ა ვ ს ო თ ი გ ი. ვიდრე ეს არ გაგვიკეთებია, ვიდრე მასა მისდევს მცირედშეგნებულ წინამძღოლს, იძულებული ვართ ვთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატია კი არ იყენებს ყველა ელემენტებს, არამედ ყველა ელემენტები იყენებენ მას. რევოლუციის მომხრე, გუშინდელი მღვდელი ან გენერალი, ან მოხელე, შეიძლება იყოს ცრურწმენით აღსავსე ბურჟუაზიული დემოკრატი და რამდენადაც მ ა ს გაჰყვებიან მუშები, იმდენად ბურჟუაზიული დემოკრატია «გამოიყენებს» მუშებს. თქვენთვის ნათელია თუ არა ეს, ბატონო ახალისკრელებო? თუ ნათელია, მაშ რატომ გ ე შ ი ნ ი ა თ ი მ ი ს ი, რომ რევოლუციის სავსებით შეგნებულმა (ე ს ე-ი გ ი სოციალ-დემოკრატიულმა) მომხრეებმა თვითონ იკისრონ ხელმძღვანელობა? რატომ გეშინიათ იმისი, რომ სოციალ-დემოკრატმა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრმა ოფიცერმა (მე განგებ

ვიღებ თქვენი მაგალითის ანალოგიურ მაგალითს) ამ ორგანიზაციის თაოსნობითა და დავალებით იკისროს, «მთლიანად აიღოს თავის ხელში» თქვენი ნავარაუდევი გენერლის ფუნქციები და ამოცანები?

დავუბრუნდეთ პარვუსს. იგი თავის საუცხოო სტატიას ათავებს საუცხოო რჩევით «თავიდან მოვიშოროთ» დეზორგანიზატორები. დეზორგანიზატორების ჩამოცილება, როგორც განყოფილებაში «პარტიიდან» ჩვენი მოთავსებული ცნობებიდან ჩანს [46], რუსი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობის ყველაზე მგზნებარე და ყველაზე გადამწყვეტი ლოზუნგია. სწორედ ასე, ამხანაგო პარვუს: დაუნდობლად «თავიდან მოვიშოროთ» და დავიწყოთ ეს მოშორება სოციალ-დემოკრატიული პრესის იმ გმირებით, რომლებიც აკურთხებდნენ და აკურთხებენ დეზორგანიზაციას ორგანიზაცია-პროცესის, ორგანიზაცია-ტენდენციის «თეორიებით». საჭიროა არა მარტო ვილაპარაკოთ ამაზე, არამედ გ ა ვ ა კ ე თ ო თ ეს. საჭიროა დაუყოვნებლივ მოვიწვიოთ ყველა იმ პარტიული მუშაკების ყრილობა, რომელთაც პარტიის ორგანიზება სურთ. საჭიროა არ დავჯერდეთ დარწმუნებასა და დარიგებას, არამედ ყველას, ვინც მერყეობს, ვინც მტკიცე არ არის, ვინც დარწმუნებული არ არის და ეჭვობს, დავუყენოთ პირდაპირი და მტკიცე ულტიმატუმი: ამოირჩიეთ! ჩვენი გაზეთის პირველი ნომრიდან დაწყებული ჩვენ კიდევაც ვაყენებდით ამ ულტიმატუმს «ვპერიოდის» რედაქციის სახელით, რუსი პარტიული მუშაკების მთელი მასის სახელით, რომლებიც დეზორგანიზატორების მიერ გაუგონარ გაბოროტებამდე არიან მიყვანილი. მაშ რაც შეიძლება ჩქარა მოიშორეთ ისინი, ამხანაგებო, და მოჰკიდეთ ხელი შეთანხმებულ ორგანიზაციულ მუშაობას! უკეთესია ასი რევოლუციური სოციალ-დემოკრატი, რომლებმაც მიიღეს ორგანიზაცია-გეგმა, ვიდრე ათასი ინტელიგენტური ტრიაპიჩკინი, რომლებიც ორგანიზაცია-პროცესზე ყბედობენ!

«ვპერიოდ» № 7,
1905 წ. 21 (8) თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

III პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ

«ვპერიოდის» რედაქციას ისღა დარჩენია, რომ თავისი მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადოს რუსეთის ბიუროს თაოსნობას. ძლივს გადაიდგა ენერგიული ნაბიჯი პ ა რ ტ ი უ ლ ი გამოსვლისათვის იმ მდგომარეობიდან, რომელიც საზღვარგარეთელმა ბონაპარტისტებმა შექმნეს[47]! განყოფილებაში «პარტიიდან» ჩვენ ვათავსებთ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა სწრაფად ეხმაურებიან კომიტეტები ბიუროს მოწოდებას. დაე მიბაძონ მათს მაგალითს ყ ვ ე ლ ა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მ ა ჯგუფებმა და ორგანიზაციებმა, აგრეთვე ცალკეულმა პირებმა, რომლებიც თავის თავს რსდმპ-ს აკუთვნებენ ან თუნდაც ემხრობიან მას თავიანთი შეხედულებებითა და სიმპათიებით. მესამე ყრილობის მოწვევა ხდება პ ი რ ვ ე ლ ა დ ისეთ პირობებში, როდესაც წინასწარ ცნობილია მისი შემადგენლობაც (პარტიის წესდების საფუძველზე), მუშაობის მსვლელობაც და ისიც, თუ ვისა აქვს მასში მონაწილეობის უფლება. დაე ყველა ამხანაგმა ფართოდ ისარგებლოს ამ პირობებით! დაე ნუ დაივიწყებენ, რომ ჩვენი პარტიის წესდება თვითეულისათვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას მიმართოს ყრილობას (წესდების § 10: «პარტიის თვითეულ წევრს და ყ ვ ე ლ ა პ ი რ ს, ვ ი ს ა ც კ ი პ ა რ ტ ი ა ს თ ა ნ რ ა ი მ ე ს ა ქ მ ე ა ქ ვ ს, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი განცხადება ნაძდვილი სახით გადაეცეს ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური ორგანოს რედაქციას ან პ ა რ ტ ი უ ლ ყ რ ი ლ ო ბ ა ს»). დაე დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ისარგებლონ ამ შესაძლებლობით. «ვპერიოდის» რედაქცია კისრულობს ასეთ განცხადებათა გა-

დაცემას რუსეთის ბიუროსათვის, რომელიც ჩამოყალიბდა ახლა, როგორც ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი. ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით მონაწილეობა ხელმისაწვდომია მხოლოდ კომიტეტებისა და სხვა სრულუფლებიანი, წესდების საფუძველზე, პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის. მაგრამ სათათბირო ხმით მონაწილეობა თვით ყრილობის ნებართვით ხელმისაწვდომია ყველასთვის, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტის ნებართვით — არასრულუფლებიანი პარტიული ორგანიზაციების დელეგატებისათვის (პარტიის წესდების § 3, მე-2 შენიშვნა: «ცენტრალურ კომიტეტს უფლება ენიჭება მოიწვიოს ყრილობაზე სათათბირო ხმით იმ ორგანიზაციათა დელეგატები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ 1-ლ შენიშვნაში აღნიშნულ პირობებს», ე. ი. რომლებიც თავიანთ სრულუფლებიან წოდებაში დამტკიცებული არ არიან ერთი წლით ადრე ყრილობამდე. — თავისთავად იგულისხმება, რომ საორგანიზაციო კომიტეტი, იწვევს რა ყრილობას კომიტეტების უმრავლესობის დავალებით ბონაპარტისტული ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოს ნების წინააღმდეგ, ითვისებს ცენტრალური კომიტეტის ყველა უფლებას ყრილობის მოწვევის მხრივ).

«ვპერიოდის» რედაქცია, თავის მხრივ, ურჩევს ყრილობას ასეთ სანიმუშო დღის წესრიგს: 1. ყრილობის კონსტიტუირება (რეგლამენტი, საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება, მანდატების შემოწმება). 2. დელეგატების ანგარიშები. 3. პარტიული კრიზისი *. 4. საორგანიზაციო საკითხი. 5. დამოკიდებულება აჯანყებისადმი. 6. რევოლუციურ დემოკრა-

* ბებელმა წერილით მიმართა ლენინს და შესთავაზა აერჩიათ იგი მედიატორად «ისკრის» მომხრეებსა და «ვპერიოდის» მომხრეებს შორის. ლენინმა უპასუხა, რომ არც მას და «ვპერიოდის» არც სხვა რომელიმე მომხრეს, რომელსაც კი იგი იცნობს, უფლება არა აქვს შებოჭოს თავისი ნაბიჯებით მთელი პარტია, და რომ ამიტომ ბებელის წინადადება განსახილველად უნდა გადაეცეს პარტიულ ყრილობას, რომელსაც იწვევს რუსეთის ბიურო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყრილობას შეეძლო ეს წინადადება მიეკუთვნებინა პუნქტისათვის «პარტიული კრიზისი».

ტიასთან შეთანხმება აჯანყების მიზნებისათვის. 7. დამოკიდებულება ლიბერალებისადმი. 8. გლეხობაში მუშაობა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობისათვის მხარდაჭერა. 9. მუშაობა ჯარში. 10. პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესება. 11. თანამდებობის პირთა არჩევნები.

პარტიის ყველა წევრის აქტიური მონაწილეობა ამ და სხვა დიდ საკითხებზე მოხსენებებისა და რეზოლუციების გამომუშავებასა და მომზადებაში (აგრეთვე მოხსენებებისათვის მასალის შეგროვებაში) უთუოდ აუცილებელია ყრილობის წარმატებისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ პარტიულობის ყველა მომხრეს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მოჰკიდოს ხელი ამ მუშაობას. ყ ვ ე ლ ა ს, ვისაც ასე თუ ისე მონაწილეობა მიუღია პარტიული კრიზისის პერიპეტიებში, შეუძლია დაეხმაროს ყრილობას გამოსავალ საშუალებათა საკითხში თავისი გამოცდილებისა და თავისი აზრის შესახებ მოკლე ცნობის მიწოდებით. თ ვ ი თ ე უ ლ ს, ვისაც უმუშავნია ამა თუ იმ პარტიულ ან პარტიის მომხრე ორგანიზაციაში, შეუძლია მისცეს თავის პირად გამოცდილებაზე დამყარებული ფრიად სასარგებლო მასალა საორგანიზაციო საკითხის სხვადასხვა მხარეთა გადასაწყვეტად. (აი ასეთ ცნობათა სანიმუშო პროგრამა: მუშაობის დრო და ადგილი; ორგანიზაციის წევრთა, მუშათა და ინტელიგენტთა, რიცხვი; ურთიერთობა მათ შორის; საჭიროა თუ არა ნაწერი წესდებები, და რანაირი; საჭიროა თუ არა ნორმირება, და რანაირი, ავტონომიის ფარგლების, შრომის განაწილების, პარტიაში შემავალი და მისი მომხრე ჯგუფების, წევრთა კოოპტაციისა და გარიცხვის შესახებ; არჩევითი პრინციპი; კომიტეტების დამოკიდებულება პროპაგანდისტთა, აგიტატორთა, ორგანიზატორთა ჯგუფებისადმი, რაიონული და საფაბრიკო წრეებისადმი, ლიტერატორთა და ტექნიკური კომისიებისადმი და სხვ. და სხვ.)

«ვპერიოდის» რედაქციამ უკვე მიიღო ზოგიერთი მასალა გლეხებსა და ჯარისკაცებში მუშაობის შესახებ. ჩვენ ვიცით ერთი ჯგუფი, რომელიც სისტემატურად მუშაობს პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის საქმეში თავის წევრთა

გამოცდილების შეჯამებაზე და ყრილობისათვის მოხსენების შედგენაზე. ჩვენ დაგვპირდნენ ერთი ამხანაგის მოხსენებას, რომელიც მონაწილეობდა ერთ-ერთ დიდ ქალაქში ებრაელთა დარბევის შემთხვევისათვის ასეულობით მუშათა შეიარაღებული წინააღმდეგობის ორგანიზაციის მუშაობაში, აგრეთვე იმ ამხანაგის მოხსენებას ქუჩაში ბრძოლის საკითხზე, რომელიც სამხედრო საქმეს სწავლობდა. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამგვარ მუშაობას დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი ამხანაგების რაც შეიძლება მეტმა რაოდენობამ.

პარტიული კრიზისი გამორკვეულია ლიტერატურაში უკიდურეს წვრილმანამდე. მის განხილვას არ შეიძლება და არ უნდა მოხმარდეს დიდი დრო. ყრილობის მუშაობის ცენტრალური პუნქტი უნდა იყოს ორგანიზაციისა და ტაქტიკის ახალი საკითხები, რომლებიც ჩვენი რევოლუციური მოძრაობის ახალი გიგანტური აღმავლობით არის წამოყენებული. ამ საკითხების გადასაჭრელად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მოძრაობის თუნდაც რაოდენადმე მონაწილე ყველა სოციალ-დემოკრატის კოლექტიურ გამოცდილებას. მხოლოდ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოვუყაროთ თავი ამ გამოცდილებას და იგი ყრილობის განხილვისათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ.

მაშ მოკიდოთ ხელი საქმეს, ამხანაგებო! ყრილობისათვის აქტიურ დახმარებას დაე დაუყოვნებლივ მოჰკიდოს ხელი ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა. მაშინ პარტია სწრაფად გამოვა დროებითი დამცირებისა და დასუსტების პერიოდიდან რუსეთის დიდ რევოლუციაში უაღრესად აქტიური მონაწილეობის გზაზე, იმ გზაზე, რომელსაც რუსი ხალხის წყეულ მტერზე გამარჯვებისაკენ მივყავართ!

«ვპერიოდ» № 8,
1905 წ. 28 (15) თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ახალისკრელთა განაკიდან

პლეხანოვი «ისკრის» 87-ე ნომრის მეთაურში ლმობიერად და თავაზიანად უქნევს თავს მარტოვს და წარმატებით ატარებს kill with kindness-ის (ლმობიერებით მოკვლის) ტაქტიკას. ელაქუცება რა 85-ე ნომრის მეთაურის ავტორს, პლეხანოვი არსებითად მთლიანად უარყოფს მის შეხედულებებს და გაჰყავს სწორედ ის შეხედულებანი, რომლებსაც მუდამ მტკიცედ ადგა «ვპერიოდი». კეთილი იყოს! მხოლოდ ანგარიში გაუწიეთ კიდევ მარტინოვთან ნათესაობას, დიდად პატივცემულო დიალექტიკოსო. მოელაპარაკეთ მას იმ საშინელი და თქვენთვის დამღუპველი პერსპექტივის შესახებ, რომელიც განხორციელდება, თუ თქვენ, «მოამზადებთ რა გამარჯვებას» (№ 87-ის ლოზუნგი), მოიპოვებთ გამარჯვებას! მოელაპარაკეთ მას «ძალაუფლების დაპყრობის», «დროებითს მთავრობაში მონაწილეობისა» და «რევოლუციური დიქტატურის» საშინელი საფრთხის შესახებ. საწყალი პლეხანოვი, მას კიდევ დიდი დრო დასჭირდება, სანამ თავს გაითავისუფლებდეს იმ ხარახურისაგან, რაც დაგროვებულია ტროცკის, მარტინოვის, რაბოჩისა და აქსელროდის ბროშურებით, რომლებიც მთელი (?) რედაქციის მიერ არის მოწონებული! «ისკრის» 86-ე ნომრის დამატებაში პოპოვი აღიარებს, რომ ის არის ლენინის «განცხადებაში» გამოქვეყნებული წერილის ავტორი. სწორედ ამის ჩვენება გვინდოდა! უმცირესობის ჯენტლმენების მიერ პარტიის სისტემატური მოტყუება დამტკიცებულია. როგორც ჩვენ კიდევაც ვწინასწარმეტყველებდით, ჯენტლმენები ცდილობენ

თავი დაიძვრინონ, მკითხველს ყურადღება მიაპყრობინონ იმ საკითხზე, ჰქონდა თუ არა ლენინს უფლება ბონაპარტისტია მამხილებელი წერილის კონფისკაცია მოეხდინა. თავიანთი მორალური გულისხმიერებით ცნობილნი მარტოვი და პოპოვი გაჰყვირიან ქურდობაზედაც, ჯაშუშობაზედაც და სხვ.. ილანძღეთ, ბატონებო, წელებზე ფეხი დაიდგით: საბუთები რაკი არა გაქვთ, ისღა დაგრჩენიათ, რომ ილანძღოთ.

«ვპერიოდ» № 8,
1905 წ. 28 (15) თებერვალ»

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

წერილი რუსეთის ორგანიზაციებს

1905. 28. II.

ძვირფასო ამხანაგებო! ეს არის ახლა მივიღეთ ცნობა, რომ ყრილობას შეუერთდნენ ს.-პეტერბურგი, ტულა, მოსკოვი, ჩრდილოეთი, ნიჟნი, კავკასია, ოდესა, — რა თქმა უნდა, სხვებიც შეუერთდებიან. ამბობენ, ცენტრალურ კომიტეტს განუცხადებია, რომ იგი ყრილობის მომხრეა. ცხადია, ახლა მისი აღარავის სჯერა; ყველა ამბობს, დაე მოვიდეს ყრილობაზე, ხომ ყველაა მოწვეულიო, მაგრამ ყრილობას იწვევს ბიურო და მარტოოდენ ბიურო. არა გვგონია ღირდეს იმაზე ლაპარაკი, თუ რატომ ნატამალიც აღარ დარჩა ცენტრალური კომიტეტისადმი ნდობისა (ზოგიერთი სრულიად განცალკევებული ხმაც, რომელიც მის სასარგებლოდ გაისმა, მაშინვე უკან წაიღეს). ყველას ესმის, რომ ცენტრალური კომიტეტი მხოლოდ მატყუარობს და დიპლომატობს.

მეტად მნიშვნელოვანია დაუყოვნებლივ დავიწყოთ ყრილობისათვის მზადება და ამ საქმეში უაღრესად ენერგიულად მოვიზიდოთ ყველა წრე, რაიონული, პროპაგანდისტული, საფაბრიკო, ერთი სიტყვით, ყველა წრე და განსაკუთრებით მუშები. «ვპერიოდის» № 8-შიც * (დღეს გამოდის) ვლაპარაკობთ ამაზე. ძალიან სასარგებლო იქნებოდა ყრილობაში მუშების მონაწილეობა. (ჩვენი აზრით, სათათბირო ხმით ძალიან ლიბერალურად უნდა დავუშვათ. მაშასადამე, საკითხი მხოლოდ ფულია. აგი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 197 — 200. რ ე დ.

ტაცია გასწიეთ რაც შეიძლება უფრო ფართოდ: დარწმუნებული ვართ, რომ აღმოჩნდებიან მუშები, რომლებიც დელეგატს 150 — 200 მანეთს შეუგროვებენ, ინტელიგენციაშიც აღმოჩნდებიან ასეთი მიზნისათვის სპეციალური შეწირულების გამღებნი). ყრილობაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები დგას: ორგანიზაცია, პერიფერიისადმი დამოკიდებულება, აჯანყება, მუშათა შეიარაღება (დინამიტის სახელოსნოების დაარსება), სოციალისტ-რევოლუციონერებთან შეთანხმება აჯანყებისათვის, გლეხთა რევოლუციური მოძრაობისათვის მხარისდაჭერა და მრავალი სხვა. უალრესი მნიშვნელობა აქვს მოხსენებებს ჯარში, გლეხობაში მუშაობის შესახებ. რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენეთ ყრილობისათვის ურთიერთობა ოფიცრებთან, სტუდენტებთან და სხვ. ყრილობაზე ფიქრობენ წესდების მარტოვისეული 1 § შეცვალონ ლენინურით და გააფართოონ პ ა რ ტ ი უ ლ ორგანიზაციათა უფლებები, აგრეთვე იმ ორგანიზაციების უფლებებიც, რომლებიც პარტიას ე მ ხ რ ო ბ ი ა ნ. საამისოდ ძალიან ბევრნი გამოდგებიან რევოლუციური დემოკრატიის ელემენტებიდან. მაშ უფრო აქტიურად ემზადოს ყრილობისათვის ყველა და ყოველი.

მხურვალე სალამი. ლ ე ნ ი ნ ი

პიტერიდან დაგვიწყეს მუშათა რაიონული კრებების ოქმების გზავნა. მისაბაძი მაგალითია. საერთოდ დაბეჯითებით ვთხოვთ მუშებს წერონ თვითონ და წერონ «ვპერიოდში».

პირველად დაიბეჭდა 1926 წ. ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

III ყრილობის გადაწყვეტილებათა საერთო გეგმა

რეზოლუციები:

1. a) უმცირესობის რეალური ობიექტი: ცენტრების შემადგენლობა.

b) ყრილობის დადგენილებათა შეუსრულებლობა.

c) გათიშვა ლიგამდე: ფარული ორგანიზაციის შექმნა.

d) ამ აქტისა და მისგან გამომდინარე მთელი დეზორგანიზაციის უპატიოსნება.

e) სამარცხვინოა დეზორგანიზაციის გამართლება ორგანიზაცია-პროცესის, ორგანიზაცია-ტენდენციის თეორიებით, ფარისევლური ყვირილით ბიუროკრატიზმზე, ფორმალიზმზე etc. *

f) რუსეთში დადებითი მუშაობისათვის მათი დეზორგანიზაციით მიყენებული უდიდესი ზიანი.

g) დეზორგანიზატორებისაგან სრული ჩამოშორების აუცილებელი საჭიროება.

h) ცენტრებისათვის დავალების მიცემა — გამოსცენ ბროშურა, რომელშიც მოკლედ იქნება მოცემული გათიშვის მიზეზები და ისტორია, და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისათვის შეტყობინება.

2. a) საჭიროება აზრის გამოთქმისა ეგრეთწოდებული შემარიგებლობის მიმდინარეობის გამო.

---

* — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.

b) მისი ერთადერთი პატიოსანი, არა პირმოთნე წარმომადგენელი იყო პლეხანოვი, როცა «ი ს კ რ ი ს» 52-ე ნომერს წერდა.

c) ყრილობა ცნობს, რომ სწორი იყო პლეხანოვის პოზიცია პარტიის II ყრილობაზე და ლიგის ყრილობაზე. მას გულწრფელად სურდა მშვიდობა კოოპტაციის დროს.

d) სამწუხაროდ, პლეხანოვმა ვერ შეინარჩუნა რევიზიონისტებისა და ინდივიდუალისტი ანარქისტების მიმართ თავისი პოზიცია დათმობისა. ყველა ცდა პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი გამართლებისა, მისი მხრივ, აშკარად არასწორია, და შეუძლია მხოლოდ ადამიანთა გონებაში დაბნეულობისა და შინაპარტიულ ურთიერთობაში ცბიერების შეტანა.

e) ახლა ეგრეთწოდებული შემარიგებლები — ფარისეველი მენშევიკები არიან. არავითარი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი პროგრამა შერიგებისა, გარდა პლეხანოვის პროგრამისა, რომელიც ახლა მან თვითონაც უარყო (პირადი დათმობანი, მაგრამ პრინციპული დ ა ვ ა რევიზიონისტებთან და ანარქისტ ინდივიდუალისტებთან).

3. a) ყრილობა ცნობს ახალისკრელთა პოზიციისაგან ჩვენი პოზიციის პრინციპულ განსხვავებას.

b) ჯერ კიდევ II ყრილობაზე ახალისკრელებმა გამოიჩინეს სრული პრინციპული მერყეობა, თავდაპირველად იბრძოდნენ მთლიანად ოპორტუნისტული ფრთის წინააღმდეგ, ბოლოს აშკარად (თუმცა თავიანთი ნებისა და შეგნების წინააღმდეგ) იბრუნეს პირი მისკენ.

c) II ყრილობის შემდეგ ოპორტუნისტული ხასიათი კიდევ უფრო ნათელი გახდა: ორგანიზაციაშიც — პატარა სისტემატური ღალატის გამართლება. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისეთი იარაღის დაჩლუნგება, როგორიც ორგანიზაციაა. მარქსიზმის დამახინჯება იმდენად, რომ დეზორგანიზაციასა და ინტელიგენტურ ანარქიზმს ამართლებენ და ადიდებენ.

d) თავისი პოლიტიკის საერთო მიმართულების საკითხებში «ისკრას» თვითონ უნდა ეღიარებინა «უფსკრული ახალსა და ძველ «ისკრას» შორის». შებრუნება მაჩანჩალობისაკენ.

e) ტაქტიკაში ეს გამოიხატა	დამოკიდებულებით ლიბერალისადმი. საერობო კამპანია.
f) » » » »	აჯანყებისადმი. უკანდაწევისა და დაბნევის ცდები.
g) » » » »	შეიარაღებისადმი.
h) » » » »	განუვითარებელი მუშების გარეგნისადმი ლოზუნგით «მუშათა თვითმოქმედება» etc.

i) საერთოდ, ახალისკრელები = პარტიის ოპორტუნისტული ფრთაა.

პრინციპულად ჭრელი ელემენტები მათს ბანაკში.

ორგანიზაცია-პროცესი	პრინციპული მერყეობა (II ყრილობა).
პარტია და კლასი	
ლიბერალები და საეროზო კამპანია	შებრუნება ოპორტუნისტულ «რაბოჩეე დელოსაკენ»(უფსკრული).
აჯანყება	მათი მოწონება პარტიის შორიახლო ინტელიგენციისა და à la* სტრუვე აშკარა ოპორტუნისტების მიერ.
შეიარაღება	
რევოლუციური დიქტატურა	ძველი «ისკრის» მიმართულებისათვის ბრძოლის საჭიროება.

4. a) ინტელიგენტური პარტიის შესახებ ყვირილის არაგულწრფელი ხასიათი. გამოიყენეს ლიბერალებმა. უარყვეს თვით ახალისკრელებმა.

b) მუშათა შორის ქადაგების დემაგოგიური ხასიათი. «არჩევითი პრინციპი», მისი საჭიროება თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ პოლიტი-

* — მსგავსი. რ ე დ.

კურ პირობებში, ფ ა რ თ ო მასშტაბით მისი შეუძლებლობა რუსეთში.

c) «მუშათა თვითმოქმედების» შესახებ ფუჭი სიტყვები, რომლებიც ფარავენ მაჩანჩალობას, — ჰპირდებიან ისეთ რამეს, რაც ორგანიზაციულად შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, იაფფასიანი საშუალებებით ამხედრებენ «ბიუროკრატიზმის», «ფორმალიზმის» etc წინააღმდეგ, არაფერს იძლევიან; ვერ ამჩნევენ მუშათა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ თვითმოქმედებას და ერთ ადგილს ტკეპნიან ქვედა და უკანა მხარეების გარშემო.

d) მუშების გაფრთხილება. შეგნებულმა მუშებმა უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო ე ლ ებ ი ს ანალოგიური ხერხები, უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ ძველი «ისკრის» პოზიცია — დიდი მნიშვნელობა მუშათა მასის მიერ შეგნებული სოციალ-დემოკრატი მუშების, რევოლუციონერი მუშების, ჩვენი ბებელების მოცემისა, თვითეული რაიონის, თვითეული ქარხნის etc ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ ი ს დიდი მნიშვნელობა.

e) მოწინავე მუშების მხოლოდ სრული შეგნებულობა, სოციალ-დემოკრატებს, ინტელიგენტებსა და მუშებს შორის ზღვარის სრული წაშლა არის საწინდარი პროლეტარიატის ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი კლასობრივი პარტიისა.

5. a) საჭიროება აჯანყებისათვის დაუყოვნებლივი მომზადებისა.

b) » ორგანიზიაცისა და საბრძოლო ხასიათის ორგანიზაციების შექმნისა.

+ 7. c) » საერთოდ ორგანიზაციების გამრავლებისა: რევოლუციის ორგანიზებისა.

d) ტერორი ფაქტიურად უნდა შეუდუღდეს მასის მოძრაობას.

e) აჯანყების მიზანი: დროებითი რევოლუციური მთავრობა, ხალხის შეიარაღება, დამფუძნებელი კრება, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები.

f) სოციალ-დემოკრატიის ამოცანა ძალაუფლების გამოყენების დროს: მთელი დემოკრატიული

პროგრამის სრული გატარება, დამოუკიდებელი ორგანიზაცია და მუშათა კლასის ორგანიზაციები, მისწრაფება პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის რევოლუციური თვითმოქმედების განვითარებისადმი, კლასობრივი პროგრამისა და თვალსაზრისის განუხრელად დაცვა და რევოლუციური დემოკრატიის ილუზიებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება.

ან 7:

g) ეს (ზემოჩამოთვლილი) პირობები განსაზღვრავენ რევოლუციურ დემოკრატიასთან სოციალ-დემოკრატიის საბრძოლო შეთანხმებასაც აჯანყებისათვის.

h) რევოლუციურ დემოკრატიად იგულისხმება ის თანამიმდევარი და მტკიცე დემოკრატიული მიმდინარეობანი, რომლებიც იღებენ სოციალ-დემოკრატიის მ თ ე ლ დემოკრატიულ პროგრამას, არ ჩერდებიან არავითარ რევოლუციურ ღონისძიებათა წინაშე, მაგრამ არა აქვთ ნათელი სოციალ-დემოკრატიული კლასობრივი შეგნება.

9. a) სტაროვერის[48] რეზოლუცია პრინციპულად არასწორია: სიმძიმის ცენტრი მოქცეულია არა განცხადებებში, არამედ ბრძოლაში, ბრძოლის ერთობლიობაში.

b) ლიბერალებისა და ლიბერალური დემოკრატიის განცხადებანი და ლოზუნგები ნდობას არ იწვევენ (სტრუვე).

c) ლიბერალური დემოკრატიის ნებისმიერი და არასწორი განმარტება დემოკრატიული ინტელიგენციის აზრით. შეთანხმება ძ ა ლ ა ს თ ა ნ, ინტელიგენცია კი ძალა არ არის. სტაროვერის აზრების დაბნეულობა.

d) სადღეისო ამოცანაა შეთანხმება არა განცხადებათა პირობით, არამედ აჯანყებაში მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს პირობით, არა ლიბერალურ დემოკრატიასთან, არამედ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ დემოკრატიასთან.

10. a) ერობელებთან შეთანხმება სტაროვერის რეზოლუციის პირობებსაც კი არღვევს.

b) ლიბერალების დაუშინებლობის უადგილობა და უდროობა. შეუძლებლობა ამის გამართლებისა ანარქიზმის შიშით.

c) «დემონსტრაციების უმაღლესი ტიპის» ლოზუნგების რეაქციული აზრი.

d) ახალი «ისკრის» იმპრესიონიზმ-ოპორტუნიზმი.

e) ბოროტად გამოყენება სიტყვებისა «კლასობრივი თვითმოქმედების» და კლასობრივი გეგმაზომიერი განვითარების შესახებ.

f) გამოქვეყნდეს მათი პირველი წერილი პარტიის ახალგაზრდა წევრების გასარკვევად.

NB*:

11. a) ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ:

b) ხაზგასმით აღვნიშნოთ დემოკრატიული მხარეები,

გლეხურ ბურჟუაზიასთან ერთად მემამულეთა წინააღმდეგ, სოფლის პროლეტარიატთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

c) ერთი წუთითაც არ დავთმოთ **სოციალისტური (მთელი** სოციალისტური) პროგრამა,

d) განუხრელად ვიდგეთ საერთოდ პროლეტარიატისა და განსაკუთრებით **ს. პროლეტარიატის** თვალსაზრისზე.

12. e) მხარი დავუჭიროთ როგორც სოფლის პროლეტარიატის, ისე გლეხური ბურჟუაზიის **რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ** მოძრაობას მემამულეთა წინააღმდეგ მემამულეთა მიწების სრულ ექსპროპრიაციამდე, მაგრამ არც მოქმედებით, არც უმოქმედობით ხელი არ შევუწყოთ წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ილუზიებს და მთელი ძალღონით ვებრძოლოთ მონარქისტულ და ცეზარისტულ სპეკულაციას გლეხური ბურჟუაზიის რეაქციული ელემენტების ხარჯზე.

* — Nota bene — დაიხსომეთ, **რ ე დ.**

13. a) ჯარისკაცებს შორის მუშაობის დიდი მნიშვნელობა:

b) ფურცლები.

c) სამხედრო ორგანიზაცია, მისი ელემენტები? განსაკუთრებული სამხედრო ორგანიზაცია შეიძლება სასარგებლო იყოს je nachdem *.

d) **.

14. a) საფუძვლად აღებულ იქნას **პროგრამა...**

b) მოძრავი ჯგუფები.

c) ლექციები და სააგიტაციო სიტყვები.

*
* *

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახალისკრელთა საწინააღმდეგო პრინციპულ რეზოლუციაში აღინიშნოს შემდეგი:

(ა) შეგნებული პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მტკიცე ორგანიზაციის იდეის უარყოფა ან დამცირება იწვევს მუშათა მოძრაობის გადაქცევას ბურჟუაზიული დემოკრატიის კუდად.

(ბ) ამასვე იწვევს პროლეტარიატის სტიქიურ მოძრაობაზე შეგნებული სოციალ-დემოკრატიული ზეგავლენის როლის დემაგოგიური დამცირება და მარქსიზმის თეორიული გაუხამსება მისი ისეთი განმარტებით, რომელიც უკან სწევს სოციალ-დემოკრატიის რევოლუციურ ინიციატივასა და მოწინავე ამოცანებს.

ამასვე იწვევს რევოლუციის ტექნიკური და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთმანეთისაგან დაცილებისა და დაპირისპირების იდეა და —

და — ***

დაწერილია 1905 წ. თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — გარემოების მიხედვით. რ ე დ.

** პუნქტი d დაწერილი არ არის. მთელ მე-13 პარაგრაფს დასმული აქვს კითხვითი ნიშანი. რ ე დ.

*** აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

რსდმპ III ყრილობის რეზოლუციების პროექტები

დაწერილია 1905 წ. თებერვალში
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1

რეზოლუცია მენშევიკების ანუ ახალისკრელების დეზორგანიზატორული საქციელის შესახებ

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ზუსტად განისაზღვროს უდავოდ დამტკიცებული ფაქტები მენშევიკების ანუ ახალისკრელების საქციელისა მეორე პარტიული ყრილობის შემდეგ. ისინი მოურიდებლად ხევდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს ისე, რომ არც კი ცდილან უარეყოთ ამ ყრილობის გადაწყვეტილებებისა და არჩევნების კანონიერება. ყრილობის დამთავრებისთანავე მათ ბოიკოტი გამოუცხადეს მის მიერ შექმნილ ცენტრალურ დაწესებულებებს და პარტიის ფარულად პარტიის შიგნით შექმნეს განსაკუთრებული ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ძალდატანებით შეეყვანა ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ყრილობის მიერ უარყოფილი ექვსი კანდიდატი. პარტიის ნება-სურვილისა და ინტერესების საწინააღმდეგო ამ მიზნისათვის რომ იბრძოდნენ, მენშევიკები ყველგან დეზორგანიზაციას ახდენდნენ პარტიის დადებითს მუშაობაში, ყველგან შეჰქონდათ ფარული გათიშვა, დემორალიზაცია შეჰქონდათ სოციალ-დემოკრატების ამხანაგურ ურთიერთობაში, პარტიის ცენტრალურ ორგანოს ხდიდნენ ჭორებისა და კინკლაობის ორგანოდ, თავის თავს ნებას აძლევდნენ უხამსად მოეხსენებინათ და ელანძღათ პარტიის კომიტეტები, რომლებმაც ცენტრალური დაწესებულებები აირჩიეს და რომლებიც მათგან ანგარიშს მოითხოვდნენ, პარტიის საბჭოს აქვეითებდნენ საწ-

რეო შურისძიების იარაღამდე, იმასაც კი არ ერიდებოდნენ, რომ პირდაპირ გაეყალბებინათ ხმა პარტიისა, რომელიც მესამე ყრილობას მოითხოვდა.

ყრილობა უაღრესად გადაჭრით გმობს ამ დეზორგანიზატორულ საქციელს და აფრთხილებს ყველა შეგნებულ სოციალ-დემოკრატს არ აჰყვნენ ორგანიზაცია-პროცესის უბადრუკ თეორიას, რომელიც ამართლებდა დეზორგანიზაციას და არნახულ დონემდე აკნინებდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიას.

ყრილობა აღიარებს, რომ პარტიული უმრავლესობის მომხრეებმა, რომლებიც ადგენდნენ რეზოლუციებს დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მე-3 ყრილობას, ამოწურეს პარტიის თანაწევრთა წინააღმდეგ პატიოსანი ამხანაგური ბრძოლის ყველა საშუალება. ახლა, როდესაც პარტიის მიერ შექმნილმა ცენტრებმა საბოლოოდ აარიდეს თავი პარტიის წინაშე პასუხისმგებლობას, ყრილობა იძულებულია ცნოს ისინი პარტიის გარეშე მდგომად. ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიულობის მომხრეთათვის არ არის სხვა გამოსავალი, გარდა დეზორგანიზატორებისაგან ცალკე და დამოუკიდებლად მუშაობისა. ამიტომ ყრილობა ადგენს, რომ ჩვენი პარტიის არც ერთ ორგანიზაციაში არ შეიძლება მიღებულ იქნან უმცირესობის მომხრეები ანუ ახალისკრელები.

ყრილობა ავალებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გამოსცეს ამ რეზოლუციის განმმარტავი მოკლე ბროშურა მთელი რუსეთისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გასაცნობად.

2

რეზოლუცია პარტიულ კრიზისში პლეხანოვის საქციელის შესახებ

ყრილობა სწორად ცნობს პლეხანოვის პოზიციას საპროგრამო, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში, რომელიც მას ეჭირა პარტიის მეორე ყრილობაზე და საზღვარგარეთული ლიგის ყრილობაზე. ყრილობა აღიარებს, რომ ლიგის ყრი-

ლობის შემდეგ პლეხანოვმა პარტიული მშვიდობის მიზნით და მენშევიკების მიერ უკვე მოხდენილი გათიშვის თავიდან ასაცილებლად დათმობათა პოლიტიკა ურჩია იმ ადამიანებს, რომლებიც მან მთელი პარტიის წინაშე სწორად დაახასიათა («ისკრა» № 52, 1903 წლის 7 ნოემბერი) როგორც რევიზიონისტები და ანარქისტი ინდივიდუალისტები. ყრილობა ღრმა სინანულს გამოსთქვამს, რომ პლეხანოვი ვერ შერჩა ამ პოზიციას, რომ ის სრულიად მოურიდებელი საშუალებებით და პარტიის ნება-სურვილის წინააღმდეგ ცდილობდა მენშევიკების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომ იგი მენშევიკების გამართლების მიზნით იქამდე მივიდა, რომ იცავს მის მიერ არასწორად აღიარებულ მათს პრინციპულ პოზიციას და სთხოვს ისეთ უთანხმოებას პარტიის უმრავლესობასთან, რაც არ ყოფილა.

ყრილობა გადაჭრით გმობს პარტიის თანაწევრთა მიმართ ამ ცბიერ პოლიტიკას, რადგან ასეთ პოლიტიკას, ცალკეულ პიროვნებათადმი რა ჰუმანური მოტივებითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, შეუძლებელია პარტიაზე არ მოახდინოს დემორალიზაციის გამომწვევი გავლენა.

3

რეზოლუცია ახალისკრელთა პრინციპული პოზიციის შესახებ

ყრილობა აუცილებელ საჭიროებად თვლის ბრძოლას მენშევიკების ანუ ახალისკრელების პრინციპული პოზიციის წინააღმდეგ, რომლებიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიიდან ოპორტუნიზმის მხარეზე გადაიხარნენ. ჯერ კიდევ პარტიის მეორე ყრილობაზე ეს გამოამჟღავნა უმცირესობის — ძველი «ისკრის» მოწინააღმდეგეთა და პრინციპულად ყველაზე მერყევ ელფერთა როგორც სხვადასხვა მსჯელობამ, ისე მათმა შემადგენლობამ. მეორე ყრილობის შემდეგ მენშე-

ვიკების ეს შებრუნება რაბოჩეედელოელთა ოპორტუნიზმისაკენ იმდენად ნათელი გახდა, რომ მათ თვითვე აღიარეს უფსკრული ძველსა და ახალ «ისკრას» შორის. და მართლაც, მთელ რიგ საკითხებში ახალმა «ისკრამ» წამოაყენა უთუოდ არასწორი და პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დამაბნელებელი ლოზუნგები და თეორიები. ასეთია ორგანიზაციაპროცესის თეორია, რომელიც მარქსიზმს დეზორგანიზაციისა და ინტელიგენტური ანარქიზმის გამართლებამდე აქვეითებს. ასეთია კვლავ მიღება პარტიის კლასისადმი დამოკიდებულების შესახებ არასწორი შეხედულებებისა, რომლებიც აკნინებენ პარტიის, როგორც კლასის მოწინავე რაზმის, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის ამოცანებს. ასევე არასწორი და რეაქციული იყო ახალი «ისკრის» მიერ წამოყენებული მისი უთანხმოება ძველ «ისკრასთან» ლიბერალებისადმი დამოკიდებულებისა და საერობო კამპანიის გეგმების საკითხში, — აჯანყების მომზადების და მისი დანიშვნისა და გატარების აზრის ყბადაღებული უტოპიურობის შესახებ, — მასების შეიარაღების, რევოლუციის დროს მათი ტექნიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ამოცანების შესახებ, — თვითმპყრობელობის დამხობის ეპოქაში პროლეტარიატისა და წვრილი ბურჟუაზიის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურის შეუძლებლობისა და არასასურველობის შესახებ და სხვ. ყველა ეს შეხედულებანი უკან ეწევიან პარტიას არა მარტო თეორიულად, არამედ უშუალოდ პრაქტიკულადაც. ისინი განსაკუთრებით საზიანო და დამღუპველი არიან რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისათვის იმ რევოლუციურ მომენტში, რომელსაც რუსეთი განიცდის. ამიტომ ყრილობა ავალებს პარტიის ყველა წევრს თავის პროპაგანდასა და აგიტაციაში განმარტოს ასეთ შეხედულებათა უმართებულობა.

4

რეზოლუცია მუშებისა და ინტელიგენტების ურთიერთობის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ყრილობა გადაჭრით გმობს მუშებსა და ინტელიგენტებს შორის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში უნდობლობისა და მტრობის დათესვის იმ პოლიტიკას, რომელსაც ახალისკრელები ეწევიან. ყრილობა მოაგონებს შეგნებულ მუშებს, თუ როგორ განიცდიდნენ ისინი ამ რამდენიმე წლის წინათ პარტიის რაბოჩეედელოელთა ფრთის ბრძოლის ამგვარ ხერხს და როგორ უკუაგდებდნენ ამ ხერხს. ახალისკრელების მიერ წამოსროლილ ფუჭ ფრაზებს მუშათა თვითმოქმედებისა და არჩევითი პრინციპის შესახებ თან არ ახლავს მუშაობის არავითარი ნამდვილი გაუმჯობესება ჩვენს ორგანიზაციებში და ისინი დემაგოგიურად ჰპირდებიან მათ ისეთ რამეს, რაც შეუსრულებელია. თავისუფალ პოლიტიკურ პირობებში ჩვენი პარტია შეიძლება აგებული იყოს და აგებული იქნება მთლიანად არჩევითს პრინციპზე. თვითმპყრობელობის დროს ეს განუხორციელებელია პარტიაში შემავალი ათასობით მუშის მთელი მასისათვის.

ყრილობა ერთხელ კიდევ მოაგონებს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შეგნებულ მომხრეებს მათს ამოცანას: მთელი ძალღონით განამტკიცონ ამ პარტიის კავშირი მუშათა კლასის მასასთან, შეუნელებლივ აამაღლონ პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების უფრო ფართო ფენები სრულ სოციალ-დემოკრატიულ შეგნებამდე, განავითარონ მათი რევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული თვითმოქმედება, იზრუნონ იმისათვის, რომ თვით მუშათა მასამ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოჰყოს ისეთი მუშები, რომლებსაც სრული უნარი ექნებათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მოძრაობას და პარტიის ყველა ორგანიზაციას.

ყრილობა პარტიის სახელით იმეორებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატების რჩევას: რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შევქმნათ ჩვენს პარტიაში შემავალი მუშათა ორგანიზაციები; ვესწრაფოთ იმას, რომ მუშათა ორგანიზაციები, რომლებსაც არა სურთ ან შესაძლებლობა არა აქვთ შევიდნენ პარტიაში, ყოველ შემთხვევაში ემხრობოდნენ პარტიას; ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი შეგნებული სოციალ-დემოკრატი მუშა შედიოდეს წევრად პარტიის კომიტეტებში.

ცვლილება წესდების პუნქტისა ცენტრების შესახებ

რუსეთში მომუშავე ამხანაგების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, იმის მომხრეა, რომ რ უ ს ე თ შ ი ე რ თ ი ცენტრი იყოს.

რას ნიშნავს ასეთი რეფორმა? ერთ ცენტრში უნდა სჭარბობდნენ რუსეთში მომუშავე ამხანაგები, — ეს, უეჭველია, აღნიშნული ტენდენციიდან გამომდინარეობს. მისი განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია იმ ყრილობის ნებასურვილზე, რომელიც ცენტრის შემადგენლობას ირჩევს. მაშასადამე, აქ სადავო და სალაპარაკო არაფერია.

მაგრამ შემდეგ, როგორი იქნება ცენტრალური ორგანოს დამოკიდებულება ცენტრალური კომიტეტისადმი? ჩვენ გვეუბნებიან, ცენტრალური ორგანო ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული კომისია არისო. ცენტრალური ორგანოს რედაქციის ერთ (ან ორ) წევრს შეუძლია (ამბობენ იგივე ამხანაგები) შევიდეს ცენტრალურ კომიტეტში, როგორც ნაწილი და როგორც უ მ ც ი რ ე ს ი ნაწილი. მაშინ საკითხავია, რითლა უნდა გამოიხატებოდეს ცენტრალური კომიტეტის საქმეებში ცენტრალური კომიტეტის ამ საზღვარგარეთული ნაწილის მონაწილეობა? ცენტრალური კომიტეტის საქმეებში «მიწერ-მოწერით» რეალური მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა — ეს აშკარა უტოპიაა, ამაზე მხოლოდ დაცინვით შეიძლება ლაპარაკი. საზღვარგარეთ მხოლოდ დიდი გაჭირვებით, დაუსრულებელი დავიდარაბის, შრომის, ლანძღვა-გინებისა და უსიამოვნების

ფასად ხერხდება უხეირო ინფორმაციის მიღება post factum *, ხოლო «საქმეთა გადაწყვეტაში» საზღვარგარეთიდან «მონაწილეობაზე» ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ «სახელისა» ან ფარისევლობისათვის.

მაშასადამე, ორში ერთი: ან ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წევრები (respective ** საზღვარგარეთელი წევრი) უზრუნველჰყოფენ თავისთვის პარტიის წესდებით (რადგან სხვა «ხელშეკრულებებს» ძალა არა აქვთ) მთელი ცენტრალური კომიტეტის პერიოდულ კრებებს საზღვარგარეთ. თუ ასეა, მაშინ ეს უმაღლესი ცენტრი ფაქტიურად მთლიანად ემთხვევა პარტიის ახლანდელ საბჭოს, ე. ი. ხდება დაწესებულებად, რომელიც წელიწადში 3—4—5-ჯერ იკრიბება და მხოლოდ აძლევს საერთო მიმართულებას მთელ მუშაობას. ანდა ცენტრალური კომიტეტი იკრიბება რუსეთში და იქ წყვეტს ყველა საქმეს, საზღვარგარეთელი წევრის დაუსწრებლად; მაშინ უკანასკნელი მხოლოდ ირიცხება, და აშკარად ფიქციურად ირიცხება, ცენტრალური კომიტეტის წევრად. ნამდვილად მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთო საქმეების გადაწყვეტაში. ასეთ პირობებში სრული უფლებით შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მოიძებნონ ადამიანები ცენტრალური კომიტეტის «საზღვარგარეთელ წევრთა» ამ «პოსტზე» (ან ამ სინეკურაზე?)!

მეორე (და უკანასკნელი შესაძლებელი) ვარაუდი. ცენტრალური კომიტეტის, როგორც ერთი ცენტრის, მთელ შემადგენლობას რუსეთში მომუშავე ამხანაგები შეადგენენ. მხოლოდ ასეთი ცენტრი იქნება რუსეთის რეალურად ერთიანი ცენტრი. საზღვარგარეთ იგი დანიშნავს თავის აგენტურას. მაგრამ პრაქტიკულად ეს აგენტურა იარსებებს როგორც დამოუკიდებელი ცენტრი: მართლაცდა, წარმოიდგინეთ ცენტრალური ორგანოს რედაქცია. გასაგებია, რომ აქ საჭიროა მთელი კოლეგია, რომელიც იქმნება,

* — მას შემდეგ, რაც ამბავი მოხდა, უკანა რიცხვით. რედ.
** — ან, შესაბამისად. რედ.

ეწყობა, თანხმობას აღწევს მხოლოდ ხანგრძლივი და ხანგრძლივი გზით (რუსეთმა, ახალი ცენტრალური ორგანოს მოსაწყობად, II ყრილობის შემდეგ, წლინახევრის შრომა დახარჯა, და ეს მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი დიდად იყო დაინტერესებული მძიმე საერთო პარტიული კრიზისით!). სინამდვილეში ეს კოლეგია ყოველკვირეულ ორგანოს სავსებით დამოუკიდებლად უძღვება. რუსეთის ცენტრალური კომიტეტი კოლეგიის საქმის გაძღოლას უკეთეს შემთხვევაში ეხმაურება «თათბირით» ნახევარ წელიწადში ერთხელ (ან 1½ წელიწადში ერთხელ) — რით განსხვავდება ასეთი «თათბირი» «საბჭოსაგან»? — ან ეხმაურება ცენტრალური კომიტეტის ცალკე წევრის «წერილით». ნამდვილად ეს საზღვარგარეთული კოლეგია ეწევა აგიტაციას და მუშაკების მომზადებას საზღვარგარეთ (რეფერატები და კრებები) პარტიის ასეულობით წევრთა წინაშე. ცენტრალურ კომიტეტს ფიზიკურად არ ძალუძს ნამდვილად წარმართოს ეს მუშაობა, ნამდვილად უხელმძღვანელოს საზღვარგარეთული კოლეგიის ამ მუშაობას. ცენტრალურ კომიტეტს ფიზიკურად არ ძალუძს მონაწილეობა მიიღოს ამ მუშაობაში სხვანაირად, თუ არა იშვიათი თათბირებით მის წარმმართავ პირებთან. და ერთხელ კიდევ: რა განსხვავება იქნება ამ თათბირებსა და საბჭოს შორის??

დასკვნა: ნამდვილად, პრაქტიკაში «ერთი» ცენტრი იქნება ან ფიქცია, ან იგი დარჩება, აუცილებლად და გარდუვალად დარჩება იმის ახლანდელ სისტემად, რასაც დაცინვით «სამცენტრიანობას» უწოდებენ. ნამდვილად, პრაქტიკაში გეოგრაფიულ, პოლიტიკურ პირობათა, მუშაობის ხასიათის პირობათა განსხვავება აუცილებლად და გარდუვალად გამოიწვევს და ყოველთვის გამოიწვევს (ვიდრე თვითმპყრობელობა დაემხობოდეს) ორ ცენტრს ჩვენს პარტიაში, რომლებიც მხოლოდ დროდადრო გაერთიანდებიან **«თათბირებით»**, რომლებიც ნამდვილად ყოველთვის შეასრულებენ პარტიის უზენაესი ან უმაღლესი «საბჭოს» როლს.

სავსებით გასაგებია, რომ საზღვარგარეთის წინააღმდეგ რეაქციამ გამოიწვია რუსეთელების საერთო ყვირილი: ძირს საზღვარგარეთი! ძირს ორი ცენტრი! ეს რეაქცია კანონიერი და საქებურია, რადგან იგი მოასწავებს პარტიული ძალებისა და პარტიული შეგნების უდიდეს ზრდას II ყრილობის შემდეგ. ეს რეაქცია გამოხატავს ჩვენი პარტიის წინწადგმულ ნაბიჯს, ეს უდავოა. მაგრამ თავი არ უნდა მოვახიბლვინოთ სიტყვებს ან «სისტემად» გავხადოთ მოცემული წუთის განწყობილება, «საზღვარგარეთელთა» წინააღმდეგ წარმავალი «რისხვა». რისხვაზე ვერავითარ პარტიულ სისტემას ვერ ააშენებ. არაფერი არ არის ისე ადვილი, როგორც უბრალო და მოკლე წესის დადგენა: «ცენტრი ერთია», მაგრამ ასეთი დადგენილებით ოდნავადაც ვერ ვუახლოვდებით მეტად რთული საკითხის გადაჭრას რუსეთში და საზღვარგარეთ მუშაობის სხვადასხვა ფუნქციათა რეალური (და არა ქაღალდზე დაწერილი) გაერთიანების საშუალებათა შესახებ.

დაწერილია 1905 წ. თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ანკეტა

პარტიის III ყრილობისათვის

პარტიის III ყრილობის მოწვევის გამო ზოგიერთი პრაქტიკოსი ამხანაგი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი განცხადება. მეტად სასურველი იქნებოდა, რომ ყრილობაზე საორგანიზაციო საკითხის მომავალი განხილვის დროს მხედველობაში იქნას მიღებული და განსაკუთრებით გულდასმით იქნას განხილული მითითებანი და აზრი რაც შეიძლება მეტი ამხანაგებისა, რომლებსაც რუსეთში უმუშავნიათ. ამიტომ ვთხოვთ ყ ვ ე ლ ა მომუშავეს გამოგვეხმაუროს და მოგვცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე. «ვპერიოდის» რედაქცია თავს მოუყრის ამ პასუხებს და გადასცემს ყრილობას, ისე რომ თვითეულ დელეგატს შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს მრავალი ამხანაგის კოლექტიური გამოცდილებით. აი სანიმუშო ნუსხა უმთავრესი საკითხებისა, რომელთა გამორკვევა საჭიროა წესდების გადასამუშავებლად და ყრილობის რეზოლუციების შესადგენად. 1) მუშაობის ადგილი და დრო და ხანგრძლივობა? 2) უმუშავნია თუ არა წევრად კომიტეტისა ან კომიტეტის ერთ-ერთი დაწესებულებისა და რომლისა? საფაბრიკო წრისა და სხვ.? 3) რაოდენ დიდი იყო წევრთა რიცხვი ანკეტის შემვსებისათვის ცნობილი თვითეული კომიტეტისა ან კომიტეტის განყოფილებებისა, საორგანიზატორო ჯგუფებისა და სხვ.? რამდენი მუშა და ინტელიგენტი იყო თვითეულში? 4) როგორი იყო პერიფერიიდან კომიტეტში კოოპტაციის წესი? შეიძ-

ლება თუ არა აღინიშნოს პერიფერიაში მუშაობის საშუალო ვადა? ხომ არ არის უკმაყოფილების მაგალითები კოოპტაციის გამო და სხვ.? ყველა პასუხის დროს საჭიროა ზუსტად განცალკევდეს პერიოდი II ყრილობამდე და მის შემდეგ. განსაკუთრებით სასურველია დაწვრილებითი ცნობები II ყრილობის წ ი ნ ა პერიოდის შესახებ. 5) ს უ ლ რამდენი პარტიული ორგანიზაცია, ჯგუფი, წრე და სხვ. იყო იმ ადგილში, სადაც NN მუშაობდა? ჩამოითვალოს თვითეული ჯგუფი, მის წევრთა რიცხვი, ფუნქციები და სხვ. 6) იყო თუ არა ჯგუფები (ორგანიზაციები, წრეები და სხვ.), რომლებიც პარტიულებად არ ითვლებოდნენ, მაგრამ ემხრობოდნენ პარტიას? 7) როგორ წარმოებდა ურთიერთობა პერიფერიასა (და ყველა სხვადასხვაგვარ პერიფერიულ წრესა) და კომიტეტს შორის? აკმაყოფილებდა თუ არა მუშაკებს ურთიერთობის ეს ფორმები? 8) შესაძლებლად და სასურველად მიგაჩნიათ თუ არა არჩევითი პრინციპის შემოღება? თუ არა, რატომ? თუ ჰო, სახელდობრ როგორ? სასურველია ზუსტად აღინიშნოს, რომელ წრეებზე უნდა გავრცელდეს არჩევის უფლება. 9) სასარგებლოდ მიგაჩნიათ თუ არა ინტელიგენტთა და მუშათა კომიტეტების (ჯგუფების, წრეების, ორგანიზაციების და სხვ.) გაყოფა? თუ არა, რატომ? თუ ჰო, გთხოვთ აღნიშნოთ გაყოფის ფორმა. 10) აურჩევია თუ არა კომიტეტს ცენტრალური, განმკარგულებელი ჯგუფი? თუ აურჩევია, სახელდობრ როგორ? რაოდენ ხშირად ამოწმებდნენ მას? კმაყოფილი იყვნენ თუ არა მისი დაარსებით? 11) სასარგებლოდ და შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ადგილობრივი ორგანიზაციების ნაწერი წესდებები? 12) სასარგებლოდ მიგაჩნიათ თუ არა, რომ პარტიის წესდებაში შეტანილ იქნას რაიმე ნორმები ადგილობრივი ორგანიზაციების (კომიტეტების და სხვ.) შესახებ? თუ ჰო, გთხოვთ დასახოთ ეს ნორმები. 13) სასურველად მიგაჩნიათ თუ არა, რომ პარტიის წესდებაში განისაზღვროს ცენტრალური კომიტეტის ზუსტი უფლება წევრთა შეყვანისა (და გარიცხვისა) კომიტეტებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან? როგორი უნდა იყოს ცენტრალური კომიტეტის ზუსტი უფლე-

ბა? 14) სასურველია თუ არა, რომ ადგილობრივი კომიტეტების ავტონომია დაცული იყოს განსაკუთრებული ნორმებით და სახელდობრ რა ნორმებით? 15) რაოდენ ხშირად იკრიბებოდა კომიტეტი ან ის ჯგუფი, წრე და სხვ., სადაც თქვენ წევრად იყავით? თუ შესაძლებელია, ზუსტად ჩამოთვალეთ ყველა კრება, რომელიც შესდგა თქვენი მუშაობის განმავლობაში. თუ შეუძლებელია, დაახლოებით განსაზღვრეთ. უხერხულობას იწვევდა თუ არა ხშირი კრებები? როგორია, თქვენი გამოცდილების მიხედვით, შესაძლო და საჭირო კრებების საშუალო რიცხვი თვეში და როგორია კრების წევრთა რიცხვი?

დაწერილია 1905 წ. თებერვალში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

წინასიტყვაობა ბროშურისა «პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ლოპუხინის მოხსენებითი ბარათი»

კარგი რამ ცოტცოტაობით სჯობიაო! — ამბობს თითქოს ბ-ნი ლოპუხინი თავისი მოხსენებითი ბარათით. კარგი რამ არის პოლიციისათვის გაძლიერებული დაცვის «დროებითი» დებულება, რომელიც 1881 წლიდან რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე, ძირითადი კანონი გახდა. პოლიციას ეძლევა ყოველგვარი უფლება და რწმუნება «ხელში დაიჭირონ ობივატელები», ბარათის მოხდენილი გამოთქმით, რომელიც მით უფრო გეცემა თვალში, რაც უფრო ხშირად ბორძიკობ მისი კითხვის დროს არაჩვეულებრივ მძიმე, მოუხეშავ, კანცელარიულ გამოთქმებზე. დიახ, პოლიცია კეთილდღეობაში იყო ამ «დებულების» დროს, მაგრამ მისმა კარგმა თვისებებმა თვით პოლიცია გაანებივრა. ეს ერთი მხრივ. ხოლო მეორე მხრივ, ჩახშობის საგანგებო ზომები, რომლებიც შეიძლებოდა საგანგებოდ გვჩვენებოდა ამ ოცდახუთი წლის წინათ, იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ მოსახლეობაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეეგუა მათ. საგანგებო ზომების რეპრესიული მნიშვნელობა შესუსტდა, როგორც სუსტდება ახალი ზამბარა ხანგრძლივი და უზომო ხმარებისაგან. ჩიტი ბდღვნად არა ღირსო, — ამბობს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ლოპუხინი მთელი თავისი მოხსენებით, რომელიც თავისებურად სევდიანი და მჭმუნვარე ტონით არის დაწერილი.

შესანიშნავ საამო შთაბეჭდილებას ახდენს სოციალ-დემოკრატზე ეს მჭმუნვარე ტონი, პოლიციელის ეს საქმიანი, მშრალი და მიუხედავად ამისა მაინც ულმობელი კრიტიკა, რუსეთის ძირითადი პოლიციური კანონის წინააღმდეგ მიმართული. გაქრა პოლიციის კეთილდღეობის მზიანი დღეები! წავიდა სამოციანი წლები, როცა რევოლუციური პარტიის არსებობა აზრადაც არავის მოსდიოდა. წავიდა სამოცდაათიანი წლები, როდესაც ასეთი, უეჭველად არსებული და შიშის გამომწვევი პარტიის ძალები «საკმარისი» აღმოჩნდა «მხოლოდ ცალკეული თავდასხმებისათვის, და არა პოლიტიკური გადატრიალებისათვის». იმ დროს, როდესაც «არალეგალური აგიტაცია ცალკეულ პირებსა და წრეებში პოულობდა დასაყრდენს», ახლად გამოგონილ ზამბარას კიდევ შეეძლო რაოდენაღმე ემოქმედნა. მაგრამ რა მოდუნებულია ეს ზამბარა ახლა, «საზოგადოების ახლანდელ მდგომარეობაში, როდესაც რუსეთში ფართოდ ვითარდება არსებული წესწყობილების უკმაყოფილებაც და ძლიერი ოპოზიციური მოძრაობაც»! რა შეუსაბამო და უაზრო აღმოჩნდა გაძლიერებული დაცვის საგანგებო ზომები, როდესაც იძულებული გახდნენ, სწორედ: ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გ ა ხ დ ნ ე ნ ათასობით გამოეყენებინათ ისინი «მუშების მიმართ იმ გაფიცვების გამო, რომლებსაც მშვიდობიანი ხასიათი და მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური მისწრაფება ჰქონდა», როდესაც იძულებული გახდნენ ქვებიც კი ჩაეთვალათ ისეთ იარაღად, რომელიც არცთუ უშიშარია პოლიტიკურად!

საბრალო ლოპუხინი სასოწარკვეთილებით გაკვირვების ორ ნიშანს სვამს და ბ-ნ მინისტრებს მოუწოდებს მასთან ერთად გაიცინონ იმ უაზრო შედეგების გამო, რომლებიც გამოიწვია გაძლიერებული დაცვის დებულებამ. მას შემდეგ, რაც რევოლუციური მოძრაობა ნამდვილად შეიჭრა ხალხში და განუყრელად დაუკავშირდა მუშათა მასების კლასობრივ მოძრაობას, — ამ დებულებაში ყველაფერი უვარგისი აღმოჩნდა პასპორტების გაწერის მოთხოვნით დაწყებული და სამხედრო სასამართლოებით დამთავრებული. «მეეზოვეთა ინსტიტუტ-

საც» კი, ყოვლისმხსნელ, ყოვლადსასიკეთო მეეზოვეთა ინსტიტუტს გამანადგურებლად აკრიტიკებს პოლიციეი-მინისტრი; ბრალსა სდებს ამ ინსტიტუტს იმაში, რომ იგი შემასუსტებელ გავლენას ახდენს პოლიციის წინასწარ ღონისძიებებზე.

ჭეშმარიტად, ეს პოლიციური წესწყობილების სრული გაკოტრებაა!

და ამ გაკოტრებას ადასტურებს ესოდენ მაღალკომპეტენტური პირის განცხადებებს გარდა, როგორიც არის დიდად პატივცემული ბ-ნი ლოპუხინი, მეფის პოლიტიკის განვითარების მთელი მსვლელობა. როდესაც ნამდვილი სახალხო რევოლუციური მოძრაობა არ იყო, როდესაც პოლიტიკური ბრძოლა ჯერ კიდევ ერთ მთლიანობად არ იყო დაკავშირებული კლასობრივ ბრძოლასთან, მაშინ გამოსადეგი იყო მარტო პოლიციური ზომები პიროვნებებისა და წრეების წინააღმდეგ. კლასთა წინააღმდეგ ეს ზომები პირდაპირ სასაცილოდ უძლურნი აღმოჩნდნენ, მათი სიჭარბე პოლიციის მუშაობის ხელისშეშლად იქცა. გაძლიერებული დაცვის დებულების ოდესღაც მრისხანე პარაგრაფები უბადრუკი, წვრილმანი, შარიანი მიზეზის ძებნა აღმოჩნდა, რაც «ობივატელთა» უკმაყოფილებას, რომელნიც რევოლუციონერების რიცხვს არ ეკუთვნიან, უფრო მეტად აღვივებს, ვიდრე რევოლუციონერებს აყენებდეს სერიოზულ ზიანს. სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ, კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ არ შეიძლება პოლიციას ეყრდნობოდე, უნდა ეყრდნობოდე აგრეთვე ხალხს, აგრეთვე კლასებსაო. ასეთია ბ-ნ ლოპუხინის ბარათის მორალი. და ასეთივეა ის მორალი, რომელსაც პრაქტიკაში მიადგა თვითმპყრობელი მთავრობა. მოეშვა პოლიციის მექანიზმების ზამბარები, აღარ კმარა მარტო სამხედრო ძალები. საჭირო ხდება ნაციონალური, რასობრივი შუღლის გაღვივება: საჭირო ხდება «შავი რაზმების» მოწყობა ქალაქის (შ ე მ დ ე გ კ ი, ც ხ ა დ ი ა, ა გ რ ე თ ვ ე ს ო ფ ლ ი ს) წვრილი ბურჟუაზიის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ფენებისაგან, საჭირო ხდება ტახტის დასაცავად თვით მოსახლეობის მთელი რეაქციული ელემენტების შეკავშირების ცდა, საჭირო ხდება წრეების

წინააღმდეგ პოლიციის ბრძოლის გადაქცევა ხალხის ერთი ნაწილის ბრძოლად ხალხის მეორე ნაწილის წინააღმდეგ.

სწორედ ასე იქცევა ახლა მთავრობა, იგი ბაქოში თათრებს ამხედრებს სომხების წინააღმდეგ, ცდილობს გამოიწვიოს ებრაელთა ახალი რბევა, აწყობს შავ რაზმებს ერობის მოღვაწეების, სტუდენტებისა და მოჯანყე გიმნაზიელების წინააღმდეგ, მიმართავს უქვეშევრდომილეს თავადაზნაურებსა და გლეხობის კონსერვატიულ ელემენტებს. რა გაეწყობა! ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, არ გაგვაკვირვებს თვითმპყრობელობის ეს ახალი ტაქტიკა და ვერც შეგვაშინებს იგი. ჩვენ ვიცით, რომ რასობრივი შუღლის გაღვივებით მთავრობა ახლა ფონს ვეღარ გავა, როდესაც მუშები შეუდგნენ დამრბევთა შეიარაღებული მოგერიების მოწყობას; ხოლო წვრილი ბურჟუაზიის ექსპლოატატორულ ფენებზე დაყრდნობით მთავრობა თავის წინააღმდეგ აამხედრებს კიდევ უფრო ფართო ნამდვილ პროლეტარულ მასებს. ჩვენ არასოდეს არ მოველოდით და არ მოველით პოლიტიკურ და სოციალურ გადატრიალებას იმით, რომ ძალაუფლების მპყრობელნი «დავარწმუნოთ», ანდა იმით, რომ ვანათლებული ადამიანები «სათნოების» მხარეზე გადავიყვანოთ. ჩვენ მუდამ ვასწავლიდით და ვასწავლით, რომ კლასობრივი ბრძოლა, ხალხის ექსპლოატირებული ნაწილის ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ საფუძვლად უდევს პოლიტიკურ გარდაქმნებს და ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ წ ყ ვ ე ტ ს ყ ვ ე ლ ა ასეთი გარდაქმნის ბედს. აღიარებს რა პოლიციური ჩხირკედელობის სრულ კრახს და გადადის რა სამოქალაქო ომის პირდაპირ ორგანიზაციაზე, მთავრობა ამით ამტკიცებს, რომ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ა ნ გ ა რ ი შ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა ახლოვდება. მით უკეთესი. იგი სამოქალაქო ომს იწყებს. მით უკეთესი. ჩვენც სამოქალაქო ომის მომხრე ვართ. თუ ჩვენ სადმე განსაკუთრებით იმედიანად ვგრძნობთ თავს, ეს სწორედ ამ ასპარეზზე, ჩაგრული და უუფლებო მშრომელი და მთელი საზოგადოების მარჩენალი მრავალმილიონიანი ხალხის ომში ერთი მუჭა პრივილეგიური მუქთახორების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, რასობრივი შუღლისა და ტომობრივი სიძულვილის

გაღვივებით მთავრობამ შეიძლება დროებით შეაფერხოს კლასობრივი ბრძოლის განვითარება, მაგრამ მხოლოდ მოკლე ხნით და ამასთან იმ საფასურით, რომ ახალი ბრძოლის ასპარეზი კიდევ უფრო გაფართოვდება, ხალხი კიდევ უფრო გაბოროტდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამის დამამტკიცებელია: შედეგები ბაქოს დარბევისა, რომელმაც გააათკეცა ყველა ფენის რევოლუციური განწყობილება ცარიზმის წინააღმდეგ. მთავრობას ეგონა დააფრთხობდა ხალხს სისხლის დანახვით და ქუჩის შეტაკებათა უამრავი მსხვერპლით, — ნამდვილად კი მთავრობა ხ ა ლ ხ ს ა ვ ი წ ყ ე ბ ს სისხლის დაღვრის შიშს, პირდაპირი შეიარაღებული შეტაკების შიშს. ნამდვილად კი მთავრობა ჩვენს სასარგებლოდ ეწევა ისეთ ფართო და ისეთ შთამაგონებელ აგიტაციას, რომელზედაც ჩვენ ოცნებაც არ შეგვეძლო. Vive le son du canon! ვიტყვით ჩვენ ფრანგული რევოლუციური სიმღერის სიტყვებით — «გაუმარჯოს ზარბაზნების ქუხილს!», გაუმარჯოს რევოლუციას, გაუმარჯოს ხალხის აშკარა ბრძოლას მეფის მთავრობისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ!

დაწერილია 1905 წ. თებერვალ — მარტში

პირველად დაიბეჭდა 1905 წელს ბროშურაში «პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ლოპუხინის მოხსენებითი ბარათი». «ვპერიოდის» გამოცემა, ჟენევა

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

კომუნის შესახებ საუბრის გეგმა [49]

1. კომუნის ისტორიული ნარკვევი.

საფრანგეთი ნაპოლეონ III-ის დროს. იმპერიალიზმის საფუძველი: ბურჟუაზიას აღარ, პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ [50]...

ნაპოლეონ III-ის ავანტიურიზმი. საგარეო ბრწყინვალების, ომების აუცილებლობა.

2. პროლეტარიატის ზრდა 1848 წლის ივნისის შემდეგ. Internationale Arbeiter Association * 1864. მისი დევნა ნაპოლეონ III-ის მიერ.

პროტესტი საფრანგეთის მუშებისა ომის წინააღმდეგ (12 ივლისს, ინტერნაციონალის პარიზის სექცია, S. ** 16) და გერმანელი მუშებისა (ბრაუნშვაიგის მუშათა კრება 16 ივლისს, ხემნიცის კრება, ინტერნაციონალის ბერლინის სექცია, S. 18) [51].

3. სედანი: 1870 წ. 2 სექტემბერი და რესპუბლიკის გამოცხადება 1 8 7 0 წ. 4 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ს. ლიბერალი გაიძვერები ხელში იგდებენ ძალაუფლებას.

ლიბერალი ადვოკატები და ორპირი მონარქისტები: ტ ი ე რ ი.

4. ნაციონალური თავდაცვის სამინისტრო=ხალხისადმი ღალატის მთავრობა. ტროშიუ: პარიზის დაცვის «გეგმა». დაცვის კომედია. პარიზის მუშების გმირობა. **კაპიტულაცია** 1871 წ. 28 იანვარს.

5. ბისმარკის მიერ პირობად წამოყენება ეროვნული კრების

---

* — მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა. რ ე დ.

** — Seite — გვერდი. რ ე დ.

8 დ ღ ე შ ი (S. 34) მოწვევისა ომის და ზავის საკითხის გადასაწყვეტად. ტიერის ინტრიგები მონარქისტებთან.

იუნკერთა პალატა (ruraux *). ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ რ ე ბ ა ბ ო რ დ ო შ ი 630 წევრი = 30 ბონაპარტისტი + 200 რესპუბლიკელი (100 ზომიერი და 100 რადიკალი) + 400 მონარქისტი (200 ორლეანისტი + 200 ლეგიტიმისტი).

ტიერის საუბარი ფალუსთან.

6. პარიზის პროვოცირება: მონარქისტი ელჩების დანიშვნა; ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებისათვის «30 სუს» წართმევა; პარიზში პოლიციის პრეფექტი ვალენტენი, ეროვნული გვარდიის უფროსი დ'ორელ დე პალადინი და სხვ. (ტრეპოვი და ვასილჩიკოვი!!) [52]; ეროვნული კრების ვერსალში გადატანა; რესპუბლიკური გაზეთების ჩახშობა და ა. შ.. ომის ხარჯების ღარიბთათვის დაკისრების მისწრაფება. (S. 35.) პარიზის შეიარაღებული მუშები და — მონარქისტული კრება. კონფლიქტი გარდუვალია

7. მარქსის გაფრთხილება **: ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მეორე ადრესი 1870 წ. 9 სექტემბერს: «არ გაგვიტაცოს 1792 წ. ნაციონალურმა ტრადიციებმა», გავაჩაღოთ «ჩვენი კლასის ორგანიზაცია», მიზნად არ დავისახოთ მთავრობის დამხობა («გაქანებული სისულელე»): S. 25. ამასვე წერდა ევგენი დიუპონი, ინტერნაციონალის (გენერალური საბჭოს) მდივანი საფრანგეთისათვის 1870 წ. 7 სექტემბერს (Weill ***, 134) [53].

8. პროვოკაციის უკანასკნელი აქტი. ეროვნულ გვარდიას ზარბაზნები წაართვეს 1871 წ. 18 მარტს. ტიერის ცრუ საბუთები. ხელყოფა ჩაიშალა. ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნა გამოაცხადა. დ ა ი წ ყ ო ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი პარიზის კომუნასა და ვერსალის მთავრობას შორის.

---

* — გაუთლელობა. რ ე დ.

** — Contra (წინააღმდეგ. რ ე დ.) ბ ლ ' ა ნ კ ი ს ა, 'რომელმაც 1870 წელს დააარსა «P a t r i e e n d a n g e r» («სამშობლო განსაცდელშია». რ ე დ.). (NB) (Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.).

*** — ვეილი. რ ე დ.

9. მიმართულებანი კომუნაში: (ა) ბ ლ ა ნ კ ი ს ტ ე ბ ი. ჯერ კიდევ 1880 წ. ნოემბერში ბლანკი «Ni Dieu ni maître»-ში * გმობს კლასობრივი ბრძოლის თეორიას და პროლეტარიატის ინტერესების გამოყოფას ერის ინტერესებისაგან. (Weill, 229) (არ გამოჰყოფს მუშებს რევოლუციური ბურჟუაზიისაგან). (ბ) პ რ უ დ ო ნ ი ს ტ ე ბ ი (მუტუალისტები) «გაცვლა-გამოცვლისა და კრედიტის ორგანიზაცია».

მუშათა კლასის რევოლუციური ინსტინქტი გზას იკაფავს მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ მცდარი თეორიებისა.

10. **კომუნის პოლიტიკური ღონისძიებანი:**

(1) მუდმივი ჯარის მოსპობა.

(2) ბიუროკრატიის მოსპობა ა) ყველა მოხელის არჩევითობა; ბ) ჯამაგირი არა > 6 000 fr.

(3) ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან

4) უფასო სწავლების შემოღება

პროგრამა-minimum

კ ო მ უ ნ ა და გ ლ ე ხ ე ბ ი. 3 თვეში ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა! (S. 49—50) **.

კ ო მ უ ნ ა და ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი. ფრანკელი, პ ო ლ ო ნ ე ლ ე ბ ი (მსოფლიო რესპუბლიკის დროშა).

11. **კომუნის ეკონომიური ღონისძიებანი.**

(1) პურის მცხობელთა ღამის მუშაობის აკრძალვა.

(2) ჯარიმების »

(3) მიტოვებული ფაბრიკების რეგისტრაცია, მუშათა ამხანაგობებისათვის გადაცემა, საშუამავლო კომისიების მიერ შეფასების მიხედვით ანაზღაურება. (S. 54.)

NB	არ აიღეს ბანკი. არ გავიდა 8-საათის სამუშაო დღე Weill, 142.

* — «არც ღმერთი, არც ბატონი». რ ე დ.

** — «საიდუმლოებათა» გამომჟღავნება: ტროშიუს ოინები, მონასტრების «წესები» (S. 54). გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი ა ჯ ე რ კ ი დ ე ვ ძ ა ლ ი ა ნ ცოტა!

(4) გირაოთა გაყიდვის შეჩერება. გადახდის (ბინის ქირის) გადადება.

12. კრახი. ორგანიზაციის ნაკლოვანებანი. თავდაცვითი მდგომარეობა. ტიერის მორიგება ბისმარკთან (ბისმარკის როლი = დაქირავებული მკვლელი). სისხლიანი კვირა 1871 წ. 21—28 მაისი.

მისი საშინელებანი, დამოწმება etc.* ცილისწამება (S. 65—66).

ბავშვები და ქალები...

P.** 487 : 20 000 მოკლულ იქნა ქუჩებში, 3 000 გარდაიცვალა საპყრობილეებში etc. სამხედრო სასამართლოები: 1875 წ. 1 იანვრამდე მსჯავრი დაედო **13 700** კაცს (80 ქალს, 60 ბავშვს), გადასახლება, საპყრობილე [54].

13. გაკვეთილები: ბურჟუაზია ყველაფერს ჩაიდენს. დღეს ლიბერალები, რადიკალები, რესპუბლიკელები, ხვალ ღალატი, ხვრეტა.

პროლეტარიატის დამოუკიდებელი ორგანიზაცია — კლასობრივი ბრძოლა — სამოქალაქო ომი.

ჩვენ ყველანი კომუნას ვეყრდნობით ახლანდელ მოძრაობაში.

დაწერილია 1905 წ. თებერვალ — მარტში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* et cetera — და ასე შემდეგ. რედ.

** — Page — გვერდი. რედ.



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«ახალი ამოცანები და ახალი ძალები». — 1905 წ.
დაპატარავებულია

ახალი ამოცანები და ახალი ძალები

მუშათა მასობრივი მოძრაობის განვითარება რუსეთში სოციალ-დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით სამი შესანიშნავი გადასვლით ხასიათდება. პირველი გადასვლაა პროპაგანდისტული წრეებიდან ფართო ეკონომიურ აგიტაციაზე მასაში; მეორე — დიდი მასშტაბის პოლიტიკურ აგიტაციაზე და აშკარა დემონსტრაციებზე ქუჩებში; მესამე — ნამდვილ სამოქალაქო ომზე, უშუალო რევოლუციურ ბრძოლაზე, ხალხის შეიარაღებულ აჯანყებაზე. თვითეული ეს გადასვლა მზადდებოდა, ერთი მხრივ, სოციალისტური აზრის უმთავრესად ერთი მიმართულებით მუშაობით, ხოლო, მეორე მხრივ, ღრმა ცვლილებებით მუშათა კლასის ცხოვრების პირობებში და მთელ მის ფსიქიკურ წყობაში, უფრო შეგნებული და აქტიური ბრძოლისათვის მისი ახალი და ახალი ფენების გაღვიძებით. ეს ცვლილებები ზოგჯერ უხმაუროდ მიმდინარეობდა, პროლეტარიატის მიერ ძალების დაგროვება ხდებოდა სცენის უკან, შეუმჩნევლად, და ხშირად იწვევდა მასობრივი მოძრაობის სიმტკიცისა და სიცოცხლისუნარიანობისადმი ინტელიგენტთა იმედის გაცრუებას. შემდეგ ხდებოდა გარდატეხა, და მთელი რევოლუციური მოძრაობა თითქმის ერთბაშად ადიოდა ახალ, უმაღლეს საფეხურზე. პროლეტარიატისა და მისი მოწინავე რაზმის, სოციალ-დემოკრატიის, წინაშე დგებოდა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ახალი ამოცანები, ამ ამოცანების გადასაჭრელად თითქოს მიწიდან ამოდიოდნენ ახალი ძალები, რომელთა არსებობა ჯერ კიდევ გარდატეხის წინადღეს არავის აზრად არ მოსდიოდა. მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა არა

ერთბაშად, არა უმერყეოდ, არა ისე, რომ სოციალ-დემოკრატიაში არ ყოფილიყო მიმდინარეობათა ბრძოლა, არა ისე, რომ არ მომხდარიყო ხოლმე დაბრუნება მოძველებული, თითქოს დიდი ხანია დრომოჭმული და დასამარებული შეხედულებებისაკენ.

მერყეობის ერთ-ერთ ასეთ პერიოდს ახლაც განიცდის სოციალ-დემოკრატია რუსეთში. იყო დრო, როცა პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლა გზას იკაფავდა ოპორტუნისტული თეორიების გადალახვით, როცა ეშინოდათ, ახალი ამოცანებისათვის ძალები საკმარისი არ არისო, როცა პროლეტარიატის საჭიროებათაგან სოციალ-დემოკრატიის ჩამორჩენილობას ამართლებდნენ სიტყვა «კლასობრივის» უზომოდ ხშირი გამეორებით ან კლასისადმი პარტიის დამოკიდებულების მაჩანჩალური განმარტებით. მოძრაობის მსვლელობამ აღგავა ყველა ეს ბეცი შიში და ჩამორჩენილი შეხედულებანი. ახლა ახალ აღმავლობას კვლავ თან ახლავს, თუმცა რაოდენადმე სხვა ფორმით, ბრძოლა დრომოჭმულ წრეებთან და მიმართულებებთან. რაბოჩეედელოელები აღორძინდნენ ახალისკრელთა სახით. ჩვენი ტაქტიკა და ორგანიზაცია ახალ ამოცანებს რომ შევუფარდოთ, უნდა გადავლახოთ წინააღმდეგობა ოპორტუნისტული თეორიებისა «დემონსტრაციათა უმაღლესი ტიპის» შესახებ (საერობო კამპანიის გეგმა) ანდა «ორგანიზაცია-პროცესის» შესახებ, უნდა ვებრძოლოთ რეაქციულ შიშს აჯანყების «დანიშვნის» წინაშე ანდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის წინაშე. პროლეტარიატის არსებით საჭიროებათაგან სოციალ-დემოკრატიის ჩამორჩენილობას კვლავ ამართლებენ სიტყვა «კლასობრივის» უზომოდ ხშირი (და ძალიან ხშირად არაჭკვიანური) განმეორებით და კლასის მიმართ პარტიის ამოცანების დაკნინებით. «მუშათა თვითმოქმედების» ლოზუნგს კვლავ ბოროტად იყენებენ, ქება-დიდებას ასხამენ თვითმოქმედების დაბალ ფორმებს და უგულებელყოფენ ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული თვითმოქმედების, თვით პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური ინიციატივის უმაღლეს ფორმებს.

ოდნავი ეჭვის შეტანაც არ შეიძლება იმაში, რომ მოძრაობის მსვლელობა ამჯერადაც აღგვის მოძველებულ და უსიცოცხლო შეხედულებათა ყველა ამ ნაშთს. მაგრამ ასეთი აღგვა უნდა მდგომარეობდეს სრულებითაც არა მარტო ძველი შეცდომების უარყოფაში, არამედ კიდევ უფრო შეუდარებლად მეტ დადებითს რევოლუციურ მუშაობაში ახალი ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ჩვენს პარტიაში იმ ახალი ძალების მოზიდვისა და გამოყენებისათვის, რომლებიც ასეთ გიგანტურ მასად გამოდიან ახლა რევოლუციურ ასპარეზზე. სწორედ დადებითი რევოლუციური მუშაობის ეს საკითხები უნდა შეადგენდნენ მომავალი მესამე ყრილობის მუშაობის მთავარ საგანს, სწორედ ამ საკითხებს უნდა მიაპყროს ახლა მთელი თავისი ფიქრები ჩვენი პარტიის ყველა წევრმა თავის ადგილობრივ და საერთო მუშაობაში. თუ როგორია ჩვენს წინაშე დასახული ახალი ამოცანები, ჩვენ ზოგადად უკვე არა ერთხელ ვთქვით: აგიტაციის გავრცელება ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ახალ ფენებზე, უფრო ფართო, მოძრავი და მტკიცე ორგანიზაციის შექმნა, აჯანყების მომზადება და ხალხის შეიარაღება, ამ მიზნებისათვის რევოლუციურ დემოკრატიასთან შეთანხმება. თუ რა ახალი ძალებია ამ ამოცანების განსახორციელებლად, — ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ ცნობები მთელ რუსეთში საყოველთაო გაფიცვების შესახებ, ახალგაზრდობის, საერთოდ დემოკრატიული ინტელიგენციისა და თვით ბურჟუაზიის ბევრი წრეების გაფიცვებისა და რევოლუციური განწყობილების შესახებ. ამ უდიდესი ახალი ძალების არსებობა, იმის სრული რწმენა, რომ ახლანდელი, რუსეთში ჯერ კიდევ უნახავი, რევოლუციური მღელვარებაც კი მოედო მუშათა კლასსა და გლეხობაში არსებული საწვავი მასალის გიგანტური მარაგის ჯერ კიდევ მხოლოდ მცირე ნაწილს, — ყოველივე ეს იმის სრული და უეჭველი საწინდარია, რომ ახალი ამოცანები შესაძლებელია გადაიჭრას და უსათუოდ გადაიჭრება. პრაქტიკული საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, უწინარეს ყოვლისა იმაში

მდგომარეობს, თუ სახელდობრ როგორ გამოვიყენოთ, წარვმართოთ, გავაერთიანოთ, დავრაზმოთ ეს ახალი ძალები, სახელდობრ როგორ მივმართოთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობა უმთავრესად ახალ უმაღლეს ამოცანებზე, რომლებსაც მომენტი აყენებს, ხოლო ამასთან სრულებითაც არ დავივიწყოთ ის ძველი და ჩვეულებრივი ამოცანები, რომლებიც დასახულია და დასახული იქნება ჩვენს წინაშე, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური ექსპლოატაციის სამყარო.

ამ პრაქტიკული საკითხის გადაჭრის ზოგიერთი საშუალება რომ დავსახოთ, დავიწყოთ ერთი კერძო, მაგრამ ჩვენი აზრით ძალიან დამახასიათებელი მაგალითით. ამას წინათ, სწორედ რევოლუციის დაწყების წინახანს, ლიბერალურ-ბურჟუაზიული «ოსვობოჟდენიე» (№ 63) შეეხო სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული მუშაობის საკითხს. «ოსვობოჟდენიემ», რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალყურს სოციალ-დემოკრატიის ორი მიმართულების ბრძოლას, არ დააყოვნა კიდევ და კიდევ გამოეყენებინა ის გარემოება, რომ ახალმა «ისკრამ» ეკონომიზმისაკენ იბრუნა პირი, და ხაზგასმით აღნიშნა («რაბოჩის» დემაგოგიური ბროშურის გამო) თავისი ღრმა პრინციპული სიმპათია ეკონომიზმისადმი. ლიბერალურმა ორგანომ სწორედ შენიშნა, რომ ამ ბროშურიდან (იხ. მის შესახებ «ვპერიოდის» № 2 *) გამომდინარეობს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის როლის აუცილებელი უარყოფა ან დამცირება. და «რაბოჩის» სრულიად არასწორ მტკიცებათა გამო, რომ მართლმორწმუნე მარქსისტთა გამარჯვების შემდეგ ეკონომიური ბრძოლა უგულებელყოფილი იქნებაო, «ოსვობოჟდენიე» ამბობს:

«რუსეთის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ილუზია იმაში მდგომარეობს, რომ მას ეშინია კულტურული მუშაობისა, ეშინია ლეგალური გზებისა, ეშინია ეკონომიზმისა, ეშინია მუშათა მოძრაობის ეგრეთწოდებული არაპოლიტიკური

* იხ. ეს ტომი, გვ. 49 — 57. რედ.

ფორმებისა, და არ ესმის, რომ მხოლოდ კულტურულ მუშაობას, ლეგალურ და არაპოლიტიკურ ფორმებს შეუძლიათ შექმნან საკმაოდ მკვიდრი და საკმაოდ ფართო ბაზისი მუშათა კლასის ისეთი მოძრაობისათვის, რომელიც ღირსი იქნებოდა რევოლუციურ მოძრაობად იწოდებოდეს». და «ოსვობოჟდენიე» ურჩევს ოსვობოჟდენიელებს «იკისრონ ინიციატივა მუშათა პროფესიული მოძრაობის შექმნის საქმეში» არა სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, არამედ მასთან ერთად, ამავე დროს პარალელი გაჰყავს გერმანიის მუშათა მოძრაობის პირობებთან სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებული კანონის ეპოქაში [55].

აქ ადგილი არ არის ვილაპარაკოთ ამ პარალელზე, რომელიც უაღრესად მცდარია. საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღვადგინოთ ის ჭეშმარიტება, თუ როგორ ეკიდება სოციალ-დემოკრატია მუშათა მოძრაობის ლეგალურ ფორმებს. «რუსეთში მუშათა არა სოციალისტური და არა პოლიტიკური კავშირების ლეგალიზაცია უკვე დაიწყო», — ნათქვამი იყო 1902 წელს «რა ვაკეთოთ?»-ში*. «ამიერიდან ჩვენ აღარ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ ამ მიმდინარეობას». როგორ გავუწიოთ ანგარიში? დასმულია იქ კითხვა და აღნიშნულია იმის საჭიროება, რომ ვამხილოთ არა მარტო ზუბატოვური მოძღვრებანი, არამედ ყოველგვარი ჰარმონიული, ლიბერალური ლათაიებიც «კლასთა თანამშრომლობის» თემაზე («ოსვობოჟდენიე», სოც.-დემ. თანამშრომლობისაკენ რომ მოუწოდებს, სავსებით ცნობს პირველ ამოცანას და დუმილით უვლის გვერდს მეორეს). «ამის კეთება — ნათქვამია შემდეგ — სრულიადაც არ ნიშნავს იმის დავიწყებას, რომ ბოლოს და ბოლოს მუშათა მოძრაობის ლეგალიზაცია სწორედ ჩვენ მოგვიტანს სარგებლობას და სრულიადაც არა ზუბატოვებს». ჩვენ ხორბალს ღვარძლს ვაშორებთ, როდესაც ვააშკარავებთ ზუბატოველობასა და ლიბერალიზმს ლეგალურ კრებებზე. «ხორბალი — ეს არის მუშათა კიდევ უფრო ფართო და ყველაზე ჩამორჩენილი ფენების ყურადღების მიპყრობა სოციალური და

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 576. რ ე დ.

პოლიტიკური საკითხებისადმი, ეს არის ჩვენი, რევოლუციონერების, განთავისუფლება ისეთი ფუნქციებისაგან, რომლებიც არსებითად ლეგალურია (ლეგალურია წიგნების გავრცელება, ურთიერთდახმარება და სხვ.) და რომელთა განვითარება აუცილებლად მოგვცემს უფრო და უფრო მეტ მასალას აგიტაციისათვის».

აქედან ცხადად ჩანს, რომ მოძრაობის ლეგალური ფორმების «შ ი შ ი ს» საკითხში, «ი ლ უ ზ ი ი ს» მსხვერპლი სავსებით «ოსვობოჟდენიე» გახდა. რევოლუციურ სოც.-დემოკრატებს არათუ არ ეშინიათ ამ ფორმებისა, არამედ პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ამ ფორმებში ღ ვ ა რ ძ ლ ი ც არის და ხ ო რ ბ ა ლ ი ც. მაშასადამე, «ოსვობოჟდენიე» თავისი მსჯელობით მხოლოდ ფარავს ლიბერალთა რეალურ (და საფუძვლიან) შ ი შ ს იმის წინაშე, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია გამოამჟღავნებს ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ა რ ს ს.

მაგრამ ახლანდელი ამოცანების თვალსაზრისით ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს საკითხი რევოლუციონერთა განთავისუფლებისა მათი ფუნქციების ნაწილისაგან. სწორედ რევოლუციის დასაწყისის მომენტი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, განსაკუთრებით საჭირბოროტო და განსაკუთრებით ფართო მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხს. «რაც უფრო ენერგიულად ვაწარმოებთ რევოლუციურ ბრძოლას, მით უფრო ვაიძულებთ მთავრობას ლეგალური გახადოს პროფესიული მუშაობის ნაწილი და ამით მოგვხსნას ტვირთის ერთი ნაწილი», ნათქვამი იყო «რა ვაკეთოთ?»-ში *. მაგრამ ენერგიული რევოლუციური ბრძოლა «ჩვენი ტვირთის ნაწილისაგან» გვათავისუფლებს არა მარტო ამ გზით, არამედ ბევრი სხვა გზითაც. ახლანდელმა მომენტმა არა მარტო ბევრი რამ ისეთის «ლეგალიზაცია მოახდინა», რაც წინათ აკრძალული იყო. მან იმდენად გააფართოვა მოძრაობა, რომ მთავრობისაგან ულეგალიზაციოდაც პრაქტიკაში შემოვიდა, ჩვეულებრივი, მასისათვის ხელმისაწვდომი გახდა ბევრი რამ ისეთი,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 625. რ ე დ.

რაც წინათ მხოლოდ რევოლუციონერისათვის ითვლებოდა ხელმისაწვდომად და მხოლოდ მისთვის იყო ხელმისაწვდომი. სოც.-დემ. მოძრაობის განვითარების მთელი ისტორიული მსვლელობა იმით ხასიათდება, რომ მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, მიუხედავად ცარიზმის კანონებისა და პოლიციის ზომებისა, იგი მოქმედების სულ უფრო მნიშვნელოვან თავისუფლებას იპყრობს. რევოლუციური პროლეტარიატი თითქოს თავის გარშემო ქმნის ერთგვარ, მთავრობისათვის ხელმიუწვდომელ, თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ატმოსფეროს როგორც მუშათა კლასში, ისე სხვა კლასებშიც (რომელნიც, რა თქმა უნდა, მუშათა დემოკრატიის მოთხოვნების მხოლოდ მცირე ნაწილს იზიარებენ). მოძრაობის დასაწყისში სოციალ-დემოკრატს უხდებოდა შეესრულებინა დიდძალი თითქმის კულტურულსნული მუშაობა, თავისი ძალები დაებანდებინა თითქმის მხოლოდ ეკონომიურ აგიტაციაზე. და აი, ასეთი ფუნქციები ერთიერთმანეთის მიყოლებით სულ უფრო გადადის იმ ახალი ძალების, უფრო ფართო ფენების ხელში, რომლებიც მოძრაობაში ებმიან. რევოლუციური ორგანიზაციების ხელში სულ უფრო მეტად ექცეოდა ნამდვილი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ხელმძღვანელობის ფუნქცია, მუშათა პროტესტისა და ხალხის უკმაყოფილების გამოვლინებებიდან ს ო ც.-დ ე მ. დასკვნებზე მითითების ფუნქცია. ჩვენ ჯერ გვიხდებოდა წერა-კითხვა გვესწავლებინა მუშებისათვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ახლა პოლიტიკური ცოდნის დონე ისე გიგანტურად ამაღლდა, რომ შეიძლება და საჭიროა მთელი ჩვენი ძალები წარვმართოთ რევოლუციური ნიაღვრის ორგანიზებული ხელმძღვანელობის უფრო უშუალო სოციალ-დემოკრატიულ მიზნებზე. ახლა ლიბერალები და ლეგალური პრესა ასრულებენ იმ დიდძალ «მოსამზადებელ სამუშაოს», რომელიც აქამდე მეტისმეტად აბანდებდა ჩვენს ძალებს. ახლა დემოკრატიული იდეებისა და მოთხოვნების აშკარა პროპაგანდა, რომელსაც დასუსტებული მთავრობა არ სდევნის, ისე ფართოდ გაჩაღდა, რომ ჩვენ უნდა შევეგუოთ მოძრაობის სრულიად ახალ გაქანებას. რა თქმა უნდა, ამ მო-

სამზადებელ მუშაობაში ღვარძლიც არის და ხორბალიც; რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატებს ახლა მოუხდებათ უფრო და უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მუშებზე ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენასთან ბრძოლას. მაგრამ სწორედ ასეთი მუშაობა გაცილებით უფრო მეტად იქნება ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული შინაარსისა, ვიდრე ჩვენი წინანდელი საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო, უმთავრესად, პოლიტიკურად შეუგნებელი მასების გამოღვიძებისაკენ.

რაც უფრო ფართოვდება სახალხო მოძრაობა, მით უფრო მეღავნდება სხვადასხვა კლასის ნამდვილი ბუნება, მით უფრო არსებითია პარტიის ამოცანა უხელმძღვანელოს კლასს, იყოს მისი ორგანიზატორი და არა კუდში მისჩანჩალებდეს მოვლენებს. რაც უფრო ვითარდება ყველგან და ყოველ ნაბიჯზე ყოველნაირი რევოლუციური თვითმოქმედება, მით უფრო ცხადი ხდება, თუ რა ფუჭი და უშინაარსოა რაბოჩეედელოელთა ლათაიები საერთოდ თვითმოქმედების შესახებ, რომლებსაც ასეთი ხალისით იმეორებენ ახალისკრელები, მით უფრო ცხადი ხდება სოციალ-დემოკრატიული თვითმოქმედების მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია ის მოთხოვნები, რომლებსაც მოვლენები უყენებენ ჩვენს რევოლუციურ ინიციატივას. რაც უფრო ფართოა საზოგადოებრივი მოძრაობის ახალი და ახალი ნაკადები, მით უფრო დიდმნიშვნელოვანია მტკიცე სოც.-დემ. ორგანიზაცია, რომელსაც უნარი შესწევს ახალი კალაპოტი შეუქმნას ამ ახალ ნაკადებს. რაც უფრო მეტად მუშაობს ჩვენს სასარგებლოდ ის დემოკრატიული პროპაგანდა და აგიტაცია, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად წარმოებს, მით უფრო დიდმნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატიის ორგანიზებული ხელმძღვანელობა, რათა დაცულ იქნას მუშათა კლასის დამოუკიდებლობა ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან.

რევოლუციური ეპოქა სოციალ-დემოკრატიისათვის იგივეა, რაც ომიანობის დრო არმიისათვის. უნდა გავაფართოოთ ჩვენი არმიის კადრები, გადავიყვანოთ იგი მშვიდობიანი დროის კონტინგენტებიდან ომიანობის დროის კონტინგენტებზე, მო-

ვახდინოთ სათადარიგოთა და რეზერვში მყოფთა მობილიზაცია, დროშებს ქვეშ მოვიწვიოთ შვებულებაში წასულნი, მოვაწყოთ ახალი დამხმარე კორპუსები, რაზმები და სამსახურის ჯგუფები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ომის დროს გარდუვალი და აუცილებელია თავისი რიგების შევსება ნაკლებად მომზადებული რეკრუტებით, ძალიან ხშირად ოფიცრების შეცვლა უბრალო ჯარისკაცებით, ჯარისკაცების ოფიცრებად გადაყვანის დაჩქარება და გამარტივება.

უმეტაფოროდ რომ ვთქვათ: საჭიროა ძლიერ გავაფართოოთ ყოველგვარი პარტიული და პარტიის მომხრე ორგანიზაციების შემადგენლობა, რომ რამდენადმე მაინც მივყვეთ მხარდამხარ ხალხის რევოლუციური ენერგიის ერთიასად გაზრდილ ნაკადს. ეს, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, რომ საჭირო იყოს ყურადღება არ მივაქციოთ მტკიცე მომზადებასა და მარქსიზმის ჭეშმარიტებათა სისტემატურ სწავლებას. არა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მომზადებისა და სწავლის საქმეში ახლა გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს თვით საომარ მოქმედებას, რომელიც ასწავლის მოუმზადებელთ სწორედ ჩვენი და სავსებით ჩვენი მიმართულებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი «დოქტრინიორული» ერთგულება მარქსიზმისადმი ახლა იმით ძლიერდება, რომ რევოლუციურ მოვლენათა მსვლელობა ყველგან და ყოველ ნაბიჯზე საგნობრივ გაკვეთილებს აძლევს მასას და ყველა ეს გაკვეთილი სწორედ ჩვენს დოგმას ადასტურებს. მაშასადამე, ჩვენ ვლაპარაკობთ არა დოგმის უარყოფაზე, არა იმაზე, რომ შევასუსტოთ ჩვენი უნდობელი და ეჭვნეული დამოკიდებულება უსახო ინტელიგენტებისა და რევოლუციური ქარაფშუტებისადმი, არამედ სავსებით პირიქით. ჩვენ ვლაპარაკობთ დოგმის სწავლების ახალ მეთოდებზე, რომელთა დავიწყება შეუწყნარებელი იქნებოდა სოციალ-დემოკრატისათვის. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ახლა დიად რევოლუციურ მოვლენათა თვალსაჩინო გაკვეთილების გამოყენება, რათა ვასწავლოთ უკვე არა წრეებს, არამედ მასებს ჩვენი ძველი «დოგმატური» გაკვეთილები, მაგალითად, იმის შესახებ,

რომ საჭიროა ტერორის ნამდვილად შეერთება მასის აჯანყებასთან, რომ რუსეთის განათლებული საზოგადოების ლიბერალიზმში უნდა შეგვეძლოს ჩვენი ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების დანახვა (იხ. ამ საკითხზე პოლემიკა სოც.-რევოლუციონერებთან «ვპერიოდის» № 3-ში*).

მაშასადამე, ლაპარაკია არა ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მომთხოვნელობის, ჩვენი ორთოდოქსალური შეურიგებლობის შესუსტებაზე, არამედ როგორც ერთის, ისე მეორის განმტკიცებაზე სწავლების ახალი გზებით, ახალი მეთოდებით. ომიანობის დროს რეკრუტებს უშუალოდ საომარ მოქმედებაში უნდა ვასწავლოთ. მაშ უფრო გაბედულად მოჰკიდეთ ხელი სწავლების ახალ ხერხებს, ამხანაგებო! უფრო გაბედულად შეადგინეთ ახალ-ახალი რაზმები, გაგზავნეთ ისინი საბრძოლველად, მოიზიდეთ მეტი მუშა ახალგაზრდობა, გააფართოეთ ყველა პარტიული ორგანიზაციის ჩვეულებრივი ჩარჩო, კომიტეტებით დაწყებული და საფაბრიკო ჯგუფებით, საამქრო კავშირებით, სტუდენტთა წრეებით დამთავრებული! გახსოვდეთ, რომ ყოველი ჩვენი დაყოვნება ამ საქმეში სოციალ-დემოკრატიის მტრებს მოუტანს სარგებლობას, რადგან ახალი ნაკადულები დაუყოვნებლივ ეძებენ გამოსავალს და, თუ სოციალ-დემოკრატიული კალაპოტი ვერ იპოვეს, არასოც.-დემოკრატიულს მიაშურებენ. გახსოვდეთ, რომ რევოლუციური მოძრაობის ყოველი პრაქტიკული ნაბიჯი აუცილებლად და გარდუვალად ასწავლის ახალგაზრდა რეკრუტებს სწორედ სოციალ-დემოკრატიულ მეცნიერებას, რადგან ეს მეცნიერება ემყარება სხვადასხვა კლასთა ძალებისა და ტენდენციების ობიექტურად სწორ აღრიცხვას, ხოლო რევოლუცია სხვა არა არის რა, თუ არა ძველი ზედნაშენების დამსხვრევა და დამოუკიდებლად გამოსვლა სხვადასხვა კლასებისა, რომლებიც მიისწრაფვიან თავისებურად შექმნან ახალი ზედნაშენი. მაგრამ ნუ დააკნინებთ ჩვენს რევოლუციურ მეცნიერებას ერთ წიგნურ დოგმამდე, ნუ დაამახინჯებთ მას საზიზღარი ფრაზე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 83 — 91. რ ე დ.

ბით ტაქტიკა-პროცესის, ორგანიზაცია-პროცესის შესახებ, ფრაზებით, რომლებიც ამართლებენ დაქსაქსულობას, გაუბედაობას, უნიციატივობას. მეტი გასაქანი მიეცით უაღრესად სხვადასხვა ჯგუფებისა და წრეების უაღრესად სხვადასხვაგვარ თაოსნობას, გახსოვდეთ, რომ მათი გზის სისწორე ჩვენი რჩევის გარდა და ჩვენი რჩევის დამოუკიდებლად უზრუნველყოფილია თვით რევოლუციურ მოვლენათა მიმდინარეობის ულმობელი მოთხოვნებით. უკვე დიდი ხანია თქმულა, რომ პოლიტიკაში ხშირად გვიხდება მტრისაგან ვისწავლოთ. რევოლუციურ მომენტებში კი მტერი ყოველთვის თავს გვახვევს სწორ დასკვნებს ძალიან საგულისხმოდ და სწრაფად.

ამრიგად, ვაჯამებთ: ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთი-ასად გაზრდილ მოძრაობას, მუშაობის ახალ ტემპს, უფრო თავისუფალ ატმოსფეროს, მოქმედების უფრო ფართო ასპარეზს. საჭიროა მთელი მუშაობის სულ სხვა გაქანება. საჭიროა სწავლების ხერხების სიმძიმის ცენტრი მშვიდობიანი სასწავლო გაკვეთილებიდან საომარ მოქმედებაზე გადავიტანოთ. საჭიროა უფრო გაბედულად, უფრო ფართოდ და სწრაფად მოვიზიდოთ ახალგაზრდა მებრძოლები ყ ვ ე ლ ა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ჩვენი ორგანიზაციის რიგებში. ერთი წუთიც არ უნდა დავაყოვნოთ და უნდა შევქმნათ ამისათვის ა ს ო ბ ი თ ახალი ორგანიზაციები. დიახ, ასობით; ეს ჰიპერბოლა როდია და ნუ მიპასუხებთ, ახლა «გვიანაა» ასეთ ფართო ორგანიზაციულ მუშაობას შევუდგეთო. არა, ორგანიზებულად დარაზმვა არასოდეს არ არის გვიან. ჩვენ მიერ როგორც კანონით შეძენილი, ისე კანონის საწინააღმდეგოდ მოპოვებული თავისუფლება იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ გავამრავლოთ და განვამტკიცოთ ყველა და ყოველგვარი პარტიული ორგანიზაციები. როგორიც უნდა იყოს რევოლუციის მიმდინარეობა და ბოლო, რა ადრეც უნდა შეაჩეროს იგი ამა თუ იმ გარემოებამ, ყველა მისი რეალური შენაძენი მტკიცე და საიმედო იქნება მხოლოდ პროლეტარიატის დარაზმულობის მიხედვით.

ლოზუნგი: დაირაზმეთ! რომელიც უმრავლესობის მომხრეებს სურდათ ჩამოყალიბებული სახით მოეცათ პარტიის

მეორე ყრილობაზე, ახლა დაუყოვნებლივ უნდა ხორციელ-დებოდეს. თუ ჩვენ ვერ მოვახერხეთ გაბედულად, ინიციატი-ციანად შევქმნათ ახალი ორგანიზაციები, მაშინ უნდა უარ-ვყოთ ავანგარდის როლის ფუჭი დაჩემება. თუ უმწეოდ შევ-ჩერდით კომიტეტების, ჯგუფების, კრებების, წრეების უკვე მიღწეულ ზღვარზე, ფორმებსა და ჩარჩოებზე, ამით ჩვენს უუნარობას დავამტკიცებთ. ათასობით იქმნება ახლა წრეები ყველგან, ჩვენს გარეშე, რაიმე გარკვეული პროგრამისა და მიზნის დაუსახავად, მხოლოდ მოვლენათა გავლენით. საჭიროა სოციალ-დემოკრატებმა ამოცანად დაისახონ რაც შეიძლება მეტ ასეთ წრეებთან უშუალო ურთიერთობის შექმნა და გან-მტკიცება, რათა დახმარებას უწევდნენ მათ, ანათლებდნენ თა-ვისი ცოდნისა და გამოცდილების მარაგით, გამოაცოცხლებ-დნენ თავისი რევოლუციური ინიციატივით. დაე ყველა ასეთი წრე, გარდა შეგნებულად არასოციალ-დემოკრატიულისა, ან პირდაპირ შემოდიოდეს პარტიაში, ან ემხრობოდეს პარტიას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ შეიძლება მოვ-თხოვოთ მათ არც ჩვენი პროგრამის მიღება, არც სავალდებუ-ლო ორგანიზაციული ურთიერთობა ჩვენთან: საკმარისია მხო-ლოდ პროტესტის გრძნობა, მხოლოდ თანაგრძნობა საერ-თაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საქმისადმი, რომ ასეთი მომხრე წრეებიდან, მათ წინაშე სოციალ-დე-მოკრატების ენერგიული გამოსვლით, მოვლენათა მსვლელო-ბის ზეგავლენით, გამომუშავდნენ ჯერ დემოკრატიული თანა-შემწენი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, ხოლო შემდეგ რწმენით გამსჭვალული მისი წევრებიც.

ადამიანები უამრავია და ადამიანები არა გვყავს, — ამ წინა-აღმდეგობის შემცველ ფორმულაში უკვე დიდი ხანია თავსდე-ბოდნენ სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული ცხოვრებისა და ორგანიზაციულ საჭიროებათა წინააღმდეგობანი. და ეს წი-ნააღმდეგობა განსაკუთრებით ძლიერ იჩენს თავს ახლა: თა-ნაბარი სიხშირით გესმის ყოველი მხრიდან მგზნებარე მოწო-დებანი ახალი ძალებისა, ჩივილი ორგანიზაციებში ადამიანთა ნაკლებობაზე, და ამასთან ერთად ყველგან და ყოველ ნაბიჯზე

გიგანტური მასშტაბით ვხედავთ სამსახურის შემოთავაზებას, ახალგაზრდა ძალების ზრდას, მეტადრე მუშათა კლასში. პრაქტიკოსი ორგანიზატორი, რომელიც ასეთ პირობებში ადამიანთა უყოლობას უჩივის, იმავე ილუზიას ეძლევა, რომელსაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის კულმინაციური განვითარების ეპოქაში ეძლეოდა ქალბატონი როლანი, რომელიც 1793 წელს წერდა: საფრანგეთში ადამიანები არ არიან, გარშემო სულ პიგმეები არიანო. ვინც ამას ამბობს, ის რიყეზე ქვას ვერ ხედავს, ის აღიარებს, რომ იგი მოვლენებმა დააბრმავა, რომ ის, რევოლუციონერი, კი არ დაუფლებია ამ მოვლენებს თავის შეგნებასა და თავის საქმიანობაში, არამედ მოვლენები დაუფლებიან მას, დაუძაბუნებიათ იგი. ასეთი ორგანიზატორი უმჯობესია განსვენებას მიეცეს, ადგილი დაუთმოს ახალგაზრდა ძალებს, რომელთა ენერგია უხვად აანაზღაურებს ჩვეულებრივ და დაზეპირებულ რუტინას.

ადამიანები არიან, რევოლუციურ რუსეთს არასოდეს არა ჰყოლია ისე უამრავი ადამიანი, როგორც ახლა. რევოლუციურ კლასს არასოდეს არა ჰქონია ისეთი არაჩვეულებრივ ხელსაყრელი პირობები, — დროებითი მოკავშირეების, შეგნებული მეგობრების, უნებლიე დამხმარეების მხრივ, — როგორც თანამედროვე რუსეთის პროლეტარიატს. ადამიანები უამრავია, მხოლოდ საჭიროა უკუვაგდოთ მაჩანჩალური აზრები და დარიგებანი, მხოლოდ საჭიროა გასაქანი მივცეთ თაოსნობასა და ინიციატივას, «გეგმებსა» და «წამოწყებებს», და მაშინ ჩვენ დიადი რევოლუციური კლასის ღირსეული წარმომადგენლები ვიქნებით, მაშინ რუსეთის პროლეტარიატი ისევე გმირულად განახორციელებს რუსეთის მთელ დიდ რევოლუციას, როგორც გმირულად დაიწყო იგი.

«ვპერიოდ» № 9,
1905 წ. 8 მარტი (23 თებერვალი)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ოსვობოჟდენიელები და ახალისკრელები, მონარქისტები და ჟირონდისტები

«ოსვობოჟდენიეს» № 66-ში მოთავსებულია რეცენზია მარტინოვის ბროშურაზე «ორი დიქტატურა» (რომელიც მოწონებული და რეკომენდებულია «ისკრის» რედაქციის მიერ, იხ. № 84). როგორც მოსალოდნელი იყო, ლიბერალი ბურჟუა არ ფარავს თავის სიმპათიებს სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ფრთისადმი. «ბ-ნ აკიმოვის ნაშრომის გვერდით» მარტინოვის ბროშურა «ოსვობოჟდენიესათვის» წარმოადგენს «ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო ნაწარმოებს მთელ უახლეს სოც.-დემ. ლიტერატურაში». განა შეეძლო ლიბერალს სხვანაირად მოჰკიდებოდა მაჩანჩალობის ქადაგებას, რომელიც აშინებს რევოლუციურ კლასს დროებითს მთავრობაში მონაწილეობისა და დემოკრატიულ გადატრიალებაში «რევოლუციური დიქტატურის» საბედისწერო პერსპექტივით («იაკობინელობით» დამფრთხალი მარტინოვი ამ გადატრიალებას სოციალისტურ რევოლუციაში ურევს!)? განა ეს შემთხვევითია, რომ «ოსვობოჟდენიე» სტატიაში «საგულისხმო შებრუნება» მიესალმა პლეხანოვის იდეას რევიზიონისტებისადმი დათმობათა შესახებ? რით უნდა ავხსნათ «ოსვობოჟდენიეს» განცხადება (№ 57), რომ «არსებითად მენშევისტები ახლა რაღაც უფრო სიცოცხლისუნარიანსა და ქმედითუნარიანს იცავენ, ვიდრე ბოლშევისტებიო»? იმით ხომ არა, რომ «რუსეთის ლიბერალიზმის სიცოცხლისუნარიანობის ერთადერთი იმედი სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმის სიცოცხლისუნარია-

ნობაში მდგომარეობს» (იხ. ჩვენი გამოცემა «თავაზიანი ლიბერალი» *)? მართალი იყო თუ არა ბ-ნი სტრუვე, როდესაც ამტკიცებდა, რომ ტროცკის ბროშურა «ჩვენი პოლიტიკური ამოცანები», რომელიც «ი ს კ რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ი თ გამოვიდა (იხ. № 72), «სავსებით სამართლიანად იცავს ზოგიერთ იდეას, რომლებსაც სოც.-დემ. ლიტერატურით დაინტერესებულნი უკვე იცნობენ ბ-ნ აკიმოვის, მარტინოვის, კრიჩევსკისა და სხვა ეგრეთწოდებული ეკონომისტების ნაწერებითო» («ოსვობოჟდენიეს» № 57)? მარტინოვი და კომპ. ამ საკითხებს რომ ჩაფიქრებოდა, იქნებ გაეგო თავსამტვრევი (ოჰ, რა თავსამტვრევი!) ძველისკრული იდეა იაკობინელებისა და ჟირონდისტების ურთიერთობის მსგავსებისა რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისა და ოპორტუნისტების ურთიერთობასთან. (პირველად ეს იდეა წამოყენებულია, თუ არ ვცდებით, «ისკრის» № 2-ის მეთაურში, რომელიც დაწერილია პლეხანოვის მიერ.) იყვნენ თუ არა ჟირონდისტები საფრანგეთის დიდი რევოლუციის საქმის მოღალატენი? არა. მაგრამ ისინი ამ საქმის არათანამიმდევარი, გაუბედავი, ოპორტუნისტი დამცველნი იყვნენ. ა მ ი ტ ო მ ებრძოდნენ მათ იაკობინელები, რომლებიც ისევე თანამიმდევრად იცავდნენ მე-18 საუკუნის მოწინავე კლასის ინტერესებს, როგორც რევოლუციური სოციალ-დემოკრატები თანამიმდევრად იცავენ მე-20 საუკუნის მოწინავე კლასის ინტერესებს. ამიტომ ჟირონდისტებს მხარს უჭერდნენ და იაკობინელთა თავდასხმებისაგან ამართლებდნენ დიდი რევოლუციის საქმის პირდაპირი მოღალატენი, მონარქისტები, კონსტიტუციონალისტი ხუცები და სხვანი. ხომ არ ხვდებით ახლა ცოტა რამეს, დიდად პატივცემულო ჟირონდისტო მარტინოვ? კიდევ ვერა? აი ინებეთ კიდევ განმარტება: არიან თუ არა ახალისკრელები პროლეტარიატის საქმის მოღალატენი? არა. მაგრამ ისინი არიან ამ საქმის (და ორგანიზაციისა და ტაქტიკის პრინციპების, — ამ საქმის გამაშუქებელი პრინციპების) არათანამიმდევარი, გაუბედავი, ოპორტუ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 608 — 612. რ ე დ.

ნისტი დამცველები. ამიტომ ებრძვიან მათს პოზიციას რევოლუციური სოციალ-დემოკრატები (ზოგი პირდაპირ და აშკარად, სხვები ფარულად, რედაქციის კაბინეტების დაკეტილ კარს უკან, ეშმაკობითა და ფანდებით). ამიტომ ახალისკრელებს იდეურად უჭერენ მხარს და ამართლებენ პროლეტარიატის საქმის პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ო ღ ა ლ ა ტ ე ნ ი, ოსვობოჟდენიელები. ხომ არ ხვდებით ახლა ცოტა რამეს, დიდად პატივცემულო ჟირონდისტო მარტინოვ?

«ვპერიოდ» № 9,
1905 წ. 8 მარტი (23 თებერვალი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

დაუსრულებელი მომიზეზება

«ისკრა» და ეგრეთწოდებული საბჭო განაგრძობენ გაჭიანურების, მომიზეზებისა და ყრილობისათვის თავის არიდების ტაქტიკას. პლეხანოვი ცდილობს ფორმალურ თვალსაზრისზე დადგეს და შეუპოვრობით, რომელიც უკეთეს საქმეს შეეფერება, იმეორებს, რომ ყრილობას საბჭო იწვევს და რომ ამიტომ ყოველი ყრილობა, რომელსაც საბჭო არ მოიწვევს, უკანონოაო. ეს მსჯელობა იმდენად ცალმხრივი და გულუბრყვილო-ანგარებითია, რომ სურვილი გებადება «მოუჭრა კურდღელს და გადაუგდო დათვის ყურის პატარა ნაჭერი» — მედალი მისცე პლეხანოვს პარტიული წესდებისა და პარტიული კანონის სასტიკად დაცვისათვის! უალრესი პატივისცემით შევეკითხებით დიალექტიკური, ე. ი. ყოველმხრივი განხილვის დიდად პატივცემულ მომხრეს: საბჭოა პარტიისათვის თუ პარტიაა საბჭოსათვის? საბჭო უნდა აბარებდეს ანგარიშს პარტიას და პარტიის კონტროლს ექვემდებარებოდეს თუ პარტია უნდა აბარებდეს ანგარიშს საბჭოს? ზემდგომი კოლეგიის მიმართ დისციპლინა ხომ არ აუქმებს დისციპლინას ქვემდგომი კოლეგიის მიმართ?? ხომ ვერ გაიხსენებს კანონიერების ჩვენი შეუდრეკელი დამცველი თავის მსჯელობას ამის შესახებ პარტიის მეორე ყრილობაზე?

საბჭო ვალდებულია, ჩვენი წესდების მიხედვით, მოიწვიოს ყრილობა, თუ ხმების ნახევარი ყრილობის მომხრეა. როგორ მოიქცეს პარტია, თუ საბჭო გაურბის თავისი მოვალეობის შესრულებას? გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წესდებაში ამ საკითხზე მოცემულია პირდაპირი პასუხი, სა-

ხელდობრ: მაშინ ყრილობას იწვევს არა პარტიის უმაღლესი გამგეობა, არამედ განსაკუთრებული, გამგეობისაგან დამოუკიდებელი, საკონტროლო კომისია. ჩვენს წესდებაში ამ საკითხზე არავითარი პასუხი არ არის მოცემული. ნიშნავს თუ არა ეს იმას, ვეკითხებით ჩვენს მეგობრებს ახალ «ისკრაში», რომ ამ საკითხის გადაჭრა არ შეიძლება? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭო თავს არიდებს თავისი პარტიული მოვალეობის შესრულებას, პარტია უნდა დაიმალოს და საბჭოთი შეიცვალოს? პარტიაა საბჭოსათვის, არა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასე არ არის, რომ პარტია ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა თვითონ ადევნებდეს თვალყურს იმას, თუ როგორ ასრულებენ წესდებას მისი თანამდებობის პირები, რომ «თვალყურის დევნება» ნიშნავს არა მარტო სიტყვიერად დაგმობას, არამედ საქმით გამოსწორებას. პოლიტიკურად თავისუფალი მოქალაქის წოდების ღირსი არ არის ის, ვისაც არ ეხერხება მოითხოვოს თავის რწმუნებულთაგან და მ ი ა ღ წ ი ო ს იმას, რომ ისინი ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას მარწმუნებლების მიმართ. პარტიის წევრის წოდების ღირსი არ არის ის, ვისაც არ ეხერხება მოითხოვოს თავის რწმუნებულთაგან და მ ი ა ღ წ ი ო ს იმას, რომ ისინი ასრულებდნენ თავიანთ პარტიულ მოვალეობას თავიანთი მარწმუნებლების მიმართ. საბჭო კომიტეტების რწმუნებულია. კომიტეტები ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი არიან მიაღწიონ იმას, რომ ეს რწმუნებული ასრულებდეს თავის მოვალეობას მარწმუნებელთა მიმართ. ამის განხორციელება კომიტეტებს ისე ·ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ, თუ თავისი ბიურო არ აირჩიეს ყრილობის მოსაწვევად. ასეც მოიქცნენ კომიტეტები. ისინი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ, თუ შეგნებული აქვთ თავიანთი სრულიად ელემენტარული პარტიული მოვალეობა.

ხომ არ სინჯავს პატივცემული ამხ. პლეხანოვი უარყოს ამ მტკიცების სისწორე? ხომ არ სინჯავს დაგვისახელოს მსოფლიოს რ ო მ ე ლ ი ც უ ნ დ ა ი ყ ო ს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის წევრებიც ისევე არ მოიქცეოდნენ, როგორც მოიქცნენ ჩვენი კომიტეტები, თუ პარტიული და-

წესებულება თავს აარიდებდა ყრილობის მოწვევას? ვიწ-ვევთ ამბ. პლეხანოვს: სინჯეთ!

ახლა გადავიდეთ მეორე, ფაქტიურ, საკითხზე: ნამდვილად აარიდა თუ არა თავი ჩვენმა საბჭომ იმ თავისი პარტიული მოვალეობის შესრულებას, რომ ყრილობა მოიწვიოს? ეს საკითხი არა მარტო ფორმალურია, რადგან გარდა წესდებით დაკისრებული მოვალეობისა, არის მოვალეობა... *

დაწერილია 1905 წ. თებერვლის
დამლევს — მარტის დამდეგს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

ვისი მოტყუება უნდათ?

«ისკრის» № 89-ში, რომელიც ეს-ეს არის მივიღეთ, ვკითხულობთ «პარტიის საბჭოს» 1905 წლის 8 მარტის დადგენილებას. საზღვარგარეთის «საბჭო», როგორც მოსალოდნელი იყო, ცოფსა ყრის ყრილობის წინააღმდეგ, რომელსაც პარტიის რუსეთის კომიტეტები იწვევენ, და აცხადებს, «მისი მონაწილენი თავისი მოქმედებით თვითონ აყენებენ თავს პარტიის გარეთო». ჩვენთვის სავსებით გასაგებია, თუ რატომ არის გაბოროტებული საზღვარგარეთის წრე, რომელსაც რუსეთში მომუშავე პარტია დიდი ხანია ფაქტიურად ჩამოშორდა, ხოლო ახლა ფორმალურადაც შორდება. ისიც გასაგებია, რომ მხოლოდ გაბოროტებისა და სასოწარკვეთის გავლენით შეიძლება ასე ცუდად მსჯელობდეს ადამიანი და ასე უხეიროდ «უვლიდეს გვერდს სინამდვილეს», როგორც ამას საბჭო სჩადის. «წესდების მიხედვით, — გვეუბნებიან, — ყრილობის მოწვევა მხოლოდ საბჭოს შეუძლიაო». დიახ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭო წესდებას ქაღალდის ნაფლეთებად აქცევს და მოტყუებით გაურბის ყრილობის მოწვევას, რაც მისთვის სავალდებულოა. სწორედ ეს «შემთხვევა» დიდი ხანია დაუმტკიცა პარტიამ საბჭოს (იხ. ორლოვსკი: «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», სადაც, სხვათა შორის, ნაჩვენებია, რომ «საბჭოს» არითმეტიკის მიხედვით 16×4=61!). 1905 წლის 1-ლი იანვრისათვის, გვეუბნებიან შემდეგ, საბჭოს მიერ ერთხმად (ლენინის ჩათვლით) მიღებული დადგენილებით, უფლებაუნარიანი ორგანიზაცია, ცენტრებს გარდა, 33 იყოო. ეს მართალი არ არის. პარტიამ

დიდი ხანია იცის იმავე ბროშურიდან, რომ უფლებაუნარიანი ორგანიზაცია 1905 წლის 1-ლი იანვრისათვის მხოლოდ 29 იყო. ყუბანისა და ყაზანის კომიტეტები, რომლებსაც «ისკრა» ასახელებს, საბჭოს არასოდეს არ დაუმტკიცებია, პოლესიეს და ჩრდილო-დასავლეთის კომიტეტები კი დამტკიცებულ იქნენ მხოლოდ 1905 წლის 1-ლი აპრილისათვის. რჩება 29 ორგანიზაცია (კომიტეტები: ს.-პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, ჩრდილოეთის, ტულის, ნიჟნი ნოვგოროდის, სარატოვის, ურალ-უფის, ციმბირის, დონის, ხარკოვის, კიევის, ოდესის, ეკატერინოსლავის, რიგის, ორიოლ-ბრიანსკის, სმოლენსკის, სამარის, ვორონეჟის, კავკასიის კავშირი = 4 კომიტეტი, კურსკის, ასტრახნის, ნიკოლაევის, ყირიმის, სამთამადნო, ლიგა). «უმრავლესობის კომიტეტების ბიურო» 10 ორგანიზაციის რწმუნებას იმოწმებსო, — ამბობს შემდეგ საბჭო. ეს სიცრუეა. ბიურო არჩეულია, როგორც ყველამ იცის, ჯერ კიდევ 1905 წლის 1-ლ იანვრამდე სამ კონფერენციაზე ცამეტი კომიტეტის მიერ (6 — ჩრდილოეთისა, 3 — სამხრეთისა, 4 — კავკასიისა). მას შემდეგ, რაც ბიურო ყრილობის მოწვევის წინადადებით გამოვიდა, ბიუროს მიემხრნენ ვორონეჟისა და ტულის კომიტეტები. ამრიგად, 1905 წლის 1-ლი იანვრისათვის რუსეთის 28 სრულუფლებიანი ორგანიზაციიდან 15-მა ყრილობას დაუჭირა მხარი ბონაპარტისტული ცენტრების ნების წინააღმდეგ. აქ კიდევ ჩათვლილი არ არის ის სრულუფლებიანი ორგანიზაციები (სარატოვის, ციმბირის კომიტეტი და სხვები), რომლებმაც დიდი ხანია მხარი დაუჭირეს საერთოდ ყრილობას (იხ. შახოვის ბროშურა: «ბრძოლა ყრილობისათვის»). თუ რამდენად სასაცილო და მოუხეშავია საბჭოს ცდები მოატყუოს უცოდინარი საზოგადოება, რომელიც დოკუმენტების მიხედვით კი არ ეცნობა საქმეს, არამედ საზღვარგარეთელთა ლაყბობით, — ეს განსაკუთრებით შემდეგი ორი ცნობიდან ჩანს. მეტად საინტერესო ბროშურაში «ჟენევის 1904 წლის 2 სექტემბრის კრების ანგარიში», რომელიც უმცირესობამ გამოსცა, დანი ალიარებს, რომ პარტიის კომიტეტების უმრავლესობამ ყოველგვარი ამხანა-

გური დამოკიდებულება გაწყვიტა «ისკრასთან», ხოლო პლეხანოვი, რომელიც მეტად მტრულად არის განწყობილი უმრავლესობის მიმართ, იძულებულია განაცხადოს, მოქიშპე მხარეთა ძალები დაახლოებით თანაბარიაო!! (ეს საზღვარგარეთელის შეფასებაა, დაიხსომეთ.) ლენინის «განცხადებაში»*, რომელიც არათუ უარყოფილი არ არის უმცირესობის მიერ, არამედ, პირიქით, დადასტურებულია პოპოვის პირდაპირი აღიარებით, სწორედ ცენტრალური კომიტეტის აგენტი აღიარებს, რომ უმცირესობას რუსეთის მხოლოდ 4 კომიტეტი ჰყავს და რომ ნამდვილ პარტიულ ყრილობაზე უეჭველად მოხდება რედაქციისა და საბჭოს გადაყენებაო. ერთხელ კიდევ გეკითხებით: ვინ გინდათ მოატყუოთ, კოოპტაციის დიდად პატივცემულო გმირებო? თქვენ ცეცხლივით გაშინებთ ერთადერთი ნამდვილი პარტიული გამოსავალი — ყრილობა, და ამავე დროს გვარწმუნებთ, ჩვენს მოწინააღმდეგეებს ორგანიზაციების უმნიშვნელო ნაწილი, სულ რაღაც მეოთხედი მიჰყვებაო! გაბოროტებულთ ვერ შეგიმჩნევიათ, რომ თვითონვე იმათრახებთ თავს. ნიკოლოზ II-საც ხომ იმიტომ არ ეშინია დამფუძნებელი კრებისა, რომ ცარიზმის მოწინააღმდეგენი ხალხის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენენ?

«ვპერიოდ» № 10,
1905 წ. 15 (2) მარტი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გ.-მოც., ტომი 7, გვ. 671. რ ე დ.

პროლეტარიატი და ბურჟუაზიული დემოკრატია

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა შეუწყნარებელი სიბეცით განირჩევა ახალისკრელთა მსჯელობა, თითქოს ზომიერი რუსული ლიბერალიზმი სასიკვდილოდ იყოს განგმირული *, თითქოს პროლეტარიატი ავანგარდის როლში იყოს აღიარებული ჩვენი დემოკრატიის მიერ. პირიქით, სწორედ ახლა ბურჟუაზიული დემოკრატია განსაკუთრებით ძაბავს ძალებს, რათა ხელთ იგდოს მუშათა მოძრაობა, სწორედ ამიტომ უაღრესად მავნეა რაბოჩეედელოელობა, რომლის აღორძინებასაც ახალისკრელები ეწევიან. აი საინტერესო ფურცელი, რომელიც რუსეთში ვრცელდება და რომელიც ძვირფას მასალას იძლევა ამ საკითხზე:

«უკანასკნელ ხანს შესამჩნევია ბურჟუაზიის მისწრაფება ორგანიზაციისადმი, მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართვა მუშისადმი. დემოკრატებს სურთ გამოვიდნენ პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელებად. «ჩვენი რწმენით ჩვენ, კაცმა რომ თქვას, სოციალ-დემოკრატები ვართ, — ამბობენ ისინი—მაგრამ თავისი პარტიული უთანხმოებით გართულმა სოციალ-დემოკრატიამ ვერ გაიგო ახლანდელი მომენტის მნიშვნელობა, მას არ აღმოაჩნდა უნარი გასძღოლოდა მუშათა მოძრაობას, და ჩვენ გვსურს გავაკეთოთ ეს». ამ ახალი «თავიანთ გულში სოციალ-დემო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 189. რ ე დ.

კრატების» შემდგომი სიტყვებიდან ირკვევა, რომ ისინი დამოუკიდებელ პროგრამას არ გამოიმუშავებენ, არამედ მხოლოდ განმარტებასა და პასუხს მისცემენ კითხვებზე, რომლებითაც მუშები მიმართავენ. ლიტერატურა იმავე მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს და სრულებითაც არ ატარებდეს პარტიულ ხასიათს. ამრიგად, კომიტეტის ტაქტიკითა და ახლანდელი ქცევით უკმაყოფილო ამ «წმინდა სოციალ-დემოკრატებმა» თვითონ მიმართეს «ყურის დაგდების» ფორმებს, რომლებიც დიდი ხანია უარყო ისტორიამ, ნეტარხსენებული ეკონომიზმის ფორმებს. თავი მიაჩნიათ რა სოციალ-დემოკრატებად, თავი მიაჩნიათ რა მუშათა კლასის მისწრაფებათა ჭეშმარიტ გამომხატველებად, ამ ვაჟბატონებს არ ესმით ან არა სურთ გაიგონ, რომ მუშათა მოძრაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს არსებით შედეგებს, თუ მის სათავეში იქნება ერთიანი მუშათა პარტია, თუ პროლეტარიატი შეიგნებს თავის კლასობრივ განკერძოებულობას და მიხვდება, რომ მისი ნამდვილი განთავისუფლება მოპოვებულ უნდა იქნას მისი საკუთარი ხელით და არა ბურჟუაზიული დემოკრატიის ხელით, რომელიც სახელს უტეხს მუშათა პარტიის მოქმედებას. ეს «კაცმა რომ სთქვას» სოციალ-დემოკრატები, ვითომდა მარქსისტები, უნდა მიმხვდარიყვნენ, თუ რა გარყვნილება შეაქვთ მუშათა მასაში, როცა ცდილობენ აჩვენონ, რომ (სოციალ-დემოკრატებმა კი არა) ვიღაც «დემოკრატებმა», რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან შესდგებიან, უნდა უჩვენონ მუშებს თავისუფლებისა და სოციალიზმის გზა.

თუმცაღა, ეს უკანასკნელი, მგონია, მათ სულაც დაივიწყეს, რაკი დღევანდელი დღის პოლიტიკანობამ გაიტაცა. მათ თანდათანობით გადააქვთ ოპორტუნიზმის ელემენტები მუშათა მოძრაობაში. ინტელიგენტების მოიმედე მუშები აღარ მიისწრაფიან საკუთარი პარტიის შექმნისაკენ. მაშ რატომ იწყნარებენ და კიდეც აქეზებენ მუშათა კლასის ეს ახალი მეგობრები ასეთ მოვლენებს? გულახდილ პასუხს ამაზე თვითონ «დემოკრატებივე» იძლევიან: «წინათ ჩვენი ჯგუფი

მხოლოდ ინტელიგენციაში მუშაობდა, — ამბობენ ისინი, — მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა გვაიძულა მუშებისთვისაც მიგვემართაო».

ბატონმა დემოკრატიულმა მეწვრილმანეებმა, რომლებიც თავიანთ თავს «პრინციპულ» სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ, თავიანთი მოწყალე ყურადღება მიაპყრეს პროლეტარულ მოძრაობას მხოლოდ მაშინ, როცა მუშები ქუჩაში გამოვიდნენ და ქვაფენილები ათასობით მუშის სისხლით შეიღება. და მაშინ ისინი, გამოდიან რა მუშათა კლასის ჭეშმარიტ მეგობრებად, თვალთმაქცურად გვერდს უვლიან ათეული წლების მუშაობას, რომელმაც მოამზადა და წარმართა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური განწყობილება და მრავალი მსხვერპლის ფასად შექმნა ერთიანი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. როგორც ჩანს, ამ მოდერნის სტილის სოციალ-დემოკრატებს მთელი მარქსისტული თეორიიდან გამოუტანიათ მხოლოდ ერთი რამ (ისიც არცთუ დიდი ხანია), რომ მხოლოდ ორგანიზებული პროლეტარიატის ძალა დაამხობს თვითმპყრობელობის თვითნებობას და მოიპოვებს პოლიტიკურ თავისუფლებას, რომლითაც ისარგებლებს, უმთავრესად, ბურჟუაზია. პროლეტარიატის ახალი მეგობრები წამოსკუპებულან მუშათა მოძრაობის სავარძელზე, ერეკებიან მას უშუალო შედეგების მათრახით და შესძახიან: «წინ, ჩვენი თავისუფლებისაკენ!». კარგად არის ნათქვამი რუსული ანდაზა: «დაგვიფარე, უფალო, მეგობრებისაგან, მტრებისაგან ჩვენ თვითონ ვიხსნით თავსაო»».

«ვპერიოდ» № 10,
1905 წ. 15 (2) მარტი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

პროლეტარიატი და გლეხობა

იწყება გლეხთა აჯანყებანი. სხვადასხვა. გუბერნიიდან ცნობები მოდის, გლეხები მემამულეთა კარმიდამოებს თავს ესხმიან, გლეხები მემამულეთა პურის, პირუტყვის კონფისკაციას ახდენენო. მეფის ჯარი, რომელიც იაპონელებმა მანჯურიაში სასტიკად დაამარცხეს, სამაგიეროს უიარაღო ხალხს უხდის, ექსპედიციებს აწყობს შინაური მტრის — სოფლის ღარიბთა წინააღმდეგ. ქალაქის მუშათა მოძრაობა ახალ მოკავშირეს იძენს რევოლუციური გლეხობის სახით. გლეხთა მოძრაობისადმი პროლეტარიატის შეგნებული ავანგარდის, სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხს უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება და ეს საკითხი უახლოეს დღის წესრიგში უნდა დაისვას ყველა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ყოველი გამოსვლის დროს.

სოციალ-დემოკრატიას უკვე არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ გლეხთა მოძრაობა მას ორნაირ ამოცანას უსახავს. ჩვენ აუცილებლად მხარს უნდა ვუჭერდეთ და წინ ვუბიძგებდეთ ამ მოძრაობას, რამდენადაც იგი რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას წარმოადგენს. ამასთან ერთად ჩვენ განუხრელად უნდა ვიდგეთ ჩვენს კლასობრივ პროლეტარულ თვალსაზრისზე, ვრაზმავდეთ სოფლის პროლეტარიატს, ქალაქის პროლეტარიატის მსგავსად და მასთან ერთად დამოუკიდებელ კლასობრივ პარტიად, განვუმარტავდეთ მისი ინტერესებისა და ბურჟუაზიული გლეხობის ინტერესების მტრულ წინააღმდეგობას, მოვუწოდებდეთ სოციალისტური რევოლუციისათვის

ბრძოლისაკენ, მივუთითებდეთ, რომ ჩაგვრისა და სიღატაკისაგან ხსნა მდგომარეობს არა გლეხობის რამდენიმე ფენის წვრილ ბურჟუებად გადაქცევაში, არამედ მთელი ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტური წყობილებით შეცვლაში.

სოციალ-დემოკრატიის ეს ორნაირი ამოცანა არა ერთხელ აღნიშნულა ხაზგასმით ძველ «ისკრაში», დაწყებული № 3-დან *, ე. ი. 1902 წლის პირველ გლეხურ მოძრაობაზე კიდევ უფრო ადრე; იგი გამოთქმულია ჩვენს პარტიულ პროგრამაშიც; იგი განმეორებულია ჩვენს გაზეთშიც (№ 3**). ახლა, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ამოცანის გამორკვევას მისი პრაქტიკულად დაყენებით, საინტერესოა მოვიყვანოთ შენიშვნები კარლ კაუტსკისა, რომელმაც გერმანულ სოც.-დემ. ჟურნალ «Die Neue Zeit»-ში *** მოათავსა სტატია «გლეხები და რევოლუცია რუსეთში». როგორც სოციალ-დემოკრატი, კაუტსკი განუხრელად იცავს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი რევოლუციის წინაშე ა ხ ლ ა დგას არა სოციალისტური გადატრიალების ამოცანა, არამედ წარმოების არსებული, ე. ი. კაპიტალისტური წესის განვითარების გზაზე პოლიტიკურ დაბრკოლებათა მოსპობის ამოცანა. და კაუტსკი განაგრძობს: «ქალაქის რევოლუციური მოძრაობა ნეიტრალური უნდა რჩებოდეს გლეხისა და მემამულის ურთიერთობის საკითხში. მას არავითარი საფუძველი არა აქვს ჩადგეს გლეხებსა და მემამულეს შორის, გამოდიოდეს ამ უკანასკნელის დასაცავად პირველთა წინააღმდეგ; მისი თანაგრძნობა სავსებით გლეხობის მხარეზეა. მაგრამ ქალაქის რევოლუციური მოძრაობის ამოცანას სრულებითაც არ წარმოადგენს აგრეთვე გლეხობის წასისიანება მემამულეთა წინააღმდეგ, რომელნიც თანამედროვე რუსეთში სრულებითაც არ ასრულებენ იმ როლს, როგორსაც ასრულებდა თუნდაც «ძვე-

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 517 — 527. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 83 — 91. რ ე დ.

*** — «ახალი დროება». რ ე დ.

ლი წესწყობილების» დროის საფრანგეთის ფეოდალური თავადაზნაურობა. ესეც კია, ქალაქის რევოლუციონერები, კიდევაც რომ მოენდომებინათ, ძალიან მცირე გავლენის მოხდენას შესძლებდნენ მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობაზე. ამ ურთიერთობას მემამულეები და გლეხები თვითონვე განსაზღვრავენ ერთმანეთს შორის». სწორად რომ გავიგოთ კაუტსკის ეს შენიშვნები, რომლებსაც, თუ მათ საერთო შინაარსიდან ამოვგლეჯთ, შეუძლიათ გაუგებრობა გამოიწვიონ, აუცილებლად მხედველობაში უნდა გვქონდეს აგრეთვე მისი შემდეგი შენიშვნა სტატიის ბოლოს. «ძლევამოსილ რევოლუციას, — ამბობს იგი, — ალბათ განსაკუთრებული სიძნელეები არ გადაეღობება, რომ რევოლუციის უბოროტესი მტრების დიდი ლატიფუნდიები პროლეტართა და გლეხთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად გამოიყენოს».

მკითხველი, რომელიც ყურადღებით შეადარებს ერთმანეთს კაუტსკის ყველა ამ მტკიცებას, ადვილად დაინახავს მათში საკითხის სწორედ იმ სოციალ-დემოკრატიულ დაყენებას, რომელიც ჩვენ ახლა ავსახეთ. ცალკეული არასიზუსტენი და გაურკვევლობა კაუტსკის გამოთქმებში შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ მისი შენიშვნები გაკვრით არის გამოთქმული და რომ იგი საკმაოდ ვერ არის გაცნობილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარულ პროგრამას. საქმის არსი ის არის, რომ რევოლუციური პროლეტარიატის დამოკიდებულება გლეხობისა და მემამულეების დავისადმი არ შეიძლება ყველა შემთხვევაში და ყველა პირობაში ერთნაირი იყოს რუსეთის რევოლუციის სხვადასხვა პერიპეტიების დროს. ერთგვარ პირობებში, განსაზღვრულ კონიუნქტურათა დროს ეს დამოკიდებულება უნდა იყოს არა მარტო თანაგრძნობის მაჩვენებელი დამოკიდებულება, არამედ პირდაპირი მხარდაჭერის დამოკიდებულება, და არა მარტო მხარდაჭერის, არამედ «წასისიანებისაც». სხვა პირობებში ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც ნეიტრალური. კაუტსკის, როგორც მოყვანილი შენიშვნებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, სწორედ შეუმჩნევია ჩვენი ამოცანის ეს

ორი მხარე, — არა მარტო ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან» განსხვავებით, რომელნიც მთლიანად ჩაეფლნენ რევოლუციური დემოკრატიის ვულგარულ ილუზიებში, არამედ ბევრი სოციალ-დემოკრატისგან განსხვავებითაც, რომელნიც რიაზანოვის ან იქსის[56] მსგავსად, ამოცანის «მარტივ», ყველა კომბინაციისათვის ერთნაირ გადაჭრას ეძებდნენ. ასეთი სოც.-დემოკრატების (და ყველა სოც.-რევ.) ძირითადი შეცდომა ის არის, რომ ისინი კლასობრივ თვალსაზრისს ვერ იცავენ და, როდესაც ამოცანის ისეთ გადაჭრას ეძებენ, რომელიც ყველა კომბინაციისათვის ერთნაირი უნდა იყოს, ივიწყებენ შეძლებული და საშუალო გლეხობის ორმაგ ბუნებას. თავიანთ მსჯელობაში ისინი, არსებითად, მხოლოდ ორ კლასს იღებენ მხედველობაში: ან მემამულეებსა და «გლეხურ-მუშურ კლასს», ან მესაკუთრეებსა და პროლეტარებს. ნამდვილად კი ჩვენს წინაშეა სამი სხვადასხვა კლასი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი უახლოესი და საბოლოო მიზნებით: მემამულენი, შეძლებული და ნაწილობრივ საშუალო გლეხობა და, ბოლოს, პროლეტარიატი. პროლეტარიატის ამოცანა, ასეთ ვითარებაში, არ შეიძლება ნამდვილად ორმხრივი არ იყოს, და სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამისა და აგრარული ტაქტიკის მთელი სიძნელე რუსეთში მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ნათლად და ზუსტად განისაზღვროს, თუ რა პირობებშია პროლეტარიატისათვის ნეიტრალიტეტი სავალდებულო და რა პირობებშია სავალდებულო მხარდაჭერა და «წასისიანება».

ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: გლეხურ ბურჟუაზიასთან ერთად ყოველგვარი ბატონყმობის წინააღმდეგ და მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ, ქალაქის პროლეტარიატთან ერთად გლეხური და ყოველგვარი სხვა ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ასეთია სოფლის პროლეტარისა და მისი იდეოლოგის სოციალ-დემოკრატის «ხაზი». სხვანაირად, რომ ვთქვათ: მხარი დავუჭიროთ და წავაქეზოთ გლეხობა იმისათვის, რომ ყოველნაირად წაართვას მებატონეებს ყო-

ველგვარი «წმიდათა წმიდა საკუთრება», რამდენადაც ეს გლეხობა რევოლუციურ-დემოკრატიულ გლეხობად გამოდის. უნდობლად მოვეკიდოთ გლეხობას, დავირაზმოთ მისგან განცალკევებით, მზად ვიყოთ მასთან საბრძოლველად, რამდენადაც ეს გლეხობა რეაქციულად ანუ პროლეტარიატის საწინააღმდეგოდ გამოდის. კიდევ სხვანაირად: გლეხისათვის ხელის შეწყობა, როდესაც მის ბრძოლას მემამულის წინააღმდეგ სარგებლობა მოაქვს დემოკრატიის განვითარებისა და განმტკიცებისათვის; ნეიტრალიტეტი გლეხის მიმართ, როდესაც მისი ბრძოლა მემამულის წინააღმდეგ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მიწათმფლობელი კლასის ორ ფრაქციას შორის ანგარიშის გასწორებას, რომელიც პროლეტარიატისა და დემოკრატიისათვის მნიშვნელობას მოკლებულია.

ცხადია, ასეთი პასუხი არ დააკმაყოფილებს იმ ადამიანებს, რომლებიც გლეხთა საკითხს არ უდგებიან მოფიქრებული თეორიული შეხედულებით, გატაცებული არიან გავრცელებული და ეფექტიანი «რევოლუციური» (სიტყვიერად) ლოზუნგით და არ ესმით რევოლუციური ავანტიურიზმის უდიდესი და სერიოზული საშიშროება სწორედ გლეხთა საკითხის სფეროში. ასეთი ადამიანების მიმართ, — ხოლო ისინი ახლა ჩვენს შორის უკვე ცოტანი როდი არიან, მათ რიცხვს ეკუთვნიან სოციალისტ-რევოლუციონერები, და რევოლუციის განვითარება გლეხთა მოძრაობასთან ერთად მათი რიგების გადიდების საწინდარს წარმოადგენს, — ასეთი ადამიანების მიმართ სოციალ-დემოკრატები განუხრელად უნდა იცავდნენ კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისს ყოველგვარი რევოლუციური უსახობის წინააღმდეგ, გლეხობის სხვადასხვაგვარი ელემენტების ფხიზლად აღრიცხვას რევოლუციური ფრაზის წინააღმდეგ. პრაქტიკულად და კონკრეტულად რომ ვთქვათ, შეიძლება ყველაზე მეტად დავუახლოვდეთ ჭეშმარიტებას ასეთი მტკიცებით: აგრარულ საკითხში სოციალ-დემოკრატიის ყველა მოწინააღმდეგე ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ ჩვენში საკუთრივ ევროპულ რუსეთში მთელი ფენა

(1½ — 2 მილიონი კომლი დაახლოებით 10 მილიონი კომლიდან) შეძლებული გლეხებია. ამ ფენის ხელშია ნახევარი მაინც მთელი საწარმოო იარაღებისა და მთელი საკუთრებისა, რომელიც გლეხობის განკარგულებაშია. ამ ფენას არ შეუძლია მოჯამაგირეთა და დღიურ მუშათა დაუქირავებლად არსებობა. ეს ფენა, უეჭველია, მტრულად არის განწყობილი ბატონყმობისადმი, მემამულეებისადმი, მოხელეებისადმი, მას შეუძლია დემოკრატი გახდეს, მაგრამ კიდევ უფრო უეჭველია მისი მტრული დამოკიდებულება სოფლის პროლეტარიატისადმი. ყოველი ცდა — მიჩქმალონ ეს კლასობრივი მტრობა, გვერდი აუარონ მას აგრარულ პროგრამასა და ტაქტიკაში — არის სოციალისტური თვალსაზრისის შეგნებულად ან შეუგნებლად მიტოვება.

სოფლის პროლეტარიატსა და გლეხურ ბურჟუაზიას შორის არის საშუალო გლეხობის ფენა, რომლის მდგომარეობაში ამ ორივე ანტიპოდის თვისებები მოიპოვება. ყველა ამ ფენის, მთელი გლეხობის მდგომარეობის საერთო თვისებები, უეჭველია, დემოკრატიულს ხდის მთელ მის მოძრაობასაც, რაც უნდა დიდი იყოს შეუგნებლობის ან რეაქციულობის ესა თუ ის გამოხატულება. ჩვენი ამოცანაა არასოდეს არ გადავუხვიოთ კლასობრივ თვალსაზრისს და მოვაწყოთ ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის უმჭიდროესი კავშირი. ჩვენი ამოცანაა გავურკვიოთ ჩვენს თავსა და ხალხს ის ნ ა მ დ ვ ი ლ ი დემოკრატიული და რევოლუციური შინაარსი, რომელიც იფარება საყოველთაო, მაგრამ ბუნდოვან მისწრაფებაში «მიწისა და თავისუფლებისაკენ». ამიტომ ჩვენი ამოცანაა უაღრესად ენერგიულად დავუჭიროთ მხარი და წინ წავუბიძგოთ ამ მისწრაფებას, სოციალისტური ბრძოლის ელემენტების სოფლადაც მომზადებასთან ერთად.

ზუსტად რომ განსაზღვროს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პრაქტიკული დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი, ჩვენი პარტიის მესამე ყრილობამ უნდა მიიღოს რეზოლუცია გლეხთა მოძრაობისათვის მხარდაჭერის შესახებ. აი პროექტი ასეთი რეზოლუციისა, რომელიც აყალიბებს ზე-

მოხსენებულ და სოც.-დემოკრატიულ ლიტერატურაში არა ერთხელ განვითარებულ შეხედულებებს და რომელიც ახლა პარტიულ მუშაკთა რაც შეიძლება უფრო ფართო წრემ უნდა განიხილოს:

«რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, როგორც შეგნებული პროლეტარიატის პარტია, მიისწრაფის ყველა მშრომელთა სრული განთავისუფლებისაკენ ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან და მხარს უჭერს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას თანამედროვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. ამიტომ რსდმპ უაღრესად ენერგიულად უჭერს მხარს თანამედროვე გლეხურ მოძრაობასაც, იცავს ყველა რევოლუციურ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს გლეხობის მდგომარეობა, და არ ერიდება ამ მიზნისათვის მემამულეთა მიწის ექსპროპრიაციას. ამასთან რსდმპ, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი პარტია, განუხრელად მიისწრაფის სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციისაკენ და ერთი წუთითაც არ ივიწყებს ამოცანას — განუმარტოს სოფლის პროლეტარიატს მისი ინტერესებისა და გლეხური ბურჟუაზიის ინტერესების მტრული წინააღმდეგობა, განუმარტოს მას, რომ სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატის მხოლოდ ერთობლივმა ბრძოლამ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ შეიძლება მიგვიყვანოს სოციალისტურ რევოლუციამდე, რომელსაც ერთადერთს ძალუძს ნამდვილად იხსნას სიღატაკისა და ექსპლოატაციისაგან სოფლის ღარიბთა მთელი მასა.

როგორც გლეხობაში აგიტაციის პრაქტიკულ ლოზუნგს და როგორც ამ მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი შეგნების შეტანის საშუალებას რსდმპ საჭიროდ სთვლის დაუყოვნებლივ შეიქმნას გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ყველა დემოკრატიული გარდაქმნისათვის ყოველმხრივ მხარის დასაჭერად და ამ გარდაქმნათა უკლებლივ განსახორციელებლად. და ასეთ კომიტეტებში რსდმპ ეცდება დამოუკიდებლად დარაზმოს სოფლის პროლეტარები, ერთი მხრივ, იმ მიზნით,

რომ მხარი დაუჭიროს მთელ გლეხობას მთელ მის რევოლუციურ-დემოკრატიულ გამოსვლებში, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის პროლეტარიატის ჭეშმარიტი ინტერესების დასაცავად მის ბრძოლაში გლეხურ ბურჟუაზიასთან».

«ვპერიოდ» № 11,
1905 წ. 23 (10) მარტი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ქუჩის ბრძოლის შესახებ [57]

(კომუნის გენერლის რჩევა)

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. ეს სტატია პარიზის კომუნის განთქმული მოღვაწის კლუზერეს ერთ-ერთი მემუარის თარგმანია. როგორც ქვემოთ მოყვანილი მოკლე ბიოგრაფიული ცნობებიდან ჩანს, იგი თავის მოსაზრებებს ამყარებდა უმთავრესად, თუმცა არა მხოლოდ და მხოლოდ, პარიზის ქუჩებში მომხდარ აჯანყებათა გამოცდილებაზე. გარდა ამისა, მას მხედველობაში ჰქონდა სპეციალურად პროლეტარიატის რევოლუცია ყველა შეძლებულ კლასთა წინააღმდეგ, მაშინ როცა რუსეთში ჩვენ ახლა მოწმენი ვართ საერთო სახალხო რევოლუციისა მმართველი ხროვის წინააღმდეგ. ამიტომ თავისთავად ცხადია, კლუზერეს ორიგინალური აზრები რუსეთის პროლეტარიატმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ როგორც მასალა დასავლეთევროპელ ამხანაგთა გამოცდილების დამოუკიდებელი, ჩვენს პირობებთან შეფარდებული გადამუშავებისათვის. ზედმეტი არ იქნება მოკლედ გავაცნოთ მკითხველს ავტორის ბიოგრაფია, რომელიც ინტერესს არ არის მოკლებული.

გუსტავ-პაველ კლუზერე (Cluseret) დაიბადა პარიზში 1823 წლის 13 ივნისს. სწავლობდა სენ-სირის სამხედრო სკოლაში და იქიდან გამოვიდა 1843 წელს პოდპორუჩიკის (sous-lieutenant) წოდებით. 1848 წელს, პორუჩიკის წოდებით, უაღრესად ენერგიულ მონაწილეობას იღებდა პარიზის მუშათა აჯანყების ჩაქრობაში (ივნისის დღეები). 6 საათის განმავლობაში აიღო 11 ბარიკადი და ხელთ იგდო 3 დროშა. ამ «გმირობისათვის» საპატიო ლეგიონის ორდენი მიიღო. 1855 წელს, კაპიტნის წოდებით, მონაწილეობას იღებდა ყირიმის

კამპანიაში. შემდეგ სამსახურიდან გადადგა. მონაწილეობას იღებდა გარიბალდის არმიის ომში იტალიის განთავისუფლებისათვის. 1861 წელს ამერიკაში წავიდა და მონაწილეობას იღებდა შინაომში მონათმფლობელი შტატების წინააღმდეგ. მიიღო გენერლის წოდება და (Graskeys-თან გამარჯვების შემდეგ) ამერიკის მოქალაქეობის უფლება. დაბრუნდა საფრანგეთში. 1868 წელს საპყრობილეში ჩასვეს გაზეთ «L'Art»-ში * მოთავსებული სტატიებისათვის. სენ-პელაჟის საპყრობილეში კავშირი გააბა ინტერნაციონალის მოღვაწეებთან. გაზეთებში მკაცრი სამხედრო კრიტიკის მოთავსებისათვის გაძევებულ იქნა საფრანგეთიდან, როგორც ამერიკის მოქალაქე. რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ (1870 წ. 4 სექტ.) პარიზს დაბრუნდა, მონაწილეობას იღებდა ლიონისა და მარსელის აჯანყების გამოწვევის ცდებში. 1871 წლის 3 აპრილს დაინიშნა კომუნის სამხედრო მინისტრად. 16 აპრილს არჩეულ იქნა კომუნის წევრად. ისის ფორტის დათმობისათვის გადაყენებულ იქნა კომუნის მიერ და დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ ამხანაგთა სასამართლომ გაამართლა. 1881 წლის ამნისტიის შემდეგ დაბრუნდა საფრანგეთში, წერდა გაზეთებში «კ ო მ უ ნ ა ს ა» და «მ ა რ ს ე ლ ი ე ზ ში». არმიაში ურჩობის გაღვივებისათვის მიესაჯა ორი წლის საპყრობილე. გაიქცა საფრანგეთიდან. 1888 წელს დეპუტატთა პალატის არჩევნებში გამოდიოდა როგორც რევოლუციური პარტიის კანდიდატი, დაუნდობლად ებრძოდა პარლამენტარიზმსა და რადიკალურ, «კლემანსისტურ» პარტიას. 1889 წელს არჩეულ იქნა ტულონის მე-2 ოლქიდან დეპუტატთა პალატაში. ეკუთვნოდა მუშათა სოციალისტურ ჯგუფს. დაწერა წიგნი «არმია და დემოკრატია» (1869) და კომუნისადმი მიძღვნილი «მემუარების» (1887) ორი ტომი.

«ვპერიოდ» № 11,
1905 წ. 23 (10) მარტი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

* — «ხელოვნება». რ ე დ.

პირველი ნაბიჯი

ირეკდით და განგეღოს თქვენ, — ვთქვით ჩვენ, როდესაც «ისკრის» № 91-ში წავიკითხეთ პარტიის საბჭოს 1905 წლის 10 მარტის დადგენილება. რუსეთამდე მიღწევაც კი ვერ მოასწრო საბჭოს 1905 წლის 8 მარტის დადგენილების ამბავმა და «ვპერიოდის» № 10-ში მოთავსებულმა ჩვენმა პასუხმა *, რომ უკვე გვიხდება აღვნიშნოთ საბჭოს ახალი და შესანიშნავი შებრუნება, შებრუნება, რომლისთვისაც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სულით და გულით მივესალმოთ ამხანაგ ახალისკრელებს და სულით და გულით ვუსურვოთ მათ შემდგომი ნაბიჯის გადადგმა ამ მიმართულებით.

საბჭოს 1905 წ. 10 მარტის დადგენილება წარმოადგენს მიმართვას III პარტიული ყრილობის წევრებისადმი, რომელსაც რუსეთის ბიურო იწვევს; იგი წინადადებას აძლევს ყრილობას, მიიღოს გერმანიის პარტიისა და ბებელის შუამავლობა პარტიის მთლიანობის აღდგენისათვის და თანხმობას აცხადებს, რომ გამოგზავნოს ყრილობაზე საბჭოს ორი წარმომადგენელი, რომლებმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოონ საქმის სამედიატორო გარჩევის იდეის განხორციელების შესახებ.

«ა ხ ა ლ გ ზ ა ზ ე» პირველი ნაბიჯის გადადგმისას საბჭოს, რასაკვირველია, არ შეეძლო არ მიემართნა ზოგიერთი თავისი ძველი ხერხისათვის, არ შეეძლო არ გაემეორებინა ის სიცრუე, რომლის შინაგანი შეუსაბამობა ჩვენ უკვე ცხადვყავით «ვპერიოდის» № 10-ში, — სახელდობრ ის, თითქოს

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 250 — 260. რ ე დ.

ყრილობა, რომელსაც რუსეთის კომიტეტთა უმრავლესობა იწვევს, პარტიული ყრილობა არ იყოს, თითქოს «პარტიის წევრთა უმნიშვნელო ჯგუფს» სურდეს «თავს მოახვიოს თავისი გადაწყვეტილებანი პარტიის ნამდვილ უმრავლესობას». ეს ფანდები უბადრუკი იქნებოდა, სასაცილო რომ არ იყოს, და ჩვენ არ გვინდა ერთხელ კიდევ შევჩერდეთ მათზე. არ გვინდა მეტადრე იმიტომ, რომ მთელ ყურადღებას ბუნებრივად იპყრობს საბჭოს ახალი ნაბიჯი, საბჭოსი, რომელმაც ბოლოს ძლივს (ძლივს!) გაიგო პარტიული ყრილობის მნიშვნელობა პარტიული კრიზისის მოგვარების საქმეში, როგორც იქნა მოახდინა პირველი, თუმცა მცირე, გაუბედავი, არათანამიმდევარი, მაგრამ რაც უნდა იყოს მაინც ცდა — მოვლენებს უბრალოდ შეხედოს, მათ ნამდვილი სახელი უწოდოს და სინჯოს გზა — «ახალი გზა» პარტიის მთლიანობის აღდგენისა პარტიის იმ ორ ნაწილს შორის უშუალო მოლაპარაკების საშუალებით, რომლებიც მეორე ყრილობის შემდეგ შეიქმნენ.

კეთილი იყოს ეს ნაბიჯი! დიდი ხნის წინათ გექნათ ასე, — მაშინ პროლეტარიატის პარტიას აშორდებოდა ტანჯვით აღსავსე, უაზრო, გაჭიანურებული კრიზისისა და ფარული გათიშვის ბევრი თვე. ცოტა უფრო სერიოზული და გულწრფელი სურვილი რომ გამოგეჩინათ — პირდაპირ და აშკარად გაგეწიათ ანგარიში რუსეთში მოქმედ პარტიულ მუშაკთა ნებისათვის, — რუსეთის სოციალ-დემოკრატია უკვე ამ ერთი წლის წინათ დააღწევდა თავს დროებითს განხეთქილებას. დიახ, ერთი წლის წინათ, ერთ წელიწადზე უფრო ადრეც.

ეს იყო 1904 წ. იანვრის დამლევს. პარტიის საბჭო პირველად შეიკრიბა პარტიის ახალი მდგომარეობისა და პარტიული კრიზისის განსახილველად — პლეხანოვის, აქსელროდის, მარტოვის, ვასილიევისა[58] და ლენინის შემადგენლობით. ეს ორი უკანასკნელი, ცენტრალური კომიტეტის წევრები და უმრავლესობის მომხრენი, ნათლად ხედავდა, რომ პარტია ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ უკვე გათიშულია უმცირესობის მიერ და რომ ამ გათიშვის ფ ა რ უ ლ ხასიათს დაუსრულებელი გახრწნილება შეაქვს პარტიაში, ახდენს მის სრულ დემორალიზა-

ციას, ერთ მხარეს ხელ-ფეხს უხსნის «შფოთის» მეტისმეტად აღვირახსნილი ფანდებისათვის, მეორე მხარეს კი ხელ-ფეხს უბორკავს საერთო გადაწყვეტილებათა დაცვის მოვალეობით. პარტიის ფ ა რ უ ლ ი გათიშვა დაახლოებით ისევე შეეფარდება (თავისი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობით და თავისი მორალურ-პოლიტიკური შედეგებით) აშკარა გათიშვას, როგორც ფარული ადიულტერი შეეფარდება აშკარა თავისუფალ სიყვარულს.

და აი ამიტომ საბჭოს აღნიშნულ წევრებს შეაქვთ რეზოლუცია (1904 წ. 28 იანვ.), რომელიც მთლიანად დაბეჭდა შახოვმა (ბრძოლა ყრილობისათვის, გვ. 81) და რომელშიც ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოწინააღმდეგენი რედაქციაშიც სჭარბობენ და საბჭოშიც, ე. ი. პარტიის უმაღლეს დაწესებულებაში, პირველნი იწყებენ ლაპარაკს ისტორიული მომენტის უაღრესად სერიოზული ამოცანების გამო პარტიაში ზავის აუცილებლობის შესახებ. ბოლშევიკები იქ აღნიშნავენ მკვეთრ განსხვავებას, ერთი მხრივ, საჭირო და აუცილებელ იდეურ ბრძოლასა და, მეორე მხრივ, «არასაკადრის შფოთსა», დეზორგანიზაციასა, ადგილუფროსობასა, ბოიკოტსა და სხვ. შორის. ბოლშევიკები პარტიის საბჭოს წინადადებით მიმართავენ მოუწოდოს პარტიის ყველა წევრს, რომ მათ «რაც შეიძლება დაჩქარებით უკუაგდონ ყველა წვრილმანი ურთიერთანგარიში და ერთხელ და სამუდამოდ ისეთ ჩარჩოში ჩააყენონ იდეური ბრძოლა, რომ იგი არ იწვევდეს წესდების დარღვევას, არ აფერხებდეს პრაქტიკულ საქმიანობას და დადებითს მუშაობას». ჩვენ იმდენად ბევრი გვყავს პარტიის გულმავიწყი წევრები, რომელთაც პარტიის თვითმოქმედებაზე ლაპარაკი უყვართ, მაგრამ უქმი ჭორები ურჩევნიათ პარტიული გათიშვის დოკუმენტების შესწავლას, რომ დაბეჯითებით ვურჩევთ ყველა ამხანაგს, ვისაც სურს პარტიულ საქმეებში გაერკვეს, ჩაიხედოს ბროშურის «ბრძოლა ყრილობისათვის» 81-ე გვერდზე.

მენშევიკებმა, რა თქმა უნდა, უარყვეს ლენინისა და ვასილიევის რეზოლუცია და მიიღეს (პლეხანოვმა, მარტოვმა და

აქსელროდმა) რეზოლუცია, რომელშიც ცენტრალურ კომიტეტს წინადადება ეძლევა «კოოპტაციის წესით» მიიწვიოს მენშევიკები. ვინაიდან ცენტრალურმა კომიტეტმა 1903 წ. 26 ნოემბერს თანხმობა განაცხადა კოოპტაციის წესით მიეწვია ორი მენშევიკი თავისი, ცენტრალური კომიტეტის, არჩევანის მიხედვით, საბჭოს ეს რეზოლუცია მხოლოდ იმას მოასწავებდა, რომ ცენტრალურ კომიტეტს თავს ახვევდნენ სამ გარკვეულ პერსონაჟს. ახლა უკვე მთელ პარტიას დოკუმენტურად აქვს შეტყობილი (ლენინის «განცხადებით» *), რომ სწორედ «სამის» გულისათვის ითხზებოდა პრინციპული უთანხმოება და წარმოებდა «არასაკადრისი შფოთი» 1904 წ. ნოემბრამდე. პასუხად რეზოლუციისა კოოპტაციის შესახებ ლენინმა და ვასილიევმა შეიტანეს განსაკუთრებული აზრი (შახოვი, გვ. 84), რომლის გადაკითხვასაც ჩვენ აგრეთვე ვურჩევთ ამხანაგებს უცოდინართა ან გულმავიწყთა ყურადსაღებად და რომელშიც ნათქვამია, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს წევრები «სრულებით და ოდნავაც ვერ ხედავენ» «პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის გარდა, სხვა საშუალებას ახლანდელი პარტიული უთანხმოებიდან პატიოსნად და სწორად თავის დაღწევისათვის, ვერ ხედავენ სხვა საშუალებას იმისათვის, რომ შეწყდეს ეს შეუწყნარებელი ბრძოლა ცენტრების შემადგენლობის გულისათვის».

მენშევიკებმა, ცხადია, ჩაშალეს ყრილობა. მათზე არ მოქმედებს არავითარი შთაგონება, რომ ყრილობაზე დასაშვებია ყოველგვარი შეთანხმება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა ისეთსავე საზიზღარ ფორმებს იღებს, როგორც ფარული და გაყიდული სიყვარული. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ მენშევიკების მხრივ, რაკი მათ გადაწყვიტეს თავი არ შეიზღუდონ «გაყიდულ სიყვარულში», ეს ტაქტიკა ბუნებრივი და გასაგებია, შემარიგებელი პლეხანოვის მხრივ იგი წარმოადგენდა უდიდეს შეცდომას, რის სიცხადეც კრიზისის შემ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 661 — 673. რედ.

დგომმა მსვლელობამ გვიჩვენა. ახლა ყველა და ყოველი ხედავს, ყველამ და ყოველმა იცის ფაქტებიდან (სახელდობრ გლებოვისა[59] და მისი კომპანიის შემდგომი ქცევის ფაქტებიდან), რომ პლეხანოვს ხმა მიეცა 1904 წლის იანვარში ყრილობის სასარგებლოდ, ყრილობა ძალიან მალე იქნებოდა მოწვეული და ყრილობაზე ისეთი ძლიერი შემარიგებელი პარტია შეიქმნებოდა, რომ ის არაკითარ შემთხვევაში არ დაანებებდა უპირატესობის მოპოვებას არც უმრავლესობასა და არც უმცირესობას ცალ-ცალკე. ვიმეორებთ: ეს ფუჭი ვარაუდი კი არ არის, არამედ მოსაზრებაა, რომელიც უეჭველად დაამტკიცა შემდგომი ამბების ფაქტიურმა მსვლელობამ. მაგრამ პლეხანოვმაც «გაყიდული სიყვარული», ე. ი. ფარული გათიშვა ამჯობინა იმის ცდას, რომ პირდაპირ და აშკარად გაგვერკვია საქმე და საბოლოოდ შევთანხმებულიყავით.

რას ვხედავთ ახლა? მენშევიკები იძულებული არიან, თუმცა გაუბედავად, არათანამიმდევრად, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც იძულებული არიან მიადგნენ იმ გამოსავალს, რომელიც ბოლშევიკებმა წამოაყენეს. ბოლშევიკებმა თავისი გაიტანეს და მიაღწიეს ყრილობის მოწვევას, ისინი სამართლიანად ამბობენ, თუ ორივე «უძვირფასეს მეუღლეს» «ერთად ცხოვრება» აღარ უწერია, საჭიროა აშკარად დაშორდნენ ერთმანეთსაო.

რა თქმა უნდა, უმჯობესია საქმე გვიან გაკეთდეს, ვიდრე არასოდეს, და საბჭოს გაუბედავ ნაბიჯსაც კი, მის მზადყოფნას — გამოგზავნოს თავისი ორი «წარმომადგენელი», ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით. მაგრამ ჩვენ უთუოდ პროტესტს ვაცხადებთ ამ ნაბიჯის გაუბედაობისა და არათანამიმდევრობის წინააღმდეგ. რატომ გინდათ, ბატონებო, მხოლოდ საზღვარგარეთული საბჭოს ორი წარმომადგენელი გამოგზავნოთ ყრილობაზე? რატომ ყველა პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები არა? უმრავლესობის კომიტეტების რუსეთის ბიუროს წევრებმა ხომ ყველა მიიწვიეს ყრილობაზე და, კერძოდ, დაკვეთილი წერილები გა-

გზავნეს რედაქციაშიც, საბჭოშიც და ლიგაშიც! რატომ არის ასეთი უცნაური და გაუგებარი წინააღმდეგობა: ერთი მხრივ, ცენტრალური კომიტეტის სამ რაინდთან თვალთმაქცური ზავისათვის (წინასწარი განზრახვით უმრავლესობის კომიტეტების ნების წინააღმდეგ) თქვენ არ დასჯერდით «ორი თავისი წარმომადგენლის» გამოგზავნას საბჭოსაგან, არამედ შეეკითხეთ უმცირესობის ყველა კომიტეტსა და ორგანიზაციას, როგორც ეს პირდაპირ იყო განცხადებული «ისკრის» № 83-ში. ხოლო მეორე მხრივ, მთელ პარტიასთან ნამდვილი ზავის დასადებად «უშუალო მოლაპარაკებისათვის» თქვენ მარტო საზღვარგარეთული საბჭოს ორ წარმომადგენელს გზავნით. სადღა არიან აქ რუსეთის მენშევიკები, რომლებთანაც შეხმატკბილებას ჩვენ ერთიასად მეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვიდრე ლიტერატორთა კომპანიასთან? სადღა არიან აქ მუშები, ორგანიზაციათა წევრები და წარმომადგენლები, ის მუშები, რომლებსაც თქვენ მეორე ყრილობის წინააღმდეგ აქეზებდით და რომელთა თვითმოქმედებაზე ამდენს გაჰყვიროდით? სადღა არიან აქ ამხანაგები აკიმოვი და ბრუკერი, მახოვი და ეგოროვი (ან მათი მეგობრები და თანამოაზრენი), რომელნიც თავიანთი თვალსაზრისით სავსებით თანამიმდევრად უჭერდნენ მხარს მენშევიკებს, მაგრამ ამავე დროს სახელს არ იტეხდნენ, ე. ი. მონაწილეობას არ იღებდნენ კოოპტაციის გულისათვის კინკლაობაში? სადღა არიან აქ ამხანაგი კრიჩევსკი და სხვა ყოფილი «ეკონომისტები», რომლებსაც, როგორც გვარწმუნებდა ახალ «ისკრაში» პლეხანოვი, თქვენ ვითომც შეურიგდით, და ბევრი სხვა? სად არის აქ ამხანაგი რიაზანოვი, რომელთანაც ბევრ რამეში თქვენი სოლიდარობა ჩვენთვისაც გასაგებია და რომელმაც მაინც უარი განაცხადა შესულიყო ლიგაში, როგორც მენშევიკურ ორგანიზაციაში?

ან იქნებ თქვენ სთქვათ, რომ ამ ამხანაგებს მანდატები არა აქვთ? მაგრამ თქვენ ხომ ისე სწერთ ყრილობას წერილს, რომ

«ყოველგვარი ფორმალური მოსაზრება უკუაგდეთ»!!

არა, ბატონებო, ჩვენ ნახევარზომებით ვერ დაგვაკმაყოფილებთ და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით ვერ გამოგვკვებავთ. პირდაპირ ვილაპარაკოთ და «ფორმალურ მოსაზრებებს» თავი დავანებოთ — თუ თქვენ გსურთ ვიმუშაოთ ერთად, ერთი ორგანიზაციის რიგებში, მაშინ გამოცხადდით ყრილობაზე ყველანი და მოუხმეთ აგრეთვე ყველა ამხანაგს, რომლებსაც ჩვენ გვაშორებენ მარტოოდენ იდეური და არა საკოოპტაციო მოსაზრებანი. მაშინ ანგარიში გაუწიეთ «რევოლუციონერის კეთილ სურვილს», რომელსაც თქვენ ასე უხეიროდ იმოწმებდით, როდესაც ყრილობას გაურბოდით; მხოლოდ ამ «კეთილ სურვილს» შეუძლია, მთლიანად და უეჭველად შეუძლია გადაწყვიტოს ყრილობაზე წარმოდგენილი მთელი პარტიის ბედი. მაშინ ეძებეთ შუამავლები, რომლებსაც შეეძლებათ გავლენა მოახდინონ ყრილობის ყველა წევრის «კეთილ სურვილზე». ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით ყოველ ასეთ შუამავალს.

ირეკდით და განგეღოს თქვენ... ბოლშევიკებმა თავისი აშკარა ბრძოლით მიაღწიეს იმას, რომ ჩვენ ახლა პირისპირ მივადექით შესაძლებელ უშუალო, არაორაზროვან გამოსავალს კრიზისიდან. ჩვენ მივაღწიეთ ყრილობის მოწვევას. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ნაცვლად ბურბონული დატუქსვისა, რასაც მიმართავდა უპარტიოდ დარჩენილი პარტიის საბჭო, მენშევიკებმა პირი იბრუნეს პირდაპირი და აშკარა წინადადებისაკენ უშუალო მოლაპარაკების შესახებ. ეყოფა თუ არ ეყოფა საბჭოს ჭკუა და პატიოსნება, რომ მეორე ნაბიჯი გადადგას «ახალ გზაზე»? — ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველ შემთხვევაში მივაღწევთ პარტიულობის სრულ გამარჯვებას წრეობანაზე.

«ვპერიოდ» № 11,
1905 წ. 23 (10) მარტი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

პარტიული პროგრამის ისტორიისათვის [69]

როცა პლეხანოვი ხაზს უსვამს იმას, რომ პროგრამის პროექტი ჩემი დაწერილი ა რ ა რ ი ს, ამით მას პირველს გამოაქვს საჯაროდ, — სიტყვაგადაკვრის, დაყვედრებისა და საყვედურის სახით, — ჩვენი დავა პროგრამის პროექტის შესახებ. სამწუხაროდ, იგი არ მოგვითხრობს ამ დავას, არამედ სჯერდება ჭორს, ე. ი. პიკანტურ, მაგრამ ბუნდოვან და შეუმოწმებელ მტკიცებას. ამიტომ მე უნდა დავძინო ჩემი კოლეგის სტატიას პლეხანოვის წინააღმდეგ, რომ მე მაქვს საბუთები, რომლებიც შეეხება ჩვენს დავას პროგრამის პროექტის განხილვის დროს, და როცა შემთხვევა მოიტანს, ამ საბუთებს გამოვაქვეყნებ. მაშინ მკითხველები დაინახავენ: 1) რომ სრულიად მოკლებულია სიმართლეს პლეხანოვის მტკიცება, თითქოს ჩვენ ურთიერთობა გაგვიგრილდა «რა ვაკეთოთ?»-ის გამო. ეს მოხდა იმიტომ, რომ ექვსეული შუაზე გაიყო პროგრამაზე დავის დროს; 2) რომ მე ვიცავდი და დავიცავი, რათა პროგრამაში შეგვეტანა თეზისი წვრილი წარმოების განდევნის შესახებ მსხვილი წარმოების მიერ. პლეხანოვს სურდა დაკმაყოფილებულიყო ბუნდოვანი გამოთქმით, მსგავსად ცნობილი სიტყვებისა — «ცოტად თუ ბევრად»; 3) რომ მე ვიცავდი და დავიცავი შეცვლა ტერმინისა «მშრომელი და ექსპლოატირებული მასა» ტერმინით «პროლეტარიატი» იმ ადგილას, სადაც ლაპარაკი იყო ჩვენი პარტიის კლასობრივ ხასიათზე; 4) რომ რო-

დესაც მე და ჩემი მომხრენი ექვსეულში ვუსაყვედურებდით პლეხანოვს, რომ პროგრამის მის პროექტში პარტიის პროლეტარული ხასიათი საკმაოდ არ იყო გამოსახული, იგი თავს იცავდა კონტრბრალდებით, რომ მე პარტიის პროლეტარული ხასიათი მარტინოვისებურად მესმის.

«ვპერიოდ» № 11,
1905 წ. 23 (10) მარტი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ჩვენი აგრარული პროგრამის შესახებ

(წერილი III ყრილობას)

გლეხთა ახალი მოძრაობა, რომელიც დღითიდღე იზრდება და ძლიერდება, კვლავ პირველ რიგში აყენებს ჩვენი აგრარული პროგრამის საკითხს. ამ პროგრამის ძირითადმა პრინციპმა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება უთანხმოება და დავა გამოიწვიოს. პროლეტარიატის პარტია მხარს უნდა უჭერდეს გლეხობის მოძრაობას. იგი არასოდეს არ დაიცავს თანამედროვე მემამულურ მიწათმფლობელობას გლეხების რევოლუციური შეტევისაგან, მაგრამ ამასთან ერთად იგი ყოველთვის ეცდება კლასობრივი ბრძოლის განვითარებას სოფლად და ამ ბრძოლაში შეგნების შეტანას. ამ პრინციპებს, მე მგონია, ყველა სოციალ-დემოკრატი იზიარებს. უთანხმოება იწყება მხოლოდ მაშინ, როცა საჭირო ხდება ამ პრინციპების სინამდვილეში გამოყენება, როცა საჭირო ხდება პროგრამაში მათი ჩამოყალიბება მომენტის ამოცანებთან შეფარდებით.

სინამდვილე ყველაზე უკეთ წყვეტს ყოველგვარ თეორიულ უთანხმოებას, და მე დარწმუნებული ვარ, რომ რევოლუციურ მოვლენათა სწრაფი მსვლელობა მოსპობს სოციალ-დემოკრატიაში ამ უთანხმოებასაც აგრარულ საკითხზე. არა მგონია ვინმე შეუდგეს იმის უარყოფას, რომ ჩვენ არ შეგვშვენის გამოვუდგეთ პროექტერობას მიწის ყოველგვარი რეფორმების შესახებ, რომ ჩვენ უნდა ვამაგრებდეთ კავშირს პროლეტარიატთან, მ ხ ა რ ს ვ უ ჭ ე რ დ ე თ გლეხთა მოძრაობას, ხოლო ამასთან ერთად მხედველობიდან არ ვუშვებდეთ მე-

პატრონე გლეხის მესაკუთრეობის ტენდენციებს, ტენდენციებს, რომელთა მტრული ხასიათი პროლეტარიატისადმი მით უფრო მალე და მით უფრო მკვეთრად იჩენს თავს, რაც უფრო სწრაფად წავა წინ რევოლუცია.

მაგრამ მეორე მხრივ ცხადია, რომ მიმდინარე რევოლუციური მომენტი სავსებით გარკვეულ კონკრეტულ ლოზუნგს მოითხოვს. ასეთი ლოზუნგი უნდა გახდეს გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნა, და ჩვენმა პარტიულმა აგრარულმა პროგრამამ ძალიან სწორად წამოაყენა იგი. გლეხთა მოძრაობაში უამრავი სიბნელე და შეუგნებლობაა, და მეტად საშიში იქნებოდა რაიმე ილუზია შეგვექმნა ამ მხრივ. გლეხის სიბნელე უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ მას არ ესმის მოძრაობის პოლიტიკური მხარე — არ ესმის, მაგალითად, ის, რომ თუ ძირითადი დემოკრატიული გარდაქმნა არ მოხდება მთელი სახელმწიფოს მთელ პოლიტიკურ წყობილებაში, სრულიად შეუძლებელი იქნება რაიმე მტკიცე ნაბიჯის გადადგმა მიწათმფლობელობის გაფართოების გზაზე. გლეხს მიწა ესაჭიროება, და მისი რევოლუციური გრძნობა, მისი ინსტინქტური, პირველყოფილი დემოკრატიზმი არ შეიძლება სხვანაირად გამოიხატოს, თუ არა იმით, რომ იგი მემამულის მიწას დაეპატრონოს. ამის უარყოფას, რა თქმა უნდა, არავინ შეუდგება სოციალისტ-რევოლუციონერები ამ დებულებაზე ჩერდებიან ნაცვლად იმისა, რომ კლასობრივი ანალიზით მიუდგნენ გლეხობის ამ ბუნდოვან მისწრაფებას. სოციალ-დემოკრატები ასეთი ანალიზის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ საეჭვოა მთელ გლეხობას შეეძლოს სოლიდარული იყოს ჩამონაჭერი მიწების დაბრუნების მოთხოვნის შემდეგ, რადგან ასეთი აგრარული გარდაქმნის ფარგლებს იქით აუცილებლად მკაფიოდ იჩენს თავს სოფლის პროლეტარიატისა და «მეურნე გლეხების» ანტაგონიზმი. სოციალ-დემოკრატებს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება საწინააღმდეგო რამე ჰქონდეთ, რომ აჯანყებულმა გლეხმა «ბოლო მოუღოს მემამულეს», წაართვას მას მთელი მიწა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პროლეტა-

რულ პროგრამაში ავანტიურიზმის გზას დაადგნენ, არ შეუძლიათ მესაკუთრეთა წინააღმდეგ მიმართული კლასობრივი ბრძოლა დაჩრდილონ მიწათმფლობელობის ისეთი გარდაქმნის (თუნდაც დემოკრატიული გარდაქმნის) ლამაზი პერსპექტივებით, რომელიც მესაკუთრეთა კლასების ან თანრიგების მხოლოდ ადგილის გადანაცვლება იქნება.

აქამდის ჩვენს პროგრამაში წამოყენებული იყო ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა, ხოლო პროგრამის სხვადასხვა კომენტარში აღნიშნული იყო, რომ ჩამონაჭრები სრულებითაც არ არის ზღუდე, არამედ ეს არის «კარი უფრო შორს წასასვლელად» *, რომ პროლეტარიატი სიამოვნებით დაუჭერს მხარს გლეხობას ამ შემდგომ გზაზე, მაგრამ აუცილებლივ უთვალთვალებს და დააკვირდება თავის დროებითს მოკავშირეს, მეპატრონე გლეხს, ხომ არ აჩენს იგი თავის მეპატრონულ ბრჭყალებს. ახლა, როცა რევოლუციურ მოვლენათა წინაშე ვდგევართ, უნებლიეთ იბადება კითხვა: უფრო მიზანშეწონილი ხომ არ არის, რომ ჩვენი ტაქტიკის ა ს ე თ ი დებულება კომენტარებიდან თვით პროგრამაში გადავიტანოთ? პროგრამა ხომ, რაც უნდა იყოს, სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა ოფიციალური საერთოპარტიული გამოხატულებაა, ხოლო ყოველი კომენტარი აუცილებლად ამა თუ იმ სოციალ-დემოკრატის მეტნაკლებად პირად შეხედულებას წარმოადგენს. ამიტომ განა უფრო გონივრული არ იქნება პროგრამაში შევიტანოთ ჩვენი პოლიტიკის უფრო ზოგადი დებულება ამ საკითხზე, ხოლო კომენტარებში განვავითაროთ კერძო ღონისძიებანი, ცალკეული მოთხოვნები, როგორიცაა, მაგალითად, მოთხოვნა ჩამონაჭრების შესახებ?

ჩემი აზრი უფრო კონკრეტულად რომ გავარკვიო, აქ მოვიყვან იმ ფორმულირებას, რომელსაც მიიღებდა ჩვენი პროგრამის სათანადო ადგილი: (რსდმპ მოითხოვს უწინარეს ყოვლისა)... «4) გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაარსებას ბატონყმობის ყველა ნაშთის მოსასპობად, საერთოდ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 521. რ ე დ.

სოფლის ყველა ურთიერთობის დემოკრატიულად გარდასაქმნელად და ისეთი რევოლუციური ზომების მისაღებად გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც მემამულეებისათვის მიწის წართმევას არ მოერიდება. სოციალ-დემოკრატია მხარს დაუჭერს გლეხობას მთელ მის რევოლუციურ-დემოკრატიულ ნაბიჯებში, დაიცავს სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელ ინტერესებსა და დამოუკიდებელ ორგანიზაციას».

წარმოდგენილი ფორმულირებით პროგრამაში შეტანილია ის, რასაც დღემდე ჩვეულებრივ კომენტარებში ვავითარებდით, ხოლო «ჩამონაჭრები» პროგრამიდან გადატანილია კომენტარებში. ასეთ ცვლილებას ის უპირატესობა აქვს, რომ პროგრამაში უფრო ცხადად არის აღნიშნული პროლეტარული პოზიციის განსაკუთრებული ხასიათი, ხოლო სიცხადე ასეთ მნიშვნელოვან საკითხში ყველა რედაქციულ უხერხულობას ჭარბად ანაზღაურებს (ასეთ უხერხულობას წარმოადგენს პროგრამაში გარკვეული მოთხოვნის ნაცვლად განმარტების შეტანა, რომელიც ჩვეულებრივ კომენტარებს მიეკუთვნება. თუმცაღა უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს პროგრამაში უკვე არის ასეთი განმარტებები: შეადარე, მაგალითად, პუნქტი პოლიციურ-მოხელური მეურვეობის განმტკიცებასთან დაკავშირებულ რეფორმებთან ბრძოლის შესახებ) [61]. უპირატესობას წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ პროგრამა ერთხელ და სამუდამოდ სპობს იმ სულელურ აზრს, თითქოს სოციალ-დემოკრატია ეუბნება გლეხს, რომ მას არ შეუძლია გასცილდეს და არც უნდა გასცილდეს ჩამონაჭრებს. საჭიროა ეს აზრი აღმოვფხვრათ პროგრამის ნათელი ფორმულირებით, და არ დავჯერდეთ მის განმარტებას კომენტარებში. ჩემ მიერ წარმოდგენილი ფორმულირების ნაკლად შეიძლება ის გვეჩვენოს, რომ მითითებული არ არის მიწის ექსპროპრიაციის არავითარი გარკვეული წესი. მაგრამ არის თუ არა ეს, კაცმა რომ თქვას, ნაკლი?

სოციალ-დემოკრატები, რომლებიც აგრარულ საკითხებზე წერდნენ, არა ერთხელ გვიჩვენებდნენ, თუ რა უადგილოა გა-

მოვეკიდოთ ამ მხრივ პროექტერობას, ვინაიდან მიწის რეფორმის უმთავრესი ღონისძიება — მიწის ნაციონალიზაცია — პოლიციურ სახელმწიფოში აუცილებლივ დამახინჯდება და ხელს შეუწყობს მოძრაობის კლასობრივი ხასიათის დაბნელებას. ამავე დროს კი აგრარული ურთიერთობის გარდაქმნის ყველა სხვა ღონისძიება კაპიტალისტურ წყობილებაში მხოლოდ მიახლოება იქნება ნაციონალიზაციასთან, მხოლოდ კერძო ღონისძიება, მხოლოდ ზოგიერთი შესაძლებელი ღონისძიება, ე. ი. ისეთი ღონისძიება, რომლითაც სოციალ-დემოკრატია სრულებითაც არ აპირებს თავის შეზღუდვას. ამჟამად სოციალ-დემოკრატები ნაციონალიზაციის წინააღმდეგი არიან, და სოციალისტ-რევოლუციონერებიც კი ჩვენი კრიტიკის გავლენით ახლა გაცილებით უფრო ფრთხილად ეკიდებიან ამ ნაციონალიზაციას (შეადარე მათი პროგრამის პროექტი მათს წინანდელ «სიყოჩაღეს»).

მაგრამ საქმე ის არის, რომ რევოლუციურ მოძრაობას მივყევართ დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ, რომელიც წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ უახლოეს მოთხოვნას, მუდმივი არმიის მოსპობასთან ერთად და სხვ.

ხოლო დემოკრატიული რესპუბლიკის დროს, ხალხის შეიარაღების დროს, სხვა მსგავს რესპუბლიკურ ღონისძიებათა განხორციელების დროს სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია ერთხელ და სამუდამოდ ხელფეხი შეიბორკოს მიწის ნაციონალიზაციის მიმართ. ამრიგად, ჩემ მიერ წარმოდგენილი ფორმულირების ნაკლი მხოლოდ მოჩვენებითია. ნამდვილად კი იგი იძლევა მტკიცე კლასობრივ ლოზუნგს გარკვეული მომენტისათვის, — ამასთან სავსებით კონკრეტულ ლოზუნგს, — ხოლო ამავე დროს სრულ გასაქანს სტოვებს იმ «რევოლუციურ-დემოკრატიული» ნაბიჯებისათვის, რომლებიც შეიძლება საჭირო ან სასურველი აღმოჩნდეს ჩვენი რევოლუციის ხელსაყრელი განვითარების შემთხვევაში. ამჟამად, აგრეთვე შემდეგშიც გლეხთა აჯანყების სრულ გამარჯვებამდე, რევოლუციური ლოზუნგი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს გლეხისა და მემამულის ანტაგონიზმს; და

პუნქტი ჩამონაჭრების შესახებ სავსებით სწორედ აღნიშნავდა ამ გარემოებას; ყოველგვარი «ნაციონალიზაცია», «რენტის გადაცემა», «სოციალიზაცია» და სხვა მათი მსგავსნი კი უგულებელყოფენ და აბნელებენ დამახასიათებელ ანტაგონიზმს — და სწორედ ეს არის მათი ნაკლი.

ჩემ მიერ წარმოდგენილი ფორმულირება ამასთან ერთად აფართოებს გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ამოცანას «საერთოდ სოფლის ყველა ურთიერთობის დემოკრატიულად გარდაქმნამდე». ჩვენს პროგრამაში გლეხთა კომიტეტები წამოყენებულია, როგორც ლოზუნგი, ამასთან ისინი სავსებით სწორად არიან დახასიათებული, როგორც გ ლ ე ხ უ რ ი, ე. ი. წოდებრივი, რადგან წოდებრივი ჩაგვრის მოსპობა მხოლოდ მთელ დაბალ ჩაგრულ წოდებას შეუძლია. მაგრამ გვაქვს თუ არა საფუძველი მარტო აგრარული რეფორმებით შევზღუდოთ ამ კომიტეტების ამოცანები? ნუთუ სხვა ცვლილებისათვის, მაგალითად, ადმინისტრაციული და სხვა ცვლილებისათვის ს ხ ვ ა კომიტეტები უნდა შევქმნათ? გლეხების მთელი უბედურება, როგორც უკვე აღვნიშნე, ხომ ის არის, რომ მათ სრულებით არ ესმით მოძრაობის პოლიტიკური მხარე. რომ მოგვეხერხებინა თუნდაც ცალკეულ შემთხვევებში და დაგვეკავშირებინა გლეხთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი წარმატებითი რევოლუციური ღონისძიებანი (პურის, პირუტყვის, მ ი წ ი ს კონფისკაცია) გ ლ ე ხ თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს დაარსებასთან და მოქმედებასთან, ეს რევოლუციური ღონისძიებანი რომ დაგვეკავშირებინა ამ კომიტეტების სრულ სანქციასთან რევოლუციური პარტიების მიერ (ხოლო, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ), მაშინ შეიძლებოდა მოგებულად ჩაგვეთვალა ბრძოლა დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეზე გლეხების გადმოყვანისათვის. ხოლო თუ ასეთი გადმოყვანა არ მოხდება, გლეხობის ყველა რევოლუციური ნაბიჯი ძალიან იქნება სიმტკიცეს მოკლებული, და მთელ მონაპოვარს ადვილად წაართმევენ მათ ხელისუფლების სათავეში მდგომი საზოგადოებრივი კლასები.

დასასრულ, ჩვენ მიერ წამოყენებული ფორმულირება, ლაპარაკობს რა «რევოლუციურ-დემოკრატიულ» ღონისძიებათა მხარისდაჭერაზე, ცხადად არჩევს ერთმანეთისაგან გლეხების მიერ მიწების ხელში ჩაგდებისა და სხვა ამისთანა ზომების მაცთურ, ვითომდა სოციალისტურ, გ ა რ ე გ ნ ო ბ ა ს ა და ამ ზომების ნამდვილ დემოკრატიულ შინაარსს. რათა დავინახოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატისათვის ასეთი მიჯნის გავლება, საკმარისია გავიხსენოთ მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულება აგრარული მოძრაობისადმი, მაგალითად, ამერიკაში (მარქსი 1848 წელს კრიგეს [62] შესახებ, ენგელსი 1885 წ. ჰენრი ჯორჯის [63] შესახებ). ახლა, რა თქმა უნდა, არავინ არ შეუდგება მიწის გულისათვის გაჩაღებული გლეხთა ომის უ ა რ ყ ო ფ ა ს, მიწისათვის ბრძოლის უარყოფას (ნახევრადბატონყმურ ქვეყნებში ან კოლონიებში). ჩვენ სავსებით ვცნობთ მის კანონიერებასა და პროგრესულობას, მაგრამ ამასთან ერთად ვამჟღავნებთ მის დემოკრატიულ, ე. ი. ს ა ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ი თ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შინაარსს, და ამიტომ, მხარს ვუჭერთ რა ამ შინაარსს, ჩვენის მხრივ შეგვაქვს განსაკუთრებული «შენიშვნები», აღვნიშნავთ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი დემოკრატიის «დამოუკიდებელ» როლს, სოციალ-დემოკრატიის განსაკუთრებულ მიზნებს, როგორც კლასობრივი პარტიისას, რომელიც სოციალისტური რევოლუციისაკენ მიისწრაფვის.

აი ის მოსაზრებანი, რომელთა გამო მე წინადადებას ვაძლევ ამხანაგებს — განვიხილოთ მომავალ ყრილობაზე ჩემი წინადადება და გავაფართოოთ პროგრამის სათანადო პუნქტი ჩემ მიერ აღნიშნული მიმართულებით.

«ვპერიოდ» № 12,
1905 წ. 29 (16) მარტი
ხელმოწერა: — ъ

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით

ბონაპარტისტთა ოინები

ჟენევა, 29 (16) მარტი.

ეს-ეს არის ტვერიდან მივიღეთ შემდეგი ცნობა: «9 მარტს პერიფერიის კრებაზე კომიტეტთან ერთად და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის თანადასწრებით განხილულ იქნა საკითხი დამოკიდებულებისა III პარტიული ყრილობისადმი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი იწვევს (1905 წლის 4 მარტის მოწოდება პარტიისადმი). წაკითხულ იქნა ტვერის კომიტეტის რეზოლუცია: «მიესალმა რა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას III პარტიული ყრილობისათვის მზადების შესახებ (ცენტრალური კომიტეტის 1905 წ. 4 მარტის რეზოლუცია), ტვერის კომიტეტმა თავის სხდომაზე დაადგინა: მიიღოს ამ ყრილობაში მონაწილეობა დელეგატის გაგზავნით. ხოლო რადგან ტვერის კომიტეტმა საორგანიზაციო ბიუროს წარმომადგენელს განუცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს ყრილობაში, რომელსაც ეს ბიურო აწყობს, ტვერის კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნია აღნიშნოს, რომ ეს განცხადება მან გააკეთა იმის გამო, რომ ბიუროს წარმომადგენელმა დაიმოწმა * ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — მოსაწვევი ყრილობა მორიგი გახადოს».

---

* უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წარმომადგენელი, რომელმაც თებერვალში ტვერის კომიტეტისა და პერიფერიის სხდომაზე გააკეთა მოხსენება III ყრილობის შესახებ, გვატყობინებს, რომ ტვერის კომიტეტის ეს ცნობა «ზუსტი არ არის». «მე ვაცნობე — აცხადებს იგი — ცენტრალური კომიტეტის წევრის ნიკიტიჩის 64 პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს

პერიფერიის კრება არ შეუერთდა ტვერის კომიტეტის რეზოლუციას. შვიდი ხმის უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ— ერთმა თავი შეიკავა — მიღებულია შემდეგი რეზოლუცია: «ვეღირსეთ რა, ბოლოს, ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — ვემზადოთ III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევისათვის და მივესალმებით რა ცენტრალური კომიტეტის ამ აქტს, ვაცხადებთ, რომ ჩვენ უკვე მივიღეთ მონაწილეობა პარტიულ ყრილობაში, რომელსაც საორგანიზაციო ბიურო იწვევს. ხოლო იმ წინადადებებით, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა გააკეთა თავის 4 მარტის მოწოდებაში «პარტიისადმი», ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვისარგებლოთ მხოლოდ ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო ბიუროს ფორმალური შეთანხმების პირობით» (მომხრე — 6, წინააღმდეგი — 3). რომ დავახასიათო დანარჩენი სამის განწყობილება, რომლებმაც წინაალმდეგ მისცეს ხმა, მოვიყვან მეორე რეზოლუციას, რომელიც წამოაყენა იმ ორმა ამხანაგმა, ვინც ხმა მისცა წინაალმდეგ: «მიესალმება რა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას III პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ, ადგილობრივი ორგანიზაცია დაბეჯითებით ურჩევს მას და საორგანიზაციო ბიუროს შეუთანხმდნენ ერთმანეთს. ხოლო თუ შეთანხმება არ მოხდა, ადგილობრივი ორგანიზაცია იტოვებს მოქმედების თავისუფლებას».

ამ ცნობიდან გამომდინარეობს შემდეგი: 1) ტვერის კომიტეტმა პერიფერიასთან ერთად, როგორც თვით კომიტეტი აღიარებს, განაცხადა, რომ თანახმაა მონაწილეობა მიიღოს უმრავლესობის კომიტეტების მიერ მოწვეულ ყრილობაში; 2) შემდეგში ტვერის კომიტეტმა, III ყრილობის მოწვევის შესახებ ცენტრალური კომიტეტის ახალ დაპირებათა გავლენით, უკან წაიღო თავისი თანხმობა. მაგრამ პერიფერია არ

საფუძველზე, რომ ცენტრალურ კომიტეტს განზრახული ჰქონდა გამოეცხადებინა მორიგი III ყრილობა, ამ მორიგ ყრილობად გადაექცია, შეთანხმების გზით, ის ყრილობა, რომელსაც ბიურო იწვევს, მაგრამ იმ დროს კიდევ ვერ მოასწრო, სხვადასხვა გარემოების გამო, ამ საკითხზე ოფიციალური მოლაპარაკება გაემართა ბიუროსთან».

გაჰყვა კომიტეტს და უარი არა სთქვა ბიუროს მიერ უკვე მოწვეულ ყრილობაში მონაწილეობაზე; 3) ცენტრალური კომიტეტის ახალი დაპირებანი III ყრილობის მოწვევის შესახებ მის მიერ მოცემულია დღემდე გამოუქვეყნებელ და ჩვენთვის უცნობ «1905 წლის 4 მარტის მოწოდებაში პარტიისადმი».

საკადრისად რომ შევაფასოთ ჩვენი განთქმული ცენტრალური კომიტეტის მოქმედება, მოვაგონებთ ამხანაგებს, ჯერ-ერთი, პარტიის წესდებას, მეორეც, ზოგიერთ ფაქტს. წესდების მიხედვით ყრილობას საბჭო იწვევს და არა ცენტრალური კომიტეტი. მაშასადამე, ცენტრალური კომიტეტი ისეთ დაპირებებს იძლევა, რომლებისთვისაც პასუხს არ აგებს. ცენტრალური კომიტეტი დაპირებას იძლევა გააკეთოს ის, რის გაკეთებაც მას, ცენტრალურ კომიტეტს, წესდების მიხედვით არ შეუძლია. ცენტრალური კომიტეტი დაპირებას იძლევა ან ვარაუდობს, საბჭო კი საკითხს წყვეტს. ხოლო პარტიის წევრები, რომლებიც იმდენად გულუბრყვილონი არიან, რომ ცენტრალური კომიტეტის დაპირებებს ისმენენ, და წესდება კარგად არ იციან, გაბრიყვებული გამოდიან. თუ როგორა «წყვეტს» საკითხს საბჭო, ამას ფაქტები მოწმობენ. 8 მარტის (ახ. სტ.) დადგენილებაში საბჭო აცხადებს («ისკრის» № 89), რომ იგი «პარტიულ მუშაკთა უმრავლესობასთან თანხმობით» (იქნებ მათ შორის ტვერის კომიტეტთანაც?) «მიზანშეუწონლად ცნობს ასეთ მომენტში პარტიული ყრილობის მოწვევას». ნუთუ ეს კიდევ ცხადი არ არის? ნუთუ აქედან კიდევ არა ჩანს, რომ საბჭო კვლავ და კვლავ უსირცხვილოდ ატყუებს პარტიას, რადგან არავითარი «თანხმობა» «პარტიულ მუშაკთა უმრავლესობისაგან» მას არ მიუღია.

შემდეგ, 10 მარტს (ახ. სტ.), ე. ი. ერთი დღის შემდეგ, საბჭო იღებს სხვა დადგენილებას («ისკრის» № 91), რომელშიც თანხმობას გამოთქვამს უმრავლესობის კომიტეტების რუსეთის ბიუროს მიერ მოწვეულ ყრილობაზე გაგზავნოს ორი წარმომადგენელი, მაგრამ კრინტსაც არა ძრავს ყრილობის მოწვევაზე თანხმობის შესახებ.

დავძენთ, რომ საბჭო არა მარტო ოფიციალურად გამოდის ყრილობის მოწვევის «მიზანშეწონილობის» წინააღმდეგ, არამედ ამავე დროს აყალბებს ყრილობისათვის ხმების რაოდენობას, ზრდის ვითომდა სრულუფლებიანი კომიტეტების რიცხვს და უარს ამბობს აცნობოს პარტიას, როდის და რა ახალ კომიტეტებს ცნობს დამტკიცებულად. საბჭოს 8 მარტის დადგენილებაში (რომელიც «ვპერიოდის» № 10-ში გავარჩიეთ) *, უფლებაუნარიანად 1905 წლის 1 იანვრისათვის დასახელებულია პოლესიეს, ჩრდილო-დასავლეთის, ყუბანისა და ყაზანის კომიტეტები, მაშინ როცა ეს უკანასკნელი ორი კომიტეტი ცენტრალურ კომიტეტს სრულებით არ დაუმტკიცებია, პირველნი კი სრულუფლებიანობას 1905 წლის 1 აპრილიდან იღებენ.

ვეკითხებით პარტიის წევრებს, რომლებსაც სურთ არა მარტო ირიცხებოდნენ, არამედ ნამდვილადაც იყვნენ პარტიის წევრებად: ნუთუ მათ სურთ შეიწყნარონ ეს თამაში? საბჭო ხმებს აყალბებს და ყრილობის წინააღმდეგ ილაშქრებს, ხოლო ცენტრალური კომიტეტი «დაპირებას» იძლევა ყრილობის შესახებ, სარგებლობს რა იმ ადამიანთა გულუბრყვილობით, რომლებმაც არ იციან, რომ წესდების მიხედვით ამ დაპირებას არ შეიძლება ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდეს! განა ფაქტები მთლიანად არ ადასტურებენ იმას, რაც ჩვენ უკვე დავწერეთ «ვპერიოდის» № 8-ში, 28 (15) თებერვალს, პირველი ცნობების გამო, რომ ცენტრალური კომიტეტი ყრილობის მოწვევას «დათანხმდა»? შევნიშნავთ, რომ მას შემდეგ თვე გავიდა, რომ «ისკრამ» მას შემდეგ გამოუშვა ნომრები 88, 89, 90, 91 და 92-ე (რომელსაც ძვ. სტ. 10 მარტის თარიღი აზის), მაგრამ კრინტიცარ დაუძრავს ამ «საჩოთირო» საკითხზე — ყრილობის მოწვევის შესახებ ცენტრალური კომიტეტის «თანხმობის» საკითხზე! ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გავიმეოროთ ის, რაც ნათქვამი იყო «ვპერიოდის» № 8-ში:

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 258 — 260. რედ.

«ეს-ეს არის მივიღეთ ცნობა, რომელიც შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ცენტრალური კომიტეტი ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის მომხრეა. ჩვენ სრულებითაც არ ვამტკიცებთ, რომ ეს ცნობა სარწმუნოა, მაგრამ გვგონია, რომ იგი სიმართლეს ჰგავს. ცენტრალური კომიტეტი მრავალ თვეს იბრძოდა ყრილობის წინააღმდეგ, შლიდა იმ ორგანიზაციებს, ბოიკოტს უცხადებდა და დეზორგანიზაცია შეჰქონდა იმ კომიტეტებში, რომლებიც ყრილობის მომხრედ აცხადებდნენ თავს — ასეთმა ტაქტიკამ მარცხი განიცადა. ახლა, ხელმძღვანელობს რა თავისი წესით — «მიზანშეწონილობა ყველაფერია, ფორმალობა არაფერია», — ცენტრალური კომიტეტი «მიზანშეწონილობის» გულისათვის (ესე იგი იმისათვის, რომ ყრილობა არ დაუშვას) მზად არის თუნდაც ასჯერ განაცხადოს ფორმალურად, რომ ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის მომხრეა. იმედი გვაქვს, რომ არც ბიურო და არც ადგილობრივი კომიტეტები თავს არ გააბრიყვებინებენ პარტიული «შიდლოვსკის კომისიის» ფანდებს»[63].

პოსტ-სკრიპტუმ. ჟენევა, 30 (17) მარტი. იძულებული ვართ ცენტრალური კომიტეტის ოინების ნამდვილი დღიური ვაწარმოოთ. ჩვენ გადმოგვცეს ცენტრალური კომიტეტის შემდეგი წერილი, რომელიც მას უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსათვის გაუგზავნია:

«4 მარტს ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მიმართოს პარტიის კომიტეტებს მოწოდებით — ემზადონ III პარტიული ყრილობისათვის, და თავის მხრივ გადაწყვიტა მიიღოს ზომები ყრილობის რაც შეიძლება მოკლე ხანში მოსაწვევად.

რადგან საერთო-პარტიული ყრილობის წარმატება და მისი მოწვევის უსწრაფესი განხორციელება დამოკიდებულია შეძლებისდაგვარად ყველა იმ ამხანაგთა და ორგანიზაციათა შეწყობილ მუშაობაზე, რომელნიც ახლა ყრილობას უჭერენ მხარს, ცენტრალური კომიტეტი მიმართავს ეგრეთწოდებული «უმრავლესობის» კომიტეტების საორგანიზაციო ბიუროს წინადადებით ამ საქმეში ურთიერთშეთანხმება გამოიჩინონ და ერთობლივი მუშაობა გასწიონ იმ მიზნით, რომ ყრილობა მოწვეულ იქნას რაც შეიძლება მალე და ყრილობაზე განხორციელდეს მთელი პარტიის რაც შეიძლება უფრო სრული წარმომადგენლობა. 1905 წ. 6 მარტი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტი».

ჭეშმარიტად,. უსაზღვროა რუსეთის კომიტეტების მოთმინება და მათი გულმინდობილობა! რატომ არ აქვეყნებს ცენტრალური კომიტეტი თავის 4 მარტის მოწოდებას? რისთვის ამბობს იგი ცრუ ფრაზებს ბიუროსთან «შეთანხმების» შესახებ? ბიურომ ყრილობაზე მოიწვია უკლებლივ ყ ვ ე ლ ა, მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ა, მან ეს ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ გააკეთა აშკარად, საჯაროდ. ბიურომ უკვე დიდი ხანია უპასუხა ცენტრალურ კომიტეტს, რომ ახლა ა რ ა ვ ი თ ა რ ი გ ა დ ა დ ე ბ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. ვისაც არა მარტო სიტყვიერად სურს ს ა ე რ თ ო-პ ა რ ტ ი უ ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ა, მობრძანდეს, მორჩა და გათავდა. და, ბოლოს, რა მნიშვნელობა ექნებოდა ბიუროს შეთანხმებას ცენტრალურ კომიტეტთან, როცა ყრილობას წესდების მიხედვით იწვევს არა ცენტრალური კომიტეტი, არამედ საბჭო, რომელმაც ყრილობის წინააღმდეგ გაილაშქრა?

უფლება გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ ახლა უკვე ყ ვ ე ლ ა ნ ი დაინახავენ საბჭოსი და ცენტრალური კომიტეტის ორჭოფობას. ხოლო ბიურო, დარწმუნებული ვართ, ოდნავადაც არ შეანელებს მუშაობას, რომელსაც იგი ეწევა ყრილობის მოსაწვევად მის მიერ უკვე დ ა ნ ი შ ნ უ ლ და ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა თ ვ ი ს შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ებ უ ლ ვადაზე.

დაიბეჭდა 1905 წ. მარტის დამლევს
ცალკე ანაბეჭდად
«ვპერიოდის» № 13-დან

იბეჭდება ცალკე ანაბეჭდის
ტექსტის მიხედვით

1789 წლისა თუ 1848 წლის ტიპის რევოლუცია?

რუსეთის რევოლუციის დიდმნიშვნელოვანი საკითხი აი რაში მდგომარეობს:

I მიაღწევს იგი მეფის მთავრობის სრულ დამხობას, დაამყარებს რესპუბლიკას,

II თუ დასჯერდება მეფის ძალაუფლების შეკვეცას, შეზღუდვას, მონარქიულ კონსტიტუციას?

ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ: 1789 წლის ტიპის რევოლუცია იქნება თუ 1848 წლის ტიპისა*? (ვამბობთ: ტიპისა, რათა თავიდან ავიცილოთ ის სულელური აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს 1789 და 1848 წლების სამუდამოდ წარსულს ჩაბარებული სოციალურ-პოლიტიკური და საერთაშორისო სიტუაციის განმეორება).

სოციალ-დემოკრატს რომ პირველი უნდა სურდეს და მის მიღწევას რომ უნდა **ცდილობდეს,** აქ არა გვგონია დაეჭვება შეიძლებოდეს.

მარტინოვისებურად საკითხის დაყენება კი სავსებით ჰგავს რაც შეიძლება შეკვეცილი რევოლუციის მაჩანჩალურ სურ-

---

* NB (Nota bene — დაიხსომეთ. რედ.): აქ შეიძლება დაუმატონ — «თუ 1871 წ.»? უნდა განვიხილოთ ეს საკითხი, როგორც მოსალოდნელი მოსაზრება ჩვენს წინააღმდეგ ბევრი არასოციალ-დემოკრატის მხრივ.

ვილს. მე-II ტიპის დროს პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების «საფრთხე», რაც მარტინოვებს აშინებს, სრულებით მოხსნილია. მეორე შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიისათვის გარდუვალია «ოპოზიციური» დარჩეს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ ა ც კ ი, — მარტინოვს სწორედ ის სურს, რომ რევოლუციის მიმართაც კი ოპოზიციაში დარჩეს.

იბადება კითხვა, რომელი ტიპია უფრო მოსალოდნელი?

I-ის სასარგებლოდ მეტყველებს (1) გაბოროტების, რევოლუციურობის შეუდარებლად მეტი მარაგი რუსეთის დაბალ კლასებში, ვიდრე 1848 წლის გერმანიაში. ჩვენში გარდატეხა უ ფ რ ო მ კ ვ ე თ რ ი ა, ჩვენში თვითმპყრობელობასა და პოლიტიკურ თავისუფლებას შორის არ იყო და არ არის ა რ ა ვ ი თ ა რ ი შუალედი საფეხური (ერობა მხედველობაში მისაღები არ არის), ჩვენში დესპოტიზმი აზიურად დაცულია. (2) ჩვენში უბედური ომი კიდევ უფრო მოსალოდნელს ხდის მ კ ვ ე თ რ კრახს, რადგან ეს ომი საბოლოოდ უბნევს გზაკვალს მეფის მთავრობას. (3) ჩვენში საერთაშორისო კონიუნქტურა უფრო ხელსაყრელია, რადგან პროლეტარული ევროპა შეუძლებელს გახდის ევროპის მონარქების მიერ რუსეთის მონარქიისათვის დახმარების გაწევას. (4) ჩვენში შეგნებული რევოლუციური პარტიების, მათი ლიტერატურისა და ორგანიზაციის განვითარება ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე 1789, 1848 და 1871 წლებში. (5) ჩვენში ცარიზმის მიერ ჩაგრული მთელი რიგი ერები, პოლონელები, ფინელები და სხვ., განსაკუთრებით ენერგიულს ხდიან თვითმპყრობელობაზე შეტევას. (6) ჩვენში გლეხობა განსაკუთრებით გაჩანაგებულია, წარმოუდგენლად გაღატაკებულია და დასაკარგავი აბსოლუტურად აღარაფერი მოეპოვება.

ყველა ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ არის აბსოლუტური. მათ შეიძლება სხვა მოსაზრებები დავუპირდაპიროთ: (1) ფეოდალიზმის ნაშთები ჩვენში ძალიან მცირეა. (2) მთავრობა უფრო გამოცდილია და რევოლუციური საფრთხის გამოცნობის მეტი საშუალება მოეპოვება. (3) ომი

ართულებს რევოლუციური აფეთქების უშუალობას რევოლუციისათვის გარეშე ამოცანებით. ომი ამტკიცებს რუსეთის რევოლუციური კლასების სისუსტეს, რომელთაც უომოდ ვერ შეძლეს ფეხზე დადგომა (შეადარე კარლ კაუტსკი «სოციალურ რევოლუციაში»). (4) ჩვენ სხვა ქვეყნებიდან არა გვაქვს ბიძგი გადატრიალებისათვის. (5) რუსეთის დაჭუცმაცებისაკენ მიმართულ ეროვნულ მოძრაობებს. შეუძლიათ ჩამოაშორონ ჩვენს რევოლუციას რუსეთის დიდძალი მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია. (6) პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ანტაგონიზმი ჩვენში გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე 1789, 1848, 1871 წლებში, ამიტომ ბურჟუაზიას პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რევოლუციის მეტი შიში ექნება და უფრო მალე შეუხმატკბილდება რეაქციას.

ყველა ამ + და — აღნუსხვას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისტორია შესძლებს. ჩვენი, სოციალ-დემოკრატიის, საქმეა ვ უ ბ ი ძ გ ე ბ დ ე თ ბურჟუაზიულ რევოლუციას რაც შეიძლება წინ, თან არასოდეს არ გვავიწყდებოდეს ჩვენი მ თ ა ვ ა რ ი საქმე: პროლეტარიატის დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

სწორედ აქ იბნევა მარტინოვი. სრული რევოლუცია არის პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ხ ო ლ ო ამ კ ლ ა ს ე ბ ს, როდესაც მათ ძალაუფლება უპყრიათ, ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ ა რ მიისწრაფოდნენ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რევოლუციისაკენ. Ergo *, ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რომელიც თავდაპირველად დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ გადატრიალებაში გადადგმული ნაბიჯი იქნება, გარემოებათა ძალით, მონაწილეთა ნების (და ზოგჯერ შეგნების) წინააღმდეგ, **გადავა** სოციალისტურში. დ ა ა ქ კ რ ა ხ ი გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა. ხოლო რაკი სოციალისტური რევოლუციის ცდების კრახი გარდუვალია, ამიტომ ჩვენ (როგორც 1871 წ. მარქსი, რომელიც ითვალისწინებდა პარიზის აჯანყების გარდუვალ კრახს) უნდა ვ უ რ ჩ ე ვ დ ე თ პრო-

* — მაშასადამე. რ ე დ.

ლეტარიატს არ აჯანყდეს, დაიცადოს, დაირაზმოს, reculer pour mieux sauter *.

ასეთია, სწორედ რომ ვთქვათ, მარტინოვის (და ახალი «ისკრის») აზრი, ბოლომდე რომ მოეფიქრებინა იგი.

დაწერილია 1905 წ. მარტ — აპრილში
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — დაიხოს, რომ უკეთ გადახტეს. რედ.

პარტიისადმი

ამხანაგებო! თქვენ ყველამ იცით, თუ რა მძიმე კრიზისს განიცდის უკვე წელიწად-ნახევარზე მეტია ჩვენი პარტია. მეორე პარტიული ყრილობის შემდეგ, მთელი რიგი სამწუხარო ამბების გამო, ჩვენი პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალური დაწესებულებანი, ცენტრალური ორგანოს რედაქცია და საბჭო, პარტიული ყრილობის უმცირესობის მომხრეთა ხელში აღმოჩნდნენ. პარტიულ მუშაკთა უკმაყოფილება სულ მატულობდა და იწვევდა ყრუ, დაჟინებულ ბრძოლას, რომელიც წარმოუდგენლად აფერხებდა სოციალ-დემოკრატიის მთელ საქმიანობას და სახელს უტეხდა პროლეტარულ პარტიას. პარტიის კომიტეტებმა, რომლებიც ხედავდნენ ფარული გათიშვის მთელ მავნებლობას, დაიწყეს იმის მოთხოვნა, რომ მოგვეწვია III ყრილობა, როგორც ერთადერთი პარტიული გამოსავალი კრიზისიდან. 1904 წ. გაზაფხულიდან ყრილობისათვის ბრძოლამ აღავსო მთელი პარტიული ცხოვრება. პარტიის საზღვარგარეთის საბჭო ყოველი ზომით ეწინააღმდეგებოდა ყრილობას. ცენტრალური კომიტეტი ცდილობდა დაეკმაყოფილებინა უმცირესობის პრეტენზიები კოოპტაციის შესახებ, იმედოვნებდა რა ამ გზით აღედგინა მშვიდობა პარტიაში, მაგრამ ეს იმედიც არ გამართლდა. ნაცვლად მშვიდობის აღდგენისა გამოვიდა მხოლოდ ბრძოლის გამწვავება.

რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რევოლუციის განვითარებაში მომხდარმა დიდმა ამბებმა, 9 იანვარმა და მისმა შედეგებმა, შექმნეს ახალი მდგომარეობა, რომელიც პარტიისაგან მოითხოვს ძალებისა და ენერგიის უფრო მეტად დაძაბვას.

პარტიის ყრილობის საჭიროება სულ უფრო აუცილებელი ხდებოდა რუსეთის მუშაკთა დიდი უმრავლესობისათვის. საზღვარგარეთის საბჭოს წინააღმდეგობამ გამოიწვია რუსეთის მთელი რიგი კომიტეტების მიერ განსაკუთრებული ბიუროს არჩევა პარტიული ყრილობის მოსაწვევად. ასეთ გარემოებაში ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პარტიულ მოვალეობად მიიჩნია შეერთებოდა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს საერთო-პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოსაწვევად.

თუ რამდენად საჭირო იყო ყრილობა ვიწრო-ფორმალური თვალსაზრისითაც კი, ეს ჩანს შემდეგიდან. პარტიის წევრებმა «ისკრის» № 89-დან შეიტყეს, რომ პარტიის საბჭო თვლის 33 სრულუფლებიან ორგანიზაციას, გარდა ცენტრალური დაწესებულებებისა. მაშასადამე, ამ ანგარიშითაც კი (რაც სადავოდ მიაჩნდა პარტიულ მუშაკთა მნიშვნელოვან რაოდენობას, რომელნიც პარტიული ორგანიზაციების რიცხვს 31-ით განსაზღვრავდნენ) ყრილობის აუცილებლად მოწვევისათვის საჭირო იყო 38 ხმა (33×2=66; 66+9=75; 75 : 2=37½).

ყრილობას დიდი ხანია დაუჭირა მხარი 13 კომიტეტმა, რომლებმაც აირჩიეს უმრავლესობის კომიტეტების მიურო. ამ 13 კომიტეტს შეუერთდნენ ურალის, ტულის, ვორონეჟის, სამარის, ჩრდილო-დასავლეთის, სმოლენსკის, ხარკოვის, ყაზანის კომიტეტები, ე. ი. 8 კომიტეტი. ეს 21 კომიტეტი ცენტრალური კომიტეტის 4 ხმასთან ერთად (ორი ხმა თვით ცენტრალური კომიტეტისა და ორი ხმა მათი დელეგატებისა საბჭოში) იძლევა 42+4=46 ხმას.

დაწერილია 1905 წლის მარტის
დამლევს — აპრილის დამდეგს
პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მეორე ნაბიჯი

«ვპერიოდის» № 11-ში ჩვენ მივესალმეთ პირველ ნაბიჯს, რომელიც გადადგა უპარტიოდ დარჩენილმა პარტიის საბჭომ *. ჩვენ ვეკითხებოდით ჩვენს თავს: ეყოფა თუ არა საბჭოს ჭკუა და პატიოსნება იმისათვის, რომ მეორე ნაბიჯი ვადადგას ახალ გზაზე? ახლა ჩვენ ეს-ეს არის მივიღეთ რუსეთიდან ცნობა, რომ მეორე ნაბიჯი ცენტრალურმა კომიტეტმა გადადგა. აი ამ საქმის დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს.

1) ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 4 მარტის მოწოდება პარტიისადმი.

პარტიისადმი.

ამხანაგებო! რუსეთში რევოლუცია დაიწყო! მისმა პროლოგმა ურყევად დამტკიცა, რომ მის უმთავრეს და მისი შედეგის გადამწყვეტ ძალას ქალაქის პროლეტარიატი წარმოადგენს. მაგრამ რევოლუციის შედეგის დაჩქარება, ხალხის მასების რევოლუციურ ბრძოლაში გეგმაშეწონილობის შეტანა და, განსაკუთრებით, რევოლუციის შედეგების, პროლეტარიატის სასარგებლო შედეგების მაქსიმალური გათვალისწინება უაღრესად დამოკიდებულია ჩვენი პარტიის ძალების ფაქტიურ მდგომარეობასა და ორგანიზაციაზე. ისტორია ჩვენს პარტიას აკისრებს პოლიტიკურ და მორალურ პასუხისმგებლობას რუსეთის პროლეტარიატის წინაშე, მთელი ჩვენი ხალხის წინაშე, დასასრულ, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის წინაშე. ახლანდელ მდგომარეობაში ჩვენს პარტიას არ ძალუძს შეასრულოს თავისი მოვალეობა იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო და შესაძლებელია იმ ძალების მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც პოტენციურად მოეპოვება რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. ცენტრალური კომიტეტი ამჟამად ნაადრევად და უნაყოფოდ თვლის დოკუმენტებით ხელში არკვიოს, თუ რამდე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 274 — 280. რ ე დ.

ნად ხელმძღვანელობდნენ თავიანთ შინაგან პარტიულ მოღვაწეობაში ღრმა პოლიტიკური მოტივებით თუ ინტელიგენტური ვნებათაღელვით პარტიის ცალკეული თვალსაჩინო წევრები, გავლენიანი ჯგუფები და მთელი პარტიული დაწესებულებანი, — ერთი სიტყვით, გვერდს უვლის იმ საკითხს, თუ ვის და რამდენად მიუძღვის ბრალი პარტიის ღრმა დეზორგანიზაციაში. იმ პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმის შეგნებით, რომელიც მას აკისრია, ცკ მთელი პარტიის წინაშე აცხადებს, რომ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს ყოველივე ის, რაც კი მასზეა დამოკიდებული, მოახმაროს იმას, რომ უზრუნველყოს პარტიისათვის აუცილებელი ერთიანობა და თავიდან აიცილოს საბოლოო გათიშვა. რევოლუციის განვითარება თითქმის ყოველდღე მთელ რიგ ახალ საკითხებს აყენებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე. ბევრი ამ საკითხთაგანი ოდნავ არის დასახული ჩვენი ტაქტიკით, ვინაიდან ეს ტაქტიკა უმთავრესად «მშვიდობიანი» დროის შესაბამისად მუშავდებოდა. მთელი რიგი სხვა საკითხები სრულებით ვერ პოულობენ პასუხს წინანდელ პარტიულ გამოცდილებაში, ვინაიდან ისინი წამოყენებული არიან ახალი მიზეზებით, რომლებმაც ახლახან იჩინეს თავი. პარტიული ლიტერატურა, რა თქმა უნდა, გვეხმარება, მაგრამ მის მიერ მოცემული პასუხი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს ადგილობრივ მუშაკებს სისრულის, ერთიანობის, საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტულობის მხრივ. სულ ბოლო დროს მნიშვნელოვანი რაოდენობის კომიტეტებმა, რომლებიც კერძო კონფერენციების შემდეგ გაერთიანდნენ, მიიღეს პოლიტიკა უხდობლობისა პარტიის ცენტრალური დაწესებულებებისადმი, რომელნიც არსებობენ პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული პარტიული წესდების საფუძველზე, და ეს პოლიტიკა მიიყვანეს თავიანთი ორგანოს, თავიანთი ცენტრის შექმნამდე, ამჟამად კი თავიანთი ყრილობის მოსაწვევად მუშაობენ. დასასრულ, ამა წლის გაზაფხულზე დგება დრო, რომელიც პარტიის წესდებით განსაზღვრულია III მორიგი ყრილობის მოსაწვევად. — ასეთ გარემოებაში ცენტრალურ კომიტეტს გათიშვის თავიდან აცილების ერთადერთ და უკანასკნელ საშუალებად მიაჩნია სულ უახლოეს ჟამამავალში საერთო-პარტიული ყრილობის მოწვევა.

ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყრილობის მუშაობის ნაყოფიერება, როგორც იმ უაღრესად სერიოზული ამოცანების დამუშავების თვალსაზრისით, რომლებიც ახლანდელმა პოლიტიკურმა მომენტმა წამოაყენა პარტიის წინაშე, ისე პარტიის ნამდვილი მტკიცე ერთიანობის მიღწევის თვალსაზრისით, მთლიანად დამოკიდებული იქნება იმაზე, რომ ყრილობაზე ყოველმხრივ და სრულად იქნას წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი და გავლენიანი მიმდინარეობა. ამიტომ მან წესდების საფუძველზე გადაწყვიტა წარმომადგენლობის სისრულის უზრუნველსაყოფად ფართოდ ისარგებლოს თავისი უფლებით — მოიწვიოს ყრილობაზე ამხანაგები საათბირო ხმით. აღებს რა მხედველობაში, რომ შუღლმა, რომელიც პარ-

ტიას ღრღნის, ზოგიერთ ადგილას გამოიწვია კომიტეტებისაგან მნიშვნელოვანი ჯგუფების პირდაპირი გამოყოფა, ხოლო ზოგიერთ ადგილას — კომიტეტებისა და პერიფერიების მწვავე ანტაგონიზმი, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს: 1) ყველა ჯგუფს, რომლებიც გამოეყვნენ კომიტეტებს ა. წ. 1 მარტამდე, 2) მსხვილი სამრეწველო ცენტრების ყველა პერიფერიას, სადაც კომიტეტის საქმიანობის რაიონში იმყოფება სულ მცირე 20 000 მუშა და სადაც პერიფერიის წევრთა ნახევარზე მეტი უნდობლობას გამოუცხადებს ადგილობრივ კომიტეტს ყრილობის დელეგატის არჩევის საკითხში, გაგზავნონ ყრილობაზე თავიანთი წარმომადგენლები სათათბირო ხმის უფლებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა პერიფერიის შემადგენლობაში შემავალად ამ შემთხვევაში ჩაითვალონ მხოლოდ ის ამხანაგები, რომლებიც, შედიან რა ერთ-ერთ საქვეკომიტეტო ორგანიზაციაში, კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კონტროლით ეწევიან აქტიურ რევოლუციურ მუშაობას, რომელიც გამოიხატება პროპაგანდით, აგიტაციით, ორგანიზაციით, ლიტერატურის წერით, ბეჭდვითა და გავრცელებით. შემდეგ, რადგან წესდების მიხედვით საერთო-პარტიულ ყრილობას პარტიის საბჭო იწვევს, ცენტრალური კომიტეტი, მოუწოდებს რა ადგილობრივ კომიტეტებს გამოთქვან აზრი III ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ, რადგან ეს ახლა პარტიის ერთიანობის უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა, თავის მხრივ, პარტიის საბჭოში წარგზავნილ წარმომადგენელთა მეშვეობით მხარს დაუჭერს თავის გადაწყვეტილებას ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ და ახლავე მიიღებს მთელ რიგ პრაქტიკულ მოსამზადებელ ზომებს. გარდა ამისა, ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ იგი გააკეთებს ყველაფერს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, რათა ყრილობის განხორციელების საქმეში ჩაბას რამდენიმე კომიტეტის ინიციატივით ამ მიზნისათვის წარმოშობილი «საორგანიზაციო ბიურო», რომლის მოსამზადებელ მუშაობას შეუძლია დააჩქაროს და გააადვილოს ყრილობის მოწვევა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ყრილობის მოწვევის მომზადებაში ეგრეთწოდებული «უმრავლესობის» კომიტეტების «საორგანიზაციო ბიუროს» ჩაბმის დეტალები შემუშავებულ უნდა იქნას ურთიერთი შეთანხმებით. ცენტრალურ კომიტეტს საერთო-პარტიული ყრილობის დ ა უ ყ ო ვ ნ ებ ლ ი ვ მოწვევა მიაჩნია იმის უკანასკნელ საშუალებად, რომ თავიდან ავიცილოთ გათიშვა და შევქმნათ პარტიის ფაქტიური ერთიანობა, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მოგვცეს საჭირო ძალა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე დასახული დიადი ამოცანების შესასრულებლად. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს უაღრესად ენერგიულად ემზადონ ყ რ ი ლ ობ ის დ ა უ ყ ო ვ ნ ებ ლ ი ვ მოწვევისათვის.

1905 წ. 4 მარტი რსდმპ ცენტრალური კომიტეტი.

2) ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 6 მარტის წერილი უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსადმი.

4 მარტს ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მიმართოს პარტიის კომიტეტებს მოწოდებით ემზადონ III პარტიული ყრილობისათვის და თავის მხრივ გადაწყვიტა მიიღოს ზომები ყრილობის რაც შეიძლება მოკლე ხანში მოსაწვევად.

რადგან საერთო-პარტიული ყრილობის წარმატება და მისი მოწვევის უსწრაფესი განხორციელება დამოკიდებულია შეძლებისამებრ ყველა იმ ამხანაგისა და ორგანიზაციის შეწყობილ მუშაობაზე, რომლებიც ახლა გამოთქვამენ აზრს ყრილობის სასარგებლოდ, ცენტრალური კომიტეტი მიმართავს ეგრეთწოდებული «უმრავლესობის» კომიტეტების საორგანიზაციო ბიუროს წინადადებით ამ საქმეში ურთიერთშეთანხმებისა და ერთობლივი მუშაობის შესახებ ყრილობის უსწრაფესი მოწვევისა და ყრილობაზე მთელი პარტიის რაც შეიძლება სრული წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით.

1905 წ. 6 მარტი რსდმპ ცენტრალური კომიტეტი.

3) 1905 წლის 12 მარტის ერთობლივი მოწოდება პარტიისადმი ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს სახელით.

პარტიისადმი

ცენტრალური კომიტეტი და უმრავლესობის კომიტეტების ბიურო, რომლებმაც იკისრეს III პარტიული ყრილობის მოწვევის ინიციატივა, უცხადებენ ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ, ითვალისწინებენ რა III პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის აუცილებელ საჭიროებას საერთო პარტიული ტაქტიკისა და პარტიის ორგანიზაციული ერთიანობის დასამყარებლად, ისინი შეთანხმდნენ ერთად მოაწყონ ყრილობა შემდეგ საფუძვლებზე:

1) ყრილობა მოწვეული იქნება ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს დეკლარაციებში ჩამოყალიბებული პროგრამების საფუძველზე, რომლებიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დღის წესრიგი:

a) ყრილობის კონსტიტუირება, b) პარტიული ტაქტიკის საკითხები, c) პარტიული ორგანიზაციის საკითხები: 1) ცენტრების ორგანიზაცია, 2) კომიტეტების ორგანიზაცია, 3) სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ნაწილების ურთიერთობა, d) ანგარიშები, e) არჩევნები.

2) ყრილობაზე მოწვეული იქნება ყველა პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მასში გადამწყვეტი ხმით II ყრილობის წესდების მიხედვით (ე. ი. კავკასიის 4 კომიტეტი, მოსკოვის, პეტერბურგის, ტვერის, ტულის, ნიჟნი ნოვგოროდის, ჩრდილოეთის, კიევის, ოდესის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის, დონის, ვორონეჟის, ნიკოლაევის, სარატოვის, სამარის, ჩრდილო-დასავლეთის, პოლესიეს, ასტრახნის კომიტეტები, ლიგა; კავშირები: დონეცისა, ყირიმისა, ურალისა და ციმბირისა *, ყველა დანარჩენი კი — სათათბირო ხმის უფლებით.

3) სანქცია ეძლევა იმ ორგანიზაციულ მუშაობას III პარტიული ყრილობის მოსაწვევად, რომელიც გაწეულია დღემდე უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს მიერ.

4) შემდგომ მუშაობას ყრილობის მოსაწვევად ერთობლივად ასრულებენ უმრავლესობის კომიტეტების ბიურო და ცენტრალური კომიტეტი, რომლებიც ქმნიან საორგანიზაციო კომიტეტს.

5) პარტიის საბჭოს რეზოლუციას III პარტიული ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ, რაც გამოქვეყნებულია «ისკრის» № 89-ში, ცენტრალური კომიტეტი და უმრავლესობის კომიტეტების ბიურო არ ცნობენ იმის საფუძვლად, რომ შეჩერებულ იქნას ყრილობის მოსაწვევად დაწყებული მუშაობა.

1905 წლის 12 მარტი.

ცენტრალური კომიტეტის იმავე 1905 წლის 12 მარტის ხელშეკრულება უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსთან ჯერჯერობით ვერ გამოქვეყნდება.

*

* *

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ვიზეიმოთ სრული მორალური გამარჯვება! რუსეთმა აჯობა საზღვარგარეთლებს. პარტიულობამ გაიმარჯვა წრეობანაზე. უკანასკნელ წუთს ცენტრალურმა კომიტეტმა დაინახა, რომ ყრილობა, რომელსაც უმრავლესობის კომიტეტების ბიურო იწვევს, ნამდვილად პარტიული ყრილობაა, და მიემხრო მას. ცენტრალურმა კომიტეტმა უკა-

* რიგის, სმოლენსკის, კურსკის, ორიოლ-ბრიანსკის, ყაზანის, კრემენჩუგის, ელისავეტგრადისა და ყუბანის კომიტეტების შესახებ იხილე ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს ხელშეკრულების მე-3 პუნქტი.

ნასკნელ წუთს საკმაო მოქალაქობრივი გამბედაობა გამოიჩინა იმისათვის, რომ ხელი აეღო ანტიპარტიულ პოლიტიკაზე და ამხედრებულიყო საზღვარგარეთის საბჭოს წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის წესდების მიხედვით ყრილობას საბჭო იწვევს და არა ცენტრალური კომიტეტი. მაშასადამე, იურიდიულად რომ ვილაპარაკოთ, ამ საკითხზე ცენტრალური კომიტეტის არავითარ განცხადებასა და შეთანხმებას არავითარი ძალა არა აქვს. მაგრამ, როცა საბჭომ წესდება დაარღვია და ყრილობისათვის ანგარიშის ჩაბარებას თავი აარიდა, — კომიტეტებს არათუ შეეძლოთ, არამედ მოვალენიც იყვნენ ეკისრნათ ყრილობის მოწვევის ინიციატივა, და ცენტრალურმა კომიტეტმა, კომიტეტების მიერ არჩეული ბიურო რომ სცნო, ამით უარი თქვა მიებაძა უპარტიოდ დარჩენილი პარტიის საბჭოს უბადრუკი მაგალითისათვის.

ჩვენ ახლა არ შეგვიძლია გამოვთქვათ აზრი ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს შეთანხმების კონკრეტულ საკითხებზე. ყველა ეს საკითხი, აგრეთვე ყრილობის დღის წესრიგის, მისი შემადგენლობის საკითხი და სხვ., შეიძლება გადაწყვიტოს, რა თქმა უნდა, მხოლოდ თვით ყრილობამ. ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმას დავჯერდებით, რომ წარმატებას ვუსურვებთ ყრილობას და მოვუწოდებთ ყველა ამხანაგს: დაუყოვნებლივ და უაღრესად ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას ყრილობის ყოველმხრივ მოსამზადებლად. დასასრულ, ჩვენ დაგვრჩენია გავიმეოროთ ის, რაც «ვპერიოდის» № 11-ში ვთქვით: ...«ჩვენ ახლა პირისპირ მივადექით შესაძლებელ უშუალო, არაორაზროვან გამოსავალს კრიზისიდან»*.

«ვპერიოდ» № 13,
1905 წ. 5 აპრილი (23 მარტი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 280. რ ე დ.

ევროპის კაპიტალი და თვითმპყრობელობა

სოციალ-დემოკრატიული პრესა უკვე არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ ევროპის კაპიტალი რუსეთის თვითმპყრობელობის მხსნელის როლში გამოდის. უცხოეთის სესხი რომ არ ყოფილიყო, თვითმპყრობელობა ვერ გასძლებდა. საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი იყო დახმარებოდა თავის სამხედრო მოკავშირეს, მეტადრე მანამდე, სანამ იგი სესხის გადასახდელ თანხებს წესიერად უხდიდა. და საფრანგეთის ბურჟუებმა თვითმპყრობელ მთავრობას ასესხეს პატარა თანხა ათიოდე მილიარდი ფრანკი (4 000 მილიონ მანეთამდე).

მაგრამ... ამ ქვეყნად სამუდამო არაფერია! იაპონიასთან ომმა გამოააშკარავა თვითმპყრობელობის მთელი სიდამპლე და ბოლოს «მეგობარ და მოკავშირე» საფრანგეთის ბურჟუაზიის თვალშიც კი გამოუთხარა მის ნდობას ძირი. ჯერ-ერთი, ომმა ცხადყო რუსეთის სამხედრო სისუსტე; მეორეც — განუწყვეტელმა, ერთიმეორეზე უფრო სასტიკმა დამარცხებამ ცხადყო ომის უიმედობა და თვითმპყრობელობის მმართველობის მთელი სისტემის სრული კრახის გარდუვალობა; მესამეც — რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ძლიერმა ზრდამ გამოიწვია ევროპის ბურჟუაზიის უდიდესი შიში ისეთი აფეთქების წინაშე, რომელსაც შეუძლია ევროპაც ცეცხლის ალში გახვიოს. ფიცხი მასალა ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში უამრავი დაგროვდა. და აი, ყველა ამ გარემოებამ ბოლოს გამოიწვია უარი შემდგომი სესხის მიცემაზე. თვითმპყრობელი მთავრობის ამასწინანდელი ცდა — ძველებურად აეღო სესხი საფრანგეთში — უშედეგოდ დამთავრდა: ერთი მხრივ, კა-

პიტალი აღარ ენდობა თვითმპყრობელობას; მეორე მხრივ, რევოლუციის შიშით, კაპიტალს სურს ზეგავლენა მოახდინოს თვითმპყრობელობაზე იმ მიზნით, რომ დაადებინოს ზავი იაპონიასთან და ზავი რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიასთან.

ევროპის კაპიტალი სპეკულაციას ეწევა ზავით. ბურჟუაზია არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც უკვე ხვდება, თუ რა კავშირი აქვს ომს რევოლუციასთან, მას უკვე ეშინია ნამდვილად ხალხური და ძლევამოსილი მოძრაობისა ცარიზმის წინააღმდეგ. ბურჟუაზიას სურს შეინარჩუნოს ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოების «საზოგადოებრივი წესრიგი» მეტისმეტ შერყევათაგან, სურს შეინარჩუნოს რუსეთის მონარქია კონსტიტუციური, ან ვითომდა კონსტიტუციური, მონარქიის სახით, და ამიტომ ბურჟუაზია სპეკულაციას ეწევა ზავით პროლეტარიატის საწინააღმდეგო და ანტირევოლუციური ინტერესებისათვის. ეს უეჭველი ფაქტი ცხადად გვიჩვენებს, რომ ისეთი «მარტივი» და ნათელი საკითხიც კი, როგორიც არის ომისა და ზავის საკითხი, არ შეიძლება სწორად იქნას დაყენებული, თუ მხედველობიდან გავუშვით თანამედროვე საზოგადოების კლასობრივი ანტაგონიზმი, თუ მხედველობიდან გავუშვით, რომ ბურჟუაზია ყველა და ყოველგვარი თავისი გამოსვლის დროს, რა დემოკრატიული და ჰუმანიტარულიც უნდა გვეჩვენებოდეს ეს გამოსვლები, იცავს უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად თავისი კლასის ინტერესებს, «სოციალური ზავის» ინტერესებს, ე. ი. ყველა ჩაგრულ კლასთა დათრგუნვისა და განიარაღების ინტერესებს. ამიტომ ზავის საკითხის პროლეტარული დაყენება ისევე აუცილებლად განსხვავდება და უნდა განსხვავდებოდეს ამ საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დაყენებისაგან, როგორც ამას ადგილი აქვს თავისუფალი ვაჭრობის, ანტიკლერიკალიზმისა და სხვათა მიმართ. პროლეტარიატი იბრძვის და ყოველთვის შეუპოვრად იბრძოლებს ომის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ დაივიწყებს, რომ ომების მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სრულებით მოისპობა საზოგადოების დაყოფა კლასებად,

რომ სანამ არსებობს კლასობრივი ბატონობა, არ შეიძლება შევაფასოთ ომი მხოლოდ დემოკრატიული სენტიმენტალური თვალსაზრისით, რომ ექსპლოატატორულ ერთა შორის ომის დროს საჭიროა განვასხვავოთ ამა თუ იმ ერის პროგრესული და რეაქციული ბურჟუაზიის როლი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიას მოუხდა საქმით გამოეყენებინა მარქსიზმის ეს ზოგადი დებულებანი იაპონიის ომის მიმართ. როდესაც ამ ომის მნიშვნელობას ვიხილავდით («ვპერიოდ» № 2, სტატია: «პორტ-არტურის დაცემა» *), ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორ გადაუხვიეს მცდარ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თვალსაზრისზე არა მარტო ჩვენმა სოციალისტ-რევოლუციონერებმა (რომელნიც გედსა და ჰაინდმანს კიცხავდნენ იაპონიისადმი თანაგრძნობისათვის), არამედ ახალისკრელებმაც. ამ უკანასკნელებში ეს გამოიხატა მსჯელობით, ჯერ-ერთი, იმის შესახებ, რომ მიღწეულ იქნას «ზავი რადაც უნდა დაგვიჯდეს», ხოლო, მეორე მხრივ, იმის შესახებ, რომ დაუშვებელია «სპეკულაციის გაწევა იაპონიის ბურჟუაზიის გამარჯვებითო». როგორც ერთი, ისე მეორე მსჯელობა შეეფერებოდა მხოლოდ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, რომელიც პოლიტიკურ საკითხებს სენტიმენტალურ ნიადაგზე აყენებს. ახლა სინამდვილემ გვიჩვენა, რომ «ზავი რადაც უნდა დაგვიჯდეს» ევროპის მებირჟეთა და რეაქციონერთა ლოზუნგი გახდა (თავ. მეშჩერსკი «გრაჟდანინში»[66] ახლა უკვე ცხადად აღნიშნავს ზავის აუცილებლობას თვითმპყრობელობის გადასარჩენად). ზავით სპეკულაციის გაწევა რევოლუციის ჩასახშობად თვალნათლივ წამოიჭრა ჩვენს წინაშე, როგორც რეაქციონერის სპეკულაცია წინააღმდეგ პროგრესული ბურჟუაზიის სპეკულაციისა იაპონიის ბურჟუაზიის გამარჯვებით. ახალისკრელთა ფრაზები საერთოდ «სპეკულაციის» წინააღმდეგ აღმოჩნდა სწორედ სენტიმენტალური ფრაზები, რომლებისთვისაც უცხოა კლასობრივი თვალსაზრისი და სხვადასხვა ძალთა გათვალისწინება.

* იხ. ეს ტომი, გვ. 45. რედ.

ის მოვლენები, რომლებმაც რეაქციული ბურჟუაზიის ახალი სახე გვიჩვენეს, ისე ეცემოდა კაცს თვალში, რომ ახლა «ისკრაც» ხედება თავის შეცდომას. თუ «ვპერიოდის» № 2-ში მოთავსებული ჩვენი სტატიის პასუხად იგი № 83-ში გაბრაზებული «ილრინებოდა», ახლა № 90-ში ჩვენ სიამოვნებით ვკითხულობთ (მეთაური): «არ შეიძლება მოვითხოვოთ მ ხ ო ლ ო დ ზავი, იმიტომ რომ თუ თვითმპყრობელობა დარჩა, ზავი ჩვენი ქვეყნის დაღუპვის მომასწავებელი იქნებაო». აი ეს სწორია: არ შეიძლება მოვითხოვოთ მარტო ზავი, რადგან მეფის ზავი უკეთესი არ არის (ხოლო ზოგჯერ უარესიცაა), ვიდრე მეფის ომი; არ შეიძლება წამოვაყენოთ ლოზუნგი «ზავი რადაც უნდა დაგვიჯდეს», არამედ მხოლოდ ზავი თვითმპყრობელობის დაცემასთან ერთად, ზავი, რომელსაც დადებს განთავისუფლებული ხალხი, თავისუფალი დამფუძნებელი კრება, ე. ი. ზავი არა ყოველგვარი საფასურით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტიზმის დამხობის ფასით. იმედი ვიქონიოთ, რომ რაკი «ისკრამ» ეს გაიგო, იმასაც გაიგებს, რომ უადგილოა მისი მაღალზნეობრივი ტირადები იაპონიის ბურჟუაზიის გამარჯვებით სპეკულაციის გაწევის წინააღმდეგ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ევროპის კაპიტალს და მის პოლიტიკურ «სპეკულაციას». თუ რამდენად აშინებს მეფის რუსეთი ამ კაპიტალს, ეს ჩანს, სხვათა შორის, შემდეგი საგულისხმო ამბიდან. ინგლისის კონსერვატიული ბურჟუაზიის ორგანომ, «Times»-მა *, მოათავსა სტატია «გადახდისუნარიანია თუ არა რუსეთი?». სტატიაში საფუძვლიანად იყო დამტკიცებული ბ-ნ ვიტეს, კოკოვცევისა და კომპანიის ფინანსური ხრიკების «მზაკვრული მექანიკა». ისინი მუდამ ისე უძღვებიან საქმეს, რომ მუდამ ზარალი გამოდის. ისინი თავს იძვრენენ მხოლოდ იმით, რომ სულ უფრო ღრმად ეფლობიან ვალებში. ამასთან სესხით აღებულ თანხას ათავსებენ, ერთი სესხიდან მეორემდე, სახელმწიფო ხაზინაში, და «ოქროს მარაგზე» დიდი ამბით მიუთითებენ, როგორც «თავისუფალ ნაღდ თანხაზე». სესხად

* — «ტაიმს» («დროება»). რ ე დ.

მიღებულ ოქროს უჩვენებენ ყველას და ყოველს, როგორც რუსეთის სიმდიდრისა და გადახდისუნარიანობის დამამტკიცებელ საბუთს! გასაკვირველი არ არის, რომ ინგლისელმა ვაჭარმა ეს ფანდი შეადარა განთქმული თაღლითების ემბერების ხრიკს, რომელნიც ნასესხებ ან თაღლითობით ნაშოვნ ფულს (ანდა ვითომ ფულით სავსე კარადასაც კი) ყველას უჩვენებდნენ იმისათვის, რომ ახალი სესხი აეღოთ! «რუსეთის მთავრობის ხშირი გამოჩენა მოვალედ კონტინენტის ბაზრებზე — წერდა «ტ ა ი მ ს ი» — გამოწვეულია არა კაპიტალის ნაკლებობით, არა საწარმოო წამოწყებათა საჭიროებით ან დროებითი და განსაკუთრებული ხარჯებით, არამედ თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური შემოსავლის ნორმალური დეფიციტით. ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთი პირდაპირ გაკოტრებისაკენ მიდის. მისი ნაციონალური ბალანსი წლითიწლობით უფრო ღრმად აფლობს მას ვალებში. უცხოელთა წინაშე მისი ვალები სახალხო სახსრებსა სჭარბობს, და ამ ვალების რეალური უზრუნველყოფა არ მოეპოვება. მისი ოქროს მარაგი ემბერების კოლოსალური კარადაა, რომლის სანაქებო მილიონები სესხად მიღებულია მოტყუების მსხვერპლთაგან და ამ მილიონებს შემდგომი მოტყუებისათვის იყენებენ».

მზაკვრულად მოწყობილია, არა? აირჩიო გასაბრიყვებელი მსხვერპლი, ისესხო მისგან ფული. შემდეგ იგივე ფული მასვე უჩვენო, როგორც შენი სიმდიდრის დამამტკიცებელი საბუთი, და მისგანვე აიღო ახალ-ახალი სესხი!

ცნობილ თაღლით ემბერთა ოჯახთან შედარება იმდენად მარჯვე იყო და ამან ისე გააკრა სამარცხვინო ბოძზე განთქმული «თავისუფალი ნაღდი თანხის» «დედაარსი» და აზრი, რომ დარბაისლური კონსერვატიული გაზეთის სტატიამ დიდი ხმაური გამოიწვია. თვით ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა გაუგზავნა «ტ ა ი მ ს ს» დეპეშა, რომელიც ამ გაზეთმა მაშინვე დაბეჭდა (23/10 მარტს). განაწყენებული კოკოვცევი ამ დეპეშით იწვევდა «ტაიმსის» რედაქციას, მობრძანდით პიტერში და პირადად შეამოწმეთ ოქროს მარაგის სიდიდეო. რედაქციამ მად-

ლობით უპასუხა თავაზიანი მიწვევისათვის და უარი განაცხადა იმ უბრალო საფუძველზე, რომ სტატია, რომელმაც მეფის მსახურის წყენა გამოიწვია, სულაც არ უარყოფს, რომ ოქროს მარაგი მართლაც არსებობს. ემბერებთან შედარება იმას კი არ ნიშნავდა, რომ რუსეთს არა აქვს ოქროს მარაგი, რომელზედაც იგი მიუთითებს, არამედ იმას, რომ ეს მარაგი არსებითად სხვისი, ნასესხები ფულია, რომელიც არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, ოდნავაც არ მოწმობს რუსეთის სიმდიდრეს და რომელზედაც შემდგომი სესხის დროს მითითება სასაცილოა!

ბ-ნმა კოკოვცევმა ვერ გაიგო გონებამახვილი და მწარე შედარების ა ზ რ ი და თავისი დეპეშით მთელი ქვეყანა გააცინა. ბანკებში ოქროს მარაგის შემოწმება ჟურნალისტის მოვალეობას არ შეადგენსო, — უპასუხა «ტ ა ი მ ს მ ა» ფინანსთა მინისტრს. და მართლაც, პრესის მოვალეობა იყო გამოეაშკარავებინა არსი იმ ოინბაზობისა, რასაც აჭახრაკებენ ამ «ოქროს მარაგის» საშუალებით, რომელიც თუმცა რეალურად არსებობს, მაგრამ რომელიც ფიქტიურად გამოაქვთ ქვეყნის სიმდიდრის დამამტკიცებელ საბუთად. საქმე ის კი არ არის, — ასწავლიდა რუსეთის მინისტრს გაზეთი ამ კომიკური დეპეშის გამო დაბეჭდილ სტატიაში, — საქმე ის კი არ არის, გაქვთ თუ არა თქვენ ეს ოქროს მარაგი. ჩვენ გვჯერა, რომ გაქვთ. საქმე ის არის, როგორია თქვენი აქტივი და პასივი? როგორია თქვენი ვალებისა და მათი უზრუნველყოფის თანხა? ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თქვენია ეს მარაგი, რომელიც თქვენ გიწყვიათ, თუ ნასესხები და დასაბრუნებელია, თანაც არც კი გაგაჩნიათ იმდენი რამ, რომ მთელი ვალი გაისტუმროთო? და ინგლისელი ბურჟუები დასცინოდნენ სულელ მინისტრს, ყოველნაირად უღეჭავდნენ ამ არცთუ იმდენად დიდ სიბრძნეს და დამარიგებელ კილოზე დასძენდნენ: თუ ვინმეს დაეძებთ თქვენი კრედიტისა და დებეტის შესამოწმებლად, არა სჯობია რუსი ხალხის წარმომადგენლებს მიმართოთო? ხალხის წარმომადგენლებს სწორედ ახლა სურთ შეიკრიბონ საერო თუ ეროვნულ კრებად, — არ ვიცით მანდ რას ეძახითო.

ისინი ალბათ უარს არ იტყვიან იმაზე, რომ შეამოწმონ როგორც რიგია არა მარტო სანაქებო «ოქროს მარაგი», არამედ თვითმპყრობელობის მთელი საფინანსო მეურნეობა. და ისინი, ალბათ, მოახერხებენ დაწვრილებით და საქმის სრული ცოდნით მოახდინონ ასეთი შემოწმებაო.

«მაგრამ იქნებ — სარკასტულად ამთავრებდა «ტაიმსი» — იქნებ იმის რწმენა, რომ წარმომადგენლობითი კრება დაჟინებით მოითხოვს თავისი უფლების განხორციელებას — მოახდინოს ასეთი შემოწმება, იქნებ სწორედ ეს რწმენა იწვევს მეფის მთავრობის შიშს ასეთი კრების მოწვევის წინაშე, იმ შემთხვევაში მაინც, რომ ამ კრებას თუნდაც ოდნავი რეალური ძალაუფლება მოეპოვებოდესო?»

გესლიანი კითხვაა. და იგი მით უფრო გესლიანია, მით უფრო მრავალმნიშვნელოვანია, რომ არსებითად ამ კითხვას იძლევა არა გაზეთი «ტაიმსი», არამედ მთელი ევროპის ბურჟუაზია, — იძლევა ამ კითხვას არა როგორც პოლემიკურ ხერხს, არამედ პირდაპირ გამოხატავს ამ კითხვით თავის უნდობლობას თვითმპყრობელობისადმი, გამოხატავს იმას, რომ აღარა სურს ასესხოს მას ფული, გამოხატავს თავის მისწრაფებას — იქონიოს საქმე რუსეთის ბურჟუაზიის კანონიერ წარმომადგენლობასთან. ეს კითხვა კი არ არის, არამედ გაფრთხილებაა. ეს დაცინვა კი არ არის, არამედ ულტიმატუმია, ევროპის კაპიტალის მიერ რუსეთის თვითმპყრობელობისათვის წაყენებული ულტიმატუმი. თუ იაპონიის მოკავშირენი, ინგლისელები, ამ ულტიმატუმს სარკაზმის სახით აყალიბებენ, რუსეთის მოკავშირენი, ფრანგები, უაღრესად კონსერვატიული და უაღრესად ბურჟუაზიული გაზეთის «Temps»-ის * პირით იმასვე ამბობენ, მხოლოდ უფრო რბილად, მოთაფლულად, მაგრამ არსებითად მაინც უარს ეუბნებიან მეტი სესხის მიცემაზე და ურჩევენ თვითმპყრობელობას ზავი დადოს იაპონიასთან და რუსეთის ბურჟუაზიულ ლიბერალებთან. აი კიდევ არა ნაკლებ დარბაისლური ინგლისური

* — «დროება». რედ.

ჟურნალის «The Economist»-ის («ეკონომისტი») ხმა: «საფრანგეთში ბოლოს ხვდებიან სიმართლეს რუსეთის ფინანსების შესახებ. ჩვენ უკვე ბევრჯერ აღგვინიშნავს, რომ რუსეთი დიდი ხანია ნასესხები ფულით ცხოვრობს, რომ მისი ბიუჯეტები, მიუხედავად ფინანსთა იმ მინისტრების ოპტიმისტური განცხადებებისა, რომელნიც ერთმანეთს ცვლიან, წლითიწლობით დიდი დეფიციტით მთავრდება, თუმცა ამ დეფიციტებს მეტად ოინბაზურად მალავენ ბუხჰალტრული ფანდების საშუალებით; — რომ, დასასრულ, სანაქებო «თავისუფალი ნაღდი თანხა» შედგება უმთავრესად სესხით მიღებული თანხებისა და ნაწილობრივ სახელმწიფო ბანკში შეტანილი ანაბრებისაგან». და, ამგვარად მწარე სიმართლე რომ უთხრა რუსეთის თვითმპყრობელობას, ეს სპეციალური საფინანსო ჟურნალი მაინც საჭიროდ თვლის ბურჟუაზიული ნუგეში დასძინოს: თუ მოახერხებთ ახლა დაუყოვნებლივ დადოთ ზავი და მცირეოდენი რამ დაუთმოთ ლიბერალებს, ევროპა უეჭველად ისევ მილიონებსა და მილიონებს მოგცემთ სესხადო.

ჩვენს თვალწინ ხდება ისეთი რამ, რასაც შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო ბურჟუაზიის სპეკულაცია იმით, რომ იხსნას რუსეთი რევოლუციისაგან და ცარიზმი სრული კრახისაგან. სპეკულანტები მეფეზე ზეგავლენას ახდენენ სესხის მიცემაზე უარისთქმით. ისინი მიმართავენ თავიანთ ძალას — ფულის ქისის ძალას. მათ რუსეთში სურთ ზომიერი და წესიერი ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური (ანუ ვითომდა კონსტიტუციური) წესწყობილება. რევოლუციურ მოვლენათა გავლენით, რომელნიც სწრაფად ვითარდებიან, ისინი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან რევოლუციის საწინააღმდეგო ერთ ბურჟუაზიულ კავშირად, მიუხედავად ეროვნებათა განსხვავებისა: ფრანგი მებირჟეები და ინგლისელი ბობოლები, გერმანელი კაპიტალისტები და რუსი ვაჭრები. ამ ყოვლად ზომიერი ბურჟუაზიული პარტიის სულისკვეთების მიხედვით მოქმედებს «ოსვობოჟდენიე». № 67-ში ბ-ნი სტრუვე, გადმოგვცემს რა «დემოკრატიული პარტიის პროგრამას», ასე გასინჯეთ, საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლებასაც კი აღიარებს (ვითომ დიდი ხნით?) ფარული კენჭისყრით (და

თავმდაბლური დუმილით უვლის გვერდს ხალხის შეიარაღებას!); თავის ახალ profession de foi-ს * ამთავრებს ასეთი დამახასიათებელი განცხადებით, რომელიც «მნიშვნელობისა გამოისობით» დაბეჭდილია მსხვილი შრიფტით: «ახლანდელ მომენტში რუსეთის ყ ო ვ ე ლ ი პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი პარტიის პროგრამის გარეთ და პ რ ო გ რ ა მ ი ს მ ა ღ ლ ა უნდა იდგეს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნა. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ა მ ჟ ა მ ა დ რ უ ს ე თ შ ი ა რ ს ებ უ ლ მ ა მ თ ა ვ რ ო ბ ა მ — საფრანგეთის შუამავლობით — უნდა დაიწყოს იაპონიის მთავრობასთან მოლაპარაკება ზავის შესახებ». ვგონებთ, შეუძლებელია უფრო მკაფიოდ გამოხატო ომის შეწყვეტის შესახებ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატიულ მოთხოვნათა განსხვავება. რევოლუციური პროლეტარიატი ამ მოთხოვნას «პროგრამის მაღლა» კი არ აყენებს, ამ მოთხოვნით «ამჟამად არსებულ მთავრობას» კი არ მიმართავს, არამედ თავისუფალ, ნამდვილად სუვერენულ, სახალხო დამფუძნებელ კრებას. რევოლუციური პროლეტარიატი საფრანგეთის ბურჟუაზიის შუამავლობით როდი «ეწევა სპეკულაციას», ბურჟუაზიისა, რომელიც ზავის მიღწევას აშკარად ანტირევოლუციური და პროლეტარიატის საწინააღმდეგო მიზნებისათვის ცდილობს.

დასასრულ, არსებითად, ზომიერი ბურჟუაზიის ამავე საერთაშორისო პარტიას ევაჭრება ახლა ბ-ნი ბულიგინი, რომელიც მოხერხებულად იგებს დროს, ქანცავს მოწინააღმდეგეს, დღეს-ხვალეობით ასაზრდოებს მას, არ აძლევს აბსოლუტურად არაფერს დადებითს, ძველებურად სტოვებს რუსეთში ყველაფერს, პირდაპირ ყველაფერს, გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარების გაგზავნით დაწყებული, არაკეთილსაიმედო პირების დაპატიმრებითა და პრესის წინააღმდეგ რეპრესიებით გაგრძელებული, ინტელიგენტების წინააღმდეგ გლეხების უსინდისოდ წასისიანებითა და აჯანყებულ გლეხთა მხეცური ცემა-ტყეპით დამთავრებული. ლიბერალები კი ანკესს ეგებიან, ზოგიერთს

* — სიმბოლო სარწმუნოებისა, პროგრამა, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. რ ე დ.

ახლა უკვე სჯერა ბულიგინისა, და ბ-ნი კუზმინ-კარავაევი იურიდიულ საზოგადოებაში ურჩევს ლიბერალურ საზოგადოებას მსხვერპლად გაიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება იმის გულისათვის... რა ჰქვიან... ბ-ნ ბულიგინის[67] მშვენიერი თვალების გულისათვის!

ზომიერი კონსერვატიული ბურჟუაზიის საერთაშორისო კავშირს შეიძლება მხოლოდ ერთი ძალა დაუპირდაპირდეს: რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო კავშირი. ეს კავშირი უკვე სავსებით შეიქმნა პოლიტიკური სოლიდარობის აზრით. რაც შეეხება საქმის პრაქტიკულ მხარეს და რევოლუციურ თაოსნობას, ამ მხრივ ყველაფერი დამოკიდებულია რუსეთის მუშათა კლასზე და იმაზე, თუ რა წარმატება ექნება მის ერთობლივ დემოკრატიულ გამოსვლას ქალაქისა და სოფლის მილიონობით ღარიბებთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

«ვპერიოდ» № 13,
1905 წ. 5 აპრილი (23 მარტი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

სოციალ-დემოკრატია
და დროებითი რევოლუციური
მთავრობა

დაწერილია 1905 წ. მარტის
დამლევს — აპრილის დამდეგს

დაიბეჭდა 1905 წ. 5 და 12
აპრილს (23 და 30 მარტს)
გაზეთ «ვპერიოდში» №№ 13 და 14

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

I

სულ ხუთიოდე წლის წინათ ლოზუნგი «ძირს თვითმპყრობელობა!» სოციალ-დემოკრატიის ბევრ წარმომადგენელს ნაადრევი, მუშათა მასისათვის გაუგებარი ეგონა. ეს წარმომადგენლები სამართლიანად იყვნენ მიჩნეული ოპორტუნისტებად. მათ უხსნიდნენ და აუხსნეს, რომ ისინი მოძრაობას ჩამორჩებიან, რომ მათ არ ესმით პარტიის ამოცანები, როგორც კლასის მოწინავე რაზმისა, როგორც მისი ხელმძღვანელისა და ორგანიზატორისა, როგორც მთლიანად მოძრაობის, მისი ძირითადი და მთავარი მიზნების წარმომადგენლისა. ამ მიზნებს შეიძლება დროებით ჩრდილავდეს ყოველდღიური წვრილმანი მუშაობა, მაგრამ მათ არასოდეს არ უნდა დაკარგონ მებრძოლი პროლეტარიატისათვის გზის მანათობელი ვარსკვლავის მნიშვნელობა.

და აი დადგა დრო, როცა რევოლუციური ალი მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო, როცა უახლოეს მომავალში თვითმპყრობელობის დამხობის აუცილებლობა ყველაზე ურწმუნოებმაც კი იწამეს. სოციალ-დემოკრატიას კი, თითქოს ისტორიის რაღაც ირონიით, უხდება ერთხელ კიდევ ჰქონდეს საქმე ასეთსავე რეაქციულ, ოპორტუნისტულ ცდებთან — უკან დასწიონ მოძრაობა, დააკნინონ მისი ამოცანები, დააბნელონ მისი ლოზუნგები. ასეთი ცდების წარმომადგენლებთან პოლემიკა სადღეისო ამოცანა ხდება, მას (მიუხედავად ბევრის და ბევრის აზრი-

სა, რომლებსაც არაფრად ეპიტნავებათ პოლემიკა პარტიის შიგნით) უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. რაც უფრო ახლოს მივუდგებით ჩვენი უახლოესი პოლიტიკური ამოცანების უშუალოდ განხორციელებას, მით უფრო დიდია იმის საჭიროება, რომ სავსებით ცხადად გვესმოდეს ეს ამოცანები, მით უფრო მავნეა ყოველგვარი ორაზროვნება, აზრის დაუმთავრებლობა ან მოუფიქრებლობა ამ საკითხში.

ხოლო მოუფიქრებლობა საკმაოდ ბევრია ახალისკრელთა ან (რაც თითქმის იგივეა) რაბოჩეედელოელთა ბანაკის სოციალ-დემოკრატებს შორის. ძირს თვითმპყრობელობა! — ამას ყველა ეთანხმება, არათუ ყველა სოციალ-დემოკრატი, არამედ ყველა დემოკრატიც, ყველა ლიბერალიც კი, თუ მათს ახლანდელ განცხადებებს დავუჯერებთ. მაგრამ რას ნიშნავს ეს? სახელდობრ როგორ უნდა მოხდეს ახლანდელი მთავრობის ეს დამხობა? ვინ უნდა მოიწვიოს ის დამფუძნებელი კრება, რომლის ლოზუნგის წამოსაყენებლად ახლა ოსვობოჟდენიელებიც კი მზად არიან, — საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლების აღიარებით (იხ. «ოსვობოჟდენიეს» № 67)? სახელდობრ რაში უნდა მდგომარეობდეს ასეთი კრების თავისუფალი და მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველი არჩევნების ნამდვილი უზრუნველყოფა?

ვინც ნათლად და ზუსტად ვერ ერკვევა ამ კითხვებში, მას არ ესმის ლოზუნგი: ძირს თვითმპყრობელობა! ამ კითხვებს კი აუცილებლად მივყავართ დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხთან; ძნელი გასაგები არ არის, რომ თვითმპყრობელობის დროს დამფუძნებელი კრების ნამდვილად თავისუფალი საყოველთაო სახალხო არჩევნები ნამდვილად საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის სრული უზრუნველყოფით არათუ მოსალოდნელი არ არის, არამედ პირდაპირ შეუძლებელიცაა. და თუ ჩვენ ფუჭად არ ვაყენებთ თვითმპყრობელური მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის პრაქტიკულ მოთხოვნას, მაშინ ხომ ვალდებული ვართ გავერკვეთ, თუ სახელდობრ რომელი სხვა მთავრობით გვსურს შევცვალოთ ის მთავრობა, რომელსაც ვამხობთ, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორ ვუყურებთ სოციალ-

დემოკრატიის დამოკიდებულებას დროებითი რევოლუციური მთავრობისადმი?

ამ საკითხში თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტები, ე. ი. ახალისკრელები ისევე გულმოდგინედ ეწევიან უკან პარტიას, როგორც ამ ხუთი წლის წინათ რაბოჩეედელოელები საერთოდ პოლიტიკური ბრძოლის საკითხში. მათი რეაქციული შეხედულებანი ამ პუნქტზე ყველაზე მთლიანად არის განვითარებული მარტინოვის ბროშურაში «ორი დიქტატურა», რომელიც სპეციალური შენიშვნით მოიწონა და გვირჩია «ისკრამ» (№ 84) და რომლისთვისაც ჩვენ უკვე არა ერთხელ მიგვიპყრია ჩვენი მკითხველების ყურადღება.

თავისი ბროშურის დასაწყისშივე მარტინოვი ასეთი საშინელი პერსპექტივით გვაფრთხობს: რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მტკიცე ორგანიზაციას რომ შეეძლოს «დანიშნოს და განახორციელოს საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყება» თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რაზედაც ლენინი ოცნებობდა, «განა ცხადი არ არის, რომ მთელი ხალხის ნება რევოლუციის გამარჯვებისთანავე სწორედ ამ პარტიას დანიშნავდა დროებით მთავრობად? განა ცხადი არ არის, რომ ხალხი სწორედ ამ პარტიას და არა რომელიმე სხვას, ჩაბარებდა რევოლუციის უახლოეს ბედს?».

ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავალმა ისტორიკოსმა გაოცებით უნდა აღნიშნოს, რომ რუსეთის რევოლუციის დასაწყისშივე სოციალ-დემოკრატიის ჟირონდისტები ასეთი პერსპექტივით აფრთხობდნენ რევოლუციურ პროლეტარიატს! მარტინოვის ბროშურის (და ახალი «ისკრის» მთელი რიგი სტატიებისა და სტატიათა ცალკეული ადგილების) მთელი შინაარსი ამ «პერსპექტივის «საშინელებათა» დახატვით განისაზღვრება. ახალისკრელთა იდეურ ბელადს აქ ელანდება «ძალაუფლების ხელში ჩაგდება», ეჩვენება საფრთხობელა «იაკობინელობისა», ბაკუნიზმისა, ტკაჩოვიზმისა და სხვა საშინელი იზმებისა, რომლებითაც ასე სიამოვნებით აფრთხობენ პოლიტიკურ ბალღებს რევოლუციასთან მიტმასნილი დედაბრები. და, ცხადია, ამასთან ისე როგორ იქნება, რომ მარქსისა და ენგელსის ნაწერე-

ბიდან «ციტატები» არ მოიყვანონ. საბრალო მარქსი და ენგელსი, ვის არ გამოუყენებია ბოროტად ციტატები მათი ნაწარმოებებიდან! თქვენ გახსოვთ: იმ ჭეშმარიტებას, რომ «ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა» [68], იმოწმებდნენ ჩ ვ ე ნ ი პოლიტიკური ამოცანების, პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის წესების შეზღუდულობისა და ჩამორჩენილობის გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ლ ა დ? ახლა მაჩანჩალობის სასარგებლოდ ცრუმოწმედ ენგელსი გამოჰყავთ. თავის შრომაში «გლეხთა ომი გერმანიაში» იგი წერდა: «ყველაზე უარესი რამ ყოველივე იქიდან, რაც შეიძლება მოელოდეს უკიდურესი პარტიის ბელადს, არის იძულებული აუცილებლობა — ეპყრას ხელისუფლება იმ დროს, როცა მოძრაობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ მომწიფებულა მის მიერ წარმოდგენილი კლასის ბატონობისათვის და იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც ამ ბატონობას უზრუნველყოფენ». საკმარისია ყურადღებით წავიკითხოთ მარტინოვის მიერ მოყვანილი გრძელი ციტატის ეს დასაწყისი, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ ამახინჯებს ავტორის აზრს ჩვენი მაჩანჩალა. ენგელსი ლაპარაკობს ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ზ ე, რ ო მ ე ლ ი ც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს კ ლ ა ს ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ს. ნუთუ ეს ნათელი არ არის? მაშასადამე, პროლეტარიატის მიმართ ეს არის ხელისუფლება, რომელიც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ა ს, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურას სოციალისტური გადატრიალების განსა. ხორციელებლად. მარტინოვს არ ესმის ეს და ერთმანეთში ურევს დროებითს რევოლუციურ მთავრობას თვითმპყრობელობის დამხობის ეპოქაში და პროლეტარიატის უზრუნველყოფილ ბატონობას ბურჟუაზიის დამხობის ეპოქაში, ერთმანეთში ურევს პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიულ დიქტატურას და მუშათა კლასის სოციალისტურ დიქტატურას. ხოლო თუ ენგელსის ციტატს განვაგრძობთ, მისი აზრი კიდევ უფრო ნათელი ხდება. უკიდურესი პარტიის ბელადი — ამბობს იგი — იძულებული იქნება «დაიცვას მისთვის უცხო კლასის ინტერესები, ხოლო თავის კლასს გაუმასპინძლდეს ფ რ ა ზ ე ბ ი თ, დ ა პ ი რ ე ბ ე ბ ი თ და ი მ ი ს რ წ მ უ ნ ე ბ ი თ,

რომ სხვა კლასის ინტერესები მისი საკუთარი ინტერესებია. ვინც ერთხელ ჩავარდა ამ ყალბ მდგომარეობაში, ის საბოლოოდ დაღუპულია» [69].

ხაზგასმული ადგილები ცხადყოფენ, რომ ენგელსი გვაფრთხილებს არ მოვექცეთ სწორედ იმ ყალბ მდგომარეობაში, რომელიც იმის შედეგს წარმოადგენს, რომ ბელადს არ «ესმის» «თავისი» კლასის ნამდვილი ინტერესები და გადატრიალების ნამდვილი კლასობრივი შინაარსი. რათა თვალსაჩინო გავხადოთ, ვცადოთ უბრალო მაგალითით დავუღეჭოთ ეს ჩვენს ღრმააზროვან მარტინოვს. როდესაც ნაროდოვოლცები, რომელნიც ფიქრობდნენ «შრომის» ინტერესების წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, არწმუნებდნენ თავს და სხვებს, რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაში გლეხების 90 პროც. სოციალისტები იქნებიანო, ისინი ამით ვარდებოდნენ ყალბ მდგომარეობაში, რასაც აუცილებლად უნდა მიეყვანა ისინი საბოლოო პოლიტიკურ დაღუპვამდე, რადგან ეს «დაპირებანი და აღთქმანი» ობიექტურ სინამდვილეს არ შეეფერებოდნენ. სინამდვილეში ისინი გაატარებდნენ ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებს, «სხვა კლასის ინტერესებს». ხომ ვერ ხვდებით ცოტა რამეს, დიდად პატივცემულო მარტინოვ? როდესაც სოციალისტ-რევოლუციონერები იმ აგრარულ გარდაქმნას, რომელიც რუსეთს აუცილებლად მოელის, გვიხატავენ როგორც «სოციალიზაციას», როგორც «ხალხისათვის მიწის გადაცემას», როგორც «გათანაბრებული სარგებლობის» დასაწყისს, ისინი თავს იყენებენ ყალბ მდგომარეობაში, რამაც აუცილებლად უნდა მიიყვანოს ისინი საბოლოო პოლიტიკურ დაღუპვამდე, რადგან სინამდვილეში სწორედ ის გარდაქმნა, რომლის მიღწევასაც ისინი ცდილობენ, უზრუნველყოფს *სხვა კლასის*, გლეხური ბურჟუაზიის ბატონობას, ასე რომ მათს ფრაზებს, დაპირებებსა და აღთქმებს სინამდვილე მით უფრო მალე გააბათილებს, რაც უფრო სწრაფად წავა რევოლუციის განვითარება. თქვენ კიდევ მაინც არ გესმით, რაშია საქმე, დიდად პატივცემულო მარტინოვ? თქვენ კიდევ მაინც არ გესმით, რომ ენგელსის აზრის *არსი* მდგომარეობს იმის აღნიშვნაში, თუ რა დამღუპველია გადატრიალების ნამ-

დვილი ისტორიული ამოცანების გაუგებლობა, რომ, მაშასადამე, ენგელსის სიტყვები შეიძლება შევუფარდოთ ჩვენს ნაროდოვოლცებსა და «სოციალისტ-რევოლუციონერებს»?

II

ენგელსი მიგვითითებს იმ საფრთხეზე, რომელსაც წარმოადგენს გადატრიალების არაპროლეტარული ხასიათის გაუგებლობა პროლეტარიატის ბელადების მიერ, ჭკუისკოლოფ მარტინოვს კი აქედან ის საფრთხე გამოჰყავს, რომ ვაითუ პროლეტარიატის ბელადებმა, რომლებიც პროგრამითაც, ტაქტიკითაც (ე. ი. მთელი პროპაგანდითა და აგიტაციით) და ორგანიზაციითაც გაემიჯნენ რევოლუციურ დემოკრატიას, ხელმძღვანელი როლი შეასრულონ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაშიო. ენგელსი საფრთხეს ხედავს იმაში, რომ ბელადმა ერთმანეთში არ აურიოს გადატრიალების მოჩვენებითი სოციალისტური და რეალურად დემოკრატიული შინაარსი, ჭკუისკოლოფ მარტინოვს კი აქედან ის საფრთხე გამოჰყავს, რომ ვაითუ პროლეტარიატმა გლეხობასთან ერთად შეგნებულად იკისროს დიქტატურა დემოკრატიული რესპუბლიკისა, როგორც ბურჟუაზიული ბატონობის უკანასკნელი ფორმისა და ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საუკეთესო ფორმის განხორციელებაშიო. ენგელსი საფრთხეს ხედავს ყალბ, ცრუ მდგომარეობაში, როცა ერთს ამბობენ და სხვას კი აკეთებენ, როცა ერთი კლასის ბატონობას გვპირდებიან, ნამდვილად კი სხვა კლასის ბატონობას უზრუნველყოფენ; ენგელსი ამ სიყალბეში საბოლოო პოლიტიკური დაღუპვის გარდუვალობას ხედავს, ჭკუისკოლოფ მარტინოვს კი აქედან დაღუპვის საფრთხე გამოჰყავს იმის შედეგად, რომ დემოკრატიის ბურჟუაზიული მომხრენი პროლეტარიატსა და გლეხობას ნამდვილად დემოკრატიული რესპუბლიკის უზრუნველყოფას არ დაანებებენო. ჭკუისკოლოფ მარტინოვს ვერასგზით ვერ გაუგია, რომ ასეთი დაღუპვა, პროლეტარიატის ბელადის დაღუპვა, ათასობით პროლეტართა დაღუპვა ნამდვილი დემოკ-

რატიული რესპუბლიკისათვის ბრძოლაში, თუმცა ფიზიკური დაღუპვაა, მაგრამ არათუ პოლიტიკური დაღუპვა არ არის, არამედ, პირიქით, ეს არის პროლეტარიატის უდიდესი პოლიტიკური მონაპოვარი, თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავისი ჰეგემონიის უდიდესი განხორციელება. ენგელსი ლაპარაკობს იმის პოლიტიკურად დაღუპვაზე, ვინც შეუგნებლად უხვევს თავისი კლასობრივი გზიდან უცხო კლასობრივ გზაზე, ჭკუისკოლოფი მარტინოვი კი, რომელსაც მოწიწებით მოჰყავს ციტატები ენგელსის ნაწერებიდან, ლაპარაკობს იმის დაღუპვაზე, ვინც სულ წინ და წინ წავა სწორი კლასობრივი გზით.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და მაჩანჩალობის თვალსაზრისთა განსხვავება აქ მთელი სიცხადით იჩენს თავს. მარტინოვი და ახალი «ისკრა» გაურბიან ყველაზე რადიკალური დემოკრატიული გადატრიალების ამოცანას, რომელიც ეკისრება პროლეტარიატს გლეხობასთან ერთად, გაურბიან ამ გადატრიალების სოციალ-დემოკრატიულ ხელმძღვანელობას, და ამრიგად, თუნდაც შეუგნებლად, პროლეტარიატის ინტერესებს ბურჟუაზიულ დემოკრატიას უგდებენ ხელში. მარქსის სამართლიანი აზრიდან, რომ ჩვენ უნდა ვამზადებდეთ არა მმართველ, არამედ მ ო მ ა ვ ლ ი ს ოპოზიციურ პარტიასაო, მარტინოვს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ჩვენ მაჩანჩალურ ოპოზიციას უნდა ვუქმნიდეთ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ რევოლუციას. ამით განისაზღვრება მისი პოლიტიკური სიბრძნე. აი მისი მსჯელობა, და მკითხველს ძალიან ვურჩევთ ჩაუკვირდეს მას:

«პროლეტარიატს არ შეუძლია მიიღოს არც მთელი პოლიტიკური ხელისუფლება სახელმწიფოში და არც მისი ნაწილი, ვიდრე იგი სოციალისტურ რევოლუციას არ მოახდენს. ეს არის ის უცილობელი დებულება, რომელიც გვაშორებს ჩვენ ოპორტუნისტული ჟორესიზმისაგან»... (მარტინოვი, გვ. 58), და რომელიც, დავძენთ ჩვენდათავად, უცილობლად ამტკიცებს, რომ პატივცემულ მარტინოვს არ შესწევს უნარი ესმოდეს, თუ სად რა მოუხდება. ერთმანეთში არიო პროლეტარიატის მონაწილეობა იმ ხელისუფლებაში, რომელიც სოციალისტურ გადატრიალებას უწევს წინააღმდეგობას, და პროლეტარიატის მონაწილეობა დემოკრატიულ რევოლუციაში — ნიშნავს სრულებით

არ გესმოდეს, თუ რას ეხება საქმე. ეს იგივეა, რომ ერთმანეთში აურიო მილიერანის მონაწილეობა მკვლელ გალიფეს სამინისტროში და ვარლენის [70] მონაწილეობა კომუნაში, რომელიც რესპუბლიკას იცავდა და დაიცვა.

მაგრამ კიდევ დაუგდეთ ყური, რათა გაიგოთ, როგორ იბნევა ჩვენი ავტორი: ...«მაგრამ თუ ასეა, მაშინ აშკარაა, რომ მომავალ რევოლუციას არ შეუძლია მოახდინოს არავითარი პოლიტიკური ფორმის რეალიზაცია მ თ ე ლ ი ბურჟუაზიის ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (ხაზგასმა მარტინოვისაა), რადგან ბურჟუაზია იქნება ხვალინდელი დღის ბატონ-პატრონი».. ჯერ-ერთი, რატომ არის აქ ლაპარაკი მხოლოდ პოლიტიკურ ფორმებზე, მაშინ როცა წინა ფრაზაში ლაპარაკი იყო პროლეტარიატის ხელისუფლებაზე საერთოდ, თვით სოციალისტურ რევოლუციამდე? რატომ არ ლაპარაკობს ავტორი ეკონომიური ფორმების რეალიზაციაზე? იმიტომ, რომ ავტორი თავისვე შეუმჩნევლად უკვე გადახტა სოციალისტური გადატრიალებიდან დემოკრატიულზე. ხოლო თუ ასეა (ეს მეორე), მაშინ ავტორი სავსებით შემცდარია, როცა ლაპარაკობს tout court (მხოლოდ და მხოლოდ) «მთელი ბურჟუაზიის ნებაზე», რადგან დემოკრატიული გადატრიალების ეპოქა სწორედ იმით განირჩევა, რომ სხვადასხვა ფენები ბურჟუაზიისა, რომელიც მხოლოდ თავს აღწევს აბსოლუტიზმს, ნების სხვადასხვაობით ხასიათდებიან. დემოკრატიულ გადატრიალებაზე ილაპარაკო და «პროლეტარიატისა» და «ბურჟუაზიის» უბრალო და შიშველ დაპირდაპირებას სჯერდებოდე უდიდესი სისულელეა, რადგან ე ს გადატრიალება მოასწავებს საზოგადოების განვითარების სწორედ იმ პერიოდს, როცა საზოგადოების მასა არსებითად პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის დგას, უაღრესად ფართო წვრილბურჟუაზიულ, გლეხურ ფენას შეადგენს. ამ გიგანტურ ფენას, სწორედ იმიტომ, რომ დემოკრატიული გადატრიალება ჯერ კიდევ არ მომხდარა, პოლიტიკური ფორმების რეალიზაციის საქმეში გაცილებით მეტი საერთო ინტერესები აქვს «პროლეტარიატთან», ვიდრე «ბურჟუაზიას» ამ სიტყვის ნამდვილი და ვიწრო მნიშვნელობით. ამ მარტივი ამბის გაუგებლობა არის მარტინოვის აბნეულობის ერთ-ერთი მთავარი წყარო.

შემდეგ: ...«თუ ასეა, მაშინ ბურჟუაზიული ელემენტების უმრავლესობის უბრალო დაშინების გზით პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ერთი რამ, — აბსოლუტიზმის აღდგენა მისი თავდაპირველი სახით,— და პროლეტარიატი, რა თქმა უნდა, ამ შესაძლებელი შედეგის წინაშე არ შეჩერდება, იგი არ მოერიდება ბურჟუაზიის დაშინებას უარეს შემთხვევაში, თუ საქმე გადაჭრით გადაიხრება იქითკენ, რომ მოჩვენებითი კონსტიტუციური დათმობით გამოაცოცხლონ და განამტკიცონ გახრწნის პროცესში მყოფი თვითმპყრობელი ხელისუფლება. მაგრამ პროლეტარიატი საბრძოლველად რომ გამოდის, მას, თავისთავად ცხადია, ეს უარესი შემთხვევა როდი აქვს მხედველობაში».

გესმით რამე, მკითხველო? პროლეტარიატი არ მოერიდება დაშინებას, რომელიც იწვევს აბსოლუტიზმის აღდგენას, იმ შემთხვევაში, თუ დაგვემუქრება მოჩვენებითი კონსტიტუციური დათმობის საფრთხე! ეს იგივეა, მე რომ მეთქვა: მე მემუქრება ეგვიპტური სასჯელი მარტო მარტინოვთან ერთი დღის საუბრის სახით; ამიტომ უარესი შემთხვევისათვის მივმართავ დაშინებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ორი დღის საუბარი მარტინოვთან და მარტოვთან-მეთქი. ეს ხომ ნამდვილი აბდაუბდაა, დიდად პატივცემულო!

აზრი, რომელიც ელანდებოდა მარტინოვს, როცა იგი ზემოთ მოყვანილ უაზრობას წერდა, შემდეგში მდგომარეობს: თუ დემოკრატიული გადატრიალების ეპოქაში პროლეტარიატი შეუდგა ბურჟუაზიის დაშინებას სოციალისტური რევოლუციით, ეს გამოიწვევს მხოლოდ რეაქციას, რომელიც დემოკრატიულ მონაპოვარსაც შეასუსტებს. ეს არის და ეს. არც აბსოლუტიზმის აღდგენაზე თავდაპირველი სახით, არც პროლეტარიატის მზადყოფნაზე უარეს შემთხვევაში უარეს სისულელეს მიმართოს, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლება. მთელი საქმე განისაზღვრება კვლავ იმ განსხვავებით დემოკრატიულ და სოციალისტურ გადატრიალებას შორის, რომელიც მარტინოვს ავიწყდება, იმ გიგანტური გლეხური და წვრილბურჟუაზიული მოსახლეობის არსებობით, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს

დემოკრატიულ გადატრიალებას, ხოლო ამჟამად არ შეუძლია მხარი დაუჭიროს სოციალისტურ გადატრიალებას.

კიდევ მოვუსმინოთ ჩვენს ჭკუისკოლოფ მარტინოვს: ...«ცხადია, ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ბურჟუაზიული რევოლუციის წინახანს ზოგ რამეში უნდა განსხვავდებოდეს ამავე ბრძოლისაგან მის საბოლოო სტადიაში, სოციალისტური რევოლუციის წინახანს»... დიახ, ეს ცხადია, და მარტინოვი რომ დაფიქრებულიყო, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება, საეჭვოა მას დაეწერნა ზემოთ მოყვანილი აბდაუბდა და მთელი თავისი ბროშურა.

...«ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად ბურჟუაზიული რევოლუციის მსვლელობასა და შედეგზე შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ იმით, რომ პროლეტარიატი რევოლუციურ ზეგავლენას მოახდენს ლიბერალური და რადიკალური ბურჟუაზიის ნებაზე, რომ საზოგადოების უფრო დემოკრატიული «ქვედაფენები» აიძულებენ მის «ზედაფენებს» დათანხმდნენ, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია მის ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანონ. ეს ბრძოლა გამოიხატება იმით, რომ პროლეტარიატი თვითეულ შემთხვევაში დაუსვამს ბურჟუაზიას დილემას: ან უკან აბსოლუტიზმის მარწუხებში, სადაც მას სული ეხუთება, ან წინ ხალხთან ერთად».

ეს ტირადა მარტინოვის ბროშურის ცენტრალური პუნქტია. აქ არის მთელი მისი არსი, მთელი მისი ძირითადი «იდეები». და თურმე რა ყოფილა ეს ჭკვიანური იდეები? შეხედეთ: რა არის ეს საზოგადოების «ქვედაფენები», ეს «ხალხი», რომელიც როგორც იქნა გაახსენდა ჩვენს ბრძენს? ეს არის ქალაქისა და გლეხობის სწორედ ის მრავალმილიონიანი წვრილბურჟუაზიული ფენა, რომელსაც სავსებით შეუძლია გამოვიდეს რევოლუციურ დემოკრატად. ხოლო რა არის პროლეტარიატის პლუს გლეხობის ეს ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ა საზოგადოების ზედაფენებზე, რა არის პროლეტარიატის ეს წინსვლა ხალხთან ერთად საზოგადოების ზედაფენების ნების წინააღმდეგ? სწორედ ეს არის პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა და გ ლ ე ხ ობ ი ს ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ́ უ ლ ი დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს ჩვენი მაჩანჩალა! მას მხოლოდ ეშინია

ბოლომდე მოიფიქროს, ეშინია საგნებს მათი ნამდვილი სახელი უწოდოს. ამიტომ იგი ამბობს ისეთ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა არ ესმის, იგი გაუბედავად იმეორებს სასაცილო და უჭკუო მიკიბ-მოკიბვით*, ლოზუნგებს, რომელთა ნამდვილი აზრი მისთვის შეუმჩნეველი რჩება. ამიტომ მხოლოდ მაჩანჩალას შეიძლება შეემთხვეს ასეთი კურიოზი თავისი საბოლოო დასკვნების ყველაზე «საინტერესო» ნაწილში: პროლეტარიატისა და «ხალხის» რევოლუციური ზეგავლენა საზოგადოების ზედაფენებზე, მაგრამ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დაუმყარებლად, — ასეთი რამ მხოლოდ მარტინოვს შეეძლო ეთქვა! მარტინოვს სურს, რომ პროლეტარიატი ემუქრებოდეს საზოგადოების ზედაფენებს, ხალხთან ერთად წინ წავალო, მაგრამ ამავე დროს პროლეტარიატმა თავის ახალისკრელ ბელადებთან ერთად მტკიცედ გადაწყვიტოს ა რ წ ა ვ ი დ ე ს წ ი ნ დემოკრატიული გზით, რადგან ეს არის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის გზა. მარტინოვს სურს, რომ პროლეტარიატი ზეგავლენას ახდენდეს ზედაფენების ნებისყოფაზე თავისი უნებისყოფობის გამომჟღავნებით. მარტინოვს სურს, რომ პროლეტარიატი უბიძგებდეს ზედაფენებს «დათანხმდნენ», რათა ბურჟუაზიული რევოლუცია მიყვანილ იქნას ლოგიკურ დემოკრატიულ-რესპუბლიკურ დასასრულამდე, უბიძგებდეს იმით, რომ გამოხატავდეს თავის საკუთარ შიშს — ი კ ი ს რ ო ს ხალხთან ერთად რევოლუციის ეს ბოლომდე მიყვანა, აიღოს ძალაუფლება და დემოკრატიული დიქტატურა. მარტინოვს სურს, რომ პროლეტარიატი ავანგარდი იყოს დემოკრატიულ ვადატრიალებაში, და ა მ ი ტ ო მ ჭკუისკოლოფი მარტინოვი ა ფ რ თ ხ ო ბ ს პროლეტარიატს აჯანყების წარმატების შემთხვევაში დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის პერსპექტივით!

---

* ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმ აზრის შეუსაბამობა, რომ პროლეტარიატს თუნდაც უარესის-უარეს შემთხვევაში შეეძლოს უკან უბიძგებდეს ბურჟუაზიას.

რეაქციულ მაჩანჩალობაში ამაზე შორს ვეღარსად წახვალ. მარტინოვს თაყვანი უნდა სცე, როგორც წმინდანს, იმისათვის, რომ მან ბოლომდე მიიყვანა ახალი «ისკრის» მაჩანჩალური ტენდენციები და მკაფიოდ და სისტემატურად გამოხატა ისინი ყველაზე საჭირბოროტო და ძირითად პოლიტიკურ საკითხში*.

III

რა არის მარტინოვის აბნეულობის წყარო? დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალების აღრევა, ხალხის შუალედი ფენის, «ბურჟუაზიისა» და «პროლეტარიატის» შუა ფენის (ქალაქისა და სოფლის ღარიბთა წვრილბურჟუაზიული მასა, «ნახევრადპროლეტარები», ნახევრადმეპატრონენი) როლის დავიწყება, ჩვენი პროგრამა-მინიმუმის ჭეშმარიტი მნიშვნელობის გაუგებლობა. მარტინოვს გაუგონია, რომ სოციალისტს არ შეშვენის ბურჟუაზიულ სამინისტროში მონაწილეობა (როდესაც პროლეტარიატი სოციალისტური გადატრიალებისათვის იბრძვის), და იგი დაეშურა ისე «გაეგო» ეს, რომ მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად რევოლუციურ-დემოკრატიულ გადატრიალებაში და იმ დიქტატურაში, რომელიც საჭიროა ასეთი გადატრიალების სრულად განხორციელებისათვის. მარტინოვს წაუკითხავს ჩვენი პროგრამა-მინიმუმი, მაგრამ ვერ შეუმჩნევია, რომ მასში იმ გარდაქმნათა ზუსტად გამოყოფას, რომელთა განხორციელება შესაძლოა ბურჟუაზიული საზოგადოების ნიადაგზე, სოციალისტურ გარდაქმნათაგან განსხვავებით, მარტო წიგნური მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ უაღრესად სასიცოცხლო, პრაქტიკულიც; მას ვერ შეუმჩნევია, რომ რევოლუციურ პერიოდში ეს პროგრამა დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს და გამოყენებულ იქნას სინამდვილეში. მარტინოვს არ უფიქრნია, რომ თვითმპყრობელობის დამხობის ეპოქაში რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეაზე ხელის აღება ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებაზე ხელის აღებას უდრის.

* სტატია უკვე აწყობილი იყო, როდესაც მივიღეთ «ისკრის» № 93, რომელსაც კიდევ უნდა დავუბრუნდეთ[71].

მართლაც, მხოლოდ გაიხსენეთ ამ პროგრამაში წამოყენებული ყველა ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნა, მოთხოვნა რესპუბლიკისა, ხალხის შეიარაღებისა, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა, სრული დემოკრატიული თავისუფლებისა, გაბედული ეკონომიური რეფორმებისა. განა ცხადი არ არის, რომ ამ გარდაქმნათა განხორციელება ბურჟუაზიული წყობილების ნიადაგზე წარმოუდგენელია, თუ არა გვაქვს დაბალი კლასების რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა? განა ცხადი არ არის, რომ აქ ლაპარაკია სწორედ არა მარტო პროლეტარიატზე «ბურჟუაზიისაგან» განსხვავებით, არამედ «დაბალ კლასებზე», რომელნიც ყოველი დემოკრატიული გადატრიალების აქტიური მამოძრავებელნი არიან? ეს კლასები არიან პროლეტარიატი პლუს ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ათეული მილიონები, რომლებიც წვრილბურჟუაზიული არსებობის პირობებში ცხოვრობენ. ამ მასის ფრიად მრავალი წარმომადგენელი ბურჟუაზიას რომ ეკუთვნის, ეს უეჭველია. მაგრამ კიდევ უფრო უეჭველია, რომ ამ მასის ინტერესს წარმოადგენს დემოკრატიზმის სრული განხორციელება, და რომ რაც უფრო განათლებულია ეს მასა, მით უფრო გარდუვალია მისი ბრძოლა ამ სრული განხორციელებისათვის. სოციალ-დემოკრატი, რა თქმა უნდა, არასოდეს არ დაივიწყებს ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული მასის ორმაგ პოლიტიკურ-ეკონომიურ ბუნებას, იგი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ საჭიროა სოციალიზმისათვის მებრძოლი პროლეტარიატის ცალკე და დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაცია. მაგრამ იგი აგრეთვე არ დაივიწყებს, რომ ამ მასას აქვს «გარდა წარსულისა მომავალი, გარდა ცრუშეხედულებისა გონება»[72], რომელიც უბიძგებს მას წინ, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისაკენ; იგი არ დაივიწყებს, რომ განათლებას იძლევა არა მარტო წიგნი, და არც იმდენად წიგნი, რამდენადაც თვით მსვლელობა რევოლუციისა, რომელიც თვალს გვიხელს და პოლიტიკურ სკოლას გვაძლევს. ასეთ პირობებში თეორიას, რომელიც ხელს იღებს რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეაზე, არ შეიძლება სხვა რამე ვუწოდოთ, თუ არა პოლიტიკური ჩამორჩენილობის ფილოსოფიური გამართლება.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატი ზიზღით უკუაგდებს ასეთ თეორიას. რევოლუციის წინახანს იგი მიუთითებს რევოლუციის არა მარტო «ცუდ დასასრულზე». არა, იგი უკეთესი დასასრულის შესაძლებლობაზედაც მიუთითებს. იგი იოცნებებს, — იგი ვალდებულია იოცნებოს, თუ უიმედო ფილისტერი არ არის, — იმაზე, რომ ევროპის გიგანტური გამოცდილების შემდეგ, რუსეთის მუშათა კლასის ენერგიის უმაგალითო გაქანების შემდეგ, ჩვენ მოვახერხებთ ავანთოთ, ისე როგორც არასოდეს, რევოლუციური შუქის ჩირაღდანი ბნელი და დაბეჩავებული მასის წინაშე, ჩვენ მოვახერხებთ, — იმის მეოხებით, რომ ჩვენ ევროპის მთელ რიგ რევოლუციურ თაობათა გამოცდილებას ვეყრდნობით, — განვახორციელოთ ჯერ კიდევ უნახავი სისრულით ყველა დემოკრატიული გარდაქმნა, მთელი ჩვენი პროგრამა-მინიმუმი; ჩვენ მოვახერხებთ მივაღწიოთ იმას, რომ რუსეთის რევოლუცია იყოს არა რამდენიმე თვის მოძრაობა, არამედ მრავალი წლის მოძრაობა, რომ მან გამოიწვიოს არა მარტო წვრილმანი დათმობანი მბრძანებელ ხელისუფალთა მხრივ, არამედ ამ ხელისუფალთა სრული დამხობა. ხოლო თუ ეს მოხერხდა, — მაშინ... მაშინ რევოლუციური ხანძარი მოედება ევროპას; ბურჟუაზიული რეაქციით სულშეხუთული ევროპელი მუშა თავის მხრივ აღდგება და გვიჩვენებს, თუ «როგორ კეთდება ეს»; მაშინ ევროპის რევოლუციური აზვირთება უკუგავლენას მოახდენს რუსეთზე და რამდენიმე რევოლუციური წლის ეპოქიდან შექმნის რამდენიმე რევოლუციური ათეული წლის ეპოქას, მაშინ... მაგრამ ჩვენ მოვასწრებთ კიდევ არა ერთხელ ვისაუბროთ იმაზე, თუ რას ვიზამთ «მაშინ», ვისაუბროთ არა ქენევის წყეული შორეთიდან, არამედ მუშათა ათასიანი კრებების წინაშე მოსკოვისა და პეტერბურგის ქუჩებში, რუსი «ტეტიების» თავისუფალი კრებების წინაშე.

IV

ახალი «ისკრის» ფილისტერებსა და მის «ფიქრთა მპყრობელს», ჩვენს კეთილ მედავითნეს მარტინოვს ასეთი ოცნება, რა თქმა უნდა, უცხო და უცნაური ეჩვენებათ. მათ ეშინიათ ჩვენი პროგრამა-მინიმუმის სრული განხორციელებისა მდაბიო და

ბნელი ხალხის რევოლუციური დიქტატურის გზით. მათ ეშინიათ თავისი საკუთარი შეგნებისა, ეშინიათ არ დაკარგონ გაზეპირებული (და არა მოფიქრებული) წიგნის მითითება, ეშინიათ, რომ ვერ მოახერხონ დემოკრატიულ გარდაქმნათა სწორი და გაბედული ნაბიჯების გარჩევა არა-კლასობრივი, ნაროდნიკული სოციალიზმის ან ანარქიზმის ავანტიურისტული ნახტომებისაგან. მათი ფილისტერული სული სამართლიანად უკარნახებს მათ, რომ სწრაფი წინსვლის დროს უფრო ძნელია სწორი გზის გარჩევა და რთული და ახალი საკითხების სწრაფად გადაწყვეტა, ვიდრე ყოველდღიური, წვრილმანი მუშაობის რუტინის დროს; ამიტომ ისინი ინსტინქტურად ჩურჩულებენ: მიხსენ მე, უფალო, მიხსენ მე, უფალო! თანაწარმხედინ სასუმელი ესე ჩემგან რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა! ემანდ არ დავიღუპოთ! ბატონებო! სჯობია იაროთ «ნელი ნაბიჯით, მოშიშთ ზიგზაგით»!..

გასაკვირველი არ არის, რომ პარვუსს, რომელიც ასე სულგრძელად უჭერდა მხარს ახალისკრელებს, ვიდრე საქმე ეხებოდა უმთავრესად უხუცესთა და დამსახურებულთა კოოპტაციას, ბოლოს და ბოლოს სული შეეხუთა ასეთ დამყაყებულ საზოგადოებაში. გასაკვირველი არ არის, რომ მას იქ სულ უფრო ხშირად ემართებოდა taedium vitae, ცხოვრებაზე გულის რევა. და, ბოლოს, იგი აჯანყდა. იგი არ დასჯერდა «რევოლუციის ორგანიზების» იმ ლოზუნგის დაცვას, რომელმაც თავზარი დასცა «ისკრას», არ დასჯერდა მოწოდებებს, რომლებიც «ისკრამ» ცალკეულ ფურცლებად დაბეჭდა და «იაკობინურ» საშინელებათა გამო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოხსენიებაც კი დამალა *. არა. თავი დააღწია რა ორგანიზაცია-პროცესის აქსელროდის (თუ ლუქსემბურგის?) ბრძენთაბრძნულ თეორიას, პარვუსმა, როგორც იქნა, მოახერხა წინ წასულიყო, ნაცვლად იმისა, რომ კიბოსავით უკან იხევდეს. მან არ მოისურ-

* არ ვიცი, შეამჩნიეს თუ არა ჩვენმა მკითხველებმა დამ ხასიათებელი ფაქტი: მთელ იმ გროვა ნაგავში, რასაც ახალი «ისკრა» ფურცლების სახით უშვებს, იყო კარგი ფურცლები, რომლებსაც ხელს აწერდა პარვუსი. «ისკრის» რედაქციამ ზურგი შეაქცია სწორედ ამ ფურცლებს, არ მოისურვა არც ჩვენი პარტიისა და არც თავისი გამომცემლობის მოხსენიება.

ვა გაეწია მარტინოვისა და მარტოვის სისულელეთა დაუსრულებელი შესწორების «სიზიფის შრომა»[73]. იგი პირდაპირ გამოვიდა (სამწუხაროდ, მოლაყბე ტროცკისთან ერთად მისი ლაყბური ბროშურის «9 იანვრამდე» წინასიტყვაობაში) რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეის დასაცავად, იმ იდეის დასაცავად, რომ სოციალ-დემოკრატია მოვალეა მონაწილეობა მიიღოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ. პარვუსი ათასჯერ მართალია, როცა ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატიას არ უნდა ეშინოდეს გადადგას გაბედული ნაბიჯები, არ უნდა ეშინოდეს საერთო ძალღონით, ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ხელიხელჩაკიდებული «ურტყამდეს» მტერს, იმ სავალდებულო პირობით (რასაც სავსებით დროულად მოგვაგონებს), რომ არ უნდა ვახდენდეთ ორგანიზაციების აღრევას; ცალ-ცალკე ვიდოდეთ, ერთად ვურტყამდეთ; არ ვფარავდეთ ინტერესთა სხვადასხვაგვარობას; თვალყურს ვადევნებდეთ ჩვენს მოკავშირეს, როგორც ჩვენს მტერს, და სხვ.

მაგრამ რაც უფრო მხურვალეა ჩვენი თანაგრძნობა რევოლუციური სოციალ-დემოკრატის ყველა ამ ლოზუნგისადმი, სოციალ-დემოკრატისა, რომელმაც ზურგი შეაქცია მაჩანჩალებს, მით უფრო ეხამუშა ყურს პარვუსის მიერ აღებული ზოგიერთი მცდარი ნოტი. და ჩვენ ამ პატარა შეცდომებს შარის მოსადებად კი არ აღვნიშნავთ, არამედ იმიტომ, რომ ვისაც მეტი მინიჭებია, მას მეტიც მოეთხოვება. ახლა ყველაფერზე უფრო სახიფათო ის იქნებოდა, რომ პარვუსის სწორ პოზიციას მისი საკუთარი წინდაუხედაობით გასტეხოდა სახელი. სწორედ იმ წინასიტყვაობაში, რომელიც პარვუსმა ტროცკის ბროშურას წარუმძღვარა და რომელსაც ჩვენ ვარჩევთ, სულ მცირე რომ ვთქვათ, წინდაუხედავი ფრაზების რიცხვს ეკუთვნის შემდეგი: «თუ ჩვენ გვსურს გავაცალკეოთ რევოლუციური პროლეტარიატი სხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათაგან, უნდა გვქონდეს უნარი იდეურად ვიდგეთ რევოლუციური მოძრაობის სათავეში» (ეს სწორია), «ყველაზე მეტად რევოლუციური ვიყოთ». ეს არ არის სწორი. ესე იგი, ეს სწორი არ არის, თუ ამ დებულებას ავიღებთ იმ ზოგადი მნიშვნელობით, რომელიც მიცემული აქვს

მას პარვუსის ფრაზით, ეს სწორი არ არის მკითხველის თვალსაზრისით, რომელიც ამ წინასიტყვაობას იღებს, როგორც რაღაც თავისთავადს, მარტინოვისა და ახალისკრელებისაგან დამოუკიდებლად, რომლებსაც პარვუსი არ იხსენიებს. თუ ამ დებულებას შევხედავთ დიალექტიკურად, ე. ი. შეფარდებით, კონკრეტულად, ყოველმხრივ, იმ ლიტერატურული მოჯირითეებისათვის წაუბაძავად, რომელნიც მრავალი წლის გასვლის შემდეგაც კი მთლიანი ნაწარმოებიდან ცალკეულ ფრაზებს ამოგლეჯენ ხოლმე და მათს აზრს ამახინჯებენ, — მაშინ ცხადი იქნება, რომ ეს პარვუსის მიერ მიმართულია სწორედ მაჩანჩალობის წინააღმდეგ და, ა მ დ ე ნ ა დ, ეს სამართლიანია (შეადარე განსაკუთრებით პარვუსის მომდევნო სიტყვები: «თუ ჩვენ ჩ ა მ ო ვ რ ჩ ი თ რევოლუციურ განვითარებას» და ა. შ.). მაგრამ მკითხველს ხომ არ შეუძლია მხედველობაში ჰყავდეს მარტო მაჩანჩალები, რევოლუციის იმ საშიშ მეგობართა შორისაც, რომელნიც რევოლუციონერთა ბანაკში მოიპოვებიან, მაჩანჩალებს გარდა არიან კიდევ სულ სხვა ადამიანებიც, არიან «სოციალისტ-რევოლუციონერები», არიან მოვლენათა ნაკადით ჩათრეული ადამიანები, უმწეონი რევოლუციური ფრაზის წინაშე, როგორც ნადეჟდინები, ან ისეთები, რომლებსაც ინსტინქტი უწევს რევოლუციური მსოფლმხედველობის მაგივრობას (როგორიცაა გაპონი). პარვუსს დაავიწყდა ისინი, და დაავიწყდა იმიტომ, რომ მისი გადმოცემა, მისი აზრის განვითარება თავისუფლად კი არ მიმდინარეობდა, არამედ შებოჭილი იყო საამო მოგონებით იმ მარტინოვობაზე, რომლის წინააღმდეგაც იგი ცდილობს გააფრთხილოს მკითხველი. პარვუსის გადმოცემა საკმაოდ კონკრეტული არ არის, რადგან იგი ანგარიშს არ უწევს რუსეთში არსებულ იმ სხვადასხვა რევოლუციურ მიმდინარეობათა მთელ ერთობლიობას, რომელთა არსებობა გარდუვალია დემოკრატიული გადატრიალების ეპოქაში და რომლებიც ბუნებრივად ასახავენ ასეთ ეპოქაში საზოგადოების კლასობრივ დაუნაწილებლობას. ბუნდოვანი, ზოგჯერ რეაქციულიც კი, სოციალისტური აზრები სავსებით ბუნებრივად მოსავენ ასეთ დროს რევოლუციურ-დემოკრატიულ პროგრამებს, ეფარებიან

რა რევოლუციურ ფრაზას (გაიხსენეთ სოციალისტ-რევოლუციონერები და ნადეჟდინი, რომელმაც, ვგონებ, მხოლოდ სახელწოდება გამოიცვალა, «რევოლუციონერ-სოციალისტებიდან» ახალ «ისკრას» რომ მიემხრო). ხოლო ასეთ პირობებში ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, არასოდეს არ შეგვიძლია წამოვაყენოთ და არ წამოვაყენებთ ლოზუნგს: «ვიყოთ ყველაზე მეტად რევოლუციური». ჩვენ აზრადაც არ მოგვივა გამოვედევნოთ იმ დემოკრატის რევოლუციონერობას, რომელიც მოწყვეტილია კლასობრივ ნიადაგს, კეკლუცობს ფრაზით, დახარბებულია გავრცელებულ და იაფფასიან ლოზუნგებს (მეტადრე აგრარულ სფეროში); ჩვენ, პირიქით, ყოველთვის კრიტიკულად მოვეკიდებით მას, გამოვაშკარავებთ სიტყვების ნამდვილ მნიშვნელობას, იდეალიზებულ დიად მოვლენათა ნამდვილ შინაარსს, ვასწავლით იმას, რომ ფხიზლად აღრიცხონ კლასები და კლასებს შიგნით არსებული ნაირფერობანი რევოლუციის ყველაზე გახურებულ მომენტებში.

სწორედ ასევე, და იმავე მიზეზით, სწორი არ არის პარვუსის დებულებები, რომ «რევოლუციური დროებითი მთავრობა რუსეთში მუშათა დემოკრატიის მთავრობა იქნება», რომ «თუ სოციალ-დემოკრატია რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის სათავეში იდგება, ეს მთავრობა სოციალ-დემოკრატიული იქნება», რომ სოციალ-დემოკრატიული დროებითი მთავრობა «იქნება მთლიანი მთავრობა სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობით». ეს შეუძლებელია, თუ ვილაპარაკებთ არა შემთხვევითს, სწრაფწარმავალ ეპიზოდებზე, არამედ რაოდენადმე მაინც ხანგრძლივ რევოლუციურ დიქტატურაზე, რომელსაც რაოდენადმე მაინც შეუძლია დატოვოს კვალი ისტორიაში. ეს შეუძლებელია, იმიტომ რომ რაოდენადმე მაინც მტკიცე (რა თქმა უნდა, არა აბსოლუტურად, არამედ შეფარდებით) შეიძლება იყოს მხოლოდ ის რევოლუციური დიქტატურა, რომელიც ხალხის უდიდეს უმრავლესობას ეყრდნობა. რუსეთის პროლეტარიატი კი ამჟამად რუსეთის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უდიდესი, გადამწყვეტი უმრავლესობა გახდეს, თუ შეუერთდება ნახევრადპროლეტართა, ნახევრადმეპატრონეთა მა-

სას, ე. ი. ქალაქისა და სოფლის ღარიბთა წვრილბურჟუაზიულ მასას. და შესაძლებელი და სასურველი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის სოციალური ბაზისის ასეთი შემადგენლობა, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს რევოლუციური მთავრობის შემადგენლობაზე, გარდუვალს გახდის მასში რევოლუციური დემოკრატიის უაღრესად სხვადასხვაგვარ წარმომადგენელთა მონაწილეობას ან უპირატესობასაც კი. მეტად მავნე იქნებოდა შეგვექმნა ამ მხრივ რაიმე ილუზია. თუ მოლაყბე ტროცკი ახლა წერს (სამწუხაროდ, პარვუსთან ერთად), რომ «მღვდ. გაპონი შეიძლებოდა ერთხელ გამოჩენილიყო», რომ «მეორე გაპონისათვის ადგილი არ არისო», ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოლაყბეა. რუსეთში მეორე გაპონისათვის ადგილი რომ არ იყოს, მაშინ ჩვენში ადგილი არ იქნებოდა ნამდვილად «დიდი», ბოლომდე მიმავალი, დემოკრატიული რევოლუციისთვისაც. ეს რევოლუცია დიდი რომ გახდეს, 1789 — 1793 წლები რომ მოგვაგონოს და არა 1848 — 1850 წლები, და გადააჭარბოს მათ, ამისათვის მან აქტიური ცხოვრებისათვის, გმირული ღონისძიებებისათვის, «საფუძვლიანი ისტორიული შემოქმედებისათვის» უნდა აამოძრაოს გიგანტური მასები, ამოიყვანოს ისინი საშინელი სიბნელიდან, უმაგალითო დაბეჩავებიდან, წარმოუდგენელი გაველურებიდან და წყვდიადით მოცული სიჩლუნგიდან. იგი უკვე ფეხზე აყენებს, იგი ფეხზე დააყენებს მათ, — ამ საქმეს თვითონ მთავრობა აადვილებს თავისი გაშმაგებული წინააღმდეგობით, მაგრამ, ცხადია, ამ მასებისა და მათი მრავალრიცხოვანი «თვითმყოფი», ხალხური და თვით გლეხური წინამძღოლების მოფიქრებულ პოლიტიკურ შეგნებაზე, სოციალ-დემოკრატიულ შეგნებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მათ არ შეუძლიათ ახლავე, მთელი რიგი რევოლუციური განსაცდელის გაუვლელად, სოციალ-დემოკრატები გახდნენ არა მარტო სიბნელის გამო (რევოლუცია, ვიმეორებთ, ზღაპრული სისწრაფით ანათლებს ადამიანებს), არამედ იმიტომ, რომ მათი კლასობრივი მდგომარეობა პროლეტარული არ არის, იმიტომ რომ ისტორიული განვითარების ობიექტური ლოგიკა ამჟამად მათ წინაშე აყენებს სრულებითაც არა სოცია-

ლისტური, არამედ დემოკრატიული გადატრიალების ამოცანებს.

და ამ გადატრიალებაში მთელი ენერგიით მიიღებს მონაწილეობას რევოლუციური პროლეტარიატი, რომელიც უკუაგდებს ზოგის უბადრუკ მაჩანჩალობას და ზოგის რევოლუციურ ფრაზას, მოვლენათა თავბრუდამხვევ გრიგალში შეიტანს კლასობრივ გარკვეულობასა და შეგნებას, განუხრელად და გაბედულად წავა წინ, კი არ შეუშინდება რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას, არამედ მხურვალედ მოისურვებს მას, იბრძოლებს რესპუბლიკისა და სრული რესპუბლიკური თავისუფლებისათვის, სერიოზული ეკონომიური რეფორმებისათვის, რათა შეიქმნას ნამდვილად ფართო და XX საუკუნის ნამდვილად შესაფერისი სარბიელი სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა[71]

დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის საკითხი დასმულია დღის წესრიგში არა იმდენად მოვლენათა მსვლელობით, რამდენადაც ერთი მიმართულების სოციალ-დემოკრატების თეორიული მსჯელობით. ორ ფელეტონში (№№ 13 და 14) ჩვენ გავარჩიეთ მსჯელობა მარტინოვისა, რომელმაც პირველად წამოაყენა ეს საკითხი. მაგრამ ირკვევა, რომ მისდამი ინტერესი ისე დიდია, ხოლო აღნიშნული მსჯელობით გამოწვეული გაუგებრობანი (იხილე განსაკუთრებით «ისკრის» № 93) ისე უზარმაზარია, რომ საჭიროა ერთხელ კიდევ შევჩერდეთ ამ საკითხზე. რა შეფასებასაც უნდა აძლევდნენ სოციალ-დემოკრატები იმის შესაძლებლობას, რომ მარტო თეორიულად არ დაგვჭირდება ამ საკითხის ახლო მომავალში გადაჭრა, ყოველ შემთხვევაში უახლოესი მიზნების სიცხადე აუცილებლად საჭიროა პარტიისათვის. ამ საკითხზე ნათელი პასუხის გაუცემლად უკვე ახლა შეუძლებელია მტკიცე პროპაგანდა და აგიტაცია, რომლისთვისაც უცხოა მერყეობა ან ბუნდოვანება.

ვცადოთ აღვადგინოთ სადავო საკითხის არსი. თუ ჩვენ გვსურს არა მარტო დათმობანი თვითმპყრობელობისაგან, არამედ მისი ნამდვილი დამხობა, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ მეფის მთავრობის შეცვლას დროებითი რევოლუციური მთავრობით, რომელმაც, ერთი მხრივ, უნდა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება ნამდვილად საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და, მეორე მხრივ, უნდა შეეძლოს მას ნამდვილად გაატაროს სრული თავი-

სუფლება არჩევნების დროს. და აი იბადება კითხვა, დასაშვებია თუ არა, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მონაწილეობას იღებდეს ასეთს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში? ეს კითხვა პირველად დააყენეს ჩვენი პარტიის ოპორტუნისტული ფრთის წარმომადგენლებმა, სახელდობრ მარტინოვმა, ჯერ კიდევ 9 იანვრამდე, ამასთან მან, — ხოლო მის შემდგომ «ისკრამაც», ეს საკითხი უარყოფით გადაწყვიტეს. მარტინოვი ცდილობდა აბსურდამდე მიეყვანა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა შეხედულებანი, ა ფ რ თ ხ ო ბ დ ა რა მათ იმით, რომ იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით ვიმუშავებთ რევოლუციის ორგანიზაციისათვის, თუ ხალხის შეიარაღებულ აჯანყებას ჩვენი პარტია გაუწევს ხელმძღვანელობას, ჩვენ მ ო გ ვ ი ხ დ ე ბ ა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობა მივიღოთო. ხოლო ასეთი მონაწილეობა არის შეუწყნარებელი «დაპყრობა ხელისუფლებისა», კლასობრივი სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის შეუწყნარებელი «ვულგარული ჟორესიზმიაო».

შევჩერდეთ ამ შეხედულების მომხრეთა მსჯელობაზე. გვეუბნებიან, სოციალ-დემოკრატია დროებითს მთავრობაში რომ იქნება, მას ხელთ ძალაუფლება ეპყრობაო; ხოლო სოციალ-დემოკრატიას, როგორც პროლეტარიატის პარტიას, არ შეუძლია ხელთ ეპყრას ძალაუფლება ისე, რომ არ ცდილობდეს ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებას, ე. ი. არ ცდილობდეს სოციალისტური გადატრიალების განხორციელებას. ასეთი საქმის წამოწყებაში კი იგი ამჟამად აუცილებლად დამარცხდება და მხოლოდ თავს შეირცხვენს, მხოლოდ რეაქციის ხელსაყრელ საქმეს გააკეთებსო. ამიტომ დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა დაუშვებელიაო.

ეს მსჯელობა ემყარება დემოკრატიული და სოციალისტური გადატრიალების, — რესპუბლიკისათვის ბრძოლის (აქ მთელი ჩვენი პროგრამა-მინიმუმის ჩათვლითაც) და სოციალიზმისათვის ბრძოლის აღრევას. სოციალ-დემოკრატია რომ ცდილიყო დაუყოვნებლივ დაესახა მიზნად სოციალისტური გადატრიალება, იგი მართლაც მხოლოდ თავს შეირცხვენდა. მაგრამ სო-

КАВКАЗСКІЙ СОЮЗЪ РОС. СОЦ.-ДЕМ. РАБОЧЕЙ ПАРТІИ.

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

Брошюры по партійнымъ вопросамъ № 3.

Революціонная демократическая диктатура пролетаріата и крестьянства.

(Перепеч. изъ № 14 „Впередъ“).

Изданіе Союзнаго Комитета.

Типографія Союза.
1905.

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «პროლეტარიატისა და გლეხობის
რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა».
გამოცემა რსდმპ კავკასიის კავშირისა. — 1905 წ.

ციალ-დემოკრატია ყოველთვის იბრძოდა ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერების» სწორედ ასეთი ბუნდოვანი და გაურკვეველი იდეების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ იგი ყოველთვის მტკიცედ აღნიშნავდა, რევოლუცია, რომელიც რუსეთს მოელის, ბურჟუაზიული ხასიათისა იქნებაო, სწორედ ამიტომ მტკიცედ მოითხოვდა დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის გამოყოფას სოციალისტური პროგრამა-მაქსიმუმისაგან. ყოველივე ამის დავიწყება გადატრიალების დროს შეუძლიათ ცალკეულ სოციალ-დემოკრატებს, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ ქედი მოიხარონ სტიქიურობის წინაშე, მაგრამ არა პარტიას მთლიანად. ამ მცდარი აზრის მომხრენი ქედს იხრიან სტიქიურობის წინაშე, ფიქრობენ, რომ მოვლენათა მსვლელობა აიძულებს სოციალ-დემოკრატიას, ასეთ მდგომარეობაში, შეუდგეს თავისი ნების წინააღმდეგ სოციალისტური გადატრიალების განხორციელებას. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ, მაშასადამე, სწორი არ იქნებოდა ჩვენი პროგრამა, მაშინ იგი «მოვლენათა მსვლელობის» შესაბამისი არ იქნებოდა: იმ ადამიანებს, რომლებიც ქედს იხრიან სტიქიურობის წინაშე, სწორედ ამისა ეშინიათ, ისინი შიშობენ ჩვენი პროგრამის. სისწორისათვის. მაგრამ მათი შიში (რომლის ფსიქოლოგიური ახსნის დასახვას ჩვენს ფელეტონებში შეეცადეთ) სრულიად უსაფუძვლოა. ჩვენი პროგრამა სწორია. სწორედ მოვლენათა მსვლელობა აუცილებლად დაადასტურებს მას, და რაც მეტი დრო გაივლის, მით უფრო მეტად. სწორედ მოვლენათა მსვლელობა «მოგვახვევს თავს» რესპუბლიკისათვის გააფთრებული ბრძოლის უეჭველ აუცილებლობას, სწორედ იგი პრაქტიკულად წარმართავს სახელდობრ ამ მიმართულებით ჩვენს ძალებს, პოლიტიკურად აქტიური პროლეტარიატის ძალებს. სწორედ მოვლენათა მსვლელობა აუცილებლად მოგვახვევს თავს დემოკრატიული გადატრიალების დროს მოკავშირეთა ისეთ მასას წვრილი ბურჟუაზიიდან და გლეხობიდან, რომელთა რეალური საჭიროებანი მოითხოვენ სწორედ პროგრამა-მინიმუმის გატარებას, რომ პროგრამა-მაქსიმუმზე მეტისმეტად სწრაფი გადასვლის შიში პირდაპირ სასაცილოა.

მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ ეს მოკავშირენი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიიდან იწვევენ ახალ შიშს განსაზღვრუ-

ლი მიმართულების სოციალ-დემოკრატებს შორის, სახელდობრ შიშს «ვულგარული ჟორესიზმის» შესახებ. ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად მთავრობაში მონაწილეობა აკრძალულია ამსტერდამის კონგრესის რეზოლუციით [75], ეს არის ჟორესიზმი, ე. ი. პროლეტარიატის ინტერესებისადმი შეუგნებელი ღალატი, პროლეტარიატის გადაქცევა ბურჟუაზიის მაჩანჩალად, მისი გარყვნა მოჩვენებითი ძალაუფლებით, რომელიც სინამდვილეში უეჭველად მიუღწეველია ბურჟუაზიულ საზოგადოებაშია.

ეს მსჯელობა არა ნაკლებ მცდარია. იგი ცხადყოფს, რომ მის ავტორებს დაუზეპირებიათ კარგი რეზოლუციები, მაგრამ ვერ გაუგიათ მათი მნიშვნელობა; — დაუზეპირებიათ ზოგიერთი ანტიჟორესისტული სიტყვები, მაგრამ არ ჩაჰკვირვებიან მათ და ამიტომ სრულიად უადგილოდ იყენებენ; — შეუთვისებიათ მხოლოდ ასო და არა სული საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უკანასკნელი გაკვეთილებისა. ვისაც სურს დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისით შეაფასოს ჟორესიზმი, მან ზუსტად უნდა გააცალკევოს სუბიექტური მოტივები და ობიექტური ისტორიული პირობები. სუბიექტურად ჟორესს სურდა ეხსნა რესპუბლიკა, და ამისათვის ბურჟუაზიულ დემოკრატიას უკავშირდებოდა. ამ «ცდის» ობიექტური პირობები იმაში მდგომარეობდა, რომ რესპუბლიკა საფრანგეთში უკვე ფაქტი იყო და მას არავითარი სერიოზული საფრთხე არ ემუქრებოდა;—რომ მუშათა კლასს დამოუკიდებელი კლასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარების სრული შესაძლებლობა ჰქონდა და საკმაოდ არ სარგებლობდა ამ შესაძლებლობით, ნაწილობრივ, სწორედ თავისი წინამძღოლების ბრჭყვიალა პარლამენტური ვარჯიშის სიუხვის გავლენით, რომ სინამდვილეში მუშათა კლასის წინაშე ისტორია უკვე ობიექტურად აყენებდა სოციალისტური გადატრიალების ამოცანებს, იმ გადატრიალებისა, რომლისგანაც ი ტ ყ უ ე ბ დ ნ ე ნ პროლეტარიატს მილიერანები პაწაწკინტელა სოციალური რეფორმების დაპირებით.

ახლა აიღეთ რუსეთი. სუბიქტურად, ისეთ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს, როგორიც არიან ვპერიოდელები ან პარ-

ვუსი, სურთ დაიცვან რესპუბლიკა, და ამისათვის რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას უკავშირდებიან. ობიექტური პირობები ისე განსხვავდება საფრანგეთის პირობებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ობიექტურად, მოვლენათა ისტორიულმა მსვლელობამ ახლა რუსეთის პროლეტარიატი დააყენა სწორედ დემოკრატიული ბურჟუაზიული გადატრიალების (რომლის მთელ შინაარსს ჩვენ სიმოკლისათვის აღვნიშნავთ სიტყვით რესპუბლიკა) ამოცანის წინაშე; ამ ამოცანის წინაშე დგას მთელი ხალხი, ე. ი. წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის მთელი მასა; თუ ეს გადატრიალება არ იქნება, ისე წარმოუდგენელია დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციის რაოდენადმე მაინც ფართოდ განვითარება სოციალისტური გადატრიალებისათვის.

კონკრეტულად წარმოიდგინეთ ობიექტურ პირობათა მთელი განსხვავება და თქვით: რა უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ივიწყებენ ამ განსხვავებას, რადგან გატაცებული არიან ზოგიერთი სიტყვის წამგვანებით, ზოგიერთი ასოს მსგავსებით, სუბიექტური დასაბუთების ერთნაირობით?

რადგან ჟორესი საფრანგეთში თაყვანსა სცემდა ბურჟუაზიულ სოციალურ რეფორმას, უმართებულოდ ეფარებოდა რა რესპუბლიკისათვის ბრძოლის სუბიექტურ მიზანს, ამიტომ ჩვენც, რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა, ხელი უნდა ავიღოთ რესპუბლიკისათვის სერიოზულ ბრძოლაზეო! ხომ ამით, სწორედ ამით განისაზღვრება ახალისკრელების ბრძენთაბრძნობა.

მართლაც, განა ცხადი არ არის, რომ რესპუბლიკის მოსაპოვებლად ბრძოლას აზრი არა აქვს პროლეტარიატისათვის, თუ მას კავშირი არ ექნება ხალხის წვრილბურჟუაზიულ მასასთან? განა ცხადი არ არის, რომ თუ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა არა, ისე ამ ბრძოლის წარმატების ოდნავი იმედიც არ არის? ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იმ შეხედულებისა, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ, იმაში მდგომარეობს, რომ იგი უსიცოცხლოა, შაბლონურია, იმაში, რომ მხედველობიდან გამოშვებულია რევოლუციური დროების პირობები. რესპუბლიკისათვის იბრძოდე და ამავე დროს რევოლუციურ დემოკრატიულ დიქტატურაზე უარს ამბობდე, ეს იგივეა, რომ

ოიამას გადაეწყვიტა ისე ებრძოლნა კურაპატკინის წინააღმ-
დეგ მუკდენთან, რომ წინასწარ ხელი აეღო მუკდენში შესვლის
ფიქრზე. თუ ჩვენ, რევოლუციურ ხალხს, ე. ი. პროლეტარიატ-
სა და გლეხობას, გვსურს «ერთად ვურტყამდეთ» თვითმპყრო-
ბელობას, მაშინ ასევე ერთად უნდა მოვუღოთ მას ბოლო, ერ-
თად მოვკლათ იგი, ერთად მოვიგერიოთ მისი რესტავრირების
აუცილებელი ცდები! (ერთხელ კიდევ შევნიშნავთ შესაძლე-
ბელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რომ რესპუბლი-
კად ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო და არც იმდენად მართვა-
გამგეობის ფორმას, რამდენადაც ჩვენი პროგრამა-მინიმუმის
დემოკრატიულ გარდაქმნათა მთელ ერთობლიობას.) მართლაც
ბალღურად უნდა გესმოდეს ისტორია, რომ საქმე წარმოდგე-
ნილი გქონდეს «უნახტომოდ» რაღაც ნელა და თანაბრად აღმა-
ვალი სწორი ხაზის სახით: თავდაპირველად ვითომ ლიბერა-
ლური მსხვილი ბურჟუაზიის ჯერია — თვითმპყრობელობის
მცირეოდენი დათმობანი, შემდეგ რევოლუციური წვრილი
ბურჟუაზიისა — დემოკრატიული რესპუბლიკა, ბოლოს, პრო-
ლეტარიატისა — სოციალისტური გადატრიალება. ეს სურათი
სწორია საერთოდ და მთლიანად, სწორია «ხანგრძლივ» მან-
ძილზე, როგორც ფრანგები იტყვიან, რომელიმე საუკუნის მან-
ძილზე (მაგალითად, საფრანგეთისათვის 1789-დან 1905 წლამ-
დე), მაგრამ ამ სურათის მიხედვით რევოლუციურ ეპოქაში სა-
კუთარი მოქმედების გეგმა რომ შეიდგინო, — ამისათვის ფი-
ლისტერობის ვირტუოზი უნდა იყო. თუ რუსეთის თვითმპყრო-
ბელობამ ახლაც ვერ მოახერხა თავი დაიძვრინოს, კუდმოკვე-
ცილი კონსტიტუციის მიცემით, თუ იგი არათუ შეირყევა, არა-
მედ ნამდვილად დ ა ე მ ხ ო ბ ა, მაშინ, ცხადია, საჭირო იქნება
ყველა მოწინავე კლასის რევოლუციური ენერგიის გიგანტური
დაძაბვა ამ მონაპოვარის შესანარჩუნებლად. ხოლო ამის «შე-
ნარჩუნება» სწორედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევო-
ლუციური დიქტატურაა! რაც უფრო მეტს მოვიპოვებთ ახლა,
რაც უფრო ენერგიულად დავიცავთ მონაპოვარს, მით უფრო
ნაკლების წართმევას შესძლებს შემდეგში აუცილებელი მომა-
ვალი რეაქცია, მით უფრო ხანმოკლე იქნება რეაქციის ეს ინ-

ტერვალები, მით უფრო ადვილი იქნება იმ პროლეტარულ მებრძოლთა ამოცანა, რომელნიც ჩვენს შემდეგ მოდიან.

აქ კი გამოდიან ადამიანები, რომლებსაც სურთ წინდაწინ, ბრძოლამდე, თითქოს ადლით მოზომონ «ილოვაისკის მიხედვით» მომავალ მონაპოვართა მცირედი ნაჭერი და რომლებსაც, ასე გასინჯეთ, ჯერ კიდევ 9 იანვრამდე მოეპრიანათ დაეშინებინათ რუსეთის მუშათა კლასი საშინელი რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურის საფრთხობელით! და ეს მეწვრილმანეები რევოლუციურ სოციალ-დემოკრატობას იჩემებენ...

დროებითს მთავრობაში ბურჟუაზიულ რევოლუციურ დემოკრატიასთან ერთად მონაწილეობა, — წუწუნებენ ისინი, — ხომ იმას ნიშნავს, რომ აღიარებდე ბურჟუაზიულ წყობილებას, აღიარებდე საპყრობილეებისა და პოლიციის, უმუშევრობისა და სიღატაკის, საკუთრებისა და პროსტიტუციის შენარჩუნებასაო. ეს საბუთი შეშვენით ან ანარქისტებს, ან ნაროდნიკებს. სოციალ-დემოკრატია ზურგს როდი აქცევს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას იმ საფუძველზე, რომ ეს ბურჟუაზიული პოლიტიკური თავისუფლებაა. სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიული წყობილების «აღიარებას» ისტორიული თვალსაზრისით უყურებს. როცა ფეიერბახს შეეკითხნენ, აღიარებთ თუ არა თქვენ ბიუხნერის, ფოხტისა და მოლეშოტის მატერიალიზმსაო, მან უპასუხა: მე აღვიარებ მატერიალიზმს მის თანაფარდობაში წარსულთან, მაგრამ არა მის თანაფარდობაში მომავალთანაო. აი სწორედ ასევე აღიარებს სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიულ წყობილებას. მას არასოდეს არ შეშინებია და არასოდეს არ შეეშინდება თქვას, რომ აღიარებს რესპუბლიკურ-დემოკრატიულ ბურჟუაზიულ წყობილებას თვითმპყრობელურ-ბატონყმურ ბურჟუაზიულ წყობილებასთან შედარებით. მაგრამ იგი «აღიარებს» ბურჟუაზიულ რესპუბლიკას მხოლოდ როგორც კლასობრივი ბატონობის უკანასკნელ ფორმას, აღიარებს მას, როგორც ყველაზე მარჯვე ასპარეზს ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის საბრძოლველად, აღიარებს არა მისი საპყრობილეებისა და პოლიციისათვის, საკუთრებისა

და პროსტიტუციისათვის, არამედ ამ საყვარელ დაწესებულებათა წინააღმდეგ ფართო და თავისუფალი ბრძოლისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენ აზრადაც არ მოგვდის ვამტკიცებდეთ, რომ რევოლუციურ დროებითს მთავრობაში ჩვენს მონაწილეობას არავითარი საფრთხე არ მოსდევდეს სოციალ-დემოკრატიისათვის. არ არის და არც შეიძლება იყოს ბრძოლის ისეთი ფორმა, ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც საფრთხე არ მოსდევდეს. თუ არ გაგაჩნია რევოლუციური კლასობრივი ინსტინქტი, თუ არ გაგაჩნია მთლიანი, მეცნიერების დონეზე მდგომი, მსოფლმხედველობა, თუ თავში ჭკუა არ გაგაჩნია (საწყენად ნუ დარჩებათ ამხანაგ ახალისკრელებს), — მაშინ სახიფათოა გაფიცვებში მონაწილეობაც — შეიძლება ამან ეკონომიზმი გამოიწვიოს, — საპარლამენტო ბრძოლაში მონაწილეობაც — შეიძლება ეს საპარლამენტო კრეტინიზმით [78] დამთავრდეს, — საერობო ლიბერალური დემოკრატისათვის მხარის დაჭერაც — ამან შეიძლება «საერობო კამპანიის გეგმამდე» მიგვიყვანოს. მაშინ საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის შესახებ ჟორესისა და ოლარის უაღრესად სასარგებლო თხზულებათა წაკითხვაც კი სახიფათოა — ამან შეიძლება მიგვიყვანოს მარტინოვის ბროშურამდე ორი დიქტატურის შესახებ.

ცხადია, სოციალ-დემოკრატიამ თუნდაც ერთი წუთით რომ დაივიწყოს პროლეტარიატის კლასობრივი განსხვავება წვრილი ბურჟუაზიისაგან, უდროო დროს რომ დასდოს ჩვენთვის არახელსაყრელი კავშირი ამა თუ იმ ინტელიგენტურ წვრილბურჟუაზიულ პარტიასთან, რომელიც ნდობის ღირსი არ არის, სოციალ-დემოკრატიამ თუნდაც ერთი წუთით რომ გაუშვას მხედველობიდან თავისი დამოუკიდებელი მიზნები და იმის აუცილებლობა (ყველა და ყოველგვარი პოლიტიკური სიტუაციისა და კონიუნქტურის დროს, ყველა და ყოველგვარი პოლიტიკური მობრუნებისა და გადატრიალების დროს), რომ ყურადღების ცენტრში სვამდეს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნებისა და მისი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარებას, — მაშინ დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობა უაღრესად სახიფათო იქნებოდა. მაგრამ ამ პირობით, ვიმეორებთ, და იმდენადვე სახიფათოა ყოველი პოლიტი-

კური ნაბიჯი. თუ რამდენად უსაფუძვლოა ამ შესაძლებელი შიშის შეფარდება რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ უახლოესი ამოცანების ახლანდელ დაყენებასთან, ამას სულ მარტივი ცნობები უჩვენებს ყველას. ჩვენს თავზე არ ვილაპარაკებთ, არ გავიმეორებთ იმ მრავალრიცხოვან განცხადებას, გაფრთხილებას, მითითებას, რომლებსაც განსახილველად აღებულ საკითხზე გაზეთ «ვპერიოდში» ვიძლევით, — დავიმოწმებთ პარვუსს. მხარს უჭერს რა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, იგი მთელი ენერგიით ხაზგასმით აღნიშნავს იმ პირობებს, რომლებიც ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ: ერთად ვურტყამდეთ, ცალ-ცალკე ვიდოდეთ, არ ვახდენდეთ ორგანიზაციების აღრევას, თვალყურს ვადევნებდეთ მოკავშირეს, როგორც მტერს და ა. შ.. ჩვენ უფრო დაწვრილებით აღარ ვჩერდებით საქმის ამ მხარეზე, რომელიც უკვე აღნიშნულია ფელეტონში.

არა, ნამდვილი პოლიტიკური საფრთხე სოციალ-დემოკრატიისათვის ამჟამად სრულებითაც იქ არ არის, სადაც მას ახალისკრელები ეძებენ. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დემოკრატიულ დიქტატურაზე ფიქრი კი არ უნდა გვაშინებდეს, არამედ მაჩანჩალობისა და უსიცოცხლობის ის სული, რომელიც გამხრწნელ გავლენას ახდენს პროლეტარიატის პარტიაზე, გამოხატულებას პოულობს რა ორგანიზაცია-პროცესის, შეიარაღება-პროცესის და სხვ. ყოველგვარ თეორიებში. აიღეთ, მაგალითად, «ისკრის» უახლესი ცდა გაატაროს განსხვავება დროებითს რევოლუციურ მთავრობასა და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დემოკრატიულ დიქტატურას შორის. განა ეს უსიცოცხლო სქოლასტიკის ნიმუში არ არის? იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ განსხვავებას თხზავენ, შეუძლიათ მძივივით აასხან ლამაზ-ლამაზი სიტყვები, მაგრამ სრულებით არ შესწევთ უნარი იფიქრონ. აღნიშნული ცნებების თანაფარდობა სინამდვილეში დაახლოებით ისეთია, როგორც იურიდიული ფორმისა და კლასობრივი შინაარსის თანაფარდობა. ვინც ამბობს: «დროებითი რევოლუციური მთავრობაო», იგი ხაზგასმით აღნიშნავს საქმის სახელმწიფოებრივ-უფლებრივ მხარეს, მთავრობის წარმოშობას არა კანონიდან,

არამედ რევოლუციიდან, მთავრობის დროებითს ხასიათს, მთავრობისა, რომელიც შეზღუდულია მომავალი დამფუძნებელი კრების მიერ. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ფორმა, როგორიც უნდა იყოს წარმოშობა, როგორიც უნდა იყოს პირობები, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა არ შეიძლება არ ეყრდნობოდეს განსაზღვრულ კლასებს. საკმარისია გავიხსენოთ ეს საანბანო ჭეშმარიტება, რათა დავინახოთ, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა. მაშასადამე, ის განსხვავება, რომელიც «ისკრას» გაჰყავს, მხოლოდ უკან ეწევა პარტიას, უნაყოფო სიტყვიერი დავისაკენ, რუსეთის რევოლუციაში კლასობრივ ინტერესთა კონკრეტული ანალიზის ამოცანიდან.

ანდა აიღეთ «ისკრის» სხვა მსჯელობა. შეძახილის გამო: გაუმარჯოს დროებითს რევოლუციურ მთავრობას! იგი ჭკუის დამარიგებლად შენიშნავს: «შეხამება სიტყვებისა — «გაუმარჯოს» და «მთავრობას» — პირსა ბილწავსო». განა ეს ლაყბური ფრაზა არ არის? თვითმპყრობელობის დამხობაზე ლაპარაკობენ და ამავე დროს ეშინიათ რევოლუციური მთავრობისადმი მისალმებით არ წაიბილწონ! პირდაპირ საოცარია, რომ მათ არ ეშინიათ წაიბილწონ რესპუბლიკისადმი მისალმებით: რესპუბლიკა ხომ აუცილებლად მთავრობას გულისხმობს, და არც ერთ სოციალ-დემოკრატს არასოდეს არ შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ სახელდობრ ბურჟუაზიულ მთავრობას. რაღა განსხვავებაა დროებითი რევოლუციური მთავრობისადმი მისალმებასა და დემოკრატიული რესპუბლიკისადმი მისალმებას შორის? ნუთუ სოციალ-დემოკრატია, ყველაზე რევოლუციური კლასის პოლიტიკური ხელმძღვანელი, უნდა დაემსგავსოს გამოფიტულ და ისტერიულ ბებერ ქალწულს, რომელიც მანჭვა-გრეხით დაჟინებით მოითხოვს ლეღვის ფოთოლს: იმას, რაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მთავრობას გულისხმობს, შეიძლება მიესალმო, მაგრამ ის კი არ შეიძლება, რომ პირდაპირ დროებითს რევოლუციურ-დემოკრატიულ მთავრობას მიესალმო?

სურათი: პეტერბურგის მუშათა აჯანყებამ გაიმარჯვა. თვითმპყრობელობა დამხობილია. გამოცხადებულია დროებითი

რევოლუციური მთავრობა. შეიარაღებული მუშები აღტაცებული არიან და შესძახიან: გაუმარჯოს დროებითს რევოლუციურ მთავრობას! განზე გამდგარან ახალისკრელები, ზეცად აღუპყრიათ სათნო თვალნი, მორალურ-სათნო გულში ხელს იცემენ და წარმოთქვამენ: გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ ჩვენ არა ვგავართ ამ მეზვერეთა, რამეთუ ჩვენ არა წაგვიბილწავს პირი ჩვენი სიტყვათა ასეთი შეხამებითაო...

არა და ათასჯერ არა, ამხანაგებო! ნუ გეშინიათ წაიბილწოთ თავი უაღრესად ენერგიული, ყველაფრის მოურიდებელი მონაწილეობით რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად რესპუბლიკურ გადატრიალებაში. ნუ გააზვიადებთ ამ მონაწილეობის საფრთხეს, რომლის დაძლევა სავსებით შეუძლია ჩვენს ორგანიზებულ პროლეტარიატს. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურის თვეები მეტს გააკეთებს, ვიდრე პოლიტიკური დამყაყების მშვიდობიანი, დაჰაჩლუნგებელი ატმოსფეროს ათეული წლები. თუ რუსეთის მუშათა კლასმა 9 იანვრის შემდეგ მოახერხა პოლიტიკური მონობის პირობებში მილიონზე მეტი პროლეტარის მობილიზება კოლექტიური, მედგარი და მტკიცე გამოსვლისათვის, — რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის პირობებში ჩვენ მოვახდენთ ქალაქისა და სოფლის ათეული მილიონობით ღარიბთა მობილიზაციას, რუსეთის პოლიტიკური რევოლუციიდან ჩვენ შევქმნით ევროპის სოციალისტური გადატრიალების პროლოგს.

«ვპერიოდ» № 14,
1905 წ. 12 აპრილი (30 მარტი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

დაჭრთამვის ფრანგულ-რუსული ჩვეულებანი!

ასეთი სათაურით გერმანულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა «Vorwärts»-მა * ამ დღეებში მოათავსა უაღრესად დასაფასებელი დოკუმენტი: ორიგინალი იმ წერილისა, რომელიც ბატინიოლის (პარიზის გარეუბანი) დიდი სამანქანო ფაბრიკის დირექტორს ბ-ნ ჟიულ გუენს (Jules Gouin) გაუგზავნია პიტერის ერთ-ერთი სამინისტროს მოხელისათვის. ფრანგის ფაბრიკას ამ ვაჟბატონის შუამავლობით 114 ლოკომოტივის შეკვეთა მიუღია. შეკვეთის საერთო ღირებულება (თითო ლოკომოტივზე 27 700 ფრანკის ანგარიშით) შეადგენს 3 მილიონ ფრანკს, ე. ი. დაახლოებით 1 200 000 მანეთს. შეკვეთის ჩაბარებისას სამინისტროს კეთილშობილი მოხელე (რომელსაც, ჩვენდათავად დავძენთ, ალბათ, საკმაოდ მაღალი პოსტი უჭირავს) შუამავლობისათვის იღებს, როგორც წერილიდან ჩანს, ჯერ-ერთი, ნასყიდობის ფასის ორ პროცენტს. ეს დაახლოებით 25 000 მანეთს შეადგენს. წერილიდან (რომელიც ჩვენ მთლიანად არ მოგვყავს ადგილის სიმცირის გამო) ჩანს, რომ ამ თანხიდან 13 000 ფრანკი შუამავალს უკვე მიუღია, დანარჩენს სხვადასხვა ვადებში გადაუხდიან. გარდა ამისა, ცალკე იქნება ანაზღაურებული ის ცვლილებანი, რაც ლოკომოტივების ჩვეულებრივ ტიპში უნდა მოხდეს რუსეთის გზებისათვის. პარიზის ფირმის პეტერბურგში მყოფი წარმომადგენელი ვალდებულებას კისრულობს წინასწარ აცნობოს ამ მოხელეს, თუ რამდენად მაღალია ის დამატებითი სასყიდელი, რასაც ფაბრიკა მოითხოვს. ხოლო თუ მოხელე რუსეთის მთავრობისაგან იმაზე მაღალ ფასს «ამოიგებს», რომელიც ფაბრიკამ დანიშნა, მაშინ განსხვავება, პირობის თა-

* — «წინ». რ ე დ.

ნახმად, რჩება აგრეთვე მას, როგორც «შუამავალს». ფრანგული წერილის გერმანულ თარგმანში ამას ეწოდება Vermittlungsgebühr, «საშუამავლო გასამრჯელო». სინამდვილეში კი, ცხადია, ამ გამოთქმით დაფარულია ყოვლად უტიფარი თაღლითობა და ხაზინის გაქურდვა, რასაც ხელშეკრულების მიხედვით ერთად აჭახრაკებენ ფრანგი კაპიტალისტი და რუსეთის სამინისტროს მოხელე.

«Vorwärts»-ი სამართლიანად ამბობს, რომ ეს წერილი შუქსა ჰფენს რუსულ მექრთამეობას და იმას, თუ როგორ პოულობს საზღვარგარეთის კაპიტალი სარგებლობას ამ მექრთამეობისაგან. წერილი დოკუმენტურად ამტკიცებს, თუ როგორია «საქმიანი» ურთიერთობის ჩვეულებრივი პრაქტიკა ცივილიზებულ კაპიტალისტურ ერებში. ევროპაშიც ყველგან სჩადიან ასეთ საქმეებს, მაგრამ არსად არ სჩადიან ისე უსირცხვილოდ, როგორც რუსეთში, არსად არ არის ასეთი «პოლიტიკური უშიშროება» (უშიშროება გამომჟღავნებისაგან) მექრთამეობისათვის, როგორც თვითმპყრობელურ რუსეთში. გასაგებია, — დაასკვნიან გერმანელი სოც.-დემ., — თუ რატომ არის დაინტერესებული ევროპის მრეწველობა იმით, რომ შენარჩუნებულ იქნას რუსეთის თვითმპყრობელობა თავისი უპასუხისმგებლო მოხელეებიანად, რომლებიც ფარულად აჭახრაკებენ მარჯვე საქმეებს! გასაგებია, რატომ ასე გაშმაგებით იბრძვიან რუსეთის მოხელეები კონსტიტუციის წინააღმდეგ, რომელიც მათ ადმინისტრაციაზე საჯარო კონტროლის დაწესებას უქადის. ამ მაგალითის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ფულს «აკეთებს» რუსეთის ბიუროკრატია რუსეთ-იაპონიის ომის მეოხებით, — რა თანხები ჩაიჯიბეს სამინისტროების მოხელეებმა პიტერში თუნდაც მაშინ, როდესაც რუსეთმა გერმანიის საოკეანო გემები იყიდა! ხალხის უბედურება ოქროს მადანია სამხედრო მიმწოდებლებისა და მექრთამე მოხელეებისათვის.

«ვპერიოდ» № 14,
1905 წ. 12 აპრილი (30 მარტი)

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

გალმა შეედავე, გამოლმა შენ დაგრჩებაო *

«ისკრის» № 92-ში მოთავსებულია სტატია «მტკიცე კურსის ზიგზაგები», რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ «ვპერიოდი» სინამდვილეში სრულებითაც არ ადგას მტკიცედ და განუხრელად ძველი «ისკრის» პრინციპებსა და ხაზს, არამედ, პირიქით, ზიგზაგით მისდევს ახალი «ისკრის» კვალს. არსებითად, ეს მტკიცება იმდენად სასაცილოა, რომ სერიოზულად მასზე შეჩერება არც ღირდა. აქ დამახასიათებელია არა შინაარსი ახალისკრული პოლემიკისა, რადგან იგი სწორედ შინაარსს არის მოკლებული, არამედ მისი ხერხები. ამ ხერხებზე შეჩერება ღირს; მათი გარჩევა გვიჩვენებს, რომ პოლემიკაც არის და პოლემიკაც. პოლემიკისათვის ძველი «ისკრა» არ უყვარდათ, მაგრამ არც ერთ ადამიანს არასოდეს აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს პოლემიკა არაპრინციპულად გამოეცხადებინა. პოლემიკისათვის ახალი «ისკრა» ეზიზღებათ, იმიტომ რომ პრაქტიკოსმუშაკთა მასაც, თანამიმდევარი რაბოჩეედელოელებიც და «შემარიგებლებიც» პლეხანოვის მეთაურობით ხედავენ პოლემიკის არაპრინციპულ ხასიათს.

მკითხველს გვინდა დავანახვოთ, თუ რა ხერხებს იყენებენ ასეთ პოლემიკაში.

გავყვეთ «ისკრას» კვალდაკვალ. «ვპერიოდი» გათიშვისაკენ უბიძგებს პარტიასაო, — ამბობს იგი. ეს მართალი არ არის. ყველამ, ვისაც პარტიული კრიზისი ჭორებით კი არ შეუსწავლია, არამედ დოკუმენტებით, იცის, რომ სწორედ უმცირესო-

* დაგვიანდა ადგილის სიმცირის გამო.

ბამ მეორე ყრილობის დამთავრებისთანავე გათიშა პარტია, მაგრამ ფარულად, ფარული ორგანიზაციის შექმნით. ახლა სიცრუეს რომ ამბობს, «ისკრა» თვალთმაქცობს. აშკარა გათიშვა შეიძლება სიძულვილს იწვევდეს, ფარული არ შეიძლება ზიზღს არ იწვევდეს. «ვპერიოდს» ფარული გათიშვა არა სურს, ეს არის და ეს.

შემდეგ, სურთ წინააღმდეგობაში გვამხილონ ავტონომიზმისა და ცენტრალიზმის საკითხში. ლენინი «ნაბიჯებში» * გვარწმუნებდა, რომ ავტონომიზმი ოპორტუნიზმის პრინციპია, ახლა კი თვითონ უმრავლესობის კომიტეტების ბიურო უპერს მხარს ადგილობრივი კომიტეტების რაც შეიძლება ფართო ავტონომიას. ლენინი გვარწმუნებდა, რომ ბიუროკრატიზმი დემოკრატიზმთან შეფარდებით რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული პრინციპია ოპორტუნისტების ორგანიზაციულ პრინციპთან შეფარდებით, უმრავლესობის კომიტეტების ბიურო კი თვითონ ლაპარაკობს ბიუროკრატიზმზე. ასეთია ჩვენს წინააღმდეგ მომართული ბრალდების შინაარსი. იგი ისევ აშკარა სიცრუეზეა აგებული. ლენინი «ნაბიჯებში» (და «ნაბიჯებამდე» «წერილში «ისკრის» რედაქციისადმი» **) ათჯერ და ასჯერ შენიშნავდა, აცხადებდა, მოგვაგონებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფრაზები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ავტონომიზმის სასარგებლოდ და სხვ. მეტად ბუნდოვანია, რომ მათ მეტად სხვადასხვაგვარი აზრი აქვთ, რომელსაც თვითნებურად ცვლიანო. არსებითად კი, ასჯერ ამბობდა ლენინი, ამ ფრაზებით მხოლოდ და მხოლოდ კოოპტაციის სურვილს ფარავენო. ლენინის ეს სიტყვები ახლა მთლიანად და სავსებით დოკუმენტურად დადასტურდა. ხოლო თუ დავთანხმდებით, რომ ეს სიტყვები პრინციპულად მივიჩნიოთ, — ამბობდა ლენინი (თ უ დავთანხმდებით!), — მაშინ დავინახავთ შემდეგს. ბიუროკრატიზმი, ზოგადად აღებული, შეიძლება ნიშნავდეს კანცელარობას, საქმის გაჭიანურებას, ქა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 239 — 530. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 239 — 530 და 125 — 130. რ ე დ.

ღალდის მჯღაბნელობას, მიწერ-მოწერით საქმის თავიდან აცილებას. ასეთი ბიუროკრატიზმი კარგი არ არისო, ამბობდა ლენინი და თავის სიტყვებს ასურათებდა წესდების მარტოვის ცნობილი პროექტით. რაოდენადმე მაინც კეთილსინდისიერი მკითხველისათვის ნათელია, რომ უმრავლესობის კომიტეტების ბიურო ასეთ ბიუროკრატიზმზე ლაპარაკობს, და «ვპერიოდისათვის» ბრალდების წაყენება, თითქოს იგი წინააღმდეგობაში ვარდება, ბალღობა გამოდის. ბიუროკრატიზმი შეიძლება ნიშნავდეს ყოველგვარი ოპოზიციის კანონიერი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, «ბუნებრივი» უფლებების დარღვევას, უმცირესობასთან ბრძოლას არასწორი საშუალებებით. ასეთი ბიუროკრატიზმი შესაძლებელია, ამბობდა ლენინი, მაგრამ მასში პრინციპული არა არის რა. მას უნდა ვებრძოლოთ, ვებრძოლოთ უმცირესობის უფლებათა კონსტიტუციური გარანტიების გამომუშავებით. ასეთი გარანტიები ნათლად, პირდაპირ და აშკარად პირველად სალკლდოვანებმა ანუ, ახლანდებურად, ვპერიოდელებმა წამოაყენეს 22-თა * ცნობილ დეკლარაციაში, რომელიც აგვისტოში, ამ 7 თვის წინათ გამოვიდა, და მას შემდეგ არ გამოუწვევია ახალისკრელთა ოდნავი ცდა ნათლად განესაზღვრათ თავიანთი დამოკიდებულება ამ დეკლარაციისადმი.

მაგრამ ბიუროკრატიზმის, ანტიავტონომიზმის და სხვ. ასეთი გაგების გარდა შესაძლებელია მათი ნამდვილად პრინციპული გაგება, არა როგორც ცალკეულ არასისწორეთა, უკიდურესობათა და სხვ., არამედ როგორც მთელი ორგანიზაციის საერთო პრინციპებისა. ასეთ გაგებას თავს გვახვევდნენ მენშევიკები, მიუხედავად ჩვენი ნებისა, მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა. ლენინი «წერილშიც «ისკრის» რედაქციისადმი» და «ნაბიჯებშიც» ასჯერ გვაფრთხილებდა ასეთი გაგების წინააღმდეგ, რომელიც აბნელებს კრიზისისა და გათიშვის კონკრეტულ და ფაქტიურ მიმდინარეობას. ლენინი პირდაპირ მოუწოდებდა «წერილში «ისკრის» რედაქციისადმი»: თავი დაანებეთ სისულელეს, ბატონებო, აქ 9/10-ით კინკლაობაააო! ლენინს ამისთვის

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 565 — 575. რ ე დ.

თავს დაესხნენ, და ცენტრალური ორგანო შეუდგა მტკიცებას, აქ პრინციპები არისო. მაშ თუ ასეა, მაშინ ავტონომიზმის პ რ ი ნ ც ი პ ი სოც.-დემ. ორგანიზაციის მართლაც ოპორტუნისტული პრინციპიაო, უპასუხა ლენინმა და ყოველთვის უპასუხებენ ვპერიოდელები. თუ ასეა, მაშინ თქვენი ყვირილი ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ პრინციპულად სავსებით იმავე გვარისაა, რაც ჟორესისტების ყვირილი საფრანგეთში, ბერნშტეინელებისა — გერმანიაში, რეფორმისტებისა — იტალიაშიო. აი როგორია საქმის ვითარება; ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია მხოლოდ დოკუმენტებით, და არა მეგობართა მტკიცებით, შეისწავლოთ პარტიული კრიზისი. ლენინი ჯერ კიდევ II ყრილობაზე ეუბნებოდა ბუნდელ ლიბერს (იხილე ოქმები), რომ წვრილმანი ცენტრალიზმის წინააღმდეგ იგი «რომელიღაც» ტულის კომიტეტის ავტონომიას დაიცავდა*; ლენინს კრინტიც არ დაუძრავს იმის წინააღმდეგ, რომ ეს ავტონომია უზრუნველგვეყო ჩვენი პარტიული წესდების § 8-ში. მაგრამ ავტონომიზმის პ რ ი ნ ც ი პ ი არასოდეს არ დაუცავს არც ლენინს და არც უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს; მას აკიმოვი, ლიბერი, ახალისკრელები იცავდნენ. უცოდინარი მკითხველის თვალში, რა თქმა უნდა, ძნელი არ არის ბუნდოვანი გახადო საქმე იმით, რომ სხვადასხვა ადგილიდან ამოგლეჯო სრულიად სხვადასხვა პირობებში ნათქვამი, სრულიად სხვადასხვა აზრის სიტყვები, — მაგრამ იმ გაზეთებს, რომლებიც სიტყვების ასეთი ამოგლეჯის საშუალებით ეწევიან პოლემიკას, ისე ეპყრობიან, როგორც «ნოვოე ვრემიას» [17].

აიღეთ «რაბოჩის» ბროშურა. რაშია საქმის არსი, რომელსაც «ისკრა» ბუნდოვანს ხდის? იმაში, რომ უპრინციპო ადამიანებმა წაიფორხილეს თავიანთი ყვირილით ავტონომიზმის პრინციპისა და სხვ. შესახებ, რადგან პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ არჩევითი პრინციპის მოთხოვნა. მაშინ წაფორხილებულმა ადამიანებმა უკან დაიხიეს. ვპერიოდელები კი ამბობდნენ და ამბობენ: ფრაზებითა და ავტონომიზმის, დემოკრატიზმის «პრინციპებით» კეკლუცობა საკად-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 604. რ ე დ.

რისი არ არის, ხოლო თუ საჭიროა წესდების სერიოზული, საქმიანი ცვლილებანი რუსეთის პირობებში შესაძლებელი დემოკრატიზმის თვალსაზრისით, მოდით ისინი პირდაპირ და აშკარად განვიხილოთო. «ვპერიოდმა» გამოიწვია «რაბოჩი»: გვიჩვენეთ თუნდაც ერთი ადგილი სოც.-დემ. ლიტერატურაში, სადაც ასევე ცხადად იყოს ლაპარაკი პარტიის კომიტეტებში მუშების მიღების საჭიროების შესახებ, როგორც ლენინსა აქვს ნათქვამიო*. ახალისკრელების მიერ თავგზააბნეულმა «რაბოჩიმ» პრესის საშუალებით უპასუხა, გამოწვევას ვიღებო; მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე მას არ ესმის, რას ნიშნავს გამოწვევის მიღება, რადგან არავითარი სხვა ადგილი მას არსად არ უჩვენებია, არამედ მხოლოდ დაგვემუქრა, რომ «სეირს უჩვენებს» ლენინს ან «გაუსწორდება» მას. ბუნებრივია, რომ «ვპერიოდს» ამ საშინელ მუქარაზე პასუხი არ გაუცია.

შემდეგ აიღეთ ერთი ცენტრის საკითხი. ლენინი «ნაბიჯებში» ამბობდაო, რომ ერთ ცენტრს ოპორტუნისტები უჭერენ მხარს, ახლა კი ერთი ცენტრის მომხრე უმრავლესობის კომიტეტების ბიურო არისო. ესეც ისეთივე უხეში გაყალბებაა, რომელიც ნავარაუდევია უცოდინარი ან უყურადღებო მკითხველის მოსატყუებლად. ვინც მოისურვებს «ნაბიჯები» წაიკითხოს, ის დაინახავს (28-ე გვერდზე, რომელსაც «ისკრის» ფელეტონისტი გულმოდგინედ უვლის გვერდს), რომ ლენინი ჯერ კიდევ ბევრად უფრო ადრე ბოლშევიკის პირველ სტატიამდე ორი ცენტრის წინააღმდეგ (რიადოვოის სტატიები «ჩვენს გაუგებრობებში») წერდა, რომ ორი ცენტრის იდეა «მხედველობაში იღებდა სწორედ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა მოძრაობის დროებითსა (ყური უგდეთ!) და განსაკუთრებულ საჭიროებებს პოლიტიკური მონობის ვითარებაში, იმ პირობით, თუ რევოლუციური შეტევის თავდაპირველი საოპერაციო ბაზა შეიქმნებოდა საზღვარგარეთ». «პირველ, როგორც ერთადერთ (ყური უგდეთ!) პრინციპულ, იდეას, — ნათქვამია «ნაბიჯებში» საერთოდ ცენტრალიზმის იდეაზე, — უნდა განემსჭვალა (ძველი «ისკრის» გეგმით) მთელი წესდება; მეორე, როგორც კერძო, ადგილისა

* იხ. ეს ტომი, გვ. 52 — 53. რ ე დ.

და მოქმედების დროებითი გარემოებით წარმოშობილი, გამოიხატებოდა ცენტრალიზმიდან მოჩვენებითს გადახვევაში, ორი ცენტრის შექმნით» (გვ. 28) *. ახლა მკითხველისათვის მიგვინდვია განსაჯოს ჩვენი პარტიული «ნოვოე ვრემიას» პოლემიკის ხერხები! «ისკრა» პირდაპირ ცდილობს მოატყუოს მკითხველი, უმალავს რა მას 1) რომ ლენინი დიდი ხანია აღნიშნავდა ორი ცენტრის იდეის დროებითს, კერძო მნიშვნელობას; 2) რომ ამიტომ ოპორტუნისტების მიერ ერთი ცენტრის დაცვას ლენინი არასოდეს არ ხსნიდა ზოგადი პრინციპებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ «ადგილისა და მოქმედების დროებითი გარემოებით», ისეთი გარემოებით, როცა ერთი ცენტრის მხარეზე ფაქტიურად იდგა და უნდა მდგარიყო პარტიის ოპორტუნისტული ფრთა. ძველი «ისკრა» ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ბურჯი რომ იყო, ეს ფაქტია. ყრილობაზე სწორედ ოპორტუნისტული ფრთა რომ დარჩა უმცირესობაში, ესეც ფაქტია. რაღაა გასაკვირველი, რომ ახლა, როცა ახალი «ისკრა» ოპორტუნისტული აღმოჩნდა, როცა რუსეთმა მეტი პრინციპული შეურყევლობა და პარტიული სიმტკიცე გამოიჩინა, ვიდრე საზღვარგარეთმა, რომ ახლა «დროებითი გარემოება» შეიცვალა? ახლა ჩვენ ოდნავაც არ გაგვაოცებდა, რომ რაბოჩეედელოელებს, მარტინოვს, «ჭაობსა» და ახალისკრელებს მხარი დაეჭირათ (მაგალითისათვის ვთქვათ, მესამე ყრილობაზე) ორი ცენტრისათვის, ხოლო ყველა ბოლშევიკს (ან თითქმის ყველას) — ერთი ცენტრისათვის. ეს იქნებოდა მხოლოდ ცვლილება, «დროებითი გარემოების» შესაბამისად, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იმავე პრინციპებისათვის, ძველი «ისკრის» პრინციპებისათვის ბრძოლის წესებისა, რომლებისთვისაც ლენინი და ბოლშევიკები განუხრელად იბრძოდნენ და იბრძვიან. ასეთ მობრუნებაში «სასწაულების» დანახვა მხოლოდ ნოვოევრემიასებური ტიპის ადამიანებს შეუძლიათ. (ჩვენ ვთქვით, რომ ერთ ცენტრს შეიძლება მხარს უჭერდეს თითქმის ყველა ბოლშევიკი. როგორ მოხდება ეს III ყრილობაზე, ამას კიდევ ვნახავთ. ჩვენს შორის სხვადასხვა აზ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 289 — 290. რედ.

რებია «ადგილისა და მოქმედების დროებითი გარემოების» მნიშვნელობის შესახებ, და ყველა ამ აზრს ჩვენ ყრილობაზე ერთმანეთს დავუპირისპირებთ და «შევაჯამებთ».)

ვგონებთ, ახალი «ისკრის» პოლემიკის ხერხები ზემოთქმულიდან საკმაოდ ირკვევა, და ჩვენ შეგვიძლია ახლა უფრო მოკლედ მოვჭრათ. «ისკრა» ამბობს, უმრავლესობის კომიტეტების ბიურომ პარტიული დისციპლინა დაარღვია, წესდების წინააღმდეგ, საბჭოს გვერდის ავლით ყრილობას რომ იწვევსო. ეს მართალი არ არის, რადგან საბჭომ გაცილებით უფრო ადრე დაარღვია წესდება, თავს არიდებდა რა ყრილობას. ჩვენ ეს დიდი ხანია და აშკარად გამოვთქვით პრესაში (ორლოვსკი)[78]. მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა ფარული განხეთქილებით გათიშეს პარტია და მოტყუებით აარიდეს თავი ყრილობას, ჩვენ არ გვქონდა არავითარი სხვა პრაქტიკული გამოსავალი უაზრო მდგომარეობიდან, გარდა ყრილობის მოწვევისა ცენტრების ნების წინააღმდეგ. «ისკრა» ამბობს, რომ «ვპერიოდის» № 9-ის მეთაური — «ახალი ამოცანები და ახალი ძალები», რომელიც მოითხოვს უაღრესად სხვადასხვაგვარი პარტიული ორგანიზაციების ფრიად მნიშვნელოვნად გაფართოების აუცილებლობას, ეწინააღმდეგება წესდების ლენინური პირველი პარაგრაფის იდეას, რადგან როდესაც ლენინი ყრილობაზე თავის იდეას იცავდა, იგი პარტიის ცნების შეზღუდვის საჭიროებაზე ლაპარაკობდაო. «ისკრის» ეს პასუხი შეიძლება რეკომენდებულ იქნას როგორც ლოგიკის გიმნაზიური ამოცანა, რათა ახალგაზრდობას ვასწავლოთ ერკვეოდეს პოლემიკაში. ბოლშევიკები ამბობდნენ და ამბობენ, რომ პარტია უნდა შემოვფარგლოთ პარტიული ორგანიზაციების ჯამამდე, ანუ კომპლექსამდე და შემდეგ გავადიდოთ ამ ორგანიზაციების რიცხვი (იხ. ყრილობის ოქმები და «ნაბიჯები», გვ. 40 და სხვ., განსაკ. 40 — 41 და 46)*. ახალი «ისკრა» ერთმანეთში ურევს პარტიის ჩ ა რ ჩ ო ე ბ ი ს გაფართოებას და პარტიის ც ნ ე ბ ი ს გაფართოებას, პ ა რ ტ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი ს გაფარ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 309 — 313 და 319 — 321. რ ე დ.

თოებას და პარტიული ორგანიზაციების ფარგლებს გარეთ პარტიის გაფართოებას! რათა განვმარტოთ ეს უაღრესად თავსატეხი რამ, მოვიყვანოთ არცთუ ძნელი მაგალითი: სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ მთელი არმია მხოლოდ და მხოლოდ ერთი გვარეობის იარაღის ადამიანთაგან შესდგება; არმიის შემადგენლობა უნდა შემოვფარგლოთ იმ პირთა რაოდენობამდე, რომლებმაც, შემოწმების მიხედვით, მართლაც იციან სროლა, და არ დავანებოთ იოლად წავიდნენ ფრაზებითა და მტკიცებით თავიანთი სამხედრო ვარგისობის შესახებ; შემდეგ საჭიროა ყოველნაირად ვცდილობდეთ გავაფართოოთ იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ ჩაბარონ გამოცდა სროლის ცოდნაში. ცოტათი მაინც ხომ არ ხვდებით ახლა, თუ რაშია საქმე, ბატონო ახალისკრელებო?

«ისკრა» წერს «ვპერიოდის» სამხილებლად: «წინათ საჭირონი იყვნენ მხოლოდ მტკიცე სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ცნობილ უნდა იქნან, როგორც ასეთები, ახლა წმიდათა წმიდათა შორის უნდა ჩაირიცხოს ყველა ელემენტი, გარდა შეგნებულად არასოციალ-დემოკრატიული ელემენტისა». აიღეთ «ვპერიოდის» № 9 და წაიკითხეთ: «დაე ყველა... წრე, გარდა შეგნებულად არასოციალ-დემოკრატიულისა, ან პირდაპირ შედიოდეს პარტიაში, ან ემხრობოდეს პარტიას (ხაზგასმა ავტორისაა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ შეიძლება მოვთხოვოთ მათ არც ჩვენი პროგრამის მიღება, არც სავალდებულო ორგანიზაციული ურთიერთობა ჩვენთან»*... ნუთუ ცხადი არ არის, რომ «ისკრა» აშკარა სიყალბეს სჩადის, როდესაც ერთმანეთში ურევს იმას, რაც «წინათ იყო საჭირო» პარტიაში ჩარიცხვისათვის, და იმას, რაც «ახლა დაიშვება» ჯგუფისათვის, რომელიც პარტიას ემხრობა? ბოლშევიკები წინათაც ამბობდნენ და ახლა «ვპერიოდშიც» ამბობენ, რომ პარტიაში თვითჩარიცხვა ინტელიგენტური ანარქიზმია, რომ პარტიის წევრები მარტო სიტყვიერად კი არ უნდა აღიარებდნენ «სავალდებულო ორგანიზაციულ ურთიერთობას». ამას მხოლოდ ის ვერ გაიგებს, ვინც მიზნად ისახავს აბნეულობა გამოიწვიოს. «ვპე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 250. რ ე დ.

რიოდის» ლოზუნგი იყო: ახალი ამოცანებისათვის ახალი ძალები დარაზმეთ პარტიულ ორგანიზაციებად ან, ყოველ შემთხვევაში, პარტიის მომხრე ორგანიზაციებად. «ისკრის» ლოზუნგია — «ფართოდ გააღეთ კარი». ერთნი ამბობენ: აიყვანეთ ახალი მსროლელნი თქვენს პოლკებში, დარაზმეთ ისინი, ვინც სროლას სწავლობს, დამხმარე რაზმებადაო. მეორენი ამბობენ: ფართოდ გააღეთ კარი! დაე თვითონ ჩაირიცხოს არმიაში, ვისაც როგორ მოესურვებაო!

რევოლუციის ორგანიზაციისა და შეიარაღების ორგანიზაციის საკითხზე «ისკრას» ახლა სურს დაგვარწმუნოს, რომ მას «ვპერიოდთან» უთანხმოება არა აქვს. ჩვენ უწინარეს ყოვლისა შევეკითხებით: პარვუსის საქმე როგორღაა? თუ უერაგმა «ვპერიოდმა» გამოიგონა უთანხმოება, მაშინ რატომ საბოლოოდ არ გამოარკვევთ საქმის ვითარებას ახალისკრელ პარვუსთან, რომელზედაც არ შეიძლება ეჭვი მივიტანოთ, რომ იგი შარსა სდებს «ისკრას»? თქვენ ხომ თვითონ პირველი გახდით იძულებული გეღიარებინათ უთანხმოება პარვუსთან? მაშ რაღა საჭიროა ეს კეკემალულობა? არსებითად, ახალი «ისკრა» აქ სავსებით ისევე უპასუხებს «ვპერიოდს», როგორც «რაბოჩეე დელო» უპასუხებდა ძველ «ისკრას». იმაზე უკეთესს ვერაფერს ურჩევდი ამხანაგებს, რომლებსაც თ ა ვ ი ა ნ თ ი პარტიის ისტორია აინტერესებთ, რომ გადაიკითხონ ხოლმე «რაბ. დელო», მეტადრე № 10. «რაბ. დელოს» მიუთითებდნენ, რომ იგი პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებს აკნინებდა. იგი უპასუხებდა: «ისკრა» კი ეკონომიურ ბრძოლას არ აფასებს საკმარისადაო. ახალ «ისკრას» მიუთითებენ, რომ იგი აკნინებს რევოლუციის ორგანიზების, აჯანყების გატარების, მუშათა შეიარაღების ამოცანებს, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის ამოცანებს. ახალი «ისკრა» უპასუხებს: «ვპერიოდი» კი საკმარისად არ აფასებს რევოლუციისა და აჯანყების სტიქიურობას, პოლიტიკის უპირატესობას «ტექნიკის» (შეიარაღების) წინაშეო. ერთნაირი მაჩანჩალური პოზიცია ერთნაირ დასკვნებს იწვევს. თავის უუნარობას — მოგვცეთ ხელმძღვანელი ლოზუნგი ახალი ამოცანების საკითხებზე — ეს ადამიანები ფარავენ რეზონიორობით იმის შესახებ, რომ უალ-

რესად მნიშვნელოვანია ძველი ამოცანებიო. ამოგლეჯენ ხოლმე ცალკეულ სიტყვებს, რათა გვიჩვენონ, თუ როგორ აფასებს თვითონ ოპონენტი ძველი ამოცანების მნიშვნელობას, სოციალ-დემოკრატიის ანბანის მნიშვნელობას. რა თქმა უნდა, ამხანაგო ახალისკრელებო, ჩვენ ძალიან ვაფასებთ სოციალ-დემოკრატიის ანბანს, მაგრამ ჩ ვ ე ნ ა რ გ ვ ს უ რ ს ს ა მ უ დ ა მ ო დ მ ა რ ტ ო ა ნ ბ ა ნ ზ ე დ ა ვ რ ჩ ე თ. ეს არის და ეს. არც პარვუსს, არც უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს და არც «ვპერიოდს» არასოდეს აზრადაც არ მოუვიდოდათ დავა გაემართათ იმ ანბანის წინააღმდეგ, რომ მუშებს თვითონ შეუძლიათ შეიარაღდნენ, შეიარაღდებიან და უნდა შეიარაღდნენ, ორგანიზაციებისა და პარტიის გარეშე. მაგრამ თუ «ისკრა» აყენებს, რ ო გ ო რ ც ლ ო ზ უ ნ გ ს, თავის განთქმულ «თვითშეიარაღებას» — მაშინ, ცხადია, ყველას ეღიმება, როდესაც ხედავს ასეთ მონობას სტიქიურობის წინაშე. თუ «ისკრა», უ ს წ ო რ ე ბ ს რა პარვუსს, პოულობს ახალ, კრიჩევსკისა და აკიმოვის უაღრესად ღრმააზროვან ნაწარმოებთა მესაფერის ამოცანას — «შეეაიარაღოთ მუშები თვითშეიარაღების მგზნებარე მოთხოვნილებითო», — მაშინ, ბუნებრივია, რომ იგი მხოლოდ დაცინვას იწვევს. თუ «ისკრა» ისეთ მომენტში, როცა სოციალ-დემოკრატიის ძველ ამოცანებს დაემატა მასების შეიარაღების, ქუჩაში ბრძოლისა და სხვა ახალი ამოცანები, ისწრაფის დააკნინოს ეს ამოცანები (რომელთა განხორციელებას ეს-ეს არის შევუდექით) ქედმაღლური სიბრძნით «ტექნიკისა» და მისი მეორეხარისხოვანი როლის შესახებ, — თუ, პარტიის ძველი, ჩვეულებრივი და მუდმივი პოლიტიკური ამოცანების «ტექნიკის» ახალი ამოცანებით შ ე ვ ს ე ბ ი ს ნაცვლად «ისკრა» აყენებს მსჯელობას როგორც ერთის, ისე მეორის გ ა მ ო ყ ო ფ ი ს შესახებ, მაშინ, ცხადია, ამ მსჯელობას ყველა მაჩანჩალობის ახალ ვარიანტებს აკუთვნებს.

დასასრულ, როგორც კურიოზს, აღვნიშნავთ «ისკრის» ცდას მოიშოროს პანიკის გამოუწვევლობის განთქმული თეორიის სასახელო რეპუტაცია. «ისკრა» ახლა უკვე თვითონ უწოდებს ამ საკითხს «განთქმულს», ცდილობს რა დაამტკიცოს, რომ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროც ქადაგებს «პანიკის გამოუწ-

ვევლობას», როცა თავის ფურცელში აჯანყების შესახებ გვირჩევს სიფრთხილე გამოვიჩინოთ (თუ უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვს) წვრილ ბურჟუათა საკუთრების მოსპობაში, რომ ტყუილუბრალოდ არ დავაფრთხოთ ისინიო[79]. «ისკრა» აღტაცებულია: აი ხომ არც თქვენ გინდათ დააფრთხოთო!

მართლაც, განა მშვენიერება არ არის? ერობელებთან შეთანხმებას მშვიდობიანი მანიფესტაციის დროს პანიკის გამოუწვევლობის შესახებ ადარებენ იმ გაფრთხილებას, რომ აჯანყების დროს ისე არ დავარღვიოთ საკუთრება, თუ ეს აუცილებელი საჭიროებით არ იქნება გამოწვეული! და ამასთან: ერთი მხრივ, «უმაღლესი ტიპის დემონსტრაცია», მეორე მხრივ — ქუჩაში შეიარაღებული ბრძოლის ათვალწუნებული, მდაბალი «ტექნიკა»... ერთი პატარა შეკითხვა, მეგობრებო: რატომ არის, რომ ყოველი სოციალ-დემოკრატი* ეთანხმება და დაეთანხმება რჩევას არ დავაფრთხოთ აჯანყების დროს წვრილი ბურჟუები, თუ ეს საჭირო არ არის? და რატომ არის, პირიქით, რომ თქვენი საერობო კამპანიის გეგმა, თქვენივე საკუთარი აღიარებით, «განთქმული» გახდა ს.-დ. შორის? რატომ განაცხადეს მის წინააღმდეგ პროტესტი თქვენივე რიგებიდან პარვუსმაც და ბევრმა სხვამაც? რატომ არის, რომ თვითონ თქვენ აქამდე გრცხვენიათ გამოაქვეყნოთ ეს განთქმული გეგმა? იმიტომ ხომ არა, რომ თქვენი რჩევანი, რომლებსაც თქვენს სანაქებო წერილში იძლეოდით, ისევე უადგილო და სასაცილო იყო, როგორც ბიუროს რჩევანი უდავოა და საეროოდ აღიარებულია სოციალ-დემოკრატიის მიერ?

«ვპერიოდ» № 15,
1905 წ. 20 (7) აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით

---

* დღემდე მარტო ანარქისტებმა თქვეს, რომ ამას არ ეთანხმებიან. ისინი თავს დაესხნენ «ვპერიოდს» თავის ფურცელში, და გამოამჟღავნეს, რომ სრულებით არ ესმით განსხვავება დემოკრატიულ და სოციალისტურ ტენდენციებს შორის.

ლიბერალების აგრარული პროგრამა

ლეგალურ გაზეთებში უკვე კარგა ხანია დაიბეჭდა ცნობა, რომ მოსკოვში შესდგა რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან შეკრებილ საერობო მოღვაწეთა თათბირი. «მოსკოვსკიე ვედომოსტიმ»[80] ერთი პირობა სცადა ხმაურიც კი აეტეხა ამის გამო, იგი გაჰყვიროდა, რუსეთში მთავრობა რევოლუციური ყრილობების მოწვევის ნებას რთავსო, მონარქისტული პარტიის ყრილობის მოწვევა არის საჭიროო და სხვ., მაგრამ ამ ყვირილს არავინ სერიოზული ყურადღება არ მიაქცია, იმიტომ რომ პოლიციას ახლა მეტისმეტად ბევრი საქმე აქვს გაცილებით უფრო სერიოზული ხასიათის მღელვარების გამო. ერობელები კი, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი კონსტიტუციური სურვილების ფარგლებს არ გასცილებიან. მაგრამ მათი თათბირები მაინც მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენდა იმის გამო, რომ ეს თათბირები აგრარულ საკითხს შეეხო. მოგვყავს მთლიანად ის დებულებები, რომლებიც, გაზეთების ცნობებით, მიღებულ იქნა ყრილობის ხმის უმრავლესობით:

«1) ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა აგრარული ურთიერთობის სფეროზეც უნდა ვრცელდებოდეს. 2) აგრარული კანონმდებლობის სწორად დაყენების პირობას ძირითადი გარდაქმნა (??) წარმოადგენს. 3) მომავალი აგრარული რეფორმა აგებულ უნდა იქნას შემდეგ საწყისებზე: I. მიწათმოქმედთა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა კატეგორიის მცირემიწიანი ჯგუფების ინტერესებისათვის კერძო მფლობელთა მიწებიდან აუცილებელი ჩამოსაჭრელი ნაკვეთების სავალდებულო გამოსყიდვის გზით (ამ საკითხის დამუშავება მინდობილი აქვს რამდენიმე პირს). II. სახაზინო მიწებისა და ნაწილობრივ საუფლისწულო მიწების აღიარება მიწის სახელმწიფო ფონდად; ამ ფონდის გადიდება კერძო მფლობელ-

თა მიწების შესყიდვისა და გამოსყიდვის გზით და მისი ექსპლოატაცია მშრომელი მოსახლეობის ინტერესებისათვის. III. იჯარის პირობების მოწესრიგება საიჯარო ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევის გზით. IV. საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საშუამავლო კომისიების შექმნა აგრარულ-ღონისძიებათა განსახორციელებლად ზემოაღნიშნული საწყისების თანახმად. V. გადასახლებისა და განსახლების სწორად დაყენება ფართო საწყისებზე, სხვადასხვა სახის კრედიტით სარგებლობის გაადვილება, საგლეხო ბანკის რეფორმა და კოოპერაციულ საწარმოთათვის ხელის შეწყობა. VI. სამიჯნო-კანონმდებლობის ძირფესვიანად გადასინჯვა მიწების გამიჯვნის გასაადვილებლად, დასაჩქარებლად და გასაიაფებლად, კერძო მფლობელთა და სანადელო მიწების დაჭუცმაცების მოსასპობად, ნაკვეთების გადასაცვლელად და სხვ.».

ვიდრე მუხლობრივ გავარჩევდეთ ამ უაღრესად საგულისხმო პროგრამას, ცოტა შევჩერდეთ მის ზოგად მნიშვნელობაზე. უეჭველია, მარტო ის ფაქტი, რომ ასეთი პროგრამით გამოდიან მემამულეთა კლასის წარმომადგენლები, გაჭიანურებულ მსჯელობაზე უფრო თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ რუსეთი რაღაც დიდი თავისებურებით განსხვავდება დასავლეთ ევროპის ყველა ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ ერთან შედარებით. საკითხავი ის არის, თუ სახელდობრ რაგვარია ეს თავისებურება? ნახევრადსოციალისტურ თემურ წყობილებასა და ამის შესაბამისად ჩვენში ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის არარსებობას წარმოადგენს იგი, როგორც ძველი სოციალისტი-ნაროდნიკები ფიქრობდნენ და როგორც ნაწილობრივ «სოციალისტ-რევოლუციონერები» ფიქრობენ? თუ იგი მდგომარეობს ბატონყმობის ნაშთების სიუხვეში, რომლებიც ბოჭავენ ჩვენს სოფელს, შეუძლებელს ხდიან კაპიტალიზმის ფართოდ და თავისუფლად განვითარებას და წარმოშობენ ნაროდნიკულ განწყობილებას სწორედ ბურჟუაზიული დემოკრატიის ელემენტებში? რაოდენადმე მაინც მოაზროვნე სოციალისტები თავს ნებას არ მისცემენ გვერდი აუხვიონ ამ კითხვას მიკიბ-მოკიბვით, ან იმით, რომ მოიმიზეზონ საკითხის აბსტრაქტულობა და თეორიულობა, რაც ვითომ უადგილოა რევოლუციურ ეპოქაში, ანდა გლეხთა აჯანყებების ფაქტის აღნიშვნით, რომელიც საკმაოდ ხსნის მემამულეთა თა-

ვაზიანობას. მიკიბ-მოკიბვა ან უპრინციპობა თეორიულ საკითხებში სწორედ რევოლუციურ ეპოქაში უდრის სრულ იდეურ გაკოტრებას, რადგან სწორედ ახლა არის საჭირო მოფიქრებული და მტკიცე მსოფლმხედველობა იმისათვის, რომ სოციალისტი იყოს დაუფლებული მოვლენებს და არა მოვლენები ეუფლებოდნენ მას. გლეხთა აჯანყების მომიზეზებაც არაფერს იძლევა, რადგან იმ პროგრამის შინაარსი, რომელიც ახლა საერობო კავშირებში პოლიტიკურად დარაზმულმა მიწათმფლობელებმა მიიღეს, შეადგენს იმ სურვილებს, რომლებსაც მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში გამოთქვამდა მთელი ლიბერალური პრესა და ყველა ლიბერალი მოღვაწე. ნაროდნიკული პროგრამა მემამულეთა პროგრამა გახდა, — ეს ფაქტი მკაფიო პოლიტიკურ პასუხს იძლევა ჩვენ მიერ დაყენებულ კითხვაზე. რევოლუციურ ეპოქაში საზოგადოებრივ თემებზე თეორიულ დავას სხვადასხვა კლასთა აშკარა გამოსვლა წყვეტს.

ახლა უფრო ახლოს გავსინჯოთ ლიბერალთა აგრარული პროგრამა. ჩვენი ლეგალური პრესა მზად არის ქებათა-ქება შეასხას მას. მაგალითად, «ეკონომიჩესკაია გაზეტა» «აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ერობის მოღვაწენი გამოვიდნენ აგრარული პროგრამით, ამასთან გაცილებით უფრო უკიდურესით» (დახე!), «ვიდრე მოსალოდნელი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვეულებრივ წარმოდგენას საერობო წრის თანამედროვე შემადგენლობაზე» (ე. ი. უკიდურესით ბ-ნ მემამულეთა თვალსაზრისით?). «ეს მოწმობს, — განაგრძობს გაზეთი,—რომ პოლიტიკურ საერობო ჯგუფს პოლიტიკური ტაქტიც გააჩნია და იმ მოვლენათა ღრმა გაგებაც, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება»...

ბატონ მემამულეთა ტაქტი და გაგება იმაში მდგომარეობს, რომ როცა აგრარული ურთიერთობის სფეროში აქტიურად და გარკვეულად ჩარევა იწყეს თვითონ გლეხებმა, მაშინ მემამულენი ალაპარაკდნენ სახელმწიფოს ჩარევის საჭიროებაზე. ძველი და მარად ახალი ისტორიაა! აგრარულ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევას რუსეთში მუდამ ჰქონდა ადგილი: როცა

ეს იყო ჩარევა უმაღლესი კლასების სასარგებლოდ, მაშინ ამას პოლიციის ენაზე «წესრიგი» ეწოდებოდა; როცა ჩარევა ქვემოდან იწყება, მაშინ «უწესრიგობაზე» ლაპარაკობენ. მაგრამ მოითმინეთ, სახელდობრ როგორი ჩარევა სურთ მემამულეებს? მათი პროგრამიდან ჩანს, რომ მხოლოდ და მხოლოდ — ჩარევა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ურთიერთობაში. ყველა მათი ღონისძიება, ჩამოსაჭრელი ნაკვეთების გამოსყიდვით დაწყებული და კრედიტითა და ნაკვეთების გაცვლით გათავებული, შეეხება მხოლოდ და მხოლოდ იმათ, ვინც მეურნეობრივად სარგებლობს მიწით, ე. ი. მეურნეთა სხვადასხვა კატეგორიებს. უმეურნეო სასოფლო მუშები? ჩვენში, რუსეთში ხომ მარტო 50 «შიდა» გუბერნიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ითვლებოდა სულ მცირე სამნახევარი მილიონი მოჯამაგირე და დღიური მუშა, რომელთათვის დაქირავებული სასოფლო მუშაობა საარსებო სახსრების უმთავრეს წყაროს შეადგენდა. ახლა, უეჭველია, დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშათა რიცხვი კიდევ უფრო დიდია, ამასთან მათი უდიდესი უმრავლესობა სრულებით ან თითქმის სრულებით უმეურნეოა. უსახლკაროთა და უმეურნეოთა გარდა, ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ, აღნიშნულ გუბერნიებში დაახლოებით ათი მილიონი გლეხური მეურნეობიდან სამ მილიონზე მეტი უცხენო ითვლებოდა. მთელი ეს მასა — მხოლოდ სახელწოდებით არიან მეურნენი. მათი თვით საარსებო ინტერესია უფრო მაღალი ხელფასი, უფრო მოკლე სამუშაო დღე, შრომის უფრო ჯანსაღი პირობები. ბ-ნი მემამულენი კეთილგონივრულად დუმილით უვლიან გვერდს დამქირავებელთა და მუშათა ურთიერთობაში ჩარევას. და შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ასეთ ჩარევაზე არც კი იფიქრებს ვინმე სერიოზულად, სანამ თვითონ სოფლის მუშები არ ჩაერევიან.

ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, ამ ჩარევას უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამას მოითხოვს მოძრაობის უშუალო პრაქტიკული ინტერესებიც და ჩვენი საერთო პრინციპებიც. რუსული ლიბერალიზმისა და რუსული ნაროდ-

ნიკობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი, სხვათა შორის სწორედ იმით იჩენდა და იჩენს თავს, რომ წვრილი სასოფლო მეურნეობის ინტერესები სრულებით ჩრდილავენ დაქირავებული სასოფლო შრომის ინტერესებს. რა თქმა უნდა, რწმენით გამსჭვალული ნაროდნიკი, ხოლო ზოგჯერ «სოციალისტ-რევოლუციონერიც» მზად არის სავსებით ბუნებრივად ჩათვალოს ეს, დაქირავებული შრომის «მეორეხარისხოვანი» (მის წარმოდგენაში, მაგრამ გლეხის ცხოვრებაში კი არა) როლის გამო, იმის გამო, რომ «თემური ტრადიციების», «შრომითი შეხედულებებისა» და «გამთანაბრებელი სარგებლობის» შემდგომი განვითარებისას ეს როლი შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა სულაც არარად ქცეულიყო. მაგრამ ეს განწყობილება, რა მხურვალე და გულწრფელი, სოციალისტურად მჟღერი სიტყვებითაც უნდა ასაბუთებდნენ მას, ნამდვილად მხოლოდ ჰორიზონტის წვრილბურჟუაზიულ შეზღუდულობას მოწმობს და მეტს არაფერს. ამგვარი მეოცნებობა, რომელიც რუს გლეხსაც სჩვევია და რუს ინტელიგენტსაც, წვრილბურჟუაზიული მეოცნებობაა. ამ ნაროდნიკული მეოცნებეობის ყვავილები სწორედ ის ყალბი ყვავილებია, რომლებიც მშრომელი კაცობრიობის ერთ-ერთ ბორკილს ამკობენ, და სოციალ-დემოკრატიული კრიტიკა ულმობლად უნდა გლეჯდეს ასეთ ყვავილებს «არა იმისათვის, რომ კაცობრიობა განაგრძობდეს ამ ბორკილების ტარებას მათი ფორმით, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სიხარულსა და ყოველგვარ შვებას, არამედ იმისათვის, რომ მოიშოროს ბორკილები და ხელი გაიწოდოს ცოცხალი ყვავილისაკენ»[81].

ჩვენ სავსებით თანავუგრძნობთ გლეხურ მოძრაობას. ჩვენ უდიდეს მოგებად ჩავთვლიდით რუსეთის მთელი საზოგადოებრივი განვითარებისთვისაც და რუსეთის პროლეტარიატისთვისაც, რომ გლეხობა მოახერხებდეს, ჩვენი დახმარებით, რევოლუციური გზით ჩამოართვას მემამულეებს მ თ ე ლ ი მათი მიწები. მაგრამ აიღეთ თუნდაც ეს საუკეთესო გამოსავალი — მ ა შ ი ნ ა ც დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშათა მასა შეიძლებოდა მხოლოდ დროებით შემცირებულიყო რიცხობრივად, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაქრებოდა. მ ა-

შინაც სოფლის დაქირავებულ მუშათა დამოუკიდებელი ინტერესები დამოუკიდებელ ინტერესად დარჩებოდა.

გლეხების ხელში მიწის გადასვლა ოდნავაც არ მოსპობდა რუსეთში წარმოების კაპიტალისტური წესის ბატონობას, იგი, პირიქით, უფრო ფართო ბაზას შექმნიდა მისი განვითარებისათვის, იგი ამ განვითარების ტიპს რომელიმე იტალიურიდან ამერიკულს მიუახლოვებდა. ქონებრივი განსხვავება გლეხებს შორის, რომელიც უკვე ახლა უზარმაზარია და შედარებით მცირედ შესამჩნევია მხოლოდ და მხოლოდ თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილებისაგან საერთო დაბეჩავების გამო, სრულებითაც არ შეწყვეტდა არსებობას. შინაური ბაზრის გადიდება, გაცვლა-გამოცვლისა და სასაქონლო მეურნეობის ახალი მასშტაბით განვითარება, მრეწველობისა და ქალაქების სწრაფი ზრდა, — გლეხთა მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესების ყველა ეს გარდუვალი შედეგი აუცილებლად გააძლიერებდა ქონებრივ განსხვავებას. რაც უფრო გავრცელებულია ჩვენში ილუზიები ამის თაობაზე, მით უფრო გადაჭრით უნდა იბრძოლოს მათ წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიამ, თუ მას ნამდვილად სურს წარმოადგენდეს მუშათა მოძრაობის ინტერესებს მთლიანად, და არა მხოლოდ ერთ მის სტადიაში *.

ვიდრე სრული სოციალისტური გადატრიალება არ მოხდება, მანამდე აგრარულ გარდაქმნათა ვერავითარი უაღრესად რადიკალური და უაღრესად რევოლუციური ზომები ვერ მოსპობენ სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშათა კლასს. ყველა ადამიანთა წვრილ ბურჟუებად გადაქცევაზე ოცნება რეაქციული უხამსობაა. და აი რატომ უნდა ვიმუშაოთ უკვე ახლა სასოფლო-სამეურნეო დაქირავებულ მუშათა კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის, მათი დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციისათვის. ქალაქის საგაფიცვო ტალღა შეიძლება გადაედოს და უნდა გადაედოს სოფელს არა მარტო გლეხთა აჯანყებების სახით, არამედ ნამდვილი მუშათა გაფიცვების სახითაც, — მეტადრე თიბვა-მკის დროს. ჩვენი პროგრამის მუშუ-

* შეადარე მარქსის 1846 წლის სტატია, რომელსაც ქვემოთ ვათავსებთ. (იხ. ეს ტომი, გვ. 377 — 385. რ ე დ.)

რი განყოფილების მოთხოვნები, რომლებსაც მრავალ შემთხვევაში ქალაქის მუშები უდგენენ თავიანთ მეწარმეებს, უნდა წარადგინონ, სათანადო ცვლილებებით, საყოფაცხოვრებო პირობების განსხვავების შესაბამისად, სოფლის მუშებმაც. უნდა ვისარგებლოთ იმით, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ არის არავითარი განსაკუთრებული კანონები, რომლებიც სოფლის მუშის მდგომარეობას აუარესებდნენ ქალაქის მუშისაგან განსხვავებით (თუ არ ვიანგარიშებთ კანონს სამუშაოდან თვითნებურად წასვლის შესახებ). უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ პროლეტარული აგზნების ტალღამ სპეციალური პროლეტარული განწყობილება და ბრძოლის პროლეტარული მეთოდები ჩანერგოს მოჯამაგირეთა და დღიურ მუშათა წრეში.

სოფლის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული ფენა, გლეხობა ამ სიტყვის საკუთარი და ვიწრო მნიშვნელობით, არ შეიძლება რევოლუციური არ იყოს განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდებში. მისი ახლანდელი რევოლუციურობა გარდუვალად გამომდინარეობს «ძველი წესწყობილების» ყველა პირობიდან, და ჩვენ გულმოდგინედ უნდა ვუჭერდეთ მხარს და ვავითარებდეთ მას. მაგრამ ახალი წესწყობილების, ახალი, თავისუფალი კაპიტალისტური რუსეთის ცხოვრების პირობებიდან ასევე გარდუვალად წარმოიშობა სოფლის წვრილ ბურჟუათა ნაწილის გადასვლა «წესრიგის» მხარეზე, — და რაც უფრო მეტ მიწებს ჩამოართმევენ ახლა მემამულეებს გლეხები, მით უფრო მალე მოხდება ეს. ნამდვილი რევოლუციური კლასი, ყველა და ყოველგვარ პირობებში, ბოლომდე რევოლუციური კლასი სოფლადაც შეიძლება იყოს მხოლოდ სოფლის პროლეტარიატი. უბადრუკი, დაბეჩავებული გლეხის თავისუფალ, ენერგიულ ევროპელ ფერმერად გადაქცევა უდიდესი დემოკრატიული მონაპოვარია, — მაგრამ ჩვენ, სოციალისტები, ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ იმას, რომ ეს მონაპოვარი მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად მოუტანს რეალურ სარგებლობას ყოველგვარი ჩაგვრისაგან კაცობრიობის სრული განთავისუფლების საქმეს, რამდენადაც ფერმერს დაუპირდაპირდება სოფლის შეგნებული, თავისუფალი, ორგანიზებული პროლეტარი.

ბატონი ლიბერალი მემამულენი სდუმან სოფლის მუშაზე. მომავალი ფერმერის შესახებ მათ მთელი თავიანთი ზრუნვა იქითკენ წარმართეს, რომ რაც შეიძლება მალე და თავიანთი ჯიბის რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალებით (იქნებ, უფრო სწორი იყოს ვთქვათ: თავიანთი ჯიბისათვის რაც შეიძლება მეტი სარგებლობით) გადააქციონ იგი თავიანთ მოკავშირედ, მებატრონე-მესაკუთრედ, წესრიგის დასაყრდენად. რა უბადრუკი ნასუფრალის მიგდებით ოცნებობენ ისინი იოლად წასვლას! ერთადერთ რევოლუციურ ღონისძიებას, საუფლისწულო მიწების კონფისკაციას, ისინი ზღუდავენ ამ მიწების ნ ა წ ი ლ ი თ, თანაც ეშინიათ კონფისკაციას კონფისკაცია უწოდონ და დუმილით უვლიან გვერდს საეკლესიო მიწებს. ჰპირდებიან რა მცირემიწიანებს მიწის მიზომვას, ისინი მაგრად ჩასჭიდებიან გამოსყიდვას, ხოლო კრინტსაც არ ძრავენ იმაზე, თუ ვინ გადაიხდის ამ გამოსასყიდი მიწების ღირებულებას. ისინი, როგორც ჩანს, თავისთავად ნაგულისხმევად თვლიან, რომ გადაიხდის გლეხი, — 1861 წლის ცნობილი გამოსყიდვის მსგავსად. მემამულეები სამმაგად ძვირად გასცემენ ყველაზე უარეს თავიანთ მიწებს, — აი რას გვიქადის მიწის მიზომვა მათი მხრივ. ყველა წამოყენებული ღონისძიება კრედიტის, კოოპერაციის, ნაკვეთთა გაცვლის და სხვ. შესახებ მთლიანად თავსდება ინტერესთა ვიწრო მესაკუთრულ წრეში. იჯარის, — გლეხური მეურნეობის ამ ერთ-ერთი უაღრესად მტკივნეული საკითხის შესახებ, — ისინი სჯერდებიან «მოწესრიგების» სრულიად ბუნდოვან ლოზუნგს. აქ შეიძლება გამოდგეს ყველაფერი, რაც გნებავთ, თვით იჯარის ფასების გადიდებაც ვითომ ნორმირების სახით, — ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რას გულისხმობდნენ და გულისხმობენ მმართველ კლასთა წარმომადგენლები «წესრიგად».

მაგრამ ლიბერალთა პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე საშიშ პოლიტიკურ პუნქტად ჩვენ მიგვაჩნია პუნქტი «საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი საშუამავლო კომისიების შესახებ». აგრარული გარდაქმნის გატარების წესის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ გატარე-

ბის წესზეა დამოკიდებული კონკრეტულად და რეალურად გარდაქმნის მეტ-ნაკლებად სერიოზული ხასიათი. ნაროდნიკებმა მიგვაჩვიეს ამ საკითხშიც (ისევე როგორც ბევრ სხვაში) მთავარ ყურადღებას ვაქცევდეთ ეკონომიურ მოგებას და უგულებელვყოფდეთ ან სათანადოდ არ ვაფასებდეთ საქმის პოლიტიკურ მხარეს. ეს თვალსაზრისი, წვრილი ბურჟუისათვის ბუნებრივი, «მეპატრონისათვის» გასაგები, აბსოლუტურად შეუწყნარებელია სოციალ-დემოკრატისათვის. სოციალ-დემოკრატისათვის მნიშვნელობას მოკლებულია ადგილგადანაცვლება კლასებში ან მეპატრონეთა და მესაკუთრეთა კატეგორიებში, თუ ამ ადგილგადანაცვლებას თან არა სდევს პოლიტიკური მოგება, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას აადვილებს. წვრილბურჟუაზიული მეოცნებობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყოველგვარი პროექტი «გამთანაბრებელი სარგებლობისა» და სხვ. შესახებ. სოციალ-დემოკრატის თვალსაზრისით ყველა ასეთი პროექტი ფუჭი და მავნე აბდაუბდაა, რომელიც საზოგადოებრივ შეგნებას რეალურ დემოკრატიულ მონაპოვართა რეალურ პირობებისაგან აშორებს. სოციალ-დემოკრატები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ მმართველი კლასები ყველგან და ყოველთვის ცდილობენ გათიშონ და გახრწნან მშრომელნი ეკონომიური ნასუფრალის მიგდებით. აგრარულ გარდაქმნათა სფეროში ეს პოლიტიკა განსაკუთრებით ადვილია მათთვის და განსაკუთრებით მოხერხებულადაც ატარებენ მას.

მით უფრო გარკვევით და მტკიცედ უნდა ვიდგეთ ჩვენი აგრარული პროგრამის ძ ი რ ი თ ა დ მოთხოვნაზე: მოვითხოვდეთ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაარსებას, რომლებმაც თვითონ უნდა მოახდინონ ნამდვილად ძირფესვიანი (და არა მემამულურად — «ძირფესვიანი») აგრარული გარდაქმნები. უამისოდ ყოველგვარი აგრარული რეფორმა აუცილებლად და გარდუვალად გადაიქცევა ახალ მოტყუებად, ახალ მახედ, 61 წლის ცნობილი «რეფორმის» მსგავსად. ხოლო «საზოგადოებრივ (?)-სახელმწიფოებრივი საშუამავლო კომისიები» ხომ მახის აშკარა მომზადებაა! «საზოგადოებად» ჩვენ ვგულისხ-

მობთ მემამულეებს, «სახელმწიფოდ» მოხელეებს. «საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი» მ ე მ ა მ უ ლ უ რ-მ ო ხ ე ლ უ რ ს ნიშნავს და მეტს არაფერს.

აი რა პუნქტისაკენ უნდა წარვმართოთ დაუყოვნებლივ ჩვენი აგიტაციის სიმძიმის ცენტრი სოფლად. გესმით თუ არა, გლეხებო? თქვენ ერთხელ კიდევ გიპირებენ გაგაბედნიერონ მოხელური გზით, «მოაწესრიგონ» თქვენი ცხოვრება მემამულეთა ჩარევით, «გამოგისყიდონ» მიწები ავად მოსაგონარი ძველი გამოსყიდვის ნიმუშის მიხედვით! მემამულენი ძალიან, ძალიან გულკეთილნი არიან: რაკი ხედავენ, რომ მათ მიწის მუქთად წართმევას ემუქრებიან, ისინი სულგრძელად თანხმდებიან მ ო გ ყ ი დ ო ნ ეს მიწები, თავისთავად ცხადია, ხელსაყრელ ფასად... თანახმა ხართ თუ არა მემამულეთა და მოხელეთა ასეთ ჩარევაზე? ან იქნებ თქვენ გსურთ თ ვ ი თ ო ნ ჩაერიოთ და თვითონ მოიწყოთ თავისუფალი ცხოვრება? მაშინ შეუერთდით ქალაქის პროლეტარიატს, იბრძოლეთ რესპუბლიკისათვის, დაირაზმეთ აჯანყებისათვის, რომელიც მოგცემთ თქვენ რევოლუციურ მთავრობას და გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს!

«ვპერიოდ» № 15,
1905 წ. 20 (7) აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

მარქსი ამერიკული «მიწის გადანაწილების» შესახებ

«ვპერიოდის» № 12-ში* მოხსენებული იყო მარქსის გამოსვლა აგრარულ საკითხზე კრიგეს წინააღმდეგ. ეს იყო არა 1848 წელს, როგორც შეცდომით ნათქვამია ამხ. — ъ-ის სტატიაში, არამედ 1846 წელს. მარქსის თანამშრომელი გერმან კრიგე, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, 1845 წელს ამერიკაში გადასახლდა და იქ დააარსა ჟურნალი «Volkstribun» («სახალხო ტრიბუნი») კომუნიზმის პროპაგანდისათვის. მაგრამ მან ეს პროპაგანდა ისე წარმართა, რომ მარქსი იძულებული გახდა გერმანელი კომუნისტების სახელით გადაჭრით გაელაშქრნა გერმან კრიგეს მიერ კომუნისტური პარტიის კომპრომეტირების წინააღმდეგ. კრიგეს მიმართულების კრიტიკა, რომელიც 1846 წელს «Westfälisches Dampfboot»-ში [82] დაიბეჭდა და მარქსის თხზულებათა მერინგის გამოცემის მეორე ტომში გადაიბეჭდა, უდიდეს ინტერესს წარმოადგენს თანამედროვე რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის.

საქმე ის არის, რომ აგრარულ საკითხს მაშინ ისევე აყენებდა ერთ-ერთ პირველ ადგილზე თვით ამერიკული სოციალური მოძრაობის მსვლელობა, როგორც ახლა რუსეთშია, ამასთან ლაპარაკი იყო სწორედ არა განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაზე, არამედ კაპიტალიზმის ნამდვილი განვითარებისათვის თავდაპირველი, ,ძირითადი პირობების შექმნაზე. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარალელის გასატარებლად, ერთი მხრივ, «მიწის გადანაწილე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 289. რ ე დ.

ბის» ამერიკული იდეებისადმი მარქსის დამოკიდებულებასა და, მეორე მხრივ, თანამედროვე გლეხური მოძრაობისადმი რუსი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას შორის.

კრიგე თავის ჟურნალში არავითარ მასალას არ იძლეოდა ამერიკული წყობილების კონკრეტულ სოციალურ თავისებურებათა შესასწავლად, იმ აგრარულ რეფორმატორთა მაშინდელი მოძრაობის ნამდვილი ხასიათის გამოსარკვევად, რომელნიც რენტის მოსპობისაკენ მიისწრაფოდნენ. სამაგიეროდ კრიგე (მთლად ისე, როგორც ჩვენი «სოციალისტ-რევოლუციონერები») აგრარული რევოლუციის საკითხს მაღალფარდოვანი, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით მოსავდა. «ყოველი ღარიბი — წერდა კრიგე — ადამიანთა საზოგადოების სასარგებლო წევრად იქცევა, როგორც კი მისთვის ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობას უზრუნველყოფენ. ასეთი შესაძლებლობა მისთვის სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნება, თუ საზოგადოება მისცემს მას მიწის ნაკვეთს, რომლითაც მას შეუძლია თავი გაიტანოს და ოჯახი არჩინოს. თუ მიწის ეს გიგანტური ფართობი (სახელდობრ ჩრდილოეთ ამერიკის 1 400 მილიონი აკრი სახელმწიფო მიწები) ამოღებული იქნება სავაჭრო ბრუნვიდან და განსაზღვრული რაოდენობებით უზრუნველყოფილი იქნება შრომისათვის*, მაშინ სიღატაკეს ამერიკაში ერთი დაკვრით მოეღება ბოლო»...

მარქსი ამაზე უპასუხებს: «შესაძლებელი იყო გვქონოდა იმის გაგების მოლოდინი, რომ კანონმდებელთ არ ძალუძთ დეკრეტებით შეაჩერონ კრიგესათვის სანუკვარი პატრიარქალური წყობილების განვითარება ინდუსტრიულ წყობილებად ანდა პატრიარქალურ ბარბაროსობაში უკუაგდონ აღმოსავლეთი ნაპირის სამრეწველო და სავაჭრო შტატები».

---

* გაიხსენეთ, რას წერდა «რევოლუციონნაია როსსია», № 8-ით დაწყებული, კაპიტალიდან შრომისაკენ მიწების გადასვლაზე, რუსეთის სახელმწიფო მიწების მნიშვნელობაზე, გამთანაბრებელ მიწათსარგებლობაზე, სავაჭრო ბრუნვაში მიწის ჩაბმის ბურჟუაზიულ იდეაზე და სხვ. პირწავარდნილი კრიგე არიან!

ამრიგად, ჩვენს წინაშეა ამერიკული «მიწის გადანაწილების» ნამდვილი გეგმა: სავაჭრო ბრუნვიდან მიწის მასის ამოღება, უფლება მიწაზე, მიწათმფლობელობის ან მიწათსარგებლობის ფარგლების შეზღუდვა. და მარქსი თავიდანვე გამოდის უტოპიზმის ფხიზელი კრიტიკით, აღნიშნავს პატრიარქალური წყობილების ინდუსტრიულ წყობილებად გადაქცევის გარდუვალობას, ე. ი. კაპიტალიზმის განვითარების გარდუვალობას, თუ თანამედროვე ენით ვილაპარაკებთ. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ მოძრაობის მონაწილეთა უტოპიური ოცნებანი აიძულებენ მარქსს უარყოფით მოეკიდოს თვით მოძრაობას საერთოდ. სრულებითაც არა. ჯერ კიდევ მაშინ, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისშივე, მარქსს ეხერხებოდა გამოეყო მოძრაობის რეალური პროგრესული შინაარსი მისი მოჩვენებითი იდეოლოგიური სამოსისაგან. თავისი კრიტიკის მეორე განყოფილებაში, რომელსაც სათაურად ჰქონდა: ««სახალხო ტრიბუნის» ეკონომია (ე. ი. პოლიტიკური ეკონომია) და მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა ამერიკისადმი», მარქსი წერდა:

«ჩვენ სავსებით ვცნობთ ამერიკელ ნაციონალ-რეფორმისტთა მოძრაობას მის ისტორიულ მართლზომიერებაში. ჩვენ ვიცით, რომ ეს მოძრაობა მიისწრაფის ისეთი შედეგის მიღწევისაკენ, რომელიც, მართალია, ამჟამად თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ინდუსტრიალიზმის განვითარებას მისცემდა ბიძგს, მაგრამ რომელმაც, როგორც პროლეტარულმ მოძრაობის ნაყოფმა, საერთოდ საადგილ-მამულო საკუთრებაზე თავდასხმით, განსაკუთრებით ამჟამად ამერიკაში არსებულ პირობებში, აუცილებლად უნდა წაგვიყვანოს უფრო შორს, მისი საკუთარი შედეგების მეოხებით, კომუნიზმისაკენ. კრიგე, რომელიც ნიუ-იორკში მყოფ გერმანელ კომუნისტებთან ერთად მიემხრო მოძრაობას რენტის წინააღმდეგ (Anti-Rent-Bewegung), ამ უბრალო ფაქტს მაღალფარდოვან ფრაზებში ხვევს, ხოლო თვით მოძრაობის შინაარსის განხილვისათვის თავს არ იწუხებს. ამით იგი ამტკიცებს, რომ მისთვის სრულებით ბუნდოვანია კავშირი ახალგაზრდა ამერიკასა და ამერიკულ საზოგადოებრივ პირობებს შორის. მოვიყვანოთ კიდევ მაგალითი

მისი მაღალფარდოვანი ფრაზებისა აგრარიების გეგმის შესახებ მოეხდინათ მიწათმფლობელობის პარცელაცია ამერიკის მასშტაბით.

«სახალხო ტრიბუნის» № 10-ში, სტატიაში «რა გვსურს ჩვენ» ნათქვამია: «ამერიკელი ნაციონალ-რეფორმისტები მიწას ყველა ადამიანთა საერთო კუთვნილებას უწოდებენ... და მოითხოვენ სახალხო კანონმდებლობის მიერ ისეთი ზომების მიღებას, რომ 1 400 მილიონი აკრი მიწა, რაც ჯერ კიდევ ხელში არ ჩავარდნიათ მძარცველ-სპეკულანტებს, შენარჩუნებულ იქნას, როგორც მთელი კაცობრიობის განუსხვისებელი საერთო კუთვნილება». და აი, რათა მთელი კაცობრიობისათვის შეინარჩუნოს ეს «განუსხვისებელი და საერთო კუთვნილება», იგი იღებს ნაციონალ-რეფორმისტთა გეგმას: «მიეცეს თვითეულ გლეხს, რა ქვეყნიდანაც უნდა იყოს იგი წარმოშობით, 160 აკრი ამერიკული მიწა თავის სარჩენად». № 14-ში, სტატიაში «პასუხი კონზს» (Konze) ეს გეგმა ასეა გადმოცემული: «ამ ჯერ კიდევ ხელუხლებელი სახალხო კუთვნილებიდან ვერავინ ვერ უნდა მიიღოს სამფლობელოდ 160 აკრზე მეტი, და ეს რაოდენობაც მხოლოდ იმ პირობით, რომ თვითონ იგი ამუშავებდეს ამ მიწას». ამრიგად, მიწის «განუსხვისებელ საერთო კუთვნილებად» და თანაც «მთელი კაცობრიობის» კუთვნილებად შენარჩუნებისათვის, საჭიროა დაუყოვნებლივ იმით დავიწყოთ, რომ დავანაწილოთ ეს მიწა. კრიგეს ჰგონია, რომ მას ძალუძს რაიმე კანონით აკრძალოს ამ დანაწილების აუცილებელი შედეგები: კონცენტრაცია, სამრეწველო პროგრესი და სხვ. 160 აკრი მიწა მას წარმოუდგენია, როგორც ერთიმეორის თანაბარი რამ, თითქოს ასეთი მიწის ფართობის ღირებულება სხვადასხვა არ იყოს მისი ხარისხის მიხედვით. «გლეხები» ერთმანეთს და სხვა ადამიანებს გაუცვლიან, თუ თვით მიწას არა, მის პროდუქტებს მაინც. ხოლო რაკი საქმე აქამდე მივა, მალე აღმოჩნდება, რომ ერთი «გლეხი» უკაპიტალოდაც თავისი შრომისა და თავისი 160 აკრის მეტი ბუნებრივი ნაყოფიერების მეოხებით მეორეს მიიყვანს თავისი მოჯამაგირის მდგომარეობამდე. ხოლო შემდეგ, განა სულ ერთი არ არის, «მიწა» «ჩაუვარდებათ ხელში მძარცველ-სპეკულანტებს» თუ მიწის პროდუქტები? სერიოზუ-

ლად გავსინჯოთ ეს საჩუქარი, რომელსაც კრიგე კაცობრიობას უძღვნის. 1 400 მილიონი აკრი შენარჩუნებულ უნდა იქნას, როგორც «მთელი კაცობრიობის საერთო განუსხვისებელი კუთვნილება». ამასთან თვითეულ გლეხს 160 აკრი უნდა ხვდეს. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავთვალოთ, თუ რამდენად დიდია კრიგეს «კაცობრიობა»: სრული 8¾ მილიონი «გლეხი» ანუ, თუ ოჯახზე 5 სულს ვიანგარიშებთ, 43¾ მილიონი კაცი. ასევე შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენად დიდხანს გასტანს ეს «მარადი დროება», რომლის განმავლობაშიც უნდა «დაეუფლოს მთელ მიწას პროლეტარიატი როგორც კაცობრიობის წარმომადგენელი» შეერთებულ შტატებში მაინც. თუ შეერთ. შტატების მოსახლეობა ისეთივე სისწრაფით გაორკეცდება, როგორც აქამდე, ე. ი. ყოველ 25 წელიწადში, მაშინ ეს «მარადი დროება» არასრულ 40 წელს გასტანს. 40 წლის განმავლობაში დაკავებული იქნება ეს 1 400 მილიონი აკრი, და შემდგომ თაობებს «დასაუფლებელიც» აღარაფერი ექნებათ. მაგრამ რადგან მიწის მუქთად დარიგება უაღრესად გააძლიერებს იმიგრაციას, კრიგეს «მარადი დროება» შეიძლება უფრო ადრეც დამთავრდეს, მეტადრე თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მიწის რაოდენობა 44 მილიონი კაცისათვის ევროპის ახლანდელ პაუპერიზმსაც კი არ ეყოფა, როგორც მისი გვერდზე მისაგდები არხი. ევროპაში ყოველი მეათე კაცი პაუპერია: მარტოოდენ ბრიტანეთის კუნძულებზე ისინი 7 მილიონი ითვლებიან. ასეთსავე პოლიტიკურ-ეკონომიურ გულუბრყვილობას ვხვდებით № 13-ში, სტატიაში «ქალებისადმი», სადაც კრიგე ამბობს, ქალაქი ნიუ-იორკი თავის ლონგ-აილენდის 52 000 აკრ მიწას რომ გაიმეტებდეს, ეს საკმარისი იქნება, რომ ნიუ-იორკი «ერთბაშად» სამუდამოდ განთავისუფლდეს ყოველგვარი პაუპერიზმისა, სიღატაკისა და ბოროტმოქმედებისგანო.

კრიგეს რომ ისე შეეხედნა იმ მოძრაობისათვის, რომელიც მიწის განთავისუფლებისაკენ მისწრაფვის, როგორც პროლეტარული მოძრაობის განსაზღვრულ პირობებში აუცილებელი პირველი ფორმისათვის, მას რომ ეს მოძრაობა შეეფასებინა, როგორც ისეთი, რომელიც იმ კლასის საარსებო მდგომარეობის გამო, რომლისგანაც იგი გამომდინარეობს, აუცილებლად უნდა

განვითარდეს შემდგომ კომუნისტურ მოძრაობად, მას რომ ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა გამოსულიყვნენ თავდაპირველად კომუნისტური მისწრაფებანი ამერიკაში ამ აგრარული ფორმით, რომელიც ერთი შეხედვით ყოველგვარ კომუნიზმს ეწინააღმდეგება, — მაშინ ამის წინააღმდეგ არაფერი არ გვექნებოდა სათქმელი. კრიგე კი განსაზღვრულ ნამდვილად არსებულ ადამიანთა მოძრაობის ამ ფორმას, რომელსაც მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს, საერთოდ კაცობრიობის საქმედ აცხადებს. კრიგე ამ საქმეს გვიხატავს, როგორც საერთოდ ყოველგვარი მოძრაობის უკანასკნელ, უმაღლეს მიზანს და ამრიგად მოძრაობის განსაზღვრულ მიზნებს წმინდა წყლის მაღალფარდოვან უაზრობად აქცევს. მე-10 ნომრის იმავე სტატიაში იგი ასეთ სატრიუმფო საგალობელს გალობს: «და აი, ამრიგად ასრულდებოდა, ბოლოს, ევროპელთა ძველისძველი ოცნებანი, ოკეანეს აქეთა მხარეს მათთვის მომზადებული იქნებოდა მიწა, რომელიც მათ მოუხდებოდათ მხოლოდ აეღოთ და გაენაყოფიერებინათ თავიანთი მკლავის შრომით, რათა მსოფლიოს ყველა ტირანისათვის ამაყად განეცხადებინათ: ეს ჩ ე მ ი ქოხია, რომელიც თქვენ არ გიშენებიათ, ეს ჩ ე მ ი კერაა, რომელიც თქვენს გულს შურით ავსებს».

კრიგეს შეეძლო დაემატებინა: ეს ჩ ე მ ი გროვა ნეხვია, შექმნილი ჩემს მიერ, ჩემი ცოლ-შვილის, ჩემი მოჯამაგირისა და ჩემი პირუტყვის მიერო. და რომელი ევროპელი დაინახავდა აქ თავის «ოცნებათა» განხორციელებას? ოღონდ არა კომუნისტი მუშები! შესაძლოა ეს დაენახათ მხოლოდ იმ გაკოტრებულ მედუქნეებსა და ამქრის ოსტატებს ან გაღატაკებულ გლეხებს, რომელნიც მიისწრაფვიან იმ ბედნიერებისაკენ, რომ ამერიკაში კვლავ წვრილი ბურჟუები და გლეხები გახდნენ! და რაში მდგომარეობს ის «ოცნება», რომელსაც ამ 1 400 მილიონი აკრი მიწის საშუალებით ახორციელებენ? მხოლოდ იმაში, რომ ყველა ადამიანი კერძო მესაკუთრედ გადააქციონ. ასეთი ოცნება იმდენადვე განუხორციელებელია და იმდენადვე კომუნისტურია, როგორც ოცნება — ყველა ადამიანი იმპერატორად, მეფეებად და პაპებად გადააქციო».

მარქსის კრიტიკა გესლითა და სარკაზმით აღსავსეა. იგი ამათრახებს კრიგეს მის შეხედულებათა სწორედ იმ თვისებისათვის, რომელსაც ახლა ჩვენს «სოც.-რევოლუციონერებში» ვხედავთ. ეს არის: ფრაზის ბატონობა, წვრილბურჟუაზიული უტოპიები, რომლებსაც უმაღლეს რევოლუციურ უტოპიზმად ასაღებენ, თანამედროვე სამეურნეო წყობილების რეალური საფუძვლებისა და მისი განვითარების გაუგებლობა. მარქსი, რომელიც მაშინ მხოლოდ მ ო მ ა ვ ა ლ ეკონომისტს წარმოადგენდა, შესანიშნავი გამჭრიახობით მიგვითითებს გაცვლა-გამოცვლის, სასაქონლო მეურნეობის როლზე. თუ მიწით არა,—ამბობს იგი,—გლეხები მიწის პროდუქტებით მაინც აწარმოებენ გაცვლა-გამოცვლასაო, ამით კი უკვე ყველაფერია ნათქვამი! საკითხის მთელი ეს დაყენება ძალიან ბევრი და ბევრი მხრივ შეეფარდება რუსეთის გლეხთა მოძრაობას და მის წვრილბურჟუაზიულ «სოციალისტ» იდეოლოგებს.

მაგრამ მარქსი ამავე დროს შორსაა ამ წვრილბურჟუაზიული მოძრაობის უბრალო «უარყოფისაგან», მისი დოქტრინიორული უგულებელყოფისაგან, იმ შიშისაგან, რომელიც ბევრ მედავითნეს ახასიათებს, რომ ხელი არ გაისვარონ რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან შეხებით. ულმობლად დასცინის რა მოძრაობის იდეოლოგიური სამოსის სულელურ ხასიათს, მარქსი ცდილობს მატერიალისტურად-ფხიზლად განსაზღვროს მისი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ისტორიული შინაარსი, მისი გარდუვალი შედეგები, რომლებიც უნდა დადგნენ ობიექტური პირობების გამო, ამა თუ იმ პიროვნებათა ნებისა და შეგნების, ოცნებისა და თეორიების დამოუკიდებლად. ამიტომ მარქსი არ კიცხავს, არამედ სავსებით იწონებს კომუნისტების მიერ ამ მოძრაობისათვის მხარდაჭერას. დგას რა დიალექტიკურ თვალსაზრისზე, ე. ი. ყოველმხრივ იხილავს რა მოძრაობას, მხედველობაში იღებს რა წარსულსაც და მომავალსაც, მარქსი აღნიშნავს მიწის საკუთრებაზე თავდასხმის რევოლუციურ მხარეს, მარქსი სცნობს წვრილბურჟუაზიულ მოძრაობას პროლეტარული, კომუნისტური მოძრაობის თავისებურ პირველდაწყებით ფორმად. იმას, რის მიღწევასაც ამ მოძრაობით ოცნებობთ, ამბობს მარქსი კრიგეს მიმართ, თქვენ ვერ მიაღწევთ,—ძმობის ნაცვლად დად-

გება წვრილბურჟუაზიული განკერძოება, გლეხთა ნაკვეთების განუსხვისებლობის ნაცვლად — მიწის ჩაბმა სავაჭრო ბრუნვაში, მძარცველ-სპეკულანტებისათვის ლახვრის ჩაცემის ნაცვლად — ბაზის განვითარება კაპიტალისტური განვითარებისათვის. მაგრამ ის კაპიტალისტური ბოროტება, რომელსაც თქვენ ამაოდ ფიქრობთ თავი დააღწიოთ, ისტორიულ სიკეთეს წარმოადგენს, რადგან იგი საშინლად დააჩქარებს საზოგადოებრივ განვითარებას და ბევრად უფრო მოგვიახლოებს კომუნისტური მოძრაობის ახალ, უმაღლეს ფორმებს. მიწის საკუთრებისათვის ლახვრის ჩაცემა გააადვილებს საერთოდ საკუთრებისათვის შემდგომი ლახვრის აუცილებლად ჩაცემას; დაბალი კლასის რევოლუციური გამოსვლა ისეთი გარდაქმნით, რომელიც დროებით აძლევს მცირეოდენ კეთილდღეობას სრულებითაც არა ყველას, გააადვილებს ყველაზე დაბალი კლასის გარდუვალ შემდგომ რევოლუციურ გამოსვლას ისეთი გარდაქმნით, რომელიც ნამდვილად უზრუნველყოფს სრულ ადამიანურ ბედნიერებას ყველა მშრომელისათვის.

ჩვენთვის, რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის, მარქსის მიერ კრიგეს წინააღმდეგ საკითხის დაყენება ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს. რუსეთის თანამედროვე გლეხური მოძრაობის ნამდვილი წვრილბურჟუაზიული ხასიათი ეჭვს გარეშეა; ჩვენ ამას მთელი ძალღონით უნდა განვმარტავდეთ და ამის გამო ულმობლად, შეურიგებლად ვებრძოდეთ ყოველგვარი «სოციალისტ-რევოლუციონერების» ან პრიმიტიული სოციალისტების ყოველგვარ ილუზიებს. განსაკუთრებული ორგანიზაცია პროლეტარიატის დამოუკიდებელი პარტიისა, რომელიც ყველა დემოკრატიული გადატრიალების მეშვეობით სრული სოციალისტური რევოლუციისაკენ მიისწრაფის, უნდა იყოს ჩვენი მუდმივი მიზანი, რომელსაც ერთი წუთითაც არ უნდა ვუშვებდეთ მხედველობიდან. მაგრამ ამიტომ გლეხთა მოძრაობისთვის ზურგის შექცევა ყოვლად უიმედო ფილისტერობა და პედანტიზმი იქნებოდა. არა, ამ მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი უეჭველია, და ჩვენ მთელი ძალღონით უნდა ვუჭერდეთ მას მხარს, ვავითარებდეთ, პოლიტიკურად შეგნებულსა და კლასობრივად გარკვეულს ვხდიდეთ, ვუბიძგებდეთ წინ, ბო-

ლომდე მივდიოდეთ მასთან ერთად, მასთან ხელიხელ ჩაკიდებული, — რადგან ჩვენ მივდივართ ყოველგვარი გლეხური მოძრაობის დასასრულზე გაცილებით უფრო შორს, ჩვენ მივდივართ საზოგადოების თვით კლასებად დაყოფის საბოლოო დასასრულამდე. საეჭვოა მოიპოვებოდეს მსოფლიოში სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც გლეხობა ისეთ ტანჯვას, ისეთ ჩაგვრასა და დამცირებას განიცდიდეს, როგორც რუსეთში. რაც უფრო წყვდიადით იყო მოცული ეს ჩაგვრა, მით უფრო მძლავრი იქნება ახლა მისი გამოღვიძება, მით უფრო უძლეველი იქნება მისი რევოლუციური შეტევა. შეგნებული რევოლუციური პროლეტარიატის საქმეა მთელი ძალღონით დაუჭიროს მხარი ამ შეტევას, რათა მან ქვაქვაზე აღარ დასტოვოს ძველ, წყეულ, ბატონყმურ-თვითმპყრობელურ მონურ რუსეთში, რათა მან შექმნას თავისუფალ და მამაც ადამიანთა ახალი თაობა, შექმნას ახალი რესპუბლიკური ქვეყანა, რომელშიც ფართოდ გაჩაღდება ჩვენი პროლეტარული ბრძოლა სოციალიზმისათვის.

«ვპერიოდ» № 15,
1905 წ. 20 (7) აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

მხილებული საბჭო

ეს-ეს არის გამოვიდა «ისკრის» № 95-ის ცალკე ინაბეჭდად «პარტიის საბჭოს» დადგენილება, რომელზედაც აღნიშნულია 1905 წლის 7 აპრილი, ქალ. ჟენევა. ეს დადგენილება წარმოადგენს თავიდან ბოლომდე «ჭეშმარიტების გადახვევათა» ქსელს. აღვნიშნოთ უმთავრესი გადახვევანი.

ჩვენ გვეუბნებიან, საბჭო იმაზე ზრუნავდა, რომ პარტიაში შინაგან ბრძოლას მისი ერთიანობა არ დაერღვიაო. ეს მართალი არ არის. დოკუმენტებით, რომლებიც არავის გაუბათილებია და ვერც გააბათილებს, პარტიის ყველა წევრმა უნდა იცოდეს, რომ ერთ წელიწადზე მეტი ხნის წინათ, 1904 წლის იანვარში, ცენტრალური კომიტეტის წევრები ლენინი და ვასილიევი საბჭოში წინადადებას იძლეოდნენ, რათა საბჭოს მთელი პარტიისათვის მიემართა მოწოდებით — შეწყვეტილიყო ბოიკოტი და წრეების მიერ საერთო-პარტიული ფულის ფარულად მითვისება*. ს ა ბ ჭ ო მ მ ა თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა უ ა რ ყ ო. საბჭომ ნაცვლად ამისა პირდაპირ მონაწილეობა მიიღო პარტიის ფ ა რ უ ლ გ ა თ ი შ ვ ა შ ი და აკურთხა უმცირესობის ფარული ორგანიზაციის ბრძოლა «კოოპტაციისათვის». ეს ბრძოლა, როგორც ახლა დოკუმენტურად არის დამტკიცებული, წარმოებდა II ყრილობის დროიდანვე, ე. ი. 1903 წლის აგვისტოდან 1904 წლის ნოემბრამდე თუ დეკემბრამდე.

ამრიგად, 1904 წლის იანვრიდან საბჭო წარმოადგენდა არა პარტიის უმაღლეს დაწესებულებას, არამედ უმცირესობის ფარული ორგანიზაციის იარაღს. ამ ორგანიზაციის არსებობა სა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 167 — 170. რ ე დ.

ჯაროდ და პრესის საშუალებით აღიარეს არა მარტო შემარიგებელმა ცენტრალურმა კომიტეტმა, არამედ თვით «ისკრამაც», როდესაც ცენტრალური კომიტეტი უმცირესობის მხარეზე გადავიდა.

როგორც უმცირესობის ფარული ორგანიზაციის იარაღი, საბჭო მთელ მეცადინეობას იქითკენ წარმართავდა, რომ თავი აერიდებინა საერთო-პარტიული ყრილობისათვის, რომელსაც კომიტეტები მოითხოვდნენ. მთელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული მუშაობა რუსეთში ფერხდებოდა იმით, რომ მასში დეზორგანიზაცია შეჰქონდა საზღვარგარეთელ უმცირესობას. მთელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ეწეოდნენ კომიტეტები რუსეთში განუწყვეტელ, თავგამოდებულ ბრძოლას ყრილობისათვის, ბრძოლას ენენევის საბჭოს წინააღმდეგ, რომელიც ან მალავდა კომიტეტების რეზოლუციებს, ან უკანვე აბრუნებდა ყოვლად უხეში ლანძღვა-გინების დართვით («თაღლითები, უხამსი კომედია, დოკუმენტების ფაბრიკაცია» — გამოთქმები მარტოვის წერილიდან, იხ. ორლოვსკის ბროშურა «საბჭო პარტიის წინააღმდეგ»). ფარული გათიშვის მოღვაწეთა საქციელის წინააღმდეგ ბრძოლის, ტანჯვით აღსავსე ბრძოლის თვითეული მნიშვნელოვანი ნაბიჯი ახლა დოკუმენტურად არის დადასტურებული ლიტერატურაში. ჯერ კიდევ 1904 წლის ოქტომბერში, ე. ი. ამ ნახევარი წლის წინათ, დამტკიცებულ იქნა, მაგალითად, ორლოვსკის ბროშურაში «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», რომ საბჭომ მიზეზების აუხსნელად აარიდა თავი ყრილობის მოწვევას, რომელიც წესდების მიხედვით მისთვის სავალდებულო იყო. ამის შემდეგ პარტიის კომიტეტების გრძელი წყება რუსეთში ერთმანეთის მიყოლებით უცხადებდა ფორმალურ უნდობლობას საბჭოს და ყველა ცენტრალურ დაწესებულებას. მაგრამ საბჭო ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ურცხვად დასცინოდა პარტიას. საბჭო უმცირესობის იარაღი იყო. საბჭო ახლა 1905 წ. 7 აპრილის დადგენილებაში აშკარად აღიარებს თავს ერთ-ერთ მოდავე მხარედ, მაგრამ ამავე დროს იგი არ ერიდებოდა ესარგებლნა საერთო-პარტიული დაწესებულების ტიტულით, უფლებებითა და რწმუნებებით და

უარს აცხადებდა იმაზე, რომ დაებრუნებინა პარტიისათვის მისგან მიღებული მანდატი! ეს სულ ერთიანად ნდობის აღმაშფოთებელი დარღვევა იყო.

როცა, ბოლოს, პარტიის კომიტეტებმა რუსეთში დაინახეს, რომ საბჭო ყრილობას თავს არიდებდა და თვითონ კომიტეტებმა მოიწვიეს ყრილობა მათ მიერ სამს კონფერენციაზე არჩეული «ბიუროს» მეშვეობით, მაშინ უმცირესობის მხარეზე გადასული ცენტრალური კომიტეტიც კი დაეშურა გამოესწორებინა თავისი შეცდომა. რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც არათუ არ თანაუგრძნობდა უმრავლესობის კომიტეტებს, არამედ კიდევაც ებრძოდა მათ, მაინც, ხედავდა რა რუსეთის საქმეებს, იცოდა რა, რომ უმრავლესობა ნამდვილად სჭარბობდა რუსეთში, იძულებული გახდა ეღიარებინა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს სრული პირუთვნელობა ყრილობის მოწვევაში, იძულებული გახდა ამხედრებულიყო საბჭოს წინააღმდეგ. მთელი პარტიისადმი 1905 წლის 12 მარტის მიმართვაში რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ პრესაში და როგორც იცის დეკლარაციით რუსეთის ყველა მუშაკმა, პირდაპირ ილაშქრებს საბჭოს წინააღმდეგ და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტში აცხადებს, «საბჭოს 8 მარტის რეზოლუცია ყრილობის წინააღმდეგ («ისკრის» № 89) აღიარებული არ არის იმის საფუძვლად, რომ ყრილობის ორგანიზაციისათვის მუშაობა შევაჩეროთო».

რას ნიშნავს ეს განცხადება, რომელსაც ასე გულმოდგინე დუმილით უვლის გვერდს ჩვენი საბჭო? იგი იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც იცის რუსეთის საქმეები და რომელმაც, როგორც ჩანს, შეამოწმა საზღვარგარეთელი საბჭოს მტკიცებანი, არასწორად სცნობს ამ მტკიცებას, შეთხზულად სცნობს ყრილობის საწინააღმდეგო მოსაზრებებს, დამტკიცებულად სცნობს იმ ფაქტს, რომ ყრილობას მოითხოვს უდიდესი უმრავლესობა რუსეთის კომიტეტებისა, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ საქმეს.

აი რატომ არის, რომ ჩვენი საბჭო დუმილით უვლის გვერდს ცენტრალური კომიტეტის განცხადების მე-5 პუნქტს! საბჭოს დუმილი იმით აიხსნება, რომ ეს განცხადება უდრის მთელი პარტიის წინაშე იმის აშკარად აღიარებას, რომ საბჭოს მტკიცებანი სწორი არ არის, უდრის იმის აღიარებას, რომ საბჭოძ პარტიის საზოგადოებრივი აზრი გააყალბა!

ამიტომ საბჭო ტყუილად ცდილობს ერთხელ კიდევ შეიყვანოს პარტია შეცდომაში, წინადადებას რომ იძლევა მოეწყოს მოდავე მხარეთა თათბირები ან შეთანხმებანიო. რ უ ს ე თ ში ა ს ე თ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა უ კ ვ ე მ ო ხ დ ა. მენშევიკების რუსეთის ცენტრი ცენტრალური კომიტეტი იყო — ეს პირდაპირ განაცხადა თვით «ისკრამ» ცნობაში მენშევიკური ორგანიზაციების მიერ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დეკლარაციის მიღების შესახებ. უმრავლესობის რუსეთის ცენტრი იყო უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო. ორივე მოდავე მხარის რ უ ს ე თ ის ცენტრებმა უ კ ვ ე დ ა დ ე ს შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს ა ე რ თ ო ყ რ ი ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. აქედან ჩანს, რომ რუსეთში არიან მენშევიკები, რომლებიც ცოტა მეტად აფასებენ პარტიულობასა და პარტიის ერთიანობას, ვიდრე საზღვარგარეთელი მენშევიკები. აქედან ჩანს, რომ თვით რუსი მენშევიკები, თავიანთი ცენტრის, ცენტრალური კომიტეტის, სახით ამხელენ საზღვარგარეთელ საბჭოს და ზურგს აქცევენ მას. აქედან ჩანს, რომ ორივე მოდავე მხარის რუსეთის ცენტრების შეთანხმების შემდეგ ლაპარაკიც აღარ შეიძლება რაიმე შეთანხმებაზე საზღვარგარეთელ საბჭოსთან, ე. ი. იმ ჯენტლმენებთან, რომლებიც ჟენევაში სხედან.

ამიტომ ჩვენი საბჭო ტყუილად ამბობს, რომ ცენტრალური კომიტეტი მომავალში მას ჩამოგდებას უპირებს. ეს მომავალი კი არა, წარსულია. მე-5 პუნქტი ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 12 მარტის მოწოდებისა პარტიისადმი უჩვენებს ყველას, ვისაც უნარი აქვს გაიგოს იმისი აზრი, რასაც კითხულობს, რომ ეს ჩამოგდება უკვე მოხდა. რუსეთმა, ორივე მხარის გაერთიანებული ცენტრების სახით, ჩამოაგდო საზღვარგარეთი. პარტიის საბჭო ახლა პარტიას კი არ წარმოადგენს, არამედ სწორედ ჟენეველთა ჯგუფს.

უარს აცხადებდა იმაზე, რომ დაებრუნებინა პარტიისათვის მისგან მიღებული მანდატი! ეს სულ ერთიანად ნდობის აღმაშფოთებელი დარღვევა იყო.

როცა, ბოლოს, პარტიის კომიტეტებმა რუსეთში დაინახეს, რომ საბჭო ყრილობას თავს არიდებდა და თვითონ კომიტეტებმა მოიწვიეს ყრილობა მათ მიერ სამს კონფერენციაზე არჩეული «ბიუროს» მეშვეობით, მაშინ უმცირესობის მხარეზე გადასული ცენტრალური კომიტეტიც კი დაეშურა გამოესწორებინა თავისი შეცდომა. რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც არათუ არ თანაუგრძნობდა უმრავლესობის კომიტეტებს, არამედ კიდევაც ებრძოდა მათ, მაინც, ხელავდა რა რუსეთის საქმეებს, იცოდა რა, რომ უმრავლესობა ნამდვილად სჭარბობდა რუსეთში, იძულებული გახდა ეღიარებინა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს სრული პირუთვნელობა ყრილობის მოწვევაში, იძულებული გახდა ამხედრებულიყო საბჭოს წინააღმდეგ. მთელი პარტიისადმი 1905 წლის 12 მარტის მიმართვაში რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ პრესაში და როგორც იცის დეკლარაციით რუსეთის ყველა მუშაკმა, პირდაპირ ილაშქრებს საბჭოს წინააღმდეგ და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტში აცხადებს, «საბჭოს 8 მარტის რეზოლუცია ყრილობის წინააღმდეგ («ისკრის» № 89) აღიარებული არ არის იმის საფუძვლად, რომ ყრილობის ორგანიზაციისათვის მუშაობა შევაჩეროთო».

რას ნიშნავს ეს განცხადება, რომელსაც ასე გულმოდგინე დუმილით უვლის გვერდს ჩვენი საბჭო? იგი იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც იცის რუსეთის საქმეები და რომელმაც, როგორც ჩანს, შეამოწმა საზღვარგარეთელი საბჭოს მტკიცებანი, არასწორად სცნობს ამ მტკიცებას, შეთხზულად სცნობს ყრილობის საწინააღმდეგო მოსაზრებებს, დამტკიცებულად სცნობს იმ ფაქტს, რომ ყრილობას მოითხოვს უდიდესი უმრავლესობა რუსეთის კომიტეტებისა, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ საქმეს.

აი რატომ არის, რომ ჩვენი საბჭო დუმილით უვლის გვერდს ცენტრალური კომიტეტის განცხადების მე-5 პუნქტს! საბჭოს დუმილი იმით აიხსნება, რომ ეს განცხადება უდრის მთელი პარტიის წინაშე იმის აშკარად აღიარებას, რომ საბჭოს მტკიცებანი სწორი არ არის, უდრის იმის აღიარებას, რომ საბჭოძ პარტიის საზოგადოებრივი აზრი გააყალბა!

ამიტომ საბჭო ტყუილად ცდილობს ერთხელ კიდევ შეიყვანოს პარტია შეცდომაში, წინადადებას რომ იძლევა მოეწყოს მოდავე მხარეთა თათბირები ან შეთანხმებანიო. რ უ ს ე თ ‘მ ი ა ს ე თ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა უ კ ვ ე მ ო ხ დ ა. მენშევიკების რუსეთის ცენტრი ცენტრალური კომიტეტი იყო — ეს პირდაპირ განაცხადა თვით «ისკრამ» ცნობაში ‘მენშევიკური ორგანიზაციების მიერ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დეკლარაციის მიღების შესახებ. უმრავლესობის რუსეთის ცენტრი იყო უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო. ორივე მოდავე მხარის რ უ ს ე თ ი ს ცენტრებმა უ კ ვ ე დ ა დ ე ს შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ს ა ე რ თ ო ყ რ ი ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. აქედან ჩანს, რომ რუსეთში არიან მენშევიკები, რომლებიც ცოტა მეტად აფასებენ პარტიულობასა და პარტიის ერთიანობას, ვიდრე საზღვარგარეთელი მენშევიკები. აქედან ჩანს, რომ თვით რუსი მენშევიკები, თავიანთი ცენტრის, ცენტრალური კომიტეტის, სახით ამხელენ საზღვარგარეთელ საბჭოს და ზურგს აქცევენ მას. აქედან ჩანს, რომ ორივე მოდავე მხარის რუსეთის ცენტრების შეთანხმების შემდეგ ლაპარაკიც აღარ შეიძლება რაიმე შეთანხმებაზე საზღვარგარეთელ საბჭოსთან, ე. ი. იმ ჯენტლმენებთან, რომლებიც ჟენევაში სხედან.

ამიტომ ჩვენი საბჭო ტყუილად ამბობს, რომ ცენტრალური კომიტეტი მომავალში მას ჩამოგდებას უპირებს. ეს მომავალი კი არა, წარსულია. მე-5 პუნქტი ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 12 მარტის მოწოდებისა პარტიისადმი უჩვენებს ყველას, ვისაც უნარი აქვს გაიგოს იმისი აზრი, რასაც კითხულობს, რომ ეს ჩამოგდება უკვე მოხდა. რუსეთმა, ორივე მხარის გაერთიანებული ცენტრების სახით, ჩამოაგდო საზღვარგარეთი. პარტიის საბჭო ახლა პარტიას კი არ წარმოადგენს, არამედ სწორედ ჟენეველთა ჯგუფს.

თუ რამდენად სწორია პარტიის საქმეთა ეს აწერა, განსაკუთრებით ცხადად ჩანს შემდეგიდან. საბჭო აცხადებს, რომ მისი 1905 წლის 7 აპრილის დადგენილება ერთხმად არის მიღებული. როდესაც პარტიის წევრები ამას კითხულობენ, რასაკვირველია, უნდა ფიქრობდნენ, რომ დადგენილებაში მონაწილეობას იღებდა ის ორი წევრიც, რომლებიც ცენტრალური კომიტეტიდან არიან საბჭოში. საბჭო ცდილობს გამოიწვიოს მკითხველებში ასეთი ვარაუდი, მაგრამ ეს ვარაუდი ძალიან საეჭვოა.

საბუთი. როგორც უკვე აღვნიშნეთ «ვპერიოდის» № 13-ში, ჩვენ ჯერ კიდევ მოცემული არა გვაქვს უფლება გამოვაქვეყნოთ ხელშეკრულება უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის. მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვაცნობეს, რომ ამ ხელშეკრულების ერთი პუნქტი მაინც უნდა გამოქვეყნდეს იმ შემთხვევაში, თუ პარტიის საბჭომ ისეთი დადგენილება მიიღო, რომელიც III პარტიული ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ახლა ეს შემთხვევა დადგა.

ამიტომ ჩვენ ახლა ვაქვეყნებთ გამოუქვეყნებელი ხელშეკრულების პირველ პუნქტს:

«უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის ხელშეკრულება, ხელმოწერილი 1905 წლის 12 მარტს:

პუნქტი პირველი: საორგანიზაციო კომიტეტი, შემდგარი ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წარმომადგენელთაგან, დაუყოვნებლივ აწყობს III პარტიულ ყრილობას დამოუკიდებლად საბჭოს ამა თუ იმ რეზოლუციისა ყრილობის მოწვევის შესახებ».

ვგონებთ, ნათელია?

ცენტრალურმა კომიტეტმა ცალკე აღნიშნა, რომ არ დაეშორჩილებოდა საბჭოს მომავალ რეზოლუციებს, ხოლო დროებით არ გამოაქვეყნა ეს იმ შემთხვევისათვის, თუ საბჭო გამონაკლისის სახით პატიოსნად მოიქცეოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მენშევიკებს კიდევ სჯეროდათ საბჭოს კეთილ-

სინდისიერი მოქმედების შესაძლებლობა, თუნდაც გამონაკლისის სახით.

რუსეთის მეწშევიკებს, თავიანთი რუსეთის ცენტრის სახით, ახლა იმედი გაუცრუვდათ.

მაშასადამე, ახლა სავსებით დამტკიცებულია, რომ თვით ცენტრალური კომიტეტი, რომელიც სავსებით საბჭოს სასარგებლოდ იყო განწყობილი, იძულებული გახდა ბოლომდე ემხილა თავისი საზღვარგარეთელი კოლეგა.

ახლა ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ პატარა დასკვნითი კითხვა მივცეთ მკითხველებს: რა უნდა ვიფიქროთ ამის შემდეგ საბჭოს წევრებზე, რომლებიც ჟენევაში სხედან და რომლებმაც პრესის საშუალებით და საჯაროდ განაცხადეს, საბჭოს 1905 წლის 7 აპრილის დადგენილება ჟენევაში ერთხმად არის მიღებულიო?

«ვპერიოდ» № 15,
1905 წ. 20 (7) აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

ლია წერილი რსდმპ საბჭოს თავჯდომარეს ამხ. პლეხანოვს [83]

პატივცემულო ამხანაგო!

4 (17) აპრილს ცენტრალურმა კომიტეტმა აცნობა პარტიის საბჭოს, რომ თავის წარმომადგენლებად საბჭოში ნიშნავს ამხანაგებს იოგანსენსა[84] და ვალერიანს[85] და სთხოვდა დაენიშნა შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში საბჭოს სხდომა იმ შემადგენლობით, როგორსაც პარტიის წესდება გვიკარნახებს.

რაკი ამ თხოვნაზე პასუხი ვერ მივიღეთ, თავს ნება მივეცით განმეორებით მოგვემართა ამ თხოვნით თქვენთვის და 22 (9) აპრილს მივიღეთ პასუხი, რომელშიც თქვენ უარს აცხადებთ დანიშნოთ საბჭოს სხდომა, სანამ ჩვენ «პარტიული წესდების დარღვევასა და საბჭოს ფუნქციების უზურპატორობას განვაგრძობთ».

მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საბჭოს ოფიციალური სხდომის მოწვევაზე უარის გამოცხადებით, ჩვენთვის შეუძლებელს ხდის წარვუდგინოთ პარტიის საბჭოს მთელი რიგი ცნობები, ხოლო რადგან მათი შემდგომი დაყოვნება, ჩვენი აზრით, შეუძლებელია, იძულებული ვართ მოგმართოთ თქვენ მთელი პარტიის წინაშე და წერილობით ჩამოვაყალიბოთ ის უმთავრესი განცხადებანი, რომლებიც საბჭოს უახლოეს სხდომაზე უნდა გაგვეკეთებინა.

1) ცენტრალური კომიტეტი უცხადებს პარტიის საბჭოს, რომ 4 (17) აპრილისათვის III პარტიული ყრილობის მოწვე-

ვას მხარი დაუჭირეს პარტიის შემდეგმა სრულუფლებიანმა ორგანიზაციებმა: პეტერბურგის, მოსკოვის, ჩრდილოეთის კავშირის, ნიჟნი ნოვგოროდის, ტვერის, ტულის, რიგის კომიტეტებმა, ციმბირის კავშირმა, ვორონეჟის, სარატოვის, ოდესის კომიტეტებმა, კავკასიის კავშირმა (8 ხმა), ნიკოლაევის, ურალის, ორიოლ-ბრიანსკის, კურსკის, სმოლენსკის, პოლესიეს, ჩრდილო-დასავლეთის, ხარკოვის, სამარის კომიტეტებმა, სულ 21 ორგანიზაციამ, რომლებსაც ერთად 48 ხმის უფლება აქვთ. ყრილობის მოწვევას მხარი დაუჭირა აგრეთვე ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც გადაწყვიტა გაგზავნოს ყრილობაზე თავისი დელეგატი და პარტიის საბჭოში მყოფი თავისი წარმომადგენლები.

ასტრახნის, ყაზანის, ყუბანის, დონის კომიტეტებისაგან, სამთამადნო კავშირისაგან, ეკატერინოსლავის კომიტეტისაგან, ყირიმის კავშირისაგან, ლიგისაგან, ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან და საბჭოს 3 საზღვარგარეთელი წევრისაგან რეზოლუციები ან მიღებული არ არის, ან მიღებულია რეზოლუციები, რომ ყრილობის მოწვევა სასურველი არ არისო.

დასასრულ კიევის კომიტეტმა, თუმცა 25 მარტს მიიღო რეზოლუცია ყრილობის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ აირჩია დელეგატი ყრილობისათვის და გაგზავნა იგი საზღვარგარეთ.

ამრიგად, 75 ხმიდან*, რომლებიც ყრილობაზე მთელ პარტიას წარმოადგენენ, 52 ხმამ (თუ არ ვიანგარიშებთ კიევის კომიტეტს) მხარი დაუჭირა III პარტიული ყრილობის მოწვევას.

ასეთ პირობებში ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მტკიცედ მოითხოვოს პარტიის საბჭოში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, რათა საბჭომ დაუყოვნებლივ შეასრულოს პარტიის წესდების მე-2 §-დან გამომდინარე ფორმალური მოვალეობა — მოიწვიოს ყრილობა, როცა ამას მოითხოვენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ერთად ყრილობაზე ხმების ნახევრის უფლება აქვთ.

---

* იხილე სრულუფლებიანი ორგანიზაციების სია, რომელიც «ისკრის» № 89-ში გამოქვეყნდა.

რადგან იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვება, ყრილობას ამჟამად მხარი დაუჭირა ხმების ბევრად მეტმა რაოდენობამ, ვიდრე წესდება ძოითხოვს (52-მა 75-დან), განცხადება ყრილობის მოწვევის შესახებ საბჭომ უნდა გამოაქვეყნოს დაუყოვნებლივ და აუცილებლივ, რაიმე წინასწარი, პარტიული წესდებით გაუთვალისწინებელი პირობის ან მოთხოვნის წაძოუყენებლად.

2) ცენტრალური კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის პარტიული ყრილობის მოწვევა იმ მომენტში, რომელშიც ამჟამად პარტია და მთელი რუსეთი იმყოფება, პარტიის საბჭოს ყველა წევრის გულწრფელი სურვილის შემთხვევაშიც კი, არ შეიძლება გადაიჯრას მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფორმალური გზით. ჩვენი პარტიული წესდება ამისთვის საკმაოდ არ არის დამუშავებული და, მაგალითად, არავითარ პასუხს არ იძლევა საკითხზე იმ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც პარტიის საბჭო ვალდებულია მოიწვიოს ყრილობა, თუ მის სასარგებლოდ მიცემულია ხმების კანონიერი რიცხვი. პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს ამ და სხვა საკითხებზე უხდებათ მიმართონ წესდების განმარტებას და ანგარიში გაუწიონ არა მარტო ფორმალურად გამოხატულ ნებას პარტიისას, რომელმაც, როგორც 1 პუნქტიდან ჩანს, უკვე დაუჭირა ყრილობას მხარი, არამედ საქმის ფაქტიურ მდგომარეობასაც როგორც პარტიაში, ისე საერთოდ რუსეთში.

ცენტრალურ კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნია აცნობოს პარტიის საბჭოს, რომ პარტიული კრიზისის განვითარება რუსეთში იმ ზომამდე მივიდა, როცა თითქმის მთელი პარტიული მუშაობა ჩერდება. კომიტეტებში მდგომარეობა უკიდურესად აიწეწ-დაიწეწა. არ არის თითქმის არც ერთი ტაქტიკური ან ორგანიზაციული საკითხი, რომელიც ადგილებზე უაღრესად გააფთრებულ უთანხმოებას არ იწვევდეს ფრაქციებს შორის, ამასთან უფრო ხშირად არა იმდენად არსებითად, რამდენადაც იმის შედეგად, რომ მოდავე მხარენი პარტიის სხვადასხვა ნაწილებს ეკუთვნიან. არც პარტიის საბჭოს, არც ცენტრალურ ორგანოს, არც ცენტრალურ კომიტეტს არ მოეპოვე-

ბათ საჭირო ავტორიტეტი პარტიულ მუშაკთა უმრავლესობა-ში, ყველგან იქმნება ორძაგი ორგანიზაციები, რომელნიც ერთ-მანეთის მუშაობას აფერხებენ და სახელს უტეხენ პარტიას. პროლეტარიატის თვალში. იმ ამხანაგებს, ვინც გართულია უმ-თავრესად ლიტერატურული მუშაობით, რომელიც შეიძლება. პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილის უნდობლობის ატმოსფე-როშიც კი შეუჩერებლივ მიმდინარეობდეს, შესაძლოა ისე ცხა-დად არ ჰქონდეთ წარძოდგენილი, თუ რა გამოუვალი და აუტა-ნელია ის მდგომარეობა, რომელშიც მოქცეულია ამჟამად სა-ერთო-პარტიული საქმე, როგორც პრაქტიკული ცენტრის მუ-შაკებს, როძლებსაც რუსეთში ყოველ დღე წინ ეღობებათ მუ-შაობის უფრო და უფრო მეტი სიძნელე. დადგა მომენტი, რო-ცა ჩვენი პარტიული ცხოვრების შინაგან წინააღმდეგობათა. განვითარება აწვება წესდების იმ ვიწრო და, როგორც ახლა უკვე ყველანი ვხედავთ, სრულებითაც არა სრულყოფილ ჩარ-ჩოებს, რომლებიც II პარტიულმა ყრილობამ მოგვცა. საჭიროა. ახალი ფორმები ან ყოველ შემთხვევაში ძველების შეცვლა, და ამის გაკეთება შეუძლია სოც.-დემ. პარტიის ერთადერთ კანონ-მდებელს — პარტიულ ყრილობას, ვინაიდან მას და მხოლოდ. მას ეკუთვნის უფლება გამოსცეს ს ა ე რ თ ო-ს ა ვ ა ლ დ ე-ბ უ ლ ო ნორმები, რომლებსაც ვერ მოგვცემს ვერავითარი კონფერენცია, ვერავითარი კერძო შეთანხმება. იმის შეგნებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პარტიული კრიზისის უსწრაფესი მოგვარება ყრილობის საშუალებით, რუსეთის კომიტეტების მეტმა ნაწილმა უკვე მიიღო ყველა ზომა ყრილობის უსწრაფესი. განხორციელებისათვის, დელეგატებიც კი აირჩია და გაგზავნა; ამასთან ეს შეეხება არა მარტო უმრავლესობის კომიტეტებს, რომლებმაც წინათ დაუჭირეს მხარი ყრილობას, არამედ უმცი-რესობის კომიტეტების, ჯგუფებისა და პერიფერიების უმ-რავლესობასაც. პარტიამ მხარი დაუჭირა ყრილობას და მის მოსამზადებლად უდიდესი სახსრები და ძალღონე დახარჯა. ახ-ლა, როცა უეჭველი გახდა, რომ ყრილობის მოწვევა სავალდე-ბულოა, პარტიის ცენტრალური დაწესებულებანი, რომლებ-საც არავითარი ფორმალური უფლება არა აქვთ გადადონ ყრი-ლობის გამოცხადება, მორალურად ვალდებული არიან თავის.

მხრივ ყველაფერი გააკეთონ, რომ ამ ძალების დახარჯვამ პარტიას ფუჭად არ ჩაუაროს. გაურკვეველი დროით საზღვარგარეთ გაჩერება რამდენიმე ათეული ყველაზე აქტიური ამხანაგი დელეგატისა, რომლებიც ასე საჭირონი არიან ახლა რუსეთისათვის, ხოლო მით უმეტეს მათი რუსეთში დაბრუნება ყრილობიდან, რომელიც მხოლოდ იმიტომ არ შესდგა, რომ ცენტრალურ ორგანოში მომუშავე ამხანაგებმა არ მოისურვეს უარეყოთ პარტიული წესდების ასო მისი არსისათვის, პარტიული მთლიანობის შენარჩუნების უმაღლესი ინტერესისათვის, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ შეუწყნარებლად იფლანგებოდეს პარტიული ძალები და პარტიის ხელმძღვანელთ არ გააჩნდეთ უნარი დაძლიონ ის ამოცანები, რომლებიც მათ წინაშე პარტიულმა ცხოვრებამ წამოაყენა. როცა ფორმებმა თავისი დრო მოჭამეს, როცა ზრდისა და განვითარების პროცესში მყოფი პარტია ვეღარ ეტევა ამ ფორმებში, არ შეიძლება მხოლოდ იმაში ვხედავდეთ ხსნას, რომ მეასედ და კიდევ მეასედ გავიძახოდეთ, რომ კანონის ასო წმიდათა წმიდას წარმოადგენს. ეს კრიზისიდან გამოსავალი არ არის, ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ პარტიული ყრილობის მოწვევა.

3) ცენტრალური კომიტეტი, პარტიის წესდების მე-6 §-ის საფუძველზე, რომელიც უფლებას ანიჭებს მას მოაწყოს და გაუძღვეს ყველა წამოწყებას, რასაც კი საერთო-პარტიული მნიშვნელობა აქვს, იცავს, როგორც თავის უცილობელ და შეუზღუდავ უფლებას, იმის უფლებას, რომ მიიღოს მოსამზადებელი ზომები და შეასრულოს მთელი პრაქტიკული მუშაობა პარტიული ყრილობების ორგანიზაციისათვის. პარტიის სხვა დაწესებულებათა ყოველგვარ ცდას ჩაერიონ ამ მუშაობაში, ცენტრალური კომიტეტი, როგორც პარტიის ერთადერთი პრაქტიკული ცენტრი, პარტიული წესდების დარღვევად თვლის და უკუაგდებს, როგორც თავისი უფლებების შელახვას. რაც შეეხება იმ უფლებებს, რომლებსაც წესდების § 2 პარტიის საბჭოს ანიჭებს პარტიული ყრილობების მოწვევის საქმეში, ცენტრალურ კომიტეტს ესმის ეს უფლებანი იმ მხრივ, რომ საბჭო აცხადებს ყრილობის მოწვევას და კონტ-

როლს უწევს ცენტრალური კომიტეტის მიერ ფაქტიურად გაწეულ მუშაობას.

ზემოხსენებულის საფუძველზე, ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მისი შეთანხმება უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსთან III პარტიული ყრილობის მოწვევის საკითხზე ეწინააღმდეგება პარტიის წესდებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასში გამოთქმულია (იხ. ხელშეკრულების § 1) განზრახვა მოწვეულ იქნას ყრილობა თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ პარტიის საბჭო წინასწარ ფორმალურად არ გაძოაცხადებს ამას.

4) ცენტრალურმა კომიტეტმა 12 მარტს, მიიღო რა ცნობები III ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ პარტიის 18 სრულუფლებიანი ორგანიზაციის, თვით ცენტრალური კომიტეტი რომ არ ვიანგარიშოთ, რეზოლუციის შესახებ, დაადგინა ეცნობებინა ეს საბჭოსათვის და შემდეგი შინაარსის განცხადება გაუგზავნა საბჭოს: «ცენტრალური კომიტეტი ატყობინებს პარტიის საბჭოს, რომ ამჟამად (12 მარტს) პარტიის 13 სრულუფლებიანმა კომიტეტმა (ცენტრალური კომიტეტი რომ არ ვიანგარიშოთ), ე. ი. გადამწყვეტი ხმების ნახევარზე მეტმა, რომელთა დასწრება III ყრილობაზე უზრუნველყოფილია პარტიის წესდებით, მხარი დაუჭირა III პარტიული ყრილობის მოწვევას. უახლოეს მომავალში მოსალოდნელია კიდევ რამდენიმე კომიტეტის ასეთივე რეზოლუციები. ასეთ გარემოებაში ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა და მიმართავს პარტიის საბჭოს თხოვნით გამოაცხადოს მისი მოწვევა, რისთვისაც მიიღოს სათანადო დადგენილებანი. ყველა დოკუმენტი, რაც ამ საკითხზე ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვება, უახლოეს მომავალში გადაეგზავნება პარტიის საბჭოს». ამასთან ერთად ჯერ კიდევ 10 მარტს ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა თავის აგენტს ამხ. ვადიმს [86] დაუყოვნებლივ წასულიყო საზღვარგარეთ იმ მიზნით, რომ ეცნობებინა საქმის ვითარება პარტიის საბჭოსათვის, რომელშიც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლობის რწმუნება მიცემული ჰქონდა ამხ. ვადიმს. უბედურ გარემოებათა შედეგად, ამხ. ვადიმი დაპატიმრებულ

იქნა, სანამ საზღვარს მიაღწევდა. რაც შეეხება აქ მოყვანილ დოკუმენტს, სადაც ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს ამ რეზოლუციების არსებობას, რომლებითაც საბჭოს ევალება დაუყოვნებლივ გამოაცხადოს ყრილობის მოწვევა, ცენტრალური კომიტეტის წევრების ამხ. იოგანსენისა და ვალერიანის მიერ 4 (17) ამა აპრილს ამხ. დეიჩისაგან მიღებული კერძო ცნობებით, ეს დოკუმენტი სულაც არ ყოფილა მიღებული. შემდეგში ამხ. დეიჩმა შეასწორა ეს მითითება და განაცხადა, რომ დოკუმენტი მიღებულ იქნა ლოკარნოში, მაგრამ უკვე საბჭოს 7 აპრილის სხდომის შემდეგო. ის გარემოება, რომ ჩვენ, როგორც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, არ ვიქნებით დაშვებულნი საბჭოს სხდომაზე, შესაძლებლობას გვართმევს გამოვარკვიოთ, თუ რატომ ასე დაგვიანებით მიაწოდეს საბჭოს წევრებს ცენტრალური კომიტეტის ეს განცხადება. მაგრამ, თუნდაც იგი საბჭოს 3 წევრის ლოკარნოს სხდომის შემდეგ მიეღოთ, მაინც ამ დოკუმენტის დიდი მნიშვნელობის გამო, რომლითაც ირკვეოდა, რომ არსებობდა მონაცემები ყრილობის მოწვევისათვის, ამხანაგები ცენტრალური ორგანოდან და საბჭოს მე-5 წევრი დაუყოვნებლივ უნდა შეკრებილიყვნენ და მიეღოთ გადაწყვეტილება, რომელიც მათ პარტიის წესდებით ეკისრებოდათ ან, ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ჩაუსვლელობის გამო, რომელიც საზღვრამდე შეიპყრეს, შეეჩერებინათ 7 აპრილის დადგენილების გამოქვეყნება.

5) ცენტრალურ კომიტეტს სადავოდ მიაჩნია პარტიის საბჭოს იმ დადგენილებათა კანონიერება, რომლებიც გამოტანილია 1905 წლის თებერვლიდან, ვინაიდან იანვრის დამლევს საზღვარგარეთიდან ამხანაგების ბ — ისა და ვტოროვის[87] წასვლის შემდეგ ცენტრალურ კომიტეტს არავისთვის არ მიუცია რწმუნება — ყოფილიყო მის წარმომადგენლად პარტიის საბჭოში. ჯერ კიდევ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე წარმოიშობოდა ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი კონფლიქტი საბჭოს საზღვარგარეთელ წევრებთან, სახელდობრ 1904 წლის 14 თებერვალს, ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც წესდების მე-4 §-ს საბჭოში ცენტ-

რალური კომიტეტის წარმომადგენლობის შესახებ განმარტავს იმ მნიშვნელობით, რომ ცენტრალური კომიტეტიდან საბჭოში შემავალი წევრები მთელი კოლეგიისაგან იღებენ რწმუნებას, და რომ ცენტრალური კომიტეტის ის წევრებიც კი, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით საზღვარგარეთ იმყოფებიან, არ სარგებლობენ საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის უფლებით, თუ ამის შესახებ ცენტრალური კომიტეტის საერთო კრების რეზოლუცია არ არის გამოტანილი.

ცენტრალური კომიტეტის ეს განმარტებითი დადგენილება გახდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთ წარმომადგენლობის საფუძველი, და 1904 წლის თებერვლიდან ცენტრალური კომიტეტის უკლებლივ ყველა წარმომადგენელნი ისე არ გამოდიოდნენ პარტიის საბჭოში, თუ წინასწარ დამტკიცებული არ იყვნენ ცენტრალური კომიტეტის საერთო კრების მიერ. ამხ. გლებოვი და ლენინი, ამხ. გლებოვი მისი საზღვარგარეთ მეორედ ჩასვლისას, ამხ. ბ., რომელიც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად იყო საბჭოში, სანამ რუსეთში წავიდოდა, ამხ. ვტოროვი, რომელსაც იანვარში საზღვარგარეთ ჩასვლისას რწმუნება ჰქონდა განსაზღვრულ საკითხებზე მოლაპარაკება გაემართა ცენტრალური ორგანოს რედაქციასთან და მონაწილეობა მიეღო საბჭოს სხდომებში, ესენი ყველანი თავის რწმუნებას იღებდნენ არა ცენტრალური კომიტეტის ამა თუ იმ წევრისაგან ან თავისი წინამორბედისაგან პარტიის საბჭოში წარმომადგენლობის მხრივ, არამედ ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებისაგან. მიზეზი, რომელმაც აიძულა ცენტრალური კომიტეტი მიეღო 1904 წ. 14 თებერვლის ხსენებული დადგენილება და განუხრელად დაეცვა იგი მთელ თავის შემდგომ პრაქტიკაში, ის იყო, რომ საბჭოში ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლობის ასეთი ორგანიზაცია ერთადერთი საშუალება იყო თავიდან აგვეცილებინა პარტიის საბჭოში ცენტრალური კომიტეტის სახელით ისეთი ამხანაგების გამოსვლა, რომლებსაც საკმაოდ მჭიდრო კავშირი არა აქვთ ცენტრალურ კომიტეტთან და დეტალურად არ იცნობენ მის პოლიტიკას პარტიული ცხოვრების ყველა საკითხში. ჩვენ მეტსაც ვიტყვით: საბჭოს 2 წევრის დანიშვნა

მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის საერთო-კრების მიერ ერთადერთი საშუალება იყო უზრუნველ-ვეყო რუსეთში მომუშავე ცენტრისათვის ისეთი გავლენა პარტიის საბჭოში, რომელიც ოდნავ მაინც უახლოვდებოდეს იმას, როგორითაც სარგებლობენ ამხანაგები ცენტრალური ორგანოდან, რომლებსაც უპირატესობა აქვთ საბჭოში არა მარტო რიცხობრივად, არამედ იმ ავტორიტეტითაც, რასაც ზოგიერთი მათგანისათვის უზრუნველყოფს არა მარტო რუ-სეთის, არამედ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის რიგებ-შიც მრავალი წლის სახელოვანი ბრძოლა. ცენტრალური კო-მიტეტი მუდამ ჯეროვანი პატივისცემით ეპყრობა ამ ამხანა-გებს, საბჭოს წევრებს, მაგრამ იგი დაარღვევდა თავის მოვა-ლეობას მთელი პარტიის წინაშე, თუნდაც მოკლე ხნით რომ დაეშვა პარტიის საბჭოს შემადგენლობის ისეთი შეცვლა, რო-ცა საქმეებს წყვეტს კოლეგია, შემდგარი მხოლოდ და მხო-ლოდ ისეთი ამხანაგებისაგან, რომელნიც, თუმცა ძალიან დამ-სახურებულნი და პატივსაცემნი არიან, მაგრამ გარემოებათა გამო ვერ მონაწილეობენ იმ უშუალო პრაქტიკულ მუშაობა-ში, რაც რუსეთში წარმოებს. რადგან იმ თხოვნაზე, რომ და-ნიშნულიყო საბჭოს სხდომა, უარი გვითხრეს, ჩვენ ვერ დავრ-წმუნდით, თუ რა საფუძველზე ჩათვალა შესაძლებლად ამხ. ვტოროვის მიერ საზღვარგარეთის «ტექნიკურ კომისიაში» ცენტრალური კომიტეტის დროებით წარმომადგენლად დანი-შნულმა ამხ. დეიჩმა გამოსულიყო პარტიის საბჭოში ცენტრა-ლური კომიტეტის სახელით, რომლის მუშაობასთან რუსეთში მას საერთოდ არასოდეს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია. ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ამხ. დეიჩის ამ გამოსვლას ძალა არა აქვს, რადგან იგი წინასწარ დამტკი-ცებული არ იყო ცენტრალური კომიტეტის მიერ, და კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ამხ. ვტოროვმა (რომელიც მაშინ კიდევ ცენტრალური კომიტეტის მხოლოდ აგენტი იყო) ან თუნდაც ცენტრალური კომიტეტის რომელიმე წევრმა სთხოვა ამხანაგ დეიჩს ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენ-ლად პარტიის საბჭოში, ეს მაინც არ უარყოფს იმას, რომ ამხ. დეიჩის მიერ დაკავებული პოზიცია უკანონოა, რადგან

აღნიშნული რწმუნების მიცემა შეუძლია მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებას, ეს კი ამხ. დეიჩის საბჭოში წარმომადგენლობის საკითხზე არ მომხდარა. ზემოხსენებულის საფუძველზე, ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ პარტიის საბჭოს ყველა დადგენილება, მიღებული მას შემდეგ, რაც ამხ. ბ. და ვტოროვი საზღვარგარეთიდან წავიდნენ, გამოტანილია ცენტრალური კომიტეტის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე და მოითხოვს ყველა საკითხის გადასინჯვას ახალ სხდომაზე ცენტრალური კომიტეტის კანონიერ წარმომადგენელთა მიწვევით.

6) ცენტრალური კომიტეტი უარყოფს პარტიის საბჭოს უფლებას მსჯავრი დასდოს რომელიმე ცენტრთაგანს და მოითხოვოს მათგან აუცილებლად დაემორჩილონ საბჭოს ყველა დადგენილებას. წესდების მიხედვით საბჭოს ამოცანაა შეათანხმოს და გააერთიანოს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის საქმიანობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა ერთ-ერთი ცენტრის კონფლიქტი საბჭოსთან, კონფლიქტის მოგვარება, ცხადია, მხოლოდ საგანგებო პარტიულ ყრილობას შეუძლია. პარტიის საბჭოს ხმა არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს მისი და რომელიმე ცენტრის უთანხმოებაში იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საბჭო ერთსა და იმავე დროს მსაჯულიც იქნებოდა და მხარეც. ხოლო იმაზე უარისთქმით, რომ მოწვეულ იქნას პარტიის საბჭოს სხდომა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ცენტრალური კომიტეტი ფაქტიურად არათუ მსჯავრდადებულია საბჭოს სამი წევრის (ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრების) მიერ, არამედ უკვე დასჯილიც არის იმით, რომ წართმეული აქვს უცილობელი, წესდების დაურღვევლად, უფლება — თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს პარტიის საბჭოში.

იღებენ სხვა ზომებსაც, რათა აიძულონ ცენტრალური კომიტეტი აუცილებლად დაემორჩილოს საბჭოს 3 წევრის (ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრების) დადგენილებებს.

ასე, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის კანონიერ მოთხოვნაზე, რომ მისსავე აგენტს საზღვარგარეთ ამხ. დეიჩს გადაეცა ცენტრალური კომიტეტის ყველა ტექნიკური და ფულის საქმე ცენტრალური კომიტეტის წევრ ამხანაგ ვალერიანისათვის, რომელიც ამ საქმეების გამგედ დაინიშნა, ამხ. დეიჩმა უარით უპასუხა, რისთვისაც მოიმიზეზა ცენტრალური კომიტეტის კონფლიქტი საბჭოსთან.

თუ ამრიგად ცენტრალურმა კომიტეტმა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსთან შეთანხმების § 1-ში გამოთქვა მზადყოფნა მოიწვიოს ყრილობა იმ შემთხვევაშიც კი, რომ საბჭომ ამაზე უარი განაცხადოს, და ამით წესდების საწინააღმდეგოდ მოიქცა, სამაგიეროდ საბჭოს 3 წევრმა თავის მხრივ ორჯერ დაარღვია წესდება, როდესაც ცენტრალურ კომიტეტს წაართვა საბჭოში მონაწილეობის უფლება და ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ტექნიკური და ფულის საქმეების გამგებლობისა და კონტროლის უფლება (პარტ. წესდების §§ 2 და 6 დარღვევა).

აღნიშნავს რა პარტიის წინაშე ზემოხსენებულ, პარტიის წესდების თვალსაზრისით, გადაუჭრელ კონფლიქტს პარტიის საბჭოსა (რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ ორი წევრით ცენტრალური ორგანოდან და საბჭოს მე-5 წევრით) და ცენტრალურ კომიტეტს შორის, ცენტრალური კომიტეტი იმის გამო, რომ პარტიის საბჭოს თავმჯდომარე უარს ამბობს საბჭოს მოწვევაზე, აცხადებს, რომ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პლეხანოვი ამ მოქმედებით, რომელიც მკვეთრად არღვევს წესდებას, ფუნქციონირების შესაძლებლობას უსპობს პარტიის საბჭოს და ამით თვითნებურად ფაქტიურად სპობს პარტიის საბჭოს.

ცენტრალური კომიტეტის უთუოდ დამორჩილება პარტიის საბჭოსადმი, რასაც თქვენ, ამხანაგო, დაჟინებით მოითხოვთ, როგორც აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც საბჭო არ შეიძლება მოწვეულ იქნას, ფაქტიურად წარმოადგენს ყრილობის განუსაზღვრელი დროით გადადებას და პარტიის ნათლად გამოხატული ნების დარღვევას.

რადგან ცენტრალური კომიტეტი პარტიის წინაშე ლოიალობას საბჭოს სამი საზღვარგარეთელი წევრის წინაშე ლოიალობაზე უფრო მაღლა აყენებს, ცენტრალურ კომიტეტს მთელი ეს კონფლიქტი გამოაქვს თვით პარტიის სამსჯავროზე.

1905 წ. 23 (10) აპრილი.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი

«ვპერიოდ» № 16,
1905 წ. 30 (17) აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

III ყრილობის საკითხისათვის

საერთო ყრილობის მოწვევისათვის უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროსთან ცენტრალური კომიტეტის შეერთებას «ისკრამ» უპასუხა (№ 94) ლანძღვით, ისტერიკით, ახალი პირადი ეჭვიანობით, ზღაპრებით უმცირესობის ჯგუფების ძალის შესახებ და სხვ.. ლიგის ცნობილი ყრილობის შესაფერ ყველა ამ ოინზე ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვუპასუხებთ. არსებითად, ღირს აღინიშნოს მხოლოდ ორი პუნქტი. თუ ყრილობა შესდგება, ამბობს «ისკრა», შესდგება მხოლოდ როგორც გამოცალკევებულ მიმდინარეობათა კონფერენცია. სხვა სიტყვით: ახალისკრელები თავს თვლიან პარტიისაგან გამოცალკევებულებად, გათიშვა მომხდარად მიაჩნიათ. ამის გულახდილი აღიარება ჩვენ ყოველთვის გვერჩივნა საზიზღარ ფარულ გათიშვას. მხოლოდ რას ნიშნავს ეს, ბატონებო: თქვენ თვითონ თავს სთვლით პარტიის ნაწილად, რომელიც გაეთიშა მეორე ნაწილს, და ამავე დროს მოკრძალებულად ინარჩუნებთ მთელი პარტიის ტიტულებსა და წოდებებს («ცენტრალური ორგანო», «საბჭო»)? განა ეს პატიოსნებაა?

მეორე. «ისკრა», ჩვეულებისამებრ, პარტიას გათიშულად ცნობს, როცა საქმე ეხება პარტიის წინაშე ცენტრების ანგარიშს, და ამავე დროს პარტიას ერთიანად ცნობს, როცა საქმე ეხება ცენტრების ძალაუფლებას პარტიის მიმართ. ასეა ახლაც. ერთი მხრივ, «გამოცალკევებული მიმდინარეობანი». მეორე მხრივ, «ყრილობის მოწვევა შეუძლია მხოლოდ საბჭოს». ძალიან კარგი, ბატონებო! მაგრამ რატომ სდუმს თქვენი «საბჭო»? რატომ არ გამოეხმაურა იგი ცენტრალური კომიტეტის

1905 წლის 4 მარტის განცხადებას? რატომ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი საბჭოს შესახებ «ისკრის» 94-ე ნომერში? პარტიის წევრებს განა უფლება არა აქვთ იკითხონ: ბოლოს და ბოლოს არსებობს თუ არა მათი საბჭო? უნარი შესწევს თუ არა მას შეიკრიბოს და მიიღოს გადაწყვეტილებანი?

დაწერილია 1905 წ. აპრილში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საპირველმაისო ფურცლის გეგმა

1. სიტყვების «გაზაფხული» და საქმეების საძაგლობა.
2. ბულიგინი მოტყუებას ცდილობს.
3. ომი და მთავრობის სისტემის კრახი.
4. გაჩანაგება, შიმშილობა, ხოლერა...
5. სანქტ-პეტერბურგი, რიგა, ვარშავა etc.* **9 იანვარი.**
6. ბაქო და ებრაელთა საწინააღმდეგო მრისხანე მოძრაობა.
7. რევოლუციური გაფიცვა და რევოლუციური მოძრაობა 9 იანვარს და შემდეგ. რევოლუცია!
8. გლეხთა მოძრაობა. მისი ჩახშობა და მისი მიზნები.
9. დამფუძნებელი კრება და დროებითი რევოლუციური მთავრობა.
10. ბრძოლა რესპუბლიკისა და ყველა დემოკრატიული თავისუფლებისათვის.
11. პროლეტარული ბრძოლა რესპუბლიკისა და სოციალიზმისათვის.
12. რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი მსოფლიო რევოლუციური პროლეტარიატის სათავეში.

---

1 მაისი საერთოდ.
სადამდე მიგვიყვანეს? 1 — 4.
რევოლუციური მოძრაობა. 5 და 7.
მთავრობისაგან დევნა. 6.
გლეხთა მოძრაობა. 8.
შეიარაღებული აჯანყება.
ბრძოლის მიზნები. 9 — 11.

---

* — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.

0. პირველი მაისი საერთოდ.
ა. რევოლუციის დასაწყისი 1 — 6.
ბ. მუშათა და გლეხთა ბრძოლა 7 — 8.
გ. ბრძოლის მიზნები 9 — 11.
დ. რუსეთის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა 12.

დაწერილია 1905 წ. 12 (25) აპრილამდე

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პირველი მაისი [88]

ამხანაგო მუშებო! დგება მთელი მსოფლიოს მუშათა დიადი დღესასწაულის დღე. პირველ მაისს დღესასწაულობენ ისინი თავიანთ გაღვიძებას სინათლისა და ცოდნისათვის, თავიანთ გაერთიანებას ერთ ძმურ კავშირად ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ, ყოველგვარი თვითნებობის წინააღმდეგ, ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ და საზოგადოების სოციალისტურად მოწყობისათვის. ყველანი, ვინც შრომობს, ვინც თავისი შრომით კვებავს მდიდრებსა და წარჩინებულებს, ვინც სიცოცხლეს ატარებს აუტანელ მუშაობაში მცირე საზღაურის ფასად, ვინც ვერასოდეს ვერ სარგებლობს თავისი შრომის ნაყოფით, ვინც სასაპალნე პირუტყვივით ცხოვრობს ჩვენი ცივილიზაციის ფუფუნებისა და ბრწყინვალების გვერდით, ისინი ყველანი მიიწევენ მუშათა განთავისუფლებისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად. ძირს შუღლი სხვადასხვა ეროვნებისა ან სხვადასხვა სარწმუნოების მუშებს შორის! ასეთი შუღლი ხელსაყრელია მხოლოდ მძარცველებისა და ტირანებისათვის, რომლებიც პროლეტარიატის უმეცრებითა და დაქსაქსულობით ცხოვრობენ. ებრაელი და ქრისტიანი, სომეხი და თათარი, პოლონელი და რუსი, ფინელი და შვედი, ლატვიელი და გერმანელი — ყველანი, ყველანი ერთად მიდიან სოციალიზმის ერთი საერთო დროშით. ყველა მუშები ძმები არიან, და მათი მტკიცე კავშირი მთელი მშრომელი და ჩაგრული კაცობრიობის კეთილდღეობისა და ბედნიერების ერთადერთი საწინდარია. პირველ მაისს ყველა ქვეყნის მუშათა ეს კავშირი, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია, ათვალიერებს თავის

ძალებს და ირაზმება თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობისათვის ახალი, დაუღალავი, შეუდრეკელი ბრძოლის საწარმოებლად.

ამხანაგებო! რუსეთში ახლა დიდი ამბები მოგველის. ჩვენ უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლა გავუმართეთ თვითმპყრობელი მეფის მთავრობას, ეს ბრძოლა ძლევამოსილად უნდა დავამთავროთ. დახედეთ, რა უბედურებამდე მიიყვანა მთელი რუსი ხალხი ამ ურჯუკებისა და ტირანების მთავრობამ, მექრთამე კარისკაცებისა და კაპიტალის მაჩანჩალების მთავრობამ! მეფის მთავრობამ რუსი ხალხი იაპონიის წინააღმდეგ უგუნურ ომში ჩააბა. ასეულ ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე გამოსტაცეს ხალხს და დაღუპეს შორეულ აღმოსავლეთში. სიტყვები არ გვყოფნის მთელი იმ უბედურების ასაწერად, რაც ამ ომს მოსდევს. მერე რის გულისათვის წარმოებს იგი? მანჯურიის გულისათვის, რომელიც ჩვენმა მძარცველმა მეფის მთავრობამ ჩინეთს წაართვა! სხვისი მიწა-წყლის გულისათვის იღვრება რუსთა სისხლი და ჩანაგდება ჩვენი ქვეყანა. უფრო და უფრო მძიმე ხდება მუშისა და გლეხის ცხოვრება, უფრო და უფრო მაგრად უჭერენ მათ მარყუჟს კაპიტალისტები და მოხელეები, — მეფის მთავრობა კი ხალხს უცხო ქვეყნის საძარცვავად გზავნის. მეფის უნიჭო გენერლებმა და მექრთამე მოხელეებმა დაღუპეს რუსეთის ფლოტი, ასეული და ათასეული მილიონობით გაფლანგეს სახალხო დოვლათი, დაკარგეს მთელი არმიები, — ომი კი სულ გრძელდება და ახალ მსხვერპლს იწირავს. ხალხი ღატაკდება, მრეწველობა და ვაჭრობა ჩერდება, შიმშილობა და ხოლერა მოგველის, მეფის თვითმპყრობელური მთავრობა კი ველური თავდავიწყებით განაგრძობს ძველ გზას; იგი მზად არის დაღუპოს რუსეთი, ოღონდ კი გადაარჩინოს ერთი მუჭა ურჯუკები და ტირანები, იგი იაპონიასთან ომს გარდა მეორე ომს იწყებს — ომს მთელი რუსი ხალხის წინააღმდეგ.

რუსეთში ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ძილისა, დაბეჩავებისა და მონობისაგან ისეთი გამოღვიძების ხანა, როგორიც ახლაა. ამოძრავდა საზოგადოების ყველა კლასი, მუ-

შებითა და გლეხებით დაწყებული მემამულეებამდე და კაპიტალისტებამდე, აღშფოთების ხმა გაისმა ყველგან, პეტერბურგსა და კავკასიაში, პოლონეთსა და ციმბირში. ·ხალხი ყველგან მოითხოვს ომის შეწყვეტას, ხალხი მოითხოვს თავისუფალი სახალხო მმართველობის შექმნას, უკლებლივ ყველა მოქალაქის დეპუტატების მოწვევას დამფუძნებელ კრებაში, სახალხო მთავრობის დასანიშნავად, ხალხის გადასარჩენად იმ უფსკრულისაგან, სადაც მას მეფის თვითმპყრობელობა მიაქანებს. პეტერბურგის მუშები, ორას ათასამდე კაცი, მღვდელ გიორგი გაპონთან ერთად კვირას 9 იანვარს მეფესთან წავიდნენ, რათა გადაეცათ ხალხის ეს მოთხოვნები. მეფემ მუშები მტრებივით მიიღო, მეფემ ათასობით უიარაღო მუშა დახვრიტა პეტერბურგის ქუჩებში. ახლა ბრძოლაა გაჩაღებული მთელ რუსეთში, იფიცებიან მუშები, რომლებიც თავისუფლებასა და უკეთეს ცხოვრებას მოითხოვენ, იღვრება სისხლი რიგასა და პოლონეთში, ვოლგაზე და სამხრეთში, ყველგან ფეხზე დგებიან გლეხები. თავისუფლებისათვის ბრძოლა საყოველთაო სახალხო ბრძოლის სახეს იღებს.

მეფის მთავრობამ გონება დაკარგა. მას სურს ფული ისესხოს ომის განსაგრძობად, მაგრამ ფულს ვალად აღარ ანდობენ იგი პირობას იძლევა, რომ სახალხო წარმომადგენლებს მოიწვევს, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ძველებურად რჩება, გრძელდება იგივე დევნა-შევიწროება, მოხელეთა იგივე თავნებობა, არ არის თავისუფალი სახალხო კრებები, არ არის თავისუფალი სახალხო გაზეთები, არ აღებენ საპყრობილეების კარს, სადაც მუშათა საქმისათვის მებრძოლნი იტანჯებიან. მეფის მთავრობა ცდილობს ერთი ხალხი მეორეს წაუსისიანოს, მან თათრები წააქეზა სომხების წინააღმდეგ და ბაქოში ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, იგი ახლა ახალ ხოცვა-ჟლეტას ამზადებს ებრაელთა წინააღმდეგ, მათს სიძულვილს უღვივებს უმეცარ ხალხს.

ამხანაგო მუშებო! ჩვენ ნებას აღარ მივცემთ ასე აბუჩად აიგდონ რუსი ხალხი. აღვსდგებით თავისუფლების დასაცავად, წინააღმდეგობას გავუწევთ ყველას, ვისაც სურს ხალხის რის-

ხვა ააშოროს ჩვენს ნამდვილ მტერს. მოვაწყობთ აჯანყებას იარაღით ხელში, რათა დავამხოთ მეფის მთავრობა და თავისუფლება მოვუპოვოთ მთელ ხალხს. იარაღს მოჰკიდეთ ხელი, მუშებო და გლეხებო! მოაწყეთ ფარული კრებები, შეადგინეთ რაზმები, მოიმარაგეთ რა იარაღიც კი შეგიძლიათ, გაგზავნეთ ნდობით აღჭურვილი ადამიანები რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან მოსათათბირებლად! დაე ამა წლის პირველი მაისი ჩვენთვის იყოს სახალხო აჯანყების დღესასწაული, — ვემზადოთ მისთვის, ველოდოთ მტარვალზე გადამწყვეტი თავდასხმის სიგნალს. ძირს მეფის მთავრობა! ჩვენ დავამხობთ მას და დავნიშნავთ დროებითს რევოლუციურ მთავრობას სახალხო დამფუძნებელი კრების მოსაწვევად. დაე არჩეულ იქნან სახალხო დეპუტატები საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. დაე საპყრობილეებიდან გამოვიდეს და გადასახლებიდან დაბრუნდეს თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლი. დაე აშკარად იმართებოდეს სახალხო კრებები და წყეულ მოხელეთა უმეთვალყურეოდ იბეჭდებოდეს სახალხო გაზეთები. დაე შეიარაღდეს მთელი ხალხი, მიეცეს თოფი თვითეულ მუშას, რომ თვითონ ხალხი, და არა ერთი მუჭა მძარცველები, წყვეტდეს თავის ბედს. დაე სოფლად შეიკრიბონ თავისუფალი გლეხთა კომიტეტები, რათა დაამხონ მემამულეთა ბატონყმური ძალაუფლება, რათა იხსნან ხალხი მოხელეთაგან აბუჩად აგდებისაგან, რათა დაუბრუნონ გლეხებს მათთვის წართმეული მიწები.

აი რა სურთ სოციალ-დემოკრატებს, აი რისთვის მოუწოდებენ ისინი იარაღით ხელში ბრძოლისაკენ: სრული თავისუფლებისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, 8-საათიანი სამუშაო დღისათვის, გლეხთა კომიტეტებისათვის. მაშ ემზადეთ დიადი ბრძოლისათვის, ამხანაგო მუშებო, 1 მაისს გააჩერეთ ფაბრიკები და ქარხნები, ან იარაღს მოჰკიდეთ ხელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტების რჩევის შესაბამისად. აჯანყების ჟამი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ იგი შორს აღარ არის. მთელი მსოფლიოს მუშები გულის ფან-

ცქალით შეჰყურებენ ახლა რუსეთის გმირულ პროლეტარიატს, რომელმაც თავისუფლების საქმეს აურაცხელი მსხვერპლი შესწირა. პეტერბურგის მუშებმა 9 იანვრის ცნობილ დღეს უკვე გამოაცხადეს: თავისუფლება ან სიკვდილი! მთელი რუსეთის მუშებო, ჩვენ გავიმეორებთ ამ დიად საბრძოლო მოწოდებას, არ მოვერიდებით არავითარ მსხვერპლს, წავალთ აჯანყების გზით თავისუფლებისაკენ, თავისუფლების გზით სოციალიზმისაკენ!

გაუმარჯოს 1 მაისს, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

გაუმარჯოს მუშა და გლეხი ხალხის თავისუფლებას, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ძირს მეფის თვითმპყრობელობა!

1905 წ. შემრავლესლგბის კომიტეტთა ბიურო
«ვპერიოდის» რედაქცია

დაწერილია 1905 წ. 12 (25) აპრილამდე
დაიბეჭდა 1905 წელს
ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით

საკონსტიტუციო ბაზარი

ბულიგინი ახლა, როგორც პეტერბურგის არისტოკრატიულ წრეებში სამართლიანად ამბობენ, იმის ცდაშია, რომ დრო მოიგოს. იგი ცდილობს რაც შეიძლება დააგვიანოს მეფის დაპირებული რეფორმები და განსაზღვროს ისინი ისეთი უმნიშვნელო რამეებით, რომლებიც ოდნავაც არ შეამცირებენ თვითმპყრობელი მეფისა და თვითმპყრობელობის "მოხელეთა ძალაუფლებას. კონსტიტუციის ნაცვლად იგი ამზადებს, როგორც ჩვენ «ვპერიოდში» ერთხელ უკვე აღვნიშნეთ *, სრულიად უუფლებო სათათბირო პალატას. ახლა ჩვენს ხელთ არის ჩვენ მიერ ნათქვამის დადასტურება, — სახელდობრ ბულიგინის პროექტის ტექსტი, რომელიც გამოაქვეყნა გერმანულმა ლიბერალურმა გაზეთმა «Vossische Zeitung»-მა **. პროექტის ავტორებად, ამ გაზეთის ცნობებით, ასახელებენ ბულიგინს, ერმოლოვს, შჩერბატოვს, მეშჩერსკის, გრაფ შერემეტევს და თავად ურუსოვს. პროექტის შინაარსი შემდეგია.

ყველა კანონპროექტის განსახილველად (ეს არის და ეს!) და შესამუშავებლად იქმნება ორი დაწესებულება: 1) სახელმწიფო თათბირი და 2) სახელმწიფო კრება. კანონის პროექტების შეტანის უფლება ეკუთვნის სახელმწიფო თათბირის ყოველ წევრს და კრების სულ მცირე 20 წევრს. კანონპროექტებს განიხილავს და იღებს კრება, შემდეგ პროექტები შედის თათბირში და ბოლოს დასამტკიცებლად მიდის მეფესთან. მეფე წყვეტს, თუ რა ფორმით უნდა

* იხ. ეს ტომი, გვ. 316. რედ.

** — «ფოსის გაზეთი». რედ.

გახდნენ პროექტები კანონებად, ან სრულებით უარყოფს მათ.

ამრიგად ბულიგინის «კონსტიტუცია» სრულებითაც არ ზღუდავს თვითმპყრობელობას, აწესებს მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო პალატებს: ზედასა და ქვედას! ზედა პალატა ანუ სახელმწიფო თათბირი შესდგება 60 არჩეული წევრისაგან, რომლებსაც 60 გუბერნიის (მათ შორის პოლონეთის გუბერნიების) თავადაზნაურთა კრებები ირჩევენ, ხოლო შემდეგ იმ წევრებისაგან, რომლებსაც მეფე ნიშნავს მოხელეთა და ოფიცერთა რიცხვიდან. წევრთა საერთო რიცხვი 120-ს არ უნდა აღემატებოდეს. არჩეულ წევრთა რწმუნების ვადა სამი წელიწადია. თათბირის სხდომები საჯაროა ან საზოგადოებისათვის დახურული, თვით თათბირის შეხედულებისამებრ.

ქვედა პალატას ანუ სახელმწიფო კრებას შეადგენენ მხოლოდ არჩეული წევრები (მინისტრები და მთავარმმართველები თავიანთი უფლების თანახმად ორივე პალატის სხდომებს ესწრებიან), სახელდობრ: ათ-ათი არჩეული 34 ერობიანი გუბერნიიდან (სულ 340); რვა-რვა არჩეული იმ 3 გუბერნიიდან, სადაც საერობო დაწესებულებანი არსებობენ, მაგრამ არ არსებობენ თავადაზნაურობის დაწესებულებანი (სულ 24); რვა-რვა ჩრდ.-დასავლეთის 9 გუბერნიიდან (72); ხუთ-ხუთი პოლონეთის 10 გუბერნიიდან (50); ხუთ-ხუთი ოსტზეის სამი გუბერნიიდან (15); 30 — ციმბირიდან; 30 — კავკასიიდან; 15 — შუა აზიიდან და იმიერკასპიის ოლქიდან; 32 — ფინეთიდან; 20 — დიდი ქალაქებიდან (სანქტ-პეტერბურგი — 6, მოსკოვი — 5, ვარშავა — 3, ოდესა — 2, ლოძი, კიევი, რიგა და ხარკოვი — თითო); 10 — მართლმადიდებელი სამღვდელოებისაგან; თითო — კათოლიკებისა, ლუთერანებისა, სომხებისა, მაჰმადიანებისა და ებრაელებისაგან. სულ, მაშასადამე, 643 წევრი. ეს კრება ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს თავმჯდომარის, ორი ვიცეთავმჯდომარისა და 15 წევრისგან. რწმუნების ვადა სამი წელიწადია. აღმასრულებელი კომიტეტი მუდმივი დაწესებულებაა; კრებას სხდომები აქვს წელიწადში

მხოლოდ ორჯერ, თებერვალ — მარტსა და ოქტომბერ — ნოემბერში. სხდომები საჯარო ან დახურულია, კრების შეხედულებისამებრ. კრების წევრები თავიანთ რწმუნებათა განმავლობაში ხელშეუხებელნი არიან. შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომნი, არა ნაკლებ 25 წლის ასაკისა, რომლებსაც შეუძლიათ რუსულად ლაპარაკი და წერა. ისინი იღებენ ჯამაგირს წელიწადში 3 000 მანეთს.

არჩევნები ასე ეწყობა. 34 ერობიან გუბერნიაში ორ-ორ წევრს ირჩევს თავადაზნაურობის საკრებულო, სამ-სამს საგუბერნიო საერობო კრება, ერთს ქალაქები განსაკუთრებულ ამრჩევთა მეშვეობით, ერთს ვაჭრები აგრეთვე ამრჩევთა მეშვეობით. ასეთსავე საფუძვლებზე ირჩევენ დეპუტატებს უერობო გუბერნიებიც, — აღარ ჩამოვთვლით მთელ ამ უაზრო კანცელარიულ-პოლიციურ დაწესებულებებს. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აპირებენ მოაწყონ არაპირდაპირი არჩევნები, მოვიყვანთ მხოლოდ ერობიან გუბერნიებში გლეხთა დეპუტატების არჩევნების წესს.

თვითეული თემი ირჩევს 3 ამრჩევს. ისინი იკრიბებიან სამაზრო ქალაქში და თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა ურ ო ბ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ო ბ ი თ (!) ირჩევენ მეორე საფეხურის სამ ამრჩევს. ეს ამრჩევები იკრიბებიან საგუბერნიო ქალაქში თავადაზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლის თავმჯდომარეობით და ირჩევენ სამ გლეხ დეპუტატს მხოლოდ და მხოლოდ თვით გლეხობიდანვე. ამრიგად, არჩევნები სამსაფეხურიანია!

ცუდად როდი მუშაობს ბ-ნი ბულიგინი. ტყუილად როდი იღებს მეფისგან ჯამაგირს. მისი კონსტიტუცია, როგორც მკითხველი ხედავს, სახალხო წარმომადგენლობის სულ მთლად აბუჩად აგდებაა. თვითმპყრობელი ხელისუფლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაფერში არ იზღუდება. ორივე პალატა მხოლოდ და მხოლოდ სათათბირო ხასიათს ატარებს, გადამწყვეტი კი მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მეფეა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი მიიტყუო, მაგრამ არაფერი არ მისცე. «წარმომადგენლობის» ხასიათი, ჯერ-ერთი, სპეციალურად

თავადაზნაურული, მემამულურია. თავადაზნაურობას ზედა პალატის არჩევნებში ხმების ნახევარი აქვს, ხოლო ქვედა პალატაში დაახლოებით ნახევარი (ერობიან გუბერნიებში 10 საგუბერნიო არჩეულიდან 2 პირდაპირ თავადაზნაურობისგანაა და 3 არსებითად თავადაზნაურულივე საერობო კრებებისაგან). გლეხები პირდაპირ სასაცილოდ არიან გარიყულნი არჩევნებიდან. სამსაფეხურიანი არჩევნები უაღრესად გულმოდგინედ ცხრილავს შავ ხალხს, სანამ კრებაში შეუშვებდეს.

მეორე, სულ უფრო მეტად იპყრობს ყურადღებას მუშების სრული გამორიცხვა. ცხვრის ფარის ამ პარლამენტის მთელი წარმომადგენლობა აგებულია წოდებრივ საწყისზე. მუშების «წოდება» არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს. ქალაქებისა და ვაჭრების არჩევნებზე ამრჩევთა სხვადასხვა თანრიგის საწურავში გაატარებენ მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიას, ამასთან უაღრესად საგულისხმოა, რომ ამ ბურჟუაზიასაც კი ძალიან უკან სწევენ თავადაზნაურობასთან შედარებით. მეფის მსახურთ, როგორც ჩანს, მაინცდამაინც ძალიან როდი ეშინიათ მემამულეთა ლიბერალიზმისა: ისინი საკმაოდ გამჭრიახნი არიან, რომ ამ ზერელე ლიბერალიზმს უკან დაინახონ «ველური მემამულის» ღრმა-კონსერვატიული სოციალური ბუნება.

მუშებისა და გლეხებისათვის ბულიგინის კონსტიტუციის ფართოდ გაცნობა უაღრესად სასარგებლოა. არა გვგონია შეიძლებოდეს უფრო თვალნათლივ დაანახვო ვითომდა კლასებზე მაღლა მდგომი მეფის ხელისუფლების ნამდვილი მისწრაფება და კლასობრივი საფუძველი. არა გვგონია შესაძლო იყოს წარმოიდგინო უკეთესი მასალა საგნობრივი გაკვეთილებისა საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლებაზე ფარული კენჭისყრით.

საინტერესოა აგრეთვე შევადაროთ ამ მემამულურ-მოხელურ კუდმოკვეცილ «კონსტიტუციას» უკანასკნელი ცნობები რუსეთის პოლიტიკური პარტიების შესახებ. უკიდურესი პარ-

ტიების, ტერორისტებისა და რეაქციონერების გამოკლებით, ერთი ინგლისელი კორესპონდენტი (რომელიც, როგორც ჩანს, «საზოგადოებაში» ტრიალებს და ამიტომ მუშებისთანა შავ ხალხს ვერ ხედავს) სამ პარტიას ითვლის: 1) კონსერვატიულს ანუ პანსლავისტურს («სლავოფილური» სისტემა: მეფეს — ძალაუფლება, ქვეშევრდომთ — აზრის გამოთქმის ძალა, ე. ი. წარმომადგენლობითი კრება მხოლოდ სათათბირო ხმით); 2) ლიბერალური ანუ «ოპორტუნისტული» პარტია (ბელადი შიპოვი, პროგრამა, როგორც ყოველი ოპორტუნისტისა, «ორ სკამს შუა») და 3) რადიკალური ა ნ უ (დამახასიათებელი «ანუ»!) კონსტიტუციური პარტია, რომელშიც შედის ერობის მოღვაწეთა, პროფესორთა «და სტუდენტთა» (?) უმრავლესობა. პროგრამა — საყოველთაო საარჩევნო უფლება და ფარული კენჭისყრა არჩევნების დროს.

კონსერვატორები, თითქოს, ახლა პეტერბურგში იკრიბებიან, ლიბერალები მაისის დამდეგს მოსკოვში, რადიკალები იმავე დროს პეტერბურგში. მთავრობის სფეროებს საყოველთაო საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით «რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ი ს» თანაბარ მოვლენად მიაჩნიათო. ამ პარტიებში «რადიკალები» ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტიაა.

როგორც ჩანს, ბულიგინის პროექტი სწორედ კონსერვატიული პარტიის პროექტია. ოსვობოჟდენიელთა პროექტი ძალიან ჰგავს «რადიკალური ანუ კონსტიტუციური» (სინამდვილეში სრულებითაც არა რადიკალური და ცუდ-კონსტიტუციური) პარტიის პროგრამას. დასასრულ, «ლიბერალურ», შიპოვის პარტიას, ალბათ, იმაზე ოდნავ მეტი სურს, რასაც ბულიგინი გვთავაზობს, და იმაზე ოდნავ ნაკლები, რასაც კონსტიტუციონალისტები მოითხოვენ.

ჩინებული ბაზრობაა. ვაჭრობა გაჩაღებულია. გაზვიადებულ ფასებს ითხოვენ საზოგადოების ვაჟბატონები, გაზვიადებულ ფასებს ითხოვენ კარისკაცთა წრის გაქნილი ვაჟბატონებიც. ყველაფერი ისე მიდის, რომ ერთმაც დაუკლოს ფასს და მეო-

რემაც, შემდეგ კი... ხელი ხელს დაჰკრან, ვიდრე მუშები და გლეხები არ ჩარეულან.

მთავრობა ოინბაზურ თამაშს ეწევა: კონსერვატორებს ლიბერალებით აფრთხობს, ლიბერალებს აფრთხობს «რადიკალური» ოსვობოჟდენიელებით, ოსვობოჟდენიელებს კი რესპუბლიკით აშინებს. ინტერესთა კლასობრივი ენითა და მთავარი ინტერესის — ბურჟუაზიის მიერ მუშების ექსპლოატაციის — ენით რომ ვთქვათ, ეს თამაში ნიშნავს: მოდით, ბატონო მემამულეებო და ვაჭრებო, მოვრიგდეთ, მშვიდობიანად და შფოთის აუტეხლად გავინაწილოთ ძალაუფლება, სანამ გვიან არ არის, სანამ არ დაწყებულა ნამდვილი ხალხური რევოლუცია, სანამ ფეხზე არ დამდგარა მთელი პროლეტარიატი და მთელი გლეხობა, რომლებსაც კუდმოკვეცილი კონსტიტუციებით, არაპირდაპირი არჩევნებითა და სხვა მოხელური ნაყარნუყარით ვერ დააკმაყოფილებო.

შეგნებულმა პროლეტარიატმა არავითარი ილუზია არ უნდა შეიქმნას. მხოლოდ ის, მხოლოდ პროლეტარიატი, რომელსაც მხარს უჭერს გლეხობა, მხოლოდ მათი შეიარაღებული აჯანყება, მხოლოდ მათი თავდადებული ბრძოლა ლოზუნგით «თავისუფლება ან სიკვდილი» არის იმის საწინდარი, რომ რუსეთი ნამდვილად განთავისუფლდება მთელი ბატონყმურ-თვითმპყრობელური წყობილებისაგან.

«ვპერიოდ» № 16,
1905 წ. 30 (17) აპრილი
ხელმოწერა: კ — ვ

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის» ტექსტის მიხედვით

პარტიული ორგანიზაციების ორკვირეული ანგარიშების შესახებ

ყველა პარტიული ორგანიზაციისა და განსაკუთრებით მუშათა ყველა პარტიული ორგანიზაციის ორკვირეულ ანგარიშებს უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდათ პარტიის შემადგენლობისა და ორგანიზაციული შემჭიდროების განსამტკიცებლად, აგრეთვე სპეციალურად პარტიის წარმომადგენლობის გარდასაქმნელად (ყრილობებზე) ორგანიზებული მუშების რიცხვის მიხედვით.

ეს ანგარიშები, შემოკლებული, შეიძლება დაიბეჭდოს პარტიის ცენტრალურ ორგანოში, რითაც უძვირფასეს მასალას მოგვცემს პარტიის ნამდვილი, შეულამაზებელი ცხოვრების შესახებ.

შეიძლება აგრეთვე დაიბეჭდოს წრეების, ჯგუფების და სხვ. წევრთა რიცხვი, აღინიშნოს, ვთქვათ, თვითეული ჯგუფი ან თვითეული ორგანიზაცია ერთი ან ორი ასოთი. ასეთი ანგარიშები ჩვენი პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობის შესახებ კარგი შესამოწმებელი მასალა იქნებოდა. (მოსაზრება, რომ ისინი ბევრ ადგილს დაიკავებენ, უსაფუძვლოა. ორი ასო და წევრთა რიცხვის აღმნიშვნელი ორი ციფრი რომ ვიანგარიშოთ — მაგალითად: აბ 13, გდ 41, ევ 17 და სხვ. — საგაზეთო სვეტის ერთ სტრიქონზე თერთმეტ ასეთ ცნობას მივიღებთ.)

კარგი იქნება, თუ ყრილობა დროს III ყრილობიდან IV ყრილობამდე (1 წელიწადს) ორ ნაწილად გაყოფს. პირველი ნახევრის განმავლობაში თვითეული პარტიული ორგანიზაცია, ჩვენი პარტიის თვით ყველაზე ძირეულ მუშათა უჯრედამდე, უნდა ჩამოყალიბდეს და მან აუცილებლად უნდა მოაგვაროს სწორი ურთიერთობა ცენტრთან, მოაგვა-

რ ო ს სწორი ორკვირეული ანგარიშები. ვამბობ: მოაგვაროს, რადგან საკმარისი არ არის მისამართის აღება და წერა, საჭიროა მისამართების შემოწმება, იმის მიღწევა, რომ ანგარიშები დანიშნულებისამებრ მიდიოდეს და სხვ. და სხვ.. ახალი წესის, ახალი (ორკვირეული) ანგარიშების სრული რეგულარობით მოგვარების ვადა 4 — 5 თვე* თავისუფლად შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. უეჭველია, თ უ ს უ რ ვ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა, ეს შეიძლება ე რ თ ი ს ა მ ა დ უფრო მალე გაკეთდეს.

შემდეგ, წლის მეორე ნახევარში პარტიული ორგანიზაციების ორკვირეულ ანგარიშებს შეიძლება უკვე მიეცეს, ასე ვთქვათ, კონსტიტუციური მნიშვნელობა, ე. ი. მათზე პირდაპირ დამოკიდებული გავხადოთ პარტიის წარმომადგენლობის გადაკეთება IV ყრილობაზე. მაგალითად, III ყრილობა, ვთქვათ, 1905 წლის აპრილში ადგენს: პარტიულ ორგანიზაციებად, რომლებსაც უფლება აქვთ სათვალავში იქნან მიღებული IV ყრილობაზე პარტიის წარმომადგენლობის გადაკეთების დროს, მხოლოდ ის ორგანიზაციები ითვლებიან, რომლებიც ცენტრს სწორ ორკვირეულ ანგარიშებს უგზავნიდნენ 1905 წლის 1 სექტემბრიდან. მხოლოდ სულ მცირე სამი თვის ანგარიშების (ე. ი. minimum 6 ანგარიშის) საფუძველზე იქნება განსაზღვრული IV ყრილობაზე პარტიის წარმომადგენლობა ყრილობებზე, თვითეულ ადგილას სოციალ-დემოკარტიულ კავშირებში დარაზმული მუშების რიცხვის პროპორციულად. ამიტომ თვითეულ ანგარიშში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული წევრთა რიცხვი.

დაწერილია 1905 წ. აპრილის დამლევს
პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ამ ვადის განმავლობაში თ ვ ი თ ე უ ლ მ ა ორგანიზაციამ უნდა შეატყობინოს ცენტრს თავისი შიფრი (ორი ან სამი ასო — ორგანიზაციის ს ა ხ ე ლ ი) და მიაღწიოს იმას, რომ ცენტრალურ ორგანოში ერთი ანგარიში მაინც მოთავსდეს, რათა ამ ორგანიზაციის ყ ვ ე ლ ა წევრი დარწმუნდეს, რომ ორგანიზაციას კავშირი აქვს ცენტრთან.

რსდმპ III ყრილობა [89]

1905 წლის 12 (25) აპრილი — 27 აპრილი (10 მაისი)

სიტყვები, მოხსენებები, რეზოლუციები
და რეზოლუციათა პროექტები პირველად
დაიბეჭდა 1905 წელს წიგნში:
«რსდმპ მესამე მორიგი ყრილობა.
ოქმების სრული ტექსტი».
ცენტრალური კომიტეტის გამოცემა,
ჟენევა

იბეჭდება 1905 წელს
გამოცემული წიგნის
«რსდმპ მესამე
მორიგი ყრილობა» და
ხელნაწერის მიხედვით

Россійская Соц.-Дем. Рабочая Партія.
ПРОЛЕТАРІИ ВСѢХЪ СТРАНЪ, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ТРЕТІЙ ОЧЕРЕДНОЙ СЪѢЗДЪ

Росс. Соц.-Дем. Рабочей Партіи.

ПОЛНЫЙ ТЕКСТЪ ПРОТОКОЛОВЪ.

Изданіе Центральнаго Комитета.

ЖЕНЕВА
Типографія Партіи. 6, Quai du Cheval Blanc, 6.
1905.

გარეკანი წიგნისა «რსდმპ მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი». ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, ჟენევა, 1905 წ.

დაპატარავებულია

1

სიტყვა ყრილობის კანონიერების შესახებ 13 (26) აპრილს

მე მინდა პასუხი გავცე შენიშვნებზე ყრილობის მოწვევის კანონიერების შესახებ. ცენტრალური კომიტეტი სცნობდა, რომ ყრილობა უკანონოა. თვით ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მიმართვას პარტიის საბჭოსადმი «მონანიებითი» უწოდა. მაგრამ ჰქონდა თუ არა ცენტრალურ კომიტეტს რაიმე მოსანანიებელი? ყრილობა სავსებით კანონიერია. მართალია, წესდების ასოს მიხედვით იგი შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს; მაგრამ ჩვენ კარიკატურულ ფორმალიზმში ჩავვარდებოდით, წესდება ასე რომ გვესმოდეს. წესდების აზრის მიხედვით კი ყრილობა სავსებით კანონიერია. პარტია კი არ არსებობს პარტიის საბჭოსათვის, არამედ პარტიის საბჭო პარტიისათვის. ჯერ კიდევ II ყრილობაზე, საორგანიზაციო კომიტეტთან ინციდენტის გამო, აღნიშნული იყო, და აღნიშნული იყო თვით ამხ. პლეხანოვის მიერ, რომ დისციპლინა ქვემდგომი კოლეგიის მიმართ ადგილს უთმობს დისციპლინას უმაღლესი კოლეგიისადმი. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა, რომ იგი მზად არის დაემორჩილოს პარტიის საბჭოს, თუ პარტიის საბჭო დაემორჩილება პარტიას, ე. ი. ყრილობას. ეს სავსებით კანონიერი მოთხოვნაა. პარტიის საბჭომ კი ამაზე უარით უპასუხა. მაგრამ, ამბობენ, ცენტრალურმა კომიტეტმა ეჭვი შეიტანა პარტიის საბჭოს ლოიალობაში და მას უნდობლობა გამოუცხადაო. მაგრამ ყველა კონსტიტუციურ ქვეყანაში მოქალაქეთ ხომ უფლება აქვთ უნდობლობა გამოუცხადონ ამა თუ იმ თა-

ნამდებობის პირებს ან დაწესებულებებს. ამ უფლების წართმევა არ შეიძლება. დასასრულ, ცენტრალური კომიტეტი უკანონოდაც რომ მოქცეულიყო, განა ეს უფლებას აძლევდა პარტიის საბჭოს აგრეთვე უკანონოდ მოქცეულიყო? რაშია წესდების იმ პუნქტის გარანტია, რომლის მიხედვით პარტიის საბჭო ყრილობას იწვევს, თუ მოწვევას სრულუფლებიანი ხმების ნახევარმა დაუჭირა მხარი? გერმანიის ს.-დ. პარტიის წესდებაში არის პუნქტი, რომელიც საკონტროლო კომისიას ანიჭებს უფლებას მოიწვიოს ყრილობა, თუ «Vorstand»-ი* უარს ამბობს მის მოწვევაზე. ჩვენ ასეთი პარაგრაფი არა გვაქვს, და ყრილობის მოწვევის გარანტია მთლიანად თვით პარტიასვე აკისრია. წესდების არსის თვალსაზრისით და მისი ფორმის თვალსაზრისითაც კი, თუ მას მთლიანად ავიღებთ, ნათელია, რომ პარტიის საბჭო პარტიის კომიტეტების რწმუნებულია. კომიტეტების რწმუნებული უარს ამბობს შეასრულოს თავის მარწმუნებელთა ნება. თუ რწმუნებული პარტიის ნებას არ ასრულებს, პარტიას ისღა დარჩენია, რომ თვითონ განახორციელოს ეს ნება. და ჩვენი პარტიის კომიტეტებს არათუ უფლება ჰქონდათ, არამედ ვალდებულიც იყვნენ თვითონ მოეწვიათ ყრილობა. და მე ვამტკიცებ, რომ ყრილობა სავსებით კანონიერად არის მოწვეული. ვინ არის მსჯული პარტიის საბჭოსი და კომიტეტების დავის განხილვაში? იგივე კომიტეტები, პარტია. პარტიის ნება უკვე დიდი ხანია გამოითქვა. საზღვარგარეთელი ცენტრების მხრივ საქმის გაჭიანურებას და დაყოვნებას არ შეეძლო მისი შეცვლა. კომიტეტები ვალდებული იყვნენ თვითონ მოეწვიათ ყრილობა, და იგი კანონიერად არის მოწვეული.

ვუპასუხებ ამხ. ტიგროვს. ამხ. ტიგროვი ამბობს, საჭირო არ არის მსჯავრი დავდო პარტიის საბჭოსაო. საორგანიზაციო კომიტეტი თავისი მოხსენებით მსჯავრსა სდებს პარტიის საბჭოსაო. მე მგონია, ამხ. ტიგროვი ცდება, როცა ამბობს, არ შეიძლება დაუსწრებლად დავდოთ მსჯავრიო. პოლიტიკაში მუდამ გვიხდება მსჯავრის დაუსწრებლად დადება. განა ჩვენ მუ-

* — გამგეობა. რ ე დ.

დამ არა ვდებთ მსჯავრს ჩვენს პუბლიცისტიკაში, ჩვენს კრებებზე და ყველგან ესერებს, ბუნდისტებს და სხვ.. მაშ როგორ მოვიქცეთ, რომ დაუსწრებლად არ დავდოთ მსჯავრი? პარტიის საბჭოს ხომ არ სურს ყრილობაზე გამოცხადდეს, ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ვერავის ვერასოდეს მსჯავრს ველარ დასდებ. ოფიციალური სასამართლოებიც კი დაუსწრებლად სდებენ მსჯავრს, თუ ბრალდებულს არა სურს სასამართლოში გამოცხადდეს.

2

სიტყვა ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების სრულუფლებიანობის შესახებ 14 (27) აპრილს

სამანდატო კომისიის დასკვნიდან ჩანს, რომ სულ პარტიაში ჩვენ 75 გადამწყვეტი ხმა გვაქვს, ასე რომ უეჭველია, ამ შემადგენლობით, ჩვენი ყრილობა კანონიერად უნდა იქნას აღიარებული. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ახლა ჩვენს ყრილობას ეჭვით უყურებენ, საქებურად უნდა ჩაითვალოს სამანდატო კომისიის «ლიბერალური» მისწრაფება დაამტკიცოს კომიტეტების რაც შეიძლება მეტი რიცხვი, რათა გაადიდოს ყრილობისათვის საჭირო კანონიერი უმრავლესობა. ამ მხრივ მე მზადა ვარ თანაგრძნობაც კი გამოვუცხადო ამ «ლიბერალიზმს», მაგრამ, მეორე მხრივ, საჭიროა ერთნაირად ფრთხილი და პირუთვნელი ვიყოთ ყველას მიმართ და, ამ მოსაზრებათა მიხედვით, არ შემიძლია უარყოფით არ მოვეკიდო სამანდატო კომისიის მიერ ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების დამტკიცებას. № 89-ში «ისკრამ» ისინი სრულუფლებიანი კომიტეტების სიაში გამოაქვეყნა, მაგრამ სრულუფლებიანი ორგანიზაციების იმ სიაში, რომელიც მოთავსებულია პარტიის საბჭოს ოქმებში, ისინი არ არიან. პარტიის საბჭოს სხდომაზე ამხ. მარტოვს მოჰყავდა სრულუფლებიანი კომიტეტების სია 1904 წ. 1 სექტემბრამდე.

(*კითხულობს ამონაწერს პარტიის საბჭოს ოქმებიდან*):

«მარტოვი კითხულობს თავის რეზოლუციას: პარტიის საბჭო, თანახმად წესდების § 2-ისა, ვალდებულია მოიწვიოს ყრილობა, თუ ამას მოითხოვენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც ერთად ყრილობის მონაწილეთა ხმების ნახევრის უფლება აქვთ. თანახმად წესდების § 3-ის 1 შენიშვნისა, ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლებით მხოლოდ ის ორგანიზაციები სარგებლობენ, რომლებიც ამ მხრივ დამტკიცებული არიან პარტიული წესდების მიღების მომენტიდან.

იმ ორგანიზაციებისათვის კი, რომლებიც წარმოდგენილი არ იყვნენ II ყრილობაზე, მათი დამტკიცების მომენტად ითვლება ცენტრალური კომიტეტის მიერ მათი დამტკიცების მომენტი არაუგვიანეს 1 წლისა ყრილობამდე. I) პარტიის საბჭო ადგენს, რომ იგივე ვადა ორგანიზაციის დამტკიცების დროიდან მიიღება მისი ხმის ასაღიარებლად იმ ორგანიზაციათა რაოდენობის გამოანგარიშებისას, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ყრილობის მოწვევას. ის ორგანიზაციები, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ II ყრილობაზე და არჩეულ იქნენ მის მიერ, სრულუფლებიანად ითვლებიან. II) ამის გამო, 1904 წლის სექტემბრამდე, ყრილობის მოწვევის საკითხის გადაწყვეტის უფლების მქონედ ითვლებიან მხოლოდ: 1) ცენტრალური კომიტეტი, 2) ცენტრალური ორგანო, 3) საზღვარგარეთის ლიგა, 4 — 20) კომიტეტები: პეტერბურგისა, მოსკოვისა, ხარკოვისა, კიევისა, ოდესისა, ნიკოლაევისა, დონისა, ეკატერინოსლავისა, სარატოვისა, უფისა (ამჟამად ურალისა), ჩრდილოეთისა, ტულისა, ტვერისა, ნიჟნი ნოვგოროდისა, ბაქოსი, ბათუმისა, თბილისისა (კავკასიის კავშირის დამტკიცების მომენტიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე), 21—23) კავშირები: სამთამადნო (დონეცისა), ციმბირისა და ყირიმისა.

ამ ორგანიზაციების სრულუფლებიანობისას, ყრილობაზე ხმების რაოდენობა, რის უფლებაც აქვთ მათ, უდრის 46-ს. იმ 5 ხმასთან ერთად, რაც პარტიის საბჭოს წევრებსა აქვთ, ყრილობაზე ხმების საერთო რაოდენობა უდრის 51 ხმას, ხოლო მისი მოწვევისათვის საჭიროა, მაშასადამე, 26 ხმა, ე. ი. ხმები 13 სრულუფლებიანი ორგანიზაციისა, აქ ჩამოთვლილთა რიცხვიდან. ცენტრალურ კომიტეტს წინადადება ეძლევა წარმოადგინოს პარტიის საბჭოში ყრილობის შემდეგ შექმნილი ახალი კომიტეტების მის მერ დამტკიცების თარიღები».

რეზოლუციის პირველი ნაწილი მიღებულია ერთხმად.

შემდეგ ამხ. გლებოვმა თავის სიტყვაში იმავე სხდომაზე წაიკითხა ახლად შექმნილი კომიტეტების სია.

ამხ. გლებოვის სიტყვა (პარტიის საბჭოს ოქმებიდან):

«მე ვეთანხმები ამხ. მარტოვს და შემიძლია მხოლოდ აღვნიშნო ახლად შექმნილი კომიტეტები: სმოლენსკისა და ასტრახანისა, რომლებიც დამტკი-

ცებული არიან 1903 წლის სექტემბერში; ვორონეჟისა (ბრძოლის სალარო) 1904 წლის იანვარში; რიგისა — იანვარში; პოლესიესი—აპრილში; ჩრდილოდასავლეთისა — აპრილში; კურსკისა — იანვარში; ორიოლ-ბრიანსკისა — 1903 წ. სექტემბერში; სამარისა — 1903 წ. სექტემბერში; ურალისა (უფისა) — აპრილში».

ეს ფაქტები გამოქვეყნებული იყო ამხ. ორლოვსკის ბროშურაში «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», და პარტიის საბჭოს დღემდე არ უარუყვია ისინი, არ გამოუქვეყნებია სადავო კომიტეტების დამტკიცების ვადა, რაც იმას მოწმობს, რომ, როგორც ჩანს, ამ დამტკიცების საბუთები არსებობს. პარტიის საბჭოს იმავე სხდომაზე ამხ. მარტოვმა ერთ-ერთ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ, მისი აზრით, აგვისტოში უნდა დამტკიცდეს კიდევ 2 კომიტეტი, სახელდობრ კრემენჩუგისა და პოლტავისა, მაგრამ კვლავ კრინტიც არ დაუძრავს ყაზანისა და ყუბანის კომიტეტებზე.

მერე, ივლისის დეკლარაციის შემდეგ ამხ. გლებოვმა გამომიგზავნა ცენტრალური კომიტეტის სხდომების სრული ოქმები, საიდანაც არ ჩანს არც ყაზანისა და არც ყუბანის კომიტეტების დამტკიცება, და ამის შემდეგაც ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ლენინოვი[90] ადასტურებს, მათ დამტკიცებაზე აგრეთვე ლაპარაკი არ ყოფილა; მართალია, ცენტრალური კომიტეტის წევრს ამხ. ზიმინს[91] თითქოს რაღაც აგონდება ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების დამტკიცებაზე, მაგრამ გარკვეულს ვერაფერს ამბობს.

კომისიის გადაწყვეტილება, რათა აღიარებულ იქნან კომიტეტები სრულუფლებიანად იმ საფუძველზე, რომ ფაქტიურად გამორკვეულია, რომ ისინი წელიწადზე მეტია მუშაობენ, სწორი არ არის, ამიტომ წინადადება შემომაქვს ეს კომიტეტები უფლებამოსილებად არ ჩაითვალონ.

3

პროექტი რეზოლუციისა რსდმპ დამოკიდებულებაზე შეიარაღებული აჯანყებისადმი

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ პროლეტარიატი, რომელიც თვით თავისი მდგომარეობით ყველაზე მოწინავე და თანამიმდევარი რევოლუციური კლასია და ამით მოწოდებულია ბელადისა და ხელმძღვანელის როლი შეასრულოს რუსეთის საერთო დემოკრატიულ რევოლუციურ მოძრაობაში;

2) რომ რევოლუციის დროს მხოლოდ ასეთი როლის შესრულება უზრუნველყოფს პროლეტარიატის ყველაზე ხელსაყრელ პოზიციას სოციალიზმის მოსაპოვებლად შემდგომი ბრძოლისათვის იმ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთის შეძლებული კლასების წინააღმდეგ, რომელიც მზად არის იშვას;

3) რომ ეს როლი პროლეტარიატს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულოს, თუ დარაზმული იქნება სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად და თუ გაფიცვებსა და დემონსტრაციებში რაც შეიძლება უფრო სრული ერთიანობით გამოვა, —

რსდმპ III ყრილობა ადგენს, რომ თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლისათვის მასობრივი პოლიტიკური გაფიცვებისა და შეიარაღებული აჯანყების გზით პროლეტარიატის ძალების დარაზმვის ამოცანა და ამ მიზნით ცნობების მიმწოდებელი და ხელმძღვანელი აპარატის შექმნა წარმოადგენს პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ახლანდელ რევოლუციურ მომენტში. ამიტომ ყრილობა ავალებს როგორც ცენტრალურ

კომიტეტს, ისე ადგილობრივ კომიტეტებსა და კავშირებს შეუდგნენ მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის მომზადებას, აგრეთვე განსაკუთრებული ჯგუფების მოწყობას იარაღის შესაძენად და გასანაწილებლად, შეიარაღებული აჯანყების გეგმის შესამუშავებლად და მის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად. ამ ამოცანის შესრულება შეიძლება და უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ არათუ არავითარი ზიანი არ მიაყენოს იმ საერთო მუშაობას, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების გასაღვიძებლად წარმოებს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდეს მის სიღრმესა და წარმატებას.

დაწერილია 1905 წ. 14 (27) აპრილს

4

პროექტი რეზოლუციისა შეიარაღებულ აჯანყებაზე

ყრილობა ადასტურებს, პრაქტიკოსთა გამოცდილებისა და მუშათა მასის განწყობილების საფუძველზე, რომ აჯანყების მომზადებად უნდა გვესმოდეს არა მარტო იარაღის მომზადება და ჯგუფების შექმნა და ა. შ., არამედ აგრეთვე გამოცდილების დაგროვება ცალკეული შეიარაღებული გამოსვლების პრაქტიკული ცდების სახით, მაგალითად, გამოსვლები შეიარაღებული რაზმებისა, რომლებიც თავს დაესხმიან პოლიციასა და ჯარს ამა თუ იმ აშკარა სახალხო კრებების შემთხვევებში, ან შეიარაღებული რაზმების თავდასხმები საპყრობილეებზე, მთავრობის დაწესებულებებზე და ა. შ.. ყრილობა სავსებით ანდობს პარტიის ადგილობრივ ცენტრებსა და ცენტრალურ კომიტეტს ასეთი გამოსვლების საზღვრებისა და ყველაზე მარჯვე საბაბის დადგენას და, სავსებით ენდობა რა ამხანაგების ტაქტს, რომლებსაც უნარი შესწევთ თავიდან აიცილონ ცალკეულ და წვრილმან ტერორისტულ აქტებზე ძალების უსარგებლოდ ფლანგვა, ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა მხედველობაში მიიღონ გამოცდილების ზემოთ მოყვანილი მითითებანი.

დაწერილია 1905 წ. აპრილის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

5

სიტყვა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე 15 (28) აპრილს

აქ ითქვა, რომ პრინციპულად საკითხი საკმაოდ ნათელია, მაგრამ, ს.-დ. ლიტერატურაში იყო იმგვარი განცხადებები (იხ. «ისკრა» № 62 და ამხ. აქსელროდის წინასიტყვაობა რაბოჩის ბროშურისა), რომლებიც გვიჩვენებენ, რომ საკითხი არცთუ ისე ნათელია. «ისკრა» და აქსელროდი მსჯელობდნენ შეთქმულებაზე, გამოთქვამდნენ შიშს, რომ აჯანყებაზე მეტისმეტად ბევრს იფიქრებენო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეტად ცოტას ფიქრობდნენ... რაბოჩის ბროშურის წინასიტყვაობაში ამხ. აქსელროდი ამბობს, რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ «ხალხის გაველურებული მასების» აჯანყებასაო. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ საქმე ეხება არა «გაველურებული მასების» აჯანყებას, არამედ ორგანიზებული ბრძოლის უნარის მქონე შეგნებული მასის აჯანყებას. უკანასკნელი წლის მთელმა ისტორიამ ცხადყო, რომ ჩვენ სათანადოდ არ ვაფასებდით აჯანყების მნიშვნელობასა და გარდუვალობას. ყურადღება უნდა მივაქციოთ საქმის პრაქტიკულ მხარეს. აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკოსთა და მუშათა — პეტერბურგელთა, რიგელთა, კავკასიელთა — გამოცდილებას. ამიტომ მე იმ აზრისა ვიქნებოდი, რომ ამხანაგებმა თავიანთი გამოცდილება გაგვიზიარონ, — ეს პრაქტიკულ, და არა სქოლასტიკურ ხასიათს მისცემს ჩვენს კამათს. უნდა გამოვარკვიოთ, როგორია პროლეტარიატის განწყობილება, სცნობენ თუ არა მუშები თავს იმის უნარის მქონედ, რომ იბრძოლონ და უხელმძღვანელონ ბრძოლას. საჭიროა შევაჯამოთ ის კოლექტიური გამოცდილება, რომელიც დღემდე არ ყოფილა განზოგადებული.

6

სიტყვა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე 16 (29) აპრილს

კამათში საკითხი დაყენებულია პრაქტიკულ ნიადაგზე — მასების განწყობილებაზე. ამხ. ლესკოვი[92] მართალია, როცა ამბობს, განწყობილება ჭრელიაო. მაგრამ მართალია ამხ. ჟარკოვიც, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავუწიოთ ანგარიში იმას, რომ აჯანყება უეჭველად მოხდება, როგორც უნდა მოვეკიდოთ ჩვენ მას. იბადება კითხვა: არსებობს თუ არა პრინციპული უთანხმოება წარმოდგენილ რეზოლუციებს შორის. მე სრულებითაც ვერ ვხედავ ამ უთანხმოებას. თუმცა მე ყველაზე შეურიგებლად ვითვლები, მაინც ვცდი შევარიგო და შევათანხმო ორივე რეზოლუცია, შევუდგები მათს შერიგებას. მე ამხ. ვოინოვის რეზოლუციის შესწორების წინააღმდეგ არაფერი მაქვს. დამატებაშიც ვერ ვხედავ პრინციპულ უთანხმოებას. ყველაზე ენერგიული მონაწილეობიდან კიდევ არ გამომდინარეობს ჰეგემონია. ჩემი აზრით, ამხ. მიხაილოვმა უფრო პოზიტივურად გამოთქვა აზრი, — მას ჰეგემონია ხაზგასმული აქვს და ამასთან კონკრეტული ფორმით. ინგლისის პროლეტარიატი მოწოდებულია განახორციელოს სოციალისტური რევოლუცია, — ეს უეჭველია; მაგრამ მას რომ უნარი არ შესწევს მოახდინოს ეს რევოლუცია ამჟამად, თავისი სოც. დაურაზმაობისა და ბურჟუაზიის მიერ გარყვნის გამო, ესეც უეჭველია. იგივე აზრი აქვს ამხ. ვოინოვს; ყველაზე ენერგიული მონაწილეობა, უეჭველია, ყველაზე გადამწყვეტია. გადაწყვეტს თუ

არა რევოლუციის ბედს პროლეტარიატი, — ამის უეჭველად მტკიცება არ შეიძლება. იგივეა ბელადის როლის შესახებ. ამხ. ვოინოვის რეზოლუციაში გამოთქმა უფრო ფრთხილია. სოციალ-დემოკრატიას შეუძლია მოაწყოს აჯანყება, შეუძლია კიდევაც გადაწყვიტოს იგი, მაგრამ იქნება თუ არა უზრუნველყოფილი მისთვის ხელმძღვანელი როლი, ამის წინასწარ გადაწყვეტა არ შეიძლება, — ეს დამოკიდებული იქნება პროლეტარიატის ძალასა და ორგანიზებულობაზე. წვრილი ბურჟუაზია შეიძლება უკეთ იყოს ორგანიზებული და მისი დიპლომატები შეიძლება უფრო ძლიერი, უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ. ამხ. ვოინოვი უფრო ფრთხილია — იგი ამბობს: «შენ შეგიძლია შეასრულოო»; «შენ შეასრულებო» — ამბობს ამხ. მიხაილოვი. შესაძლოა რევოლუციის ბედი პროლეტარიატმა გადაწყვიტოს, მაგრამ ამის უეჭველად მტკიცება არ შეიძლება. ამხ. მიხაილოვმა და სოსნოვსკიმ ის შეცდომა ჩაიდინეს, რასაც ისინი ამხ. ვოინოვს მიაწერდნენ: «ნუ იკვეხნი ომში მიმავალიო». — «უზრუნველყოფისათვის საჭიროაო», ამბობს ვოინოვი, ისინი კი ამბობენ: «საჭიროა და საკმარისიაო». განსაკუთრებული მებრძოლი ჯგუფების შექმნის საკითხზე მე შემიძლია ვთქვა, რომ ისინი აუცილებლად მიმაჩნია. სულაც არ უნდა გვეშინოდეს განსაკუთრებული ჯგუფების შექმნისა.

7

რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ[53]

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ პროლეტარიატი თავისი მდგომარეობით ყველაზე მოწინავე და ერთადერთი თანამიმდევარი რევოლუციური კლასია და ამიტომ მოწოდებულია ხელმძღვანელი როლი შეასრულოს რუსეთის საერთო-დემოკრატიულ რევოლუციურ მოძრაობაში;

2) რომ ამ მოძრაობამ ამჟამად უკვე მიგვიყვანა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობამდე;

3) რომ პროლეტარიატი ამ აჯანყებაში აუცილებლად მიიღებს უაღრესად ენერგიულ მონაწილეობას, რომელიც განსაზღვრავს რევოლუციის ბედს რუსეთში;

4) რომ ამ რევოლუციაში პროლეტარიატს შეეძლება ხელმძღვანელი როლი შეასრულოს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი დარაზმული იქნება ერთიან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დროშით, პარტიისა, რომელიც არა მარტო იდეურად, არამედ პრაქტიკულადაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატის ბრძოლას;

5) რომ მხოლოდ ასეთი როლის შესრულებას შეუძლია შეუქმნას პროლეტარიატს ყველაზე ხელსაყრელი პირობები სოციალიზმისათვის საბრძოლველად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთის შეძლებული კლასების წინააღმდეგ;—

რსდმპ III ყრილობა აღიარებს, რომ პროლეტარიატის დარაზმვის ამოცანა შეიარაღებული აჯანყების გზით თვითმპყრობელობასთან უშუალო ბრძოლის საწარმოებლად ახლან-

დელ რევოლუციურ მომენტში პარტიის ერთ-ერთი უაღრესად მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა.

ამიტომ ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებს:

ა) პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებით გაურკვიონ პროლეტარიატს მომავალი შეიარაღებული აჯანყების არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკული მხარეც,

ბ) ამ პროპაგანდისა და აგიტაციის დროს გაარკვიონ როლი მასობრივი პოლიტიკური გაფიცვებისა, რომლებსაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ აჯანყების დასაწყისში და თვით აჯანყების მსვლელობაში,

გ) მიიღონ უაღრესად ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად, აგრეთვე შეიარაღებული აჯანყების გეგმის შესამუშავებლად და აჯანყებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად, რისთვისაც, საჭიროების მიხედვით, შექმნან პარტიული მუშაკებისაგან საგანგებო ჯგუფები.

დაწერილია 1905 წ. 16 (29) აპრილს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

8

სიტყვა მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულებაზე გადატრიალების წინახანს 18 აპრილს (1 მაისს)

ჩვენ გასაჭირში ვართ. გვაქვს სამი რეზოლუცია და სამი შესწორება. რეზოლუციები იზრდება და ვითარდება, და ეს პროცესი სრულებით არ არის მოწესრიგებული. თემა უფრო ფართო გამოდგა, ვიდრე მომხსენებელი ვარაუდობდა. მოგვიხდება კომისიას დავუბრუნოთ რეზოლუცია, თუმცა ამხ. სერგეევი[94], ეტყობა, სასაცილოდ იღებს ამ წინადადებას. აშკარა გამოსვლის საკითხს ყველა ორატორი შეეხო. მოხსენება თემას შეესაბამება, მაგრამ საჭიროა მისი შევსება. საზოგადოებებში მონაწილეობის შესახებ ორი აზრი შეეჯახა ერთმანეთს. ყრილობას არ შეუძლია კატეგორიულ მითითებებს იძლეოდეს საზოგადოებებში მონაწილეობის შესახებ. უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება აგიტაციისათვის. შიდლოვსკის კომისიის გამოცდილებიდან არ შეიძლება აუცილებლად უარყოფითი დამოკიდებულება გამოვიტანოთ. ამბობენ, რეზოლუცია ახალს არაფერს იძლევაო. კარგი თქვი და ერთხელ კიდევ თქვი. ამხ. ზიმინის აზრი მოუქნელია. კატეგორიულად პასუხის გაცემა, უნდა მივიღოთ თუ არა მონაწილეობა საერო კრებაში, არ შეიძლება. ყველაფერი დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, არჩევნების სისტემაზე და სხვა კონკრეტულ პირობებზე, რომელთა წინასწარ გათვალისწინება არ შეიძ-

ლება. ამბობენ, საერო კრება მოტყუებაა. ეს მართალია, მაგრამ ზოგჯერ, მოტყუება რომ გამოააშკარაო, ამისათვის მონაწილეობა უნდა მიიღო არჩევნებში. ზოგადი დირექტივის გარდა არაფრის მიცემა არ შეიძლება. ვიმეორებ, ჩემი აზრით, საჭიროა ყველა რეზოლუცია დავაბრუნოთ კომისიაში, ხოლო მისი შემადგენლობა გავაფართოოთ.

9

დამატება რეზოლუციისა მთავრობის პოლიტიკისადმი დამოკიდებულებაზე გადატრიალების წინახანს და გადატრიალების მომენტში

შეიძლება თუ არა ამხ. ალექსანდროვი[95] დავაკმაყოფილოთ შმიდტის[96] რეზოლუციაში შემდეგი ცვლილებების შეტანით (მაგალითად):

1) ნაცვლად სიტყვისა «ადგენს» (ყრილობა) ითქვას: ყრილობა ადასტურებს სოციალ-დემოკრატიის ძველ, II ყრილობის მიერ დადგენილ ტაქტიკას, დეტალურად განმარტავს მიმდინარე მომენტის შესაბამისად (ან რაიმე ამგვარი)

2) რეზოლუციას დაემატოს კიდევ ერთი პუნქტი, დაახლოებით ასეთი შინაარსისა:

რაც შეეხება იმ ნამდვილ და მოჩვენებითს დათმობებს, რომლებზედაც ახლა შერყეული თვითმპყრობელობა მიდის საერთოდ დემოკრატიისა და კერძოდ მუშათა კლასის წინაშე, სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ უნდა ისარგებლოს ამ დათმობებით, ერთი მხრივ იმისათვის, რომ ეკონომიური მდგომარეობის ყოველი გაუმჯობესება და თავისუფლების თვითეული გაფართოება განუმტკიცოს ხალხს ბრძოლის გასაძლიერებლად, მეორე მხრივ იმისათვის, რომ განუხრელად ამხილოს პროლეტარიატის წინაშე რეაქციული მიზნები მთავრობისა, რომელიც ცდილობს გათიშოს,

გახრწნას მუშათა კლასი და მისი ყურადღება ჩამოაშოროს მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს რევოლუციურ მომენტში.

დაწერილია 1905 წ. აპრილის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

10

პროექტი რეზოლუციისა რსდმპ აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ რევოლუციურმა მოძრაობამ რუსეთში რამოდენად მე უკვე შეარყია და მოშალა თვითმპყრობელი მთავრობა, რომელიც იძულებული ხდება დაუშვას მისდამი მტრული კლასების პოლიტიკური გამოსვლის თავისუფლება შედარებით მნიშვნელოვანი მასშტაბით;

2) რომ პოლიტიკური გამოსვლის ამ თავისუფლებით ყველაზე მეტად და თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული კლასები სარგებლობენ და ამრიგად უფრო მეტად აძლიერებენ თავიანთ წინანდელ ეკონომიურ და პოლიტიკურ უპირატესობას მუშათა კლასზე და ადიდებენ იმის საფრთხეს, რომ პროლეტარიატი ბურჟუაზიული დემოკრატიის უბრალო დანამატად გადაიქცევა;

3) რომ მუშათა მასებს შორის სულ უფრო და უფრო ფართოდ ვითარდება (თავს იჩენს, მეღავნდება) მისწრაფებაც პოლიტიკურ ასპარეზზე დამოუკიდებელი აშკარა გამოსვლისაკენ თუნდაც (თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვან შემთხვევებში) სოციალ-დემოკრატიის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე;

რსდმპ III ყრილობა მიაქცევს ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას იმას, რომ აუცილებლად საჭიროა:

ა) გამოვიყენოთ პრესაში, კავშირებში და კრებებზე საზოგადოებისა და ხალხის აშკარა პოლიტიკური გამოსვლის ყვე-

ლა და ყოველგვარი შემთხვევა, რათა საერთო-დემოკრატიულ მოთხოვნებს დავუპირდაპიროთ პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი მოთხოვნები, რათა განვავითაროთ მისი თვითშეგნება, რათა ასეთი გამოსვლების თვით პროცესში დავრაზმოთ იგი დამოუკიდებელ სოციალისტურ ძალად; —

ბ) გამოვიყენოთ ყველა ლეგალური და ნახევრადლეგალური გზა მუშათა საზოგადოებების, კავშირებისა და ორგანიზაციების შესაქმნელად, ამასთან საჭიროა მივისწრაფოდეთ იქითკენ, რომ უზრუნველვყოთ (ამა თუ იმ გზით) სოციალ-დემოკრატიის უპირატესი გავლენა ასეთ კავშირებზე, გადავაქციოთ ისინი მომავალი აშკარა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დასაყრდენ პუნქტებად რუსეთში;

გ) მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, თავისი კონსპირაციული აპარატის შენარჩუნებასა და განვითარებასთან ერთად, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიზანშეწონილი ფორმების მომზადებას იმისათვის, რომ ყოველთვის, როცა კი ეს შესაძლებელია, გადადიოდნენ სოციალ-დემოკრატიის აშკარა მოქმედებაზე, და ამასთან მთავრობის შეიარაღებულ ძალასთან შეტაკებასაც არ ერიდებოდნენ.

დაწერილია 1905 წ. 19 აპრილს (2 მაისს)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

II

პროექტი რეზოლუციისა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში

იღებს რა მხედველობაში

1) რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ნამდვილად მასობრივი, თავისუფალი და აშკარა ბრძოლისათვის საჭიროა რაც შეიძლება უფრო ფართო პოლიტიკური თავისუფლება, და, მაშასადამე, რესპუბლიკური წყობილების რაც შეიძლება უფრო სრულად განხორციელება;

2) რომ მოსახლეობის სხვადასხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ფენების, გლეხობის და სხვათა წარმომადგენლების უფრო და უფრო მნიშვნელოვანი რიცხვი გამოდის ამჟამად რევოლუციურ-დემოკრატიული ლოზუნგებით, რომლებიც ბუნებრივად და გარდუვალად გამომდინარეობენ ხალხის მასის ძირითადი მოთხოვნილებებიდან, რომელთა დაკმაყოფილება — თვითმპყრობელობის დროს შეუძლებელი — აუცილებლად საჭიროა რუსეთის მთელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ობიექტური განვითარების საჭიროების მიხედვით;

3) რომ საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ყოველთვის აღიარებდა იმის საჭიროებას, რომ პროლეტარიატი უაღრესად ენერგიულად უჭერდეს მხარს რევოლუციურ ბურჟუაზიას მის ბრძოლაში ყველა რეაქციულ კლასსა და დაწესებულებასთან, პროლეტარიატის პარტიის სრული დამოუკი-

დებლობისა და მისი დროებითი მოკავშირეებისადმი უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულების პირობით;

4) რომ რუსეთში თვითმპყრობელი მთავრობის დამხობა შეუძლებელია ისე, თუ იგი დროებითი რევოლუციური მთავრობით არ შეიცვალოს, და რომ მხოლოდ ასეთ შეცვლას შეუძლია უზრუნველყოს მთელი ხალხის ნების გამოხატვის ნამდვილი თავისუფლება და სისწორე რუსეთის ახალი პოლიტიკური წყობილების დაფუძნებისას, უზრუნველყოს პოლიტიკურ და ეკონომიურ გარდაქმნათა ჩვენი უახლოესი, უშუალო პროგრამის განხორციელება;

5) რომ თუ თვითმპყრობელი მთავრობა არ შეიცვლება დროებითი რევოლუციური მთავრობით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ყველა რევოლუციურ-დემოკრატიულ კლასებს და კლასთა ელემენტებს რუსეთში, ისე შეუძლებელია რესპუბლიკის მოპოვება და პროლეტარიატისა და, განსაკუთრებით, გლეხობის ჩამორჩენილი და განუვითარებელი ფენების რევოლუციის მხარეზე გადმოყვანა, იმ ფენებისა, რომელთა ინტერესები უთუოდ ეწინააღმდეგება თვითმპყრობელურ-ბატონყმურ წყობილებას და რომელნიც საგრძნობწილად დგანან მხოლოდ დამაჩლუნგებელი პოლიტიკური ატმოსფეროს უულის გამო თვითმპყრობელობის მხარეზე ანდა განზე უდგანან მასთან ბრძოლას;

6) რომ მაშინ, როცა რუსეთში არსებობს თუმცა მხოლოდ თავისი განვითარების დასაწყისში მყოფი, მაგრამ უკვე ორგანიზებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც შეუძლია, მეტადრე პოლიტიკური თავისუფლების დროს, კონტროლს უწევდეს და წარმართავდეს თავისი დელეგატების ქცევას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, სწორი კლასობრივი გზიდან ამ დელეგატების გადახვევის საფრთხე დაუძლეველი არ არის, —

რსდმპ მესამე ყრილობა შესაძლებლად სცნობს პარტიის რწმუნებულთა მონაწილეობას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში იმ მიზნით, რომ რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერთად ულმობლად ვიბრძოლოთ ყველა

კონტრრევოლუციური ცდის წინააღმდეგ და პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ინტერესების დაცვის მიზნით, ამასთან ასეთი მონაწილეობის პირობას წარმოადგენს ის, რომ პარტია სასტიკ კონტროლს უწევდეს თავის რწმუნებულებს, რომ განუხრელად დავიცვათ დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა, რომელიც მიისწრაფის სრული სოციალისტური გადატრიალებისაკენ და ამ მხრივ იგი მტრულია ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიისა და კლასისა.

დაწერილია 1905 წ. აპრილის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

12

დამატება რეზოლუციისა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში

კიდევ მოსაზრება დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის სასარგებლოდ

— რომ დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობაზე ახლავე უთუოდ უარისთქმა, რასაც ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთა გვირჩევს, აუცილებლად გაუბედავს, ორჭოფულს გახდის და დააქუცმაცებს რევოლუციური პროლეტარიატის საქმიანობას შეიარაღებული აჯანყების მომზადების, მოწყობისა და ჩატარებისათვის; —

დაწერილია 1905 წ. აპრილის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

13

მოხსენება ს.-დ. მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში 18 აპრილს (1 მაისს)

ჩემი ამოცანაა მოგახსენოთ, თუ როგორ დგას საკითხი სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობისა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში. ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, რომ ასეთი კითხვა დაიბადა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სოციალ-დემოკრატიის საქმეები საუცხოოდ მიდის, და დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მისი მონაწილეობის შესაძლებლობა ძალიან დიდია. ნამდვილად კი ასე როდია. ამ საკითხის უახლოესი პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით განხილვა დონკიხოტობა იქნებოდა. მაგრამ ეს საკითხი თავს მოგვახვია არა იმდენად საქმის პრაქტიკულმა ვითარებამ, რამდენადაც ლიტერატურულმა პოლემიკამ. საჭიროა ყოველთვის მხედველობაში გვქონდეს, რომ ეს საკითხი პირველად მარტინოვმა წამოაყენა ჯერ კიდევ 9 ი ა ნ ვ რ ა მ დ ე. აი რას წერდა იგი თავის ბროშურაში «ორი დიქტატურა» (გვ. 10 — 11):

«ერთი წუთით წარმოიდგინეთ, მკითხველო, ლენინის უტოპიის განხორციელება. წარმოიდგინეთ, რომ პარტიამ, რომლის წევრთა შემადგენლობა შეზღუდულია მასში მხოლოდ პროფესიონალ რევოლუციონერთა მონაწილეობით, მოახერხა «საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყების მომზადება, დ ა ნ ი შ ვ ნ ა და განხორციელება». განა ცხადი არ არის, რომ

საყოველთაო სახალხო ნება რევოლუციის მოხდენისთანავე სწორედ ამ პარტიას დანიშნავდა დროებით მთავრობად? განა ცხადი არ არის, რომ ხალხი სწორედ ამ პარტიას, და არა რომელიმე სხვას, ჩააბარებდა რევოლუციის უახლოეს ბედს? განა ცხადი არ არის, რომ ეს პარტია, თუ არ მოისურვებდა გაემტყუნებინა ის ხდომა, რომელიც მას ხალხმა წინათ აღმოუჩინა, იძულებული გახდებოდა, ვალდებული იქნებოდა, ხელში აეღო ძალაუფლება და შეენარჩუნებინა იგი, სანამ რევოლუციური ზომებით არ განამტკიცებს რევოლუციის გამარჯვებას?»

საკითხის ასე დაყენება წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტიურად იგი ასეთია: მარტინოვი ფიქრობს, ჩვენ რომ ძალიან კარგად მოგვემზადებინა და მოგვეწყო აჯანყება, საშინელ მდგომარეობაში მოვექცეოდითო. ჩვენი დავა რომელიმე უცხოელისათვის რომ გვეამბნა, იგი არასოდეს არ დაიჯერებდა, რომ შესაძლებელია საკითხის ასე დაყენება, და ვერ გაგვიგებდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იცნობ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შეხედულებათა ისტორიას და თუ იცნობ «რაბოჩეე დელოს» «ძაჩახჩალურ» შეხედულებათა ხასიათს, შეიძლება გაიგო ჩვენი დავა. საკითხი გახდა თეორიის გადაუდებელ საკითხად, რომლის გარკვევა აუცილებლად საჭიროა. ეს ჩვენი მიზნების სიცხადის საკითხია. ძალიან ვთხოვ აძხანაგებს, როცა ჩვენს კამათს რუსეთის პრაქტიკოსებს გადასცემენ, გულმოდგინედ გაუსვან ხაზი საკითხის ასეთ დაყენებას, რომელიც მარტინოვმა მოგვცა.

«ისკრის» № 96-ში დაბეჭდილია პლეხანოვის სტატია. ჩვენ ძალიან ვაფასებდით და ვაფასებთ პლეხანოვს ყველა იმ «წყენისათვის», რაც მან ოპორტუნისტებს მიაყენა და რამაც მის წინააღმდეგ აღძრა მრავალი პირის მტრობა, რომელიც მისთვის სასახელოა. მაგრამ მარტინოვის დაცვისათვის კი ვერ დავაფასებთ. აქ ჩვენს წინაშე წინანდელი პლეხანოვი აღარ არის. სტატიას იგი ასეთ სათაურს უკეთებს: «ძალაუფლების ხელში ჩაგდების საკითხისათვის». ეს ხელოვნურად ზღუდავს საკითხს. ჩვენ არასოდეს ასე არ დაგვიყენებია საკითხი. პლეხანოვს საქმე ისე გამოჰყავს, თითქოს «ვპერიოდმა» მარქსსა და ენგელსს უწოდა «ფილისტერობის ვირტუოზები». მაგრამ ნამდვილად ეს ასე როდია, ეს პატარა სიყალბეა. მარქსის სა-

ერთო კონცეფციას ამ საკითხში — «ვპერიოდმა» განსაკუთრებით გაუსვა ხაზი როგორც სწორს. სიტყვები ფილისტერობის შესახებ შეეხებოდა მარტინოვს ან ლ. მარტოვს. ჩვენ მზად ვართ უაღრესად ვაფასებდეთ ყველა იმას, ვინც პლეხანოვთან მუშაობს, მაგრამ მაინც მარტინოვი მარქსი არ არის. პლეხანოვი ტყუილად ჩქმალავს მარტინოველობას.

მარტინოვი ამტკიცებს, თუ ჩვენ გადამწყვეტ მონაწილეობას მივიღებთ აჯანყებაში, ჩვენთვის შეიქმნება დიდი საფრთხე, რომ პროლეტარიატი გვაიძულებს ძალაუფლება ავიღოთო. ამ მსჯელობაში არის თავისებური ლოგიკა, მართალია, უკუქცევითი. თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში გამარჯვების საფრთხეზე ამ თავისებური მითითების გამო «ვპერიოდი» ეკითხება მარტინოვს და ლ. მარტოვს, რაზეა ლაპარაკი: სოციალისტურ თუ დემოკრატიულ დიქტატურაზე? ჩვენ გვისახელებენ ენგელსის ცნობილ სიტყვებს იმ ბელადის სახიფათო მდგომარეობის შესახებ, რომელმაც სრული ბატონობისათვის ჯერ კიდევ მოუმწიფებელი კლასის სახელით მიიღო ძალაუფლება. «ვპერიოდში» ჩვენ განვმარტეთ, რომ ენგელსი მიგვითითებს ბელადის სახიფათო მდგომარეობაზე, როცა იგი post factum * აღნიშნავს დაშორებას პრინციპებსა და სინამდვილეს შორის, სიტყვებსა და ფაქტებს შორის. ასეთ დაშორებას დაღუპვისაკენ მივყავართ პოლიტიკური კრახის და არა ფიზიკური დამარცხების მხრივ **. თქვენ იძულებული იქნებით ამტკიცოთ (ასეთია ენგელსის აზრი), რომ გადატრიალება სოციალისტურია, მაშინ როცა იგი ნამდვილად მხოლოდ დემოკრატიულიაო. ჩვენ რომ ახლა ვპირდებოდეთ რუსეთის პროლეტარიატს, რომ შეგვიძლია ახლავე უზრუნველვყოთ სრული ბატონობა, იმავე შეცდომას ჩავიდენდით, რომელსაც ს.-რ. სჩადიან. სწორედ ს.რ-ების ამ შეცდომას, რომელნიც ამბობდნენ, რევოლუცია «არა ბურჟუაზიული, არამედ დემოკრატიული» იქნებაო, ჩვენ, ს.-დ., ყოველთვის სასაცილოდ ვიღებდით. ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ რევოლუცია კი არ დაასუსტებს, არა-

* — მას შემდეგ, რაც მოვლენა მოხდა, უკანა რიცხვით. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 323 — 325. რ ე დ.

მედ გააძლიერებს ბურჟუაზიას, მაგრამ პროლეტარიატს საჭირო პირობებს მისცემს, რომ სოციალიზმისათვის წარმატებით იბრძოლოს.

მაგრამ რაკი ლაპარაკია დემოკრატიულ გადატრიალებაზე, ჩვენს წინაშეა ორი ძალა: თვითმპყრობელობა და რევოლუციური ხალხი, ე. ი. პროლეტარიატი, როგორც მთავარი მებრძოლი ძალა, და გლეხობა და ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტები. პროლეტარიატის ინტერესები გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს არ ემთხვევა. სოციალ-დემოკრატია მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს კლასობრივი განსხვავება რევოლუციური ხალხის წიაღში გარდუვალია. ბრძოლის ობიექტი ცხარე ბრძოლის დროს შეიძლება ხელიდან ხელში გადადიოდეს. რევოლუციური ხალხი მიისწრაფის ხალხის თვითმპყრობელობისაკენ, მთელი რეაქციული ელემენტები მეფის თვითმპყრობელობას იცავენ. ამიტომ წარმატებითი გადატრიალება არ შეიძლება არ იყოს დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხობისა, რომელთა ინტერესები მ ე ფ ი ს თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ერთმანეთს ემთხვევა. ლოზუნგზე «ცალ-ცალკე ვიდოდეთ, ერთად ვურტყამდეთ» შეთანხმდნენ «ისკრაც» და «ვპერიოდიც», მაგრამ «ვპერიოდი» დასძენს, რომ თუ ერთად უნდა ვურტყამდეთ, მაშინ ერთადვე უნდა მოვუღოთ მტერს ბოლო და ერთად მოვიგერიოთ მისი ცდები დაკარგულის დაბრუნებისა. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ბრძოლა კი არ შეწყდება, არამედ გამწვავდება. რეაქციული ძალები სწორედ მაშინ დაირაზმებიან ნამდვილი ბრძოლისათვის. თუ ჩვენ ვხმარობთ აჯანყების ლოზუნგს, მაშინ არ უნდა ვაფრთხობდეთ სოციალ-დემოკრატიას აჯანყების გამარჯვების შესაძლებლობით. რაკი ხალხის თვითმპყრობელობას მოვიპოვებთ, უნდა დავიცვათ იგი — ეს კი სწორედ რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურაა. არავითარი საფუძველი არა გვაქვს გვეშინოდეს მისი. რესპუბლიკის მოპოვება გიგანტური მონაპოვარია პროლეტარიატისათვის, თუმცა სოციალ-დემოკრატისათვის რესპუბლიკა «აბსოლუტური იდეალი» როდია, როგორც ბურჟუაზიული რევოლუციონერისათვის, არამედ მხო-

ლოდ თავისუფლების გარანტიაა სოციალიზმისათვის ფართო ბრძოლის გასაჩაღებლად. პარვუსი ამბობს, რომ თავისუფლების მოპოვებას არც ერთ ქვეყანაში არ შეუწირავს ასეთი გიგანტური მსხვერპლი. ეს მართალია. ამას ადასტურებს ევროპის ბურჟუაზიული პრესაც, რომელიც გარედან ყურადღებით ადევნებს თვალყურს რუსეთის ამბებს. თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა სრულიად ელემენტარული რეფორმებისადმი წარმოუდგენლად ძლიერია, ხოლო რაც უფრო ძლიერია მოქმედება, მით უფრო ძლიერია უკუმოქმედება. აქედან — თვითმპყრობელობის სრული კრახის დიდი მოსალოდნელობა. რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურის მთელ საკითხს აზრი აქვს თვითმპყრობელობის სრული დამხობის შემთხვევაში. შესაძლოა, რომ ჩვენში განმეორდეს 1848 — 1850 წლების ამბები, ე. ი. თვითმპყრობელობა კი არ დაემხოს, არამედ შეიზღუდოს და კონსტიტუციურ მონარქიად გადაიქცეს. მაშინ არავითარ დემოკრატიულ დიქტატურაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მაგრამ თუ თვითმპყრობელი მთავრობა ნამდვილად დაემხობა, იგი სხვა მთავრობით უნდა შეიცვალოს. ეს სხვა კი შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი რევოლუციური მთავრობა. იგი შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ რევოლუციურ ხალხს, ე. ი. პროლეტარიატსა და გლეხობას. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატურა, ე. ი. არა «წესრიგის» ორგანიზაცია, არამედ ომის ორგანიზაცია. ვისაც ციხეზე მიაქვს იერიში, მას არ შეუძლია ხელი აიღოს ომის განგრძობაზე მას შემდეგაც, რაც ციხეს აიღებს. ორში ერთი: ან ავიღოთ ციხე, რათა შევინარჩუნოთ იგი, ანდა იერიშს ნუ მივიტანთ და განვაცხადოთ, რომ მხოლოდ პატარა ადგილი გვინდა ციხის მახლობლად.

ვილაპარაკებ პლეხანოვზე. იგი უაღრესად არასწორ ხერხს მიმართავს. იგი თავს არიდებს მნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებს, გამოსდევნებია წვრილმან შარებს, იყენებს სიყალბის ერთგვარ მომენტს. (ამ ხ. ბ ა რ ს ო ვ ი ს შ ე ძ ა ხ ი ლ ი: «დიახ!») «ვპერიოდი» ამტკიცებს, რომ საერთოდ მარქსის სქემა სწორია (სქემა თვითმპყრობელობის შეცვლისა ჯერ ბურჟუაზიული მონარქიით, ხოლო შემდეგ — წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული რესპუბლიკით), მაგრამ თუ ჩვენ წინასწარ

შევზღუდავთ ამ სქემით იმ მიჯნებს, რომლებამდეც წავალთ, ფილისტერები ვიქნებით. ამრიგად პლეხანოვის მიერ მარქსის დაცვა არის «verlorene Liebesmühe» (სიყვარულის დაკარგული ძალღონე). მარტინოვს რომ იცავს, პლეხანოვი იმოწმებს კომუნისტთა კავშირის[97] ცენტრ. კომიტეტის «მიმართვას»[98] კავშირის წევრებისადმი. ამ «მიმართვასაც» პლეხანოვი არასწორად გადმოგვცემს. იგი ჩრდილში ტოვებს იმას, რომ ეს «მიმართვა» იწერებოდა მაშინ, როცა ხალხის სრული გამარჯვება ველარ მოხერხდა, მიუხედავად პროლეტარიატის ძლევამოსილი აჯანყებისა ბერლინში 1848 წელს. ბურჟუაზიულ-კონსტიტუციურმა მონარქიამ უკვე შეცვალა თვითმპყრობელობა და, მაშასადამე, მთელ რევოლუციურ ხალხზე დაყრდნობილ დროებით მთავრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. «მიმართვის» მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ, მას შემდეგ, რაც სახალხო აჯანყებამ მარცხი განიცადა, მარქსი ურჩევს მუშათა კლასს — დაირაზმოს და მოემზადოს. ნუთუ ეს რჩევა გამოსადეგია რუსეთში მდგომარეობის გამოსარკვევად აჯანყების დაწყებამდე? ნუთუ ეს რჩევა არკვევს ჩვენს სადავო საკითხს, რომელიც პროლეტარიატის ძლევამოსილ აჯანყებას გულისხმობს? «მიმართვა» ასე იწყება: «...ორივე რევოლუციური წლის, 1848 — 1849 წლების, განმავლობაში კომუნისტთა კავშირმა ორნაირად გამოიჩინა თავი, ჯერ-ერთი, იმით, რომ მისი წევრები ყველგან ენერგიულად მონაწილეობდნენ მოძრაობაში... შემდეგ იმით, რომ მისი შეხედულებანი მოძრაობაზე» (რომლებიც გამოთქმულია, სხვათა შორის, «კომუნისტურ მანიფესტში») «ერთადერთი სწორი აღმოჩნდნენ»... «ამავე დროს კავშირის წინანდელი მტკიცე ორგანიზაცია საგრძნობლად შესუსტდა. მეტი წილი წევრები, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში, ფიქრობდნენ, რომ ფარულ საზოგადოებათა დრო წავიდა, და რომ საკმარისია მხოლოდ აშკარა გამოსვლა. ცალკეულმა წრეებმა და საზოგადოებებმა შეასუსტეს ურთიერთობა ცენტრალურ კომიტეტთან (ცენტრალურ გამგეობასთან — Zentralbehörde) და თანდათანობით სრულებით შეწყვიტეს იგი. ამრიგად, მაშინ როცა დემოკრატიული პარტია, წვრი-

ლი ბურჟუაზიის პარტია, სულ უფრო ირაზმებოდა გერმანიაში, მუშათა პარტიამ დაკარგა თავისი ერთადერთი მტკიცე დასაყრდენი, იგი ორგანიზებული სახით დარჩა, სულ ბევრი, ცალკეულ ადგილებში ადგილობრივი მიზნებისათვის, და ამის გამო საერთო მოძრაობაში (in der allgemeinen Bewegung) მთლიანად წვრილბურჟუაზიულ დემოკრატთა ბატონობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ მოექცა» («Ansprache»*, გვ. 75).

ამრიგად, მარქსი 1850 წელს აღნიშნავს, რომ წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ 1848 წ. უკვე განვლილი რევოლუციის დროს მოიგო ორგანიზებულობის მხრივ, მუშათა პარტიამ კი წააგო. ბუნებრივია, მარქსის მთელი ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ მუშათა პარტია კვლავ ბურჟუაზიის კუდში არ მოექცეს. «...ამჟამად, როცა ახალი რევოლუცია მოგველის, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მუშათა პარტია გამოვიდეს რაც შეიძლება უფრო ორგანიზებულად, რაც შეიძლება უფრო ერთსულოვნად და რაც შეიძლება უფრო დამოუკიდებლად, თუ მას არ სურს კვლავ, როგორც 1848 წელს, ექსპლოატირებულ იქნას ბურჟუაზიის მიერ და კუდში მისჩანჩალებდეს მას» («Ansprache», გვ. 76).

ბურჟუაზიული დემოკრატიის სწორედ ამ მეტი ორგანიზებულობის გამო მარქსს ეჭვი არ ეპარება, რომ იგი უთუოდ უპირატესობას მოიპოვებს, თუ მაშინვე ახალი გადატრიალება მოხდა. «წვრილბურჟუაზიული დემოკრატია რევოლუციის შემდგომი განვითარების განმავლობაში უპირატეს გავლენას რომ მოიპოვებს გერმანიაში განსაზღვრულ ხანს (für einen Augenblick), ეს სავსებით უეჭველია» («Ansprache», გვ. 78). თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ამას, ჩვენ გავიგებთ, რატომ არის, რომ «Ansprache»-ში მარქსი ერთ სიტყვასაც არ ამბობს პროლეტარიატის მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში. ამიტომ პლეხანოვი სრულებით არ არის მართალი, როცა ამტკიცებს, თითქოს მარქსს «დაუშვებ-

* — «მიმართვა». რ ე დ.

ლად მიაჩნდა ის აზრი, რომ პროლეტარიატის პოლიტიკურ წარმომადგენლებს შეუძლიათ წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად იშრომონ ახალი საზოგადოებრივი წყობილების შესაქმნელად» («ისკრა» № 96). ეს მართალი არ არის. მარქსი არ აყენებს დრ. რევ. მთავრობაში მონაწილეობის საკითხს, პლეხანოვს კი საქმე ისე გამოჰყავს, თითქოს მარქსი ამ საკითხს უარყოფით წყვეტდეს. მარქსი ამბობს: ჩვენ, ს.-დ., სულ ბოლოში ვიყავით მოქცეულნი, ჩვენ უფრო ცუდად ვართ ორგანიზებულნი, ჩვენ დამოუკიდებლად უნდა დავირაზმოთ იმ შემთხვევისათვის, თუ წვრილი ბურჟუაზია ახალი გადატრიალების შემდეგ ძალაუფლების საათავეში მოექცევაო. მარტინოვს მარქსის ამ ნამძღვარებიდან შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: ჩვენ, ს.-დ., რომელნიც ამჟამად წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაზე უკეთ ვართ ორგანიზებულნი და უთუოდ დამოუკიდებელ პარტიას შევადგენთ, უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ, აჯანყების წარმატების შემთხვევაში, დრ. რევ. მთავრობაში მონაწილეობის მიღება მოგვიხდებაო. დიახ! ამხ. პლეხანოვო, ერთია მარქსიზმი და სულ სხვაა მარტინოვიზმი. უფრო თვალსაჩინოდ რომ აღვნიშნოთ მთელი განსხვავება რუსეთის 1905 წ. მდგომარეობასა და გერმანიის 1850 წ. მდგომარეობას შორის, შევჩერდეთ კიდევ «მიმართვის» ზოგიერთ საინტერესო ადგილზე. მარქსი ერთი სიტყვითაც არ შეხებია პროლეტარიატის დემოკრატიულ დიქტატურას, რადგან მას სწამდა პროლეტარიატის უშუალო სოციალისტური დიქტატურა, წვრილბურჟუაზიული გადატრიალებისთანავე. მაგალითად, აგრარული საკითხის შესახებ იგი ამბობს, რომ დემოკრატიას სურს წვრილბურჟუაზიული გლეხური კლასი შექმნას, მუშები კი წინააღმდეგობას უნდა უწევდნენ ამ გეგმას სოფლის პროლეტარიატის ინტერესებისათვის და თავისი საკუთარი ინტერესებისათვისაო. ისინი უნდა მოითხოვდნენ, რომ კონფისკებული ფეოდალური საადგილ-მამულო საკუთრება სახელმწიფო საკუთრებად დარჩეს და გადაიქცეს მუშათა კოლონიებად, რომლებშიც ასოციირებული სოფლის პროლეტარიატი მსხვილი აგრიკულტურის ყველა საშუალებით უნდა სარგებლობდესო. ცხადია, როცა ამგვარი გეგმები ჰქონდა, მარქსს არ

შ ე ე ძ ლ ო ლაპარაკი დემოკრატიულ დიქტატურაზე. იგი წერდა არა რევოლუციის წინახანს, როგორც ორგანიზებული პროლეტარიატის წარმომადგენელი, არამედ რევოლუციის შემდეგ, როგორც ორგანიზების პროცესში მყოფი მუშების წარმომადგენელი. მარქსი ხაზგასმით აღნიშნავს, როგორც პირველ ამოცანას, რომ «გადატრიალების შემდეგ ცენტრალური კომიტეტი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს გერმანიაში, მოიწვიოს იქ პარტიის ყრილობა და წინადადება მისცეს მას მიიღოს ზომები მუშათა კლუბების ცენტრალიზაციისათვის». ამრიგად, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის იდეა, რომელიც ჩვენ ძვალსა და რბილში გაგვიჯდა, მაშინ ახალი იყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1848 წელს, როცა მარქსი რედაქტორობდა თავისუფალ და უკიდურეს რევოლუციურ გაზეთს («Neue Rheinische Zeitung» [99]), იგი არავითარ მუშურ ორგანიზაციას არ ეყრდნობოდა. მის გაზეთს ეხმარებოდნენ რადიკალური ბურჟუები, რომლებმაც კინაღამ ჩაფუშეს გაზეთის საქმე, როცა მარქსი მასში თავს დაესხა პარიზის ბურჟუაზიას ივნისის დღეების შემდეგ. ამიტომაც ასე ბევრი ლაპარაკია ამ «მიმართვაში» მუშების დამოუკიდებელ ორგანიზაციაზე. იქ ლაპარაკია ახალი ოფიციალური მთავრობის გვერდით მუშათა რევოლუციური მთავრობების შექმნაზე, როგორც მუშათა კლუბებისა და მუშათა კომიტეტების ფორმით, ისე სათემო საბჭოებისა და კომუნალური სამმართველოების ფორმით. იქ ლაპარაკია იმაზე, რომ მუშები შეიარაღებული უნდა იყვნენ და შექმნან დამოუკიდებელი მუშათა გვარდია. როგორც პროგრამის მე-2 პუნქტი აღნიშნულია, რომ იქ, ბურჟუაზიის კანდიდატებთან ერთად, წამოყენებულ უნდა იქნან მუშათა კანდიდატები, შეძლებისდაგვარად კავშირის წევრებიდან. თუ რა სუსტი იყო ეს კავშირი, ამას ის გვიჩვენებს, რომ მარქსი იძულებული იყო ემტკიცებინა საკუთარი კანდიდატურების წამოყენების საჭიროება. ყოველივე აქედან დასკვნა ის არის, რომ მარქსი არ იხსენიებდა და არ წყვეტდა დრ. რევ. მთავრობაში მონაწილეობის საკითხს, რადგან ამ საკითხს მაშინ არ შეიძლებოდა რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონოდა, და მთელი ყურადღება სავსებით მი-

პყრობილი იყო დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანიზაციაზე.

შემდეგ პლეხანოვი «ისკრაში» ამბობს, «ვპერიოდს» არავითარი არსებითად დამამტკიცებელი საბუთი არ მოჰყავსო, იგი სჯერდება რამდენიმე აჩემებული სიტყვის განმეორებას, თითქოს «ვპერიოდს» სურს მარქსი გააკრიტიკოს. ვითომ ასეა? ხომ არ ვხედავთ, პირიქით, რომ «ვპერიოდი» საკითხს კონკრეტულ ნიადაგზე აყენებს, ითვალისწინებს რა რეალურ საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც რუსეთში მონაწილეობას იღებენ დემოკრატიული გადატრიალებისათვის ბრძოლაში. პლეხანოვი კი კრინტსაც არა ძრავს რუსეთის კონკრეტულ პირობებზე. მთელი მისი ავლადიდება ორიოდე უადგილოდ მოყვანილი ციტატით განისაზღვრება. ეს განსაცვიფრებელია, მაგრამ ეს ასეა. რუსეთის სიტუაცია იმდენად განსხვავდება დასავლეთ ევროპის სიტუაციისაგან, რომ პარვუსს შეეძლო კითხვაც კი დაეყენებინა, სად არის ჩვენში რევოლუციური დემოკრატიაო. რადგან საშუალება არა აქვს დაამტკიცოს, რომ «ვპერიოდს» სურს მარქსი «გააკრიტიკოს», პლეხანოვი ყურით მოათრევს მახსა და ავენარიუსს. სრულებით ვერ გამიგია, რა დამოკიდებულება აქვთ ამ მწერლებს, რომლებისადმი ოდნავ სიმპათიასაც კი არა ვგრძნობ, სოციალური რევოლუციის საკითხთან. ისინი წერდნენ ცდის ინდივიდუალურ და სოციალურ ორგანიზაციაზე, თუ რაღაც ამგვარს, მაგრამ, გარწმუნებთ, დემოკრატიულ დიქტატურაზე სულაც არ ფიქრობდნენ. ხომ არ მოეხსენება პლეხანოვს, რომ პარვუსი მახისა და ავენარიუსის მომხრე გახდა? (ს ი ც ი ლ ი.) ანდა, იქნებ, პლეხანოვს ისე აქვს საქმე, რომ იძულებულია სრულიად უადგილოდ სასროლო ნიშნად გამოიყენოს მახი და ავენარიუსი. შემდეგ პლეხანოვი ამბობს, რომ მარქსმა და ენგელსმა მალე დაკარგეს სოციალური რევოლუციის სიახლოვის იმედი. კომუნისტთა კავშირი დაიშალა. დაიწყო ემიგრანტული კინკლაობა, რაც მარქსმა და ენგელსმა იმით ახსნეს, რომ რევოლუციონერები იყვნენ, მაგრამ რევოლუცია არ ყოფილაო. პლეხანოვი «ისკრაში» წერს: «პროლეტარიატის პოლიტიკური ამოცანები განსაზღვრული იქნებოდა მათ მიერ» (მარქსისა და ენგელსის მიერ, რომლებმაც სოციალური რევო-

ლუციის სიახლოვის იმედი დაკარგესო) «უკვე იმ ვარაუდით, რომ დემოკრატიული წყობილება გაბატონებული დარჩება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ სწორედ ამიტომ ისინი კიდევ უფრო გადაჭრით დაგმობდნენ სოციალისტების მონაწილეობას წვრილბურჟუაზიულ მთავრობაში» («ისკრა» № 96). რატომ? პასუხი არ არის. პლეხანოვი კვლავ ცვლის დემოკრატიულ დიქტატურას სოციალისტურით, ე. ი. იმეორებს მარტინოვის შეცდომას, რომლის წინააღმდეგ «ვპერიოდი» ბევრჯერ ენერგიულად აფრთხილებდა. პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის გარეშე რუსეთში რესპუბლიკა შეუძლებელია. ეს მტკიცება «ვპერიოდმა» წამოაყენა რეალური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე. სამწუხაროდ, მარქსი ამ სიტუაციას არ იცნობდა და მის შესახებ არ უწერია. ამიტომ ამ სიტუაციის ანალიზის არც დადასტურება შეიძლება და არც გაბათილება მარტო მარქსიდან ციტატების მოყვანით. კონკრეტულ პირობებზე კი პლეხანოვი კრინტსაც არა ძრავს.

კიდევ უფრო უადგილოდ მოყვანილია მეორე ციტატი ენგელსიდან. ჯერ-ერთი, მეტად უცნაურია, რომ პლეხანოვი იმოწმებს კერძო წერილს, იმის აღუნიშნავად, თუ სად და როდის გამოქვეყნდა იგი [100]. ენგელსის წერილების გამოქვეყნებისათვის ჩვენ ძალიან მადლობელი ვიქნებოდით, მაგრამ გვსურდა გვენახა მათი სრული ტექსტი. მაგრამ ზოგიერთი მონაცემი გვაქვს, რომ ვიმსჯელოთ ენგელსის წერილის ჭეშმარიტ აზრზე.

ჩვენ ზუსტად ვიცით — ეს მეორე, — რომ სიტუაცია ოთხმოცდაათიანი წლების იტალიაში სრულებით არა ჰგავს რუსეთისას. იტალია ორმოც წელიწადზე მეტ ხანს უკვე სარგებლობდა თავისუფლებით. რუსეთში მუშათა კლასს ოცნებაც არ შეუძლია ასეთ თავისუფლებაზე ბურჟუაზიული რევოლუციის გარეშე. მაშასადამე, იტალიაში მუშათა კლასს უკვე დიდი ხანია შეეძლო განევითარებინა დამოუკიდებელი ორგანიზაცია სოციალისტური გადატრიალებისათვის. ტურატი იტალიელი მილიერანია. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ მაშინაც ტურატი მილიერანისტული იდეებით გამოდიოდა. ასეთი მოსა-

ზრება სავსებით დასტურდება იმით, რომ, თვით პლეხანოვის სიტყვით, ენგელსს უხდებოდა განემარტნა ტურატისათვის განსხვავება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ გადატრიალებას შორის. მაშასადამე, ენგელსს სწორედ იმისა ეშინოდა, რომ ტურატი იმ ბელადის ყალბ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვისაც არ ესმის იმ გადატრიალების სოციალური აზრი, რომელშიც იგი მონაწილეობს. მაშასადამე, პლეხანოვის შესახებ ჩვენ ერთხელ კიდევ გვიხდება გავიმეოროთ, რომ იგი ერთმანეთში ურევს დემოკრატიულ და სოციალისტურ გადატრიალებას.

მაგრამ იქნებ მარქსისა და ენგელსის ნაწერებში შეიძლება ვიპოვოთ პასუხი არა რუსეთის კონკრეტულ სიტუაციაზე, არამედ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ზოგად პრინციპებზე? ყოველ შემთხვევაში «ისკრამ» დააყენა ერთი ასეთი ზოგადი კითხვა.

№ 93-ში იგი წერს: «საუკეთესო გზა პროლეტარიატის დარაზმვისა ოპოზიციურ პარტიად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოს მიმართ არის ის გზა, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია ქვემოდან განვითარდეს პროლეტარიატის ზეგავლენით ხელისუფლების სათავეში მდგომ დემოკრატიაზე». «ისკრა» ამბობს: ««ვპერიოდს» სურს, რომ პროლეტარიატის ზეგავლენა რევოლუციაზე (?) მოდიოდეს არა მარტო ქვემოდან, არა მარტო ქუჩიდან, არამედ ზემოდანაც, დროებითი მთავრობის სრა-სასახლიდან». ეს ფორმულირება სწორია; «ვპერიოდს» მართლაც სურს ეს. აქ ჩვენს წინაშეა მართლაც ზოგადი პრინციპული საკითხი: რევოლუციური მოქმედება დასაშვებია ქვემოდან თუ აგრეთვე ზემოდანაც. ამ ზოგად საკითხზე შეიძლება ვიპოვოთ პასუხი მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში.

მხედველობაში მაქვს ენგელსის საინტერესო სტატია: «ბაკუნისტები სამუშაოზე»[101] (1873 წ.). ენგელსი მოკლედ ასწერს ესპანეთის 1873 წ. რევოლუციას, როცა ამ ქვეყანას მოედო ინტრანსიჟენტების, ე. ი. უკიდურესი რესპუბლიკელების აჯანყება. ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მუშათა კლასის დაუყოვნებლივ განთა-

ვისუფლებაზე. ამოცანა ის იყო, რომ დაეჩქარებინათ პროლეტარიატისათვის სოციალური რევოლუციის მოსამზადებელი წინასწარი სტადიების გავლა, მოეშორებინათ ამ რევოლუციის გზაზე გადაღობილი დაბრკოლებანი. ესპანეთის მუშათა კლასს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა, თუ ენერგიულად მიიღებდა მონაწილეობას რევოლუციაში. ასეთ მონაწილეობას მაშინ ხელს უშლიდა ბაკუნისტების გავლენა და სხვათა შორის მათი იდეა საყოველთაო გაფიცვისა, რომელსაც მოხდენილად აკრიტიკებს ენგელსი. ენგელსი აღწერს, სხვათა შორის, იმ ამბებს, რომლებიც მოხდა ქალაქ Alcoy-ში*, სადაც 30 ათასი საფაბრიკო მუშა იყო. პროლეტარიატი იქ მდგომარეობის ბატონ-პატრონი აღმოჩნდა. როგორ მოიქცა იგი მაშინ? ბაკუნიზმის პრინციპების მიუხედავად საჭირო გახდა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის მიღება. «ბაკუნისტები, — ამბობს ენგელსი, — მრავალი წლის განმავლობაში ქადაგებდნენ, რომ ზემოდან ქვემოთ მომდინარე ყოველი რევოლუციური მოქმედება მავნეა; ყველაფერი ქვემოდან ზემოთ უნდა მოეწყოს და გატარდესო».

ამრიგად, აი როგორ უპასუხა ენგელსმა «ისკრის» მიერ დაყენებულ ზოგად საკითხზე «ზემოდან და ქვემოდან» მოქმედების შესახებ. «ისკრის» პრინციპი: «მხოლოდ ქვემოდან და არავითარ შემთხვევაში ზემოდან» — ანარქისტული პრინციპია. გამოჰყავს რა დასკვნა ესპანეთის რევოლუციის ამბებიდან, ენგელსი ამბობს: «ბაკუნისტები იძულებული იყვნენ ემოქმედნათ საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ, იმ პრინციპის წინააღმდეგ, თითქოს რევოლუციური მთავრობის დაარსება მუშათა კლასის ახალი მოტყუება და ახალი ღალატი იყოს» (როგორც ახლა პლეხანოვს სურს დაგვარწმუნოს). «წინააღმდეგ ამ პრინციპებისა ბაკუნისტები იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ცალკეული ქალაქების მმართველ კომიტეტებში და ამასთან როგორც

* — ალკოი. რ ე დ.

უძლურ უმცირესობას, რომელიც მაიორიზებული და პოლიტიკურად ექსპლოატირებული იყო ბურჟუაზიის მიერ». ამრიგად, ენგელსს არ მოსწონს მხოლოდ ის, რომ ბაკუნისტები უმცირესობას წარმოადგენდნენ, და არა ის, რომ ისინი იქ მონაწილეობას იღებდნენ. ამთავრებს რა ბროშურას, ენგელსი ამბობს, ბაკუნისტების მაგალითი «გვიჩვენებს, თუ რიგორ არ უნდა ვაკეთოთ რევოლუციაო».

მარტოვს თავისი რევოლუციური მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ქვემოდან მოქმედებით რომ შეეზღუდა, იგი ბაკუნისტების შეცდომას გაიმეორებდა.

მაგრამ «ისკრა», რომელმაც «ვპერიოდთან» პრინციპული უთანხმოება შეთხზა, თვითონ იხრება ჩვენს თვალსაზრისზე. მაგალითად, მარტინოვი ამბობს, რომ პროლეტარიატმა, ხალხთან ერთად, უნდა აიძულოს ბურჟუაზია ბოლომდე მიიყვანოს რევოლუციაო. მაგრამ სწორედ ეს სხვა არა არის რა, თუ არა «ხალხის», ე. ი. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა. ბურჟუაზიას სრულებითაც არ სურს ბოლომდე მიიყვანოს რევოლუცია. ხალხს კი უნდა სურდეს ეს თავისი ცხოვრების სოციალური პირობების მიხედვით. რევოლუციური დიქტატურა გაანათლებს მას და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩააბამს.

«ისკრა» № 95-ში წერს:

«მაგრამ, ჩვენი ნება-სურვილის დამოუკიდებლად, რევოლუციის შინაგან დიალექტიკას ბოლოს და ბოლოს მაინც რომ მივეყვანეთ ძალაუფლებამდე, როცა ნაციონალური პირობები სოციალიზმის განხორციელებისათვის ჯერ კიდევ არ მომწიფებულა, ჩვენ უკან როდი დავიხევდით. ჩვენ მიზნად დავისახავდით დაგვემსხვრია რევოლუციის ვიწრო ნაციონალური ჩარჩოები და რევოლუციის გზაზე გვებიძგებინა დასავლეთისათვის, როგორც ასი წლის წინათ საფრანგეთმა ამ გზაზე უბიძგა აღმოსავლეთს».

ამრიგად, «ისკრა» თვითონ აღიარებს, ისეთი უბედურება რომ მომხდარიყო, რომ ჩვენ გაგვემარჯვნა, სწორედ ისე უნდა გვემოქმედნა, როგორც «ვპერიოდი» მიგვითითებსო. მაშასადამე, პრაქტიკულ საკითხში «ისკრა»

«ვპერიოდის» კვალზე მიდის და ძირს უთხრის თავის საკუთარ პოზიციას. მხოლოდ არ მესმის, როგორ შეიძლება მარტოვი და მარტინოვი მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიათრიო ძალაუფლებამდე? ეს უკვე მთლად უაზრობაა.

«ისკრას» მაგალითისათვის საფრანგეთი მოჰყავს. მაგრამ ეს იაკობინური საფრანგეთია. რევოლუციის მომენტში იაკობინელობით დაფრთხობა უდიდესი უხამსობაა. დემოკრატიული დიქტატურა, როგორც უკვე აღვნიშნე, არის არა «წესრიგის» ორგანიზაცია, არამედ ომის ორგანიზაცია. ჩვენ პეტერბურგიც რომ ჩაგვეგდო ხელში და გილიოტინით თავი მოგვეკვეთნა ნიკოლოზისათვის, ჩვენს წინაშე რამდენიმე ვანდეა[102] გვექნებოდა. და მარქსს მშვენივრად ესმოდა ეს, როცა 1848 წელს «რეინის ახალ გაზეთში» იაკობინელებს მოგვაგონებდა. იგი ამბობდა: «1793 წ. ტერორი სხვა არა არის რა, თუ არა პლებეური საშუალება — ანგარიში გაუსწორო აბსოლუტიზმსა და კონტრრევოლუციასო»[103]. ჩვენც ვამჯობინებთ «პლებეურად» გავუსწოროთ ანგარიში რუსეთის თვითმპყრობელობას, ჟირონდისტული საშუალებები კი «ისკრისათვის» დაგვითმია. რუსეთის რევოლუციას აქვს უმაგალითოდ ხელსაყრელი სიტუაცია (ხალხის საწინააღმდეგო ომი, თვითმპყრობელობის აზიური კონსერვატიზმი და სხვ.). და ეს სიტუაცია ნებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ აჯანყება წარმატებით დამთავრდება. პროლეტარიატის რევოლუციური განწყობილება დღითიდღე კი არა, ყოველ საათობით ძლიერდება. და ასეთ მომენტში მარტინოველობა არათუ სისულელეა, არამედ დანაშაულიც არის, რადგან იგი ძირს უთხრის პროლეტარიატის რევოლუციური ენერგიის გაქანებას, კვეცავს მის რევოლუციურ ენთუზიაზმს. (ლიადოვი: «სრული სიმართლეა!») ეს სწორედ ის შეცდომაა, რომელსაც, სხვა ვითარებაში, არა დემოკრატიული, არამედ სოციალისტური დიქტატურის საკითხზე სჩადიოდა გერმანიის პარტიაში ბერნშტეინი.

რათა უფრო კონკრეტული წარმოდგენა მოგცეთ, თუ როგორია სინამდვილეში დრ. რევ. მთავ. ეს სანაქებო «სრა-სასახლე», დავიმოწმებ კიდევ ერთ წყაროს. ენგელსს თავის სტა-

ტიაში «Die Reichsverfassungskampagne* აწერილი აქვს, თუ როგორ იღებდა იგი მონაწილეობას რევოლუციაში ამ «სრასასახლის» მახლობლად[104]. იგი აღწერს, მაგალითად, აჯანყებას რეინის პრუსიაში, რომელიც გერმანიის ერთ-ერთი უაღრესად ინდუსტრიული ცენტრი იყო. დემოკრატიული პარტიის გამარჯვების შანსები, ამბობს იგი, აქ განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი თავისუფალი ძალები გადაეყვანათ რეინის მარჯვენა ნაპირზე, გაევრცელებინათ აჯანყება უფრო ფართო ასპარეზზე და ეცადნათ შეექმნათ აქ ლანდვერის (ზურგის ლაშქრის) საშუალებით რევოლუციური არმიის ბირთვი. სწორედ ასეთი წინადადება წამოაყენა ენგელსმა, როცა იგი ელბერფელდში მიდიოდა, რათა ყველაფერი გაეკეთებინა, რაც კი შესაძლებელი იყო, თავისი გეგმის განსახორციელებლად. და ენგელსი თავს ესხმის წვრილბურჟუაზიულ ბელადებს იმისათვის, რომ მათ არ ჰქონდათ აჯანყების მოწყობის უნარი, არ მოიმარაგეს ფული, მაგალითად, ბარიკადებზე მებრძოლი მუშების შესანახად, და ა. შ.. საჭირო იყო უფრო ენერგიულად მოქმედებაო, ამბობს ენგელსი. პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ელბერფელდის სამოქალაქო არმიის განიარაღება და მისი იარაღის განაწილება მუშებს შორის, შემდეგ იძულებითი გადასახადის აკრეფა ამგვარად შეიარაღებული მუშების შესანახადაო. მაგრამ ეს წინადადება, ამბობს ენგელსი, მარტოოდენ და მხოლოდ და მხოლოდ ჩემი იყოო. საზოგადოებრივი უშიშროების დიდად პატივცემულ კომიტეტს ასეთი «ტერორისტული წამოწყებებისადმი» ოდნავი მიდრეკილებაც არა ჰქონდაო.

ამრიგად, მაშინ როცა ჩვენი მარქსი და ენგელსი (უკაცრავად, — მარტინოვი და მარტოვი) (ჰ ო მ ე რ ო ს ე უ ლ ი ხ ა რ ხ ა რ ი) იაკობინელობით გვაფრთხობენ, ენგელსი რევოლუციურ წვრილბურჟუაზიას ამათრახებდა «იაკობინური» მოქმედების უგულებელყოფისათვის. ენგელსს ესმოდა, რომ ომს აპირებდე და სახელმწიფო ხაზინაზე და სახელმწიფო ძალაუფლებაზე უარს ამბობდე — ომის დროს — ნიშნავს არასა-

* — «კამპანია საიმპერიო კონსტიტუციისათვის». რ ე დ.

კადრისად ოინბაზობდე სიტყვებით. საიდანღა იშოვით აჯანყებისათვის საჭირო ფულს, თუ ეს აჯანყება საერთო სახალხო გახდა, ბ-ნო ახალისკრელებო? სახელმწიფო სალაროდან არა, განა? ეს ბურჟუაზიულია! ეს იაკობინელობაა!

ბადენში მომხდარი აჯანყების გამო ენგელსი წერს: «ინსურექციულ მთავრობას წარმატების ყველა შანსი ჰქონდა: მზა არმია, სავსე არსენალები, მდიდარი სახელმწიფო ხაზინა, ერთსულოვანი მოსახლეობა». ყველა და ყოველი უკანა რიცხვით მიხვდა, რა უნდა ექნათ ასეთ პირობებში. უნდა მოეწყოთ ჯარი ნაციონალური კრების დასაცავად, გაერეკათ ავსტრიელები და პრუსიელები, გადაეტანათ აჯანყება მეზობელ სახელმწიფოებში და «დაეყენებინათ უხერხემლო, გერმანული, ეგრეთწოდებული ნაციონალური კრება აჯანყებული მოსახლეობისა და აჯანყებული არმიის ტერორისტული გავლენის ქვეშ; შემდეგ, უნდა დაერაზმათ აჯანყების ძალები, გადაეცათ მის განკარგულებაში ფულის დიდი თანხები, აჯანყებით დაეინტერესებინათ მიწათმოქმედი მოსახლეობა ყველა ფეოდალური ბეგრის დაუყოვნებლივ გაუქმების საშუალებით. და ყოველივე ეს უნდა გაეკეთებინათ დაუყოვნებლივ, რომ აჯანყებისათვის ენერგიული ხასიათი მიეცათ. უშიშროების კომიტეტის დანიშვნის დღიდან ერთი კვირის შემდეგ გვიანღა იყო».

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რევოლუციური ს.-დ-ები, რუსეთში აჯანყების დროს ენგელსის მაგალითისამებრ რევოლუციის ჯარისკაცებად რომ ჩაეწერებიან, ასეთსავე «იაკობინურ» რჩევას მოგვცემენ. ჩვენი «ისკრა» კი საარჩევნო ბიულეტენების კონვერტთა ფერის შესახებ წერას ამჯობინებს, ხოლო უკანა რიგში აყენებს დრ. რევ. მთავრობისა და დამფუძნებელი კრების რევოლუციური დაცვის საკითხს. ჩვენი «ისკრა» არავითარ შემთხვევაში არ აპირებს იმოქმედოს «ზემოდან».

კარლსრუედან ენგელსი პფალცს წავიდა. დროებითს მთავრობაში მონაწილეობდა მისი მეგობარი დ'ესტერი (რომელმაც ერთხელ ენგელსი პატიმრობიდან გაათავისუფლა). «იმ მოძრაობაში ოფიციალურ მონაწილეობაზე, რომელიც **უცხო** იყო

ჩვენი პარტიისათვის, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, — ამბობს ენგელსი. — მე მოძრაობაში მხოლოდ ის ადგილი უნდა დამეკავებინა, რომლის დაკავებაც შეეძლოთ «რეინის ახალი გაზეთის» მუშაკებს — ჯარისკაცის ადგილი». ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი კომუნისტთა კავშირის იმ დაშლაზე, რაც ენგელსს მუშათა ორგანიზაციებთან თითქმის ყოველგვარი კავშირის გარეშე აყენებდა. ეს გასაგებს ხდის ჩვენ მიერ მოყვანილ ციტატს: «მე ბევრ სამოქალაქო და სამხედრო ადგილს მთავაზობდნენ, — წერს ენგელსი, — ადგილებს, რომელთა მიღებაზე ერთ წუთსაც არ ვიყოყმანებდი პროლეტარული მოძრაობის დროს. ასეთ პირობებში ყველა ამ ადგილზე უარი განვაცხადე».

როგორც ხედავთ, ენგელსს არ ეშინოდა ემოქმედნა ზემოდან, არ ეშინოდა პროლეტარიატის მეტისმეტად დიდი ორგანიზებულობისა და ძალისა, რომელსაც შეეძლო დროებითს მთავრობაში მონაწილეობამდე მიეყვანა იგი. ენგელსი, პირიქით, სწუხდა, რომ მოძრაობა არ იყო საკმაოდ წარმატებული, საკმაოდ პროლეტარული მუშათა სრული დაურაზმაობის გამო. მაგრამ ამ პირობებშიც კი ენგელსი დათანხმდა მიეღო ადგილი: იგი მსახურობდა არმიაში ვილიხის ადიუტანტად, კისრულობდა ამუნიციის მიწოდებას, წარმოუდგენელ სიძნელეთა პირობებში გადაჰქონდა ტყვია-წამალი, ვაზნები და სხვ. «სიკვდილი რესპუბლიკისათვის, ასეთი იყო ჩემი მაშინდელი მიზანიო», წერს ენგელსი.

ახლა თვითონ განსაჯეთ, ამხანაგებო, ჰგავს თუ არა დროებითი მთავრობის ეს, ენგელსის სიტყვების მიხედვით, დახატული სურათი იმ «სრა-სასახლეს», რომლითაც ცდილობს ახალი «ისკრა» დაგვიფრთხოს და ჩამოგვაშოროს მუშები. (ტაში.) (ორატორი კითხულობს თავისი რეზოლუციის პროექტს და კომენტარს უკეთებს მას.)

14

პროექტი რეზოლუციისა დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ როგორც უშუალო ინტერესები რუსეთის პროლეტარიატისა, ისე სოციალიზმის საბოლოო მიზნებისათვის მისი ბრძოლის ინტერესები მოითხოვენ რაც შეიძლება სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას და, მაშასადამე, — მართვა-გამგეობის თვითმპყრობელური ფორმის შეცვლას დემოკრატიული რესპუბლიკით;

2) რომ შეიარაღებული სახალხო აჯანყება მისი სრული წარმატების შემთხვევაში, ე. ი. თვითმპყრობელობის დამხობისას, აუცილებლად გამოიწვევს დროებითი რევოლუციური მთავრობის დაარსებას, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უზრუნველყოს აგიტაციის სრული თავისუფლება და მოიწვიოს ხალხის ნების ნამდვილად გამომხატველი დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით;

3) რომ ეს დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში კი არ შეასუსტებს, არამედ გააძლიერებს ბურჟუაზიის ბატონობას, ბურჟუაზიისა, რომელიც არაფერს არ მოერიდება და განსაზღვრულ მომენტში უეჭველად შეეცდება წაართვას რუსეთის პროლეტარიატს რევოლუციური პერიოდის მონაპოვართა რაც შეიძლება მეტი ნაწილი, —

რსდმპ III ყრილობა ადგენს:

ა) რომ საჭიროა გავავრცელოთ მუშათა კლასში დროებითი რევოლუციური მთავრობის აუცილებელი საჭიროების რწმენა და მუშათა კრებებზე განვიხილოთ ჩვენი პროგრამის ყველა უახლოესი პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნის დაუყოვნებლივ მთლიანად განხორციელების პირობები;

ბ) ხალხის ძლევამოსილი აჯანყებისა და თვითმპყრობელობის სრული დამხობის შემთხვევაში დასაშვებია დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ჩვენი პარტიის რწმუნებულთა მონაწილეობა ყველა კონტრრევოლუციურ ცდასთან ულმობელი ბრძოლისა და მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვის მიზნით;

გ) ასეთი მონაწილეობის აუცილებელ პირობებს წარმოადგენენ: პარტიის სასტიკი კონტროლი თავისი რწმუნებულებისადმი და სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობის განუხრელად დაცვა, სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც სრული სოციალისტური გადატრიალებისაკენ მიისწრაფის და ამდენად შეურიგებლად მტრულია ყველა ბურჟუაზიული პარტიისადმი;

დ) დამოუკიდებლად იმისა, შესაძლებელი იქნება თუ არა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, საჭიროა პროლეტარიატის უაღრესად ფართო ფენებში ვეწეოდეთ იმ იდეის პროპაგანდას, რომ აუცილებლად საჭიროა შეიარაღებული და სოციალ-დემოკრატიის წინამძღოლობით მოქმედი პროლეტარიატი მუდმივ ზეგავლენას ახდენდეს დროებითს მთავრობაზე რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით.

დაწერილია 1905 წ. 18 აპრილამდე (1 მაისამდე)

15

სიტყვა დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ რეზოლუციის შესწორებებზე 19 აპრილს (2 მაისს)

საერთოდ და მთლიანად მე ვიზიარებ ამხ. ზიმინის აზრს. ბუნებრივია, რომ მე, როგორც ლიტერატორმა, ყურადღება მივაქციე საკითხის ლიტერატურულ დაყენებას. ბრძოლის მიზნის მნიშვნელოვანება ძალიან სწორად არის აღნიშნული ამხ. ზიმინის მიერ, და მე სავსებით ვუერთდები მას. არ შეიძლება იბრძოდე, თუ იმედი არა გაქვს დაიკავო ის პუნქტი, რომლისთვისაც იბრძვი...

ამხ. ზიმინის შესწორება 2) პუნქტისა: «რომ განხორციელება და ა. შ. ... დროებითი მთავრობა, რომელსაც ერთადერთს» და ა. შ. — სავსებით მიზანშეწონილია, და მე სიამოვნებით ვიღებ მას. — ასევე მე-3 პუნქტის შესწორებაც, — აქ უადგილო არ იქნება აღინიშნოს, რომ მოცემულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ პირობებში ბურჟუაზია აუცილებლად გაძლიერდება. — რეზოლუციური ნაწილის ა) პუნქტში გამოთქმა «პროლეტარიატი მოითხოვს» სჯობია ჩემს ფორმულირებას, რადგან სიმძიმის ცენტრი გადატანილია პროლეტარიატზე. ბ) პუნქტში სავსებით მართებულია მითითება ძალთა თანაფარდობისაგან დამოკიდებულებაზე. ამ ფორმულირებისას, მე მგონია, ზედმეტი ხდება ამხ. ანდრეევის[105] შესწორება. სხვათა შორის, მე მინდა ვიცოდე რუსი ამხანაგების აზრი, ნათელია თუ არა გამოთქმა «უახლოესი მოთხოვნების», და ხომ არ არის საჭირო ფრჩხილებში ჩავუმატოთ «პროგრამა-მინიმუმისა». გ) პუნქტ-

ში მე ნახმარი მაქვს სიტყვა «წარმოადგენს», ხოლო ამხ. ზიმინს «ისმება», — ცხადია, აქ საჭიროა სტილისტური შესწორება. იქ, სადაც ლაპარაკია პარტიის კონტროლზე, მე მგონია, უკეთესია ჩემი ძველი ფორმულირება: «სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობის დაცვა», ვიდრე ამხ. სიმინის მიერ წამოყენებული — «შენარჩუნება». ჩვენი ამოცანაა არა მარტო «შევინარჩუნოთ» სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობა, არამედ მუდმივადაც «ვიცავდეთ» მას. ამხ. სოსნოვსკის შესწორება, რომელიც ამ პუნქტს შეეხება, მხოლოდ აუარესებს ფორმულირებას, უფრო ბუნდოვანს ხდის მას. ამხ. ანდრეევის შესწორებანი ნაწილ-ნაწილ შედიან ჩემი და ამხ. ზიმინის რეზოლუციის პუნქტებში. ამასთან, არა მგონია მართებული იყოს, რომ გამოთქმა «დროებითი მთავრობა» ფორმულირებაში შევიტანოთ მრავლობითი რიცხვით, როგორც ამხ. ანდრეევი იძლევა წინადადებას. რა თქმა უნდა, ჩვენში შეიძლება ბევრი დროებითი მთავრობა იყოს, მაგრამ ამის აღნიშვნა საჭირო არ არის, რადგან ჩვენ სრულებითაც არ მივისწრაფით ასეთი დაქუცმაცებისაკენ. ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ რუსეთის ერთიან დროებითს მთავრობას და ვეცდებით შევქმნათ «ერთიანი ცენტრი და თანაც რუსული». (ს ი ც ი ლ ი.)

16

მოხსენება რეზოლუციაზე გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის შესახებ 19 აპრილს (2 მაისს)

იმ 17 ამხანაგის განცხადების გამო, რომლებიც აღნიშნავდნენ ყრილობის მუშაობის დაჩქარების უკიდურეს საჭიროებას, მე შევეცდები რაც შეიძლება მოკლედ მოვჭრა სიტყვა. კაცმა რომ თქვას, განსახილველ საკითხში პრინციპულად სადავო პუნქტები არ არის; ისინი არ წამოუყენებიათ პარტიული კრიზისის დროსაც კი, რომელიც მდიდარი იყო «პრინციპული» უთანხმოებით.

გარდა ამისა, რეზოლუციის პროექტი უკვე საკმაოდ დიდი ხანია დაბეჭდილია გაზეთ «ვპერიოდში», და მე მხოლოდ ამ რეზოლუციის დაცვას დავჯერდები.

გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის საკითხი, შეიძლება ითქვას, ორად იყოფა: 1) თეორიული საფუძვლები და 2) პარტიის პრაქტიკული გამოცდილება. ამ უკანასკნელ საკითხზე პასუხს მოგვცემს მეორე მომხსენებელი, ამხ. ბარსოვი [106], რომელიც საუცხოოდ იცნობს ყველაზე მოწინავე გლეხურ მოძრაობას — გურიაში. რაც შეეხება საკითხის თეორიულ საფუძვლებს, ახლა საქმე იმით განისაზღვრება, რომ გავიმეოროთ სოციალ-დემოკრატიის მიერ შემუშავებული ლოზუნგები გლეხთა ახლანდელ მოძრაობასთან შეფარდებით. ეს მოძრაობა ჩვენს თვალწინ ფართოვდება და იზრდება. მთავრობა კვლავ მიმართავს ძველებურ ცდებს მოატყუოს გლეხები ცრუ დათ-

მობებით. საჭიროა გარყვნის ამ პოლიტიკას დავუპირდაპიროთ ჩვენი პარტიის ლოზუნგები.

ეს ლოზუნგები, ჩემი აზრით, ფორმულირებულია, შემდეგი რეზოლუციის პროექტში:

«რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია როგორც შეგნებული პროლეტარიატის პარტია, მიისწრაფის საკვლებით იხსნას ყველა მშრომელნი ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან და მხარს უჭერს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას თანამედროვე საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ. ამიტომ რსდმპ უაღრესად ენერგიულად უჭერს მხარს თანამედროვე გლეხურ მოძრაობასაც, იცავს ყველა რევოლუციურ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს გლეხობის მდგომარეობა, და არ ერიდება ამ მიზნისთვის მემამულეთა მიწის ექსპროპრიაციას. ამასთან რსდმპ, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი პარტია, განუხრელად მიისწრაფის სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციისაკენ და ერთი წუთითაც არ ივიწყებს ამოცანას— განუმარტოს სოფლის პროლეტარიატს მისი ინტერესებისა და გლეხური ბურჟუაზიის ინტერესების მტრული წინააღმდეგობა, განუმარტოს მას, რომ სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატის მხოლოდ ერთობლივმა ბრძოლამ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ შეიძლება მიგვიყვანოს სოციალისტურ რევოლუციამდე, რომელსაც ერთადერთს ძალუძს ნამდვილად იხსნას სიღატაკისა და ექსპლოატაციისაგან სოფლის ღარიბთა მთელი მასა.

როგორც გლეხობაში აგიტაციის პრაქტიკულ ლოზუნგს და როგორც ამ მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი შეგნების შეტანის საშუალებას, რსდმპ აყენებს ლოზუნგს — დაუყოვნებლივ შეიქმნას გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ყველა დემოკრატიული გარდაქმნისათვის ყოველმხრივ მხარის დასაჭერად და ამ გარდაქმნათა უკლებლივ განსახორციელებლად. ასეთ კომიტეტებში რსდმპ შეეცდება დამოუკიდებლად დარაზმოს სოფლის პროლეტარები ერთი მხრივ იმ მიზნით, რომ მხარი დაუჭიროს მთელ გლეხობას მთელ მის რევოლუციურ-დემოკრატიულ გამოსვლებში, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის პროლე-

ტარიატის ჭეშმარიტი ინტერესების დასაცავად მის ბრძოლაში გლეხურ ბურჟუაზიასთან» («ვპერიოდ» № 11*).

აგრარული საკითხის კომისიაში, რომელიც დელეგატებმა ჯერ კიდევ ყრილობამდე შექმნეს მისი მუშაობის მოსამზადებლად, უკვე განხილულ იქნა ეს პროექტი. მიუხედავად აზრთა დიდი სხვადასხვაობისა, დაისახა ზოგიერთი მთავარი ელფერი, და მე მათზე შევჩერდები. აგრარულ საკითხში შესაძლებელ და საჭირო რევოლუციურ ღონისძიებათა ხასიათი, რეზოლუციის პროექტის მიხედვით, «გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებით» განისაზღვრება. მაშასადამე, რეზოლუცია ამით ნათლად გამოხატავს ყველა ს.-დ. საერთო რწმენას, რომ ამ ღონისძიებებით სრულებითაც არ შეიძლება მიღწეულ იქნას თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილების თვით საფუძვლების გარდაქმნა. ეს არის ჩვენი განსხვავება სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან. გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას შეუძლია გამოიწვიოს მისი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მაგრამ არა კაპიტალიზმის შეცვლა წარმოების სხვა წესით.

რეზოლუციაში ლაპარაკია ღონისძიებებზე, რომლებიც მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციას არ მოერიდება. ამბობენ, ეს ფორმულირება ჩვენს აგრარულ პროგრამას ცვლისო. მე ეს აზრი სწორად არ მიმაჩნია. რა თქმა უნდა, რედაქციის გაუმჯობესება შეიძლება: არა ჩვენი პარტია, არამედ გლეხობა არ მოერიდება ექსპროპრიაციას; ჩვენი პარტია კი მხარს უჭერს გლეხობას, — მხარს უჭერს მაშინაც, როცა იგი ამ ღონისძიებებს არ მოერიდება. ექსპროპრიაციის ნაცვლად საჭიროა ვიხმაროთ უფრო ვიწრო ცნება — «კონფისკაცია», ვინაიდან ჩვენ გადაჭრით წინაალმდეგი ვართ ყოველგვარი გამოსყიდვისა. ჩვენ არასოდეს არ მოვერიდებით მიწის კონფისკაციის ღონისძიებებს. მაგრამ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ კერძო შესწორებებს, დავინახავთ, რომ ჩვენს რეზოლუციაში არ არის აგრარული პროგრამის შეცვლა. სოციალ-დემოკრატიის ყველა მწერალი მუდამ იმ აზრს გამოთქვამდა, რომ პუნქტი

* იხ. ეს ტომი, გვ. 269 — 271. რ ე დ.

ჩამონაჭრების შესახებ ზღვარს როდი უდებს გლეხთა მოძრაობას, — სრულებითაც არ კვეცავს და არ ზღუდავს მას. პლეხანოვიც და მეც პრესაში აღვნიშნავდით, რომ ს.-დ. პარტია არასოდეს არ დაუშლის გლეხებს მიმართონ აგრარული გარდაქმნის რევოლუციურ ღონისძიებებს თვით «მიწის გადანაწილებამდე» [107]. ამრიგად, ჩვენ არ ვცვლით ჩვენს აგრარულ პროგრამას. ჩვენ ახლა გადაჭრით უნდა გამოვთქვათ აზრი გლეხობისათვის ბოლომდე მხარისდაჭერის პრაქტიკულ საკითხზე, რათა აღმოვფხვრათ ყოველგვარი გაუგებრობისა და უკუღმა განმარტების ყოველგვარი შესაძლებლობა. ახლა გლეხთა მოძრაობა დღის წესრიგში დგას, და პროლეტარიატის პარტიამ ოფიციალურად უნდა განაცხადოს, რომ იგი ყოველნაირად უჭერს მხარს ამ მოძრაობას და სრულებითაც არ ზღუდავს მის გაქანებას.

რეზოლუციაში შემდეგ ლაპარაკია სოფლის პროლეტარიატის ინტერესების გამოყოფასა და ამ პროლეტარიატის განსაკუთრებული ორგანიზაციის აუცილებლობაზე. სოციალ-დემოკრატთა კრების წინაშე საჭირო არ არის ვიცავდეთ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას. აგრარულ კომისიაში ლაპარაკი იყო, რომ სასურველია დაემატოს მითითება სოფლის მუშებისა და გლეხების გაფიცვებისათვის მხარისდაჭერის შესახებ, მეტადრე თიბვა-მკის დროს და სხვ. პრინციპულად ამის საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი შეიძლება გვქონდეს. დაე პრაქტიკოსებმა გამოთქვან აზრი ასეთი მითითების შესაძლებელ მნიშვნელობაზე უახლოესი მომავლისათვის.

შემდეგ, რეზოლუციაში ლაპარაკია გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნაზე.

«ვპერიოდის» № 15-ში უფრო დაწვრილებით არის განვითარებული ის აზრი, რომ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაუყოვნებლივ შექმნის მოთხოვნა აგიტაციის ცენტრალური პუნქტი უნდა გახდეს *. «ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე» ახლა რეაქციონერებიც კი ლაპარაკობენ, მაგრამ ისი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 376. რ ე დ.

ნი მხარს უჭერენ ვითომდა გაუმჯობესების ჩინოვნიკურ, ბიუროკრატიულ წესს, სოციალ-დემოკრატია კი, რასაკვირველია, რევოლუციურ გზას უნდა უჭერდეს მხარს. მთავარი ამოცანაა პოლიტიკური შეგნება შევიტანოთ გლეხთა მოძრაობაში. გლეხებს ბუნდოვნად შეგნებული აქვთ, თუ რა ესაჭიროებათ, მაგრამ არ ეხერხებათ საერთო პოლიტიკურ წყობილებას დაუკავშირონ თავიანთი სურვილები და მოთხოვნები. ამიტომ მათი მოტყუება ყველაზე ადვილად შეუძლიათ პოლიტიკურ თაღლითებს იმით, რომ პოლიტიკური გარდაქმნიდან საკითხი გადაიტანონ ეკონომიურ «გაუმჯობესებაზე», რომელიც სინამდვილეში განუხორციელებელია, თუ პოლიტიკური გარდაქმნა არ მოხდა. ამიტომ ლოზუნგი გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა ერთადერთი სწორი ლოზუნგია. თუ რევოლუციური უფლება არ ექნებათ, რომელიც ამ კომიტეტებმა უნდა განახორციელონ, გლეხები ვერასოდეს ვერ შესძლებენ შეინარჩუნონ ის, რასაც ისინი ახლა მოიპოვებენ. გამოთქვამენ მოსაზრებას იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენ აქაც ვცვლით აგრარულ პროგრამას, რომელშიც ლაპარაკი არ არის გლეხთა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ კომიტეტებზე, ლაპარაკი არ არის მათს ამოცანებზე დემოკრატიულ გარდაქმნათა სფეროშიო. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა. ჩვენ კი არ ვცვლით ჩვენს პროგრამას, არამედ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევას ვუფარდებთ მას. რაკი ეჭვი არ არის, რომ გლეხთა კომიტეტები მოცემულ პირობებში შეიძლება მხოლოდ რევოლუციური კომიტეტები იყვნენ, ჩვენ, აღვნიშნავთ რა ამას, კი არ ვცვლით პროგრამას, არამედ რევოლუციურ მოშენტს ვუფარდებთ მას. მაგალითად, ჩვენი პროგრამა ამბობს, რომ ჩვენ ვცნობთ ერთა თვითგამორკვევას: თუ კონკრეტული პირობები გვიკარნახებს მხარი დავუჭიროთ განსაზღვრული ერის თვითგამორკვევას, მის სრულ დამოუკიდებლობას, — ეს პროგრამის გამოყენება იქნება და არა მისი შეცვლა. გლეხთა კომიტეტები მოქნილი დაწესებულებაა, რომელიც გამოსადეგია ახლანდელ პირობებშიც და, ვთქვათ, დროებითი რევოლუციური მთავრობის დროსაც, როცა ეს კომიტეტები მის ორგანოებად გახდებოდნენ. ამბობენ, ეს კომიტეტები შეიძლება რეაქციული გახდნენ და

ირა რევოლუციურიო. მაგრამ ჩვენ, ს.-დ., არასოდეს არ ვივიწყებდით გლეხის ორმაგ ბუნებას და იმას, რომ შესაძლებელია გლეხთა რეაქციული მოძრაობა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ახლა საკითხი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ამჟამად გლეხთა კომიტეტები, რომლებიც აგრარულ გარდაქმნათა სანქციონირებისათვის იქმნებიან, შეიძლება მხოლოდ რევოლუციური იყვნენ. ამჟამად გლეხთა მოძრაობა, უეჭველია, რევოლუციურია. ამბობენ: მიწის ხელში ჩაგდების შემდეგ გლეხები დამშვიდდებიანო. შესაძლებელია. მაგრამ თვითმპყრობელ მთავრობას არ შეუძლია დამშვიდდეს, როცა გლეხები მიწას ჩაიგდებენ ხელში, და ამაშია მთელი არსი. მიწების ხელში ჩაგდების სანქციონირებას შესძლებს მხოლოდ რევოლუციური მთავრობა ან გლეხთა რევოლუციური კომიტეტები.

დასასრულ, რეზოლუციის დასკვნითი ნაწილი ერთხელ კიდევ განსაზღვრავს სოციალ-დემოკრატიის პოზიციას გლეხთა კომიტეტებში, სახელდობრ იმის საჭიროებას, რომ სოფლის პროლეტარიატთან ერთად მივდიოდეთ და ცალკე და დამოუკიდებლად ვრაზმავდეთ მას. სოფლადაც მხოლოდ პროლეტარიატი შეიძლება იყოს ბოლომდე რევოლუციური კლასი.

17

პროექტი რეზოლუციისა გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის შესახებ

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ გლეხთა მოძრაობა, რომელიც ამჟამად იზრდება, სტიქიური და პოლიტიკურად შეუგნებელია, მაგრამ მაინც გარდუვალად მიმართულია არსებული პოლიტიკური წყობილებისა და პრივილეგიური კლასების წინააღმდეგ;

2) რომ სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ამოცანაა მხარი დაუჭიროს არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას;

3) რომ სოციალ-დემოკრატები, ზემოთქმულის საფუძველზე, უნდა ცდილობდნენ გამოჰყონ გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული თვისებანი (თავისებურებანი), განავითარონ ისინი და ბოლომდე მიიყვანონ;

4) რომ სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის პარტია, ყველა შემთხვევაში და ყველა გარემოებაში განუხრელად უნდა ესწრაფოდეს სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებლად დარაზმვას და განუმარტავდეს მას მისი ინტერესებისა და გლეხური ბურჟუაზიის ინტერესების შეურიგებელ წინააღმდეგობას, —

რსდმპ III პარტიული ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებს:

ა) პროლეტარიატის უფართოეს ფენებს შორის გასწიონ პროპაგანდა, რომ რსდმპ ამოცანად ისახავს გლეხთა თანამედროვე მოძრაობისათვის უაღრესად ენერგიულ მხარდაჭერას და სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მის რევოლუციურ გამოვლინებებს, მემამულეთა მიწების კონფისკაციასაც კი;

ბ) როგორც პრაქტიკული ლოზუნგი გლეხობაში აგიტაციისათვის და როგორც საშუალება გლეხთა მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი შეგნებულობის შეტანისა, წამოაყენონ გეგმა გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაუყოვნებლივ შექმნისა იმ მიზნით, რომ გატარდეს გლეხობის სასარგებლო ყველა რევოლუციურ-დემოკრატიული გარდაქმნა და განთავისუფლდეს იგი პოლიციელ მოხელეთა და მემამულეთა უღლისაგან;

გ) თვითმპყრობელობის დეზორგანიზაციისა და მის წინააღმდეგ რევოლუციური შეტევისათვის მხარდაჭერის მიზნით, რჩევა მისცენ გლეხებს უარი თქვან სამხედრო ბეგარის მოხდაზე, სრული უარი თქვან გადასახადების გადახდაზე და არა სცნონ ხელისუფალნი;

დ) ეცადონ გლეხთა კომიტეტებში სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებლად დარაზმვას და მის რაც შეიძლება მჭიდროდ დაახლოებას ქალაქის პროლეტარიატთან მუშათა კლასის ერთიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

დაწერილია 1905 წ. 20 აპრილს (3 მაისს)

18

სიტყვა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის საკითხზე 20 აპრილს (3 მაისს)

ვერ დავეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებიც ამბობდნენ, საკითხის გაფართოება უმართებულოაო. იგი სავსებით მართებულია. — აქ ამბობდნენ, ს.-დ. იდეების მატარებლები უმთავრესად ინტელიგენტები იყვნენო. ეს სწორი არ არის. ეკონომიზმის ეპოქაში რევოლუციური იდეების მატარებლები იყვნენ მუშები და არა ინტელიგენტები. ამას ადასტურებს «რაბოჩიც», ამხ. აქსელროდის წინასიტყვაობით გამოცემული ბროშურის ავტორი.

ამხ. სერგეევი აქ ამტკიცებდა, არჩევითი პრინციპი უკეთესად ვერ გაგვაცნობს მდგომარეობასაო. ეს მართალი არ არის. არჩევითი პრინციპი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ რომ გამოგვეყენებინა, იგი, უეჭველია, უკეთესად გაგვაცნობდა მდგომარეობას. — შემდეგ, მიუთითებდნენ, გათიშვათა სათავეში ჩვეულებრივ ინტელიგენტები იდგნენო. ეს მითითება მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი არა წყვეტს საკითხს. მე უკვე დიდი ხანია ჩემს დაბეჭდილ ნაწარმოებებში ვიძლეოდი რჩევას, რომ კომიტეტებში რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შეგვეყვანა მუშები *. II ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს ამ მოვალეობის არასაკმაოდ შესრულება, — ასეთი შთაბეჭდილება პრაქტიკოსებთან საუბრიდან გამოვიტანე. თუ სარატოვში

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 287 — 288. რ ე დ.

მხოლოდ 1 მუშა შეიყვანეს კომიტეტში, ეს იმას ნიშნავს, რომ არ იცოდნენ შესაფერისი ადამიანების შერჩევა მუშებიდან. უეჭველია, ეს პარტიის გათიშვაზედაც იყო დამოკიდებული; კომიტეტების დაცვისათვის ბრძოლამ ზიანი მიაყენა პრაქტიკულ მუშაობას. ჩვენ სწორედ ამიტომ ვცდილობდით დაგვეჩქარებინა ყრილობის მოწვევა.

მომავალი ცენტრის ამოცანაა გარდაქმნას ჩვენი კომიტეტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. აუცილებელია დაძლეულ იქნას კომიტეტელთა ინერტობა. (ტაში და სტვენა.)

მე გავიგონე ამხ. სერგეევის სტვენა, ხოლო არა-კომიტეტელები ტაშს უკრავენ. ვფიქრობ, საქმეს უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ. კომიტეტებში მუშების შეყვანა არა მარტო პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ამოცანაც არის. მუშებს კლასობრივი ინსტინქტი აქვთ, და მცირეოდენი პოლიტიკური ჩვევის დროს მუშები საკმაოდ მალე ხდებიან მტკიცე სოციალ-დემოკრატები. მე დიდი თანაგრძნობით მოვეკიდებოდი იმას, რომ ჩვენი კომიტეტების შემადგენლობაში ყოველ 2 ინტელიგენტზე 8 მუშა იყოს. თუ ლიტერატურაში გამოთქმული რჩევა — კომიტეტებში შეძლებისამებრ შეყვანილ იქნან მუშები, — არასაკმაო აღმოჩნდა, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ასეთი რჩევა ყრილობის სახელით იყოს გამოთქმული. თუ გექნებათ ყრილობის ნათელი და გარკვეული დირექტივა, თქვენ გექნებათ დემაგოგიის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალება: აი ყრილობის ნათელი ნებასურვილი.

19

პროექტი რეზოლუციისა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ

იღებს რა მხედველობაში:

1) რომ ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთა დღემდე სისტემატურად განაგრძობს ჯერ კიდევ ეკონომიზმის დროიდან დაწყებულ ცდას მტრობა და უნდობლობა დათესოს პარტიის წევრ მუშებსა და ინტელიგენტებს შორის, იმის ცდას, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები დასახოს როგორც წმინდა ინტელიგენტური ორგანიზაციები, რითაც ოსტატურად სარგებლობენ სოციალ-დემოკრატიის მტრები, — იმის ცდას, რომ ბრალი დასდოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს მუშათა კლასის თვითმოქმედების პარტიული დისციპლინით შებოჭვისადმი მისწრაფებაში, — იმის ცდას, რომ თავი მოიწონოს არჩევითი პრინციპის ლოზუნგით, ამავე დროს კი მეტწილად სერიოზულ ნაბიჯებს არა დგამს მის განსახორციელებლად;

2) რომ არჩევითი პრინციპის ს რ უ ლ ი ბატონობა, რაც შესაძლებელი და საჭიროა თავისუფალ პოლიტიკურ პირობებში, განუხორციელებელია თვითმპყრობელობის დროს, — მაგრამ თვითმპყრობელობის დროსაც არჩევითი სისტემის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ეს ახლა ხდება, ამას რომ არ აბრკოლებდეს პარტიული ორგანიზაციის ის ფორმალური ჩამოუყალი-

ბებლობა და ის ფაქტიური დეზორგანიზებულობა, რომლებსაც პარტია სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთასვე უნდა უმადლოდეს. —

რსდმპ III ყრილობა, სცნობს რა თავის ამოცანად მთელი რიგი ორგანიზაციული რეფორმების გზით უახლოესი ყრილობებისათვის მოამზადოს პარტიულ ცხოვრებაში არჩევითი პრინციპის შესაძლო მასშტაბით ნამდვილად გატარების პირობები, ერთხელ კიდევ აღნიშნავს მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგნებული მომხრეების ამოცანას: მთელი ძალებით განამტკიცონ პარტიის კავშირი მუშათა კლასის მასასთან, პროლეტართა და ნახევრადპროლეტართა სულ უფრო ფართო ფენები აიყვანონ სრულ სოციალ-დემოკრატიულ შეგნებულობამდე, განავითარონ მათი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული თვითმოქმედება, იზრუნონ იმისათვის, რომ მუშათა მასამ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოჰყოს მუშები, რომლებსაც შეეძლებათ უხელმძღვანელონ მოძრაობას და პარტიულ ორგანიზაციებს, როგორც ადგილობრივი ცენტრებისა და საერთო პარტიული ცენტრის წევრებმა, — შექმნან ჩვენს პარტიაში შემავალი რაც შეიძლება მეტი მუშათა ორგანიზაციები, — ეცადონ, რომ ის მუშათა ორგანიზაციები, რომლებსაც არა სურთ ან შესაძლებლობა არა აქვთ შევიდნენ პარტიაში, ყოველ შემთხვევაში ემხრობოდნენ მას.

დაწერილია 1905 წ. 22 აპრილს (5 მაისს)

20

შენიშვნა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ რეზოლუციის განხილვისას 22 აპრილს (5 მაისს)

მშვიდად ჯდომა არ შემეძლო, როცა ამბობდნენ, ისეთი მუშები არ არიან, რომ კომიტეტის წევრებად ვარგოდნენო. საკითხი ჭიანურდება; ჩანს პარტიაში დაავადება არის. მუშები უნდა შევიყვანოთ კომიტეტებში. საკვირველია: ყრილობაზე ლიტერატორი სულ სამია, დანარჩენები — კომიტეტელები არიან, ამავე დროს ლიტერატორები მუშათა შეყვანის მომხრენი არიან, კომიტეტელები კი რატომღაც ჭირვეულობენ.

ამხანაგების გოლუბინისა[108] და მიხაილოვის განცხადებანი მეტად ძვირფასია.

21

სიტყვა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ რეზოლუციების განხილვის წესის თაობაზე

22 აპრილს (5 მაისს)[100]

ამაში არ ვეთანხმები ამხ. სერგეევს: ყრილობათა სწორედ ასეთი რეზოლუციები არც არსებობს. ლიტერატორთა მარტო სურვილები არ კმარა. გარდა ამისა, რეზოლუციები უარყოფილი კი არა, არამედ გადატანილია დღის წესრიგის სხვა პუნქტში. აღნიშნავენ, რომ მუშებს უფლება აქვთ მიცემული, ცენტრალური კომიტეტის თანხმობით, დაამხონ კომიტეტიო. ეს ცოტაა: საჭიროა დირექტივა და არა დემაგოგია. ამხ. სერგეევი არასწორად განმარტავს «ვპერიოდს», იქიდან რომ მოჰყავს სიტყვები — «ბულბულს არაკებით არა კვებავენო». წესდების პარაგრაფის სწორედ სიმოკლე გვაიძულებს მივიღოთ რეზოლუცია, რომელიც გარკვეულ დირექტივას იძლევა. მე ამხ. ანდრეევის წინადადების წინააღმდეგი ვარ. სწორი არ არის, რომ დემაგოგია შემოღებულია არა «ეკონომისტებისა» და არა «მენშევიკების» მიერ. პირიქით, სწორედ ისინი იყვნენ დემაგოგები. რეზოლუცია გაფრთხილებაა დემაგოგიის წინააღმდეგ. ამიტომ მტკიცედ მოვითხოვ რეზოლუციის დატოვებას.

22

სიტყვა პარტიის წესდების განხილვისას 21 აპრილს (4 მაისს)

უნდა აღვიარო, რომ არგუმენტები, რომლებითაც ამხ. ივანოვი ერთცენტრიანობის იდეას იცავს, უსაფუძვლოდ მიმაჩნია. (ციტირებს ამხ. ივანოვის არგუმენტაციას):

«მე-4 და მე-5 პარაგრაფებისათვის. სისტემა ორი ცენტრისა მათი ბალანსირით — საბჭოთი — თვით ცხოვრებამ დაგმო. პარტიული კრიზისის ისტორიიდან ცხადად ჩანს, რომ იგი ფრიად ხელსაყრელი ნიადაგია უთანხმოების, კინკლაობის, კარის ინტრიგების განვითარებისათვის. იგი ნიშნავს რუსეთის დამორჩილებას საზღვარგარეთისადმი: ჩავარდნათა გამო ცენტრალური კომიტეტი არამუდმივია თავისი შემადგენლობით, ცენტრალური ორგანოს რედაქცია მუდმივია, საბჭო საზღვარგარეთ ცხოვრობს. ერთი ცენტრის წინააღმდეგ გამოთქმული ყველა უმნიშვნელოვანესი აზრი, დაფუძნებული რუსეთისა და საზღვარგარეთის ფაქტიურ დაშორიშორებაზე, ერთი მხრივ, მხოლოდ ადასტურებს აზრს ორ ცენტრს შორის გათიშვის შესაძლებლობისა და მოსალოდნელობის შესახებ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად გათილდება, თუ ყრილობა სავალდებულოდ გახდის პერიოდულ თათბირებს ცენტრალური კომიტეტის რუსეთელ და საზღვარგარეთელ წევრებს შორის».

მაგრამ აქ მოხსენებული კარგი თვისებანი თანაბრად აღმოაჩნდათ როგორც საზღვარგარეთულ ცენტრალურ ორგანოს, ისე «ჭეშმარიტად რუსულ» ცენტრალურ კომიტეტს. ამხ. ივანოვის აზრთა მთელ წყობაში მე ვხედავ ლოგიკით გათვალისწინებულ შეცდომას post hoc, ergo propter hoc *. რადგან სამმა ცენტრმა ჩვენ, ბოდიშს ვიხდი, საქმე გაგვიფუჭა, — დაე გვქონდეს ერთი ცენტრი. მე აქ ვერ ვხედავ «propter»-ს! ჩვე-

* — ამის შემდეგ — მაშასადამე, ამის მიზეზით. რ ე დ.

ნი უბედურების მიზეზი იყო არა მექანიზმი, არამედ პიროვნებანი: საქმე სწორედ ის არის, რომ ცალკეული პიროვნებანი, ეფარებოდნენ რა წესდების ფორმალისტურ განმარტებას, თავს არიდებდნენ ყრილობის ნებასურვილის შესრულებას. განა «ჭეშმარიტად რუსული» ცენტრალური კომიტეტი «დიალექტიკურად» არ გადაიქცა თავის წინააღმდეგობად? ამხ. ივანოვი ასე მსჯელობს: საზღვარგარეთი ცუდად იქცეოდა, — საჭიროა მოვუწყოთ მას «საალყო წესები» და «მაგარი ხელი» ჩავჭიდოთო. მე, როგორც ცნობილია, ყოველთვის მომხრე ვიყავი «საალყო წესებისაც» და «მაგარი ხელისაც», ამიტომ ასეთი ზომების წინააღმდეგ არაფერს ვიტყვი, მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმაც განა იგივე არ დაიმსახურა? გარდა ამისა, ვინ დაიწყებს დავას, რომ ცენტრალურ ორგანოს შეუძლია მუდმივი იყოს, ხოლო ცენტრალურ კომიტეტს არ შეუძლია? ეს ხომ ასე თუ ისე ფაქტია. მაგრამ პრაქტიკულად თავს შევიკავებ ყოველგვარი დავისაგან: წინათ ჩვენ გვქონდა საბჭო, ახლა გვექნება თათბირი (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული და რუსეთის ნაწილისა). მხოლოდ ორი ზედმეტი ასოა. ჩვენი ურემი ბრუნდებოდა სულ მარჯვნივ ცენტრალური ორგანოს მხრისაკენ — ამხ. ივანოვი მარჯვნიდან უდებს ჩალას მომავალი დროისათვის, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი უნდა შევუდოთ მარცხნიდანაც, ცენტრალური კომიტეტის მხრიდან. მე შევუერთდებოდი ამხ. მიხაილოვის წინადადებას კომიტეტების დაშლის შესახებ, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, რა არის პერიფერია? «სხდომის მოყვარულები და ბეჭდის შემნახველები» უნდა გავრეკოთ, მაგრამ ზუსტად როგორ განვსაზღვროთ ცნება — პერიფერია? «პერიფერიის ხმების $^2/_3$!» — მაგრამ ვის შეუძლია მისი ზუსტი რეგისტრი აწარმოოს? გარდა ამისა, ყრილობა უნდა გავაფრთხილო, რომ წესდება არ შეავსოს მრავალი პარაგრაფით. კარგი პარაგრაფების წერა ადვილია, მაგრამ პრაქტიკაში ისინი მეტწილად ზედმეტი აღმოჩნდებიან ხოლმე. წესდება არ უნდა გადავაქციოთ კეთილი სურვილების კრებულად...

23

სიტყვა პარტიის წესდების მე-9 პარაგრაფის რედაქციის შესახებ
21 აპრილს (4 მაისს)

მე კომიტეტების დაშლის მომხრე ვიყავი, მაგრამ პარტიის საბჭოში იმ დროს, როდესაც ჩვენი ფრაქციული შუღლი გაჩაღდა, მის წინააღმდეგ გამოვთქვი აზრი, რადგან ამ უფლების გამოყენება რაოდენადმე უხერხული იყო. თუ ეს პარაგრაფი ემუქრება კომიტეტებს, რომლებიც ინტელიგენციისაგან შესდგებიან, ძალიან ვუჭერ მას მხარს. ინტელიგენცია მუდამ მაგარი ხელით უნდა გვეჭიროს. იგი მუდამ ყოველგვარი კინკლაობის სათავეში დგას, და ამიტომ წინადადებას ვიძლევი სიტყვა «პერიფერიის» ნაცვლად დავწეროთ სიტყვები: «ორგანიზებული მუშები» (წ ე რ ი ლ ო ბ ი თ შ ე ა ქ ვ ს თ ა ვ ი ს ი შ ე ს წ ო რ ე ბ ა): «§ 9. ადგილობრივი კომიტეტი უნდა დაითხოვოს ცენტრალურმა კომიტეტმა, თუ დათხოვნას მოითხოვს $^2/_3$ ადგილობრივი მუშებისა, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციებში შედიან».

პატარა ინტელიგენტურ პერიფერიას ვერ დაენდობი, ხოლო ასეულობით ორგანიზებულ მუშებზე შეიძლება და საჭიროცაა დანდობა. ეს პარაგრაფი მინდა მჭიდროდ დავუკავშირო ანგარიშგების საკითხს. ამ მხრივ მაგალითი უნდა ავიღოთ ბუნდისაგან, რომელმაც ყოველთვის ზუსტად იცის ორგანიზებული მუშათა ციფრი. და თუ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს ყოველთვის ეცოდინება, მოცემულ ორგანიზაციაში რამდენია ორგანიზებული მუშა, მათს აზრს ცენტრალურმა კომიტეტმა ანგარიში უნდა გაუწიოს და ვალდებულია ორგანიზებული მუშების მოთხოვნით დაითხოვოს ადგილობრივი კომიტეტი.

24

სიტყვა ს.-რ-ბთან შეთანხმების გამო 23 აპრილს (6 მაისს)

ყრილობას უნდა მოვახსენო სოციალისტ-რევოლუციონერებთან შეთანხმების ერთი ცდის შესახებ, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. საზღვარგარეთ ჩამოვიდა ამხ. გაპონი. ინახულა სოციალისტ-რევოლუციონერები, შემდეგ «ისკრა», მერე მინახულა მეც. მან მითხრა, სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე ვდგავარ, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების გამო შესაძლებლად არ მიმაჩნია ეს აშკარად განვაცხადოო. მე ვუთხარი, დიპლომატია კარგი რამ არის, — მაგრამ არა რევოლუციონერებს შორის-მეთქი. ჩვენს საუბარს არ გადმოგცემთ — მისი შინაარსი მოყვანილია «ვპერიოდში»*. ჩემზე მან მოახდინა შთაბეჭდილება რევოლუციის უთუოდ ერთგული, თაოსნიანი და ჭკვიანი, თუმცა, სამწუხაროდ, მტკიცე რევოლუციურ მსოფლმხედველობას მოკლებული ადამიანისა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამხ. გაპონისაგან მივიღე წერილობითი მიწვევა სოციალისტური ორგანიზაციების კონფერენციაზე, რომელსაც, გაპონის აზრით, მიზნად ჰქონდა მათი საქმიანობის შეთანხმება. აი სია იმ 18 ორგანიზაციისა, რომლებიც, ამ წერილის მიხედვით, მიწვეული იყვნენ ამხ. გაპონის კონფერენციაზე:

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 180 — 184. რ ე დ.

1) სოც.-რევოლუციონერების პარტია. 2) რსდმპ. «ვპერიოდი». 3) რსდმპ. «ისკრა». 4) პოლონეთის სოციალისტური პარტია. 5) პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ. 6) პპს. «პროლეტარიატი». 7) ლატვიის სდმპ. 8) ბუნდი. 9) სომხეთის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია. 10) სომხეთის რევოლუციური ფედერაცია (დროშაკი). 11) ბელორუსიის სოციალისტური გრომადა. 12) ლატვიის ს.-დ. კავშირი. 13) აქტიური წინააღმდეგობის ფინეთის პარტია. 14) ფინეთის მუშათა პარტია. 15) საქართველოს სოც.-ფედერ.-რევოლუციონერთა პარტია. 16) უკრაინის რევოლუციური პარტია. 17) ლიტვის ს.-დ. პარტია. 18) უკრაინის სოც. პარტია.

ამხ. გაპონსაც და ერთ თვალსაჩინო სოციალისტ-რევოლუციონერსაც მივუთითე, კონფერენციის საეჭვო შემადგენლობამ შეიძლება საქმე გააძნელოს-მეთქი. კონფერენციაზე შეიქმნება სოციალისტ-რევოლუციონერთა უდიდესი სიჭარბე. კონფერენციის მოწვევის საქმე დიდი ხნით გაჭიანურდა. «ისკრამ», როგორც ამხ. გაპონის მიერ ჩემთვის წარმოდგენილი საბუთებიდან ჩანს, უპასუხა, რომ იგი ამჯობინებს პირდაპირ შეთანხმებას ორგანიზებულ პარტიებთან. ეს «ფრთხილი» გადაკრული სიტყვაა «ვპერიოდის» შესახებ, რომელიც ვითომცდა დეზორგანიზატორია და სხვა. ბოლოს და ბოლოს «ისკრა» კონფერენციაზე არ გამოცხადებულა. ჩვენ, «ვპერიოდის» რედაქციის წარმომადგენლებიც და უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს წარმომადგენლებიც, კონფერენციაზე გამოვცხადდით. აქ დავინახეთ, რომ კონფერენცია ესერულია. აღმოჩნდა, რომ მუშათა პარტიები ან სრულებით არ მოუწვევიათ, ანდა არ არის არავითარი ცნობა, რომ ისინი მოეწვიოთ. მაგ., წარმოდგენილი იყო აქტიური წინააღმდეგობის ფინეთის პარტია, მაგრამ არ იყო ფინეთის მუშათა პარტია.

ჩვენს კითხვაზე, რატომ არ არისო, — გვიპასუხეს, რომ ფინეთის მუშათა პარტიას მიწვევა გადაეცა აქტიური წინააღმდეგობის პარტიის საშუალებით, რადგან იმ სოციალისტ-რევოლუციონერის სიტყვით, რომელიც ამას ამბობდა, მათ არ იცოდნენ უშუალოდ როგორ ეცნობებინათ ეს. ნამდვილად კი ყველამ, ვინც ოდნავ მაინც გაცნობილია საზღვარგარეთის

საქმეს, იცის, რომ ფინეთის მუშათა პარტიისათვის ხმის მიწვდენა შეიძლება თუნდაც შვეციის სდმპ ბელადის ბრანტინგის საშუალებით. კონფერენციაზე იყვნენ პპს-ის წარმომადგენლები, მაგრამ არ ყოფილა პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ. წარმომადგენელი. ამასთან შეუძლებელი იყო მიგვეღო ცნობა, მოწვეული იყვნენ თუ არა ისინი? ლიტვის სოციალ-დემოკრატიისაგან, უკრაინის რევოლუციური პარტიისაგან პასუხი არ მიუღიათ, როგორც ეს გვაცნობა იმავე სოციალისტ-რევოლუციონერმა.

თავიდანვე წამოყენებულ იქნა ნაციონალური საკითხი. პპს-მა დააყენა რამდენიმე დამფუძნებელი კრების საკითხი. და ეს საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ შემდეგში საჭირო იქნება ან სრულებით ვთქვათ უარი კონფერენციაში მონაწილეობაზე, ან მოვაწყოთ კონფერენცია ერთი ეროვნების მუშათა პარტიების წარმომადგენელთაგან, ან კონფერენციაზე მოვიწვიოთ ადგილობრივი პარტიული კომიტეტების წარმომადგენლები იმ რაიონებიდან, სადაც რუსი მოსახლეობა არ არის. მაგრამ აქედან სრულებითაც არ დავასკვნი, რომ კონფერენციები შეუძლებელია პრინციპული უთანხმოების გამო. მხოლოდ საჭიროა, რომ დაყენებულ იქნას ნამდვილად საქმიანი საკითხები.

ჩვენ არ შეგვიძლია საზღვარგარეთიდან კონტროლი გავუწიოთ კონფერენციებისა და სხვათა შემადგენლობას. აუცილებელია, რომ წარმოდგენილი იყოს ხოლმე რუსეთის ცენტრი და უთუოდ ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. საკითხი, რომლის გამოც ჩვენ წავედით, შეეხებოდა ლატვიელებს. კონფერენციიდან რომ მოვდიოდით, შემდეგი განცხადება წარვადგინეთ:

«მნიშვნელოვანი ისტორიული მომენტი, რომელსაც რუსეთი განიცდის, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ს.-დ. და რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წინაშე აყენებს პრაქტიკული შეთანხმების ამოცანას თვითმპყრობელურ რეჟიმზე უფრო წარმატებითი თავდასხმისათვის.

ამიტომ, ვაძლევთ რა უაღრესად სერიოზულ მნიშვნელობას ამ მიზნისათვის მოწვეულ კონფერენციას, ჩვენ, ბუნებრივია, უმკაცრესად უნდა მოვეკიდოთ მისი შემადგენლობის საკითხს.

ამხ. გაპონის მიერ მოწვეულ კონფერენციაში, სამწუხაროდ, მისი მუშაობის ნაყოფიერების ეს აუცილებელი პირობა საკმაოდ არ იყო დაცული, და ამიტომ იძულებული ვიყავით მისი კონსტიტუირების დასაწყისშივე მიგვეღო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ამ თათბირის რეალურ წარმატებას.

კონფერენციის წმინდა საქმიანი ხასიათი მოითხოვდა, მაგალითად, უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მასში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცემოდათ მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც რუსეთში ნამდვილ რეალურ ძალას შეადგენენ.

ნამდვილად კი კონფერენციის შემადგენლობა ზოგიერთი ორგანიზაციის რეალობის აზრით მეტად არადამაკმაყოფილებელი გამოდგა. კონფერენციაზე წარმოდგენილი აღმოჩნდა ისეთი ორგანიზაციაც კი, რომლის ფიქციურობა ეჭვს არ იწვევს. ჩვენ ვლაპარაკობთ ლატვიის ს.-დ. კავშირზე.

ლატვიის სდმპ წარმომადგენელმა მოითხოვა ამ კავშირის აცილება, და ამ მოთხოვნას ულტიმატუმის ხასიათი მისცა.

შემდეგ, როდესაც ოთხი ს.-დ. ორგანიზაციის წარმომადგენელთა განსაკუთრებულ თათბირზე, რომელშიც «კავშირის» დელეგატები მონაწილეობდნენ, გამოირკვა უკანასკნელის სრული ფიქციურობა, ამან, ბუნებრივია, გვაიძულა ჩვენც — კონფერენციაზე მყოფი დანარჩენი ს.-დ. ორგანიზაციები და პარტიები — შევერთებოდით ამ ულტიმატურ მოთხოვნას.

მაგრამ აქვე, პირველივე ნაბიჯებიდან, ჩვენ წავაწყდით ყველა რევ.-დემოკრ. პარტიების მკვეთრ წინააღმდეგობას, რომლებმაც ჩვენი ულტიმატური მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარისთქმით ერთ ფიქციურ ჯგუფს მისცეს უპირატესობა მთელი რიგი ცნობილი ს.-დ. ორგანიზაციების წინაშე.

ბოლოს, კონფერენციის პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ამცირებდა ის, რომ კონფერენციაზე არ იყვნენ მთელი რიგი სხვა ს.-დ. ორგანიზაციები, რომელთა მონაწილეობა, რამდენადაც ამის გამორკვევა მოვახერხეთ, უზრუნველყოფილი არ იყო სათანადო ღონისძიებებით.

იძულებული ვართ რა ყოველივე ამის გამო დავტოვოთ კონფერენცია, ამასთან ერთად რწმენას გამოვთქვამთ, რომ ერთი ცდის მარცხით დამთავრება არ შეაჩერებს მტკიცე მისწრაფებას მისი განმეორებისაკენ უახლოეს მომავალში, და რომ პრაქტიკული შეთანხმების ამოცანას, რომელიც ყველა რევოლუციური პარტიის წინაშე დგას, შეასრულებს ეს უახლოესი კონფერენცია, შედგენილი რუსეთში ნამდვილად მომუშავე და არა ფიქციური ორგანიზაციებისაგან.

ლატვიის სდმპ-ს სახელით — ფ. როზინი.
რუს. სდმპ «ვპერიოდის» სახელით — ნ. ლენინი.
ბუნდის ცენტრ. კომიტეტის სახელით — ი. გელფინი.
სომხ. სდმ ორგანიზაციის სახელით — ლერი».

1½ — 2 კვირის შემდეგ ამხ. გაპონმა შემდეგი განცხადება გადმომცა:

«ძვირფასო ამხანაგო! გიგზავნით ორ დეკლარაციას, რომლებიც გამოიდინარეობენ თქვენთვის ცნობილი კონფერენციისაგან, და გთხოვთ აცნობოთ ისინი რსდმპ მომავალ III ყრილობას. ჩემს მოვალეობად ვთვლი პირადად ჩემი სახელით განვაცხადო, რომ ამ დეკლარაციებს ვიღებ ზოგიერთი შენიშვნით სოციალისტური პროგრამისა და ფედერალისტური პრინციპის საკითხებში.

გიორგი გაპონი».

ამ განცხადებასთან ერთად მივიღე ორი საინტერესო დოკუმენტი, რომლებშიც ყურადღებას იქცევს შემდეგი ადგილები:

«ფედერაციული პრინციპის გამოყენება იმ ეროვნებათა ურთიერთობაში, რომლებიც ერთი სახელმწიფოს ჭერქვეშ რჩებიან...

სოციალიზაცია, ე. ი. მშრომელი მიწათმოქმედი მოსახლეობის საზოგადოებრივ გამგებლობასა და სარგებლობაში გადასვლა მთელი მიწებისა, რომელთა დამუშავებაც დამყარებულია სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე, ამასთან ამ ღონისძიების კონკრეტული ფორმების, მის გატარებაში თანამიმდევრობისა და მისი ფარგლების განსაზღვრა რჩება ცალკეულ ეროვნებათა პარტიების კომპეტენციის სფეროში, მათი ქვეყნის ადგილობრივი პირობების თავისებურებათა შესაბამისად; განვითარება საზოგადოებრივი, მუნიციპალური და სათემო მეურნეობისა...

...პური — მშიერებს!

მიწა და მისი დოვლათი — ყველა მშრომელს!

...დამფუძნებელი კრება რუსეთის იმპერიის ყველა ადგილის წარმომადგენელთაგან, პოლონეთისა და ფინეთის გამოკლებით!

...კავკასიისათვის, როგორც ავტონომიური, რუსეთთან ფედერაციულად დაკავშირებული ნაწილისათვის, — დამფუძნებელი კრების მოწვევა»...

კონფერენციის შედეგმა, როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, სავსებით დაადასტურა ის შიში, რამაც კონფერენცია დაგვატოვებინა. აქ ჩვენს წინაშეა პირწავარდნილი სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამა ნაციონალისტური არაპროლეტარული პარტიების მიმართ ყოველგვარი დათმობით. უცნაური იყო ნაციონალური პროლეტარული პარტიე-

ბის დაუსწრებლად მონაწილეობა კონფერენციაზე წამოყენებული საკითხების გადაწყვეტაში? მაგალითად, კონფერენციამ წამოაყენა პოლონეთისათვის განსაკუთრებული დამფუძნებელი კრების მოთხოვნა. ჩვენ ვერც მომხრენი ვიქნებით, ვერც წინააღმდეგნი. ჩვენი პროგრამა სცნობს ეროვნებათა თვითგამორკვევის პრინციპს. მაგრამ დაუშვებელია ამ საკითხის გადაწყვეტა პოლონეთისა და ლიტვის ს.-დ. დაუსწრებლად. კონფერენციამ გაანაწილა დამფუძნებელი კრება — და ეს გააკეთა მუშათა პარტიების დაუსწრებლად! ჩვენ ვერ დავუშვებთ ასეთი საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტას, თუ არ დაესწრნენ პროლეტართა პარტიები. — მაგრამ ამასთან ერთად მიმაჩნია, რომ პრინციპული უთანხმოება მაინც არ გამორიცხავს პრაქტიკული კონფერენციების შესაძლებლობას, მაგრამ, ჯერ-ერთი, რუსეთში, მეორე, რეალურ ძალთა შემოწმების შემდეგ და, მესამე, თუ გამოვყოფთ ნაციონალურ საკითხებს, ან ყოველ შემთხვევაში მოვიწვევთ კონფერენციაზე იმ რაიონების აღგილობრივ კომიტეტთა წარმომადგენლებს, სადაც არიან ნაციონალური ს.-დ. და არა ს.-დ. პარტიები.

გადავდივარ სოციალისტ-რევოლუციონერებთან პრაქტიკული შეთანხმების რეზოლუციაზე, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს (კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს ა მ ხ. ვ ო ი ნ ო ვ ი ს რ ე დ ა ქ ც ი ი თ დ ა წ ე რ ი ლ პ რ ო ე ქ ტ ს):

«ადასტურებს რა რსდმპ დამოკიდებულებას სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისადმი, რაც განსაზღვრულია II ყრილობის რეზოლუციით, და იღებს რა მხედველობაში:

1) რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციასთან სოციალ-დემოკრატთა დროებითი საბრძოლო შეთანხმებანი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ამჟამად საერთოდ სასურველია;

2) რომ ასეთმა შეთანხმებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეზღუდონ ს.-დ. მუშ. პარტიის სრული დამოუკიდებლობა და არ უნდა დაარღვიონ მისი პროლეტარული ტაქტიკისა და მისი პრინციპების მთლიანობა და სიწმინდე, —

რსდმპ III ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და ადგილობრივ კომიტეტებს საჭიროების შემთხვევაში დასდონ დროებითი საბრძოლო

შეთანხმებანი სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციებთან, ამასთან ადგილობრივი შეთანხმებანი შეიძლება დაიდოს მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის უშუალო კონტროლით».

მე ვეთანხმები ამ პროექტს. მხოლოდ ხომ არ შეიძლება როგორმე შევარბილოთ ბოლო, მაგ., «ცენტრალური კომიტეტის უშუალო კონტროლის» ნაცვლად დავტოვოთ მხოლოდ «ცენტრალური კომიტეტის კონტროლით».

25

სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენების გამო 25 აპრილს (8 მაისს)

მართლაც, მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის ტექნიკას უფრო მეტად შეეხებოდა, ვიდრე მის პოლიტიკას. მე 1900 წლიდან ვადევნებ თვალს პარტიის ცენტრალური აპარატის მუშაობას და უნდა აღვნიშნო გიგანტური პროგრესი. თუ იგი ვერ გვაკმაყოფილებს, სრულ დაკმაყოფილებას ხომ, ალბათ, პროლეტარიატის დიქტატურის დროს ვეღირსებით, თუმცა ესეც საეჭვოა! გახსოვდეთ, რომ «კოოპტაციას» დღემდისაც ზიანი მოაქვს! ცენტრალური კომიტეტი ცოტას ლაპარაკობს თავის პოლიტიკაზე, რადგან მის შესახებ კარგს ვერაფერს იტყოდა. მისი მთავარი შეცდომაა ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ ბრძოლა. ყრილობა ერთი წლით ადრე რომ ყოფილიყო მოწვეული, იგი უფრო შემარიგებელი იქნებოდა, ვიდრე ახლა. მე თვითონ დაშლის მომხრე ვარ, მაგრამ მისი უთუოდ წინააღმდეგი ვარ ერთ შემთხვევაში, — როდესაც იგი ხდება ყრილობის სასარგებლო აგიტაციის გამო, მაგრამ ამაზე არ მსურს შევჩერდე: უფრო მეტ სიხარულს იწვევს ერთი ცოდვილი, რომელიც ცოდვებს მოინანიებს, ვიდრე 99 მართალი. რაც შეეხება საყვედურებს ჩემი მისამართით, მხოლოდ ვიტყვი, რომ ლიტერატორს უპარტიოდ არაფრის გაკეთება არ შეუძლია.

26

რეზოლუცია ყრილობის ოქმების გამოცემის შესახებ [110]

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს დაუყოვნებლივ შეუდგეს III ყრილობის შესახებ მოკლე ცნობის გამოცემას პროგრამის, წესდებისა და რეზოლუციების სრული ტექსტით.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს ყველა ღონისძიებით დააჩქაროს ამ ცნობის გამოქვეყნება.

ყრილობა ავალებს ყრილობის ოქმების გამომცემ კომისიას: 1) საბოლოოდ განსაზღვროს, რა არ უნდა გამოქვეყნდეს არავითარ შემთხვევაში კონსპირაციული მოსაზრებით, 2) განსაზღვროს, რა საშუალებით და რა ფარგლებში უნდა გაეცნონ პარტიის წევრები III ყრილობის ოქმების გამოუქვეყნებელ ნაწილს, 3) გამოცემისათვის მოახდინოს საჭირო შემცირება, რაც ეხება მხოლოდ და მხოლოდ სხდომის წესის გამო კამათს ან რეზოლუციების უარყოფილ წვრილ შესწორებებს.

დაწერილია 1905 წ. 25 აპრილს (8 მაისს)

27

პროექტი რეზოლუციისა კავკასიის ამბების შესახებ [111]

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2) რომ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობის რევოლუციური განწყობილება, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყებამდე;

3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას;

4) რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც იქაური მოსახლეობის სხვადასხვა-გვაროვანი შემადგენლობა აადვილებს, უაღრესად მავნე შედეგი ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში; —

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით

მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ კავკასიაში საქმის მდგომარეობის ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრების და სხვ. საშუალებით, აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად შეიარაღებული ძალით.

დაწერილია 1905 წ. 26 აპრილს (9 მაისს)

პოლიტიკური სოფიზმები

რუსეთის რევოლუცია ეს არის ახლა დაიწყო, მაგრამ იგი უკვე სრული სიცხადით იჩენს ბურჟუაზიის პოლიტიკური რევოლუციების ჩვეულებრივ თვისებებს. ქვედაფენები იბრძვიან, ზედაფენები სარგებლობენ. რევოლუციური ბრძოლის მთელი არაჩვეულებრივი სიმძიმე სავსებით დააწვა და აწვება პროლეტარიატს, როგორც კლასს, და ბურჟუაზიული ინტელიგენტური ახალგაზრდობიდან გამოსულ ცალკეულ პირებს. ყველა უკვე ნაწილობრივ მოპოვებული თავისუფლებანი (უფრო სწორად რომ ვთქვათ: თავისუფლების უბადრუკი ნამცეცები) ცხრა მეათედით ხვდება საზოგადოების ზედაფენებს, არამშრომელ კლასებს. რუსეთში, წინააღმდეგ კანონისა, ახლა ბატონობს სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვის შეუდარებლად უფრო მეტი თავისუფლება, ვიდრე ამ 10 წლის წინათ, მაგრამ ამით ცოტად თუ ბევრად ფართოდ მხოლოდ ბურჟუაზიული გაზეთები, მხოლოდ «ლიბერალური» კრებები სარგებლობენ. მუშები თავისუფლებისაკენ მიისწრაფიან, გზას იკაფავენ ძალიან ხშირად მათთვის აქამდე უცნობ სფეროებში, რომლებიც მათთვის სრულებით მიუწვდომლად ითვლებოდა, მაგრამ პროლეტარული ელემენტის ეს თანდათანობითი შეღწევა კი არ აბათილებს, არამედ ადასტურებს ჩვენს აზრს. პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობის აქტივობა უკუპროპორციულია ბრძოლის ნაყოფთა მითვისების აქტივობისა. თანაფარდობა ლეგალურ და არალეგალურ (ე. ი. კანონით დაშვებულ და კანონის საწინააღმდეგო) მოძრაობას შორის მით უფრო «ხელსაყრელია», რაც უფრო ხელსაყრე-

ლია საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობილებაში ამა თუ იმ კლასის მდგომარეობა. ლიბერალური ბურჟუაზიის მოძრაობა, მეტადრე 9 იანვრის შემდეგ, ისე ფართოდ გავრცელდა კანონით შესაწყნარებელ ფორმებში, რომ არალეგალური ლიბერალური მოძრაობა განსაცვიფრებელი სისწრაფით ხუნდება ჩვენს თვალწინ. მუშათა კლასის მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტში იგი არქი-«კანონიერი» ფორმით მოგვევლინა (პეტერბურგის მუშა ხალხის მიერ მეფისათვის თხოვნის მირთმევა), აღმოჩნდა უაღრესად უკანონო და უაღრესად მკაცრი, სამხედრო ღონისძიებით გაუსწორდნენ მას. მუშათა კლასის მოძრაობა შეუდარებლად უფრო გაფართოვდა, მაგრამ ლეგალური და არალეგალური ელემენტის თანაფარდობა თითქმის არ შეცვლილა პირველის სასარგებლოდ.

საიდან წარმოსდგება ეს განსხვავება? სახელდობრ იქიდან, რომ რუსეთის მთელი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება ყველაზე მეტ ნაყოფს უზრუნველყოფს მათთვის, ვინც ყველაზე ნაკლებად შრომობს. კაპიტალიზმის დროს სხვანაირად არც შეიძლება. ეს არის კაპიტალის კანონი, რომელიც იმორჩილებს არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებასაც. ქვედაფენების მოძრაობა ფეხზე აყენებს რევოლუციურ ძალას; იგი ფეხზე აყენებს ხალხის ისეთ მასას, რომელსაც, ჯერ-ერთი, უნარი შესწევს ნამდვილად დაამსხვრიოს მთელი დამპალი შენობა და რომელიც, მეორე მხრივ, თავისი მდგომარეობის არავითარი თავისებურების გამო არ გრძნობს ამ შენობისადმი რაიმე სიყვარულს, სიამოვნებით დაამხობს ამ შენობას. უფრო მეტიც, ამ მასას მაშინაც კი, როცა სავსებით შეგნებული არა აქვს თავისი მიზნები, მაინც უნარი შესწევს და მიდრეკილება აქვს დაამხოს ეს შენობა, რადგან ამ ხალხის მასის მდგომარეობა გამოუვალია, რადგან მუდმივი ჩაგვრა რევოლუციური გზისაკენ უბიძგებს მას, დაკარგვით კი იგი ბორკილის გარდა არაფერს დაკარგავს. ეს ხალხური ძალა, პროლეტარიატი, ასე მრისხანედ ეჩვენებათ დამპალი შენობის მეუფეთ იმიტომ, რომ პროლეტარიატის თვით მდგომარეობაში არის რაღაც, რაც ყველა ექსპლოატა-

ტორს ემუქრება. ამის გამო პროლეტარიატის ყველაზე მცირე მოძრაობა, რა ზომიერიც უნდა იყოს იგი დასაწყისში, რა წვრილმანი საბაბიდანაც უნდა გამოდიოდეს, მაინც აუცილებლად შეიცავს იმის საფრთხეს, რომ გასცილდეს თავის უშუალო მიზნებს და შეურიგებელი, გამანადგურებელი გახდეს მ თ ე ლ ი ძველი წყობილებისათვის.

პროლეტარიატის მოძრაობას, კაპიტალიზმის დროს ამ კლასის მდგომარეობის თვით ძირითად თავისებურებათა გამო, მტკიცე ტენდენცია აქვს იქცეს გააფთრებულ ბრძოლად ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს ა თ ვ ი ს, ყოველივე ბნელზე, ექსპლოატატორულზე, დამმონებელზე სრული გამარჯვებისათვის. ლიბერალური ბურჟუაზიის მოძრაობას, პირიქით, იმავე მიზეზებით (ე. ი. ბურჟუაზიის მდგომარეობის ძირითად თავისებურებათა გამო) მორიგების ტენდენცია აქვს ნაცვლად ბრძოლისა, ოპორტუნიზმის ტენდენცია ნაცვლად რადიკალიზმისა, ტენდენცია — ზომიერად გაითვალისწინოს ყველაზე მოსალოდნელი და შესაძლებელი უახლოესი მონაპოვარნი ნაცვლად სრული გამარჯვების მოპოვების «უტაქტო», გაბედული და გადამჭრელი პრეტენზიისა. ვინც ნამდვილად იბრძვის, ის, ბუნებრივია, იბრძვის ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს ა თ ვ ი ს; ვისაც ბრძოლას მორიგება ურჩევნია, ის, ბუნებრივია, წინასწარ აღნიშნავს იმ «ნამცეცებს», რომლებითაც მზად არის საუკეთესო შემთხვევაში დაკმაყოფილდეს (უარეს შემთხვევაში იგი იმითაც კი კმაყოფილდება, რომ ბრძოლა არ წარმოებდეს, ე. ი. ხანგრძლივად ურიგდება ძველი სამყაროს მეუფეთ).

სწორედ ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ სოციალ-დემოკრატია, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის პარტია, ასე მზრუნველად ეკიდება თავის პ რ ო გ რ ა მ ა ს, ასე გულდასმით, წინასწარ და დიდი ხნით ადრე განსაზღვრავს თავის საბოლოო მიზანს, — მშრომელთა სრული განთავისუფლების მიზანს, — ასეთ მტკიცე წინააღმდეგობას უწევს ყოველგვარ ცდას — შეკვეცონ ეს საბოლოო მიზანი; იმავე მიზეზებით სოციალ-დემოკრატია ასე დოგმატურად მკაცრად და დოქტრინიორულად განუხრელად გამოჰყოფს წვრილმან, უახლოეს ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზნებს საბოლოო მიზ-

ნისაგან. ვინც ყველაფრისათვის, სრული გამარჯვებისათვის იბრძვის, ის არ შეიძლება არ ფრთხილობდეს, რომ წვრილმანმა მონაპოვარმა ხელფეხი არ შეუბორკოს, გზას არ გადააცდინოს, არ დაავიწყებინოს ის, რაც ჯერ კიდევ შედარებით შორსაა და რის მიუღწევლადაც ყველა წვრილმანი მონაპოვარი მხოლოდ ამაოება ამაოებათაა. პირიქით, ბურჟუაზიის პარტიისათვის, თუნდაც ის ყველაზე თავისუფლებისმოყვარე და ყველაზე ხალხმოყვარე იყოს, გაუგებარი და უცხოა ეს მზრუნველობა პროგრამებისათვის, მუდამ კრიტიკული დამოკიდებულება პატარ-პატარა თანდათანობითი გაუმჯობესებისადმი.

ასეთი აზრები გამოიწვია ჩვენში «რუსეთის კონსტიტუციის პროექტმა», რომელიც ამ დღეებში გამოუშვა «ოსვობოჟდენიეს» რედაქციამ სათაურით: «რუსეთის იმპერიის ძირითადი სახელმწიფო კანონი». ეს პროექტი, რომელიც უკვე საკმაოდ დიდხანს არის ცნობილი რუსეთში, ახლა გამოსცეს შენიშვნებით და განმარტებითი ბარათით, როგორც «ერთადერთი სრული, საბოლოო და თვით ავტორების მიერ გადათვალიერებული გამოცემა». თურმე იგი «განთავისუფლების კავშირს» კი არ ეკუთვნის, არამედ შემუშავებულია მხოლოდ კერძო ჯგუფის მიერ, რომელიც ამ კავშირს ეკუთვნის. ამრიგად, ჩვენ აქ კვლავ და კვლავ ვხედავთ ნათელი, გარკვეული, აშკარა პროგრამის იმ შიშს, რომელიც ლიბერალიზმს ახასიათებს. ლიბერალურ პარტიას რუსეთში მოეპოვება განუზომლად მეტი ფულადი სახსრები და ლიტერატურული ძალები, ლეგალურ ნიადაგზე მოძრაობის განუზომლად მეტი თავისუფლება, ვიდრე სოციალ-დემოკრატიას, — და ამავე დროს თვალში გეცემა მისი ჩამორჩენა სოციალ-დემოკრატიისაგან საპროგრამო გარკვეულობის მხრივ. ლიბერალები პირდაპირ გაურბიან პროგრამებს, ისინი ამჯობინებენ ცალკეულ, წინააღმდეგობით აღსავსე განცხადებებს თავიანთ ორგანოში (მაგალითად, საყოველთაო საარჩევნო უფლების საკითხზე) ან კერძო ჯგუფების «პროექტებს», რომლებიც არავითარ ვალდებულებას არ აკისრებენ მთლიანად პარტიას (ან მთელ «განთავისუფლების კავშირს»). ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება

შემთხვევითი იყოს; ეს არის თანამედროვე საზოგადოებაში ბურჟუაზიის, როგორც კლასის, სოციალური მდგომარეობის გარდუვალი შედეგი, — იმ კლასისა, რომელიც მოქცეულია თვითმპყრობელობასა და პროლეტარიატს შორის, რომელიც ფრაქციებად ითიშება ინტერესების წვრილმან განსხვავებათა გამო. პოლიტიკური სოფიზმები სავსებით ბუნებრივად გამომდინარეობენ ამ მდგომარეობიდან.

ჩვენ გვსურს ერთ-ერთ ასეთ სოფიზმზე შევაჩეროთ ახლა მკითხველთა ყურადღება. ოსვობოჟდენიელთა კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მხარეები ცნობილია: მონარქია დატოვებულია ძალაში, — რესპუბლიკის საკითხზე მსჯელობაც კი არ არის (როგორც ჩანს, ბურჟუაზიის «რეალური პოლიტიკოსები» ამ საკითხს სერიოზულად არ თვლიან!), იქმნება პარლამენტის ორპალატიანი სისტემა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით ქვედა პალატისათვის, ორსაფეხურიანი არჩევნებით ზედა პალატისათვის. ზედა პალატაში წარმომადგენლებს ირჩევენ ერობათა კრებები და საქალაქო თვითმმართველობანი. ამ პროექტის კერძო მხარეებზე შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია. საინტერესოა მისი საერთო გეგმა და მისი «პრინციპული» დაცვა.

ჩვენი გულკეთილი ლიბერალები ცდილობენ სახელმწიფო ძალაუფლება რაც შეიძლება თანაბრად და «სამართლიანად» გაანაწილონ სამ ძალას შორის: მონარქი, ზედა პალატა (საერო პალატა), ქვედა პალატა (ხალხის წარმომადგენელთა პალატა): თვითმპყრობელური ბიუროკრატია, ბურჟუაზია, «ხალხი» (ესე იგი პროლეტარიატი, გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია საერთოდ). ლიბერალი პუბლიცისტები გულის სიღრმეში იმაზე ოცნებობენ, რომ ბრძოლა ამ სხვადასხვა ძალებსა და ამ ძალთა სხვადასხვა კომბინაციებს შორის შეცვალონ მათი «სამართლიანი» შეერთებით ერთ მთლიანობად... ქაღალდზე! უნდა იზრუნონ თანდათანობითი, ზომიერი განვითარებისათვის, უნდა გაამართლონ საყოველთაო საარჩევნო უფლება კონსერვატიზმის თვალსაზრისით (ბ-ნ სტრუვეს წინასიტყვაობა განსახილველი პროექტისა); უნდა შექმნან მმართველი კლასე-

ბის ინტერესთა რეალური უზრუნველყოფა (ე. ი. რეალური კონსერვატიზმი) მონარქიისა და ზედა პალატის სახით; უნდა შემოსონ მთელი ეს ვითომ ეშმაკური, ნამდვილად კი ყოვლად გულუბრყვილო, კონსტრუქცია მაღალფარდოვანი სოფიზმებით. რუსეთის პროლეტარიატს კიდევ და კიდევ დიდხანს მოუხდება ლიბერალური სოფიზმებისათვის ანგარიშის გაწევა. დროა უფრო ახლოს გავეცნოთ მათ!

ორპალატიანი სისტემის დაცვას ლიბერალები იმ მოსაზრებათა გარჩევით იწყებენ, რომლებიც მოსალოდნელია გამოითქვას მის წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ ამ საწინააღმდეგო მოსაზრებებს მთლიანად სესხულობენ იმ ლიბერალურ-ნაროდნიკულ იდეათა ჩვეულებრივი წრიდან, რომელთა პროპაგანდას ფართოდ ეწევა ჩვენი ლეგალური პრესა. გვეუბნებიან, რომ რუსეთის საზოგადოებას «ღრმა დემოკრატიული ხასიათი» აქვს, რუსეთში ისეთი არაფერი არსებობს, რაც მოგვაგონებდეს უმაღლეს კლასს, რომელიც ძლიერია პოლიტიკური დამსახურებით, სიმდიდრით და სხვ., რადგან თავადაზნაურობა ჩვენში მსახურეული წოდება იყო, რომელსაც «პოლიტიკური პატივმოყვარეობა» არ ჰქონდა, და მისი მატერიალური მნიშვნელობაც «შერყეულიაო». სოციალ-დემოკრატის თვალსაზრისით სასაცილოცაა სერიოზულად მოეკიდო ამ ნაროდნიკულ ფრაზებს, რომლებშიც ერთი სიტყვა არ არის მართალი. რუსეთში თავადაზნაურობის პოლიტიკური პრივილეგიები საყოველთაოდ ცნობილია; მისი ძალა ერთი შეხედვით ჩანს კონსერვატიული და ზომიერი ანუ შიპოვის პარტიის ტენდენციებიდან; მის მატერიალურ მნიშვნელობას «არყევს» მხოლოდ ბურჟუაზია, რომელსაც თავადაზნაურობა უერთდება, ამასთან მთელი ეს შერყევა სრულებითაც არ უშლის ხელს იმას, რომ თავადაზნაურობის ხელში თავმოყრილია გიგანტური სახსრები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას ათეული მილიონობით მშრომელნი ძარცვოს. შეგნებულმა მუშებმა ამ მხრივ ილუზიები არ უნდა შეიქმნან, ნაროდნიკული ფრაზები რუსეთის თავადაზნაურობის არარაობის შესახებ ლიბერალებს მხოლოდ იმისათვის სჭირდებათ, რომ შეავარაყონ თავადაზნაურობის მომავალ კონსტიტუციურ პრივილეგიათა აბი. ასე-

თი ლიბერალური ლოგიკა ფსიქოლოგიურად აუცილებელია: არარაობად უნდა დაგვისახონ ჩვენი თავადაზნაურობა, რათა დემოკრატიზმიდან სრულიად უმნიშვნელო გადახვევად მოგვაჩვენონ თავადაზნაურობის პრივილეგიები.

მაშინ როცა ბურჟუაზია ეროსა და გრდემლს შუაა მოქცეული, ფსიქოლოგიურად აუცილებელია აგრეთვე იდეალისტური ფრაზები, რომლებსაც ახლა ასე უგემოვნოდ ხმარობს საერთოდ ჩვენი ლიბერალიზმი და განსაკუთრებით მისი აჩემებული ფილოსოფოსები. «რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, — ვკითხულობთ განმარტებითს ბარათში, — დემოკრატია არა მარტო ფაქტია, არამედ მორალურ-პოლიტიკური პოსტულატიც. ყოველგვარი საზოგადოებრივი ფორმის ისტორიულ გამართლებაზე მაღლა იგი აყენებს ზნეობრივ გამართლებას»... ეს გვარიანი ნიმუშია იმ მაღალფარდოვანი და ყოველგვარ შინაარსს მოკლებული ფრაზეოლოგიისა, რომლითაც «ამართლებენ» ჩვენი ლიბერალები თავიანთ მიდგომას დემოკრატიის ღალატისადმი! ისინი უჩივიან «ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ა რ ე ს ს ა მ დ უ რ ა ვ ს (?), რასაც რუსეთის ლიბერალური პარტიის წინააღმდეგ გამოთქვამენ უფრო უკიდურესი ელემენტების წარმომადგენლები, თითქოს ეს პარტია მიისწრაფის ბიუროკრატიული თვითმპყრობელობის ადგილზე ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული თვითმპყრობელობა დააყენოსო», — და ამავე დროს თავიანთი პროექტის ერთადერთ ნამდვილად დემოკრატიულ დაწესებულებას, ხალხის წარმომადგენელთა პალატას, ჩვენი ლიბერალები აიძულებენ ძალაუფლება გაუზიაროს მონარქიასაც და ზედა, საერო პალატასაც!

აი მათი «ზნეობრივი» და «მორალურ-პოლიტიკური» საბუთები ზედა პალატის სასარგებლოდ. ჯერ-ერთი, «ორპალატიანი სისტემა ევროპაში ყველგან არსებობს, გარდა საბერძნეთისა, სერბიისა, ბულგარეთისა და ლუქსემბურგისა»... მაშასადამე, არა ყველგან, თუკი მთელი რიგი გამონაკლისებია? და მერე, ეს რა საბუთია: ევროპაში ძალიან ბევრი ანტიდემოკრატიული დაწესებულებაა, ამიტომ... ამიტომ ისინი ჩვენმა «ღრმად-დემოკრატიულმა» ლიბერალიზმმა უნდა გადმოიღოს? მეორე საბუთი: «სახიფათოა საკანონმდებლო ძალაუფლების

მოქცევა ერთი ორგანოს ხელში», საჭიროა შევქმნათ მეორე ორგანო, რათა მან გამოასწოროს ხოლმე შეცდომები, «მეტად ნაჩქარევი» გადაწყვეტილებანი... «განა რუსეთი ევროპაზე უფრო გაბედული უნდა აღმოჩნდესო?». ამრიგად, რუსეთის ლიბერალიზმს არ სურს ევროპის იმ ლიბერალიზმზე უფრო გაბედული იყოს, რომელმაც უკვე ა შ კ ა რ ა დ დაკარგა მთელი თავისი პროგრესულობა პროლეტარიატის შიშით! კაი ვინმე კი ყოფილან «განმათავისუფლებელი» მოძრაობის ბელადები! ჯერ რუსეთს ერთი ოდნავ სერიოზული ნაბიჯიც არ გადაუდგამს თავისუფლებისაკენ, ლიბერალებს კი უკვე «აჩქარებისა» ეშინიათ. განა არ შეიძლება, ბატონებო, ამ საბუთებით საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე ხელის აღებაც კი იქნას გამართლებული?

მესამე საბუთი: «ერთ-ერთი უმთავრესი საფრთხე, რომელიც რუსეთში ყოველგვარ პოლიტიკურ წესწყობილებას ემუქრება, — ეს არის იაკობინური ცენტრალიზაციის რეჟიმად გადაქცევაო». რა საშინელებაა! ოპორტუნისტი-ლიბერალები, ეტყობა, წინააღმდეგი არ არიან სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებისაგან, ახალისკრელებისაგან ისესხონ იარაღი ხალხის ქვედაფენების დემოკრატიზმის წინააღმდეგ. «იაკობინელობის» სულელური საფრთხობელა, რომელიც აქსელროდმა, მარტინოვმა და კომპ. გამოათრიეს, სასარგებლო სამსახურს უწევს ოსვობოჟდენიელებს. მაგრამ, მოითმინეთ, ბატონებო, თქვენ რომ მართლა გეშინოდეთ ცენტრალიზმის უკიდურესობებისა (და არა თანამიმდევარი დემოკრატიზმის «უკიდურესობებისა»), მაშინ რაღა საჭირო იყო ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი, საერობო და საქალაქო დაწესებულებების საყოველთაო საარჩევნო უფლების შ ე ზ ღ უ დ ვ ა?? თქვენ ხომ ზღუდავთ მას. თქვენი პროექტის 68-ე მუხლით ადგენთ, რომ «თვითეულ პიროვნებას, რომელსაც ხალხის წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს, ასეთივე მონაწილეობის უფლება აქვს ადგილობრივ არჩევნებში, თ უ მ ა ს მ კ ვ ი დ რ ი ბ ი ნ ა დ რ ო ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა მ ო ც ე მ უ ლ მ ა ზ რ ა შ ი ან ქ ა ლ ა ქ შ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ვ ა დ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც ე რ თ წ ე ლ ი წ ა დ ს ა რ ა ღ ე-

მ ა ტ ე ბ ა». ეს მუხლი ხომ ც ე ნ ზ ს აწესებს, იგი ხომ საარ ჩევნო უფლებას ფაქტიურად ა რ ა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ხდის, რადგან ყველას ესმის, რომ სწორედ მუშებს, მოჯამაგირეებს, დღიურ მუშებს უხდებათ ყველაზე ხშირად ქალაქიდან ქალაქში, მაზრიდან მაზრაში გადასვლა, რომ მათ მკვიდრი ბინადრობა არა აქვთ. კაპიტალი მუშათა მასებს ქვეყნის ერთი მხრიდან მეორეში ერეკება, მკვიდრ ბინადრობას უსპობს, — და ა მ ი ს ა თ ვ ი ს მუშათა კლასი თავისი პოლიტიკური უფლებების ნაწილს უნდა კარგავდეს!

საყოველთაო საარჩევნო უფლების ეს შეზღუდვა სწორედ იმ საერობო და საქალაქო დაწესებულებებისათვის ხდება, რომელნიც ზედა, საერო პალატას ირჩევენ. ვითომდა იაკობინური ცენტრალიზმის უკიდურესობასთან საბრძოლველად გამოყენებულია ო რ მ ა გ ი გადახვევა დემოკრატიზმიდან: ჯერ-ერთი, ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო საარჩევნო უფლების შეზღუდვა ბინადრობის ცენზით, მეორე — პ ი რ დ ა პ ი რ ს საარჩევნო უფლებაზე ხელის აღება ორსაფეხურიანი არჩევნების შემოღებით! ნუთუ აქედან კიდევ ნათელი არ არის, რომ იაკობინიზმის საფრთხობელა მხოლოდ ყველა ჯურის ოპორტუნისტებს ემსახურება?

დიახ, ტყუილად როდი გამოთქვა ბ-ნმა სტრუვემ თავისი პრინციპული სიმპათია სოციალ-დემოკრატიის ჟირონდისტებისადმი, — ახალისკრელებისადმი, ტყუილად როდი აქებდა იგი მარტინოვს, განთქმულ მებრძოლს «იაკობინიზმის» წინააღმდეგ. იაკობინიზმის სოციალ-დემოკრატიული მტრები აშკარად ლიბერალურ ბურჟუებს უტკეპნიდნენ და უტკეპნიან გზას.

ოსვობოჟდენიელების მტკიცება, რომ სწორედ ზედა პალატას, რომელსაც საერობო დაწესებულებები ირჩევენ, შეუძლია გამოხატოს «დეცენტრალიზაციის საწყისი», გამოხატოს «რუსეთის სხვადასხვა ნაწილთა მრავალსახეობის მომენტი», უდიდესი სისულელეა. დეცენტრალიზაცია არ შეიძლება გამოიხატებოდეს არჩევნების საყოველთაო ხასიათის შეზღუდვით; მრავალსახეობა არ შეიძლება გამოიხატოს პირდაპირი არჩევნების პრინციპის შეზღუდვით. ეს როდია საქმის არსი,

რომლის დაბნელებასაც ოსვობოჟდენიელები ცდილობენ. არსი ის არის, რომ, მათი სისტემით, ზედა პალატა აუცილებლად გახდება უპირატესად და უმთავრესად თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ორგანოდ, რადგან სწორედ პროლეტარიატი ყველაზე მეტად გარიყულია ბინადრობის ცენზით და არჩევნების ორსაფეხურიანი სისტემით. საქმის ეს არსი იმდენად ნათელია ყველასთვის, ვინც რაოდენადმე მაინც გაცნობილია პოლიტიკურ საკითხებს, რომ თვითონ პროექტის ავტორები ითვალისწინებენ აუცილებელ საწინააღმდეგო მოსაზრებას.

«მაგრამ იტყვიან, — ვკითხულობთ ბარათში, — როგორც უნდა მოეწყოს არჩევნები, ადგილობრივ ცხოვრებაში უპირატესი მნიშვნელობის შენარჩუნების შანსები მსხვილ მიწათმფლობელებსა და მეწარმეთა კლასს აქვთო. ჩვენ ვფიქრობთ» (რა ღრმა დემოკრატიული ფიქრია!), «რომ აქაც მოჩანს გადაჭარბებული შიში «ბურჟუაზიული ელემენტის» წინაშე. არაფერი უსამართლობაა (!!) იმაში, რომ მიწათმფლობელმა და სამრეწველო კლასმა საკმაო (!) შესაძლებლობა მიიღოს თავისი ინტერესების წარმომადგენლები ჰყავდეს (საყოველთაო საარჩევნო უფლება როდი კმარა ბურჟუაზიული ელემენტისათვის!), რაკი იმავე დროს წარმომადგენლობის ფართო შესაძლებლობა ეძლევათ მოსახლეობის სხვა ჯგუფებს. ზნეობრივად დაუშვებელია და პოლიტიკურად საშიშია მხოლოდ პრივილეგიები»...

კარგად დაიხსომონ მუშებმა ეს «ლიბერალური» ზნეობა. იგი საშუალებას იძლევა იკვეხნიდე დემოკრატიზმს, გმობდე «პრივილეგიებს» და ამართლებდე ბინადრობის ცენზს, ორსაფეხურიან არჩევნებს, მონარქიას... მონარქია, ალბათ, არ არის «პრივილეგია», ანდა ეს ისეთი პრივილეგიაა, რომ ზნეობრივად დასაშვებია და პოლიტიკურად საზიფათო არ არის!

კარგად იწყებენ «განმათავისუფლებელი» მოძრაობის ჩვენი ბელადები, საზოგადოების წევრები! ყველაზე გაბედულ თავიანთ პროექტებშიც კი, რომლებიც ოდნავ ვალდებულებას არ აკისრებენ მთელ მათ პარტიას, ისინი უკვე წინასწარ იგონებენ რეაქციის გამართლებას, იცავენ ბურჟუაზიის პრივილეგიებს და სოფისტურად ამტკიცებენ, პრივილეგია პრივილეგია არ

არისო. მატერიალური ანგარიშებისაგან ყველაზე თავისუფალ და უშუალო პოლიტიკურ მიზნებს ყველაზე დაშორებულ ლიტერატურულ მოღვაწეობაშიც კი ისინი უკვე რყვნიან დემოკრატიზმის ცნებას და ცილსა სწამებენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის ყველაზე თანამიმდევარ ბურჟუაზიულ დემოკრატებს — იაკობინელებს. რაღა იქნება შემდეგ? როგორ ალაპარაკდებიან პარტიის წინაშე პასუხისმგებელი და საქმიანი პოლიტიკოსები ლიბერალური ბურჟუაზიისა, თუ ყველაზე იდეალისტური ლიბერალები ახლავე იმის ცდაში არიან, რომ თეორიულად მოამზადონ გამცემლობა? თუ ოსვობოჟდენიელთა უკიდურესი მემარცხენე ფრთის ყველაზე გაბედული სურვილები ვერ გასცილებია მონარქიას ორპალატიანი პარლამენტით; თუ ლიბერალიზმის იდეოლოგები მხოლოდ ამ ფასს ითხოვენ, ლიბერალიზმის მოსაქმენი რაღაზე მორიგდებიან?

რევოლუციური პროლეტარიატისათვის ლიბერალიზმის პოლიტიკური სოფიზმები იძლევიან პატარა, მაგრამ ძვირფას მასალას იმისათვის, რომ გავეცნოთ ბურჟუაზიის თვით მოწინავე ელემენტების ნამდვილ კლასობრივ ბუნებას.

«ვპერიოდ» № 18,
1905 წ. 18 (5) მაისი

იბეჭდება გაზეთ «ვპერიოდის»
ტექსტის მიხედვით

ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ

ამხანაგო მუშებო! ამას წინათ შესდგა რსდმპ III ყრილობა, რომლითაც უნდა დაიწყოს ახალი ხანა ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის ისტორიაში. რუსეთი დიად ისტორიულ მომენტს განიცდის. რევოლუციამ იფეთქა, ის სულ უფრო ფართოდ ჩაღდება, ედება ახალ ადგილებს და მოსახლეობის ახალ ფენებს. პროლეტარიატი რევოლუციის მებრძოლ ძალთა სათავეში დგას. მან უკვე უდიდესი მსხვერპლი გაიღო თავისუფლების საქმისათვის და ახლა მეფის თვითმპყრობელობასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება. პროლეტარიატის შეგნებულმა წარმომადგენლებმა იციან, რომ თავისუფლება ვერ იხსნის მშრომელთ სიღატაკისა, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. ბურჟუაზია, რომელიც ახლა თავისუფლების საქმეს ემხრობა, რევოლუციის მეორე დღეს შეეცდება წაართვას მუშებს მის მონაპოვართა რაც შეიძლება მეტი ნაწილი, გამოვა პროლეტარიატის სოციალისტურ მოთხოვნათა შეურიგებელ მტრად. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია თავისუფალი, გაერთიანებული და წელმომაგრებული ბურჟუაზიისა. ჩვენ ვიცით, რომ თავისუფლება მოგვცემს სოციალიზმისათვის ფართო, აშკარა, მასობრივი ბრძოლის შესაძლებლობას. ჩვენ ვიცით, რომ ეკონომიური განვითარება ულმობელი ძალით — და მით უფრო სწრაფად, რაც უფრო თავისუფლად იწარმოებს იგი, — გამოუთხრის ძირს კაპიტალის ძალაუფლებას და მოამზადებს სოციალიზმის გამარჯვებას.

LE PROLETAIRE

Пролетарій

№ 1.

Центральный Органъ Россійской Соціальдемократической Рабочей Партіи.

პირველი გვერდი ბოლშევიკური გაზეთის «პროლეტარისა» № 1, 1905 წ. 27 (14) მაისი, სადაც მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატია «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ» და ყრილობის უმთავრესი რეზოლუციები

დაპატარავებულია

ამხანაგო მუშებო! ამ დიად მიზანს რომ მივაღწიოთ, ჩვენ უნდა დავრაზმოთ ყველა შეგნებული პროლეტარი რუსეთის ერთიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად. ჩვენი პარტიის ჩამოყალიბება უკვე დიდი ხანია დაიწყო, 1895 და 1896 წლების ფართო მუშათა მოძრაობის შემდეგვე. 1898 წელს შეიკრიბა პირველი ყრილობა, რომელმაც დააარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და დასახა მისი ამოცანები. 1903 წელს შესდგა მეორე ყრილობა, რომელმაც პარტიას მისცა პროგრამა, გამოიტანა მთელი რიგი რეზოლუციები ტაქტიკის შესახებ და პირველად შეეცადა შეექმნა მთლიანი პარტიული ორგანიზაცია. მართალია, ამ უკანასკნელი ამოცანის გადაწყვეტა პარტიამ ერთბაშად ვერ მოახერხა. მეორე ყრილობის უმცირესობამ არ ისურვა დამორჩილებოდა მის უმრავლესობას და დაიწყო გათიშვა, რამაც ს.-დ. მუშათა მოძრაობას დიდი ზიანი მოუტანა. ამ გათიშვის პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ არ ისურვეს შეესრულებინათ მეორე ყრილობის დადგენილებანი, უარი თქვეს ემუშავნათ მის მიერ შექმნილი ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელობით; უკანასკნელი ნაბიჯი ის იყო, რომ უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ III ყრილობაში. III ყრილობა მოიწვიეს რუსეთში მომუშავე კომიტეტთა უმრავლესობის მიერ არჩეულმა ბიურომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ყრილობაზე მოწვეული იყო ყველა კომიტეტი, გამოთიშული ჯგუფები და კომიტეტებით უკმაყოფილო პერიფერიები, და მათმა დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის უმცირესობის თითქმის ყველა კომიტეტმა და ორგანიზაციამ, აირჩია თავისი დელეგატები და გაგზავნა ისინი ყრილობაზე საზღვარგარეთ. ამრიგად მიღწეული იყო ყველაფერი, რის განხორციელებაც შეიძლებოდა ჩვენს პოლიციურ პირობებში საერთო პარტიული ყრილობის მოსაწვევად, და მხოლოდ პარტიის ყოფილი საბჭოს სამი საზღვარგარეთელი წევრის უარმა გამოიწვია ყრილობის ბოიკოტი პარტიის მთელი უმცირესობის მიერ. III ყრილობა, როგორც მისი ქვემომოყვანილი რეზოლუციიდან ჩანს[112], პარტიის გათიშვისათვის მთელ პასუხისმგებლობას ამ სამ წევრს

აკისრებს. მაგრამ მაინც III ყრილობამ, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობა არ დასწრებია, ყოველი ღონე იხმარა, რათა უმცირესობას შეეძლოს უმრავლესობასთან ერთად იმუშაოს ერთ პარტიაში. III ყრილობამ სცნო უმართებულობა ეკონომიზმის მოძველებული, დრომოჭმული შეხედულებებისაკენ იმ მიბრუნებისა, რომელიც ჩვენს პარტიაში დაისახა, მაგრამ იმავე დროს ყრილობამ შექმნა ყოველგვარი უმცირესობის უფლებათა ზუსტი და გარკვეული, პარტიის წესდებით განმტკიცებული, მისი ყველა წევრისათვის სავალდებულო გარანტიები. უმცირესობას ახლა აქვს უეჭველი, პარტიის წესდებით უზრუნველყოფილი უფლება დაიცვას თავისი შეხედულებანი, აწარმოოს იდეური ბრძოლა, — ოღონდ დავა და უთანხმოება არ იწვევდეს დეზორგანიზაციას, ხელს არ უშლიდეს დადებით მუშაობას, არ ქსაქსავდეს ჩვენს ძალებს, არ აბრკოლებდეს თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საერთო ბრძოლას. პარტიული ლიტერატურის გამოცემის უფლება ახლა წესდებით მიცემული აქვს პარტიის ყოველ სრულუფლებიან ორგანიზაციას. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ახლა დავალებული აქვს ყოველგვარი პარტიული ლიტერატურის ტრანსპორტირება, თუკი ამას მოითხოვს ხუთი სრულუფლებიანი კომიტეტი, ე. ი. პარტიის ყველა სრულუფლებიან კომიტეტთა ერთი მეექვსედი ნაწილი. კომიტეტების ავტონომია უფრო ზუსტად არის განსაზღვრული, კომიტეტების პირადი შემადგენლობა გამოცხადებულია ხელშეუხებლად, ე. ი. ცენტრალურ კომიტეტს ჩამორთმეული აქვს უფლება გარიცხოს წევრები ადგილობრივი კომიტეტებიდან და შეიყვანოს ახლები, თუ ამაზე კომიტეტის თანხმობა არ იქნება. აქედან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც ორგანიზებულ მუშათა ⅔ მოითხოვს კომიტეტის გადაყენებას: მაშინ, III ყრილობის მიერ მიღებული წესდების თანახმად, ეს გადაყენება სავალდებულოა ცენტრალური კომიტეტისათვის, თუ მისი ⅔ ეთანხმება მუშათა გადაწყვეტილებას. თვითეულ ადგილობრივ კომიტეტს მიცემული აქვს უფლება დაამტკიცოს ბერიფერიული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციების სახელწოდებით. პერიფერიას მიცემული აქვს უფლება წარად-

გინოს კომიტეტთა წევრობის კანდიდატები. პარტიის ფარგლები, პარტიის უმრავლესობის სურვილის თანახმად, უფრო ზუსტად არის გარკვეული. შექმნილია ერთი ცენტრი ორისა თუ სამის ნაცვლად. უზრუნველყოფილია რუსეთში მომუშავე ამხანაგთა დიდი სიჭარბე პარტიის საზღვარგარეთულ ნაწილთან შედარებით. ერთი სიტყვით, მესამე ყრილობამ ყველაფერი გააკეთა, რათა გაეფანტა ყოველგვარი შესაძლებლობა საყვედურებისა, რომ უმრავლესობა ბოროტად იყენებს თავის სიჭარბეს, რომ პარტიის ცენტრალური დაწესებულებანი მექანიკურად ახშობენ, დესპოტიზმს იჩენენ და სხვ. და ა. შ.. ყველა სოციალ-დემოკრატისათვის შექმნილია სრული შესაძლებლობა იმუშაონ ერთად, გაბედულად შევიდნენ ერთი პარტიის რიგებში, რომელიც საკმაოდ ფართო და სიცოცხლისუნარიანია, საკმაოდ მომაგრებული და ძლიერია, რათა აღკვეთოს ძველი წრეობანას ტრადიციები, რათა მოსპოს წარსული უთანხმოებისა და წვრილმანი კონფლიქტების კვალი. დაე სოციალ-დემოკრატიის ყველა მუშაკმა, ვინც ნამდვილად აფასებს პარტიულობას, ყურადღოს ახლა III ყრილობის მოწოდება, დაე ამ ყრილობის დადგენილებანი გახდნენ გამოსავალი პუნქტი პარტიის ერთიანობის აღსადგენად, ყოველგვარი დეზორგანიზაციის თავიდან ასაცილებლად, პროლეტარიატის რიგების შესამჭიდროებლად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ შეგნებული მუშები, რომლებმაც ყველაზე უკეთ იციან ერთად, შეთანხმებულად მუშაობის მნიშვნელობის დაფასება, რომლებმაც ყველაზე ღრმად განიცადეს დაქსაქსულობის, მერყეობისა და ქიშპობის მთელი მავნებლობა, ამიერიდან მთელი ენერგიით მოითხოვენ პარტიული დისციპლინის საყოველთაო და უცილობელ აღიარებას პარტიის ყველა წევრის მიერ პარტიის როგორც ქვედა, ისე ზედა ფენებიდან!

ისწრაფოდა რა ყველა თავის ორგანიზაციულ და ტაქტიკურ გადაწყვეტილებაში დაეცვა თანამომდევნო კავშირი მეორე ყრილობის მუშაობასთან, III ყრილობა შეეცადა გაეთვალისწინებინა მომენტის ახალი ამოცანები იმ რეზოლუციებში, რომლებიც შეეხება პარტიის მომზადებას აშკარა გამოსვლისათვის, შეიარაღებულ აჯანყებაში უაღრესად ენერგიული

პრაქტიკული მონაწილეობის აუცილებლობასა და პარტიის მხრივ აჯანყების ხელმძღვანელობას, ბოლოს, დროებითი რევოლუციური მთავრობისადმი პარტიის დამოკიდებულებას. ყრილობამ პარტიის ყველა წევრის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის განსამტკიცებლად, მისი აშკარა გამოსვლის მოსამზადებლად საჭიროა გამოყენებულ იქნას მთავრობის ყოველი მერყეობა, ჩვენი მუშაობის თავისუფლების ყოველგვარი იურიდიული თუ ფაქტიური გაფართოება. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამ საერთო და ძირითად ამოცანათა გარდა ახლანდელი რევოლუციური მომენტი მის წინაშე აყენებს თავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლის როლს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში ავანგარდის როლს. რაც უფრო მეტად ეწინააღმდეგება მეფის ხელისუფლება ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ, მით უფრო მძლავრად იზრდება რევოლუციური შეტევის ძალა, მით უფრო შესაძლოა დემოკრატიის სრული გამარჯვება მუშათა კლასის მეთაურობით. ძლევამოსილი რევოლუციის განხორციელება, მის მონაპოვართა დაცვა პროლეტარიატს გიგანტურ ამოცანებს აკისრებს. მაგრამ პროლეტარიატს დიადი ამოცანებისა არ შეეშინდება. იგი ზიზღით ჩამოიშორებს მათ, ვინც მას უბედურებას უქადის მისი გამარჯვების გამო. რუსეთის პროლეტარიატი შესძლებს ბოლომდე შეასრულოს თავისი მოვალეობა. იგი შესძლებს სათავეში ჩაუდგეს სახალხო შეიარაღებულ აჯანყებას. მას ვერ შეაშინებს ძნელი ამოცანა მონაწილეობა მიიღოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, თუ მას წილად ხვდება ეს ამოცანა. იგი შესძლებს მოიგერიოს ყველა კონტრრევოლუციური ცდა, ულმობლად გასრისოს თავისუფლების ყველა მტერი, მკერდით დაიცვას დემოკრატიული რესპუბლიკა, რევოლუციური გზით მიაღწიოს მთელი ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელებას. რუსეთის პროლეტარებს საქმის ასე გათავებისა კი არ უნდა ეშინოდეთ, არამედ გატაცებით უნდა სურდეთ იგი. გავიმარჯვებთ რა მომავალ დემოკრატიულ რევოლუციაში, ჩვენ ამით გიგანტურ ნაბიჯს გადავდგამთ ჩვენი სოციალისტური მიზნისაკენ, ჩვენ მთელ

ევროპას გავათავისუფლებთ რეაქციული სამხედრო სახელმწიფოს მძიმე უღლისაგან და დავეხმარებით ჩვენს ძმებს, მთელი მსოფლიოს შეგნებულ მუშებს, რომლებიც ასე დაიტანჯნენ ბურჟუაზიულ რეაქციაში და სულიერად ცოცხლდებიან ახლა რუსეთის რევოლუციის წარმატებათა დანახვისას, რომ ისინი უფრო სწრაფად, უფრო მტკიცედ და უფრო გაბედულად წავიდნენ სოციალიზმისაკენ. ხოლო ევროპის სოციალისტური პროლეტარიატის დახმარებით ჩვენ შევძლებთ არა მარტო დავიცვათ დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ კიდევაც წავიდეთ სოციალიზმისაკენ ბუმბერაზული ნაბიჯებით.

მაშ წინ, ამხანაგო მუშებო, ორგანიზებულად, შეთანხმებულად და მედგრად ვიბრძოლოდ თავისუფლებისათვის!

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი

«პროლეტარი» № 1,
1905 წ. 27 (14) მაისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ყრილობის კონსტიტუირების შესახებ [113]

ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ყრილობის დასაწყისში მიღებულ ამ რეზოლუციას, უფრო გვიან მიღებული მონაცემების საფუძველზე, დაუმატოს შემდეგი. ყრილობამ ჩვენი პარტიის სრულუფლებიანი ხმების საერთო რიცხვი საბოლოოდ განსაზღვრა 71-ით, ე. ი. 31 სრულუფლებიანი ორგანიზაციის 62 ხმა და პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა 9 ხმა. კრემენჩუგის, ყაზანისა და ყუბანის კომიტეტები ყრილობამ სრულუფლებიანად არა სცნო. ყრილობას გადამწყვეტი ხმით დაესწრნენ შემდეგი კომიტეტების დელეგატები: პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის (ყრილობის ბოლოს), რიგის, ჩრდილოეთის, ტულის, ნიჟნი ნოვგოროდის, ურალის, სამარის, სარატოვის, კავკასიის კავშირის (8 ხმა, ე. ი. უდრის ოთხ კომიტეტს), ვორონეჟის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლესიეს, ჩრდილო-დასავლეთის, კურსკისა და ორიოლ-ბრიანსკისა. სულ 21 ორგანიზაცია 42 ხმით, შემდეგ ცენტრალური კომიტეტის დელეგატები და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები საბჭოში სულ 4 ხმით. სულ 46 ხმა 71-დან. სათათბირო ხმით დაესწრნენ დელეგატები არხანგელსკის კომიტეტისა, ურალის კავშირისა (მეორე დელეგატი, რომელიც ყრილობის ბოლოს მოვიდა), ყაზანის კომიტეტისა, ოდესის კომიტეტისა; ეკატერინოსლავის, ხარკოვის, მინსკის ჯგუფებისა, «ვპერიოდის» რედაქციისა და საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტისა. კრემენჩუგის კომიტეტის დელეგატმა სურვილი გა-

მოთქვა მონაწილეობა მიეღო ყრილობის მუშაობაში, მაგრამ დაგვიანებით ჩამოვიდა. შემდეგ, მესამე ყრილობის დელეგატებმა მისი სხდომების დროს მიიღეს დოკუმენტი, რომლიდანაც ჩანს, რომ საერთო პარტიული ყრილობის შესაქმნელად საორგანიზაციო კომიტეტის ღონისძიებათა მეოხებით საზღვარგარეთ ჩამოვიდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: ცენტრალური კომიტეტის პეტერბურგის ჯგუფის, ცენტრალური კომიტეტის ოდესის ჯგუფის, ნიკოლაევის კომიტეტის, ხარკოვის კომიტეტის, კიევის კომიტეტის, ეკატერინ. კომიტეტის, ყუბანის კომიტეტის, დონის კომიტეტის, დონეცის კავშირის, ციმბირის კავშირის, მოსკოვის კომიტეტის პერიფერიის, სორმოვოს პერიფერიის, სმოლენსკის კომიტეტის, ყირიმის კავშირისა და უკრაინის ს.-დ. კავშირისა. ეს დოკუმენტია წერილი «ამხანაგებისადმი, რომლებიც შეიკრიბნენ ყრილობაზე საორგანიზაციო კომიტეტის მიწვევით», წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ყველა დასახელებული ორგანიზაციის წარმომადგენელნი. აქედან ჩანს, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა მართლაც მოახერხა უზრუნველეყო შესაძლებლობა საერთო პარტიული ყრილობისა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ყრილობას ჰქონდა სულ 26 სხდომა. დღის წესრიგში იყო ტაქტიკური საკითხები: 1) შეიარაღებული აჯანყება. 2) მთავრობის პოლიტიკისადმი დამოკიდებულება გადატრიალების წინ და თვით გადატრიალების მომენტში. 3) გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულება. შემდეგ საორგანიზაციო საკითხები. 4) პარტიულ ორგანიზაციებში მუშათა და ინტელიგენტთა ურთიერთდამოკიდებულება. 5) პარტიის წესდება. შემდეგ, საკითხები სხვა პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების შესახებ, სახელდობრ: 6) — რსდმპ გამოთიშული ნაწილისადმი. 7) — ნაციონალური ს.-დ. პარტიებისადმი. 8) — «სოციალ-რევოლუციონერებისადმი». 9) — ლიბერალებისადმი. შემდეგ, 10) პროპაგანდისა და აგიტაციის გაუმჯობესება. 11) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. 12) ადგილობრივი კომიტეტების დელეგატთა ანგარიშები. 13) არჩევნები. 14) ყრილობის ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყ-

ნების წესი და თანამდებობის პირთა მიერ თანამდებობის შედგომის წესი.

ყრილობის ოქმების გამოცემა დაევალა ყრილობის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას, რომელიც უკვე შეუდგა თავის მუშაობას.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტი

«პროლეტარი» № 1,
1905 წ. 27 (14) მაისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მესამე ყრილობა [114]

რსდმპ-ში როგორც იქნა დამთავრდა ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა ყრილობისათვის. მესამე ყრილობა შესდგა. მთელი მისი მუშაობის დაწვრილებითი შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ყრილობის ოქმები. ამჟამად ჩვენ განზრახვა გვაქვს მხოლოდ დავსახოთ, გამოქვეყნებული «ცნობისა» * და ყრილობის მონაწილეთა შთაბეჭდილებების საფუძველზე, მთავარი მომენტები პარტიული განვითარებისა, რომელიც III ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბდა.

III ყრილობის წინახანს რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის პარტიის წინაშე სამი მთავარი საკითხი იდგა. ჯერ-ერთი, პარტიის კრიზისის საკითხი. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი საერთოდ პარტიის ორგანიზაციის ფორმის შესახებ. მესამე, — მთავარი საკითხი ჩვენი ტაქტიკისა ახლანდელ რევოლუციურ მომენტში. განვიხილოთ ამ სამი საკითხის გადაწყვეტა, ამასთან ნაკლებ არსებითიდან უფრო არსებითზე გადავიდეთ.

პარტიის კრიზისი თავისთავად გადაწყდა უკვე მარტო იმ ფაქტით, რომ ყრილობა მოწვეულ იქნა. კრიზისის საფუძველს, როგორც ცნობილია, შეადგენდა ის, რომ II ყრილობის უმცირესობას დაჟინებით არ სურდა დამორჩილებოდა მის უმრავლესობას. ამ კრიზისის სიმწვავისა და მისი გაჭიანურებული ხასიათის მიზეზი იყო III ყრილობის მოწვევის დაყოვნება, პარტიაში ფაქტიური გათიშვის, ფარული და საიდუმ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 512 — 517. რ ე დ.

ლო გათიშვის არსებობა, მაშინ როცა ფარისევლურად იცავ-დნენ გარეგან და მოჩვენებით ერთიანობას და უმრავლესობა მთელი ძალღონით ცდილობდა დაეჩქარებინა პირდაპირი გა-მოსვლა აუტანელი მდგომარეობიდან. ყრილობამ მოგვცა ეს გამოსავალი, პირისპირ დაუყენა რა უმცირესობას უმრავლე-სობის გადაწყვეტილებათა აღიარების საკითხი, ე. ი. პარტიის ერთიანობის ფაქტიური აღდგენის ან სრული ფორმალური დარღვევის საკითხი. უმცირესობამ ეს საკითხი მეორე აზრით» გადაჭრა, გათიშვა ამჯობინა. საბჭოს უარი ყრილობაში მო-ნაწილეობის მიღებაზე პარტიის სრულუფლებიან ორგანიზა-ციათა უმრავლესობის უეჭვოდ გამოხატული ნებასურვილის მიუხედავად, მთელი უმცირესობის უარი — დასწრებოდა ყრილობას, როგორც უკვე «ცნობაშია» ნათქვამი, იყო უკა-ნასკნელი ნაბიჯი გათიშვისაკენ. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ყრილობის ფორმალურ კანონიერებაზე, რაც სავსებით დამ-ტკიცებულია «ცნობაში». ის მოსაზრება, რომ ყრილობა, მოწ-ვეული არა საბჭოს მიერ, ე. ი. არა პარტიის წესდების მი-ხედვით, უკანონოაო, ძნელიცაა სერიოზულად მივიჩნიოთ პარტიული კონფლიქტის მთელი ისტორიის შემდეგ. ყველა-სათვის, ვისაც კი შეუთვისებია საერთოდ ყოველი პარტიული ორგანიზაციის საფუძვლები, ცხადია, რომ დისციპლინა უდაბ-ლესი კოლეგიის მიმართ დამოკიდებულია დისციპლინაზე უმაღლესი კოლეგიის მიმართ; დისციპლინა საბჭოს მიმართ დამოკიდებულია საბჭოს დამორჩილებაზე თავის მარწმუნე-ბელთადმი, ე. ი. კომიტეტებისადმი და მათი ერთობლიობი-სადმი, პარტიული ყრილობისადმი. ვინც ამ ანაბანას არ ეთან-ხმება, იგი აუცილებლად მიდის აბსურდულ დასკვნამდე, რომ რწმუნებული პირები კი არ არიან პასუხისმგებელნი მარწმუ-ნებელთა წინაშე და მათ კი არ აბარებენ ანგარიშს, არამედ პირიქით. მაგრამ ვიმეორებთ, საკითხზე დიდხანს შეჩერება არა ღირს არა მარტო იმიტომ, რომ საქმის არგაგება შეუძ-ლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც გაგება არა სურს, არამედ კიდევ იმიტომაც, რომ გათიშვის მომენტიდან გათიშული ნაწილების დავა ფორმალობათა შესახებ განსაკუთრებით მშრალი და უმიზნო სქოლასტიკა ხდება.

უმცირესობა გაეთიშა ახლა პარტიას, ეს მომხდარი ფაქტია. მისი ერთი ნაწილი, ალბათ, დარწმუნდება ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და კიდევ უფრო მეტად ოქმებიდან, რომ გულუბრყვილოა არაკების მოყოლა მექანიკური ჩახშობის შესახებ და სხვ., რომ არსებობს საერთოდ უმცირესობის უფლებათა სრული გარანტიები ახალ წესდებაში, რომ საზიანოა გათიშვა, — და შევა პარტიაში. მეორე ნაწილმა, იქნებ, ერთხანს ჯიუტობა გამოიჩინოს და არა სცნოს პარტიული ყრილობა. ამ ნაწილის მიმართ ჩვენ დაგვრჩენია სურვილი გამოვთქვათ, რომ იგი რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბდეს შინაგანად მთლიან ორგანიზაციად თავისი განსაკუთრებული ტაქტიკითა და განსაკუთრებული წესდებით. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო გაუადვილდება ყველას და თვითეულს, პარტიულ მუშაკთა ფართო მასას, გაერკვიოს გათიშვის მიზეზებსა და მის შეფასებაში, მით უფრო განსახორციელებელი იქნება პრაქტიკული შეთანხმება პარტიასა და გამოთიშულ ორგანიზაციას შორის, ადგილებზე მუშაობის საჭიროების მიხედვით, ბოლოს, მით უფრო მალე დაისახება გზა პარტიის ერთიანობის გარდუვალი მომავალი აღდგენისაკენ.

გადავიდეთ ახლა მეორე საკითხზე, პარტიის ზოგად საორგანიზაციო ნორმებზე. III ყრილობამ საკმაოდ არსებითად გადაამუშავა ეს ნორმები, გადასინჯა რა პარტიის მთელი წესდება. ეს გადასინჯვა შეეხო სამ მთავარ პუნქტს: ა) წესდების 1-ლი პარაგრაფის შეცვლას; ბ) ცენტრალური კომიტეტის უფლებათა და კომიტეტების ავტონომიის ზუსტ განსაზღვრას ამ უკანასკნელის გაფართოებით; გ) ერთიანი ცენტრის შექმნას. რაც შეეხება წესდების 1-ლი პარაგრაფის ყბადაღებულ საკითხს, იგი უკვე საკმაოდ გამოარკვია პარტიულმა ლიტერატურამ. მარტოვის ბუნდოვანი ფორმულირების პრინციპული დაცვის უმართებულობა სავსებით დამტკიცებულია. კაუტსკის ცდა — დაეცვა ეს ფორმულირება არა პრინციპული მოსაზრებით, არამედ იმით, რომ ეს უფრო მოხერხებულია რუსეთის კონსპირაციული პირობების თვალსაზრისითაო, წარმატებით არ დამთავრებულა და ვერც დამთავრდებოდა. ვისაც რუსეთში უმუშავნია, იმან ჩინებულად იცის, რომ მო-

ხერხებულობის ასეთი მოსაზრებანი არ არსებობს. ახლა დაგვრჩენია ველოდოთ წესდების ახალი 1-ლი პარაგრაფის განხორციელებაზე პარტიის კოლექტიური მუშაობის პირველ გამოცდილებას. ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ მისი განხორციელებისათვის კიდევ საჭიროა მუშაობა და ბევრი მუშაობა. საკუთარი თავი რომ ჩარიცხო პარტიის წევრად «ერთ-ერთი პარტიული ორგანიზაციის კონტროლით», — ამისათვის არავითარი მუშაობა არ არის საჭირო, რადგან ეს ფორმულა ფუჭი სიტყვებია და ყოველთვის, მეორე ყრილობიდან მესამემდე, ფუჭი სიტყვები იყო. სხვადასხვაგვარი პარტიული ორგანიზაციების ფართო ქსელი რომ შევქმნათ, ვიწრო და კონსპირაციული ორგანიზაციებით დაწყებული და რაც შეიძლება ფართო და რაც შეიძლება ნაკლებ კონსპირაციულით გათავებული, ამისათვის საჭიროა შეუპოვარი, ხანგრძლივი, უნარიანი საორგანიზაციო მუშაობა, რომელიც ახლა კიდევაც ეკისრება ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო უფრო მეტად ჩვენს ადგილობრივ კომიტეტებს. სწორედ **კომიტეტებს** მოუხდებათ დაამტკიცონ პარტიულის სახელწოდებით ორგანიზაციათა უმეტესი რიცხვი, მოუხდებათ ამასთანავე მოერიდონ ყოველგვარ ზედმეტ გაჭიანურებასა და შარის მოდებას, მოუხდებათ მუშებს შორის ყოველთვის და განუწყვეტლივ გასწიონ იმ იდეის პროპაგანდა, რომ აუცილებელია ჩვენს პარტიაში შემავალი სულ სხვადასხვაგვარი მუშათა ორგანიზაციების რაც შეიძლება მეტი რაოდენობის შექმნა. ჩვენ არ შეგვიძლია აქ უფრო დიდხანს შევჩერდეთ ამ საინტერესო საკითხზე. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ რევოლუციური ეპოქა განსაკუთრებით აუცილებელს ხდის სოციალ-დემოკრატიის მკვეთრად გამიჯვნას ყველა და ყოველგვარი დემოკრატიული პარტიებისაგან. ხოლო ასეთი გამიჯვნა შეუძლებელია, თუ განუწყვეტლივ არ ვიმუშავებთ პარტიულ ორგანიზაციათა რიცხვის გასადიდებლად და ურთიერთშორის მათი კავშირის განსამტკიცებლად. კავშირის ამ განმტკიცების საქმეს, სხვათა შორის, უნდა ემსახურებოდეს ყრილობის მიერ შემოღებული ორკვირეული ანგარიშები. ვისურვოთ, რომ ეს ანგარიშები ქაღალდზე არ დარჩენილიყოს, რომ პრაქტიკოსებს

ამის გამო არ წარმოსდგენოდეთ საქმის გაჭიანურებისა და კანცელარობის საშინელებანი, რომ ისინი მისჩვეოდნენ ჯერ-ჯერობით მცირე ცნობის, თუნდაც უბრალო ცნობის მოწოდებას იმის შესახებ, თუ რამდენი წევრი ჰყავს თვითეულ ორგანიზაციას, თუნდაც ყველაზე პატარას, ყველაზე მეტად დაშორებულს პარტიული ორგანიზაციის ცენტრისაგან. «ძნელია მხოლოდ საქმის დაწყებაო», ამბობს ანდაზა, შემდეგ კი გამოჩნდება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგულარული საორგანიზაციო ურთიერთობის მიჩვევას.

ერთი ცენტრის საკითხზე დიდხანს არ შევჩერდებით. III ყრილობამ ისეთივე უდიდესი უმრავლესობით უკუაგდო «ორცენტრიანობა», როგორითაც იგი II ყრილობამ მიიღო. ამის მიზეზს ადვილად მიხვდება ყველა, ვინც კი ყურადღებით ადევნებს თვალს პარტიის ისტორიას. ყრილობები იმდენად ახალს არა ქმნიან, რამდენადაც განამტკიცებენ უკვე გამომუშავებულ შედეგებს. II ყრილობის დროისათვის სიმტკიცის დასაყრდენი იყო და ითვლებოდა «ისკრის» რედაქცია, — მას ჰქონდა მინიჭებული უპირატესობა. რუსეთელ ამხანაგთა სიჭარბე საზღვარგარეთლებთან შედარებით პარტიის განვითარების მაშინდელი ეტაპის დროს ჯერ კიდევ პრობლემატურად გვეჩვენებოდა. მეორე ყრილობის შემდეგ არამტკიცე აღმოჩნდა სახელდობრ საზღვარგარეთული რედაქცია, — პარტია კი გაიზარდა, უეჭველად და მნიშვნელოვნად გაიზარდა, სახელდობრ რუსეთში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ცენტრალური ორგანოს რედაქციის დანიშვნას პარტიულ მუშაკთა მასები ამ პირობებში არ შეიძლებოდა თანაგრძნობით არ შეხვედროდნენ.

ბოლოს, ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი კომიტეტების უფლებათა უფრო ზუსტად განსაზღვრის, იდეური ბრძოლისა და დეზორგანიზატორული შფოთის ცდები ასევე აუცილებლობით გამომდინარეობდა II ყრილობის შემდეგ მომხდარი ამბების მთელი მსვლელობიდან. აქ ჩვენს წინაშეა თანამიმდევრად და სისტემატურად «დაგროვება პარტიული გამოცდილებისა». პლეხანოვისა და ლენინის 1903 წ. 6 ოქ-

ტომბრის წერილი უკმაყოფილო რედაქტორებისადმი * მისწრაფება იყო გაბოროტებისა და უთანხმოების ელემენტთა გამიჯვნისაკენ. ცენტრალური კომიტეტის 1903 წ. 25 ნოემბრის ულტიმატუმი იგივე მისწრაფება იყო ლიტერატურული ჯგუფის ჩამოყალიბებული წინადადების სახით. საბჭოში ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთა განცხადება 1904 წ. იანვრის დამლევს ** იყო ცდა — მოეწოდებინათ მთელი პარტიისათვის, რომ მას ბოიკოტისაგან განესხვავებინა ბრძოლის იდეური ფორმები და სხვ.. ლენინის 1904 წ. 26 მაისის წერილი ცენტრალური კომიტეტის რუსეთელი წევრებისადმი *** იყო უმცირესობის უფლებათა ფორმალური გარანტირების აუცილებლობის აღიარება. ცნობილი «22-ის დეკლარაცია» (1904 წ. შემოდგომა) იგივე იყო უფრო გარკვეული, .დამუშავებული და კატეგორიული ფორმით. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ გზით წავიდა III ყრილობაც, რომელმაც «საბოლოოდ გაფანტა, ფორმალური გადაწყვეტილებებით გაფანტა საალყო წესების მირაჟი». სახელდობრ რაში მდგომარეობს ეს ფორმალური გადაწყვეტილებანი, ე. ი. პარტიის წესდების სახის შეცვლა, ჩვენ აქ არ გავიმეორებთ, რადგან ეს ჩანს წესდებიდან და «ცნობიდან». აღვნიშნავთ მხოლოდ ორ რამეს. ჯერ-ერთი, შესაძლებელია იმედი ვიქონიოთ, რომ ლიტერატურის გამოცემის უფლების გარანტია და კომიტეტების უზრუნველყოფა «დაშლისაგან» გააადვილებს ჩამოშორებული ნაციონალური ს.-დ. ორგანიზაციების დაბრუნებას პარტიაში. მეორე, კომიტეტთა პირადი შემადგენლობის ხელშეუხებლობის შემოღებამ საჭირო გახადა ამ ხელშეუხებლობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის, ე. ი. აბსოლუტურად უვარგისი კომიტეტის «შეუცვლელობის» უხერხულობის გათვალისწინება. ამრიგად წარმოიშვა პარტიის ახალი წესდების § 9, რომელიც აწესებს კომიტეტის დაშლის პირობებს, როდესაც ამას მოითხოვს პარტიულ ორ-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 438. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 171 — 174. რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 531 — 535. რ ე დ.

განიზაციებში შემავალ ადგილობრივ მუშათა ⅔. მოვუცადოთ გამოცდილების მითითებებს, რათა გადავწყვიტოთ, თუ რამდენად პრაქტიკული აღმოჩნდა ეს წესი.

ბოლოს, გადავდივართ რა ყრილობის მუშაობის უკანასკნელ და ყველაზე მნიშვნელოვან საგანზე, პარტიის ტაქტიკის დადგენაზე, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ უადგილოა ცალკეული რეზოლუციების ჩამოთვლა და მათი შინაარსის დაწვრილებით განხილვა. შესაძლოა ამის გაკეთება დაგვჭირდეს განსაკუთრებულ, უმთავრესი რეზოლუციებისადმი მიძღვნილ სტატიებში. აქ კი საჭიროა იმ საერთო პოლიტიკური სიტუაციის დახატვა, რომელშიც ყრილობა უნდა გარკვეულიყო. შესაძლოა რუსეთში დაწყებული რევოლუციის ორნაირი გზა და დაბოლოება. შესაძლოა, რომ მეფის მთავრობამ კიდევ შესძლოს და თავი დააღწიოს მუხრუჭს, რომელშიც იგი ჩაჭედილია, უმნიშვნელო დათმობათა საშუალებით, რომელიმე «შიპოვისებური» კონსტიტუციის საშუალებით. ასეთი დაბოლოება ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ თუ თვითმპყრობელობის საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაგალ., შედარებით ხელსაყრელი ზავის შემთხვევაში, თუ თავისუფლების საქმის მიმართ ბურჟუაზიის მოღალატეობის რეალიზაცია სწრაფად მოხდება ძალაუფლების წარმომადგენლებთან გარიგებით, თუ გარდუვალი რევოლუციური აფეთქება ან აფეთქებანი ხალხის დამარცხებით დამთავრდება, — მაშინ ასეთი დაბოლოებაა მოსალოდნელი. მაშინ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, და მთელ შეგნებულ პროლეტარიატს, მოგველის ბურჟუაზიის, როგორც კლასის, მკაცრი, ვითომდა კონსტიტუციური ბატონობის, მუშათა პოლიტიკური თვითმოქმედების ყოველგვარი ჩახშობის, ახალ პირობებში ნელი ეკონომიური პროგრესის ხანგრძლივი უფერული დღეები. ჩვენ, რა თქმა უნდა, სულით არ დავეცემით, როგორც უნდა დაბოლოვდეს რევოლუცია, პირობების ყოველგვარ შეცვლას ჩვენ გამოვიყენებთ იმისათვის, რომ გავაფართოოთ და განვამტკიცოთ მუშათა პარტიის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, პოლიტიკურად აღვზარდოთ პროლეტარიატი ახალი ბრძოლისათვის.

სხვათა შორის, ყრილობა ამ ამოცანას ანგარიშს უწევდა რეზოლუციაში რსდმპ-ის აშკარა გამოსვლის შესახებ.

შესაძლო და უფრო მოსალოდნელია რევოლუციის მეორე დაბოლოება, სახელდობრ ის «სრული გამარჯვება დემოკრატიისა მუშათა კლასის მეთაურობით», რაზედაც «ცნობა» ლაპარაკობს *. თქმა არ უნდა, ჩვენ გავაკეთებთ, რაც კი შეგვეძლება, იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამ შედეგს, მოვსპოთ ის პირობები, რომელთა მეოხებით შესაძლოა პირველი დაბოლოება. ობიექტური ისტორიული პირობებიც რუსეთის რევოლუციისათვის ხელსაყრელად იქმნება. უაზრო და სამარცხვინო ომი სასიკვდილო მარყუჟს უჭერს მეფის მთავრობას და არაჩვეულებრივ ხელსაყრელ მომენტს ქმნის იმისათვის, რომ რევოლუციურად მოვსპოთ სამხედრო ხროვა, გავწიოთ მუდმივი არმიების ნაცვლად სახალხო შეიარაღების ფართო პროპაგანდა, სწრაფად გავატაროთ ეს ზომა, რასაც მოსახლეობის მასა თანაგრძნობით შეხვდება. თვითმპყრობელობის ხანგრძლივმა და განუყოფელმა ბატონობამ, ალბათ, ისტორიაში უმაგალითო რაოდენობით დააგროვა ხალხის რევოლუციური ენერგია: მუშათა უდიდესი მოძრაობის გვერდით ფართოვდება და იზრდება გლეხთა აჯანყება, ირაზმება წვრილბურჟუაზიული დემოკრატია უმთავრესად თავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლების სახით. ისტორიის ირონიამ თვითმპყრობელობა იმით დასაჯა, რომ მისდამი მეგობრულად განწყობილი საზოგადოებრივი ძალებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, კლერიკალიზმი, იძულებული არიან დაირაზმონ ნაწილობრივ მის წინააღმდეგ, დაამსხვრიონ ან განზე გასწიონ პოლიციური ბიუროკრატიზმის ჩარჩოები. დრტვინვა სასულიერო წოდებაში, მისი მისწრაფება ცხოვრების ახალი ფორმებისაკენ, კლერიკალთა გამოყოფა, ქრისტიან სოციალისტთა და ქრისტიან დემოკრატთა გამოჩენა, «სხვა სარწმუნოების» მიმდევართა, სექტანტთა აღშფოთება და სხვ.: ყოველივე ეს დიდად უწყობს ხელს რევოლუციას, მეტისმეტად ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრული

* იხ. ეს ტომი, გვ. 516. რ ე დ.

ჩამოშორების სასარგებლო აგიტაციას. რევოლუციის ნებსითი და უნებლიე, შეგნებული და შეუგნებელი მოკავშირეები იზრდებიან და მრავლდებიან არა დღეობით, არამედ საათობით. თვითმპყრობელობაზე ხალხის გამარჯვების შესაძლებლობა ძლიერდება.

ეს გამარჯვება შესაძლებელია პროლეტარიატის ძალების მხოლოდ გმირული დაძაბვის დროს. იგი სოციალ-დემოკრატიას ისეთ მოთხოვნებს უყენებს, როგორიც ჯერ არც ერთხელ და არსად არ დაუყენებია ისტორიას მუშათა პარტიის წინაშე დემოკრატიული გადატრიალების ეპოქაში. აქ ჩვენს წინაშეა არა ნელი მოსამზადებელი მუშაობის გატკეპნილი გზები, არამედ აჯანყების ორგანიზაციის, პროლეტარიატის რევოლუციურ ძალთა კონცენტრაციის, მთელი რევოლუციური ხალხის ძალებთან მათი შემჭიდროების, შეიარაღებული თავდასხმის, დროებითი რევოლუციური მთავრობის დაარსების უდიდესი, გრანდიოზული ამოცანები. რეზოლუციებში, რომლებიც ახლა ყველას საყურადღებოდ არის გამოქვეყნებული, III ყრილობა შეეცადა გაეთვალისწინებინა ეს ახალი ამოცანები და შეგნებული პროლეტარების ორგანიზაციებისათვის მიეცა დირექტივები მათი ძალების მიხედვით.

რუსეთი უახლოვდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მთელი პროგრესული სახალხო ძალების საუკუნებრივი ბრძოლის გაშლას. ახლა უკვე აღარავის აეჭვებს, რომ ამ ბრძოლაში ყველაზე ენერგიულ მონაწილეობას პროლეტარიატი მიიღებს, და რომ სწორედ მისი მონაწილეობა ბრძოლაში გადაწყვეტს რევოლუციის ბედს რუსეთში. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, გვმართებს ახლა გავხდეთ ყველაზე რევოლუციური კლასის ღირსეული წარმომადგენლები და ხელმძღვანელები, დავეხმაროთ მას მოიპოვოს უფართოესი თავისუფლება, — სოციალიზმისაკენ ძლევამოსილი მსვლელობის საწინდარი.

«პროლეტარი» № 1,
1905 წ. 27 (14) მაისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ძლევამოსილი რევოლუცია

ახლა ხშირად გესმით ეს სიტყვები და კითხულობთ მათ. რას ნიშნავს ისინი? არ შეიძლება გავაღმერთოთ ცნება «რევოლუცია» (ამას აუცილებლად ჩაიდენენ ბურჟუაზიული რევოლუციონერები და კიდევაც სჩადიან). არ შეიძლება შევქმნათ ილუზიები, შევთხზათ ჩვენთვის მითები — ისტორიის მატერიალისტური გაგება და კლასობრივი თვალსაზრისი ამისადმი უცილობლად მტრულად არიან განწყობილნი.

მაგრამ მაინც უეჭველია, რომ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ორი ძალის ბრძოლა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, — სწორედ ორი ძალისა, რადგან ბრძოლის ობიექტი გახდა მეფის თვითმპყრობელობა, respective * ხალხის თვითმპყრობელობა. ეს ორი ძალაა რევოლუცია და კონტრრევოლუცია.

მაშასადამე, ჩვენი ამოცანაა ზუსტი ანგარიში მივცეთ ჩვენს თავს, თუ როგორია (1) ამ სოციალურ ძალთა კლასობრივი შინაარსი; (2) როგორია ახლა, ამჟამად მათი ბრძოლის რეალური, ეკონომიური შინაარსი.

ამ კითხვებზე მოკლე პასუხი (პასუხი, რომელიც საფუძვლიანად უნდა განვავითაროთ) ასეთია:

რევოლუციური ძალები = პროლეტარიატი და გლეხობა (გლეხობა, როგორც რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი წვრილი ბურჟუაზიის მთავარი წარმომადგენელი; ინტელიგენციის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მნიშვნელობის უმნიშვნელობა).

---

* — ან, შესაბამისად. რ ე დ.

ძლევამოსილი რევოლუცია = პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა.

გადატრიალების შინაარსი = დემოკრატიული პოლიტიკური წყობილების შექმნა, რაც, თავისი ეკონომიური მნიშვნელობით, უდრის (1) კაპიტალიზმის განვითარების განთავისუფლებას; (2) ბატონყმობის ნაშთების მოსპობას; (3) მოსახლეობის მასის, განსაკუთრებით მისი ქვედაფენების, საარსებო დონისა და კულტურული დონის ამაღლებას. [ამერიკა და რუსეთი, პაუპერიზმი და კაპიტალიზმი.]

Mythenbildung *, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის ისტორიული პოზიციის გარდუვალი შედეგი. [შედარება ადვოკატური რეზოლუციებისა [115].] ყველანი «სოციალისტები» არიან...

Umwälzung **, Umsturz *** ...სად? ინტელიგენცია?? ადვოკატები? — N i l ****. მხოლოდ პროლეტარები და **გლეხები**. რას შეუძლია განამტკიცოს მათი მონაპოვარი?? მხოლოდ რესპუბლიკას, დემოკრატიულ დიქტატურას.

დაწერილია 1905 წ. მაის — ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — მითთა მთხზველობა. რ ე დ.

** — გადატრიალება, რევოლუცია. რ ე დ.

*** — დამხობა. რ ე დ.

**** — Nihil — არაფერი. რ ე დ.

პოლიტიკისა და პედაგოგიკის აღრევის შესახებ

ჩვენში ცოტანი როდი არიან სოციალ-დემოკრატები, რომლებიც კაპიტალისტებთან ან მთავრობასთან ცალკეულ შეტაკებებში მუშათა ყოველი დამარცხების გავლენით პესიმიზმს ეძლევიან და ათვალწუნებით ერიდებიან ყოველგვარ ლაპარაკს მუშათა მოძრაობის უმაღლესი და დიადი მიზნების შესახებ იმ მიზეზით, რომ მასაზე ჩვენი გავლენა საკმაო არ არისო. მაგის თავი გვაქვს! სად შეგვიძლია! ამბობენ ასეთი ადამიანები. ლაპარაკიც ზედმეტია სოციალ-დემოკრატიის, როგორც რევოლუციის ავანგარდის როლის შესახებ, როდესაც ხეირიანად არც კი ვიცით მასების განწყობილება, უნარი არ შეგვწევს შევერიოთ მასას, ავამოძრაოთ მუშათა მასა! სოციალ-დემოკრატთა მიერ მიმდინარე წლის 1 მაისს განცდილმა მარცხმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ასეთი განწყობილება. მენშევიკებმა ანუ ახალისკრელებმა, რა თქმა უნდა, საჩქაროდ ჩასჭიდეს მას ხელი, რათა განსაკუთრებული ლოზუნგის სახით ერთხელ კიდევ წამოეყენებინათ ლოზუნგი: მასებისაკენ! თითქოს ვინმეს ჯიბრით, თითქოს დროებითი რევოლუციური მთავრობის, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა და სხვათა შესახებ აზრებისა და ლაპარაკის პასუხად.

არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ამ პესიმიზმში და იმ დასკვნებში, რომლებიც მისგან სულსწრაფ ახალისკრელ პუბლიცისტებს გამოჰყავთ, არის ერთი ძლიერ სახიფათო თვისება, რომელსაც შეუძლია სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას სერიოზული ზიანი მიაყენოს. თქმა არ უნდა, რომ თვითკრიტი-

ჯა უთუოდ საჭიროა ყველა ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი პარტიისათვის. თვითკმაყოფილ ოპტიმიზმზე უფრო უხამსი არაფერია. არაფერია იმაზე უფრო კანონიერი, რომ აღვნიშნავდეთ მასებზე ჩვენი გავლენის, ჩვენი წმინდა მარქსისტული პროპაგანდისა და აგიტაციის გაღრმავებისა და გაფართოების, გაფართოებისა და გაღრმავების, მუშათა კლასის ეკონომიურ ბრძოლასთან ჩვენი დაახლოებისა და სხვათა მუდმივ, აუცილებელ საჭიროებას. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ასეთი მითითებანი კანონიერია ყველგან და მუდამ, ყოველგვარ პირობებსა და მდგომარეობაში, ისინი არ უნდა გადავაქციოთ განსაკუთრებულ ლოზუნგებად, ისინი ვერ გამართლებენ იმის ცდებს, რომ მათზე რომელიღაც განსაკუთრებული მიმართულება ავაგოთ სოციალ-დემოკრატიაში. აქ არის ზღვარი, რომლის გადალახვითაც ამ უდავო მითითებებს თქვენ აქცევთ მოძრაობის ამოცანებისა და გაქანების შევიწროებად, მომენტის არსებითი მოწინავე პოლიტიკური ამოცანების დოქტრინიორულ დავიწყებად.

მუშაობისა და მასებზე გავლენის გაღრმავება და გაფართოება ყოველთვის საჭიროა. უამისოდ სოციალ-დემოკრატი არ არის სოციალ-დემოკრატი. ვერც ერთი ორგანიზაცია, ჯგუფი, წრე ვერ ჩაითვლება სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად, თუ ისინი მუდამ და რეგულარულად არ ეწევიან ამ მუშაობას. პროლეტარიატის ცალკე დამოუკიდებელ პარტიად ჩვენი მტკიცე გამოცალკევების მთელი აზრის თვალსაჩინო მნიშვნელობა ის არის, რომ ყოველთვის და განუხრელად ვეწეოდეთ ამ მარქსისტულ მუშაობას, შეძლებისამებრ აგვყავდეს მთელი მუშათა კლასი შეგნებული სოციალ-დემოკრატიულობის დონემდე, ნებას არ ვაძლევდეთ არავითარ, სრულებით არავითარ პოლიტიკურ ქარტეხილებს — მით უმეტეს დეკორაციის პოლიტიკურ შეცვლას — ხელი აგვაღებინონ ამ უაღრესად საჭირო მუშაობაზე. ეს მუშაობა რომ არ იყოს, პოლიტიკური მოღვაწეობა აუცილებლად გადაგვარდებოდა სათამაშო ნივთად, რადგან ეს მოღვაწეობა პროლეტარიატისათვის სერიოზულ მნიშვნელობას იღებს მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი რაზმავს გარკვე-

ული კლასის მასას, ინტერესს უღვიძებს მას, შთააგონებს, რომ აქტიური, მოწინავე მონაწილეობა მიიღოს მოვლენებში. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს მუშაობა საჭიროა ყოველთვის: ყოველი დამარცხების შემდეგ იგი შეიძლება და საჭიროც არის გავახსენოთ, ხაზი გავუსვათ მას, რადგან მისი სისუსტე ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს არის პროლეტარიატის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი. ყოველი გამარჯვების შემდეგაც საჭიროა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს გავახსენოთ იგი და ხაზი გავუსვათ მის მნიშვნელობას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვება მოჩვენებითი იქნება, მისი ნაყოფი უზრუნველყოფილი არ იქნება, ჩვენი საბოლოო მიზნისათვის მთელი ჩვენი დიადი ბრძოლის თვალსაზრისით მისი რეალური მნიშვნელობა მეტად მცირე იქნება და შეიძლება უარყოფითიც აღმოჩნდეს (სახელდობრ იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივი გამარჯვება მოადუნებს ჩვენს სიფხიზლეს, შეასუსტებს უნდობლობას არასაიმედო მოკავშირეთადმი, გაგვაშვებინებს მტრის წინააღმდეგ შემდგომი და უფრო სერიოზული შეტევის მომენტს).

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მასებზე გავლენის გაღრმავებისა და გაფართოების ეს მუშაობა ერთნაირად საჭიროა ყოველთვის, ყოველი გამარჯვების შემდეგაც და ყოველი დამარცხების შემდეგაც, პოლიტიკური უძრაობის ეპოქაშიც და ყველაზე ბობოქარ რევოლუციურ დროშიც, სწორედ ამიტომ მასზე მითითებიდან არც შეიძლება შევქმნათ რაიმე განსაკუთრებული ლოზუნგი, მასზე არ შეიძლება ავაგოთ განსაკუთრებული მიმართულება, თუ არ გვინდა ჩავვარდეთ დემაგოგიაში და დავამციროთ მოწინავე და ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური კლასის ამოცანები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურ მოღვაწეობაში მუდამ არის და იქნება პედაგოგიკის გარკვეული ელემენტი: დაჭირავებულ მუშათა მთელი კლასი უნდა აღვზარდოთ ყოველგვარი ჩაგვრისაგან მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა როლის შესასრულებლად, მუდამ უნდა ვასწავლიდეთ ამ კლასის ახალახალ ფენებს, უნდა შეგვწევდეს უნარი მივუდგეთ ამ კლასის ყველაზე უბირ, განუვითარებელ წარმომადგენლებს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეჰხებია ჩვე-

ნი მეცნიერებაც და ცხოვრების მეცნიერებაც, რათა შეგვეძ-ლოს მათთან დალაპარაკება, შეგვეძლოს მათთან დაახლოება, შეგვეძლოს დინჯად, მოთმინებით ავიყვანოთ ისინი სოციალ-დემოკრატიულ შეგნებამდე ისე, რომ არ გადავაქციოთ ჩვენი მოძღვრება მშრალ დოგმად, ვასწავლოთ იგი არა მარტო წიგ-ნით, არამედ ყოველდღიურ საარსებო ბრძოლაში პროლეტა-რიატის ამ ყველაზე უბირი და ყველაზე განუვითარებელი ფენების მონაწილეობითაც. ამ ყოველდღიურ მოღვაწეობაში, ვიმეორებ, არის პედაგოგიკის გარკვეული ელემენტი. სო-ციალ-დემოკრატი, რომელიც ამ მოღვაწეობას დაივიწყებდა, აღარ იქნებოდა სოციალ-დემოკრატი. ეს მართალია. მაგრამ ჩვენში ახლა ხშირად ივიწყებენ, რომ სოციალ-დემოკრატი, რომელიც პოლიტიკის ამოცანებს პედაგოგიკით ამოწურავდა, აგრეთვე — თუმცა სხვა მიზეზით — აღარ იქნებოდა სოციალ-დემოკრატი. ვინც განიზრახავდა ამ «პედაგოგიკიდან» შეექმნა განსაკუთრებული ლოზუნგი, დ ა ე პ ი რ დ ა პ ი რ ე ბ ი ნ ა იგი «პოლიტიკისათვის», ამ დაპირდაპირებაზე განსაკუთრებუ-ლი მიმართულება აეგო, ამ ლოზუნგის გულისათვის მიემართა მასისადმი სოციალ-დემოკრატიის «პოლიტიკოსების» წინააღ-მდეგ, იგი ერთბაშად და გარდუვალად დაექანებოდა დემაგო-გიამდე.

ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებს, ეს დიდი ხანია ცნო-ბილია. ყოველგვარი შედარება ამსგავსებს შესადარებელ სა-განთა ან ცნებათა მხოლოდ ერთ მხარეს ან მხოლოდ ზოგიერთ მხარეს, ხოლო სხვა მხარეებს დროებით და პირობით განყენე-ბულს ხდის. მოვაგონებთ მკითხველს ამ საყოველთაოდ ცნო-ბილ ჭეშმარიტებას, რომელსაც ხშირად ივიწყებენ, და სო-ციალ-დემოკრატიულ პარტიას შევადარებთ დიდ სკოლას, ერთსა და იმავე დროს დაბალს, საშუალოსა და უმაღლესს. ეს დიდი სკოლა ვერასოდეს და ვერავითარ პირობებში ვერ დაი-ვიწყებს ანბანის სწავლების, ცოდნის დასაწყისთა და დამოუ-კიდებელი აზროვნების დასაწყისთა სწავლების საქმეს. მაგრამ თუ ვინმე განიზრახავდა უმაღლესი ცოდნის საკითხები თავი-დან აერიდებინა ანბანზე მითითებით, თუ ვინმე დაიწყებდა ამ უმაღლესი ცოდნის (რომელიც ანბანის შემსწავლელ წრესთან

შედარებით ბევრად უფრო მცირერიცხოვანი წრისათვის არის ხელმისაწვდომი) არამტკიცე, საეჭვო, «ვიწრო» შედეგების დაპირდაპირებას დაწყებითი სკოლის მტკიცე, ღრმა, ფართო და საფუძვლიანი შედეგებისათვის, იგი უდიდეს სიბეცეს გამოიჩენდა. იგი ხელსაც კი შეუწყობდა დიდი სკოლის მთელი აზრის სრულ დამახინჯებას, რადგან უმაღლესი ცოდნის საკითხთა უგულებელყოფა მხოლოდ გაუადვილებდა შარლატანებს, დემაგოგებსა და რეაქციონერებს თავგზა აებნიათ იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც მარტო ანბანი გაიარეს. ან კიდევ, შევადაროთ პარტია არმიას. არც მშვიდობიან და არც ომიანობის დროს არ შეიძლება დავივიწყოთ ახალწვეულთა სწავლება, სროლის მეცნიერება, მასებში სამხედრო საქმის ანბანის ფართოდ და ღრმად გავრცელება. მაგრამ თუ მანევრების ან ნამდვილი ბრძოლების ხელმძღვანელები...*

დაწერილია 1905 წ. ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ამაზე ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

წერილი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს

ჟენევა, 1905 წ. 2 ივნისი.

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს.

ძვირფასო ამხანაგებო! ამ რამდენიმე კვირის წინათ შესდგა რსდმპ მე-3 ყრილობა. მალე დაიბეჭდება და ბიუროს გამოეგზავნება სპეციალური ბროშურა[116] ფრანგულ და გერმანულ ენებზე ყრილობის რეზოლუციების თარგმანით. ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, გაზეთი «ისკრა» პარტიის ცენტრალური ორგანო აღარ არის. ამიერიდან ცენტრალური ორგანო იქნება ყოველკვირეული გაზეთი «პროლეტარი» [117], რომელიც ჟენევაში გამოდის.

ცენტრალური კომიტეტი, რომელიც, ახალი წესდების თანახმად, ჩვენი პარტიის ერთადერთი ცენტრალური დაწესებულებაა, დანიშნავს პარტიის წარმომადგენელს საერთაშორისო ბიუროში. გთხოვთ ამიერიდან მიმართოთ ხოლმე ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს, ამხ. ულიანოვს: 3, rue de la Colline, Genève.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ძმური სალამი.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით
ნ. ლ ე ნ ი ნ ი (ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი)

დაიბეჭდა 1905 წელს
ცალკე ფურცლად ჰექტოგრაფზე

იბეჭდება ჰექტოგრაფირებული
ფურცლის ტექსტის მიხედვით

კონსერვატიული ბურჟუაზიის რჩევა

ამ რამდენიმე კვირის წინათ მოსკოვში შესდგა ერობის მოღვაწეთა მეორე ყრილობა. ამ ყრილობის შესახებ რუსეთის გაზეთებს არც ერთი სიტყვის დაბეჭდვის ნებას არ აძლევენ. ინგლისის გაზეთები იუწყებიან მთელ რიგ დეტალებს მნახველთა ნაამბობის მიხედვით, რომლებიც დაესწრნენ ყრილობას და ტელეგრაფით გადასცემენ არა მარტო ყრილობის გადაწყვეტილებებს, არამედ სხვადასხვა ელფერის წარმომადგენელთა სიტყვების შინაარსსაც. ერობის 132 წარმომადგენლის გადაწყვეტილებათა არსი მდგომარეობს კონსტიტუციის სწორედ იმ პროგრამის მიღებაში, რომელიც ბ-ნმა სტრუვემ გამოაქვეყნა და რომელიც ჩვენ «ვპერიოდის» მე-18 ნომერში გავარჩიეთ («პოლიტიკური სოფიზმები») *. ეს პროგრამა ითვალისწინებს სახალხო წარმომადგენლობის ორპალატიან სისტემას, რომლის დროსაც დაცული იქნება მონარქია. ზემო პალატა შესდგება — ერობებისა და საქალაქო თვითმმართველობათა დელეგატებისაგან, ქვემო — არჩეული იქნება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. ჩვენმა ლეგალურმა გაზეთებმა, რომლებიც იძულებული არიან ყრილობის შესახებ სიჩუმე დაიცვან, უკვე დაიწყეს ამ პროგრამის შესახებ დაწვრილებითი ცნობების ბეჭდვა, და ამიტომ მის გარჩევას ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რაც შეეხება საერობო ყრილობას, ჩვენ, ალბათ, კიდევ არა ერთხელ მოგვიხდება მას დავუბრუნდეთ. ჯერჯერობით კი,

* იხ. ეს ტომი, გვ. 499 — 509. რ ე დ.

ინგლისური გაზეთების საფუძველზე, გაუწყებთ მხოლოდ განსაკუთრებით საინტერესო ამბავს, რაც ამ ყრილობაზე მოხდა: უთანხმოებას ანუ გათიშვას «ლიბერალურ» ანუ ოპროტუნისტულ ანუ შიპოვის პარტიასა და «რადიკალურ» პარტიას შორის. უთანხმოება ჩამოვარდა საყოველთაო საარჩევნო უფლების გამო, რომელიც პირველ პარტიას არ უნდა. კვირას 7 მაისს (24 აპრილს) აღმოჩნდა, რომ ყრილობის 52 წევრი შიპოვს ემხრობა და მზად არის, თუ აღიარებულ იქნება საყოველთაო საარჩევნო უფლება, ყრილობიდან წავიდეს. ორშაბაოს ოციოდე მათგანმა უმრავლესობასთან ერთად ხმა მისცა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, ამასთან მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ, ამას გარდა, მხარი დაუჭირა პირდაპირს საარჩევნო უფლებას და საქალაქო თვითმმართველობისა და ერობის წარმომადგენელთა არყოფნას (დამფუძნ. კრებაში). მაშასადამე, შიპოველები ჯერჯერობით დამარცხდნენ ერობის მოღვაწეთა ყრილობაზე. უმრავლესობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მონარქიის შენარჩუნება და რევოლუციის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლების მინიჭების გზით, რომელიც უვნებელყოფილი იქნება არაპირდაპირი და არათანასწორი არჩევნებით ორიდან ერთ პალატაში.

მეტისმეტად საგულისხმოა ამ ყრილობისა და ამ გადაწყვეტილების შეფასება ინგლისის კონსერვატიული ბურჟუაზიის მხრივ. «ჩვენთვის, უცხოელთათვის, — წერს «ტაიმსი» — სრულიად შეუძლებელია ამ შესანიშნავი ყრილობის პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასება, სანამ სარწმუნო წყაროებიდან არ გავიგებთ, თუ რამდენად უჭერს მას მხარს რუსი ხალხის ფართო მასა. ეს ყრილობა შეიძლება მოასწავებდეს ნამდვილი კონსტიტუციური გარდაქმნის დასაწყისს; იგი შეიძლება იყოს პირველი საფეხური რევოლუციისაკენ მიმავალ გზაზე; იგი შეიძლება იყოს უბრალო ფეიერვერკი, რომელსაც ბიუროკრატია მოთმინებით მოეპყრო, რადგან იცოდა, რომ იგი მისთვის ყოველგვარი ზიანის მოუტანლად ჩაიწვოდა».

შესანიშნავი სწორი დახასიათებაა! მართლაც, რუსეთის რევოლუციის შემდგომ მსვლელობას ჯერ კიდევ სრულებითაც ვერ განსაზღვრავს ისეთი მოვლენა, როგორიც ეს ყრილობაა. «ხალხის ფართო მასის მიერ მხარდაჭერას» ჯერ კიდევ კითხვის ნიშანი უზის, ხალხის მხრივ მხარდაჭერის ფაქტის აზრით კი არა (მისი მხარდაჭერა უეჭვოა), არამედ უფრო იმ აზრით, თუ რამდენად ძლიერი იქნება ეს მხარდაჭერა. თუ მთავრობა აჯანყებას დაამარცხებს, მაშინ ლიბერალური ყრილობა სწორედ უბრალო ფეიერვერკი აღმოჩნდება. და ზომიერი ევროპელი ლიბერალები, რა თქმა უნდა, ურჩევენ ფრთხილ მოქმედებას: ზომიერ კონსტიტუციას, რომელიც თავიდან ააცილებდა რევოლუციას. მაგრამ მთავრობის დაბნეულობა მათ შიშსა და უკმაყოფილებას უნერგავს. ყრილობის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების აკრძალვა «ტაიმსს» უცნაურად მიაჩნია, რადგან თავიანთ მაზრებში დაბრუნებულ დელეგატებს ყველა საშუალება აქვთ გააცნონ თავიანთი გადაწყვეტილებანი რუსეთის მთელ საზოგადოებას. «ყრილობის სავსებით აკრძალვა, ერობის ჩამოსულ მოღვაწეთა დაპატიმრება, მათი ყრილობის გამოყენება როგორც მოჩვენებითი რეფორმის საბაბისა, მთავრობის ყველა ასეთი ღონისძიება გასაგები იქნებოდა. მაგრამ ერობის მოღვაწეთათვის ჩამოსვლისა და უკან დაბრუნების საშუალების მიცემა, ხოლო შემდეგ მათი გადაწყვეტილებების საიდუმლოდ შენახვის ცდა, — ეს უკვე პირდაპირ სისულელეა».

მეფის მთავრობის სისულელე, რაც მის დაბნეულობასა და მის უძლურებას მოწმობს (რადგან რევოლუციურ მომენტში დაბნეულობა უძლურების სწორედ უნამდვილესი ნიშანია), ევროპის კაპიტალს სერიოზულად ანაღვლიანებს («ტაიმსი» — სიტის, მსოფლიოს უმდიდრესი ქალაქის თვალსაჩინო ფინანსური ბობოლების ორგანოა). ეს დაბნეულობა ზრდის ნამდვილი, ძლევამოსილი, თავის გზაზე ყველაფრის აღმგველი რევოლუციის შესაძლებლობას, რაც ევროპის ბურჟუაზიას შიშის ზარსა სცემს. იგი ლანძღავს თვითმპყრობელობას დაბნეულობისათვის, ლიბერალებს — «ზომაგადასულ» მოთხოვნათათვის! «რაღაც ხუთიოდე დღეში — აღშფოთებით ლაპარაკობს «ტა-

იმსი» — თავის შეხედულებათა გამოცვლა და უკიდურეს გადაწყვეტილებათა (საყოველთაო საარჩევნო უფლება) მიღება. და ისიც იმისთანა საკითხზე, რომლის შესახებაც ევროპის ყველაზე გამოცდილი საკანონმდებლო კრებები ვერ გაბედავდნენ აზრის გამოთქმას მთელი სესიის განმავლობაში». ევროპის კაპიტალი რუსეთის კაპიტალს ურჩევს მისგან აიღოს მაგალითი. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ რჩევას ყურადიღებენ, — მაგრამ არა გვგონია, რომ ეს თვითმპყრობელობის ‘შ ე ზ ღ უ დ ვ ა ზ ე’ უფრო ადრე მოხდეს. აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ევროპის ბურჟუაზია თავის დროზე კიდევ უფრო «ზომაგადასულად», კიდევ უფრო რევოლუციურად გამოდიოდა, ვიდრე რუსეთის ბურჟუაზია. რუსეთის თვითმპყრობელობის «დაუთმობლობა» და რუსული ლიბერალიზმის ზომაგადასულობა დამოკიდებულია არა მათ გამოუცდელობაზე, როგორც ეს «ტაიმსის» მიერ საკითხის დაყენებიდან გამომდინარეობს, არამედ მათი ნება-სურვილის გარეშე პირობებზე, საერთაშორისო სიტუაციაზე, საგარეო პოლიტიკაზე, ხოლო ყველაზე უფრო მეტად რუსეთის ისტორიის იმ მემკვიდრეობაზე, რომელმაც თვითმპყრობელობა კუნჭულში მიიმწყვდია და დააგროვა ისეთი წინააღმდეგობანი და თვითმპყრობელობის მეოხებით მომხდარი ისეთი კონფლიქტები, როგორიც დასავლეთ ევროპაში არ ყოფილა. რუსეთის ცარიზმის წარსული ყბადაღებული სიმტკიცე და ძალა აუცილებლად განაპირობებს მის წინააღმდეგ რევოლუციური შეტევის ძალას. ეს ძლიერ არასასიამოვნოა თანდათანობის ყველა მომხრისა და ოპორტუნისტისათვის, ეს შიშსა ჰგვრის ბევრ სოციალ-დემოკრატსაც მაჩანჩალათა ბანაკში, მაგრამ ეს ფაქტია.

«ტაიმსი» გლოვობს შიპოვის დამარცხებას. ჯერ კიდევ ნოემბერში იგი რეფორმის პარტიის აღიარებული მეთაური იყო! ახლა კი... «აი რა სწრაფად ნთქამს რევოლუცია თავის საკუთარ შვილებს». საბრალო შიპოვი! დამარცხებაც განიცადო და რევოლუციის ნაშიერის სახელწოდებაც მიიღო, — ბედის რა უსამართლობაა! «რადიკალები», რომლებმაც ერობის მოღვაწეთა ყრილობაზე შიპოვი დაამარცხეს, «ტაიმსის» აღშფოთებას იწვევენ. ისინი — თავზარდაცემული გაჰყვირის «ტაიმ-

სი» — საფრანგეთის კონვენტის თეორიულ პრინციპებს ემხრობიან. ყველა მოქალაქის თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის, ხალხის სუვერენობისა და სხვათა დოქტრინა «აღმოჩნდა, როგორც ამბებმა უკვე გვიჩვენეს, ჟან-ჟაკ რუსოს მიერ კაცობრიობისათვის ნაანდერძევი დამღუპველი სოფისტიკის ერთ-ერთი, შესაძლოა, ყველაზე უფრო მავნე გამონაგონი». «ეს არის მთავარი ქვაკუთხედი, ფესვი იაკობინიზმისა, რომლის უკვე მარტო არსებობას საბედისწერო მნიშვნელობა აქვს სამართლიანი და განმკურნებელი რეფორმის წარმატებისათვის».

ლიბერალიზმის ოპორტუნისტები, «იაკობინიზმის» ამ საფრთხობელის გამოყენების მოყვარულნი, გულისამაჩუყებლად იკრავენ გულში სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებს. დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში იაკობინიზმის გამოყენება დასაშინებლად მხოლოდ უიმედო რეაქციონერებს ან უიმედო ფილისტერებს შეუძლიათ.

«პროლეტარი» № 2,
1905 წ. 3 ივნისი (21 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ

«დაიბეჭდა 1905 წ. 3 და 9 ივნისს
(21 და 27 მაისს)
.გაზეთ «პროლეტარში» №№ 2 და 3

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

სტატია პირველი

პლეხანოვის ისტორიული ცნობა

პარტიის მესამე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხზე. ეს რეზოლუცია გამოხატავს სწორედ იმ პოზიციას, რომელიც ჩვენ გაზეთ «ვპერიოდში» გვეჭირა. ჩვენ განზრახვა გვაქვს შევუდგეთ ახლა ჩვენი პოზიციის წინააღმდეგ გამოთქმული ყველა აზრის დაწვრილებით განხილვას და ყრილობის რეზოლუციის ჭეშმარიტი პრინციპული აზრისა და პრაქტიკული მნიშვნელობის ყოველმხრივ განმარტებას. დავიწყოთ იმით, თუ როგორ სცადა პლეხანოვმა ეს საკითხი წმინდა პრინციპულ ნიადაგზე დაეყენებინა. პლეხანოვმა თავისი სტატია ასე დაასათაურა: «ძალაუფლების დაპყრობის საკითხისათვის». იგი აკრიტიკებს «ტაქტიკას, რომელსაც წარმართავენ (უეჭველია «ვპერიოდი») პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ». სინამდვილეში, როგორც მშვენივრად იცის ყველამ, ვინც «ვპერიოდს» იცნობს, «ვპერიოდს» არასოდეს არ აღუძრავს ძალაუფლების დაპყრობის საკითხი და არ წარუმართავს არავითარი «ტაქტიკა დაპყრობისაკენ». პლეხანოვი ცდილობს საკითხი, რომლის განხილვა ნამდვილად ხდებოდა, შეცვალოს სხვა, გამოგონილი საკითხით; ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ დავის მსვლელობა.

მარტინოვმა პირველმა დააყენა საკითხი თავის ცნობილ «ორ დიქტატურაში». იგი ამტკიცებდა, თუ ჩვენი პარტია ხელ-

მძღვანელ მონაწილეობას მიიღებს აჯანყებაში, აქედან, წარმატების შემთხვევაში, წარმოიშობა აუცილებლობა მისი მონაწილეობისა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, ხოლო ასეთი მონაწილეობა პრინციპულად დაუშვებელია და ვერაფერს, გარდა დამღუპველი და სახელგამტეხი შედეგისა, ვერ მოგვიტანსო. «ისკრა» იცავდა ამ პოზიციას. «ვპერიოდი» საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა და ამბობდა, ასეთი შედეგი, პირიქით, ყველაზე სასურველია, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა, რომელიც პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის თანაბარი იქნება, დასაშვებია, თუ ასეთი დიქტატურა არ იქნება, რესპუბლიკას ვერ შევინარჩუნებთო. მაშასადამე, ორივე მოდავე მხარე, უპასუხებდა რა მ ა რ ტ ი ნ ო ვ ი ს მ ი ე რ დ ა ყ ე ნ ე ბ უ ლ კითხვაზე, იღებდა ორ ვარაუდს და ვერ თანხმდებოდა აქედან გამომდინარე დასკვნებში: ორივე იღებდა 1) აჯანყებაში პროლეტარიატის პარტიის ხელმძღვანელ მონაწილეობას; 2) აჯანყების გამარჯვებას და თვითმპყრობელობის სრულ დამხობას; ისინი ვერ თანხმდებოდნენ ამ ვარაუდიდან გამომდინარე ტაქტიკური დასკვნების შეფასებაში. ნუთუ ეს ჰგავს «ტაქტიკას, რომელსაც წარმართავენ (!!) ძალაუფლების დაპყრობისაკენ (??)»? ნუთუ ცხადი არ არის, რომ პლეხანოვი ცდილობს თ ა ვ ი ა ა რ ღ დ ო ს საკითხის მარტინოვისებურ დაყენებას, რომელსაც იხილავდნენ «ისკრა» და «ვპერიოდი»? ჩვენ ვდავობდით იმაზე, სახიფათოა თუ არა, დამღუპველია თუ არა აჯანყების ძლევამოსილად განხორციელება, თუკი მას შეუძლია გამოიწვიოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის საჭიროება. პლეხანოვი გამოთქვამს სურვილს იდავოს იმაზე, საჭიროა თუ არა ტაქტიკის წ ა რ მ ა რ თ ვ ა ძალაუფლების დაპყრობისაკენ. ვშიშობთ, რომ პლეხანოვის სურვილი (რომელიც მხოლოდ საკითხის მარტინოვისებური დაყენების მიჩქმალვის თვალსაზრისით არის გასაგები) უწყინარ სურვილად დარჩება, რადგან ამ თემაზე არავის არ უდავია და არცა დავობს.

თუ რა მნიშვნელობა აქვს საკითხის ამ შეცვლას პლეხანოვის მთელ არგუმენტაციაში, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს «ფილისტერობის ვირტუოზების» ეპიზოდიდან. პლეხანოვს მოსვენებას არ აძლევს «ვპერიოდის» მიერ ნახმარი ეს გამოთქმა. პლეხანოვი შვიდიოდჯერ უბრუნდება მას, მრისხანედ და წყრომით არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ «ვპერიოდი» გაკადნიერდა და მარქსსა და ენგელსს უწოდა ეს არასავსებით საქებური ეპითეტი, რომ «ვპერიოდი» იწყებს მარქსის «კ რ ი ტ ი კ ა ს» და სხვ. და ა. შ. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ პლეხანოვისათვის, რომელმაც მიზნად დაისახა მარტინოვის რეაბილიტაცია და «ვპერიოდის» «განადგურება», მეტისმეტად სასიამოვნო იქნებოდა, «ვპერიოდს» რომ ეთქვა თუნდაც რაიმე მსგავსი იმ სისულელისა, რომელსაც მას პლეხანოვი მიაწერს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ა რ ა ფ ე რ ი ა მ ი ს მ ს გ ა ვ ს ი «ვ პ ე რ ი ო დ ს» ა რ უ თ ქ ვ ა მ ს, და ყოველი დაკვირვებული მკითხველი ადვილად ამხელს პლეხანოვს, რომელმაც საინტერესო პრინციპული საკითხი მთლად ფუჭი და წვრილმანი შარის მოდებით დახლართა.

ძალიან მოსაწყენია შარის მოდებაზე პასუხის გაცემა, მაგრამ იძულებული ვართ დაწვრილებით განვმარტოთ, ნამდვილად რაში მდგომარეობდა ეს ეპიზოდი ყბადაღებული «ფილისტერობის ვირტუოზებისა». «ვპერიოდი» ასე მსჯელობდა. ჩვენ ყველანი ვლაპარაკობთ რესპუბლიკის მოპოვებაზე. იგი რომ ნამდვილად მოვიპოვოთ, საჭიროა ჩვენ «ერთად დავარტყათ» თვითმპყრობელობას, — ჩვენ, ე. ი. რევოლუციურმა ხალხმა, პროლეტარიატმა და გლეხობამ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საკმარისი არ არის ისიც კი, რომ თვითმპყრობელობას «ერთად მოვუღოთ ბოლო», ე. ი. სავსებით დავამხოთ თვითმპყრობელური მთავრობა. საჭიროა აგრეთვე «ერთად მოვიგერიოთ» დამხობილი თვითმპყრობელობის აღდგენის თავგანწირული ცდები, რაც აუცილებლად მოგველის. ეს «ერთად მოგერიება», რევოლუციურ ეპოქასთან შეფარდებული, სხვა არაფერია, თუ არ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა, პროლეტარიატის მონაწილეობა რევოლუციურ მთავრობაში. ამიტომ

ადამიანები, რომელნიც მუშათა კლასს აშინებენ ამ დიქ-ტატურის შესაძლო პერსპექტივით, ე. ი. ისეთი ადამიანები, როგორიც არიან მარტინოვი და ლ. მარტოვი ახალ «ისკრაში», წინააღმდეგობაში ვარდებიან რესპუბლიკისათვის ბრძოლისა და რევოლუციის ბოლომდე მიყვანის თავიანთი საკუთარი ლოზუნგის მიმართ. ეს ადამიანები, არსებითად, ისე მსჯელობენ, თითქოს სურდეთ შეზღუდონ, შეკვეცონ თავიანთი ბრძოლა თავისუფლებისათვის, — სახელდობრ წინდაწინვე მიიზომონ თავისთვის მონაპოვართა ყველაზე მცირე ნაჭერი, რაღაც შეკვეცილი კონსტიტუცია რესპუბლიკის ნაცვლად. ასეთი ადამიანები, ამბობდა «ვპერიოდი», ფილისტერულად აუხამსებენ ცნობილ მარქსისტულ დებულებას XIX (და XX) საუკუნის რევოლუციის სამი მთავარი ძალისა და მისი სამი ძირითადი სტადიის შესახებ. ეს დებულება იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციის პირველი სტადია არის აბსოლუტიზმის შეზღუდვა, რაც აკმაყოფილებს ბურჟუაზიას; მეორე — რესპუბლიკის მოპოვება, რაც აკმაყოფილებს «ხალხს», ე. ი. გლეხობას და საერთოდ წვრილ ბურჟუაზიას; მესამე — სოციალისტური გადატრიალება, რომელსაც ერთადერთს შეუძლია დააკმაყოფილოს პროლეტარიატი. «ეს სურათი სწორია საერთოდ და მთლიანად», წერდა «ვპერიოდი». მართლაც ჩვენს წინაშეა ასვლა ამ სამ სხვადასხვა სქემატურ საფეხურზე, რომელნიც იმით განსხვავდებიან, თუ რომელ კლასებს შეუძლიათ უკეთეს შემთხვევაში გამოგვყვნენ ამ ასვლაში. მაგრამ თუ სამი საფეხურის ამ სწორ მარქსისტულ სქემას ისე გავიგებთ, რომ ყოველ ასვლამდე წინასწარ უნდა მივიზომოთ მცირე საზომი, მაგალითად, არა უმეტეს ერთი საფეხურისა, თუ ამ სქემის მიხედვით, ყოველი ასვლის წინ, «შევიდგენთ რევოლუციურ ეპოქაში მოღვაწეობის გეგმას, ფილისტერობის ვირტუოზები ვიქნებით.

აი როგორი იყო «ვპერიოდის» მსჯელობა მე-14 ნომერში * და სწორედ აქ მოინდომა პლეხანოვმა კილო გამოება უკანას-

* იხ. ეს ტომი, გვ. 348. რ ე დ.

კნელი ხაზგასმული სიტყვებისათვის. «ვპერიოდმა» — აცხადებს იგი ზეიმით — ამით მარქსს ფილისტერი უწოდა, რადგან მარქსი სწორედ ამ სქემის მიხედვით ადგენდა თავისთვის მუშაობის გეგმას ყველაზე რევოლუციურ ეპოქაში!

საბუთი? საბუთი ის არის, რომ 1850 წელს, როდესაც გერმანიის რევოლუციური ხალხი 1848 — 1849 წლების ბრძოლაში დამარცხდა ისე, რომ ვერ შესძლო ბოლო მოეღო თვითმპყრობელობისათვის, როდესაც ლიბერალურმა ბურჟუაზიამ უკვე მიიღო შეკვეცილი კონსტიტუცია და რეაქციის მხარეზე გადავიდა, — ერთი სიტყვით, როდესაც გერმანიის დემოკრატიულ-რევოლუციური მოძრაობა მხოლოდ ერთ პირველ საფეხურზე ავიდა და შეჩერდა, აღარ შესწევდა რა ძალა უფრო ზეციით ასულიყო, მაშინ... მაშინ მარქსი ამბობდა, რომ ახალი რევოლუციური აღმავლობა მეორე საფეხურზე ასვლა იქნებაო.

თქვენ იღიმებით, მკითხველო? სილოგიზმი პლეხანოვს, მართლაც, ცოტა არ იყოს... როგორა ვთქვათ რაც შეიძლება რბილად?.. «დიალექტიკური» გამოუვიდა. რ ა დ გ ა ნ მარქსი კონკრეტული დემოკრატიული რევოლუციის სათანადო კონკრეტულ მომენტში ამბობდა, პირველ საფეხურზე მომხდარი ასვლის შემდეგ მეორე საფეხურზე ასვლა მოგველისო,—ა მ ი ტ ო მ მხოლოდ მარქსის «კრიტიკოსებს» შეუძლიათ ფილისტერები უწოდონ იმ ადამიანებს, რომლებიც პირველ საფეხურზე ასვლამდე გვაშინებენ ერთბაშად ორ საფეხურზე ახტომის საშინელი პერსპექტივით (იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება განსაკუთრებით წარმატებით იქნება მოწყობილი და განხორციელებული).

დიახ, დიახ, კარგი საქმე არ არის მარქსის «კრიტიკა»... და არცთუ ძალიან კარგი საქმეა მარქსის უხეიროდ დამოწმება. მარტინოვმა უხეიროდ განმარტა მარქსი. პლეხანოვმა უხეიროდ დაიცვა მარტინოვი.

ჩვენი სიტყვებიდან რომელიმე შარიანი მკითხველი იმ დასკვნას ნუ გამოიყვანს, თითქოს ჩვენ ვქადაგებდეთ «ტაქტიკას, წარმართულს» სავალდებულო ნახტომებისაკენ საფეხურგამოტოვებით, საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის დამოუკი-

დებლად. არა, არავითარ ამგვარ ტაქტიკას ჩვენ არ ვქადაგებთ. ჩვენ ვებრძვით მხოლოდ ისეთი ადამიანების გავლენას პროლეტარიატზე, რომლებსაც შეუძლიათ ილაპარაკონ რესპუბლიკაზე და რევოლუციის ბოლომდე მიყვანაზე და იმავე დროს აშინონ საკუთარი თავი და სხვები დემოკრატიულ დიქტატურაში მონაწილეობის შესაძლებლობით. ჩვენ უკვე შევნიშნეთ «ვპერიოდის» მე-14 ნომერში, რომ ახლანდელი რევოლუციური აღმავლობის შემდეგ რეაქცია, რა თქმა უნდა, გარდუვალი იქნება, მაგრამ იგი მით უფრო ნაკლებ თავისუფლებას წაგვართმევს, რაც უფრო მეტს მოვიპოვებთ ახლა და რაც უფრო დაუნდობლად დავთრგუნავთ და მოვსპობთ კონტრრევოლუციურ ძალებს შესაძლო (და სასურველი) დემოკრატიული დიქტატურის ეპოქაში. ჩვენ აგრეთვე შევნიშნეთ «ვპერიოდის» მე-14 ნომერში, რომ ამ დიქტატურის თვით საკითხს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ დავუშვებთ ისეთ მოვლენებს, როდესაც დემოკრატიული რევოლუცია მიდის აბსოლუტიზმის სრულ დამხობამდე, რესპუბლიკამდე, და შუა გზაზე არ ჩერდება.

ახლა «ფილისტერობის ვირტუოზების» ეპიზოდიდან გადავიდეთ იმ ცნობილი «მიმართვის» (კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირის წევრებისადმი, 1850 წლის მარტი) შინაარსზე, რომლიდანაც პლეხანოვს ციტატები მოჰყავს. ამ მეტისმეტად საინტერესო და საგულისხმო «მიმართვაში» (რომელიც ღირს იმად, რომ მთლიანად ითარგმნოს რუსულად) მარქსი განიხილავს 1850 წლის კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციას გერმანიაში, მიუთითებს ახალი პოლიტიკური აფეთქების მოსალოდნელობაზე, აღნიშნავს, რომ რევოლუციის შემთხვევაში ძალაუფლება აუცილებლად გადავა რესპუბლიკური, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიის ხელში, და ანალიზს უკეთებს პროლეტარიატის ტაქტიკას. მარქსი განცალკევებით განიხილავს ტაქტიკას რევოლუციამდე, მის მომენტში და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის გამარჯვების შემდეგ და ამტკიცებს, რომ საჭიროა შეიქმნას «მუშათა პარტიის დამოუკიდებელი ფარული და აშკარა ორგანიზაცია», მთელი ძალით ებრძვის «მის დაკნინებას ოფი-

ციალური ბურჟუაზიული დემოკრატიის დანამატის როლამდე», ხაზგასმით აღნიშნავს მუშათა შეიარაღების, დამოუკიდებელი პროლეტარული გვარდიის შექმნის, მოღალატე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ პროლეტართა მკაცრი მეთვალყურეობის დიდ მნიშვნელობას და სხვ.

მთელ «მიმართვაში» ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მუშათა პარტიის მონაწილეობაზე, არც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დემოკრატიულ დიქტატურაზე. პლეხანოვი აქედან დაასკვნის, რომ მარქსს «როგორც ჩანს, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკურ წარმომადგენლებს შეუძლიათ წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად იშრომონ ახალი საზოგადოებრივი წყობილების შესაქმნელად». ამ დასკვნის ლოგიკა მოიკოჭლებს. მარქსი ა რ ა ყ ე ნ ებ ს საკითხს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მუშათა პარტიის მონაწილეობის შესახებ, პლეხანოვი კი ასკვნის, რომ მარქსი ამ საკითხს საერთოდ და პრინციპულად უთუოდ უარყოფით წყვეტსო. მარქსი ლაპარაკობს მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაზე, პლეხანოვი საერთო დასკვნას აკეთებს ისე, რომ სრულიად არ განიხილავს საკითხს მისი კონკრეტულობით. ნამდვილად კი საკმარისია შევხედოთ «მიმართვის» ზოგიერთ ადგილს, რომლებიც პლეხანოვს გამოუტოვებია, რათა დავინახოთ მისი დასკვნების სრული უმართებულობა.

«მიმართვა» დაწერილია რევოლუციური ეპოქის ორი წლის — 1848 და 1849 წლების გამოცდილების საფუძველზე. ამ გამოცდილების შედეგს მარქსი ასე აყალიბებს: «იმავე დროს (ე. ი. სახელდობრ 1848 — 1849 წლებში) კომუნისტთა კავშირის წინანდელი მტკიცე ორგანიზაცია საგრძნობლად შესუსტდა. წევრთა უმეტესი ნაწილი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, ფიქრობდა, რომ ფარულ საზოგადოებათა დრომ განვლო და საკმარისია მარტო აშკარა მოღვაწეობაო. ცალკეულმა წრეებმა და ორგანიზაციებმა (Gemeinden) შეასუსტეს ურთიერთობა ცენტრალურ კომიტეტთან და თანდათანობით სრულიადაც შეწყვიტეს იგი. ა მ რ ი გ ა დ, ი მ დ რ ო ს, რ ო დ ე ს ა ც დ ე მ ო კ რ ა ტ ი-

ული პარტია, წვრილი ბურჟუაზიის პარტია, უფრო და უფრო ყალიბდებოდა გერმანიაში, მუშათა პარტიამ დაკარგა თავისი ერთადერთი მტკიცე დასაყრდენი, ორგანიზებული სახით დიდი-დიდი ცალკე ადგილებში თუ დარჩა ადგილობრივი მიზნებისათვის და ამის გამო საერთოდ მთლიანად მოექცა წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ბატონობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ*. და «მიმართვის» შემდეგ გვერდზე მარქსი აცხადებს: «ამჟამად, როდესაც ახალი რევოლუციამოგველის,... მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ მუშათა პარტია გამოვიდეს რაც შეიძლება უფრო ორგანიზებული, რაც შეიძლება უფრო ერთსულოვანი და რაც შეიძლება უფრო დამოუკიდებელი, თუ არა სურს, რომ კვლავ, როგორც 1848 წელს, ბურჟუაზიამ გაუწიოს ექსპლოატაცია და ბურჟუაზიას ბუქსირით მიჰყავდეს».

კარგად დაუფიქრდით ამ კატეგორიული მტკიცების მნიშვნელობას! 2 წლის აშკარა რევოლუციის შემდეგ, ბერლინში საბალხო აჯანყების გამარჯვების შემდეგ, რევოლუციური პარლამენტის მოწვევის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ქვეყნის ნაწილი აშკარად აჯანყებული იყო და ძალაუფლება დროებით გადადიოდა რევოლუციურ მთავრობათა ხელში, — მარქსი აღნიშნავს რევოლუციური ხალხის დამარცხებას და, პარტიული ორგანიზებულობის მხრივ, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მოგებას, მუშათა პარტიის წაგებას. განა ეს ცხადზე უცხადესად არ მიგვითითებს ისეთ პოლიტიკურ სიტუაციაზე, როდესაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა მთავრობაში მუშათა პარტიის მონაწილეობის საკითხის დაყე-

* Ansprache der Zentralbehörde an den Bund, von März 1850, K. Marx: «Enthüllungen über den Kommunistenprocess zu Köln», 1885, Anhang IX, S. 75. (ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი, 1850 წ. მარტი, კ. მარქსი: «მხილება კომუნისტთა კელნის პროცესის შესახებ», 1885, დამატ. IX, გვ. 75. რ ე დ.) ციტატებში ხაზგასმა ყველგან ჩვენია.

ნება? 2 წლის რევოლუციური ეპოქის შემდეგ, როდესაც მარქსი ცხრა თვის განმავლობაში დაუფარავად გამოსცემდა მუშათა პარტიის უაღრესად რევოლუციურ გაზეთს, საჭირო ხდება აღინიშნოს ამ პარტიის სრული დეზორგანიზაცია, საერთო მდინარებაში რამდენადმე მკვეთრად გამოხატული პროლეტარული ნაკადის სრული არარსებობა (სტეფან ბორნის [113] მუშათა ძმობანი მეტად უმნიშვნელონი არიან), პროლეტარიატის მთლიანად მოქცევა ბურჟუაზიის არა მარტო ბატონობის ქვეშ, არამედ ხელმძღვანელობის ქვეშაც! ჩანს, ეკონომიური ურთიერთობა ჯერ კიდევ ძლიერ განუვითარებელი იყო, მსხვილი მრეწველობა თითქმის არ არსებობდა, არ იყო არავითარი დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობა რაოდენადმე სერიოზული მასშტაბით, წვრილი ბურჟუაზია განუყოფლად ბატონობდა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში კონკრეტული სიტუაციის განმხილველი მწერალი ვერც კი დაუშვებდა აზრს დროებითს მთავრობაში მუშათა პარტიის მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. გასაგებია, რომ მარქსს თავის «მიმართვაში» კომუნისტთა კავშირის წევრებისათვის უნდა ჩაეჭედნა თავში (მომიტევეთ ეს გამოთქმა) ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც ახლა საანბანო ჭეშმარიტებად გვეჩვენება. მარქსს უნდა ემტკიცებინა, რომ საჭირო იყო არჩევნების დროს მუშებს განსაკუთრებული კანდიდატები წამოეყენებინათ ბურჟუაზიული დემოკრატიის დამოუკიდებლად. მარქსს უნდა გაებათილებინა დემოკრატიული ფრაზები, რომ მუშათა ჩამოშორება დემოკრატიულ პარტიას «თიშავსო» (ეს დაიხსომეთ! მხოლოდ იმის გათიშვა შეიძლება, რაც ჯერ კიდევ გუშინ მთლიანი იყო და რაც კვლავ იდეურად მთლიანი რჩება!). მარქსს უნდა გაეფრთხილებინა კომუნისტთა კავშირის წევრები, რომ არ აჰყოლოდნენ ამ ფრაზებს. მარქსს, კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით, უნდა აღეთქვა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე მოწვეული იქნებოდა მუშათა პარტიის ყრილობა მუშათა კლუბების ცენტრალიზაციისათვის, — 1848—1849 რევოლუციური წლების განმავლობაში ჯერ კიდევ არ არსებობდა პირობები, რომ დაეშვათ აზრი მუშათა პარტიის განსაკუთრებული ყრილობის შესაძლებლობის შესახებ!

აქედან დასკვნა ნათელია: ცნობილ «მიმართვაში» მარქსი სრულებით არ ეხება იმ საკითხს, პრინციპულად დასაშვებია თუ არა პროლეტარიატის მონაწილეობა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში. მარქსი მხოლოდ და მხოლოდ განიხილავს გერმანიის 1850 წლის კონკრეტულ სიტუაციას. ამასთან მარქსი ერთ სიტყვასაც არ ამბობს რევოლუციურ მთავრობაში კომუნისტთა კავშირის მონაწილეობის შესახებ იმიტომ, რომ მაშინდელ პირობებში ვერ წარმოიშობოდა ფიქრიც კი მუშათა პარტიის სახელით ასეთი მონაწილეობისა დემოკრატიული დიქტატურის მიზნით.

აი რაში მდგომარეობს მარქსის აზრი: ჩვენ, 1850 წლის გერმანელი სოციალ-დემოკრატები, დარაზმულნი არა ვართ, ჩვენ დავმარცხდით რევოლუციის პირველ პერიოდში, ჩვენ მთლიანად გამოვებით ბურჟუაზიის ბუქსირს; ჩვენ უნდა დამოუკიდებლად, უთუოდ, აუცილებლად, რადაც უნდა დაგვიჯდეს დამოუკიდებლად დავირაზმოთ, — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ კუდში ვიქნებით მაშინაც, როდესაც დადგება მომავალი გამარჯვება მძლავრი წვრილბურჟუაზიული პარტიისა, რომელმაც გააძლიერა თავისი ორგანიზაცია.

აი რაში მდგომარეობდა მარტინოვის აზრი: ჩვენ, 1905 წლის რუსეთის სოციალ-დემოკრატები, დარაზმულნი ვართ დამოუკიდებელ პარტიად და გვსურს პირველი იერიში მივიტანოთ ცარიზმის ციხე-სიმაგრეზე, გავუძღვეთ წვრილბურჟუაზიულ ხალხს. მაგრამ თუ ჩვენ ძალიან კარგად მოვაწყობთ იერიშს და, ღმერთო დაგვიფარე, ძლევამოსილად განვახორციელებთ მას, ჩვენ, ალბათ, მოგვიხდება მონაწილეობის მიღება დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ან დემოკრატიულ დიქტატურაშიც კი. ხოლო ეს მონაწილეობა პრინციპულად დაუშვებელია.

და პლეხანოვს სურს სერიოზულად დაარწმუნოს ვინმე, რომ შეიძლება მარტინოვის დაცვა მარქსის მიხედვით? პლეხანოვს «ისკრის» მკითხველები, ალბათ, ბავშვებად მიაჩნია. ჩვენ კი მხოლოდ ვიტყვით: ერთი საქმეა მარქსიზმი, სხვა საქმეა მარტინოვიზმი.

«მიმართვას» რომ მოვრჩეთ, კიდევ საჭიროა განვმარტოთ პლეხანოვის შემდეგი შემცდარი აზრი. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1850 წ. მარტში, როდესაც «მიმართვა» იწერებოდა, მარქსს სწამდა კაპიტალიზმის მიხრწნილობა, და სოციალისტური რევოლუცია მას «სავსებით მოახლოებულად» ეჩვენებოდა. მარქსმა ძალიან მალე გამოასწორა თავისი შეცდომა: უკვე 1850 წ. 15 სექტემბერს ის დაშორდა შაპერს (შაპერი ვილიხთან ერთად კავშირის უმცირესობაში დარჩა და კავშირიდან გამოვიდა), რომელიც იმ ზომამდე აჰყვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციონარიზმს ანუ უტოპიზმს, რომ ამბობდა: «ჩვენ ახლავე უნდა მივაღწიოთ ძალაუფლებას, ან არა და შეგვიძლია დავწვეთ და დავიძინოთო». მარქსი შაპერის საწინააღმდეგოდ ამბობდა, რომ არ შეიძლება რევოლუციის მამოძრავებლად ჩავთვალოთ მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილი ნამდვილი პირობების ნაცვლადაო. პროლეტარიატს იქნებ მოუხდეს კიდევ 15, 20, 50 წლის სამოქალაქო ომებისა და საერთაშორისო შეჯახებათა გადატანა «არა მარტო იმისათვის, რომ შეცვალოს ეს პირობები, არამედ იმისთვისაც, რომ გამოიცვალოს თვითონაც, გამოიცვალონ პროლეტარები და გახდნენ პოლიტიკური ბატონობის უნარის მქონედ»[119]. პლეხანოვი მოკლედ გვიამბობს მარქსის შეხედულებათა ამ შეცვლას და დაასკვნის:

«პროლეტარიატის პოლიტიკურ ამოცანებს ისინი» (მარქსი და ენგელსი ამ «შეცვლის» შემდეგ) «განსაზღვრავდნენ უკვე იმ ვარაუდით, რომ დემოკრატიული წყობილება გაბატონებული დარჩებოდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ სწორედ ამიტომ ისინი კიდევ უფრო გადაჭრით დაგმობდნენ სოციალისტთა მონაწილეობას წვრილბურჟუაზიულ მთავრობაში» («ისკრა» № 96).

პლეხანოვის ეს დასკვნა სრულიად შემცდარია. იგი წარმოადგენს სოციალისტური და დემოკრატიული დიქტატურის სწორედ იმ არევას, რომლის გამო არა ერთხელ გვისაყვედურნია ლ. მარტოვისა და მარტინოვისათვის. მარქსი და ენგელსი

1850 წელს არ განასხვავებდნენ დემოკრატიულ და სოციალისტურ დიქტატურას ან, უფრო სწორად, სრულებით არ ლაპარაკობდნენ პირველის შესახებ, რადგან კაპიტალიზმი მიხრწნილად, ხოლო სოციალიზმი მოახლოებულად მიაჩნდათ. ამიტომ ისინი იმ დროს არ განასხვავებდნენ პროგრამა-მინიმუმსაც პროგრამა-მაქსიმუმისაგან. ხოლო თუ ამ განსხვავებას მოვახდენთ (როგორც ჩვენ ყველანი, მარქსისტები, ახლა ვაკეთებთ, ვებრძვით რა მისი გაუგებლობის გამო «სოციალისტ-რევოლუციონერთა» ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციონარიზმს), მაშინ საჭიროა განცალკევებით განვიხილოთ სოციალისტური და დემოკრატიული დიქტატურის საკითხი. ამას რომ არ აკეთებს, პლეხანოვი არათანამიმდევრად იქცევა. იგი ირჩევს მიკიბულ-მოკიბულ ფორმულირებას, ლაპარაკობს საერთოდ «წვრილბურჟუაზიულ მთავრობაში სოციალისტთა მონაწილეობის» შესახებ და სწორედ ამით დემოკრატიული დიქტატურის ნათლად, გარკვეულად და ზუსტად დაყენებული საკითხის ნაცვლად სოციალისტური დიქტატურის საკითხს გვაჩეჩებს. იგი ერთმანეთში ურევს («ვპერიოდის» შედარებას თუ ვიხმართ *) მილიერანის მონაწილეობას სამინისტროში გალიფესთან ერთად სოციალისტური გადატრიალების წინახანის ეპოქაში და ვარლენის მონაწილეობას რევოლუციურ მთავრობაში წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებთან ერთად, რომლებიც რესპუბლიკას იცავდნენ და კიდევაც დაიცვეს.

მარქსი და ენგელსი 1850 წელს სოციალიზმს მოახლოებულად თვლიდნენ და ამიტომ ჯეროვნად ვერ აფასებდნენ დემოკრატიულ მონაპოვრებს, რომლებიც მათ სავსებით მტკიცედ ეჩვენებოდათ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიის უეჭველი გამარჯვების გამო [120]. 25 წლის შემდეგ, 1875 წელს, მარქსი აღნიშნავდა გერმანიის არადემოკრატიულ წყობილებას — «აბსოლუტიზმი, რომელსაც შემოკერებული აქვს საპარლამენტო ფორმები» [121]. 35 წლის შემდეგ, 1885 წელს, ენგელსი წინასწარმეტყველებდა ძალაუფლების გადა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 328. რ ე დ.

სვლას გერმანიის წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ხელში ევროპის მომავალი შერყევის დროს[122]. აქედან სწორედ იმის საწინააღმდეგო გამომდინარეობს, რის დამტკიცებაც პლეხანოვს სურს: მარქსისა და ენგელსისათვის რომ გასაგები ყოფილიყო დემოკრატიული წყობილების შედარებით ხანგრძლივი ბატონობის გარდუვალობა, ისინი მ ი თ უ ფ რ ო მ ე ტ მნიშვნელობას მისცემდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ დიქტატურას რესპუბლიკის განმტკიცების, აბსოლუტიზმის ყველა კვალის სრული მოსპობისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად ასპარეზის სრული გაწმენდის მიზნით. ისინი მ ი თ უ ფ რ ო მ ე ტ ა დ გაკიცხავდნენ მაჩანჩალებს, რომლებსაც შეუძლიათ დემოკრატიული გადატრიალების წინ ა შ ი ნ ო ნ პროლეტარიატი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი თ.

პლეხანოვი თვითონვე გრძნობს, რომ სუსტია მისი პოზიცია, დამყარებული «მიმართვის» არასწორ განმარტებაზე. ამიტომ იგი ფრთხილად შენიშნავს, რომ პრეტენზია არა აქვს თავისი ცნობით საბოლოოდ ამოწუროს საკითხი, — თუმცა აკეთებს «ამომწურავი» კატეგორიულობის დასკვნებს, როცა სრულებით არაფერი მოუყვანია, გარდა ცნობისა, რომელიც საქმეს არ შეეხება, და არც კი უცდია გაერჩია «ვპერიოდის» მიერ მოცემული კონკრეტული დაყენება საკითხისა. პლეხანოვი ცდილობს თავს მოახვიოს «ვპერიოდს» მარქსის «კრიტიკის» წადილიც და მახისა და ავენარიუსის თვალსაზრისიც. მისი ეს ცდა მხოლოდ გვაღიმებს: ალბათ, ცუდია პლეხანოვის პოზიცია, თუ იგი ვერ პოულობს მიზანში ამოსაღებ «ვპერიოდის» ნამდვილ მტკიცებას და იძულებულია მიზანში ამოიღოს სიუჟეტები, რომელთაც საერთო არა აქვთ რა არც გაზეთ «ვპერიოდთან» და არც განსახილველ საკითხთან. ბოლოს, პლეხანოვი იმოწმებს კიდევ ერთ საბუთს, რომელიც მას «ურყევად» მიაჩნია. ნამდვილად კი ეს საბუთი (ენგელსის 1894 წლის წერილი ტურატისადმი) უკვე სულ მთლად ცუდია.

როგორც პლეხანოვის მიერ ამ წერილის შინაარსის გადმოცემიდან ჩანს (სამწუხაროდ, პლეხანოვს წერილი მთლიანად

არ მოჰყავს და არ აღნიშნავს, დაბეჭდილი იყო თუ არა იგი და სახელდობრ სად), ენგელსს უნდა დაემტკიცებინა ტურატისათვის სოციალისტური და წვრილ-ბურჟუაზიული რევოლუციის განსხვავება. ამით ყველაფერი ნათქვამია, ამხ. პლეხანოვ! ტურატი — იტალიელი მილიერანია, ბერნშტეინელი, რომელსაც ჯიოლიტი სთავაზობდა პორტფელს თავის სამინისტროში. ტურატი, ჩანს, ერთმანეთში ურევდა სულ სხვადასხვა კლასობრივი შინაარსის ორ გადატრიალებას. ტურატის წარმოდგენილი ჰქონდა, რომ იგი გაატარებდა პროლეტარიატის ბატონობის ინტერესებს, ენგელსი კი მას განუმარტავდა, რომ მოცემული სიტუაციის დროს 1894 წლის იტალიაში (ე. ი. როდესაც რამდენიმე ათეულმა წელმა განვლო «პირველ საფეხურზე» იტალიის ასვლის შემდეგ, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შემდეგ, რომელმაც პროლეტარიატს შესაძლებლობა მისცა აშკარად, ფართოდ და დამოუკიდებლად დარაზმულიყო!) იგი, ტურატი, გამარჯვებული წვრილბურჟუაზიული პარტიის სამინისტროში ნამდვილად იქნება უცხო კლასის, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი და გამტარებელი. მაშასადამე, ჩვენს წინაშეა მილიერანიზმის ერთ-ერთი შემთხვევა; მილიერანიზმისა და დემოკრატიული დიქტატურის ერთმანეთში არევის წინააღმდეგ «ვპერიოდი» პირდაპირ ამხედრდა, და პლეხანოვი «ვპერიოდის» მოსაზრებებს არც კი შეჰხებია. ჩვენს წინაშეა იმ ყალბი მდგომარეობის დამახასიათებელი მაგალითი, რომლის წინააღმდეგაც ენგელსი დიდი ხანია აფრთხილებდა უკიდურესი პარტიების ბელადებს, როცა მათ არ ესმით გადატრიალების ჭეშმარიტი ხასიათი და შეუგნებლად გაჰყავთ «უცხო» კლასის ინტერესები. ღვთის გულისათვის, ამხ. პლეხანოვ, ნუთუ ამას თუნდაც რაიმე დამოკიდებულება აქვს მარტინოვის მიერ აღძრულ და «ვპერიოდის» მიერ განხილულ საკითხთან? ნუთუ საშიშროება მეორე და მესამე საფეხურების ერთმანეთში არევისა იმ ადამიანების მიერ, რომლებიც პირველ საფეხურზე ასულან, შეიძლება იმის გამართლება იყოს, რომ ჩვენ პირველ საფეხურზე ასვლის წინ

გვაშინონ ერთბაშად ორ საფეხურზე შესაძლო ასვლის პერსპექტივით??

არა, პლეხანოვის «მცირე ისტორიული ცნობა» სრულებით არაფერს არ ამტკიცებს. მის პრინციპულ დასკვნას: «რევოლუციურ მთავრობაში წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა პროლეტარიატისადმი ღალატს ნიშნავს» სრულებითაც არ ადასტურებს. მითითება იმ სიტუაციებზე, რომლებიც იყო 1850 წლის გერმანიაში და 1894 წლის იტალიაში და რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან რუსეთის 1905 წლის იანვრისა და მაისის სიტუაციისაგან. ეს მითითება არაფერს არ იძლევა დემოკრატიული დიქტატურისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის საკითხში. ხოლო თუ პლეხანოვს სურს თავისი მეთოდი ამ საკითხს მიუყენოს, თუ ის რესპუბლიკისათვის ბრძოლის დროს, დემოკრატიული გადატრიალების დროს რევოლუციურ მთავრობაში პროლეტარიატის ყოველგვარ მონაწილეობას პრინციპულად დაუშვებლად თვლის, მაშინ ჩვენ ვკისრულობთ დავუმტკიცოთ მას, რომ ეს არის ანარქიზმის «პრინციპი», რომელიც სავსებით აშკარად დაგმო ენგელსმა. ამ საბუთს შემდეგ სტატიაში მოვიყვანთ.

სტატია მეოთხე

მხოლოდ ქვემოდან თუ ქვემოდანაც და ზემოდანაც?

წინა სტატიაში, პლეხანოვის ისტორიული ცნობა რომ განვიხილეთ, ჩვენ ცხადვყავით, რომ პლეხანოვი უსაფუძვლოდ აკეთებს ზოგად და პრინციპულ დასკვნებს მარქსის სიტყვების საფუძველზე, რომლებიც მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის 1850 წლის კონკრეტულ სიტუაციას შეეხება. ეს კონკრეტული სიტუაცია სავსებით ხსნის, თუ რატომ არ აღუძრავს მარქსს, და მაშინ არც შეეძლო აღეძრა, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში კომუნისტთა კავშირის მონაწილეობის საკითხი. ახლა გადავიდეთ იმ ზოგადი და პრინციპუ-

ლი საკითხის გარჩევაზე, დასაშვებია თუ არა ასეთი მონაწილეობა.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა სადავო საკითხი ზუსტად დავაყენოთ. ამ მხრივ ჩვენ, საბედნიეროდ, შეგვიძლია ვისარგებლოთ ჩვენი ოპონენტების მიერ მოცემული ერთ-ერთი ფორმულირებით, რათა ამრიგად თავიდან ავიცილოთ კამათი დავის დედაარსის გამო. «ისკრის» 93-ე ნომერში ნათქვამია: «საუკეთესო გზა ასეთი დარაზმვისათვის (პროლეტარიატის დარაზმვისათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოსადმი ოპოზიციურად განწყობილ პარტიად) არის გზა ბურჟუაზიული რევოლუციის განვითარებისა ქ ვ ე ვ ი დ ა ნ (ხაზგასმა «ისკრისაა»), პროლეტარიატის ზედმოქმედებით ხელისუფლების სათავეში მდგომ დემოკრატიაზე». და შემდეგ «ისკრა» ლაპარაკობს «ვპერიოდის» შესახებ, რომ «მას უნდა, რათა პროლეტარიატის ზედმოქმედება რევოლუციაზე წარმოებდეს არა მარტო «ქვემოდან», არა მარტო ქუჩიდან, არამედ ზემოდანაც, დროებითი მთავრობის სრა-სასახლეებიდან».

ამრიგად, საკითხი ნათლად არის დაყენებული. «ისკრას» უნდა ზეგავლენა ქვემოდან, «ვპერიოდს» — «არა მარტო ქვემოდან, არამედ ზემოდანაც». ქვემოდან ზეგავლენა არის მოქალაქეთა ზეგავლენა რევოლუციურ მთავრობაზე. ზემოდან ზეგავლენა არის რევოლუციური მთავრობის ზეგავლენა მოქალაქეებზე. ზოგი თავის საქმიანობას ქვემოდან ზეგავლენით ზ ღ უ დ ა ვ ს. ზოგი არ ეთანხმება ასეთ შეზღუდვას და მოითხოვს ქვემოდან ზეგავლენის შ ე ვ ს ე ბ ა ს ზემოდან ზეგავლენით. მაშასადამე, დავა ეხება სწორედ იმ საკითხს, რომელიც ჩვენ ქვესათაურში დავაყენეთ: მხოლოდ ქვემოდან თუ ქვემოდანაც და ზემოდანაც? ზოგი ამბობს, დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში პროლეტარიატისათვის პრინციპულად დაუშვებელია ზეგავლენა ზემოდან, «დროებითი მთავრობის სრა-სასახლეებიდანაო». ზოგი კი ამბობს, დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში პროლეტარიატისათვის პრინციპულად დაუშვებელია უცილობლად აიღოს ხელი ზემოდან ზეგავლენაზე, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობა-

ზეო. ამრიგად, ლაპარაკია არა იმაზე, შესაძლოა თუ არა მოცემული კონიუნქტურის დროს, განსახორციელებელია თუ არა ძალთა ასეთი თანაფარდობის დროს ზემოდან ზეგავლენა. არა, ჩვენ ახლა არ განვიხილავთ სრულებით არავითარ კონკრეტულ სიტუაციას, და ერთი სადავო საკითხის მეორით შეცვლის არაერთგზისი ცდის გამო დაჟინებით ვთხოვთ მკითხველებს იქონიონ ეს მხედველობაში. ჩვენს წინაშეა ზოგადი პრინციპული საკითხი: დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში დასაშვებია თუ არა ქვემოდან ზეგავლენიდან ზემოდან ზეგავლენაზე გადასვლა.

ამ საკითხის განსამარტავად თავდაპირველად მივმართოთ მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებელთა ტაქტიკურ შეხედულებათა ისტორიას. ხომ არ ყოფილა ამ ისტორიაში დავა სწორედ იმ საერთო საკითხის გამო, დასაშვებია თუ არა ზემოდან ზეგავლენა? ასეთი დავა იყო. მისი საბაბი გახდა ესპანეთის აჯანყება 1873 წ. ზაფხულში. ენგელსი აფასებდა იმ გაკვეთილებს, რომლებიც სოციალისტურმა პროლეტარიატმა ამ აჯანყებიდან უნდა მიიღოს, სტატიაში «ბაკუნისტები მუშაობენ», რომელიც მოთავსებული იყო 1873 წელს გერმანულ სოც.-დემ. გაზეთ «Volksstaat»-ში[123] და 1894 წელს გადაიბეჭდა ბროშურაში «Internationales aus dem Volksstaat»*. ვნახოთ, რა ზოგად დასკვნებს აკეთებდა ენგელსი[124].

1873 წ. 9 თებერვალს ტახტიდან გადადგა ესპანეთის მეფე ამადეო — «პირველი მეფე, რომელიც გაიფიცა», მოსწრებულად შენიშნავს ენგელსი. 12 თებერვალს გამოცხადდა რესპუბლიკა. ბასკების პროვინციებში შემდეგ იფეთქა კარლისტების აჯანყებამ. 10 აპრილს არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება, რომელმაც 8 ივნისს ფედერაციული რესპუბლიკა გამოაცხადა. 11 ივნისს ჩამოყალიბდა პი-ი-მარგალის ახალი სამინისტრო. ამასთან უკიდურესი რესპუბლიკელები, ეგრეთწოდებული «ინტრანსიჟენტები» (შეურიგებლები) არ მოხვდნენ კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიაში. და როდესაც, 3 ივ-

* — «საერთაშორისო თემებზე «სახალხო სახელმწიფოდან»». რ ე დ.

ლისს, გამოცხადდა ეს ახალი კონსტიტუცია, ინტრანსიჟენტებმა აჯანყება მოაწყეს. 5-დან 11 ივლისამდე მათ გაიმარჯვეს სევილიის, გრანადის, ალკოის, ვალენსიის და მთელ რიგ სხვა პროვინციებში. გადამდგარი პი-ი-მარგალის ნაცვლად ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი სალმერონის მთავრობამ სამხედრო ძალა დაძრა აჯანყებული პროვინციების წინააღმდეგ. აჯანყება ჩაქრობილ იქნა მეტ-ნაკლებად შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ: კადიქსი დაეცა 1873 წ. 26 ივლისს, კარტაჰენა — 1874 წლის 11 იანვარს. ასეთია მოკლე ქრონოლოგიური ცნობები, რომლებიც ენგელსმა თავის წერილს წაუმძღვარა.

აფასებს რა ამ ამბის გაკვეთილებს, ენგელსი უწინარეს ყოვლისა ხაზს უსვამს, რომ რესპუბლიკისათვის ბრძოლა ესპანეთში სრულებითაც არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სოციალისტური გადატრიალებისათვის ბრძოლა. «ესპანეთი — ამბობს იგი — მრეწველობის მხრივ იმდენად ჩამორჩენილი ქვეყანაა, რომ იქ ლაპარაკიც არ შეიძლება მუშათა კლასის დაუყოვნებელ სრულ განთავისუფლებაზე. ვიდრე საქმე აქამდე მივიდოდეს, ესპანეთმა აუცილებლად უნდა გაიაროს განვითარების კიდევ სხვადასხვა წინასწარი საფეხური და მოიშოროს გზიდან მთელი რიგი დაბრკოლებანი. ამ წინასწარი საფეხურების გავლა რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში, ამ დაბრკოლებათა სწრაფად აცილება, — ასეთი იყო შანსები, რომლებსაც რესპუბლიკა იძლეოდა. მაგრამ ამ შანსების გამოყენება შეიძლებოდა ესპანეთის მუშათა კლასის მხოლოდ ენერგიული პოლიტიკური ჩარევის საშუალებით. მუშათა მასა გრძნობდა ამას; იგი ყველგან იმას ცდილობდა, რომ მონაწილეობა მიეღო მოვლენებში, რომ სამოქმედოდ გამოეყენებინა მოხერხებული შემთხვევა, არ დაეთმო, როგორც აქამდე იყო ხოლმე, თავისუფალი ასპარეზი შეძლებულ კლასთა მოქმედებისა და ინტრიგებისათვის».

ამრიგად, საქმე ეხებოდა რესპუბლიკისათვის ბრძოლას, დემოკრატიულ და არა სოციალისტურ რევოლუციას. მოვლენებში მუშათა ჩარევის საკითხს მაშინ ორგვარად აყენებდნენ: ერთი მხრივ, ბაკუნისტები (ანუ «ალიანსისტები», — დამაარ-

სებლები «ალიანსისა» მარქსისტულ «ინტერნაციონალთან» საბრძოლველად) უარყოფდნენ პოლიტიკურ მოღვაწეობას, არჩევნებში მონაწილეობას და სხვა. მეორე მხრივ, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მონაწილეობისა რევოლუციაში, რომელიც მიზნად არ ისახავდა მუშათა კლასის დაუყოვნებელ სრულ განთავისუფლებას, წინააღმდეგნი იყვნენ ყოველგვარი მონაწილეობისა რევოლუციურ მთავრობაში. საქმის სწორედ ეს უკანასკნელი მხარე წარმოადგენს ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი სადავო საკითხის თვალსაზრისით. სხვათა შორის, საქმის სწორედ ეს მხარე გახდა საბაბი ორი ტაქტიკური ლოზუნგის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი განსხვავების ფორმულირებისა.

«ბაკუნისტები — ამბობს ენგელსი — მრავალ წელს ქადაგებდნენ, რომ ყ ო ვ ე ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ზ ე მ ო დ ა ნ ქ ვ ე მ ო თ მ ა ვ ნ ე ა, რ ო მ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მ ო წ ყ ო ბ ი ლ და გ ა ტ ა რ ე ბ უ ლ უ ნ დ ა ი ქ ნ ა ს ქ ვ ე მ ო დ ა ნ ზ ე მ ო თ».

ამრიგად, პრინციპი: «მხოლოდ ქვემოდან» ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი ა.

ენგელსი გვიჩვენებს ამ პრინციპის სწორედ უდიდეს შეუსაბამობას დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში. მისგან ბუნებრივად და აუცილებლად გამომდინარეობს ის პრაქტიკული დასკვნა, რომ რევოლუციურ მთავრობათა შექმნა ღალატია მუშათა კლასის მიმართ. და ბაკუნისტები აკეთებდნენ სწორედ ასეთ დასკვნას, სწორედ პრინციპად აცხადებდნენ, რომ «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს შ ე ქ მ ნ ა მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ა ხ ა ლ ი მ ო ტ ყ უ ე ბ ა ა, ა ხ ა ლ ი ღ ა ლ ა ტ ი ა მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს მ ი მ ა რ თ».

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენს წინაშეა სწორედ ის ორი «პრინციპი», რომლის აღიარებამდე ახალი «ისკრაც» მივიდა, სახელდობრ: 1) დასაშვებია მხოლოდ რევოლუციური მოქმედება ქვემოდან წინააღმდეგ ტაქტიკისა «ქვემოდანაც და ზემოდანაც»; 2) დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობა ღალატია მუშათა კლასის მიმართ. ახალისკრელთა ორივე ეს პრინციპი ანარქისტული პრინციპებია. ეს-

პანეთში რესპუბლიკისათვის ბრძოლის ფაქტიურმა მსვლელობამ ორივე ამ პრინციპის სწორედ მთელი შეუსაბამობა და მთელი რეაქციულობა გვიჩვენა.

ენგელსი ამას გვიჩვენებს ესპანეთის რევოლუციის ცალკე ეპიზოდებით. აი, მაგალითად, იფეთქა რევოლუციამ ქალაქ ალკოიში. ეს არის შედარებით ახალი წარმოშობის საფაბრიკო ქალაქი 30 ათასი მცხოვრებით. მუშათა აჯანყება იმარჯვებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელმძღვანელობდნენ ბაკუნისტები, რომლებიც პრინციპულად ერიდებოდნენ რევოლუციის მოწყობის იდეას. ბაკუნისტებმა უკანა რიცხვით იწყეს ტრაბახი, «მდგომარეობის ბატონ-პატრონები» აღმოვჩნდითო. და რა გააკეთეს ამ «ბატონ-პატრონებმა» თავისი «მდგომარეობიდან», კითხულობს ენგელსი. ჯერ-ერთი, ალკოიში მათ დააარსეს «კეთილდღეობის კომიტეტი», ე. ი. რევოლუციური მთავრობა. ამავე დროს სწორედ ამ ალიანსისტებმა (ბაკუნისტებმა) თავიანთ კონგრესზე 1872 წლის 15 სექტემბერს, ე. ი. რევოლუციამდე სულ ათი თვის წინათ, დაადგინეს: «პოლიტიკური, ეგრეთწოდებული დროებითი ანუ რევოლუციური ხელისუფლების ყოველგვარი ორგანიზაცია შეიძლება მხოლოდ ახალი მოტყუება იყოს და იმდენადვე საშიში იქნებოდა პროლეტარიატისათვის, როგორც ყველა ამჟამად არსებული მთავრობა». ამ ანარქისტული ფრაზების გაბათილების ნაცვლად, ენგელსი სჯერდება სარკასტულ შენიშვნას, რომ სწორედ რეზოლუციის მომხრეებს მოუხდათ გამხდარიყვნენ «მონაწილეები ამ დროებითი და რევოლუციური მთავრობის ხელისუფლებისა» ალკოიში. ენგელსი ამ ვაჟბატონებს დამსახურებული ზიზღით იხსენიებს იმისათვის, რომ, როცა ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, «აბსოლუტური უმწეობა, დაბნეულობა და ენერგიის უქონლობა» გამოიჩინეს. ენგელსი ასეთივე ზიზღით გასცემდა პასუხს «იაკობინიზმის» ბრალდებას, რაც ძალიან უყვართ სოციალ-დემოკრატიის ჟირონდისტებს. იგი გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ სხვა ქალაქებში, მაგალ., სან-ლუკარ-დე-ბარამედაში (ნავსადგურიანი ქალაქი 26 ათასი მცხოვრებით, კადიქსის ახლოს) «ალიანსისტებს მათი ანარქისტული პრინციპების

წინააღმდეგ აგრეთვე მოუხდათ რევოლუციური მთავრობის შექმნა». იგი მათ უსაყვედურებს იმას, რომ «არ იცოდნენ, როგორ მოეხმარათ თავიანთი ძალაუფლება». ენგელსმა მშვენივრად იცის, რომ მუშათა ბაკუნისტი ბელადები მონაწილეობდნენ დროებითს მთავრობებში ინტრანსიჟენტებთან, ე. ი. წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელ რესპუბლიკელებთან ერთად, და უსაყვედურებს ბაკუნისტებს არა მათს მონაწილეობას მთავრობაში (როგორც ეს უნდა ყოფილიყო ახალი «ისკრის» «პრინციპების» მიხედვით), არამედ ორგანიზებულობის ნაკლებობას, მონაწილეობის ენერგიის ნაკლებობას, იმას, რომ ისინი დაემორჩილნენ ბატონ ბურჟუაზიულ რესპუბლიკელთა ხელმძღვანელობას. თუ რა გამანადგურებელ სარკაზმებს მიაყრიდა ენგელსი იმ ადამიანებს, რომლებიც ამცირებენ «ტექნიკური» და სამხედრო ხელმძღვანელობის მნიშვნელობას რევოლუციის ეპოქაში, ეს სხვათა შორის იქიდან ჩანს, რომ ენგელსი მუშათა ბაკუნისტ ბელადებს უსაყვედურებდა იმას, რომ ისინი როდესაც რევოლუციურ მთავრობაში მოხვდებოდნენ, «პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას» ანებებდნენ ბატონ ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებს, თვითონ კი კვებავდნენ მუშებს მაღალფარდოვანი ფრაზებით და «სოციალური» რეფორმების ქაღალდის პროექტებით.

როგორც სოციალ-დემოკრატიის ნამდვილმა იაკობინელმა, ენგელსმა არა მარტო იცოდა ზემოდან მოქმედების დიდი მნიშვნელობის შეფასება, მას არა მარტო სავსებით დასაშვებად მიაჩნდა რევოლუციურ მთავრობაში რესპუბლიკურ ბურჟუაზიასთან ერთად მონაწილეობა, არამედ მოითხოვდა ასეთ მონაწილეობას და რევოლუციური ხელისუფლების ენერგიულ სამხედრო ინიციატივას. ენგელსს ამასთანავე თავის მოვალეობად მიაჩნდა პრაქტიკული სახელმძღვანელო სამხედრო რჩევათა მიცემა.

«მიუხედავად იმისა, — ამბობს იგი, — რომ აჯანყება უაზროდ იქნა დაწყებული, მას მაინც ჰქონდა წარმატების დიდი შანსები, იგი წარმართული რომ ყოფილიყო

თუნდაც ოდნავ აზრიანად*, თუნდაც ესპანეთის სამხედრო ამბოხებათა ნიმუშის მიხედვით. ასეთ ამბოხებათა დროს აჯანყებას აწყობს ერთი ქალაქის გარნიზონი, მიდის მეზობელ ქალაქში, იმხრობს მის გარნიზონს, რომელშიც უკვე წინასწარ არის გაწეული პროპაგანდა, და აჯანყებულები, რომელთა რიცხვიც ზვავივით მატულობს, ამრიგად მიდიან დედაქალაქზე, სანამ იღბლიანი ბრძოლა ან მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარების მათ მხარეზე გადასვლა არ გადაწყვეტს გამარჯვებას. ეს საშუალება განსაკუთრებით კარგად გამოსაყენებელი იყო ამ შემთხვევაში. ინსურგენტები უკვე დიდი ხანია ორგანიზებული იყვნენ ყველგან მოხალისეთა ბატალიონებად; მართალია, დისციპლინა მათ უბადრუკი ჰქონდათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა უარესი, ვიდრე ესპანეთის ძველი, მეტწილად თავაშვებული არმიის ნაშთებს. მთავრობის ერთადერთ საიმედო ჯარებს ჟანდარმები წარმოადგენდნენ, მაგრამ ისინი მთელ სახელმწიფოში იყვნენ გაფანტულნი. ამოცანა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ჟანდარმების ერთად თავმოყრისათვის შეეშალათ ხელი, ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ შეტევითი მოქმედების საშუალებით და გაშლილ მინდორში საბრძოლველად, გაბედულად გასვლის დროს. ასეთი მოქმედება დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, იმიტომ რომ მოხალისეთა წინააღმდეგ მთავრობას შეეძლო გამოეყვანა მხოლოდ იმდენადვე უდისციპლინო ჯარები, როგორც თვითონ ეს მოხალისენი იყვნენ. და ვისაც გამარჯვება სურდა, მას არ ჰქონდა გამარჯვების სხვა გზები».

აი როგორ მსჯელობდა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი, როდესაც მას უხდებოდა საქმე ჰქონოდა რევოლუციური აფეთქების ეპოქაში აჯანყებისა და უშუალო ბრძოლის

---

* Wäre er nur mit einigem Verstand geleitet worden. საბრალო ენგელსი! სამწუხაროა, რომ ის არ იცნობს ახალ «ისკრას»! მაშინ მას ეცოდინებოდა აჯანყების მოწყობის (geleitet werden) «იაკობინური» იდეის დამღუპველობა, მავნებლობა, უტოპიურობა, ბურჟუაზიულობა, ტექნიკური ცალმხრივობა და შეთქმულებითი შეზღუდულობა!

ამოცანებთან! მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება დაიწყეს წვრილბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა; მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატისათვის არ იდგა არც სოციალისტური გადატრიალების, არც ელემენტარულად აუცილებელი პოლიტიკური თავისუფლების საკითხი; — მიუხედავად ამისა, ენგელსი მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა რესპუბლიკისათვის ბრძოლაში მუშების უაღრესად აქტიურ მონაწილეობას. ენგელსი პროლეტარიატის ბელადებისაგან მოითხოვდა, რომ მათ მთელი თავიანთი მოღვაწეობა დაემორჩილებინათ დაწყებულ ბრძოლაში გამარჯვების აუცილებლობისათვის; ამასთან ენგელსი თვითონაც, როგორც პროლეტარიატის ერთი ბელადთაგანი, სამხედრო ორგანიზაციის დეტალებსაც სწვდებოდა, ენგელსი არ თაკილობდა, თუკი ეს გამარჯვებისათვის იყო საჭირო, სამხედრო ამბოხებათა მოძველებულ ბრძოლის წესებსაც, ენგელსს ქვაკუთხედად მიაჩნდა შეტევითი მოქმედება და რევოლუციურ ძალთა ცენტრალიზაცია. იგი ბაკუნისტებს ყველაზე მწარედ იმას უსაყვედურებდა, რომ მათ პრინციპად გახადეს «ის, რაც გარდუვალი ბოროტება იყო გერმანიის გლეხთა ომის ეპოქაში და გერმანიაში 1849 წლის მაისის აჯანყებათა დროს, სახელდობრ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ძ ა ლ თ ა დ ა ქ ს ა ქ ს უ ლ ო ბ ა და გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ უ ლ ო ბ ა, რამაც მთავრობის ერთსა და იმავე ჯარებს შესაძლებლობა მისცა ეს ცალკე აჯანყებანი ერთიმეორის მიყოლებით ჩაეხშოთ». ენგელსის შეხედულებანი აჯანყების მოწყობაზე, რევოლუციის ორგანიზაციაზე, რევოლუციური ძალაუფლების გამოყენებაზე ისე განსხვავდებიან ახალი «ისკრის» მაჩანჩალურ შეხედულებათაგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

აჯამებს რა ესპანეთის რევოლუციის გაკვეთილებს, ენგელსი უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ «ბაკუნისტები, როგორც კი სერიოზული რევოლუციური მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდნენ, იძულებული შეიქნენ უკუეგდოთ მთელი თავისი უწინდელი პროგრამა». სახელდობრ, ჯერ-ერთი, მათ მოუხდათ უკუეგდოთ პოლიტიკური მოღვაწეობისაგან, არჩევნებისაგან თავშეკავების პრინციპი, «სახელმწიფოს მოსპობის» პრინციპი. მეორე, «მათ უკუაგდეს ის პრინციპი, რომ მუშებმა

მონაწილეობა არ უნდა მიიღონ არავითარ რევოლუციაში, რომელიც მიზნად არ ისახავს პროლეტარიატის დაუყოვნებელ სრულ განთავისუფლებას, მათ თვითონ მონაწილეობა მიიღეს აშკარად წმინდა ბურჟუაზიულ მოძრაობაში». მესამე, — და სწორედ ეს დასკვნა იძლევა პასუხს ჩვენს სადავო საკითხზე— «ისინი თრგუნავდნენ თავიანთსავე, სწორედ იმხანად გამოცხადებულ პრინციპს: თითქოს რევოლუციური მთავრობის შექმნა არის მხოლოდ ახალი მოტყუება და ახალი ღალატი მუშათა კლასის მიმართ, — ისინი თრგუნავდნენ მას და არხეინად მონაწილეობდნენ ცალკეული ქალაქების მთავრობის კომიტეტების სხდომებში, ამასთან თითქმის ყველგან, როგორც უძლური უმცირესობა, მაიორიზებული იყვნენ ბატონ ბურჟუების მიერ, რომელნიც მათ პოლიტიკურ ექსპლოატაციას უწევდნენ». არ შესწევდათ რა უნარი ხელმძღვანელობა გაეწიათ აჯანყებისათვის, ქსაქსავდნენ რა რევოლუციურ ძალებს მათი ცენტრალიზაციის ნაცვლად, უთმობდნენ რა რევოლუციის მოწყობას ბატონ ბურჟუებს, შლიდნენ რა ინტერნაციონალის მკვიდრ და მტკიცე ორგანიზაციას, «ბაკუნისტებმა ესპანეთში მოგვცეს იმის უებრო მაგალითი, თუ როგორ არ უნდა კეთდებოდეს რევოლუცია».

* *
*

ვაჯამებთ რა ზემოთქმულს, შემდეგ დასკვნებს ვიღებთ:

1) რევოლუციური მოქმედების პრინციპულად შეზღუდვა ქვემოდან ზეგავლენით და ზემოდანაც ზეგავლენაზე უარისთქმა ანარქიზმია.

2) ვისაც არ ესმის ახალი ამოცანები რევოლუციის ეპოქაში, ზემოდან მოქმედების ამოცანები, ვისაც არ შესწევს უნარი განსაზღვროს ასეთი მოქმედების პირობები და პროგრამა, მას წარმოდგენა არა აქვს პროლეტარიატის ამოცანებზე ყოველ დემოკრატიულ რევოლუციაში.

3) ის პრინციპი, რომ სოციალ-დემოკრატიისათვის დაუშვებელია ბურჟუაზიასთან ერთად მონაწილეობა დროებითს რე-

ვოლუციურ მთავრობაში, რომ ყოველი ასეთი მონაწილეობა არის ღალატი მუშათა კლასის მიმართ, ანარქიზმის პრინციპია.

4) ყოველი «სერიოზული რევოლუციური მდგომარეობა» პროლეტარიატის პარტიას ამოცანად უსახავს აჯანყების შეგნებულად განხორციელებას, რევოლუციის მოწყობას, მთელი რევოლუციური ძალების ცენტრალიზაციას, გაბედულ სამხედრო შეტევას, რევოლუციური ძალაუფლების უდიდესი ენერგიით გამოყენებას.

5) მარქსი და ენგელსი ვერ მოიწონებდნენ და არც არასოდეს მოიწონებდნენ ახალი «ისკრის» ტაქტიკას ახლანდელ რევოლუციურ მომენტში, რადგან ეს ტაქტიკა სწორედ ყველა ზემოჩამოთვლილი შეცდომის განმეორებაში მდგომარეობს. მარქსი და ენგელსი ახალი «ისკრის» პრინციპულ პოზიციას პროლეტარიატის «ზურგში» ცქერასა და ანარქისტულ შეცდომათა გადამღერებას დაარქმევდნენ.

შემდეგ სტატიაში ჩვენ გადავალთ დროებითი რევოლუციური მთავრობის ამოცანათა განხილვაზე [125].

განადგურება

კორეის სრუტის საზღვაო ბრძოლამ მთელი მსოფლიოს პოლიტიკური პრესის ყურადღება მიიპყრო. მეფის მთავრობა ჯერ შეეცადა მწარე ჭეშმარიტება თავის ერთგულ ქვეშევრდომთათვის დაემალნა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ასეთი ცდა უიმედო იყო. მთელი რუსეთის ფლოტის სრული განადგურების დაფარვა სულ ერთია შეუძლებელი იქნებოდა.

უკანასკნელი საზღვაო ბრძოლის პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასებისას იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც «ვპერიოდის» მე-2 ნომერში * ვთქვით პორტ-არტურის დაცემის გამო. მეფის რუსეთის სრული სამხედრო კრახი მაშინვე ცხადი იყო, მაგრამ ბალტიის ესკადრა რუს პატრიოტებს კიდევ უნერგავდა იმედის აჩრდილს. ყველას ესმოდა, რომ ომის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია ამა თუ იმ მხარის გამარჯვებაზე ზღვაში. თვითმპყრობელობა ხედავდა, რომ ომში დამარცხება იგივე იქნება, რაც «შინაური მტრის» გამარჯვება, ე. ი. რევოლუციის გამარჯვება. ამიტომ იგი გველის ტყავში ძვრებოდა. რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი დაიხარჯა ბალტიის ესკადრის სასწრაფოდ გაგზავნაზე. აქა-იქ მოკრიბეს ეკიპაჟი, სახელდახელოდ მოათავეს უკანასკნელი სამზადისი სამხედრო გემების გასამგზავრებლად, ამ გემების რიცხვი გაადიდეს იმით, რომ ახალ და მძლავრ ჯავშნოსნებს დაუმატეს «ძველი ზანდუკები». დიდი არმადა, — ისეთივე უზარმაზარი, ისეთივე ტლანქი, შეუსაბამო, უძლური, საზარელი, როგორიც მთელი რუსეთის იმპერიაა, — გაუდგა გზას, ხარჯავდა დიდძალ

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 38 — 48. რ ე დ.

ფულს ნახშირში, შენახვაში, იწვევდა ევროპის საერთო დაცინვას, განსაკუთრებით მეთევზეთა ნავებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, უხეშად არღვევდა ყველა ადათსა და ნეიტრალიტეტის მოთხოვნებს. რაც უნდა ცოტა ვიანგარიშოთ, ეს არმადა ღირდა 300 მილიონამდე მანეთად, მისი გაგზავნაც 100 მილიონ მანეთად დაჯდა, — სულ 400 მილიონი მანეთი გადაყრილ იქნა მეფის თვითმპყრობელობის ამ უკანასკნელ სამხედრო ღონისძიებაზე.

ახლა უკანასკნელი ღონისძიებაც მარცხით დამთავრდა. ამას ყველა მოელოდა, მაგრამ არავინ არ ფიქრობდა, რომ რუსეთის ფლოტის დამარცხება ასეთი ულმობელი განადგურება იქნებოდა. რუსეთის გემების არმადა ველურების ჯოგსავით პირდაპირ დაეტაკა იაპონიის საუცხოოდ შეიარაღებულ და უახლესი დაცვის ყველა საშუალებით მოწყობილ ფლოტს. ორი დღის ბრძოლა, — და რუსეთის ოცი სამხედრო გემიდან, რომელთა ეკიპაჟს 12 — 15 ათასი კაცი შეადგენდა, ჩაძირული და განადგურებულია ცამეტი, ტყვედ წაყვანილია ოთხი, გადარჩა და ვლადივოსტოკს ჩავიდა მხოლოდ ერთი («ალმაზი»). ნახევარზე მეტი ეკიპაჟი დაიღუპა, ტყვედ ჩავარდა «თვით» როჟდესტვენსკი და მისი უახლოესი თანაშემწე ნებოგატოვი, ხოლო იაპონიის მთელი ფლოტი ბრძოლიდან უვნებელი გამოვიდა და მხოლოდ სამი ნაღმოსანი დაკარგა.

რუსეთის სამხედრო ფლოტი საბოლოოდ მოსპობილია. ომი უიმედოდ წაგებულია. რუსეთის ჯარების სრული განდევნა მანჯურიიდან, იაპონელების მიერ სახალინისა და ვლადივოსტოკის წართმევა ახლა მხოლოდ დროის საკითხია. ჩვენს წინაშეა თვითმპყრობელობის არა მარტო სამხედრო დამარცხება, არამედ სრული სამხედრო კრახი.

ამ კრახის, როგორც ცარიზმის მთელი პოლიტიკური სისტემის კრახის, მნიშვნელობა ახლა სულ უფრო ნათელი ხდება ევროპისთვისაც და მთელი რუსი ხალხისთვისაც იაპონელთა მხრივ ყოველ ახალ დარტყმასთან ერთად. ყოველივე მხედრდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, — მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის შელახული ეროვნული თავმოყვარეობაც, არმიის აღშფოთებული სიამაყეც, უაზრო სამხედრო ავანტიუ-

რაში ათეული და ასეული ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლის დაკარგვის სიმწარეც, ხალხის ასეული მილიონობით ფულის დატაცების წინააღმდეგ გაბოროტებაც, ასეთი ომის შედეგად გარდუვალი ფინანსური კრახისა და ხანგრძლივი ეკონომიური კრიზისის შიშიც, ძრწოლაც მრისხანე სახალხო რევოლუციის წინაშე, რომელიც მეფეს (ბურჟუაზიის აზრით) შეეძლო თავიდან აეცილებინა და კიდევაც უნდა აეცილებინა დროულ «კეთილგონიერ» დათმობათა გზით. იზრდება და ფართოვდება ზავის მოთხოვნა, აღშფოთებას გამოთქვამს ლიბერალური პრესა, იმუქრებიან ისეთი უზომიერესი ელემენტებიც კი, როგორიც არიან «შიპოვის» მიმართულების მიწათმფლობელნი, სახალხო წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევას მოითხოვს მონური «ნოვოე ვრემიაც» კი.

ევროპის ბურჟუაზია, მეფის ხელისუფლების ეს ყველაზე საიმედო დასაყრდენი, აგრეთვე კარგავს მოთმინებას. მას აშინებს აუცილებელი გადაჯგუფება საერთაშორისო ურთიერთობაში, ახალგაზრდა და ჯანსაღი იაპონიის მზარდი ძლიერება, სამხედრო მოკავშირის დაკარგვა ევროპაში. მას ადარდებს იმ მილიარდების ბედი, რომლებიც მან დიდსულოვნად ასესხა თვითმპყრობელობას. მას სერიოზულად აწუხებს რუსეთის რევოლუცია, რომელიც ძლიერ აღელვებს ევროპის პროლეტარიატს და მსოფლიო რევოლუციური ხანძრით იმუქრება. ცარიზმთან «მეგობრობა» აიძულებს ევროპის ბურჟუაზიას მოუხმოს მის კეთილგონიერებას, დაჟინებით უმტკიცოს, რომ საჭიროა დადებულ იქნას ზავი — ზავი იაპონელებთან და ზავი რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. ევროპა სრულებითაც არ არიდებს თვალს იმას, რომ იაპონიასთან ზავის ყიდვა ახლა მხოლოდ ძლიერ დიდ ფასად შეიძლება, მაგრამ იგი ფხიზლად და საქმიანად ანგარიშობს, რომ გარეთ ომისა და შიგნით რევოლუციის ყოველი ახალი თვე აუცილებლად მაღლა სწევს ამ ფასს და ზრდის ისეთი რევოლუციური აფეთქების საშიშროებას, რომელიც ნაცარ-მტვრად აქცევს «დათმობათა» მთელ პოლიტიკას. ევროპას ესმის, რომ თვითმპყრობელობისათვის ძალიან ძნელია, თითქმის უკვე შეუძლებელია შეჩერდეს ახლა, — მან ძალიან შორს შეტოპა, და აი იგი, ეს

ბურჟუაზიული ევროპა, ცდილობს თავიც დაიმშვიდოს და თავისი მოკავშირეც დაამშვიდოს საამური ოცნებებით.

აი რას წერს, მაგალითად, საფრანგეთის პატრიოტული ბურჟუაზიის გაზეთი, «Le Siècle»*, კორნელის პატარა სტატიაში, რომლის სათაურია: «ერთი ეპოპეის დასასრული»: «ახლა, როდესაც რუსები ხმელეთზე მთელ რიგ დამარცხებათა შემდეგ ზღვაზე დამარცხდნენ, მათს მთავრობას მოვალეობა ეკისრება ზავი დასდოს და თავისი სამხედრო ძალები გარდაქმნას. ავანტიურისტული მთავრობები ზოგჯერ იძულებული ხდებიან თავისი პრეტენზიების გამო ან თავისი უშიშროების მიზნით ომში ჩააბან ის ხალხები, რომლებზედაც ისინი ბატონობენ. და, რადგან გამარჯვებისათვის ბრძოლაში ასეთ მთავრობებს თვით საკუთარი არსებობის შენარჩუნება ამოქმედებს, ისინი თავიანთი ხალხებისაგან ახალ-ახალ მსხვერპლს მოითხოვენ და ამრიგად ისინი საბოლოო დაღუპვისაკენ მიჰყავთ. ასეთი იყო საფრანგეთში ჩვენი ორი იმპერიის ისტორია. ასეთივე იქნებოდა ისტორია მესამე იმპერიისა, შესაძლებელი რომ გამხდარიყო ჩვენში ასეთის შექმნა.

პირიქით, რუსეთის მთავრობის მდგომარეობა სწორედ ასეთი არ არის; მას ფესვები გადგმული აქვს რუსი ხალხის წიაღში, და საერთო უბედურება ერთმანეთს კი არ აშორებს მთავრობასა და ხალხს, არამედ მათ ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ აკავშირებს. დამარცხებული კეისარი კეისარი აღარ არის. უბედური მეფე შეიძლება ღვთაებრივ და პოპულარულ მეფედ დარჩეს».

ვაი რომ ფუჭი იმედია! შოვინისტი ფრანგი მედუქნის ტრაბახი «უკვე ძალიან აშკარაა», მისი მტკიცება, თითქოს ომს ერთმანეთისაგან არ დაეშორებინოს რუსეთის მთავრობა და ხალხი, იმდენად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, რომ ღიმილს იწვევს და გულუბრყვილო და უწყინარ ცბიერებად გვეჩვენება. თავისი მეგობარი და მოკავშირე, რუსეთის თვითმპყრობელი, გარდუვალი კრახისაგან რომ იხსნას, რომლისკენაც იგი, როგორც ჭეშმარიტი «კეისარი»,

* — «საუკუნე». რ ე დ.

ბრმად და დაჟინებით მიექანება, ფრანგი ბურჟუა ალერსიანად არწმუნებს ამ კეისარს, რომ იგი არ უნდა ჰგავდეს სხვა კეისრებს, რომ მას კიდევ სხვა, უკეთესი გამოსავალი აქვს. «მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო». საფრანგეთის ბურჟუაზიას ისე სურს ჰყავდეს ძლიერი მოკავშირე — მეფე, რომ იგი თავს ინუგეშებს რომანტიკული ზღაპრით უბედურების შესახებ, რომელიც რუს ხალხს მეფესთან აკავშირებს. რა თქმა უნდა, სერიოზულად არც თვით ბ-ნ კორნელის სჯერა ეს ზღაპარი, — მით უფრო ნაკლებ სერიოზულად უნდა მივიღოთ იგი ჩვენ.

ავანტიურისტული არიან ხოლმე არა მარტო კეისართა მთავრობები, არამედ უძველესი დინასტიის უკანონიერესი მონარქების მთავრობებიც. რუსეთის თვითმპყრობელობაში, რომელიც ისტორიას მთელი საუკუნით არის ჩამორჩენილი, ავანტიურისტული მეტია, ვიდრე საფრანგეთის რომელიმე იმპერიაში. თვითმპყრობელობამ სწორედ ავანტიურისტულად ჩაება ხალხი სულელურ და სამარცხვინო ომში. იგი ახლა დამსახურებული აღსასრულის წინაშე დგას. ომმა გამოამჟღავნა თვითმპყრობელობის ყველა იარა, გამოააშკარავა მთელი მისი სიდამპლე, ცხადყო მისი სრული განცალკევება ხალხისაგან, დაამსხვრია კეისრული ბატონობის ერთადერთი დასაყრდენი. ომი მრისხანე სამსჯავრო აღმოჩნდა. ხალხმა უკვე გამოუტანა თავისი განაჩენი ავაზაკთა ამ მთავრობას. რევოლუცია ამ განაჩენს სისრულეში მოიყვანს.

«პროლეტარი» № 3,
1905 წ. 9 ივნისი (27 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რევოლუციური ბრძოლა და ლიბერალური მაკლერობა

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა ჩვენი საინტერესო ეპოქის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და დამახასიათებელი თავისებურებაა. ძველი წესწყობილება, თვითმპყრობელობა, ინგრევა. არა მარტო ეგრეთწოდებული «საზოგადოების», ე. ი. ბურჟუაზიის, არამედ აგრეთვე «ხალხის», ე. ი. მუშათა კლასისა და გლეხობის სულ უფრო ფართო ფენები იწყებენ ფიქრს იმაზე, თუ სახელდობრ როგორი ახალი წესწყობილება და სახელდობრ როგორ უნდა აშენდეს იგი. შეგნებული პროლეტარიატისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კლასის ამ ცდებს — დასახონ პროგრამა და მოაგვარონ პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაცია. თუმცა ამ ცდებში, რომლებიც მეტწილად გამომდინარეობენ ცალკეულ «მოღვაწეთაგან», ხოლო ეს «მოღვაწენი» არავის წინაშე არ არიან პასუხისმგებელნი და არავის არ მიუძღვიან, ბევრი რამ არის შემთხვევითი, თვითნებური, ზოგჯერ ქარაფშუტული, მაგრამ საერთოდ და მთლიანად მსხვილი საზოგადოებრივი კლასების ძირითადი ინტერესები და ტენდენციები შეუჩერებელი ძალით იჩენენ თავს. განცხადებათა, მოთხოვნათა, პროგრამათა მოჩვენებითს ქაოსში მჟღავნდება ჩვენი ბურჟუაზიის პოლიტიკური ფიზიონომია და მისი ჭეშმარიტი (და არა მარტო მოსაჩვენებელი) პოლიტიკური პროგრამა. პროლეტარიატი სულ

უფრო მეტ მასალას იღებს იმის განსასჯელად, თუ როგორ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ს რუსეთის ბურჟუაზია, რომელიც ახლა პოლიტიკურ მოქმედებაზე ლაპარაკობს, — რა პოზიციას დაიკავებს იგი გადამწყვეტ რევოლუციურ ბრძოლაში, რომელსაც რუსეთი ასე სწრაფად უახლოვდება.

საზღვარგარეთული «ოსვობოჟდენიე», რომელიც ცენზურის მხრივ სრულიად ხელშეუშლელად აჯამებს რუსი ლიბერალების ურიცხვ გამოსვლებს, ზოგჯერ განსაკუთრებით ძვირფას მასალას იძლევა ბურჟუაზიის პოლიტიკის შესასწავლად. მის მიერ ახლახან დაბეჭდილი (ან 5 აპრილის «ნოვოსტიდან» გადაბეჭდილი) ««განთავისუფლების კავშირის» პროგრამა» ბ-ნ პ. ს-ს საგულისხმო კომენტარებით ჩინებული დამატებაა საერობო კრებათა გადაწყვეტილებებისა და კონსტიტუციის ოსვობოჟდენიელთა პროექტისა, რომლის შესახებაც ჩვენ «ვპერიოდის» მე-18 ნომერში ვლაპარაკობდით *. «ამ პროგრამის გამომუშავებითა და მისთვის ხმის მიცემით — სამართლიანად ამბობს ბ-ნი პ. ს. — გადადგმულია დიდი ნაბიჯი რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნისაკენ».

უეჭველია, რუსი ლიბერალებისათვის ეს დიდი ნაბიჯია, რომელიც გამოირჩევა ლიბერალურ გამოსვლათა უკვე საკმაოდ ხანგრძლივ ეპოპეაში. და რაოდენ პატარაა ეს დიდი ლიბერალური «ნაბიჯი» იმასთან შედარებით, რაც საჭიროა ნამდვილი პარტიის შესაქმნელად, იმასთან შედარებითაც კი, რაც ამ მიზნისათვის უკვე შექმნილია თუნდაც სოციალ-დემოკრატიის მიერ! ბურჟუაზიას ლეგალურად გამოსვლის გაცილებით უფრო მეტი თავისუფლება აქვს, ვიდრე პროლეტარიატს, გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით მოეპოვება ინტელიგენტური ძალები და ფულადი სახსრები, შეუდარებლად უფრო მეტი აქვს ხელსაყრელი პირობები პარტიული ორგანიზაციისათვის, — მაგრამ ჩვენ კვლავ ვხედავთ «პარტიას», რომელსაც არა აქვს ოფიციალური სახელწოდება, არა აქვს საერთო, ნათელი და ზუსტი პროგრამა, არა აქვს ტაქტიკა, არა აქვს პარ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 000. რ ე დ.

ტიული ორგანიზაცია, «პარტიას», რომელიც კომპეტენტურ ბ-ნ პ. ს-ს თქმით შესდგება «საერობო ფრაქციისა» და «განთავისუფლების კავშირისაგან», ე. ი. პიროვნებათა არაორგანიზებული კონგლომერატისაგან პლუს ორგანიზაცია. თუმცა, იქნებ, საერობო ფრაქციის წევრები «პარტიის წევრებს» წარმოადგენენ იმ ცნობილი გაგებით, რომ ისინი, აღიარებენ რა პროგრამას, მუშაობენ «ერთ-ერთი პარტიული ორგანიზაციის კონტროლით», «განთავისუფლების კავშირის» ერთ-ერთი ჯგუფის კონტროლით? რამდენადაც პარტიის წევრობის ასეთი გაგება არ შეესაბამება სოციალ-დემოკრატიის მთელ ბუნებას, იმდენადვე მოხერხებული და მიზანშეწონილია იგი ლიბერალებისათვის, იმდენადვე შეჰფერის მთელ მათს პოლიტიკურ სახეს. პარტიის ასეთი გაგებიდან (რაც გამოხატულია არა დაწერილ წესდებაში, არამედ ამ «პარტიის» რეალურ კონსტ. რუქციაში), სხვათა შორის, გამომდინარეობს ის, რომ პარტიის ორგანიზებული წევრების, ე. ი. «განთავისუფლების კავშირის» წევრების, უმრავლესობა ემხრობა ერთპალატიან სისტემას და მაინც უარს ამბობს მასზე თავის პროგრამაში, საკითხს სრული დუმილით უვლის გვერდს პარტიის არაორგანიზებული წევრების საამებლად, «საერობო ფრაქციის» საამებლად, რომელიც ორპალატიან სისტემას ემხრობა. «ძალთა» თანაფარდობა, შეიძლება ითქვას, პროვიდენციულია პოლიტიკურად აქტიური ბურჟუაზიისათვის: ორგანიზებული ინტელიგენტები ბჭობენ, არაორგანიზებული საქმოსნები, საქმის მომჭახრაკებლები, კაპიტალისტები, განაგებენ.

ბ-ნი პ. ს., რომელიც სულითა და გულით მიესალმება «განთავისუფლების კავშირის» პროგრამას, ამასთან პრინციპულად იცავს როგორც პროგრამის გაურკვევლობას, უსრულობას და დაუმთავრებლობას, ისე ორგანიზაციულ უსახობას და ტაქტიკის საკითხების გვერდის აქცევას, იცავს «რეალური პოლიტიკის» მოსაზრებით! ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ უბადლო, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მთელი ბუ-

ნების მეტისმეტად დამახასიათებელ ცნებას; ახლა კი გადავიდეთ ლიბერალური პროგრამის საფუძველთა გარჩევაზე.

როგორც უკვე ვთქვით, პარტიას ოფიციალური სახელწოდება არა აქვს. ბ-ნი პ. ს. მას იმავე სახელს უწოდებს, რომელიც, ვგონია, გვხვდება ლიბერალური ძიმართულების ჩვენი ლეგალური გაზეთების ფურცლებზეც, — «კონსტიტუციურ-დეოკოატიულ პარტიას». ერთი შეხედვით რარიგ ძცირე მხიშვხელობაც უნდა ჰქონდეს სახელწოდების საკითხს, უკვე აქაც ერთბაშად ვიღებთ მასალას იმის გამოსარკვევად, თუ რატომ უ ნ დ ა დასჯერდეს ბურჟუაზია, პროლეტარიატისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ უსახობას და «პრინციპულადაც» კი დაიცვას იგი, — სახელდობრ «უნდა» არა მისი ბელადების მარტო სუბიექტური განწყობილებისა ან მათ თვისებათა გამო, არამედ ძთლიანად ბურჟუაზიის კლასის, როგორც მთელის, არსებობის ობიექტურ პირობათა გამო. სახელწოდება «კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია» უცებ მოგვაგონებს ცხობილ ხაკვესს: ენა ადაძიანს იმისათვის აქვს, რომ თავისი აზრები დაფაროსო. სახელწოდება «კ.-დ. პ.» ძოგონილია იმისთვის, რომ დაფარონ პარტიის ძ ო ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი ხასიათი. მართლაც, ვინღა არ იცის, რომ მთელი ეს პარტია, მისი ბატონ-პატრონის — საერობო ფრაქციის სახითაც, «განთავისუფლების კავშირის» სახითაც, მოხარქიას ემხრობა? არც პირველხი, არც მეორენი რესპუბლიკაზე არცკი ლაპარაკობენ, ასეთი ლაპარაკი «არასერიოზულად» მიაჩნიათ, ხოლო მათს კონსტიტუციის პროექტში მონარქია პირდაპირ და გარკვეულად აღიარებულია ძართვა-გამგეობის ფორმად. მაშასადაძე, ჩვენს წინაშეა კონსტიტუციური მონარქიის მომხრეთა პარტია, მონარქისტ-კონსტიტუციონალისტთა პარტია. ეს სრულიად უეჭვო ფაქტია, რომლის მიჩქმალვაც არ შეიძლება არავითარი მსჯელობით რესპუბლიკის «პრინციპული» აღიარების შესახებ (თუმცა ასეთი მსჯელობა «კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებისაგან» ჯერჯერობით არა გვსმენია!), რადგან საქმე ეხება არა მარტო «პრინციპულ», არამედ პრაქტიკულ-პოლიტიკურ აღიარებას, მოპოვების სურვილისა და ბრძოლის აუცილებლობის აღიარებას.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბატონ ბურჟუებს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ ახლავე დაირქვან თავისი ნამდვილი სახელი. ეს იმდენადვე შეუძლებელია, რამდენადაც შეუძლებელია ქუჩაში შიშვლად გამოსვლა. არ შეიძლება სიმართლის აშკარად თქმა, არ შეიძლება ხმამაღლა aussprechen was ist (იმის თქმა, რაც არის), რადგან ეს უდრის ერთ-ერთი უაღრესად ველური და მავნე პოლიტიკური პრივილეგიის აღიარებას, უდრის საკუთარი ანტიდემოკრატიზმის აღიარებას. ამის აღიარება კი პოლიტიკური თავისუფლებისათვის მებრძოლ ბურჟუაზიას არ შეუძლია არა მარტო იმიტომ, რომ ეს უკვე მეტად სამარცხვინო, უხერხული და უხამსი საქციელია. არა, ბურჟუაზიული პოლიტიკის ადამიანები არავითარ უხამსობას არ მოერიდებიან, თუ ამას ინტერესები მოითხოვენ. მაგრამ ამჟამად მათი ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი მოითხოვენ თავისუფლებას, თავისუფლების მოპოვება კი შეუძლებელია უ ხ ა ლ ხ ო დ, ხოლო ხალხის მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ თავიანთ თავს «დემოკრატები» (= ხალხის თვითმპყრობელობის მომხრეები) არ უწოდეს, თუ თ ა ვ ი ა ნ თ ი მ ო ნ ა რ ქ ი ზ მ ი ა რ დ ა მ ა ლ ე ს.

ამრიგად, ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობა გარდუვალად იწვევს შინაგან მერყეობასა და სიყალბეს თვით მისი ძირითადი პოლიტიკური ამოცანების დაყენებაში: თავისუფლებისათვის, თვითმპყრობელობის საუკუნებრივი პრივილეგიების დანგრევისათვის ბრძოლის შეთავსება შეუძლებელია კერძო საკუთრების პრივილეგიების დაცვასთან, რადგან ეს პრივილეგიები აიძულებენ ბურჟუაზიას «ფხიზლად მოეპყროს» მონარქიას. ამიტომ მონარქისტული კონსტიტუციის რეალურ პროგრამას ხვევენ დემოკრატიული კონსტიტუციის ლამაზ ჰაეროვან სამოსელში. და პროგრამის რეალური შინაარსის ამ შელამაზებას აშკარად ყალბი მოჩვენებითი ზიზილპიპილით «რეალურ პოლიტიკას» უწოდებენ... ამიტომ ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგი უებრო უგულებელყოფით, დიდი თვითკმაყოფილებით ლაპარაკობს «თეორიულ თვითდატკბობაზე», რომელსაც «უკიდურესი პარტიების წარმომადგენლები» მისდევენ («ოსვობოჟდენიე», № 69 — 70, გვ. 308). ბურ-

ჟუაზიის რეალურ პოლიტიკოსებს არა სურთ დატკბნენ არც ლაპარაკით და არც ოცნებით რესპუბლიკაზე, რადგან მათ არა სურთ იბრძოლონ რესპუბლიკისათვის. მაგრამ სწორედ ამიტომ ისინი გრძნობენ დაუძლეველ მოთხოვნილებას დაატკბონ ხალხი «დემოკრატიზმის» საკენკით. მათ არა სურთ თავი მოიტყუონ იმ მხრივ, რომ არ ძალუძთ უარი თქვან მონარქიაზე, და სწორედ ამიტომ მათ ხალხი უნდა მოატყუონ დუმილით თავიანთი მონარქიზმის შესახებ.

როგორც ხედავთ, პარტიის სახელწოდება არც ისეთი შემთხვევითი და ისეთი მცირემნიშვნელოვანი რამ ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს. ზოგჯერ უკვე თვით მყვირალა და მანჭია სახელწოდება ამჟღავნებს პარტიის მთელი პროგრამისა და მთელი ტაქტიკის ღრმა შინაგან მანკს. მსხვილი ბურჟუაზიის იდეოლოგი რაც უფრო ინტიმურად გრძნობს თავის ერთგულებას მონარქიისადმი, მით უფრო ხმამაღლა ყვირის და ფიცულობს, არწმუნებს რა ყველას თავის დემოკრატიზმში. წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი რაც უფრო მეტად გამოხატავს ამ ბურჟუაზიის მერყეობას, მის უუნარობას აწარმოოს მტკიცე და შეუპოვარი ბრძოლა დემოკრატიული რევოლუციისა და სოციალიზმისათვის, მით უფრო მეტი გაცხარებით ორატორობს «სოციალისტ-რევოლუციონერთა» პარტიაზე, რომლის შესახებაც სამართლიანად ითქვა, მისი სოციალიზმი სრულებით არ არის რევოლუციური, ხოლო მისი რევოლუციურობა სრულებით არ არის დაკავშირებული სოციალიზმთანაო. ისღა რჩება, რომ თვითმპყრობელობის მომხრეებმა თავიანთ თავს უწოდონ (როგორც ეს მათ უკვე არა ერთხელ სცადეს) «სახალხო პარტია», და მაშინ გვექნება იმის სრული სურათი, თუ როგორ იცვლიან სახეს პოლიტიკურ აბრებზე კლასობრივი ინტერესები.

ლიბერალური ბურჟუაზიის აბრა (ანუ «განთავისუფლების კავშირის» პროგრამა), როგორც ეს შეშვენის აბრას, იწყება ეფექტიანი შესავლით: ««განთავისუფლების კავშირი» იმ აზრისაა, რომ მძიმე საგარეო და საშინაო კრიზისი, რომელსაც რუსეთი განიცდის, ამჟამად იმდენად გამწვავდა, რომ ხალხმა თვითონ უნდა მოჰკიდოს ხელი ამ კრიზისის გადაჭრას სხვა სა-

ზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად, რომლებიც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ».

მაშასადამე, დაე ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდეს, გაუმარჯოს ხალხის თვითმპყრობელობას მეფის თვითმპყრობელობის ნაცვლად. ასე არ არის, ბატონებო? განა ამას არ მოითხოვს დემოკრატიზმი?

არა, ეს თეორიული თვითდატკბობა და რეალური პოლიტიკის გაუგებლობაა. ახლა მთელი ძალაუფლება თვითმპყრობელურ მონარქიას უპყრია. მის წინააღმდეგ დგას ხალხი, ე. ი. პროლეტარიატი და გლეხობა, რომლებმაც უკვე დაიწყეს ბრძოლა, თავგანწირულად აწარმოებენ მას და ამ ბრძოლაშ ისინი შეიძლება... შეიძლება მტრის სრულ დამხობამდე გაიტაცოს. მაგრამ «ხალხის» გვერდით დგანან «სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებიც», ე. ი. «საზოგადოება», ე. ი. ბურჟუაზია, მიწათმფლობელები, კაპიტალისტები, პროფესიული ინტელიგენცია. და აი საჭიროა ძალაუფლების გაყოფა სამ თანასწორ ნაწილად. ერთი მესამედი უნდა დაეტოვოს მონარქიას, მეორე მიეცეს ბურჟუაზიას (ზედა პალატა, დამყარებული არაპირდაპირ და, შეძლებისამებრ, ფაქტიურად არათანასწორ, არა საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე), დანარჩენი მესამედი — ხალხს (ქვედა პალატა საყოველთაო და სხვა საარჩევნო უფლების საფუძველზე). ეს იქნება «სამართლიანი» გაყოფა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია კერძო საკუთრების მტკიცედ დაცვა და იმის შესაძლებლობა, რომ მონარქიის ორგანიზებული ძალა (ჯარი, ბიუროკრატია, პოლიცია) მიმართული იყოს ხალხის წინააღმდეგ, თუ მას «გაიტაცებს» რომელიმე «უგუნური» მოთხოვნა იმ მოთხოვნათაგან, რომელთაც «უკიდურესი პარტიების წარმომადგენლები მარტო თეორიული თვითდატკბობის მიზნით» წამოაყენებენ ხოლმე. ეს სამართლიანი გაყოფა, რომელიც რევოლუციურ ხალხს უწყინარ უმცირესობად, ერთ მესამედად სახავს, არის «ძირფესვიანი გარდაქმნა დემოკრატიზმის საფუძველზე», და არა მონარქიზმის საფუძველზე და არა ბურჟუაზიული პრივილეგიების საფუძველზეო.

როგორ უნდა განხორციელდეს ეს გაყოფა? პატიოსანი მაკლერობის საშუალებით. ეს უკვე დიდი ხანია იწინასწარმეტყველა ბ-ნმა პ. სტრუვემ, ჯერ კიდევ ვიტეს მოხსენების წინასიტყვაობაში, აღნიშნა რა, რომ ზომიერი პარტიები ყოველთვის მოგებულნი რჩებიან, როდესაც უკიდურეს პარტიებს შორის ბრძოლა მწვავდებაო. თვითმპყრობელობასა და რევოლუციურ ხალხს შორის ბრძოლა მწვავდება. საჭიროა ქანაობა ერთსა და მეორეს შორის, რევოლუციურ ხალხზე დაყრდნობა (მისი მიტყუება «დემოკრატიზმით») თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მონარქიაზე დაყრდნობა რევოლუციური ხალხის «უკიდურესობათა» წინააღმდეგ. ოსტატური ქანაობის დროს აუცილებლად გამოვა ზემოაღნიშნული გაყოფის მსგავსი რამე, ამასთან ბურჟუაზიისათვის ყოველ შემთხვევაში და უცილობლად უზრუნველყოფილია მისი «მესამედი» მაინც, ხოლო ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის წილის გაყოფა მათი გადამწყვეტი ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული. უმთავრესად ვის უნდა დაეყრდნონ, ეს დამოკიდებულია მომენტზე — ასეთია ჩარჩული, უკაცრავად «რეალური» პოლიტიკის არსი.

ამჟამად მთელი ძალაუფლება ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის ხელშია. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ, ძალაუფლება ხალხმა თავის ხელში უნდა აიღოსო. ამიტომ უნდა დავირქვათ დემოკრატი. ამიტომ უნდა მოვითხოვოთ «დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა საყოველთაო და სხვა საარჩევნო უფლების საფუძველზე რუსეთის კონსტიტუციის შესამუშავებლად». ახლა ხალხი უიარაღოა, დაქსაქსულია, დაურაზმავია, უძლურია თვითმპყრობელი მონარქიის წინააღმდეგ. საყოველთაო სახალხო დამფუძნ. კრება გააერთიანებს მას და გახდება დიდ ძალად, რომელიც მეფის ძალას დაუპირდაპირდება. და აი მაშინ, როცა მეფის ხელისუფლება და რევოლუციური ხალხის დარაზმული ძალა ერთიმეორეს დაუპირდაპირდება, სწორედ მაშინ დაუდგება ნამდვილი დღესასწაული ბურჟუაზიას, მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმატების უტყუარი იმედით ამ ორი ძალის «შეთანხმება» და შეძლებული კლასებისათვის უაღრესად სასარგებლო შედეგის უზრუნველყოფა.

ასეთია ლიბერალიზმის რეალური პოლიტიკოსების ანგარიში. ეს ანგარიში სულელური არ არის. ამ ანგარიშში სავსებით შეგნებულად არის შეტანილი მონარქიის შენარჩუნება და საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების დაშვება მხოლოდ მონარქიასთან ერთად. ბურჟუაზიას არა სურს არსებული ხელისუფლების დამხობა, მონარქიის შეცვლა რესპუბლიკით. ამიტომ რუსეთის ბურჟუაზია (გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზიისამებრ) ემხრობა ხალხისა და მეფის ტახტის «შეთანხმებას». შეთანხმების ამ პოლიტიკის წარმატებისათვის საჭიროა, რომ ვერც ერთმა და ვერც მეორე მებრძოლმა მხარემ, ვერც ხალხმა, ვერც მეფის ტახტმა ვერ მიაღწიონ სრულ გამარჯვებას, საჭიროა მათ შორის წონასწორობა დამყარდეს. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეძლებს ბურჟუაზია შეუერთდეს მონარქიას და უკარნახოს ხალხს დამორჩილება, აიძულოს ხალხი დასჯერდეს ძალაუფლების ერთ «მესამედს»... ან შეიძლება ერთ მეასედსაც. საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებას სწორედ საკმაო ძალა ექნება იმისათვის, რომ აიძულოს მეფე დათანხმდეს კონსტიტუციას, მაგრამ მეტი ძალა მას არ ექნება და არც უნდა ჰქონდეს (ბურჟუაზიის ინტერესების თვალსაზრისით). იგი მხოლოდ უნდა აწონასწორებდეს მონარქიას, მაგრამ არ უნდა დაამხოს იგი, მან ძალაუფლების მატერიალური იარაღები (ჯარი და სხვ.) მონარქიის ხელში უნდა დატოვოს.

ოსვობოჟდენიელები დასცინიან შიპოველებს, რომელთაც სურთ მეფეს ხელისუფლების ძალა მისცენ, ხოლო ხალხს აზრის ძალა. მაგრამ თვითონ ოსვობოჟდენიელები განა არსებითად შიპოველების პოზიციაზე არა დგანან? მათაც ხომ არა სურთ მისცენ ხალხს მთელი ძალაუფლება, ისინიც ხომ მეფის ხელისუფლებისა და ხალხის აზრის შეთანხმებას ემხრობიან!

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესები დღევანდელ რევოლუციურ მომენტში სრულიად ბუნებრივად და აუცილებლად მოითხოვენ იმას, რომ წამოყენებულ იქნას საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგი და სრულიადაც არა იმას,

რომ წამოყენებულ იქნას დროებითი რევოლუციური მთავრობის ლოზუნგი. პირველი ლოზუნგი — შეთანხმების, ჩარჩობისა და მაკლერობის პოლიტიკის ლოზუნგი არის ან ლოზუნგი გახდა. მეორე — რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგია. პირველი — მონარქისტული ბურჟუაზიის ლოზუნგია, მეორე — რევოლუციური ხალხის ლოზუნგია. პირველი ლოზუნგი ყველაზე მეტად უზრუნველყოფს მონარქიის შენარჩუნების შესაძლებლობას, ხალხის რევოლუციური შეტევის მიუხედავად. მეორეს პირდაპირ რესპუბლიკისაკენ მივყავართ. პირველი მეფეს ძალაუფლებას უტოვებს, მხოლოდ ხალხის აზრით ზღუდავს მას. მეორე ერთადერთი ლოზუნგია, რომელსაც თანამიმდევრად და განუხრელად მივყავართ ხალხის თვითმპყრობელობისაკენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მხოლოდ ეს ძირითადი განსხვავება ლიბერალური ბურჟუაზიისა და რევოლუციური პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ამოცანების დაყენებაში აგვიხსნის ჩვენ «ოსვობოჟდენიეს» პროგრამის მთელ რიგ მეორეხარისხოვან ნიშნებს, აღნიშნულს გარდა. მხოლოდ ამ განსხვავების თვალსაზრისით შეიძლება გავიგოთ, მაგალ., **საჭიროება** ოსვობოჟდენიელების განმარტებისა, რომ მათი კავშირის გადაწყვეტილებანი «**საევალდებულოდ** შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური პირობები უცვლელი რჩება», რომ პროგრამაში შეიძლება «დროებითი და პირობითი ელემენტის» დაშვება. ეს განმარტება (რომელსაც დაწვრილებით და განსაკუთრებით «გემრიელად» ავითარებს კომენტარებში ბ-ნი პ. ს.) აუცილებლად საჭიროა ცარიზმთან ხალხის «შეთანხმების» პარტიისათვის. ეს განმარტება ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს, რომ ჩარჩული («რეალური») პოლიტიკის გულისათვის «განთავისუფლების კავშირის» წევრები ხელს აიღებენ თავიანთ მრავალ და მრავალ დემოკრატიულ მოთხოვნაზე. მათი პროგრამა არც მათ ურყევ რწმენათა (ასეთი რამ არ სჩვევია ბურჟუაზიას) გამოხატულებაა, არც იმის აღნიშვნა, თუ რისთვის არის ბრძოლა სავალდებულო. არა, მათი პროგრამა **უბრალო გაზვიადებული ფასის მოთხოვნა**

არის, რომელიც წინდაწინვე ვარაუდობს აუცილებელ «ფასდაკლებას», ამა თუ იმ მეორმარი მხარის «სიმტკიცის» მიხედვით. კონსტიტუციურ-«დემოკრატიული» (წაიკითხე: კონსტიტუციურ-მონარქისტული) ბურჟუაზია ცარიზმს ბევრად უფრო იაფად შეუთანხმდება, ვიდრე დღევანდელი მისი პროგრამა მოითხოვს, — ეს უეჭველია, და შეგნებული პროლეტარიატი ამ მხრივ არავითარ ილუზიებს არ უნდა გაჰყვეს. ამით აიხსნება ბ-ნ პ. ს-ს მტრული დამოკიდებულება პროგრამა-მინიმუმისა და პროგრამა-მაქსიმუმის გაყოფისადმი, «საერთოდ მტკიცე პროგრამულ გადაწყვეტილებათადმი». ამით აიხსნება ბ-ნ პ. ს-ს მტკიცება, რომ «განთავისუფლების კავშირის» პროგრამა (რომელიც განზრახ მოცემულია არა გარკვეულ მოთხოვნათა ზუსტი ფორმულირების სახით, არამედ მათი ლიტერატურული, დაახლოებითი აღწერის სახით) «საკმაოზე მეტია პარტიისათვის, რომელიც რეალური პოლიტიკის მიზნებს ისახავსო». ამით აიხსნება, რომ «დემოკრატ»-მონარქისტთა პროგრამაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ხალხის შეიარაღებაზე, მოცემული არ არის სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების მოთხოვნის გაბედული ფორმულირება, არაპირდაპირ გადასახადთა გაუქმება მიჩნეულია განუხორციელებლად, ჩაგრულ ხალხთა პოლიტიკური თვითგამორკვევა მათი კულტურული თვითგამორკვევით არის შეცვლილი. ამით აიხსნება დემოკრატიზმსა და კაპიტალის ინტერესებს შორის კავშირის გულუბრყვილო და გულახდილი აღიარება, იმის აღიარება, რომ საჭიროა ნაცვლად «ცალკე საწარმოთა და მეწარმეთა მფარველობისა ხალხის საწარმოო ძალთა განვითარების გაძლიერებული მფარველობა», «მრეწველობის აყვავებისათვის» ხელისშეწყობა და სხვა. ამით აიხსნება აგრარული რეფორმის შეზღუდვა გლეხებისათვის მიწის წმინდა ბიუროკრატიული «დარიგებით», რომლის დროსაც მემამულეებისათვის აუცილებლად გარანტირებული იქნება იმ მიწების «სასყიდლის» მიცემა, რომლებიც გლეხების ხელში გადადის, — ე. ი., სხვა სიტყვით, კაბალური და ბატონყმური «საკუთრების» ხელშეუხებლობის გადაჭრით დაცვა.

ყოველივე ეს, ვიმეორებთ, ბუნებრივი და გარდუვალი შედეგია ბურჟუაზიის, როგორც კლასის, მდგომარეობისა თანამედროვე საზოგადოებაში. ყოველივე ეს ადასტურებს ლიბერალური მაკლერობის ბურჟუაზიული პოლიტიკისაგან რევოლუციური ბრძოლის პროლეტარული პოლიტიკის ძირითად განსხვავებას.

«პროლეტარი» № 3,
1905 წ. 9 ივნისი (27 მაისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით, რომელიც ხელნაწერთან არის შედარებული

ებრაელ მუშებს [126]

უშვებს რა ებრაულ ენაზე ანგარიშს რსდმპ III ყრილობის შესახებ, პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციას საჭიროდ მიაჩნია რამდენიმე სიტყვა თქვას ამ გამოცემის გამო.

მთელი მსოფლიოს შეგნებული პროლეტარიატის ცხოვრების პირობები იქით არის მიმართული, რომ შეიქმნას რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი და მეტი ერთობა სხვადასხვა ეროვნების მუშათა გეგმაზომიერ სოციალ-დემოკრატიულ ბრძოლაში. დიადი ლოზუნგი «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!», რომელიც პირველად ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია გაისმა, ახლა არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლოზუნგი გახდა. ეს ლოზუნგი სულ უფრო მეტად ხორციელდება როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის გაერთიანებით, ისე ორგანიზაციული ერთიანობის შექმნით სხვადასხვა ეროვნების პროლეტართა შორის, რომლებიც ერთისა და იმავე დესპოტური სახელმწიფოს უღელქვეშ თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის იბრძვიან.

რუსეთში ყველა ეროვნების მუშები განიცდიან ისეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას, როგორიც არც ერთ სახელ-

მწიფოში არ არის, განსაკუთრებით ის მუშები, რომლებიც რუსულ ეროვნებას არ ეკუთვნიან. ებრაელ მუშებს ტანჯავს არა მარტო საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრა, რომელიც სულს უხუთავს მათ, როგორც უუფლებო ეროვნებას, არამედ ის ჩაგვრაც, რომელიც მათ ელემენტარულ სამოქალაქო უფლებებს ართმევს. რაც უფრო მძიმეა ეს ჩაგვრა, მით უფრო ძლიერია სხვადასხვა ეროვნების პროლეტარების რაც შეიძლება მჭიდრო ერთობის საჭიროება, იმიტომ რომ ასეთი ერთობის გარეშე შეუძლებელია ამ ჩაგვრის წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლა. რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობს მეფის ავაზაკური თვითმპყრობელობა შუღლი, უნდობლობა და მტრობა დათესოს მის მიერ დაჩაგრულ ეროვნებათა შორის, რაც უფრო საზიზღარია მისი პოლიტიკა, რომელიც მხეცური რბევისათვის აქეზებს უმეცარ მასებს, — მით უფრო მეტი მოვალეობა გვაკისრია ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, ვიმუშაოთ იმისათვის, რომ სხვადასხვა ეროვნების ყველა დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული პარტიები შეერთდნენ ერთიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად.

ჩვენი პარტიის I ყრილობამ, რომელიც 1898 წლის გაზაფხულზე შესდგა, მიზნად დაისახა ასეთი ერთიანობის შექმნა. პარტიის ნაციონალური ხასიათის შესახებ ყოველივე ფიქრი რომ მოესპო, პარტიამ დაირქვა არა რუსული, არამედ რუსეთის პარტია. ებრაელ მუშათა ორგანიზაცია — ბუნდი — პარტიაში შევიდა როგორც ავტონომიური ნაწილი. სამწუხაროდ, ამ მომენტიდან ერთ პარტიაში ებრაელ და არაებრაელ სოციალ-დემოკრატთა ერთიანობა მოისპო. ბუნდის მოღვაწეთა შორის დაიწყო ნაციონალისტური იდეების გავრცელება, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგებიან სოციალ-დემოკრატიის მთელ მსოფლმხედველობას. ნაცვლად იმისა, რომ ცდილიყო ებრაელი მუშების დაახლოებას არაებრაელ მუშებთან, ბუნდმა იწყო უკანასკნელებისაგან პირველთა მოწყვეტის გზაზე დადგომა და თავის ყრილობებზე აყენებდა ებრაელების, როგორც ერის, განცალკევებულობას. ნაცვლად იმისა, რომ განეგრძო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის I ყრი-

ლობის მუშაობა პარტიასთან ბუნდის კიდევ უფრო ძლიერი გაერთიანების მხრივ, ბუნდმა გადადგა ნაბიჯი პარტიისაგან თავისი ჩამოშორებისაკენ: ბუნდი ჯერ გავიდა რსდმპ საზღვარგარეთის ერთიანი ორგანიზაციიდან და დააარსა საზღვარგარეთის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, შემდეგ კი ბუნდი რსდმპ-დანაც გაეიდა, როცა 1903 წელს ჩვენი პარტიის II ყრილობამ ხმის მნიშვნელოვანი უმრავლესობით უარი თქვა ეცნო ბუნდი ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად. ბუნდი მტკიცედ ადგა იმ აზრს, რომ იგი არა მარტო ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთი წარმომადგენელია, არამედ იგი, გარდა ამისა, თავის მოქმედებაში არაეითარი რაიონული ფარგლებით არ არის შეზღუდული. რსდმპ II ყრილობა, რა თქმა უნდა, ვერ მიიღებდა ასეთ პირობებს, იმიტომ რომ მთელ რიგ ოლქებში, მაგალითად, სამხრეთ რუსეთში, ორგანიზებული ებრაელი პროლეტარიატი საერთო პარტიულ ორგანიზაციაში შედის. ბუნდმა ანგარიში არ გაუწია ამას, პარტიიდან გავიდა და ამრიგად დაარღვია სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ერთიანობა, მიუხედავად იმ მუშაობისა, რომელიც ერთად იყო გაწეული II ყრილობაზე, მიუხედავად პარტიის პროგრამისა და საორგანიზაციო წესდებისა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ თავის II და III ყრილობებზე ურყევი რწმენა გამოთქვა, რომ ბუნდის ეს გასვლა პარტიიდან მისი დიდი და სამწუხარო შეცდომა იყო. ბუნდის შეცდომა მისი პრინციპულად უსაფუძვლო ნაციონალისტური შეხედულებების შედეგია: შედეგია ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთი წარმომადგენლობის მონოპოლიის დაუსაბუთებელი პრეტენზიისა, რომლიდანაც აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს ორგანიზაციის ფედერალისტური პრინციპი: შედეგია პარტიისაგან ჩამოშორებისა და განცალკევების მრავალი წლის პოლიტიკისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს და აუცილებლად გამოსწორდება მოძრაობის შემდგომ ზრდასთან ერთად. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ და ებრაელი სო-

ციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი იდეურად ერთიანი ვართ. II ყრილობის შემდეგ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ნაციონალისტურ პოლიტიკას კი არ ეწეოდა, არამედ ზრუნავდა ისეთი კომიტეტების შექმნისათვის (პოლესიეს, ჩრდილო-დასავლეთის), რომლებიც ერთ მთელად გააერთიანებდნენ ყველა ადგილობრივ მუშას, როგორც ებრაელს, ისე არაებრაელს. რსდმპ III ყრილობაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ლიტერატურა ჟარგონზე გამოიცეს. ვიწყებთ რა ამ რეზოლუციის შესრულებას, ახლა ჟარგონზე ვბეჭდავთ რსდმპ III ყრილობის ანგარიშის სრულ თარგმანს. ეს ანგარიში რუსულ ენაზე უკვე გამოვიდა. ამ ანგარიშიდან ებრაელი მუშები, — როგორც ისინი, რომლებიც ამჟამად ჩვენს პარტიაში არიან, ისე ისინი, რომლებიც დროებით მის გარეთ არიან, — დაინახავენ, როგორ მიმდინარეობს ჩვენი პარტიის გაერთიანება. ებრაელი მუშები ამ ანგარიშიდან დაინახავენ, რომ ჩვენი პარტია უკვე აღწევს თავს იმ შინაგან კრიზისს, რომელსაც იგი II ყრილობის შემდეგ განიცდიდა. ისინი დაინახავენ, როგორია ჩვენი პარტიის ნამდვილი მისწრაფება და სხვა ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულება, აგრეთვე მთელი პარტიისა და მისი ცენტრის დამოკიდებულება მისი ცალკე ნაწილებისადმი, რომელთაგანაც იგი შესდგება. ბოლოს, ისინი დაინახავენ, — და ეს ყველაზე მთავარია, რა ტაქტიკური დირექტივები შეიმუშავა რსდმპ III ყრილობამ მთელი შეგნებული პროლეტარიატის პოლიტიკის მიმართ ახლანდელ რევოლუციურ მომენტში.

ამხანაგებო! ახლოვდება დრო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისა, — პროლეტარიატის ბრძოლისა რუსეთის ყველა კლასისა და ხალხის თავისუფლებისათვის, სოციალიზმისაკენ პროლეტარული მისწრაფების თავისუფლებისათვის. ჩვენ საშინელი გამოცდა მოგველის. ჩვენს შეგნებასა და მომზადებაზე, ჩვენს ერთიანობასა და სიმტკიცეზეა დამოკიდებული რუსეთის რევოლუციის ბედი. შაშ უფრო გაბედულად და ერთსულოვნად შევუდგეთ მუშა-

ობას, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შეგვიძლია, რომ სხვადასხვა ეროვნების პროლეტარები თავისუფლებას შეხვდნენ მართლა ერთიანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის ცენტრალური
ორგანოს რედაქცია.

დაწერილია 1905 წ. მაისის დამლევს
(ივნისის დამდეგს)

პირველად დაიბეჭდა 1905 წელს წინასიტყვაობად ებრაულ ენაზე გამოცემული ბროშურისა: «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით
თარგმანი ებრაულიდან

ახალი რევოლუციური მუშათა კავშირი

ჩვენ გადმოგვცეს რუსეთში დაბეჭდილი და გავრცელებული მოწოდებანი რუსეთის განმათავისუფლებელი კავშირის (როს) ცენტრალური კომიტეტისა: 1) მოწოდება მიუმართავად, რომელშიც ჩამოყალიბებულია როს-ის მიზნები და მისი ხასიათი; 2) მოწოდება მუშებისადმი როს-ის მუშათა კავშირის დაარსების შესახებ და 3) ამ მუშათა კავშირის წესდება. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ «როს-ი არ არის რომელიმე პარტია გარკვეული, მხოლოდ მისი დამახასიათებელი პროგრამით, — ეს არის კავშირი ყველასი, ვისაც სურს, რომ ძალაუფლება თვითმპყრობელობის ხელიდან გადავიდეს ხალხის ხელში შეიარაღებული აჯანყების შემწეობით დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით» საყოველთაო და სხვა საარჩევნო უფლების საფუძველზე. «საყოველთაო უახლოესი მიზნის, დამფუძნებელი კრების, მიღწევის გადაუდებელმა საჭიროებამ — ვკითხულობთ პირველ მოწოდებაში — გამოიწვია როს-ის შექმნა, რომელმაც მიზნად დაისახა შეაკავშიროს ყველა, ვისაც სურს რუსეთის პოლიტიკური თავისუფლება, და პრაქტიკულად შეასრულოს რევოლუციის საქმე. და როცა ეს მიზანი მიღწეული იქნება, როს-ი შეწყვეტს მუშაობას და შექმნილ სამოქალაქო მილიციას დააკისრებს ხალხის წარმომადგენლებისა და საზოგადოების უშიშროების საქმის დაცვას».

მუშათა კავშირის წესდება 43 პარაგრაფისაგან შესდგება. მუშათა კავშირის მიზანი ასეა განსაზღვრული: «1) შექმნას რაზმები შეიარაღებული აჯანყებისათვის; 2) მოაწყოს საჭირო ფულადი სახსრების შეგროვება შეიარაღებისა და წმინ-

და პროლეტარული ხასიათის ლიტერატურისათვის». მუშათა კავშირის ორგანიზაცია შესდგება ოთხი საფეხურის კოლეგიებისაგან: 1) მუშათა ჯგუფები (მეტწილად ერთი და იმავე სახელოსნოდან); 2) ქარხნის საბჭოები; 3) რაიონული კრებები; 4) მუშათა კავშირის კომიტეტები. ყველა ზემდგომი კოლეგია სდგება ქვემდგომი კოლეგიის არჩეული წარმომადგენლებისაგან, ორი გამონაკლისით: ჯერ-ერთი, მუშათა კავშირის კომიტეტებში შედის რუსეთის განმათავისუფლებელი კავშირის ცენტრალური კომიტეტის თითო წევრი; მეორე, ამ ცენტრალური კომიტეტის არჩევითობის, მის მიმართ რაიმე კონტროლის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. როს-ისადმი მუშათა კავშირის დამოკიდებულების შესახებ მხოლოდ შემდეგია ნათქვამი: «ჩვენი (როს-ის ცენტრალური კომიტეტის) საშუალებით მუშათა კავშირი დაკავშირებული იქნება ყველა სხვა მუშათა და არამუშათა კავშირთან». თვით როს-ის ორგანიზაციის შესახებ, მთელი როს-ისადმი მისი ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულების შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. მუშებისადმი მოწოდებაში როს-ის ცენტრალური კომიტეტი თავის უშუალო ამოცანას ასე აყალიბებს: «ჩვენ შევიმუშავებთ აჯანყების დაწვრილებითს გეგმას, მიგითითებთ, როგორ შეადგინოთ რაზმი, გასწავლით, როგორ შეიარაღდეთ, მოვიმარაგებთ ცეცხლსასროლ იარაღს. ბოლოს, ჩვენ გავაერთიანებთ იმ პირთა მოქმედებას, რომლებსაც სურთ რუსეთის განთავისუფლება თვითმპყრობელობის უღლისაგან და რომლებიც გაფანტული არიან ყველა ქალაქსა და ადგილში, და როცა გავაერთიანებთ, მივცემთ სიგნალს საყოველთაო აჯანყებისათვის». ბოლოს, აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ მუშათა კავშირის წესდებაში ნათქვამია (§ 4): «მუშათა კავშირის შექმნისათვის მოწოდება გავრცელებული იქნება ს.-პეტერბურგისა და მისი მიდამოების ყველა ქარხანაში».

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს საერთოდ შეიარაღებული სახალხო აჯანყებისა და განსაკუთრებით პეტერბურგის მუშების აჯანყების «დამოუკიდებელი», არაპარტიული მოწყობის ცდასთან. აქ არ შევეხებით იმ სა-

კითხს, თუ რამდენად სერიოზულია ეს ცდა — ამაზე საბოლოოდ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მისი შედეგის მიხედვით, წინასწარ კი მხოლოდ როს-ის შესახებ კერძო და კონსპირაციული ცნობების საფუძველზე; ჩვენ კი მის შესახებ არ ა ვ ი თ ა რ ი ცნობა არა გვაქვს. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ამ ცდის პრინციპული მნიშვნელობის შეფასებაზე და იმ ტაქტიკურ და საორგანიზაციო ამოცანებზე, რომლებსაც იგი სოციალ-დემოკრატიის წინაშე აყენებს.

უეჭველია, ჩვენს წინაშეა იმის ერთ-ერთი საფუძვლიანი დამადასტურებელი საბუთი, თუ რამდენად მომწიფდა შეიარაღებული სახალხო აჯანყების საკითხი. მას აყენებენ უკვე არა თეორეტიკოსები, არამედ პრაქტიკოსები. მას აყენებენ არა როგორც გარკვეული პროგრამის დასკვნას (ამ საკითხს ასე აყენებდნენ, მაგალითად, საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში 1902 წელს) *, არამედ როგორც პრაქტიკული მოძრაობის საარსებო სადღეისო საკითხს. აქ უკვე საქმე ეხება არა საკითხის განხილვას, არც თუნდაც საერთოდ აჯანყების მომზადებას, არამედ აჯანყების უშუალოდ მოწყობას. ჩანს, საქმის მთელი ვითარება აჯანყებაზე მ ი დ გ ა, თავისუფლებისათვის მთელმა ბრძოლამ სწორედ ასეთი გადამწყვეტი დაბოლოების საჭიროებამდე მიგვიყვანა. აქედან, სხვათა შორის, ჩანს, რა დიდად ცდებიან ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ცდილობენ უკან დააბრუნონ პარტიას და ასეთი ამოცანა უშუალოდ არ დააყენებინონ დღის წესრიგში.

შემდეგ, ცდა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ამტკიცებს რუსეთის რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს წინწადგმულ დიდ ნაბიჯს. ჩვენ უკვე დიდი ხანია აღვნიშნეთ, «ვპერიოდის» ჯერ კიდევ მე-7 ნომერში**, ამ ახალი ჯგუფის გამოჩენა თვითმპყრობელობისადმი მტრული ძალების, პარტიებისა და ორგანიზაციების რიცხვში. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თვით ხასიათი რევოლუციისა, რომელიც რუსეთში ხდება, სა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 657. რ ე დ.
** იხ. ეს ტომი, გვ. 182 — 184. რ ე დ.

ხელდობრ: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა, გარდუვალად იწვევს და გამოიწვევს სულ სხვადასხვაგვარი მებრძოლი ელემენტების ზრდასა და გამრავლებას, რომლებიც გამოხატავენ ხალხის სულ სხვადასხვა ფენის ინტერესებს, მზად არიან გადამწყვეტი ბრძოლისათვის, თავდადებით ერთგული არიან თავისუფლების საქმისა, მზად არიან ყოველგვარი მსხვერპლი გაიღონ ამ საქმისათვის, მაგრამ ვერ ერკვევიან და არ შეუძლიათ გაერკვნენ მიმდინარე რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობაში, მის კლასობრივ შინაარსში. ასეთი საზოგადოებრივი ელემენტების სწრაფი ზრდა მეტად დამახასიათებელია ისეთი ეპოქისა, როცა თვითმპყრობელობა მთელ ხალხს ჩაგრავს და როცა აშკარა პოლიტიკურ ბრძოლას ჯერ კიდევ არ შეუძლია საბოლოოდ გამიჯნოს კლასები და შექმნას მკაფიო, ფართო მასებისთვისაც კი გასაგები პარტიები. სწორედ ყველა ასეთი გაუმიჯნავი, გაურკვეველი ელემენტები ქმნიან რევოლუციური დემოკრატიის კადრებს. მათი საბრძოლო მნიშვნელობა დემოკრატიული რევოლუციისათვის მეტად დიდია: მათი გარეპარტიული გაურკვეველი მდგომარეობა, ერთი მხრივ, იმის სიმპტომია, რომ თავგანწირული ბრძოლისა და აჯანყებისათვის ირაზმებიან მოსახლეობის შუალედი ფენები, ისეთი ფენები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არიან შედუღებულნი კაპიტალისტური საზოგადოების ერთმანეთთან მტრულად განწყობილი ორი კლასიდან ერთ-ერთ კლასთან, გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის ფენები და სხვა. მეორე მხრივ, ამ უპარტიო რევოლუციონერების გამოსვლა რევოლუციურ გზაზე იმის საწინდარია, რომ ახლა უფრო ადვილად, უფრო ფართოდ და სწრაფად იქნებიან გაღვიძებული და ბრძოლაში ჩაბმული კლასობრივ გარკვეულობას ყველაზე მეტად დაშორებული, ყოველმხრივ ყველაზე მეტად ჩამორჩენილი ფენები ხალხისა. ძველ დროს რუსეთში რევოლუციური იყო მხოლოდ ინტელიგენცია. ახალ დროში რევოლუციური გახდა ქალაქის პროლეტარიატი. ახლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ხდებიან მთელი რიგი სხვა უაღრესად «ხალხური», მასებთან უმჭიდროესად დაკავშირებული სოციალური ელემენტები. ამ ელემენტების გამოსვლა

საჭიროა სახალხო აჯანყების საქმისათვის. მათი საბრძოლო მნიშვნელობა, ვიმეორებთ, მეტად დიდია. მაგრამ მათი პოლიტიკური მნიშვნელობა პროლეტარული მოძრაობისათვის ზოგჯერ შეიძლება არა მარტო მცირე იყოს, შეიძლება იგი უარყოფითიც იყოს. ეს ელემენტები მხოლოდ რევოლუციონერები, მხოლოდ დემოკრატები არიან სწორედ იმიტომ, რომ მათთვის უცხოა კავშირი ერთ გარკვეულ კლასთან, გაბატონებული ბურჟუაზიისაგან მტკიცედ გამიჯნულ კლასთან, ე. ი. პროლეტარიატთან. ეს ელემენტები რომ თავისუფლებისათვის იბრძვიან ისე, რომ სოციალიზმისათვის პროლეტარულ ბრძოლასთან მჭიდრო კავშირი არა აქვთ, ამით ისეთ როლს ასრულებენ, რომლის ობიექტური მნიშვნელობა ბურჟუაზიის ინტერესების განხორციელებას მოასწავებს. ვინც ემსახურება საერთოდ თავისუფლების საქმეს და სპეციალურად არ ემსახურება ამ თავისუფლების პროლეტარული გამოყენების საქმეს, სოციალიზმისათვის პროლეტარული ბრძოლის სასარგებლოდ ამ თავისუფლების მოხმარების საქმეს, იგი, საბოლოო ანგარიშით, ბურჟუაზიის ინტერესებისათვის მებრძოლია და მეტი არაფერი. ჩვენ არ ვამცირებთ ასეთი ადამიანების გმირობას. ჩვენ სრულებითაც არ ვამცირებთ მათს უდიდეს როლს თავისუფლების მოპოვების საქმეში. მაგრამ ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ, რომ მათი საქმიანობა ჯერ კიდევ ოდნავაც ვერ უზრუნველყოფს გამარჯვების ნაყოფის, თავისუფლების ნაყოფის გამოყენებას პროლეტარიატისათვის, სოციალიზმისათვის. ვინც პარტიებს გარეთ დგას, იგი ამით, თუნდაც თავისი ნების წინააღმდეგ და თავისდა შეუგნებლად, ემსახურება გაბატონებული პარტიის ინტერესებს. ვინც თავისუფლებისათვის პარტიებს გარეთ იბრძვის, იგი ამით ემსახურება იმ ძალის ინტერესებს, რომელიც აუცილებლად იბატონებს თავისუფლების დროს, ე. ი. ბურჟუაზიის ინტერესებს. აჯანყების გარეპარტიულ მოწყობას აი რატომ ვუწოდეთ ზემოთ «დამოუკიდებელი» ბრჭყალებში. სინამდვილეში გარეპარტიულობა, რომელიც მოჩვენებითს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს, ყველაზე დიდი არადამოუკიდებლობაა, ყველაზე დიდი დამოკი-

დებულებაა გაბატონებული პარტიისაგან. სინამდვილეში, მხოლოდ რევოლუციონერები და მხოლოდ დემოკრატები სხვა არა არიან რა, თუ არა ბურჟუაზიული დემოკრატიის მოწინავე რაზმი, ხოლო ზოგჯერ მისი მხოლოდ მომსახურე ძალა, საზარბაზნე ხორციც კი.

ახლა ამ ზოგადი დებულებებიდან გადავიდეთ ჩვენი დოკუმენტების უფრო დაწვრილებით გაცნობაზე. «დროებით დავანებოთ თავი პარტიულ დავასა და პრინციპულ უთანხმოებას, — ამბობს როს-ის ცენტრალური კომიტეტი თავის პირველ მოწოდებაში, — შევკავშირდეთ ერთ მძლავრ მთელად, რუსეთის განმათავისუფლებელ კავშირად, და ჩვენი ძალები, საშუალებანი და ცოდნა მივუძღვნათ ხალხს საერთო მტრის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მის დიად ბრძოლაში. დამფუძნებელ კრებამდე ყველამ ერთად უნდა ვიაროთ: მხოლოდ ის მოგვცემს პოლიტიკურ თავისუფლებას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სწორი პარტიული ბრძოლა». რაოდენადმე შეგნებულმა მუშამ ჩინებულად იცის, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისაგან შესდგება. ბურჟუაზიას ძალიან სურს თავისუფლება, ბურჟუაზია ახლა ყველაზე მეტს ხმაურობს, გამოდის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პრესაშიც და კრებებზეც, მაგრამ ნუთუ აღმოჩნდება ისეთი გულუბრყვილო ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ ბურჟუაზია არათუ უარს არ იტყვის მიწისა და კაპიტალის კერძო საკუთრებაზე, არამედ, პირიქით, თავგამოდებით შეეცდება დაიცვას ისინი მუშათა ხელყოფისაგან? თავი რომ დაანებოს პრინციპულ უთანხმოებას ბურჟუაზიასთან, რომლის გვერდითაც იბრძვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მუშისთვის ეს ნიშნავს თ ა ვ ი დ ა ა ნ ე ბ ო ს ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს, თავი დაანებოს სოციალიზმზე ფიქრს, თავი დაანებოს სოციალიზმისათვის მოსამზადებელ მუშაობას. ერთი სიტყვით, მუშისთვის ეს ნიშნავს თავი დაანებოს ფიქრს თავისი ეკონომიური განთავისუფლების, სიღატაკისა და ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლების შესახებ. მსოფლიოში ხომ ყველგან ბურჟუაზია იბრძოდა თავისუფლებისათვის და მოიპოვა იგი უმთავრესად მუ-

შების ხელით, რათა შემდეგ გააფთრებით ებრძოლნა სოციალიზმის წინააღმდეგ. მაშასადამე, უთანხმოების დავიწყების მოწოდება ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მოწოდებაა. უპარტიობის სახით როს-ის ცენტრალური კომიტეტი მუშებს აძლევს ბურჟუაზიულ ფრაზებს, უნერგავს მათ ბურჟუაზიულ იდეებს, ბურჟუაზიული ბურუსით ხრწნის მათს სოციალისტურ შეგნებას. მუშებსა და ბურჟუებს შორის უთანხმოების დროებით დავიწყების ფიქრს შეგნებულად შეიძლება თანაუგრძნობდნენ მხოლოდ სოციალიზმის მტრები, ლიბერალური ბურჟუები, ოსვობოჟდენიელები, ხოლო შეგნებულად მხოლოდ სოციალიზმის შესახებ უდარდელი რევოლუციური დემოკრატები, როგორიც სოციალისტ-რევოლუციონერები არიან. მუშებმა უნდა იბრძოლონ თავისუფლებისათვის, ე რ თ ი წ უ თ ი თ ა ც არ დაანებონ თავი ფიქრს სოციალიზმის შესახებ და მუშაობას მისი განხორციელებისათვის, ძალების მომზადებასა და დარაზმვას სოციალიზმის მოპოვებისათვის.

როს-ის ცენტრალური კომიტეტი ამბობს: «არსებული პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი დამოკიდებულების საკითხის გმოსარკვევად ჩვენ, როს-ის ცენტრალური კომიტეტი, ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან პრინციპული უთანხმოების წარმოშობის შესაძლებლობას, რადგან კავშირის იდეა მათს პროგრამებს არ ეწინააღმდეგება»... ეს სიტყვები ცხადყოფენ, თუ რაოდენ არ ესმის როს-ის ცენტრალურ კომიტეტს სოციალიზმი. ცენტრალური კომიტეტი ვერც კი ხედავს სოციალ-დემოკრატიასთან უთანხმოების წარმოშობის შესაძლებლობას. ჩვენ კი უკვე ცხადვყავით დიდი პრინციპული უთანხმოების არსებობა! ცენტრალური კომიტეტი ვერ ხედავს კავშირის იდეისა და სოციალ-დემოკრატიის პროგრამის წინააღმდეგობას, ჩვენ კი უკვე ცხადვყავით, რომ ეს წინააღმდეგობა ისევე დიდია, როგორც წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. როს-თან ჩვენი ძირითადი უთანხმოება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ როს-ი სავსებით სდუმს სოციალიზმზე. ყოველი პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც დ ა ს ა შ-

ვ ე ბ ა დ მ ი ა ჩ ნ ი ა დუმილი სოციალიზმზე, ძირიანფესვიანად ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის პროგრამას.

ჩვენ მიერ მოყვანილი სიტყვები ცხადყოფენ, რომ როს-ი თანაუგრძნობს სოციალ-დემოკრატიას. რადგან როს-ის შესახებ არაფერი ვიცით, გარდა მისი გამოშვებული ფურცლისა, ჩვენ ჯერჯერობით ვერ დავაფასებთ ამ თანაგრძნობის გულწრფელობას. ჩვენ ვერასოდეს ვერ დავკმაყოფილდებით, ყოველ შემთხვევაში, მარტო პლატონური თანაგრძნობით, ჩვენთვის ცოტაა მარტო პლატონური სიყვარული. ჩვენ გვინდა, რომ არა მარტო თანაგვიგრძნობდნენ, არამედ ესმოდეთ ჩვენი და ჩვენს პროგრამას იზიარებდნენ ისინი, ვისაც არ უნდა, რომ მათი იდეები ამ პროგრამას ეწინააღმდეგებოდნენ. რუსეთის განმათავისუფლებელი კავშირი ლაპარაკობს თავის ამოცანაზე «ფართოდ გაავრცელოს მუშებს შორის წ მ ი ნ დ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი (ხაზგასმა ჩვენია) მსოფლმხედველობის გამტარებელი ლიტერატურა». ეს ძალიან კარგი სიტყვებია, მაგრამ მარტო სიტყვები კიდევ არ კმარა. ხოლო თუ ეს კარგი სიტყვები საქმის საწინააღმდეგონი იქნებიან, ვერავითარი გულწრფელობა ხელს ვერ შეუშლის ამ სიტყვების ავტორებს სინამდვილეში აღმოჩნდნენ ბურჟუაზიული იდეების გამტარებლებად მუშათა კლასში. მართლაც, დაუფიქრდით, რას ნიშნავს ეს «წმინდა პროლეტარული მსოფლმხედველობა»? ვინ უნდა განსაჯოს, ეს მსოფლმხედველობა წმინდა პროლეტარულია თუ არა? განა შესაძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა ისე, რომ «დროებით თავი დავანებოთ პარტიულ დავასა და პრინციპულ უთანხმოებას»? ამისათვის ხომ არ მოგვიხდება «დროებით თავი დავანებოთ» მუშებს შორის ლიტერატურის გავრცელებას?

როს-ის ცენტრალური კომიტეტი კვლავ მიმართავს მუშათა «თვითმოქმედების» ლოზუნგს. ჩვენს პარტიას უკვე არა ერთხელ განუცდია სოციალ-დემოკრატიაში განსაკუთრებული მიმართულების შექმნა ამ ყბადაღებული ლოზუნგის დროშით: ასე დაემართათ «ეკონომისტებს» წარსულში, ასე ემართებათ მენშევიკებსა და ახალისკრელებს ამჟამად. ყოველთვის და მუდამ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს ლოზუნგი (დამოუკიდებ-

ლად იმისა, შეგნებული აქვთ თუ არა ეს იმ ადამიანებს, რომლებიც მას მიმართავენ) გამოსადეგია მხოლოდ იმისათვის, რომ სამსახური გაუწიოს იმ ელემენტებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად აფასებენ მოძრაობის პრინციპულ სიმტკიცესა და იდეურობას. შეხედეთ ძველი ლოზუნგის ამ ახალ გამოყენებას: განა «თვითმოქმედებისადმი» მოწოდება იმის შეფასებით, თუ რა არის «წმინდა პროლეტარული მსოფლმხედველობა», ჩვენს თვალწინ არ უერთდება ანტიპროლეტარული, ბურჟუაზიული ფრაზების «თვითმოქმედ» განმეორებას, გარეპარტიულობის ბურჟუაზიული იდეის ქადაგებას? ჩვენ კი როს-ის ცენტრალურ კომიტეტს ვუპასუხებთ: წმინდა პროლეტარული მსოფლმხედველობა მხოლოდ ერთია, სახელდობრ მ ა რ ქ ს ი ზ მ ი. წმინდა პროლეტარული პროგრამა და ტაქტიკა საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამა და ტაქტიკაა. ამას მოწმობს, სხვათა შორის, სწორედ პროლეტარული გამოცდილება, გამოცდილება პროლეტარული მოძრაობისა მთელ მსოფლიოში, გერმანიიდან ამერიკამდე და ინგლისიდან იტალიამდე. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს მოძრაობა პირველად გამოვიდა ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე 1848 წელს; პროლეტარიატის პარტიები მილიონიან არმიებად ჩამოყალიბდნენ და გაიზარდნენ; მათ განიცადეს მთელი რიგი რევოლუციები, გამოიარეს სულ სხვადასხვაგვარი განსაცდელი, განიცადეს გადახრა მარჯვნივაც და მარცხნივაც, ბრძოლა ოპორტუნიზმთანაც და ანარქიზმთანაც. და მთელი ეს უდიდესი გამოცდილება მარქსისტული მსოფლმხედველობისა და სოციალ-დემოკრატიული პროგრამის დადასტურებას წარმოადგენს. მთელი ეს გამოცდილება იმის ს ა წ ი ნ დ ა რ ი ა, რომ ის მუშებიც, რომლებიც ახლა როს-ს მიჰყვებიან, მასობრივად მივლენ, გარდუვალად და აუცილებლად მივლენ სოციალ-დემოკრატიასთან!

განვაგრძობთ ციტატს მოწოდებიდან: ...«როგორც უმთავრესად პრაქტიკული ორგანიზაცია, როს-ი თავის მოღვაწეობაში დაშორებული არ არის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიასაც იმდენად, რამდენადაც ჩვენ მასთან გვაერთებს სა-

შუალებათა ერთიანობა — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა, და მიზნის ერთიანობა — დამფუძნებელი კრების მოწვევა დემოკრატიულ საფუძვლებზე»... ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გაგვაკვირვებს რევოლუციური დემოკრატიის ეს დაახლოება სოციალისტ-რევოლუციონერებთან. ხაზს უსვამს რა მოწოდების სწორედ ამ ადგილას თავისი ორგანიზაციის პრაქტიკულ ხასიათს და ზღუდავს რა თავის სოლიდარობას სოციალისტ-რევოლუციონერებთან («იმდენად, რამდენადაც») საშუალებებისა და უახლოესი მიზნის ერთიანობით, როს-ი, როგორც ჩანს, ჯერჯერობით თავს იკავებს «წმინდა პროლეტარული მსოფლმხედველობის» პრინციპებისადმი სოციალისტ-რევოლუციონერთა «პრინციპების» დამოკიდებულების განსაზღვრისაგან. ასეთი თავშეკავება ძალიან ცუდი რეკომენდაცია იქნებოდა სოციალ-დემოკრატისათვის, მაგრამ იგი ძალიან კარგი რეკომენდაციაა რევოლუციური დემოკრატისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, მოწოდების შემდეგი ფრაზა გვიჩვენებს, სადამდე შეიძლება მიიყვანოს საქმე «უპარტიო» პოზიციამ... «ჩვენ — ამბობს როს-ის ცენტრალური კომიტეტი — «განთავისუფლების კავშირის» წინააღმდეგიც კი არაფერი გვაქვს, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური რწმენის ძირეული განსხვავებისა, თუ, რასაკვირველია, «განთავისუფლების კავშირი» განიმსჭვალება დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის შეგნებით».

ჯერ-ერთი, ამის გამო შევნიშნავთ, რომ თუ როს-ი ძირეულად არ ეთანხმება «განთავისუფლების კავშირის» მხოლოდ პოლიტიკურ შეხედულებებს, მაშასადამე, იგი თითქოს ეთანხმება «განთავისუფლების კავშირის» ეკონომიურ პროგრამას, — მაშასადამე, იგი პირდაპირ უარს ამბობს სოციალიზმზე და მთლიანად დგება რევოლუციური ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დემოკრატიის ნიადაგზე! ამ დასკვნას, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება როს-ის თანაგრძნობა «წმინდა პროლეტარული მსოფლმხედველობისადმი», მაგრამ «უპარტიო» პოზიციის არსი სწორედ ის არის, რომ იგი წარმოშობს დაუსრულებელ და დაუძლეველ წინააღმდეგობებს.

მეორე, სახელდობრ რაში მდგომარეობს როს-ისა და «განთავისუფლების კავშირის» პოლიტიკური რწმენის ძირითადი განსხვავება? როს-მა ხომ მაშინვე გაიმტყუნა თავი: იგი ეს-ეს არის გვიწვევდა «დამფუძნებელ კრებამდე გვევლო ერთად» და «დროებით დაგვენებებინა თავი» (ალბათ, დამფუძნებელ კრებამდე) «პარტიული დავისა და პრინციპული უთანხმოებისათვის», ახლა კი თვითონვე როს-ი ჯერ კიდევ დამფუძნებელ კრებამდე იწყებს დავას და გამოთქვამს უთანხმოებას «განთავისუფლების კავშირთან», რომელმაც თავის პროგრამაში მიიღო საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა დემოკრატიულ საფუძვლებზე!! გამოთქვამს რა სურვილს «გასწიოს თავისი პოლიტიკური რწმენის პროპაგანდა», როს-ი როგორღა სდუმს იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ეს რწმენა? რესპუბლიკელია თუ არა როს-ი მონარქისტული «განთავისუფლების კავშირისაგან» განსხვავებით? როს-ის პოლიტიკურ რწმენაში შედის თუ არა, მაგალითად, მუდმივი არმიის მოსპობა და მის ნაცვლად სახალხო შეიარაღების მოთხოვნა? სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრული გამოყოფის მოთხოვნა? არაპირდაპირ გადასახადთა სრული მოსპობის მოთხოვნა? და სხვ. სურდა რა გაემარტივებინა და გაეადვილებინა საქმე პარტიული დავისა და პრინციპული უთანხმოების გადადებით, სინამდვილეში როს-მა გაართულა და გააძნელა საქმე თავისი პოზიციის სრული გაურკვევლობით.

მესამე, როგორ გავიგებთ, რომ «განთავისუფლების კავშირმა» შეასრულა ის პირობა, რომელსაც მას როს-ი უყენებს, ე. ი. როგორ გავიგებთ, რომ «განთავისუფლების კავშირი» მართლა «განიმსჭვალა შეიარაღებული აჯანყების საჭიროების შეგნებით»? ამის შესახებ «განთავისუფლების კავშირის» ოფიციალურ განცხადებას უნდა ველოდოთ? მაგრამ «განთავისუფლების კავშირს» არაფერი არა სურს თქვას თავისი პროგრამის განხორციელების საშუალებათა შესახებ. «განთავისუფლების კავშირი» თავის წევრებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს არა მარტო აირჩიონ ეს საშუალებანი, არამედ სახეც კი შეუცვალონ თვით პროგრამას. «განთავისუფლების კავ-

შირს» თავი მიაჩნია «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» (წაიკითხე კონსტიტუციურ-მონარქისტული) პარტიის ნაწილად, პარტიისა, რომლის მეორე ნაწილსაც შეადგენს ერობის ფრაქცია, ხოლო ამ ფრაქციას არა სურს თავი შეიზღუდოს სრულიად არავითარი პროგრამითა და არავითარი ტაქტიკით. ამის შემდეგ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმ პირობას, რომელსაც როს-ი «განთავისუფლების კავშირს» უყენებს? შემდეგ, ვინ არ იცის, რომ ოსვობოჟდენიელები თავს არ იზღუდავენ არავითარი სავსებით გარკვეული პროგრამით, არავითარი ტაქტიკით სწორედ იმისათვის, რომ ცალკე შემთხვევებში სრული თავისუფლება ჰქონდეთ მხარი დაუჭირონ (განსაკუთრებით არაოფიციალურად) ტერორსაც და აჯანყებასაც? მაშასადამე, იმ უეჭველ დასკვნამდე მივდივართ, რომ «განთავისუფლების კავშირის» გავლენიან წევრებს და გავლენიან ჯგუფებსაც კი სრულებით არ გაუძნელდებათ, თუ კი ისინი ამას მოისურვებენ, შევიდნენ როს-ში და იქ ხელმძღვანელი მდგომარეობა დაიკავონ. როს-ის უპარტიო პოზიციის დროს მთელი რიგი პირობები, რომლებიც მის ნებაზე არ არის დამოკიდებული (მსხვილი ფულადი სახსრების წყაროები, საზოგადოებრივი კავშირურთიერთობა და სხვ.), ასეთი დაბოლოების სასარგებლოდ ჩამოყალიბდება. ეს დაბოლოება კი იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ხალხის შეიარაღებული რაზმები გადაიქცეოდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის იარაღად, მუშათა აჯანყება დაემორჩილებოდა ამ ბურჟუაზიის ინტერესებს. ეს დაბოლოება მომასწავებელი იქნებოდა ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის პოლიტიკური ექსპლოატაციისა რუსეთის დემოკრატიულ რევოლუციაში. ამ დაბოლოების დროს საქმე იმით გათავდებოდა, რომ ბურჟუაზია ფულს გაიღებდა პროლეტარიატის შესაიარაღებლად, იზრუნავდა იმისათვის, რომ საერთო პარტიულობის ქადაგების საშუალებით ჩამოეშორებინა იგი სოციალიზმისაგან, შეესუსტებინა მისი კავშირი სოციალ-დემოკრატიასთან და ამრიგად უმეტესი შანსები ექნებოდა გადაექცია მუშები თავის იარაღად, წაერთმია მათთვის შესაძლებლობა დაეცვათ თავიანთი, განსაკუთრებული, «პარტიული», პროლეტარული ინტერესები რევოლუციაში.

* *
*

ყოველივე ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობენ ის ტაქტიკური ამოცანები, რომლებსაც ახალი კავშირის გამოჩენა სოციალ-დემოკრატიის წინაშე აყენებს. ნდობის ღირსია თუ არა სწორედ ეს კავშირი, როს-ი, და განსაკუთრებით მისი უკონტროლო და პასუხის არ მგებელი ცენტრალური კომიტეტი, არ ვიცით. ჩვენ ვილაპარაკებთ არა როს-ის ცენტრალური კომიტეტის, არამედ როს-ის მუშათა კავშირის შესახებ, და არც მოცემული მუშათა კავშირის, არამედ საერთოდ ასეთი მუშათა კავშირების შესახებ. ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ სახელწოდებით, ამა თუ იმ ოდენობით, ასეთი «კავშირები», ორგანიზაციები, ჯგუფები, წრეები ახლა ყველგან ჩნდება რუსეთში. თვითმპყრობელობის მთელი პოლიტიკა, რომელიც ხალხს აიძულებს იარაღს მოჰკიდოს ხელი და აჯანყებისათვის ემზადოს, გარდუვალად იწვევს ასეთი ჯგუფების შექმნას. ამ ჯგუფების ჭრელი, კლასობრივად გაურკვეველი, ხშირად შემთხვევითი შემადგენლობა, ამასთან მისი მეტად არასაკმაო სიფართოვე და სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მეტად არასაკმაო სიღრმე ამ ჯგუფებს აუცილებლად აძლევს ზოგადპარტიული რევოლუციურ-დემოკრატიული ჯგუფების ხასიათს. სოციალ-დემოკრატიის მხრივ მათდამი პრაქტიკული დამოკიდებულების საკითხი ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უაღრესად სადღეისო საკითხია.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა და აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ ყველა საშუალებით, რათა განვუმარტოთ საერთოდ ასეთი ჯგუფების წევრებს, განსაკუთრებით კი მუშებს, სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისი, არ დავუშვათ ოდნავი გაურკვევლობა, ოდნავი დუმილი ამის შესახებ, დავუმტკიცოთ საჭიროება პროლეტარიატის სწორედ პარტიული და აუცილებლად პარტიული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა, თუ მას, პროლეტარიატს, არა სურს, რომ ბურჟუაზია პოლიტიკურად უწევდეს ექსპლოატაციას. მაგრამ საშინელი პედანტიზმი იქნებოდა, აზრად რომ მოგვსვლოდა უყურადღებოდ დაგვეტოვებინა ასეთი ჯგუფები, ან რომ «ვერ შეგვემჩნია»

მათი შექმნა და მათი გიგანტური მნიშვნელობა თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. მიუტევებელი დოქტრინიორობა იქნებოდა, სოციალ-დემოკრატები ქედმაღლურად ან აბუჩად მოპყრობოდნენ ასეთ ჯგუფებში შემავალ «ზოგადპარტიულ» მუშებს. ამ შეცდომების წინააღმდეგ, რომლებიც შესაძლებელია განსაკუთრებით იმის გამო, რომ გამოცოცხლდა ავად სახსენებელი ეკონომიზმი და სოციალ-დემოკრატიის რიგებში ჩვენი ამოცანების ვიწრო, მაჩანჩალური გაგება, — ამ შეცდომების წინააღმდეგ გვინდა განსაკუთრებით გავაფრთხილოთ პარტიის ყველა წევრი. საჭიროა ყველა ღონისძიების ხმარება ამ ჯგუფებისა და ჩვენი პარტიის ორგანიზაციების ურთიერთმომსახურების განსახორციელებლად მუშათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის შეიარაღების მიზნით. საჭიროა მეტად ფრთხილი, ტაქტიანი და ამხანაგური დამოკიდებულება იმ მუშებისადმი, რომლებიც მზად არიან დაიხოცონ თავისუფლებისათვის, რომლებიც საბრძოლველად ირაზმებიან და იარაღდებიან, რომლებიც სავსებით თანაუგრძნობენ პროლეტარულ ბრძოლას და რომლებსაც ჩვენგან აშორებს ის, რომ აკლიათ სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, შეთვისებული აქვთ ცრურწმენა მარქსიზმის წინააღმდეგ, ამა თუ იმ მოძველებულ რევოლუციურ შეხედულებათა გავლენას განიცდიან. ასე არათანახმადმოაზროვნე მუშებთან კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტის ან მათგან უბრალოდ ჩამოშორების მეთოდზე ადვილი არაფერია, მაგრამ ასეთ მეთოდზე სულელურიც არაფერია. უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალ-დემოკრატია ძლიერი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის ფართო მასების ერთიანობით, ეს ერთიანობა კი იმის გამო, რომ კაპიტალიზმის პირობები დამქსაქსველი, გამთიშველი და გონების დამჩლუნგებელია, ერთბაშად კი არ იქმნება, არამედ მხოლოდ შეუპოვარი შრომისა და უდიდესი მოთმინების ფასად. უნდა გვახსოვდეს გამოცდილება ჩვენი ევროპელი ამხანაგებისა, რომლებსაც თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ფრთხილი, ამხანაგური დამოკიდებულება ჰქონდეთ თვით კათოლიკური კავშირების წევრ მუშებთან, კი არ დააფრთხონ ისინი მათი რელიგიური და პოლიტიკური ცრურწმენისადმი შეურაცხმყოფელი

დამოკიდებულებით, არამედ მტკიცედ, ტაქტიანად და მოთმინებით გამოიყენონ პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის ყოველი აქტი მათი განათლებისათვის და ერთობლივი ბრძოლის ნიადაგზე შეგნებულ პროლეტარიატთან დაახლოებისათვის. რაოდენ უფრო მეტად სავალდებულოა ჩვენთვის მზრუნველობითი დამოკიდებულება რევოლუციური მუშებისადმი, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ თავისუფლებისათვის, რომლებისთვისაც ჯერ კიდევ უცხოა სოციალ-დემოკრატია! ვიმეორებთ: არავითარი მიჩქმალვა სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და არავითარი უგულებელყოფა რევოლუციური ჯგუფებისა, რომლებიც ამ შეხედულებებს არ იზიარებენ. ვიდრე ასეთი ჯგუფები ოფიციალურად არ მიმხრობიან რომელიმე არასოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მანამდე ჩვენ არა მარტო უფლება გვაქვს, არამედ მოვალენიც ვართ განვიხილავდეთ მათ როგორც რ ს დ მ პ-ის მ ო მ ხ რ ე ე ბ ს. სწორედ ასე უნდა განვიხილავდეთ, მაგალითად, რუსეთის განმათავისუფლებელი კავშირის მუშათა კავშირსაც. ჩვენ მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ამ კავშირის წევრებს გავაცნოთ სოციალისტური ლიტერატურა, რომ ამ კავშირის ყველა განშტოების ყველა კრებაზე გავწიოთ ჩვენი შეხედულებების სიტყვიერი პროპაგანდა. ევროპის თავისუფალ ქვეყნებშიც კი უტოპიად არის მიჩნეული აზრი, რომ კაპიტალიზმის დროს შეიძლება ყველა პროლეტარის გადაქცევა შეგნებულ სოციალ-დემოკრატად. მაგრამ არც ევროპაში, არც რუსეთში უტოპიური არ არის აზრი პროლეტარიატის მთელ მასაზე სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი გავლენის შესახებ. მხოლოდ საჭიროა ვისწავლოთ ამ გავლენის განხორციელება, საჭიროა გვახსოვდეს, რომ შეუგნებელი მუშების განათლებაში ჩვენი საუკეთესო მოკავშირე იქნებიან ჩვენი მტრები, მთავრობა და ბურჟუაზია — და მაშინ ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გადამწყვეტ მომენტში მუშათა მთელი მასა გამოეხმაურება სოციალ-დემოკრატიის მოწოდებას!

«პროლეტარი» № 4,
1905 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები [127]

სოციალ-დემოკრატია, როგორც მუშათა მოძრაობის შეგნებული გამომხატველი, მიზნად ისახავს ყველა მშრომელის სრულ განთავისუფლებას ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. ამ მიზნის მიღწევა, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპობა და სოციალისტური საზოგადოების შექმნა, კაპიტალიზმის საწარმოო ძალების ძლიერ დიდ განვითარებასა და მუშათა კლასის უდიდეს ორგანიზებულობას მოითხოვს. პოლიტიკური თავისუფლება თუ არ იქნება, ისე შეუძლებელია საწარმოო ძალთა სრული განვითარებაც თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ფართო, აშკარა და თავისუფალი კლასობრივი ბრძოლაც, პროლეტარიატის მასების პოლიტიკური განათლება, აღზრდა და დარაზმვაც. ამიტომ არის, რომ შეგნებული პროლეტარიატი ყოველთვის მიზნად ისახავს გადამწყვეტ ბრძოლას სრული პოლიტიკური თავისუფლებისათვის, დემოკრატიული რევოლუციისათვის.

ამ ამოცანას მარტო პროლეტარიატი როდი ისახავს. პოლიტიკური თავისუფლება ბურჟუაზიასაც სჭირდება. შეძლებული კლასების განათლებულმა წარმომადგენლებმა დიდი ხანია ააფრიალეს თავისუფლების დროშა; რევოლუციური ინტელიგენცია, რომელიც უმთავრესად ამ კლასებიდან გამოდის, გმირულად იბრძოდა თავისუფლებისათვის. მაგრამ მთლიანად ბურჟუაზიას არ ძალუძს აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა თვითმპყრობელობასთან: მას ეშინია არ დაკარგოს ამ ბრძოლაში თავისი საკუთრება, რომელიც მას არსებულ საზოგადოებასთან აკავშირებს; მას ეშინია მუშების მეტისმეტად რევოლუციური გამოსვლისა, რომლებიც არასოდეს არ შეჩერდებიან მარტო დემოკრატიულ რევოლუციაზე, არამედ სოციალისტურ გადატრიალებას მოინდომებენ; მას ეშინია სრული

განხეთქილებისა მოხელეებთან, ბიუროკრატიასთან, რომლის ინტერესებიც ათასი ძაფით არის დაკავშირებული შეძლებული კლასების ინტერესებთან. ამიტომ ბურჟუაზიულ ბრძოლას თავისუფლებისათვის ახასიათებს გაუბედაობა, არათანამიმდევრობა, ორჭოფობა. პროლეტარიატის ერთ-ერთი ამოცანაა წინ უბიძგოს ბურჟუაზიას, მთელი ხალხის წინაშე დააყენოს სრული დემოკრატიული გადატრიალების ლოზუნგები, დამოუკიდებლად და გაბედულად მოჰკიდოს ხელი ამ ლოზუნგების განხორციელებას, ერთი სიტყვით, მთელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ავანგარდი, მოწინავე რაზმი იყოს.

ამ ამოცანის განსახორციელებლად რუსეთის სოციალ-დემოკრატებს უკვე არა ერთხელ დასჭირებიათ ომის წარმოება ბურჟუაზიული ლიბერალიზმის არათანამიმდევრობასთან. გავიხსენოთ, მაგალითად, როგორ იწყებდა ბ-ნი სტრუვე ცენზურისაგან თავისუფალ მოღვაწეობას როგორც პოლიტიკური მებრძოლი რუსეთის «განთავისუფლებისათვის». მან იგი დაიწყო ვიტეს «ბარათის» წინასიტყვაობით, სადაც წამოყენებული იყო სავსებით «შიპოვისებური» (დღევანდელი პოლიტიკური დანაწილების ენით რომ ვილაპარაკოთ) ლოზუნგი: «უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა». სოციალ-დემოკრატია ააშკარავებდა ამ ლოზუნგის მთელ ჩამორჩენილობას, მთელ უაზრობას, მთელ რეაქციულობას, მოითხოვდა გარკვეულ და გაბედულ დემოკრატიულ პროგრამას, თვითონ აყენებდა ასეთ პროგრამას, როგორც თავისი პარტიული პროგრამის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. სოციალ-დემოკრატიას უნდა ებრძოლნა დემოკრატიულ ამოცანათა ვიწრო გაგებასთან თავის საკუთარ რიგებში, როდესაც ეგრეთწოდებული ეკონომისტები ყოველნაირად აკნინებდნენ ამ ამოცანებს, ქადაგებდნენ «ეკონომიურ ბრძოლას მეპატრონეებთან და მთავრობასთან», დაჟინებით მოითხოვდნენ — უფლებათა მოპოვებით დავიწყოთ, პოლიტიკური აგიტაციით განვაგრძოთ და მხოლოდ შემდეგ, თანდათანობით (სტადიების თეორია) გადავიდეთ პოლიტიკურ ბრძოლაზეო.

ახლა პოლიტიკური ბრძოლა საშინლად გაფართოვდა, რევოლუცია მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო, ყველაზე ზომიერი

ლიბერალები «უკიდურესები» გახდნენ, და შეიძლება გვეჩვენოს, რომ ისეთი ისტორიული ცნობები ახლო წარსულიდან, როგორიც ჩვენ ახლა მოვიყვანეთ, უადგილოა, რომ მათ არ შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეთ ცოცხალ, მოქმედ აწმყოსთან. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენოს. რა თქმა უნდა, ისეთი ლოზუნგები, როგორიცაა დამფუძნებელი კრება, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით (რომლებიც დიდი ხანია და ყველაზე ადრე წამოაყენეს სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ პარტიულ პროგრამაში), საერთო კუთვნილება გახდნენ, მიღებული არიან არალეგალური «ოსვობოჟდენიეს» მიერ, შევიდნენ «განთავისუფლების კავშირის» პროგრამაში, გახდნენ ერობის მოღვაწეთა ლოზუნგებად, მათ ყველა ჰანგზე იმეორებს ლეგალური პრესა. უკანასკნელ წლებსა და თვეებში რუსული ბურჟუაზიული დემოკრატიზმის პროგრესი უეჭველია. ბურჟუაზიული დემოკრატია მოვლენებისაგან სწავლობს, უკუაგდებს პრიმიტიულ ლოზუნგებს (როგორიცაა შიპოვისებური: უფლებები და ძალაუფლებიანი ერობა), უკან მისჩანჩალებს რევოლუციას. მაგრამ იგი სწორედ რომ მისჩანჩალებს რევოლუციას; მის სიტყვებსა და საქმეს შორის, პრინციპულ დემოკრატიზმსა და «რეალური პოლიტიკის» დემოკრატიზმს შორის არსებულ ძველ წინააღმდეგობათა ადგილას წარმოიშობა ახალი წინააღმდეგობანი, რადგან რევოლუციის ზრდა მეტსა და მეტს მოითხოვს დემოკრატიისაგან. ბურჟუაზიული დემოკრატია კი, ამაღლებს რა თავის ლოზუნგებს, ყოველთვის უკან რჩება მოვლენებს, ყოველთვის უკან მისჩანჩალებს, ყოველთვის რამდენიმე გრადუსით დაბლა აყალიბებს ამ ლოზუნგებს, ვიდრე ამას ნამდვილი თავისუფლებისათვის ნამდვილად რევოლუციური ნამდვილი ბრძოლა მოითხოვს.

მართლაც, აიღეთ ეს ლოზუნგი, რომელიც უკვე მოარული, საყოველთაოდ აღიარებული ლოზუნგი გახდა: დამფუძნებელი კრება საყოველთაო და სხვა საარჩევნო უფლების საფუძველზე. საკმარისია თუ არა იგი თანამიმდევარი დემოკრატიზმის

თვალსაზრისით? საკმარისია თუ არა იგი ახლანდელი მომენტის არსებითი რევოლუციური ამოცანების თვალსაზრისით? ორივე ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი პასუხი შეგვიძლია გავცეთ. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია ყურადღებით გავარჩიოთ ჩვენი პარტიული პროგრამა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაციები, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად არ იგონებენ, არ იყენებენ და არ ავრცელებენ. (როგორც ბედნიერი გამონაკლისი, რომელიც ფართო მიბაძვის ღირსია, აღვნიშნოთ ჩვენი პარტიის პროგრამის გადაბეჭდვა ამას წინათ რიგის, ვორონეჟისა და მოსკოვის კომიტეტების ფურცლებზე.) ჩვენი პროგრამაც ქვაკუთხედად იღებს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგს (სიტყვებს: «საყოველთაო სახალხო» სიმოკლისათვის პირობით ვხმარობთ საყოველთაო და სხვა საარჩევნო უფლების აღსანიშნავად). მაგრამ ეს ლოზუნგი ჩვენს პროგრამაში დგას არა განმარტოებით, არამედ ისეთ კონტექსტში, ისეთი დამატებებითა და განმარტებებით, რომლებიც შეუძლებელს ხდიან, რომ იგი თავისებურად გადააკეთონ თავისუფლებისათვის ყველაზე ნაკლები თანამიმდევრობით მებრძოლმა ან თუნდაც თავისუფლების წინააღმდეგ მებრძოლმა ადამიანებმა. ეს ლოზუნგი ჩვენს პროგრამაში დაკავშირებულია ლოზუნგებთან: 1) მეფის თვითმპყრობელობის დ ა მ ხ ო ბ ა; 2) მისი შეცვლა დემოკრატიული რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი თ; 3) დემოკრატიული კონსტიტუციით უზრუნველყოფილი თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა ხ ა ლ ხ ი ს ა, ე. ი. მ თ ე ლ ი უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების თავმოყრა საკანონმდებლო კრების ხელში, რომელიც ხალხის წარმომადგენელთაგან შესდგება და ერთ პალატას წარმოადგენს.

განა შეიძლება ეჭვის მიტანა იმაზე, რომ ყველა ამ ლოზუნგის აღიარება სავალდებულოა ყოველი თანამიმდევარი დემოკრატისათვის? სიტყვა «დემოკრატი» ხომ გრამატიკული აზრითაც და იმ პოლიტიკური მნიშვნელობითაც, რომელიც მას ევროპის მთელმა ისტორიამ მიაკუთვნა, ნიშნავს: ხალხის თვითმპყრობელობის მომხრეს. მაშასადამე, სასაცილოა დემოკრატიზმზე ლაპარაკი და იმავე დროს თუნდაც ერთ-ერთი ამ ლოზუნგის უარყოფა. მაგრამ ძირითადი წინააღმდეგობა ბურ-

ეუაზიის მისწრაფებისა კერძო საკუთრების ყოველი ძალღონით დაცვისადმი და თავისუფლების მოპოვების სურვილისა იმდენად ღრმაა, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მისი მომხრეები აუცილებლად ვარდებიან ამ სასაცილო მდგომარეობაში. როგორც ყველასათვის ცნობილია, რუსეთში უდიდესი სისწრაფით ყალიბდება მეტად ფართო ლიბერალური პარტია, რომელსაც ეკუთვნის «განთავისუფლების კავშირიც», ერობის მრავალი მოღვაწეც, ისეთი გაზეთებიც, როგორიცაა «ნაშა ჟიზნ», «ნაში დნი», «სინ ოტეჩესტვა», «რუსსკიე ვედომოსტი» და სხვ. და ა. შ. ამ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ პარტიას უყვარს, რომ მას უწოდებდნენ «კონსტიტუციურ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ» პარტიას. ნამდვილად კი, როგორც ეს არალეგალურ «ოსვობოჟდენიეს» განცხადებებიდანა და პროგრამიდან ჩანს, ეს პარტია მ ო ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი ა. მას სრულებითაც არ უნდა რესპუბლიკა. მას არა სურს ერთი პალატა და ზედა პალატისათვის არაპირდაპირი და ფაქტიურად არა საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოაქვს (ცენზი ბინადრობის მიხედვით). მას სრულებითაც არა სურს, რომ მ თ ე ლ ი უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდეს (თუმცა თვალის ასახვევად მას ძალიან უყვარს ლაპარაკი ძალაუფლების გადასვლაზე ხალხის ხელში!). მას არა სურს თვითმპყრობელობის დ ა მ ხ ო ბ ა, მას სურს ძალაუფლების მხოლოდ გაყოფა 1) მონარქიასა, 2) ზედა პალატასა (სადაც მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა უმრავლესობა იქნება) და 3) ქვედა პალატას შორის, რომელიც ე რ თ ა დ ე რ თ ი შენდება დემოკრატიულ საფუძველზე.

ამრიგად ჩვენს წინაშეა უეჭველი ფაქტი, რომ ჩვენი «დემოკრატიული» ბურჟუაზია მისი ყველაზე მოწინავე და განათლებული წარმომადგენლების სახითაც კი, რომლებიც უშუალოდ კაპიტალისადმი ყველაზე ნაკლებ არიან დაქვემდებარებულნი, კუდში მისჩანჩალებს რევოლუციას. ამ «დემოკრატიულ» პარტიას ე შ ი ნ ი ა ხალხის თვითმპყრობელობისა. იმეორებს რა საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ჩვენს ლოზუნგს, იგი ნამდვილად სრულიად ამახინჯებს ამ ლოზუნგის აზრსა და მნიშვნელობას, იგი ატყუებს ხალხს ამ

ლოზუნგის გამოყენების ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამ ლოზუნგის ბოროტად გამოყენების საშუალებით.

რა არის «საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი» კრება? ეს ისეთი კრებაა, რომელიც, ჯერ-ერთი, ნამდვილად გამოხატავს ხალხის ნებასურვილს; — ამისათვის საჭიროა საყოველთაო და სხვ. საარჩევნო უფლება და წინასაარჩევნო აგიტაციის თავისუფლების სრული გარანტია. მეორე, ეს ისეთი კრებაა, რომელსაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ა ქ ვ ს ძ ა ლ ა დ ა უ ფ ლ ე ბ ა «დააფუძნოს» სახელმწიფო წესწყობილება, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის თვითმპყრობელობას. მზიან დღესავით ნათელია, რომ ეს ორი პირობა თუ არა, ისე კრება ვერ იქნება ვერც ნამდვილად საყოველთაო სახალხო, ვერც ნამდვილად დამფუძნებელი. ამავე დროს კი ჩვენს ლიბერალ ბურჟუებს, ჩვენს კონსტიტუციონალისტ-მონარქისტებს (რომლებიც თავის თავს ხალხის დასაცინად დემოკრატებს უწოდებენ) არა სურთ ა რ ც ე რ თ ი ამ პირობის რეალური უზრუნველყოფა! ისინი არათუ არაფრით არ უზრუნველყოფენ არც წინასაარჩევნო აგიტაციის სრულ თავისუფლებას, არც დამფუძნებელი კრების ხელში ძალისა და ძალაუფლების ნამდვილად გადასვლას, — პირიქით, უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ე ნ როგორც ერთის, ისე მეორის შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, რადგან უზრუნველყოფენ მონარქიას. რეალური ძალაუფლება და ძალა სისხლისმსმელი ნიკოლოზის ხელში რჩება: ეს ნიშნავს, რომ ხალხის უბოროტესი მტერი, კრებას რომ მოიწვევს, «უზრუნველყოფს» არჩევნების საყოველთაო სახალხო და თავისუფალ ხასიათს. ეს ძალიან დემოკრატიულია, არა? ეს ნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრებას არასოდეს არ ექნება და არასოდეს არც უნდა ჰქონდეს (ლიბერალი ბურჟუების აზრით) მთელი ძალა და მთელი ძალაუფლება; იგი მოკლებული უნდა იყოს ყოველ ძალასა და ყოველ ძალაუფლებას; იგი მხოლოდ უნდა მ ო ე ლ ა პ ა რ ა კ ო ს, შ ე უ თ ა ნ ხ მ დ ე ს, პ ი რ ო ბ ი თ შ ე ე კ რ ა ს, მ ო უ რ ი გ დ ე ს ნიკოლოზ II-ეს, რომ მან უწყალობოს მას, კრებას, თავისი მეფური ძალაუფლების მცირედი ნაწილი! საყოველთაო კენჭისყრით არჩეული დამფუძნებელი კრება არაფრით არ განსხვავდება ქვედა პალატი-

საგან. მაშასადამე, დამფუძნებელი კრება, რომელსაც ხალხის ნებასურვილის გამოსახატავადა და გასატარებლად იწვევენ, ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ განკუთვნილია იმისათვის, რომ ხალხის ნებასურვილზე გასაბატონებლად «დააფუძნოს» ზედა პალატის ნებასურვილი და კიდევ დამატებით მონარქიის ნებასურვილი, ნიკოლოზის ნებასურვილი.

ნუთუ ცხადი არ არის, რომ, როცა საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებაზე ლაპარაკობენ, მჭევრმეტყველობენ და გაჰყვირიან ბატონი ლიბერალი ბურჟუები, ოსვობოჟდენიელები, ისინი ნამდვილად ხალხის საწინააღმდეგო სათათბირო კრებას ამზადებენ? ხალხის განთავისუფლების ნაცვლად მათ სურთ ხალხი კონსტიტუციური გზით დაუმორჩილონ, ჯერ-ერთი, მეფის ძალაუფლებას (მონარქისტული პრინციპი) და, მეორე, ორგანიზებული მსხვილი ბურჟუაზიის ძალაუფლებას (ზედა პალატა).

ვისაც სურს ეს დასკვნა სადავო გახადოს, დაე მან სცადოს იმის დამტკიცება: 1) რომ არჩევნებში შესაძლებელია ხალხის ნებასურვილის ნამდვილად გამოხატვა, თუ არ იქნება აგიტაციის სრული თავისუფლება და თუ ფაქტიურად არ მოისპობა ყოველგვარი პრივილეგია, რომლებიც ამ აგიტაციაში შეიძლება ჰქონდეს მეფის მთავრობას; 2) რომ წარმომადგენელთა კრება, რომელსაც ხელთ არა აქვს რეალური ძალა და ძალაუფლება, რაც მეფის ხელში რჩება, ნამდვილად მხოლოდ სათათბირო კრებას არ წარმოადგენს. როგორც ერთის, ისე მეორის მტკიცება მხოლოდ მატყუარა ოინბაზებს ან გაუსწორებელ სულელებს შეუძლიათ. ისტორია ურყევად ამტკიცებს, რომ წარმომადგენლობითი კრება, რომელიც მონარქისტული ძალაუფლების გვერდით არსებობს, ნამდვილად, სანამ ეს ძალაუფლება მონარქიის ხელში რჩება, წარმოადგენს სათათბირო კრებას, რომელიც მონარქის ნებასურვილს ხალხის ნებასურვილს კი არ უმორჩილებს, არამედ ხალხის ნებასურვილს მხოლოდ უთანხმებს მონარქის ნებასურვილს, ე. ი. ძალაუფლებას ანაწილებს მონარქსა და ხალხს შორის, ვაჭრობით გამოითხოვს ახალ წესწყობილებას და არა აფუძნებს მას. ისტორია უცილობლად ამტკიცებს, რომ ნამდვილად თავისუ-

ფალ არჩევნებზე, ამ არჩევნების მნიშვნელობისა და ხასიათის მთელი ხალხისათვის რაოდენადმე სრულ გაცნობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ რევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი მთავრობა დროებითი რევოლუციური მთავრობით არ შეიცვალა. ერთი წუთითაც რომ დავუშვათ წარმოუდგენელი და შეუძლებელი რამ, სახელდობრ, რომ მეფის მთავრობა, რომელმაც «დამფუძნებელი» (წაიკითხე: სათათბირო) კრების მოწვევა გადაწყვიტა, ფორმალურად უზრუნველყოფს აგიტაციის თავისუფლებას, მის ხელში მაინც რჩება აგიტაციის მთელი ის გიგანტური სარგებლობა და უპირატესობა, რასაც ორგანიზებული სახელმწიფო ძალაუფლება იძლევა: ამ სარგებლობას და უპირატესობას პირველი სახალხო კრების საარჩევნო აგიტაციაში გამოიყენებს ის, ვინც ყველა საშუალებით ჩაგრავდა ხალხს და ვისაც ხალხმა დაუწყო თავისუფლების ძალით გამოგლეჯა.

ერთი სიტყვით, ჩვენ იმავე დასკვნამდე მივდივართ, რომელიც ამას წინათ მივიღეთ («პროლეტარი» № 3)*, როდესაც ამ საკითხს სხვა მხრიდან განვიხილავდით. საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების ლოზუნგი თავისთავად, ცალკე აღებული, დღეს არის მონარქისტული ბურჟუაზიის ლოზუნგი, ბურჟუაზიასა და მეფის მთავრობას შორის გარიგების ლოზუნგი. რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგი შეიძლება იყოს მხოლოდ მეფის მთავრობის დამხობა და მისი შეცვლა დროებითი რევოლუციური მთავრობით, რომელმაც უნდა მოიწვიოს საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება. რუსეთის პროლეტარიატი ამ მხრივ დაე ნურავითარ ილუზიებს ნუ შეიქმნის: საერთო აღელვების ხმაურში მას მისივე საკუთარი ლოზუნგების გამოყენებით ატყუებენ. თუ ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდებით მთავრობის შეიარაღებულ ძალას შეიარაღებული ხალხის ძალა დავუპირდაპიროთ, თუ მეფის მთავრობა არ შეიმუსრება და არ შეიცვლება დროებითი რევოლუციური მთავრობით, — მაშინ ყოველი წარმომადგენლობითი კრება, საყოველთაო სახალხო კრებისა და დამფუძნებელი კრების რა ტი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 583 — 584. რ ე დ.

ტულებიც უნდა მიეკუთვნოს მას, ნამდვილად იქნება მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა კრება მეფესთან გასარიგებლად მათ შორის ძალაუფლების გაყოფის შესახებ.

რაც უფრო მეტად უახლოვდება გადამწყვეტ დასასრულს ხალხისა და მეფის ბრძოლა, რაც უფრო მოსალოდნელია სახალხო წარმომადგენელთა მოწვევის მოთხოვნის სწრაფი განხორციელება, რევოლუციურმა პროლეტარიატმა მით უფრო მკაცრად უნდა ადევნოს თვალი «დემოკრატიულ» ბურჟუაზიას. რაც უფრო მალე მოვიპოვებთ თავისუფლებას, მით უფრო მალე გადაიქცევა პროლეტარიატის მოკავშირე მის მტრად. და ამ გადაქცევის მისაჩქმალავად გამოყენებული იქნება, ჯერ-ერთი, ბურჟუაზიის ვითომდა დემოკრატიული ლოზუნგების ბუნდოვანება, უსრულობა და გაურკვევლობა, ხოლო, მეორე მხრივ, მისწრაფება, რომ პროლეტარიატის ლოზუნგები გადააქციონ ფრაზად, თავისუფლებისა და რევოლუციის *რ ე ა ლ უ რ ი* გარანტიები სიტყვიერი დაპირებებით შეცვალონ. მუშებმა ახლა უნდა გაიათკეცონ ყურადღება და ფხიზლად ადევნონ თვალი «დემოკრატებს». სიტყვები: «საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება» ცარიელი სიტყვები ადმოჩნდება, თუ ეს კრება, არჩევნებისა და საარჩევნო აგიტაციის რეალურ პირობათა გამო, ვერ შესძლებს ხალხის ნებასურვილის გამოხატვას, თუ იგი ვერ შესძლებს ახალი წესწყობილების დამოუკიდებლად დაფუძნებას. ახლა სიმძიმის ცენტრი საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხიდან ამ მოწვევის *წ ე ს ე ბ ი ს* საკითხზე გადადის. ჩვენ გადამწყვეტი ამბების წინაშე ვდგავართ. პროლეტარიატი არ უნდა ენდოს საერთო დემოკრატიულ ლოზუნგებს, მათ მთელი სისრულით უნდა დაუპირდაპიროს თავისი საკუთარი პროლეტარულ-დემოკრატიული ლოზუნგები. მხოლოდ იმ ძალას, რომელიც ამ ლოზუნგებით იხელმძღვანელებს, შეუძლია ნამდვილად უზრუნველყოს რევოლუციის სრული გამარჯვება.

«პროლეტარი» № 4,
1905 წ. 17 (4) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზიული გამცემლობის პირველი ნაბიჯები

ჟენევა, ოთხშაბათი 21 (8) ივნისი.

გუშინ ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა, რომ ორშაბათს ერობის მოღვაწეთა დელეგაცია მიიღო ნიკოლოზ II-ემ, რომელშაც თავად სერგეი ტრუბეცკოისა და ბ-ნ ფედოროვის სიტყვების პასუხად გადაჭრით დაადასტურა თავისი დაპირება, რომ მოიწვევს ხალხის წარმომადგენლებს.

ამ «ამბის» მნიშვნელობა სწორად რომ შევაფასოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღვადგინოთ ზოგიერთი ფაქტი, რომელიც საზღვარგარეთის პრესაში იყო გამოქვეყნებული.

24 და 25 მაისს ძველი სტილით მოსკოვში გაიმართა ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლების სამი კრება, რომლებსაც 300-მდე კაცი დაესწრო. ჩვენ ხელთა გვაქვს რუსეთიდან გამოგზავნილი ლითოგრაფირებული ტექსტი მათ მიერ მიღებული რეზოლუციისა და მეფისადმი მიმართული პეტიციისა; ამ ტექსტში აღნიშნული არ არის დელეგატთა რიცხვი, მხოლოდ ნათქვამია, რომ თათბირში, ერობისა და ქალაქის ხმოსანთა გარდა, მონაწილეობა მიიღეს ქალაქის თავებმა და თავადაზნაურობის წინამძღოლებმა. მემამულური მიწათმფლობელობისა და ქალაქის კაპიტალის წარმომადგენლები ბჭობდნენ რუსეთის პოლიტიკურ ბედზე. როგორც უცხოეთის კორესპონდენტები იუწყებიან, კამათი მეტად ცხარე იყო. დიდი გავლენით სარგებლობდა შიპოვის პარტია, — ზომიერი, სასახ-

ლესთან დიდად დაკავშირებული პარტია. ყველაზე რადიკალურნი იყვნენ პროვინციელები, ყველაზე ზომიერნი — პეტერბურგელები; «ცენტრს» შეადგენდნენ მოსკოველები. სიტყვასიტყვით არჩევდნენ პეტიციას, რომელსაც ბოლოს და ბოლოს პიტერმაც მისცა ხმა. პეტიცია გამოვიდა პატრიოტული და ერთგული ქვეშევრდომობის გამომხატველი. პატივცემული ბურჟუები, «სამშობლოსადმი მხოლოდ მგზნებარე სიყვარულით გამსჭვალულნი», უკუაგდებენ «ყოველგვარ შუღლს და მათ გამთიშავ ყველა სხვადასხვაობას» და მიმართავენ მეფეს. ისინი მიუთითებენ «უდიდეს საფრთხეზე რუსეთისათვის და თვით ტახტისათვის», რომელიც უფრო «შინაური არეულობისაგან» არის მოსალოდნელი, ვიდრე გარედან. (მართალია, ჯერ რუსეთია ნახსენები, შემდეგ «ტახტი», მაგრამ ჩვენმა პატრიოტებმა პირველად ტახტს მიმართეს, მხოლოდ დაიმუქრნენ — კერძოდ და ჩუმჩუმად — ხალხს მივმართავთო.) როგორც მიღებულია, პეტიცია სავსეა კაზიონური ტყუილით, ყველაფერში ბრალსა სდებს მეფის მრჩევლებს, მისი განკარგულებებისა და მითითებების დამახინჯებას, რამაც გამოიწვია პოლიციის ძალაუფლების გაძლიერება, ისე რომ «სიმართლის ხმა» ვეღარ აღწევს ტახტამდე და სხვ.. დასკვნა ასეთია: ითხოვენ «სანამ დაგვიანებული არ არის» «დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნან ხალხის წარმომადგენელნი, თანასწორად და განუსხვავებლად არჩეულნი ამისათვის ყველა ქვეშევრდომის მიერ». ხალხის წარმომადგენლებმა მეფესთან «შეთანხმებით» უნდა გადაწყვიტონ ომისა ან ზავის საკითხი და «დაამყარონ (მეფესთანვე შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ) განახლებული სახელმწიფო წყობილება». ამრიგად, პეტიციაში არ არის არც ზუსტი მოთხოვნა «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» პარტიის მიერ ვითომდა მიღებული საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლებისა ფარული კენჭისყრით (პირდაპირი და ფარული კენჭისყრა სულაც გამოტოვებულია და, რა თქმა უნდა, არა შემთხვევით), — არც მოთხოვნა არჩევნების თავისუფლების თუნდაც რაიმე გარანტიისა. პეტიციის ავტორები წუწუნებენ: «პიროვნებისა და საზოგადოების ჩაგვრა, სიტყვის შებოჭვა და ყოველგვარი თვითნებობა მრავლდება და იზრდე-

ბაო», მაგრამ ამის საწინააღმდეგო ზომებს არ ასახელებენ. მეფესთან «თანხმობით» იზრდება თვითნებობა, — დაე მეფესთან თანხმობით «განახლდეს» სახელმწიფო წყობილებაო... ბურჟუაზიის წარმომადგენლები მტკიცედ ადგანან ხალხის მჩაგვრელებთან «შეთანხმების», რასაკვირველია, არა ხალხის, არამედ ბურჟუაზიის «შეთანხმების» თეორიას.

მეფისათვის პეტიციის წარსადგენად თათბირმა აირჩია დელეგაცია, რომელშიც შედიან ბატონები გეიდენი, გოლოვინი, პეტრუნკევიჩი, გ. და ნ. ლვოვები, პეტრე და პავლე დოლგორუკები, კოვალევსკი, ნოვოსილცევი, როდიჩევი, შახოვსკოი და სერგ. ტრუბეცკოი. შემდეგ პეტერბურგიდან, ნიკოლოზ II-სთან დარბაზობაზე, დელეგაციას შეუერთდნენ ბ-ნები კორფი, ნიკიტინი და ფედოროვი.

ამავე თათბირმა მიიღო შემდეგი რ ე ზ ო ლ უ ც ი ა, რომლის შესახებაც საზღვარგარეთული გაზეთები არ იტყობინებიან, მაგრამ რომელიც მოყვანილია რუსულ ფურცელ'ში:

«ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა გაერთიანებული თათბირი, რომელიც, ცალკეულ პოლიტიკურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გამსჭვალულია საერთო რწმენით, რომ რუსეთის დღევანდელი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს დღემდე გაუუქმებელი მბრძანებლობითი წყობილება, რომელიც უარყოფს პირად და საზოგადოებრივ თავისუფლებას, თრგუნავს ხალხის თვითშეგნებასა და ხალხის თვითმოქმედებას, მოსახლეობას ნებას არ აძლევს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს ცხოვრებაში და წარმოშობს უპასუხისმგებლო ადმინისტრაციის სრულიად შეუზღუდავ თვითნებობას, რაც თანდათან ძლიერდება. ამ წყობილებამ, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ჩვენს საშინაო ცხოვრებაში ძალმომრეობა, სიყალბე და გახრწნილება შეჰქონდა, ახლა საბედისწეროდ გამოიწვია მრისხანე საგარეო საფრთხე, ჩააბა სახელმწიფო დამღუპველ ომში; ომის განმავლობაში იგი იწვევდა და ხელს უწყობდა შინაურ მტრობას და მან ქვეყანა მიიყვანა მთელ რიგ დამარცხებამდე, რაც რუსეთის ისტორიის უმაგალითო ამბით — ჩვენი საზღვაო ძალების მოსპობით დასრულდა. თათბირი იმ აზრისაა, რომ ამ წყობილების შემდგომი არსებობა საფრთხეს უქადის არა მარტო შინაგან მშვიდობას, წესრიგსა და ხალხის კეთილდღეობას, არამედ აგრეთვე ტახტის სიმტკიცეს, რუსეთის მთლიანობასა და საგარეო უშიშროებას. თათბირი ქვეყნის გადარჩენისათვის აუცილებელ საჭიროებად თვლის:

1. — თავისუფლად არჩეული საყოველთაო სახალხო წარმომადგენლობის დაუყოვნებლივ მოწვევას ომისა და ზავის საკითხის გადასაწყვეტად და სახელმწიფო წყობილების დასამყარებლად მონარქთან ერთად;

2. — პიროვნების, სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კავშირებისა და კრებების თავისუფლების პრინციპების საწინააღმდეგო კანონთა, დაწესებულებათა, დადგენილებათა და განკარგულებათა დაუყოვნებლივ გაუქმებას და პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადებას;

3. — ადმინისტრაციის შემადგენლობის დაუყოვნებლივ განახლებას ცენტრალური მმართველობის ხელმძღვანელებად იმ პირთა მოწვევით, რომლებიც სახელმწიფოებრივი გარდაქმნის საქმის გულწრფელად ერთგულნი არიან და რომელთაც საზოგადოება ენდობა».

არ ვიცით, რა დამოკიდებულება აქვს ამ რეზოლუციას პეტიციასთან და დელეგაციის დავალებებთან, ე. ი. ამ უკანასკნელმა რა იკისრა — რეზოლუციის შინაარსის გადაცემა თუ მისი პეტიციასთან ერთად წარდგენა. იქნებ, პეტიცია ოფიციალური დოკუმენტია «ტახტისათვის», ხოლო რეზოლუცია არაოფიციალური — «ხალხისათვის»?

თათბირზე გამართული კამათის ხასიათის შესახებ ფრანგული გაზეთის «Le Matin»-ის[128] კორესპონდენტი ბ-ნი გასტონ ლერუ იუწყება, რომ ყველაზე «მოწინავე» დელეგატები, პროვინციელი ერობის მოღვაწენი, ემხრობოდნენ ორსაფეხურიან არჩევნებს, რადგან ეშინოდათ, რომ პირდაპირი არჩევნების დროს მათ «ქალაქები» ჩაახშობენ (ჩანს, მათ იმისი ეშინოდათ, რომ პირდაპირი არჩევნების დროს მთლიანად არ იქნება უზრუნველყოფილი მემამულეთა პრივილეგიები გლეხობის მიმართ). «ფრანკფურტის გაზეთის» კორესპონდენტი წერდა:

«რუსეთის ერობა, როგორც პოლიტიკური პარტია, იყოფა სამ ფრაქციად: ერობის მოღვაწეთა ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი უმრავლესობა (ბელადი — გრაფი გეიდენი), ერობის მოღვაწეთა ზ ო მ ი ე რ-ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ნაციონალისტურ-სლავოფილური უმცირესობა ბ-ნ შიპოვის მეთაურობით, და ერობის რადიკალურ მოღვაწე-კონსტიტუციონალისტთა ჯგუფი. დამახასიათებელია, რომ დელეგატთა არჩევნების დროს გავიდნენ სწორედ «ფეოდალური» წარმომადგენლები. ზომიერებს

უნდოდათ, რომ მათი ღირსეული წარმომადგენლები მეფის წინაშე ძველ საპატიო გვარეულობათა პირები ყოფილიყვნენ. რადიკალებს კი, რომელთაც არავითარი ილუზიები არ ჰქონდათ პეტიციის შედეგების შესახებ, უნდოდათ, რომ ძველ გვარეულობათა წარმომადგენლები საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ, რომ მთავრობა ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ერთ გოჯსაც არ დათმობდა».

«კონსტიტუციურ-დემოკრატიული» (წაიკითხე: მონარქისტული) პარტიის ბ-ნ სტრუვეს მიერ შექმნული უსახო ორგანიზაცია რომ ხელსაყრელია, ამან სინამდვილეში ძალიან მალე იჩინა თავი. გარიგებისა და ვაჭრობისათვის, ლაქუცობისა და ოინბაზობისათვის პარტიის მტკიცე და მაგარი ორგანიზაცია მოხერხებული ვერ არის. დაე «პარტიაში» შედიოდეს «განთავისუფლების კავშირიც» (იქნებ სწორედ ეს არის «რადიკალთა ჯგუფი», რომელზედაც «ფრანკფურტის გაზეთის» კორესპონდენტი წერდა) — და «საერობო ფრაქციაც» (ე. ი. გეიდენის მომხრეებიც, შიპოვის მომხრეებიც, შიპოვისა, რომელზედაც ბ-ნი სტრუვე ა ხ ლ ა ოფიციალურად ცდილობს ხელი აიღოს?). ხოლო საერობო ფრაქციაში შედიან გეიდენის მომხრეებიც, შიპოველებიც და... «რადიკალებიც». გაერკვიეთ, ვისაც შეგიძლიათ! ყველა ისინი, სამშობლოს და ბურჟუაზიული პრივილეგიების მგზნებარე სიყვარულით გამსჭვალულნი, გაერთიანდნენ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ი ს ნიადაგზე, თეორიისა, რომელიც ჩვენ უკვე არა ერთხელ განვმარტეთ «პროლეტარში» და რომელიც ნათლად გამოსჭვივის «პეტიციაშიც» და «რეზოლუციაშიც».

რეზოლუციას, ალბათ, რადიკალების «იდეალური» მოთხოვნილებანი უნდა ესაზრდოებინა. ხოლო პეტიციას «ზომიერ» დელეგატთა განმარტებით სამსახური უნდა გაეწია ცარიზმთან მატერიალური გარიგებისათვის. საქმეში ჩაუხედავ მასას ფრიად გუდმოდგინედ უმალავდნენ თათბირის ფრაქციების განაწილებასაც, დელეგაციის რწმუნებებსაც, გარიგების პირობებსაც, ერობის მოღვაწეთა შემდგომ განზრახვებსაც. «ხალხს», რომლის სახელითაც ბ-ნი ბურჟუები ცარიზმს ევაჭრებიან, რაში სჭირდება იცოდეს «კონსტიტუციურ-

დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პარტიის» უმაღლესი პოლიტიკა! ბ-ნი ბურჟუები მეფესთან ისაუბრებენ სიტყვის შებოჭვაზე, სიმართლის ხმის ჩახშობაზე, ხ ა ლ ხ ი ს წარმომადგენლებზე, რუსეთზე, «რომელიც ერთიანი ს ა ხ ა ლ ხ ო დროშის გარშემოა შემოკრებილი» და სხვ., — ხოლო ხალხს ლიბერალი და «ოსვობოჟდენიელი» ჩარჩების პოლიტიკის შესახებ მთელი სიმართლის ცოდნა სრულებით არ ესაჭიროება... დიახ, დიახ, ბ-ნი სტრუვე ამას წინათ ტყუილად კი არ უსაყვედურებდა «ოსვობოჟდენიეში» «უკიდურეს პარტიებს» (ე. ი. განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებს) ზომაგადასულ მიდრეკილებას ვიწრო, შეთქმულებითი, იაკობინური «კონსპირაციისადმი». ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, მეფისაგან და მეფის მეძებრებისაგან ფარულად ვმოქმედებთ და იმავე დროს ვზრუნავთ იმისათვის, რომ ხალხმა იცოდეს ყველაფერი ჩვენი პარტიის შესახებ, მის შიგნით არსებულ ელფერთა შესახებ, მისი პროგრამისა და ტაქტიკის განვითარების შესახებ, იმის შესახებაც კი, თუ რა თქვა პარტიული ყრილობის ამა თუ იმ დელეგატმა ამ ყრილობაზე. ბ-ნი განათლებული ბურჟუები, ოსვობოჟდენიელები, ფარულად მოქმედებენ... ხალხისაგან, რომელმაც დანამდვილებით არაფერი იცის სანაქებო «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» პარტიის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ ისინი გულახდილი არიან მეფესთან და მეფის მეძებრებთან. აბა, რით არ არიან დემოკრატები?

ჩვენ არ ვიცით, ერობელთა დელეგატები გულახდილად რაზე ელაპარაკნენ კარისკაცთა ხროვას, რომელსაც არ უნდოდა შეეშვა ისინი მეფესთან. მოლაპარაკება კი გულახდილი და ხანგრძლივი ჰქონდათ. უცხოეთის გაზეთები ხარბად ადევნებდნენ თვალყურს ბ-ნ დელეგატების «მაღალი პოლიტიკის» თვითეულ ნაბიჯს. პეტერბურგი, 9 ივნისი (27 მაისი). ერობელთა დელეგაცია უწინარეს ყოვლისა ინახულებს ბ-ნ შინ. საქმეთა მინისტრს ბულიგინს, რათა ტრეპოვს უჩივლოს. — 10 ივნისი (28 მაისი). ბულიგინმა დელეგაციას განუცხადა, მეფე არ მიგიღებთო, და ურჩია პეტერბურგიდან წასვლა. — 12 ივნისი (30 მაისი). შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ მეფე მიიღებს დელეგაციას. — 15 (2) ივნისი. ბ-ნ გასტონ ლერუს სპეციალუ-

რი დეპეშა გაზეთ «Le Matin»-ში: «ერობელთა დელეგატებმა მიიღეს იმპერატორთან დარბაზობის ის პირობები, რომლებიც მათ კარის სამინისტრომ წაუყენა. ამის შემდეგ ბარონი ფრედერიქსი დღეს საღამოს წავიდა ცარსკოე სელოში, რათა გაიგოს, გადაწყვიტა თუ არა მეფემ დეპუტაციის მიღება».

გესმით თუ არა ეს, რუსეთის მუშებო და გლეხებო? აი როგორ იქცევიან «დემოკრატი»-«ოსვობოჟდენიელები», შეთქმულებათა მტრები, კონსპირაციის მოძულენი! ისინი აწყობენ შეთქმულებას მისი პოლიციური უდიდებულესობის კარის სამინისტროსთან, ისინი მიმართავენ ჯაშუშებთან კონსპირაციას ხალხის წინააღმდეგ. მათ სურთ «ხალხის» წარმომადგენლები იყვნენ და ამავე დროს იღებენ ჯაშუშების მიერ წაყენებულ პირობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მეფეებთან ლაპარაკი «ხალხის» საჭიროებაზე!

აი როგორ იქცევიან მდიდარი, დამოუკიდებელი, განათლებული, ლიბერალი ადამიანები, «სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით გამსჭვალულნი». ეს იგივე როდია, რაც უხეში, უმეცარი, ყოველი ნოქრისაგან დამოკიდებული მუშათა მასა, რომელიც ვიღაც თავხედი ხუცესის თანხლებით პირდაპირ და აშკარად მიძვრება მეფესთან ისე, რომ არც კი მოულაპარაკნია გავლენიან ჯაშუშებთან მეფესთან ლაპარაკის პირობების შესახებ. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ რესპუბლიკა ან თუნდაც პირდაპირი არჩევნები და ერთპალატიანი სისტემა, როცა ხალხის მასა პოლიტიკურად ასე გაუნათლებელია? პოლიტიკურად განათლებულმა ადამიანებმა იციან გზები და მათ ესმით, რომ საჭიროა ჯერ შეხვიდე უკანა კარიდან ჯაშუშებთან, — იქნებ რჩევა-დარიგებაც ჰკითხო მათ მეფისადმი მიმართული სიტყვის შინაარსსა და სტილზე, — აი მაშინ «სიმართლის ხმა» მართლაც «მიაღწევს ტახტამდე».

ჩვენ არ ვიცით, რაზე შეუთანხმდნენ «ხალხის», უკაცრავად პასუხია, «წარმომადგენლები» მეფის ჯაშუშებს. დეპეშებიდან ვიცით, რომ დელეგაციის მიღებაზე «გრძელი სიტყვა» წარმოთქვა თავადმა ს. ტრუბეცკოიმ, რომელიც ნახევარი საა-

თის განმავლობაში უხსნიდა მეფეს რუსეთის მძიმე მდგომარეობას და იმ პირობებს, რამაც ერობელები აიძულა პირდაპირ (და არა ჯაშუშების მეშვეობით?) მიემართათ მეფისათვის. სიტყვამ მეფეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. ბ-ნმა ფედოროვმა ილაპარაკა პეტერბურგის წარმომადგენელთა სახელით. მეფემ გრძელი სიტყვით უპასუხა. მან მწუხარება გამოთქვა იმ უდიდესი მსხვერპლის გამო, რაც ომმა შეიწირა, იგი გლოვობდა უკანასკნელ დამარცხებას ზღვაზე. მან დაამთავრა სიტყვებით: «გმადლობთ, ბატონებო, თქვენ მიერ გამოთქმული გრძნობებისათვის» (ალბათ, კარგი იყო «დემოკრატ»-ტრუბეცკოის ეს გრძნობები, რომელთა გამოთქმის შესახებაც იგი ჯაშუშებს ეთათბირა!). «მე მწამს, რომ თქვენ გსურთ ჩემთან ერთად იმუშაოთ» (მეფეს სწამს ლიბერალური ბურჟუაზიისა; ლიბერალურ ბურჟუაზიას სწამს მეფისა; ხელი ხელსა ჰბანსო) «ახალ საფუძვლებზე დამყარებული ახალი სახელმწიფო წყობილების შესაქმნელად. ურყევია ჩემი სურვილი — მოვიწვიო სახალხო კრება» (როდის? არჩეული წარმომადგენლებისა? როგორ და ვის მიერ არჩეულებისა? — არ ვიცით. ბ-ნმა ტრუბეცკოიმ, ცხადია, დაუმალა სათაყვანებელ მონარქს თათბირის «რეზოლუცია». ალბათ, ჯაშუშებმა ურჩიეს არ ელაპარაკნა მეფესთან ამ თემაზე!). «ამაზე ყოველდღე ვფიქრობ. ჩემი ნება შესრულებული იქნება. თქვენ შეგიძლიათ ეს დღესვე გამოუცხადოთ ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას. თქვენ დამეხმარებით ამ ახალ საქმეში. სახალხო კრება აღადგენს ერთიანობას რუსეთსა და მის იმპერატორს შორის» (ტრუბეცკოიებსა და ფედოროვებსა — და იმპერატორს შორის?). «იგი საძირკვლად დაედება წყობილებას, რომელიც რუსულ სახალხო პრინციპებზე იქნება დამყარებული». დარბაზობამ დელეგატებზე — ამბობს ოფიციალური დეპეშა — საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. მეფეც კმაყოფილი ჩანდა...

ეს ხომ სიმართლეს წააგავს! კმაყოფილია მეფე, კმაყოფილი არიან ლიბერალი ბურჟუები. ისინი მზად არიან ერთმანეთთან მტკიცე ზავი შეკრან. კმაყოფილი არიან თვითმპყრობელობა და პოლიცია (ჭეშმარიტად რუსული სახალხო საწყისე-

ბი). კმაყოფილია ფულიანი ბობოლა (მასთან ამიერიდან მუდამ და წესიერად ითათბირებენ).

კმაყოფილი იქნებიან თუ არა მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესებითაც ვაჭრობენ ბურჟუაზიული გამცემლები?

«პროლეტარი» № 5,
1905 წ. 26 (13) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

თეთრხელთათმანიანი «რევოლუციონერები»

პარასკევი, 23 (10) ივნისი.

საზღვარგარეთის გაზეთებში უკვე მოცემულია მეფის მიერ ერობათა დელეგაციის მიღების ერთგვარი შეფასება. ბურჟუაზიული პრესა, როგორც მას სჩვევია, მონურად მლიქვნელობს, აღტაცებულია მეფის დათმობითა და ერობის მოღვაწეთა კეთილგონიერებით, თუმცა ერთგვარი ეჭვი მაინც გამოსჭვივის, რომ ასეთი გაურკვეველი ფორმით მიცემული დაპირებანი სერიოზული იყოს. სოციალისტური გაზეთები პირდაპირ და გარკვეულად აცხადებენ, ეს მიღება კომედიაა.

თვითმპყრობელობისათვის ხელსაყრელია მოიგოს დრო და ატყუოს ლიბერალური ბურჟუაზია. ერთი მხრივ, ტრეპოვისათვის დიქტატორული უფლებების მინიჭება. მეორე მხრივ, ლიბერალებისათვის უშინაარსო და არაფრის მაქნისი დაპირებების მიცემა, რათა მათს ისედაც მერყევ რიგებში ახალი მერყეობა გამოიწვიოს. თვითმპყრობელური მთავრობის ტაქტიკა უგუნური როდია. ლიბერალები ლოიალობას, ზომიერებასა და თავმდაბლობას იჩენენ. მართლაცდა, რატომ არ უნდა ისარგებლოს მთავრობამ მათი სისულელითა და მათი სიმხდალით? «ომში ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს შეჰფერის». ისეთი ომი არ არის ხოლმე, რომ სამხედრო ხერხებს არ მიმართავდნენ. და როდესაც არ იცი, «მტერი» (ლიბერალური ბურჟუაზია) მტერია თუ დოყლაპია მოყვარე, — რატომაც არ უნდა მოატყუო იგი?

ბ-ნი გასტონ ლერუ, რომელზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მოწინავე სტატიაში, დეპუტაციის მიღების შესახებ იტყობინება შემდეგს დაწვრილებითს ცნობებს, რომლებიც მთლად სარწმუნო ვერ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დამახასიათებელი და საგულისხმოა. «კარის მინისტრმა ბარონმა ფრედერიქსმა დეპუტატებს უთხრა, მთელი ჩემი სურვილის მიუხედავად, გამიძნელდება იმპერატორს მივაღებინო ბ-ნი პეტრუნკევიჩი, რომელსაც, როგორც ამბობენ, კავშირი აქვს რევოლუციონერებთანაო. მინისტრს უპასუხეს, ავსტრიის იმპერატორს ხომ ჰყავდა მინისტრად ანდრაში, თუმცა იგი ერთ დროს მსჯავრდადებული იყოო. ამ საბუთმა უკანასკნელი დაბრკოლება დასძლია, და ყველა დეპუტატი მიღებულ იქნა».

კარგი საბუთია. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია თავდაპირველად მაინც აწარმოებდა ნამდვილ ბრძოლას, ზოგჯერ რესპუბლიკის მომხრეც კი იყო, მის ბელადებს «მსჯავრსა სდებდნენ» — მსჯავრსა სდებდნენ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს ა თ ვ ი ს, ე. ი. არა მარტო რევოლუციონერებთან კავშირისათვის, არამედ ნ ა მ დ ვ ი ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. მერე, მრავალი წლის, ხოლო ზოგჯერ ათეული წლების შემდეგ, ეს ბურჟუები სავსებით ურიგდებოდნენ ყველაზე უბადრუკ და შეკვეცილ კონსტიტუციას, რომელიც არ აკანონებდა არა მარტო რესპუბლიკას, არამედ საყოველთაო საარჩევნო უფლებასაც, ნამდვილ პოლიტიკურ თავისუფლებასაც. ლიბერალი ბურჟუები საბოლოოდ ურიგდებოდნენ «ტახტსა» და პოლიციას, თვითონვე დგებოდნენ ხელისუფლების სათავეში და მხეცურად ახშობდნენ და მუდამ ახშობენ მუშების ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისა და სოციალური რეფორმებისაკენ.

რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიას სურს სასიამოვნო და სასარგებლო შეაერთოს: სასიამოვნოა გ თ ვ ლ ი დ ნ ე ნ «რევოლუციონერებთან დაკავშირებულ» ადამიანად, — სასარგებლოა გქონდეს იმპერატორ ნიკოლოზ სისხლისმსმელთან სამინისტროს სავარძლის დაკავების უნარი. რუს ლიბერალ ბურჟუებს სრულებითაც არა სურთ რისკი გასწიონ და სახელმწიფო დანაშაულისათვის «მსჯავრდადებულნი» გახდნენ. ისი-

ნი ამჯობინებენ პირდაპირ გადახტომას იმ დროებაში, როდესაც ანდრაშის მაგვარი ყოფილი რევოლუციონერები წესრიგის პარტიის მინისტრები გახდნენ! გრაფი ანდრაში 1848 წელს რევოლუციურ მოძრაობაში იმდენად ენერგიულად მონაწილეობდა, რომ რევოლუციის ჩაქრობის შემდეგ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და დაუსწრებლად (in effigie) ჩამოახრჩეს. შემდეგ იგი როგორც ემიგრანტი ცხოვრობდა საფრანგეთსა და ინგლისში, და მხოლოდ 1857 წლის ამნისტიის შემდეგ დაბრუნდა უნგრეთში. მაშინ დაიწყო მისი «სამინისტრო» კარიერა. რუს ლიბერალებს არა სურთ რევოლუცია, ეშინიათ მისი, მათ სურთ ერთბაშად მოიხვეჭონ ყოფილი რევოლუციონერების სახელი, როცა რევოლუციონერები არა ყოფილან! მათ სურთ ერთბაშად გადახტნენ 1847 წლიდან 1857 წელში! მათ სურთ ერთბაშად გაურიგდნენ მეფეს ისეთ კონსტიტუციაზე, როგორი კონსტიტუციებიც ყოფილა ევროპაში რეაქციის მძვინვარების დროს 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

დიახ, დიახ, ანდრაშის მაგალითი საუცხოოდაა არჩეული. როგორც მზე წყლის პატარა წვეთში, ისეა ასახული ანდრაშისა და პეტრუნკევიჩის ამ შედარებაში პარალელი ევროპის ერთ დროს რევოლუციურ და რესპუბლიკურ ბურჟუაზიულ დემოკრატიასა, — და რუსეთის მონარქისტულ კონსტიტუციონალისტურ (1905 წლის 9 იანვრის შემდეგაც კი) ბურჟუაზიულ «დემოკრატიას» შორის. ევროპელი ბურჟუები ჯერ ბარიკადებზე იბრძოდნენ რესპუბლიკისათვის, შემდეგ ემიგრაციაში ცხოვრობდნენ, ბოლოს ღალატობდნენ თავისუფლებას, ღალატობდნენ რევოლუციას და კონსტიტუციური მონარქების სამსახურში შედიოდნენ. რუს ბურჟუებს სურთ «ისწავლონ ისტორიისაგან» და «განვითარების სტადიები შეამციროონ»: მათ სურთ ერთბაშად უღალატონ რევოლუციას, ერთბაშად გახდნენ თავისუფლების მოღალატენი. ინტიმურ საუბარში ისინი ერთმანეთს უმეორებენ ქრისტეს სიტყვებს იუდასადმი: რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრე!

«როცა დეპუტატები შეიყვანეს სასახლის იმ ოთახში, სადაც მეფე უნდა გამოსულიყო, — განაგრძობს ბ-ნი გასტონ ლერუ, — უცებ შეამჩნიეს, რომ რევოლუციონერ პეტრუნკევიჩს თეთრი ხელთათმანი არა ჰქონდა. ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკმა პუტიატინმა მაშინვე წაიძრო თავისი ხელთათმანი და საჩქაროდ გადასცა რევოლუციონერ პეტრუნკევიჩს».

დაიწყო დარბაზობა. თავადმა ტრუბეცკოიმ წარმოთქვა თავისი სიტყვა. ბ-ნ გასტონ ლერუს გადმოცემით, მან დაიწყო მადლობის მოხსენებით, რომ მეფემ «ინება მათი მიღება და ამით დაამტკიცა თავისი ნდობა მათდამი». თავადი ტრუბეცკოი ირწმუნებოდა (მთელი «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» ანუ «ოსვობოჟდენიეს» პარტიის სახელით ხომ არა?), «ჩვენ წესრიგისა და მშვიდობის ხალხი ვართ», «მეფე მოტყუებულია» თავისი მრჩევლების მიერო. მის სიტყვაში ყველაზე «გაბედული» ადგილი ის იყო, რომ წოდებათა წარმომადგენლების კრება, როგორც ბულიგინი ვარაუდობს, «დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა»... როგორ გგონიათ, რატომ?.. იმიტომ, რომ «თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, თავადაზნაურების, ვაჭრეპისა და გლეხების მეფე კი არა, არამედ მთელი რუსეთის მეფე ხართ». «წარმომადგენლობა უკლებლივ მთელ ხალხს უნდა მოიცავდეს». ერობათა თათბირის რეზოლუციაზე, რომელიც ჩვენ მოწინავე სტატიაში დავბეჭდეთ*, როგორც მოსალოდნელი იყო, კ რ ი ნ ტ ი ც არ დაუძრავთ.

ბ-ნი ფედოროვი თავის სიტყვაში შეეხო... «თეთრხელთათმანიანი რევოლუციის» ფ ი ნ ა ნ ს უ რ მ ხ ა რ ე ს. ომის შემდეგ სახელმწიფოს ბიუჯეტი გაიზრდება 300 — 400 მილიონით, საჭირო გახდება «პროგრესისა და ცივილიზაციის უდიდესი შრომა», — ამისთვის კი საჭიროა «საზოგადოების დამოუკიდებლობა» და «ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად ხალხიდან ყველა ნიჭიერი ადამიანის მოხმობა» (ტრეპოვის კონტროლით შერჩეული ადამიანებისა?).

მეფის პასუხი ცნობილია. «თავისი სიტყვა რომ დაამთავრა, — დეპეშით იტყობინება ბ-ნი გასტონ ლერუ, — მეფე თა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 618 — 619. რ ე დ.

ვაზიანად ესაუბრა თვითეულ დეპუტატს. იგი იქამდეც კი მივიდა, რომ განთქმულ რევოლუციონერს (პეტრუნკევიჩს) ჰკითხა, თავადაზნაურობის წინამძღოლი ხომ არა ხართო. მან უპასუხა, არაო. მაშინ მეფემ იმედი გამოთქვა, რომ დადგება დღე, როდესაც იგი თავადაზნაურობის წინამძღოლი გახდება, და შემდეგ სხვა დეპუტატს მიუბრუნდა. როდესაც იგი ოთახიდან გავიდა, დეპუტატები გაიყვანეს სასახლის უკანა ოთახში, სადაც მათ შესთავაზეს საუზმე, რაც, მათი აზრით, 75 კაპიკად ღირდა. ასეა თუ ისე, დეპუტატები მომხდარი ამბით კმაყოფილნი დარჩნენ». (თუ ერთბა'მად მინისტრად არა, თავადაზნაურობის წინამძღოლად დანიშვნას მაინც ხომ დაჰპირდნენ! ანდრაშიმაც ხომ, ალბათ, თავადაზნაურობის წინამძღოლობის მაგვარი რამით დაიწყო!) «მათ უკვე იწყეს აურაცხელი დეპეშების გზავნა ყოველ კუთხეში» (იმ თემაზე ხომ არა, რომ ახლა მეფესა და «ხალხს» შორის ნდობა აღდგენილიაო?), «როცა მათ მეფის პასუხის ოფიციალური ტექსტი აცნობეს. დიდი იყო მათი განცვიფრება, როდესაც იქ ვერ იპოვეს ერთადერთი მნიშვნელოვანი ფრაზა, რომელიც, თითქოს, რაღაცას მაინც აღუთქვამდა. ფრაზა: «ჩემი მეფური ნება — მოვიწვიო ხალხის წარმომადგენლები — ურყევია» ასე იყო გადმოცემული: «ჩემი მეფური ნება ურყევია». დეპუტატებმა მაშინვე დაუბრუნეს ეს ოფიციალური ტექსტი, რომლის მიღებაც მათ არ შეეძლოთ. დღეს, ერთგვარი მოუთმენლობით, ელოდნენ ისინი იმ ტექსტის გამოგზავნას, რომელშიც იქნებოდა ყველა მათგანის მიერ გაგონილი სიტყვები. სიტყვების ამ უცნაური შეცვლის გამო ერთ-ერთმა დეპუტატმა დღეს საღამოს მითხრა (ბ-ნ გ. ლერუს დეპეშა დათარიღებულია ივნისის 20 (7)): ეს უკვე თვითმპყრობელობა კი არა, რაღაც ოინბაზობაა».

უხეიროდ არ არის ნათქვამი, ან უხეიროდ არ არის მოგონილი, თუ ბ-ნმა ლერუმ ყველაფერი ეს მოიგონა. ოინბაზობა აქ ყოველ შემთხვევაში არის, ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის დაპირება შეტანილიც რომ იყოს, სიტყვის ოფიციალურ ტექსტში. თეთრი ხელთათმანი, და ისიც ყურმოჭრილი ყმის თეთრი ხელთათმანი, — ბ-ნ პეტრუნკევიჩებისა და როდიჩევე-

ბის პოლიტიკური აქტის ნამდვილი ემბლემაა. მათ თვითონ დაიწყეს ოინბაზობით არა მარტო იმ მხრივ, რომ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ აუდიენციის პირობების შესახებ, არამედ იმ მხრივაც, რომ ჯიბეში მალავდნენ თავიანთ რეზოლუციას და თავიანთ ნამდვილ სურვილებს, ლაპარაკობდნენ უხამს რამეებს მეფის მოტყუების შესახებ და სხვ. და ა. შ.. მათ ახლა უფლება არა აქვთ დაიჩივლონ, რომ ოინბაზობაზე ოინბაზობით უპასუხეს. რადგან ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის დაპირება სრულებით არაფერს ნიშნავს და სრულებით არაფერს იძლევა, სრულ გასაქანს უტოვებს როგორც ბულიგინის, ისე ტრეპოვის «კონსტიტუციასაც» და ყოველგვარ დაყოვნებასაც. ყველაფერი ძველებურად რჩება, — მხოლოდ ლიბერალებმა, რომლებიც ბალღებივით გააბრიყვეს და შეარცხვინეს წინამძღოლობის დაპირებით, სამსახური გაუწიეს თვითმპყრობელობას «ნდობის» შესახებ დეპეშების დაგზავნით და მიღების შესახებ ისეთი მოხსენებებით, როგორიც, მაგალითად, გააკეთა ბ-ნმა ნიკიტინმა პეტერბურგის ქალაქის საბჭოში.

ჩვენ არ გვინდა კასანდრას [129] როლი ვიკისროთ. არ გვინდა ვიწინასწარმეტყველოთ რუსეთის რევოლუციის სასაცილო და სამარცხვინო დასასრული. მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ პირდაპირ და აშკარად ვუთხრათ მუშებს, ვუთხრათ მთელ ხალხს: საქმე ასეთი დასასრულისაკენ იხრება. კონსტიტუციურ ვითომდა დემოკრატიულ პარტიას და ყველა ამ ბატონ ოსვობოჟდენიელებს საქმე სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი დასასრულისაკენ მიჰყავთ. ნუ მოტყუვდებით რადიკალ-ოსვობოჟდენიელთა სიტყვებისა და ერობათა რეზოლუციების რახარუხითა და ჟღარუნით. ეს მოხატული ფარდაა «ხალხისათვის», ხოლო ფარდას იქით ვაჭრობაა გაჩაღებული. ლიბერალურმა ბურჟუაზიამ იცის როლების განაწილება: რადიკალ მოლაყბეს ბანკეტებსა და კრებებზე გზავნის, გაქნილ საქმოსანს — «ნიადაგის მოსამზადებლად» მეფის კარის ხროვაში. ხოლო რადგან მთელი ძალაუფლება წინანდებურად და სრულიად შეუკვეცელი რჩება თვითმპყრობელობის ხელში, საქმის ასეთი ვითარების აუცილებელი შედეგია «კონსტიტუცია», რომე-

ლიც ასჯერ უფრო მეტად ჰგავს ბულიგინის, ვიდრე ოსვობოქდენიელთა კონსტიტუციას.

რუსეთის რევოლუციის ბედი ახლა პროლეტარიატზეა დამოკიდებული. მხოლოდ მას შეუძლია ბოლო მოუღოს ამ ვაჭრობას. მხოლოდ მას შეუძლია ახალი გმირული მოქმედებით დარაზმოს მასები, გათიშოს მერყევი არმია, მიიმხროს გლეხობა და შეიარაღებული ხელით მოუპოვოს თავისუფლება მთელ ხალხს, ულმობლად გასრისოს თავისუფლების მტრები და განზე მოისროლოს თავისუფლების ანვარებიანი და მერყევი ბურჟუაზიული ზარის მრეკავები.

«პროლეტარი» № 5,
1905 წ. 26 (13) ივნისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ღია წერილი «LEIPZIGER VOLKSZEITUNG»-ის [130] რედაქციას

პატივცემულო ამხანაგებო!

«Leipziger Volkszeitung»-ის* 135-ე ნომერში ამხ. კ. კაუტსკი წერს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვის შესახებ. ჩვენ იძულებული ვართ გთხოვოთ დაბეჭდოთ ჩვენი პასუხი კაუტსკის გამოლაშქრებაზე, აგრეთვე ნება დაგვრთოთ უარვყოთ ფაქტიური უმართებულობანი, რომლებიც აღნიშნულ სტატიაშია. რაც შეიძლება მოკლედ ვიტყვით.

კაუტსკი ამბობს: «გერმანული გამოცემა რუსეთის ახლახან დამთავრებული ყრილობის რეზოლუციებისა მეტად შეუფერებელ მომენტში გამოვიდა», რეზოლუციები «მეტწილ მკითხველებს სრულიად ყალბ წარმოდგენას მისცემენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული ურთიერთობის შესახებ». კაუტსკი ისე შორს მიდის, რომ გერმანელ ამხანაგებს წინადადებას აძლევს არ გაავრცელონ ეს რეზოლუციები.

ჩვენ ნებას მივცემთ თავს ამის საწინააღმდეგოდ განვაცხადოთ, რომ გერმანელ ამხანაგებს ვერაფერი ვერ მისცემს რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული ურთიერთობის ისეთ სწორ სურათს, როგორც რსდმპ III ყრილობის ნამდვილი რეზოლუციები, აგრეთვე ახალისკრელთა მიერ მოწყობილი «კონფერენციის» რეზოლუციები.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ კაუტსკი დიდ შეცდომას სჩადის, როცა ისეთ რამეებზე წერს, რის შესახებაც მან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ყურმოკვრით იცის, და რომ რუსეთის სოციალ-

* — «ლეიფციგის სახალხო გაზეთი». რ ე დ.

დემოკრატიაში არსებული ურთიერთობის სურათი, რომელიც მას აქვს მოცემული, ძლიერ დამახინჯებულია. მაგალითად, პირდაპირ სასაცილოდ გეჩვენება, როცა კაუტსკი მოსაზრებას გამოთქვამს, რომ «რეზოლუციებმა (რსდმპ III ყრილობის რეზოლუციებმა), შესაძლოა, ამჟამად უკვე დაკარგეს თავისი მნიშვნელობა იმ პირებისთვისაც კი, ვისაც ისინი შეუდგენია*». ჩვენი და ახალისკრელების გაერთიანების შესახებ მოლაპარაკება საკმაოდ ბევრი წარმოებს ახლა და წარმოებდა უკანასკნელი 2—3 თვის განმავლობაში, მაგრამ ამ მოლაპარაკების შედეგი დღემდე ნულს უდრის.

ჩვენ ენერგიულად ვაცხადებთ პროტესტს იმ ცდის წინააღმდეგ, რომ ჩვენი ხმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში ჩაახშონ ისეთი უხეში, მექანიკური, უმაგალითო ხერხის საშუალებით, როგორიც არის ბოიკოტი ბროშურისა, რომელიც მხოლოდ რსდმპ III ყრილობის რეზოლუციების თარგმანს შეიცავს და რომელიც გერმანიის სდმპ მიუნქენის პარტიულმა გამომცემლობამ (გ. ბირკი და ამხ.) გამოსცა. კაუტსკის არავითარი უფლება არა აქვს ილაპარაკოს თავის მიუკერძებლობაზე. იგი მუდამ მიმკერძავი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით წარმოებულ ახლანდელ ბრძოლაში. ამის სრული უფლება მას, რა თქმა უნდა, ჰქონდა. მაგრამ იგი, ვინც მიმკერძავია, სჯობს ბევრს არ ლაპარაკობდეს მიუკერძებლობაზე, რომ ფარისევლობაში არ გაამტყუნონ.

კაუტსკი რსდმპ III ყრილობის ყველა რეზოლუციას საბავს როგორც «ლენინისა და მისი მეგობრების გალაშქრებას პლეხანოვისა და მისი მეგობრების წინააღმდეგ». სამი პატარა შენიშვნა ამის გამო. ჯერ-ერთი, 17 რეზოლუციიდან მხოლოდ ოთხი ეხება პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩვენს მოწინააღმდეგეებს რსდმპ შიგნით. მეორე, პლეხანოვი ახლა გამოვიდა «ისკრის» რედაქციიდან (იხილე «ისკრის» № 101). ეს ცხადყოფს, კაუტსკის რა ნაკლებად ესმის ჩვენი ურთიერთობა. მესამე, ჩვენ ვთხოვთ გერმანელ ამხანაგებს დაუფიქრდნენ, რა შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს რუსეთის სოციალ-დემოკრა-

* «Leipziger Volkszeitung»-ში შეცდომით დაბეჭდილია: «სძულდა».

ტებზე, როცა ამხ. კაუტსკის ავტორიტეტის მქონე ადამიანი ცდილობს მთელი პარტიული ყრილობის მუშაობას სახელი გაუტეხოს ასეთი «სურათით»: «ლენინისა და მისი მეგობრების გალაშქრება»? რას იფიქრებდნენ გერმანიაში იმ ადამიანებზე, რომლებიც თავს ნებას მისცემდნენ, ვთქვათ, დრეზდენის პარტიული ყრილობის მუშაობა დაესახათ (ოქმების წაუკითხავად) ასე: კაუტსკისა და მისი მეგობრების გალაშქრება...?

ერთი გამაფრთხილებელი სიტყვა ყველა გერმანელი სოციალ-დემოკრატისადმი: ამხანაგებო! თუ რსდმპ თქვენ ნამდვილად მიგაჩნიათ მოძმე პარტიად, ერთ სიტყვასაც ნუ დაუჯერებთ იქიდან, რასაც გიამბობენ ეგრეთწოდებული მიუკერძებელი გერმანელები ჩვენი გათიშვის შესახებ. მოითხოვეთ მხოლოდ დოკუმენტები, ნამდვილი დოკუმენტები. და ნუ დაივიწყებთ: წინასწარ აკვიატებული უფრო დაშორებულია ჭეშმარიტებას, ვიდრე არცოდნა.

სოციალ-დემოკრატიული სალამით.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოს («პროლეტარის») რედაქცია.

P. S.* ფრანგ სოციალისტებს მიუკერძებლობად სხვა რამ ესმით, ვიდრე გერმანელებს. მათმა ცენტრალურმა ორგანომ «Le Socialiste»-მა ** განსაკუთრებული დამატების სახით ესეს არის გამოაქვეყნა რსდმპ III ყრილობის რეზოლუციების თარგმანი.

დაწერილია 1905 წ. 12 (25) ივნისის შემდეგ

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

დროებითი რევოლუციური მთავრობის სურათი

მომენტი. ცარიზმი დამარცხებულია სანკტ-პეტერბურგში. თვითმპყრობელური მთავრობა დამხობილია, — დამარცხებულია, მაგრამ საბოლოოდ არ არის განადგურებული, მოკლული, მ ო ს პ ო ბ ი ლ ი, ძირფესვიანად ამოგდებული.

დროებითი რევოლუციური მთავრობა ხალხს მიმართავს. მუშათა და გლეხთა **თვითმოქმედება.** სრული თავისუფლება. ხალხი თვითონ აწყობს თავის ყოფაცხოვრებას. მ თ ა ვ რ ო ბ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა = სრული რესპუბლიკური თავისუფლებანი, გლეხთა კომიტეტები აგრარული ურთიერთობის ს რ უ ლ ი გარდაქმნისათვის. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა **თავისთავად.** სოციალ-დემოკრატები დროებითს მთავრობაში = სოციალ-დემოკრატიული **პარტიის** დელეგატები, **ნოქრები.**

შემდეგ, — დამფუძნებელი კრება. თ უ ხალხი აღდგა, მას...* (თუნდაც არა ერთბაშად) შ ე უ ძ ლ ი ა უმრავლესობაში აღმოჩნდეს (გლეხები და მუშები). Ergo **, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური **დიქტატურა.**

ბნელი ძალების გააფთრებული წინააღმდეგობა. სამოქალაქო ომი **უაღრესად გაჩაღებულია,** — ცარიზმის მ ო ს პ ო ბ ა.

პროლეტარიატის ორგანიზაცია იზრდება, სოციალ-დემოკრატიის პროპაგანდა და აგიტაცია ათეულ ათასჯერ დიდდება:

---

* სიტყვა არ არის გარჩეული. რ ე დ.

** — მ.შასადამე. რ ე დ.

მთავრობის ყველა სტამბა etc. * etc. «Mit der Gründlichkeit der geschichtlichen Aktion wird auch der Umfang der Masse zunehmen, deren Aktion sie ist»**.

გლეხობამ თვითონ იტვირთა ყველა აგრარული ურთიერთობა, მთელი მიწა. **მაშინ** ხორციელდება **ნაციონალიზაცია.**

საწარმოო ძალთა უდიდესი ზრდა — სოფლის მთელი ინტელიგენცია, მთელი ტექნიკური ცოდნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, ბორკილებისაგან (კულტურის დამნერგავები, ნაროდნიკები etc. etc.) განთავისუფლებისათვის იწყებენ მუშაობას... **კაპიტალისტური** პროგრესის გიგანტური განვითარება...

ომი: ციხე-სიმაგრე ხელიდან ხელში გადადის. ან ბურჟუაზია ამხობს პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ დიქტატურას, ან ეს დიქტატურა ცეცხლს ანთებს ევროპაში და მაშინ...?

რევოლუციური დიქტატურის საკითხს თუ მარქსისტულად განვიხილავთ, იგი **კლასთა** ბრძოლის ანალიზით უნდა განვსაზღვროთ.

Ergo, რა მთავარი საზოგადოებრივი ძალები მიიღება სათვალავში? Ordre de bataille ***?

(α) ბიუროკრატიულ-სამხედრო სასახლის ელემენტები მხარს უჭერენ თვითმპყრობელობას **პლუს** ხალხის სიბნელის ელემენტები (სწრაფხრწნადი კონგლომერატი, ჯერ კიდევ გუშინ ყოვლად ძლიერი, ხვალ უძლური). (დინასტიური etc. ანგარიშები შიგნით აუცილებელია.)

ორგანიზაცია ძლიერ მაღალია maximum

* — et cetera — და ასე შემდეგ. რ ე დ.

** — «ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად იწყებს, ზაშასადმე, ზრდას აგრეთვე მოცულობა მასისა, რომლის საქმესაც ეს ისტორიული მოქმედება წარმოადგენს»[131]. რ ე დ.

*** — საბრძოლო დისპოზიცია, ძალთა განლაგება ბრძოლისათვის. **რ ე დ.**

(β) მეტ-ნაკლებად მსხვილი, ზომიერ-ლიბერალური ბურჟუაზია.

(აქ მე მივაკუთვნებ ლიბერალ მემამულეებს, დიდ ფინანსურ ბობოლებს, ვაჭრებს, ფაბრიკანტებს etc. etc. ეს = Σ ბურჟუაზიული ქვეყნის მეუფე მეპატრონეებისა. «ყველაფერი შეუძლიათ».)

ორგანიზაცია ძალიან ადვილია

ფრაქციებს შორის კონფლიქტები აუცილებელია, — მაგრამ ყველა მომხრეა კონსტიტუციისა დღესაც კი, ხოლო ხვალ უფრო მეტად.

იდეური ბელადები — უხვადაა მოხელეებიდან, მემამულეებიდან, ჟურნალისტებიდან.

(γ) წვრილბურჟუაზიული და გლეხური ფენა. ათეული მილიონები.

«ხალხი»
par excellence *.

ორგანიზაცია minimum

უმეტესი სიბნელე, დეზორგანიზებულობა.

ყველაზე მეტია გამოუვალობა, უშუალო სარგებლობა რევოლუციისაგან. ყველაზე მეტია მერყეობა (დღეს რევოლუცია, ხვალინდელ მცირე გაუმჯობესებათა შემდეგ წესრიგის მომხრეობა).

დემოკრატია. იდეური ბელადები — ძალიან ბევრია დემოკრატიული ინტელიგენცია. სოციალისტ-რევოლუციონერის «ტიპი».

(δ) პროლეტარიატი.

ძლიერ დიდი ორგანიზებულობა, დისციპლინა

რევოლუციურია. კრიტიკული დამოკიდებულება წვრილ ბურჟუაზიისადმი. იდეური ბელადები უფრო ნაკლები

* — უპირატესად. რ ე დ.

ჰყავს, ვიდრე ყველა დანარჩენებს, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენცია და სოციალ-დემოკრატიული განათლებული მუშები. წინასთან შედარებით რიცხობრივად გაცილებით უფრო სუსტია, მაგრამ Kampffähigkeit* გაცილებით უფრო ძლიერი.

ბრძოლის ობიექტი — რესპუბლიკა (ყველა დემოკრატიული თავისუფლების, **პროგრამა minimum-ის და** სერიოზული სოციალური რეფორმების ჩათვლით).

α — აბსოლუტურად წინააღმდეგი.

β — კონსტიტუციის მომხრე, რესპუბლიკის წინააღმდეგი (½ — ½). ((ვაჭრობის ელემენტები.))

γ — რევოლუციურ მომენტში (არა მტკიცედ) რესპუბლიკის მომხრე ((ბრძოლის მერყეევი ელემენტები)).

δ — მთლიანად და სავსებით რესპუბლიკის მომხრე.

დაწერილია 1905 წ. ივნის — ივლისში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის კრებულში V

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ბრძოლის უნარი. *ედ.*

პროლეტარიატის ბრძოლა და გურჟუაზიის ლაქიობა

აჯანყება და შეიარაღებული ბრძოლა ბარიკადებზე ლოძში, — ხოცვა-ჟლეტა ივანოვო-ვოზნესენსკში, — საყოველთაო გაფიცვები და მუშებისათვის სროლის ატეხა ვარშავასა და ოდესაში, — ერობათა დელეგაციის კომედიის სამარცხვინო დასასრული, — ასეთია გასული კვირის მთავარი პოლიტიკური ამბები. თუ ამას მივუმატებთ ჟენევის დღევანდელ (28 — 15 ივნისი) გაზეთებში მოთავსებულ ცნობებს ხარკოვის გუბერნიის ლებედინის მაზრაში გლეხთა მღელვარების შესახებ, ხუთი მამულის დარბევისა და იქ ჯარების გაგზავნის შესახებ, ერთი კვირის ამბები თვალწინ გადაგვიშლის ყველა ძირითადი საზოგადოებრივი ძალის ხასიათს, რომელიც ახლა რევოლუციის დროს ასე აშკარად და მკაფიოდ მოჩანს.

პროლეტარიატი განუწყვეტლივ ღელავს, განსაკუთრებით 9 იანვრის შემდეგ, ერთი წუთით არ აძლევს მოსვენებას მტერს, "მეტევას აწარმოებს უმთავრესად გაფიცვების სახით, თავს იკავებს ცარიზმის შეიარაღებულ ძალასთან პირდაპირი შეტაკებისაგან, თავის ძალებს დიდი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ამზადებს. მრეწველობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებულ ადგილებში, სადაც მუშები პოლიტიკურად ყველაზე მეტად არიან მომზადებულნი, სადაც ეკონომიურსა და საერთო პოლიტიკურ ჩაგვრას ნაციონალური ჩაგვრაც ემატება, — ცარიზმის პოლიცია და ჯარი განსაკუთრებით თავხედად იქცევიან, პირდაპირ პროვოკაციას უწევენ მუშებს. და მუშები, ბრძოლისათვის მოუმზადებელნიც კი, რომლებიც პირვე-

ლად მარტო თავდაცვასაც სჯერდებოდნენ, ლოძის პროლეტარიატის სახით გვიჩვენებენ არა მარტო რევოლუციური ენთუზიაზმისა და გმირობის ახალ ნიმუშს, არამედ ბრძოლის უმაღლეს ფორმებსაც. მათი შეიარაღება ჯერ კიდევ სუსტია, მეტისმეტად სუსტი, მათი აჯანყება ჯერ კიდევ წინანდებურად ნაწილობრივია, მოწყვეტილია საერთო მოძრაობას, მაგრამ ისინი მაინც წინ დგამენ ნაბიჯს, უდიდესი სისწრაფით ჰფარავენ ქალაქის ქუჩებს ათეული ბარიკადებით, სერიოზულ ზიანს აყენებენ ცარიზმის ჯარებს, მედგრად იცავენ თავს ცალკეულ სახლებში. შეიარაღებული აჯანყება ღრმავდება და ფართოვდება. მეფის ჯალათთა ახალი მსხვერპლი — ლოძში მოკლეს და დაჭრეს 2 000-მდე კაცი — იწვევს ახალ ათეულ და ასეულ ათასობით მოქალაქის მგზნებარე სიძულვილს წყეული თვითმპყრობელობისადმი. ახალი შეიარაღებული ბრძოლებსულ უფრო აშკარად გვიჩვენებენ ცარიზმის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ხალხის გადამწყვეტი შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობას. ცალკეულ აფეთქებებში სულ უფრო მეტად მოჩანს სურათი სრულიად რუსეთის ხანძრისა, რომელიც ჩაღდება. პროლეტარული ბრძოლა ახალ, ყველაზე ჩამორჩენილ რაიონებს ედება, და მეფის მსახურნი გულმოდგინედ მუშაობენ რევოლუციის სასარგებლოდ, ეკონომიურ შეტაკებებს პოლიტიკურ შეტაკებებად აქცევენ, მუშებს ყველგან მათივე საკუთარი ბედის მაგალითით უხსნიან, რომ აუცილებლად საჭიროა თვითმპყრობელობის დამხობა, მათგან სახალხო აჯანყების მომავალ გმირებსა და მებრძოლებს ზრდიან.

შეიარაღებული სახალხო აჯანყების ლოზუნგს, რომელიც პროლეტარიატის პარტიამ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის სახით, ესოდენ მტკიცედ დააყენა, სულ უფრო მეტად გვაახლოებენ თვით ამბები, თვით სტიქიური პროცესი რევოლუციური მოძრაობისა, რომელიც ფართოვდება და მწვავდება. დაე მალე გაქრეს ყოველივე მერყეობა და ეჭვი, დაე ყველამ და თვითეულმა მალე შეიგნოს, თუ რა უაზროა, რა ულირსია ამჟამად ამ გადაუდებელი ამოცანის — შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად უაღრესად ენერგიული მზადების ამოცანის გვერდის ავლა, — თუ რამ-

დენად სახიფათოა დაყოვნება, რამდენად საჭიროა გაერთიანება და შეკავშირება იმ ნაწილობრივი აჯანყებებისა, რომლებიც ყველგან იჩენენ თავს. ეს აფეთქებანი უძლურნი არიან ცალ-ცალკე. მეფის მთავრობის ორგანიზებულ ძალას შეუძლია ერთიმეორის მიყოლებით შემუსროს აჯანყებულნი, თუ მოძრაობა ახევე სტიქიურად-ნელა გადავა ქალაქიდან ქალაქში, რაიონიდან რაიონში. მაგრამ თუ ეს აფეთქებანი გაერთიანდებიან, ისინი შეიძლება შეკავშირდნენ რევოლუციური ცეცხლის ისეთ მძლავრ ნაკადად, რომელსაც წინ ვერ აღუდგება ვერავითარი ძალა დედამიწის ზურგზე. და ეს გაერთიანება მიმდინარეობს, მიმდინარეობს ათასი გზით, რომლებსაც ჩვენ არ ვიცნობთ და რომელთა არსებობა აზრადაც არ მოგვდის. ხალხი სწავლობს რევოლუციის ამ ცალკეული აფეთქებებითა და შეტაკებებით, — ჩვენი საქმე მხოლოდ ის არის, რომ არ ჩამოვრჩეთ მომენტის ამოცანებს, შეგვწევდეს უნარი ყოველთვის ვუჩვენოთ ბრძოლის შემდგომი, უმაღლესი საფეხური, მივიღოთ გამოცდილება და მითითებანი წარსულიდან და აწმყოდან, უფრო გაბედულად და ფართოდ მოვუწოდოთ მუშებსა და გლეხებს იარონ წინ, ხალხის სრული გამარჯვებისაკენ, იმ თვითმპყრობელური ხროვის სრული მოსპობისაკენ, რომელიც ახლა სიკვდილმისჯილის სასოწარკვეთილებით იბრძვის.

რა ხშირად მოიპოვებოდნენ სოციალ-დემოკრატიაში, განსაკუთრებით მის ინტელიგენტურ ფრთაში, ადამიანები, რომლებიც აკნინებდნენ მოძრაობის ამოცანებს, სულმოკლედ კარგავდნენ მუშათა კლასის რევოლუციური ენერგიის რწმენას. ზოგიერთი ახლაც ფიქრობს, რომ რადგან დემოკრატიული გადატრიალება თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური ხასიათით ბურჟუაზიულია, ამიტომ პროლეტარიატი არ უნდა მიისწრაფოდეს მასში ხელმძღვანელი როლისაკენ, უაღრესად ენერგიული მონაწილეობისაკენ, არ უნდა აყენებდეს მეფის ხელისუფლების დამხობისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის დაარსების მოწინავე ლოზუნგებსო. ამბები ასწავლიან ამ ჩამორჩენილ ადამიანებსაც. ამბები ადასტურებენ

საბრძოლო დასკვნებს მარქსიზმის რევოლუციური თეორიიდან. დემოკრატიული რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი არა ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არის ხელსაყრელი. პირიქით, იგი ყველაზე მეტად ხელსაყრელი და ყველაზე მეტად საჭიროა პროლეტარიატისა და გლეხობისათვის. მოვლენები სულ უფრო ცხადად გვიჩვენებენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შესწევს სრული თავისუფლებისათვის, რესპუბლიკისათვის გადამწყვეტი ბრძოლის უნარი, წინააღმდეგ ბურჟუაზიის არასაიმედობისა და მერყეობისა. პროლეტარიატს შეუძლია სათავეში ჩაუდგეს მთელ ხალხს, მიიმხროს გლეხობა, რომელიც თვითმპყრობელობისაგან არაფერს არ უნდა მოელოდეს, გარდა ჩაგვრისა და ძალადობისა, ხოლო ხალხის ბურჟუაზიული მეგობრებისაგან — გარდა ღალატისა და გამცემლობისა. პროლეტარიატს, თანამედროვე საზოგადოებაში თვით თავისი, როგორც კლასის, მდგომარეობის გამო, შეუძლია ყველა სხვა კლასზე ადრე მიხვდეს, რომ დიდი ისტორიული საკითხები საბოლოო ანგარიშით მხოლოდ ძალით წყდება, რომ თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია უდიდესი მსხვერპლის გაუღებლად, რომ ცარიზმის შეიარაღებული წინააღმდეგობა შეიარაღებული ხელით უნდა შეიმუსროს და დაითრგუნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიხილავთ თავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს მოელის თურქეთის ბედი, ხანგრძლივი, მტკივნეული დაქვეითება და გახრწნა, მტკივნეული განსაკუთრებით ყველა მშრომელისათვის და ხალხის ექსპლოატირებული მასებისათვის. დაე ბურჟუაზიამ თავი დაიმციროს და ლაქიობა გამოიჩინოს, იჩარჩოს და იმათხოვროს თავისუფლების უბადრუკი პაროდიის მისაღებად. პროლეტარიატი წავა საბრძოლველად, თან გაიყოლებს ყველაზე საზიზღარი და აუტანელი ბატონყმობითა და აბუჩად აგდებით განაწამებ გლეხობას, წავა სრული თავისუფლებისაკენ, რომლის დაცვაც შეუძლია მხოლოდ შეიარაღებულ ხალხს რევოლუციურ ხელისუფლებაზე დაყრდნობით.

სოციალ-დემოკრატიას მოუფიქრებლად როდი წამოუყენებია აჯანყების ლოზუნგი. იგი ყოველთვის ებრძოდა და შემდეგშიც შეებრძოლება რევოლუციურ ფრაზას, მოითხოვს ძა-

ლების ფხიზელ ანგარიშს და მომენტის ანალიზს. სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ 1902 წლიდან ლაპარაკობდა აჯანყების მომზადებაზე, არასოდეს არ ურევდა ერთმანეთში ამ მომზადებას და ამბოხებათა უაზრო მოწყობას, რომელთა ხელოვნურად მოწყობა მხოლოდ უნაყოფოდ გაანიავებდა ჩვენს ძალებს. და მხოლოდ ახლა, 9 იანვრის შემდეგ, აჯანყების ლოზუნგი მუშათა პარტიის მიერ დღის წესრიგშია დასმული, აღიარებულია აჯანყების აუცილებლობა და მისთვის მზადების ამოცანის გადაუდებლობა. თვითმპყრობელობამ თვითონ გახადა ეს ლოზუნგი მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ ლოზუნგად. თვითმპყრობელობამ მოგვცა სამოქალაქო ომის პირველი ფართო და მასობრივი გაკვეთილები. ეს ომი დაიწყო და წარმოებს სულ უფრო ფართოდ, სულ უფრო მწვავე ფორმით. ჩვენ მხოლოდ უნდა განვაზოგადოთ მისი გაკვეთილები, განვმარტოთ მთელი დიადი აზრი სიტყვებისა «სამოქალაქო ომი», გამოვიტანოთ პრაქტიკული მითითებანი ამ ომის ცალკეულ შეტაკებათაგან, დავრაზმოთ ძალები, უშუალოდ და დაუყოვნებლივ მოვამზადოთ ყველაფერი, რაც ნამდვილი ომისათვის არის საჭირო.

სოციალ-დემოკრატიას არ ეშინია თვალი გაუსწოროს სიმართლეს. იგი იცნობს ბურჟუაზიის მოღალატურ ბუნებას. მან იცის, რომ თავისუფლება მუშას დაწყნარებას, მშვიდობას კი არ მოუტანს, არამედ ახალ, კიდევ უფრო დიდ ბრძოლას სოციალიზმისათვის, ბრძოლას თავისუფლების ახლანდელ ბურჟუაზიულ მეგობრებთან. მაგრამ მიუხედავად ამისა — და სწორედ ამიტომ — თავისუფლება აუცილებლად ესაჭიროებათ მუშებს, თავისუფლება მათ უფრო მეტად ესაჭიროებათ, ვიდრე სხვას ვისმე. მხოლოდ მუშებს შეუძლიათ ხალხის სათავეში იბრძოლონ სრული თავისუფლებისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, და ისინი ამისთვის თავდადებულად იბრძოლებენ.

თქმა არ უნდა, ხალხში ჯერ კიდევ დიდია უმეცრება და სიბეჩავე, ჯერ კიდევ ბევრი შრომაა საჭირო მუშათა თვითშეგნების განვითარებისათვის, გლეხობაზე რომ აღარა ვთქვათ რა. მაგრამ შეხედეთ, რა მალე სწორდება წელში გუშინდელი მო-

ნა, როგორ კიაფობს თავისუფლების ნაპერწკალი ნახევრადმიმქრალ თვალებშიც კი. შეხედეთ გლეხთა მოძრაობას. იგი დაქსაქსულია, შეუგნებელია, ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი სიმართლე ვიცით მისი ოდენობისა და ხასიათის შესახებ. მაგრამ, ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ შეგნებული მუშა და საბრძოლველად აღმდგარი გლეხი ერთმანეთს პირველივე სიტყვებით მიუხვდებიან, რომ სინათლის თვითეული სხივი უფრო შეამჭიდროებს მათ თავისუფლებისათვის საბრძოლველად, რომ მაშინ ისინი საზიზღრად მხდალ და ანგარებიან ბურჟუაზიას და მემამულეებს არ დაუთმობენ თ ა ვ ი ა ნ თ რევოლუციას, იმ დემოკრატიულ რევოლუციას, რომელსაც შეუძლია მიწისა და თავისუფლების მოცემა, მშრომელთა ცხოვრების ყოველმხრივი შემსუბუქება, რამდენადაც ეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაშია შესაძლებელი, სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის საწარმოებლად. შეხედეთ ცენტრალურ სამრეწველო რაიონს. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც იგი ღრმა ძილით შეპყრობილად გვეჩვენებოდა, განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენ გვეგონა, რომ იქ მხოლოდ ნაწილობრივი, დაქსაქსული, წვრილი, პროფესიული მოძრაობაა შესაძლებელი? იქ კი უკვე საყოველთაო გაფიცვა გაჩაღდა. ათეულ და ასეულ ათასობით მუშა აღდგა და ფეხზე დგება. პოლიტიკური აგიტაცია არაჩვეულებრივად იზრდება. იქაური მუშები, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორს არიან გმირული პოლონეთის გმირი პროლეტარიატისაგან, მაგრამ მეფის მთავრობა სწრაფად ანათლებს მათ, სწრაფად აიძულებს «დაეწიონ პოლონეთს».

არა, საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყება ოცნება არ არის. უნიადაგო არ არის ის აზრი, რომ პროლეტარიატი და გლეხობა სავსებით გაიმარჯვებენ ახლანდელ დემოკრატიულ რევოლუციაში. მერე რა დიდ პერსპექტივებს უქმნის ასეთი გამარჯვება ევროპის პროლეტარიატს, რომლის მისწრაფებასაც ბედნიერებისაკენ სამხედრო და მემამულური რეაქცია უკვე მრავალი წელიწადია ხელოვნურად ბოჭავს! რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება სოციალისტური რევოლუციის დაწყების, ჩვენი ძმების, ყველა ქვეყნის შეგნებული პროლეტარების ახალი გამარჯვების სიგნალი იქნება.

პროლეტარიატის მძლავრ და გმირულ ბრძოლასთან შედარებით რა საზიზღრად უბადრუკია ერობის მოღვაწეთა და «ოსვობოჟდენიელთა» ერთგული ქვეშევრდომული გამოსვლა ნიკოლოზ II-ის ცნობილი დარბაზობის დროს. კომედიანტებმა დამსახურებული სასჯელი მიიღეს. ჯერ კიდევ არ შემშრალიყო მელანი, რომლითაც ისინი თავიანთ უხამს აღფრთოვანებულ ანგარიშებს წერდნენ მეფის მწყალობელი სიტყვების შესახებ, ამ სიტყვების ნამდვილმა მნიშვნელობამ რომ ყველას თვალწინ იჩინა თავი ახალ საქმეებში. ცენზურა მძვინვარებს. გაზეთ «რუს»-ის [132] გამოცემა შეაჩერეს მხოლოდ იმისათვის, რომ უაღრესად მოკრძალებული ადრესი დაბეჭდა. პოლიციის დიქტატურა ტრეპოვის მეთაურობით დიდ წარმატებაშია. მეფის სიტყვებს ოფიციალურად ისე განმარტავენ, რომ მან ხალხის წარმომადგენელთა ს ა თ ა თ ბ ი რ ო კრება აღგვითქვა, საუკუნეობით განმტკიცებული და «თვითმყოფი» თვითმპყრობელობა კი უნდა დარჩესო!

აღმოჩნდა, რომ თავად მეშჩერსკის მიერ «გრაჟდანინში» გამოთქმული შეფასება დელეგაციის მიღებისა სწორი იყო. ნიკოლოზმა შესძლო donner le change ერობის მოღვაწეებისა და ლიბერალებისთვისო, — წერდა იგი. ნიკოლოზმა შესძლო მ ა თ ი მ ო ტ ყ უ ე ბ ა!

წმიდა ჭეშმარიტებაა! ერობის მოღვაწეთა და ოსვობოჟდენიელთა ბელადები მოტყუებული დარჩნენ. ახია მათზე. ლაქიური გამოსვლისათვის, კონსტიტუციის შესახებ თავიანთ ნამდვილ გადაწყვეტილებათა და აზრთა დაფარვისათვის, მეფის იეზუიტური სიტყვის პასუხად საზიზღარი დუმილისათვის ისინი სამართლიანად დაისაჯნენ. ისინი მუდამ ევაჭრებოდნენ და ევაჭრებიან, ცდილობენ რა მიიღონ ბურჟუაზიისათვის «უშიშარი» პაროდია თავისუფლებისა. შიპოვი ევაჭრება ბულიგინს, ტრუბეცკოი ევაჭრება შიპოვს, პეტრუნკევიჩი და როდიჩევი ევაჭრებიან ტრუბეცკოის, სტრუვე ევაჭრება პეტრუნკევიჩსა და როდიჩევს. ისინი ვაჭრობენ, «დროებით» თანხმდებიან ერობათა დელეგაციის წმინდა შიპოვისეულ პროგრამას. ამ ჩარჩებს კარგი პასუხი მისცეს... სალდათის ჩექმით ამოჭკრეს პანღური.

ნუთუ რუსეთის ბურჟუაზიული «ოსვობოჟდენიელობის» ბელადთა ეს შერცხვენა მაინც არ იქნება დაწასრულის დასაწყისი? ნუთუ ისინი, ვისაც შეუძლია გულწრფელი და პატიოსანი დემოკრატი იყოს, ახლაც არ შეაქცევენ ზურგს ამ სანაქებო «კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას»? ნუთუ ისინი ვერ მიხვდებიან, რომ უიმედოდ ირცხვენენ თავს და ღალატობენ რევოლუციის საქმეს, მხარს უჭერენ რა «პარტიას», რომელშიც «ერობის ფრაქცია» მუცლით ხოხავს თვითმპყრობელობის წინაშე, ხოლო «განთავისუფლების კავშირი» მუცლით ხოხავს ერობის ფრაქციის წინაშე?

მივესალმებით ერობათა დელეგაციის ფინალს! ნიღაბი ჩამოგლეჯილია. აირჩიეთ, ბატონო მემამულეებო და ბატონო ბურჟუებო. აირჩიეთ, ბატონო განათლებულო ადამიანებო და ყოველგვარი «კავშირების» წევრებო. რევოლუციას ემხრობით თუ კონტრრევოლუციას? თავისუფლების მომხრე ხართ თუ თავისუფლების წინააღმდეგი? ვისაც სურს ნამდვილად იყოს დემოკრატი, მან უნდა იბრძოლოს, მან კავშირი უნდა გაწყვიტოს ქვემძრომებთან და მოღალატეებთან, მან უნდა შექმნას პატიოსანი პარტია, რომელიც პატივს სცემს საკუთარ თავსა და საკუთარ რწმენას, იგი მტკიცედ და საბოლოოდ უნდა მიემხროს შეიარაღებულ აჯანყებას. ხოლო ვისაც სურს განაგრძოს დიპლომატიის თამაში, მოუთავებელი აზრების თამაში, ჩარჩობა და ლაქიობა, ვინც მიმართავს სიტყვიერ მუქარას, რომელიც არავისა სჯერა, და აღფრთოვანებით ხვდება სათაყვანებელი მონარქისაგან წინამძღოლის ადგილის დაპირებას, — ის საჯაროდ შერცხვენილი უნდა იყოს თავისუფლების მომხრეთა საყოველთაო ზიზღით.

ძირს თავისუფლების ბურჟუა მოღალატეები!

გაუმარჯოს რევოლუციურ პროლეტარიატს! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას სრული თავისუფლებისათვის, რესპუბლიკისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის ყველაზე ახლობელი და საარსებო ინტერესებისათვის!

«პროლეტარი» № 6,
1905 წ. 3 ივლისი (20 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

მესამე ნაბიჯი უკან

რსდმპ III ყრილობის რეზოლუციებიდან ყველა ამხანაგმა იცის, თუ როგორი უნდა იყოს პრინციპული და ორგანიზაციული დამოკიდებულება ეგრეთწოდებული უმცირესობისადმი ანუ ახალისკრელებისადმი. III ყრილობამ აღიარა «ეკონომიზმის» ნაშთებთან იდეური ბრძოლის აუცილებლობა და შესაძლებლად სცნო პარტიულ ორგანიზაციებში უმცირესობის მომხრეთა შესვლა იმ პირობით, თუ ისინი სცნობენ პარტიის ყრილობებს და დაემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას. თუკი ეს პირობა შესრულებული არ არის, «უმცირესობის» ყველა ჯგუფი უნდა განვიხილოთ როგორც პარტიის გარეშე მდგომი, ამასთან, ცხადია, პრაქტიკული შეთანხმებანი მათთან დასაშვებია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევენ ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი კომიტეტები, იმავე საფუძველზე, როგორც შეთანხმებანი ბუნდთან და სხვ.

ამჟამად ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ ამხანაგებსს მხოლოდ ზოგიერთი ცნობა პარტიისაგან გამოთიშული უმცირესობის საზღვარგარეთული ნაწილის შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა ყრილობის დამთავრებისთანავე გაუგზავნა წერილი «ლიგასაც» და პარტიის ტექნიკისა და სალაროს გამგეებსაც, — პირველს სთხოვდა გამოეთქვა აზრი III ყრილობისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ, ხოლო უკანასკნელთ — პარტიული ქონება ცენტრალური კომიტეტისათვის გადაეცათ. პასუხი არც ერთ წერილზე არ მიგვიღია. ახალისკრელები არ უარობდნენ მთელი პარტიის სახელით ესარგებლნათ პარტიული სტამბითა და საწყობით, მიეღოთ ფული გერმანიის სო-

ციალ-დემოკრატიისაგან, საერთოდ საზღვარგარეთისაგან, მაგრამ მათ არ ისურვეს პარტიისათვის ჩაებარებინათ ანგარიში პარტიული ქონების გამოყენებისა და პარტიული სახსრების ხარჯვის შესახებ. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ასეთ საქციელს კომენტარი გავუკეთოთ.

სტატიაში III ყრილობის შესახებ («პროლეტარი» № 1*) ჩვენ სურვილი გამოვთქვით, რომ პარტიის გათიშული ნაწილი თავის შიგნით მაინც რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება მტკიცედ ჩამოყალიბდეს: მაშინ უფრო ადვილი იქნება ცალკე შეთანხმებანი და უფრო ნათელი იქნება გზა მომავალი ერთიანობისაკენ. სამწუხაროდ, ჩვენი ეს სურვილიც თურმე თითქმის განუხორციელებელია. უმცირესობის «კონფერენციის» რეზოლუციები ახლა გამოქვეყნებულია (იხ. ფრიად საინტერესო ბროშურა: «პარტიულ მუშაკთა პირველი სრულიად რუსეთის კონფერენცია», «ისკრის» მე-100 ნომრის ცალკე დამატება, აგრეთვე «ისკრის» № 100). ჩვენ დაჟინებით ვურჩევთ ყველა პარტიულ ორგანიზაციას გაეცნოს ამ ბროშურას, რადგან პარტიის გამოთიშულ ნაწილთან იდეური ბრძოლისათვის ამაზე უკეთეს მასალას ვერც კი წარმოვიდგენდით. ეს რეზოლუციები ამქღავნებენ, რომ უმცირესობას სრულებით არ შესწევს უნარი დარაზმოს საკუთარი მომხრეებიც კი. მათ თავისი საკუთარი კონფერენციაც კი ვერ მოიწვიეს: მათი კონფერენცია მოვიწვიეთ ჩვენ, უმრავლესობის კომიტეტთა ბიურომ და ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებმაც III ყრილობის მოწვევა გამოვაცხადეთ. მენშევიკური ორგანიზაციების დელეგატები თავიანთი ორგანიზაციების დავალებით ყრილობაზე მიდიოდნენ და კონფერენციაზე კი მოხვდნენ! კონფერენციამ დაადგინა არ ეცნო III ყრილობის გადაწყვეტილებანი — და გაეუქმებინა II ყრილობაზე მიღებული წესდება პარტიისა! კონფერენციამ ვერ შესძლო ჩამოყალიბებულიყო ყრილობად,— მისი გადაწყვეტილებანი ს ა თ ა თ ბ ი რ ო კრების გადაწყვეტილებანია, რომლებიც ყოველმა ცალკეულმა ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს. კონფერენციის მონაწილეთა სრული სია

* იხ. ეს ტომი, გვ. 523. რ ე დ.

არ არის, არ არის ოქმებიც. მაშასადამე, უმცირესობის ორგანიზაციებს შეუძლიათ მხოლოდ ჰო ან არა უპასუხონ კითხვაზე, სცნობენ თუ არა ისინი ამა თუ იმ რეზოლუციას. ამრიგად, გადამწყვეტი ხმების მიცემის დროს შეუძლებელი იქნება რეზოლუციების ტექსტის სახის შეცვლა და ხმის მიმცემთ არ ეცოდინებათ რეზოლუციების შესახებ კამათის მთელი მსვლელობა. ალაჰმა უწყის, როგორ შეაჯამებენ ამ გადამწყვეტ ხმებს, რომლებიც შეიძლება გაიყოს რეზოლუციის ერთი ნაწილის დამტკიცებისა და მეორე ნაწილის გაუქმების დროს. ჩვენს წინაშეა ბონაპარტისტული პლებისციტების პრინციპი წინააღმდეგ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში საყოველთაოდ მიღებული დემოკრატიული წარმომადგენლობის პრინციპისა. ჩვენთან — სრულუფლებიანი ორგანიზაციების დემოკრატიულად არჩეული და ანგარიშვალდებული წარმომადგენლები თათბირობენ და წყვეტენ. მათთან — წარმომადგენლები პლუს სტუმრები თათბირობენ და წინადადებებს იძლევიან, ხოლო სრულუფლებიანი ორგანიზაციები უკანა რიცხვით ჰოს ან არას ამბობენ. ძნელია წარმოვიდგინოთ სისტემა, რომელსაც ამაზე მეტად შეეძლება დეზორგანიზაცია შეიტანოს სოციალ-დემოკრატებში. პრაქტიკაში პლებისციტების ეს სისტემა ყოველთვის კომედიად იქცევა.

კონფერენციის მიერ მიღებული «საორგანიზაციო წესდება», რომელიც 13 პარაგრაფისაგან შედგება, თავისებური მარგალიტია. იქმნება ექვსსართულიანი პარტიული შენობა შემდეგი წესით ქვევიდან ზევით: 1) ხელმძღვანელი კოლექტივი, 2) კომიტეტი, 3) საოლქო ყრილობა, 4) საოლქო კომიტეტი, 5) კონფერენცია და 6) აღმასრულებელი კომისია. საერთოდ რომ ვთქვათ, ქვედა კოლეგია ირჩევს ზედას. მაგრამ ურთიერთობა ხელმძღვანელ კოლექტივსა და კომიტეტს შორის განისაზღვრება არა არჩევნების პრინციპით, არამედ «შეთანხმების» პრინციპით, როგორც ახალისკრელები ფიქრობენ, ანუ «არევ-დარევის» პრინციპით, როგორც ჩვენ გვგონია. ერთი მხრივ, მთელი კომიტეტი შედის ხელმძღვანელი კოლექტივის შემადგენლობაში არა მარტო რაიონული კომიტეტების, არამედ აგრეთვე «მოსახლეობის განსაკუთრებულ ფენებს შორის მომუ-

შავე ჯგუფების» ყველა წევრთან ერთად. მეორე მხრივ, «რაიონულ კომიტეტში შედის აგრეთვე კომიტეტის წარმომადგენელი»!! ერთი მხრივ, ყველა არსებითი გადაწყვეტილება ხელმძღვანელი კოლექტივისაგან უნდა გამომდინარეობდეს, მეორე მხრივ, სასწრაფო შემთხვევებში კომიტეტი მოქმედებს დამოუკიდებლად «ვიდრე რაიონულ კომიტეტებს შეეკითხებიან (!)». მესამე მხრივ, «კომიტეტი მოვალეა რაიონულ კომიტეტებს პერიოდულად ჩააბაროს ანგარიში თავისი მოქმედების შესახებ». თუ კომიტეტს უნდობლობას გამოუცხადებს რაიონული კომიტეტების წევრთა უმრავლესობა, ხდება მისი რეორგანიზაცია «საოლქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების შეთანხმებით». სხვა პარტიული ორგანიზაციების (მათ შორის რაიონული კომიტეტისაც) არც უფლებანი, არც შემადგენლობა სრულებით არ არის განსაზღვრული. პარტიის წევრობის ცნება, რომლის გამო მენშევიკები პრინციპულად იბრძოდნენ II ყრილობაზე, სრულიად უკუგდებულია! დღემდე პრინციპი ერთი და იმავე ორგანიზაციისა ან პარტიის წევრების «შეთანხმებისა», რომელნიც პროგრამისა და ტაქტიკის ყველა არსებით საკითხში შეხმატკბილებული არიან, ანარქიზმის პრინციპად ითვლებოდა. მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატები ასეთ შემთხვევებში ახორციელებდნენ და ახორციელებენ უმრავლესობისათვის უმცირესობის დამორჩილების პრინციპს. ახალისკრელებს სურთ უჩვენონ ქვეყნიერებას იმის უჭკნობი ნიმუში, თუ როგორ შეიძლება უაღრესად «პოეტური» უწესრიგობით აირიოს ერთმანეთში ორივე ეს პრინციპი. ამას წინათ როგორღაც თვალში მოგვხვდა ერთი გერმანული გაზეთის ეკზემპლარი დევიზით: «Weder Autorität noch Majorität» — «არც ავტორიტეტი, არც უმრავლესობა». ეს არის ახალისკრული ორგანიზაცია-პროცესის მონათესავე პრინციპი. ეს გაზეთია გერმანელ ანარქისტთა ორგანო: «Der Anarchist» *.

ცენტრის («მთელი პარტიული მუშაობის გამაერთიანებელი ორგანოს») არჩევის დროს ახალისკრელები პირდაპირ არჩევ-

* — «ანარქისტი». რ ე დ.

ნებთან შედარებით უპირატესობას აძლევენ არაპირდაპირ არჩევნებს, არჩევნებს ამრჩევლების საშუალებით. აღმასრულებელი კომისიის არჩევა ხდება არა პირდაპირ ხელმძღვანელი კოლექტივების წარმომადგენელთა მიერ, არამედ ოთხსაფეხურიანი არჩევნების საშუალებით! ალაჰმა უწყის, ასე უცებ რათ შეიძულეს პირდაპირი არჩევნები. ზოგი ფიქრობს: ახალისკრელებზე თავისი მაგალითით გავლენა ხომ არ იქონია ბ-ნმა სტრუვემ, რომელსაც სურს ზედა პალატისათვის შემოიღოს საყოველთაო, მაგრამ არა პირდაპირი არჩევნებიო? კვლავ მარტო ალაჰმა უწყის, სახელდობრ როგორ გატარდება ეს ოთხსაფეხურიანი არჩევნები, რადგან ამის შესახებ «წესდებაში» ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

თავისთავად იგულისხმება, რომ სასაცილო იქნებოდა სერიოზულად მოვკიდებოდით ამ წესდებას, რომლის მშვენიერებანი ჩვენ სრულიადაც არ ამოგვიწურავს. იგი არასოდეს არ იქნება გამოყენებული. ექვსსართულიანი ურმის აშენება კიდევაც რომ მოხერხდეს, იგი ადგილიდან მაინც ვერ დაიძვრის. ამ წესდების მნიშვნელობა პრინციპულია და არა პრაქტიკული. ეს «ორგანიზაცია-პროცესის» ცნობილი თეორიის საუცხოო, უბადლო ილუსტრაციაა. ამიერიდან ბრმაც კი დაინახავს, რომ ორგანიზაცია-პროცესი დეზორგანიზაციაა. დღემდე მენშევიკები გამოდიოდნენ დეზორგანიზატორებად თავიანთი ოპონენტების მიმართ, II ყრილობისა და მის მიერ შექმნილი ორგანოების მიმართ. ახლა მენშევიკები გამოდიან დეზორგანიზატორებად თავიანთ თანამოაზრეთა მიმართ. ეს უკვე დეზორგანიზაციის ნამდვილი გადაქცევაა პრინციპად.

ჩვენ არ გვაკვირვებს, რომ მენშევიკებმა თავისი საკუთარი წესდების დარღვევით დაიწყეს. რუსეთის არავითარი დაყოფა ოლქებად მათ არ დაუსახავთ. არავითარი აღმასრულებელი კომისია, თუნდაც წინასწარ, კომიტეტებისა და ორგანიზაციების დამტკიცებამდე მათ არ აურჩევიათ. კონფერენციამ აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელიც წესდებით გათვალისწინებული არ არის, და მისცა მას განსაკუთრებული დავალებანი! ახლა საშინლად გაძნელებულია თვით დროებითი და კერძო შეთანხმებანი მენშევიკებთან, რადგან ამ საორგანიზაციო კო-

ბისიას არავითარი ოფიციალური მდგომარეობა არ უკავია და მის ნაბიჯებს არ შეიძლება რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ვისაც სურს მენშევიკებთან იქონიოს საქმე, დაე გაისარჯოს და მიმართოს მათს ყოველ ცალკე ორგანიზაციას და ყოველ ცალკე «პანსაც» კი, რომელსაც შეუძლია თქვას: «ნებას არ გაძლევთ!».

ბოლოს, განსაკუთრებით გასაოცარია, რომ უმცირესობის «წესდებაში» სრულებით არაფერია ნათქვამი პარტიულ ორგანოებსა და საერთოდ პარტიულ ლიტერატურაზე. ორგანოები არის («ისკრა», «სოციალ-დემოკრატი»[133]) და იქნება, მაგრამ ა რ ა ვ ი თ ა რ კავშირს მათსა და პარტიას შორის კონფერენციის მიერ მიღებული «წესდება» არ აწესებს. გასაოცარი რამ არის, მაგრამ ეს სინამდვილეა. ლიტერატორები პარტიის გარეშე, პარტიის ზევით იმყოფებიან. არავითარი კონტროლი, არავითარი ანგარიში, არავითარი მატერიალური დამოკიდებულება. ეს რაღაც იმის მსგავსია, რაც საფრანგეთის სოციალისტების ოპორტუნიზმის ყველაზე უარეს ხანაში იყო: პარტია თავისთვისაა, ლიტერატორები თავისთვის. ამ თვალსაზრისით, იქნებ, შემთხვევითი არ არის კონფერენციის შემდეგი დადგენილება. რეზოლუცია პ ა რ ტ ი უ ლ ი (?) ლიტერატურის შესახებ: «კონფერენცია საჭიროდ თვლის 1) რომ საორგანიზაციო კომისიამ მიიღოს ზომები, რათა პარტიულ ლიტერატორებს მეტი შესაძლებლობა მიეცეთ ლეგალურ პრესაში აწარმოონ ბრძოლა პარტიის თეორიული პრინციპებისათვის». ეს არის მენშევიკური ორგანიზაციის ერთგვარი პროტოტიპი: არაპასუხისმგებელი და «დამოუკიდებელი», შეუნაცვლებელი და შეუცვლელი, «პარტიული ლიტერატორების ჯგუფი». ხოლო მათთან არის კომისია, რომელიც ზრუნავს... ლეგალური გამომცემლობისათვის!

ორგანიზაციის ამ ტიპზე ძნელია სერიოზულად ლაპარაკი. რაც უფრო ახლოვდება რევოლუცია, რაც უფრო ახლოვდება «ლეგალურ» პრესაში სოციალ-დემოკრატების აშკარა გამოსვლის შესაძლებლობა, პროლეტარიატის პარტიამ მით უფრო სასტიკად უნდა დაიცვას პარტიის წინაშე «პარტიული ლიტე-

რატორების» აუცილებელი პასუხისმგებლობის, პარტიაზე მათი დამოკიდებულების პრინციპი.

რაც შეეხება კონფერენციის ტაქტიკურ რეზოლუციებს, ისინი შესანიშნავად ადასტურებენ III ყრილობის განცხადებას სოციალ-დემოკრატიის ელფერებზე, რომელნიც «ეკონომიზმს ენათესავებიან», «პარტიული მუშაობის მასშტაბის შეზღუდვაზე». აღარას ვიტყვით იმაზე, რომ არაჩვეულებრივი დაუდევრობით არის რედაქტირებული რეზოლუციები, რომლებიც აზრების მონასახს, აფორიზმებს, მსჯელობას და შავად ჩანაწერებიდან ამოღებულ ნაწყვეტებს უფრო ჰგვანან. ამ მხრივ კონფერენციის რეზოლუციებს მხოლოდ ««განთავისუფლების კავშირის» პროგრამა» თუ გაუწევს მეტოქეობას. ჩვენს წინაშეა არა ზუსტი, ნათელი დირექტივები, რომლებსაც პარტიის უმაღლესი ორგანო იძლევა, არამედ... ზოგიერთი პარტიული ლიტერატორის კალმის სინჯვა.

აიღეთ მათი შინაარსი. აჯანყების მწვავე საკითხზე იმას კი არ გეტყვიან, რომ იგი «აუცილებელი» გახდა, რომ საჭიროა განმარტებულ იქნას მისი არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ «პრაქტიკულ-ორგანიზაციული მხარეც», რომ საჭიროა ამ მიზნით «პროლეტარიატის დარაზმვა» და «საჭიროების მიხედვით განსაკუთრებული ჯგუფების შექმნა» (III ყრილობის რეზოლუცია). არა. თქვენ ჯერ გეტყვიან, დანიშნული ვადისათვის აჯანყების შეფარდებისა და კონსპირაციულ-ორგანიზაციული საშუალებებით მისი მომზადების შესაძლებლობა «გამორიცხულიაო», — ხოლო შემდეგ წაიკითხავთ, რომ აგიტაციისა და ორგანიზაციის გაფართოების დროს შესაძლოა სტიქიური მოძრაობის გადაქცევა «გეგმაზომიერ აჯანყებებადაო». და ამ არევდარევამ იდეური ხელმძღვანელობა უნდა მისცეს პროლეტარიატის პარტიას! რსდმპ მესამე ყრილობა ი მ ე ო რ ე ბ ს და ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს ყველა ძველ ჭეშმარიტებას პროპაგანდის, აგიტაციის, საერთო დემოკრატიული მოძრაობისა და სხვ. შესახებ, მაგრამ ამას უ მ ა ტ ე ბ ს ახალ ამოცანას: აჯანყებისათვის პროლეტარიატის დარაზმვას, თავისუფლებისათვის ბრძოლის, გადამწყვეტი ბრძოლის ა ხ ა ლ ი ხერხების «პრაქტიკულ-ორგანიზაციული

მხარის» გამორკვევას. კონფერენცია ლაპარაკობს მხოლოდ «აჯანყების მომზადებაზე» საზოგადოდ, იმეორებს მხოლოდ გაცვეთილ აზრებს აგიტაციასა და ორგანიზაციაზე საზოგადოდ, ვერ გაუბედნია დამოუკიდებლად დასახოს რაიმე ახალი ამოცანა, არ იძლევა არავითარ სახელმძღვანელო ლოზუნგს იმის შესახებ, რომ ზოგადი მზადებიდან, რაზედაც ჩვენ 1902 წლიდან ვლაპარაკობთ, საჭიროა გადაიდგას ნაბიჯი საქმის პრაქტიკულ-ორგანიზაციული დაყენებისაკენ. ზედგამოჭრილი ძველი ეკონომისტები არიან. როცა სცენაზე პოლიტიკური ბრძოლის ახალი ამოცანები გამოჩნდა, დაიწყეს მათი დაკნინება, საფეხურებად დახურდავება, ეკონომიური ბრძოლის ამოცანებისათვის დაქვემდებარება.

არა მარტო ეკონომიური ბრძოლა, არამედ პოლიტიკურიც უაღრესად ფართო და გაბედული ფორმებითაო, ამბობდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატები. პოლიტიკური აგიტაციის საუკეთესო საშუალება ეკონომიური ბრძოლაოო, უპასუხებდნენ ეკონომისტები. არა მარტო პროპაგანდა და აგიტაცია საზოგადოდ, ამბობენ ახლა რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, არა მარტო აჯანყების პოლიტიკური მნიშვნელობის გამორკვევა, არამედ განსაკუთრებული ჯგუფების შექმნაც, პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყება, «პროლეტარიატის შესაიარაღებლად უაღრესად ენერგიული ზომების მიღება». გეგმაზომიერი აჯანყება გამორიცხულია, უპასუხებენ ახალისკრელები, საჭიროა აგიტაციის გაფართოება, ორგანიზაციის განმტკიცება, იმის მომზადება, რომ სტიქიური გადაიქცეს გეგმაზომიერად; მხოლოდ ამ ნიადაგზე «შეიძლება აჯანყების მომენტის მოახლოება», «შეიძლება მეტ-ნაკლებად სერიოზული მნიშვნელობა მოიპოვოს ტექნიკურ-საბრძოლო მზადებამ»...

მათთვის ჯერ კიდევ არ «მოახლოებულა» აჯანყების მომენტი! მათთვის პრაქტიკულმა მზადებამ ჯერ კიდევ მხოლოდ «შეიძლება მოიპოვოს» «მეტ-ნაკლებად სერიოზული მნიშვნელობა»! განა ეს წმინდა წყლის მაჩანჩალობა არ არის? განა ეს იმ «გადაუდებელი» (III ყრილობის აზრით) ამოცანის დაკნინება არ არის, რომლის შესასრულებლადაც ჩვენ ჯერ კიდევ

ძლიერ ცოტა რამ გავაკეთეთ? განა ეს ადამიანები უკან არ იხევენ, აჯანყებიდან აგიტაციისაკენ, როგორც ეკონომისტები პოლიტიკური ბრძოლიდან უკან იხევდნენ მეპატრონეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლისაკენ? წაიკითხეთ, «ოსვობოჟდენიეს» 71-ე ნომერში როგორ უკან იხევს ბ-ნი სტრუვე ლოზუნგიდან: შეიარაღებული აჯანყება, როგორ უარყოფს ლიბერალური ბურჟუაზიის ეს ბელადი მის აუცილებლობას (გვ. 340), როგორ ცდილობს იგი დაამციროს მნიშვნელობა «რევოლუციისა ტექნიკური აზრით», როგორ «ა ღ რ მ ა ვ ე ბ ს» იგი აჯანყების ლოზუნგს «სოციალურ-ფსიქიკურ პირობებზე» მითითებით, როგორ ცვლის იგი ამ ლოზუნგს «დემოკრატიული გარდაქმნის იდეებით მასების გამსჭვალვის» ლოზუნგით, — და თქვენ მიხვდებით, თუ რა უაღრესად გამხრწნელ გავლენას უნდა ახდენდეს პროლეტარიატზე ახალისკრელთა მაჩანჩალობა, თუ ვისთვის არის იგი ხელსაყრელი.

მეორე არსებითი პოლიტიკური საკითხია: დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ. III ყრილობის რეზოლუცია მას ნათლად და გარკვეულად აყენებს. დასაბუთებაში აღნიშნულია ბრძოლა რესპუბლიკისათვის; მისი მოპოვების შესაძლებლობა აჯანყების მხოლოდ სრული გამარჯვების დროს; აუცილებლობა დამფუძნებელი კრების მოწვევისა დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის ნამდვილი უზრუნველყოფისათვის; რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად ბურჟუაზიასთან ბრძოლის მზადების აუცილებლობა. ყრილობის დასკვნები და დირექტივები: პროლეტარიატს უნდა განვუმარტოთ დროებითი რევოლუციური მთავრობის აუცილებლობა. ამ მთავრობას პროლეტარიატმა უნდა წარუდგინოს ზუსტად გარკვეული მოთხოვნები, სახელდობრ: მთელი პროგრამა-მინიმუმის განხორციელება. სოც.-დემ. მონაწილეობა მთავრობაში (მოქმედება «ზევიდან») დასაშვებია; ამ მონაწილეობის მიზანი ზუსტად არის აღნიშნული (ულმობელი ბრძოლა კონტრრევოლუციასთან და მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესების დაცვა). მონაწილეობის პირობები არა ნაკლებ გარკვეულად არის აღნიშნული; ფორმა-

ლური პირობა — პარტიის სასტიკი კონტროლი; მატერიალური პირობა, ე. ი. მონაწილეობის მიზანშეწონილობის პირობა, — სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობის განუხრელი დაცვა, სოციალისტური გადატრიალების პირობათა მომზადება. აქ ჩამოთვლილია პირობები მთავრობაში მონაწილეობისა, პირობები ზევიდან გავლენის მოხდენისა, როგორც საქმიანობის ახალი, მხოლოდ რევოლუციური ეპოქის დამახასიათებელი ფორმისა, და ამას ემატება მითითება ქვევიდან იმ მუდმივი და ყოველ შემთხვევაში აუცილებელი გავლენის ფორმებსა და მიზანზე, რომელიც დროებითს რევოლუციურ მთავრობაზე უნდა მოახდინოს შეიარაღებულმა პროლეტარიატმა სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით. საერთოდ და მთლიანად, ჩვენს წინაშეა სრული პასუხი ახალ პოლიტიკურ საკითხზე, ზუსტად არის აღნიშნული ბრძოლის ახალი ფორმების მნიშვნელობა, მათი მიზანი, ამ ბრძოლის პროგრამა, რა პირობებით შეიძლება დაშვებულ იქნას ეს ფორმები.

კონფერენციის რეზოლუციაში კი როგორღაა? ეს რეზოლუცია იწყება უაღრესად არასწორი მტკიცებით, თითქოს «ცარიზმზე რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვება» შეიძლება აღინიშნოს ან დროებითი მთავრობის დაარსებით, «ან ამა თუ იმ წარმომადგენლობითი დაწესებულების რევოლუციური ინიციატივით, დაწესებულებისა, რომელიც, ხალხის უშუალო რევოლუციური ზეგავლენით, გადაწყვეტს შეიქმნას საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება».

შეიძლება და საჭიროც არის მიეცეს პარტიას ტაქტიკური მითითებანი აჯანყების გამარჯვების შემთხვევისთვისაც და დამარცხების შემთხვევისთვისაც, რევოლუციური გზით ნამდვილად დამფუძნებელი კრების მოწვევის შემთხვევისთვისაც და იმ შემთხვევისთვისაც, თუ მეფე მოიწვევს სახალხო წარმომადგენლობის რომელიღაც კარიკატურას. მაგრამ გადამწყვეტი გამარჯვება რომ დაერქვას იმას, რასაც აკლია გამარჯვების ყველაზე გადამწყვეტი პირობა, ეს ნიშნავს არევდარევის შეტანას რევოლუციურ შეგნებაში და არა მის ხელმძღვანელობას. ყოველი წარმომადგენლობითი დაწესებულების ყოველი «გადაწყვეტილება» დამფუძნებელი კრების შექმნის შესახებ

ისევე დაშორებულია გადამწყვეტ გამარჯვებას, როგორც სიტყვა დაშორებულია საქმეს, რადგან მეფის მთავრობას ხელთ უპყრია ძალა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს სიტყვის გადაქცევას საქმედ. ახალისკრელთა რეზოლუცია ზედმიწევნით ჰგავს ძველი ეკონომისტების მტკიცებას, რომ მუშების გადამწყვეტი გამარჯვება შეიძლება იყოს ან მათ მიერ 8-საათიანი სამუშაო დღის მოპოვება, ან მთავრობის მიერ 10-საათიანი სამუშაო დღის ბოძება, რომლიდანაც მუშები 9-საათიან სამუშაო დღეზე გადავლენო.

კონფერენციის რეზოლუცია იმეორებს მარქსიზმის უდავო დებულებებს დემოკრატიული რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ, მაგრამ მათ ვიწროდ და არასწორად განმარტავს. ნაცვლად რესპუბლიკის საბრძოლო ლოზუნგისა ჩვენ გვაძლევენ «მონარქიული წყობილების ლიკვიდაციის» პროცესის აღწერას. ნაცვლად იმისა, რომ მიგვითითონ «ზევიდან» ბრძოლის იმ ა ხ ა ლ ი ხერხის პირობებსა და ამოცანებზე, რომელიც შესაძლო და აუცილებელია რევოლუციის ეპოქაში პროლეტარული აჯანყების წარმატების დროს, ჩვენ გვაძლევენ დებულებას «დავრჩეთ უკიდურესი რევოლუციური ოპოზიციის პარტიად». ეს დებულება ძალიან კარგია საპარლამენტო ბრძოლისათვის, ძალიან კარგია ქვევიდან მოქმედებისათვის, მაგრამ იგი საკმაო არ არის სწორედ აჯანყების დროს. ასეთ დროს «ოპოზიციის» ამოცანაა მთავრობის ძალდატანებით დამხობა, ამ საკითხზე კი კონფერენციამ ვერ მოგვცა სახელმძღვანელო ლოზუნგი.

კონფერენციის რეზოლუციას დასაშვებად მიაჩნია ძალაუფლების ნაწილობრივი და ეპიზოდური «დაპყრობა» ცალკე ქალაქებსა და რაიონებში, და უარყოფს ახალი «ისკრის» «პრინციპს», თითქოს დროებითს რევოლუციურ მთავრობაში ბურჟუაზიასთან ერთად მონაწილეობის მიღება პროლეტარიატისადმი ღალატი იყოს, მილიერანიზმი იყოს და სხვ.. ნაწილობრივი და ეპიზოდური ღალატი მაინც ღალატად რჩება. მაგრამ ამოცანის შემოფარგვლა ცალკე ქალაქებით ან რაიონებით კი

არ წყვეტს მას, არამედ მხოლოდ ფანტავს ყურადღებას, აქუცმაცებს საკითხს და ხლართავს მას. ბოლოს, ლოზუნგი: «რევოლუციური კომუნები», რომელიც კონფერენციის რეზოლუციაშია მოცემული, თავისი გაურკვევლობით უბრალო ფრაზას უახლოვდება და განსხვავდება ლოზუნგისაგან: პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

ახალისკრელთა მთელ რეზოლუციას დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ იგივე ცოდვა ახასიათებს, რაც მათს რეზოლუციას აჯანყების შესახებ: მომენტის ახალი ტაქტიკური ამოცანების განსაზღვრის უნარის უქონლობა, გაცვეთილი აზრების განმეორება წინსვლისათვის მოწოდების ნაცვლად, დემოკრატიულ რევოლუციაში მოწინავე კლასისათვის სახელმძღვანელო ლოზუნგის უქონლობა, ამ კლასის ამოცანებისა და საქმიანობის ფარგლების, მისი რევოლუციური ენთუზიაზმისა და რევოლუციური ენერგიის დაკნინება. ამ შემცდარი ტაქტიკური ხაზის პოლიტიკური ტენდენციაა — ახალისკრელობის დაახლოება ოსვობოჟდენიელობასთან, დემოკრატიულ გადატრიალებაში ხელმძღვანელი როლის დათმობა ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, პროლეტარიატის გადაქცევა მის უბრალო დანამატად.

აღნიშნული ძირითადი ნაკლი ემჩნევა კონფერენციის დანარჩენ, ნაკლებ მნიშვნელოვან რეზოლუციებსაც. მაგალითად, ნაცვლად ლოზუნგისა: რევოლუციური გზით 8-საათიანი სამუშაო დღის განხორციელება (III ყრილობის რეზოლუცია), მოცემულია მხოლოდ ძველი, დღევანდელი მომენტისათვის არასაკმაო ლოზუნგი აგიტაციისა 8-საათიანი სამუშაო დღის საკანონმდებლო გზით დაწესების სასარგებლოდ. გლეხთა რევოლუციური კომიტეტების დაუყოვნებლივ შექმნის ნაცვლად მოცემულია მხოლოდ წინადადება, რომ მათი დაარსება დამფუძნებელ კრებას მოეთხოვოს. ნაცვლად ლოზუნგისა: ბრძოლა ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი მოძრაობის არათანამიმდევრობის, შეზღუდულობისა და უკმარისობის წინააღმდეგ, ყველგან, სადაც კი ეს თვისებანი თავს იჩენენ (III ყრილობის რეზოლუცია), — კონფერენციის რეზოლუცია, იმეორებს რა

სტაროვერის შეცდომას, ისახავს ქიმერულ ამოცანას: «ლაკმუსის ქაღალდი» აღმოაჩინოს, ჩამოთვალოს «პუნქტები», რომელთა შესრულებაც ნებას გვაძლევს ბურჟუაზიულ დემოკრატს ხალხის პირუთვნელი მეგობარი ვუწოდოთ. ახალისკრელთა რეზოლუციის «პუნქტები», რასაკვირველია, თავიდანვე არასრული აღმოჩნდა. არ არის რესპუბლიკის ლოზუნგი. გამოდის, რომ ამ «პუნქტებს» შეესაბამება ისეთი დემოკრატიული ჯგუფი, როგორიცაა «რუს. განთავისუფლ. კავშირი» («პროლეტარი», № 4 *), თუმცა ნამდვილად არავითარი გარანტია არ არის, რომ ამ ჯგუფში ოსვობოჟდენიელები არ სჭარბობდნენ.

თავისთავად იგულისხმება, რომ საგაზეთო სტატიაში ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ზოგადად და მოკლედ აღგვენიშნა ძირითადი შეცდომა ახალისკრელობის მთელი ტაქტიკური ხაზისა, რომელიც კონფერენციის რეზოლუციებში გამოიხატა. რამდენადაც არასერიოზულია მათი «ორგანიზაცია-პროცესი», იმდენად სერიოზული და მნიშვნელოვანია პარტიისათვის მათი ტაქტიკის შემცდარი ტენდენციები. ამიტომ ამ ტენდენციებს დაწვრილებით გავარჩევთ განსაკუთრებულ ბროშურაში, რომელიც უკვე იბეჭდება და უახლოეს მომავალში გამოვა[134].

«პროლეტარი» № 6,
1905 წ. 3 ივლისი (20 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 592 — 606. რ ე დ.

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს

ძვირფასო მოქალაქენო!

«პროლეტარის» რედაქციამ დღეს დეპეშა მიიღო ბერლინიდან. ერთი ამხანაგი გვთხოვს ვაცნობოთ საერთაშორისო ბიუროს, რომ, თანახმად «Berliner Tageblatt»-ის * კერძო დეპეშისა, რუსეთის მთავრობამ სთხოვა სახელმწიფოებს გაგზავნონ თავიანთი სტაციონერები კონსტანტინეპოლიდან ოდესაში, რათა დაეხმარონ მას წესრიგის აღსადგენად.

სავსებით შესაძლებელია, რომ რუსეთის მთავრობა, რაკი თავის საკუთარ საზღვაო ძალებს ვეღარ ენდობა, შეეცდება აიძულოს ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო გემები იბრძოლონ რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ ოდესაში მ ც ხ ო ვ რ ე ბ უცხოელთა დაცვის საბაბით.

ამრიგად, არსებობს იმის დიდი საფრთხე, რომ ევროპელი ხალხები აიძულონ რუსეთის თავისუფლების ჯალათთა როლი შეასრულონ. ამიტომ გთხოვთ, ძვირფასო მოქალაქენო, განიხილოთ ეს საკითხი და გამონახოთ საშუალება ამ შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად. იქნებ შესაფერი იყოს გამოაქვეყნოთ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სახელით მიმართვა ყველა ქვეყნის მუშებისადმი. ამ მიმართვაში საჭირო იქნებოდა იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ რუსეთში ხდება არა ბრბოს ამბოხებანი, არამედ რევოლუცია, ბრძოლა თავისუფლებისათვის, რომ ამ ბრძოლის მიზანია მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, რომელსაც მოითხოვს ყველა პროგრესული პარტია, განსაკუთრებით სდმპ. იქნებ ასეთმა მიმართ-

* — «ბერლინის ყოველდღიური გაზეთი». რ ე დ.

ვამ, როდესაც ის თარგმნილი იქნება ყველა ენაზე, დაიბეჭდება მთელი მსოფლიოს სოციალისტურ გაზეთებში, გავრცელდება ყველა საშუალებით, რაც კი შეიძლება ჩვენს განკარგულებაში მოიპოვებოდეს, შესძლოს გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ აზრზე და ჩაშალოს რუსეთის მთავრობის გეგმები, რომლებიც დამღუპველი იქნება თავისუფლებისათვის.

იმედი გვაქვს გვაცნობებთ თქვენს აზრს ამის თაობაზე.

მიიღეთ, ძვირფასო მოქალაქენო, ჩვენი ძმური სალამი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტის სახელით

ნ. ლ ე ნ ი ნ ი (ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი)

დაწერილია 1905 წ. 21 ივნისს (4 ივლისს)
პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 2 თებერვალს
გაზეთ «Le Peuple»-ში («ხალხი») № 33

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა

რა სურთ პოლიციასა და მოხელეებს?	რა სურთ ყველაზე ლიბერალურ ბურჟუებს (ოსვობოჟდენიელებს ანუ კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას)?	რა სურთ შეგნებულ მუშებს (სოციალ-დემოკრატებს)?
— თვითმპყრობელური მონარქია.	— კონსტიტუციური მონარქია.	— დემოკრატიული რესპუბლიკა.

რაში მდგომარეობს სახელმწიფო წყობილების ეს წესები?

თვითმპყრობელური მონარქია	კონსტიტუციური მონარქია	დემოკრატიული რესპუბლიკა
1. მეფე — თვითმპყრობელი მონარქი.	1. მეფე—კონსტიტუციური მონარქი.	1. არავითარი მეფე.
2. სახელმწიფო საბჭო (მეფის მიერ დანიშნული მოხელეები).	2. ხალხის წარმომადგენელთა ზედა პალატა (არაპირდაპირი, არა სავსებით თანასწორი და არა სავსებით საყოველთაო არჩევნები).	2. არავითარი ზედა პალატა.

3. სახელმწიფო სათათბირო ანუ ხალხის წარმომადგენელთა სათათბირო პალატა (არა პირდაპირი, არა თანასწორი და არა საყოველთაო არჩევნები).	3. ქვედა პალატა (საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნები ფარული კენჭის ყრით).	3. ერთი რესპუბლიკური პალატა (საყოველთაო პირდაპირი და თანასწორი არჩევნები ფარული კენჭისყრით).

რა მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფო წყობილების ამ წესებს?

თვითმპყრობელური მონარქია	კონსტიტუციური მონარქია	დემოკრატიული რესპუბლიკა
1 და 2. პოლიციისა და მოხელეების სრული ბატონობა ხალხზე.	1. მესამედი წილი ძალაუფლებისა პოლიციასა და მოხელეებს, მეფის მეთაურობით.	1. არავითარი დამოუკიდებელი ძალაუფლება არც პოლიციას, არც მოხელეებს; მათი სრული დამორჩილება ხალხისადმი.
3. სათათბირო ხმა მსხვილ ბურჟუაზიასა და მდიდარ მემამულეებს..	2. ძალაუფლების მესამედი წილი მსხვილ ბურჟუაზიასა და მდიდარ მემამულეებს.	2. არავითარი პრივილეგია არც კაპიტალისტებს, არც მემამულეებს.
— არავითარი ძალაუფლება ხალხს.	3. ძალაუფლების მესამედი წილი მთელ ხალხს.	3. მთელი ძალაუფლება, ერთიანი, სრული და განუყოფელი ძალაუფლება მთელ ხალხს.

რას უნდა ემსახურებოდნენ სახელმწიფო წყობილების ეს წესები?

თვითმპყრობელური მონარქია	კონსტიტუციური მონარქია	დემოკრატიული რესპუბლიკა
იმას, რომ ყველაზე უკეთ ცხოვრობდნენ მეფის კარისკაცები, პოლიცია და მოხელეები; — რომ მდიდრებს შეეძლოთ როგორც ნებავთ ძარცონ მუშები და გლეხები; — რომ ხალხი სამუდამოდ რჩებოდეს უუფლებობასა, სიბნელესა და უმეცრებაში.	იმას, რომ პოლიცია და მოხელეები დამოკიდებული იყვნენ კაპიტალისტებსა და მემამულეებზე; — რომ კაპიტალისტებს, მემამულეებსა და მდიდარ გლეხებს შეეძლოთ თავისუფლად და გულდამშვიდებით, უფლების ძალით, და არა თვითნებურად, ძარცონ ქალაქისა და სოფლის მუშები.	იმას, რომ თავისუფალმა განათლებულმა ხალხმა ისწავლოს მთელი თავისი საქმეების თვითონ გაძღოლა, ხოლო რაც მთავარია, იმას, რომ მუშათა კლასს შეეძლოს თავისუფლად იბრძოდეს სოციალიზმისათვის, ისეთი წესწყობილებისათვის, როცა ·ალარ იქნებიან მდიდრები და ღარიბები, როცა მთელი მიწა, მთელი ფაბრიკები და ქარხნები ყველა მშრომელის კუთვნილება იქნება.

დაბეჭდილია 1905 წ. ივნის — ივლისში
ცალკე ფურცლად

იბეჭდება ფურცლის
ტექსტის მიხედვით

რევოლუციური არმია
და რევოლუციური მთავრობა

ოდესაში მომხდარი აჯანყება და რევოლუციის მხარეზე ჯავშნოსან «პოტიომკინის» გადასვლა მოასწავებს ახალი და დიდი ნაბიჯის გადადგმას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. მოვლენებმა განსაცვიფრებელი სისწრაფით დაადასტურეს, თუ რაოდენ დროული იყო მოწოდებანი აჯანყებისაკენ და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ, — მოწოდებანი, რომლებითაც მიმართეს ხალხს პროლეტარიატის შეგნებულმა წარმომადგენლებმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის სახით. რევოლუციური ალის ახალი აგიზგიზება შუქსა ჰფენს ამ მოწოდებათა პრაქტიკულ მნიშვნელობას და გვიკარნახებს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ რევოლუციურ მებრძოლთა ამოცანები ახლანდელ მომენტში, რომელსაც რუსეთი განიცდის.

საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყება ჩვენს თვალწინ მწიფდება და ეწყობა მოვლენათა სტიქიური მსვლელობის გავლენით. არც ისე შორსაა ის დრო, როცა თვითმპყრობელობასთან ხალხის ბრძოლის ერთადერთ გამოხატულებას წარმოადგენდა ა მ ბ ო ხ ი, ე. ი. შეუგნებელი, არაორგანიზებული, სტიქიური, ზოგჯერ ველური არეულობა. მაგრამ მუშათა მოძრაობა, როგორც ყველაზე მოწინავე კლასის, პროლეტარიატის მოძრაობა, სწრაფად გაიზარდა ამ დასაწყისი სტადიიდან. სოციალ-დემოკრატიის შეგნებულმა პროპაგანდამ და აგიტაციამ თავისი გაიტანა. ამბოხი შეცვალა ორგანიზე-

ბულმა საგაფიცვო ბრძოლამ და პოლიტიკურმა დემონსტრაციებმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მხეცური ჩახშობა სამხედრო ძალის გამოყენებით რამდენიმე წლის განმავლობაში «ზრდიდა» პროლეტარიატსა და ქალაქის მდაბიო ხალხს, ამზადებდა მას რევოლუციური ბრძოლის უმაღლესი ფორმებისათვის. დანაშაულებრივმა და სამარცხვინო ომმა, რომელშიც თვითმპყრობელობამ ხალხი ჩაითრია, აღავსო ხალხის მოთმინების ფიალა. დაიწყო მეფის ჯარებისათვის ხალხის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ცდები. დაიწყო ხალხის ნამდვილი ქუჩის ბრძოლები ჯართან, ბრძოლები ბარიკადებზე. კავკასიამ, ლოძმა, ოდესამ, ლიბავამ სულ უკანასკნელ დროს პროლეტარული გმირობისა და ხალხის ენთუზიაზმის ნიმუშები გვიჩვენეს. ბრძოლა აჯანყებად იქცეოდა. თავისუფლების ჯალათთა სამარცხვინო როლს, პოლიციის მსახურთა როლს არ შეიძლებოდა თანდათანობით თვით მეფის ჯარისთვისაც არ აეხილა თვალი. არმიამ მერყეობა იწყო. ჯერ ურჩობის ცალკეული შემთხვევები, სათადარიგოთა მღელვარება, ოფიცერთა პროტესტები, აგიტაცია ჯარისკაცთა შორის, ცალკეული ასეულების ან პოლკების უარი — ესროლონ თავიანთ ძმებს — მუშებს. შემდეგ—არმიის ნაწილის გადასვლა აჯანყების მხარეზე.

ოდესის უკანასკნელი ამბების უდიდესი მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ ცარიზმის სამხედრო ძალის მსხვილი ნაწილი, — მთელი ჯავშნოსანი, — აქ პირველად და აშკარად გადავიდა რევოლუციის მხარეზე. გააფთრებულ ღონისძიებებსა და ყოველნაირ ფანდს მიმართავდა მთავრობა, რომ ხალხისათვის დაემალა ეს ამბავი, სათავეშივე ჩაექრო მატროსების აჯანყება. არაფერმა არ გაჭრა. რევოლუციურ ჯავშნოსან «პოტიომკინის» წინააღმდეგ გაგზავნილმა სამხედრო გემებმა უარი განაცხადეს ებრძოლნათ ამხანაგების წინააღმდეგ. თვითმპყრობელმა მთავრობამ მხოლოდ საბოლოოდ შეირცხვინა თავი მთელი მსოფლიოს წინაშე იმით, რომ ევროპაში გაავრცელა ცნობები «პოტიომკინის» დანებების შესახებ,

მეფის ბრძანების შესახებ — ჩაეძირათ რევოლუციური ჯავშნოსანი. ესკადრა სევასტოპოლს დაბრუნდა, მთავრობა ჩქარობს დაითხოვოს მატროსები, განაიარაღოს სამხედრო გემები; ხმები დადის შავი ზღვის ფლოტის ოფიცერთა მასობრივი გადადგომის შესახებ; ჯავშნოსან «გეორგი პობედონოსეცზე», რომელიც დანებდა, კვლავ დაიწყო მღელვარება. მატროსები ლიბავასა და კრონშტადტშიც ჯანყდებიან; ხშირდება შეტაკებანი ჯართან; გაჩაღებულია (ლიბავაში) მატროსთა და მუშათა ბრძოლა ბარიკადებზე ჯარისკაცების წინააღმდეგ. საზღვარგარეთის პრესაში იუწყებიან, რომ ამბოხება მოხდა მთელ რიგ სხვა სამხედრო გემებზე («მინინი», «ალექსანდრე მეორე» და სხვ.). მეფის მთავრობა უ ფ ლ ო ტ ო დ აღმოჩნდა. სულ დიდი, რის მიღწევაც მან ჯერჯერობით შესძლო, — ეს არის ფლოტის შეკავება რევოლუციის მხარეზე აქტიურად გადასვლისაგან. ხოლო ჯავშნოსანი «პოტიომკინი» რევოლუციის დაუმარცხებელ ტერიტორიად დარჩა და, როგორიც უნდა იყოს მისი ბედი, ჩვენს თვალწინაა უეჭველი და უაღრესად საგულისხმო ფაქტი: რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა რ მ ი ი ს ბ ი რ თ ვ ი ს შექმნის ცდა.

ვერავითარი რეპრესია, ვერავითარი ნაწილობრივი გამარჯვება რევოლუციაზე ვერ მოსპობს ამ მოვლენის მნიშვნელობას. პირველი ნაბიჯი გადადგმულია. რუბიკონი გადალახულია. რევოლუციის მხარეზე არმიის გადასვლა აღბეჭდილია მთელი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს წინაშე. რევოლუციური არმიის შექმნის ახალი კიდევ უფრო ენერგიული ცდები გარდუვალად მოჰყვება შავი ზღვის ფლოტის ამბებს. ახლა ჩვენი საქმეა მთელი ძალღონით შევუწყოთ ხელი ამ ცდებს, განვუმარტოთ პროლეტარიატისა და გლეხობის უაღრესად ფართო მასებს რევოლუციური არმიის საერთო სახალხო მნიშვნელობა თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში, დავეხმაროთ ამ არმიის ცალკეულ რაზმებს აღმართონ საერთო სახალხო დ რ ო შ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა, რომელსაც შეეძლება შემოიკრიბოს მასა, გააერთიანოს ის ძალები, რომელნიც გასრესენ მეფის თვითმპყრობელობას.

ამბოხი — დემონსტრაციები — ქუჩის ბრძოლები — რევოლუციური არმიის რაზმები — ასეთია სახალხო აჯანყების განვითარების ეტაპები. ახლა ჩვენ ბოლოს უკანასკნელ ეტაპამდეც მივედით. ეს, ცხადია, როდი ნიშნავს, რომ მთელი მოძრაობა უკვე მთლიანად ამ ახალ უმაღლეს საფეხურზე დგას. არა, მოძრაობაში ჯერ კიდევ ბევრია განუვითარებლობა, ოდესის ამბებში კიდევ არის ძველი ამბოხის აშკარა ნიშნები. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ სტიქიური ნაკადის მოწინავე ტალღებმა უკვე თვითმპყრობელობის «ციხე-სიმაგრის» თვით ზღურბლამდე მიაღწიეს. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ხალხის მასის მოწინავე წარმომადგენლებმა უკვე მიაღწიეს არა თეორიულ მოსაზრებათა ძალით, არამედ მზარდი მოძრაობის ზეგავლენით რუსი ხალხის მტერთან ბრძოლის, საბოლოო ბრძოლის ახალ უმაღლეს ამოცანებამდე. თვითმპყრობელობამ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მოიმოქმედა ამ ბრძოლის მოსამზადებლად. იგი წლობით უბიძგებდა ხალხს ჯართან შეიარაღებული ბრძოლისაკენ და ახლა იმას იმკის, რაც დაუთესია. თვით ჯარიდან გამოდიან რევოლუციური არმიის რაზმები.

ასეთი რაზმების საქმეა გამოაცხადონ აჯანყება, მისცენ მასებს ს ა მ ხ ე დ რ ო ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ა, რაც აუცილებლად საჭიროა სამოქალაქო ომისათვის, ისევე როგორც ყოველი სხვა ომისათვის, შექმნან აშკარა საყოველთაო სახალხო ბრძოლის დასაყრდენი პუნქტები, მოსდონ აჯანყება მეზობელ ადგილებს, უზრუნველყონ, — თავდაპირველად სახელმწიფოს ტერიტორიის თუნდაც მცირე ნაწილში, — სრული პოლიტიკური თავისუფლება, დაიწყონ დამპალი თვითმპყრობელური წყობილების რევოლუციური გარდაქმნა, მთელი მასშტაბით გააჩაღონ რევოლუციური შემოქმედება ხალხის ძირეული ფენებისა, რომელნიც ნაკლებად მონაწილეობენ ამ შემოქმედებაში მშვიდობიან დროს, მაგრამ რომელნიც პირველ რიგზე გამოდიან რევოლუციის ეპოქებში. მხოლოდ იმ პირობით, თუ შეიცნობენ ამ ახალ ამოცანებს, თუ გაბედულად და ფართოდ დააყენებენ მათ, — მხოლოდ მაშინ შესძლებენ რევოლუციური არმიის რაზმები მოიპოვონ სრული გამარჯვება,

გახდნენ რევოლუციური მთავრობის დასაყრდენი. ხოლო რევოლუციური მთავრობა ისეთივე არსებითად აუცილებელი რამეა სახალხო აჯანყების ახლანდელ სტადიაში, როგორც რევოლუციური არმია. რევოლუციური არმია საჭიროა სამხედრო ბრძოლისათვის და თვითმპყრობელობის სამხედრო ძალის ნაშთების წინააღმდეგ ხალხის მასების სამხედრო ხელმძღვანელობისათვის. რევოლუციური არმია საჭიროა იმიტომ, რომ დიდი ისტორიული საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ძალით შეიძლება, ხოლო თანამედროვე ბრძოლაში ძალის ორგანიზაცია სამხედრო ორგანიზაციაა. და თვითმპყრობელობის სამხედრო ძალის ნაშთებს გარდა არსებობენ სამხედრო ძალები მეზობელ სახელმწიფოებში, რომელთაც უკვე ემუდარება დახმარებას დამხობის პირას მყოფი რუსეთის მთავრობა; რასაც ქვემოთ მოგითხრობთ*.

რევოლუციური მთავრობა აუცილებელია ხალხის მასების პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის, — ჯერ ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც უკვე წაართვა ცარიზმს რევოლუციურმა არმიამ, ხოლო შემდეგ მთელ სახელმწიფოშიც. რევოლუციური მთავრობა აუცილებელია იმ პოლიტიკურ გარდაქმნათა დაუყოვნებლივ დასაწყებად, რომელთა გულისთვისაც ხდება რევოლუცია, — რევოლუციური სახალხო თვითმმართველობის მოსაწყობად, ნამდვილად საყოველთაო სახალხო და ნამდვილად დამფუძნებელი კრების მოსაწვევად, იმ «თავისუფლებათა» განსახორციელებლად, ურომლისოდაც შეუძლებელია ხალხის ნების სწორად გამოხატვა. რევოლუციური მთავრობა აუცილებელია ხალხის იმ აჯანყებული ნაწილის პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რომელიც ნამდვილად და საბოლოოდ განუდგა თვითმპყრობელობას, მისი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის. ეს ორგანიზაცია შეიძლება იყოს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებითი, ისევე როგორც მხოლოდ დროებითი შეიძლება იყოს რევოლუციური მთავრობაც, რომელიც ხელში იღებს ძალაუფლებას ხალხის სახელით, ხალხის ნების უზრუნველსაყოფად, ხალხის მეშვეობით სამოქმედოდ.

* იხ. ეს ტომი, გვ. 677 — 683. რ ე დ.

მაგრამ ეს ორგანიზაცია უნდა დაიწყოს დაუყოვნებ-
ლივ, აჯანყების ყოველ წარმატებულ ნაბიჯთან განუყრელ
კავშირში, რადგან პოლიტიკური გაერთიანება და პოლიტიკუ-
რი ხელმძღვანელობა ერთი წუთითაც არ შეიძლება გადაიდოს.
ცარიზმზე ხალხის სრული გამარჯვებისათვის აჯანყებული
ხალხის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ეს დაუყოვნებლივი
განხორციელება არა ნაკლებ აუცილებელია, ვიდრე მისი ძა-
ლების სამხედრო ხელმძღვანელობა.

თუ როგორი იქნება თვითმპყრობელობის მომხრეებსა და
ხალხის მასას შორის ბრძოლის საბოლოო შედეგი, ამაში არ
შეიძლება ეჭვი ეპარებოდეს არც ერთ ადამიანს, რომელსაც
ოდნავ მაინც შერჩენია მსჯელობის უნარი. მაგრამ თვალი არ
უნდა ავარიდოთ იმას, რომ სერიოზული ბრძოლა მხოლოდ
ახლა იწყება, რომ ჯერ კიდევ დიდი განსაცდელი მოგველის.
რევოლუციური არმიაც და რევოლუციური მთავრობაც იმდე-
ნად მაღალი ტიპის «ორგანიზმებს» წარმოადგენენ, ისეთ
რთულ დაწესებულებებს, ისეთ განვითარებულ მოქალაქობ-
რივ თვითშეგნებას მოითხოვენ, რომ შეცდომა იქნებოდა მო-
ველოდეთ ამ ამოცანების მარტივად, დაუყოვნებლივ, შეუც-
დომლად ერთბაშად განხორციელებას. არა, ჩვენ არა გვაქვს
ამის მოლოდინი, ჩვენ ვიცით იმის დაფასება, თუ რა მნიშ-
ვნელობა აქვს იმ შეუპოვარ, ნელ, ხშირად უჩინარ მუშაობას
პოლიტიკური აღზრდისათვის, რომელსაც ყოველთვის ეწე-
ოდა და კვლავაც ყოველთვის გასწევს სოციალ-დემოკრატია.
მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ აგრეთვე ხალხის ძალები-
სადმი ურწმუნობაც, რომელიც კიდევ უფრო საშიშია ამჟა-
მად, (უნდა გვახსოვდეს, თუ რა უდიდესი განმანათლებელი
და დამრაზმავი ძალა აქვს რევოლუციას, როცა მძლავრი ის-
ტორიული მოვლენები ძალად გამოათრევენ ფილისტერებს
მათი ყრუ ბუნაგებიდან, სხვენებიდან და სარდაფებიდან და
აიძულებენ მათ მოქალაქენი გახდნენ. რევოლუციის
თვეები ზოგჯერ უფრო მალე და სრულად ზრდიან მოქალა-
ქეთ, ვიდრე პოლიტიკური უძრაობის ათეული წლები. რევო-
ლუციური კლასის შეგნებულ ხელმძღვანელთა ამოცანაა მუ-
დამ წინ უძღოდნენ მას ასეთი აღზრდის საქმეში, განუმარ-

ტავდნენ ახალი ამოცანების მნიშვნელობას და მოუწოდებ-დნენ წინ ჩვენი დიადი საბოლოო მიზნისაკენ. ის წარუმატებ-ლობანი, რომლებიც აუცილებლად მოგველის რევოლუციური არმიისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის შემდგომი ცდების დროს, მხოლოდ გვასწავლიან ამ ამოცანების პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ გადაწყვეტას, მხოლოდ მოიზიდავენ ხალხის ახალ და ცოცხალ, ამჟამად მიჩქმალულ ძალებს, მათი გადაწყვეტისათვის.

აიღეთ სამხედრო საქმე. არც ერთი სოციალ-დემოკრატი, რომელიც ოდნავ მაინც იცნობს ისტორიას და უსწავლია ამ საქმის დიდი მცოდნის ენგელსისაგან, არასოდეს არ დაეჭვებულა სამხედრო ცოდნის დიდ მნიშვნელობაში, არ დაეჭვებულა იმაში, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხედრო ტექნიკასა და სამხედრო ორგანიზაციას, როგორც იარაღს, რომლითაც სარგებლობენ ხალხის მასები და ხალხის კლასები დიად ისტორიულ შეჯახებათა გადასაწყვეტად. სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ დაქვეითებულა სამხედრო შეთქმულობანას თამაშამდე, მას არასოდეს არ წამოუყენებია პირველ რიგში სამხედრო საკითხები, სანამ თვალწინ არ ჰქონია დაწყებული სამოქალაქო ომის პირობები*. მაგრამ ა ხ ლ ა სამხედრო საკითხები ყველა სოციალ-დემოკრატმა წამოაყენა თუ პირველზე არა, ერთ-ერთ პირველ ადგილზე მაინც, დღის წესრიგში დააყენა ამ საკითხების შესწავლა და მათთან ხალხის მასების გაცნობა. რევოლუციურმა არმიამ პრაქტიკულად უნდა გამოიყენოს სამხედრო ცოდნა და სამხედრო იარაღები რუსი ხალხის მთელი შემდგომი ბედის გადასაწყვეტად, პირველი, ყველაზე არსებითი საკითხის, თავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად.

სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ უცქეროდა და არ უცქერის ომს სენტიმენტალური თვალსაზრისით. გადაჭრით

---

* შეად. «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» ლენინისა, გვ. 23, იმის თაობაზე, რომ უდროო იყო (1897 წელს) საკითხი ცარიზმზე გადამწყვეტი იერიშის მიტანის საშუალებათა შესახებ. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 422 — 423. რ ე დ.)

გმობს რა ომებს, როგორც კაცობრიობის დავის გადაჭრის მხეცურ წესს, სოციალ-დემოკრატიამ იცის, რომ ომები გარდუვალია, სანამ საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი, სანამ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ამ ექსპლოატაციის მოსასპობად კი ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ომს, რომელსაც ყოველთვის და ყველგან იწყებენ თვით ექსპლოატაციის გამწევი, გაბატონებული და მჩაგვრელი კლასები. ომიც არის და ომიც. არის ომი — ავანტიურა, რომელიც აკმაყოფილებს დინასტიის ინტერესებს, მძარცველი ხროვის მადას, კაპიტალისტური მოგების გმირთა მიზნებს. არის ომი — და ეს ერთადერთი კანონიერი ომია კაპიტალისტურ საზოგადოებაში — ხალხის მჩაგვრელთა და დამმონებელთა წინააღმდეგ. მხოლოდ უტოპისტებსა და ფილისტერებს შეუძლიათ პრინციპულად დაგმონ ასეთი ომი. მხოლოდ თავისუფლების ბურჟუაზიულ გამცემლებს შეუძლიათ თავი აარიდონ რუსეთში ამ ომს, ხალხის თავისუფლებისათვის ომს, პროლეტარიატმა დაიწყო რუსეთში ეს დიადი განმათავისუფლებელი ომი, იგი შესძლებს მის განგრძობას, თვითონ შექმნის რევოლუციური არმიის რაზმებს, გაამაგრებს ჩვენთან გადმოსულ ჯარისკაცთა თუ მატროსთა რაზმებს, მოიზიდავს გლეხებს, აღავსებს რუსეთის ახალ მოქალაქეებს, სამოქალაქო ომის ცეცხლში ჩამოყალიბებულ და გამოწრთობილ მოქალაქეებს მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა გმირობითა და ენთუზიაზმით.

რევოლუციური მთავრობის შექმნის ამოცანაც ისევე ახალია, ისევე ძნელი და რთულია, როგორც რევოლუციის ძალების სამხედრო ორგანიზაციის ამოცანა. მაგრამ ეს ამოცანაც შეიძლება გადაწყვიტოს და უნდა გადაწყვიტოს ხალხმა. ამ საქმეშიც ყოველი ნაწილობრივი წარუმატებლობა გამოიწვევს ხერხებისა და საშუალებების გაუმჯობესებას, შედეგების განმტკიცებასა და გაფართოებას. რუს. სდმპ მესამე ყრილობამ თავის რეზოლუციაში დასახა ამ ახალი ამოცანის გადამწყვეტი ზოგადი პირობები, — დროა უკვე შევუდგეთ მისი განხორციელების პრაქტიკული პირობების განხილვასა და მომზადებას. ჩვენს პარტიას აქვს პროგრამა-მინიმუმი, იმ

გარდაქმნათა დამთავრებული პროგრამა, რომელთა დაუყოვნებლივ განხორციელება სავსებით შესაძლებელია დემოკრატიული (ე. ი. ბურჟუაზიული) გადატრიალების ფარგლებში და რომლებიც ესაჭიროება პროლეტარიატს თავისი შემდგომი ბრძოლისათვის სოციალისტური გადატრიალების მოსახდენად. მაგრამ ამ პროგრამაში არის ძირითადი მოთხოვნები და კერძო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადი მოთხოვნებიდან გამომდინარეობენ ან თავისთავად იგულისხმებიან. დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის ყოველი ცდის დროს საჭიროა წამოვაყენოთ სწორედ ძირითადი მოთხოვნები, რათა მთელ ხალხს, მთელ ყველაზე ბნელ მასასაც კი ვუჩვენოთ მოკლე ფორმულებში, მკვეთრად, ნათლად, გამოკვეთილად ამ მთავრობის მიზნები, მისი საერთო სახალხო ამოცანები.

ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება აღინიშნოს ექვსი ასეთი ძირითადი პუნქტი, რომლებიც ყოველი რევოლუციური მთავრობის პოლიტიკური დროშა და უახლოესი პროგრამა უნდა გახდნენ, რომლებმაც უნდა შეუქმნან ამ მთავრობას ხალხის თანაგრძნობა, და რომლებისკენაც უნდა წარიმართოს ხალხის მთელი რევოლუციური ენერგია, როგორც ყველაზე არსებითი საქმისაკენ.

აი ეს ექვსი პუნქტი: 1) საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრება, 2) ხალხის შეიარაღება, 3) პოლიტიკური თავისუფლება, 4) სრული თავისუფლება ჩაგრულ და არასრულუფლებიან ერებს, 5) 8-საათიანი სამუშაო დღე და 6) გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. ცხადია, ეს მხოლოდ სანიმუშო ნუსხაა, ეს მხოლოდ ს ა თ ა უ რ ე ბ ი ა, რომლებიც აღნიშნავენ დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაპოვებლად დაუყოვნებლივ საჭირო მთელ რიგ გარდაქმნებს. ჩვენ აქ ამომწურავ სისრულეს არ ვიჩემებთ. გვსურს მხოლოდ თვალსაჩინოდ გავარკვიოთ ჩვენი აზრი ცნობილი ძირითადი ამოცანების მნიშვნელობის შესახებ. აუცილებლად საჭიროა, რომ რევოლუციური მთავრობა მიისწრაფოდეს დაეყრდნოს ხალხის ძირეულ ფენებს, მუშათა კლასისა და გლეხობის მასას, — უამი-

სოდ იგი ვერ გასძლებს, ხალხის რევოლუციური თვითმოქმედება თუ არ იქნება, იგი ნულია, ნულზე უარესია. ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ხალხი მყვირალა, მაგრამ უაზრო დაპირებათა ავანტიურიზმის წინააღმდეგ (როგორიც არის, მაგალითად, დაუყოვნებლივი «სოციალიზაცია», რომელიც თვითონ იმათ არ ესმით, ვინც მასზე ლაპარაკობს), ხოლო ამავე დროს წამოვაყენოთ ისეთი გარდაქმნები, რომელთა განხორციელება ნამდვილად შესაძლებელია ამჟამად და რომლებიც ნამდვილად აუცილებელია რევოლუციის საქმის განსამტკიცებლად. რევოლუციურმა მთავრობამ უნდა აამოძრაოს «ხალხი» და დ ა რ ა ზ მ ო ს მისი რევოლუციური აქტივობა. ჩაგრულ ეროვნებათა სრული თავისუფლება, ე. ი. მათი არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკური თვითგამორკვევის აღიარებაც, — მუშათა კლასის დაცვისათვის აუცილებლად საჭირო ზომების უზრუნველყოფა (8-საათიანი სამუშაო დღე, როგორც პირველი ზომა ამ ღონისძიებათა წყებაში), — დასასრულ, გარანტია სერიოზული, მემამულეთა ანგარების უგულებელმყოფელი ზომებისა გლეხთა მასის სასარგებლოდ, — ასეთია, ჩვენი აზრით, ის მთავარი პუნქტები, რომლებსაც განსაკუთრებით უნდა გაუსვას ხაზი ყოველმა რევოლუციურმა მთავრობამ. არაფერს ვამბობთ პირველ სამ პუნქტზე, რომლებიც იმდენად ნათელია, რომ კომენტარიებს არ საჭიროებენ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აუცილებელია გარდაქმნათა პრაქტიკულად განხორციელება თუნდაც მცირე, მაგალითად, ცარიზმისათვის ბრძოლაში წართმეულ ტერიტორიაზე, პრაქტიკული განხორციელება ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია ყოველგვარ მანიფესტზე და, რა თქმა უნდა, ათასჯერ უფრო ძნელიცაა. ჩვენ მხოლოდ იმას მივაპყრობთ ყურადღებას, რომ საჭიროა ახლავე და დაუყოვნებლივ ყველა ღონისძიებით გავავრცელოთ სწორი წარმოდგენა ჩვენს საერთო სახალხო და უახლოეს ამოცანებზე. უნდა გვქონდეს უნარი მივმართოთ ხალხს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით — არა მხოლოდ ზოგადი მოწოდებით ბრძოლისაკენ (ეს საკმარისია რევოლუციური მთავრობის შექმნის წინა ეპოქა-

ში), არამედ უშუალო მოწოდებით ყველაზე ძირითად დემოკრატიულ გარდაქმნათა დაუყოვნებლივ განხორციელებისაკენ, მათი დაუყოვნებლივ დამოუკიდებლად ცხოვრებაში გატარებისაკენ.

რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა ერთი მედლის ორი მხარეა. ეს ორი დაწესებულებაა, რომლებიც ერთნაირად საჭიროა აჯანყების წარმატებისა და მისი ნაყოფის განმტკიცებისათვის. ეს ორი ლოზუნგია, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას წამოყენებული და განმარტებული, როგორც ერთადერთი თანამიმდევარი რევოლუციური ლოზუნგები. ჩვენში ახლა ბევრნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავს დემოკრატებს უწოდებენ. მაგრამ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ არიან რჩეულნი. მრავალ არიან «კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის» მოლაყბენი, ხოლო მცირედ არიან სანაქებო «საზოგადოებაში», ვითომდა დემოკრატიულ ერობაში ჭეშმარიტი დემოკრატები, — ე. ი. ადამიანები, რომლებიც გულწრფელად არიან ხალხის სრული თვითმპყრობელობის მომხრენი, რომლებსაც შესწევთ უნარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართონ ხალხის თვითმპყრობელობის მტრებს, მეფის თვითმპყრობელობის დამცველებს.

მუშათა კლასს არა აქვს ეს სიმხდალე, ეს თვალთმაქცური ორჭოფობა, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიას, როგორც კლასს. მუშათა კლასს შეუძლია იყოს და უნდა იყოს სავსებით თანამიმდევარი დემოკრატი. მუშათა კლასმა თავისი სისხლით, რომელიც დაიღვარა პეტერბურგის, რიგის, ლიბავის, ვარშავის, ლოძის, ოდესის, ბაქოს და მრავალი სხვა ქალაქის ქუჩებში, დაამტკიცა თავისი უფლება — ასრულებდეს ავანგარდის როლს დემოკრატიულ რევოლუციაში. იგი ახლანდელ გადამწყვეტ მომენტშიც ამ დიდი როლის სიმაღლეზე უნდა აღმოჩნდეს. პროლეტარიატის შეგნებულმა წარმომადგენლებმა, რსდმპ წევრებმა, ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ თავიანთი სოციალისტური მიზანი, თავიანთი კლასობრივი და პარტიული დამოუკიდებლობა, და ამავე დროს მთელი ხალხის

წინაშე უნდა გამოვიდნენ მოწინავე დემოკრატიული ლოზუნგებით. ჩვენთვის, პროლეტარიატისათვის, დემოკრატიული გადატრიალება მხოლოდ პირველი საფეხურია შრომის სრული განთავისუფლებისაკენ ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან, დიადი სოციალისტური მიზნისაკენ. და ამიტომ მით უფრო მალე უნდა გავიაროთ ეს პირველი საფეხური, მით უფრო გადაჭრით უნდა გავუსწორდეთ ხალხის თავისუფლების მტრებს, მით უფრო ხმამაღლა უნდა ვიქადაგოთ თანამიმდევარი დემოკრატიის ლოზუნგები: რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა.

«პროლეტარი» № 7,
1905 წ. 10 ივლისი (27 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია ხელნაწერთან

რუსეთის მეფე თავისი ხალხისაგან დაცვას თურქეთის სულთანსა სთხოვს

ყველა ქვეყნისა და ყველა პარტიის საზღვარგარეთული პრესა სავსეა ცნობებით, დეპეშებით, სტატიებით იმის გამო, რომ შავი ზღვის ფლოტის გემების ნაწილი რუსეთის რევოლუციის მხარეზე გადავიდა. გაზეთებს სიტყვები ვერ უპოვნიათ იმისათვის, რომ გამოთქვან თავისი განცვიფრება, საკმაოდ ძლიერ დაახასიათონ ის შერცხვენა, სადამდეც მიიყვანა თავი თვითმპყრობელმა მთავრობამ.

ამ შერცხვენის უმაღლესი წერტილი ის იყო, რომ მ ე ფ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა მ რ უ მ ი ნ ე თ ს ა და თ უ რ ქ ე თ ს ს თ ხ ო ვ ა პ ო ლ ი ც ი უ რ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა გაეწიათ აჯანყებული მატროსების წინააღმდეგ! აი როდის გამოჩნდა, რომ «შინაური თურქები» უფრო საშიში არიან რუსი ხალხისათვის, ვიდრე ყოველგვარი «გარეშე თურქები». თურქეთის სულთანმა უნდა დაიცვას მეფის თვითმპყრობელობა რუსი ხალხისაგან; — მეფეს არ შეუძლია დაეყრდნოს რუსეთის სამხედრო ძალებს, და იგი უცხო სახელმწიფოებს ემუდარება დახმარებას. ძნელი წარმოსადგენია მეფის ხელისუფლების სრული კრახის უკეთესი დადასტურება. ძნელი გამოსანახავია უკეთესი მასალა იმისათვის, რომ განუმარტო რუსეთის არმიის ჯარისკაცებს მათი როლი.

აი რასა სწერს 4 ივლისის (ახ. სტ.) მეთაურ სტატიაში გაზეთი «ტ ა ი მ ს ი»; — უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არის მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი უაღრესად მდიდარი და საუკეთესოდ ინფორმირებული გაზეთი, ინგლისის კონსერვატიული ბურ-

ეუაზიის ორგანო, რომელსაც ჩვენი «ოსვობოჟდენიელებიც» კი უზომოდ რადიკალურად მიაჩნია და რომელიც თანაუგრძნობს «შიპოველებს» და სხვ.. ერთი სიტყვით, ვერავინ ეჰვს ვერ მიიტანს, რომ ეს გაზეთი აზვიადებდეს რუსეთის რევოლუციის ძალებსა და მნიშვნელობას.

«რუსეთის მთავრობის უძლურებას ზღვაზე — წერს «ტ ა ი მ ს ი» — განსაკვიფრებლად ადასტურებს ის ნოტა, რომლითაც, როგორც იუწყებიან, მან პ ო რ ტ ა ს (ე. ი. თ უ რ ქ ე თ ი ს მთავრობას) და რ უ მ ი ნ ე თ ი ს მთავრობას მიმართა. ამ ნოტაში რუსეთის მთავრობა სთხოვს დასახელებულ სახელმწიფოებს მიიჩნიონ რუსეთის ფლოტის აჯანყებული მატროსები სისხლის სამართლის ჩვეულებრივ დამნაშავეებად და აფრთხილებს მათ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია საერთაშორისო გართულებანი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მეფის მთავრობამ იმდენად დაიმცირა თავი, რომ თ უ რ ქ ე თ ი ს ს ულ თ ა ნ ს ა და რ უ მ ი ნ ე თ ი ს მ ე ფ ე ს ევედრება მოიღონ მოწყალება და შეასრულონ მისთვის ის პოლიციური სამუშაო, რომლის შესრულება თვითონ მას აღარ ძალუძს. მას ისღა დარჩენია, რომ დაელოდოს, კეთილ ინებებს თუ არა ა ბ დ უ ლ-ჰ ა მ ი დ ი გაუწიოს მეფეს მის მიერ ნათხოვნი დახმარება. დღემდე მატროსების აჯანყების ერთადერთი შედეგი, თურქეთის ხელისუფლებზე მისი გავლენის თვალსაზრისით, ის იყო, რომ მან აიძულა ეს ხელისუფალნი ჩვეულებრივზე უფრო სასტიკი ზედამხედველობისათვის მიემართათ; თანაც ამ ზედამხედველობის პირველი მსხვერპლი გახდა შაბათს რუსეთის სანაპირო თავდაცვის გემი, რომლითაც საღამოს, როცა უკვე ბნელოდა, ბოსფორში შედიოდა რ უ ს ე თ ი ს ე ლ ჩ ი. თურქებმა ფუჭი ყუმბარა ესროლეს ამ გემს. არა გვგონია, რომ ამ ერთი წლის წინათ თურქებს გაებედნათ ასეთი საშუალებით განეხორციელებინათ თავიანთი ზედამხედველობა. რაც შეეხება რუმინეთის მთავრობას, იგი სწორად მოიქცა, რომ უგულებელყო თხოვნა — სისხლის სამართლის დამნაშავეებად მიეჩნია აჯანყებული მატროსები. რა თქმა უნდა, სწორედ ეს იყო მოსალოდნელი იმ ერის მთავრობისაგან, რომელიც თავის თავს პა-

ტივსა სცემს. რუმინეთის მთავრობამ ბრძანება გასცა არ მიეცათ «პოტიომკინისათვის» არც სურსათი და არც ქვანახშირი, მაგრამ ამავე დროს აცნობა მის 700 მატროსს, რომ თუ ისინი რუმინეთის ნაპირზე გადასხდებიან, მათ მხოლოდ უცხოელ დეზერტირებად მიიჩნევენ».

ამრიგად, რუმინეთის მთავრობა სრულებითაც არა დგას რევოლუციის მხარეზე, რა თქმა უნდა, არა! მაგრამ მას მაინც არა სურს ისე დაიმციროს თავი, რომ პოლიციური სამსახური გაუწიოს მთელი რუსეთის ყველასათვის საძულველ და საზიზღარ მეფეს. იგი უარს ეუბნება მეფეს მისი თხოვნის შესრულებაზე. იგი ისე იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს იმ «ერის მთავრობა, რომელიც თავის თავს პატივსა სცემს».

აი როგორ ლაპარაკობენ ახლა ევროპაში რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობაზე, ლაპარაკობენ ის ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ლაქუცით თავს ხრიდნენ «დიდი და მძლავრი მონარქის» წინაშე!

ახლა გერმანულ გაზეთებშიც არის დადასტურებული თვითმპყრობელობის ეს ახალი გაუგონარი შერცხვენა. «ფრანკფურტის გაზეთს» კონსტანტინოპოლიდან ახ. სტ. 4 ივლისის დეპეშით ატყობინებენ: «რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა გუშინ თურქეთის მთავრობას გადასცა პეტერბურგის კაბინეტის ნოტა, რომელშიც აუწყებს, რომ 400-მდე რუსმა მატროსმა ჩაძირა ერთი კრეისერი და ეს მესამე დღეა თავშესაფარი პოვა ინგლისის ერთ სავაჭრო გემზე, რომელიც კონსტანტინოპოლის მიმართულებით მიდიოდაო. რუსეთის ელჩი მოითხოვს თურქეთისაგან აუცილებლად დააკავოს ეს სავაჭრო გემი ბოსფორზე გავლისას, აგრეთვე დააპატიმროს და გადასცეს ამბოხებული რუსი მატროსები. თურქეთის მთავრობამ იმავე საღამოს საგანგებო სხდომაზე შეკრიბა მინისტრთა საბჭო, რომელმაც განიხილა რუსეთის ნოტა. თურქეთმა უპასუხა რუსეთის საელჩოს, რომ ამ მოთხოვნის შესრულება მისთვის შეუძლებელია, რადგან საერთაშორისო სამართლის მიხედვით თურქეთს უფლება არა აქვს პოლიციური ზედამხედველობა გაუწიოს ინგლისის დროშით მიმავალ გემებს, მაში-

ნაც კი, როცა ეს გემები თურქეთის ნავსადგურებში არიან. გარდა ამისა, რუსეთსა და თურქეთს შორის არ არის ხელშეკრულება დამნაშავეთა გაცემის შესახებ».

თურქეთმა «ვაჟკაცურად» უპასუხაო, — შენიშნავს ამის თაობაზე გერმანული გაზეთი. თურქებს არა სურთ მეფის პოლიციური მსახურნი იყვნენ!

აგრეთვე იუწყებიან, რომ როცა ნაღმოსანი «სტრემიტელნი» * რამდენიმე სხვა სამხედრო გემთან ერთად კონსტანცაში (რუმინეთი) ჩავიდა «პოტიომკინის» საძებნად, რუმინეთის მთავრობამ მიუთითა რუსეთის ხელისუფალთ, რომ რუმინეთის წყლებში წესრიგს თვალყურს ადევნებს რუმინეთის არმია და რუმინეთის პოლიცია იმ შემთხვევაშიც კი, «პოტიომკინი» რომ ჯერ კიდევ რუმინეთის წყლებში იმყოფებოდესო.

ამრიგად, გამოდის, რომ ნაცვლად უცხოეთის გემების შეწუხებისა «პოტიომკინის» მხრივ (რითაც აშინებდა ევროპას მეფის მთავრობა) მათ უამრავ უსიამოვნებას აყენებს რუსეთის ფლოტი. ინგლისელები აღშფოთებული არიან, რომ მათი გემი «Granley» ოდესაში დააკავეს და გაჩხრიკეს. გერმანელები გაჯავრებული არიან იმ ხმების გამო, რომ თურქები გააჩერებენ და გაჩხრეკენ, რუსების თხოვნით, ოდესიდან კონსტანტინოპოლში მიმავალ მათ გემ «პერას». შესაძლოა, ასეთ ვითარებაში რუსეთისთვის არცთუ ისე იოლი აღმოჩნდეს ევროპისაგან დახმარების მიღება რუსეთის რევოლუციონერთა წინააღმდეგ. ასეთი დახმარების გაწევის საკითხს საზღვარგარეთის ძალიან ბევრი გაზეთი არჩევს, მაგრამ მეტწილად ისინი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ევროპის საქმე როდია დაეხმაროს მეფეს «პოტიომკინის» წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანულ გაზეთ «Berliner Tageblatt**-ში დაიბეჭდა ცნობა, რომ რუსეთის მთავრობამ სახელმწიფოებს მიმართა თხოვნით გაგზავნონ თავისი სამხედრო გემები კონსტანტინო-

---

* ამბობენ, «სტრემიტელნიზე» მატროსები არ არიანო. თითქმის მთელი ეკიპაჟი მარტო ოფიცრებისგან შესდგება. არისტოკრატია ხალხის წინააღმდეგ!

** — «ბერლინის ყოველდღიური გაზეთი». რ ე დ.

პოლიდან ოდესაში, რათა დაეხმარონ წესრიგის აღსადგენად! თუ რამდენად სწორია ეს ცნობა (რომელსაც ზოგიერთი სხვა გაზეთი უარყოფს), ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს. ერთი რამ კი უეჭველია, — აჯანყების მხარეზე «პოტიომკინის» გადასვლამ გადადგა პირველი ნაბიჯი იქეთკენ, რომ რუსეთის რევოლუცია საერთაშორისო ძალად გადაიქცეს, ევროპის სახელმწიფოების პირისპირ დადგეს.

ეს გარემოება არ უნდა დავივიწყოთ იმ ცნობის შეფასებისას, რომელსაც აქვეყნებს ბ-ნი ლ ე რ უ პეტერბურგიდან ახ. სტ. 4/VII-ის დეპეშით პარიზის გაზეთ «Le Matin»-ში *: «მთელ ამ ამბავში, რაც «პოტიომკინზე» მოხდა, — წერს იგი, — განსაცვიფრებელია რუსეთის ხელისუფალთა წინდაუხედაობა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე ნაკლოვანებანი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ში. რევოლუცია ხელთ იგდებს ჯავშნოსანს — ეს ხომ ისტორიაში უმაგალითო ამბავია! — ხოლო ამავე დროს არ იცის, რა უყოს მას».

ამაში უეჭველად ბევრი სიმართლეა. უდავოა, ჩვენ ბრალი მიგვიძღვის რევოლუციის არასაკმაო ორგანიზებულობაში. ჩვენ ბრალი მიგვიძღვის იმაში, რომ ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს სუსტად აქვს შეგნებული, რომ საჭიროა მოვახდინოთ რევოლუციის ორგანიზება, დავაყენოთ აჯანყება გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანების რიგში, გავწიოთ დროებითი რევოლუციური მთავრობის აუცილებლობის პროპაგანდა. ჩვენ დავიმსახურეთ ის, რომ ჩვენ, რევოლუციონერებს, ახლა ბურჟუაზიული მწერლები გვისაყვედურებენ რევოლუციური ფუნქციების ცუდად დაყენებას.

მაგრამ დაიმსახურა თუ არა ჯავშნოსანმა «პოტიომკინმა» ეს საყვედური, — ამას ვერ ვიტყვით. იქნებ, მის ეკიპაჟს სწორედ ის მიზანი ჰქონდა დასახული, რომ ევროპის სახელმწიფოს ნავსადგურში გამოჩენილიყო? განა რუსეთის მთავრობა არ უმალავდა ხალხს ცნობებს შავი ზღვის ფლოტის ამბების შესახებ მანამდე, სანამ «პოტიომკინი» თავისუფლად არ წავიდა

---

*— «დილა». რ ე დ.

რუმინეთში? და რუმინეთში რევოლუციურმა ჯავშნოსანმა გადასცა კონსულებს პროკლამაცია, რომელშიც ომს უცხადებს მეფის ფლოტს და თან ადასტურებს, რომ თავს ნებას არ მისცემს რაიმე მტრულ მოქმედებას მიმართოს ნეიტრალური გემების წინააღმდეგ. *რუსეთის რევოლუციამ აუწყა ევროპას, რომ რუსმა ხალხმა აშკარა ომი გამოუცხადა ცარიზმს.* ფაქტიურად, რუსეთის რევოლუცია ამით ახდენს ცდას გამოვიდეს რუსეთის ახალი, რევოლუციური მთავრობის სახელით. უეჭველია, ეს მხოლოდ პირველი, სუსტი ცდაა, — მაგრამ «საქმე დაწყებააო», როგორც ანდაზა ამბობს.

უკანასკნელი ცნობებით, «პოტიომკინი» ფეოდოსიაში მივიდა და სურსათი და ქვანახშირი მოითხოვა. ქალაქის მოსახლეობა ღელავს. მუშები მოითხოვენ რევოლუციური ჯავშნოსნის თხოვნის დაკმაყოფილებას. ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა ქვანახშირზე უარი უთხრას, ხოლო სანოვაგე მისცეს. რუსეთის მთელი სამხრეთი ნაწილი ისე ღელავს, როგორც არასოდეს. სამოქალაქო ომის მსხვერპლთა რიცხვს ოდესაში 6000 კაცს ანგარიშობენ. დეპეშით იტყობინებიან, რომ სამხედრო სასამართლომ 160 ინსურგენტი დახვრიტა, რომ პეტერბურგიდან ბრძანება გასცეს «*არავინ დაინდონ!*». მაგრამ ჯარი უძლურია, ჯარი თვითონ არ არის საიმედო. ოდესის საფაბრიკო გარეუბნებში მღელვარება არ ცხრება. წინა ღამეს (4 და 5 ივლისს შუა ახ. სტ.) მოკლულია 35 კაცი. ჯარის მეტი ნაწილი, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, ქალაქიდან გაიყვანეს, იმიტომ *რომ ჯარში თავი იჩინა დისციპლინის სერიოზულმა ნაკლებობამ.* ნიკოლაევსა და სევასტოპოლში მღელვარება მოხდა მთავრობის არსენალებში. სევასტოპოლში მოკლულია 13 კაცი. ხერსონის გუბერნიის ხუთ მაზრაში გლეხთა აჯანყებებია. *უკანასკნელ ოთხ დღეს მოკლულია 700-მდე გლეხი.* «ეტყობა, იწყება, — ასეა ნათქვამი ოდესიდან ლონდონს ახ. სტ. 5/VII-ს გაგზავნილ დეპეშაში — სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ხალხსა და ბიუროკრატიას შორის».

დიახ, ნამდვილი ბრძოლა თავისუფლებისათვის, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჯერ მხოლოდ იწყება. რევოლუციურ ჯავშნოსანს კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა. მაშ გაუმარჯოს რევოლუციურ არმიას! გაუმარჯოს რევოლუციურ მთავრობას!

«პროლეტარი» № 7,
1905 წ. 10 ივლისი (27 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზია ევაჭრება თვითმპყრობელობას, თვითმპყრობელობა ევაჭრება ბურჟუაზიას

თითქმის ყოველი დღე ადასტურებს ამ «ვაჭრობას», რომელსაც ჩვენ ასე დიდი ხანია მივაქცევთ რუსეთის პროლეტართა ყურადღებას. აი ბ-ნ ლერუს საინტერესო დეპეშა პეტერბურგიდან ახ. სტ. 2 ივლისის თარიღით: ქალაქთა და ერობათა წარმომადგენლების კრებამ 28 და 29 ივნისს (15 და 16 ძვ. სტ.) ერთხელ კიდევ (მეასედ!) გამოიმუშავა კონსტიტუციური მოთხოვნები და დეპეშით გაუგზავნა ისინი სამინისტროებს. მოთხოვნები ჩვეულებრივზე მაღალია: სახალხო წარმომადგენლობას მოითხოვენ აუცილებლად კონსტიტუციურ საწყისებზე; «ბულიგინის» კონსტიტუციას პირდაპირ უარყოფენ; მოითხოვენ დაუყოვნებლივ გამოცხადდეს პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება და სხვ.. თათბირზე თითქმის ერთხმად მიუღიათ (მაგრამ პეტიციაში არ შეუტანიათ — როცა ვაჭრობ, ყველა ზრახვა როდი უნდა გამოამჟღავნო!) საყოველთაო საარჩევნო უფლების მოთხოვნა.

როგორ მსჯელობს ბურჟუაზიული გაზეთის კორესპონდენტი ბ-ნ მემამულეთა და მეფაბრიკეთა მოთხოვნების ასეთი საგულისხმო გადიდების თაობაზე? ოო, იგი ძალიან ფხიზლად მსჯელობს:

«ცხადია, — წერს იგი, — დელეგატები მეტს ითხოვენ, რომ ცოტა რამ მაინც მიიღონ. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს ცოტა რამ, მათთვის მისაღები რომ გახდეს, იმის შუა

უნდა იყოს, რასაც ისინი მოითხოვენ და რასაც მათ ბულიგინი სთავაზობს».

ნამდვილი ბაზრობაა, სადაც ბურჟუაზია რუსეთის მუშათა და რუსეთის გლეხთა ინტერესებითა და უფლებებით ვაჭრობს. როგორც ბაზრობაზე, მუშტარი — ბურჟუაზია და გამყიდველი — მეფე ერთმანეთს ხელიხელს ურტყამენ, მეასედ გაიძახიან თავის «უკანასკნელ სიტყვას», ღმერთსა და ხატს ფიცულობენ, «თვითონ უფრო ძვირად მიზისო», წასვლას იმუქრებიან, — მაგრამ ვერასგზით ვერ გაუბედავთ გაწყვიტონ თავისი მჭიდრო მეგობრობა.

თუ მეფემ ჩვენი მოთხოვნები არ შეასრულა, — ეუბნებოდა «საერობო თათბირის ერთ-ერთი ფრიად გამოჩენილი წარმომადგენელი» ბატონ ლერუს, მაშინ ჩვენ «ხალხს მივმართთავთო».

სახელდობრ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სანაქებო «მიმართვით ხალხისადმი»? — ეკითხება თავის თავს და თავის მკითხველთ ფრანგი კორესპონდენტი. და უპასუხებს: აქ არ არის «წმ. ანტონის გარეუბანი» (პარიზის მუშური უბანი: შეადარე ფელეტონი «ვპერიოდის» № 2-ში [135]). ხალხი ქუჩაში გასვლის გუნებაზე კი არ არის, არამედ იმის გუნებაზეა, რომ შინ იჯდეს, ტოლსტოისებურად აცხადებდეს პროტესტს გადასახადების შეტანაზე უარისთქმითაო!..

ცილს ნუ სწამებთ ხალხს, ბატონებო, თავისუფლების ბურჟუაზიულო გამცემლებო! ვერავითარი ცილისწამებით ვერ ჩამოირეცხავთ თქვენს სამარცხვინო ლაჩრობას. ხალხი თავის სისხლსა ღვრის მთელ რუსეთში. ჩვენს მთელ რიგ ქალაქებში, უამრავ სოფლებში იზრდება ჩვენი «წმ. ანტონის გარეუბნები». ხალხი თავდადებულ ბრძოლას ეწევა. თუ თქვენ გინდოდათ მართლაც «ხალხისათვის მიგემართთათ» (და არა მხოლოდ თქვენს მოკავშირეს, მეფეს, დამუქრებოდით ამ მიმართვით), მაშინ თქვენ ასეული და ათასეული მანეთები კი არ უნდა გადაგედოთ თქვენი სალაყბოებისათვის, არამედ მილიონები სახალხო აჯანყებისათვის. უნდა აგერჩიათ დელეგაცია არა მეფის კარის ასატალახებლად, არამედ რევოლუციურ პარტიებთან, რევოლუციურ ხალხთან ურთიერთობის დასამყარებლად.

მეფემ და მისმა ყროვამ მშვენივრად იციან, რომ თქვენ არ ძალგიძთ ასე მოიქცეთ თქვენი ქისის შიშის გამო, ხალხის წინაშე შიშის გამო. ამიტომ მეფე სავსებით მართალია, როცა აბუჩად გიგდებთ, როგორც ლაქიებს, — სულ იმავე დაპირებებით, იმავე ბულიგინის კონსტიტუციით რომ გკვებავთ; მართალია, როცა ანგარიშობს, რომ თქვენ იმასაც კი ვერ გაბედავთ, რომ გადაჭრით, ნამდვილად, განაცხადოთ პროტესტი ბულიგინის მიერ მოგდებული ნასუფრალის წინააღმდეგ. ტყუილად კი არ იუწყებოდა ამას წინათ ჟენევის «დარბაისლური» ლიბერალური გაზეთის «Journal de Genève»-ის* სპეციალური კორესპონდენტი: «ლიბერალები არ უფარავენ თავიანთ თავს ბულიგინის პროექტის ნაკლოვანებებს (!), მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ საჭიროა მისი მიღება პროგრესის საქმისა და წესრიგის საქმის ინტერესებისათვის... მთავრობის პროექტის უარყოფა იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ შეგნებულად დაემსხვრიათ ხალხსა და ბიუროკრატიულ რეჟიმს შორის ახლაარსებული კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის უკანასკნელი იმედი». (უკანასკნელი ფრაზა ხაზგასმულია თვითონ კორესპონდენტის მიერ).

ბურჟუაზიას სურს ზავი მეფესთან და ეშინია ხალხის ომისა მეფის წინააღმდეგ. მეფეს სურს ზავი ბურჟუაზიასთან, მაგრამ მას არ ეშინია ხალხთან ომისა, რომელიც მან დაიწყო და დაუნდობლად განაგრძობს. ნუთუ ცხადი არ არის, რომ ამ მდგომარეობის გარდუვალი შედეგი, თუ ხალხმა სრული გამარჯვება არ მოიპოვა, მიუხედავად ბურჟუაზიის გამცემლობისა, ბულიგინის კონსტიტუცია იქნება?

«პროლეტარი» № 7,
1905 წ. 10 ივლისი (27 ივნისი)

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

---

* — «ჟენევის გაზეთი». რ ე დ.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

1 ლენინის ნაშრომი «თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი» დაიბეჭდა მოწინავე სტატიად გაზეთ «ვპერიოდის» პირველ ნომერში.

«ვპერიოდ» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე. გამოვიდა 18 ნომერი. გაზეთის ორგანიზატორი, იდეური სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

პარტიის III ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციაში აღნიშნა გაზეთ «ვპერიოდის» თვალსაჩინო როლი მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში, იმ საკითხების დაყენებისა და გაშუქებაში, რომლებიც დაწყებულმა რევოლუციამ აღძრა, და მადლობა გამოუცხადა გაზეთის რედაქციას.

გაზეთ «ვპერიოდში» გამოქვეყნდა ლენინის 40-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. გაზეთის ზოგიერთი ნომერი, როგორც მაგალითად მე-4 და მე-5 ნომრები, მიძღვნილი 1905 წლის 9 (22) იანვრის ამბებისადმი, თითქმის მთლიანად შედგენილია ლენინის მიერ.

გაზეთ «ვპერიოდს» მუდმივი კავშირი ჰქონდა რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი იყო დამყარებული რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ი. ბ. სტალინი მ. გ. ცხაკაიასთან ერთად და რომელმაც შექმნა სპეციალური ლიტერატურული ჯგუფი ლენინური გაზეთის «ვპერიოდის» მხარის დასაჭერად. ამ გაზეთის პირველი ნომრები რომ მიიღო, კომიტეტი შეეკითხა ლენინს, მიზანშეწონილი იქნებოდა თუ არა «ვპერიოდის» გამოცემა სამ ენაზე კავკასიისათვის, რაზედაც ლენინმა თანხმობა მისცა. ამ გამოცემის პრაქტიკულად განხორციელება კავშირის კომიტეტმა ვერ შეძლო.

ლენინის სტატიებს გაზეთ «ვპერიოდიდან» ხშირად ბეჭდავდნენ ბოლშევიკური პრესის ადგილობრივ ორგანოებში, აგრეთვე სცემდნენ ცალკე ფურცლებად ან ბროშურებად. — **1.**

2 ლაპარაკი მეფის 1904 წლის 12 (25) დეკემბრის ბრძანებულებაზე სენატისადმი. — **6.**

3 იგულისხმება მეფის მთავრობის ხანმოკლე ლაქუცი ლიბერალებთან 1904 წელს. შინაგან საქმეთა მინისტრმა სვიატოპოლკ-მირსკიმ ნება დართო მოეწვიათ ერობის კრებები, გაატარა ცენზურის უმნიშვნელო შერბილება, ადმინისტრაციული გადასახლებიდან დააბრუნა რამდენიმე ლიბერალი მოღვაწე და სხვ. — **6.**

4 «ოსვობოჟდენიელები» — ბურჟუაზიული ლიბერალები; დაჯგუფებული იყვნენ ჟურნალ «ოსვობოჟდენიეს» გარშემო, რომელიც 1902 — 1905 წლებში საზღვარგარეთ გამოდიოდა პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. ოსვობოჟდენიელები 1904 წლის იანვარში ჩამოყალიბდნენ ლიბერალურ-მონარქისტულ «განთავისუფლების კავშირად». უფრო გვიან «ოსვობოჟდენიელებმა» შეადგინეს რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — კადეტთა პარტიის ბირთვი. — **9.**

5 ვ. ი. ლენინი ირონიულად «საიდუმლოს» უწოდებს ერობის გამგეობათა თავმჯდომარეებისა და ერობის სხვა მოღვაწეთა ყრილობას, რომელიც მეფის ნებართვით დანიშნული იყო პეტერბურგში 1904 წლის 6 ნოემბრისათვის. მაგრამ ყრილობამდე 5 დღის წინ, როცა დელეგატებმა უკვე დაიწყეს ჩამოსვლა, გამოცხადდა, რომ მეფის მთავრობა წინადადებას იძლევა ყრილობა ერთი წლით გადაიდოსო. მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა სვიატოპოლკ-მარსკიმ, რომელიც ლიბერალებს ელაქუცებოდა, ნება დართო ერობის მოღვაწეებს ესაუბრათ «ფინჯან ჩაიზე, კერძო ბინებში». — **10.**

6 როსტოვის ცნობილი გაფიცვა დაიწყო 1902 წლის 2 (15) ნოემბერს. გაფიცვა მალე გადაიქცა პოლიტიკურ დემონსტრაციად, რომელშიც 30 ათასამდე მუშა მონაწილეობდა. გაფიცვა გაგრძელდა 25 ნოემბრამდე (8 დეკემბრამდე). გაფიცვას ხელმძღვანელობდა რსდმპ დონის ისკრული კომიტეტი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 340 — 347).

«სამხრეთის მთელ რიგ მასობრივ დემონსტრაციებზე» რომ ლაპარაკობს, ლენინს მხედველობაში აქვს მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები სამხრეთ რუსეთში 1903 წელს, რომლებიც მოედო ამიერკავკასიას (ბაქო, თბილისი, ბათუმი) და უკრაინის უდიდეს ქალაქებს (ოდესა, კიევი, ეკატერინოსლავი). — **13.**

7 ლაპარაკია ახალ, მენშევიკურ «ისკრაზე». რსდმპ II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა, პლეხანოვის დახმარებით, ხელში ჩაიგდეს «ისკრა». 1903

წლის ნოემბრიდან, 52-ე ნომრით დაწყებული, «ისკრა» გახდა მენშევიკურ ორგანოდ და გამოდიოდა 1905 წლის ოქტომბრამდე. — **17.**

8 ვესტმინსტერის საბატოს გვერდით ლონდონში იმყოფება ინგლისის პარლამენტის შენობა. — **20.**

9 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «საზღვარგარეთ მყოფ რუსეთის სოციალ-დემოკრატთა კავშირის» არაპერიოდული ორგანო, გამოდიოდა ჟენევაში 1899 — 1902 წლებში. «რაბოჩეე-დელოელთა» შეხედულებების კრიტიკა მოცემულია ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 431 — 673). — **20.**

10 ო რ ლ ო ვ ს კ ი — ბოლშევიკ ვ. ვ. ვოროვსკის ფსევდონიმი. — **28.**

11 ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტების კონფერენციებზე არჩეულ იქნა ბოლშევიკური საორგანიზაციო ცენტრი — უმრავლესობის კომიტეტების ბიურო. ბოლშევიკური კომიტეტების სამხრეთის კონფერენცია შედგა 1904 წლის სექტემბერს. 1904 წლის ნოემბერს თბილისში ამხანაგ სტალინის ინიციატივით შედგა კავკასიის კომიტეტთა ბოლშევიკური კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობდა 15 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ ბაქოს, ბათუმის, იმერეთ-სამეგრელოს და თბილისის კომიტეტებს. 1904 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა ჩრდილოეთის კონფერენცია. — **30.**

12 ჩრდილოეთის კონფერენციის რეზოლუციები ვ. ი. ლენინმა გამოაქვეყნა 1905 წელს გაზეთ «ვპერიოდის» 14 (1) იანვრის მე-2 ნომერში, განყოფილებაში «პარტიიდან».

სამხრეთის კონფერენციის რეზოლუციები პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის კრებულში XV, გვ. 217 — 219; იქვე — 249 — 253 გვერდებზე დაბეჭდილია კავკასიის კონფერენციის რეზოლუციებიც. — **30.**

13 ვ ა ს ი ლ ი ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი ჩ ი — ბოლშევიკი მ. ს. ოლმინსკი (ალექსანდროვი). — **33.**

14 რ ა ხ მ ე ტ ო ვ ი — ა. ა. მალინოვსკი; უფრო ცნობილია ბოგდანოვის გვარით; 1903 წელს მიემხრო ბოლშევიკებს. ლონდონის V ყრილობის შემდეგ ჩამოშორდა ბოლშევიზმს. — **33.**

15 ლაპირაკია უმრავლესობის კომიტეტების ბიუროზე. — **37.**

16 პ ა პ ა შ ა — ბოლშევიკი მ. მ. ლიტვინოვი. — **37.**

17 მოსამზადებელი მასალები სტატიისათვის «პორტ-არტურის დაცემა»: სტატიის გეგმის რამდენიმე ვარიანტი, მრავალრიცხოვანი ამონაწერები უცხოეთის პრესიდან და სხვ. დაბეჭდილია ლენინის კრებულში V, 1929, გვ. 57 — 59; XVI, 1931, გვ. 37 — 42 და XXVI, 1934, გვ. 242 — 251. — 38.

18 ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი, ე. ი. — ადმირალი, 1903 წლიდან მეფისნაცვალი შორეულ აღმოსავლეთში. — 43.

19 «T h e T i m e s» («დროება») — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული 1785 წელს ლონდონში; ინგლისის ბურჟუაზიის ერთ-ერთი დიდი კონსერვატიული გაზეთი. — 43.

20 «რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ნ ა ი ა რ ო ს ს ი ა» — ესერების გაზეთი, გამოდიოდა 1900 წლის დამლევიდან 1905 წლამდე; 1902 წლის იანვრიდან — ესერების პარტიის ცენტრალური ორგანო. — 45.

21 პ ა ნ ი ნ ი (მ. ს. მაკაძიუბას ფსევდონიმი), ჩ ე რ ე ვ ა ნ ი ნ ი (ფ. ა. ლიპკინის ფსევდონიმი) — მენშევიკი ლიტერატორები. — 52.

22 რ ი ა დ ო ვ ო ი — ა. ა. მალინოვსკის ფსევდონიმი. — 55.

23 იგულისხმება განცხადება გაზეთ «ვპერიოდის» გამოცემის შესახებ, დაბეჭდილი ცალკე ფურცლად 1904 წლის დეკემბერში სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურის ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის ჟენევის ბოლშევიკურ გამომცემლობაში. — 58.

24 ა ბ ს ო ლ უ ტ ი — ბოლშევიკი ე. დ. სტასოვა. — 61.

25 ვ. ვ. — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის ვ. პ. ვორონცოვის ფსევდონიმი. — 70.

26 იხ. ლენინის ნაშრომი «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 1, გვ. 397 — 616). — 70.

27 ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ე ლ ი ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი — მარქსიზმისადმი მტრული მიმდინარეობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში. იგი გაჩნდა XIX საუკუნის დამლევს გერმანიაში და სახელწოდება მიიღო გერმანელი სოციალ-დემოკრატის ედუარდ ბერნშტეინის სახელის მიხედვით. ბერნშტეინი გამოვიდა მარქსის რევოლუციური მოძღვრების რევიზიით ბურჟუაზიული ლიბერალიზმის საფუძველზე.

რუსეთში ბერნშტეინის მომხრეები იყვნენ «ლეგალური მარქსისტები», «ეკონომისტები», ბუნდელები, მენშევიკები. — 70.

28 ს ტ ა რ ო ვ ე რ ი — მენშევიკ ა. ნ. პოტრესოვის ფსევდონიმი.—72.

29 «ზ ა რ ი ა» — მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა 1901 — 1902 წლებში შტუტგარტში «ისკრის» რედაქციით. «ზარიაში» დაბეჭდილია ლენინის შემდეგი ნაწარმოებნი: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», ნაშრომის «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» პირველი ოთხი თავი (სათაურით «ბ-ნი «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა», «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». გამოვიდა სამი წიგნი: №№ 1, 2 — 3 და 4. — 75.

30 ნ ი კ ო ლ ა ი — ო ნ ი — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმი. — 85.

31 «რ უ ს ე თ ი ს ფ ა ბ რ ი კ ა-ქ ა რ ხ ნ ე ბ ი ს მ უ შ ა თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა» შექმნა 1904 წელს პეტერბურგში მეფის პოლიციამ პროვოკატორ ხუცეს გაპონის დახმარებით იმ მიზნით, რომ მუშები ჩამოეშორებინა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაგან (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 68 — 70). — 92.

32 პეტერბურგის მუშათა პეტიცია მეფისადმი გამოიცა ცალკე ფურცლად და გადაბეჭდილ იქნა გაზეთ «ვპერიოდის» 1905 წლის 31 (18) იანვრის მე-4 ნომერში. — 94.

33 წერილები, რომლებზედაც ვ. ი. ლენინი ლაპარაკობს, არის ერთი ბოლშევიკის მიერ პეტერბურგიდან გაგზავნილი კორესპონდენციები, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდის» 1905 წლის 31 (18) იანვრის მე-4 ნომერში სათაურით «პეტერბურგელ სოციალ-დემოკრატთა წერილები». — 112.

34 ლაპარაკია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოზე— გაზეთ «Vorwärts»-ზე («წინ»), რომელიც მოხსენიებული იყო გაზეთ «ვპერიოდის» 1905 წლის 31 (18) იანვრის მე-4 ნომრის ფურცლებზე მოთავსებულ სტატიაში «სასახლის მოედანზე. მნახველის წერილი». — 117.

35 «მთავრობის მოამბე» — «პრავიტელსტვენნი ვესტნიკ» — გაზეთი, მთავრობის ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1869 წლიდან 1917 წლამდე. — 127.

86 სტატია «ბ რ ძ ო ლ ე ბ ი ბ ა რ ი კ ა დ ე ბ ზ ე» განკუთვნილი იყო გაზეთ «ვპერიოდის» მე-4 ნომრისათვის, რომელიც მიეძღვნა რევოლუციის დაწყებას რუსეთში, მაგრამ არ დ ბეჭდილა. პირველად გამოქვეყნდა 1934 წელს ლენინის კრებულში XXVI. — 130.

87 «უ გ რ ი უ მ-ბ უ რ ჩ ე ე ვ ი» — გონებაჩლუნგი და შეზღუდული წარჩინებულის ტიპი, გამოყვანილი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებში «ერთი ქალაქის ისტორია».

პეტერბურგელ უგრიუმ-ბურჩეევებს ლენინი უწოდებს მეფე ნიკოლოზ II-ის კარის ხროვის წარმომადგენლებს. — 133.

88 «რ ს დ მ პ გ ა თ ი შ ვ ი ს მ ო კ ლ ე ნ ა რ კ ვ ე ვ ი» გამოსცა ცალკე ფურცლად რსდმპ დამხმარე ბერნის (შვეიცარია) ჯგუფმა 1905 წლის 2 (15) თებერვალს შემდეგი მიმართვით: «რსდმპ დამხმარე ბერნის ჯგუფი «ვპერიოდი» აქვეყნებს ამ წერილს, რადგან უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, განსაკუთრებით რუსეთში მყოფი ამხანაგებისათვის, რომ ჰქონდეთ გ-თიშვის მოკლე ნარკვევი. ვთხოვთ საზღვარგარეთელ ამხანაგებს წერილი გადაგზავნონ რუსეთში». — 134.

89 გ ა ლ ი ო რ კ ა — ბოლშევიკ მ. ს. ოლმინსკის (ალექსანდროვის) ფსევდონიმი. — 139.

40 ვ ო ი ნ ო ვ ი — ბოლშევიკ ა. ვ. ლუნაჩარსკის ფსევდონიმი. — 180.

41 შ ე ლ გ უ ნ ო ვ ი, ნ. ვ. (1824 — 1891) — მწერალი-დემოკრატი, პუბლიცისტი; მონაწილეობდა ჟურნალ «სოვრემენნიკში». მისი პროგრესული მოღვაწეობა კარგად იყო ცნობილი პეტერბურგის მოწინავე მუშებისათვის. შელგუნოვის დაკრძალვა 1891 წლის 15 (27) აპრილს გადაიქცა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად. — 152.

42 ლაპარაკია მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვაზე, რომელიც კიევში 1903 წლის ივლისში მოხდა. 1903 წლის 1 სექტემბერს «ისკრის» 47-ე ნომერში ამ გაფიცვას მიეძღვნა დიდი კორესპონდენცია სათაურით «საყოველთაო გ-ფიცვა კიევში». — 153.

43 კ ი ფ ა მ ო კ ი ე ვ ი ჩ ი — ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოების «მკვდარი სულების» ერთ-ერთი პერსონაჟი, რომლის სახითაც ავტორმა გამოიყვანა ფუჭი და უაზრო საკითხების გადაწყვეტით გართული ადამიანის ტიპი. — 168.

44 1902 წლის 5 (18) მაისს მუშა ლეკერტი მოკვლის მიზნით თავს დაესხა ვილნოს გუბერნატორს ფონ ვალს. მარტოვი და ზასულიჩი მიესალმნენ ინდივიდუალური ტერორის ამ აქტს.

პლეევეს მოკვლის გამო გამოცემულ ფურცელზე რომ ლაპარაკობს, ლენინს მხედველობაში აქვს მენშევიკური «ისკრის» რედაქციის მიერ ხელმოწერილი ფურცელი № 16 «მუშა ხალხისადმი», რომელშიც აშკარად იცავდნენ ინდივიდუალური ტერორის ესერულ ტაქტიკას. — **177.**

45 მ თ ა და ჟ ი რ ო ნ დ ა — XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის ბურჟუაზიის ორი პოლიტიკური დაჯგუფების სახელწოდება. მთა — იაკობინელები — ეწოდებოდა იმდროინდელი რევოლუციური კლასის — ბურჟუაზიის ყველაზე მტკაცე წარმომადგენლებს, რომლებიც აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის მოსპობის საჭიროებას იცავდნენ. ჟირონდისტები, იაკობინელებისაგან განსხვავებით, რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შუა მერყეობდნენ და მონარქიასთან გარიგებების გზით მიდიოდნენ.

«სოციალისტურ ჟირონდას» ლენინი უწოდებდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას სოციალ-დემოკრატიაში; პროლეტარულ იაკობინელებს, «მთას» — რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს. რსდმპ-ის ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაპიშვის შემდეგ ლენინი ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მენშევიკები წარმოადგენენ ჟირონდისტულ მიმდინარეობას მუშათა მოძრაობაში. — **198.**

46 ლენინს მხედველობაში აქვს შენიშვნა «ადგილობრივი კომიტეტების დეზორგანიზაცია» და სოციალ-დემოკრატთა მინსკისა და ოდესის ჯგუფის რეზოლუციები, რომლებიც 1905 წლის 21 (8) თებერვალს გაზეთ «ვპერიოდის» მე-7 ნომერში გამოქვეყნდა განყოფილებაში «პარტიიდან». — **196.**

47 «ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ბ ო ნ ა პ ა რ ტ ი ს ტ ებ ს» ლენინი უწოდებდა მენშევიკებს, რომლებმაც პარტიის ნების წინააღმდეგ ხელში ჩაიგდეს პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი «ისკრა», ცენტრალური კომიტეტი და პარტიის საბჭო. — **197.**

48 იგულისხმება სტაროვერის (ა. ნ. პოტრესოვის) რეზოლუცია ლიბერალებისადმი დამოკიდებულების შესახებ, მიღებული რსდმპ II ყრილობაზე. III ყრილობაზე ეს რეზოლუცია გაუქმებულ იქნა. — **209.**

49 «კ ო მ უ ნ ი ს შ ე ს ა ხ ებ კ ი თ ხ ვ ი ს გ ე გ მ ა» წარმოადგენს პარიზის კომუნის შესახებ ლენინის იმ მოხსენების გეგმას, რომელიც მან 1905 წლის 5 (18) მარტს წაიკითხა ჟენევაში პოლიტიკური ემიგრანტების რუსული კოლონიისათვის. — **288.**

50 ფ. ენგელსი კ. მარქსის ბროშურის «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» შესავალში, ანალიზს უკეთებდა რა საფრანგეთის მდგომარეობას 1948

წლის ივნისის აჯანყების შემდეგ, წერდა: «თუ პროლეტარიატს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ შეეძლო, ბურჟუაზიას უ კ ვ ე აღარ შეეძლო საფრანგეთის მართვა» (კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», 1940, გვ. 10). — **233.**

51 აქ და ქვემოთ ლენინი იმოწმებს კ. მარქსის ბროშურის «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» გერმანულ გ-მოცემას, რომელიც ბერლინში 1891 წელს გამოვიდა. — **233.**

52 ლენინი აქ ატარებს ანალოგიას პარიზის 1871 წლის კომუნის ჯალათებსა და რუსეთის 1905 წლის პირველი რევოლუციის ჯალათებს შორის.

ტ რ ე პ ო ვ ი, დ. ფ. — პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი; ხელმძღვანელობდა რუსეთის პირველი რევოლუციის ჩახშობას.

ვ ა ს ი ლ ჩ ი კ ო ვ ი, ს. ი., თავადი — მეფის გენერალი; 1905 წლის 9 (22) იანვარს სარდლობდა მეფის ჯარებს პეტერბურგში, რომლებმაც მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტეს. — **234.**

53 აქ და ქვემოთ ლენინი იმოწმებს წიგნს: Weill. G. «Histoire du mouvement social en France 1852 — 1902», Paris, 1904 (ვეილი, ჟ. «ისტორია სოციალური მოძრაობისა საფრანგეთში 1852 — 1902», პარიზი, 1904). — **234.**

54 კომუნის მსხვერპლთა ციფრი მოყვანილია პარიზში 1896 წელს გამოცემული Lissagaray-ის წიგნის «Histoire de la Commune de 1871» მიხედვით (იხ. რუსული თარგმანი: ლისაგარე, «1871 წ. კომუნის ისტორია», მ., ე. დ. მიაგკოვის წიგნის გამომცემლობა «კოლოკოლი», 1905, გვ. 522). — **236.**

55 ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მ ი მ ა რ თ უ ლ ი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი შემოღებულ იქნა გერმანიაში 1878 წელს. ამ კანონით აიკრძალა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ორგანიზაცია, მასობრივი მუშათა ორგანიზაციები, მუშათა პრესა, წარმოებდა სოციალისტური ლიტერატურის კონფისკაცია, დაიწყო სოციალ-დემოკრატთა გასახლება. მუშათა მასობრივი მოძრაობის ზეგავლენით კანონი 1890 წელს გაუქმებულ იქნა. — **243.**

56 ი ქ ს ი — მენშევიკ პ. პ. მასლოვის ფსევდონიმი. — **267.**

57 ეს შენიშვნა წარმოადგენს ლენინის წინასიტყვაობას კლიუზერეს სტატიის თარგმანისათვის, რომელიც 1905 წლის 23 (10) მარტს გაზეთ «ვპერიოდის» მე-11 ნომერში გამოქვეყნდა სათაურით «ქუჩის ბრძოლის შესახებ. (კომუნის გენერლის რჩევ.-ნი)». თარგმანს რედაქცია გაუკეთა ლენინმა (იხ. ლენინის კრებული XXVI, 1934, გვ. 355 — 365). — **272.**

58 ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი — ბოლშევიკი ფ. ვ. ლენგნიკი. — **275.**

59 გ ლ ე ბ ო ვ ი — ვ. ა. ნოსკოვი; რსდმპ II ყრილობის მიერ არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. 1904 წლის ზაფხულში მან უღალატა ბოლშევიკებს და დაიკავა შემარიგებელი პოზიცია მენშევიკების მიმართ. — **278.**

60 ეს შენიშვნა დაიბეჭდა როგორც ვ. ი. ლენინის სქოლიო ვ. ვ. ვოროვსკის სტატიისათვის «დემაგოგიის ნაყოფი» 1905 წლის 23 (10) მარტს გაზეთ «ვპერიოდის» მე-11 ნომერში.

პარტიის მარქსისტული პროგრამის ისტორიის მასალები მოთავსებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მე-6 ტომში. — **281.**

61 ლაპარაკია რსდმპ II ყრილობაზე მიღებული პარტიის პროგრამის შემდეგს დებულებაზე: «ისწრაფის რა თავისი უახლოესი მიზნების მიღწევისაკენ, რსდმპ მხარს უჭერს ყოველგვარ ოპოზიციურ და რევოლუციურ მოძრაობას, მიმართულს რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, ამავე დროს გადაჭრით უარყოფს ყველა იმ რეფორმატორულ პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელი კლასების მიმართ პოლიციელთა და მოხელეთა მეურვეობის ყოველივე გაფართოებასა ან განმტკიცებასთან» (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 23). — **286.**

62 «მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი კ რ ი გ ე ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ» კ. მარქსმა დაწერა ფ. ენგელსის მონაწილეობით 1846 წლის მაისის დამდეგს, დაიბეჭდა ყოველთვიურ «Das Westphälische Dampfboot»-ში («ვესტფალიის გემი») (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 91—108). — **289.**

63 ფ. ენგელსი ჰენრი ჯორჯის შესახებ წერდა თავისი წიგნის «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» ამერიკული გამოცემის წინასიტყვაობაში. წიგნი გამოვიდა ნიუ-იორკში 1887 წელს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 284 — 292). — **289.**

64 ნ ი კ ი ტ ი ჩ ი — ლ. ბ. კრასინი. — **290.**

65 ს ე ნ ა ტ ო რ შ ი დ ლ ო ვ ს კ ი ს კ ო მ ი ს ი ა დაარსა მეფის მთავრობამ 1905 წლის 29 იანვარს (11 თებერვალს) «მუშათა უკმაყოფილების მიზეზების გამოსარკვევად», ნამდვილად კი მუშათა მასების მოტყუებისა და რევოლუციური ბრძოლისაგან მათი ჩამოშორების მიზნით.

«„შიდლოვსკის პარტიული კომისიის» ფანდებზე» რომ ლაპარაკობს, ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თვ-ლთმაქცობა მენშევიკების მიერ ხელში ჩაგდებული ცენტრალური კომიტეტისა, რომელმაც ფორმალურად აზრი გამოთქვა III ყრილობის სასარგებლოდ, მაგრამ ნამდვილად პარტიის ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ იბრძოდა. — **294.**

66 «გ რ ა ჟ დ ა ნ ი ნ» — რეაქციული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1872 წლიდან 1914 წლამდე; დააარსა თავადმა ვ. პ. მეშჩერსკიმ. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურესი მონარქისტების ორგანო იყო. არსებობდა უმთავრესად მეფის მთავრობის სუბსიდიებით. — **310.**

67 ბ უ ლ ი გ ი ნ ი — მეფის შინაგან საქმეთა მინისტრი; სახელმწიფო სათათბიროს კანონის პროექტის ავტორი; ეს სათათბირო სახალხო წარმომადგენლობის კარიკატურას წარმოადგენდა (იხ. ეს ტომი, გვ. 413 — 418). — **317**

68 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1939, გვ. 37. — **324.**

69 იხ. ფ. ენგელსი. «გლეხთა ომი გერმანიაში», 1939, გვ. 111 — 112. — **325.**

70 მ ი ლ ი ე რ ა ნ ი — ფრანგი სოციალისტ-რეფორმისტი. 1899 **წელს** შევიდა რეაქციულ ბურჟუაზიულ მთავრობაში, სადაც თანამშრომლობდა პარიზის კომუნის ჯალათთან გენერალ გალიფე'თან.

ვ ა რ ლ ე ნ ი, ლ უ ი-ე ჟ ე ნ (1839 — 1871) — ფრანგი მუშა, I ინტერნაციონალის თვალსაჩინო მოღვაწე, იყო ნაციონალური გვარდიის ცენტრ-ლური კომიტეტის წევრი და პარიზის 1871 წლის კომუნის წევრი. — **328.**

71 მენშევიკური «ისკრის» 93-ე ნომერში მოთავსებულია ლ. მარტოვის სტატია «სადღეისო საკითხი. მუშათა პარტია და «ძალაუფლების დაპყრობა», როგორც ჩვენი უახლოესი ამოცანა». ამ სტატიას ლენინი აკრიტიკებს ნაშრომში «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა» და რსდმპ III ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში «ს.-დ. მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში» (იხ. ეს ტომი, გვ. 341 და 459 — 461). — **332.**

72 იხ. კ. მარქსი. «ლუი ბონაპარტის თვრამეტი ბრიუმერი», 1940, გვ. **104.** — **332.**

73 «ს ი ზ ი ფ ი ს შ რ ო მ ა» — სინონიმი მძიმე, დამქანცველი, მაგრამ უნაყოფო შრომისა, წარმოიშვა მითიდან ძველი საბერძნეთის მეფის სიზიფეს შესახებ. ღმერთების წინაშე დანაშაულისათვის, როგორც ნათქვამია ლეგენდაში, სიზიფე სასტიკად იქნა დასჯილი: მას მარად უნდა აეგორებინა მაღალ მთაზე უზარმაზარი ქვა, რომელიც მწვერვალის მიღწევისთანავე კვლავ ქვემოთ გორდებოდა. — 336.

74 სტატია «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ა დ ა გ ლ ე ხ ობ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა» ცალკე ბროშურად გამოსცა აგრეთვე რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. — 341.

75 იგულისხმება რეზოლუცია «სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესების» შესახებ, მიღებული II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესის მიერ 1904 წლის აგვისტოში. — 346.

76 «საპარლამენტო კრეტინიზმს» ლენინი უწოდებდა ოპორტუნისტების იმ რწმენას, რომ მმართველობის პარლამენტური სისტემა ყოველისშემძლეა, ხოლო პარლამენტური ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი და ყველა პირობებში მთავარი ფორმაა. — 350.

77 რეაქციული გაზეთი «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» გაბოროტებით ჰგესლავდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ფართოდ იყენებდა ცილისწამებას და პოლემიკის სხვა უპატიოსნო მეთოდებს.

ლენინი ქვემოთ «ჩვენს პარტიულ «ნოვოე ვრემიას»» უწოდებს მენშევიკურ «ისკრას», ხოლო მენშევიკებს — «ნოვოევრემიასებური ტიპის ადამიანებს». — 359.

78 იგულისხმება ორლოვსკის (ვ. ვ. ვოროვსკის) ბროშურა «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», გამოცემული ჟენევაში 1904 წელს. — 362.

79 ფ უ რ ც ე ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს ხელმოწერით მთლიანად გადაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდის» მე-9 ნომერში 1905 წლის 8 მარტს (23 თებერვალს) სათაურით «საჭირბოროტო საკითხები». — 366.

80 «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი, გამოდიოდა 1756 წლიდან; XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქისტული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო. გამოდიოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. — 367.

81 ლენინს ციტატი მოჰყავს კ. მარქსის ნაშრომიდან «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 386). — 371.

82 «Das Westphälische Dampfboot» («ვესტფალიის გემი») — დემოკრატიული მიმართულების გერმანული ჟურნალი, გამოდიოდა ვესტფალიაში 1845 — 1848 წლებში. ჟურნალში იბეჭდებოდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. — 377.

83 «ღია წერილი რსდმპ საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. პლეხანოვს» თავდაპირველად გამოიცა ცალკე ფურცლად და გადაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდში». პარტიის საბჭოსადმი მიმართვა პლეხანოვს გაეგზავნა 1905 წლის 4 (17) აპრილს. მეორე დღეს შესდგა სხდომა საორგანიზაციო კომიტეტისა (სადაც შეიკრიბნენ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წევრები და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები), რომელმაც დაადგინა საბჭოს მისცემოდა პასუხისათვის შვიდი დღის ვადა, რის შემდეგაც გახსნილიყო პარტიის ყრილობა. რსდმპ მესამე ყრილობა დაიწყო სწორედ 7 დღის შემდეგ — 12 (25) აპრილს. — 392.

84 ი ო გ ა ნ ს ე ნ ი — ლ. ბ. კრასინი. — 392.

85 ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი — ა. ი. ლიუბიმოვი. — 392.

86 ვ ა დ ი მ ი — დ. ს. პოსტოლოვსკი. — 397.

87 ბ — ა ა ნ უ ბ ე მ ი — მ. ა. სილვინი, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი პარტიის საბჭოში 1905 წლის დამდეგს; ვ ტ ო რ ო ვ ი — მენშევიკი ვ. ნ. კოროხმალი. — 398.

88 პროკლამაცია «პ ი რ ვ ე ლ ი მ ა ი ს ი» ლენინმა დაწერა ჟენევაში და გამოიცა ფურცლად უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს და გაზეთ «ვპერიოდის» რედაქციის ხელმოწერით. ფურცელი გადაბეჭდეს მთელმა რიგმა ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტებმა. — 408.

89 რ ს დ მ პ I I I ყ რ ი ლ ო ბ ა შესდგა ლონდონში 1905 წლის 12—27 აპრილს (25 აპრილს — 10 მაისს). ყრილობა მოამზადეს და მოიწვიეს ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით. ეს იყო პირველი ბოლშევიკური ყრილობა.

რსდმპ III ყრილობის დღის წესრიგი, შემუშავებული ლენინისა და მიღებული ყრილობის მიერ, შემდეგი იყო: I. ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა. I I. ტ ა ქ ტ ი კ ი ს ს ა კ ი თ ხ ე-

ბ ი: 1) შეიარაღებული აჯანყება; 2) დამოკიდებულება მთავრობის პოლიტიკისადმი გადატრიალების წინ და გადატრიალების მომენტში (ეს პუნქტი მიძღვნილი იყო ორი საკითხისადმი: ა) დამოკიდებულება მთავრობის პოლიტიკისადმი გადატრიალების წინ; ბ) დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ); 3) დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი. I I I. ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო ს ა კ ი თ ხ ე ბ ი: 4) მუშებისა და ინტელიგენტების ურთიერთობა პარტიულ ორგანიზაციებში; 5) პარტიის წესდება. I V. დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ხ ვ ა პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ა დ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ე ბ ი ს ა დ მ ი: 6) დამოკიდებულება რსდმპ გათიშული ნაწილისადმი; 7) დამოკიდებულება ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი; 8) დამოკიდებულება ლიბერალებისადმი; 9) პრაქტიკული შეთანხმებანი სოციალისტ-რევოლუციონერებთან. V. პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს შ ი ნ ა უ რ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი: 10) პროპაგანდა და აგიტაცია. V I. დ ე ლ ე გ ა ტ თ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი: 11) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში; 12) ადგილობრიეი კომიტეტების დელეგატთა ანგარიშები. V I I. ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი: 13) არჩევნები; 14) ყრილობის რეზოლუციებისა და ოქმების გამოქვეყნებისა და თანამდებობის პირთა მიერ თანამდებობის შესრულების დაწყების წესი.

III ყრილობის ყველა ძირითად საკითხზე ლენინმა ჯერ კიდევ ყრილობამდე დაწერა რეზოლუციების პროექტები და დაასაბუთა ისინი გაზეთ «ეპერიოდის» ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიებში. ყრილობაზე ლენინი გამოვიდა შეიარაღებული აჯანყების საკითხის შესახებ, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ, გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ, პარტიის წესდებისა და მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებ. ყრილობის ოქმებში ჩაწერილია ლენინის 138 გამოსელა და წინადადება.

ყრილობამ შეცვალა პარტიის წესდება: ა) მიიღო წესდების § 1 ლენინის ფორმულირებით; ბ) ზუსტად განსაზღვრა ცენტრალური კომიტეტის უფლებანი და მისი დამოკიდებულება ადგილობრიეი კომიტეტებისადმი; გ) შეცვალა პარტიის ცენტრალური ორგანოების ორგანიზაციული აღნ-გობა: სამი ცენტრის (პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური ორგანოს და საბჭოს) ნაცვლად ყრილობამ შექმნა ერთადერთი სრულუფლებიანი პარტიული ცენტრი — ცენტრალური კომიტეტი.

პარტიის III ყრილობის მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებ იხ. ლენინის სტატია «მესამე ყრილობა» (ეს ტომი, გვ. 521 — 529) და ლენინის წიგნი «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში», აგრეთვე «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 81 — 99. — **421.**

90 ლ ე ტ ნ ე ვ ი — ა. ი. ლიუბიმოვი. — **430.**

91 ზ ი მ ი ნ ი — ლ. ბ. კრასინი. — **430.**

92 ლ ე ს კ ო ვ ი — ნ. ვ. რომანოვი, ჩრდილოეთის კომიტეტის დელეგატი. სიტყვაში მოხსენიებულნი: ე ა რ კ ო ვ ი — მ. ს. ლეშჩინსკი, ეკატერინოსლავის კომიტეტის დელეგატი; მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი — დ. ს. პოსტოლოვსკი, ჩრდილო-დასავლეთის კომიტეტის დელეგატი; ს ო ს ნ ო ვ ს კ ი — ვ. ა. ფესენიცკი, ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტის დელეგატი. — **435.**

93 დოკუმენტს სათაური არა აქვს. სათაური გაუკეთა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — **437.**

94 ს ე რ გ ე ე ვ ი — ა. ი. რიკოვი. — **439.**

95 ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ი — დ. ს. პოსტოლოვსკი. — **441.**

96 შ მ ი დ ტ ი — პ. პ. რუმიანცევი, ვორონეჟის კომიტეტის დელეგატი. — **441.**

97 «კ ო მ უ ნ ი ს ტ თ ა კ ა ვ შ ი რ ი» — რევოლუციური პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, დაარსებული 1847 წლის ზაფხულს ლონდონში რევოლუციური პროლეტარული ორგანიზაციების დელეგატთა კონგრესზე. «კომუნისტთა კავშირის» ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რომლებმაც ამ ორგანიზაციის დავალებით დაწერეს «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». «კომუნისტთა კავშირმა» იარსება 1852 წლამდე. «კომუნისტთა კავშირის» გამოჩენილი მოღვაწეები შემდეგ ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ I ინტერნაციონალში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 208 — 226). — **454**

98 «ცენტრალური კომიტეტის პირველი მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 479 — 489). — **454.**

99 «N e u e R h e i n i s c h e Z e i t u n g» («რეინის ახალი გაზეთი») გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. გაზეთის ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი; მთავარი რედაქტორი იყო მარქსი. 301-ე ნომერზე გაზეთმა, რეაქციის დარტყმების შედეგად, შეწყვიტა არსებობა. «რეინის ახალი გაზეთის» შესახებ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 165 — 173. — **457.**

100 იგულისხმება ფ. ენგელსის 1894 წლის 26 იანვრის წერილი, რომელიც გამოქვეყნდა იტალიურ ორკვირეულ «Critica Sociale»-ს («სოციალური კრიტიკა») მე-3 ნომერში 1894 წლის 1 თებერვალს სათაურით «იტალიის მომავალი რევოლუცია და სოციალისტური პარტია» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. II, 1936, გვ. 377 — 382). — **459.**

101. ფ. ენგელსის სტატია «ბაკუნისტები სამუშაოზე. ჩანაწერები ესპანეთის 1873 წლის ზაფხულის აჯანყების შესახებ», რომელიც 1873 წელს გამოქვეყნდა, რუსულ ენაზე ითარგმნა ვ. ი. ლენინის რედაქციით და რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა ცალკე ბროშურად 1905 წელს ჟენევაში და 1906 წელს პეტერბურგში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 105 — 124). — **460.**

102 ვ ა ნ დ ე ა — საფრანგეთის პროვინცია, სადაც XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში იფეთქა ჩამორჩენილი რეაქციული გლეხობის კონტრრევოლუციურმა აჯანყებამ რევოლუციური კონვენტის წინააღმდეგ. აჯანყება მიმდინარეობდა რელიგიური ლოზუნგებით და მას ხელმძღვანელობდნენ კონტრრევოლუციური სამღვდელოება და მემამულეები. — **463.**

103 ლენინს ციტატი მოჰყავს კ. მარქსის სტატიიდან «ბურჟუაზია და კონტრრევოლუცია. (პრუსიის რევოლუციის ბალანსი)», რომელიც მარქსმა 1848 წლის 14 დეკემბერს დაწერა (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 54). — **463.**

104 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, VII, 1930, გვ. 399 — 489. — **464.**

105 ა ნ დ რ ე ე ვ ი — ნ. ა. ალექსეევი, რსდმპ III ყრილობის მონაწილე სათათბირო ხმით. — **469.**

106 ბ ა რ ს ო ვ ი — ბოლშევიკი მ. გ. ცხაკაია. — **471.**

107 «მ ი წ ი ს გ ა დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა» — ერთ-ერთი პოპულარული ლოზუნგი მეფის რუსეთის გლეხობაში, გამოხატავდა გლეხების მისწრაფებას მიწის საყოველთაო გადანაწილებისადმი. — **474.**

108 გ ო ლ უ ბ ი ნ ი — რსდმპ III ყრილობის დელეგატი ბოლშევიკი პ. ა. ჯაფარიძე. — **483.**

109 დოკუმენტს სათაური არა აქვს. სათაური გაუკეთა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — **484.**

110 დოკუმენტს სათაური არა აქვს, სათაური გაუკეთა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა. — **496**.

111 რეზოლუცია «კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა მ ბ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» პირველად გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარის» 1-ლ ნომერში 1905 წლის 27 (14) მაისს და ქართული არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოს «პროლეტარიატის ბრძოლის» 1-ლ ნომერში 1905 წლის 1 (14) ივლისს. — **497**.

112 იგულისხმება რეზოლუცია «ყრილობის კონსტიტუირების შესახებ», დაბეჭდილი გაზეთ «პროლეტარის» 1-ლ ნომერში 1905 წლის 27 (14) მაისს (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში». 1940, ნ. I, გვ. 43 — 44). — **518**.

113 ეს შენიშვნა დაიბეჭდა სარედაქციო შენიშვნად III ყრილობის რეზოლუციისა «ყრილობის კონსტიტუირების შესახებ» გაზეთ «პროლეტარის» 1-ლ ნომერში 1905 წლის 27 (14) მაისს. — **518**.

114 სტატია «მ ე ს ა მ ე ყ რ ი ლ ო ბ ა» გადაბეჭდილი იყო 1905 წლის 1 (14) ივლისს ქართული არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოს «პროლეტარიატის ბრძოლის» პირველ ნომერში. — **521**.

115 იგულისხმება რეზოლუციები ადვოკატთა სრულიად რუსეთის ყრილობისა, რომელიც შედგა პეტერბურგში 1905 წლის 28 — 30 მარტს (10 — 12 აპრილს). რეზოლუციების კრიტიკა მოცემულია გაზეთ «პროლეტარის» მე-2 ნომრის მოწინავე სტატიაში 1905 წლის 3 ივნისს (21 მაისს). — **531**.

116 აღნიშნული «სპეციალური ბროშურა» გამოვიდა 1905 წლის 12 (25) ივნისს ფრანგულ ენაზე გაზეთ «Le Socialiste»-ს («სოციალისტი» — საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო) დამატებად და გერმანულ ენაზე მიუნქენის «Bericht über den III. Parteitag dep S.-D.A.-P.R.»-ის გამოცემით (თარგმანი «ცნობისა რსდმპ III ყრილობის შესახებ» და ყრილობის რეზოლუციებისა). ცნობა ამ ბროშურების გამოსვლის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» მე-15 ნომერში 1905 წლის 5 სექტემბერს (23 აგვისტოს) განყოფილებაში «პარტიიდან». — **537**.

117 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო, შექმნილი პარტიის III ყრილობის დადგენილებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის

27 აპრილის (10 მაისის) პლენუმის გადაწყვეტილებით ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ვ. ი. ლენინი.

«პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. რედაქციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და მ. ს. ოლმინსკი. «პროლეტარი» განაგრძობდა ძველი, ლენინური «ისკრის» ხაზს და შეინარჩუნა ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» სრული თანამომდევნობა.

ლენინმა გაზეთში დაწერა 50-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. ლენინის სტატიები გაზეთ «პროლეტარიდან» იბეჭდებოდა ხოლმე ბოლშევიკური პრესის ადგილობრივ ორგანოებში, გამოდიოდა ცალკე ფურცლებად.

მას შემდეგ, რაც ლენინი რუსეთს გაემგზავრა, 1905 წლის ნოემბერში, გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა მალე შეწყდა. «პროლეტარის» ორი უკანასკნელი ნომერი (25-ე და 26-ე) გამოვიდა ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით. — **537.**

118 ს ტ ე ფ ა ნ ბ ო რ ნ ი (1824 — 1898) — გერმანიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე, 1848 წლის რევოლუციის მონაწილე, იყო «კომუნისტთა კავშირის» წევრი (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 221 — 222). — **553.**

119 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 506. — **555.**

120 ლენინს მხედველობაში აქვს «ცენტრალური კომიტეტის პირველი მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი», დაწერილი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ 1850 წლის მარტში (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VIII, 1931, გვ. 479 — 489). — **556.**

121 იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა», 1940, გვ. 35. — **556.**

122 ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის ნაშრომი «კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნ. I, 1937, გვ. 222 — 223). — **557.**

123 «D e r V o l k s s t a a t» («სახალხო სახელმწიფო») — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ლაიფციგში 1869 — 1876 წლების მანძილზე ვ. ლიბკნეხტის რედაქციით. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. — **561.**

124 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 105 — 124. — **561.**

125 მესამე სტატია, როგორც გაგრძელება ლენინის ნაშრომისა «დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ», არ დაბეჭდილა. დროებითი რევოლუციური მთავრობის ამოცანების საკითხი ლენინის მიერ გაშუქებულია დოკუმენტში «დროებითი რევოლუციური მთავრობის სურათი» (იხ. ეს ტომი, გვ. 635 — 638), სტატიაში «რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა» (იხ. ეს ტომი, გვ. 665 — 676) და წიგნში «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». — **569.**

126 ეს დოკუმენტი სარედაქციო წინასიტყვაობაა ბროშურისა «ცნობა რსდმპ III ყრილობის შესახებ», რომელიც ებრაულ ენაზე გამოიცა 1905 წელს. — **587.**

127 სტატია «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ა მ ო ც ა ნ ე ბ ი» გადაბეჭდა ქართულმა არალეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანომ «პროლეტარიატის ბრძოლამ» 1905 წლის 15 (28) ივლისს მე-2 ნომერში. — **607.**

128 «L e M a t i n» («დილა») — ფრანგული ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, დაარსებულ იქნა 1884 წელს. — **619.**

129 კ ა ს ა ნ დ რ ა — ტროადის ლეგენდარული მეფის პრიამეს ქალიშვილი. ძველი ბერძნული ლეგენდა გადმოგვცემს, რომ კასანდრამ, რომელსაც წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა, იწინასწარმეტყველა ძველი საბერძნეთის ქალაქ ტროადის დაღუპვა. — **630.**

130 «ღ ი ა წ ე რ ი ლ ი «L e i p z i g e r V o l k s z e i t u n g»-ი ს რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა დ მ ი» ლენინმა დაწერა პასუხად კაუტსკის სტატიისა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვა», რომელიც «Leipziger Volkszeitung»-ში («ლაიფციგის სახალხო გაზეთი») დაიბეჭდა. რსდმპ ცენტრალური კომიტეტისათვის 29 ივნისს (12 ივლისს) გაგზავნილ წერილში ლენინი კაუტსკის სტატიის გამო წერდა: «კაუტსკიმ მოათავსა საზიზღარი სტატია «ცნობის» გერმანული გამოცემის გამო», ესე იგი რსდმპ III ყრილობის შესახებ ცნობის გამო. ლენინის «ღია წერილი» გაზეთში არ დაბეჭდილა. — **632.**

131 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «წმიდა ოჯახი» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 105). — **636.**

132 «რ უ ს» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1903 წლის დეკემბრიდან 1908 წლის ივნისამდე დროდადრო და სხვადასხვა სახელწოდებით: «რუსი», «მოლვა», «XX ვეკ». — **645.**

133 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის ოქტომბრიდან 1905 წლის ოქტომბრამდე. — **652**.

134 ლაპარაკია ლენინის წიგნზე «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში», რომელიც გამოვიდა 1905 წლის ივლისის დამლევს. — **659**.

135 იგულისხმება ა. ვ. ლუნაჩარსკის სტატია «ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიის ნარკვევები», რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ «ვპერიოდის» მე-2 ნომერში 1905 წლის 14 (1) იანვარს. — **685**.

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1905* წლის იანვარი—თებერვალი)

1904 — 1905

დეკემბერი, 22 (იანვარი, 4). ჟენევაში გამოდის გაზეთ «ვპერიოდის» პირველი ნომერი ლენინის რედაქციით. ნომერში გამოქვეყნებულია მისი სტატიები: «თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი» (მოწინავე), «პროლეტართა კარგი დემონსტრაციებისა და ზოგიერთი ინტელიგენტის ცუდი მსჯელობის შესახებ», «დროა გავათაოთ» და სხვ.

დეკემბერი, 24 (იანვარი, 6). ლენინი «წერილში ამხანაგისადმი რუსეთში» მკვეთრად აკრიტიკებს მენშევიკურ გაზეთ «ისკრის» პოზიციას ბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ.

ლენინი პოლიტიკურ ემიგრანტთა ჟენევის რუსულ კოლონიაში კითხულობს რეფერატს მუშური და ბურჟუაზიული დემოკრატიის საკითხზე.

დეკემბერი, 28 (იანვარი, 10). უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წევრის ა. ა. ბოგდანოვისადმი მიწერილ წერილში ლენინი მტკიცედ მოითხოვს მენშევიკებთან კავშირის საბოლოო და სრულ გაწყვეტას.

1905

იანვარი, 1 (14). გაზეთ «ვპერიოდის» მე-2 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «პორტ-არტურის დაცემა» (მოწინავე) და «ბულბულს არაკებით როდი ჰკვებავენ».

იანვარი, 5 (18). ლენინი ბოლშევიკთა ციურიხელ ჯგუფისადმი წერილში მოუწოდებს მენშევიკებთან კავშირის გადაჭრით გაწყვეტისა და III პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევისაკენ.

იანვარი, 6 (19). ლენინი ე. დ. სტასოვასა და მოსკოვის საპყრობილეში მყოფ ამხანაგებისადმი მიწერილ წერილში მითითებას იძლევა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სოციალ-დემოკრატები მეფის სასამართლოში.

10 და 17 (23 და 30) იანვარს შუა. ლენინი წერს სტატიების სერიას «რევოლუციური დღეები» პეტერბურგის 9 იანვრის ამბების შესახებ.

იანვარი, 11 (24). გაზეთ «ვპერიოდის» მე-3 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები: «მუშური და ბურჟუაზიული დემოკრატია» (მოწინააღ), «ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ», «რევოლუცია რუსეთში», «პეტერბურგის გაფიცვა» და «ჩვენი ტარტიუფები».

იანვარი, 12 (25). ლენინი წერს სტატიას «რევოლუციის დასაწყისი რუსეთში», რომელშიც მოუწოდებს შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. სტატია გამოქვეყნებულია მოწინავე წერილად გაზეთ «ვპერიოდის» მე-4 ნომერში 31 (18) იანვარს.

იანვარი, 13 (26) შემდეგ. ლენინი გამოდის მოხსენებით 9 იანვრის ამბების შესახებ ბოლშევიკების კრებაზე ჟენევაში.

იანვარი, 18 (31). გაზეთ «ვპერიოდის» მე-4 ნომრის ფურცლებზე, განყოფილებაში «რევოლუციური დღეები», გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები: «რა ხდება რუსეთში?», «პირველი ნაბიჯები», «ხუცესი გაპონი», «პეტერბურგის ბრძოლის გეგმა», «ბამა-მეფე» და ბარიკადები».

იანვარი, 19 (თებერვალი, 1). ლენინი სწერს სტატიას «მეფის ზავი».

იანვარი, 21 (თებერვალი, 3). შვეიცარიელ სოციალ-დემოკრატ გ. გრეილიხისადმი მიმართულ წერილში ლენინი მოკლედ გადასცემს რსდმპ გათიშვის ისტორიას.

იანვარი, 25 (თებერვალი, 7). ლენინი ა. ბებელს სწერს წერილს, რომელშიც უარყოფს მის წინადადებას ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

გაზეთ «ვპერიოდის» მე-5 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «პეტერბურგი 9 იანვრის შემდეგ», «ტრეპოვი თარეშობს» და სხვ.

ლენინი ჟენევაში ესწრება მ. ს. ოლმინსკის რეფერატს «ოპორტუნიზმის ნაირსახეობა», რომელშიც გაკრიტიკებული იყო მენშევიზმი.

თებერვალი, 1 (14).	ლენინის სტატია «ორი ტაქტიკა» გამოქვეყნდა მოწინავე წერილად გაზეთ «ვპერიოდის» მე-6 ნომერში.
თებერვალი, 2 (15).	ლენინი ს. ი. გუსევისათვის პეტერბურგში გაგზავნილ წერილში წინადადებას იძლევა განამტკიცონ და გააფართოონ გაზეთ «ვპერიოდის» რედაქციის კავშირი მუშათა წრეებთან და განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან.
თებერვალი, 8 (21).	გაზეთ «ვპერიოდის» მე-7 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «აჯანყებისათვის საბრძოლო შეთანხმების შესახებ» (მოწინავე) და «უნდა მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია?».
თებერვალი, 12 (25).	ს. ი. გუსევისადმი მიწერილ წერილში ლენინი მტკიცედ მოითხოვს, რომ შენარჩუნებულ იქნას უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს სრული დამოუკიდებლობა პარტიის III ყრილობის მომზადებასა და მოწვევაში.
თებერვალი, 15 (28).	ლენინი წერს «წერილს რუსეთის ორგანიზაციებს», რომელშიც მტკიცედ მოითხოვს III ყრილობისათვის დაუყოვნებლივ მომზადებას.
	გაზეთ «ვპერიოდის» მე-8 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატია «III პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ» (მოწინავე).
თებერვალი, 20-მდე (5 მარტამდე).	ლენინი ადგენს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშების ანკეტას მე-III ყრილობისათვის.
თებერვალი, 20 (მარტი, 5).	ლენინი ბოლშევიკების ჟენევის კლუბში გამოდის პარტიის III ყრილობის მომზადების საკითხებზე.
თებერვალი, 23 (მარტი, 8).	გაზეთ «ვპერიოდის» მე-9 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «ახალი ამოცანები და ახალი ძალები» (მოწინავე), «ოსვობოჟდენიელები და ახალისკრელები, მონარქისტები და ჟირონდისტები».
თებერვალი, 28 (მარტი, 13).	ლენინი რსდმპ პეტერბურგის კომიტეტს აცნობებს, რომ ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტისაგან» მიღებულია ფული 1905 წლის 9 იანვრის მსხვერპლთათვის დახმარების გასაწევად.
თებერვალი.	ლენინი წერს პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებათა საერთო გეგმას და რეზოლუციების პროექტებს.

მარტი, 2 (15). გაზეთ «ვპერიოდის» მე-10 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «პროლეტარიატი და ბურჟუაზიული დემოკრატია» და «ვისი მოტყუება უნდათ?».

მარტი, 3 (16). ლენინი უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წევრის ს. ი. გუსევისადმი მიწერილ წერილში წინადადებას იძლევა III ყრილობაზე მიწვეულ იქნას პარტიის ყველა კომიტეტი — ბოლშევიკური და მენშევიკური.

მარტი, 5 (18). ლენინი პოლიტიკურ ემიგრანტთა რუსული კოლონიის კრებაზე ჟენევაში მოხსენებას აკეთებს **პარიზის** კომუნის შესახებ.

მარტი, 10 (23)-მდე ლენინი რედაქციას უკეთებს პარიზის კომუნის გენერლის კლიუზერეს მემუარების თარგმანს «ქუჩის ბრძოლის შესახებ» და წერს მის მოკლე ბიოგრაფიას.

მარტი, 10 (23). გაზეთ «ვპერიოდის» მე-11 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «პროლეტარიატი და გლეხობა» (მოწინავე) და «პირველი ნაბიჯი».

მარტი, 12 (25). ლენინი ოდესის კომიტეტს სწერს წერილს პარტიის III ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების წამოყენების შესახებ.

მარტი, 15 (28). ლენინი წერს სტატიას «ბონაპარტისტთა ოინები». სტატია გამოდის ცალკე ანაბეჭდად გაზეთ «ვპერიოდის» მე-13 ნომრიდან.

მარტი, 16 (29). ლენინის სტატია «ჩვენი აგრარული პროგრამის შესახებ. (წერილი III ყრილობას)» გამოქვეყნებულია გაზეთ «ვპერიოდის» მე-12 ნომერში.

მარტი, 20 (აპრილი, 2). ლენინი ესწრება რუსეთის სოციალისტური ორგანიზაციების კონფერენციას, რომელიც ჟენევაში შედგა. კონფერენციის ოპორტუნისტულ შემადგენლობაში დარწმუნების შემდეგ ლენინი სტოვებს კონფერენციას.

ლენინს ირჩევენ რსდმპ III ყრილობის დელეგატად პარტიის ოდესის ორგანიზაციისაგან.

მარტი, 23 (აპრილი, 5). გაზეთ «ვპერიოდის» მე-13 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «ევროპის კაპიტალი და თვითმპყრობელობა» (მოწინავე), «მეორე ნაბიჯი» და დასაწყისი

სტატიისა «სოციალ-დემოკრატია და დროებითი რევოლუ-ციური მთავრობა».

მარტი, 30 (აპრილი, 12). გაზეთ «ვპერიოდის» მე-14 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატია «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა». სტატია გამოსცა აგრეთვე ცალკე ბროშურად კავკასიის კავშირის კომიტეტმა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

მარტი — აპრილი. ლენინი წერს სტატიის «1789 წლისა თუ 1848 წლის ტიპის რევოლუცია?» კონსპექტს.

აპრილი, 5 (18). ლენინი ჟენევაში მონაწილეობს პარტიის III ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაში.

აპრილი, 6 (19). ლენინი გაზეთ «ვპერიოდის» თანამშრომელს გ. დ. ლეიტეიზენს ავალებს გამოვიდეს საფრანგეთის გედისტთა სოციალისტური პარტიის ყრილობაზე და მიესალმოს რსდმპ სახელით.

აპრილი, 7 (20). გაზეთ «ვპერიოდის» მე-15 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «ლიბერალების აგრარული პროგრამა» (მოწინავე), «მარქსი ამერიკული «მიწის გადანაწილების» შესახებ» და სხვ.

აპრილი, 10 (23). ლენინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით სწერს «ღია წერილს რსდმპ საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. პლეხანოვს». წერილი გამოქვეყნებულია გაზეთ «ვპერიოდის» მე-16 ნომერში.

აპრილი, 11 (24). ლენინი მონაწილეობს პარტიის III ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაში და ადგენს საორგანიზაციო კომიტეტის რეზოლუციას ყრილობის კანონიერების შესახებ.

აპრილი, 12 (25)-მდე. ლენინი წერს პროკლამაციას «პირველი მაისი». პროკლამაცია გამოსცეს უმრავლესობის კომიტეტების ბიურომ და გაზეთ «ვპერიოდის» რედაქციამ.

ლენინი პარტიის კურსკისა და ოდესის კომიტეტებისაგან იღებს მანდატებს რსდმპ III ყრილობაზე დასასწრებლად.

ლენინი ჟენევიდან ლონდონს მიემგზავრება პარტიის III ყრილობაზე.

ლენინი ამუშავებს პარტიის III ყრილობის დღის წესრიგს, აწყობს თათბირებს უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს წევრებთან და გაზეთ «ვპერიოდის» რედაქციის წევრებთან, ესაუბრება დელეგატებს ყრილობის მომავალი მუშაობის საკითხებზე.

აპრილი, 12 — 27 რსდმპ III ყრილობა.

(აპრილი, 25 — მაისი, 10). ლენინი ხელმძღვანელობს ყრილობის მუშაობას. აწარმოებს ყრილობის თავმჯდომარის დღიურს.

აპრილი, 12 (25). ყრილობის გახსნა. ლენინს ირჩევენ ყრილობის თავმჯდომარედ.

აპრილი, 13 (26). ლენინი გამოდის ყრილობის კანონიერების საკითხზე; მას ირჩევენ რეზოლუციების შემდგენელ კომისიაში.

აპრილი, 14 (27). ლენინი რედაქციას უკეთებს ა. ვ. ლუნაჩარსკის მოხსენებას შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

ლენინი გამოდის ყრილობის მეოთხე და მეხუთე სხდომებზე სამანდატო კომისიის მოხსენების გამო.

აპრილი, 15 (28). ლენინი ყრილობის მეექვსე სხდომაზე სიტყვას ამბობს შეიარაღებული აჯანყების საკითხზე.

აპრილი, 16 (29). ლენინი ყრილობის მერვე სხდომაზე სიტყვას ამბობს შეიარაღებული აჯანყების შესახებ და რედაქციას უკეთებს რეზოლუციას ამ საკითხზე.

აპრილი, 17 (30). გაზეთ «ვპერიოდის» მე-16 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატია «საკონსტიტუციო ბაზარი». სტატია ცალკე ფურცლად გამოსცა ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა 15 (28) მაისს.

აპრილი, 18 (მაისი, 1). ლენინი ყრილობის მეათე სხდომაზე სიტყვას ამბობს გადატრიალების წინ მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ.

ლენინი ყრილობის მეთერთმეტე სხდომაზე კითხულობს მოხსენებას «ს.-დ. მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში» და შეაქვს პროექტი რეზოლუციისა ამ საკითხზე.

აპრილი, 19 (მაისი, 2).	ლენინი ყრილობის მეთორმეტე სხდომაზე სიტყვას ამბობს დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ რეზოლუციის შესწორებებზე.
	ლენინი ყრილობის მეცამეტე სხდომაზე კითხულობს მოხსენებას «რეზოლუციაზე გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის შესახებ».
	ყრილობის მეცამეტე სხდომაზე იღებენ ლენინის რეზოლუციას «რსდმპ აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე».
აპრილი, 20 (მაისი, 3).	ლენინის რეზოლუციას «გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის შესახებ» იხილავენ და იღებენ ყრილობის მეოთხმეტე და მეთხუთმეტე სხდომებზე.
	ლენინი ყრილობის მეთხუთმეტე სხდომაზე სიტყვას ამბობს მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის საკითხზე.
აპრილი, 21 (მაისი, 4).	ლენინი ყრილობის მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე სხდომებზე გამოდის პარტიის წესდების განხილვისას.
	ყრილობის მეთექვსმეტე სხდომაზე იღებენ წესდების 1-ლ პარაგრაფს ლენინის ფორმულირებით.
აპრილი, 22 (მაისი, 5).	ლენინს ყრილობის მეცხრამეტე სხდომაზე შეაქვს «პროექტი რეზოლუციისა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ» და ორჯერ გამოდის ამ საკითხზე.
აპრილი, 22 და 23 (მაისი, 5 და 6).	ლენინს შეაქვს რეზოლუცია «პარტიის გათიშული ნაწილის შესახებ» და გამოდის მისი განხილვისას ყრილობის მეცხრამეტე და მეოცე სხდომებზე.
აპრილი, 23 (მაისი, 6).	ლენინი ყრილობის ოცდაპირველ სხდომაზე სიტყვას ამბობს ესერებთან პრაქტიკული შეთანხმების გამო.
აპრილი, 25 (მაისი, 8).	ლენინი ყრილობის ოცდამეორე სხდომაზე გამოდის პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხზე.
	ლენინი ყრილობის ოცდამესამე სხდომაზე სიტყვას ამბობს ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენების გამო.

ლენინს ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

ლენინის რეზოლუციას ოქმების გამოცემის წესის შესახებ იღებენ ყრილობის ოცდამესამე სხდომაზე.

აპრილი, 26 (მაისი, 9). ლენინის რეზოლუციას კავკასიის ამბების გამო იღებენ ყრილობის ოცდამეხუთე სხდომაზე.

აპრილი, 27 (მაისი, 10). ლენინი ხურავს პარტიის III ყრილობას.

ლენინი თავმჯდომარეობს პარტიის III ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის პირველ სხდომას.

ლენინი სახავს ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის მოვალეობათა განაწილების გეგმას საზღვარგარეთ და რუსეთში მუშაობისათვის.

ლენინი იმუშავებს პაროლს, შიფრს, მეტსახელებს ცენტრალური კომიტეტის წევრების ურთიერთობისათვის, პარტიული მუშაობის ორგანიზაციისა და დაფინანსების ტექნიკას.

ლენინს ცენტრალური კომიტეტი ნიშნავს პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ «პროლეტარის» პასუხისმგებელ რედაქტორად და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად საზღვარგარეთ.

აპრილი, 27 (10 მაისის) შემდეგ. ლენინმა III ყრილობის დელეგატებთან ერთად ინახულა კ. მარქსის საფლავი ჰაიგეიტის სასაფლაოზე ლონდონში.

27 აპრილსა და 2 მაისს (10 და 15 მაისს) შუა. ლენინი ლონდონიდან ჟენევას მიემგზავრება. პარიზზე გავლისას ლენინმა III ყრილობის დელეგატების ჯგუფთან ერთად ინახულა პარიზის კომუნარების დახვრეტის ადგილი — «კომუნარების კედელი» პერ-ლაშეზის სასაფლაოზე.

მაისი, 5 (18). გაზეთ «ვპერიოდის» მე-18 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატია «პოლიტიკური სოფიზმები».

მაისი, 7 (20). ლენინი მონაწილეობს პარტიის ცენტრალური ორგანოს «პროლეტარის» თანამშრომელთა კრებაში, რომელზედაც განიხილეს ცენტრალური ორგანოს რედაქციის მუშაობის გეგმა.

მაისი, 10 (23)-ის შემდეგ. ლენინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით სწერს წერილს «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგას» შეკითხვით პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ.

მაისი, 14 (27). გამოდის პირველი ნომერი ბოლშევიკური გაზეთის «პროლეტარისა», რომელსაც ლენინი რედაქტორობს. ნომერში გამოქვეყნებულია მისი სტატიები: «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ» (მოწინავე), «მესამე ყრილობა» და «შენიშვნა» «ყრილობის კონსტიტუირების რეზოლუციისათვის».

მაისი, 20-მდე (2 ივნისამდე). ლენინი წერს სტატიას «ღროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ». სტატია გამოქვეყნებულია გაზეთ «პროლეტარის» მე-2 და მე-3 ნომრებში.

მაისი, 20 (ივნისი, 2). ლენინი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს სწერს წერილს, რომ შესდგა პარტიის III ყრილობა და რომ ყრილობამ გადაწყვიტა რსდმპ ცენტრალურ ორგანოდ მიჩნეულ იქნას გაზეთი «პროლეტარი».

მაისი, 21 (ივნისი, 3). გაზეთ «პროლეტარის» მე-2 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატია «კონსერვატიული ბურჟუაზიის რჩევა».

მაისი, 27 (ივნისი, 9). გაზეთ «პროლეტარის» მე-3 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «განადგურება» (მოწინავე), «რევოლუციური ბრძოლა და ლიბერალური მაკლერობა».

მაისის ბოლო. ლენინი წერს სტატიას «ებრაელ მუშებს». სტატია დაბეჭდილია როგორც წინასიტყვაობა ბროშურისა «ცნობა რსდმპ III ყრილობის შესახებ», რომელიც ებრაულ ენაზე გამოიცა.

ლენინი ჟენევაში ორჯერ კითხულობს მოხსენებას პარტიის III ყრილობისა და მენშევიკური კონფერენციის შესახებ.

ივნისი, 4 (17). გაზეთ «პროლეტარის» მე-4 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები» (მოწინავე) და «ახალი რევოლუციური მუშათა კავშირი».

ივნისი, 5 (18). ლენინი ამტკიცებს რსდმპ საზღვარგარეთის ორგანიზაციის წესდებას.

ივნისი, 12 (25) შემდეგ. ლენინი «Leipziger Volkszeitung»-ის («ლაიფციგის სახალხო გაზეთის») რედაქციას სწერს ღია წერილს, რომელშიც პროტესტს აცხადებს კაუტსკის მიერ რსდმპ გათიშვის ყალბად გაშუქების წინააღმდეგ.

ივნისი, 13 (26). გაზეთ «პროლეტარის» მე-5 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «ბურჟუაზიული გამცემლობის პირველი ნაბიჯები» და «თეთრხელთათმანიანი «რევოლუციონერები»».

ივნისი, 14 (27)-მდე. ლენინი აწყობს «რსდმპ III ყრილობის შესახებ ცნობის» გამოშვებას და ყრილობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა გამოცემას გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ივნისი, 20 (ივლისი, 3). გაზეთ «პროლეტარის» მე-6 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები «პროლეტარიატის ბრძოლა და ბურჟუაზიის ლაქიობა» (მოწინავე) და «მესამე ნაბიჯი უკან» მენშევიკების ჟენევის კონფერენციის გამო.

ივნისი, 21 (ივლისი, 4). ლენინი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი მიმართულ წერილში სთხოვს მას გამოუშვას მოწოდება ყველა ქვეყნის მუშებისადმი არ დაუშვან აჯანყების ჩაქრობა ჯავშნოსან «პოტიომკინზე».

ივნისი, 27 (ივლისი, 10). გაზეთ «პროლეტარის» მე-7 ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის სტატიები: «რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა» (მოწინავე), «რუსეთის მეფე თავისი ხალხისაგან დაცვას თურქეთის სულთანსა სთხოვს» და «ბურჟუაზია ევაჭრება თვითმპყრობელობას, თვითმპყრობელობა ევაჭრება ბურჟუაზიას».

ივნისის ბოლო. ლენინი რუსეთში მიმავალ მ. ი. ვასილიევ-იუჟინს ავალებს კავშირი დაამყაროს იმ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან, რომელიც ხელმძღვანელობდა აჯანყებას შავი ზღვის ფლოტში და ჯავშნოსან «პოტიომკინზე».

ივნისი — ივლისი. ლენინი წერს პროკლამაციას «სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა».

ლენინი წერს წიგნს «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში».

შინაარსი

წინასიტყვაობა	IX
თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი . . .	1—15
პროლეტართა კარგი დემონსტრაციებისა და ზოგიერთი ინტელიგენტის ცუდი მსჯელობის შესახებ .	16—23
დრო გავათაოთ	24—29
კომიტეტების კონფერენციები	30
რუსეთის ახალი სესხი	31—32
ა. ა. ბოგდანოვს	33—37
პორტ-არტურის დაცემა .	38—48
გულგულს არაკებით როდი კვეგავენ .	49—57
წერილი ბოლშევიკთა ციურიხელ ჯგუფს .	58—60
წერილი ე. დ. სტასოვასა და ამხანაგებს, მოსკოვის საპყრობილის პატიმრებს	61—66
რევოლუცია რუსეთში .	67—68
მუშური და ბურჟუაზიული დემოკრატია .	69—82
ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ. სტატია პირველი	83—91
პეტერბურგის გაფიცვა	92—96
ჩვენი ტარტიუფები	97—99
რევოლუციის დასაწყისი რუსეთში	100—104
რევოლუციური დღეები	105—131
1. რა ხდება რუსეთში?	107
2. ხუცესი გაპონი .	110
3. პეტერბურგის ბრძოლის გეგმა . . .	113
4. დამატება სტატიისა «პეტერბურგის ბრძოლის გეგმა»	116

5. «მამა-მეფე» და ბარიკადები 117
6. პირველი ნაბიჯები 121
7. სისხლიანი კვირის წინახანი 126
8. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 129
9. ბრძოლები ბარიკადებზე 130
მეფის ზავი . . . . 132—133
რსდმპ გათიშვის მოკლე ნარკვევი . 134—142
წერილი გროილიხს 135
ტრეპოვი თარეშობს . . 143—147
პეტერბურგი 9 იანვრის შემდეგ . 148—149
პირველი გაკვეთილები . . . 150—155
წერილი ა. ა. ბოგდანოვსა და ს. ი. გუსევს . 156—161
ორი ტაქტიკა . . 162—173
აჯანყებისათვის საბრძოლო შეთანხმების შესახებ . 174—184
უნდა მოვაწყოთ თუ არა რევოლუცია? . 185—196
III პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ . . 197—200
ახალისკრელთა ბანაკიდან . 201—202
წერილი რუსეთის ორგანიზაციებს . 203—204
III ყრილობის გადაწყვეტილებათა საერთო გეგმა . 205—211
რსდმპ III ყრილობის რეზოლუციების პროექტები . 213—220
1. რეზოლუცია მენშევიკების ანუ ახალისკრელების დეზორგანიზატორული საქციელის შესახებ 215
2. რეზოლუცია პარტიულ კრიზისში პლეხანოვის საქციელის შესახებ . . . 216
3. რეზოლუცია ახალისკრელთა პრინციპული პოზიციის შესახებ . 217
4. რეზოლუცია მუშებისა და ინტელიგენტების ურთიერთობის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში . 219
ცვლილება წესდების პუნქტისა ცენტრების შესახებ . 221—224
ანკეტა. პარტიის III ყრილობისათვის . 225—227
წინასიტყვაობა ბროშურისა «პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ლოპუხინის მოხსენებითი ბარათი» . . . 228—232
კომუნის შესახებ საუბრის გეგმა . 233—236
ახალი ამოცანები და ახალი ძალები . 239—251

ოსვოგოჟდენიელები და ახალისკრელები, მონარ-
ქისტები და ჟირონდისტები . 252—254
დაუსრულებელი მომიზეზება . 255—257
ვისი მოტყუება უნდათ? . . 258—260
პროლეტარიატი და გურჟუაზიული დემოკრატია . 261—263
პროლეტარიატი და გლეხობა . . 264—271
ქუჩის ბრძოლის შესახებ. (კომუნის გენერლის რჩევა) . 272—273
პირველი ნაბიჯი . . 274—280
პარტიული პროგრამის ისტორიისათვის . 281—282
ჩვენი აბრარული პროგრამის შესახებ. (წერილი III ყრი-
ლობას) . 283—289
ბონაპარტისტთა ოინები . 290—295
1789 წლისა თუ 1848 წლის ტიპის რევოლუცია? . 296—299
პარტიისადმი . 300—301
მეორე ნაბიჯი . . 302—307
ევროპის კაპიტალი და თვითმპყრობელობა . 308—317
სოციალ-დემოკრატია და დროებითი რევოლუციუ-
რი მთავრობა . 319—340
I 321
II 326
III . 332
IV . 334
პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დე-
მოკრატიული დიქტატურა . . . 341—353
დაჭრთამვის ფრანგულ-რუსული ჩვეულებანი! . 354—355
გაღმა შეედავე, გამოღმა შენ დაგრჩებაო . . 356—366
ლიბერალების აბრარული პროგრამა . 367—376
მარქსი ამერიკული «მიწის გადანაწილების» შესახებ 377—385
მხილებული საბჭო . . . . 386—391
ღია წერილი რსდმპ საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. პლე-
ხანოვს . 392—403
III ყრილობის საკითხისათვის . 404—405
საპირველმაისო ფურცლის გეგმა . 406—407
პირველი მაისი . . 408—412
საკონსტიტუციო ბაზარი . 413—418

პარტიული ორგანიზაციების ორკვირეული ანგარიშების შესახებ . 419—420

რსდმპ III ყრილობა 1905 წლის 12 (25) აპრილი — 27 აპრილი (10 მაისი) . . 421—498

1. სიტყვა ყრილობის კანონიერების შესახებ 13 (26) აპრილს 425
2. სიტყვა ყაზანისა და ყუბანის კომიტეტების სრულუფლებიანობის შესახებ 14 (27) აპრილს . . 428
3. პროექტი რეზოლუციისა რსდმპ დამოკიდებულებაზე შეიარაღებული აჯანყებისადმი 431
4. პროექტი რეზოლუციისა შეიარაღებულ აჯანყებაზე . 433
5. სიტყვა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე 15 (28) აპრილს . 434
6. სიტყვა შეიარაღებული აჯანყების საკითხზე 16 (29) აპრილს 435
7. რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ 437
8. სიტყვა მთავრობის ტაქტიკისადმი დამოკიდებულებაზე გადატრიალების წინახანს 18 აპრილს (1 მაისს) . 439
9. დამატება რეზოლუციისა მთავრობის პოლიტიკისადმი დამოკიდებულებაზე გადატრიალების წინახანს და გადატრიალების მომენტში . 441
10. პროექტი რეზოლუციისა რსდმპ აშკარა პოლიტიკური გამოსვლის საკითხზე 443
11. პროექტი რეზოლუციისა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში 445
12. დამატება რეზოლუციისა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში 448
13. მოხსენება ს.-დ. მონაწილეობაზე დროებითს რევოლუციურ მთავრობაში 18 აპრილს (1 მაისს) 449
14. პროექტი რეზოლუციისა დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ 467
15. სიტყვა დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ რეზოლუციის შესწორებებზე 19 აპრილს (2 მაისს) . 469
16. მოხსენება რეზოლუციაზე გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის შესახებ 19 აპრილს (2 მაისს) 471
17. პროექტი რეზოლუციისა გლეხთა მოძრაობისათვის მხარისდაჭერის შესახებ 477

18. სიტყვა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის საკითხზე 20 აპრილს (3 მაისს) 479
19. პროექტი რეზოლუციისა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ . 481
20. შენიშვნა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ რეზოლუციის განხილვისას 22 აპრილს (5 მაისს) 483
21. სიტყვა მუშათა და ინტელიგენტთა ს.-დ. ორგანიზაციებში ურთიერთობის შესახებ რეზოლუციების განხილვის წესის თაობაზე 22 აპრილს (5 მაისს) 484
22. სიტყვა პარტიის წესდების განხილვისას 21 აპრილს (4 მაისს) 485
23. სიტყვა პარტიის წესდების მე-9 პარაგრაფის რედაქციის შესახებ 21 აპრილს (4 მაისს) 487
24. სიტყვა ს.-რ.-ბთან შეთანხმების გამო 23 აპრილს (6 მაისს) 488
25. სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენების გამო 25 აპრილს (8 მაისს) 495
26. რეზოლუცია ყრილობის ოქმების გამოცემის შესახებ 496
27. პროექტი რეზოლუციისა კავკასიის ამბების შესახებ 497
პოლიტიკური სოფიზმები . . . . . 499—509
ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ . . 510—517
ყრილობის კონსტიტუირების შესახებ . 518—520
მესამე ყრილობა . . . 521—529
ძლევამოსილი რევოლუცია . . 530—531
პოლიტიკისა და პედაგოგიკის აღრევის შესახებ . 532—536
წერილი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს 537
კონსერვატიული ბურჟუაზიის რჩევა . . . 538—542
დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ . 543—569
სტატია პირველი. პლეხანოვის ისტორიული ცნობა 545
სტატია მეორე. მხოლოდ ქვემოდან თუ ქვემოდანაც და ზემოდანაც? . 559
განადგურება . . . . . 570—574
რევოლუციური ბრძოლა და ლიბერალური მაკლერობა . . . 575—586
ეპარაელ მუშებს . 587—591

ახალი რევოლუციური მუშათა კავშირი . 592—606

რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები . 607—615

გურჟუაზიული გამცემლობის პირველი ნაბიჯები . 616—624

თეთრხელთათმანიანი «რევოლუციონერები» . . 625—631

ღია წერილი «LEIPZIGER VOLKSZEITUNG»-ის რედაქციას . 632—634

დროებითი რევოლუციური მთავრობის სურათი . 635—638

პროლეტარიატის ბრძოლა და გურჟუაზიის ლაქიობა . 639—646

მესამე ნაბიჯი უკან . 647—659

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს . 660—661

სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა . 662—664

რევოლუციური არმია და რევოლუციური მთავრობა . 665—676

რუსეთის მეფე თავისი ხალხისაგან დაცვას თურქეთის სულთანსა სთხოვს . 677—683

გურჟუაზია ევაჭრება თვითმპყრობელობას, თვითმპყრობელობა ევაჭრება გურჟუაზიას . 684—686

შენიშვნები . . 687—707

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . 709—720

ილუსტრაციები

ბოლშევიკური გაზეთის «ვპერიოდის» № 1 პირველი გვერდი, 1905 წ. 4 იანვარი (1904 წ. 22 დეკემბერი), ვ. ი. ლენინის სტატიით «თვითმპყრობელობა და პროლეტარიატი» 3

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «ახალი ამოცანები და ახალი ძალები». — 1905 წ. 237

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა». გამოცემა რსდმპ კავკასიის კავშირისა. — 1905 წ. 343

გარეკანი წიგნისა «რსდმპ მესამე მორიგი ყრილობა. ოქმების სრული ტექსტი». ცენტრალური კომიტეტის გამოცემა, ჟენევა, 1905 წ. 423

პირველი გვერდი ბოლშევიკური გაზეთის «პროლეტარისა» № 1, 1905 წ. 27 (14) მაისი, სადაც მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატია «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ» და ყრილობის უმთავრესი რეზოლუციები . 511

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-1949.
УЭ 15931. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 46,25.
ფასი 8 მან.

•

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
შეკვეთის № 1099.

—

Комбинат печати Управления по делам
полиграфической промышленности,
издательств и книжной торговли
при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.